ვ. ღონაძე

აზიისა და აფრიკის ქვეყნების უახლესი ისტორია

ნაწილი I

(1918—1945 წლები)

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი 1968

9(45+46)
9(5+6)„1918:1945"
დ 74

ნაშრომი შეიცავს აზიისა და აფრიკის ქვეყნების უახლეს ისტორიას 1918 წლიდან 1945 წლამდე. მასალას დალაგება შეესაბამება სათანადო კურსის პროგრამას.

წიგნი განკუთვნილია დამბმარე სახელმძღვანელოდ ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტებისა და ასპირანტებისათვის. მას ინტერესით შეხვდება მკითხველთა ფართო წრეც, რომელიც თვალყურს ადევნებს აზიისა და აფრიკის ქვეყნების გამოსვლას მსოფლიო ისტორიის ავანსცენაზე.

1-6-3

შესავალი

მსოფლიო ისტორიის უახლესი პერიოდი, რომელთანაც ორგანულადაა დაკავშირებული ძირეული შემობრუნება კაცობრიობის ისტორიულ განვითარებასა და ჩვენი პლანეტის ხალხთა ცხოვრებაში, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებით დაიწყო.

დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ დასაბამი მისცა „ახალ ერას კაცობრიობის ისტორიაში — კაპიტალიზმის მსხვრევისა და კომუნიზმის დამკვიდრების ერას“[1]. მან საფუძველი ჩაუყარა კაპიტალიზმის საერთო კრიზისს, შექმნა ორი ურთიერთისადმი დიამეტრალურად დაპირისპირებული საზოგადოებრივი სისტემა.

მსოფლიოში პირველმა სოციალისტურმა რევოლუციამ უდიდესი გამარევოლუციონერებელი გავლენა მოახდინა აზიისა და აფრიკის ქვეყნების მოსახლეობის მრავალმილიონიან მასებზე და მძლავრი ბიძგი მისცა კოლონიებისა და ნახევრად კოლონიური ქვეყნების ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გაჩაღებას.

ოქტომბრის რევოლუცია პირველი რევოლუცია იყო მსოფლიოში, რომელმაც დაიწყო ჩაგრულ ხალხთა განთავისუფლების, კოლონიური რევოლუციების ერა, გამოაღვიძა აზიისა და აფრიკის ხალხები საუკუნოებრივი ძილისაგან, საკუთარი ძალის ნათელი რწმენა ჩაუსახა მათ, ბრძოლის ასპარეზზე გამოიყვანა ისინი და აქცია იმპერიალიზმის რევოლუციური მსხვრევის სერიოზულ ფაქტორად.

„კოლონიური და ნახევრად კოლონიური ქვეყნების მშრომელი მასები, — წერდა ლენინი, — პოლიტიკური ცხოვრებისათვის გაღვიძებული არიან უკვე მე-20 საუკუნის დამდეგიდან, განსაკუთრებით რუსეთის, სპარსეთისა და ჩინეთის რევოლუციებით. 1914—1918 წლების იმპერიალისტური ომი და რუსეთში საბჭოთა ხელისუფლების არსებობა საბოლოოდ აქცევენ ამ მასებს მსოფლიო პოლიტიკისა და იმპერიალიზმის რევოლუციური ნგრევის ფაქტორად“[2].

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება წარმოადგენდა მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების განხორციელებას რე-

---

[1] სკკპ პროგრამა, „კომუნისტი“, 1961 წლის 2 ნოემბერი.

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 32, გვ. 579.

ვოლუციურ პრაქტიკაში. რევოლუციური ნაპერწკლის გადასროლამ აღმოსავლეთში, სადაც იგი გიგანტურ რევოლუციურ ხანძრად აგიზგიზდა, მჭიდროდ დააკავშირა ერთმანეთთან დასავლეთი და აღმოსავლეთი. კოლონიურ და ნახევრად კოლონიურ ქვეყნებში იმპერიალისტური ჩაგვრისა და ფეოდალური კაბალის წინააღმდეგ გაჩაღებული რევოლუციური ბრძოლა ამიერიდან ორგანულად დაუკავშირდა კაპიტალისტური ქვეყნების მუშათა კლასის კლასობრივ ბრძოლას. ამით აღმოსავლეთის დაჩაგრული ხალხები გამოვიდნენ მსოფლიო ისტორიის ავანსცენაზე, მათი განმათავისუფლებელი ბრძოლა კი მსოფლიო სოციალისტური რევოლუციის რეზერვი და განუყოფელი ნაწილი გახდა.

„აღმოსავლეთის გამოღვიძების პერიოდს თანამედროვე რევოლუციაში. — წერდა ლენინი, — მოსდევს პერიოდი აღმოსავლეთის ყველა ხალხის მონაწილეობისა მთელი მსოფლიო ბედის გადაწყვეტაში... აღმოსავლეთის ხალხები იღვიძებენ იმისათვის, რათა პრაქტიკულად იმოქმედონ. რათა ყოველი ხალხი წყვეტდეს მთელი კაცობრიობის ბედის საკითხს“[1].

აზიისა და აფრიკის ხალხები ენთუზიაზმით შეეგებნენ იმ მორალურ-პოლიტიკურ, დიპლომატიურ, მატერიალურ დახმარებას, რომელიც აღმოუჩინა იმპერიალიზმის წინააღმდეგ მებრძოლ თურქ და ავღანელ ხალხებს საბჭოთა ხელისუფლებამ, ძმურ მხარდაჭერას მონგოლი ხალხისადმი, რამაც საშუალება მისცა მას წარმატებით დაეგვირგვინებინა ანტიფეოდალური და ანტიიმპერიალისტური სახალხო რევოლუცია. აქედან მათ სათანადო პრაქტიკული დასკვნა გამოიტანეს. „ეროვნებათა განთავისუფლებისათვის ბრძოლის ძახილმა“, ზემოთ აღნიშნულ სხვა ფაქტორებთან ერთად, ეს ხალხები თვალნათლივ დაარწმუნა იმაში, რომ ძველი რუსეთის ხალხთა საპყრობილის ნაცვლად აღმოცენდა სრულიად ახალი რუსეთი, რომელიც ჩაგრულ ხალხთა უანგარო მეგობარი და მრჩეველი გახდა.

მსოფლიოში პირველი სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამ მკვეთრად შეზღუდა იმპერიალიზმის მოქმედების სფერო. იმპერიალისტ კოლონიზატორებს წაერთვათ კოლონიური და ნახევრად კოლონიური ქვეყნების მოსახლეობის ძველებურად ძარცვა-გლეჯის შესაძლებლობა. ამით დამთავრდა კოლონიური და ნახევრად კოლონიური ქვეყნების „უშფოთველი“ ექსპლოატაციის ხანა, დადგა მათი განთავისუფლების, ჩაგრულ ხალხთა განმათავისუფლებელი რევოლუციების ერა.

აზიისა და აფრიკის დამონებული ხალხების განმათავისუფლებე-

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 30, გვ. 177.

ლი ბრძოლის გამოჩენილი ორგანიზატორები — თავიანთი ქვეყნების დიდი პატრიოტები და მოქალაქეები: მაჰათმა განდი, ჯავაჰარლალ ნერუ, სუნ იატ-სენი, ლი და-ჯაო, მუსტაფა ქემალი, ზაღლულ ფაშა, აბდ ალ-ქერიმი... აღტაცებით შეეგებნენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებას და მას „კაცობრიობის დიდი იმედის დაბადება“, „აღმოსავლეთის დიდი მანათობელი მზის ამობრწყინება“, „ჩაუქრობელი ალის აგიზგიზება“, „წყვდიადის გამფანტავი, მომავალი ბრძოლის გზის მანათებელი ჩირაღდნის ანთება“ უწოდეს. მათ მაშინვე შეიცნეს ამ რევოლუციის დიადი იდეების უდიდესი გამარევოლუციონერებელი ზემოქმედება აღმოსავლეთის ხალხებზე, „ოქტომბრის რევოლუციის ზარბაზნების ქუხილის“ ექოს გამომღვიძებელი ძალა, მისი შთამბეჭდავი და აღმაფრთოვანებელი როლი. ყოველმა მათგანმა ნათლად დაინახა ის ძირეული ცვლილებები, რომელიც მოჰყვა ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებას მსოფლიოში, სწორად განჭვრიტა ის ხელსაყრელი ვითარება, რომელიც შეიქმნა აღმოსავლეთში მიმდინარე განმათავისუფლებელი ბრძოლისათვის რუსეთში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შედეგად. მათ უშუალოდ განიცადეს ოქტომბრის ცხოველმყოფელი იდეების გავლენა. სწორედ ამ გავლენის შედეგი იყო, რომ ყოველი მათგანი თავისებურად, ამა თუ იმ ქვეყნის ვითარების შესაბამისად, სათავეში ჩაუდგა იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლას და ამ ბრძოლაში გაიყოლა ხალხის ფართო მასები.

1918 წლიდან აღმოსავლეთის უკიდეგანო სივრცეზე აბობოქრებული განმათავისუფლებელი და რევოლუციური ქარიშხალი: „1919 წლის 4 მაისის მოძრაობა“ — ახალდემოკრატიული რევოლუციის დამწყები ჩინეთში, „ბრინჯის ჯანყები“—იაპონიაში, 1919 წლის მარტ-აპრილის სახალხო-განმათავისუფლებელი აჯანყება კორეაში და მომდევნო ეროვნულ-განმათავისუფლებელი რევოლუცია, ავღანელი ხალხის 1919 წლის ძლევამოსილი განმათავისუფლებელი ომი ინგლისელთა წინააღმდეგ, თურქი ხალხის 1919—1922 წლების ეროვნულ-განმათავისუფლებელი ომი იმპერიალისტ ინტერვენტთა წინააღმდეგ, 1919—1922 წლების მძლავრი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა და რევოლუციური აღმავლობა ინდოეთში, 1919—1922 წლების ანტიიმპერიალისტური ბრძოლა ეგვიპტეში, 1919—1920 წლების ეროვნული აჯანყებები სირიაში, ლიბანსა და ერაყში, მაროკოს, ალჟირის, ტუნისისა და სხვა არაბული ხალხების განმათავისუფლებელი მოძრაობის გაძლიერება, სახალხო ანტიიმპერიალისტური და ანტიფეოდალური რევოლუციის გამარჯვება 1921 წელს მონგოლეთში, 1919—1922 წლების მასობრივი ეროვნულ-განმათავისუფლებელი გამოსვლები ირანში; ბირმის, ვიეტნამის, ფილიპინებისა და ინდონეზი-

ელი ხალხების ბრძოლის გაძლიერება ინგლისელ, ფრანგ, ამერიკელ და ჰოლანდიელ იმპერიალისტთა წინააღმდეგ, „შავი აფრიკის“ მრავალმილიონიანი მოსახლეობის გამოღვიძება და იმპერიალისტ კოლონიზატორთა წინააღმდეგ აქტიურ საბრძოლო მოქმედებაზე გადასვლა წარმოადგენდა აღმოსავლეთის დამონებული ხალხების პასუხს რუსეთის სოციალისტური რევოლუციის მოწოდებაზე, მსოფლიო სოციალისტური რევოლუციის მოწოდებაზე.

დიდი ოქტომბრის გამარჯვების შედეგად აღმოცენებულმა იმპერიალიზმის კოლონიური სისტემის კრიზისმა სრული ცვლილებები მოახდინა სოციალური და ეროვნული განთავისუფლებისათვის აღმოსავლეთში გაშლილი ბრძოლის ხასიათში, ფორმებსა და მამოძრავებელ ძალებში. ამიერიდან ამ ბრძოლამ უფრო მასობრივი და ორგანიზებული ხასიათი მიიღო. სხვადასხვა ქვეყნის კონკრეტული ვითარების შესაბამისად მასში მონაწილეობას იღებენ გლეხობა, მუშათა კლასი, წვრილბურჟუაზიული წრეები, ინტელიგენცია და ეროვნული ბურჟუაზია. მისი ძირითადი მამოძრავებელი ძალები ხდებიან მრავალმილიონიანი გლეხობა და ქალაქის მშრომელები. ეს ბრძოლა ერთსა და იმავე დროს ატარებს სოციალურსა და ეროვნულ-განმათავისუფლებელ ხასიათს. ბრძოლა იმპერიალისტური ჩაგვრის წინააღმდეგ ორგანულად ერწყმის ბრძოლას ფეოდალური კაბალის წინააღმდეგ. აღნიშნულის გამო ეს ბრძოლა რიგ ქვეყნებში ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ ხასიათს იღებს.

დიდი ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებამ კოლონიური და ნახევრად კოლონიური ქვეყნების მშრომელები აზიარა მარქსიზმ-ლენინიზმის რევოლუციურ მოძღვრებას. ამიერიდან მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი რევოლუციური მოძღვრება მათი რევოლუციური და ზოგან თვით განმათავისუფლებელი ბრძოლის თეორიული ბაზა და გზის მანათებელი შუქურა ხდება. ამან აამაღლა აღმოსავლეთში მიმდინარე ბრძოლის იდეური დონე და მკვეთრად ორგანიზებული ხასიათი მისცა მას. მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრების და ახალგაზრდა მუშათა მოძრაობის შეერთებამ ჩინეთში, ირანში, თურქეთში, იაპონიაში და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში უკვე 1920—1922 წლებში განაპირობა კომუნისტური პარტიების შექმნა. ამ ღირსშესანიშნავმა მოვლენამ აამაღლა მუშათა კლასის როლი აღმოსავლეთის ხალხთა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, აქცია იგი შეგნებულ და დამოუკიდებელ პოლიტიკურ ძალად, ზოგ ქვეყნებში კი გახადა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის მედროშედ და ჰეგემონად.

ვ. ი. ლენინმა და კომუნისტურმა ინტერნაციონალმა ფასდაუდებელი ამაგი დასდეს არა მარტო მსოფლიო მუშათა მოძრაობას, არამედ

ეროვნული და სოციალური განთავისუფლებისათვის მებრძოლ აღმოსავლეთის ხალხებსაც.

კომუნისტური ინტერნაციონალის გადაწყვეტილებებში მოცემულია აღმოსავლეთის კოლონიური და ნახევრად კოლონიური ქვეყნების ხალხთა რევოლუციურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის კონკრეტული პირობების ბრწყინვალე მარქსისტულ-ლენინური ანალიზი, დასახულია ამ მოძრაობის განვითარების სწორი სტრატეგიული ხაზი და ტაქტიკური ხერხები. კომინტერნი სისტემატურად აზოგადებდა რუსეთისა და საერთაშორისო მუშათა მოძრაობის მდიდარ გამოცდილებას და ურჩევდა აზიისა და აფრიკის მშრომელებს შემოქმედებითად ესარგებლათ ამ გამოცდილებით, ანგარიში გაეწიათ ამა თუ იმ ქვეყნის კონკრეტული პირობებისათვის. კომუნისტური ინტერნაციონალის დადგენილებებში მუდამ ხაზგასმული იყო საბჭოთა რუსეთის მდიდარი რევოლუციური გამოცდილების, მსოფლიო პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლისა და კოლონიური და ნახევრად კოლონიური ქვეყნების ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის შეერთების აუცილებლობა.

ლენინი იყო აღმოსავლეთის დამონებული ხალხების დიდი მასწავლებელი, მრჩეველი და გზამკვლევი. მან შეიმუშავა ეროვნულ-კოლონიური საკითხის მწყობრი რევოლუციური თეორია, დაამუშავა კოლონიური და ნახევრად კოლონიური ქვეყნების ხალხთა განმათავისუფლებელი ბრძოლის საკვანძო პრობლემები, ეროვნულ-კოლონიური საკითხი და გამოაცხადა საერთაშორისო პროლეტარული რევოლუციის შემადგენელ ნაწილად; თეორიულად დაამუშავა ეროვნული მუშათა კლასისა და მისი ავანგარდის — კომუნისტური პარტიის უდიდესი როლი აღმოსავლეთში აზვირთებულ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში, განსაზღვრა გლეხობის, წვრილი ბურჟუაზიისა და ეროვნული ბურჟუაზიის ადგილი ამ მოძრაობის განვითარებაში, აღნიშნა ამ მოძრაობის თავისებურებანი ცალკეული ქვეყნების მიხედვით, ეროვნული საკითხი მჭიდროდ დაუკავშირა კოლონიურ საკითხს და ამით იგი აქცია დიდმნიშვნელოვან საერთაშორისო საკითხად კოლონიური და ნახევრად კოლონიური ქვეყნების ჩაგრულ ხალხთა განთავისუფლების შესახებ.

ლენინმა არა მარტო დაუკავშირა აღმოსავლეთის ჩაგრული ხალხების განმათავისუფლებელი ბრძოლა მსოფლიო სოციალისტური რევოლუციის საკითხს, არამედ ეს ბრძოლა მიიჩნია იმპერიალიზმის კრახის, მსოფლიოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების გადამწყვეტ პირობად. მას ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ბრძოლის შედეგი საბოლოო ანგარიშში დამოკიდებული იყო ჩინეთში, ინდოეთში და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში მიმდინარე ეროვნულ-განმათავისუფ-

ლებელი ბრძოლის წარმატებაზე. „...ამ მხრივ არავითარ ეჭვს არ იწვევს. — წერდა იგი, — ის გარემოება, თუ რით გადაწყდება საბოლოოდ მსოფლიო ბრძოლა. ამ აზრით სოციალიზმის საბოლოო გამარჯვება სავსებით და უცილობლად უზრუნველყოფილია“[1].

ლენინს მტკიცედ სწამდა, რომ აზიისა და აფრიკის კოლონიურ და დამოკიდებულ ქვეყნებში აბობოქრებული რევოლუციურ-განმათავისუფლებელი ქარტეხილი საბოლოოდ დალეწავდა იმპერიალიზმის კოლონიური სისტემის ხუნდებს და თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას მოუტანდა მის ხალხებს. „ხვალინდელი დღე მსოფლიო ისტორიაში სწორედ ისეთი იქნება, — წერდა იგი,—როცა საბოლოოდ გაიღვიძებენ იმპერიალიზმის მიერ დაჩაგრული ხალხები და როცა დაიწყება გადამწყვეტი, ხანგრძლივი და მძიმე ბრძოლა მათი განთავისუფლებისათვის“[2].

ვ. ი. ლენინმა წამოაყენა და თეორიულად დაასაბუთა დებულება აზიისა და აფრიკის სუსტად განვითარებული ქვეყნების არაკაპიტალისტური განვითარების შესაძლებლობის შესახებ. ეს იდეა მან განავითარა თავის მოხსენებაში კომუნისტური ინტერნაციონალის მეორე კონგრესზე (1920 წლის 19 ივლისს). ამ ისტორიულ მოხსენებაში მან აღნიშნა, რომ იმ ჩამორჩენილი ხალხებისათვის, რომელნიც ახლა თავისუფლდებიან კოლონიური ჩაგვრისაგან, არ არის აუცილებელი სახალხო მეურნეობის განვითარების კაპიტალისტური სტადია. „თუ რევოლუციური ძლევამოსილი პროლეტარიატი მათში გასწევს სისტემატურ პროპაგანდას, ხოლო საბჭოთა მთავრობები დაეხმარებიან მათ თავიანთ განკარგულებაში მყოფი ყველა საშუალებით“, „...მოწინავე ქვეყნების პროლეტარიატის დახმარებით ჩამორჩენილ ქვეყნებს შეუძლიათ გადავიდნენ საბჭოთა წყობილებაზე და განვითარების განსაზღვრული საფეხურის შემდეგ — კომუნიზმზე, ისე რომ არ გაიარონ განვითარების კაპიტალისტური სტადია“[3].

მსოფლიო ისტორიის მთელმა მომდევნო მსვლელობამ დაადასტურა ლენინის ამ დებულების ცხოველმყოფელობა, მისი შთამაგონებელი ძალა და წინასწარმეტყველური ხასიათი.

დიდი ოქტომბრის ცხოველმყოფელი ზეგავლენით აღმოსავლეთში დაწყებული ჩაგრულ ხალხთა გაეროვნებულ-ბრძოლა კაპიტალიზმის საერთო კრიზისის პირველ ეტაპზევე სერიოზული წარმატებით დაგვირგვინდა. აქა-იქ კოლონიურ სისტემაში ბზარი გაჩნდა და კოლონიზატორები იძულებული გახდნენ უკან დაეხიათ. გამარჯვებით დაგვირგვინდა მონგოლი ხალხის სახალხო რევო-

1 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 33, გვ. 592.

2 В. И. Ленин, К вопросу о национальностях или об «автономизации», Журн. «Коммунист», 1956, № 9, გვ. 26

3 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 31, გვ. 290—291.

ლუცია და აღმოცენდა მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკა, რომელიც დაადგა არაკაპიტალისტური განვითარების გზას. ავღანელმა ხალხმა დამოუკიდებლობა მოიპოვა, თურქმა ხალხმა გაიმარჯვა იმპერიალისტ ინტერვენტებზე და ჩაშალა ქვეყნის დაყოფის ვერაგული გეგმები; ეგვიპტეში, ერაყში, მაღრიბის ქვეყნებში და ზოგ სხვა ადგილებშიაც კოლონიზატორები იძულებული გახდნენ შეეცვალათ კოლონიური ბატონობის ფორმები და ნაწილობრივ დათმობებზე წასულიყვნენ.

კაპიტალიზმის შედარებითი და ნაწილობრივი სტაბილიზაციის პერიოდში — 1924—1929 წლებში ანტიკოლონიალისტური ძალები მზარდი შემართებით უტევენ კოლონიალიზმის ციხე-სიმაგრეს. ჩინეთში, ეგვიპტეში, სირიაში, მაროკოში, ინდონეზიაში და სხვაგან ანტიკოლონიური ბრძოლა მძლავრი სახალხო-რევოლუციური ომისა (ჩინეთი) და ეროვნულ-განმათავისუფლებელი აჯანყებების ხასიათს იღებს, რომელშიაც მონაწილეობას იღებენ მრავალრიცხოვანი პატრიოტული წრეები. გაიზარდა მუშათა კლასის შეგნებულობა, გადიდდა მისი როლი განმათავისუფლებელ ბრძოლაში, რასაც მოჰყვა ახალი კომუნისტური პარტიების შექმნა. თავიანთი სოციალური ბაზა გაფართოვა ზოგმა ბურჟუაზიულმა პარტიამაც (სარეკატ ისლამი—ინდონეზიაში, გომინდანი—ჩინეთში, ვაფდი—ეგვიპტეში და ა. შ.). ბურჟუაზიულ-ნაციონალისტთა მოწინავე ნაწილი (სუნ იატ-სენი, განდი,...) მარცხნივ იხრებიან, აყენებენ ფართო მასებისათვის გასაგებ ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ მოთხოვნებს და ხელს უწყობენ მოსახლეობის ფართო მასების ჩაბმას ანტიიმპერიალისტურ ბრძოლაში.

1929—1933 წლების მსოფლიო ეკონომიური კრიზისის პერიოდი იმპერიალიზმის კოლონიური სისტემის საფუძვლების შემდგომი შერყევით, მისი კრიზისის გაღრმავებით აღინიშნა. აღმოსავლეთის კოლონიური და ნახევრად კოლონიური ქვეყნების მოსახლეობას მზარდი ენერგიით მიაქვს იერიშები კოლონიური ჩაგვრის სისტემაზე. ჩინეთში, სადაც ფეოდალ-მილიტარისტული წრეებისა და იაპონელ აგრესორთა ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლას კომუნისტური პარტია უდგას სათავეში, იგი შეიარაღებული სახალხო-განმათავისუფლებელი ომის სახეს იღებს. სხვაგან (ინდოეთი, ვიეტნამი, ეგვიპტე, ინდონეზია) შეიარაღებული აჯანყებები და მასობრივი შეიარაღებული გამოსვლები მეტნაკლებად ენაცვლება ერთმანეთს. კოლონიალიზმის ბასტიონების ეს იერიშები გრძელდება და ვითარდება განსაკუთრებული დეპრესიისა და მომდევნო კრიზისის წლებშიაც.

ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც ორ ომს შორის პერიოდში ბიძგს აძლევს იმპერიალიზმის კოლონიური სისტემის კრიზისის გაღრმავებას და აძლიერებს ანტიკოლონიური ფრონტის ძალების შეტევას იმპერიალისტური ჩაგვრის წინააღმდეგ, არის

საბჭოთა კავშირის ეკონომიკისა და კულტურის შეუჩერებელი ზრდა, მისი სწრაფი წინაცლა და საერთაშორისო ავტორიტეტის განმტკიცება. მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინური საგარეო პოლიტიკის განუხრელი გატარებით, აგრესიის ძალების წინააღმდეგ შეუნელებელი ბრძოლით. ეროვნული დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ხალხებისათვის მორალური, დიპლომატიური და მატერიალური დახმარებით საბჭოთა კავშირი მზარდ გამარევოლუციონერებელ გავლენას ახდენს აღმოსავლეთზე და ახალი ძლევამოსილი ბრძოლებისათვის აღაფრთოვანებს მის ხალხებს.

საერთოდ. პირველ და მეორე მსოფლიო ომების შუალედში აზიასა და აფრიკაში წარმოებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა სხვადასხვა ქვეყნებში დიდი მრავალფეროვნებით ხასიათდებოდა. ზოგან მეტი იყო მასების აქტივობა, ზოგან — ნაკლები. შესაბამისად განმათავისუფლებელი ბრძოლაც მეტ-ნაკლები რევოლუციური გაქანებით ხასიათდებოდა, სხვადასხვა იყო მიღწეული შედეგებიც. ქვეყნების სოციალურ-ეკონომიური და კულტურული განვითარების სხვადასხვა დონე. კლასობრივი მომწიფებულობის მეტ-ნაკლებობა, ეროვნული ბურჟუაზიის პოზიცია, ხალხის მასების რევოლუციური აქტივობისა და ორგანიზების დონეთა სხვადასხვაობა, კომუნისტური პარტიების სისუსტე თუ სიძლიერე. — აი რით იყო განპირობებული აღნიშნული ბრძოლის მრავალფეროვნება, მაგრამ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობათა ამ ნაირსახეობის მიუხედავად, ყველა ეს მოძრაობა, განურჩევლად იმისა, მუშათა კლასი ედგა მას სათავეში (ჩინეთი...), ეროვნული ბურჟუაზია (ინდოეთი, ინდონეზია, თურქეთი. არაბული ქვეყნები), ფეოდალურ-მონარქისტული წრეები (ავღანეთი). თუ გვარტომული თავკაცობა (რიფების რესპუბლიკა ბაროკოში), რევოლუციურ-განმათავისუფლებელ ანტიიმპერიალისტურ ხასიათს ატარებდა და მსოფლიო ანტიიმპერიალისტური ბრძოლის განუყრელ ნაწილს წარმოადგენდა. მისი საერთო შედეგი იყო კოლონიური სისტემის კრიზისის შეუჩერებელი გაღრმავება, ამ სისტემაში წარმოშობილი ბზარის გაფართოება, ანტიკოლონიური ძალების შეტევა და კოლონიალიზმის უკანდახევა. მაგრამ კოლონიური სისტემის ცალკეულ უბნებზე წარუმატებლობას და მის უკანდახევას ამ ეტაპზე არ მოჰყოლია მისი სრული დამარცხება. კოლონიური სისტემის ღრმა კრიზისის გადაზრდა ამ სისტემის დაშლაში სხვა ისტორიულ ვითარებაში მოხდა, რაც მეორე მსოფლიო ომის შედეგებთან არის დაკავშირებული.

მეორე მსოფლიო ომის წლებში აზიის მნიშვნელოვანი ნაწილი და ჩრდილო აფრიკის ტერიტორია ომის ასპარეზი გახდა, რომელშიც ძალაუნებურად ჩაბმული აღმოჩნდნენ იქ მცხოვრები ხალხები. ამ

ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა უპირატესად იმპერიალისტ ოკუპანტთა წინააღმდეგ საყოველთაო შეიარაღებული ბრძოლის სახეს იღებს. იაპონელ იმპერიალისტთა აუტანელი საოკუპაციო რეჟიმის პასუხს წარმოადგენს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის (ინდონეზია, ვიეტნამი, მალაია, ბირმა. ფილიპინები) კოლონიური ხალხების გმირული ბრძოლა ოკუპანტთა წინააღმდეგ და მისი საყოველთაო-სახალხო შეიარაღებულ აჯანყებაში გადაზრდა. ამ ბრძოლის ერთ-ერთი მძლავრი სტიმული იყო საბჭოთა ხალხის და მისი შეიარაღებული ძალების გმირული ბრძოლა გერმანიის ფაშიზმისა და შემდეგ იმპერიალისტური იაპონიის წინააღმდეგ და ჩინელი ხალხის მრავალწლიანი წარმატებითი განმათავისუფლებელი ომი იაპონელ დამპყრობთა წინააღმდეგ.

მეორე მსოფლიო ომის წლებში აღმოსავლეთის ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის განმასხვავებელი ნიშნები იყო მისი საყოველთაო სახალხო ხასიათი, ტერიტორიული სფეროს გაფართოება, ერთიანი სახალხო ფრონტის შექმნა, მუშათა კლასისა და მისი ავანგარდის — კომუნისტური პარტიების გაძლიერება (ინდონეზია, ბირმა, ინდოეთი) და რიგ ქვეყნებში (ჩინეთი, კორეა, ვიეტნამი) მათი ჩადგომა განმათავისუფლებელი ბრძოლის სათავეში, სახალხო-განმათავისუფლებელი არმიებისა და სახალხო ხელისუფლების ორგანოების შექმნა და სხვ.

პირველ და მეორე მსოფლიო ომებს შორის პერიოდში აზიისა და აფრიკის ხალხთა ცხოვრებაში მომხდარმა დიდმა ცვლილებებმა სერიოზულად შეარყია იმპერიალისტ კოლონიზატორთა ბატონობა მსოფლიოს ამ დიდმნიშვნელოვან ნაწილში. მეორე მსოფლიო ომმა, თავის მხრივ, უდიდესი დარტყმა აგემა იმპერიალიზმის კოლონიურ სისტემას, რიგ ადგილებში ომის დასასრულისთანავე სავსებით აღგავა მისი ბატონობა და მომდევნო პერიოდში განაპირობა იმპერიალიზმის კოლონიური სისტემის დაშლა.

ჩინეთი 1918—1945 წლებში

ჩინეთი რევოლუციის მომზადების პერიოდში

მსოფლიო ისტორიის უახლესი პერიოდის დასაწყისისათვის ჩინეთი აზიის ერთ-ერთ ეკონომიურად ჩამორჩენილ, ნახევრად კოლონიურ და ნახევრად ფეოდალურ ქვეყნად რჩებოდა. ჩინელი ხალხის ორი მთავარი მტრის — ფეოდალიზმისა და იმპერიალიზმის ბატონობა კვლავინდებურად ბოჭავდა მის საწარმოო ძალებს, ხელს უშლიდა მის შემდგომ წინსვლას.

ჩინეთის რესპუბლიკას წინანდებურად თავზე მოხვეული ჰქონდა კაბალური ხელშეკრულებები, რაც იმპერიალისტ კოლონიზატორებს და საერთაშორისო მონოპოლისტურ გაერთიანებებს საშუალებას აძლევდა ეპარპაშათ ამ ქვეყანაში და ეძარცვათ მისი მდიდარი ბუნებრივი რესურსები. დაბალი საბაჟო ტარიფი, ექსტერიტორიული უფლება, დიდძალი კაბალური სესხები და ძველი კონტრიბუციები მათი ბატონობის მძლავრი ბერკეტები იყო. ჩინეთი უცხოური კაპიტალისათვის ისეთ „აღთქმულ ქვეყანას“ წარმოადგენდა, სადაც უზრუნველყოფილი იყო მაქსიმალური კაპიტალისტური მოგების მიღების იოლი შესაძლებლობა.

თავიანთი ბატონობის დასაცავად ჩინეთში იმპერიალისტური სახელმწიფოები მილიტარისტულ ჯგუფებსაც ეყრდნობოდნენ. ფეოდალთა წრიდან გამოსული მსხვილი მილიტარისტები — პროვინციული ჯარების სარდლები და გენერალ-გუბერნატორები — ამა თუ იმ იმპერიალისტური ქვეყნის აგენტები იყვნენ. ყოფილი ხუნხუზი, შემდეგში მუკდენის მილიტარისტული დაჯგუფების მეთაური და დუნბეის (მანჯურიის) დიქტატორი ჯან ძო-ლინი იაპონიის აგენტი იყო. იაპონიის აგენტი იყო აგრეთვე ანჰოის დაჯგუფების მეთაური, პეკინის ცენტრალური მთავრობის ფაქტიური ხელმძღვანელი მარშალი დუან ცი-ჟუი. ჯილის მილიტარისტთა ხროვის მეთაურები ცაო კუნი და უ პეი-ფუ ინგლის-ამერიკასთან იყვნენ დაკავშირებული. უცხოელ იმპერიალისტთა ასეთივე იარაღს წარმოადგენდნენ სამხრეთ ჩინეთის მსხვილი მილიტარისტი ჩენ ძიუ-მინი და სხვები. წინააღმდეგობა იმპერიალიზმსა და ჩინელ ხალხს შორის ჩინეთის საზოგადოების ერთ-ერთი მთა-

ვარი წინააღმდეგობა იყო, ხოლო მეორე შინაგან წინააღმდეგობას წარმოადგენდა წინააღმდეგობა ჩინეთის მოსახლეობის ფართო ფენებსა და ფეოდალურ ძალებს, ნახევრად ფეოდალურ ეკონომიკასა და ნახევრად ფეოდალურ წარმოებით ურთიერთობათა შორის.

ეროვნული ეკონომიკის წამყვან დარგში — სოფლის მეურნეობაში ისევ ნახევრად ფეოდალური ურთიერთობა ბატონობდა. მემამულეთა მიერ გლეხობის ფეოდალური ექსპლოატაცია მჭიდროდ იყო დაკავშირებული სავაჭრო-სავახშო ექსპლოატაციასთან. მემამულებსა და ვაჭარ-მევახშეებთან ერთად გლეხური მასის ჩაგვრაში უშუალო მონაწილეობას იღებდნენ კულაკები, სამოქალაქო მოხელეები და მხედრიონის წარმომადგენლები. ზოგჯერ მემამულე, ვაჭარი, მევახშე, შენში და მოხელე ერთი და იგივე პირი იყო. სოფლის გამყვლეფელი წრეები გლეხობის მიმართ გარეშეეკონომიური იძულების მეთოდებსაც იყენებდნენ და მათ მიმართ სასამართლო, ადმინისტრაციული და პოლიციური უფლებებითაც სარგებლობდნენ.

იმპერიალიზმი და ფეოდალიზმი, იმპერიალისტური კაბალა და ფეოდალური ჩაგვრა მჭიდროდ იყო გადანასკვული ერთმანეთთან. მათ აერთიანებდა ჩინელი ხალხისა და ჩინეთის ბუნებრივი რესურსების ერთობლივი მტაცებლური ექსპლოატაცია. ფეოდალიზმი და ფეოდალურ-რეაქციული ძალები კომპრადორებთან ერთად ჩინეთში იმპერიალიზმის ბატონობის სოციალურ საყრდენებს წარმოადგენდნენ. აღნიშნულის გამო იმპერიალისტი კოლონიზატორები ყოველმხრივ ხელს უწყობდნენ მათ.

ფეოდალურ-მევახშური და იმპერიალისტური ჩაგვრა განაპირობებდა გლეხობისა და სხვა მშრომელთა არაადამიანურ ცხოვრებას, შინაგანი ბაზრის ტევადობის შეზღუდვას, ძველი სოციალურ-ეკონომიური ფორმების კონსერვაციას, ქვეყნის მკვეთრ ჩამორჩენას. ჩინეთის საზოგადოების ძირითად წინააღმდეგობათა დაძლევისა და ჩინელი ხალხის უბოროტესი მტრების — ფეოდალიზმისა და იმპერიალიზმის— აღგვის გარეშე შეუძლებელი იყო ქვეყნის შემდგომი წინსვლა, მშრომელი მასის ცხოვრების დონის ამაღლება.

ომის დასასრულისათვის კიდევ უფრო გამწვავდა ჩინეთის საზოგადოების ძირითადი წინააღმდეგობანი, გაძლიერდა მშრომელთა ექსპლოატაცია ფეოდალ-მემამულეთა, ვაჭარ-მევახშეთა და კომპრადორთა მიერ, ბიუროკრატიული ხროვისა და მილიტარისტების თვითნებობა; უფრო ინტენსიური გახდა უცხოური კაპიტალის ექსპანსია, იმპერიალისტური კაბალა და მეტოქეობა ცალკეულ იმპერიალისტურ სახელმწიფოებს შორის ჩინეთისათვის[1].

---

[1] ყოველივე ამას ემატებოდა ჩინეთის საზოგადოების პოლიტიკური ზედნაშენის

ომის წლებში ჩინეთშიც (სხვა ნახევრად კოლონიური ქვეყნების მსგავსად) საგრძნობლად გაიზარდა ეროვნული მრეწველობა, კერძოდ კი—მსუბუქი მრეწველობა. 1919 წელს ეროვნული ბურჟუაზიის კუთვნილ საფეიქრო, თამბაქოს, გემო-კვების საწარმოთა რიცხვი თითქმის გაორკეცდა.

ეროვნული მრეწველობის დაჩქარებული ზრდის უშუალო შედეგი იყო ეროვნული ბურჟუაზიის ეკონომიური გაძლიერება. ამან, თავის მხრივ, გააღრმავა წინააღმდეგობა ეროვნულ ბურჟუაზიასა და იმპერიალისტურ ბურჟუაზიას შორის. ეროვნული ბურჟუაზია მტკივნეულად აღიქვამდა უცხოური კაპიტალის საშიშ კონკურენციას და განაწყობდა მას ანტიიმპერიალისტურად.

ჩინური და უცხოური კაპიტალის კუთვნილი მრეწველობის ზრდას თან მოჰყვა ჩინეთის მუშათა კლასის რიცხვისა და როლის გადიდება ქვეყნის ცხოვრებაში. 1913 წელს სამრეწველო მუშათა რიცხვი 650 ათას კაცს უდრიდა. 1919 წლისათვის კი იგი 2 მილიონამდე გადიდდა. ჩინეთის მუშათა კლასი სამმაგი ჩაგვრის უღლის ქვეშ გმინავდა: იმპერიალისტების, ფეოდალ-მილიტარისტებისა და ეროვნული ბურჟუაზიისა. გაუგონარმა ძარცვა-ექსპლოატაციამ და უუფლებობამ შეამზადა ნიადაგი ეროვნული მუშათა კლასის აქტიური როლისათვის პოლიტიკურ ცხოვრებაში და მომდევნო პერიოდში აქცია იგი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მთავარ მამოძრავებელ ძალად.

ჩინეთში არსებული ვითარება ქმნიდა ხელსაყრელ წანამძღვრებს ჩინელი ხალხის განმათავისუფლებელი ბრძოლის ახალი ეტაპისათვის და ამწიფებდა ნიადაგს ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შემდგომი აღმავლობისათვის.

დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ, რომელმაც გიგანტური ბიძგით დააჩქარა აღმოსავლეთის ხალხების პოლიტიკური ცხოვრებისათვის გამოღვიძების პროცესი, უდიდესი გავლენა მოახდინა ჩინეთზე. მან გაანათა ამ ქვეყნის წინსვლის გზები და ძირეული ცვლილებები მოახდინა მის ისტორიულ განვითარებაში. ჩინეთის შემდგომი ისტორიული პროცესი ამ რევოლუციის მზარდი ზემოქმედების ნიშნის ქვეშ მიმდინარეობს. საბჭოთა რუსეთის აღმოცენებამ და აღმოსავლეთის ხალხების მიმართ მის მიერ მომარჯვებულმა მეგობრულ-

---

ფაქტიური მოშლა. მართალია, ამ დროისათვის ჩინეთს ჰყავდა თავისი ცენტრალური მთავრობა, რომლის რეზიდენცია პეკინი იყო, მაგრამ მისი ძალაუფლება ქვეყნის ნახევარზეც არ ვრცელდებოდა. მით უფრო, რომ სამხრეთ ჩინეთში — გუანჯოუში არსებობდა მეორე, უფრო პროგრესული მთავრობა, რომელსაც დროგამოშვებით დიდი ჩინელი რევოლუციონერი დემოკრატი სუნ იატ-სენი ედგა სათავეში.

მა, თანასწორუფლებიანობის პრინციპებზე აგებულმა საგარეო პოლიტიკამ ბოლო მოუღო ჩინეთის საერთაშორისო იზოლაციას და დიდი მეგობარი მეზობელი გაუჩინა მას.

ჩინეთის მშრომელი მასა და რადიკალური ინტელიგენცია აღტაცებით მიესალმნენ რუსეთის რევოლუციის გამარჯვებას და მსოფლიოში პირველი საბჭოთა სახელმწიფოს აღმოცენებას. „კაცობრიობის უდიდესი იმედის დაბადება“ — ასე შეაფასა დიდი ოქტომბრის გამარჯვება დიდმა ჩინელმა რევოლუციონერმა დემოკრატმა სუნ იატ-სენმა. აღტაცებით შეეგება დიდი ოქტომბრის გამარჯვებას რევოლუციური ინტელიგენციის მეორე გამოჩენილი წარმომადგენელი. პირველი ჩინელი მარქსისტი პროფესორი ლი და-ჯაო.

„მივესალმებით რა ამ მოვლენას, — წერდა იგი. — როგორც ისეთს, რომელიც საფუძველს უყრის უდიდეს გარდაქმნებს მსოფლიოში, ჩვენ უნდა გვახარებდეს არა მარტო ერთი რომელიმე ქვეყნის ბედი, არამედ უნდა გვახარებდეს ახალი განთიადი, რომელიც დადგება კაცობრიობისათვის“: „მომავალი მსოფლიო გარდუვლად იქნება წითელი დროშის სამყარო!“, — ამბობდა იგი, მიიჩნევდა რა ოქტომბრის რევოლუციას XX საუკუნის მსოფლიო რევოლუციის მაუწყებლად.



ლი და-ჯაო

მეტად დიდი იყო ოქტომბრის ექოს იდეური ზემოქმედება ჩინეთის მოწინავე საზოგადოებრიობაზე. მისი ზეგავლენით მოწინავე ინტელიგენციის წარმომადგენლები ეზიარნენ მარქსიზმ-ლენინიზმს, რომელიც ამიერიდან მათი ბრძოლის მანათობელ ჩირაღდნად და იდეურ საფუძვლად იქცა. „ოქტომბრის რევოლუციის ზარბაზნების ქუხილმა ჩინეთამდე მოიტანა მარქსიზმ-ლენინიზმი“. ეს რევოლუცია ჩინეთის პროგრესულ ელემენტებს დაეხმარა გამოეყენებინათ პროლეტარული

მსოფლიოხელმძღვანელობა საკუთარი პრობლემების გადასინჯვასა და ქვეყნის ბეღ-იღბლის უკეთ გადაწყვეტაში.

დიდი ოქტომბრის ზეგავლენით ლი და-ჯაო და პატრიოტული ინტელიგენციის სხვა გამოჩენილი წარმომადგენლები გაბედულად დადგნენ მარქსიზმ-ლენინიზმის დროშის ქვეშ და ეზიარნენ კომუნიზმის რევოლუციურ იდეებს.

„4 მაისის მოძრაობა“ და ჩინეთის კომუნისტური პარტიის შექმნა

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებით აღფრთოვანებული ჩინელი ხალხი დევგმირული შემართებით გამოვიდა უცხოელი მოძალადეებისა და მათი შინაგანი აგენტურის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ანტიიმპერიალისტური და ანტიფეოდალური მოძრაობის ახალი მძლავრი აზვირთება, ახალდემოკრატიული სახალხო რევოლუცია ე. წ. 1919 წლის „4 მაისის მოძრაობით“ დაიწყო. იგი აღმოცენდა მსოფლიო რევოლუციის მოწოდების პასუხად, რუსეთის რევოლუციის მოწოდების პასუხად, ლენინის მოწოდების პასუხად და წარმოადგენდა მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის ნაწილს.

„4 მაისის მოძრაობის“ საბაბი გახდა ვერსალის „სამშვიდობო“ კონფერენციის იმპერიალისტური გადაწყვეტილებები. კონფერენციაზე შეკრებილმა გამარჯვებულმა იმპერიალისტურმა სახელმწიფოებმა — აშშ შტატებმა, ინგლისმა, საფრანგეთმა, იტალიამ... აბუჩად აიგდეს ჩინეთის სასიცოცხლო ინტერესები და გერმანიის ყოფილი სამფლობელოები შანდუნის ნახევარკუნძულზე იაპონიას გადასცეს.

იმპერიალისტური თვითნებობის ამ მორიგმა აქტმა უდიდესი აღშფოთება გამოიწვია ჩინეთში. პირველი გამოვიდა პეკინის სტუდენტი ახალგაზრდობა, რომელმაც 1919 წლის 4 მაისს მოაწყო ხალხმრავალი მრისხანე საპროტესტო დემონსტრაცია. დემონსტრანტები მოითხოვდნენ „21 მოთხოვნის“ გაუქმებას, პარიზის კონფერენციის გადაწყვეტილებების უარყოფას, ჩინეთის სუვერენიტეტის დაცვას, პროიაპონური გამცემლური ელემენტების მკაცრად დასჯას...

ხელისუფლებამ პოლიციის ძალები მიუსია დემონსტრანტებს და შეეცადა ამ მშფოთვარე გამოსვლის ჩახშობას. მაგრამ ამის ნაცვლად ახალგაზრდობის ანტიიმპერიალისტურ გამოსვლას ახალი გაქანება მიეცა. პეკინიდან მოძრაობა ჩინეთის სხვა ქალაქებსაც მოედო. ტიანძინის, შანჰაის, ნანკინის, კანტონისა (გუანჯოუ) და სხვა ცენტრების ათეული ათასი ახალგაზრდა მოეფინა ქუჩა-მოედნებს.

სულ მალე „4 მაისის მოძრაობა“ -ძლავრ ტალღებად აზვირთდა და ქვეყნის მთელ ტერიტორიას მოედო. ივნისის პირველი რიცხვებიდან მოძრაობამ, რომელიც უპირატესად პატრიოტული ინტელიგენციის მოძრაობას წარმოადგენდა, საყოველთაო, საერთო-ეროვნული ხასიათი

მიიღო. მასში მასობრივად ჩაებნენ მუშები, ხელოსნები, მოსამსახურეები, ვაჭარ-მრეწველები... ბრძოლა უფრო ორგანიზებული და მებრძოლი გახდა. მუშათა კლასმა მოძრაობაში დანერგა ბრძოლის „პლებეური მეთოდები“ — გაფიცვები, დემონსტრაციები და სხვ. სულ ამ მრისხანე მოძრაობაში მონაწილეობა მიიღო 150 ქალაქის 10 მილიონზე მეტმა ადამიანმა. იგი გასცდა ჩინეთის საზღვრებს. პატრიოტულ-რევოლუციურ გამოსვლებში აქტიური მონაწილეობა მიიღეს ევროპაში, ა. შ. შტატებსა და აზიის მეზობელ ქვეყნებში მცხოვრებმა ჩინელმა მუშებმა, მეწღვაურებმა და სტუდენტებმა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ახალგაზრდა მუშათა კლასის აქტიური მონაწილეობა „4 მაისის ამბებით“ აზვირთებულ მძლავრ ანტიიმპერიალისტურ მოძრაობაში. ივნისის პირველი რიცხვებიდან დიდი გაქანება მიიღო მუშათა საგაფიცვო ბრძოლამ შანჰაიში, ნანკინში. ხანჯოუში, ხანკოუში, ტიანძინსა და სხვა ქალაქებში. გაფიცვებში, რომლის ცენტრს შანჰაი წარმოადგენდა, მონაწილეობა მიიღეს იაპონიის საფეიქრო ფაბრიკების ფეიქრებმა, მელითონეებმა, მშენებლებმა, დოკერებმა, მბეჭდავებმა, ტრამვაისა და რკინიგზების ტრანსპორტელებმა, თამბაქოს ფაბრიკის მუშებმა და ა. შ. გაფიცულთა რიცხვი მარტო შანჰაიში 70 ათასს აღემატებოდა. ეს იყო ჩინეთის მუშათა კლასის პირველი მასობრივი პოლიტიკური გამოსვლა.

მასობრივი პატრიოტული გამოსვლების პროცესში შანჰაიში, ნანკინში, ტიანძინსა და სხვა ქალაქებში საფუძველი ჩაეყარა მუშების, სტუდენტი ახალგაზრდობის, ხელოსნებისა და ვაჭართა გაერთიანებებს, რომელთაც ამოცანად დაისახეს მოსახლეობის სხვადასხვა ფენების ერთობლივი გამოსვლების ხელმძღვანელობა. მშრომელთა პოლიტიკური მოუმწიფებლობისა და სუსტი ორგანიზების გამო აღნიშნული გაერთიანებების ხელმძღვანელობას დაეუფლა მსხვილი ბურჟუაზია. მან მიზნად დაისახა მასების რევოლუციური აქტივობის შეზღუდვა და მოძრაობის დიდი გაქანების შებოჭვა, მისთვის მებრძოლი ხასიათის წართმევა.

მოძრაობის გრანდიოზულმა მასშტაბმა და მშრომელი მასების დიდმა საბრძოლო შემართებამ სერიოზულად დააშინა პეკინის გამყიდველური ხელისუფლება. იგი იძულებული გახდა შეეწყვიტა რეპრესიები, გაეთავისუფლებინა დატუსაღებული სტუდენტები, გადაეყენებინა ყველაზე საძულველი პროიაპონური დიდმოხელეები და უარეყო პარიზის სამშვიდობო კონფერენციის მიერ შემუშავებული საზავო პირობები გერმანიასთან[1].

---

1 პარიზში მცხოვრებმა ჩინელმა მუშებმა და სტუდენტებმა აიძულეს ჩინეთის დელეგაცია უარი ეთქვა ამ დოკუმენტის ხელმოწერაზე.

„4 მაისის მოძრაობის“ ისტორიული მნიშვნელობა მეტად დიდი იყო. მართალია, იგი დაიწყო როგორც პატრიოტული ანტიიმპერიალისტური მოძრაობა, მაგრამ თავის განვითარებაში ანტიფეოდალური მიმართულებაც მიიღო და ხალხის ფართო ფენების მძლავრ სახალხო-დემოკრატიულ მოძრაობად იქცა. იგი გახდა შემობრუნების პუნქტი ჩინელი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში. მან მაღლა ამართა იმპერიალიზმისა და ფეოდალიზმის—ჩინელი ხალხის ამ ორი უბოროტესი მტრის — წინააღმდეგ მედგარი ბრძოლის დროშა და საფუძველი ჩაუყარა ახალი ტიპის დემოკრატიულ რევოლუციას მუშათა კლასის ხელმძღვანელობით. ამიერიდან ჩინელი ხალხის განმათავისუფლებელი ბრძოლა თავისი განვითარების ახალ ფაზაში შედის. დამთავრდა ბურჟუაზიის მეთაურობით მიმდინარე რევოლუციური გამოსვლები, დაიწყო რევოლუციებში ჩინეთის მუშათა კლასის ჰეგემონობის პერიოდი.

„ოთხი მაისის მოძრაობის“ ძირითადი ნიშანი და შედეგი სწორედ იმაში მდგომარეობდა, რომ ჩინეთის მუშათა კლასი გამოვიდა შეგნებული პოლიტიკური ბრძოლის ასპარეზზე, როგორც ერის მთავარი რევოლუციური ძალა.

მოძრაობა ახალი კულტურისათვის

„4 მაისის მოძრაობის“ ერთ-ერთი უშუალო შედეგი იყო მილიონთა გამოღვიძება აქტიური საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის, მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების შემდგომი გავრცელება და მასობრივი მოძრაობა ახალი კულტურისათვის.

ახალი კულტურისათვის ბრძოლა ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომის წლებში დაიწყო, მაგრამ „4 მაისის მოძრაობამ“ მძლავრი ბიძგი მისცა მას. ბრძოლამ ფეოდალური იდეოლოგიის წინააღმდეგ ახალი ხალხური, რევოლუციური შინაარსის შემცველი კულტურისათვის მასობრივი ხასიათი მიიღო. კულტურის ფრონტის გამოჩენილი წარმომადგენლების ხელმძღვანელებმა პეკინში, ნანკინში, კანტონსა და სხვა ადგილებში ჩამოაყალიბეს ახალი კულტურისათვის მებრძოლი ორგანიზაციები და ჯგუფები, გამოიცა ახალი ჟურნალები და გაზეთები. ამ ახალი დემოკრატიული ლიტერატურისათვის ბრძოლა ნიშნავდა ძველი კონფუციანური ტრადიციებისა და დოგმების დამსხვრევას, იმპერიალისტ კოლონიზატორებისადმი მლიქვნელური ტენდენციების აღმოფხვრას. ამიტომ ამ მოძრაობამ, რომელმაც ანტიფეოდალურთან ერთად ანტიიმპერიალისტური მიმართულებაც მიიღო, ხელი შეუწყო მარქსიზმ-ლენინიზმის მსოფლმხედველობის შემდგომ გავრცელებას. პატრიოტული ინტელიგენციის საგრძნობი ნაწილი ეზიარა ამ მოძღვრებას და იგი ახალი კულტურის იდეოლოგიურ საფუძვლად აქცია.

ახალი კულტურისათვის ბრძოლის განუყოფელი ნაწილი გახდა დამწერლობის რეფორმა: იეროგლიფების რაოდენობის მკვეთრი შემცირება, დამწერლობის გამარტივება, ლიტერატურული ენის საფუძვლად სალაპარაკო ენის (ბაი ხუა—უბრალო ენა) დადება და ა. შ. მასთან დაკავშირებული იყო მოწინავე ლიტერატორთა ჯგუფის ჩამოყალიბება, რომლის დევიზად იქცა „ხელოვნება ცხოვრებისათვის", „ჩინური ლიტერატურა უნდა იქცეს დაჩაგრულთა სისხლისა და ცრემლების ლიტერატურად". მათ დანერგეს ლიტერატურაში რეალიზმის პრინციპი, ჩააყენეს იგი ხალხის სამსახურში და გააცნეს ჩინელ ხალხს რუსული ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშები.



ლუ სინი

ახალი კულტურისათვის ბრძოლის გამოჩენილი ქომაგები და ხელმძღვანელები იყვნენ: პეკინის უნივერსიტეტის პროფესორი, რევოლუციონერ - დემოკრატი მოაზროვნე ლი დაჯაო[1], დიდი ჩინელი მწერალი, „ჩინეთის მაქსიმ გორკი" ლუ სინი, მწერალი მაო დუნი, ციუი ცო-ბო და სხვები. მათგან განსაკუთრებით გამოირჩეოდა ლუ სინი—ახალი კულტურული არმიის უდიდესი და უმამაცესი მებრძოლი.

საბჭოთა რუსეთი და ჩინეთი

საბჭოთა რუსეთის საგარეო პოლიტიკის პირველმა ნაბიჯებმა, როგორც უკვე აღინიშნა, ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა ჩინელ ხალხზე და აღაფრთოვანა იგი.

ახალგაზრდა საბჭოთა ხელისუფლების ლენინური საგარეო პოლიტიკის განუყოფელი ნაწილი იყო მისი მეგობრული დამოკიდებულება აღმოსავლეთის დიდი მეზობლისადმი. ამან თავისი ერთ-ერთი

---

1 რომლის ხსოვნასაც ამჟამად ლაფში სვრიან მაო ძე-დუნი და მისი დამჭაშები.

გამოხატულება პოვა საბჭოთა მთავრობის 1919 წლის 25 ივნისის ცნობილ მიმართვაში ჩინელი ხალხისადმი. ამ მიმართვით გაუქმებულად ცხადდებოდა მეფის რუსეთის მიერ ჩინეთთან წინათ დადებული ყველა არათანასწორუფლებიანი ხელშეკრულება.

აღიარებდა რა ჩინელი ხალხის განუყოფელ უფლებას—თვითონ ემართა თავისი ქვეყანა საკუთარი კანონების შესაბამისად, ყოველგვარი გარეგანი ჩარევის გარეშე,—საბჭოთა მთავრობა წინადადებას აძლევდა ჩინელ ხალხს, ჩინეთის ჩრდილო და სამხრეთის მთავრობებს დადებულიყო ჩინეთ-საბჭოთა რუსეთის თანასწორუფლებიანი მეგობრული ხელშეკრულება.

აღნიშნულ მიმართვას, რომელიც 1920 წლის მარტში გამოქვეყნდა ჩინეთის პრესაში, უდიდესი ენთუზიაზმით შეეგებნენ ჩინელი ხალხის ფართო წრეები: „განთიადი მოდის რუსეთიდან, მან მოანათა სხივები ბნელ აღმოსავლეთს. მეგობრული ხელი გამოგვიწოდა მან, გავუწოდოთ უყოყმანოდ ჩვენც მას ხელი“, — წერდა ამ მიმართვის შესახებ პეკინის ჟურნალი „ახალი ახალგაზრდობა“, გამოხატავდა რა მთელი ჩინეთის პროგრესული საზოგადოებრიობის აზრს.

მართალია, ჩინეთის რეაქციულ-მილიტარისტული წრეები იმპერიალისტური სახელმწიფოების ზეგავლენით მტრულად შეეგებნენ საბჭოთა რუსეთის სამეგობროდ გამოწვდილ ხელს, უარი განაცხადეს ხელშეკრულების დადებაზე, და განაგრძეს თეთრგვარდიელი ემიგრანტებისათვის დახმარების გაწევა, მაგრამ ამ მიმართვამ მაინც გაიკაფა გზა და თავისი საქმე გააკეთა. დიდი ჩინელი რევოლუციონერი დემოკრატი სუნ იატ-სენი საქმით გამოეხმაურა აღნიშნულ მიმართვას. იგი შეეცადა უშუალო კონტაქტი დაემყარებინა საბჭოთა რუსეთთან და ესარგებლა მისი დიდი საბრძოლო გამოცდილებით. ეს ცდა მხოლოდ 1921 წელს დაგვირგვინდა წარმატებით. რსფსრ საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის გ. ვ. ჩიჩერინის სახელზე გაგზავნილ წერილში სუნ იატ-სენი წერდა: „მე ძალზე დაინტერესებული ვარ თქვენი საქმით... კერძოდ თქვენი არმიისა და განათლების ორგანიზაციით... მოსკოვის მსგავსად, მეც მსურს ახალგაზრდა თაობის — ხვალინდელი დღის მშრომელთა თავებში ღრმად ჩაგბეჭდო ჩინეთის რესპუბლიკის საფუძვლები“.

თვით პეკინის რეაქციულ-მილიტარისტულმა მთავრობამაც კი, საბჭოთა რუსეთისადმი შეურიგებელი სიძულვილის მიუხედავად, ვერ შეძლო სავსებით უარეყო საბჭოთა მთავრობის კეთილგანმზრახველი წინადადება. 1920 წელს მან მოსკოვში გაგზავნა დელეგაცია, რომლითაც დაიწყო ჩინეთ-საბჭოთა რუსეთის ოფიციალური და არაოფიციალური მოლაპარაკებები, რამაც მხოლოდ 4 წლის შემდეგ გამოიღო ორივე ქვეყნისათვის სასურველი შედეგი.

მარქსისტული ჯგუფების შექმნა და ჩინეთის კომუნისტური პარტიის პირველი ყრილობა

მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების გავრცელებისა და ჩინეთის პროლეტარიატის პოლიტიკური მომწიფების საქმეში განსაკუთრებული როლი შეასრულა რევოლუციურმა ინტელიგენციამ. რევოლუციურად განწყობილი სტუდენტი ახალგაზრდობა მასობრივად გავიდა ხალხში და დაიწყო მარქსიზმ-ლენინიზმისა და მსოფლიო მუშათა მოძრაობის გამოცდილების პროპაგანდა. მათი უშუალო ხელმძღვანელობით გამოიცა რამდენიმე რევოლუციური ჟურნალი და გაზეთი (ჟურნალი „ახალი ახალგაზრდობა", გაზეთები: „ყოველკვირეული მიმოხილვა", „სიანძიანის მიმოხილვა" და სხვ.), რომლებიც არა მარტო ავრცელებდნენ კომუნისტურ იდეოლოგიას, არამედ ენერგიულ ბრძოლას აწარმოებდნენ ბურჟუაზიული იდეოლოგიის, რევოლუციისადმი მტრულად განწყობილი ძველი ჩინური ინტელიგენციის წინააღმდეგ. რევოლუციური ინტელიგენციის ინიციატივით ჩინურ ენაზე ითარგმნა „კომუნისტური პარტიის მანიფესტი", მარქსისა და ენგელსის სხვა ნაშრომები, ლენინის ძირითადი ნაშრომები.

1919—1920 წლებში ყალიბდებიან პირველი მარქსისტული საზოგადოებები და წრეები, რომელთა საფუძველზედაც შემდეგში იქმნება ჩინეთის კომუნისტური პარტია. 1920 წლის მაისში კომუნისტური ინტერნაციონალის წარმომადგენლის ხელშეწყობით ჩენ დუ-სიუმ შანჰაიში დააარსა მარქსისტულ-კომუნისტური წრე. მალე ასეთივე წრეები შეიქმნა პეკინში ლი და-ჯაოს ხელმძღვანელობით, ჩანშაში, უხანში, ძინანში, გუანჯოუში (ე. ი. კანტონში) და ა. შ. მარქსისტული წრეები აღმოცენდნენ საზღვარგარეთ მოსწავლე ჩინელ ახალგაზრდათა შორისაც: პარიზში, ტოკიოში და სხვაგან.

მარქსიზმ-ლენინიზმის გავრცელებამ, მუშათა მოძრაობის გაშლამ, პირველი კლასობრივი პროფესიული კავშირების აღმოცენებამ, მარქსისტულ-კომუნისტური წრეების შექმნამ თანდათანობით შეამზადა ნიადაგი მარქსიზმ-ლენინიზმის მუშათა მოძრაობასთან შეერთებისათვის და მშრომელთა ავანგარდის — ჩინეთის კომუნისტური პარტიის შექმნისათვის.

ჩინელმა მარქსისტ-ლენინელებმა შედარებით მოკლე დროში შეძლეს ცალკეული კომუნისტური წრეების საქმიანობის კოორდინაცია და ერთიანი კომუნისტური პარტიის შექმნა. ამაში მათ ფასდაუდებელი დახმარება აღმოუჩინა რუსი ბოლშევიკების მდიდარი გამოცდილების ათვისებამ და კომუნისტურმა ინტერნაციონალმა, რომელმაც თავისი წარმომადგენლები მიავლინა ჩინეთში.

ჩინეთის კომუნისტური პარტიის პირველი ყრილობა გაიხსნა 1921 წლის 1 ივლისს შანჰაიში. მის მუშაობაში მონაწილეობას იღებ-

და 12 კომუნისტური წრის წარმომადგენელი[1]. მას ესწრებოდა კომუნისტური ინტერნაციონალის წარმომადგენელი გ. ნ. ვოიტინსკი. ყრილობა ხუთ დღეს მუშაობდა არალეგალურ პირობებში. მისი უკანასკნელი სხდომა ჩატარდა საკში (ნაიხუს ტბაზე, ჯეძიანის პროვინცია). მართალია, ყრილობის დელეგატთა შორის იყვნენ ოპორტუნისტები და მოანარქისტო ელემენტები, მაგრამ გაიმარჯვა მარქსისტულ-ლენინურმა ხაზმა

ყრილობამ ჩინეთის კომუნისტური პარტიის საბოლოო ამოცანად აღიარა კომუნიზმის აშენება. მიიღო პარტიის წესდება (დემოკრატიული ცენტრალიზმის ორგანიზაციული პრინციპის შესაბამისად), აირჩია მისი ცენტრალური ორგანოები და გამოაცხადა ჩინეთის კომუნისტური პარტიის შექმნა. პარტიის გენერალურ მდივნად არჩეულ იქნა პროფესორი ჩენ დუ-სიუ, რომელსაც საკმაო ავტორიტეტი ჰქონდა მოპოვებული „ახალი კულტურისათვის მოძრაობის" დროს რადიკალური გამოსვლებით. მაგრამ იგი არ იყო ნამდვილი მარქსისტ-ლენინელი და მისმა მემარჯვენე ოპორტუნიზმმა შემდეგში დიდი ვნება მოუტანა პარტიას.

პირველმა ყრილობამ მტკიცე საძირკველი ჩაუყარა ჩინეთის მუშათა კლასის რევოლუციური ავანგარდის — კომუნისტური პარტიის შემდგომ განვითარებას და მის ჭეშმარიტ მარქსისტულ-ლენინურ პარტიად ქცევას.

ჩინეთის საერთაშორისო მდგომარეობა 1919—1922 წლებში. მილიტარისტული საურთიერთო ომები

ჩინელი ხალხის რევოლუციური და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა გაიშალა და ვითარდებოდა უაღრესად გართულებული საერთაშორისო ვითარების პირობებში. სახელმწიფოთა ურთიერთობაში ორი დიამეტრალურად საწინააღმდეგო პოლიტიკა უპირისპირდებოდა ერთმანეთს: საბჭოთა რუსეთისა და იმპერიალისტური სახელმწიფოებისა.

საბჭოთა მთავრობის მეგობრული პოლიტიკის სრულ წინააღმდეგობას წარმოადგენდა იმპერიალისტური ბანაკის მტრობა. იგი მარტო პარიზის კონფერენციის ანტიჩინური გადაწყვეტილებებით არ შემოფარგლულა და მომდევნო წლებშიაც გრძელდებოდა. ამის პარალელურად განვითარების ახალ ფაზაში შევიდა იმპერიალისტური სახელმწიფოების ტრადიციული ქიშპობა უპირატესობისა და გავლენისათვის ჩინეთის სხვადასხვა ნაწილში. განსაკუთრებით მწვავე ხასიათი მიიღო აშშ შტატების შეტევამ იაპონიის მიერ ომის წლებში მოპოვებულ პოზიციებზე.

იმპერიალისტური ქიშპობის მორიგმა გამწვავებამ თავი იჩინა მილიტარისტული დაჯგუფებების, იმპერიალისტური სახელმწიფოების

[1] ეს წრეები მაშინ 50-ზე მეტ წევრს აერთიანებდა.

ამ ფასიანი აგენტების გააფთრებულ ბრძოლაში ძალაუფლებისათვის. რაც შეეხება იმპერიალისტური ქვეყნების მორიგ ვერაგობა-მტრობას ჩინეთის მიმართ, იგი რელიეფურად გამოვლინდა ვაშინგტონის 9 სახელმწიფოს კონფერენციის შედეგებში.

1920 წლის ზაფხულში ცაო კუნისა და უ პეი-ფუს ჯილის დაჯგუფებამ აშ შტატებისა და ინგლისის მხარდაჭერით საომარი ოპერაციები დაიწყო დუან ცი-ჟუის ანფუის დაჯგუფების წინააღმდეგ, დაამარცხა იგი, განდევნა პეკინის რაიონიდან და დაიკავა სატახტო ქალაქი. მაგრამ ჯილის დაჯგუფების გამარჯვების ნაყოფი მასთან ერთად დუნბეის (მანჯურიის) დიქტატორმა ჯან ძო-ლინმაც გაიზიარა, რომელიც მასთან ერთად მონაწილეობდა ანფუისტების წინააღმდეგ ბრძოლაში. ამიტომ პეკინის ახალ მთავრობაში შევიდნენ ორივე დაჯგუფების აგენტები. პეკინის მთავრობაში იაპონიის ყურმოჭრილი მონის ჯან ძო-ლინის მომხრეების შეყვანა მოასწავებდა იაპონელ იმპერიალისტთა ცდას მათი მეშვეობით აღედგინათ თავიანთი შერყეული პოზიცია ჩინეთის ამ ნაწილში და ენერგიული წინააღმდეგობა გაეწიათ აშ შტატებისა და ინგლისის მზარდი შეტევისათვის.

მილიტარისტული ძალების ომის მეორე ასპარეზი გახდა სამხრეთი ჩინეთი. 1920 წლის მეორე ნახევარში მსხვილმა გუანდუნელმა მილიტარისტმა ჩენ ძიუ-მინმა დალაშქრა გუანჯოუ (კანტონი), რომელიც მაშინ ჩრდილოელ მილიტარისტთა მომხრე გუანსელი მილიტარისტების ხელში იყო. ქალაქის დაკავების შემდეგ 1920 წლის ნოემბერში ჩენ ძიუ-მინმა, რომელიც დემაგოგიური მოსაზრებებით სუნ იატ-სენის თანამებრძოლად აცხადებდა თავს, წინადადება მისცა მას დაბრუნებულიყო გუანჯოუში სამხრეთის მთავრობის შესაქმნელად. სუნ იატ-სენმა ისარგებლა ამ მოწვევით და კვლავ სათავეში ჩაუდგა მის მიერ ომის მიწურულში გუანჯოუში შექმნილ მთავრობას. 1921 წლის აპრილში პეკინის მთავრობის მიერ 1919 წლის აპრილში გარეკილმა პარლამენტმა სუნ იატ-სენი აირჩია ჩინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტად, თანაც გუანჯოუ გამოაცხადა რესპუბლიკის დედაქალაქად.

გუანჯოუს მთავრობის შექმნა სუნ იატ-სენის მეთაურობით თავისთავად სერიოზული მოვლენა იყო. ამით საფუძველი ჩაეყარა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პლაცდარმს და შეიქმნა შედარებით ხელსაყრელი პირობები პატრიოტულ-დემოკრატიული ძალების საქმიანობისათვის. მაგრამ ამ მთავრობის პოზიცია არ იყო მტკიცე. მას არ გააჩნდა ფართო სოციალური საყრდენი და მოკლებული იყო საკუთარ შეიარაღებულ ძალას. იგი ეყრდნობოდა ჩენ ძიუ-მინს, რომელიც არაფრით განსხვავდებოდა სხვა მილიტარისტებისაგან და მხოლოდ საკუთარი ეგოისტურ-კარიერისტული მიზნები ამოქმედებდა. ამას მოჰყვა სერიოზული კონფლიქტი სენ იატ-სენსა და სამხრეთის მილიტარისტს

შორის; 1922 წლის ივნისში ჩენ ძიუ-მინმა მოახდინა კონტრრევოლუციური გადატრიალება და აიძულა სუნ იატ-სენი ისევ დაეტოვებინა გუანჯოუ.

1921 წლის ნოემბერში აშ შტატების დიპლომატიის ინიციატივით ვაშინგტონში მუშაობა დაიწყო 9 სახელმწიფოს (აშ შტატების, ინგლისის, საფრანგეთის, იტალიის, იაპონიის, ბელგიის, ჰოლანდიის, პორტუგალიისა და ჩინეთის) კონფერენციამ. გარეგნულად მისი ამოცანა იყო „მშვიდობიანობის" დამკვიდრება წყნარი ოკეანის აუზში ძალთა ახალი თანაფარდობის დამყარების პირობებში. სინამდვილეში აშ შტატების მმართველ წრეებს განზრახვა ჰქონდათ რამდენადმე შეევიწროებინათ იმპერიალისტური იაპონიის გაზრდილი პოზიციები ჩინეთში, გაეძლიერებინათ საკუთარი გავლენა, თანაც შეექმნათ ანტისაბჭოთა ბლოკი შორეულ აღმოსავლეთში. კონფერენციამ 1922 წლის თებერვალში დაამთავრა საქმიანობა და, მძაფრ საურთიერთო წინააღმდეგობათა მიუხედავად, მიიღო შეთანხმებული გადაწყვეტილებები. მართალია, ჩინეთი კონფერენციის მონაწილე იყო, მაგრამ გადაწყვეტილებები, რომელიც მას შეეხებოდა, მიღებულ იქნა მისი თანხმობის გარეშე, მისი სასიცოცხლო ინტერესების წინააღმდეგ.

კონფერენციის ერთ-ერთი დოკუმენტი იყო 1922 წლის 6 თებერვალს ხელმოწერილი „9 სახელმწიფოს ხელშეკრულება". იგი ასახავდა ძალთა ახალ თანაფარდობას წყნარი ოკეანის აუზში—აშ შტატების გავლენის გაძლიერებას და იაპონიის შესუსტებას, მის დროებით იძულებით უკან დახევას. ხელშეკრულებით დასტურდებოდა „ღია კარების" ამერიკული პრინციპი, რომელიც ამიერიდან საფუძვლად უნდა დადებოდა იმპერიალისტურ სახელმწიფოთა საქმიანობას ჩინეთში. როგორც ცნობილია, „ღია კარების" ან „თანაბარ შესაძლებლობათა პრინციპს", რომელიც სუნ იატ-სენის მართებული შეფასებით აშ შტატების იმპერიალისტური პოლიტიკის იარაღი იყო, ხელი უნდა შეეწყო ამ ქვეყნისათვის თავისი მონოპოლიური ბატონობის დამყარებაში ჩინეთში. მართალია, იაპონია, რომელიც წააწყდა ინგლის-ამერიკის ერთიან ფრონტს, იძულებული გახდა უკან დაეხია ჩინეთის საკითხში და დათანხმებულიყო შანდუნის ოკუპირებული ტერიტორიების ჩინეთისათვის დაბრუნებაზე, მაგრამ ამ ქვეყნისათვის ეს იყო სრულიად უმნიშვნელო კომპენსაცია. იმპერიალისტურ ხროვას მისი „სუვერენიტეტის" დაცვის არავითარი გარანტია არ მიუცია, არ დაუსვამს საკითხი მის შინაგან საქმეებში ჩარევის შეწყვეტაზე; რაც მთავარია, კონფერენციამ აბუჩად აიგდო ჩინეთის დელეგაციის გაუბედავი მოთხოვნა ნახევრად კოლონიური რეჟიმის შერბილების შესახებ.

ვაშინგტონის კონფერენციის იმპერიალისტურმა გადაწყვეტილებებმა ჩინეთის შესახებ ჩინელ ხალხს ერთხელ კიდევ დაანახა იპე-

რიალისტური სახელმწიფოების მხეცური სახე. ამან კიდევ უფრო გააღრმავა მისი ანტიიმპერიალისტური სულისკვეთება და მორიგი ბიძგი მისცა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის შედგომ აღმავლობას და გაფართოებას.

მუშათა მოძრაობის ზრდა. პირველი გლეხთა კავშირების შექმნა

„4 მაისის მოძრაობამ" მძლავრი ბიძგი მისცა მუშათა მოძრაობის შემდგომ აღმავლობას და ხელი შეუწყო მის პოლიტიკურ და ორგანიზაციულ განმტკიცებას.

1921 წელს შანჰაიში ჩამოყალიბდა სრულიად ჩინეთის მუშათა სამდივნო, რომელმაც შემდეგში თავისი ფილიალები გახსნა პეკინში, ჩანშაში, უხანში, გუანჯოუსა და სხვა ქალაქებში. მან სერიოზული როლი შეასრულა საგაფიცვო მოძრაობის მომდევნო გაშლაში და იქცა იმ ორგანიზაციულ ბაზად, რომლის საფუძველზე ცოტა ხნის შემდეგ აღმოცენდა პროფმოძრაობის სრულიად ჩინეთის ცენტრი.

ჩინეთის მუშათა მოძრაობის განვითარების ისტორიაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჰონკონგის (სიანგანის) მუშათა 1922 წლის იანვრის გაფიცვას. გაფიცვას, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ჰონკონგის ათასობით მეზღვაურმა და დოკერებმა, ხელშძღვანელობდა ჩინელ მეზღვაურთა გაერთიანებული კავშირი. გაფიცვა გრძელდებოდა ორი თვის განმავლობაში და უდიდესი შეუპოვრობით გამოირჩეოდა. იგი გასცდა ეკონომიურ ჩარჩოებს და მკვეთრი პოლიტიკური მიმართულება მიიღო. იმის გამო, რომ ინგლისის ხელისუფლებამ გაფიცულთა წინააღმდეგ უმკაცრეს რეპრესიებს მიმართა, გაფიცვის მახვილი ინგლისელ კოლონიზატორთა წინააღმდეგაც წარიმართა. თებერვლის შუა რიცხვებისათვის გაფიცულთა რიცხვი 100 ათას კაცს აღემატებოდა. გაფიცვამ გამოიწვია სოლიდარობის მასობრივი მოძრაობა. გაფიცულებისადმი მხარდასაჭერად გაიფიცნენ ჩრდილო ჩინეთის რკინიგზელები, შანჰაის, სინგაპურის, ტაილანდის ნავსადგურის ჩინელი მეზღვაურები. ინგლისელი კოლონიური ხელისუფლება და ჰონკონგის გემთმფლობელები უძლურნი აღმოჩნდნენ ძალის მომარჯვებით ჩაეხშოთ მათთვის ეგზომ საშიში გაფიცვა. მუშათა გამძლეობამ და პროლეტარულმა სოლიდარობამ გაიმარჯვა. გემთმფლობელები იძულებული გახდნენ დათმობაზე წასულიყვნენ: მათ მოუმატეს ხელფასი მეზღვაურებს, ნაწილობრივ აუნაზღაურეს გაფიცვების დღეები და იცნეს მეზღვაურთა კავშირი.

მეტად დიდი იყო ჰონკონგის გაფიცვის მნიშვნელობა. მან ცხადყო ბრძოლის პროლეტარული მეთოდებისა და მუშათა სოლიდარობის დიდი ძალა, განამტკიცა მუშათა კლასის ავანგარდული როლი ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში.

გაფიცვების მომზადებასა და ჩატარებაში აქტიურ როლს ასრულებდნენ ჩკ პარტია და პროფესიული კავშირები. 1922 წლის მაისში კომუნისტური პარტიის ინიციატივით და სუნ იატ-სენის მთავრობის მხარდაჭერით გუანჯოუში მოწვეულ იქნა პროფესიული კავშირების I სრულიადჩინეთის ყრილობა. ყრილობამ, რომელსაც 100 პროფესიული კავშირის წარმომადგენელი ესწრებოდა, მოიწონა ლოზუნგები: „ძირს იმპერიალისტები", „ძირს მილიტარისტები", მიიღო 8 საათის სამუშაო დღისათვის ბრძოლის დადგენილება და სრულიად ჩინეთის მუშათა სამდივნო იცნო ჩინეთის პროფკავშირების ხელმძღვანელ ორგანოდ.

ჩინეთის ახალგაზრდა კომუნისტურმა პარტიამ სერიოზული ყურადღება მიაქცია ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში მუშათა კლასის მთავარ მოკავშირეს—გლეხობას და პრაქტიკული ნაბიჯები გადადგა გლეხთა პირველი მებრძოლი კავშირების შესაქმნელად.

გლეხთა პირველი კავშირი შეიქმნა 1922 წელს გუანდუნის პროვინციაში (სამხრეთ ჩინეთში), ხაიფინის მაზრაში. მისი დამაარსებელი იყო მგზნებარე მებრძოლი ორგანიზატორი, სტუდენტი კომუნისტი პენ ბაი. 1924 წლის დასაწყისისათვის ამ კავშირის რიგებში 150 ათასი გლეხი იყო გაერთიანებული, გუანდუნის პროვინციის გარდა კომუნისტების ხელმძღვანელობით გლეხთა კავშირები შეიქმნა აგრეთვე ხუნანის, ფუძიანის და ზოგიერთ სხვა პროვინციაში. გლეხთა კავშირების შექმნა მოასწავებდა ანტიფეოდალური რევოლუციის გაშლას სოფლად მუშათა კლასისა და მისი პარტიის ხელმძღვანელობით.

ერთიანი ფრონტის შექმნა

მუშათა მოძრაობის შეუჩერებელი აღმავლობის ვითარებაში 1922 წლის ივლისში შანჰაიში არალეგალურად ჩატარდა ჩინეთის კომუნისტური პარტიის II ყრილობა. ყრილობის მუშაობაში მონაწილეობას იღებდა 12 დელეგატი. ყრილობის ძირითადი ამოცანა იყო პროგრამის შემუშავება.

ჩინეთის კომუნისტური პარტიის პროგრამის შემუშავებაში უდიდესი როლი შეასრულა კომუნისტური ინტერნაციონალის მიერ ვ. ი. ლენინის მოხსენების საფუძველზე მიღებულმა თეზისებმა ეროვნული და კოლონიური საკითხის შესახებ. ყრილობამ საფუძვლიანი ანალიზი გაუკეთა ჩინეთის სოციალურ-ეკონომიურ მდგომარეობას, ხაზი გაუსვა მის ნახევრად ფეოდალურ და ნახევრად კოლონიურ ხასიათს და მივიდა დასკვნამდე ჩინეთში შემზადებული რევოლუციის ანტიიმპერიალისტური და ანტიფეოდალური ხასიათის შესახებ.

ყრილობამ პარტიის საბოლოო მიზნად დასახა უკლასო სოციალისტური საზოგადოების აგება, თანაც შეიმუშავა პროგრამა მინიმუმი,

რომელშიაც ფიქსირებული იყო პარტიის ძირითადი ამოცანები ბურ-ჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის პერიოდში: იმპერიალიზმისა და ფეოდალ-მილიტარისტთა ბატონობის დამხობა, სრული დამოუკიდებლობის მოპოვება. ჭეშმარიტად დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა, შრომის კანონმდებლობის გამომუშავება და სხვ.

ყრილობამ მოწოდებით მიმართა მუშებს, გლეხებს, ქალაქის წვრილბურჟუაზიასა და ეროვნულ ბურჟუაზიას შეექმნათ ერთიანი დემოკრატიული ფრონტი და ეთანამშრომლათ საერთაშორისო პროლეტარიატთან და ყველა ქვეყნის ჩაგრულ ხალხებთან (რომელთანაც საბჭოთა რუსეთი და კომუნისტური ინტერნაციონალი ხელმძღვანელობდნენ), დაბოლოს, ყრილობამ მიიღო დადგენილება კომუნისტურ ინტერნაციონალში შესვლის შესახებ.

II ყრილობის მუშაობაში, მის მიერ მიღებული საბრძოლო გადაწყვეტილებების მიუხედავად, ადგილი ჰქონდა ზოგიერთ შეცდომასაც. მას არ დაუსვამს მუშათა კლასის მიერ რევოლუციაში ჰეგემონიის მოპოვებისათვის უშუალო ბრძოლისა და ანტიფეოდალური, აგრარული რევოლუციის განხორციელების ამოცანები.

ჩინეთის კომუნისტური პარტიის II ყრილობამ და პროფმოძრაობის საერთოჩინური ცენტრის შექმნამ ხელი შეუწყო მასების შემდგომ გააქტიურებას, რევოლუციური მოძრაობის გაღრმავებას და მუშათა საგაფიცვო მოძრაობის ზრდას.

ამ პერიოდის მუშათა მოძრაობის ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა იყო პეკინ-ხანკოუს რკინიგზის მუშათა საყოველთაო გაფიცვა 1923 წლის თებერვალში. 1923 წლის 1 თებერვალს სადგურ ჯენჯოუში დანიშნული იყო რკინიგზელთა პროფკავშირული კონფერენცია, რომელსაც უნდა გაეფორმებინა პეკინ-ხანკოუს რკინიგზის ერთიანი პროფესიული კავშირი. კონფერენციის დელეგატები და მოწვეული სტუმრები უკვე შეკრებილი იყვნენ, როცა იმპერიალისტთა ლაქიამ ჯილელმა მილიტარისტმა უ პეი-ფუმ აკრძალა იგი და შეიპყრო მისი ხელმძღვანელები. ამ თვითნებობის პასუხად აღნიშნული რკინიგზის მუშებმა გამოაცხადეს საყოველთაო გაფიცვა, რომელშიაც ათასზე მეტმა რკინიგზელმა მიიღო მონაწილეობა. უ პეი-ფუს ბრძანებით არმიის ნაწილები სასტიკად გაუსწორდნენ გაფიცულებს. 7 თებერვალს მან სროლა აუტეხა ჩანსინდიანის სადგურში რკინიგზელებს, რომლებიც იცავდნენ პროფკავშირის შენობას და ხელს უშლიდნენ რკინიგზის ადმინისტრაციას ჯარისკაცების მეშვეობით გაეშვათ მატარებლები. მოკლულ იქნა ორმოცზე მეტი კაცი და დაიჭრა რამდენიმე ასეული. 7 თებერვლის სისხლიანი აქტის პასუხად და პეკინ-ხანკოუს გაფიცულ რკინიგზელთა მხარდასაჭერად 8 თებერვალს

გაიფიცნენ სხვა რკინიგზების მუშები, რასაც ხელისუფლებამ ტერორის გაძლიერებით უპასუხა.

პეკინ-ხანკოუს რკინიგზელთა გაფიცვა ჩაახშეს უხეში სამხედრო ძალით. მის ჩახშობაში უ პეი-ფუს ჯარისკაცებთან ერთად ინგლისელმა მოხალისეებმაც მიიღეს მონაწილეობა. მაგრამ გაფიცვას, დამარცხების მიუხედავად, უკვალოდ არ ჩაუვლია. ერთიანი სახალხო ფრონტის შექმნის ამოცანა, წამოყენებული ჩინეთის კომპარტიის II კრებების მიერ, რევოლუციური მოძრაობის შეუჩერებელი ზრდის ვითარებაში განმათავისუფლებელი ბრძოლის შემდგომი წარმატების ძირითადი პირობა გახდა.

ამიტომ იყო, რომ ჩინელმა კომუნისტებმა ენერგიულად მოკიდეს ხელი მის რეალიზაციას. ამ საქმეში მათ დიდი დახმარება აღმოუჩინა კომუნისტურმა ინტერნაციონალმა, რომლის აღმასკომმა 1923 წლის იანვრის წერილით რჩევა მისცა მის ხელმძღვანელობას დაემყარებინა თანამშრომლობა სუნ იატ-სენის მიერ დაარსებულ გომინდანის პარტიასთან. სწორედ გომინდანთან (რომელიც მაშინ ყველაზე მასიურ ეროვნულ-რევოლუციურ პარტიას წარმოადგენდა) ერთიანი რევოლუციური ფრონტის დამყარებით შეიძლებოდა შექმნილიყო იმპერიალიზმისა და ფეოდალიზმის წინააღმდეგ მებრძოლი ძალების ერთიანი სახალხო ფრონტი მუშათა კლასის ხელმძღვანელობით.

1923 წლის თებერვალში სუნ იატ-სენი ისევ დაბრუნდა გუანჯოუში და კვლავ სათავეში ჩაუდგა სამხრეთის გომინდანელთა მთავრობას[1]. ამით გუანჯოუსა და მის შემოგარენში შეიქმნა ხელსაყრელი პირობები როგორც მუშათა და გლეხთა მოძრაობის განვითარებისათვის, ისე კომუნისტურ პარტიასა და გომინდანს შორის კონტაქტის დამყარებისათვის.

დიდმა ჩინელმა რევოლუციონერ-დემოკრატმა სუნ იატ-სენმა აღნიშნული დროისათვის მნიშვნელოვანი ევოლუცია განიცადა. მან გადასინჯა ბევრი ძველი შეხედულება, უფრო მარცხნივ გადაიხარა და საბჭოთა რუსეთის საბრძოლო გამოცდილების გავლენით დააფასა მუშათა კლასის დიდი ისტორიული მისია. ჩინეთის რევოლუციური მოძრაობის ზრდისა და კომპარტიის გავლენის გადიდების ზეგავლენით მან საჭიროდ ჩათვალა დაყრდნობოდა მშრომელებს, კონტაქტი დაემყარებინა საბჭოთა კავშირთან და კავშირი შეეკრა კომუნისტურ პარტიასთან.

ჯერ კიდევ შანჰაიში ყოფნისას სუნ იატ-სენმა კავშირი დაამყარა კომუნისტური პარტიის აქტივისტებთან და მათი დახმარებით შეიმუშავა

---

1 ჩენ ძიუ-მინი გიუანსისა და იუნანის პროვინციების გენერლებმა გააძევეს ამ ქალაქიდან.

გომინდანის პარტიის გადახალისების გეგმა. იგი ითვალისწინებდა უფრო რადიკალური პროგრამის მიღებას და პარტიის გადაქცევას მასობრივ ორგანიზაციად. დიდი ოქტომბრის ძლევამოსილი იდეების ზეგავლენით ახალი შინაარსი მიეცა სუნ იატ-სენის სამ ხალხურ პრინციპს— ნაციონალიზმს, დემოკრატიზმსა და ხალხის კეთილდღეობას. პირველი პრინციპი მკვეთრი ანტიიმპერიალისტური სულით იქნა ფორმულირებული, მეორე—თანმიმდევრული დემოკრატიული შინაარსით (იგი ნიშნავდა ბრძოლას დემოკრატიული რესპუბლიკისა და ხალხის მმართველობისათვის). რაც შეეხება მესამე პრინციპს, იგი ნიშნავდა მუშათა და გლეხთა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას და აგრარული საკითხის რადიკალურ გადაწყვეტას ფორმულით: „ყოველ მხვნელ-მთესველს უნდა ჰქონდეს თავისი მიწა“.

სუნ იატ-სენის პოლიტიკურ შეხედულებათა ევოლუცია მარცხნივ, როგორც ცნობილია, ამით არ დამთავრებულა. მან სამი ხალხური პრინციპი შეავსო სამი პოლიტიკური საფუძვლით: კავშირი საბჭოთა რუსეთთან, კავშირი კომუნისტურ პარტიასთან და გლეხობისა და მუშებისათვის მხარდაჭერა. სუნ იატ-სენი ეროვნული ბურჟუაზიის იმ რადიკალურ-რევოლუციური ნაწილის ბელადი იყო, რომელსაც, ლენინის თქმით, ჯერ კიდევ უნარი შესწევდა ყოფილიყო გულწრფელი მებრძოლი, თანმიმდევრული დემოკრატიის წარმომადგენელი[1], რომელიც წინ იხედებოდა, შეეძლო შეესრულებია პროგრესული ისტორიული მისია, ხალხთან კავშირში იყო და გლეხურ მასას ემყარებოდა.

გუანჯოუში დაბრუნების შემდეგ სუნ იატ-სენმა პრაქტიკული ნაბიჯები გადადგა სამი პოლიტიკური საფუძვლის განსახორციელებლად. მან ხელი შეუწყო მუშათა და გლეხთა ორგანიზაციების საქმიანობას, გააძლიერა კონტაქტები კომუნისტურ პარტიასთან, თანაც მოსკოვში მიავლინა სამხედრო-პოლიტიკური მისია საბჭოთა კავშირის გამოცდილების შესასწავლად და დახმარების სათხოვნელად. მალე სუნ იატ-სენის მოწვევით გუანჯოუში ჩამოვიდა სსრ კავშირის მრჩეველთა ჯგუფი (მ. მ. ბოროდინი, ვ. კ. ბლიუხერი და სხვები), რომელიც უნდა დახმარებოდა ეროვნულ-რევოლუციურ ხელისუფლებას ძალაუფლების განმტკიცებაში, გომინდანის რეორგანიზაციასა და რევოლუციური არმიის შექმნაში.

1923 წლის ივნისში გუანჯოუში ლეგალურად ჩატარდა ჩ/კომპარტიის III ყრილობა, რომლის მუშაობაში მონაწილეობას იღებდა 30 დელეგატი — პარტიის 432 წევრის წარმომადგენელი. ყრილობის

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 18, გვ. 189.

დღის წესრიგში ცენტრალური საკითხი იყო გომინდანთან ერთიანი ფრონტის შექმნა.

აღნიშნული საკითხის განხილვისას ყრილობაზე თავი იჩინა კაპიტულანტურმა და სექტანტურმა გადახრებმა. კაპიტულანტები უარყოფდნენ მუშათა კლასის ხელმძღვანელ როლს ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში, ქება-დიდებას ასხამდნენ ეროვნულ ბურჟუაზიასა და გომინდანს და მოითხოვდნენ გომინდანთან მჭიდრო თანამშრომლობის დამყარებას. მემარცხენე სექტანტები ჯან გო-ტაო და მისი მიმდევრები, ეფარებოდნენ რა რევოლუციურ ფრაზებს, ილაშქრებდნენ გომინდანთან ერთიანი ფრონტის დამყარებისა და მის რიგებში შესვლის წინააღმდეგ.

სუნ იატ-სენი

ყრილობამ დისკუსიის შემდეგ დაგმო ეს გადახრები, სწორად შეაფასა სუნ იატ-სენის რევოლუციურ-დემოკრატიული პლატფორმა და გომინდანი ცნო ბუშათა, გლეხთა, ქალაქის წვრილი ბურჟუაზიისა და ეროვნული ბურჟუაზიის ერთიანი ფრონტის ორგანიზაციად. მან მიიღო დადგენილება გომინდანთან თანამშრომლობისა და მის რიგებში კომუნისტების ინდივიდუალური წესით შესვლის შესახებ, კომუნისტური პარტიის იდეურ-პოლიტიკური და ორგანიზაციული დამოუკიდებლობის შენარჩუნებით.

სუნ იატ-სენი მიესალმა ერთიანი სახალხო ფრონტის შექმნას და მოიწონა აზრი კომუნისტების გომინდანში შესვლის შესახებ. მან კომპარტიის წარმომადგენელი შეიყვანა გომინდანის დროებით აღმასკომში და ლი და-ჯაო ინდივიდუალური წესით მიიღო გომინდანის რიგებში. კომუნისტების უშუალო დახმარებით სუნ იატ-სენმა შეიმუშავა კონკრეტული გეგმა თავისი პარტიის გარდასაქმნელად.

რევოლუციის წანამძღვრები და ძირითადი თავისებურებანი

1924 წლისათვის ჩინეთში შემზადდა ათეულობით წანამძღვრები რევოლუციისათვის. ჩინეთის საზოგადოების ძირითადმა წინააღმდეგობებმა — წინააღმდეგობებმა ჩინეთსა და იმპერიალიზმს შორის, დრმოვმბულ, საზოგადოების წინსვლის ბუხრუჭად ქცეულ ფეოდალურ წესებსა და ჩინელი ხალხის ფართო მასების ინტერესებს შორის აუცილებლობად აქცია ჩინელი ხალხის რევოლუციური ომი იმპერიალიზმისა და ფეოდალურ-მილიტარისტულ-კომპრადორული რეაქციის წინააღმდეგ.

შემზადებული რევოლუცია, როგორც უკვე აღინიშნა, ახალი ტიპის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული, სახალხო-დემოკრატიული რევოლუცია იყო. იგი წარმოადგენდა მსოფლიო სოციალისტური რევოლუციის ნაწილს, რომელიც მიმდინარეობდა ორი სისტემის არსებობისა და საბჭოთა კავშირის შეუჩერებელი ზრდის პირობებში. ლენინის შეფასებით იგი იყო „ჩინეთის 1905 წელი“, რომელსაც, თუმცა მთელი რიგი თავისებურებანი ახასიათებდა, მაინც მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა[1]. მის შედეგებზე დიდად იყო დამოკიდებული ბრძოლის ბედი მთელ მსოფლიოში, მთელ მსოფლიოში სოციალიზმის გამარჯვების საკითხი[2].

ჩინეთის აღნიშნულ რევოლუციას მთელი რიგი თავისებურებები ახასიათებდა. იგი, როგორც თავის დროზე ი. ბ. სტალინი მიუთითებდა, იყო რევოლუციის ორი ნაკადის — ბურჟუაზიულ-დემოკრატიული, აგრარულ-გლეხური რევოლუციის და ეროვნულ-განმათავისუფლებელი რევოლუციის შერწყმა. თავისი ეროვნულ-განმათავისუფლებელი, ანტიიმპერიალისტური მიმართულების გამო იგი განსხვავდებოდა რუსეთის 1905 წლის რევოლუციისაგან. ამ რევოლუციის მეორე თავისებურება იმაში მდგომარეობდა, რომ ეროვნული ბურჟუაზიის სისუსტისა და მერყეობის გამო მას მხოლოდ მუშათა კლასის ხელმძღვანელობით შეეძლო წარმატების მოპოვება. რევოლუცია შემზადდა დიდი მეზობლის—საბჭოთა კავშირის არსებობისა და ზრდის პირობებში. მას შეეძლო ესარგებლა მისი რევოლუციური ბრძოლის გამოცდილებით და უანგარო დახმარებით[3]. ეს იყო ჩინეთის რევოლუციის პლუსი და, მაშასადამე, მორიგი თავისებურებაც. დაბოლოს, ამ რევოლუციას გააჩნდა ტერიტორიული ბაზა და იგი ვითარდებოდა იმპერიალიზმისა და ფეოდალურ-მილიტარისტული ხროვის წინააღ-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 33, გვ. 410—411.

[2] იქვე, გვ. 592.

[3] ი. ბ. ს ტ ა ლ ი ნ ი, თხზ., ტ. 8, გვ. 390—391.

მდეგ შეიარაღებული ბრძოლის ფორმით, თავიდან ფეხებამდე შეიარაღებულ იმპერიალიზმისა და ფეოდალური ძალების ბლოკს უპირისპირდებოდა შეიარაღებული რევოლუციური ხალხი...

1924 წლის იანვარში რევოლუციის პირველ ტერიტორიული ბაზის ცენტრში — გუანჯოუში სუნ იატ-სენის ხელმძღვანელობით შედგა გომინდანის I ყრილობა. ყრილობამ გააფორმა გომინდანის რეორგანიზაცია, დაკმაყოფილა კომუნისტური პარტიის თხოვნა კომუნისტთა ინდივიდუალური წესით მის რიგებში მიღების შესახებ და მიიღო პროგრამა და წესდება.

ყრილობამ მიიღო სუნ იატ-სენის მიერ შემუშავებული მანიფესტი. რომელშიაც ახლებურად ფორმულირებულმა მისმა სამმა ხალხურმა პრინციპმა მკვეთრი ანტიიმპერიალისტური და ანტიფეოდალური მიმართულება მიიღო. ამ სამ ხალხურ პრინციპს დაერთო სამი პოლიტიკური საფუძველი: კავშირი სსრ კავშირთან და ჩინეთის კომუნისტურ პარტიასთან, მუშათა და გლეხთა ინტერესების დაცვა.

კომუნისტები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ აღნიშნული მანიფესტის შემუშავებაში. ამას დადებითი მნიშვნელობა ჰქონდა და განსაზღვრა მისი მებრძოლ-დემოკრატიული ხასიათი. ყრილობის მიერ არჩეულ გომინდანის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტში შევიდნენ კომუნისტური პარტიის გამოჩენილი მუშაკები: ლი და-ჯაო, დუნ ბი-უ და სხვები.

გომინდანის პირველ სარეორგანიზაციო ყრილობას სერიოზული ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა. მან ოფიციალურად გააფორმა ერთიანი სახალხო-რევოლუციური ფრონტი. ამ ფრონტის ორგანიზაციულ ფორმად იქცა გომინდანის პარტია, რომელიც ამიერიდან გადაიქცა მუშათა კლასის, გლეხობის, ქალაქის წვრილი ბურჟუაზიისა და ეროვნული ბურჟუაზიის — ქვეყნის პატრიოტულ-პროგრესული ძალების — ბლოკის პარტიად. ერთიანი სახალხო ფრონტის ბაზა გახდა სუნ იატ-სენის განახლებული სამი ხალხური პრინციპი (სამ პოლიტიკურ საფუძველთან ერთად).

ერთიანი ეროვნულ-რევოლუციური ფრონტის შექმნამ მძლავრი ბიძგი მისცა რევოლუციის შემდგომ განვითარებას. სამხრეთ ჩინეთის მთავრობის სამოქმედო ტერიტორიაზე თავისუფლად მოქმედებენ პროფესიული კავშირები, კონგრესის შემდეგ მოკლე დროში განხორციელდა გომინდანის რეორგანიზაცია. მნიშვნელოვან განყოფილებებს — საორგანიზაციოსა, გლეხთა და მუშათა — კომუნისტები ჩაუდგნენ სათავეში. სუნ იატ-სენის გუანჯოუს მთავრობა, რომელშიაც კომუნისტური პარტიის წარმომადგენლებიც შევიდნენ, ეროვნულ-რევოლუციური მთავრობა გახდა, გუანდუნი კი — რევოლუციის ბაზა.

1924 წლის მაისში სუნ იატ-სენმა კომუნისტების მხარდაჭერით

და მათთან თანამშრომლობით კუნძულ ხუანპუზე (ვამპუ)[1] დააარსა რევოლუციური არმიის ოფიცერთა მოსამზადებელი სკოლა. ეს იყო ჩინეთის ისტორიაში პირველი რევოლუციური სამხედრო სკოლა, რომლის მსმენელები უმეტესად იყვნენ რევოლუციურად განწყობილი ახალგაზრდები. კურსანტები გადიოდნენ არა მარტო სპეციალურ სამხედრო მომზადებას[2], არამედ პოლიტიკურსაც. კომუნისტურმა პარტიამ ამ სკოლაში მიავლინა თავისი წარმომადგენლები, რათა გომინდანელებთან ერთად სათავეში ჩადგომოდნენ ამ სკოლის ორგანიზაციას. მართალია, სკოლის ხელმძღვანელობა მემარჯვენე გომინდანელებს ეკუთვნოდათ (მისი უფროსი ჩან კაი-ში იყო, რომელიც მაშინ „ეროვნული რევოლუციონერობისა“ და „სუნ იატ-სენის მოწაფის“ ნიღაბს ეფარებოდა), მაგრამ პოლიტმუშაობა არსებითად კომუნისტების ხელში იყო. მათი ინიციატივით იქ და რევოლუციურ არმიაში შემოღებულ იქნა პოლიტგანყოფილებებისა და პოლიტკომისართა ინსტიტუტები.

გუანდუნის რევოლუციური მთავრობის მიერ მოწვეულმა მრჩეველებმა დიდი დახმარება აღმოუჩინეს სუნ იატ-სენს როგორც რევოლუციური არმიის ფორმირებაში, ისე სხვა რევოლუციური ღონისძიებების გატარებაში. ამ მხრივ ფასდაუდებელი იყო სუნ იატ-სენის პოლიტიკური მრჩევლის მ. მ. ბოროდინისა და მთავარი სამხედრო მრჩევლის, სამოქალაქო ომის გმირის, გამოჩენილი საბჭოთა მხედართმთავრის ვ. კ. ბლიუხერის ღვაწლი.

რევოლუციური ბაზისა და ერთიანი ფრონტის ფორმირებამ ძლავრი ბიძგი მისცა მუშათა და გლეხთა მოძრაობის განვითარებას გუანდუნის პროვინციაში.

ჩინეთ-საბჭოთა კავშირის 1924 წლის ხელშეკრულება

საბჭოთა კავშირის საერთაშორისო ავტორიტეტის ზრდა და ჩინელი ხალხისადმი მისი უანგარო მეგობრობა ჩინეთის განმათავისუფლებელი რევოლუციის შეუჩერებელი აღმაღლობის დიდმნიშვნელოვანი ფაქტორი იყო. საბჭოთა კავშირი იყო, რომ გადმოისროლა საბრძოლო მოწოდება: „ხელები შორს ჩინეთისაგან“ და ნიღაბი ჩამოხადა ჩინელი ხალხის ბოროტმტრებს—იმპერიალისტ მოძალადეებს. მან გაუწია ჩინელ ხალხს ქმედითი დახმარება და გადადგა ნაბიჯები დიდ მეზობელთან მეგობრული ურთიერთობის დასამყარებლად. ამის შედეგი იყო, რომ შინაგანი რეაქციისა და საერთაშორისო იმპერიალიზმის ხრიკების მიუხედავად, სულ უფრო და უფრო გაიზარდა სსრ კავშირის გავლენა ჩინეთში და ამ ქვეყანასთან დიპლომატიური ურთიერთობის დამყარება ჩინელ მილიონთა მასობრივ მოთხოვნად

[1] გუანჯოუსთან ახლო მდებარეობს.

[2] ძირითად სამხედრო საგნებს საბჭოთა სამხედრო მრჩევლები კითხულობდნენ.

იქცა. მართალი იყო სუნ იატ-სენი, რომელიც 1924 წელს გამოქვეყნებულ მიმართვაში „ჩინელი ხალხისადმი" მიუთითებდა: თავისუფალ რუსეთში გადმოსროლილი მოწოდებებისათვის მანძილი არ არსებობს. იგი ელვისებურად ვრცელდება მთელ მსოფლიოში და ყველა მშრომელის გულში პოულობს გამოძახილსო.

სწორედ სსრ კავშირის საერთაშორისო ავტორიტეტის შეუჩერებელმა ზრდამ და ჩინელი ხალხის ერთსულოვანმა მოთხოვნამ აიძულა პეკინის მილიტარისტული მთავრობა განეახლებინა სსრ კავშირთან წარმოებული არაერთხელ შეწყვეტილი მოლაპარაკება და, იმპერიალისტთა მუქარის მიუხედავად, წარმატებით დაეგვირგვინებინა იგი. 1924 წლის 31 მაისს ხელმოწერილ იქნა ჩინეთ-საბჭოთა კავშირის შეთანხმება ურთიერთცნობისა და ნორმალური დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების შესახებ. ეს იყო ჩინეთის დემოკრატიული ძალების სერიოზული გამარჯვება. მეტად დიდი და კეთილშობილური იყო პირადად სუნ იატ-სენისა და სამხრეთის რევოლუციური მთავრობის როლი ამ საქმეში.

ჩინეთ-საბჭოთა კავშირის 1924 წლის 31 მაისის ხელშეკრულება ჩინეთის პირველი თანასწორუფლებიანი ხელშეკრულება იყო უცხოსახელმწიფოსთან 1842 წლის ავბედითი ამბების შემდეგ. იგი მოასწავებდა ახალ ეტაპს ამ ორი მეზობელი ქვეყნის ურთიერთობაში. ამიტომ ასეთი დიდი აღფრთოვანებით შეხვდა მას ჩინეთის პროგრესული საზოგადოებრიობა. ამ ხელშეკრულებით საბჭოთა კავშირმა ხელი აიღო ყველა პრივილეგიაზე, რითაც სარგებლობდა მეფის რუსეთი ჩინეთში: კონცესიებზე, ექსტერიტორიულობაზე, საკონსულო იურისდიქციაზე, კონტრიბუციის რუსეთის წილზე... დასასრულ, იგი ითვალისწინებდა ერთობლივი მმართველობის დამყარებას აღმოსავლეთ ჩინეთის რკინიგზაზე, სადაც მაშინ ჩინელ მილიტარისტებთან ერთად რუსი თეთრგვარდიელებიც პარპაშობდნენ.

რევოლუციური ომის გაძლიერება სამხრეთ ჩინეთში და რევოლუციური ბაზის განმტკიცება

მუშების, გლეხების, ქალაქის წვრილი ბურჟუაზიისა და ეროვნული ბურჟუაზიის რევოლუციური ეროვნული ბლოკის შექმნისა და სუნ იატ-სენის მთავრობის გადახალისების შემდეგ გუანჯოუ ჩინელი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის სერიოზული ცენტრი გახდა. იქ შეიქმნა სრულიად ახალი ტიპის არმია — სახალხო განმათავისუფლებელი არმია, რომელიც მოწოდებული იყო არა მარტო დაეცვა რევოლუციის ბაზა, არამედ გაეფართოებინა მისი ტერიტორიული არე, რევოლუციურ ომში გაენადგურებინა საერთაშორისო იმპერიალიზმის აგენტების — ფეოდალ-მილიტარისტების, კომპრადორების და რეაქციული ხელისუფლების ბატონობა და განეხორციელებინა ქვეყნის ეროვნუ-

ლი გაერთიანება. ამ არმიის პირველ შენაერთებს მალე მხარში ამოუდგნენ კომუნისტური პარტიის ინიციატივით შექმნილი გლეხთა და მუშათა რევოლუციური რაზმები. გუანდუნის ამბებმა გამოძახილი პოვა მეზობელ პროვინციებშიც, სადაც აგრეთვე ახალი ძალით გაიშალა მუშათა და გლეხთა მოძრაობა.

რევოლუციური მოძრაობის განვითარებამ გუანდუნის პროვინციაში გამოიწვია იმპერიალისტური ბანაკისა და ფეოდალ-მილიტარისტული ძალების გააფთრება. მათ გადაწყვიტეს ერთიანი ფრონტით გამოსულიყვნენ ჩინეთის რევოლუციის წინააღმდეგ და სისხლში ჩაეხშოთ იგი.

ინგლის-ამერიკელ იმპერიალისტთა მხარდაჭერით გუანჯოუში მომზადდა საშინი ამბოხება. ინგლისი, სადაც ლეიბორისტები იყვნენ ხელისუფლების სათავეში, ფარულ ინტერვენციასაც არ დაუჯერდა. მან გუანჯოუს მშრომელთა დასაშინებლად ჰონკონგიდან სამხედრო გემები გაგზავნა, თანაც სუნ იატ-სენის მთავრობას მკაცრი ულტიმატუმი გაუგზავნა, რომლითაც აშკარა ინტერვენციით დაემუქრა მას, თუ მისი მთავრობა მიიღებდა აქტიურ ზომებს ქალაქში თავმოყრილი კონტრრევოლუციონერების წინააღმდეგ. ყოველივე ამას დაერთო ისიც, რომ მემარჯვენე ელემენტებმა, რომლებიც ილაშქრებდნენ ერთიანი ფრონტის წინააღმდეგ, გააჩაღეს ცილისმწამებლური კამპანია კომუნისტებისა და სსრ კავშირის წინააღმდეგ.

ისარგებლეს რა იმ გარემოებით, რომ სუნ იატ-სენი გუანჯოუში არ იმყოფებოდა, ქალაქში კონცენტრირებულმა კონტრრევოლუციამ, კერძოდ, კომპრადორული ბურჟუაზიის რეაქციულმა რაზმებმა 1924 წლის 10 ოქტომბერს მოაწყეს ამბოხება რევოლუციური მთავრობის წინააღმდეგ. კომპრადორ ვაჭართა მეამბოხე რაზმებს მხარი დაუჭირა მილიტარისტმა ჩენ ძიუ-მინმა. მაგრამ რევოლუციურმა მთავრობამ შეძლო თავი გაერთმია ამ მძიმე ვითარებისათვის. ხუთი დღის გააფთრებული ბრძოლების შემდეგ რევოლუციურმა ძალებმა ჩაახშეს ამბოხება, რომელსაც „ქაღალდის ვეფხვების" ამბოხება უწოდა დაცინვით მოსახლეობამ. შინაგანი კონტრრევოლუციისა და იმპერიალისტური ხროვის ერთიანი ძალებით მოწყობილი შეთქმულების განადგურებაში გადამწყვეტი როლი შეასრულეს ხუანპუს ოფიცერთა სკოლის კურსანტებმა, მუშათა და შემოგარენი სოფლების გლეხთა შეიარაღებულმა რაზმებმა.

სუნ იატ-სენის სიკვდილი და მისი ანდერძი

იმპერიალისტთა ვერაგი ზრახვების ჩაშლამ და მისგან გამოწვეულმა პატრიოტულ-რევოლუციური მოძრაობის აღმავლობამ მთელ ჩინეთში გააღრმავა მილიტარისტთა ბანაკში არსებული კრიზისი და ქიშპობა. ამ ამბების უშუალო ზეგავლენით უ პეი-ფუს ჯილის მილი-

ტარისტულ დაჯგუფებას გადაუდგა ერთ-ერთი გენერალი ფენ იუ-სიანი, რომელმაც მისი ერთგული ჯარით (დივიზიით) გაილაშქრა უ პეი-ფუსა და ცაო კუნის წინააღმდეგ. 1924 წლის ოქტომბერში მან აიღო პეკინი და თავის კონტროლს დაუქვემდებარა როგორც ეს ქალაქი, ისე ჩრდილო ჩინეთის მნიშვნელოვანი ნაწილი. პეკინში შეიქმნა ახალი მთავრობა, რომელსაც დუნბეის მილიტარისტული ხროვის მეთაურის ჯან ძო-ლინის მოთხოვნით ანფუისტთა პროიაპონური დაჯგუფების მეთაური დუან ცი-ჟუი ჩაუდგა სათავეში.

თვითონ ფენ იუ-სიანმა გომინდანის რევოლუციური პოლიტიკისა და ქვეყნის ერთიანობის მომხრედ გამოაცხადა თავი, თავის არმიას „ეროვნული არმია" უწოდა და დუან ცი-ჟუისთან თანხმობით გადაწყვიტა პეკინში მოეწვია სრულიადჩინეთის კონფერენცია „ქვეყნის ერთიანობის" მიღწევის საკითხებზე.

სხვა სამხედრო-პოლიტიკური დაჯგუფებების წარმომადგენლებთან ერთად ამ კონფერენციაზე მიიწვიეს სამხრეთის რევოლუციური მთავრობის მეთაური სუნ იატ-სენი. სუნ იატ-სენმა მიიღო ეს მიწვევა, მიუხედავად იმისა, რომ წინასწარ დარწმუნებული იყო საერთო ჩინური კონფერენციის უნაყოფობაში, რომლის ინიციატივა ეკუთვნოდათ ისეთ პირწავარდნილ მილიტარისტებს, როგორიც იყვნენ ჯან ძო-ლინი და დუან ცი-ჟუი. სუნ იატ-სენმა გადაწყვიტა ესარგებლა პეკინში გამგზავრებით, რათა კონფერენციის ტრიბუნა ეროვნული საქმის ინტერესებისათვის გამოეყენებინა, თანაც ნიღაბი ჩამოეხადა მილიტარისტებისათვის, საქვეყნოდ ემხილა მათი მანევრები. გამგზავრების წინ მან გამოაქვეყნა მანიფესტი, რომელშიაც დაწყებული ბრძოლის ძირითად ამოცანად აცხადებდა იმპერიალიზმისა და მილიტარისტთა ბატონობის დამხობას.

სუნ იატ-სენი 1924 წლის ნოემბერში გაემგზავრა პეკინისაკენ და იმავე წლის დეკემბრის 31-ს ჩავიდა ამ ქალაქში. გზაზე და პეკინში მოსახლეობის ფართო წრეები აღტაცებით შეეგებნენ ჩინელი ხალხის დიდ შვილს.

სუნ იატ-სენის წინასწარხედვა გამართლდა. პეკინში ჩასვლისთანავე მისთვის ნათელი გახდა, რომ მილიტარისტების მიერ მოწვეული „ეროვნული კონფერენცია" კერ უპასუხებდა ჩინეთის წინაშე მდგომ საჭირბოროტო ამოცანებს. იგი წარმოადგენდა მსხვილი მოხელეებისა და მილიტარისტების საკრებულოს, რომელსაც არაფერი საერთო არ ჰქონდა ჩინელი ხალხის ინტერესებთან. აღნიშნულის გამო სუნ იატ-სენმა უარი განაცხადა მონაწილეობა მიეღო მის მუშაობაში. ჩინეთის კომუნისტურმა პარტიამ აგრეთვე გადაჭრით გაილაშქრა პეკინის კომედიაში მონაწილეობის წინააღმდეგ და მოსახლეობას მოუწოდა დაეწყო კამპანია სრულიადჩინეთის ეროვნული კონფერენციის მოსაწვე-

ვად, კონფერენციისა, რომლის მონაწილენი იქნებოდნენ ხალხის ჭეშმარიტი წარმომადგენლები.

სუნ იატ-სენისათვის ეს უკანასკნელი გამგზავრება აღმოჩნდა. გზაში იგი ავად გახდა და, ექიმების მიერ მიღებული ზომების მიუხედავად, 1925 წლის 12 მარტს გარდაიცვალა[1]. სიკვდილამდე ერთი დღით ადრე სუნ იატ-სენმა თავის უახლოეს მოწაფეებსა და თანამებრძოლებს უკარნახა პოლიტიკური ანდერძი გომინდანის პარტიისადმი და ცნობილი მიმართვა სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისადმი. პოლიტიკურ ანდერძში მომაკვდავი სუნ იატ-სენი მოუწოდებდა გომინდანს სრულ გამარჯვებამდე მიეყვანათ დაწყებული ეროვნული რევოლუცია და სამი ხალხური პრინციპის განსახორციელებლად ბოლომდე ეხელმძღვანელათ სამი ძირითადი პოლიტიკური საფუძვლით.

დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტი იყო სუნ იატ-სენის მიმართვა სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისადმი, რომელშიაც იგი წერდა:

„ძვირფასო ამხანაგებო!... ჩემი ფიქრი მოპყრობილია თქვენ-დამი და ჩემი პარტიისა და ჩემი ქვეყნის ბედისადმი.

სუნ იატ-სენის ძეგლი გუანჯოუში

თქვენ სათავეში უდგახართ თავისუფალი რესპუბლიკების კავშირს—იმ მნიშვნელოვან მემკვიდრეობას, რომელიც მსოფლიოს ჩაგრულ ხალხებს დაუტოვა უკვდავმა ლენინმა. ამ მემკვიდრეობის შემწეობით იმპერიალიზმის მსხვერპლნი აუცილებლად მიაღწევენ განთავისუფლებას იმ საერთაშორისო წყობილებისაგან, რომელსაც ძველთაგანვე გამდგარი აქვს ფესვი მონათმფლობელობასა, ომებსა და უსამართლობაში...

მე მტკიცედ მწამს, რომ ის დახმარება, რომელსაც თქვენ დღემდე უწევდით ჩემს ქვეყანას, უცვლელი იქნება.

გეთხოვებით რა თქვენ, ძვირფასო ამხანაგებო, მინდა გამოვთქვა

[1] იგი კიბოთი იყო დაავადებული.

ომედი. რომ მალე დადგება დღე. როცა სსრ კავშირი მიეხალმება მძლავრ თავისუფალ ჩინეთს, როგორც მეგობარსა და მოკავშირეს, და რომ მსოფლიოს ჩაგრულ ხალხთა განთავისუფლებისათვის დიად ბრძოლაში ორივე მოკავშირე ხელიხელჩაკიდებული წავა გამარჯვებისაკენ".

სუნ იატ-სენის მავზოლეუმი ნანკინში

ჩინელმა ხალხმა და მისმა დიდმა მეგობარმა საბჭოთა ხალხმა ღრმა გულისტკივილით დაიტირეს დიდი რევოლუციონერი დემოკრატი სუნ იატ-სენი. საბჭოთა მთავრობამ, რკპ (ბ) ცკ და კომინტერნის აღმასკომმა სპეციალური მიმართვები გამოაქვეყნეს სუნ იატ-სენის გარდაცვალებასთან დაკავშირებით, რომელშიაც მაღალი შეფასება მისცეს მის რევოლუციურ დამსახურებას ჩინელი ხალხის წინაშე.

1925 წლის 30 მაისის ამბები. პონკონგის 1925-1926 წლების გაფიცვა

სუნ იატ-სენის დიადი საქმის ღირსეული მემკვიდრე და გამგრძელებელი კომუნისტური პარტია ახალი შემართებით განაგრძობდა ბრძოლას რევოლუციის შემდგომი განვითარებისა და მისი წარმატებისათვის. კომუნისტები არ იშურებდნენ ძალას ერთიანი ფრონტის განსამტკიცებლად, მასების სამობილიზაციოდ, რევოლუციური არმიის ბრძოლისუნარიანობის ასამაღლებლად.

1925 წლის იანვარში ჩკ პარტიამ შანჰაიში ჩაატარა მორიგი IV ყრილობა. ყრილობის მუშაობაში მონაწილეობას იღებდა 20 დელეგატი (პარტიის 980 წევრის წარმომადგენელი. წინა ყრილობიდან IV ყრილობამდე პარტიის წევრთა რიცხვი თითქმის გაორკეცდა).

ყრილობამ აღიარა, რომ ჩინეთის ეროვნულ-რევოლუციური მოძრაობა მხოლოდ იმ შემთხვევაში გაიმარჯვებს, თუ მასში აქტიურ მონაწილეობას მიიღებს და ხელმძღვანელ როლს მოიპოვებს ყველაზე რევოლუციური კლასი პროლეტარიატი. მანვე ხაზი გაუსვა მუშათა და გლეხთა კავშირის დიდ მნიშვნელობას და მიიღო გადაწყვეტილებები ეროვნულ-რევოლუციური მოძრაობის, მუშურ-გლეხური მოძრაობისა და მასების სხვა ხასიათის მოძრაობის შესახებ. პარტიის ხელმძღვანელი როლის განმტკიცების მიზნით მან მოითხოვა პარტიული ორგანიზაციების განმტკიცება ადგილებზე, თანაც გახაზა მემარჯვენე ოპორტუნისტული გადახრის საფრთხე პარტიაში. მართალია, ყრილობამ პირველად დააყენა საკითხი რევოლუციაში პროლეტარიატის ჰეგემონიისა და მუშათა კლასის გლეხობასთან კავშირის შესახებ, მაგრამ ამ საკითხებს ვერ მისცა მკაფიო რევოლუციური ფორმულირება, ვერ მიუთითა დემოკრატიულ რევოლუციაში მუშათა და გლეხთა კავშირის საფუძველზე, ვერ გამოიმუშავა სწორი აგრარული პროგრამა. დაბოლოს, მან მკაცრად არ გააკრიტიკა ჩენ დუ-სიუსა და პარტიის ზოგიერთი სხვა ხელმძღვანელის მიერ შეიარაღებული ბრძოლის მნიშვნელობის შეუფასებლობა.

რევოლუციური მოძრაობა სამხრეთ ჩინეთში თანდათან ფართოვდებოდა და უფრო მებრძოლი ხდებოდა. 1925 წლის გაზაფხულზე გუანჯოუს რევოლუციურმა მთავრობამ წარმატებით მოიგერია ინგლისის იმპერიალიზმის აგენტის ჩენ ძიუ-მინის მორიგი შემოტევა და მის ხარჯზე გააფართოვა რევოლუციის ტერიტორიული ფარგლები. ასევე წარმატებით იქნა მოგერიებული მაო-ივნისში გუანსელი და იუნანელი გენერლების ერთობლივი თავდასხმა.

1925 წლის მეორე ნახევარში გუანდუნის პროვინცია სავსებით განთავისუფლდა მილიტარისტთა და კონტრრევოლუციონერთა ბანდებისაგან და რევოლუციური მთავრობის ძალაუფლებას დაემორჩილა. 1925 წლის 1 ივლისს გუანჯოუს მთავრობამ თავისი თავი ეროვნულ მთავრობად გამოაცხადა და მით ერთხელ კიდევ საქვეყნოდ დაადასტურა თავისი მზადყოფნა ებრძოლა ქვეყნის გაერთიანებისა და განთავისუფლებისათვის.

რევოლუციური ბრძოლის წარმატებამ გუანდუნის პროვინციაში ხელი შეუწყო ჩინელი ხალხის საბრძოლო სულის ამაღლებას და რევოლუციური ძალების ზრდას ქვეყნის სხვა ნაწილებშიაც. განსაკუთრებით დიდ გაქანებას ღებულობს ამ დროიდან მუშათა მოძრაობა. მხეცური ექსპლოატაცია, რაც განსაკუთრებით გაბატონებული იყო უცხოელთა კუთვნილ საწარმოებში, მუშათა მზარდ წინააღმდეგობას აწყდებოდა. 1925 წლის მარტ-აპრილის თვეებში ადგილი ჰქონდა ხალხმრავალ გაფიცვებს ცინდაოში, ფუჯოუში, ხანკოუში, შანჰაიში

და სხვა ქალაქებში. მარტო შანჰაიში იაპონელ კაპიტალისტთა საფეიქრო ფაბრიკებში 40 ათასი მუშა იღებდა მონაწილეობას გაფიცვებში. გაფიცვებს ხელმძღვანელობდნენ რევოლუციური პროფკავშირები და კომუნისტები. იმპერიალისტი მოძალადეები შეეცადნენ უხეში ძალით ჩაეხშოთ ჩინელ მშრომელთა სამართლიანი ბრძოლა საკუთარ მიწაწყალზე. 15 მაისს შანჰაის იაპონურმა პოლიციამ უმოწყალოდ დაარბია გაფიცულები და მათ დასახმარებლად მოსული ჩინელი სტუდენტები.

იაპონელ იმპერიალისტთა მხეცობამ შანჰაის მშრომელთა სამართლიანი გულისწყრომა გამოიწვია. 1925 წლის 30 მაისს შანჰაის მუშებმა და სტუდენტებმა ამ ძალადობის საპასუხოდ მოაწყეს მძლავრი ანტიიმპერიალისტური დემონსტრაცია, რომელშიაც 10 ათასი კაცი მონაწილეობდა. როდესაც დემონსტრანტები მიუახლოვდნენ საერთაშორისო სეტლმენტის ტერიტორიას, ინგლის-ამერიკის პოლიციამ გაუფრთხილებლად აუტეხა სროლა მათ. რამდენიმე ათეული კაცი მოკლულ იქნა, ასეული კი დაიჭრა.

იმპერიალისტთა ამ მორიგმა მხეცობამ უდიდესი აღშფოთება გამოიწვია მთელ ჩინეთში. იმავე დღეს კომუნისტური პარტიის მოწოდებით შანჰაის მოსახლეობა მასობრივად გამოვიდა ქუჩებში. 30 მაისს დაწყებული ამბები 1 ივნისს საყოველთაო გაფიცვაში გადაიზარდა. არ მუშაობდნენ ფაბრიკა-ქარხნები, უმაღლესი სასწავლებლები, სკოლები; დაიკეტა ჩინელთა სავაჭროები, ბანკები, დაწესებულებები.

„30 მაისის ამბებმა" და შანჰაის მოსახლეობის მომდევნო საყოველთაო გაფიცვამ უდიდესი რეზონანსი პოვა მთელ ჩინეთში. ანტიიმპერიალისტურმა დემონსტრაციებმა, გაფიცვებმა და უცხოური საქონლის ბოიკოტმა საყოველთაო ხასიათი მიიღო. პეკინის, ტიანძინის, ხანკოუს, ჩანშას, ნანჩანის, ნანკინის, ხანჯოუს, ფუჯოუს, ცინდაოს, ჩუნცინის და სხვა ცენტრების მოსახლეობა, იმპერიალისტთა და მათ ადგილობრივ ლაქიათა უმკაცრესი პოლიტიკური ტერორის მიუხედავად, ერთსულოვნად გამოვიდა შანჰაის მშრომელთა მხარდასაჭერად... ანტიიმპერიალისტურმა მოძრაობამ მოიცვა ხალხის ფართო ფენები. იგი გასცდა რევოლუციის ტერიტორიული ბაზის ფარგლებს და ცენტრალურ და ჩრდილო ჩინეთსაც მოედო.

შანჰაიში დაწყებული საყოველთაო გაფიცვა ერთ თვეზე მეტს გრძელდებოდა. იმპერიალისტებმა, კომპრადორებმა და მემარჯვენე გომინდანელებმა მოახერხეს ერთიანი ანტიიმპერიალისტური ფრონტის დარღვევა და შეერთებული ძალებით მშრომელთა მოძრაობის ჩახშობა. 1925 წლის შემოდგომაზე უსასტიკესი ტერორის შედეგად შანჰაის მუშათა საყოველთაო გაფიცვა ჩახშობილ იქნა.

შანჰაის მშრომელებისადმი მხარდასაჭერად მთელ ჩინეთში აზვი-

რთებული რევოლუციური ქარიშხლის ყველაზე დიდმნიშვნელოვანი ტალღა იყო ჰონკონგ (სიაგანის)-გუანჯოუს გაფიცვა.

გაფიცვა, რომელსაც კომუნისტები ხელმძღვანელობდნენ, 1925 წლის 19 ივნისს დაიწყო. მასში მონაწილეობდა ინგლისის იმპერიალიზმის ამ დიდი საყრდენი ბაზის მშრომელთა დიდი ნაწილი — 250 ათასი კაცი. გაფიცულებმა მხარი დაუჭირეს შანჰაის მოსახლეობის მიერ წამოყენებულ მოთხოვნებს და თავის მხრივ მოითხოვეს 8 საათიანი სამუშაო დღე, შრომის დაცვა, ბინის ქირის შემცირება, იურიდიული და დემოკრატიული უფლებების მინიჭება. 23 ივნისს გაიფიცნენ გუანჯოუს ინგლის-საფრანგეთის შამიანის კონცესიის მუშა-მოსამსახურეები, რომელთაც მხარი დაუჭირეს ქალაქის მშრომელებმა. აქაც მხეცურად დახვრიტეს გაფიცულები.

იმპერიალისტთა ამ მორიგმა პროვოკაციამ აღაშფოთა სიაგანისა და გუანჯოუს მოსახლეობა. ამ ქალაქებში დაწყებული გაფიცვები საყოველთაო გაფიცვაში გადაიზარდა. სიაგანის გაფიცულთა დიდმა ნაწილმა მიატოვა ქალაქი და ოჯახის წევრებთან ერთად გუანჯოუსა და გუანდუნის სოფლებში გადაბარგდა. კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით პროვინციის მოსახლეობა დაეხმარა მათ ბინების შოვნაში, კვების საკითხის მოგვარებასა და შესაფერი საქმიანობის გამონახვაში. ამ გარემოებამ ყოველგვარი საქმიანობა ჩაკლა სიაგანში (ჰონკონგში). იგი „მკვდარ ქალაქად“ იქცა. გაფიცვამ და ბოიკოტმა უდიდესი მატერიალური ზარალი მიაყენა ინგლისელ მონოპოლისტებსა და გემთმშენებლებს. გუანჯოუსა და გუანდუნის მთელი პროვინციის ტერიტორიაზე კი მან უდიდესი გაქანება მისცა რევოლუციურ მოძრაობასა და ანტიიმპერიალისტურ გამოსვლებს.

სიაგან-გუანჯოუს გაფიცვა 16 თვეს გრძელდებოდა და უდიდესი შეუპოვრობით ხასიათდებოდა. იგი ჩინელი ხალხის განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიაში შევიდა როგორც ჩინეთის მუშათა კლასის იმპერიალისტური კაბალის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთი ყველაზე ნათელი ფურცელი.

ბრძოლა პროლეტარიატსა და ეროვნულ ბურჟუაზიას შორის ჰეგემონობისათვის ერთიანი ფრონტის შიგნით

სიაგან-გუანჯოუს საყოველთაო გაფიცვის შედეგად გუანჯოუსა და გუანდუნის სხვა ადგილებში გადასული სიაგანელი გაფიცული მშრომელები ახალ ნაკადად შეემატნენ ეროვნულ-განმათავისუფლებელი არმიის რიგებს და გუანჯოუს რევოლუციური მთავრობისა და ერთიანი ფრონტის სერიოზული საყრდენი გახდნენ. ამან განამტკიცა ამ მთავრობის პოზიციები და ხელი შეუწყო რევოლუციის საყრდენი ბაზის შემდგომ გაფართოებას. რევოლუციური ლაშქრობის მოწყობა ჩრდილოეთისაკენ მილიტარისტთა ბატონობის დასამხობად პრაქტი-

კულად ფაისვა რევოლუციური მთავრობის დღის წესრიგში. მაგრამ რევოლუციის მტრებსაც არ ეძინათ. ისინი ახალ-ახალ ინტრიგებს მიმართავენ რევოლუციური ბაზის წინააღმდეგ და ღონეს არ იშურებენ ერთიანი ფრონტის დასაშლელად და ეროვნული ბურჟუაზიის რევოლუციისაგან ჩამოსაშორებლად. ინგლისელმა, ამერიკელმა... იმპერიალისტებმა და მათმა აგენტებმა მსხვილმა მემამულეებმა, კომპრადორებმა და მილიტარისტებმა გააძლიერეს ტერორი ჩინელი ხალხის წინააღმდეგ და არ იკმარეს რა შანჰაის, ცინდაოს, ხანკოუს, პეკინის, გუანჯოუს... მშრომელთა სისხლის დაღვრა, შეეცადნენ შეიარაღებული ძალით ჩაეხშოთ რევოლუცია.

სამხრეთში ისევ ამოქმედდა გენერალი ჩენ ძიუ-მინი, რომელმაც ინგლისელ იმპერიალისტთა ხელშეწყობით და სვატოუს მსხვილ ვაჭართა ეხვი სუფსიდიით ახალი არმია შეაკოწიწა და დაიწყო შეტევა რევოლუციური ბაზის წინააღმდეგ. 1925 წლის 20 აგვისტოს გუანჯოუში ბუხანათურად სიცოცხლეს გამოასალმეს სუნ იატ-სენის ერთგული თანამებრძოლი, მემარცხენე გომინდანელი, ერთიანი ეროვნული ფრონტის თავგამოდებული ქომაგი ლიაო ჯუნ-კაი. მკვლელობა განახორციელეს მემარჯვენე გომინდანელებმა და ოფიცრებმა ინგლისის დაზვერვის დავალებით.

ოდესაც ფენ იუ-სიანის „ეროვნული არმიის“ წარმატებამ სერიოზული საფრთხე შეუქმნა მილიტარისტს ჯან ძო-ლინისა და ინგლის-ამერიკის აგენტის უ პეი-ფუს პოზიციებს, ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთში, იმპერიალისტურმა სახელმწიფოებმა კატეგორიულად მოსთხოვეს მათ შეეწყვიტათ ურთიერთკინკლაობა და ერთობლივად ემოქმედათ „ეროვნული არმიის“ წინააღმდეგ. მათი მოთხოვნა მალე სისრულეში იქნა მოყვანილი. 1926 წლის იანვრის ბოლოს მილიტარისტებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას „წითლების“ ერთობლივი ჩახშობის შესახებ.

ამ შეთანხმების შესაბამისად მარტის დასაწყისში ჯან ძო-ლინის არმიამ იაპონიის სამხედრო ფლოტისა და ავიაციის დახმარებით დაიწყო შეტევა ფენ იუ-სიანის წინააღმდეგ, ჯილელმა მილიტარისტებმა კი — რევოლუციური ძალების წინააღმდეგ. იმპერიალისტები შენიღბული ინტერვენციითაც არ დაკმაყოფილდნენ. 1926 წლის 12 მარტს იაპონიის სამხედრო ფლოტმა დაბომბა დაგუს პორტი და ფენ იუ-სიანის ჯარების პოზიციები ტიანძინის მისადგომებთან. ამასთან ერთად იმპერიალისტებმა ერთობლივი ულტიმატუმი გაუგზავნეს ფენ იუ-სიანს და მოითხოვეს შეეწყვიტა საომარი მოქმედება და გაეყვანა ჯარები პეკინ-ტიანძინის რაიონიდან.

როდესაც იმპერიალისტთა ამ უხეში გამოხდომის პასუხად 18 მარტს პეკინში მოხდა სტუდენტთა მასობრივი დემონსტრაცია, იგი

სასტიკად დაარბიეს პეკინის მთავრობის მეთაურის დუან ci-ჟუის განკარგულებით.

იმპერიალისტთა უხეშმა ჩარევამ აიძულა ფენ იუ-სიანის „ნაციონალური არმია“ დაეტოვებინა პეკინ-ტიანძინის რაიონი და ჩრდილო-დასავლეთ ჩინეთის შორეული პროვინციებისაკენ დაეხია. პეკინს ისევ მილიტარისტები დაეუფლენ, რომელთაც იქ შექმნეს გაერთიანებული მთავრობა.

რევოლუციური მოძრაობის დიდმა გაქანებამ დააშინა ეროვნული ბურჟუაზია, რომელმაც, აღნიშნულის გამო გეზი აიღო რევოლუციის დამუხრუჭებაზე.

ეროვნული ბურჟუაზიის ეს შიში და მერყეობა მკაფიოდ აისახა მემარჯვენე გომინდანელების (ისინი ხომ მათი კლასობრივი ინტერესების გამომხატველნი იყვნენ) პოზიციაში.

სუნ იატ-სენის სიკვდილის შემდეგ მემარჯვენე ელემენტები ერთხანს კიდევ ინარჩუნებდნენ ერთიანი ფრონტისადმი ერთგულებას. ანგარიშს უწევდნენ რა საერთო რევოლუციურ აღტყინებას. მაგრამ 1925 წლის მიწურულიდან მათ ხელი მიჰყვეს ძირგამოთხრილ მუშაობას. ერთ-ერთმა მემარჯვენე გომინდანელმა „თეორეტიკოსმა“ დაიძახა ანტიკომუნისტური საზოგადოებაც კი დააარსა გუანჯოუში. მან „კლასობრივი ჰარმონიისა“ და „კლასობრივი ზავის“ ქადაგებაც დაიწყო და ამ მოტივით მკაცრად გაილაშქრა სოფლად და ქალაქად კლასობრივი ბრძოლის წინააღმდეგ. 1925 წლის ნოემბერში მემარჯვენე გომინდანელთა ერთმა ჯგუფმა სიშანის მთაზე (პეკინთან ახლო) სეპარატული შეკრებაც კი მოაწყო და გაილაშქრა კომუნისტებთან თანამშრომლობისა და სუნ იატ-სენის სამი პოლიტიკური საფუძვლის წინააღმდეგ. მათ რიგებში წარმოიშვა „ორ ფრონტზე ბრძოლის“ ლოზუნგი: „მარცხენა ხელი ამართე იმპერიალიზმის გასანადგურებლად, მარჯვენა კი — კომუნისტური პარტიისა“.

1926 წლის გაზაფხულზე მემარჯვენე გომინდანელებმა ერთიანი ფრონტის დაუძინებელი მტრის — ჩან კაი-შის ხელმძღვანელობით (რომელსაც მაშინ ეროვნულ-რევოლუციური არმიის შტაბის უფროსის პოსტი ეჭირა) გადაწყვიტეს განეხორციელებიათ გადატრიალება, რათა ხელში ჩაეგდოთ პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელობა, განედევნათ კომუნისტები არმიიდან და გომინდანიდან.

20 მარტს ჩან კაი-შიმ და მისმა თანამზრახველებმა „კომუნისტური საფრთხისა“ და გომინდანის წინააღმდეგ კომუნისტთა შეთქმულების შესახებ კონტრრევოლუციონერების მიერ გავრცელებული პროვოკაციული ხმების საბაბით გუანჯოუში შემოიღეს სამხედრო წესები. ხელში ჩაიგდეს კრეისერი „სუნ იატ-სენი“ და სხვა სამხედრო გემები, შეიპყრეს ხუანპუს სამხედრო სკოლისა და I ეროვნულ-რევოლუცი-

ური არმიის კომუნისტი და მემარცხენე გომინდანელი მეთაურ-პოლიტმუშაკები, ალყა შემოარტყეს გუანჯოუ-სიაგანის საგაფიცვო კომიტეტისა და სსრკ საკონსულოს შენობას და ჩაიდინეს სხვა ძალადობანი. ამის შემდეგ მათ აიძულეს კომუნისტები წასულიყვნენ არმიის I კორპუსიდან და გომინდანის ხელმძღვანელი ორგანოებიდან. მათი ადგილი მთავრობაში, არმიასა და პარტიის ორგანოებში მემარჯვენე გომინდანელებმა დაიკავეს. ჩან კაი-შის ბრძანებით გადაყენებულ იქნა მემარცხენე გომინდანელთა მთავრობა და მისი ადგილი დაიკავა მემარჯვენე გომინდანელთა მთავრობამ. ცოტა ხნის შემდეგ ჩან კაი-ში გახდა გომინდანის ცენტრალური აღმასკომის თავმჯდომარე და ნაციონალურ-რევოლუციური არმიის მთავარსარდალი.

მაგრამ რევოლუციის აღმავლობის ვითარებაში ეროვნული ბურჟუაზიის მნიშვნელოვან ნაწილს ჯერ კიდევ არ სურდა ჩამოშორებოდა რევოლუციას, გაეთიშა კავშირი მუშათა და გლეხთა მასებთან და საკუთარი გადაბარგებულიყო კონტრრევოლუციის ბანაკში. გადაუწყვეტელი იყო ქვეყნის განთავისუფლებისა და გაერთიანების ამოცანები, მისი გადაწყვეტა კი ხალხის ძალებისა და კომუნისტების დახმარების გარეშე არ შეიძლებოდა. ამიტომ მემარჯვენე გომინდანელები დაკმაყოფილდნენ კომუნისტთა არმიის I კორპუსიდან და გომინდანის ხელმძღვანელი ორგანოებიდან გამოძევებით, მათი გავლენის შესუსტებით და თავიანთი პოზიციების განმტკიცებით გუანჯოუს მთავრობაში, არმიასა და გომინდანის პარტიის რიგებში.

ჩრდილოეთის ლაშქრობა და მასობრივი მოძრაობის აღმავლობა

1926 წლის მაისში გუანჯოუს მთავრობამ და გომინდანის ხელმძღვანელობამ მიიღეს დადგენილება რევოლუციური ლაშქრობის დაწყების შესახებ ჩრდილოეთისაკენ. იგი ჯერ კიდევ სუნ იატ-სენის სიცოცხლეში იყო განზრახული, მაგრამ მისმა სიკვდილმა მისი სისრულეში მოყვანა შეაფერხა. ლაშქრობის უშუალო ამოცანა იყო იმპერიალიზმის აგენტების — მილიტარისტთა ხროვის ბატონობის დამხობა და ქვეყნის გაერთიანება. კომუნისტურმა პარტიამ უაქტიურესი მონაწილეობა მიიღო ჩრდილოეთის ლაშქრობის მომზადებაში. ათასობით კომუნისტით შეივსო იმ არმიის რიგები, რომელსაც უნდა დაეწყო შეტევა გუანდუნის მოსაზღვრე პროვინციებისაკენ[1].

---

[1] ლაშქრობის მომზადებაში განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს სსრკ სამხედრო მრჩეველებმა. ისინი არა მარტო ოფიცერთა და პოლიტმუშაკთა მომზადებაში დაეხმარენ გუანჯოუს მთავრობას, არამედ უშუალო მონაწილეობა მიიღეს ლაშქრობის სამხედრო-სტრატეგიული გეგმის შემუშავებაში. სსრ კავშირმა, ამასთან ერთად, ჩინეთის რევოლუციურ ძალებს გაუწია მორალურ-პოლიტიკური და მატერიალური დახმარება, მიაწოდა იარაღი.

ჩრდილოეთისაკენ ლაშქრობა დაიწყო მაისის ბოლოს, როდესაც ეროვნულ-რევოლუციური არმიის ცალკეული პოლკი კომუნისტ ე ტინის სარდლობით პირველად დაიძრა ხუნანის პროვინციის მიმართულებით. ივნის-ივლისში მას მიჰყვნენ სხვა ნაწილებიც — 8 კორპუსი 100 ათასი მებრძოლის რაოდენობით.

ეროვნულ-რევოლუციური არმია, რომელსაც უდიდესი ენთუზიაზმით ეგებებოდნენ გზაში მშრომელები, სწრაფად მიიწევდა წინ, ძლევდა რა მილიტარისტული ძალების წინააღმდეგობას. ივლისის თვეში იგი დაეუფლა ხუნანის პროვინციის მთავარ ცენტრს ჩანშას, აგვისტოში კი მთელი პროვინცია გაწმინდა მოწინააღმდეგეებისაგან.

სექტემბრის პირველ რიცხვებში ეროვნულ-რევოლუციური არმია გავიდა ჩინეთის დიდ მდინარე იანძიზე და უ პეი-ფუს ჯარებთან მძიმე ბრძოლები გააჩაღა დიდი სამრეწველო და სტრატეგიული ბაზის უხანისათვის (რომელიც სამი ქალაქისაგან: ეჩანი, ხანკოუ და ხანიანისაგან შედგებოდა) და 1926 წლის 10 ოქტომბერს აიღო იგი. ამ ბრძოლებში განსაკუთრებული როლი შეასრულა სახელოვანმა IV კორპუსმა, რომლის ძირითად ბირთვს კომუნისტები და მუშურ-გლეხური ახალგაზრდობა შეადგენდა.

1926 წლის ნოემბერ-დეკემბრის თვეებში ეროვნულ-რევოლუციური არმიის ნაწილებმა სუნ ჩუან-ფანის ჯარებთან შეუპოვარ ბრძოლებში გაათავისუფლეს ძიანსის, ძიანსუს, ანჰოის პროვინციების დიდი ნაწილი. ეროვნულ-რევოლუციური არმიის სხვა ნაწილი დეკემბერში აჯანყებულ გლეხთა დახმარებით დაეუფლა ფუძიანის პროვინციას. ამ გამარჯვებებით ეროვნულ-რევოლუციურ არმიას გზა გაეხსნა ნანკინისა და შანჰაისაკენ. 1926 წლის მიწურულისათვის ეროვნული მთავრობა, რომელმაც 1926 წლის დეკემბრიდან გუანჯოუდან უხანში გადაიტანა თავისი რეზიდენცია, კონტროლს უწევდა სამხრეთი და ცენტრალური ჩინეთის შვიდ პროვინციას (გუანდუნის, გუანსის, გუიჯოუს, ხუნანის, ხუბეის, ძიანსის, ფუძიანის) მრავალი ათეული მილიონი მოსახლეობით. ნანჩანის აღების შემდეგ ჩან კაი-შიმ, უარი განაცხადა რა გადასულიყო უხანში, არმიის მთავარი ბანაკი ნანჩანში გადაიტანა.

ჩრდილოეთის ლაშქრობის დიდმა წარმატებამ ძირეულად შეცვალა ვითარება ჩინეთში რევოლუციის სასარგებლოდ. ახალი ვითარებით კარგად ისარგებლა ფენ იუ-სიანმა, რომელმაც საბჭოთა კავშირისა და ჩ/კ პარტიის დახმარებით ისევ განაახლა აქტიური საომარი მოქმედებები მილიტარისტების წინააღმდეგ[1]. მოკლე დროში მან სას-

---

[1] ამ დროისათვის მასთანაც იმყოფებოდა საბჭოთა სამხედრო მრჩევლების ჯგუფი (პრიმაკოვი, კუზმიჩევი და სხვები).

ტიკი დამარცხებები აგემა მუკდენისა და ჯილის მილიტარისტებს, დამკვიდრდა შენსის პროვინციაში და იქიდან დაიძრა აღმოსავლეთისაკენ ეროვნულ-რევოლუციურ არმიებთან შესაერთებლად. იგი აშკარად გადავიდა გომინდანის მხარეზე და პოლიტიკური განყოფილებებიც კი შექმნა თავის არმიაში.

სახალხო-რევოლუციურმა არმიამ სულ რაღაც 10 თვის განმავლობაში დამარცხება აგემა და გაანადგურა მილიტარისტთა ჯარები, რომლებიც რიცხობრივად ბევრით აღემატებოდნენ მას. მან ქვეყნის ვრცელ ტერიტორიაზე ძძლავრი დარტყმა მიაყენა იმპერიალიზმისა და ფეოდალური რეაქციის ძალებს და შორს გადასწია რევოლუციის საზღვრები.

ჩრდილოეთის ლაშქრობის პროცესში ეროვნულ-რევოლუციური არმიის მიერ მოპოვებული ბრწყინვალე წარმატებები შემთხვევითი არ ყოფილა. იგი იყო ხალხის არმია, რომელიც იბრძოდა ლოზუნგებით: „ძირს იმპერიალიზმი“, „ძირს მილიტარიზმი“! მის რიგებში იბრძოდა ათასობით ისეთი უშიშარი კომუნისტი, როგორიც იყო ე ტინი. როგორც მებრძოლები, ისე განთავისუფლებული პროვინციების ფართო მასები პატრიოტულ-რევოლუციური სულისკვეთებით იყვნენ გაჟღენთილი. ამან განაპირობა მათი საბრძოლო სოლიდარობა და განმათავისუფლებელი არმიისადმი მოსახლეობის აქტიური მხარდაჭერა. რკინიგზელი მუშები თავიანთი გმირული შრომით ხელს უწყობდნენ არმიის წინსვლას, მისი ნაწილების გადაყვანას რკინიგზებით. ათასობით მუშა და გლეხი სთავაზობდა არმიას თავის სამსახურს მზვერავების, მზიდავების, გამყოლების, სანიტრების, სანგრების მშენებელთა სახით.

ეროვნულ-რევოლუციური არმიის ძლევამოსილმა წინსვლამ ჩრდილოეთისაკენ, თავის მხრივ, უდიდესი ბიძგი მისცა მუშათა და გლეხთა ბრძოლის აღმავლობას განთავისუფლებულ რაიონებში და გააძლიერა მშრომელთა საბრძოლო აღტყინება.

მოკლე დროში უხანის სამივე ქალაქის 200 ათასი მუშა გაერთიანდა პროფესიულ კავშირებში. მათი ხელმძღვანელობით მუშებმა მოაწყეს ათეული გაფიცვა, რის შედეგადაც უცხოელი და ჩინელი მეწარმეები იძულებული გახდნენ გაედიდებინათ მათი ხელფასი და შეემცირებინათ სამუშაო დღე. ასეთივე ამბებს აქვს ადგილი ჩანშაში, ნანჩანში, ფუძიანის პროვინციის ნავსადგურებსა და სხვა ქალაქებში.

1927 წლის იანვრის პირველ რიცხვებში იმპერიალისტთა პროვოკაციების პასუხად ხანკოუს მუშებმა ხელთ იგდეს ინგლისელთა კონცესია. იგივე განმეორდა ქალაქ ძიუძიანში. ინგლისელი კოლონიზატორები იძულებული იყვნენ დათმობაზე წასულიყვნენ და აღნიშნული

კონცესიები თავიანთი ნამდვილი პატრონებისათვის — ჩინელებისათვის დაებრუნებიათ. ამ პერიოდის მუშათა მოძრაობის ბრწყინვალე ფურცელი იყო შანჰაის მუშათა აჯანყება 1927 წლის 22 თებერვალს. მართალია, არასათანადო მომზადების გამო აღნიშნული აჯანყება დროებით მარცხით დამთავრდა, მაგრამ მას მაინც ღიდი მნიშვნელობა ჰქონდა. აჯანყების გამოცდილება და გაკვეთილები ჯეროვნად იქნა გამოყენებული და მარტის თვიდან შანჰაის პროლეტარიატი გაორკეცებული ენერგიით შეუდგა ახალი აჯანყების მომზადებას.

მუშათა მოძრაობის კვალდაკვალ იზრდებოდა და ვითარდებოდა გლეხთა მოძრაობაც. განსაკუთრებით ღიდი გაქანება მიიღო ჰან ხუნანის პროვინციაში, სადაც წინა წლებში იყო მომზადებული საამისო ნიადაგი. სულ ჩრდილოეთის ლაშქრობის დაწყებამდე გლეხთა კავშირებში 980 ათასი გლეხი იყო გაერთიანებული, 1937 წლისათვის კი მათი რიცხვი 9 მილიონამდე გადიდდა. მარტო ხუნანის პროვინციის გლეხთა კავშირები 2 მილიონ წევრს ითვლიდა, ხუბეიში — 800 ათასს. გლეხთა კავშირები თავის მხრივ ქმნიდნენ შეიარაღებულ რაზმებს, რომლებიც შიშის ზარს სცემდნენ ჰემამულეებს.

შანჰაის მუშათა გმირული აჯანყება. იმპერიალისტურ სახელმწიფოთა ინტერვენცია

შანჰაის მუშათა 1927 წლის თებერვლის გმირული აჯანყება, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჩახშობილ იქნა მილიტარისტ სუნ ჩუან-ფანისა და იმპერიალისტთა შეერთებული ძალებით. აჯანყებულთა მიმართ აშკარა გამცემლური როლი შეასრულა ჩან კაი-შიმ, რომელსაც არ უნდოდა ესარგებლა კომუნისტური პარტიის გავლენის ქვეშ მყოფ მშრომელთა გამარჯვების ნაყოფით, თანაც სურდა უთანასწორო ბრძოლაში მათი სისხლიდან დაცლა, შეგნებულად შეაჩერა ეროვნულ-რევოლუციური არმიის წინსვლა შანჰაისაკენ.

აღნიშნული დამარცხების მიუხედავად შანჰაის მუშათა კლასმა 1927 წლის 21 მარტს, როდესაც ეროვნულ-რევოლუციური არმიის ნაწილები ქალაქს მიუახლოვდნენ, პროფკავშირთა გენერალური საბჭოს მოწოდებით ისევ გამოაცხადა საყოველთაო გაფიცვა, რომელშიაც 800 ათასმა მშრომელმა მიიღო მონაწილეობა. საყოველთაო გაფიცვა სულ მალე გადაიზარდა მესამე, ამჯერად ძლევამოსილ შეიარაღებულ აჯანყებაში. 22 მარტს აჯანყებულებმა 28—30 საათის გააფთრებული ქუჩის ბრძოლების შემდეგ გაწმინდეს ქალაქი (საერთაშორისო სეტლმენტისა და საფრანგეთის კონცესიის გამოკლებით) მილიტარისტთა ჯარებისაგან და დაუფლენ მას. შანჰაის მისადგომებთან მებრძოლ ჩან კაი-შის არმიას არც ამჯერად გაუწვდია დახმარების ხელი აჯანყებული მუშებისათვის. მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც კონტრრევოლუციის უკანასკნელი რაზმები გაძევებულ იქნენ

შანჰაიდან და იგი მშრომელთა ხელში გადავიდა, ქალაქში შევიდნენ ეროვნულ-რევოლუციური არმიის საგანგებოდ შერჩეული, ჩან კაი-შის საიმედო ნაწილები. მშრომელები სრული ნდობით და სიხარულით შეეგებნენ ქალაქში შესულ არმიის ნაწილებს. მათ არაფერი იცოდნენ იმ ვერაგული შეთქმულების შესახებ, რასაც ამზადებდნენ მემარჯვენე გომინდანელები ჩან კაი-შის ხელმძღვანელობით.

ერთი დღის შემდეგ ეროვნულ-განმათავისუფლებელი არმიის სხვა შენაერთებმა, რომლებიც უხანიდან იყვნენ გაგზავნილი, მედგარი ბრძოლით გაათავისუფლეს ჩინეთის მეორე დიდი ქალაქი და კულტურული ცენტრი ნანკინი.

ჩან კაი-შის კონტრ-რევოლუციური გადატრიალება

ჩინელი ხალხის განმათავისუფლებელი რევოლუციით შეშფოთებულმა იმპერიალისტებმა შენიღბული ინტერვენციიდან აშკარა ინტერვენციაზე აიღეს გეზი. მათ ჩინეთის ნაპირებთან თავი მოუყარეს 170-მდე სამხედრო გემს. 1927 წლის 24 მარტს კი ინგლის-ამერიკის სამხედრო გემებმა სროლა აუტეხეს ნანკინს (მილიტარისტთა აგენტების მიერ უკან დახევის დროს პროვოკაციულად რამდენიმე უცხოელის მოკვლის საბაბით). ამ ბარბაროსული ბომბარდირების შედეგად დაიხოცა და დაიჭრა ორი ათასზე მეტი კაცი. იმპერიალისტთა ეს გაშიშვლებული აგრესიული აქტი მიზნად ისახავდა ჩინელი ხალხის ფართო ფენების დაშინებას და ეროვნულ ბურჟუაზიაზე, მემარჯვენე გომინდანელებზე ზემოქმედების მოხდენას, რათა ისინი კონტრრევოლუციის ბანაკში გადაბარგებულიყვნენ.

იმპერიალისტი მოძალადეები ამასაც არ დასჯერდნენ. მათ დაიწყეს ფლოტისა და სადესანტო ნაწილების თავმოყრა საოპერაციო ბაზებში, თანაც 11 აპრილს ერთობლივი ულტიმატუმი წაუყენეს უხანის ეროვნულ მთავრობას, რომლითაც მოითხოვდნენ „დამნაშავეთა“ დასჯას, ბოდიშის მოხდას, „მიყენებული ზარალისათვის“ კომპენსაციის გადახდას და ვალდებულებას, რომ მომავალში არ განმეორდებოდა ანტიიმპერიალისტური გამოსვლები.

იმპერიალისტთა თავხედურმა გამოსვლებმა და მზარდმა დაწოლამ სათანადო გავლენა მოახდინა ჩინეთის ბურჟუაზიულ-მემამულურ წრეებზე. რევოლუციის დიდი გაქანებითა და მუშურ-გლეხური მოძრაობის არნახული წარმატებით დაშინებულმა ამ ექსპლოატატორულმა წრეებმა ერთიანი ფრონტის დარღვევასა და რევოლუციის დამუხრუჭებაზე აიღეს გეზი. მერყეობამ და შიშმა მოიცვა წვრილბურჟუაზიული წრეებიც.

კლასობრივი ბრძოლის შემდგომი გამწვავების პირობებში კომუნისტური პარტიის ოპორტუნისტული ხელმძღვანელობა კვლავინდებურად განაგრძობს ეროვნული და ქალაქის წვრილი ბურჟუაზიისადმი

კომპრომისებისა და დათმობების პოლიტიკას. იგი შეგნებულად ბოჭავს მშრომელთა რევოლუციურ ძალებს, მუშათა მოძრაობას ბრალს დებს „უკიდურესობებში“ და ხელს უშლის გლეხთა მილიონების ანტიფეოდალურ ბრძოლას. იგი არ იბრძვის არმიის რიგებში კომუნისტთა გავლენის გაზრდისათვის, უგულებელყოფს მუშათა და გლეხთა მებრძოლი რაზმების ხარჯზე კომუნისტური პარტიის უშუალო ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფი რევოლუციური შეიარაღებული ძალების შექმნას. ამან დიდი ზიანი მიაყენა მშრომელთა საქმეს და მტრების წისქვილზე დაასხა წყალი.

ჩინელი ხალხის შინაგანმა და გარეშე მტრებმა თავიანთ მოკავშირედ და რევოლუციისათვის მახვილის ჩაცემისათვის იარაღად გამოიყენეს გომინდანის მემარჯვენე ელემენტები და მისი ხელმძღვანელი ჩან კაი-ში.

1927 წლის აპრილისათვის ჩან კაი-შის ხელში იყო შანჰაი, ნანკინი და სხვა მსხვილი სამრეწველო-პოლიტიკური ცენტრები, არმიის სადაგეები. ეროვნულ-რევოლუციური არმიის შტაბის ადგილსამყოფელი ქალაქი ნანჩანი მან აქცია უხანის მთავრობისადმი მტრულად განწყობილი კონტრრევოლუციური ძალების—მემარჯვენე გომინდანელების, ფეოდალურ-კომპრადორული წრეების, საეჭვო პოლიტიკანებისა და მილიტარისტული არმიებიდან გამოქცეული ოფიცრობის შემკრებ პუნქტად. ჩრდილოეთისაკენ ლაშქრობის პროცესში ჩან კაი-შიმ არმიის რიგები შეავსო „ნებაყოფლობით დანებებული“ მილიტარისტული დივიზიებით ძველი გენერლებით სათავეში. ამან შეცვალა ეროვნულ-რევოლუციური არმიის სოციალური შემადგენლობა და გახადა იგი (კერძოდ ძველი კორპუსები) პატივმოყვარე მთავარსარდლის საიმედო საყრდენად.

მართალია, 1927 წლის მარტში რევოლუციურ-დემოკრატიული საზოგადოებრიობის მოთხოვნით გომინდანის ცაკ-ის პლენუმმა გაათავისუფლა პირადი დიქტატურისაკენ მლტოლველი ჩან კაი-ში გომინდანის ცაკ-ის მუდმივი კომიტეტისა და სამხედრო საბჭოს თავმჯდომარის პოსტებიდან, მაგრამ ამას მნიშვნელოვნად არ შეურყევია მისი პოზიცია. პირიქით, ამან უფრო გააძლიერა რევოლუციისადმი მისი ძირგამომთხრელი საქმიანობა და დააჩქარა აშკარა ღალატის აქტის მომზადება.

ნანკინის ბომბარდირება და იმპერიალისტთა მომდევნო თავხედური ულტიმატუმი ჩან კაი-შისა და მემარჯვენე გომინდანელების აშკარა გამოსვლის საბაბი გახდა. რევოლუციის „დამცველის“ მყვირალა ფრაზებით ჩან კაი-შიმ მოახერხა რევოლუციური მასების სიფხიზლის მოდუნება, თავისი აგენტებით ფარული კავშირი გაბა იმპერიალისტებთან და მსხვილ კომპრადორებთან. ამ უკანასკნელებმა

მას აღუთქვეს ყოველგვარი დახმარება და ფინანსური მხარდაჭერა მის „კეთილშობილურ წამოწყებაში".

ამის პარალელურად მან „სტრატეგიული მოსაზრებებით" შანჰაიდან და ნანკინიდან გაიყვანა და იანძის ჩრდილოეთით გადაისროლა რევოლუციურად განწყობილი მე-2 და მე-6 კორპუსები, რომლებიც საიმედო ნაწილებით შეცვალა. დაბოლოს, იმპერიალისტებისა და შანჰაელ კომპრადორ-ბანკირთა მეშვეობით მან მოამზადა ასობით თავისი აგენტი-ბანდიტები, რომლებიც მუშურ ტანისამოსში გადაცმულნი შეგზავნა შანჰაიში პროვოკაციების მოსაწყობად[1].

ასე თანდათანობით მოამზადა მან კონტრრევოლუციური გადატრიალება. 1927 წლის 12 აპრილს ჩან კაი-შის ფარული მითითებით მისი აგენტები—შეიარაღებული ბანდიტები შეიჭრნენ შანჰაის ჩინურ ნაწილში, მოულოდნელად თავს დაესხნენ პროფკავშირების შენობას და მუშათა თავდაცვითი რაზმების შტაბს და სროლა აუტეხეს მათ. მალე „წესრიგის" დამყარების საბაბით იქვე გაჩნდნენ ჩან კაი-შის ერთგული ჯარის ნაწილები, რომელთაც დაიწყეს მუშათა რაზმების განიარაღება. ჩან კაი-შის ამ ვერაგული საქციელით აღშფოთებულმა მუშებმა და მოსწავლე სტუდენტობამ მასობრივი საპროტესტო მიტინგები და დემონსტრაციები მოაწყეს, პროფკავშირთა გენსაბჭოს მოწოდებით კი 200 ათასზე მეტმა მუშამ საყოველთაო გაფიცვა გამოაცხადა. ამის პასუხად, ჩან კაი-შის ბრძანებით, წინასწარ გამზადებულმა ჯარმა ტყვიამფრქვევებით სროლა აუტეხა მათ და უმოწყალოდ დახვრიტა ისინი.

ამის შემდეგ დაიწყო გამხეცებული კონტრრევოლუციის ველური ორგიები — მუშათა მასობრივი დატუსაღებები, მათი ორგანიზაციების აწიოკება, გაფიცულთა დარბევები და გაუსამართლებელი დახვრეტები, რაც რამდენიმე კვირის განმავლობაში გრძელდებოდა. სულ აპრილის ბოლომდე ქალაქში მოკლულ იქნა ხუთი ათასამდე მშრომელი, დაჭრილთა და უგზო-უკვლოდ დაკარგულთა რიცხვმა ორ ათეულ ათასს გადააჭარბა, დატუსაღებულ მუშათა რაოდენობამ — 35 ათასს. სისხლიანი ტერორით პარალიზებული საყოველთაო გაფიცვა შეწყდა.

შანჰაის სისხლიანი ამბების შემდეგ ასეთივე კონტრრევოლუციური გადატრიალებები, კომუნისტთა მასობრივი ხოცვა, მუშათა და გლეხთა რევოლუციური ორგანიზაციების დარბევები მოხდა გუანდუნის, ფუძიანის, ძიანსუს, ჩეძიანის, გუიჯოუს... პროვინციებში. მშრომელთა სისხლიანი ჯალათის ჩან კაი-შის მსხვერპლი გახდა მუშათა კლასისა

---

1 ამ ბანდების მომზადება დააფინანსა მსხვილმა შანჰაელმა ბანკირ-კომპრადორმა დუ იუე-შენმა. მანვე მათთვის ინგლისელ-ამერიკელ იმპერიალისტებისაგან მიიღო 5000 თოფი და საჭირო ტყვია-წამალი.

და კომუნისტური პარტიის ათასობით აქტივისტი და გამოჩენილი ხელმძღვანელი.

მილიტარისტ ჯან ძო-ლინის ბრძანებით აპრილის ბოლოს პეკინში სიკვდილით დასაჯეს კომუნისტური პარტიის 25 აქტიური მუშაკი, მათ შორის კომუნისტური პარტიის ერთ-ერთი დამაარსებელი, გამოჩენილი მარქსისტი პროფესორი, დიდი პატრიოტი და მოქალაქე ლი და-ჯაო. იმავე ჯან ძო-ლინის მითითებით მოეწყო ბანდიტური თავდასხმა საბჭოთა საელჩოზე, რასაც მოჰყვა საელჩოს პერსონალის გაწვევა სსრ კავშირში.

18 აპრილს ჩან კაი-შიმ ნანკინში შექმნა კონტრრევოლუციური „ეროვნული მთავრობა", რითაც დაუპირისპირდა უხანის ეროვნულ მთავრობას და, ამგვარად, შექმნა ახალი კონტრრევოლუციური ცენტრი.

1927 წლის 12 აპრილის კონტრრევოლუციური გადატრიალება ნიშნავდა ეროვნული ბურჟუაზიის დიდი ნაწილის ჩამოშორებას რევოლუციისაგან, მის გადასვლას კონტრრევოლუციის ბანაკში, კომპრადორებთან, ფეოდალ-მემამულეებთან და იმპერიალისტ-კოლონიზატორებთან ბლოკის შეკვრას. ამიერიდან მემარჯვენე გომინდანელები და მათი ხელმძღვანელი ჩან-კაიში ჩინელი ხალხის უბოროტესი მტრები გახდნენ, ნანკინის „ეროვნული" მთავრობა კი ფეოდალთა და კომპრადორთა კონტრრევოლუციურ დიქტატურად იქცა.

რევოლუციური ბრძოლა ცენტრალურ ჩინეთში

ჩან კაი-შის კონტრრევოლუციური გადატრიალება ჯერ კიდევ არ ნიშნავდა რევოლუციის სრულ დამარცხებას. უხანის მთავრობა, რომელიც ემყარებოდა მუშათა კლასის, გლეხობისა და ქალაქის წვრილი ბურჟუაზიის ერთიან ფრონტს, განაგრძობდა არსებობას. იგი კონტროლს უწევდა საკმაოდ ვრცელ ტერიტორიას — ხუნანის, ხუბეისა და ძიანსის პროვინციებს. მემარცხენე გომინდანელებთან ბლოკის შენარჩუნებისა და უხანის მთავრობის საქმიანობაზე საჭირო გავლენის მიზნით კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გამოყო თავისი ორი წარმომადგენელი ამ მთავრობაში მონაწილეობის მისაღებად...

უხანის მთავრობის სამოქმედო ტერიტორიაზე, მილიტარისტული ხროვისა და ჩან კაი-შის კონტრრევოლუციური ჯარებით მისი გარემოცვით გამოწვეული სერიოზული სიძნელეების მიუხედავად, იზრდება, ფართოვდება და ახალ წარმატებებს აღწევს მუშათა და გლეხთა მოძრაობა. 1927 წლის ზაფხულისათვის რევოლუციური პროფკავშირების წევრ მუშათა რიცხვმა 3 მილიონს გადააჭარბა (მათი დიდი ნაწილი დასახელებულ 3 პროვინციაზე მოდიოდა). მუშათა მოძრაობის ძირითად მოთხოვნებად უხანის ტერიტორიაზე იქცა რევოლუციური ხელისუფლების შექმნა, ნაციონალიზირებული საწარმოების მართვაში

მონაწილეობის მიღება, კაპიტალისტურ საწარმოებსა და სავაჭროებზე კონტროლის დაწესება და ა. შ. გლეხთა მოძრაობის დიდ წარმატებაზე მეტყველებს გლეხთა კავშირების წევრთა რიცხვის 10 მილიონამდე გადიდება, გლეხთა შეიარაღებული თავდაცვითი რაზმების რიცხვის შეუჩერებელი ზრდა: მარტო ხუნანის პროვინციაში გლეხთა კავშირებში გაერთიანებული იყო 5 მილიონი კაცი, გლეხთა თავდაცვით რაზმებში — 100 ათასი.

ჩინეთის კომუნისტური პარტია, რომლის საქმიანობის ძირითად ცენტრად ამ ეტაპზე ქალაქი უხანი გახდა, განაგრძობდა გმირულ ბრძოლას და რევოლუციური ძალებისათვის ხელმძღვანელობას. ჩენ დუ-სიუსა და მისი მიმდევრების ოპორტუნისტული ხელმძღვანელობის მიუხედავად, 1927 წლის მაისში უხანში ჩატარდა ჩინეთის კომუნისტური პარტიის V ყრილობა, რომლის მუშაობაში მონაწილეობას იღებდა 80 დელეგატი. ყრილობამ სახელმძღვანელოდ მიიღო კომუნისტური ინტერნაციონალის თეზისები ჩინეთის შესახებ, რომელშიაც მოცემული იყო ჩინეთის რევოლუციის მარქსისტულ-ლენინური ანალიზი. მან დაგმო ჩენ დუ-სიუს მემარჯვენე ოპორტუნისტული ხაზი და მიიღო რეზოლუცია მსხვილ მემამულეთა მიწების კონფისკაციისა და მუშათა და გლეხთა მოძრაობის განვითარების შესახებ. ყრილობამ სერიოზული შეცდომა დაუშვა, როცა ჯეროვნად არ შეაფასა ჩენ დუ-სიუს ოპორტუნიზმი, ენდო მის „პატიოსან“ სიტყვას, რომ მხედველობაში მიიღებდა კრიტიკას და გარდაქმნიდა მუშაობას და ისევ აირჩია იგი პარტიის ცკ გენერალურ მდივნად. ამან საშუალება მისცა მას შეენარჩუნებინა გაბატონებული მდგომარეობა პარტიის ხელმძღვანელ ორგანოებში, უგულებელეყო კომინტერნის მითითება, საბოტაჟი გაეწია ყრილობის სამართლიანი კრიტიკისათვის და განეგრძო კაპიტულანტური ხაზი.

კონტრრევოლუციური გადატრიალება უხანში

ჩენ დუ-სიუსა და მისი მიმდევრების კაპიტულანტურმა შეცდომებმა შეაფერხა რევოლუციის შემდგომი განვითარება. მუშათა კლასისა და გლეხობის რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურის შესაძლებლობა განუხორციელებელი დარჩა. ამით კარგად ისარგებლეს უხანის მთავრობისა და არმიის შენიღბულმა კონტრრევოლუციურმა ელემენტებმა, რომლებიც ჩან კაი-შის კვალს მიჰყვნენ.

უხანის მთავრობის მეთაურმა, ჩან კაი-შის შენიღბულმა თანამზრახველმა, მემარცხენე გომინდანელმა ვან ძინ-ვეიმ და მისმა მომხრე მინისტრებმა, აგრეთვე მემარცხენე გომინდანელებმა სუნ ფომ[1] და სუნ ძი-ვენმა რევოლუციის საქმისათვის ღალატის საბაბად გამო-

---

[1] სუნ ფო სუნ იატ-სენისა და სუნ ცინ-ლინის შვილი იყო.

იყენეს „მუშათა და გლეხთა მოძრაობის“ თითქოსდა უკიდურესობანი. თქმა არ უნდა, წვრილი ბურჟუაზია, რომლის ინტერესებსაც გამოხატავდნენ მემარცხენე გომინდანელები, სერიოზულად დააშინა მშრომელთა გაზრდილმა აქტივობამ, აგრარული რევოლუციის დიდმა გაქანებამ, მან განიცადა კონტრრევოლუციურ ბანაკში გადაბარგებული ეროვნული ბურჟუაზიის სერიოზული დაწოლა და აღნიშნულის შედეგად რეაქციისაკენ გადაიხარა.

1927 წლის 17 მაისს უხანის არმიის ერთ-ერთი დივიზიის მეთაურმა სია დიუ-ინმა ქალაქ იჩანში აშკარად უღალატა რევოლუციას, აუჯანყდა უხანის მთავრობას და გაილაშქრა უხანის წინააღმდეგ. 21 მაისს ჩანშაში კონტრრევოლუციური გადატრიალება მოახდინა ერთ-ერთი პოლკის უფროსმა სიუი კე-სიანმა. მან გარეკა პროფკავშირები. დაარბია გლეხთა კავშირები, აკრძალა ყველა რევოლუციური ორგანიზაცია და ველური ტერორი გააჩაღა კომუნისტების წინააღმდეგ. თეთრმა ტერორმა მოიცვა მთელი ხუნანის პროვინცია და უდიდესი დარტყმა მიაყენა მუშათა და გლეხთა მოძრაობას, კომუნისტურ პარტიას. სულ რაღაც 20 დღის განმავლობაში ჩანშასა და მის შემოგარენ მაზრებში გაჟლიტეს 10 ათასამდე კომუნისტი და რევოლუციის აქტიური მონაწილე. ივნისის დასაწყისში იგივე განმეორდა ნანჩანსა და ძიანსის პროვინციის სხვა ცენტრებში, ივნისში ჩან კაი-შის მხარეზე გადავიდა გენერალი ფენ იუ-სიანი. დადგა რევოლუციის შემდგომი ყოფნა-არყოფნის საკითხი. ასეთ კრიტიკულ ვითარებაში კომუნისტური პარტიის მემარჯვენე ოპორტუნისტული ხელმძღვანელობა, მასების საბრძოლო დარაზმვისა და გათავხედებული კონტრრევოლუციის წინააღმდეგ ენერგიული მოქმედების ნაცვლად, განაგრძობდა რეაქციისა და კონტრრევოლუციის წინაშე კაპიტულაციის მავნე პოლიტიკას.

გომინდანელი გენერლების კონტრრევოლუციურმა გამოსვლებმა უხანის ტერიტორიაზე და რევოლუციის მტრებისადმი დათმობების იმ პოლიტიკამ, რასაც ატარებდა კომუნისტური პარტიის ოპორტუნისტული ხელმძღვანელობა—ჩე დუ-სიუ, ხელ-ფეხი გაუხსნა გომინდანის უხანის ჯგუფის ლიდერებს, რომლებიც აგრეთვე რევოლუციის აშკარა ღალატის გზაზე დადგნენ.

ივლისის პირველ რიცხვებში უხანის მთავრობამ დახურა პროფკავშირთა გენერალური საბჭო, აკრძალა სხვა რევოლუციური ორგანიზაციები, განაიარაღა მუშათა რაზმები და გააჩაღა დამსჯელი ოპერაციები გლეხთა მოძრაობის წინააღმდეგ. 15 ივლისს უხანის მთავრობასა და გომინდანის პარტიის ხელმძღვანელებმა, მხედრიონთან ფარული შეთანხმების შემდეგ, აშკარად გაილაშქრეს კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ. გარიცხეს კომუნისტები გომინდანიდან და დაიწყეს მათგან არმიის, აპარატისა და პარტიის ორგანოების მასობრივი „წმენ-

და". ჩან კაი-შის მსგავსად უხანელმა გომინდანელებმა ხელი მიჰყვეს სისხლიან ტერორს მუშებისა და გლეხების კომუნისტური პარტიის აქტივისტებისა და ყველა რევოლუციონერის წინააღმდეგ. ეროვნული ბურჟუაზიის ის ნაწილი და წვრილი ბურჟუაზიის ზედაფენა, რომელიც უხანის მთავრობას უჭერდა მხარს, კონტრრევოლუციის ბანაკში გადაბარგდა. უხანიც კონტრრევოლუციის ერთ-ერთი საყრდენი ბაზა გახდა. ამიერიდან გომინდანი მთლიანად იქცა ანტიხალხურ, კონტრრევოლუციურ პარტიად, სადაც გაბატონებულ როლს კომპრადორები, მემამულეები და ეროვნული ბურჟუაზიის ზედაფენა ასრულებენ[1]. ერთიანი ფრონტი საბოლოოდ დაიშალა.

1924—1927 წლების რევოლუციის მნიშვნელობა და შედეგები

ამგვარად, ჩინეთის 1924—1927 წლების რევოლუციამ მარცხი განიცადა. მის წინაშე მდგარი ამოცანები — ჩინეთში ფეოდალიზმისა და იმპერიალიზმის ბატონობის დამხობა — გადაუწყვეტელი დარჩა. ძალთა არახელსაყრელი თანაფარდობა, რომელიც შეიქმნა 1927 წლის გაზაფხულისათვის — იმპერიალიზმისა და შინაგანი რეაქციის ერთიანი ფრონტის სიძლიერე რევოლუციის ძალებთან შედარებით, ეროვნული ბურჟუაზიისა და ქალაქის წვრილი ბურჟუაზიის ზედაფენის ღალატი, კომუნისტური პარტიის მაშინდელი ხელმძღვანელობის მემარჯვენე ოპორტუნისტულ-კაპიტულანტური პოლიტიკა — აი რა იყო აღნიშნული რევოლუციის დამარცხების მიზეზები.

1924—1927 წლების რევოლუციას, რევოლუციური ძალების დროებითი დამარცხების მიუხედავად, დიდი ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა.

მან სავსებით განსაზღვრა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ხასიათი და მიმართულება — ანტიფეოდალური და ანტიიმპერიალისტური თავისი შინაარსით; გააფართოვა რევოლუციის ბაზა, რელიეფურად გამოავლინა რევოლუციის პროცესში დაშვებული შეცდომები და ნიღაბი ჩამოხადა ჩინელი ხალხის მტრებს. მისმა გაკვეთილებმა და მდიდარმა გამოცდილებამ ჩინელ ხალხს მომავალ ბრძოლებში გამარჯვების ჭეშმარიტი გზა უჩვენა, განამტკიცა და ბრძოლებში გამოაწრთო ჩ/კომუნისტური პარტია.

ეროვნული პროლეტარიატის ძალების შემდგომი შემჭიდროება, მისი საბრძოლო სულის ამაღლება და რევოლუციაში ჰეგემონობის მტკიცედ მოპოვება 1924—1927 წლების რევოლუციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შედეგ იყო.

---

[1] სუნ ცინ-ლინმა და გომინდანის სხვა პროგრესულმა მოღვაწეებმა მკაცრი პროტესტი განაცხადეს გომინდანის კონტრრევოლუციურ ბანაკში გადაბარგების გამო და გამოვიდნენ პარტიის ცკ და მთავრობის შემადგენლობიდან.

აღნიშნულმა რევოლუციამ დაადასტურა, რომ რევოლუციის ძლევამოსილი განვითარება შეიძლება მხოლოდ ყველა რევოლუციური კლასის ერთიანი ეროვნული ფრონტის შექმნით, რომელსაც რევოლუციური მუშათა კლასი უნდა ედგეს სათავეში; რომ მხოლოდ მუშათა კლასს შეუძლია წარმატებით უხელმძღვანელოს რევოლუციას და გამარჯვებით დააგვირგვინოს იგი. რევოლუციის გამოცდილებამ ცხადყო, რომ რევოლუციური ბრძოლის მთავარ ფორმას ჩინეთში წარმოადგენს შეიარაღებული ბრძოლა.

1927—1937 წლების სამოქალაქო ომი

ჩინეთი რევოლუციის დროებითი დამარცხების შემდეგ. გომინდანის ხელისუფლების ხასიათი

1924—1927 წლების რევოლუციამ დროებით მარცხი განიცადა. ჩინელი ხალხის წინაშე მდგარი დიდი ამოცანები გადაუწყვეტელი დარჩა. ჩინეთი ისევ დარჩა ნახევრად კოლონიურ, ნახევრად ფეოდალურ ქვეყნად. მართალია, განმათავისუფლებელმა ომმა გამანადგურებელი ლახვარი ჩასცა ჩინეთში მოთარეშე მილიტარისტებს და ბოლო მოუღო მათ ბატონობას, მაგრამ ამას არ მოჰყოლია ქვეყნის ჭეშმარიტი გაერთიანება. მათი ადგილი დაიკავა რეაქციულმა გომინდანმა, რომელმაც ჩან კაი-შის ხელმძღვანელობით ანტიხალხური სამხედრო-დიქტატორული რეჟიმი დაამყარა. იგი დაუკავშირდა იმპერიალიზმს და კომპრადორული ბურჟუაზიისა და მემამულეების მსახური გახდა.

1928 წლის ივნისში გომინდანის ჯარებმა დაიკავეს პეკინი; იმავე წლის დეკემბერში კი გომინდანელთა ხელისუფლება ნებაყოფლობით იცნო დუნბეის (ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთის) მმართველმა, ჯან ძო-ლინის შვილმა ჯან სუე-ლიანმა[1]. ამით ფორმალურად დამთავრდა ბრძოლა ჩინეთის გაერთიანებისათვის. ნანკინის გომინდანური მთავრობა ფორმალურად „ეროვნულ“, საერთო ჩინურ მთავრობად იქცა, ნანკინი კი — ჩინეთის დედაქალაქად[2].

ნანკინის მთავრობასა და გომინდანის პარტიაში ხელმძღვანელი როლი დაიკავეს ჩან კაი-შის თანამზრახველებმა, უკიდურესი მემარჯვენე-რეაქციული ელიტის წარმომადგენლებმა. მასებში პოპულარობის შენარჩუნებისათვის ისინი სუნ იატ-სენის ერთგულ მოწაფეებად

---

1 მანჯურიის (დუნბეის) ყოფილი დიქტატორი მილიტარისტი ჯან ძო-ლინი, რომელმაც ბოლომდე ვერ გაამართლა იაპონელ იმპერიალისტთა იმედები, თვითონ იაპონელებმა მოიცილეს თავიდან მისი პირადი მატარებლის აფეთქების გზით (1928 წლის ივნისში).

2 გომინდანური კონტრრევოლუციის ბატონობა ჩინელ ხალხზე იურიდიულად გაფორმდა ანტიხალხური კონსტიტუციის მიღებით.

და მისი სამი ხალხური პრინციპის ქომაგებად აცხადებდნენ თავს. სინამდვილეში კი მათ უსინდისოდ უღალატეს დიდი მასწავლებლის ანდერძს.

იმპერიალისტური სახელმწიფოები ღრმა კმაყოფილებით შეეგებნენ ჩინეთში მომხდარ ცვლილებებს. 1928 წლის ივლისში აშ შტატებმა პირველმა იცნო ნანკინის მთავრობა და დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა მასთან; 1929 წელს მის კვალს მიჰყვნენ იაპონია, გერმანია, იტალია და სხვები. განსაკუთრებით „გულთბილი“ ურთიერთობა დაამყარა ნანკინის მთავრობასთან აშ შტატებმა. ამ ქვეყნის მმართველმა წრეებმა გადაწყვიტეს ფინანსური და სხვა დახმარება აღმოეჩინათ ჩან კაი-შის მთავრობისათვის და მაქსიმალურად ესარგებლათ შექმნილი ხელსაყრელი პირობებით ამერიკელ მონოპოლიათა ინტერესებისათვის. სხვა იმპერიალისტურმა ქვეყნებმაც, უცხოურმა კაპიტალმა კარგად ისარგებლეს ჩინელი ხალხის განმათავისუფლებელი ბრძოლის დროებითი დამარცხებით და აქტიურად შეუდგნენ საკუთარი ეკონომიური და პოლიტიკური პოზიციების გაფართოებას.

იმპერიალისტურ სახელმწიფოებს შეეძლოთ მშვიდად ეცქირათ მომავლისთვისაც. ის რეაქციული ძალები, რომლებმაც ხელთ იგდეს ძალაუფლება, ხალხის წინააღმდეგ მოქმედებაში საჭიროებდნენ მათ მხარდაჭერასა და „მეგობრობას“. ჩან კაი-შის ტიპის ახალი მილიტარისტების გვერდით „გაერთიანებულ“ ჩინეთში დიდი გავლენით სარგებლობენ ძველი მილიტარისტები — ჯან სუე-ლიანი, იან სი-შანი და სხვები, რომლებიც ისევ დარჩნენ უცხოელი მოძალადეების მსახურები და აგენტები. ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ ნანკინის მთავრობასა და გომინდანის პარტიაში გაბატონებული როლი მოიპოვა საერთო ეკონომიური და პოლიტიკური ინტერესების მქონე, ნათესაური კავშირით შეკრულმა მმართველი ელიტის რამდენიმე ცნობილმა პირმა. მათ ხელთ იგდეს ყველაზე მნიშვნელოვანი თანამდებობები მთავრობაში, პარტიასა და არმიაში და თავიანთი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით, ხაზინის ძარცვით და მოსახლეობის გამოძალვით დიდძალ სიმდიდრეს მოუყარეს თავი. ამათგან განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ე. წ. „ბიუროკრატიული“ კაპიტალის უმსხვილესი მაგნატების—ძიანების, კუნების, სუნებისა და ჩენების „ოთხი ოჯახის“[1]— მეთაურები: ჩან კაი-ში, კუნ სიან-სი (ჩან კაი-შის ქვისლი), სუნ ძი-ვენი (ჩან კაი-შის ცოლისძმა) და ძმები ჩენ ლი-ფუ და ჩენ გო-ფუ[2].

---

[1] სუნ ცინ-ლინიც, სუნ იატ-სენის ქვრივი, აგრეთვე სუნ ძი-ვენის და იყო და, მაშასადამე, ჩან კაი-შის ცოლისდა.

[2] ეს ძმები პარტიულ აპარატს და საიდუმლო პოლიციას ხელმძღვანელობდნენ.

„ბიუროკრატიული კაპიტალი“ (მმართველი ბიუროკრატიული ხროვის მიერ ხალხის ძარცვით დაგროვილი დიდძალი კაპიტალი) კომპრადორული კაპიტალის სახესხვაობა იყო. მაგნატების „ოთხი ოჯახის“ წარმომადგენლები, რომლებიც პირადი გამდიდრებისათვის იყენებდნენ სახელმწიფო აპარატს და უმოწყალოდ, უსინდისო საშუალებებით ძარცვავდნენ ხალხის მასებს, მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული კომპრადორებთან, მემამულურ-მილიტარისტულ წრეებთან და იმპერიალიზმთან. მაგრამ „ოთხი ოჯახის“ და იმპერიალისტური მონოპოლიების პარპაშმა მშრომელთა გარდა სერიოზულად შელახა ეროვნული ბურჟუაზიის ინტერესებიც, გართულებები შეუქმნა მის ეკონომიურ საქმიანობას და გააკოტრა ბევრი მათგანი.

აჯანყება სამხრეთ-ჩინეთში და გომინდანსა და ჩკ პარტიას შორის შეიარაღებული ბრძოლის დაწყება

ჩინეთში არსებული ვითარება ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა რევოლუციის შემდგომი განვითარებისათვის. რევოლუციის დროებითი დამარცხების მიუხედავად, რევოლუციური ბანაკის ძალები — მუშები, გლეხები და ქალაქის ღარიბობა ახალი ენერგიით განაგრძობდნენ ბრძოლას ქვეყნის წინაშე დასმული დიდი ისტორიული ამოცანების გადასაწყვეტად. ამ ბრძოლას უშუალო ხელმძღვანელობას უწევდა განვლილ ბრძოლებში გამობრძმედილი ჩინეთის კომუნისტური პარტია. იმპერიალიზმისა და ფეოდალიზმის წინააღმდეგ ბრძოლასთან ერთად მშრომელებს მძიმე ბრძოლების წარმოება უხდებათ გომინდანური კონტრრევოლუციური დიქტატურის წინააღმდეგაც.

ჩინელი ხალხის შეიარაღებული ბრძოლის ახალი ეტაპი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით იწყება 1927 წლის აგვისტოდან, უხანის კონტრრევოლუციური გადატრიალებიდან ერთი კვირის გასვლის შემდეგ.

1927 წლის 1 აგვისტოს კომუნისტური პარტიის მოწოდებით ნანჩანში (ძიანსის პროვინციის ცენტრში) აჯანყდა ჩრდილოეთის ლაშქრობის მონაწილე ორი კორპუსი 30 ათასი კაცის რაოდენობით, რომელთაც კომუნისტი მეთაურები ე ტინი და ხე ლუნი სარდლობდნენ. აჯანყებას საერთო ხელმძღვანელობას უწევდა კომიტეტი. აჯანყებულებმა დაამხეს გომინდანელთა კონტრრევოლუციური ხელისუფლება, ხელთ იგდეს ქალაქი და შექმნეს რევოლუციური კომიტეტი, რომელშიაც კომუნისტური პარტიის წარმომადგენლებთან ერთად შეავიდა გომინდანის მემარცხენე ფრთის რამდენიმე წარმომადგენელი (მათ შორის სუნ ცინ-ლინი)[1]. აჯანყებულებმა სამი დღის განმავლობაში შეინარჩუნეს ქალაქი და შემდეგ გეზი აიღეს სამხრეთისაკენ —

[1] მისი თავმჯდომარე იყო სუნ ცინ-ლინი (დაუსწრებლად).

გუანდუნისაკენ, რათა აღედგინათ იქ სუნ-იატ-სენის დროს არსებული რევოლუციის ბაზა. მაგრამ აჯახყებულებმა სისრულეში ვერ მოიყვანეს ეს განზრახვა. გზაში გომინდანის ჭარბ ჯარებთან მძიმე ბრძოლებში განცდილი დიდი ზარალის შედეგად მათ მხოლოდ გუანდუნის პროვინციის საზღვრამდე შეძლეს მისვლა, სადაც ოქტომბრის დასაწყისში სრული დამარცხება განიცადეს. გადარჩა რევოლუციური არმიის მცირე ნაწილი, რომელმაც სოფლის რაიონებს მიაშურა და იქ აარტიზანული ბრძოლა გააჩაღა. რევოლუციური არმიის დამარცხების მიზეზები იყო ლაშქრობის დროს დაშვებული სამხედრო-პოლიტიკური შეცდომები, აგრარული რევოლუციის გაუშლელობა და გლეხობასთან სუსტი კავშირი.

სუნ ცინ-ლინი

ნანჩანის 1927 წლის 1 აგვისტოს აჯანყებას, მომდევნო რევოლუციური ლაშქრობის მარცხის მიუხედავად, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. იგი იყო რევოლუციური ძალების პირველი შეიარაღებული აჯანყება კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით გომინდანური კონტრრევოლუციის წინააღმდეგ. მისი უშუალო შედეგი იყო ჩინეთის სახალხო - განმათავისუფლებელი, რევოლუციური არმიის დაბადება (წითელი არმიის და რევოლუციური საყრდენი ბაზების აღმოცენება იმ ტერიტორიებზე, სადაც მოქმედებდნენ ნანჩანის აჯანყების მონაწილე პარტიზანული რაზმები).

1927 წლის 7 აგვისტოს, ჩენ დუ-სიუსა და მისი მომხრეების ნებასურვილის წინააღმდეგ, შედგა ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცკ საგანგებო არალეგალური თათბირი, რომელმაც გადააყენა ჩენ დუ-სიუ პარტიის ცკ გენერალურ მდივნობიდან და აირჩია ახალი ხელმძღვანელობა.

წითელი არმიის პირველი ნაწილების შექმნა. პროლეტარიატის მიერ რევოლუციაში ჰეგემონობის მოპოვება

1927 წლის 7 აგვისტოს საგანგებო თათბირის გადაწყვეტილების შესაბამისად სექტემბერ-ოქტომბრის თვეებში ცენტრალური და სამხრეთ ჩინეთის რამდენიმე პროვინციაში (ხუნანი, ხუბეი, ძიანსი, გუანდუნი) კომუნისტთა ხელმძღვანელობით იფეთქა გლეხთა მძლავრმა აჯანყებებმა, რომლებიც „შემოდგომის მოსავლის აჯანყებების“ სახელითაა ცნობილი. ამათგან ყველაზე მძლავრი იყო ხუნანისა და ძიანსის პროვინციების საზღვარზე მომხდარი აჯანყება, რომელშიაც გლეხთა შეიარაღებულ რაზმებთან ერთად მემაღაროელები და რევოლუციონერი ჯარისკაცებიც მონაწილეობდნენ.

აჯანყება დამარცხდა, მაგრამ აჯანყების პროცესში შექმნილი რევოლუციური რაზმები 1928 წლის მარტამდე ეწეოდნენ შეუწყვეტელ პარტიზანულ ბრძოლებს.

დაახლოებით ამავე პერიოდში გლეხთა მასობრივ აჯანყებებს ადგილი ჰქონდა ხუბეის, ხენანის, ანხუეის პროვინციებსა და ხუნანის სამხრეთ ნაწილშიც. ამ აჯანყებათა შედეგადაც გლეხთა შეიარაღებული რაზმების ბაზაზე აღმოცენდნენ რევოლუციური არმიის ახალი რეგულარული ნაწილები. დაბოლოს, გუანდუნის პროვინციაში გლეხთა აჯანყებების შედეგად, რომელსაც კომუნისტი პენ ბაი ხელმძღვანელობდა, ხაიფინისა და ლუფინის მაზრებში აგრეთვე შეიქმნენ რევოლუციური საყრდენი ბაზები.

1927 წლის 1 აგვისტოდან გაშლილ მშრომელთა შეიარაღებული რევოლუციური ბრძოლების დიდმნიშვნელოვან აქტს წარმოადგენდა გუანჯოუს მშრომელთა შეიარაღებული აჯანყება, რომელიც 11 დეკემბერს დაიწყო. ამ აჯანყებას, რომელშიც გუანჯოუს მუშებთან ერთად რევოლუციურად განწყობილი ჯარისკაცებიც იღებდნენ მონაწილეობას, ხელმძღვანელობას უწევდა კომუნისტური პარტიის გუანდუნის ორგანიზაცია. აჯანყებულებმა, დაეუფლნენ რა თითქმის მთელ ქალაქს, 3 დღეს შეინარჩუნეს იგი და სამხრეთ ჩინეთის ამ დიდ ცენტრში შექმნეს მუშათა და გლეხთა რევოლუციური მთავრობა — რევოლუციური კომიტეტი (მას სათავეში ედგა ჯან ტაი-ლეი, რომელიც კანტონის კომუნის სახელითაა ცნობილი). რევოლუციურმა მთავრობამ გამოაქვეყნა დეკრეტები წითელი არმიის შექმნის, მემამულეური მიწათმფლობელობის ლიკვიდაციისა და მიწების უსასყიდლოდ გლეხებისათვის გადაცემის, 8 საათიანი სამუშაო დღის დაწესების, მუშათა მატერიალური მდგომარეობის ამაღლების, მუშათა ქოხმახებიდან ბურჟუაზიულ კვარტალებში ჩასახლებისა და არათანასწორუფლებიან ხელშეკრულებათა გაუქმების შესახებ.

კანტონის კომუნამ სულ 3 დღე იარსება. გომინდანური კონტრრე-

ვოლუციური ძალები აშ შტატების, ინგლისის, საფრანგეთისა და იაპონიის სამხედრო გემებისა და საზღვაო ფეხოსანი ნაწილის დახმარებით 12 დეკემბრიდან გადამწყვეტ შეტევაზე გადავიდნენ კანტონის კომუნის წინააღმდეგ და ორი დღის გააფთრებული ბრძოლების შემდეგ 14 დეკემბერს სისხლში ჩაახშვეს იგი. გამხეცებულმა კონტრრევოლუციურმა ბანდებმა გაჟლიტეს და დახვრიტეს 6 ათასამდე მშრომელი რევოლუციონერი (მოკლულ იქნა ჯან ტაი-ლეც). იმპერიალისტ პროვოკატორების მიერ წაქეზებული კონტრრევოლუციური ბანდები მუხანათურად თავს დაესხნენ გუანჯოუს საბჭოთა საკონსულოს, დაარბიეს იგი, შეიპყრეს მთელი შემადგენლობა, ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს მათ და მხეცურად მოკლეს ხუთი მათგანი.

გუანჯოუს რევოლუციური აჯანყება 1924—1927 წლების რევოლუციის უკანასკნელი არიერგარდული გაბრძოლება იყო. აჯანყების მონაწილეთა უდიდესი გმირობისა და თავგანწირვის მიუხედავად, იგი მაინც დამარცხდა იმიტომ, რომ კლასობრივ ძალთა თანაფარდობა იმ ეტაპზე არ იყო რევოლუციის სასარგებლოდ. აჯანყება სუსტად, არასათანადოდ იყო მომზადებული და რევოლუციური ტალღის დროებითი უკუქცევის მომენტში მოხდა.

აგრარული რევოლუციის განვითარება. ცენტრალური მუშურ - გლეხური რევოლუციური მთავრობის შექმნა

1918 წლიდან რევოლუციური ომი ჩინეთში რევოლუციური ტალღის დროებითი უკუქცევის მიუხედავად, არ შეწყვეტილა. იგი ძირითადად მიმდინარეობს გლეხობის ანტიფეოდალური ბრძოლის სახით.

„შემოდგომის მოსავლის აჯანყებების“ შემდეგ გლეხობის აგრარულმა ომმა მოიცვა ძიანსის, ფუძიანის, ხუნანის, ხუბეის, გუანდუნისა და გუანსის ცალკეული რაიონები, რასაც მოჰყვა ახალი საყრდენი რევოლუციური ბაზებისა და მუშურ-გლეხური რევოლუციური არმიის ახალი ნაწილების აღმოცენება.

1928 წლის დასაწყისში ნანჩანის აჯანყებაში მონაწილე ჯარის ნაწილები და აჯანყებულ გლეხთა რაზმები გუანდუნიდან უკანდახევის შემდეგ ხუნანის პროვინციის სამხრეთ ნაწილში გადავიდნენ, სადაც ახალი შევსება მიიღეს აჯანყებულ გლეხთა რაზმების სახით. 1928 წლის აპრილში ამ რევოლუციურმა რაზმებმა გზა გაიკაფეს ცინგანშანის მთიანეთისაკენ და შეუერთდნენ სხვა ნაწილებს.

1928 წლის ივნის-ივლისში მოსკოვში ჩატარდა ჩინეთის კომუნისტური პარტიის VI ყრილობა (ყრილობის მუშაობაში მონაწილეობდა პარტიის 40 ათასი წევრის წარმომადგენელი ასამდე დელეგატი). ყრილობამ შეაჯამა 1924—1927 წლების რევოლუციისა და ოპორტუნიზმთან პარტიის ბრძოლის შედეგები და შეიმუშავა მასების ხელ-

მძღვანელობის სტრატეგიულ-ტაქტიკური ხაზი ახალ რევოლუციაში. ყრილობაზე მძაფრი ბრძოლა გაიშალა როგორც მემარჯვენე საფრთხის, ისე „მემარცხენე“ გადახრის წინააღმდეგ. მიუხედავად იმისა, რომ მის გადაწყვეტილებებში ადგილი ჰქონდა ცალკეულ ნაკლოვანებებს (დემოკრატიული რევოლუციის ხანგრძლივობის ხაზგაუსმელობა, შუალედი კლასების ორმაგი ბუნების სათანადო შეუფასებლობა, კონტრრევოლუციის ბანაკში არსებულ წინააღმდეგობათა ნაწილობრივ მიფუჩეჩება და სხვ.), მაინც სწორი შეფასება მისცა ქვეყნის ეკონომიურ და პოლიტიკურ ვითარებას და შეიმუშავა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სწორი პოლიტიკური ხაზი.

ჩინეთის კომუნისტურმა პარტიამ IV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად ახალი ენერგიით გაშალა მუშაობა.

1929 წელს ცინგანშანის მთიან რაიონში მოქმედი წითელი არმიის ნაწილები მტრის ჭარბ ძალებთან შეუპოვარი ბრძოლით გადავიდნენ ძიანსისა და ფუძიანის პროვინციების მოსაზღვრე ზონაში, სადაც შეიქმნა ცენტრალური რევოლუციური ბაზა ცენტრით ჟიუცინში (ძიანსის სამხრეთ ნაწილში). იგი მოიცავდა საკმაოდ ვრცელ ტერიტორიას, რომელშიც რამდენიმე მაზრა შედიოდა. დაახლოებით ამავე პერიოდში შეიქმნა რევოლუციური ბაზები ძიანსის ჩრდილო-აღმოსავლეთით და ხუნანის დასავლეთით (სიჩუანის საზღვართან) ხელუნის მეთაურობით და სხვა ბაზები.

სულ 1929 წლის ბოლოსათვის, რეაქციის ძალების მნიშვნელოვანი უპირატესობის მიუხედავად, ჩინეთში არსებობდა რამდენიმე სტაბილური რევოლუციური ბაზა, რომლებშიც შეიქმნა დემოკრატიული ხელისუფლების ორგანოები და წითელი არმიის ბრძოლისუნარიანი ძალები 60 ათასზე მეტი მებრძოლით.

რევოლუციურ ბაზებში გატარებული აგრარული პოლიტიკა და კულტურული ღონისძიებები

30-იანი წლების დასაწყისისათვის ჩინეთის ცენტრალურ და სამხრეთ ნაწილში არსებობდა 19 რევოლუციური ბაზა[1], სადაც კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით შექმნილი იყო რევოლუციური ხელისუფლება, რომლის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენდა მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა კრებები. ამ ბაზებს იცავდნენ მშრომელთაგან დაკომპლექტებული წითელი არმიის ნაწილები.

მართალია, წითელი არმია სუსტად იყო შეიარაღებული, მაგრამ მეტად მაღალი იყო მისი პოლიტიკურ-მორალური განწყობილება და ეს იყო მისი სიძლიერის მთავარი პირობა.

---

1 ძირითადი რევოლუციური ბაზები იყო: ცენტრალური, ხუბეი-ხუნან-ძიანსის, ხუბეი-ხუნან-ანჰუეის, ხუბეი-ხუნანის, ფუძიან-ჯეძიან-ძიანსის, გუანსის.

სოფლად შექმნილ რევოლუციურ ბაზებში თანმიმდევრულად ტარდებოდა აგრარული რევოლუცია. ბოლო ეღებოდა მსხვილ ფეოდალურ-მემამულურ მიწათმფლობელობას და მემამულეთა (და გლეხთა) მიწები უსასყიდლოდ ნაწილდებოდა (სულადობის მიხედვით) უმიწაწყლო და მცირემიწიან გლეხებს შორის. რევოლუციური აგრარული რეფორმა ბოლოს უღებდა ფეოდალური ექსპლოატაციის საფუძვლებს, ამტკიცებდა მუშათა და გლეხთა კავშირს, ზრდიდა რევოლუციური ბაზების ავტორიტეტს მოსახლეობის ფართო წრეებში და ხელს უწყობდა მისი მეურნეობის განვითარებას. ღარიბობასა და მოჯამაგირეებზე დაყრდნობა, საშუალო გლეხობასთან გაერთიანება, კულაკების შეზღუდვა, მემამულეთა კლასის ლიკვიდაცია, საშუალო და წვრილ მრეწველ-ვაჭართა დაცვა[1], კულაკებისათვის თავიანთი მეურნეობის წარმოების უფლების მიცემა, — აი ჩ/კომპარტიის ხაზის შინაარსი.

რევოლუციურ ბაზებში მიღებულ იქნა კანონი 8 საათიანი სამუშაო დღის შემოღებისა მუშებისათვის, 4—6 საათიანისა—მოზარდებისათვის, აგრეთვე საწარმოებში მუშათა კონტროლის დაწესების შესახებ. სახალხო ხელისუფლება, რამდენადაც ბლოკადისა და პარტიზანული ბრძოლების ვითარება ამის შესაძლებლობას იძლეოდა, ღებულობდა ზომებს მუშათა ხელფასის გასადიდებლად, მათთვის ფასიანი შვებულების მისაცემად და გლეხობის კეთილდღეობის ასამაღლებლად. გლეხებს მიწებთან ერთად ამარაგებდნენ სასუქებით, სათესი მასალით და ეხმარებოდნენ მათ საირიგაციო ნაგებობათა დაცვა-გაუმჯობესებაში. სახალხო ხელისუფლებამ გააუქმა გომინდანელების მიერ შემოღებული მძარცველური გადასახადები და შემოიღო ერთიანი პროგრესიული-საშემოსავლო გადასახადი... ჟუიცინში შეიქმნა ბანკი, რომელიც უშვებდა ფასიან ქაღალდებს და ა. შ. დიდი ყურადღება ექცეოდა ბრძოლას ფეოდალური გადმონაშთების წინააღმდეგ ყოფა-ცხოვრებაში. აიკრძალა ძალდატანებითი ქორწინება, ქალთა ყიდვა-გაყიდვა, მრავალცოლიანობა და შემოღებულ იქნა შეუღლებისა და გაყრის თავისუფლება. სერიოზული წარმატება იქნა მოპოვებული სახალხო კულტურის განვითარებაში, კერძოდ წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის, სახალხო განათლების დაწესებულებათა ორგანიზაციისა და გაზეთების გავრცელების საქმეში.

აღნიშნული ამოცანების განხორციელების პროცესში ჩინეთის კომუნისტურ პარტიას სერიოზული ბრძოლის წარმოება უხდებოდა მემარცხენე გადახრის წინააღმდეგ. 1930 წლის ბოლომდე „მემარცხენე" შეცდომები ყველაზე მკაფიოდ გამოვლინდა პარტიის ცკ ბაშინ-

---

[1] უცხოელთა კუთვნილი საწარმოების ნაციონალიზაციის პირობებში.

დელი მდივნის ლი ლი-სანის და მისი მომდევრების საქმიანობაში. რომლებიც შეცდომით ფიქრობდნენ, რომ ახალი რევოლუციის პირობები უკვე მომწიფდა, რისთვისაც საჭიროა დაუყოვნებლივ აჯანყებების მომზადება მთელ ჩინეთში, კერძოდ — დიდ ქალაქებში.

აღნიშნულმა წვრილბურჟუაზიულ-ავანტიურისტულმა ხაზმა წითელი არმიის საქმიანობაშიაც იჩინა თავი და სერიოზული ზიანი მიაყენა მას. 1930 წლის ზაფხულში „მემარცხენე" უკლონისტებმა უბრძანეს წითელი არმიის პირველ საარმიო ჯგუფს შეეტია ჩანშისათვის და შემდეგ მეორე საარმიო ჯგუფთან და პირველ კორპუსთან ერთად დაეწყო ოპერაციები უხანის გასათავისუფლებლად. ამის პარალელურად მე-7 და მე-10 კორპუსებს ევალებოდათ იერიში მიეტანათ ლიუჯოუს, გუილინის, ძიუძიანისა და სამხრეთ ჩინეთის სხვა ქალაქების წინააღმდეგ. მართალია, წითელი არმიის სათანადო ნაწილებმა შეძლეს ხუნანის ცენტრის ჩანშის დაკავება, მაგრამ მტრის ჭარბი ძალების გააფთრებული კონტრშეტევის შედეგად იძულებული გახდნენ სერიოზული ზარალით უკან დაეხიათ. ამ წარუმატებელმა შეტევამ დიდი ზიანი მიაყენა როგორც წითელი არმიის საბრძოლო ძალას, ისე რევოლუციურ საყრდენ ბაზებს.

1931 წლის 7 ნოემბერს ცენტრალური რევოლუციური ბაზის ცენტრ ეიუცინში გაიხსნა რევოლუციური ბაზების მუშათა და გლეხთა საბჭოების I სრულიადჩინეთის ყრილობა, რომლის მუშაობაში მონაწილეობას იღებდა 680 დელეგატი. ყრილობის ამოცანა იყო ცალკეული რევოლუციური ბაზების გაერთიანება, ერთიანი მთავრობის შექმნა და ერთიანი პოლიტიკური ხაზის შემუშავება. ყრილობამ მიიღო ჩინეთის საბჭოთა რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტი, მიწის კანონი, კანონი შრომის შესახებ, რეკომენდაციები ეკონომიური მშენებლობისა და წითელი არმიის მშენებლობის შესახებ და სხვ. დასასრულ, ყრილობამ აირჩია რევოლუციური საყრდენი ბაზების ცენტრალური მუშურ-გლეხური რევოლუციურ-დემოკრატიული მთავრობა და დანიშნა წითელი არმიის სარდლობა.

მსოფლიო ეკონომიური კრიზისის გავლენა ჩინეთზე. წითელი არმიის მიერ გომინდანელთა ლაშქრობების წარმატებით მოგერიება

მსოფლიო ეკონომიურმა კრიზისმა უშუალო გავლენა მოახდინა ჩინეთზე და გაამწვავა მისი ტკივილები. ეკონომიურ სიძნელეებს, უმუშევრობას, მშრომელთა ცხოვრების დონის მკვეთრ დაცემას, მეწარმეთა და მემამულეთა მიერ მუშათა და გლეხთა ექსპლოატაციის უზომოდ გადიდებას თან მოჰყვა კლასობრივ წინააღმდეგობათა გაღრმავება. ამას თან დაერთო იმპერიალისტური ქვეყნების მზარდი დაწოლა ჩინეთზე და მის ნიადაგზე არსებული ქაოსობის გაძლიერება. კრიზისმა უბიძგა იაპონიის

იმპერიალიზმს სისრულეში მოეყვანა ე. წ. „ტანაკას მემორანდუმის“ — იაპონიის გაშიშვლებული აგრესიების გეგმის — პირველი ნაწილი და ხელში ჩაეგდო ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთი.

იმპერიალისტურ სახელმწიფოთა ქიშპობის გაძლიერებამ, მათმა მძაფრმა ბრძოლამ ჩინეთში უპირატესი გავლენისათვის უშუალოდ თავი იჩინა გომინდანური ხროვის სხვადასხვა ჯგუფებსა და მილიტარისტებს შორის დიდი მასშტაბის შინაომის აღძოცენებაში.

ჯერ იყო და გუანსელი მილიტარისტები განუდგნენ ჩან კაი-შის. ამას 1930 წლის აპრილიდან დაერთო ჩრდილო ჩინეთის 57 გენერლის ბლოკის ამბოხება ფენ იუ-სიანისა და იან სი-შანის ხელმძღვანელობით ცენტრალური მთავრობის წინააღმდეგ, რომელიც დიდი მასშტაბის ბრძოლებში გადაიზარდა. ეს ომი, რომელიც 1931 წლამდე მიმდინარეობდა (მასში 1 მილიონი მეომარი იღებდა მონაწილეობას) და 300 ათასამდე ადამიანი იმსხვერპლა, დამთავრდა ჩან კაი-შის გამარჯვებით. ამ გამარჯვებაში დიდი როლი შეასრულა ნანკინის მთავრობისადმი აშ შტატების ფინანსურმა და სხვა ხასიათის დახმარებამ.

ამ გამარჯვებამ მაინც ვერ მოუტანა ნანკინის „ეროვნულ მთავრობას“ სასურველი მშვიდობა, ხელი ვერ შეუწყო ქვეყნის ჭეშმარიტ გაერთიანებას. 1931 წლის შუალედიდან ისევ განახლდა საომარი მოქმედებები მოქიშპე გომინდანურ მილიტარისტულ დაჯგუფებებს შორის. ამჯერად ნანკინს ხელმეორედ აუჯანყდა სამხრეთ-დასავლეთ ჩინეთის გენერალთა ჯგუფი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ ამ დროიდან ჩინეთის წინაშე აღიმართა იაპონელ იმპერიალისტთა მზარდი აგრესიის საშიში საფრთხე, მაგრამ გომინდანის რეაქციული ხელისუფლება ზომებს არ ღებულობდა ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გასაძლიერებლად და მოახლოებული აგრესიისათვის წინააღმდეგობის გასაწევად. მას უფრო აწუხებდა რევოლუციური ბაზებისა და წითელი არმიის შეუჩერებელი ზრდა. „წითელი საფრთხით“ დაშინებული ჩან კაი-ში უკვე 1930 წლის მეორე ნახევრიდან იწყებს ლაშქრობებს რევოლუციური ბაზებისა და წითელი არმიის ნაწილების წინააღმდეგ. ქვეყნის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ მშრომელთა წინააღმდეგ აღნიშნული ლაშქრობების დაწყება სამოქალაქო ომის აშკარა აქტი იყო და, ამდენად, იაპონელ აგრესორთა წისქვილზე წყლის დასხმა, მათი აშკარა წაქეზება.

1930 წლის ნოემბრიდან, ფენ იუ-სიანთან და იან სი-შანთან ომის დამთავრების შემდეგ, ჩან კაი-შიმ წამოიწყო პირველი ლაშქრობა ცენტრალური რევოლუციური ბაზისა და წითელი არმიის პირველი ფრონტის ნაწილების წინააღმდეგ. პირველ ლაშქრობას 1931 წლის თებერვალ-მაისის თვეებში მოჰყვა მეორე ლაშქრობა, მეორეს — 1932 წლის ივლის-სექტემბრის თვეებში — მესამე ლაშქრობა. პირველი

ლაშქრობისას საომარ ოპერაციებში მონაწილეობას იღებდა მტრის 100 ათასი ჯარისკაცი, მეორეში — 200 ათასი, მესამეში — 300 ათასი. ჯარისკაცთა რიცხვთან ერთად იზრდებოდა გამოყენებული საომარი ტექნიკა და საცეცხლო ძალა, იცვლებოდა ტაქტიკური ხერხები.

1930—1931 წლების კონტრრევოლუციური ლაშქრობები სრული კრახით დამთავრდა. გომინდანურმა ჯარებმა ვერ შეძლეს განეხორციელებინათ დასახული ამოცანა—მოესპოთ რევოლუციური საყრდენი ბაზები და წითელი არმიის ძირითადი შენაერთები. წითელი არმიის ნაწილებმა კომუნისტური პარტიის სწორი ხელმძღვანელობით და სარდლობის მიერ მომარჯვებული სწორი სამხედრო ტაქტიკის მეშვეობით ქანცი გამოაცალეს მტრის რიცხობრივად ჭარბ ძალებს. აღნიშნული ლაშქრობების სამარცხვინო ჩაფუშვის შედეგად წითელი არმიის ხელში მოექცა დიდძალი საომარი იარაღი, ტყვეები და სურსათის მარაგი.

ჩრდილო - აღმოსავლეთ ჩინეთის ოკუპაცია იაპონელ იმპერიალისტთა მიერ, მათი თავდასხმა შანჰაიზე

ისარგებლეს რა ჩან კაი-შის ხროვის მიერ ჩინეთში დაწყებული სამოქალაქო ომით, 1931 წლის 18 სექტემბერს შენიანზე თავდასხმით იაპონელებმა დაიწყეს ჩინეთის მიმართ თავიანთი აგრესიული გეგმის რეალიზაცია. აგრესიის პირველ ობიექტად მათ აირჩიეს ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთი (დუნბეი), რომელიც სურდათ ექციათ სსრ კავშირისა და დანარჩენი ჩინეთის წინაღმდეგ ომის მომზადების პლაცდარმად.

იაპონელმა იმპერიალისტებმა სულ რაღაც 3 თვის განმავლობაში შეძლეს მთელი ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთის დაპყრობა. მრავალფეროვანი ბუნებრივი რესურსების მქონე უზარმაზარი ტერიტორია (1 მილიონამდე კვ. კმ) 30 მილიონზე მეტი მოსახლეობით, განვითარებული ტრანსპორტით და ათეული დიდი სამრეწველო ობიექტით საშიში აგრესორის ხელში მოექცა. შორეულ აღმოსავლეთში შეიქმნა მეორე მსოფლიო ომის პირველი კერა.

იაპონიის იმპერიალიზმის ყაჩაღურმა აქტმა ჩინელი ხალხის საყოველთაო აღშფოთება გამოიწვია. დემოკრატიულმა წრეებმა ერთსულოვნად მოითხოვეს ქვეყნის მთელი ძალების დარაზმვა იაპონელ აგრესორთა გასაძევებლად საკუთარი მიწა-წყლიდან. ჩინეთის მუშათა კლასმა და სტუდენტობამ მას მძლავრი გაფიცვებით და პატრიოტული დემონსტრაციებით უპასუხეს. შანჰაის 800 ათასმა მუშამ ჩან კაი-შის გაუგზავნა პეტიცია, რომლითაც მოითხოვდა აგრესორისათვის მედგარი შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევას. ჩინეთის კომუნისტურმა პარტიამ აგრესიის დასაწყისშივე გამოაქვეყნა მოწოდება, რომლითაც მოითხოვა სამოქალაქო ომის შეწყვეტა, მთელი ხალხის შეიარაღება

და იაპონელი იმპერიალისტების წინააღმდეგ ეროვნულ-განმათავისუფლებელი ომის გაშლა ქვეყნის ერთიანობისა და დამოუკიდებლობის დასაცავად.

მაგრამ ჩინეთის საზოგადოებრიობის პროტესტის ხმა დარჩა „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა". გაბატონებულმა გომინდანურმა ხროვამ ყური არ ათხოვა მას და არ გადადგა საჭირო ნაბიჯები. ჩან კაი-შის ბრძანებით ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთში განლაგებულმა გომინდანურმა ნაწილებმა თითქმის უბრძოლველად დაიხია უკან და ზედიზედ დაუთმეს მტერს უდიდესი სასიცოცხლო ცენტრები.

არც დიდი იმპერიალისტური სახელმწიფოების საპასუხო მოქმედება მოჰყოლია იაპონელ იმპერიალისტთა მიერ ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთის ოკუპაციას. მართალია, ეს აქტი მკვეთრად ლახავდა ინგლისის, აშშ შტატებისა და საფრანგეთის ინტერესებს და კიდევ უფრო დიდ საფრთხეს უმზადებდა მათ მომავალში, მაგრამ „ჩაურევლობის სენით" დაავადებულმა მათმა მმართველებმა, რომელთაც სურდათ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ წარემართათ იაპონიის აგრესია, მხოლოდ პლატონური პროტესტით უპასუხეს მას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დასავლეთის იმპერიალისტურ ქვეყნებს სურდათ გამოეყენებინათ იაპონელი აგრესორები ჩინელი ხალხის განმათავისუფლებელი რევოლუციის ჩასახშობად.

იმპერიალისტთა წაყრუებით და ჩან კაი-შის ხროვის კაპიტულანტური პოლიტიკით წაქეზებულმა იაპონელმა იმპერიალისტებმა 1932 წელს მანჯურიის ტერიტორიაზე შექმნეს მანჯოუ-გოუს მარიონეტული სახელმწიფო და დაიწყეს ჩრდილო ჩინეთის პროვინციების რაიონების ოკუპაცია ამ მარიონეტული სახელმწიფოების გაფართოების მიზნით. ისინი ამასაც არ დასჯერდნენ და იმავე 1932 წლის იანვარში თავს დაესხნენ ჩინეთის უდიდეს ეკონომიურ-ფინანსურ და კულტურულ ცენტრს შანჰაის.

შანჰაის გმირულმა პროლეტარიატმა და სტუდენტობამ შექმნეს ნებაყოფლობითი მებრძოლი რაზმები და გმირული წინააღმდეგობა გაუწიეს იაპონელ აგრესორებს. მშრომელებთან ერთად ქალაქის გმირულ დაცვაში აქტიური მონაწილეობა მიიღო შანჰაისა და მის შემოგარენში განლაგებულმა მე-19 არმიამ. პატრიოტულად განწყობილი არმიისა და შანჰაის მშრომელთა საბრძოლო თანამშრომლობამ, მათმა თავდადებულმა წინააღმდეგობამ ჩაშალა იაპონელ აგრესორთა ვერაგული განზრახვა. ორი თვის გააფთრებული ბრძოლების შემდეგ, რომელშიაც იაპონელთა მხრივ მონაწილეობას იღებდა არმია, სამხედრო ფლოტი და ავიაცია, ისინი იძულებული გახდნენ უკან დაეხიათ.

შანჰაის გმირულმა დაცვამ ცხადყო პატრიოტული განწყობილების ზრდა როგორც მოსახლეობაში, ისე არმიის რიგებშიაც. ქვეყნის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის შექმნილი მრისხანე საფრთხე მთელი სერიოზულობით აყენებდა ქვეყნის ეროვნული ძალების გაერთიანებისა და აგრესორისადმი სახალხო წინააღმდეგობის ამოცანას. 1933 წლის 17 იანვარს ცენტრალური რევოლუციური ბაზის მთავრობამ და წითელი არმიის სარდლობამ გამოაქვეყნეს დეკლარაცია ჩინელი ხალხისადმი, რომელშიაც შეურიგებელ ბრძოლას უცხადებდნენ იაპონიის იმპერიალიზმს და აცხადებდნენ მზადყოფნას ეთანამშრომლათ ჩინეთის ყველა შეიარაღებულ ძალასთან იაპონიის იმპერიალიზმის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლისათვის შემდეგი სამი პირობით: წითელ არმიასა და რევოლუციურ ბაზებზე შეტევის შეწყვეტა, ჩინელი ხალხისათვის დემოკრატიული უფლებების მინიჭება და მისი შეიარაღება სახალხო-განმათავისუფლებელი ომის ამოცანების განსახორციელებლად.

ჩან კაი-შიმ და გომინდანის მთავრობამ უყურადღებოდ დატოვეს ეს მოწოდებაც. მოსახლეობის პატრიოტული აღტყინებისა და მასობრივი პროტესტების მიუხედავად მათ ისევ განაგრძეს დემოკრატიული მოძრაობის ჩახშობისა და მტრისადმი დათმობების მოღალატური პოლიტიკა. 1933 წლის 31 მარტს ნანკინის მთავრობამ იაპონელ იმპერიალისტებთან ხელი მოაწერა ე. წ. ტანგუს შეთანხმებას, რომლითაც ფაქტიურად იაპონელთა ხელში გადადიოდა მათ მიერ უკვე ოკუპირებული ჩრდილო ჩინეთის მნიშვნელოვანი ნაწილი (მათი გავლენის სფეროდ ცხადდებოდა), თანაც „დემილიტარიზებულ ზონად“ ცხადდებოდა ხებეის პროვინციის მთელი ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი შანჰაი-გუანის რაიონამდე.

აბუჩად აიგდო რა საზოგადოებრივი აზრი და არ გაითვალისწინა წარსულის გაკვეთილები, ჩან კაი-შიმ 1932 წლის ივლისიდან წამოიწყო ახალი მძლავრი, რიცხვით მეოთხე ლაშქრობა წითელი არმიისა და რევოლუციური ბაზების წინააღმდეგ. ლაშქრობაში მონაწილეობას იღებდა 90 დივიზია 500 ათასი მებრძოლის რაოდენობით. ლაშქრობა 1933 წლის მარტამდე გრძელდებოდა და კონტრრევოლუციური ძალების სრული მარცხით დამთავრდა. გააფთრებულ ბრძოლებში, რომლის დროსაც წითელი არმიის ნაწილებმა ოსტატურად გამოიყენეს სამანევრო პარტიზანული ბრძოლების ტაქტიკა, ზედიზედ დაამარცხეს მტრის ცალკეული ნაწილები, მოსპეს მათი დიდძალი ცოცხალი ძალა და ტექნიკა, ხელთ იგდეს ათასობით ტყვე.

გომინდანის მეხუთე ლაშქრობა და წითელი არმიის დიდი ლაშქრობა ჩრდილოდასავლეთისაკენ

მეოთხე ლაშქრობის მარცხმა მაინც ჭკუა ვერ ასწავლა გომინდანურ კონტრრევოლუციას. 1933 წლის ოქტომბერში ჩან კაი-შიმ წამოიწყო ახალი — მეხუთე ლაშქრობა წითელი არმიისა და რევოლუციური ბაზების წინააღმდეგ. ლაშქრობაში მონაწილეობას იღებდა 1 მილიონამდე ჯარისკაცი, დიდძალი ავიაცია, არტილერია, ტანკები და სხვა საბრძოლო ტექნიკა. ლაშქრობაში მონაწილე დივიზიების ნახევარი — 500 ათასი კაცი — გამოიყო წითელი არმიის პირველი ფრონტის — ცენტრალური რევოლუციური ბაზის — წინააღმდეგ სამოქმედოდ. ამ შტატებმა ე. წ. „ხორბლისა და ბამბის სესხი" მისცა ჩინეთს და თან მიაწოდა მას თვითმფრინავები, რითაც აქტიური მონაწილეობა მიიღო ამ ლაშქრობის მოწყობაში. ლაშქრობის სამხედრო-ტაქტიკური გეგმა შემუშავდა გერმანელ-ფაშისტ ოფიცერთა ჯგუფის უშუალო მონაწილეობით, გენერლების — ფონ სეტტისა და ფალკენჰაუზენის ხელმძღვანელობით. სათანადო გეგმა ითვალისწინებდა მეთოდურად წინსვლას, რევოლუციური ბაზების ირგვლივ სიმაგრეთა სისტემის შექმნას და ეკონომიური ბლოკადის მოწყობას.

ლაშქრობის დროული დაწყება შეაფერხა 1933 წლის მიწურულისათვის მე-19 არმიის აჯანყებამ ფუძიანში. აღნიშნულ არმიას მონაწილეობა უნდა მიეღო ლაშქრობაში და აღმოსავლეთიდან უნდა შეეტია ცენტრალური რევოლუციური ბაზისათვის, მაგრამ შანჰაის გმირულ დაცვაში აქტიურად მონაწილე პატრიოტულად განწყობილმა ჯარისკაცებმა და ოფიცრებმა უარი განაცხადეს ხალხის არმიის — წითელი არმიის წინააღმდეგ ბრძოლაზე.

1934 წლის იანვარში ჩან კაი-შიმ შეძლო მე-19 არმიის აჯანყების ჩახშობა, ახალ დამატებით რეზერვებს მოუყარა თავი და გაორკეცებული ენერგიით განაგრძო შეტევა წითელი არმიის წინააღმდეგ. მემარცხენე ოპორტუნისტების წყალობით დაშვებული სამხედრო-სტრატეგიული შეცდომების გამო წითელმა არმიამ ვერ შეძლო მეხუთე ლაშქრობის მოგერიება, კერძოდ მძიმე მდგომარეობა შეიქმნა ცენტრალურ რევოლუციურ ბაზაში, სადაც ტექნიკის უკანასკნელი სიტყვით აღჭურვილი გომინდანის 500 ათასიანმა არმიამ მოახერხა წითელი არმიის ძირითადი ნაწილების (150 ათასი მებრძოლის რაოდენობით) შევიწროება და გარემოცვა.

შექმნილმა მძიმე მდგომარეობამ არმიის სარდლობა და კომუნისტური პარტიის ცკ ხელმძღვანელობა აიძულა მიეღო დადგენილება ცენტრალური რევოლუციური ბაზის დატოვების, მტრის რკალის

გარღვევის, სტრატეგიული უკანდახევისა (ბაზის გამოცვლის) და ახალ ბაზაში დამკვიდრების შესახებ.

1934 წლის ოქტომბერში წითელი არმიის პირველი ფრონტის ნაწილებმა რამდენიმე თანმიმდევარი მასირებული დარტყმით გაარღვიეს მტრის ბლოკადა და დაიწყეს გმირული ლაშქრობა, რომელიც წითელი არმიის დიდი ლაშქრობის სახელითაა ცნობილი[1].

გეზი აიღეს რა დასავლეთისაკენ, წითელი არმიის ძირითადმა ნაწილებმა შეუწყვეტელი მძიმე ბრძოლებით დაძლიეს გააფთრებული წინააღმდეგობა, გაარღვიეს გამაგრებული ზღუდეები, განვლეს ძიანსის, გუანდუნის, ხუნანისა და გუანსის პროვინციები და 1935 წლის იანვარში შევიდნენ გუიჯოუს პროვინციის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში. აქ ხანგრძლივი ლაშქრობით და განუწყვეტელი ბრძოლებით დაღლილმა არმიამ მოაწყო 12 დღიანი შესვენება და შეემზადა ლაშქრობის შემდგომი გაგრძელებისათვის.

წითელი არმიის პირველი ფრონტის დიდი ლაშქრობის დაწყებისთანავე გამოვიდნენ თავდაპირველი რევოლუციური ბაზებიდან და დაიწყეს ლაშქრობები წითელი არმიის სხვა ნაწილებმაც. ისინიც მოძრაობდნენ საერთო გეგმის შესაბამისად და, ბრძოლებით იკაფავდნენ რა გზას, ახდენდნენ სტრატეგიულ დისლოცირებას. 1935 წლის დასაწყისისათვის ამ ნაწილების უმეტესობა გავიდა გუიჯოუს პროვინციის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში და იქ შექმნა წითელი არმიის მეორე ფრონტი, რომლის მთავარსარდალი გახდა ხე ლუნი.

მცირე შესვენების შემდეგ (გუიჯოუს ტერიტორიაზე) წითელი არმიის პირველმა ფრონტმა განაახლა ლაშქრობა დასახული მიმართულებით. განუწყვეტელი ბრძოლებით მან განვლო გუიჯოუსა და იუნანის პროვინციები, დაძლია გაუგონარი ბუნებრივი სიძნელეები, გადალახა ათეული მდინარე, ხეობა, მთაგრეხილები, ჭაობიანი და უდაბნო ადგილები და 1935 წლის ივნისში შევიდა სიჩუანის პროვინციაში. აქ (სიჩუანის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში) მოხდა ამ არმიის შეერთება მეოთხე ფრონტის ჯარებთან, რამაც ახალი ძალა შემატა მას.

სიჩუანის პროვინციაში სამი თვის ბრძოლის შემდეგ პარტიის ცკ დადგენილების შესაბამისად წითელი არმიის ძირითადმა ძალებმა განაგრძეს ლაშქრობა და გეზი ჩრდილოეთისაკენ — შენსის პროვინციისაკენ აიღეს, სადაც უნდა შექმნილიყო ახალი მძლავრი რევოლუცი-

---

[1] წითელი არმიის ნაწილი დატოვებულ იქნა ცენტრალურ რევოლუციურ ბაზაში მტრის ძალების შესაკავებლად და შემდეგ პარტიზანული ომის საწარმოებლად. წითელი არმიის ნაწილებთან ერთად ცენტრალური რაიონიდან ევაკუირებულ იქნა ხელისუფლების მთელი აპარატი, არქივი, საომარი მასალა, სტამბები, სამოქალაქო მოსახლეობის ნაწილი.

ური ბაზა და იაპონელი იმპერიალისტებისათვის წინააღმდეგობის გაწევის პლაცდარმი[1]. 1935 წლის ოქტომბერში წითელი არმიის პირველი ფრონტის ჯარებმა დაძლიეს კიდევ უფრო მეტი ბუნებრივი სიძნელეები და მტრის ახალი ძალების წინააღმდეგობა და წარმატებით დააგვირგვინეს ლაშქრობა. ისინი დამკვიდრდნენ გათვალისწინებულ ახალ ბაზაში — შენსის პროვინციის ჩრდილო ნაწილში.

ერთი წლის შემდეგ — 1936 წლის ოქტომბერ-ნოემბერში — ამავე რაიონში—შენსი-განსუ-ნინსიას პროვინციების მოსაზღვრე ზონაში — მოვიდნენ წითელი არმიის სხვა ნაწილები, რითაც არსებითად დამთავრდა ეს გაუგონარი ლაშქრობა, რომლის დროსაც წითელი არმიის ნაწილებმა განვლეს 12,5 ათასი კილომეტრი („25 ათასი ლი") მანძილი.

ამგვარად, 1936 წლის ბოლოსათვის დიდი ლაშქრობა დამთავრდა წითელი არმიის დიდი გამარჯვებით და გომინდანური კონტრრევოლუციის სამარცხვინო კრახით. მართალია, პარტიამ და წითელმა არმიამ მძიმე დანაკლისი განიცადეს ლაშქრობის პროცესში — მათ დაკარგეს რევოლუციური საყრდენი ბაზების 90% და წითელი არმიის შემადგენლობის უმეტესობა, მაგრამ შეიძინეს ახალი მძლავრი ცენტრალური რევოლუციური ბაზა — შენსი-განსუ-ნინსიას ვრცელი მოსაზღვრე რაიონი. ჩრდილო-დასავლეთ ჩინეთის ეს ბაზა გახდა ერთიანი ანტიიაპონური სახალხო ფრონტის ორგანიზაციის საყრდენი პლაცდარმი.

დიდი მსხვერპლის მიუხედავად, წითელმა არმიამ შეინარჩუნა თავისი ძირითადი ბირთვი, წარმატებით გაართვა თავი ყველა ხასიათის სიძნელეს, გამოიწრთო მკაცრ ბრძოლებში და ახალ ბაზაში დამკვიდრებულმა ახალი ენერგიით განაგრძო ბრძოლა დასახული ისტორიული მისიის შესასრულებლად.

ჩინეთის კ/პარტიის ბრძოლა ერთიანი ანტიიაპონური ერთიანი ფრონტის შექმნისათვის

იმ დროს, როცა კონტრრევოლუციური გომინდანი ახალ ძალებს უყრიდა თავს მუშურ-გლეხური წითელი არმიის გასანადგურებლად, რომელიც ფორსირებული მარშით მიიწევდა ჩრდილოეთისაკენ იაპონელ იმპერიალისტებთან საბრძოლველად, ეს უკანასკნელნი ახალ აგრესიას აჩაღებენ ჩინეთის წინააღმდეგ. 1935 წლის მაისში. იაპონიის სარდლობამ, რომელმაც დიდძალ ჯარს მოუყარა თავი ჩრდილო ჩინეთის ზღუდეებთან და მოახდინა მისი რაიონების ოკუპირება, ნანკინის მთავრობას მოსთხოვა გადაეცა მისთვის კონტროლი ჩრდილო ჩინეთზე. ივნისში გომინდანის მთავრობის წარმომადგენელ ხე ინცინსა და იაპონიის სარდლობის წარმომადგენელ უმეძუს შორის ხელმოწერილ იქნა ე. წ. „ხე-უმეძის

[1] სადაც უკვე არსებობდა პატარა საყრდენი რევოლუციური ბაზა.

შეთანხმება“, რომლის ძალითაც ჩინეთის ჯარები გამოყვანილ იქნა ჩრდილო ჩინეთის მნიშვნელოვანი რაიონებიდან და აიკრძალა ყოველგვარი ანტიიაპონური საქმიანობა. ამ სამარცხვინო შეთანხმებით გომინდანურმა მთავრობამ სრული კაპიტულაცია მოახდინა იაპონელთა წინაშე და ხელი აიღო თავის სუვერენიტეტზე ჩახარ-ხებეის პროვინციებზე.

ჩან კაი-შის კაპიტულანტური პოლიტიკით წათამამებული იაპონელი აგრესორები ამასაც არ დასჯერდნენ. მათ მალე სიუანის, შანსისა და შანდუნის პროვინციებსაც წაუპოტინეს ხელი, მრავალრიცხოვანი აგენტების მეშვეობით გააქტიურეს „მეხუთე კოლონის“ ძირგამომთხრელი საქმიანობა და გააძლიერეს მზადება მთელი ჩინეთის სამხედრო-პოლიტიკური ინტერვენციისათვის.

ჩინეთის ეროვნული ინტერესებისათვის შექმნილმა მრისხანე საფრთხემ შეაშფოთა და აამოძრავა ჩინეთის ფართო საზოგადოებრიობა. პატრიოტულმა განწყობილებამ მოიცვა ეროვნული ბურჟუაზიაც. იგი სერიოზულად უკმაყოფილო იყო როგორც ხელისუფლების საქმის უქონლობით, ისე ჩან კაი-შის კაპიტულანტური პოლიტიკით და იაპონელ იმპერიალისტთა შეტევის გაძლიერებით, რომელმაც უშუალო საფრთხე შეუქმნა მის ეკონომიურ ინტერესებსა და პოზიციებს არა მარტო ჩრდილო ჩინეთში, არამედ ქვეყნის სხვა ნაწილებშიაც. ანტიიაპონური განწყობილების გაძლიერებამ შექმნა პირობები იაპონელ აგრესორთა წინააღმდეგ მებრძოლი ეროვნული ფრონტის შესაქმნელად მუშების, გლეხებისა და წვრილი ბურჟუაზიის მონაწილეობით, რომელსაც შეიძლებოდა შეერთებოდა ეროვნული ბურჟუაზიაც.

1935 წლის აგვისტოში, როდესაც წითელი არმია ჯერ კიდევ განაგრძობდა დიდ ლაშქრობას ჩრდილოეთისაკენ, ჩკ პარტიის ცკ და მუშურ-გლეხურმა მთავრობამ გამოაქვეყნეს მიმართვა თანამემამულეებისადმი, რომელშიაც მოითხოვდნენ სამოქალაქო ომის შეწყვეტას, ქვეყნის მთელი ძალების გაერთიანებას და ერთიანი ნაციონალური ფრონტისა და მთავრობის შექმნას „იაპონიის აგრესიისაგან სამშობლოს დაცვის წმინდა საქმისათვის საბრძოლველად“. ამ მიმართვას, რომელსაც უდიდესი აღფრთოვანებით შეეგებნენ ხალხის მასები, გომინდანის მთავრობამ ისევ დუმილით უპასუხა.

მაგრამ ანტიიაპონური მოძრაობა, გომინდანური კონტრრევოლუციის მიერ მომარჯვებული სისხლიანი ტერორის მიუხედავად, სულ უფრო და უფრო მრისხანე და ხალხმრავალი ხდება. კლასობრივ ძალთა თანაფარდობაში მომხდარი სერიოზული ცვლილებების შედეგად ყოველდღიურად ეცემა ჩან კაი-შის მთავრობის ავტორიტეტი, ანტი-

იაპონური ეროვნული ფრონტის შექმნის მოთხოვნა კი საყოველთაო-სახალხო ხდება.

1935 წლის დეკემბერში ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, სათანადოდ შეაფასა რა ჩინეთში შექმნილი ვითარება, კერძოდ იაპონიის იმპერიალიზმის მზარდი აგრესიით ჩინელი ხალხის არსებობისათვის შექმნილი მომაკვდინებელი საფრთხე, შეიმუშავა ერთიანი ანტიიაპონური ეროვნული ფრონტის შექმნის გაშლილი ტაქტიკა. ერის მთელი ძალების გაერთიანების, ერთიანი ანტიიაპონური განმათავისუფლებელი არმიის შექმნისა და ერთიანი ეროვნული ფრონტის შექმნის მიზნით (მუშათა კლასის, გლეხობის, მოსწავლე ახალგაზრდობის, წვრილი ბურჟუაზიისა და ეროვნული ბურჟუაზიის მონაწილეობით) კომუნისტურმა პარტიამ კურსი აიღო სამოქალაქო ომის შეწყვეტაზე. აღნიშნული ტაქტიკის შესაბამისად აგვისტოში ჩინეთის კომუნისტურმა პარტიამ, მუშურ-გლეხურმა მთავრობამ და წითელი არმიის სარდლობამ 1936 წლის მანძილზე რამდენჯერმე მიმართეს გომინდანის ხელმძღვანელობას, ნანკინის მთავრობას და გომინდანის არმიის ჯარისკაცებსა და ოფიცრებს (იანვარში, მაისსა და აგვისტოში) შეწყვეტილიყო სამოქალაქო ომი, აღდგენილიყო მშვიდობა და შექმნილიყო ერთიანი ანტიიაპონური სახალხო ფრონტი.

კომუნისტური პარტიის პატრიოტული მოწოდებები და მის მიერ ფორმულირებული ერთიანი ფრონტის პროგრამა საყოველთაო სახალხო მხარდაჭერას პოულობს. ჩინეთის პატრიოტული ძალები ერთსულოვნად მოითხოვენ დამღუპველი სამოქალაქო ომის შეწყვეტას და ერის მთელი რესურსების მობილიზაციას იაპონელ აგრესორთა წინააღმდეგ საბრძოლველად.

რევოლუციურმა გომინდანმა, დემოკრატიულმა ლიგამ, სტუდენტთა ასოციაციამ, პროგრესულ მწერალთა გაერთიანებამ, შანჰაელ იურისტთა ორგანიზაციამ და ბევრმა სხვა საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა მხარი დაუჭირეს ეროვნული ხსნის პროგრამას. 1936 წლის ივნისში შანჰაიში ჩატარდა ეროვნული ხსნის ორგანიზაციების წარმომადგენელთა სრულიადჩინეთის ყრილობა, რომელმაც მიიღო სამოქმედო პროგრამა და შექმნა ეროვნული ხსნის ჩინური ასოციაცია. სულ უფრო დაჟინებით მოითხოვენ ერთიანი ფრონტის შექმნას სუნ ცინ-ლინი და ეროვნული კულტურის სხვა გამოჩენილი კორიფეები.

ჩინეთის კომუნისტური პარტიის პატრიოტულმა მოწოდებებმა გომინდანური არმიის რიგებზედაც მოახდინა გავლენა. როდესაც იაპონელი აგრესორები შეიჭრნენ სიუიანის პროვინციაში, იქ დაბანაკებულმა ჩინეთის ჯარებმა ენერგიული წინააღმდეგობა გაუწიეს მათ

(ჩან კაი-შის ბრძანების წინააღმდეგ). პატრიოტულმა განწყობილებამ მოიცვა შენსის პროვინციაში დისლოცირებული ჯარები (მათი შტაბი იყო ქალაქ სიანში), ჯან სუე-ლიანისა და იან ხუ-ჩენის სარდლობით[1]. აღნიშნული არმიების სარდლობასა და წითელი არმიის სარდლობას შორის 1936 წლის ზაფხულში დაიდო ფარული შეთანხმება საომარ მოქმედებათა შეწყვეტისა და ურთიერთ-თავდაუსხმელობის შესახებ.

სიანის ამბები (1936 წლის დეკემბერში)

ჩან კაი-ში და მისი გარემოცვა, მოსახლეობის ფართო წრეების ერთსულოვანი მოთხოვნების მიუხედავად, ხელს არ იღებდნენ ქვეყნის დამღუპველ პოლიტიკაზე და აგრძელებდნენ ომს წითელი არმიის წინააღმდეგ. 1936 წლის დეკემბრის პირველ რიცხვებში ჩან კაი-ში მცველი რაზმის თანხლებით ჩაფრინდა შენსის პროვინციის ცენტრ სიანში, რათა ზეგავლენა მოეხდინა ჩრდილო-დასავლეთი არმიის სარდალ ჯან სუე-ლიანსა და მე-17 არმიის სარდალ იან ხუ-ჩენზე და აეძულებინა ისინი დაეწყოთ ახალი შეტევა ჩინეთის წითელი არმიის წინააღმდეგ. მაგრამ ჩან კაი-შის „წამოწყებამ" სრული ფიასკო განიცადა. აღნიშნულ არმიებს, რომლებიც პატრიოტულად იყვნენ განწყობილი და იაპონელ იმპერიალისტებთან ბრძოლისაკენ მიიღტვოდნენ, არავითარი სურვილი არ ჰქონდათ ჩან კაი-შის პოლიტიკის იარაღი ყოფილიყვნენ და მონაწილეობა მიეღოთ „წითლების მოსპობაში". 12 დეკემბერს ჯან სუე-ლიანმა და იან ხუ-ჩენმა ხელქვეითი არმიების ოფიცრებისა და ჯარისკაცთა ზეგავლენით შეიპყრეს ჩან კაი-ში, განაიარაღეს მისი პირადი მცველი რაზმი და წაუყენეს მას რვა მოთხოვნა, რომელთაგან მთავარი იყო სამოქალაქო ომის შეწყვეტა, დემოკრატიულ თავისუფლებათა შემოღება, ეროვნული თავდაცვის მთავრობის შექმნა სამშობლოს ხსნისათვის საბრძოლველად და სუნ იატ-სენის ანდერძის ნამდვილი შესრულება.

სიანის ამბებს შეიძლება მოჰყოლოდა შემდგომი გართულებები და შეიარაღებული შეტაკებები გომინდანის დაჯგუფებებს შორის. ნანკინის მთავრობის სამხედრო მინისტრმა ხე ინ-ციმ, როგორც კი მიიღო ცნობა ჩან კაი-შის დატუსაღების შესახებ, მაშინვე ბრძანა მომზადებულიყო სიანის საჰაერო დაბომბვა, თანაც საბრძოლოდ გაამზადა მის განკარგულებაში არსებული ძალები „მეამბოხეთა შტაბის" დასალაშქრად. ამ ამბებს არ შეეძლო არ წაეხალისებინა იაპონიის იმპერიალიზმი და არ გაეძლიერებინა მისი აგრესიული მისწრაფებები.

ასეთ დაძაბულ ვითარებაში ჩინეთის კომუნისტურმა პარტიამ საჭიროდ ცნო სასწრაფოდ მოქმედება და სიანის კონფლიქტის მშვი-

---

[1] ჯან სუე-ლიანის ჯარები 1931—1932 წლებში ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთიდან იყვნენ ევაკუირებული ამ ტერიტორიის იაპონელთა მიერ ოკუპაციის შემდეგ.

დობიანი მოგვარება. მან სიანში მიავლინა თავისი წარმომადგენლები, რომელთაც დაეკალა მოლაპარაკება ეწარმოებინა შეთქმულების ხელმძღვანელებთან და ჩან კაი-შისთან და მიეღწია უკანასკნელის განთავისუფლებისათვის (მისგან სათანადო ვალდებულების აღების შემდეგ).

კომუნისტური პარტიის ინიციატივა სრული წარმატებით დაგვირგვინდა, ჩან კაი-ში, რომელმაც წინასწარ მიიღო მოთხოვნა შეეწყვიტა სამოქალაქო ომი და ორგანიზაცია ეყო იაპონელ აგრესორთა წინააღმდეგობისათვის, განთავისუფლებულ იქნა და ნანკინს დაბრუნდა[1].

სიანის ინციდენტის მშვიდობიანი მოგვარება იმ სახალხო-დემოკრატიული ძალების სერიოზული გამარჯვება იყო. გომინდანური რეაქციული ხროვა, თუმცა მას ხელი არ აუღია სამოქალაქო ომის განახლებისა და „წითელი საფრთხის“ მოსპობის გეგმებზე, მაინც იძულებული გახდა უკან დაეხია და საყოველთაო სახალხო მოთხოვნის ზეგავლენით პირობა დაედო წინააღმდეგობა გაეწია იაპონელი აგრესორებისათვის.

ჩინელი ხალხის განმათავისუფლებელი ომი იაპონელ იმპერიალისტთა წინააღმდეგ (1937—1945 წწ.)

განმათავისუფლებელი ომის დაწყება. კომპარტიასა და გომინდანს შორის თანამშრომლობის დამყარება

1937 წლის მეორე ნახევრიდან 1945 წლის სექტემბრამდე — 8 წლის განმავლობაში ჩინელი ხალხი აწარმოებს ეროვნულ-განმათავისუფლებელ ომს იაპონელი იმპერიალისტების წინააღმდეგ. ჩინელი ხალხის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან გაუძლო ამ ომის ყველა სიძნელეს და ძლევამოსილად დაამთავრა იგი. მან ჩაშალა იაპონელ აგრესორთა ვერაგი გეგმები, დაიცვა სამშობლოს თავისუფლება და დამოუკიდებლობა.

1937 წლის 7 ივლისს იაპონიის ჯარები მოულოდნელად თავს დაესხნენ პეკინის მისადგომებთან, ლუგოუძიაოს რაიონში განლაგებულ ჩინეთის ჯარის ნაწილებს და სროლა აუტეხეს მათ. ჩინეთის ჯარებმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს მომხდურ მტერს. ამით დაიწყო იაპონიის იმპერიალიზმის დიდი ომი ჩინეთის წინააღმდეგ მისი სრული დაპყრობისა და დამონების მიზნით.

---

[1] ჩან კაი-შიმ „ჯენტლმენური“ სიტყვის მიუხედავად მაინც შური იძია „სიანელ მეამბოხეებზე“. მან დაატუსაღა ნანკინში მასთან ერთად ჩასული ჯან სუე-ლიანი და მოხსნა თანამდებობიდან იან ხუ-ჩენი. ეს უკანასკნელი შემდეგ შეიპყრეს და 1949 წელს მოკლეს გომინდანელებმა. რაც შეეხება ჩან სუე-ლიანს, იგი დიდი ხნის განმავლობაში „შინაურ პატიმრობაში“ იმყოფებოდა და ამავე მდგომარეობაშია დღემდე ტაივანზე.

იწყებდნენ რა დიდ მტაცებლურ ომს ჩინეთის წინააღმდეგ[1], იაპონიის იმპერიალიზმის მესვეურები ვარაუდობდნენ მის მოკლე დროში—2-3 თვეში დამთავრებას. საერთაშორისო ვითარება, იაპონიის არმიის სიძლიერე, დარტყმის მოულოდნელობა და ჩინეთის საშინაო სიძნელეები, მათი აზრით, სავსებით ხელსაყრელი იყო ელვისებური ომის წარმატებით დაგვირგვინებისათვის. კერძოდ, მათ იმედი ჰქონდათ, რომ ჩინეთი ვერ შეძლებდა ძალების მოკრებასა და სერიოზული წინააღმდეგობის გაწევას მისი ღრმა ჩამორჩენილობის, მიმდინარე სამოქალაქო ომისა და გომინდანური ხელისუფლების კაპიტულანტური პოლიტიკის გამო. დიდ იმედებს ამყარებდნენ რა ჩინეთში მოქმედ „მეხუთე კოლონაზე", იაპონელ იმპერიალისტებს განზრახვა ჰქონდათ დაეპყროთ ჩინეთი ჩინელებისავე ხელით.

მაგრამ, როგორც ამბების შემდგომმა მსვლელობამ გვიჩვენა, ეს ვარაუდები არარეალური იყო. იაპონელ იმპერიალისტთა სამხედრო-სტრატეგიული გეგმები სილაზე აგებული აღმოჩნდა და სამარცხვინოდ ჩაიფუშა. ჩაფუშა იგი ჩინელი ხალხის მასობრივმა წინააღმდეგობამ, რასაც ყველაზე ნაკლებ მოელოდნენ აგრესორები.

ომის დაწყების მეორე დღესვე — 8 ივლისს — ჩინეთის კომუნისტურმა პარტიამ ჩინელ ხალხს მოუწოდა ერთსულოვნად ამდგარიყო სამშობლოს დასაცავად და ეწარმოებინა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ომი. 15 ივლისს მან გამოაქვეყნა დეკლარაცია, რომლითაც წინადადებას აძლევდა გომინდანს დაედო მასთან შეთანხმება თანამშრომლობის შესახებ სუნ იატ-სენის სამი პრინციპის საფუძველზე და მოითხოვდა მთელი ხალხის მობილიზაციას იაპონელი დამპყრობლების წინააღმდეგ სახალხო-განმათავისუფლებელი ომის საწარმოებლად. შეთანხმების შემთხვევაში საერთო ეროვნული ერთიანობის გულისათვის ჩკ პარტია თანახმა იყო წასულიყო გარკვეულ დათმობებზე: შეეწყვიტა მემამულეთა მიწების კონფისკაცია ძირითად რევოლუციურ ბაზაში — მოსაზღვრე რაიონში, მოეხდინა ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების რეორგანიზაცია, სახელი შეეცვალა წითელი არმიისათვის და დაემორჩილებინა იგი ჩინეთის საერთო სარდლობისათვის.

საყოველთაო პატრიოტული აღტყინებისა და იაპონელთა აგრესიის გაფართოების ვითარებაში ჩან კაი-ში იძულებული გახდა (17 ივლისს) განეცხადებინა, რომ წინააღმდეგობას გაუწევდა იაპონელ აგრესორებს. 1937 წლის აგვისტოში ლოჩუანში (იანანთან ახლო, შენსის პროვინციაში) ჩინეთის კომუნისტურმა პარტიამ მოიწვია

---

[1] ომი დაიწყო და დიდხანს მიმდინარეობდა ომის ფორმალური გამოცხადების გარეშე.

პოლიტბიურო'ს გაფართოებული სხდომა. რომელმაც მიიღო „იაპონელებისათვის წინააღმდეგობის გაწევისა და ქვეყნის ხსნის პროგრამა". პროგრამა საჭიროდ მიიჩნევდა მთელი ჩინელი ხალხის საყოველთაო მობილიზაციას, პოლიტიკური რეჟიმის დემოკრატიზაციას, ერთიანი ერრვნული ანტიიაპონური ფრონტის შექმნასა და ხალხის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას.

ეროვნული ხსნის ამ ნათელი პროგრამის პასუხად ჩან კაი-ში როგორც იქნა, დათანხმდა დაემყარებინა თანამშრომლობა კომუნისტურ პარტიასთან და გადაედგა საამისო კონკრეტული ნაბიჯები. დეკლარაცია თანამშრომლობის დამყარების შესახებ და ჩან კაი-შის პირადი განცხადება ამის თაობაზე გამოქვეყნდა ჩინურ პრესაში 1937 წლის 23 სექტემბერს. ეს თარიღი შეიძლება მივიჩნიოთ აღნიშნული თანამშრომლობის დასაწყისად.

ჩინეთის კომუნისტურმა პარტიამ ზუსტად შეასრულა დეკლარაციით ნაკისრი ვალდებულებანი და პირველი მაგალითი მისცა გომინდანურ ხელმძღვანელობას. მან შენსი-განსუ-ნინსიას სასაზღვრო რევოლუციური ბაზა გადაახალისა ჩინეთის რესპუბლიკის საგანგებო რაიონად, შეწყვიტა მემამულეთა მიწების კონფისკაცია და მემამულეებს ადგილობრივ ორგანოებში მონაწილეობის უფლება მისცა[1]. ამავე დროს კომუნისტური პარტია, რომელიც მტკიცე ვალდებულებას იღებდა სრულ გამარჯვებამდე ებრძოლა იაპონულ იმპერიალისტთა წინააღმდეგ, უფლებას იტოვებდა ერის შემჭიდროების ინტერესებისათვის ეწარმოებინა გომინდანის კრიტიკა და ებრძოლა ჩინეთის პოლიტიკური წყობის დემოკრატიზაციისათვის. ამას მოჰყვა წითელი არმიის რეორგანიზაცია ეროვნულ-რევოლუციურ არმიად (არსებული სარდლობის შენარჩუნებით) და მისი დამორჩილება ეროვნული მთავრობის სამხედრო საბჭოსადმი. წითელი არმიის ძირითადმა ნაწილებმა, რომლებიც ფრონტის მოწინავე ხაზზე იბრძოდნენ ჩრდილო ჩინეთში, ჯერ კიდევ აგვისტოში მიიღეს მე-8 ეროვნულ-რევოლუციური არმიის სახელი. ცოტა უფრო გვიან კი იმ პარტიზანული რაზმების ბაზაზე, რომლებიც დარჩნენ ძველ ცენტრალურ რევოლუციურ ბაზასა და მომიჯნავე რაიონებში, შეიქმნა ახალი — მე-4 სახალხო-რევოლუციური არმია ე ტინის სარდლობით.

ანტიიაპონური განმათავისუფლებელი ომის დასაწყისში შექმნილი ერთიანი ანტიიაპონური ნაციონალური ფრონტი ზოგიერთი არსებითი ნიშნით განსხვავდებოდა 1924—1927 წლების პერიოდის ერთი-

---

1 მაგრამ იქ გატარებული ძირითადი დემოკრატიული გადახალისებანი და პარტიის ხელმძღვანელობა ხალხის მასებსა და მის არმიაზე უცვლელი რჩებოდა.

ანი ფრონტისაგან. 1937 წელს ერთიანი ფრონტი არ გაფორმებულა ორგანიზაციულად. უფრო ვიწრო და კონკრეტული იყო ერთიანი ფრონტის ამოცანა: ბრძოლა იაპონიის იმპერიალიზმისა და მისი აგენტურის წინააღმდეგ. ახალი ერთიანი ფრონტი გაცილებით უფრო ფართო იყო, ვიდრე პირველი. იგი აერთიანებდა არა მარტო მუშათა კლასს, გლეხობას, წვრილბურჟუაზიასა და ეროვნულ ბურჟუაზიას, არამედ გაბურჟუებულ მემამულეებს, მილიტარისტების, მსხვილი მემამულეებისა და კომპრადორული ბურჟუაზიის ნაწილს. დასასრულ, 1937 წლისათვის კომუნისტურ პარტიას ჰქონდა თავისი განვითარებული აპარატი და მასებთან კავშირის საშუალებები, ტერიტორიული ბაზა და შეიარაღებული ძალები.

ერთიანი ფრონტის ფართო შემადგენლობა სერიოზულ პოლიტიკურ სიძნელეებს ქმნიდა. მის რიგებში სამი ძირითადი საზოგადოებრივი ძალა მონაწილეობდა: პროგრესული ბანაკი (მუშათა კლასი, გლეხობა და ქალაქის წვრილი ბურჟუაზიის უმრავლესობა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით), რომელიც შეადგენდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის მთავარ ძალას; შუალედი ჯგუფები (ეროვნული ბურჟუაზია, გაბურჟუებული მემამულეები — შენში, წვრილი ბურჟუაზიის მცირე ზედა ფენა და ადგილობრივ მილიტარისტთა ნაწილი) და კონსერვატორები ჩან კაი-შის ხელმძღვანელობით (მსხვილი მემამულეები, მსხვილი კომპრადორული ბურჟუაზია). ძალთა ასეთი განწყობის პირობებში კომუნისტური პარტიის ამოცანა იყო პროგრესული ბანაკის გაძლიერება, შუალედი ფენების თავის მხარეზე გადაყვანა და „შუბლმაგარი ძალების“ — კონსერვატორების იზოლაცია, მათი რეაქციული პოლიტიკისათვის გადამჭრელი წინააღმდეგობის გაწევა და ერთიან ფრონტში მათი შენარჩუნება... კომუნისტური პარტიის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იგი განუხრელად ახორციელებდა ამ პოლიტიკურ კურსს და მუდამ ანტიიაპონური ბრძოლის ავანგარდში იდგა.

საბჭოთა კავშირი იაპონიის აგრესიის დასაწყისიდანვე მტკიცედ დადგა ჩინელი ხალხის მხარდაჭერის პოზიციაზე. მან მაშინვე აღმოუჩინა აგრესიის ობიექტად ქცეულ დიდ მეზობელს მორალური და დიპლომატიური მხარდაჭერა და შემდეგშიაც არ აკლებდა მას სხვა ხასიათის დახმარებასაც.

1937 წლის 21 აგვისტოს საბჭოთა კავშირს და ჩინეთს შორის დაიდო თავდაუსხმელობის პაქტი, რომელიც დიდ მორალურ და დიპლომატიურ დახმარებას წარმოადგენდა ჩინეთისათვის. მას ამიერიდან შეეძლო მშვიდად ყოფილიყო: დიდი მეზობლის საზღვრების საიმედოობის მტკიცე გარანტია ჰქონოდა და მთელი გულისყური აგრესორისათვის წინააღმდეგობის გაწევისათვის მიექცია.

1938—1939 წლებში საბჭოთა კავშირმა ჩინეთს მისცა სამი ასი 250 მილიონი ამერიკული დოლარის საერთო რაოდენობით. ამ ფინანსური სახსრებით მას შეეძლო შეეძინა საომარი მასალები, სტრატეგიული ნედლეული და სხვა საჭირო მოწყობილობა. 1939 წელს ჩინეთსა და საბჭოთა კავშირს შორის დაიდო სავაჭრო ხელშეკრულება, რომელმაც აგრეთვე დიდი სარგებლობა მოუტანა ჩინეთს და მნიშვნელოვნად შეამსუბუქა იაპონელ იმპერიალისტთა მიერ მოწყობილი საზღვაო ბლოკადის მძიმე შედეგები. ამ ხელშეკრულების ძალით საბჭოთა კავშირმა ჩინეთს მიაწოდა საბრძოლო თვითმფრინავები[1], ტანკები, ზარბაზნები, სატვირთო მანქანები, ბენზინი და ა. შ. დასასრულ, საბჭოთა კავშირმა ჩინეთში გაგზავნა გამოცდილი სამხედრო მრჩევლები და მოხალისე მფრინავები, რომლებიც ჩინელ მფრინავებთან ერთად მამაცურად ებრძოდნენ მტრის ავიაციას და დიდ ზიანს აყენებდნენ მას.

ასეულმა საბჭოთა ადამიანმა თავისი სიცოცხლე შესწირა ჩინელი ხალხის განთავისუფლების საქმეს[2].

სულ სხვაგვარი იყო აშ შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის დამოკიდებულება ჩინელი ხალხის განმათავისუფლებელი ომისადმი. სიტყვით ისინიც გმობდნენ იაპონელ იმპერიალისტთა აგრესიას. „თანაუგრძნობდნენ" ჩინელ ხალხს; მათ „სპეციალისტებიც" კი გაგზავნეს ჩინეთში და რამდენჯერმე სესხიც კი მისცეს მას, მაგრამ ეს დახმარება ანგარებით იყო ნაკარნახევი. არც აშ შტატებსა და არც ინგლის-საფრანგეთს, რომელთა ინტერესები მკვეთრად შელახა იაპონელების მიერ ჩინეთის ტერიტორიისა და ცენტრების ნაწილის დაპყრობამ, ქმედითი ნაბიჯები არ გადაუდგამთ აგრესორის ასალაგმავად. ფაქტიურად სათანადო ხელისუფალნი ეწეოდნენ წაყრუებისა და აგრესორის წაქეზების მავნე პოლიტიკას. მათი კორპორაციები კი ძველებურად ვაჭრობდნენ იაპონიასთან, ამარაგებდნენ რა მას ლითონის ჯართით, ნავთობით, დაზგებით და მთელი რიგი დეფიციტური სტრატეგიული ნედლეულით.

---

1 ჩინეთმა მაშინ საბჭოთა კავშირიდან მიიღო 885 საბრძოლო თვითმფრინავი.

2 მათი ძმათა სასაფლაოებია ნანკინში, უხანსა და ჩინეთის სხვა ქალაქებში. ამით არ დამთავრებულა საბჭოთა კავშირის ინტერნაციონალური დახმარება ჩინელი ხალხისადმი. ანტიიაპონური ომის წლებში ჩინეთში იმყოფებოდნენ საბჭოთა სამხედრო სპეციალისტები და მხედართუფროსები (ვ. ი. ჩუიკოვი, პ. ს. რიბალკო, პ. ვ. ბატიცკი და სხვები), რომლებიც ეხმარებოდნენ ჩინელებს სამხედრო ოპერაციებში.

საომარ მოქმედებათა მიმდინარეობა. გომინდანელთა არმიის უკანდახევა. ორი ხაზი ანტიიაპონურ ომში. განთავისუფლებული რაიონების შექმნა და მათი გაფართოება

ომის პირველ ეტაპზე იაპონელთა იმპერიალისტებმა, რომელთაც ტექნიკის უკანასკნელი სიტყვით აღჭურვილი მრავალრიცხოვანი არმია და პირველხარისხოვანი ბაზები ჰქონდათ, კარგად გამოიყენეს დარტყმის მოულოდნელობა, ჩინეთის მოუმზადებლობა და სერიოზულ წარმატებას მიაღწიეს ყველა ფრონტზე.

ჩრდილოეთ ჩინეთში მოქმედმა იაპონიის 300 ათასიანმა არმიამ ივლისშივე დაიკავა ტიანძინი და პეკინი, აგვისტოში კი — ხანკოუ და ჯანძიაკო (კალგანი). სექტემბრისა და ოქტომბრის თვეებში იაპონელების ხელში გადავიდა ჩრდილო ჩინეთის სხვა ძირითადი ცენტრები (ბაოდინი, ძინანი...). 13 აგვისტოდან იაპონიის არმიამ ფლოტის დახმარებით დაიწყო ოპერაციები შანჰაის წინააღმდეგ და სამი თვის გააფთრებული ბრძოლების შემდეგ 11 ნოემბერს მოახდინა მისი ოკუპაცია. 13 დეკემბერს დაეცა ნანკინი[1], ომის ფრონტმა თანდათანობით ქვეყნის სიღრმისაკენ გადაინაცვლა. გომინდანური არმია, თუმცა იგი 3 მილიონზე მეტ შებრძოლს ითვლიდა, სუსტი დისციპლინის, სარდლობის ნაწილის დაუდევრობისა და აშკარა ღალატის, უმაღლესი მთავარსარდლობის მცდარი ტაქტიკის წყალობით სისტემატურად უკან იხევდა...

იაპონელმა დამპყრობლებმა ომის პირველი დღეებიდანვე ხელი მიჰყვეს ქალაქებისა და სოფლების ბარბაროსულ დაბომბვას, მხეცურ ძალადობას, აღვირახსნილ ძარცვას, სამოქალაქო მოსახლეობის ხოცვა-ჟლეტას, წინააღმდეგობის ბაზების მიწასთან გასწორებას. მათ მარტო ნანკინში დახოცეს 300 ათასი მშვიდობიანი მცხოვრები. მხეცური ორგიებით, ჩინელი ბავშვების, ქალებისა და მოხუცების სისხლის ნაკადებით ცდილობდნენ ისინი ჩინელი ხალხის წინააღმდეგობის დაძლევას.

იაპონელმა იმპერიალისტებმა დიპლომატიური დაწოლის მეთოდებსაც მიმართეს, რათა ამით დაეჩქარებინათ ჩინეთის კაპიტულაცია. უკვე 1937 წლის ბოლოს მათ გერმანიის ჩინელი ელჩის მეშვეობით ჩინეთის მთავრობას მიმართეს „სამშვიდობო“ წინადადებით. იაპონელები მოითხოვდნენ მანჯოუ-გოუსა და შიდა მონგოლეთის „დამოუკიდებლობის“ ცნობას, ჩინეთის ჯარების გამოყვანას ჩრდილო ჩინეთიდან, ანტიიაპონური მოძრაობის ჩახშობას, ერთობლივ ბრძოლას კომუნისტების წინააღმდეგ და ა. შ. მართალია, გომინდანური მთავრობის თავკაცები ჩან კაი-ში, ვან ძინ-ვეი, კუნ სიანსი... კეთილგანწყობილე-

---

[1] გომინდანის მთავრობა ჯერ უხანში გადავიდა, 1938 წლის ოქტომბრიდან კი — ჩუნცინში.

ბით შეეგებნენ ამ „სამშვიდობო“ ინიციატივას, მაგრამ სათანადო ფარული მოლაპარაკება მაინც უშედეგოდ დამთავრდა. იაპონელთა მოთხოვნები ზომაზე გადაჭარბებული იყო: მისი მიღება მოასწავებდა ჩინეთის სუვერენიტეტის სრულ ლიკვიდაციას, რაც მკვეთრად შელახავდა იმ სოციალური წრეების ინტერესებს, რომლებსაც ეს თავკაცები ეკუთვნოდნენ. ამას ისიც უნდა დაემატოს, რომ კაპიტულანტური პოლიტიკით საზოგადოებრივი აზრის საყოველთაო აღშფოთების ვითარებაში ჩან კაი-შის ეშინოდა სავსებით ნიღბის ჩამოხდისა.

იაპონელთა შეტევა და გომინდანის არმიის უკანდახევა 1938 წელსაც გრძელდებოდა, თუმცა ცალკეულ უბნებზე მტრისადმი წინააღმდეგობა გაძლიერდა, რამაც მათი წინსვლის ტემპები შეანელა. 1938 წლის მაისში იაპონელთა არმია დაეუფლა სიუჯოუს, ივნისში — მადანის ციხე-სიმაგრეს იანძზე, რასაც მოჰყვა ჩრდილოეთისა და ცენტრალური ფრონტების გაერთიანება. ოქტომბერში გომინდანელთა არმიამ დატოვა უხანი და დასავლეთისაკენ დაიხია. ოქტომბერშივე სამხრეთ ჩინეთში მოქმედმა იაპონიის არმიამ დაიკავა ქალაქი გუანჯოუ.

ამგვარად, 1937 წლის ივლისიდან 1938 წლის ბოლომდე იაპონელ იმპერიალისტთა ხელში მოექცა ჩრდილო და ცენტრალური ჩინეთის ვრცელი ტერიტორია, სამხრეთი ჩინეთის ცალკეული ბაზები, ათეული დიდი სასიცოცხლო ცენტრი, კოლოსალური რესურსები, მრავალათეულ მილიონიანი ჩინური მოსახლეობა. ომმა უდიდესი უბედურება მოუტანა ჩინელ ხალხს.

მორიგმა დამარცხებებმა გომინდანურ ხელმძღვანელობაში გააძლიერა კაპიტულანტური ტენდენციები. იმატა გომინდანელ გენერალთა აშკარა გამცემლობამ და ნებაყოფლობით მტრის მხარეზე გადასვლამ. 1938 წლის ბოლოს (უხანის დაცემის შემდეგ) ჩუნცინიდან თვითმფრინავით გაფრინდა და იაპონელების ბანაკში გაიქცა ჩან კაი-შის თანაშემწე ვან ძინ-ვეი (კაპიტულანტური დაჯგუფების ერთ-ერთი ლიდერი). იაპონელებმა თავიანთ კაცად გაიხადეს იგი და ცოტა გვიან ნანკინის ცენტრალური მარიონეტული მთავრობის მეთაურად დანიშნეს.

ერთადერთი რეალური ძალა, რომელიც მაღალი შემართებით ებრძოდა იაპონელ დამპყრობლებს, იყო კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მებრძოლი მე-8 და მე-4 ეროვნულ-რევოლუციური არმიები.

მე-8 ეროვნულ-რევოლუციური არმია უკვე 1937 წლის აგვისტოს მეორე ნახევარში გაემართა ფრონტისაკენ, რათა გზა გადაეღობა იაპონელი აგრესორებისათვის. 25 სექტემბერს პინსინგუანთან (შანსის პროვინციის ჩრდილო ნაწილში) მან პირველი სერიოზული დამარ-

ცხება აგემა იაპონიის ერთ-ერთ რჩეულ ბრიგადას. ორდღიან შეუპოვარ ბრძოლაში მტერმა დაკარგა 3 ათასზე მეტი კაცი, 100 ავტომანქანა და სხვა საომარი მოწყობილობა. ამ დიდმა გამარჯვებამ გაფანტა მითი იაპონიის არმიის უძლეველობის შესახებ და ჩინელ ჯარისკაცებს საკუთარი ძალებისადმი რწმენა გაუცხოველა.

კომუნისტური პარტიის უშუალო ხელმძღვანელობით მე-8 და შედარებით უფრო გვიან იანძის სამხრეთით შექმნილმა ახალმა მე-4 არმიამ ფრონტი მტრის ზურგში გადაიტანეს და მშრომელი მოსახლეობის აქტიური მონაწილეობით დროებით ოკუპირებულ ტერიტორიებზე გაშალეს სახალხო შურისმაძიებელი პარტიზანული ომი. აღნიშნული არმიების შენაერთებმა მტრის ღრმა ზურგში ხალხის მასების მხარდაჭერით მოკლე დროში გაწმინდეს ოკუპანტებისაგან ვრცელი ტერიტორია, სადაც შექმნეს განთავისუფლებული რაიონები. პარტიზანული ომის მასშტაბის გაფართოებასთან ერთად იზრდება განთავისუფლებული რაიონების რაოდენობა და იქ მოქმედ პარტიზანთა შენაერთების რიცხვი. ამგვარად ფაქტიურად შეიქმნა ორი ფრონტი— გომინდანის არმიის მოქმედი ფრონტი და განთავისუფლებული რაიონების ფრონტი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით.

განთავისუფლებულ რაიონთაგან ერთ-ერთი ყველაზე პირველი და ვრცელი იყო ხებეი-ჩახარ-შანსის პროვინციების შესაყარზე 1938 წლის დასაწყისიდან აღმოცენებული რაიონი. მალე ამას მოჰყვა სხვა განთავისუფლებული რაიონების შექმნა. ასეთივე განთავისუფლებული რაიონები შეიქმნა მდინარე იანძის სამხრეთით და ჩრდილოეთით მე-4 ეროვნულ-რევოლუციური არმიის ენერგიულ საბრძოლო მოქმედებათა შედეგად. ცოტა უფრო გვიან პარტიზანული რაზმების წყალობით განთავისუფლებული რაიონები აღმოცენდნენ სამხრეთ ჩინეთშიაც (გუანდუნის პროვინციასა და კუნძულ ჰაინანზე).

განთავისუფლებული რაიონების ტერიტორია და მოსახლეობა 1938—1940 წლებში თითქმის გასამკეცდა. ეს რაიონები იქცნენ იაპონელი იმპერიალისტებისადმი სახალხო წინააღმდეგობის ძირითად ბაზებად. კომუნისტურმა პარტიამ მჭიდროდ დააკავშირა იქ ხალხის მასები და მათგან შექმნა სახალხო ლაშქრის რაზმები, რომლებიც მე-8 და მე-4 არმიებთან ერთად იცავდნენ მტრისაგან გაწმენდილ მიწა-წყალს, თავს ესხმოდნენ მტრის კომუნიკაციებს და ბაზებს და დიდ ზიანს აყენებდნენ მას.

განთავისუფლებულ რაიონებში კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ხორციელდებოდა სერიოზული დემოკრატიული გარდაქმნები. რთული საომარი ვითარების მიუხედავად, იქ ჩატარდა დიდი

მეშაობა გლეხობისა და მოსახლეობის სხვა მშრომელი ფენების პირობების გასაუმჯობესებლად. შემცირდა საიჯარო გადასახადი და სავახშო სესხის პროცენტი, ხალხის მტრების მიწები განაწილდა გლეხებს შორის, მრავალი გადასახადისა და ბეგრის ნაცვლად შემოღებულ იქნა ერთიანი პროგრესიული გადასახადი, გაიხსნა მრავალი სკოლა როგორც პატარების, ისე მოზარდთათვის. შეიქმნა სამომხმარებლო კოოპერაცია, წახალისდა გლეხთა შრომითი ურთიერთდახმარება, სერიოზული ყურადღება მიექცა ხელოსნობა-შინამრეწველობის განვითარებას, გზებისა და ხიდების მშენებლობას, შემოღებულ იქნა სახალხო ხელისუფლების ორგანოების საყოველთაო და პირდაპირი არჩევნები.

ჩინეთის კომუნისტური პარტიის ბრძოლა გომინდანური ხელმძღვანელობის კაპიტულანტური პოლიტიკის წინააღმდეგ

მიუხედავად იმ მრისხანე სამხედრო-პოლიტიკური ვითარებისა, რომელიც შეიქმნა ჩინეთში ომის პირველი წლის დამთავრების შემდეგ და იმ უდიდესი უბედურებისა, რაც მან ჩინელ ხალხს მოუტანა, კაპიტულანტური განწყობილება მაინც არ იყო დამახასიათებელი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილისათვის. ასეთი განწყობილება ფეხმოკიდებული იყო მარტო ერთიანი ფრონტის კონსერვატულ წრეებში, ჩან კაი-შისა და მის გარემომცველ წრეებში, რომლებიც განაგრძობდნენ ფარულ მოლაპარაკებას ინტერვენტებთან კაპიტულაციის თაობაზე. რაც შეეხება ჩინეთის კომუნისტურ პარტიას, იგი შეუნელებელ ბრძოლას აწარმოებდა გომინდანური ზედაფენის კაპიტულანტური პოლიტიკისა და მოსახლეობის ნაწილში გავრცელებული დაცემულობა-ურწმუნოების სულისკვეთების წინააღმდეგ.

კომუნისტური პარტიის მთელ რიგ დოკუმენტში („გაჭიანურებული ომის შესახებ“ და სხვ.), რომლებიც 1938 და მომდევნო წლებში გამოქვეყნდა, ჩინეთის შინაგანი მდგომარეობისა და საერთაშორისო ვითარების საღი შეფასების საფუძველზე მოცემული იყო ომის პერსპექტივების ჭეშმარიტი გაგება. ისეთი დიდი და მრავალფეროვანი რესურსების მქონე ქვეყნის დამარცხება, როგორიცაა ჩინეთი, — აღნიშნული იყო ამ დოკუმენტებში,—არ შეიძლება. ომი, რომელსაც გაჭიანურებული ხასიათი ექნება, საბოლოოდ მაინც ჩინელი ხალხის გამარჯვებით დამთავრდება. იგი გაივლის სამ ეტაპს: 1) სტრატეგიული თავდაცვის—მტრის სტრატეგიული შეტევისა და წინსვლისა; 2) ძალთა სტრატეგიული წონასწორობისა—მტრის თავდაცვაზე გადასვლისა და

ჩინეთის კონტრშეტევისათვის მომზადებისა; 3) ჩინეთის სტრატეგიულ კონტრშეტევაზე გადასვლისა და მტრის უკანდახევისა. ომს ჩინელი ხალხი მოიგებს არმიისა და ხალხის შეკავშირებით, ქვეყნის მთელი რესურსების მობილიზაციით, ჭეშმარიტად სახალხო ომის გაჩაღებით.

1939 წლიდან საომარი ოპერაციები ჩინეთის სხვადასხვა ფრონტზე მართლაც ძალთა სტრატეგიული წონასწორობის ნიშნით მიმდინარეობს. გომინდანური ფრონტი პასიური თავდაცვით კმაყოფილდება, იაპონელი იმპერიალისტები კი თითქმის აჩერებენ შეტევას და თავიანთ მთავარ ძალებს განთავისუფლებული რაიონების წინააღმდეგ მიმართავენ[1]. სწორედ ეს რაიონები და სახალხო პარტიზანული ბრძოლა იქცევა მათთვის ძირითად ფრონტად. 1939—1940 წლებში იაპონელმა ინტერვენტებმა რამდენიმე დამსჯელი ექსპედიცია მოაწყეს მე-8 და ახალი მე-4 არმიების წინააღმდეგ, რომელშიაც თავიანთი მარიონეტებიც ჩაითრიეს. საომარ ოპერაციებს განთავისუფლებული რაიონების წინააღმდეგ თან სდევდა დასახლებული პუნქტების მიწასთან გასწორება და მოსახლეობის მასობრივი ხოცვა-ჟლეტა.

მაგრამ იაპონელმა ინტერვენტებმა ბოლო ვერ მოუღეს პარტიზანულ ომს, ვერ მოსპეს განთავისუფლებული რაიონები, პირიქით, ამ ბრძოლის პროცესში კიდევ უფრო გაფართოვდა შურისმაძიებელი ომის მასშტაბი, განთავისუფლებული რაიონების ფართობი და მტრის კომუნიკაციებისათვის მიყენებული ზარალი. ამ მძიმე ბრძოლების პროცესში მე-8 და მე-4 არმიების შემადგენლობამ 500 ათას კაცს გადააჭარბა და მტრისათვის მრისხანე ძალად იქცა. განთავისუფლებული რაიონების მოსახლეობამ 100 მილიონ კაცს მიაღწია.

ამ მარცხის მიუხედავად, იაპონელმა იმპერიალისტებმა გაორკეცებული ენერგიით შეუტიეს განთავისუფლებულ რაიონებს და მათი გარემოცვისათვის თავი მოუყარეს ჩინეთში მოქმედი თავიანთი ძალების 60%. ისინი უფრო მეტად ახორციელებენ „მკვდარი სივრცის“ ტაქტიკას, ვანდალური შეუბრალებლობით სპობენ რა ყველაფერს თავიანთი წინააღმდეგობის გზაზე.

მკაცრმა ეკონომიურმა ბლოკადამ და სრული მოსპობის ტაქტიკამ, რასაც იყენებდნენ გამხეცებული იაპონელი ინტერვენტები სახალხო არმიებისა და განთავისუფლებული რაიონების წინააღმდეგ, სერიოზული ეკონომიური და სხვა ხასიათის სიძნელეები შეუქმნა ამ რაი-

---

1 ამ ეტაპზე, კერძოდ 1939 წელს იაპონელებმა დაიკავეს ამოისა და სვატოუს ნავსადგურები და ქალაქი ნანჩანი, რის შემდეგ 6 თვის მანძილზე ფრონტებზე შედარებით სიჩუმე ჩამოვარდა.

ონების მოსახლეობას. თავი იჩინა სურსათისა და პირველი მოთხოვნილების საგნების მკვეთრმა ნაკლებობამ, აქა-იქ შიმშილობაც ჩამოვარდა.

ასეთ მძიმე ვითარებაში სახალხო არმიებსა და შეუვალ ციხესიმაგრედ ქცეულ განთავისუფლებული რაიონების მოსახლეობას მეორე ფრონტზედაც მოუხდათ მძიმე ბრძოლების წარმოება. ისინი იძულებული გახდნენ მოეგერიებინათ გომინდანელთა დივიზიების პერიოდული შემოტევები. კომუნისტური პარტიის გავლენის შეუჩერებელი ზრდითა და დემოკრატიული მოძრაობის აღმავლობით დაშინებულმა გომინდანმა ერთიანი ფრონტის დარღვევაზე აიღო კურსი. მან „შინაგანი ფრონტი" — კომუნისტური პარტია და მისი სახალხო არმიები, მის ირგვლივ დარაზმული ხალხის მასები — მიიჩნია მთავარ მტრად, იაპონელი იმპერიალისტები — მეორეხარისხოვნად. 1939 წლის დეკემბერში ჩან კაი-შიმ წამოიწყო პირველი „ანტიკომუნისტური კამპანია", რომელსაც ერთი წლის შემდეგ მოჰყვა მეორე, მეორეს—მესამე და ა. შ. პირველი ლაშქრობის დროს გომინდანელთა მთავარი დარტყმები მიმართულ იქნა შენსი-განსუ-ნინსიას საასაზღვრო რაიონის წინააღმდეგ. მე-8 არმიის ნაწილებმა მოსახლეობის აქტიური მხარდაჭერით მოიგერიეს ეს შეტევა. ამის მიუხედავად 1940 წლის დასასრულს გომინდანელებმა ახალი დივიზიები გადაისროლეს ამ რაიონის საზღვრების ზონაში და ხელმეორედ მოახდინეს მისი ბლოკირება.

კიდევ უფრო აღმაშფოთებელი იყო გომინდანელთა ნაწილების პროვოკაციული თავდასხმა ახალი მე-4 არმიის შტაბის ნაწილებზე ანჰუეის პროვინციის სამხრეთ ნაწილში (იანძის სამხრეთით) 1941 წლის იანვარში[1]. ამ მუხანათური აქტის შედეგად დახოცილ იქნა არმიის მეთაურთა და პოლიტმუშაკთა დიდი ნაწილი, მოკლულ იქნა არმიის კომისარი სიან ინი, დაიჭრა და ტყვედ ჩავარდა მისი მეთაური ე ტინი, რომელიც ჩუნცინის ციხეში იქნა მოთავსებული.

მე-4 არმიის ნაწილებზე თავდასხმამ აღაშფოთა ჩინეთის მოსახლეობის ფართო ფენები. მკაცრად დაგმო ეს ვერაგული საქციელი 1941 წლის მარტში შექმნილმა ჩინეთის დემოკრატიულმა ლიგამ (ეროვნული ბურჟუაზიისა და ეროვნული ბურჟუაზიული ინტელიგენციის ორგანიზაციამ). კომუნისტურმა პარტიამ მოითხოვა ამ პროვოკაციის ორგანიზატორთა მკაცრად დასჯა და ტყვეების განთავისუფლება. როდესაც ჩან კაი-შიმ უყურადღებოდ დატოვა ეს სამართლიანი მოთხოვნები, კ/პარტიის ცკ-ში შეიქმნა რევოლუციური სამ-

---

[1] იმ დროს არმია მიემართებოდა იანძის ჩრდილო ტერიტორიაზე. რათა იქ განეგრძო ბრძოლა ოკუპანტების წინააღმდეგ.

ხედრო საბჭო, რომელიც ამიერიდან სათავეში ჩაუდგა მე-8 და მე-4 არმიების დამოუკიდებელ ოპერაციებს იაპონელ დამპყრობელთა წინააღმდეგ.

საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომი და მისი გავლენა ჩინეთზე. ომი წყნარი ოკეანის აუზში

ჰიტლერული გერმანიის მუხანათურმა თავდასხმამ საბჭოთა კავშირზე და მის პასუხად საბჭოთა ხალხის მიერ სახალხო-განმათავისუფლებელი ომის გაჩაღებამ უშუალო გავლენა იქონია იაპონიის იმპერიალიზმის წინააღმდეგ მებრძოლ ჩინელ ხალხზე. სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბჭოთა ხალხის გმირულმა ბრძოლამ ახალი ენერგია შემატა ჩინელ ხალხს და დარაზმა იგი ახალი საგმირო საქმისათვის.

სულ სხვაგვარად გამოეხმაურა გმირი საბჭოთა ხალხის თავდადებულ ბრძოლას გომინდანური მთავრობა და სარდლობა. დარწმუნებული იმაში, რომ ომი ფაშისტური გერმანიის გამარჯვებით დამთავრდებოდა, მათ კიდევ უფრო შეანელეს ბრძოლა იაპონელ იმპერიალისტებთან და გააძლიერეს ოპერაციები განთავისუფლებული რაიონების წინააღმდეგ.

გომინდანის არმიების პასივობა კარგად გამოიყენა იაპონიის სარდლობამ, რომელმაც აქა-იქ ფრონტებზე დაიწყო შეტევითი ოპერაციები, თანაც მოამზადა ახალი კონცენტრირებული დარტყმები მე-8 და მე-4 სახალხო არმიების წინააღმდეგ. დამსჯელ ოპერაციებში მონაწილეობას იღებდა ნახევარმილიონიანი არმია და მარიონეტული ჯარების ათეული დივიზია. 1941 წლის შუალედისათვის დაწყებული იერიშები ახალი გააფთრებით გრძელდებოდა 1942 წელსაც.

მართალია, იაპონელთა ეს იერიშები მოგერიებულ იქნა, მაგრამ მან მაინც დატოვა თავისი ცუდი კვალი. „ყველაფერი დაწვით, ყველა დახოცეთ, ყველაფერი გაძარცვეთ"-ის მეთოდებით მოქმედმა დამსჯელმა ბანდებმა ენით აუწერელი ბარბაროსობა ჩაიდინეს და უდიდესი უბედურება მოუტანეს სამარი რაიონების მოსახლეობას. ამას ისიც დაერთო, რომ მტრის ნაწილებმა მოახერხეს განთავისუფლებული და პარტიზანული რაიონების ტერიტორიების ნაწილის ხელში ჩაგდება და იქ თავიანთი „კვალის" დატოვება. გომინდანელთა და იაპონელ ოკუპანტთა წინააღმდეგ შეუჩერებელი ოპერაციების შედეგი იყო სახალხო არმიების სერიოზული დანაკარგი და მათი რიცხვის შემცირება, მაგრამ კომუნისტური პარტიის მიერ განხორციელებული უდიდესი საორგანიზაციო და პოლიტიკური მუშაობის შედეგად 1942 წლის შუალედიდან მდგომარეობა გაუმჯობესდა.

1941 წლის 7 დეკემბერს იაპონია მოულოდნელად თავს დაესხა აშ შტატებისა და ინგლისის კოლონიურ სამფლობელოებს წყნარი ოკეანის აუზში, რითაც მან დაიწყო ომი მსოფლიოს ამ ნაწილში.

ომის დაწყებამ წყნარი ოკეანის აუზში მაშინვე მკვეთრად შეცვალა ჩინეთის საერთაშორისო მდგომარეობა და იგი ანტიჰიტლერული კოალიციის მონაწილე გახადა. 1941 წლის 9 დეკემბერს ჩინეთმა ოფიციალურად ომი გამოუცხადა იაპონიას, 10 დეკემბერს კი—გერმანიასა და იტალიას. 1942 წლის 1 იანვარს ჩინეთმა ანტიჰიტლერული კოალიციის სხვა სახელმწიფოებთან ერთად ხელი მოაწერა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დეკლარაციას.

1942 წლიდან აშ შტატებმა და ინგლისმა დაიწყეს ჩინეთისათვის ფინანსური დახმარების აღმოჩენა[1]. ამის პარალელურად აშ შტატებმა მისი ინტერესების შესაბამისად გააძლიერა ჩინეთისათვის იარაღისა და აღჭურვილობის მიწოდება, რომლითაც დაიწყო ახალი გომინდანური დივიზიების აღჭურვა, მიეცა ჩინეთს სასურსათო დახმარებაც. აშ შტატებმა ლენდლიზით მიწოდებული იარაღისა და სურსათის გასანაწილებლად ჩინეთში მიავლინა მისი მრავალი წარმომადგენელი. ჩინეთს მოევლინენ ამერიკელი სამხედრო მრჩევლებიც.

აშ შტატების, ინგლისისა და ჩინეთის კაიროს კონფერენციაზე (1943 წ.) ინგლისმა და აშ შტატებმა საჯაროდ განაცხადეს, რომ იაპონიასთან ბრძოლაში მათი ძირითადი ამოცანაა ჩამოერთვას იაპონიას პირველი მსოფლიო ომის დროიდან მითვისებული ყველა კუნძული და დაუბრუნდეს ჩინეთს იაპონელების მიერ მიტაცებული მთელი ტერიტორია (დუნბეი, ტაივანი, პენჰულედაოს არქიპელაგი). იმავე 1943 წელს ინგლისი და აშ შტატები იძულებული გახდნენ ხელი მოეწერათ შეთანხმებაზე ჩინეთში ექსტერიტორიული უფლებების ლიკვიდაციის შესახებ.

მაგრამ ჩინეთისათვის შექმნილ ამ ხელსაყრელ ვითარებას არ მოჰყოლია არსებითი ცვლილებები ჩინელი ხალხის ცხოვრებაში და გომინდანელთა პოლიტიკაში, არ გაუაქტიურებია საომარი ოპერაციები იაპონელთა წინააღმდეგ. ამას ხელი შეუშალა გომინდანელთა ანტიხალხურმა პოლიტიკამ, მიმდინარე ომისადმი საბოტაჟისა და განთავისუფლებული ბაზების წინააღმდეგ შეტევის პოლიტიკამ.

გომინდანის რეაქციული ხელმძღვანელობა ომს პირადი გამდიდრებისათვის იყენებდა. მათ გაფლანგეს აშ შტატებისა და ინგლისისაგან მიღებული სესხების უდიდესი ნაწილი. ქვეყნის ეკონომიურ-ფინანსური მდგომარეობა დღითი-დღე უარესდებოდა, მშრომელი მასების ცხოვრების პირობები კატასტროფული ხდებოდა, შიმშილმა და გადამდებმა სენმა მოიცვა ქვეყნის მნიშვნელოვანი ნაწილი.

---

[1] 1942 წლის თებერვალში ინგლისმა მისცა 50 მილ. გირვანქა სტერლინგი სესხი, მარტში აშ შტატებმა — 500 მილ. დოლარის რაოდენობით.

გომინდანურ ჩინეთში ყველაფერი ბიუროკრატიული კაპიტალის მაგნატების ოთხი უმსხვილესი ოჯახის — ჩან კაი-შის, კუნ სიან-სის, სუნ ძი-ვენისა, ძმების ჩენ გო-ფუსა და შენ ლი-ფუს—პატივმოყვარე ინტერესებს ეწირებოდა. „მეჯლისი ჟამიანობის დროს“ — ასე შეიძლება შევაფასოთ მათი ცხოვრება და საქმიანობა ომის მძიმე წლებში. სახელმწიფო აპარატისა და მისი იძულებითი ორგანოების მეშვეობით მათ გაძარცვეს მთელი ჩინეთი და კოლოსალურ სახსრებს მოუყარეს თავი. ამ დიდმა ონავრებმა თავიანთ კონტროლს დაუქვემდებარეს მრეწველობის წამყვანი დარგები, უმსხვილესი ბანკები, საშინაო და საგარეო ვაჭრობა, სავაჭრო და სამრეწველო კორპორაციები. საკუთარი ჩარჩულ-ეგოისტური ინტერესების შესაბამისად ისინი ატარებდნენ ანტინაციონალურ პოლიტიკას. მათ მისცეს ფართო გასაქანი ამერიკულ მონოპოლიათა საქმიანობას, ომის მიწურულისათვის კი გახდნენ მათი აგენტები და სოციალური საყრდენები.

გომინდანური „ოთხი ოჯახის“ პარპაშს, სამეურნეო მოშლილობას, დევალვაციას, მძაფრ სასურსათო სიძნელეებს, შიმშილობას, მშრომელთა აუტანელ ყოფას გომინდანურ ჩინეთში თან ერთვის გომინდანელთა სუსხიანი დიქტატურა. ჩან კაი-შიმ და მისმა გარემოცვამ სავსებით წაშალეს ბურჟუაზიული დემოკრატიის ყოველგვარი ნიშნები და სულის შემხუთავი ტერორი გააბატონეს.

იაპონელ იმპერიალისტთა წინააღმდეგ ენერგიული მოქმედების ნაცვლად გომინდანური ანტიხალხური ხელმძღვანელობა აღვივებს ანტიკომუნისტურ ისტერიას და ამერიკის ფინანსური სახსრებით, ამერიკელ მრჩეველთა შემწეობით, გაწვრთნილი ახალი დივიზიებით 1943 წლიდან ახალ შეტევებს იწყებს განთავისუფლებული რაიონების წინააღმდეგ. მაგრამ არც ამ ახალმა შეტევამ მოუტანა დაფნის გვირგვინი მის ინიციატორებს. მე-8 სახალხო არმიამ ერთხელ კიდევ მოიგერია ეს დარტყმა და აიძულა გომინდანელთა დივიზიები უკან დაეხიათ.

თუკი შევაჯამებთ ყოველივე ზემოაღნიშნულს, ჩვენთვის ნათელი იქნება, თუ რატომ გაჭიანურდა ასე ანტიიაპონური ომი, რატომ გახანგრძლივდა ომის მეორე — ძალთა წონასწორობის ეტაპი, რატომ ვერ მომზადდა ნიადაგი მთელ ფრონტზე სტრატეგიული კონტრშეტევისათვის. გახრწნილ, ანტიხალხურ გომინდანურ დიქტატურას არ შეეძლო და არც სურდა წარმატებით დაეგვირგვინებინა ანტიიაპონური განმათავისუფლებელი ომი.

იაპონიის არმიის შეტევა გომინდანელთა ფრონტზე 1944 წელს. კომუნისტური პარტიის VII ყრილობა

გომინდანელთა ასეთი პოლიტიკა კარგად გამოიყენეს იაპონელმა იმპერიალისტებმა. 1944 წელს მათ, მიუხედავად იმისა, რომ წყნარი ოკეანის აუზში ომის სასწორი ინგლის-ამერიკისა და მისი მოკავშირეების მხარეზე გადაიხარა, ახალი დიდი კონცენტრირებული შეტევა წამოიწყეს ჩინეთის ფრონტზე. ამ შეტევის ძირითადი მიზანი იყო იაპონელთა შორის გამარჯვების რწმენის განმტკიცება და გომინდანელთა ფრონტის მოშლით მათი იძულება კაპიტულაციაზე. ოპერაციაში მონაწილეობდა რამდენიმე ათეული დივიზია. ამ შეტევამ გამოავლინა გომინდანური არმიების სრული დემორალიზაცია. იაპონელთა დივიზიების დარტყმას მოჰყვა გომინდანელთა თავდაცვის მოშლა მთელ ფრონტზე და არმიის პანიკური უკანდახევა. რამდენიმე თვის შეტევის შედეგად იაპონელებმა მოიპოვეს მნიშვნელოვანი სტრატეგიული წარმატებები. ისინი დაეუფლნენ ვრცელ ტერიტორიას 60 მილიონზე მეტი მოსახლეობით. მათ ხელში მოექცა ხენანის, ხუნანის, გუანსისა და ფუძიანის ტერიტორიების უმეტესობა — თითქმის მთელი ცენტრალური და სამხრეთ-აღმოსავლეთი ჩინეთი (ისეთი სტრატეგიული ცენტრებით, როგორიც იყო ჩანშა, ლოიანი, ჯენჯოუ, გუილინი...). იაპონელებმა გაანადგურეს ასზე მეტი გომინდანური დივიზია, ხელთ იგდეს დიდძალი იარაღი, საავიაციო ბაზები, ტრანსპორტის საშუალებები, ტყვეები. გომინდანელთა ჯარების დანაკლისი 700 ათას კაცს აღემატებოდა. იაპონელები დაეუფლნენ ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთის მის სამხრეთ ნაწილთან, ვიეტნამთან და ბირმასთან დამაკავშირებელ კონტინენტურ კომუნიკაციებს.

იაპონელებს თეორიულად სრული შესაძლებლობა ჰქონდათ განეგრძოთ წარმატებით დამთავრებული შეტევა და სისრულეში მოეყვანათ თავიანთი ჩანაფიქრი: დაემთავრებინათ ჩინეთთან წარმოებული გაჭიანურებული ომი. სისხლით ხორცამდე გახრწნილი გომინდანური რეჟიმი და მათივე მოშლილი არმია ხელს ვერ შეუშლიდნენ ამაში. მაგრამ იაპონელებმა ვერ გამოიყენეს ეს შესაძლებლობა. ომში მათ ხელი შეუშალა სახალხო წინააღმდეგობის გაძლიერებამ და საომარი ვითარების მკვეთრად გაუარესებამ წყნარი ოკეანის სხვა ფრონტებზე.

კომუნისტურ პარტიას, გამოხატავდა რა ჩინელი ხალხის დიდი უმრავლესობის პატრიოტულ მისწრაფებებს, ბოლომდე მტკიცედ ეჭირა ანტიიაპონური ომის ხელმძღვანელის საპატიო დროშა. იგი ამტკიცებდა და აფართოებდა განთავისუფლებულ რაიონებს, მტრისათვის წართმეული იარაღით აიარაღებდა პატრიოტთა ახალ შენაერთებს, მზარდ დარტყმებს აყენებდა ოკუპანტებს და ზრდიდა მე-8 და

მე-4 არმიების საბრძოლო ძალას. 1944 წლის მეორე ნახევარსა და 1945 წლის დასაწყისში გომინდანური ფრონტის ფაქტიური მოშლის ვითარებაში, აღნიშნულმა არმიებმა გააძლიერეს თავიანთი შეტევები იაპონელთაგან ოკუპირებულ ტერიტორიებზე, დიდი ზიანი მიაყენეს მათ. იაპონელების მიერ ოკუპირებულ 915 მაზრიდან 678 მაზრაში ფაქტიური ძალაუფლება სახალხო ხელისუფლების ორგანოების ხელში იყო. განთავისუფლებული რაიონები იქცნენ პატრიოტული ძალების ძირითად დამრაზმავ ბაზებად, ხოლო მე-8 და მე-4 სახალხო არმიები და მრავალრიცხოვანი სახალხო ლაშქარი, განთავისუფლებული რაიონების ფრონტებზე რომ იბრძოდნენ, გახდნენ ჩინელი ხალხის კონტრშეტევაზე გადასვლის გადამწყვეტი ძალები.

გომინდანური ზედაფენის გამყიდველური პოლიტიკით მოსახლეობის ფართო ფენების აღშფოთების ვითარებაში კომუნისტური პარტია შეუნელებლად განაგრძობს ბრძოლას ერთიანი ფრონტის პრინციპების დაცვისათვის. ნიღაბს ხდის რა გომინდანის პოლიტიკის ანტიხალხურ და ანტინაციონალურ ბუნებას, იგი მოითხოვს გომინდანის ერთპარტიული დიქტატურის ლიკვიდაციას, გომინდანისა და კომპარტიის თანამშრომლობის აღდგენას და თანამშრომლობით აღებულ ვალდებულებათა რეალიზაციას. მაგრამ კომუნისტური პარტიის ინიციატივა ამჯერადაც უშედეგოდ დარჩა.

1945 წლის აპრილში იანანში ჩატარდა ჩინეთის კომუნისტური პარტიის VII ყრილობა, რომელმაც ასეთ რთულ ვითარებაში ამოცანად დაისახა შეეჯამებია VI ყრილობის შემდეგ განვლილი 17 წლის განმავლობაში ჩატარებული მუშაობა და დაესახა მომავალი საბრძოლო ამოცანები.

ყრილობის გახსნის მომენტისათვის ჩკპ რიგებში ითვლებოდა 1210 ათასი წევრი. ანტიიაპონური ომის დასაწყის პერიოდთან შედარებით ამ დროისათვის პარტიის წევრთა რიცხვი გაზრდილი იყო 30-ჯერ. იგი ხელმძღვანელობას უწევდა 19 განთავისუფლებულ რაიონს, სადაც 95500 ათასი კაცი ცხოვრობდა.

ყრილობამ მოისმინა პოლიტიკური მოხსენება „კოალიციური მთავრობის შესახებ". მოხსენებაში გაანალიზებული იყო ქვეყნად არსებული მდგომარეობა და საერთაშორისო ვითარება. ყრილობამ, განაზოგადა რა ჩკპ ბრძოლის გამოცდილება, წამოაყენა მომავალი ბრძოლისა და გამარჯვების კონკრეტული ამოცანები, მათ შორის: ყველა სიძნელის დაძლევა, გომინდანის ერთპარტიული დიქტატურის მოსპობა, მთელი ჩინელი ხალხის შემჭიდროება, სახალხო შეიარაღებული ძალების განმტკიცება, იაპონელ დამპყრობელთა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერება და მისი წარმატებით დაგვირგვინება. დემოკრატიული კოალიციური მთავრობის შექმნა, ხალხისათვის

დემოკრატიულ უფლებათა მინიჭება, მშრომელთა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, აგრარული რეფორმის ჩატარება, პარტიის რიგების ზრდა, მისი განმტკიცება, ხალხისა და პარტიის რიგების შემჭიდროება, სსრკ ძმური დახმარება და სხვ. ყრილობამ იმის საწინდრად მიიჩნია, რომ ახალი სუვერენული, დემოკრატიული ჩინეთის აგების ამოცანა ახლო მომავალში წარმატებით გადაწყდებოდა. ყრილობამ მიიღო სამოქმედო პროგრამა — პროგრამა მინიმუმი და პროგრამა მაქსიმუმი.

საბჭოთა კავშირის ჩაბმა იაპონიის წინააღმდეგ ომში და იაპონიის უსიტყვო კაპიტულაცია. ჩინეთის სახალხო არმიების შეტევა და ანტიიაპონური განმათავისუფლებელი ომის დამთავრება

ჩინელი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ომი იაპონელ დამპყრობელთა წინააღმდეგ, სახალხო შეიარაღებული არმიების მზარდი დარტყმების მიუხედავად, კიდევ გახანგრძლივდებოდა, რომ მეორე მსოფლიო ომის დამთავრებას არ დაეახლოებინა მისი ფინალი. საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების მიერ ჰიტლერული ურდოების განადგურებამ საკუთარ ბუნაგში და მისიეე მოქმედების შედეგად იაპონიის მომდევნო კაპიტულაციამ გადამწყვეტი როლი შეასრულეს ამ მიმართულებით.

1945 წლის 26 ივლისს პოტსდამში გამოქვეყნდა აშ შტატების, ინგლისისა და ჩინეთის დეკლარაცია, რომლითაც იაპონიისაგან მოითხოვდნენ უსიტყვო კაპიტულაციას. მაგრამ იაპონიის საიმპერატორო მთავრობამ უარყო ეს მოთხოვნა და განაგრძო თითქმის წაგებული ომი. ამის საპასუხოდ 1945 წლის 8 აგვისტოს საბჭოთა კავშირმა, ერთგულმა თავისი სამოკავშირეო ვალდებულებისადმი, მიიღო მოკავშირეთა წინადადება შეერთებოდა პოტსდამის დეკლარაციას და ომის უმოკლეს ვადაში დამთავრებისა და საყოველთაო მშვიდობის აღდგენის მისწრაფებებით შეგულიანებულმა ომი გამოუცხადა იაპონიას.

9 აგვისტოს საბჭოთა კავშირის შეიარაღებულმა ძალებმა მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკის არმიასთან ერთად დაიწყეს დიდი მასშტაბის საომარი ოპერაციები ქვანტუნის მილიონნიანი არმიის წინააღმდეგ ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთსა და მის მოსაზღვრე რაიონებში. ამით აღფრთოვანებული მე-8 და მე-4 სახალხო არმიები და სახალხო ლაშქრის შენაერთები აგრეთვე გადავიდნენ გადამწყვეტ კონტრშეტევაზე და ხელი მიჰყვეს იაპონელთა მიერ ოკუპირებული ტერიტორიების განთავისუფლებას.

საბჭოთა კავშირის შეიარაღებულმა ძალებმა სულ რამდენიმე დღეში გაანადგურეს იაპონელთა ღრმად ეშელონირებული თავდაცვა, დალეწეს წინსვლის გზაზე არსებული დაბრკოლებები, მოსპეს ქვან-

ტუნის რჩეული არმია და აიძულეს იაპონია შეეწყვიტა შემდგომი წინააღმდეგობა. 14 აგვისტოს იაპონიის მთავრობამ განცხადება გააკეთა კაპიტულაციის შესახებ[1]. საბჭოთა კავშირმა იაპონიის იმპერიალიზმზე გადამწყვეტი გამარჯვებით არა მარტო დააჩქარა ომის დამთავრება და ქედი მოახრევინა იაპონიის იმპერიალიზმს, არამედ განთავისუფლება მოუტანა დიდ ჩინელ ხალხსაც. მისმა შეიარაღებულმა ძალებმა მას მოაშორეს უბოროტესი მტერი, რომლის წინააღმდეგაც წლების განმავლობაში ეწეოდა იგი მძიმე და დიდი მსხვერპლის გამომწვევ ომს.

1945 წლის 14 აგვისტოს საბჭოთა კავშირსა და ჩინეთის რესპუბლიკას შორის დაიდო ხელშეკრულება კავშირისა და მეგობრობის შესახებ, რომელიც ითვალისწინებდა ერთობლივ საომარ მოქმედებებს იაპონიის წინააღმდეგ და აგრეთვე შეთანხმებას ჩინეთ-ჩანჩუნის რკინიგზის, პორტ-არტურისა (ლიუშუნის) და დალიანვანის ერთობლივი გამოყენების შესახებ.

იაპონიის რჩეული არმიების განადგურებამ სამხრეთ-აღმოსავლეთ ჩინეთში საბჭოთა შეიარაღებული ძალების მიერ სახალხო არმიებს და სახალხო ლაშქრის ნაწილებს შესაძლებლობა მისცა ელვისებური სისწრაფით განევითარებიათ დაწყებული შეტევა და მოკლე დროში უზარმაზარი ტერიტორია გაეწმინდათ ოკუპანტებისაგან. მე-8 არმიამ გაათავისუფლა კალგანი, ჩენდე, ჩიფუ, ვეიჰაიეი (სულ 350 ათასი კვადრატული კილომეტრი 25—30 მილიონი მოსახლეობით) და ბრძოლა გააჩაღა პეკინის, ტიანძინისა და ცინდაოსათვის. ასეთივე ტრიუმფალური იყო მე-4 არმიის შეტევაც. მან განთავისუფლებული რაიონების ფრონტი ნანკინისა და შანჰაის მისადგომამდე გადაიტანა.

ჩან კაი-ში, რომელსაც მოთმინება დაუკარგა სახალხო არმიების დიდმა წარმატებამ, შეეცადა ამერიკელთა დახმარებით თავისი ერთგული ძალები გადაესროლა ჩრდილოეთისაკენ, თანაც შეეჩერებინა მე-8 და მე-4 არმიების შემდგომი წინსვლა. მან უბრძანა ამ არმიების სარდლობას „ფეხი არ მოეცვალათ“ ადგილიდან, თანაც მკაცრად გააფრთხილა იაპონიისა და მარიონეტულ ხელისუფალთა ჯარების ხელმძღვანელები რადაც არ უნდა დაჯდომოდათ შეენარჩუნებინათ თავიანთ კონტროლქვეშ მყოფი ტერიტორიები, არ დაეთმოთ იგი სახალხო-რევოლუციური არმიებისათვის და დაეცადათ გომინდანელთა ნაწილების მოსვლისათვის.

ამგვარად, ანტიიაპონური ომი დამთავრდა. ჩინელმა ხალხმა საბჭოთა კავშირის ძმური დახმარებით წარმატებით დააგვირგვინა

---

1 საფანადო აქტი ხელმოწერილ იქნა 1945 წლის 2 სექტემბერს.

იგი[1]. ამ ისტორიული გამარჯვებით შეიქმნა პირობები ანტიიმპერიალისტური და ანტიფეოდალური სახალხო რევოლუციის გამარჯვების ვადის მოახლოებისათვის. მაგრამ ჩინეთის რეაქცია აშ შტატების დახმარებით შეეცადა ახალი სამოქალაქო ომი მოეხვია თავს ჩინელი ხალხისათვის და მით შეეჩერებინა ამ სასიხარულო თარიღის დადგომა.

---

[1] თავის დროზე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მესვეურები უდიდესი მადლიერების გრძნობით აღნიშნავდნენ ამ ფაქტს. თვით მაო ძე-დუნსაც არაერთხელ საჯაროდ განუცხადებია: ფაშისტურ გერმანიასა და იმპერიალისტურ იაპონიაზე საბჭოთა კავშირის გამარჯვების გარეშე, იმ უდიდესი მორალურ-პოლიტიკური და სამხედრო-ტექნიკური დახმარების გარეშე, რომელიც საბჭოთა კავშირმა გაგვიწია, ჩვენ არ შეგვეძლო წარმატებით დაგვეგვირგვინებინა ანტიიაპონური განმათავისუფლებელი ომიო.

მაგრამ უკანასკნელ წლებში ჰეგემონიზმით და ჩინური დიდმპყრობელური შოვინიზმით. გაჟღენთილმა მაო ძე-დუნის დაჯგუფებამ, რომელმაც უღალატა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპებს, დაივიწყა ეს ისტორიული ჭეშმარიტება და დიდი მეზობლის — სსრკ მიმართ მტრობის გზას დაადგა.

კორეა 1918—1945 წლებში

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია და მისი გავლენა კორეაზე. კორეელი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის აღმავლობა. 1919 წლის აჯანყება

პირველი მსოფლიო ომის დასასრულისათვის იაპონელმა იმპერიალისტებმა კორეა ჩინეთის საწინააღმდეგო ავრესიის პლაცდარმად აქციეს და იქ უსასტიკესი სამხედრო-პოლიტიკური რეჟიმი — ე. წ. „ხმლის რეჟიმი“ გააბატონეს. ამ რეჟიმს მტკიცე გუშაგად ედგნენ იაპონიის რეგულარული ჯარის ნაწილები, ჟანდარმერია, ძლიერი სამხედრო ფლოტი, მრავალრიცხოვანი კოლონიური ადმინისტრაცია გენერალ-გუბერნატორით სათავეში. მსხვილი კორეელი ფეოდალ-მემამულეები, რომელთა ხელში იყო მიწა-წყლის დიდი ნაწილი და კომპრადორული ბურჟუაზია, მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული იაპონელ კოლონიზატორებთან და მათი აგენტების როლს ასრულებდნენ.

იაპონელ იმპერიალისტებს ხელთ ეპყრათ კორეის დიდძალი საკარგული, ტყის მასივები, საირიგაციო ნაგებობანი, წიაღისეული, მრეწველობის წამყვანი დარგები, ბანკები, სადაზღვევო საზოგადოებები. მრავალრიცხოვანი იაპონური მონოპოლისტური გაერთიანებები, მდიდარი იაპონელი კოლონისტები და კოლონიური მოხელეები თავისუფლად პარპაშობდნენ კორეელი ხალხის მიწა-წყალზე და აწარმოებდნენ ქვეყნის უმდიდრესი ბუნებრივი რესურსებისა და მოსახლეობის მხეცურ ექსპლოატაციას.

იაპონელი იმპერიალისტები აბუჩად იგდებდნენ კორეის ეროვნულ კულტურას, ძალით ახშობდნენ მას და ცდილობდნენ კორეელი ხალხის ძალით ასიმილირებას. კანონგარეშე იყო გამოცხადებული კორეული ენა. იგი გამოდევნილი იყო არა მარტო სკოლებიდან, დაწესებულებებიდან და სასამართლო ორგანოებიდან, არამედ — მწერლობა-ლიტერატურიდან, პრესის სფეროდან.

კოლონიზატორები ყოველმხრივ ამუხრუჭებდნენ კორეის საწარმოო ძალების განვითარებას, აფერხებდნენ ადგილობრივი ბურჟუაზიის საქმიანობას, თანაც ხელს უწყობდნენ სოფლად არსებულ შუასაუკუნეობრივ-ფეოდალურ ურთიერთობათა კონსერვაციას.

მკაცრი კოლონიური რეჟიმის სუსხს ყველაზე მწვავედ განიცდიდნენ სოფლისა და ქალაქის მშრომელები.

კოლონიზატორთა მიერ გაბატონებული უმკაცრესი სამხედრო-პოლიტიკური რეჟიმი და მტაცებლური ექსპლოატაცია იწვევდა კორეელი ხალხის სამართლიან პროტესტს. მუშათა კლასი, გლეხობა, ხელოსნები, კორეელი ინტელიგენცია და ნაციონალური ბურჟუაზია მეტ-ნაკლებად შეურიგებლად იყვნენ განწყობილი კოლონიური რეჟიმისადმი და ყველა შესაძლო საშუალებით იბრძოდნენ მის წინააღმდეგ. მაგრამ ამ ბრძოლას არ გააჩნდა მკაფიო პროგრამა და თანმიმდევარი შემართება, რის გამოც იგი მარცხით მთავრდებოდა.

ასეთი იყო ვითარება კორეაში, როდესაც მოხდა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამ უდიდესი გამოძახილი პოვა კორეაში და ახალი ერა დაიწყო კორეელი ხალხის ისტორიაში. კორეელი ხალხის მთელი შემდგომი ისტორია ამ რევოლუციის იდეების გავლენის ქვეშ მიმდინარეობს.

„დიდი ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებამ რუსეთში და მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს წარმატებებმა, — წერს კიმ ირ სენი — უდიდესი განმსაზღვრელი გავლენა მოახდინა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის განვითარებაზე კორეაში“.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის განმათავისუფლებელი იდეები მალე გავრცელდა კორეაში. მას ხელი ვერ შეუშალა ვერც მოსკოვიდან დაშორებამ და ვერც იაპონელთა მკაცრმა კოლონიურმა რეჟიმმა. ამ იდეების ცხოველმყოფელმა გავლენამ მალე იჩინა თავი. იგი 1918 წლიდან გამოვლინდა კორეელი ხალხის საბრძოლო სულისკვეთების გაზრდაში, პარტიზანული გამოსვლების გახშირებაში. მუშათა კლასის საგაფიცვო მოძრაობის გაძლიერებასა და კორეელი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საერთო აღმავლობაში. ეს საერთო რევოლუციური აღმავლობა მალე 1919 წლის სახალხო აჯანყებაში გადაიზარდა.

ჩინეთში „4 მაისის მოძრაობის“ მსგავსად 1919 წლის სახალხო აჯანყება კორეაში წარმოადგენდა კორეელი ხალხის პასუხს დიდი ოქტომბრის მოწოდებაზე, კორეელი ხალხის ფართო ფენების პირველ უდიდეს რევოლუციურ გამოსვლას, რომელშიაც აქტიური მონაწილეობა მიიღო კორეის მუშათა კლასმა.

კორეის მუშათა კლასი მაშინ ჯერ კიდევ მცირერიცხოვანი და სუსტი იყო (სამრეწველო მუშათა რიცხვი 40 ათასს უდრიდა), დაბალი იყო მისი იდეურ-პოლიტიკური დონე და დარაზმულობა; მას არ გააჩნდა თავისი რევოლუციური ავანგარდი. აღნიშნულის გამო ეროვ-

ნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის და უშუალოდ 1919 წლის სახალხო აჯანყების ხელმძღვანელობა თავდაპირველად ბურჟუაზიული ნაციონალისტების ხელში მოექცა, მაგრამ შემდეგში ბურჟუაზიული ნაციონალისტები დააშინა ხალხის რისხვამ, ამბების დიდმა გაქანებამ და ჩამოაშორა აჯანყებას.

ჯერ კიდევ 1918 წლის დეკემბერში სეულში შეიქმნა დამოუკიდებლობისათვის მოძრაობის საინიციატივო ცენტრი, რომელიც დააარსეს „ჩხონდოგეს“ რელიგიურმა სექტამ და ქრისტიანულმა, კონფუციანურმა და ბუდისტურმა ორგანიზაციებმა. მასში შედიოდნენ ლიბერალურად განწყობილი მემამულეებისა და ბურჟუაზიის წარმომადგენლები. ცენტრს მიზნად ჰქონდა დასახული მიეღო დამოუკიდებლობის დეკლარაცია და კორეისათვის დამოუკიდებლობის მიცემის პეტიციით მიემართა იაპონიის პარლამენტისათვის, გენერალურ-გუბერნატორისათვის, პარიზის სამშვიდობო კონფერენციისა და აშშ-ის პრეზიდენტ ვუდრო ვილსონისათვის.

დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ლიბერალურმა ხელმძღვანელობამ (33 კაცმა) ხელი მოაწერა დამოუკიდებლობის დეკლარაციას და გადაწყვიტა 1 მარტს ჩაეტარებინა სეულის მოსახლეობის სამშვიდობო დემონსტრაცია და პაგოდის პარკში გამოეცხადებინა დამოუკიდებლობის დეკლარაცია. დეკლარაცია შეიცავდა ძალზე ზომიერ მოთხოვნებს და ბრძოლის ნაცვლად თავშეკავებისა და ძალდაუტანებლობისაკენ მოუწოდებდა ხალხს. მისი შემდგენლები პარიზის სამშვიდობო კონფერენციიდან და აშშ-ის ტატებიდან მოელოდნენ სათანადო წყალობას და მზად იყვნენ იაპონელ კოლონიზატორებსაც შეთანხმებოდნენ კომპრომისულ საწყისებზე.

მაგრამ კოლონიური ჩაგვრით განაწამებმა კორეელმა მშრომელებმა — სეულის მოსახლეობამ და შემოგარენი რაიონების სოფლის მოსახლეობამ აქტიური მონაწილეობა მიიღეს ბურჟუაზიული ნაციონალისტების მიერ დანიშნულ 1 მარტის სამშვიდობო დემონსტრაციაში და მებრძოლი ხასიათი მისცეს მას.

სეულის პირველი მარტის მრისხანე დემონსტრაციაში მონაწილეობდა 300 ათასამდე მუშა, გლეხი, ხელოსანი, ვაჭარ-მრეწველი და მოსწავლე ახალგაზრდობა. „გაუმარჯოს კორეის დამოუკიდებლობას“, „გაეთრიონ ქვეყნიდან იაპონელი იმპერიალისტები“, ასეთი იყო ის საბრძოლო ლოზუნგები, რომელსაც გაიძახოდნენ ქუჩა-მოედნებში გამოსული დემონსტრანტები. ასეთივე ხალხმრავალი და მრისხანე დემონსტრაციები გაიმართა ფხენიანში და კორეის სხვა ქალაქებში. დემონსტრაციებთან ერთად სეულში სტიქიურად დაიწყო სეულის მუშების გაფიცვები. ბურჟუაზიული ნაციონალისტები არც კი გამოცხადებულან სეულის პაგოდის პარკში. ისინი ცალკე შეიკრიბნენ

სეულის ერთ-ერთ რესტორანში, სადაც წაიკითხეს დამოუკიდებლობის დეკლარაცია და პოლიციის სამმართველოს მეშვეობით გადასცეს იგი გენერალ-გუბერნატორს, თვითონ კი ნებაყოფლობით ჩაბარდნენ ხელისუფლებას.

1 მარტს აზვირთებულმა მრისხანე სახალხო-განმათავისუფლებელმა ტალღამ უდიდესი დაბნეულობა და პანიკა წარმოშვა კოლონიზატორთა რიგებში. მაგრამ მოძრაობის თავდაპირველმა მშვიდობიანმა ხასიათმა იაპონიის კოლონიურ ადმინისტრაციას საშუალება მისცა გონს მოსულიყო, ჯარი, პოლიცია და ჟანდარმერია ფეხზე დაეყენებინა და უსასტიკესი რეპრესიები მოემარჯვებინა შეუიარაღებელი დემონსტრანტებისა და გაფიცულთა წინააღმდეგ. დაიწყო მასობრივი დატუსაღებები, დარბევები. მოძრაობის პირველსავე დღესვე მარტო სეულში დატუსაღებულთა რიცხვმა 10 ათას კაცს გადააჭარბა.

იაპონელ კოლონიზატორთა მხეცურმა რეპრესიებმა ცეცხლზე დასხმული ნავთის როლი შეასრულა და მშვიდობიანი დემონსტრაციები გადაზარდა მძლავრ სახალხო აჯანყებაში, რომელიც თითქმის მთელ კორეას მოედო. ბურჟუაზიულ-ლიბერალური ხელმძღვანელობის კაპიტულაციის შემდეგ ხალხის მასების ბრძოლა სტიქიურად მიმდინარეობდა.

დანებით, ცულებით, თოხებით, ცელებით, ხელკეტებით და სხვა „ცივი იარაღით“ შეიარაღებული ათასობით კორეელი — მუშები, გლეხები, მოსწავლეები, ხელოსნები, ეროვნული ინტელიგენცია და ვაჭარ-მრეწველები—გაბედულად შეებნენ კოლონიზატორთა თავიდან ფეხებამდე შეიარაღებულ ჯარსა და პოლიციას, გასამხედროებულ იაპონელ კოლონისტებს. განსაკუთრებით უდიდესი გააფთრებით ხასიათდებოდა ხუთი მარტის ბრძოლა სეულში. აშკარა ბრძოლასთან ერთად მარტის დღეებში დიდი გაქანება მიიღო პარტიზანულმა მოძრაობამ ჩრდილო მოსაზღვრე რაიონებში და მთიან ადგილებში. სულ სახალხო ბრძოლაში იაპონელ დამპყრობელთა წინააღმდეგ მონაწილეობა მიიღო 2 მილიონზე მეტმა კორეელმა პატრიოტმა.

მართალია, გლეხობა იყო მარტის ბრძოლების მთავარი მამოძრავებელი ძალა, მაგრამ ახალგაზრდა ეროვნულმა მუშათა კლასმა თავისი აქტიური მონაწილეობით ბრძოლის „პლებეური მეთოდები“ სახალხო ბრძოლის ძირითად ფორმად აქცია. სეულში, ფხენიანში, პუსანში, გონსანსა და სხვა ცენტრებში სამრეწველო მუშათა კლასმა მასობრივ გაფიცვებში ეკონომიურ მოთხოვნებთან მებრძოლი პოლიტიკური მოთხოვნებიც წამოაყენა. მთელ რიგ ადგილებში გაფიცვები ბარიკადულ ბრძოლებსა და შეიარაღებულ აჯანყებებში გადაიზარდა. მუშები ეუფლებოდნენ საწარმოებს, შახტებს და ერეკებოდნენ იქიდან იაპონურ ადმინისტრაციას.

კორეელი ხალხის გმირულ ბრძოლას ერთსულოვნად გამოეხმაურნენ და მხარი დაუჭირეს საზღვარგარეთ მცხოვრებმა და ემიგრირებულმა კორეელებმა. რუსეთის შორეულ აღმოსავლეთში, ჩრდილოაღმოსავლეთ ჩინეთში, აშ შტატებში, იაპონიაში და სხვაგან მცხოვრებმა კორეელებმა ჩაატარეს სოლიდარობის მრისხანე ანტიიაპონური დემონსტრაციები და მანიფესტაციები.

1 მარტს დაწყებული სახალხო ბრძოლა თითქმის 2 თვეს გრძელდებოდა. ამ დროის განმავლობაში არ შეწყვეტილა აღშფოთებული კორეელი ხალხის მასების შეიარაღებული გამოსვლები, გაფიცვები, „დამოუკიდებლობის არმიის“ პარტიზანული რაზმების რეიდები და წინააღმდეგობების სხვა შედარებით წვრილი აქტები (მაგალითად, საპოლიციო უბნებისა და ჟანდარმთა სამმართველოების დაწვა, იაპონელთა სავაჭროების განადგურება...).

კორეელი ხალხის მარტის ბრძოლას, მისი უდიდესი გაქანების მიუხედავად, მთლიანად სტიქიური ხასიათი ჰქონდა. იგი განაპირობა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტთა ლიდერების სიმხდალე-გამცემლობამ და მუშათა კლასის სისუსტემ. ამით ისარგებლეს იაპონელმა იმპერიალისტებმა, რომლებმაც აპრილის ბოლოს შეუბრალებლად ჩაახშეს იგი.

1919 წლის აჯანყების დამარცხებაში მთავარი როლი შეასრულა მისმა სუსტმა იდეურობამ და სტიქიურობამ. ამაში კი, როგორც ზემოთ აღინიშნა, მთავარი დანაშაული მიუძღვის ბურჟუაზიულ ნაციონალისტთა სიმხდალეს და გამცემლობას, მუშათა კლასის სისუსტესა და მისი რევოლუციური ავანგარდის არარსებობას. 1919 წლის მარტ-აპრილის აჯანყებას, მისი სავალალო ფინალის მიუხედავად, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მან გამოამზეურა კორეელი ხალხის უდიდესი რევოლუციური ძალა, მძლავრი ბიძგი მისცა ხალხის ფართო მასის ანტიიმპერიალისტური განწყობილების შემდგომ გაძლიერებას, საქვეყნოდ ცხადი გახადა სახალხო-შეიარაღებული ბრძოლის დიდი უპირატესობა ბრძოლის სხვა ფორმებთან შედარებით, გამოავლინა ეროვნული ბურჟუაზიისა და მისი ლიდერების მოჩვენებითი პატრიოტიზმი და ყველას დაანახა მუშათა კლასის გაზრდილი როლი განმათავისუფლებელ მოძრაობაში.

მდიდარი საბრძოლო გამოცდილებით მარტის აჯანყება იქცა კორეელი ხალხის მომდევნო პერიოდის განმათავისუფლებელი ბრძოლის სერიოზულ ნიშანსვეტად.

კორეელი ბურჟუაზიისა და მემამულეების მიერ შემდგომ ბრძოლაზე ხელის აღება. იაპონელ იმპერიალისტთა პოლიტიკური მანევრები

1919 წლის სახალხო აჯანყებამ ბევრ კორეელ პატრიოტს აუხილა თვალი. მან დაანახა ქვეყნის მშვიდობიანი გზით იმპერიალისტური ქვეყნების მეშვეობით განთავისუფლების იმედების სრული უსაფუძვლობა. მან, ამასთან ერთად, ცხადი გახადა ეროვნული ბურჟუაზიის უუნარობა სათავეში ჩასდგომოდა განმათავისუფლებელ ბრძოლას და ერის მედროშე გამხდარიყო. ბურჟუაზიულ ნაციონალისტთა უმრავლესობა აჯანყების ჩახშობის შემდეგ კოლონიურ ხელისუფლებას დანებდა, სხვებიც კოლონიზატორთა მხარეზე გადავიდნენ და მის სამსახურში შევიდნენ. იმათაც კი, რომლებმაც ემიგრაციაში ამოყვეს თავი, ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის შემდგომ ბრძოლაზე ხელი აიღეს.

1919 წლის აპრილში კორეელ ემიგრანტთა ერთმა ჯგუფმა მემარჯვენე ბურჟუაზიულ-ნაციონალისტთა ბანაკიდან შანჰაიში მოიწვია „ეროვნული კონგრესი" და კორეელი ხალხის თანხმობის გარეშე კორეა ბურჟუაზიულ რესპუბლიკად გამოაცხადა, თანაც შექმნა თვითმარქვია ემიგრანტული მთავრობა ლი სინ მანის ხელმძღვანელობით. ეს უკანასკნელი ცნობილი იყო როგორც ამერიკის იმპერიალიზმის „კაცი".

ბუნებრივია, რომ კორეის ემიგრანტულმა მთავრობამ ამ შტატებზე აიღო ორიენტაცია და მის „უანგარო დახმარებაზე" დაამყარა იმედები. მან პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზეც კი სცადა გაეგზავნა თავისი წარმომადგენელი. მაგრამ ამ წამოწყებიდან არაფერი გამოვიდა. გამარჯვებულთა იმპერიალისტურმა საკრებულომ არ ისურვა თავისი ტრიბუნა დაეთმო კორეელი ბურჟუაზიული ნაციონალისტების წარმომადგენლისათვის. იმპერიალისტური იაპონია ხომ ამ კონფერენციის მონაწილე იყო. ამ შტატებს, ინგლისსა და საფრანგეთს კორეის გულისათვის არ სურდათ იაპონიასთან ურთიერთობის გაუარესება.

ბურჟუაზიულ ნაციონალისტთა ემიგრანტული თვითმარქვია მთავრობა, რომელიც არავის არ წარმომადგენლობდა, მალე დაიშალა. მისი წევრები მიმოიფანტნენ. ლი სინ მანი ამ შტატებში გაემგზავრა, სადაც ბნელ საქმეებს მოჰკიდა ხელი; შემდეგში მან ამერიკელი ქალი შეირთო, ამერიკული პასპორტი მიიღო და „ფერმერი" გახდა.

1919 წლის აჯანყებამ კოლონიზატორებს დაანახა ძველი სამხედრო-ტერორისტული მეთოდებით კორეაზე თავიანთი ბატონობის შენარჩუნების შეუძლებლობა. ისინი იძულებული გახდნენ სათანადო დასკვნა გაეკეთებინათ მიღებული გაკვეთილიდან და „კულტურულ

მმართველობაზე“ აეღოთ გეზი. 1919 წლის მეორე ნახევარში იაპონიის მთავრობამ „საზეიმოდ“ გამოაცხადა კორეაში სამხედრო მმართველობის ერის დამთავრება და „კულტურული მმართველობის ერის“, ე. ი. ლიბერალური რეფორმების დაწყება. მათ, ამასთან ერთად, შეცვალეს გენერალ-გუბერნატორი. ამიერიდან ამ პოსტის დაკავება შეეძლო სამოქალაქო პირს. გენერალ-გუბერნატორთან არსებულ განყოფილებებს დეპარტამენტები ეწოდა და მათ მოხელეებს სამოქალაქო წოდებანი ებოძათ. გაუქმდა ფიზიკური წამება და იგი ხანგრძლივი პატიმრობით შეიცვალა. რამდენადმე შემცირდა ცენზურის მუხრუჭები კორეულ პრესაზე, კონტროლი კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაციების საქმიანობაზე.

კორეელი ბურჟუაზიის გულის მოსაგებად 1919-სა და 1920 წელს იაპონიის კოლონიურმა ხელისუფლებამ (მკვიდრთა ხარჯზე) გააფართოვა გენერალ-გუბერნატორთან არსებული სათათბირო და ადგილობრივი სათათბირო ორგანოები, გააუქმა კანონი სააქციო საზოგადოებათა შესახებ (რამაც კორეულ სააქციო კაპიტალს მეტი გასაქანი მისცა), გაზარდა იაპონია-კორეის შერეულ საზოგადოებათა რიცხვი და მათში კორეული კაპიტალის დაბანდების შესაძლებლობა და ა. შ.

„კულტურული მმართველობის“ შემოღებას და მომდევნო ეკონომიურ-კულტურულ რეფორმებს აღტაცებით შეეგებნენ კორეელი მემამულეები და კომპრადორები და მათთან კავშირში მყოფი მსხვილი ეროვნული ბურჟუაზია. მათ მადლობის ნიშნად ლოიალური თანამშრომლობა დაიწყეს კოლონიურ ხელისუფლებასთან.

სულ სხვაგვარად შეხვდა ამ „სიახლეს“ კორეელი ხალხის ფართო მასა. მან ჯეროვანი შეფასება მისცა კოლონიური ბატონობის საფუძვლების განმტკიცებისათვის განკუთვნილ ზედაპირულ რეფორმებს. ამ რეფორმებს „კატის ხავერდოვანი თათების“ პოლიტიკა უწოდა, გადაჭრით უარყო იგი და ახალი შემართებით განაგრძო ბრძოლა ქვეყნის ეროვნული განთავისუფლებისათვის.

იაპონიის კოლონიური რეჟიმი 20-იან წლებში. მუშათა კლასისა და გლეხობის მდგომარეობა

ეკონომიურმა პოლიტიკამ, რომელიც გაატარეს იაპონელმა იმპერიალისტებმა კორეაში 1919 წლის აჯანყების ჩახშობის შემდეგ, კიდევ უფრო გააძლიერა იაპონური კაპიტალის პოზიციები ამ დამონებულ ქვეყანაში. იაპონურმა საქონელმა სავსებით დაიპყრო კორეის ბაზარი (რასაც მოჰყვა წვრილ კორეელ საქონლის მწარმოებელთა მასობრივი გაკოტრება). გაიზარდა კორეის სასურსათო პროდუქტებისა და მრავალფეროვანი ნედლეულის (მათ შორის მინერალურის) გატანა იაპონიაში და შესაბამისად იაპონური კაპიტალის დაბანდება კორეის სახალხო მეურნეო-

ბის სხვადასხვა დარგებში. სოფლად გაძლიერდა გლეხთა მიწების ექსპროპრიაცია და მათი გადასვლა იაპონელ კაპიტალისტ-კოლონისტთა ხელში, გლეხობის გაჩანაგება, მოიჯარადრეთა რიცხვის გადიდება და საერთოდ მიწების კონცენტრაცია იაპონელთა და კორეელ მემამულეთა ხელში. აღნიშნული ახალი ეკონომიური ღონისძიებით ნაწილობრივ ეროვნულმა ბურჟუაზიამაც ნახა სარგებლობა. ეროვნულმა კაპიტალმა მიიღო შესაძლებლობა გაეფართოებინა თავისი საქმიანობის სფერო. თუ 1919 წელს კორეულ სააქციო საზოგადოებათა კაპიტალი 11403 ათას იენს უდრიდა, 1928 წლისათვის იგი 21500 ათას იენამდე გადიდდა. მაგრამ კორეული კაპიტალის საქმიანობის სფერო მაინც მკვეთრად შეზღუდული იყო. მონოპოლია ყველა სფეროში კვლავინდებურად დამპყრობელი ქვეყნის კაპიტალს ეკუთვნოდა. იაპონური კაპიტალი, რომელსაც გარანტირებული ჰქონდა მაქსიმალური მოგების შესაძლებლობა, ახალ-ახალ სფეროებს ეუფლებოდა. 1919 წელს კორეის სახალხო მეურნეობაში სულ დაბანდებული იყო 82376 ათასი იენი, 1929 წლისათვის კი უკვე — 193700 ათასი იენი.

იაპონური და კორეული კაპიტალის დაბანდების გადიდების უშუალო შედეგი იყო კორეის მრეწველობის რამდენადმე განვითარება (თუ 1921 წელს კორეაში სულ 2384 ფაბრიკა-ქარხანა ითვლებოდა, 1930 წლისათვის მათი რიცხვი 4921-მდე გადიდდა).

ეკონომიური ძვრების უშუალო შედეგი იყო მუშათა რიცხვის გადიდება და მისი როლის შემდგომი გაზრდა ქვეყნის ცხოვრებაში. 1930 წლისათვის სამრეწველო მუშათა რიცხვი 1921 წელთან შედარებით გაორკეცდა და 100 ათასს გადააჭარბა[1]. კორეის მუშათა კლასი ჯერ ახალგაზრდა და მოუმწიფებელი იყო. იგი უპირატესად გლეხური წარმოშობის იყო და მსოფლმხედველობითაც მას ენათესავებოდა. მისი ხვედრი იყო 12—14 საათიანი სამუშაო დღე, დაბალი ხელფასი, დაქირავების არქაული წესი, გამოძალვები, ჯარიმები, ბავშვთა და ქალთა შრომის მასობრივი გამოყენება, აუტანელი საბინაო პირობები, შრომის უსაფრთხოების არარსებობა და სრული უუფლებობა. აღნიშნული პირობები კორეის მუშათა კლასს, მისი მოუმწიფებლობის მიუხედავად, ხდიდა კორეის საზოგადოების ყველაზე რევოლუციურ კლასად და ქმნიდა პირობებს მუშათა მოძრაობის გაშლა-განვითარებისათვის.

1920 წელს სეულში აღმოცენდა კორეის მუშათა ურთიერთდახმარების საზოგადოება — კორეის მუშათა პირველი რევოლუციურ-პროფესიული გაერთიანება, რომელიც აერთიანებდა რიქშეებს, ტრამვაის პარკის მუშებს, მეთამბაქოეებს, გაზეთების დამტარებლებს და ა. შ. მართალია, მის რიგებში მალე რეფორმისტებმა მოიკიდეს

[1] სულ კი დაქირავებულ მუშათა რიცხვი 1 მილიონს აღწევდა.

ფეხი, მაგრამ მათ მაინც ვერ შეუშალეს ხელი მუშათა რევოლუციური განწყობილების ზრდას. 1922 წელს შეიქმნა კორეის მუშათა კავშირი, შრომის კონგრესი, ურთიერთდამხმარე სალარო და სხვა კავშირები. 1923 წელს აღმოცენდა ახალგაზრდული საზოგადოება, 1924 წელს კი — კორეის მუშათა და გლეხთა საყოველთაო კავშირი. მართალია, ისინი უპირატესად კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობას ეწეოდნენ, მაგრამ ამითაც დადებით როლს ასრულებდნენ.

მუშათა პირველი ორგანიზაციების შექმნას თან სდევდა მუშათა საგაფიცვო მოძრაობის განვითარება. 1920 წელს ჩატარდა 80-მდე გაფიცვა, რომელთა მონაწილეთა რიცხვი რამდენიმე ათას კაცს უდრიდა. 1921 წელი აღინიშნა პუსანის მუშათა საყოველთაო გაფიცვით: 1922—1924 წლებში მოეწყო ათეული გაფიცვა სეულში, პუსანსა და სხვა ქალაქებში.

მუშათა კლასს მხარდამხარ მიჰყვება გლეხობა, რომელიც აქტიურად ებმება ბრძოლაში. 1920—1924 წლებში სოფლად ადგილი ჰქონდა მოიჯარადრეთა ათეულ მღელვარებას და ასეულ საიჯარო კონფლიქტს. მუშათა ორგანიზაციებს მსგავსად სოფლადაც აღმოცენდნენ გლეხთა საზოგადოებები, მოიჯარადრეთა კავშირები და სხვა გაერთიანებები. 1923 წელს ჩატარდა კორეელ მოიჯარადრე გლეხთა პირველი ყრილობა (1000 მოიჯარადრის მონაწილეობით), რომელშაც მოითხოვა საიჯარო გადასახადის შემცირება, მემამულეთა დაბეგვრა და ა. შ.

კორეის კომუნისტური პარტიის შექმნა. მუშათა კლასის როლის გაზრდა ეროვნულ - განმათავისუფლებელ მოძრაობაში

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გავლენით კორეაში გავრცელდა მარქსიზმ-ლენინიზმის იდეები. აღნიშნული იდეები კორეაში ვრცელდება საბჭოთა რუსეთში მცხოვრები კორეელი რევოლუციონერი ემიგრანტების, საზღვარგარეთ მოსწავლე სტუდენტთა მეშვეობით და რევოლუციური ლიტერატურის არალეგალურად შეზიდვის გზით. ჯერ კიდევ 1920 წელს ტოკიოში მოსწავლე კორეელ სტუდენტთა შორის აღმოცენდა მარქსიზმის შემსწავლელი პირველი წრეები. მალე ასეთივე წრეები შეიქმნა თვით სეულშიაც. მოსწავლე ახალგაზრდობის უმეტესობა ჩამოშორდა რეფორმისტების გავლენას, მარცხნივ გადაიხარა და ხელი მოკიდა მარქსიზმ-ლენინიზმის შესწავლას. შანჰაიში და ირკუტსკში კორეელმა რევოლუციონერმა ემიგრანტებმა ჩამოაყალიბეს კომუნისტური ჯგუფები, რომლებმაც კორეაში ფარულად მიავლინეს თავიანთი წარმომადგენლები ახალგაზრდობასა და მშრომელებთან სათანადო მუშაობის გასაშლელად. სოციალისტურად განწყო-

ბილმა კორეელმა ინტელიგენციამ კავშირი დაამყარა მუშათა და გლეხთა მოძრაობასთან და დაიწყო მის რიგებში მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების გავრცელება. 1923—1924 წლებში მათი მეშვეობით კორეაში აღმოცენდა რევოლუციურ მუშათა და სტუდენტობის რამდენიმე ფარული კომუნისტური ჯგუფი.

1925 წლის 17 აპრილს აღნიშნული ორგანიზაციების გაერთიანების ბაზაზე კომუნისტური ინტერნაციონალის აქტიური მხარდაჭერით კომუნისტთა პირველ არალეგალურ ყრილობაზე შეიქმნა კორეის კომუნისტური პარტია. მასთან ერთად იმავე წელს აღმოცენდა კორეელი ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირი. 1926 წელს კორეის კომუნისტური პარტია მიღებულ იქნა კომინტერნის რიგებში. კომუნისტური პარტიის შექმნა ღირსშესანიშნავი მოვლენა იყო კორეელი ხალხის პოლიტიკურ ცხოვრებაში. იგი მოწოდებული იყო სათავეში ჩასდგომოდა კორეის მუშათა და გლეხთა მასების ბრძოლას იაპონიის იმპერიალიზმისა და მისი აგენტურის წინააღმდეგ, დაერაზმა ისინი, შეექმნა ერთიანი ეროვნული ფრონტი და უზრუნველეყო მუშათა კლასის ხელმძღვანელი როლი ეროვნულ-განმათავისუფლებელ ძოძრაობაში.

ახალგაზრდა კომუნისტური პარტიის, რომელსაც არალეგალობისა და უსასტიკესი პოლიტიკური ტერორის ვითარებაში უხდებოდა საქმიანობა, პირველი სერიოზული წარმატება იყო 1926 წლის 10 ივნისის მასობრივი ანტიიაპონური დემონსტრაციის მოწყობა, რომელშიაც მონაწილეობას იღებდა მოსახლეობის სხვადასხვა სოციალური ფენების 200 ათასამდე წარმომადგენელი. ამ დემონსტრაციამ, თუმცა იგი მხეცურად დაარბიეს იაპონელთა ჯარისა და პოლიციის ნაწილებმა, მაინც გააკეთა თავისი საქმე. მან გააძლიერა ერთიანი ფრონტის შექმნის სულისკვეთება და ხელი შეუწყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი ტენდენციის შემდგომ ზრდას.

იაპონიის კოლონიერმა ხელისუფლებამ უსასტიკესი პოლიტიკური ტერორი გააჩაღა კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ. მან შეიპყრო მისი ხელმძღვანელობა, დაარბია მისი ორგანიზაციები და იგივე ღღე დააწია მის თანამგრძნობ ორგანიზაციებსაც. ამ დარტყმამ და პარტიის რიგებში შესული წვრილბურჟუაზიული ელემენტების ოპორტუნიზმმა, რასაც მოჰყვა ფრაქციული გათიშვა და სხვადასხვა ჯგუფთა ბრძოლა, პარტია დაშლის პირამდე მიიყვანა. 1928 წელს კორეის კომუნისტურმა პარტიამ, როგორც ორგანიზაციულმა ძალამ, არსებობა შეწყვიტა. მაგრამ ასეთ მძიმე პირობებში კორეის კომუნისტურ პარტიას მხარში ამოუდგნენ ძმური კომუნისტური პარტიები, ისინი დაეხმარნენ ჭეშმარიტ მარქსისტ-ლენინელებს დაეძლიათ სიძ-

ნელეები, თავი დაეღწიათ გათიშულობისათვის და დაეწყოთ ბრძოლა პარტიის აღორძინებისათვის მებრძოლ, მარქსისტულ-ლენინურ ბაზაზე. კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელმა კომიტეტმა სპეციალური წერილით მიმართა კორეელ კომუნისტებს, რომელშიაც მოცემული იყო კორეის კონკრეტული სოციალურ-ეკონომიური ვითარების ღრმა ანალიზი, თანაც მოხაზული იყო იმ ტაქტიკური ხერხებისა და სტრატეგიული ხაზის კონტურები, რომლითაც უნდა ეხელმძღვანელათ კორეელ კომუნისტებს მომავალ ბრძოლებში.

1928 წლის შემოდგომაზე იფეთქა მუშათა საყოველთაო მებრძოლმა გაფიცვამ, რომელსაც დიდი გამოხმაურება ჰქონდა და მთელი კორეა ააფორიაქა. ეს გაფიცვა იმის ნათელ დადასტურებას წარმოადგენდა, რომ დამთავრდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დროებითი დეპრესია და იგი ახალმა მძლავრმა აღმავლობამ შეცვალა.

მართალია, ვონსანის მუშათა საყოველთაო გაფიცვა არ დამთავრებულა გაფიცულთა სრული გამარჯვებით (მხოლოდ ნაწილობრივ იქნა დაკმაყოფილებული მათი მოთხოვნები), მაგრამ, ამის მიუხედავად, მან მაინც დიდი გამოძახილი პოვა და ხელი შეუწყო მუშათა საბრძოლო-რევოლუციური განწყობილების შემდგომ გაძლიერებას.

მსოფლიო ეკონომიური კრიზისი და ეროვნულ - განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალი აღმავლობა

1929—1933 წლების მსოფლიო ეკონომიურმა კრიზისმა, რომელმაც გამანადგურებელი დარტყმა აგემა იაპონიის იმპერიალიზმს, არანაკლები ზიანი მიაყენა კოლონიურ კორეასაც. იაპონელმა იმპერიალისტებმა გადაწყვიტეს კრიზისის მძიმე ტვირთის დიდი ნაწილი დაპყრობილი ხალხებისათვის დაეკისრებინათ და შესაბამისად გაეძლიერებინათ კორეის რესურსებისა და მოსახლეობის ძარცვა. კოლონიურმა ხელისუფლებამ შემოიღო მარცელეულის იძულებითი ჩაბარების და სურსათის განაწილების საბარათო სისტემა, მკვეთრად გაადიდა ბრინჯის გაზიდვა იაპონიაში, რამაც გამოიწვია მისი ნაკლებობა საკუთრივ კორეაში და საბაზრო ფასების გადიდება. ამას მოჰყვა პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადების მკვეთრი გადიდება. ემზადებოდა რა ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთის დასაპყრობად, იაპონიის მხედრიონმა კორეა აქცია ჩინეთის ამ ტერიტორიაზე შეჭრის პლაცდარმად. ამის შესაბამისად კორეაში გაიშალა ახალ სამხედრო-სტრატეგიულ ობიექტთა მშენებლობა, რაც კორეელ მშრომელთა იძულებითი შრომით და მათივე ფინანსური სახსრებით ტარდებოდა.

ეკონომიური და პოლიტიკური ჩაგვრის გაძლიერებამ, რასაც მოჰყვა მუშათა და გლეხთა მასების ცხოვრების მკვეთრი გაუარესება,

მილიონთა შიმშილობა და სასოწარკვეთილება, გაამწვავა პოლიტიკური და ნაციონალური წინააღმდეგობანი და მძლავრი ბიძგი მისცა ეროვნულ-განმათავისუფლებელი, რევოლუციური ბრძოლის ახალ აღმავლობას კორეაში.

ბრძოლის ავანგარდში, როგორც მანამდე, იდგა რიცხობრივად საგრძნობლად გაზრდილი, ორგანიზაციულად უფრო დარაზმული და იდეურად მომწიფებული ეროვნული მუშათა კლასი, რომლის ბრძოლას ხელმძღვანელობს მისი რევოლუციური ავანგარდი კომუნისტური პარტია. ბრძოლის ძირითად ფორმად იგი იყენებს გაფიცვებს, რომელსაც უფრო და უფრო ხშირად მიმართავს.

გაფიცვებიდან ყველაზე უფრო აღსანიშნავია პუსანის საფეიქრო ფაბრიკების გაფიცვა 1930 წლის იანვარში, სინხინის მემაღაროელთა—1930 წლის მაისში და ფხენიანის საყოველთაო გაფიცვა—1930 წლის აგვისტოში. საერთოდ აღნიშნული გაფიცვები გამოირჩეოდა მნიშვნელოვანი ორგანიზებულობით, შეტევითი ხასიათით და მუშათა სოლიდარობის გაძლიერებით.

მუშათა მზარდი მოძრაობის ზეგავლენით გააქტიურდნენ გლეხთა მასებიც. 1930 წლიდან სოფლად საიჯარო კონფლიქტებს და გლეხთა შეიარაღებულ აჯანყებებს მასობრივი ხასიათი ჰქონდა. მართალია, მათი დიდი ნაწილი ეკონომიური მოტივებით იყო გამოწვეული და ანტიფეოდალური მიმართულება ჰქონდა, მაგრამ ზოგიერთი მათგანი პოლიტიკურ ხასიათსაც ატარებდა. 1932 წლიდან კომუნისტების ხელმძღვანელობით სოფლად იქმნება გლეხთა არალეგალური რევოლუციური კავშირები, ხოლო მთიან რაიონებში ყალიბდება გლეხთა შეიარაღებული რაზმები, რომლებიც არბევენ მემამულეთა კარმიდამოს და თავს ესხმიან იაპონელთა ჯარის ნაწილებსა და პოლიციას.

მებრძოლი რევოლუციური განწყობილება ინტელიგენციასაც მოედო. ამაზე ნათლად მეტყველებს მოსწავლეთა მძლავრი ანტიიმპერიალისტური დემონსტრაციები 1930 წელს სეულში, პუსანში, ვონსანში, მოკფხოსა და სხვა ადგილებში; მოსწავლეთა და მასწავლებელთა არალეგალური კავშირების შექმნა და სხვა ფაქტები.

კორეელ პარტიზანთა ანტიიაპონური ბრძოლა კომუნისტების ხელმძღვანელობით

ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთის (მანჯურიის) ოკუპაციის შემდეგ იაპონელმა იმპერიალისტებმა ხელი მიჰყვეს შიდა მონგოლეთის და ჩრდილო ჩინეთის პროვინციების დაპყრობას. ამის პარალელურად მათ გააძლიერეს მზადება მთელი ჩინეთის დასაპყრობად და საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე შესაჭრელად. ამ ვრცელი აგრესიული გეგმების შესაბამისად მათ გააძლიერეს კორეის პლაცდარმის მილიტარიზაცია,

ააგეს იქ ასეული ახალი სამხედრო საწარმო (და არ სახულად გაზარდეს კორეელი „მონებისათვის“ დაკისრებული მძიმე ტვირთი. ყოველივე ამან ხელი შეუწყო კორეელი ხალხის რევოლუციური სულისკვეთების შემდგომ ზრდას, გაადიდა მუშათა კლასის როლი ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში და აქცია იგი პატრიოტული ძალების მებრძოლ ავანგარდად.

კორეელი ხალხის ანტიიაპონური განმათავისუფლებელი ბრძოლის ერთ-ერთ წამყვან ფორმად 30-იანი წლებიდან იქცევა შეიარაღებული პარტიზანული ბრძოლა. მებრძოლ პარტიზანულ რაზმებში მასობრივად ერთიანდებიან მუშები, გლეხები, პატრიოტული ინტელიგენცია, მოსწავლე ახალგაზრდობა და ხელოსნები.

კორეის მიწა-წყალზე მებრძოლ კორეელ პატრიოტებთან ერთად იაპონელ აგრესორთა წინააღმდეგ საბრძოლველად აღდგნენ სამხრეთ-აღმოსავლეთ ჩინეთში მცხოვრები კორეელები. აქ 1931—1933 წლებში კომუნისტების ხელმძღვანელობით შეიქმნა ათეული პარტიზანული რაზმი, რომლებშიაც კორეელ მშრომელებთან ერთად ჩინელი მშრომელებიც იყვნენ გაერთიანებული. მათ ძირითად ბაზებს კორეის მოსაზღვრე მთიანი რაიონები წარმოადგენდა, სადაც იაპონიის არმიის დიდ შენაერთებს არ შეეძლოთ აქტიური სადამსჯელო ოპერაციების წარმოება. პარტიზანული რაზმები, ეყრდნობოდნენ რა მოსახლეობის მხარდაჭერას, დიდ ზიანს აყენებდნენ მტერს, შლიდნენ მის კომუნიკაციებს, ანადგურებდნენ ოკუპანტთა ცალკეულ რაზმებს და ათავისუფლებდნენ ათობით დასახლებულ პუნქტს.



კიმ ირ სენი

ერთ-ერთი მსხვილი პარტიზანული რაზმი ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთის ტერიტორიაზე 1931 წელს შექმნა ახალგაზრდა კორე-

ელმა პატრიოტმა კიმ ირ სენმა. 1932 წელს კიმ ირ სენმა და მისმა თანამებრძოლებმა კორეელთა პარტიზანული რაზმები გააერთიანეს „სამშობლოს ხსნის“ მანჯურიის ანტიიაპონურ არმიასთან, რომელშიაც 100 ათასზე მეტი მებრძოლი იყო გაერთიანებული. პარტიზანული ბრძოლის კოორდინირებამ საკმაოდ ვრცელ ტერიტორიაზე შესაძლებელი გახადა საყრდენ ბაზებში სამხედრო სკოლების, ჰოსპიტლებისა და იარაღის სახელოსნოების მოწყობა, პარტიზანთა სამხედრო წვრთნის სწორი ორგანიზაცია და ოკუპანტებისაგან განთავისუფლებულ რაიონებში სახალხო-რევოლუციური ხელისუფლების შექმნა.

1934 წელს კიმ ირ სენმა და მისმა თანამებრძოლებმა სამხრეთ-აღმოსავლეთ ჩინეთში მოქმედი ყველა კორეული პარტიზანული რაზმი, რომლებიც უშუალოდ კომუნისტების ხელმძღვანელობით იბრძოდნენ, გააერთიანეს ერთიან კორეის სახალხო-რევოლუციურ არმიაში. ამან კიდევ უფრო ვანამტკიცა ჩინელ და კორეელ პატრიოტთა საბრძოლო თანამშრომლობა და გააფართოვა პარტიზანული ბრძოლის ასპარეზი.

„სამშობლოს აღორძინების საზოგადოება“—კორეელი ხალხის პატრიოტული ძალების შემჭიდროების ორგანიზაცია

კორეელი ხალხის განმათავისუფლებელი ბრძოლის მძლავრი აღმავლობით შეშფოთებულმა იაპონელმა იმპერიალისტებმა კიდევ უფრო გააძლიერეს პოლიტიკური ტერორი. მათ გაადიდეს ჯარისა და პოლიციის ნაწილები და სპეციალური არმია გამოყვეს პარტიზანული რაზმების წინააღმდეგ საბრძოლველად როგორც საკუთრივ კორეაში, ისე ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთის ტერიტორიაზე. პარტიზანული რაზმების წინააღმდეგ ბრძოლის საბაბით ისინი აწიოკებდნენ მშვიდობიან მოსახლეობას, არბევდნენ დასახლებულ პუნქტებს. წვავდნენ პარტიზანებთან კავშირში ეჭვმიტანილ პირთა სახლკარს და ფიზიკურად სპობდნენ მათ. საპატიმროები აივსო დატუსაღებულებით, მაგრამ სისხლიანმა ორგიებმა ვერ დააშინა კორეელი ხალხი. სამშობლოს თავისუფლების მოპოვება კორეელი ხალხის საყოველთაო მისწრაფების საგანი გახდა.

ცხოვრებამ მოითხოვა კორეელ პატრიოტთა მებრძოლი ძალების გაერთიანება და ისეთი ორგანიზაციის შექმნა, რომელიც მოახდენდა ბრძოლის ყველა ფორმის გაერთიანებას, მისცემდა მას მკაფიო სამოქმედო პროგრამას და სწორ მიმართულებას. ასეთი ორგანიზაცია „სამშობლოს აღორძინების საზოგადოების“ სახელწოდებით („ჩოგუნ კვანბოკხვე“) შეიქმნა 1935 წლის მაისში ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთში კომუნისტების ხელმძღვანელობით. იგი არსებითად წარმო-

ადგენდა ერთიანი ფრონტის ორგანიზაციას, რომელშიაც შევიდა სხვადასხვა მასობრივი ანტიიაპონური საზოგადოება. მისი პროგრამა ითვალისწინებდა იაპონიის კოლონიური რეჟიმის ლიკვიდაციას, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნას, კორეელი ხალხის ერთიან ეროვნულ ფრონტში დარაზმვას და ხალხის მასების ინტერესების შესაბამის პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიურ და კულტურულ გარდაქმნებს.

„სამშობლოს აღორძინების საზოგადოება" აერთიანებდა როგორც მუშებს, გლეხებს, მოსწავლეებს, ისე მეწარმეებს, ვაჭრებს, კულტის მსახურებსა და მოსახლეობის სხვა ფენების წარმომადგენლებს, რომლებიც იბრძოდნენ იაპონიის იმპერიალიზმის წინააღმდეგ. მას ხელმძღვანელობას უწევდნენ კიმ ირ სენი, ცოი ენ ვენი და სხვა ცნობილი კორეელი რევოლუციონერები — კომუნისტები.

საზოგადოების ორგანიზაციებს საკუთრივ კორეაში ხელმძღვანელობას უწევდა კორეის ნაციონალური განთავისუფლების ეროვნული კავშირი. საზოგადოებას ჰქონდა თავისი ბეჭდვითი ორგანოები, რომელთაც დიდი როლი შეასრულეს მუშათა და გლეხთა კავშირის განმტკიცებასა და მოსახლეობის ფართო ფენებთან კავშირის გაღრმავებაში.

„სამშობლოს აღორძინების საზოგადოების" შექმნა დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო კორეელი ხალხის განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიაში. მისი სახით კორეაში შეიქმნა ისეთი ორგანიზაცია, რომლის უშუალო ხელმძღვანელობით ახალი ძალით გაიშალა კორეელი ხალხის ბრძოლა ეროვნული განთავისუფლებისათვის.

ამის პარალელურად 1936—1937 წლებში დიდ გაქანებას ღებულობს პარტიზანული ბრძოლა, როგორც საკუთრივ კორეაში, ისე ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთის ტერიტორიაზე. ამ ორი წლის განმავლობაში პარტიზანულმა რაზმებმა, რომლებმაც ახალი შევსება მიიღეს მუშების, გლეხებისა და მოსწავლეთა სახით, ათეული წარმატებითი რეიდი მოაწყვეს იაპონელთა წინააღმდეგ და დიდი ზიანი მიაყენეს მათ.

კორეელი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა მეორე მსოფლიო ომის წლებში

ჩინეთის წინააღმდეგ დიდი აგრესიული ომის დაწყების დროიდან (1937 წლის ივლისი) იაპონელმა იმპერიალისტებმა ჩინეთის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარ პლაცდარმად ქცეული კორეის ეკონომიკის სრული მილიტარიზაცია განახორციელეს და დაუმორჩილეს იგი ომის ამოცანებს. უმსხვილესი იაპონური კონცერნების (მიცუი, მიცუბისი, სუმიტომო, კუხარა, ფურუკავა) კაპიტალის დაბანდებანი მომდევნო პერიოდში სამხედრო ქარხნებში, მათ მოსამსახურე კომ-

ბინირებულ საწარმოებსა და ტრანსპორტის შესაბამის დარგებში წარმოებდა. მრეწველობის ცალმხრივი სამხედრო ხასიათის გამო იაპონელ საქმოსანთა კაპიტალდაბანდების ზრდას კორეის ეკონომიკაში არ მოჰყოლია მისი საერთო განვითარება.

1937—1938 წლებიდან იაპონელებმა კორეიდან გაზიდეს დიდი რაოდენობის მინერალური ნედლეული: ქვანახშირი, რკინის მადანი, ვოლფრამი, მოლიბდენი, ტყვია, იშვიათი ლითონები. მსუბუქი ლითონების მოთხოვნილების ნახევარზე მეტს იაპონია კორეის ხარჯზე იკმაყოფილებდა. მინერალურ ნედლეულთან ერთად კოლონიზატორებმა გააძლიერეს კორეიდან ბრინჯის, ბამბის, სელის, კანაფისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქციის გაზიდვა.

ისარგებლეს რა საომარი ვითარებით, იაპონელმა კოლონიზატორებმა უკანასკნელ შესაძლებლობამდე გაძარცვეს კორეელი ხალხი. პირდაპირი გადასახადების გადიდებით, სესხებით, „ნებაყოფლობითი შეწირულებით“ და უშუალო სამხედრო გამოსაღებებით მათ კორეელი მოსახლეობიდან ამოქაჩეს 9 მილიარდ იენზე მეტი ფულადი სახსრები, მიიტაცეს დიდძალი ოქრო-ვერცხლის ნივთები და სხვა ფასეულობანი. კორეელი ხალხის გაძარცვამ კიდევ უფრო ფართო ხასიათი მიიღო 1941 წლის მიწურულიდან, როდესაც იაპონელმა იმპერიალისტებმა ახალი ავანტიურისტული ომი გააჩაღეს ოკეანის აუზში.

მატერიალურ რესურსებთან ერთად იაპონელებმა ომის წლებში მაქსიმალურად გამოიყენეს ადამიანთა რესურსები. 1938 წელს გამოიცა კანონები „სახმელეთო არმიის სპეციალური მოხალისეებისა“ და შრომითი ვალდებულებების ნაწილში ახალგაზრდობის მობილიზაციის შესახებ. ამ კანონებით კორეელი ახალგაზრდობის დიდი ნაწილი „მოხალისეთა“ სახით გაწვეულ იქნა სამხედრო და შრომით ნაწილებში. 1942 წელს შემოიღეს კორეელი ახალგაზრდობის სავალდებულო სამხედრო სწავლება, 1943 წლიდან კი მას მოჰყვა მოსწავლეთა და სტუდენტთა მობილიზაცია და „მოხალისეებით“ იაპონიის სამხედრო-საზღვაო ფლოტის შევსება. დაბოლოს 1944 წელს იაპონელებმა კორეაში შემოიღეს საყოველთაო სამხედრო ბეგარა.

აღნიშნულ ღონისძიებებს თან სდევდა პოლიტიკური ტერორის გაძლიერება და საგანგებო კანონების გამოქვეყნება, რომელთა ამოცანა იყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩახშობა და კორეელი ხალხის იძულება ბოლომდე ეზიდა კოლონიური ჩაგვრისა და მილიტარიზმის აუტანელი ტვირთი. 1939 წელს მკვეთრად გადიდდა რეგულარული პოლიციის შტატი და შეიქმნა პოლიციის დამხმარე რაზმები. 1941 წელს გამოქვეყნებული კანონით პოლიციის ნაწი-

ლებს და ხელისუფლებას უფლება ეძლეოდათ იურიდიული საბუთის გარეშე შეეპყროთ და საპყრობილეში ჩაეგდოთ ყოველი ეჭვმიტანილი კორეელი პატრიოტი. ამავე 1941 წლის კანონით სახელმწიფოს დაცვის შესახებ უქმდებოდა მანამდე „კანონის ფარგლებში“ დასაშვები სიტყვის, პრესის, შეკრების „თავისუფლება“. ამავე კანონმა ფართო მასშტაბით დააკანონა სიკვდილით დასჯა. ტერორის ზომებთან ერთად კოლონიზატორები მასობრივად მიმართავდნენ იდეოლოგიური ზემოქმედების საშუალებებს, დემაგოგიას, ავრცელებდნენ კორეელებში „იაპონელებისა და კორეელების რასობრივი ერთიანობის“ რასისტულ აზრებს, წამლავდნენ მათ „ანტიკომუნისტური“ შხამით და ა. შ.

კორეელი ხალხის ძარცვასა და იდეოლოგიურ დამუშავებაში იაპონელ იმპერიალისტებს დახმარებას უწევდნენ მემამულური წრეები, კომპრადორები და ბურჟუაზიის შემთანხმებლური ჯგუფები. ომმა გააფართოვა მათი საქმიანობის სფერო, შექმნა საკუთარი ხალხის გაძარცვისა და თავიანთი თავის გამდიდრების უფრო ხელსაყრელი პირობები, რამაც ეკონომიურად და პოლიტიკურად უფრო მჭიდროდ დააკავშირა ისინი იაპონელ იმპერიალისტებთან.

მათი თაოსნობით 1938 წლიდან კორეაში შეიქმნა რამდენიმე პროიაპონური ორგანიზაცია: „აზიის აყვავების პატრიოტული ასოციაცია“, „საომარი დროის ღონისძიებათა მხარდამჭერი საზოგადოება“ და სხვ., რომლებიც 1941 წელს გაერთიანდნენ ერთიან „საომარი დროის პატრიოტულ ასოციაციაში“. აღნიშნული კოლაბორაციონისტული ორგანიზაციების ამოცანა იყო ხელი შეეწყო იაპონელთა საომარი ღონისძიებებისათვის, განემტკიცებინა კორეელთა და იაპონელთა „სოლიდარობა“ და თავიანთი გავლენისათვის დაემორჩილებინა კორეელი ხალხის ფართო ფენები.

ანტიიაპონური შეიარაღებული ბრძოლა 1941—1945 წლებში და სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების მიერ კორეის განთავისუფლება

უსასტიკესი პოლიტიკური ტერორის და საომარი ვითარებისა და იდეოლოგიური დამუშავების მიუხედავად, სულით ხორცამდე გაძარცული და გაწამებული კორეელი მშრომელები განაგრძობდნენ ბრძოლას იაპონელი იმპერიალისტების წინააღმდეგ.

პარტიზანული ბრძოლის გაძლიერებასთან ერთად კორეელი პატრიოტები დროდადრო მიმართავენ გაფიცვებს და დივერსიულ აქტებს და ხელისუფლებისადმი ურჩობას (გაწერილი სურსათის ჩაუბარებლობა და სხვ). ჯარსა და შრომით ბანაკებში გასაწვევი ახალგაზრდობის საგრძნობი ნაწილი გაურბის გასაწვევ პუნქტებში გამოცხადებას, იმალება და შემდეგ პარტიზანულ რაზმებში შედის. მართალია, ერთიანი კომუ-

ნისტური პარტია არც ომის წლებში შექმნილა, მაგრამ პარტიზანულ რაზმებში მოქმედმა კომუნისტურმა ჯგუფებმა და კორეაში არალეგალურად მომუშავე კომუნისტურმა წრეებმა დიდი მუშაობა ჩაატარეს მასების დარაზმვისა და სახალხო ბრძოლის ორგანიზაციის საქმეში.

1942 წელს კორეელმა რევოლუციონერმა ემიგრანტებმა შექმნეს „კორეის დამოუკიდებლობის ლიგა", რომელმაც თავის ძირითად ამოცანად დასახა დამოუკიდებელი კორეის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა.

1939—1942 წლებში კორეის სახალხო-რევოლუციური არმიის პარტიზანულმა შენაერთებმა, რომლებიც იაპონელთა ზურგში მოქმედებდნენ, ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთში ჩაატარეს ათეული წარმატებითი რეიდი და დიდი ზიანი მიაყენეს მათ. ჩრდილო კორეის მთიანი რაიონი (პეკტუსანის მთიანეთი) იქცა კორეის სახალხო-რევოლუციური არმიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ბაზად. აქედან ხორციელდებოდა საკუთრივ კორეაში პარტიზანთა რაზმების ელვისებური გაბედული თავდასხმები იაპონელთა გარნიზონებზე, საპოლიციო უბნებსა და კოლონიურ ადმინისტრაციის შენობებზე. სახალხო შურისმაძიებლები არ ინდობდნენ „მეხუთე კოლონის" წარმომადგენლებსაც, რომლებსაც მასობრივად ფიზიკურად სპობენ.

დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის უმაგალითო მამაცობა, მისი გმირული ბრძოლა ფაშისტური გერმანიისა და მისი სატელიტების წინააღმდეგ, მისი ძმური დახმარება ჩინელი ხალხისადმი, ჩაგრული ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლისადმი გაბედული მხარდაჭერის პოლიტიკა აღაფრთოვანებდა კორეელ ხალხს, ხელს უწყობდა მისი საბრძოლო განწყობილების ზრდას და ახალი მამაცური აქტებისაკენ მოუწოდებდა მას.

1943—1945 წლებში კორეელი ხალხის ბრძოლა იაპონელ იმპერიალისტთა წინააღმდეგ მკვეთრად გაძლიერდა და საყოველთაო ხასიათი მიიღო. პარტიზანულმა ბრძოლამ ქვანტუნსა და კორეაში დაბანაკებული იაპონიის არმიების დამსჯელი ოპერაციების გაძლიერების მიუხედავად, ქვეყნის ახალი რაიონები მოიცვა. ქვეყნის სამრეწველო რაიონებში (უპირატესად ჩრდილოეთით) მუშათა გაფიცვები შეიარაღებულ გამოსვლებში გადაიზარდა. აჯანყდნენ სამხედრო ბაზებში მომუშავე მუშებიც (კუნძულ ჩუჯუზე), რომლებმაც გაანადგურეს საავიაციო ბაზები და გაჟლიტეს მფრინავები. მომწიფდა პირობები საყოველთაო სახალხო-განმათავისუფლებელი ბრძოლის წარმატებით დაგვირგვინებისა და სახალხო რევოლუციის გამარჯვებისათვის.

ასეთი იყო ვითარება კორეაში, როდესაც 1945 წლის აგვისტოში საბჭოთა კავშირის შეიარაღებულმა ძალებმა გაანადგურეს იაპონიის იმპერიალიზმი, დალეწეს მისი თავდაცვის ბაზები სამხრეთ-აღმოსავლეთ ჩინეთში. განავითარეს რა ძლევამოსილი შეტევა თვით კორეის ტერიტორიაზე, მათ კორეის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ნაწილებთან საბრძოლო კავშირში გამანადგურებელი დარტყმა აგემეს კორეის პლაცდარმზე მოკალათებულ იაპონელ ოკუპანტებს, დაამხეს მათი ხანგრძლივი კოლონიური ბატონობა და თავისუფლება მოუტანეს კორეელ ხალხს.

მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკა (1918—1945 წწ.)

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გავლენა მონგოლეთზე

მონგოლეთი აღმოსავლეთის პირველი ქვეყანა იყო, რომელიც რევოლუციური გზით ჩამოშორდა იმპერიალისტურ სისტემას, დაამსხვრია იმპერიალიზმისა და შუასაუკუნოებრიობის ხუნდები და გამოვიდა ეროვნული აღორძინების გზაზე. მონგოლი ხალხი პირველი იყო, რომელმაც საბჭოთა რუსეთის დახმარებით შექმნა სახალხო რესპუბლიკა და, დაეყრდნო რა ლენინის გენიალურ დებულებას განვითარების არაკაპიტალისტური გზის შესაძლებლობის შესახებ, დაიწყო წინსვლა ფეოდალიზმიდან სოციალიზმისაკენ განვითარების კაპიტალისტური საფეხურის გვერდის ავლით.

ავტონომიური მონგოლეთი (გარე მონგოლეთი) დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამდე მეტად სავალალო მდგომარეობაში იმყოფებოდა. მონგოლი ხალხის მიწა-წყალზე ჩინელ-მანჯურიელი კოლონიზატორები, ჩინელი, რუსი და იაპონელი ვაჭარ-მევახშეები პარაშობდნენ. ფორმალურად ავტონომიური სახელმწიფო, რომელსაც თეოკრატიული მმართველობა ჰქონდა და ლამაიტური ეკლესიის უმაღლესი მღვდელმთავარი ბოგდო-გეგენი ედგა სათავეში, მეფის რუსეთის ფაქტიურ კოლონიას წარმოადგენდა, რომლის დაპყრობას. ამავე დროს, იმპერიალისტური იაპონია ლამობდა.

მონგოლი ხალხის ძირითადი მასა—დაყმევებული არატობა ორმაგი ჩაგვრის მძიმე უღლის ქვეშ გმინავდა. ეს იყო უცხოელი მოძალადეებისა და ადგილობრივი ფეოდალების ჩაგვრის უღელი. პირუტყვის ჯოგები, მოსახლეობის ძირითადი, ალაგ-ალაგ კი ერთადერთი საარსებო წყარო, ფეოდალ-მემამულეების, მონასტრებისა და უცხოელ ვაჭარ-მევახშეთა კუთვნილებას წარმოადგენდა. უზარმაზარ ტერიტორიაზე, რომლის ფართობი 1600 ათას კვ. კმ. უდრიდა, მოსახლეობდა დაახლოებით 650 ათასი კაცი, რომელთა დიდი ნაწილი მომთაბარე ცხოვრებას ეწეოდა. სოციალურ-ეკონომიური განვითარების დონის მხრივ ავტონომიური მონგოლეთი აღმოსავლეთის ერთ-ერთი უკიდურესად ჩამორჩენილი ქვეყანა იყო, სადაც არ იყო

არავითარი მრეწველობა, თანამედროვე მიმოსვლისა და კავშირის საშუალებები, განათლებისა და კულტურის კერები; ფეოდალური წარმოებითი ურთიერთობა იქ გადახლართული იყო გვარტომულ-პატრიარქალური ურთიერთობის გადმონაშთებთან. მოსახლეობის ძირითად სამეურნეო ბაზას მომთაბარე, მკვეთრად ექსტენსიური მეცხოველეობა წარმოადგენდა. არატულ მასას ქრონიკული შიმშილის, წერა-კითხვის სრული უცოდინარობის, გადამდებ სნეულებათა გავრცელებისა და რელიგიური ფანატიზმისა და სრული უუფლებობის ვითარებაში უხდებოდა ცხოვრება. მასობრივი სიკვდილიანობა და დაბალი შობადობა სრულ ფიზიკურ გადაშენებას უქადდა მონგოლ ხალხს. მაგრამ დიდმა ოქტომბერმა იხსნა იგი ამ ავბედითი ყოფისაგან.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამ უდიდესი გავლენა მოახდინა მონგოლი ხალხის ცხოვრებაზე და საფუძველი ჩაუყარა ახალ ეტაპს მის ისტორიულ განვითარებაში. საბჭოთა მთავრობამ 1918 წლის აგვისტოს მოწოდებით ავტონომიური მონგოლეთის მთავრობისა და ხალხისადმი ნათლად გამოხატა თავისი დამოკიდებულება მონგოლი ხალხისადმი. მან უარი განაცხადა მეფის რუსეთის მიერ მონგოლეთისათვის თავზე მოხვეულ მტაცებლურ ხელშეკრულებებზე, გააუქმა ცარიზმის კაბალური სესხების ვალები, იცნო მონგოლი ხალხის უფლება სრულ სახელმწიფოებრივ სუვერენიტეტსა და დამოუკიდებელ განვითარებაზე, თანაც საჭიროდ ჩათვალა დაემყარებინა მასთან ნორმალური ურთიერთობა სრული თანასწორუფლებიანობის ბაზაზე.

ავტონომიური მონგოლეთის ფეოდალურ-კლერიკალური ზედაფენა მტრულად შეხვდა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას ყოფილი რუსეთის ტერიტორიაზე და მის პირველ საგარეო პოლიტიკურ ნაბიჯებს. როგორც კი საბჭოთა ხელისუფლება გავრცელდა ციმბირის ტერიტორიაზე, ბოგდო-გეგენის მთავრობამ სასწრაფოდ დახურა საზღვარი, შეწყვიტა საბჭოთა რუსეთ-მონგოლეთის ვაჭრობა და საბჭოთა რუსეთის მიმართ განახორციელა სხვა მტრული აქტები. დაბოლოს, მან უარი განაცხადა მიეღო საბჭოთა რუსეთის წარმომადგენელი და საბჭოთა მოქალაქეებს, იმის შიშით, რომ მათ არატული მასისათვის სიმართლე არ ეთქვათ საბჭოთა წყობილების შესახებ, აუკრძალა მონგოლეთში შესვლა. მონგოლი ფეოდალები ამით არ დაკმაყოფილდნენ. არატობის რევოლუციური გამოსვლების თავიდან ასაცილებლად მათ ჩინელ მილიტარისტებსა და იაპონელ იმპერიალისტებს მიმართეს დახმარებისათვის.

იაპონელმა იმპერიალისტებმა დემაგოგიური მიზნით წამოაყენეს „დიდი მონგოლეთის" შექმნის გეგმა. მასში უნდა შესულიყო გარე და შიდა მონგოლეთი, აგრეთვე საბჭოთა რუსეთის ტერიტორიის

ნაწილი, დაახლებული ბურიატ-მონგოლებით. მას სათავეში უნდა ჩადგომოდა ერთ-ერთი რუსი თეთრგვარდიელი გენერალი (სემიონოვი ან სხვა ვინმე) და იაპონიისაგან მიეღო ფინანსური დახმარება და იარაღი. 1919 წლის ზაფხულში იაპონელებსა და მათი ჩინელი აგენტის ანფუის დაჯგუფებას შორის მიღწეული ფარული შეთანხმებით ავტონომიური მონგოლეთის ტერიტორიაზე შეყვანილ იქნა ჩინეთის ჯარი გენერალ სიუი შუ-ჯენის სარდლობით (ბოგდო-გეგენის სანქციით).

ურგში შესვლისთანავე გენერალმა სიუი შუ-ჯენმა ბოგდო-გეგენის მთავრობას მიმართა ულტიმატუმით, რომლითაც მოითხოვდა „ნებაყოფლობით" ხელი აეღო ავტონომიაზე, ეცნო გარე მონგოლეთი ჩინეთის პროვინციად და დათანხმებულიყო ჩინური ადმინისტრაციის დაწესებაზე. ავტონომიური მონგოლეთის დაშინებულმა ფეოდალებმა და მთავრობის წევრებმა სრული კაპიტულაცია მოახდინეს. 1919 წლის 17 ნოემბერს მათ ხელი მოაწერეს ჩინელი გენერლის მიერ წინასწარ შედგენილ მიმართვას ჩინეთის პრეზიდენტისადმი ავტონომიაზე ხელის აღების შესახებ. ამის სანაცვლოდ ჩინელმა ხელისუფლებმა ბოგდი-გეგენსა და სხვა საერო-სასულიერო ფეოდალებს აღუთქვეს მთელი რიგი პრივილეგიები. აღნიშნული მიმართვის შემდეგ პეკინში გამოცხადდა ჩინეთის პრეზიდენტის დეკრეტი გარე მონგოლეთის ავტონომიის გაუქმების შესახებ. ამას მოჰყვა მონგოლეთის არმიის განიარაღება, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების ლიკვიდაცია და მთელი ძალაუფლების გენერალ სიუი შუ-ჯენის ხელში გადასვლა. ამ უკანასკნელმა კი გარე მონგოლეთში მკაცრი სამხედრო-საოკუპაციო რეჟიმი დაამყარა. მან მფარველობის კალთა გადააფარა ჩინელ მევახშეებს და აღუთქვა მათ ძველი ვალების აღება. არატობის ისედაც მძიმე ეკონომიური და უფლებრივი მდგომარეობა აღნიშნულის შედეგად პირდაპირ აუტანელი შეიქმნა.

მონგოლეთის სახალხო - რევოლუციური პარტიის შექმნა. 1921 წლის რევოლუცია

ბოგდო-გეგენის მთავრობისა და მსხვილ ფეოდალთა გამცემლობამ უდიდესი აღშფოთება გამოიწვია მთელ გარე მონგოლეთში. მშრომელებთან ერთად ეს განწყობილება წვრილ და საშუალო ფეოდალებსაც მოედო.

უცხოელ ოკუპანტთაგან ქვეყნის გაწმენდა და ეროვნული სუვერენიტეტის მოპოვება მონგოლი ხალხის საყოველთაო მოთხოვნილებად იქცა. საბჭოთა ხელისუფლების წარმატებამ კოლჩაკის წინააღმდეგ ბრძოლაში ციმბირის ტერიტორიაზე, საბჭოთა რუსეთის ცნობილმა მიმართვამ მონგოლი ხალხისადმი[1], და ჩინელ

[1] თუმცა ბოგდო-გეგენის მთავრობა შეეცადა დაეფარა მისი შინაარსი მონგოლი ხალხისათვის.

ოკუპანტთა თარეშმა გარე მონგოლეთში შეამზადა ნიადაგი სახალხო რევოლუციისათვის.

1919 წლის შემოდგომაზე გარე მონგოლეთის დედაქალაქ ურგში აღმოცენდნენ პირველი არალეგალური რევოლუციური წრეები, რომლის დამაარსებლები იყვნენ ყმა არატების წრიდან გამოსული ახალგაზრდა მონგოლი რევოლუციონერები სუხე-ბატორი და ჩოიბალსანი[1]. 1920 წლის დასაწყისში ისინი გაერთიანდნენ არალეგალურ რევოლუციურ ჯგუფად, რითაც საფუძველი ჩაეყარა ერთიან სახალხო-რევოლუციურ პარტიას. რევოლუციურმა ჯგუფმა აქტიური პროპაგანდისტული მუშაობა გააჩაღა მშრომელ მოსახლეობაში და მოუწოდა მას ენერგიული ბრძოლა გაეშალა როგორც უცხოელ დამპყრობელთა, ისე რეაქციულ მმართველთა წინააღმდეგ.

ამ რევოლუციურ ორგანიზაციას დიდი დახმარება აღმოუჩინეს ურგში მომუშავე რუსმა მუშებმა, რომლებიც სისტემატურად აცნობდნენ მონგოლ რევოლუციონერებს საბჭოთა რუსეთის მშრომელთა ბრძოლის გამოცდილებას, ასწავლიდნენ მათ მარქსიზმ-ლენინიზმის ძირითად საფუძვლებს.

1920 წლის ზაფხულში, როცა წითელმა არმიამ გაანადგურა კოლჩაკის ბანდები და გაიხსნა გზა მოსკოვისაკენ, სუხე ბატორმა და ჩოიბალსანმა გადადგეს ნაბიჯები საბჭოთა რუსეთის მთავრობასთან უშუალო კონტაქტის დასამყარებლად. მონგოლ რევოლუციონერთა დელეგაცია სუხე ბატორის ხელმძღვანელობით ირკუტსკში ჩავიდა. აქ დელეგაცია ორად გაიყო. ერთი ნაწილი მოსკოვისაკენ გაემართა, მეორე კი (სუხე-ბატორი, ჩოიბალსანი) იქვე დარჩა.

მოსკოვს ჩასული მონგოლელ რევოლუციონერთა დელეგაცია კრემლში მიიღო ლენინმა. გულთბილ საუბარში ლენინმა მონგოლი ხალხის წარმომადგენლებს დაწვრილებით გამოჰკითხა მონგოლეთში შექმნილი ვითარება, გულმხურვალედ მიესალმა მათ რევოლუციურ ინიციატივას და საბჭოთა ხალხის სახელით აღუთქვა ყოველგვარი დახმარება სოციალური და ეროვნული განთავისუფლებისათვის ბრძოლაში.

1920 წლის ნოემბერში მონგოლ რევოლუციონერთა დელეგაცია სამშობლოში დაბრუნდა, რათა პრაქტიკულად განეხორციელებინა ლენინის მითითებები, დაყრდნობოდა საბჭოთა ხალხის ძმურ დახმარებას, შეექმნა რევოლუციური ავანგარდი და გაეშალა სახალხო

---

[1] სუხე-ბატორი დაიბადა 1893 წელს, გარდაიცვალა 1923 წ. იგი ხალხის მტრების მიერ იქნა მოწამლული. ჩოიბალსანი დაიბადა 1895 წელს, გარდაიცვალა 1952 წლის იანვარში. როგორც სუხე-ბატორმა, ისე ჩოიბალსანმა განვლეს მძიმე შრომითი გზა: პირველმა ჯარისკაცისა და ასოთამწყობისა, მეორემ — მოჯამაგირისა და შავი მუშისა.

ბრძოლა იმპერიალისტ კოლონიზატორთა და ფეოდალ ექსპლოატატორთა წინააღმდეგ.

1920 წლის შემოდგომისათვის კი პოლიტიკური ვითარება გარე მონგოლეთში უფრო გართულდა. ოქტომბერში მონგოლეთის ტერიტორიაზე შეიჭრნენ იაპონელ იმპერიალისტთა ფასიანი აგენტის თეთრგვარდიელი გენერლის ბარონ უნგერნის ბანდები, რომლებიც საბჭოთა რუსეთის ტერიტორიაზე სასტიკად დაამარცხეს წითელი არმიის ნაწილებმა. ამ ამბავს წინ უძღოდა ანფუის პროიაპონური დაჯგუფების დამარცხება პეკინში, მისი წარმომადგენლის სიუი შუ-ჯენის გაქცევა ურგიდან და მისი შეცვლა ინგლის-ამერიკის აგენტით ჩენ ი-თ. ასრულებდა რა იაპონელ იმპერიალისტთა დაკვეთას, უნგერნმა გააძევა ჩენ ი გარე მონგოლეთის ტერიტორიიდან, დემაგოგიური მოსაზრებით გადმოისროლა „მონგოლეთის ავტონომიის აღდგენის“ ლოზუნგი, 1921 წლის თებერვალში დაეუფლა ურგს და აღადგინა ბოგდო-გეგენი ხანის ტახტზე. მაგრამ ოკუპანტთა ხიშტებით შექმნილი მონგოლეთის მთავრობა ფაქტიური დიქტატორის ბარონ უნგერნისა და მის ზურგს უკან მყოფ იაპონელ იმპერიალისტთა უბრალო სათამაშო ტიკინა იყო.

სისხლიანმა დიქტატორმა ბარონმა უნგერნმა დიდხანს ვერ ითარეშა მონგოლეთის ტერიტორიაზე. საყოველთაო სახალხო აღშფოთებამ, რომელიც მალე რევოლუციურ გამოსვლებში გადაიზარდა, წალეკა იგი.

1920—1921 წლების მიჯნაზე გარე მონგოლეთში შეიქმნა ის ვითარება, რომელსაც ლენინი რევოლუციურ სიტუაციას უწოდებს. მშრომელთა აღშფოთება აქა-იქ ოკუპანტების წინააღმდეგ პარტიზანულ გამოსვლებში გადაიზარდა, დაიწყო იარაღის მოპოვება და საგიტაციო ფურცლების გავრცელება, არალეგალურად გამოვიდა რევოლუციური გაზეთი „მონგოლეთის სიმართლე“ („მონგილინ უნერი“). 1921 წლის 1 მარტს კიახტაში შედგა სახალხო რევოლუციური პარტიის პირველი ყრილობა (სუხე-ბატორისა და ჩოიბალსანის მიერ დაარსებული რევოლუციურ ჯგუფების ბაზაზე). მან მიიღო ისტორიული დადგენილება შეიარაღებული აჯანყების მოწყობის შესახებ უნგერნის თეთრგვარდიელი ბანდებისა და ჩინელ მილიტარისტთა ძალებისაგან ქვეყნის გასაწმენდად. ყრილობამ აირჩია პარტიის ცენტრალური კომიტეტი (აგრეთვე ბიურო) და რევოლუციური შტაბი პარტიზანული რაზმების გასაერთიანებლად და მათ ბაზაზე სახალხო-რევოლუციური არმიის შესაქმნელად. ახლად შექმნილი სახალხო-რევოლუციური არმიის მთავარსარდლად დაინიშნა სუხე-ბატორი, მოადგილედ — ჩოიბალსანი. პირველი ყრილობის შემდეგ

სახალხო-რევოლუციური პარტია გახდა შეიარაღებული ბრძოლისათვის მზადების ორგანიზატორი და ინიციატორი. 1921 წლის 13 მარტს პარტიის ხელმძღვანელობამ მოიწვია კიახტის მომიჯნავე ხოშუნების პარტიზანული რაზმების წარმომადგენელთა ყრილობა, რომელზედაც არჩეულ იქნა დროებითი სახალხო მთავრობა შეიარაღებული აჯანყების დასაჩქარებლად და ჩასატარებლად.

1921 წლის 18—19 მარტის რიცხვებში მშრომელთა პარტიზანული რაზმების ბაზაზე შექმნილმა მონგოლეთის სახალხო-რევოლუციურმა არმიამ პირველი სერიოზული საბრძოლო ნათლობა მიიღო. კიახტის რაიონში მან სასტიკი დამარცხება აგემა ჩინელ მილიტარისტთა რიცხობრივად ჭარბ ძალებს და გაათავისუფლა მათგან პატარა ქალაქი მაიმაჩენი (ახლანდელი ალთან-ბულაკი). ამის შემდეგ მაიმაჩენი უნგერნის ბანდებისაგან მონგოლეთის განთავისუფლებისათვის გაშლილ სახალხო-შეიარაღებული ბრძოლის ცენტრი გახდა.

ურგის რეაქციულმა მთავრობამ აჯანყებულებს მიუსია უნგერნის თეთრგვარდიული ნაწილები და ამოცანად დაუსახა მათ ჩაეხშოთ სახალხო რევოლუცია, მოესპოთ მისი კერა და დროებითი სახალხო მთავრობა. ასეთ მძიმე პირობებში მონგოლეთის სახალხო მთავრობამ და სახალხო-რევოლუციური არმიის სარდლობამ თხოვნით მიმართეს საბჭოთა რუსეთის მთავრობას გაეწია სამხედრო დახმარება თეთრგვარდიელებთან ბრძოლაში. საბჭოთა მთავრობამ დააკმაყოფილა ეს თხოვნა და ამ მიზნისათვის გამოყო წითელი არმიის ნაკრები კორპუსი[1]. წითელი არმიის ნაწილებისა და მონგოლეთის სახალხო-რევოლუციური არმიის საბრძოლო თანამშრომლობამ სასურველი შედეგი გამოიღო. მრავალდღიან გაფთრებულ ბრძოლებში ბარონ უნგერნის თეთრგვარდიული ბანდები განადგურებულ იქნენ. 6—7 ივლისს წითელი არმიის ნაწილებმა და მონგოლეთის სახალხო-რევოლუციურმა არმიამ გაათავისუფლეს ურგი. უნგერნის ბანდებმა შეწყვიტეს წინააღმდეგობა, თვითონ უნგერნი ტყვედ ჩაიგდეს წითელი არმიის ნაწილებმა[2]. მშრომელი არატული მოსახლეობა უდიდესი სიხარულით ხვდებოდა არმიას, რომელმაც თავისუფლება მოუტანა მას. 8 ივლისს ურგში გადავიდა დროებითი სახალხო მთავრობა და სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტი. 11 ივლისს ურგში შეიქმნა სახალხო-რევოლუციური მთავრობა[3], რომელმაც

---

[1] 35-ე მსროლელი დივიზიის, 35-ე ცხენოსანი პოლკის, ყუბანის ცხენოსანი დივიზიისა და მეტინკინის რაზმის შემადგენლობით. ცხენოსან პოლკს მაშინ მეთაურობდა კ. როკოსოვსკი (ახლა საბჭოთა კავშირის მარშალი).

[2] საბჭოთა სამხედრო ტრიბუნალის დადგენილებით იგი დახვრიტეს 1921 წლის სექტემბერში.

[3] ამ მთავრობაში სუხე-ბატორს ეკავა სამხედრო მინისტრის პოსტი.

მოსახლეობას აუწყა სახალხო რევოლუციის გამარჯვება, ვინაიდან გარე მონგოლეთის ცალკეულ ადგილებში ისევ მოქმედებდნენ კონტრრევოლუციური ჯგუფები, თანაც იაპონელი იმპერიალისტები აქეზებდნენ მათ აგენტს, მანჯურიის (დუნბეის) დიქტატორ ჯან ძოლინს შეჭრილიყო მონგოლეთის ტერიტორიაზე. მონგოლეთის სახალხო-რევოლუციური მთავრობის თხოვნით წითელი არმიის ნაწილები დროებით დატოვებულ იქნენ მონგოლეთში. წითელი არმიის ნაწილების სარდლობამ დიდი დახმარება აღმოუჩინა ახლად შექმნილ რევოლუციურ მთავრობას როგორც კონტრრევოლუციური ბანდების სრულ ლიკვიდაციაში, ისე სახალხო-რევოლუციური არმიის რეგულარული შენაერთების შექმნაში, მათ საბრძოლო გაწვრთნასა და მომზადებაში.

მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკის შექმნა

უნგერნის თეთრგვარდიელი ბანდების განადგურებით და სახალხო-რევოლუციური მთავრობის შექმნით წარმატებით დაგვირგვინდა სახალხო ანტიიმპერიალისტური და ანტიფეოდალური რევოლუცია.

დიდი მეზობლის — საბჭოთა რუსეთის მეგობრული დახმარებით მონგოლეთი სუვერენული სახელმწიფო გახდა, მთელი ძალაუფლება გადავიდა მშრომელი არატობის და მისი რევოლუციური ავანგარდის სახალხო-რევოლუციური პარტიის ხელში. მონგოლეთის რევოლუცია ახალი ტიპის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია იყო. მის უპირველეს ამოცანას წარმოადგენდა ქვეყნის განთავისუფლება იმპერიალისტ კოლონიზატორთა პარპაშისაგან და დამოუკიდებლობის მოპოვება. მაგრამ ამ ამოცანის გადაწყვეტა მეორე ამოცანის — არატობის სოციალური განთავისუფლებისა და ფეოდალურ ბატონყმური ურთიერთობის მოსპობის პირველი პირობა და დასაწყისი იყო. აღნიშნული რევოლუცია, რომელიც მოხდა ორი სისტემის არსებობის პირობებში, მსოფლიო სოციალისტური რევოლუციის განუყოფელი ნაწილი იყო. „რუსეთის გამარჯვებული მუშათა კლასისა და მონგოლ არატობის კლასობრივმა კავშირმა, — როგორც სამართლიანად მიუთითებდა მსრ პარტიის პირველი მდივანი ცედენბალი, — უზრუნველყო მონგოლეთის სახალხო რევოლუციის გამარჯვება და შემდეგ მონგოლეთის დადგომა განვითარების არაკაპიტალისტურ გზაზე.

1921 წლის სახალხო რევოლუციას ერთბაშად არ შეეძლო და არც გადაუწყვეტია მონგოლი ხალხის წინაშე მდგარი ყველა ამოცანა. პირველად იგი შეუდგა საერთოდემოკრატიულ გარდაქმნათა ამოცანის განხორციელებას, რაც დაახლოებით 1940 წლამდე გრძელ-

დებოდა. მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყო რევოლუციის მეორე ეტაპი — სოციალისტური ეტაპი.

უცხოელ ინტერვენტთა განადგურებისა და სახალხო ხელისუფლების შექმნის მიუხედავად სახალხო-რესპუბლიკური პარტიის ხელმძღვანელობამ დროებით ხელუხლებლად დატოვა მმართველობის არსებული მონარქისტული ფორმა. მან გაითვალისწინა მონგოლეთში შექმნილი ვითარება: ლამაიტური ეკლესიისა და მისი მეთაურის დიდი ავტორიტეტი რელიგიური ფანატიზმით შეპყრობილ მოსახლეობაში და დატოვა ბოგდო-გეგენი თავის ტახტზე, შეუნარჩუნა რა მას შეზღუდული მონარქის უფლება. 1921 წლის 1 ნოემბერს სახალხო მთავრობამ ბოგდო-გეგენის მთავრობასთან დადო ე. წ. „ფიცდებული ხელშეკრულება", რომლითაც მოხდა ხელისუფლების ფუნქციების გამიჯვნა სახალხო მთავრობასა და ბოგდო-გეგენის მთავრობას შორის.

„ფიცდებული ხელშეკრულებით" ბოგდო-გეგენს რჩებოდა განუსაზღვრელი უფლებები მხოლოდ რელიგიურ საკითხებში. სახელმწიფოებრივი ხელისუფლება — საშინაო და საგარეო პოლიტიკის საკითხები მთლიანად გადადიოდა სახალხო მთავრობის ხელში. ამით ბოლო ეღებოდა საერო და სასულიერო მთავართა ხელისუფლებას და იგი ხალხის ხელში გადადიოდა.

1921 წლის ბოლოსათვის სახალხო მთავრობის თხოვნით მონგოლეთში დატოვებულმა წითელი არმიის ნაწილებმა და მონგოლეთის სახალხო-რევოლუციური არმიის ნაწილებმა საბოლოოდ გაწმინდეს ქვეყანა თეთრგვარდიელი ინტერვენტებისაგან. 1922 წლისათვის მთელი ყოფილი გარე მონგოლეთი ფორმალურადაც და ფაქტიურადაც გაერთიანდა ახალი სახალხო ხელისუფლების ძალაუფლების ქვეშ.

ამ ისტორიული ამოცანის გადაწყვეტის შემდეგ დღის წესრიგში დადგა საერთო დემოკრატიული ამოცანების გადაწყვეტა, კერძოდ: ფეოდალთა კლასისა და ფეოდალური ექსპლოატაციის ლიკვიდაცია, უკიდურესი სამეურნეო და კულტურული ჩამორჩენილობის დაძლევა, საწარმოო ძალთა განვითარება, კაპიტალისტური ელემენტების აღმოცენებისათვის ხელის შეშლა და საერთოდ კაპიტალისტური გზით განვითარებისათვის გზის გადაღობვა, მოსახლეობის მატერიალური დონის ამაღლება, უცხოური კერძო კაპიტალის სრული გაძევება, ეკონომიური დამოუკიდებლობის განმტკიცება...

ძალზე ძნელი იყო ამ ამოცანების გადაწყვეტა ისეთ უკიდურესად ჩამორჩენილ ქვეყანაში, როგორიც მონგოლეთი იყო. საამისოდ მას არ გააჩნდა არც რესურსები, არც გამოცდილება და არც საჭირო კადრები, მაგრამ მონგოლ ხალხს ჰყავდა მეგობარი მეზობელი საბ-

ჭოთა რუსეთის სახით, რომელიც მზად იყო ყოველგვარი დახმარება აღმოეჩინა მისთვის ამ დიდი ამოცანების განხორციელებაში.

1921 წლის ოქტომბერში მოსკოვს გაემგზავრა მონგოლეთის სახალხო მთავრობის დელეგაცია სუხე-ბატორის ხელმძღვანელობით. მისი ამოცანა იყო შეთანხმების დადება მონგოლეთსა და საბჭოთა რუსეთს შორის და ლენინთან შეხვედრა, მომავალი მშენებლობის ამოცანებზე მისი რჩევა-დარიგების მიღება.

მონგოლეთისა და საბჭოთა რუსეთის დელეგაციებს შორის წარმოებული გულთბილი მოლაპარაკების შედეგად 1921 წლის 5 ნოემბერს მოსკოვში ხელი მოაწერეს შეთანხმებას საბჭოთა რუსეთსა და მონგოლეთს შორის მეგობრული ურთიერთობისა და ურთიერთდახმარების შესახებ. ეს იყო პირველი თანასწორუფლებიანი ხელშეკრულება მონგოლეთისა უცხო სახელმწიფოსთან. აღნიშნული ხელშეკრულებით საბჭოთა რუსეთმა ხელი აიღო ყველა იმ უფლებასა და პრივილეგიაზე, რომელიც თავზე მოახვია მეფის რუსეთმა ავტონომიურ მონგოლეთს. აღნიშნულ ხელშეკრულებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა მონგოლეთისათვის. მან განამტკიცა ახალგაზრდა სახელმწიფოს საერთაშორისო პოზიციები და ხელი შეუწყო შინაგანი მდგომარეობის სტაბილიზაციას. მან საფუძველი ჩაუყარა მჭიდრო მეგობრულ კავშირსა და თანამშრომლობას საბჭოთა და მონგოლ ხალხებს შორის, რაც ამიერიდან მონგოლეთის საგარეო პოლიტიკის ქვაკუთხედად იქცა.

მეგობრულ ხელშეკრულებაზე ხელმოწერის დღეს 5 ნოემბერს მონგოლი ხალხის წარგზავნილები სუხე-ბატორის ხელმძღვანელობით მიიღო ლენინმა და ხანგრძლივი საუბარი ჰქონდა მათთან. საუბრის დროს ლენინმა ამომწურავად დაახასიათა მონგოლეთის საშინაო და საერთაშორისო მდგომარეობა, წინსვლის გზაზე არსებული სერიოზული დაბრკოლებები და მისი დაძლევის შესაძლებლობები. ლენინმა მონგოლ ამხანაგებს გადაუშალა ჩამორჩენილი მონგოლეთის არაკაპიტალისტური გზით სოციალიზმისაკენ განვითარების პერსპექტივები. ამით მან შეაიარაღა ისინი მომავლის მკაფიო პროგრამით და ბედნიერი მომავლის ნათელი რწმენა დაუსახა მათ. „თქვენი ქვეყნის ყოველი მშრომელის ერთადერთი სწორი გზა, — განუცხადა მათ საუბარში ლენინმა, — არის ბრძოლა სახელმწიფოებრივი და სამეურნეო დამოუკიდებლობისათვის რსფსრ მუშებთან და გლეხებთან კავშირში"[1].

მონგოლეთის სახალხო მთავრობამ და სახალხო რესპუბლიკურმა პარტიამ, დაეყრდნენ რა ლენინის ბრძნულ მითითებებსა და რჩევა-

---

Ленинский сборник, XXXV, გვ. 290, შენიშვნა.

დარიგებას, საბჭოთა რუსეთის მშრომელთა (შემდგომში საბჭოთა კავშირის) უანგარო დახმარებით თანდათანობით ხელი მიჰყვეს საერთოდემოკრატიული ღონისძიებების გატარებას. პირველ ეტაპზე მათ დაიწყეს ფეოდალთა პოლიტიკური უფლებებისა და ეკონომიური პოზიციების შეზღუდვა და მხოლოდ ამის შემდეგ შეუდგნენ ამ უფლებათა სრულ მოსპობას.

1921 წელს გატარდა სასამართლო სისტემის დემოკრატიზაცია[1], გაუქმდა ფეოდალთა საგადასახადო პრივილეგიები, ლიკვიდირებულ იქნა მთავართა საკუთრება, ისე როგორც მათი პოლიტიკური უფლებები ხოშუნებში. 1922 წლის იანვარში გამოიცა კანონი ბატონყმობის გაუქმების შესახებ; ჩატარდა სახელმწიფო-ადმინისტრაციული აპარატის ძირეული გაწმენდა კლასობრივად არასაიმედო ელემენტებისაგან. ძველი სახელმწიფო ფეოდალური მანქანა შეცვალა ახალმა სახალხო ხელისუფლებამ; ადგილებზე ფეოდალთა ხელისუფლება შეცვალა არჩევითმა სახალხო-დემოკრატიულმა თვითმმართველობის ორგანოებმა — სახალხო ხურალებმა. ქვეყნის ეკონომიკის გარდასაქმნელად 1921 წელს შეიქმნა კოოპერატიული ორგანიზაცია (მონცენკოპი). გაუქმდა არატობის დავალიანება მევახშეებისადმი, 1923 წელს კი მთავრობამ მიიღო კანონი პროგრესიული საშემოსავლო გადასახადით მოსახლეობის სავალდებულო დაბეგვრის შესახებ (ღარიბ მეურნეობათა გარდა).

აღნიშნული რევოლუციურ-დემოკრატიული გარდაქმნები მიმდინარეობდა გააფთრებული კლასობრივი ბრძოლის ვითარებაში. ფეოდალთა კლასს არ სურდა ხელი აეღო თავის ძველ პრივილეგიურობაზე და ეცნო ქვეყნად მომხდარი უდიდესი ცვლილებები. საერო და სასულიერო ფეოდალები ბოგდო-გეგენის ფარული წაქეზებით და ინგლის-ამერიკელ-იაპონელ იმპერიალისტთა ფარული აგენტების აქტიური ხელშეწყობით აწყობდნენ დივერსიულ აქტებს. შეთქმულებსა და კონტრრევოლუციურ ამბოხებებს, საბოტაჟს უწევდნენ ხელისუფლების ღონისძიებებს, ეწეოდნენ ჯაშუშობას... 1921—1924 წლებში მონგოლეთში გახსნეს და ლიკვიდაცია უყვეს რამდენიმე კონტრრევოლუციურ შეთქმულებას; 1922 წელს კონტრრევოლუციის, ჯაშუშობისა და საბოტაჟის აქტების წინააღმდეგ საბრძოლველად შეიქმნა სახელმწიფო შინაგანი დაცვა (მემდეგში შინაგან საქმეთა სამინისტროდ გარდაიქმნა). კლასობრივი მტერი ინდივიდუალური ტერორის აქტებსაც არ მოერიდა. 1923 წლის 22 თებერვალს ხალხის მტრებმა მუხანათურად სიცოცხლეს გამოასალმეს მონგოლეთის სახალხო სახელმწიფოს დამაარსებელი, სახალხო-რევოლუციური პარ-

---

[1] აიკრძალა ფიზიკური დასჯა.

ტიის შემქმნელი, გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე და რევოლუციონერი, საბჭოთა ხალხის დიდი მეგობარი სუხე-ბატორი.



სუხე-ბატორი

ბოგდო-გეგენის სიკვდილის შემდეგ (1924 წლის მაისში) 1924 წლის 13 ივნისს მონგოლეთის სახალხო მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება მონარქიის ლიკვიდაციისა და რესპუბლიკის გამოცხადების შესახებ. მონგოლეთი გამოცხადდა სახალხო რესპუბლიკად (უპრეზიდენტო მმართველობით), სადაც უმაღლესი ხელისუფლება გადავიდა ხალხის მიერ დემოკრატიულ საწყისებზე არჩეული დიდი ხურალის ხელში.

1924 წლის აგვისტოში ურგში ჩატარდა მონგოლეთის სახალხო-რესპუბლიკური პარტიის III ყრილობა, რომელმაც გამოიმუშავა ქვეყნის შემდგომი წინსვლის ნათელი გენერალური ხაზი — კაპიტალისტური განვითარების საფეხურის გვერდის ავლით შეუნელებელი წინსვლა სოციალიზმისაკენ სსრ კავშირის მეგობრული დახმარებით. ყრილობამ ამხილა და გაანადგურა მემარჯვენე უკლონისტთა ჯგუფი დანზანის ხელმძღვანელობით, რომელიც გამოხატავდა მონგოლეთში ჩასახული კაპიტალისტური ელემენტების — ვაჭრული ბურჟუაზიის ინტერესებს[1] და ცდილობდა ქვეყნის განვითარება წარემართა კაპიტალისტური გზით.

1924 წლის 8 ნოემბერს ურგში მუშაობა დაიწყო მონგოლეთის დიდმა სახალხო ხურალმა[2]. 26 ნოემბერს მან მიიღო მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკის პირველი კონსტიტუცია, ძირითადი სახელმწიფო კანონი, რომელმაც ასახა მონგოლი ხალხის ცხოვრებაში 1921

---

[1] შემდეგში დანზანი შეეცადა მოეწყო ამბოხება, რის გამოც იგი შეიპყრეს და სიკვდილით დასაჯეს.

[2] მან დედაქალაქ ურგს უწოდა ულან-ბატორი (ე. ი. „წითელი დეგმირი") სუხე-ბატორის ხსოვნის პატივსაცემად.

წლის სახალხო რევოლუციის შედეგად მომხდარი ძირეული ცვლილებები და საკანონმდებლო წესით გააფორმა ფეოდალურ-ბატონყმური მონგოლეთის ქცევა მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკად. აღნიშნული კონსტიტუცია წარმოადგენდა წყალგამყოფს ძველსა და ახალ მონგოლეთს შორის. მან აზიის ცენტრში გააფორმა ახალი ტიპის დამოუკიდებელი სახელმწიფო, სადაც მთელი ძალაუფლება ეკუთვნის მშრომელ ხალხს, მიწა და წიაღისეული ნაციონალიზებულია, არატობის კერძო საკუთრება (პირუტყვზე, საცხოვრებელზე, საოჯახო მოწყობილობაზე) კი დაცულია კანონით.

მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკის შინაგანი მდგომარეობა 20—30-იან წლებში

1925 წლიდან მონგოლი ხალხი სახალხო რესპუბლიკური პარტიის ხელმძღვანელობით და საბჭოთა კავშირის უანგარო დახმარებით შეუდგა იმ დიდი ამოცანების რეალიზაციას, რომლის გაშლილი პროგრამა მიღებულ იქნა მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკური პარტიის III ყრილობაზე. მან ახალი შემართებით განაგრძო პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიური და კულტურული გარდაქმნები.

ახალგაზრდა სახალხო სახელმწიფოს წინაშე მდგარი ერთ-ერთი პირველხარისხოვანი და გადაუდებელი ამოცანა იყო უცხოური კაპიტალისაგან სრული ეკონომიური დამოუკიდებლობის მოპოვება. ამ მიმართულებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საბჭოთა კავშირის მონაწილეობით სავაჭრო-სამრეწველო ბანკის შექმნას 1924 წელს. მას მოჰყვა რეფორმა და ეროვნული ვალუტის—ტუგრიკის გამოშვება (1927 წლის 9 დეკემბერს). ეროვნული ვალუტის დამკვიდრებამ გამოიწვია უცხოური ვალუტის გამოძევება, რამაც 1928 წელს ხელისუფლებას საშუალება მისცა გამოეცხადებინა ტუგრიკი სახალხო რესპუბლიკის ერთადერთ ვალუტად.

სერიოზული მნიშვნელობა ჰქონდა იმ ღონისძიებებსაც, რომელიც გატარდა ქვეყნის ფეოდალური დაქუცმაცებულობის აღმოსაფხვრელად. 1925 წელს გაუქმდა ნაცვალთა ინსტიტუტები პროვინციებში, დაწესდა წონისა და ზომის სტანდარტები და მოისპო შინაგანი საბაჟოები. 1925—1927 წლებში გამოქვეყნდა ახალი კანონები გადასახადების, სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტთა შესახებ და დამთავრდა სასამართლო საქმის რეორგანიზაცია. ამავე პერიოდს ეკუთვნის სახელმწიფო სალაროს შექმნა, ერთიანი შტატებისა და ხელფასის განაკვეთის დაწესება, სახელმწიფო სახსრების ხარჯვაზე მკაცრი ანგარიშების დაწესება, ვეტერინარული სამსახურის შექმნა და ღონისძიებები მეცხოველეობის განვითარებისათვის.

აღნიშნულ ღონისძიებათა გატარების შედეგად მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის ხელში მოექცა ქვეყნის ეკონომიკის

ისეთი სამეთაურო სიმაღლეები, როგორიც იყო სახელმწიფო ბანკი, ეროვნული ვალუტა, კოოპერაცია და ჩასახული მრეწველობა — სოციალისტური ეკონომიკის ჩანასახები, რომელთა მეშვეობითაც უნდა გაშლილიყო ბრძოლა ფეოდალთა კლასის სრული ლიკვიდაციის, უცხოური კაპიტალის გამოძევებისა და მწარმოებლური ძალების გახვითარების დაჩქარებისათვის.

მაგრამ საერო და საეკლესიო ფეოდალები ჯერ კიდევ დიდ ძალას წარმოადგენდნენ. მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკის მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვის დაახლოებით 1/4-ს 1927 წელს საერო ფეოდალები ფლობდნენ, იმდენივე კი — მონასტრებს ეკუთვნოდათ. ასე რომ, მოსახლეობის არსებობის მთავარი ეკონომიური წყაროს ნახევარი ისევ გამყვლეფელთა ხელში იყო. ეს მათ საშუალებას აძლევდა ისევ განეგრძოთ არატული მასის ექსპლოატაცია. საერო და საეკლესიო ფეოდალები და ვაჭრული ბურჟუაზიული ელემენტები განაგრძობდნენ გააფთრებულ ბრძოლას დემოკრატიულ გარდაქმნათა წინააღმდეგ, ფარულ კავშირს აბამდნენ უცხოელ იმპერიალისტებთან და ხელს უშლიდნენ მთავრობის ყველა ღონისძიებას.

მათ აგენტურად და რუპორად სახალხო-რევოლუციური პარტიის რიგებში და მთავრობაში გამოვიდნენ მემარჯვენე ოპორტუნისტები. ასეთები იყვნენ დამბა-დორჯი, ჯადამბა და სხვები, რომლებსაც ხელმძღვანელი პოსტებიც კი ეკავათ პარტიის ცკ ორგანოებში. ისინი დაშორდნენ პარტიის გენერალურ ხაზს და კურსი კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარებასა და ფეოდალთა პრივილეგიების შენარჩუნებაზე აიღეს. ისინი მოითხოვდნენ საბჭოთა კავშირთან ეკონომიური და კულტურული კავშირის შესუსტებასა. და კაპიტალისტურ ქვეყნებთან უფრო ფართო ურთიერთობას.

პარტიის რევოლუციურმა ხელმძღვანელობამ კომუნისტური ინტერნაციონალის აქტიური მხარდაჭერით დაიცვა პარტიის გენერალური ხაზი, გააძევა თავისი რიგებიდან ოპორტუნისტები და მტკიცედ აიღო გეზი ქვეყნის არაკაპიტალისტური გზით წინსვლისათვის.

აღნიშნული ყრილობისა და მე-5 დიდი ხურალის გადაწყვეტილებათა შესაბამისად 1929 წლიდან მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკაში ენერგიულად დაიწყო შეტევა ფეოდალთა ეკონომიურ პოზიციებზე. 1929—1931 წლებში სპეციალურმა კომისიამ ჩოიბალსანის ხელმძღვანელობით კონფისკაცია უყო და მშრომელ არატობას გადასცა დაახლოებით 1500 ფეოდალური მეურნეობის ჯოგი და სხვა ქონება. ამან დიდად დასცა და შეარყია ფეოდალიზმის ეკონომიური საფუძვლები და ფართოდ გაუღო კარი ახალ ცხოვრებას. არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა 1929 წელს საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის შემოღებას. მან მკვეთრად გააძლიერა სახელმწიფოს ხელ-

მძღვანელი როლი ეკონომიურ ცხოვრებაზე და გზა დაუხშო კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიურ შეღწევას მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკაში.

მაგრამ ფეოდალიზმსა და ბურჟუაზიულ ელემენტებზე გადამწყვეტი შეტევის პროცესში პარტიის სახალხო მთავრობის პოლიტიკაში თავი იჩინა „მემარცხენე" გადახრამაც. ანგარიშს არ უწევდნენ რა ქვეყნის კონკრეტულ ვითარებას, მემარცხენე ელემენტებმა 1931—1932 წლებში ხელი მიჰყვეს არატობის ძალით გაერთიანებას კოოპერატივებში, სოფლის საყოველთაო კოოპერირებას, წვრილ ლამების და ხელოსან-შინამრეწველთა და წვრილ ვაჭართა მაღალი გადასახადებით დაბეგვრას, მათი ქონების ნაწილობრივ კონფისკაციას. მონასტრების იძულებით დახურვას, ლამების გადაყვანას სამოქალაქო მდგომარეობაზე და ა. შ. მემარცხენე ელემენტთა ამ ავანტიურისტულმა პოლიტიკამ დიდი ზიანი მიაყენა ქვეყანას და სერიოზული ეკონომიური და პოლიტიკური სიძნელეები წარმოშვა. ფეოდალურ-კლერიკალურმა წრეებმა ისარგებლეს არატობის ნაწილის უკმაყოფილობით, მათი ინტერესების დამცველებად გაასაღეს თავი და 1932 წელს იაპონიის იმპერიალიზმის ხელშეწყობით მონგოლეთის სსრ დასავლეთ რაიონებში მოაწყეს რეაქციული კონტრრევოლუციური ამბოხება.

მაგრამ პარტიისა და სახალხო მთავრობის მებრძოლმა ხელმძღვანელობამ შეძლეს თავი გაერთმიათ სერიოზული ვითარებისათვის. იმავე 1932 წელს პარტიის ცკ III საგანგებო პლენუმმა და მცირე ხურალის სესიამ მკაცრად დაგმეს მემარცხენე ხაზი, გააუქმეს ავანტიურისტული დადგენილებები და მიიღეს ეფექტური ღონისძიებები დაშვებული შეცდომების გამოსასწორებლად. რაც შეეხება კონტრრევოლუციურ ამბოხებას, იგი ჩაახშეს რესპუბლიკის სამხედრო ნაწილებმა და არატთა რაზმებმა.

იაპონიის აგრესიის ზრდა. მონგოლეთ-საბჭოთა კავშირის 1936 წლის ურთიერთდახმარების ხელშეკრულება. იაპონელ იმპერიალისტთა განადგურება

ახალმა კურსმა მალე გამოიღო სასურველი ნაყოფი. პარტიისა და არატობის ერთობლივი ღონისძიებებით მალე იქნა ლიკვიდირებული მემარცხენე ავანტიურისტების მიერ ქვეყნისათვის მიყენებული ზიანი. ისევ დაიწყო მეცხოველეობის აღმავლობა (1934 წლისათვის პირუტყვის სულადობა 3,5 მილიონით გადიდდა), გაიზარდა საგარეო ვაჭრობა, განმტკიცდა ვალუტა და ფინანსები.

30-იანი წლებიდან მს რესპუბლიკაში საბჭოთა კავშირის დახმარებით ფართო მასშტაბით (გეგმიურ საწყისებზე) იშლება დიდმნიშვნელოვან სამრეწველო წამოწყებათა მშენებლობა. 1933—1934 წლებში

მწყობრში ჩადგა ბამბის მექანიზებული სარეცხი ხატხილში, ჩოიბალსანის სახელობის სამრეწველო კომბინატი ულან-ბატორში, ქვანახშირის რეკონსტრუირებული მაღარო—ნალაიხში. ამის პარალელურად სერიოზული ყურადღება მიექცა გზატკეცილებისა და ტელეგრაფ-ტელეფონის ხაზების მშენებლობას, რამაც კიდევ უფრო გაზარდა კავშირი ცენტრსა და პერიფერიებს შორის, ფეოდალური პარტიკულარიზმის გადმონაშთების ლიკვიდაცია. თანამედროვე მრეწველობის ობიექტების მშენებლობით საფუძველი ჩაეყარა მეურნეობის სოციალისტურ ფორმას, შეიქმნა ეროვნული მუშათა კლასი და ინტელიგენცია. ამავე წლებში სოფლად შეიქმნა მოწინავე ტექნიკით აღჭურვილი პირველი სახელმწიფო მეურნეობები და მანქანა-სათიბი სადგურები.

სერიოზული წარმატებები იქნა მიღწეული ამ წლებში სახალხო განათლებისა და ჯანმრთელობის დარგებშიაც. 1934 წელს გაიხსნა მონგოლეთის სახელმწიფო თეატრი და ახალგაზრდობის რამდენიმე პროვინციული თეატრი; ქვეყანას შეემატა ჯანმრთელობის რამდენიმე კერა და ათეული დაწყებითი და საშუალო სკოლა. ფასდაუდებელი იყო ამ საქმეში საბჭოთა კავშირის მეგობრული დახმარება. სსრ კავშირში მომზადდნენ სათანადო სპეციალისტები, აქ მიიღო პრაქტიკა და წვრთნა კულტურისა და ჯანმრთელობის ასეულმა მუშაკმა. მაღალკვალიფიციური საბჭოთა ოსტატ-სპეციალისტები დაეხმარნენ მონგოლ მეგობრებს ახალ სამრეწველო, კულტურულ თუ სხვა სახის წამოწყებათა ამუშავებაში.

სახალხო მეურნეობისა და კულტურის დარგებში მოპოვებული წარმატებები, ისე როგორც სსრ კავშირ-მონგოლეთის კავშირ-მეგობრობის შემდგომი განმტკიცება, იწვევს იაპონიის იმპერიალიზმისა და მისი შინაგანი აგენტურის მორიგ გააფთრებასა და წინააღმდეგობას. მანჯურიისა და შიდა მონგოლეთის ვრცელი ტერიტორიების ოკუპაციის შემდეგ მკვეთრად გაძლიერდა იაპონელ იმპერიალისტთა ძირგამომთხრელი საქმიანობა და შესაბამისად გააქტიურდნენ ძველი საზოგადოების ნაშთები — საერო და სასულიერო ფეოდალები, ვაჭარ-მევახშეები. 1935—1936 წლებში აღმოაჩინეს და გაუუნებელყვეს რამდენიმე ჯაშუშურ-მავნებლური ორგანიზაცია, რომლებიც მოკალათებული იყვნენ ულან-ბატორის ზოგიერთ დაწესებულებასა და საწარმოში. იაპონიის იმპერიალიზმის ზოგიერთ შენიღბულ აგენტს მაღალი თანამდებობაც კი ეჭირა. მაგ., „მეხუთე კოლონის“ ერთ-ერთი წარმომადგენელი მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე იყო, მეორე — სახალხო არმიის მთავარსარდალი. დაბოლოს 1937—1938 წლებში ლიკვიდირებულ იქნა ცენტრალური კონტრრევოლუციური ორგანიზაცია, რომლის ორგანიზატორები იყვნენ უმაღლესი რანგის

ლამები. „მეხუთე კოლონის“ — ლამაიტური ეკლესიის ფეოდალური თავკაცებისა და სხვა ჯურის რეაქციონერების მხილება-გასაიდუმლურებით ლიკვიდირებულ იქნა მეტად საშიში საშინაო საფრთხე. ამით დამთავრდა ანტიფეოდალური რევოლუცია. ფეოდალთა კლასის ლიკვიდაცია, ბოლომდე მივიდა რევოლუციის საერთო დემოკრატიულ გარდაქმნათა ეტაპი; რევოლუცია გადავიდა მეორე ფაზაში — სოციალისტური რევოლუციის ფაზაში.

იაპონიის იმპერიალიზმი, რომელიც ტანაკას მემორანდუმის (ვრცელი დაპყრობების გეგმის) შესაბამისად ოცნებობდა „ახალი წესრიგის“ დამყარებაზე აზიაში, არ მალავდა თავის მტაცებლურ ზრახვებს მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკის მიმართ. მანჯურიისა და შიდა მონგოლეთის ოკუპაციამ იაპონიის რეაქციული მხედრიონი ამ ქვეყნის საზღვრებთან მოიყვანა. აქედან უქმნიდა ე. წ. ქვანტუნის არმია უშუალო საფრთხეს მონგოლი ხალხის თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას, აქედან ხორციელდებოდა მრავალი პროვოკაციული აქტი და ძირგამომთხრელი საქმიანობა მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკის წინააღმდეგ. ის ფუსფუსი და სტრატეგიული რკინიგზების, გზატკეცილებისა და სიმაგრეების მშენებლობა, რაც ტარდებოდა მონგოლეთის საზღვრების სიახლოვეს, იმაზე მიგვითითებდა, რომ იაპონელი იმპერიალისტები ემზადებოდნენ მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკის დასაპყრობად.

ასეთ გართულებულ ვითარებაში კიდევ უფრო განმტკიცდა მეგობრული კავშირი საბჭოთა კავშირსა და მსრ შორის, მოხდა ზეპირი შეთანხმება სამხედრო თავდასხმის საფრთხის ერთობლივად თავიდან აცილებისა და რომელიმე მათგანზე მესამე სახელმწიფოს თავდასხმის შემთხვევაში ურთიერთისათვის სამხედრო დახმარების აღმოჩენის შესახებ.

1936 წლის 1 მარტს ი. სტალინმა ამერიკული პრესის წარმომადგენელთან როი ჰოვარდთან საუბარში აშკარად განაცხადა: იაპონიის მსრ-ზე თავდასხმის შემთხვევაში ჩვენ ისევე დავეხმარებით მას, როგორც დავეხმარეთ მას 1921 წელსო. ამ სიტყვიერი განცხადების შემდეგ — 1936 წლის 12 მარტს ულან-ბატორში ხელი მოაწერეს ოქმს მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკასა და სსრ კავშირს შორის ურთიერთდახმარების შესახებ.

საბჭოთა კავშირის მთავრობის ხელმძღვანელთა ნათელმა განცხადებებმა და 1936 წლის ხელშეკრულებამ იაპონელი იმპერიალისტები აიძულა დროებით შეენელებინათ იარაღის ჟღარუნი. მაგრამ მათ მაინც ჯეროვანი დასკვნა ვერ გააკეთეს აქედან და ჭკუა ვერ ისწავლეს. ამიტომ იყო, რომ 1939 წლის მაისში იაპონელმა იმპერიალისტებმა მაინც მოახდინეს მუხანათური შეიარაღებული თავდასხმა მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკის საზღვარზე ხალხინ-გოლის რაიონში.

საბჭოთა კავშირმა 1936 წლის შეთანხმების შესაბამისად მაშინვე აღმოუჩინა დახმარება ძმურ მონგოლ ხალხს და პროვოკაციული თავდასხმის რაიონში გაგზავნა წითელი არმიის ნაწილები მძლავრ ავიაციასთან ერთად. საბჭოთა და მონგოლეთის ჯარების გაერთიანებულმა ძალებმა რამდენიმე თვის გააფთრებული ბრძოლებით (ივნისი—აგვისტო) გამანადგურებელი დარტყმა მიაყენეს მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიაზე შემოჭრილ იაპონიის მეექვსე არმიას, მოსპეს მისი დიდი ნაწილი და ნაშთები აიძულეს სასწრაფოდ უკან დაეხიათ. იაპონელ ინტერვენტთა სასტიკი მარცხი ხალხინ-გოლის რაიონში სერიოზული დარტყმა იყო როგორც იაპონიის, ისე საერთაშორისო იმპერიალისტურ რეაქციაზე. იგი ამასთან ერთად სერიოზული გაკვეთილი და გამაფრთხილებელი იყო სხვისი მიწა-წყლის მიტაცების ყველა მოყვარულისთვის.

ანტიფეოდალური რევოლუციის დასრულება. 1940 წლის ახალი კონსტიტუცია და მისი მნიშვნელობა

30-იანი წლების მიწურულისათვის მონგოლი ხალხის ანტიფეოდალური რევოლუცია თავის ფინალამდე მივიდა. მკაფიოდ იჩინა თავი არაკაპიტალისტური გზით წინსვლის გზაზე სამეურნეო-კულტურულ დარგებში მოპოვებულმა დიდმა წარმატებებმა. გაიზარდა პირუტყვის სულადობა, გაუმჯობესდა მისი ვეტერინარული მომსახურება და ტექნიკური ბაზა, მომრავლდნენ ვეტექიმთა და ზოოტექნიკოსთა კადრები, გაუმჯობესდა ფურაჟ-საკვები ბაზა. სერიოზული წარმატება მოიპოვა ეროვნულმა მრეწველობამ, რომელიც შეივსო ახალი საწარმოებით; 1939 წელს (1934 წელთან შედარებით) 5-ჯერ გაიზარდა მისი პროდუქცია, იმატა მონგოლ მუშათა რიცხვმა და მშრომელმა ინტელიგენციამ. ქვეყანას შეემატა ჯანმრთელობის ასეული კერა და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულება, განმტკიცდა და მომრავლდა სახელმწიფო და კოოპერაციული დაწესებულებები; მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა საქონელბრუნვის ქსელის მუშაობა. ამაღლდა არატობის, მუშა-მოსამსახურეთა და ინტელიგენციის მატერიალური კეთილდღეობა.

ყველა ეს წარმატება მოპოვებულ იქნა საბჭოთა კავშირის მზარდი მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსური დახმარებით, საბჭოთა სპეციალისტების მონაწილეობით, არატული მასის პოლიტიკური შეგნებულობის ზრდისა და სახალხო-რესპუბლიკური პარტიის მაორგანიზებელი როლის შემდგომი ამაღლების მეოხებით.

მონგოლი ხალხის ცხოვრებაში მომხდარმა უდიდესმა ცვლილებებმა საჭიროდ გახადა 1924 წლის კონსტიტუციის შეცვლა ახალი კონსტიტუციით, რომელიც შეაჯამებდა რევოლუციის საერთო დემოკრატიული ეტაპის მიღწევებს. ასეთი კონსტიტუციის პროექტი

შეიმუშავა სახალხო-რევოლუციური პარტიის X ყრილობამ (1940 წლის მარტში).

1940 წლის 20 ივნისს მოწვეულმა მე-8 დიდმა სახალხო ხურალმა განიხილა და მიიღო მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკის ახალი კონსტიტუცია. მან ასახა მონგოლი ხალხის უდიდესი წარმატებები ახალი ცხოვრების მშენებლობაში და საკანონმდებლო წესით განამტკიცა რევოლუციის ანტიიმპერიალისტური ეტაპის შედეგები. 1940 წლის კონსტიტუციამ ერთხელ კიდევ გაუსვა ხაზი ხალხის სუვერენულ უფლებებს (რაც ხორციელდება სახალხო ხურალების მეშვეობით) და ეკონომიური წყობის ორ ფორმას: წვრილ კერძო სასაქონლო შრომით საკუთრებას და სოციალისტურს (სახელმწიფო-კოოპერაციულს). მან დაადასტურა, რომ „მიწა და წიაღისეული, ტყე, ფაბრიკა-ქარხნები, ტრანსპორტი, მაღაროები... სახელმწიფო საკუთრებას წარმოადგენსო". ახალი კონსტიტუცია იქცა მანათობელ შუქურად მონგოლი ხალხის სოციალიზმისაკენ დაჩქარებული წინსვლის გზაზე.

მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკა მეორე მსოფლიო ომის წლებში

მონგოლი ხალხის მიერ მოპოვებულმა უდიდესმა წარმატებებმა, ფიქსირებულმა 1940 წლის კონსტიტუციაში, შექმნა პირობები შემდგომი სამეურნეო-კულტურული წინსვლისათვის. 1940 წლის დეკემბერში მონგოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცკ პლენუმმა მიიღო სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარების სახელმწიფო გეგმა. არსებითად ეს იყო სახალხო-სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის პირველი გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა მეურნეობისა და კულტურის შემდგომ განვითარებას არა მარტო ცენტრში, არამედ აიმაკებსა (ოლქების) და სომონებში (რაიონებში).

1940 წელს მსრ მთავრობამ მიიღო კანონი ძველი მონგოლური ციფრების არაბული ციფრებით შეცვლის შესახებ, 1941 წელს კი გატარდა მონგოლური დამწერლობის რეფორმა, რომლითაც ძველი ანბანი, რომელიც ძნელი შესასწავლი იყო, შეიცვალა რუსულით. ამიერიდან მთელი საქმის წარმოებაში, პრესაში, ლიტერატურაში, სახალხო განათლების დაწესებულებებში მტკიცედ დამკვიდრდა რუსული ანბანი.

საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის წინ მონგოლი ხალხის მატერიალური და რელიგიური ძალები აღმავლობას განიცდიდა. ყოველ ახალ წელს მათთვის ახალ-ახალი გამარჯვებები მოჰქონდა სამეურნეო და კულტურულ დარგებში. სწორედ 1941 წელს დაიწყო ულან-ბატორის მექანიზებული ხორცკომბინატის, საპნის სახდელისა და გემო-კვების სხვა საწარმოთა მშენებლობა. სოფლად ძველ სახელ-

მწიფო მეურნეობებსა და სამანქანო-სათიბ სადგურებს შეემატა ახალი ერთეულები. იმავე 1941 წელს გადაწყდა ულან-ბატორის სახელმწიფო უნივერსიტეტის—მსრ პირველი უმაღლესი სასწავლებლის გახსნა. 1941 წლის შემოდგომაზე უნივერსიტეტის მოსამზადებელ კურსებზე დაიწყო მეცადინეობა.

1941 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის შესრულება და მშვიდობიანი მშენებლობა შეაფერხა მეორე მსოფლიო ომმა. ფაშისტური გერმანიის საბჭოთა კავშირზე თავდასხმის მომენტიდან მონგოლმა ხალხმა მაშინვე განსაზღვრა თავისი ადგილი მსოფლიოს ორ ბანაკს შორის აღმოცენებულ ომში. მან საჯაროდ დაგმო ეს ვერაგული აქტი და, როგორც საბჭოთა კავშირის მეგობარი და მოკავშირე, დიდ საბჭოთა ხალხთან ერთად გამოვიდა ფაშისტური ხროვის წინააღმდეგ. მართალია, 1945 წლის მეორე ნახევრამდე მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკას უშუალო მონაწილეობა არ მიუღია ომში, მაგრამ იგი ყველა შესაძლო საშუალებებით ხელს უწყობდა საბჭოთა ხალხს კაცობრიობის უბოროტესი მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში. მონგოლი არატების, მუშებისა და მშრომელი ინტელიგენციის სახსრებით მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკამ შეიძინა სატანკო კოლონები, საჰაერო ესკადრიელები და უსასყიდლოდ გადასცა იგი საბჭოთა არმიას. ასევე საჩუქრის სახით გადაეცა საბჭოთა კავშირს ათეული ათასი საუკეთესო ცხენი, დიდძალი ცოცხალი პირუტყვი და მრავალი ინდივიდუალური საჩუქარი. მონგოლმა ხალხმა საბჭოთა კავშირისათვის მძიმე წლებში დაამტკიცა თავისი უანგარო მეგობრობა და საბჭოთა არმიისა და ხალხისათვის მრავალფეროვანი დახმარების აღმოჩენით ხელი შეუწყო მას ბოროტ მტერზე გამარჯვებაში. მეორე მსოფლიო ომის წლებში სერიოზულად გაიზარდა მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკის თავდაცვა, განმტკიცდა და უფრო ბრძოლისუნარიანი გახდა მისი სახალხო არმია. მსრ ხელისუფლება, აძლიერებდა რა ქვეყნის თავდაცვას და აწარმოებდა ქვეყნის ეკონომიკის გარდაქმნას საომარი ვითარების შესაბამისად, ამავე დროს არ ივიწყებდა ძირითადს — იბრძოდა სამოქალაქო ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი განვითარებისათვის.

ომის უკანასკნელ ფაზაში 1945 წლის აგვისტოში იაპონელ იმპერიალისტთა წინააღმდეგ საბჭოთა ხალხის ომის დროს, მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკის შეიარაღებული ძალები უშუალო მონაწილეობას იღებდნენ საომარ ოპერაციებში და თავისი წვლილი შეიტანეს ქვანტუნის მილიონიანი არმიის განადგურებაში შორეულ აღმოსავლეთში. მონგოლეთის სახალხო რევოლუციური არმიის ნაწილებს, რომლებიც საბჭოთა არმიის ნაწილებთან ერთად ანადგურებდნენ იაპონიის რჩეულ ნაწილებს მანჯურიაში და მის მოსაზღვრე რაი-

ონებში, უშუალოდ ჩოიბალსანი და ცედენბალი უდგნენ სათავეში. მონგოლეთის არმიის საბრძოლო თანამშრომლობა, მისი სარდლობის მოქნილი ხელმძღვანელობა სათანადოდ იქნა შეფასებული. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ჩოიბალსანი, ცედენბალი და სხვა მონგოლი გენერლები და ოფიცრები სხვადასხვა საბჭოთა ორდენებით დააჯილდოვა.

იაპონია 1918—1945 წლებში

იაპონია 1918—1937 წლებში

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გავლენა იაპონიაზე. 1918 წლის „ბრინჯის ჯანყები"

პირველმა მსოფლიო ომმა, რომელშიც იაპონია თითქმის არ მონაწილეობდა, მძლავრი ბიძგი მისცა ამ ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას.

1914 წელს იაპონიის მრეწველობაში დაბანდებული იყო 250 მილიონი იენი, 1920 წლისათვის კი — 5 მილიარდი იენი. სამრეწველო პროდუქციის მოცულობა ომის წლებში ხუთჯერ გადიდდა. იაპონურ სააქციო საზოგადოებათა კაპიტალი 1983 მლნ იენიდან (1913 წელს) 1918 წელს 4143 მლნ იენამდე გადიდდა, ფაბრიკა-ქარხნების რიცხვი კი შესაბამისად — 15811-დან 22391-ამდე. მრეწველობის ყველა დარგიდან განსაკუთრებით გაიზარდა მძიმე მრეწველობა. თუჯისა და ფოლადის გამოდნობა ომის წლებში სამჯერ და თითქმის მეტად გადიდდა, მანქანათმშენებლობისა — 6,5-ჯერ.

აყვავდა იაპონიის საგარეო ვაჭრობაც. იაპონიის ექსპორტი ევროპაში 1918 წელს, 1915 წელთან შედარებით, გაიზარდა 60%-ით, აზიაში — 125%-ით, ამერიკაში — 629%-ით, ხოლო აფრიკაში — 1002%-ით. აქტიურმა საავაჭრო ბალანსმა ომის წლებში 1400 მლნ იენს გადააჭარბა. ოქროს მარაგმა (რაც 1914 წელს 350 მლნ იენს უდრიდა) 1919 წელს 2 მილიარდ იენს მიაღწია. დებიტორი სახელმწიფოდან იაპონია კრედიტორი სახელმწიფო გახდა.

ჩინეთის, კორეისა და საკუთარი ქვეყნის მშრომელთა მტაცებლური ექსპლოატაციით იაპონელმა მონოპოლისტებმა ომის წლებში დიდძალი კაპიტალი დააგროვეს. კორპორაციების, კერძოდ უმსხვილესი მონოპოლიების — მიცუის, მიცუბისის, სუმიტომოსა და იასუდას მოგებები 200—300 და თვით 600%-საც კი აღწევდა. 1912 წელს იაპონიის ბანკების კაპიტალის რაოდენობა 811 მლნ იენს უდრიდა, 1920 წელს კი მან 2575 მლნ მიაღწია. კაპიტალის დაგრო-

ვების პარალელურად გაიზარდა იაპონიის ინვესტიცია საზღვარგარეთ. 1920 წელს მან 2200 მლნ იენს გადააჭარბა. ომის წლებში იაპონიის ეროვნული სიმდიდრე 32 მილიარდი იენიდან 86 მილიარდ იენამდე გაიზარდა, ეროვნული შემოსავალი კი—2,6 მილიარდი იენიდან 10,6 მილიარდ იენამდე.

მაგრამ ომს, აღნიშნულთან ერთად, მოჰყვა მშრომელთა რეალური ხელფასის დაცემა, სიძვირის ზრდა, სასურსათო სიძნელეები, მევახშეთა პარპაშის გაძლიერება, სპეკულაცია. ყოველივე ამან მკვეთრად გააუარესა მუშათა კლასის, გლეხობის, წვრილი ბურჟუაზიის, ხელოსნების, მშრომელი ინტელიგენციისა და მოსამსახურეთა მატერიალური მდგომარეობა.

მუშათა, გლეხთა და ქალაქის წვრილი ბურჟუაზიის მძიმე მატერიალურმა პირობებმა ომის დასასრულისათვის იაპონიაში გამოიწვია კლასობრივი ბრძოლის მძაფრი გამწვავება. მუშათა გაფიცვების გახშირება, გაფიცვების მონაწილეთა რიცხვის შეუჩერებელი გადიდება და გაფიცულთა საბრძოლო განწყობილების ზრდა, რევოლუციური მოძრაობის დაწყების მომასწავებელი იყო.

შინაგან ვითარებას თან დაერთო დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის უდიდესი გამარევოლუციონერებელი ზეგავლენა. რუსეთის მშრომელთა გამარჯვებამ წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა იაპონიის მუშათა, გლეხთა, მშრომელი ინტელიგენციისა და წვრილი ბურჟუაზიის ფართო ფენებზე. მან იაპონიის მილიონობით მშრომელს ჩაუსახა საკუთარი ძალებისადმი რწმენა, გაუღვივა საკუთარი კლასობრივი მტრებისადმი შეურიგებელი სიძულვილის გრძნობა და მძლავრი ბიძგი მისცა მათ საბრძოლო აღტყინებას.

დიდი ოქტომბრის რევოლუციის უშუალო გამოძახილს იაპონიაში წარმოადგენდა მუშათა და გლეხთა მძლავრი სტიქიური რევოლუციური გამოსვლები — ე. წ. „ბრინჯის ჯანყები", რომელმაც 1918 წლის აგვისტოში იფეთქა. იაპონიის მუშათა მოძრაობის გამოჩენილი ვეტერანის სენ კაიატამას თქმით „ბრინჯის ჯანყები" იყო იაპონიის პროლეტარიატის პირველი მასობრივი საბრძოლო გამოსვლა, რომელსაც მხარი დაუჭირეს ქალაქის ღარიბობამ, გლეხობამ, მეთევზეებმა...

„ბრინჯის ჯანყების" უშუალო საბაბი იყო ვაჭარ-სპეკულანტთა მიერ ბრინჯის ფასების ხელოვნური აწევა და მისი მარაგის გადანახვა. მოძრაობა თავდაპირველად დაიწყო ტოიამას პრეფექტურის მეთევზეთა ერთ-ერთ პატარა დაბაში მეთევზეთა და მათი ცოლების გამოსვლით. მათ მხარი დაუჭირეს პრეფექტურის მთავარი ქალაქის მშრომელებმა, რომლებმაც მოაწყეს მძლავრი დემონსტრაცია და

მოითხოვეს ბრინჯზე ფასის დაწევა და ღატაკებისათვის ბეღლებიდან ბრინჯის უფასოდ დარიგება. სულ მალე მოძრაობა გასცდა ამ პროვინციის ფარგლებს, ქვეყნის დიდ ნაწილს მოედო და შეიარაღებულ გამოსვლებში გადაიზარდა. იაპონიის დიდ ქალაქებში — კიოტოში, ოსაკაში, კობეში, ტოკიოში, ნაგოიაში და სხვა ცენტრებში მუშები, ხელოსნები, ქალაქის ღარიბობა არბევდნენ და სწვავდნენ ვაჭართა ბრინჯის ბეღლებსა და საწყობებს, უფასოდ ურიგებდნენ ბრინჯს გაჭირვებულებს, სპობდნენ საპოლიციო უბნებს, ფიზიკურად უსწორდებოდნენ ექსპლოატატორებს. სტიქიურად აღზევებული მოძრაობა, რომლის მონაწილეთა რიცხვმა 10 მილიონ კაცს გადააჭარბა, წარიმართა ფეოდალურ-კაპიტალისტური ექსპლოატაციისა და მისი დამცველი ხელისუფლების წინააღმდეგ.

„ბრინჯის ჯანყები“ ერთ თვეზე მეტს გრძელდებოდა და უდიდესი გააფთრებით ხასიათდებოდა. მთელ რიგ ადგილებში აჯანყებულმა მშრომელებმა ხელთ იგდეს დასახლებული პუნქტები. რევოლუციურ გამოსვლებში ქალაქების მშრომელებთან ერთად აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ მილიონობით გაჩანაგებული გლეხები, მეთევზეები და მთამადნეულის საწარმოთა მუშები. „ბრინჯის ჯანყების“ პარალელურად მიმდინარეობდა ფაბრიკა-ქარხნების, ტრანსპორტისა და კომუნალურ საწარმოთა მუშების გაფიცვები, რომლებიც, აგრეთვე, სისხლიან აქტებში გადაიზარდა.

იაპონიის ხელისუფლებამ ძალების მაქსიმალური დაჭიმვით შეძლო ამ სტიქიური, მაგრამ გაბატონებული კლასების ბატონობისათვის მეტად საშიში მოძრაობის ჩაქრობა. აჯანყებულთადმი ანგარიშსწორება უაღრესად შეუბრალებელი იყო. მოთარეშე დამსჯელმა რაზმებმა გაუსამართლებლად გაჟლიტეს „ბრინჯის ჯანყების“ ათეული ათასი მონაწილე და მიწასთან გაასწორეს მრავალი დასახლებული პუნქტი.

„ბრინჯის ჯანყების“ სახალხო მოძრაობა სტიქიურად აღმოცენდა; იგი მოკლებული იყო რევოლუციური პროლეტარიატის ორგანიზებულ ხელმძღვანელობას და ნათელ სამოქმედო პროგრამას. სუსტი იყო კონტაქტი მოძრაობის მონაწილე ქალაქების მშრომელებსა და გლეხურ გამოსვლებს შორის; სოციალისტური იდეების მატარებელი რევოლუციური ინტელიგენცია არ იყო დაკავშირებული მუშათა და გლეხთა მოძრაობასთან და ამიტომ არ შეეძლო სათავეში ჩასდგომოდა აღნიშნულ რევოლუციურ მოძრაობას. ყოველივე ამან განაპირობა „ბრინჯის ჯანყების“ დამარცხება.

1918 წლის „ბრინჯის ჯანყების“ ისტორიული მნიშვნელობა, მისი დამარცხების მიუხედავად, მეტად დიდია. მან ხელი შეუწყო მუშათა და გლეხთა დემოკრატიული მოძრაობის შემდგომ განვითა-

რებას, მილიონობით მშრომელი გამოიყვანა რევოლუციური ბრძოლის ასპარეზზე და ბიძგი მისცა განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობას იაპონიის კოლონიებში.

მუშათა საგაფიცვო მოძრაობის აღმავლობა. 1920—1921 წლების ეკონომიური კრიზისი

1918 წლის მიწურულიდან, „ბრინჯის ჯანყების“ ჩახშობის მიუხედავად, ახალი ძალით იშლება მუშათა და გლეხთა მოძრაობა. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის კეთილმყოფელი გავლენა სულ უფრო და უფრო იჩენს თავს. ძლიერდება ტენდენცია მუშათა კლასისა და გლეხობის საბრძოლო კავშირის შექმნისაკენ; მასობრივი ხდება დემოკრატიული მოძრაობა; ძლიერდება სოციალისტური იდეების გავლენა მშრომელებზე. გლეხობის მოძრაობა სოფლად ნათლად გამოკვეთილ აგრარულ ხასიათს იღებს; ათეული ათასი გლეხი ერთიანდება გლეხთა კავშირებში... თავისი კლასობრივი ინტერესების დასაცავად მუშათა კლასი სისტემატურად მიმართავს გაფიცვებსა და ქმნის თავის კლასობრივ პროფესიულ კავშირებს.

იაპონიის მუშათა კლასის ბრძოლა იდეურად უფრო შეგნებული და ორგანიზებული გახდა. ამაზე მეტყველებს როგორც მუშათა მასობრივი ლტოლვა პროფესიულ კავშირებში და გაფიცვებში მონაწილე მუშათა რიცხვის შეუჩერებელი ზრდა, ისე პოლიტიკური გაფიცვების მომრავლება და გაფიცულთა მოთხოვნების გამრავალფეროვნება.

მასობრივი დემოკრატიული მოძრაობითა და მუშათა კლასობრივი გაფიცვებით შეშფოთებული ხელისუფლება ბრძოლის პოლიციურ-ტერორისტულ მეთოდებთან ერთად დროდადრო „ზუბატოვ-შჩინის“ მეთოდსაც იმარჯვებს და მისი პეშვეობით ლამობს ჩაახშოს მშრომელთა მზარდი რევოლუციური მოძრაობა. მაგრამ იაპონიის გაბატონებული კლასები ამასთან ერთად იძულებული არიან ზოგიერთ დათმობებზეც წავიდნენ და ზედაპირული რეფორმებიც გაატარონ.

აღნიშნული კურსის ერთ-ერთი გამოხატულება იყო ტერაუტის კაბინეტის გადადგომა და ახალი კაბინეტის შედგენა (1918 წ. სექტემბერში), რომელსაც სათავეში ჩაუდგა სეიუკაის ბურჟუაზიული პარტიის ლიდერი ხარა. ხარას კაბინეტის შედგენა მოასწავებდა მონოპოლისტური ბურჟუაზიის პოლიტიკური როლის გადიდებას მმართველ ბურჟუაზიულ-მემამულურ ბლოკში. ხარას მთავრობა შეეცადა რეფორმების მეშვეობით შეენელებინა მწვავე კლასობრივი კონფლიქტები და აღედგინა ეკონომიური და პოლიტიკური სტაბილიზაცია. 1919 წლის თებერვალში მიღებულ იქნა კანონი ქონებრივი საარჩევნო ცენზის 10-დან 3 იენამდე შემცირების შესახებ (წლი-

ური საშემოსავლო გადასახადის), რამაც გაორკეცა პარლამენტის ამომრჩეველთა რიცხვი (1,5 მილიონიდან 3 მილიონამდე). მუშათა მზარდმა საგაფიცვო მოძრაობამ ხელისუფლება აიძულა დაეშვა პროფესიული კავშირების ლეგალური არსებობა, ნაწილობრივ გაეუმჯობესებინა მუშათა შრომის პირობები, მრეწველობის ძირითად დარგებში შემოეღო 8 საათიანი სამუშაო დღე და ა. შ.

იაპონიის მშრომელთა ფართო ფენების მიერ კორეელი ხალხის 1919 წლის მარტის სახალხო-განმათავისუფლებელი აჯანყების მორალურმა მხარდაჭერამ ხელისუფლება აიძულა მოეხდინა კორეაში მოქმედი იაპონიის კოლონიური ადმინისტრაციის „დემილიტარიზაცია“.

1920 წლის დასაწყისში იაპონიაში დამთავრდა ომისდროინდელი „პროსპერიტი“ და დაიწყო სერიოზული ეკონომიური კრიზისი. დასავლეთის იმპერიალისტური სახელმწიფოების მძლავრმა კონკურენციამ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ბაზრებში მკვეთრად შეამცირა იაპონური საქონლის ექსპორტი, დასცა მისი ფასები და დააგროვა მისი გაუსაღებელი მარაგი. განსაკუთრებით დაეცა საფეიქრო ნაწარმისა და ნედლი აბრეშუმის — იაპონიის ექსპორტის წამყვანი დარგების ფასები. ამას მოჰყვა ასობით ფაბრიკის დახურვა, ბანკების გაკოტრება, ტრანსპორტის ტვირთბრუნვის შეზღუდვა და ა. შ. კრიზისმა განსაკუთრებით მწვავედ იჩინა თავი 1921 წელს, როცა გემთმშენებლობა 1919 წელთან შედარებით შემცირდა 88,2%-ით, ექსპორტი — 40%-ით, იმპორტი — 30%-ით, სამთო მრეწველობის პროდუქცია — 48%-ით, მანქანათმშენებლობისა კი — 55,9%-ით. კრიზისის შედეგად საშიში ხასიათი მიიღო უმუშევრობამ; დაეცა სოფლისა და ქალაქის მშრომელთა ცხოვრების ისედაც მათხოვრული დონე, თავი იჩინა შიმშილობამ, ყოველივე ამან კი ხელი შეუწყო კლასობრივ წინააღმდეგობათა შემდგომ გამწვავებას და რევოლუციური კრიზისის მომწიფებას.

იაპონიის კომუნისტური პარტიის შექმნა და მისი საქმიანობა

კლასობრივი ბრძოლის თანდათანობითმა გამწვავებამ და დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის იდეების მზარდმა გავლენამ შეამზადა ნიადაგი იაპონიის მშრომელებში მარქსისტული სოციალიზმის განვითარებისა და კომუნისტური პარტიის აღმოცენებისათვის.

1920 წლისათვის იაპონიაში და იაპონელ ემიგრანტებს შორის საზღვარგარეთ[1] უკვე შექმნილი იყო რამდენიმე სოციალისტური წრე და კომუნისტური ჯგუფი. აშ შტატებში მცხოვრებ იაპონელ ემიგ-

---

[1] კერძოდ აშ შტატებში.

რანტთა შეკავშირებისა და მათ შორის მარქსისტული იდეების გავრცელების საქმეში განსაკუთრებული როლი შეასრულა გამოჩენილმა იაპონელმა სოციალისტმა სენ კატაიამამ. 1920 წლის დეკემბერში ცალკეული წრეები და ჯგუფები გაერთიანდნენ იაპონიის სოციალისტურ ლიგაში. მის რიგებში შევიდნენ მუშების, პროგრესული ინტელიგენციის, სტუდენტ-მოსწავლეთა ათასობით წარმომადგენელი. მისი შექმნა მაინც დიდმნიშვნელოვანი ეტაპი იყო იაპონიის სოციალისტური მოძრაობის განვითარებაში. ლიგის არსებობა ხანმოკლე იყო. 1921 წლის მაისში ხელისუფლებამ აკრძალა მისი საქმიანობა და დაატუსაღა ხელმძღვანელები.

1921 წლის აგვისტოში ვატანაბე მასანოსკესა და ტოკუდა კიუიტის ხელმძღვანელობით რამდენიმე მარქსისტულ-კომუნისტური წრის ბაზაზე შეიქმნა ხალხის გამოღვიძების პარტია („გემინ კესანტო") — იაპონიის მომავალი კომუნისტური პარტიის წინამორბედი.

1922 წლის 15 ივლისს, მნიშვნელოვანი მოსამზადებელი მუშაობის ჩატარების შემდეგ, არალეგალურ დამფუძნებელ ყრილობაზე საფუძველი ჩაეყარა იაპონიის კომუნისტურ პარტიას, რომლის დამაარსებლები იყვნენ სენ კატაიამა, ტოკუდა კიუიტი, ვატანაბე მასანოსკე და იტიკავა სეიტი. იმავე წლის ნოემბერში იაპონიის კომუნისტურმა პარტიამ მიიღო სამოქმედო პროგრამა, რომელიც უმნიშვნელოვანეს ამოცანებად სახავდა მონარქიისა და ფეოდალურ-მემამულური მიწათმფლობელობის ლიკვიდაციას, სიტყვის, შეკრების, პრესისა და ორგანიზაციების თავისუფლებას, 8 საათიანი სამუშაო დღის შემოღებას. იმავე 1922 წლის დეკემბერში შეიქმნა იაპონიის ახალგაზრდა კომუნისტური კავშირი. 1922 წელს კომუნისტური ინტერნაციონალის IV კონგრესმა იაპონიის კომუნისტური პარტია მიიღო თავის რიგებში.

იაპონიის კომუნისტური პარტიის შექმნა დიდი ისტორიული მოვლენა იყო. იგი წარმოადგენდა ახალ ეტაპს იაპონიის მუშათა და რევოლუციური მოძრაობის განვითარებაში. იაპონიის კომპარტია თავისი არსებობის პირველი დღიდანვე დადგა რევოლუციური მარქსიზმის საბრძოლო პოზიციებზე. იგი ენერგიულად იბრძოდა მშრომელთა ინტერესების დასაცავად, ეწეოდა მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების დაუცხრომელ პროპაგანდას და მილიონებს რაზმავდა საბჭოთა რუსეთის დაცვის, ანტისაბჭოთა ინტერვენციის შეწყვეტისა და საბჭოთა რუსეთის ცნობის ლოზუნგების გარშემო.

იაპონიის ახალგაზრდა კომუნისტური პარტიის ენერგიულმა რევოლუციურმა საქმიანობამ შეაშფოთა იაპონიის გაბატონებული კლასები, რომლებმაც ხელისუფლებას მოსთხოვეს სასტიკი რეპრესიები

მოემარჯვა მის წინააღმდეგ. 1923 წელს იაპონიის ხელისუფლებამ საზოგადოებრივი უშიშროების დაცვის საბაბით კანონგარეშე გამოაცხადა მშრომელთა ავანგარდი, დაატუსაღა მისი ხელმძღვანელობა და ავაზაკურად დახოცა ათეული რევოლუციონერი. რეაქციის შეტევით ისარგებლეს ოპორტუნისტულ-კაპიტულანტურმა ელემენტებმა, რომლებმაც მოითხოვეს პარტიის თვითლიკვიდაცია. 1924 წელს მათ მართლაც მიაღწიეს საწადელს და, ძირეული აქტივის პროტესტის მიუხედავად, მიიღეს დადგენილება კომუნისტური პარტიის მუშაობის შეწყვეტის შესახებ.

იაპონიისა და სხვა იმპერიალისტურ სახელმწიფოთა ინტერვენცია საბჭოთა შორეულ აღმოსავლეთში და მისი კრახი

იაპონელი იმპერიალისტები უაღრესად მტრულად შეხვდნენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებას და საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას რუსეთში. ანტანტის სხვა იმპერიალისტურ სახელმწიფოებთან ერთად მათ გადაწყვიტეს მოეწყოთ სამხედრო ინტერვენცია ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის წინააღმდეგ, რათა აღედგინათ იქ მემამულეებისა და კაპიტალისტების ხელისუფლება. სამხედრო ინტერვენციის ობიექტად იაპონელმა იმპერიალისტებმა აირჩიეს შორეული აღმოსავლეთი, რომელიც გეოგრაფიულად ახლო იყო მათთან და რომლის აურაცხელი სიმდიდრეები მოსვენებას არ აძლევდა მათ.

იაპონიამ, მიიღო რა აშ შტატებისა და ანტანტის სხვა იმპერიალისტური სახელმწიფოების თანხმობა, 1918 წლის 14 აპრილს დესანტები გადასხა ვლადივოსტოკში და მით დაიწყო თავისი მუხანათური გეგმის რეალიზაცია[1]. თავისი მტაცებლური განზრახვის შენიღბვისა და შორეული აღმოსავლეთის მოსახლეობის სიფხიზლის მოსადუნებლად იაპონიის სარდლობამ გამოაცხადა, რომ სამხედრო ღონისძიების მიზანია იქ მცხოვრებ იაპონელ ქვეშევრდომთა დაცვა.

მაგრამ იაპონელმა იმპერიალისტებმა მალე ჩამოიხადეს ნიღაბი და გამოავლინეს თავიანთი მხეცური სახე. შეკრეს რა ბლოკი თეთრგვარდიულ-კონტრრევოლუციურ ბანდებთან, ოკუპანტებმა აშკარად დაიწყეს ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების დასამხობად. მათი უშუალო დახმარებით და დიქტატით მოხდა სემიონოვის, ატამან კალმიკოვის და ჩეხოსლოვაკელ ლეგიონერთა გამოსვლები საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ციმბირსა და შორეულ აღმოსავლეთში.

1918 წლის 8 ივლისს იაპონელმა და ამერიკელმა იმპერიალის-

---

[1] ვლადივოსტოკში სამხედრო გემებიდან დესანტის გადასხმის საბაბით იაპონიის ხელისუფლებამ გამოიყენა მისი აგენტების მიერვე მოწყობილი პროვოკაცია — კომერციული ფირმის ერთი მოსამსახურე იაპონელის მოკვლა და ორი სხვა იაპონელის დაჭრა.

ტებმა შეკრეს პირობა ერთობლივი საომარი ოპერაციების შესახებ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ შორეულ აღმოსავლეთსა და ციმბირში. ამას მოჰყვა აშ შტატების ჯარების გაგზავნა შორეულ აღმოსავლეთში გენერალ გრევსის სარდლობით. ანტანტის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილების შესაბამისად საფრანგეთმა და ინგლისმაც გაგზავნეს ჯარები შორეულ აღმოსავლეთში.

1918 წლის 8 აგვისტოს იაპონელებმა მოახდინეს ამურის ნიკოლაევის ოკუპაცია, დამატებითი ჯარები გადასხეს ვლადივოსტოკში და ფართო მასშტაბით დაიწყეს საბჭოთა შორეული აღმოსავლეთის სასიცოცხლო ცენტრების ოკუპაცია.

ინტერვენცია საბჭოთა შორეულ აღმოსავლეთში დაიწყო ტერაუტის კაბინეტმა, ხოლო იგი განაგრძო და გააფართოვა ხარას კაბინეტმა. 1919 წლის დასაწყისისათვის იაპონიის საექსპედიციო არმიას უკვე ოკუპირებული ჰქონდა პრიმორიესა და ზაბაიკალიეს დიდი ნაწილი. გარდა ვლადივოსტოკისა, იაპონელი ინტერვენტები დაეუფლნენ ჩრდილო სახალინს, ხაბაროვსკს, უსურიისკის, სპასკის და პრიმორიესა და ზაბაიკალიეს სხვა ცენტრებს.

იაპონელ ინტერვენტთა და მათი აგენტების — თეთრგვარდიული ხროვის თარეში საბჭოთა შორეულ აღმოსავლეთში აღინიშნა საბჭოთა მოსახლეობის ბარბაროსული აწიოკებითა და ხოცვა-ჟლეტით. იაპონელი კაპიტალისტები გროშის ფასად ყიდულობდნენ თეთრგვარდიელ ხელისუფალთაგან ხე-ტყის და წიაღისეულის კონცესიებს, იტაცებდნენ ფაბრიკა-ქარხნებს, შახტებს, წისქვილებს, საზღვაო-სამდინარო გემებს, ელექტროსადგურებს, სავარგულე მიწების ნაკვეთებს და ა. შ. იაპონელები საბჭოთა შორეულ აღმოსავლეთს უკვე თვლიდნენ დაპყრობილ ქვეყნად და ისე იქცეოდნენ იქ, როგორც თავიანთ კოლონიებში.

რამდენადაც იზრდებოდა იაპონელ ინტერვენტთა პარპაშის სფერო და მათგან ჩადენილ მხეცობათა რაოდენობა, იმდენად ძლიერდებოდა შორეული აღმოსავლეთის მოსახლეობის წინააღმდეგობა. წითელი არმიის რეგულარულ ნაწილებთან ერთად ინტერვენტებთან საბრძოლველად აღდგნენ მშრომელი მასები. მოკლე დროში შეიქმნა რამდენიმე ათეული პარტიზანული რაზმი, რომლებმაც სერგეი ლაზოს, „ციმბირის პაპის“ — ნესტორ კალანდარიშვილისა და სხვა სახალხო გმირების ხელმძღვანელობით გამანადგურებელი დარტყმები აგემეს როგორც იაპონელ ინტერვენტებს, ისე მათ ხელქვეით თეთრგვარდიულ ბანდებს. ამ საყოველთაო-სახალხო წინააღმდეგობამ ხელ-ფეხი შეუბოჭა სხვის სიმდიდრეს დახარბებულ

ინტერვენტებს, წაართვა მათ ამ სიმდიდრის მითვისების შესაძლებლობა და ჩაშალა მათი შემდგომი მტაცებლური გეგმები.

ახალი დამხმარე ნაწილებისა და ტექნიკის გადასროლის მიუხედავად იაპონელ ინტერვენტთა მდგომარეობა შორეულ აღმოსავლეთში სულ უფრო მძიმე ხდებოდა. მათ ფაქტიურად ხელიდან გამოეცალათ თეთრგვარდიელთა ბანდების ხელმძღვანელთაგან შექმნილი მარიონეტული მთავრობები, რომლებიც დაამხეს აჯანყებულმა მშრომელებმა და შემტევმა წითელი არმიის ნაწილებმა. ამან იაპონელები აიძულა გაეყვანათ ჯარები ამურის ოლქიდან და ზოგიერთი სხვა ადგილიდან.

იაპონელ ინტერვენტთა საქმე კიდევ უფრო გაართულა საბჭოთა ხელისუფლების მიერ 1920 წლის აპრილში მიღებულმა ბრძნულმა გადაწყვეტილებამ: შორეული აღმოსავლეთის ბუფერული რესპუბლიკის შექმნამ, რომლითაც საბჭოთა რუსეთმა თავიდან აიცილა იაპონიასთან ომის შესაძლებლობა და გამონახა შორეულ აღმოსავლეთიდან იაპონელთა განდევნისა და მისი განთავისუფლების ყველაზე უკეთესი ფორმა.

იაპონიის ინტერვენციამ საბჭოთა შორეულ აღმოსავლეთში საბოლოოდ სრული სამარცხვინო კრახი განიცადა. იაპონიის ხელისუფლება იძულებული გახდა ეცნო თავისი უძლურება, ხელი აეღო შორეული აღმოსავლეთის მთავარი ცენტრების შენარჩუნების განზრახვაზე და დაეწყო ჯარების ევაკუაცია. 1922 წლის 22 ოქტომბერს იაპონიის ჯარებმა დატოვეს ვლადივოსტოკი, რითაც დამთავრდა ინტერვენტთა ევაკუაცია საბჭოთა შორეული აღმოსავლეთის მატერიკიდან. მათ ხელში დარჩა მხოლოდ ჩრდილო სახალინი, რომლის ევაკუაცია მოხდა უფრო გვიან — 1925 წელს.

იაპონია და ვაშინგტონის 9 სახელმწიფოს კონფერენცია

გამარჯვებულ სახელმწიფოთა პარიზ-ვერსალის სამშვიდობო კონფერენციაზე, რომლის ამოცანა იყო მსოფლიოს ომისშემდგომდროინდელი მოწესრიგება, იაპონიის დიპლომატიამ სერიოზული წარმატება მოიპოვა. კონფერენციამ, , აშ შტატების სერიოზული წინააღმდეგობის მიუხედავად, გადასცა მას გერმანიის ყოფილი უფლებები ჩინეთის განუყოფელ ტერიტორიაზე შანდუნის ნახევარკუნძულზე (ძიანჯოუს ყურე) და მანდატი „მეურვეობაზე" გერმანიის ყოფილ წყნარი ოკეანის — კაროლინის, მარიანისა და მარშალის კუნძულებზე. ამით იაპონიამ შეინარჩუნა და განიმტკიცა ომის წლებში მოპოვებული სტრატეგიული პოზიციები წყნარი ოკეანის აუზში.

მაგრამ ვერსალის სისტემა არამყარი იყო, მის მიერ შექმნილი პოლიტიკური სტაბილიზაცია კი — დროებითი. წყნარი ოკეანის აუზში, ისე როგორც მსოფლიოს სხვა ნაწილებში, ახალი ძალით გაიშალა იმპერიალისტური წინააღმდეგობანი. ამ შტატებსა და იაპონიას შორის დროებით დამყარებული ძალთა წონასწორობა დაირღვა. დიამეტრალურად საწინააღმდეგო ეკონომიურმა, პოლიტიკურმა და სამხედრო-სტრატეგიულმა მისწრაფებებმა იმავე წყნარი ოკეანის აუზში მკვეთრად გაამწვავა ამ ორი სახელმწიფოს წინააღმდეგობანი.

1920 წლიდან გაშლილმა ეკონომიურმა კრიზისმა, რომელსაც თან ახლდა შინაპოლიტიკური გართულებები, და საგარეო პოლიტიკურმა ავანტიურამ (საბჭოთა შორეული აღმოსავლეთის ინტერვენციამ) სერიოზული სიძნელეები შეუქმნა იაპონიას და შეარყია მისი საერთაშორისო მდგომარეობა. ამით კარგად ისარგებლა აშ შტატებმა, რომელმაც გადაწყვიტა რევანში აეღო. აღნიშნული მიზნის მისაღწევად აშ შტატების დიპლომატიამ წამოაყენა წყნარი ოკეანის აუზის ამბებით დაინტერესებულ სახელმწიფოთა საერთაშორისო კონფერენციის მოწვევის წინადადება.

აშ შტატების დიპლომატიის მიერ წინასწარ შემუშავებული გეგმით კონფერენცია უნდა მოწვეულიყო ვაშინგტონში და მის მუშაობაში,გარდა აშ შტატებისა, მონაწილეობა უნდა მიეღოთ ინგლისს, საფრანგეთს, იტალიას, იაპონიას, ჩინეთს, ჰოლანდიას, ბელგიასა და პორტუგალიას. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა რუსეთი და შორეული აღმოსავლეთის ბუფერული რესპუბლიკა უშუალოდ დაინტერესებული იყვნენ შორეულ აღმოსავლეთში არსებული ვითარებით, აშ შტატების მთავრობამ საჭიროდ არ ცნო მათი მიწვევა ამ კონფერენციაზე, ეს იყო იმ შეურიგებელი და აგრესიული პოლიტიკის ნათელი გამოხატულება, რასაც ატარებდნენ ამერიკელი იმპერიალისტები ახალგაზრდა საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ.

იაპონიის დიპლომატია იძულებული გახდა მონაწილეობა მიეღო გათვალისწინებული კონფერენციის საქმიანობაში, მიუხედავად იმისა, რომ მისი მოწვევის ინიციატივა ძლიერ მეტოქეს ეკუთვნოდა და არაფერ სასიკეთოს არ უქადდა ამ ქვეყანას. ამ დათმობაზე მას უბიძგა იზოლაციაში მოქცევის საფრთხემ, გართულებულმა შინავითარებამ და საერთაშორისო პოზიციების შერყევამ.

ვაშინგტონის, ანუ ცხრა სახელმწიფოს კონფერენცია გაიხსნა 1921 წლის 12 ნოემბერს (იგი 1922 წლის 6 თებერვლამდე გრძელდებოდა). კონფერენციის საქმიანობა მიმდინარეობდა აშ შტატების დიპლომატიის უპირატესი გავლენის ნიშნის ქვეშ. მონაწილეთა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა მას და გაიზიარა მისი რეკომენდაციები. თვით იაპონიის მოკავშირე ინგლისიც კი მიემხრო მას და

რიგ საკითხებში იაპონიის წინააღმდეგ გამოვიდა. ამან აიძულა იაპონიის დელეგაცია დაეთმო თავისი პოზიციები და წასულიყო რიგ არსებით დათმობებზე.

ვაშინგტონის კონფერენციაზე ხელმოწერილ იქნა რამდენიმე დიპლომატიური დოკუმენტი, რომელმაც შეაჯამა მისი საქმიანობა. ერთ-ერთი ასეთი პირველი დოკუმენტი იყო 1921 წლის 13 დეკემბერს ხელმოწერილი ოთხი სახელმწიფოს — აშ შტატების, ინგლისის, საფრანგეთისა და იაპონიის — ხელშეკრულება წყნარი ოკეანის აუზში არსებული მათი კოლონიური სამფლობელოების შესახებ, რაც ითვალისწინებდა აღნიშნული სამფლობელოების სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობისა და ხელშეუხებლობის საურთიერთო გარანტიას. ეს შეთანხმება, რომელიც ამტკიცებდა აშ შტატების სტრატეგიულ პოზიციებს მსოფლიოს ამ ნაწილში და მისი საგანგებო პუნქტი, რომლითაც უქმდებოდა ინგლის-იაპონიის 1911 წლის საკავშირო ხელშეკრულება, იაპონიის ერთ-ერთი სერიოზული უკანდახევა იყო.

იაპონია იძულებული გახდა უკან დაეხია ჩინეთის საკითხშიაც. 1922 წლის 6 თებერვალს კონფერენციის მონაწილეებმა ხელი მოაწერეს ე. წ. ცხრა სახელმწიფოს ხელშეკრულებას, რომელიც თვალთმაქცურად ითვალისწინებდა ჩინეთის ტერიტორიულ და ადმინისტრაციულ ხელშეუხებლობას, მისი დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის პატივისცემას. ჩინეთის ერთიანობისა და სუვერენიტეტის დაცვის ნიღბით კი იგი ადასტურებდა „ღია კარებისა" და „თანაბარ შესაძლებლობათა" იმპერიალისტურ დოქტრინას და ჩინეთს აცხადებდა ღიად ყველა იმპერიალისტური სახელმწიფოს ექსპანსიისათვის თავისუფალი კონკურენციის ვითარებაში. აღნიშნულ ხელშეკრულებაზე ხელმოწერა[1] იაპონიას ართმევდა იმ მონოპოლისტურ უფლებებს ჩინეთზე, რაც მოპოვებული ჰქონდა მას ამ ქვეყნისათვის თავზე მოხვეული უაჩაღური „21 მოთხოვნით". იაპონიამ, ამასთან ერთად, საჯარო ვალდებულება იკისრა ჩინეთისათვის უკან დაებრუნებინა გერმანიის ყოფილი „საიჯარო" სამფლობელოები შანდუნში.

1922 წლის 6 თებერვალსავე კონფერენციის მონაწილეებმა ხელი მოაწერეს მეორე დოკუმენტს — ხუთი დიდი სახელმწიფოს (აშ შტატების, ინგლისის, იაპონიის, საფრანგეთისა და იტალიისა) ხელშეკრულებას საზღვაო შეიარაღების შეზღუდვისა და ამ სახელმწიფოთა სახაზო გემებზე საერთო ტონაჟის პროპორციის დაწესების შესახებ. ამ შეთანხმებით აშ შტატების, ინგლისის, იაპონიის, საფრან-

---

[1] რომელიც ოდნავადაც არ ამსუბუქებდა ჩინეთის მდგომარეობას და ხელუხლებლად ტოვებდა მის ნახევრადკოლონიურ მდგომარეობას.

გეთისა და იტალიის სახაზო გემებისათვის წესდებოდა შემდეგი პროპორცია: 5:5:3:1, 75:1, 75. ამ შტატები, ინგლისი და იაპონია, შეთანხმდნენ არ აეგოთ ახალი ბაზები და არ გაემაგრებინათ მათ ხელში არსებული ბაზები წყნარი ოკეანის დასავლეთ ნაწილში (ამ შტატებს — ფილიპინები, გუამი, ალეუტის კუნძულები, ინგლისს — ჰონკონგი და სხვ., იაპონიას — ტაივანი, პენჰულედაოს. კურილის, რიუკიუს, ბონის, ამანის კუნძულები). ხელშეკრულების ეს უკანასკნელი პუნქტი წარმოადგენდა იაპონიის მიმართ სხვა იმპერიალისტური სახელმწიფოების ნაწილობრივ დათმობას იაპონიის მიერ იაპონია-ინგლისის კავშირზე უარის თქმისა და საკუთარი ფლოტის შეზღუდვისათვის.

ვაშინგტონის შეთანხმებების ამოცანა იყო ერთგვარი სტაბილობის დამყარება წყნარი ოკეანის აუზში იმპერიალისტური სახელმწიფოების ძალთა ახალი თანაფარდობის ბაზაზე. მაგრამ კონფერენციის გადაწყვეტილებებს არ შეეძლო შეესუსტებინა იმპერიალისტური წინააღმდეგობანი მსოფლიოს ამ ვრცელ ნაწილში. ამ შტატების წარმატებას და იაპონიის (აგრეთვე ინგლისის) დროებით უკან დახევას არ შეეძლო არ წარმოეშვა იმპერიალისტურ წინააღმდეგობათა შემდგომი გამწვავება.

იაპონელი იმპერიალისტები სრულებითაც არ ფიქრობდნენ შერიგებოდნენ თავიანთ იძულებით უკან დახევას და მზად იყვნენ ახალი ძალით განეგრძოთ ბრძოლა უპირატესობისათვის წყნარი ოკეანის აუზში, დაერღვიათ მათთვის არახელსაყრელი „წონასწორობა". ბუნებრივია, ასეთ პირობებში კონფერენციის გადაწყვეტილებებით დამყარებული მშვიდობა არ შეიძლებოდა ყოფილიყო სტაბილური. იგი მალე ახალი გართულებებით და კონფლიქტებით უნდა შეცვლილიყო.

იაპონიის მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკა 1922-1923 წლებში. იაპონია-ამ შტატების წინააღმდეგობათა განვითარება

1923 წლის პირველ სექტემბერს იაპონელ ხალხს თავს დაატყდა დიდი უბედურება. კატასტროფულმა მიწისძვრამ თითქმის მიწასთან გაასწორა ტოკიო-იოკაგამას დიდი სამრეწველო ცენტრების რაიონები და მათ შორის ეს უდიდესი ქალაქები. მიწისძვრის შედეგად წარმოშობილ დედამიწის ქერქის ნაპრალებში, შენობათა ნანგრევებსა და ხანძრებში დაიღუპა 150 ათასზე მეტი კაცი. მან გაანადგურა ათასობით სამრეწველო საწარმო, კომუნალური დაწესებულებები, დაანგრია რკინიგზები, ხიდები... მატერიალური ზარალი, რაც მიწისძვრამ იაპონიას მიაყენა, 5,5 მილიარდ იენს უდრიდა (იაპონიის ეროვნული სიმდიდრის 7%).

იაპონიის გაბატონებულმა კლასებმა გადაწყვიტეს დანგრეული

სახალხო მეურნეობისა და ქალაქების აღდგენის მთელი ტვირთი მშრომელი მასებისათვის დაეკისრებინათ.

აიმამოტოს მთავრობამ მაშინვე ისარგებლა მიწისძვრით წარმოშობილი შფოთით და მკვეთრად გააძლიერა პოლიტიკური ტერორი. მან გამოაცხადა რა სამხედრო წესები, საზოგადოებრივი სიმშვიდის დაცვის ყალბი საბაბით მოაწყო კომუნისტების, კომკავშირელებისა და რევოლუციური პროფკავშირების აქტივისტების დევნა და მასობრივი ჟლეტა. იგი ამასაც არ დასჯერდა. ეროვნული შუღლის გაღვივების მიზნით მან მოაწყო კორეელი მოქალაქეების რბევა, რაც დეკლასირებული ელემენტებისა და გადაცმული პოლიციელების მეშვეობით განახორციელა. ამ მხეცური აქტის მსხვერპლი გახდა რამდენიმე ათასი კორეელი, უმეტესად მუშები და ხელოსნები.

როგორც მოსალოდნელი იყო, ვაშინგტონის კონფერენციის გადაწყვეტილებებმა ვერ შექმნა სტაბილური ვითარება შორეულ აღმოსავლეთში და ვერ შეარბილა იაპონია-ამერიკის წინააღმდეგობანი. პირიქით, 1924 წლიდან ახალმა ფიცხმა მასალებმა იჩინეს თავი მათ ურთიერთობაში და კვლავ გამწვავდა მათი დამოკიდებულება. ერთ-ერთი ასეთი ფიცხი მასალა გახდა იაპონელთა იმიგრაციის საკითხი აშ შტატებში. 1924 წლის აპრილში ამერიკის სენატმა, იაპონიის მკაცრი პროტესტის მიუხედავად, მიიღო კანონი იაპონელთა იმიგრაციის აკრძალვის შესახებ აშშ საერთოდ, კერძოდ კი — მის შორეულ დასავლეთში. აღნიშნულ კანონს უაღრესად მტრულად შეხვდნენ იაპონიაში. იგი მიჩნეულ იქნა იაპონელთა ეროვნული თავმოყვარეობის შელახვად და აშკარა დისკრიმინაციულ აქტად.

საბჭოთა კავშირ-იაპონიის 1925 წლის კონვენცია

1924 წლიდან იაპონია გამოვიდა ომის მომდევნო ეკონომიური კრიზისიდან და დროებითი და ნაწილობრივი სტაბილიზაციის ფაზაში შევიდა.

სახალხო მეურნეობა — მრეწველობა, ტრანსპორტი, საშინაო და საგარეო ვაჭრობა — 1920—1922 წლების დაცემის შემდეგ ისევ აღმავლობის გზას დაადგა. დროებით გამოცოცხლებას ხელი შეუწყო იმ უდიდესმა აღდგენითმა სამუშაოებმა, რაც გაიშალა 1923 წლის დამანგრეველი მიწისძვრის შედეგების სალიკვიდაციოდ. 1925 წელს იაპონიის მრეწველობის პროდუქციამ და ექსპორტის მოცულობამ მიაღწია 1919 წლის დონეს, მუშათა კლასის რიცხვმა კი 100 ათასი კაცით გადააჭარბა მას. 1926 წელი აღინიშნა მრეწველობისა და ვაჭრობის შემდგომი ზრდით; განსაკუთრებით გაიზარდა სამხედრო და მძიმე მრეწველობა. როგორც სკკპ XV პარტყრილობის მასალებშია აღნიშნული, მრეწველობის ზრდის ტემპებით იაპონიამ 1924—1926 წლებში გაუსწრო ევროპის კაპიტალისტურ ქვეყნებს და აშ შტატებს გაეჯიბრა.

იაპონიის სახალხო მეურნეობის აღმავლობას, კერძოდ მრეწველობის ზრდას თან სდევდა წარმოების კონცენტრაციის დაჩქარება, მონოპოლიების ხვედრითი წონის გადიდება, ფინანსური მაგნატების შემდგომი გამდიდრება, ეროვნულ სახალხო შემოსავალში მუშათა კლასის წილის შემცირება.

იაპონიის კაპიტალიზმის ეს სტაბილიზაცია კონიუნქტურულ ხასიათს ატარებდა და ხანმოკლე იყო. უკვე 1927 წლიდან თავი იჩინა ახალმა კრიზისულმა ნიშნებმა, რომელიც უპირატესად ფინანსებისა და კრედიტის სფეროში გამოვლინდა. 1928—1929 წლებში სამრეწველო ზრდის ტემპები ისევ შენელდა, მრეწველობის ცალკეულ დარგებში წარმოება წინა წლებთან შედარებით რამდენიმე პროცენტით დაეცა, ხოლო საწარმოო აპარატის დაუტვირთველობამ ქრონიკული სახე მიიღო. დროებითი სტაბილიზაციის მიუხედავად, იაპონიის შინაპოლიტიკური მდგომარეობა მაინც არ იყო სახარბიელო. მუშათა კლასის, გლეხობისა და მშრომელთა სხვა ფენების მატერიალური პირობები ამ წლებში კიდევ უფრო გაუარესდა. მმართველმა წრეებმა მიწისძვრით დანგრეული სახალხო მეურნეობის აღდგენის მძიმე ტვირთი მშრომელებს დააკისრეს. ამას არ შეეძლო ხელი არ შეეწყო რევოლუციური განწყობილების შემდგომი ზრდისა და მასების გამემარცხენებისათვის.

დაჩქარებულმა შინაპოლიტიკურმა ვითარებამ და მასების უკმაყოფილების ზრდამ იაპონიის გაბატონებული კლასები აიძულა უფრო თავშეკავებული „სამშვიდობო“ კურსი აეღოთ საგარეო პოლიტიკაში, შეენელებინათ რეპრესიები ქვეყნის შიგნით და ახალ დათმობებზე წასულიყვნენ მასების მიმართ.

1925 წელს კატოს კაბინეტის ინიციატივით იაპონიის პარლამენტმა მიიღო ახალი საარჩევნო კანონი, რომლითაც გაუქმდა 1919 წელს მიღებული ქონებრივი ცენზი. ახლმა კანონმა 3 მილიონიდან 13 მილიონამდე გაზარდა ამომრჩეველთა რიცხვი. კანონი მხოლოდ მამაკაცებზე ვრცელდებოდა; იგი ხელუხლებლად ტოვებდა მაღალ ასაკობრივ ცენზს (25 წელი), რის გამოც მუშათა კლასს, სხვა მშრომელებთან ერთად შესაძლებლობას ართმევდა თავისი წარმომადგენლები გაეგზავნა პარლამენტში და გამოეყენებია მისი ტრიბუნა საკუთარი კლასობრივი ინტერესების დასაცავად. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ კანონის რეალიზაცია შეჩერდა 1928 წლამდე და მხოლოდ ამ წელს მოხდა მის საფუძველზე ახალი პარლამენტის არჩევნები. აღნიშნული საარჩევნო კანონის გაგრძელებას წარმოადგენდა კანონები ნაფიცმსაჯულთა სასამართლოების შექმნისა და საპრეფექტუროებს უფლებების რამდენადმე გაფართოების შესახებ.

მაგრამ იაპონიის მმართველი წრეები როლი დასჯერდნენ დემა-

გოგიისა და „ტკბილი კვერის“ პოლიტიკას. კომუნისტური პარტიისა და რევოლუციური მოძრაობის ასალაგმავად მათ მათრახისა და ხელკეტის ნაცადი მეთოდებიც მოიშველიეს. იმავე 1925 წელს მიღებულ იქნა რეაქციული კანონი „საშიში აზრების შესახებ“, რომელიც ითვალისწინებდა დრაკონისებურ ზომებს „საზოგადოებრივი წესიერების“ დამრღვევთა წინააღმდეგ. იგი სასამართლო ხელისუფლებს უფლებას აძლევდა მკაცრად დაესაჯათ (ათი წლის ციხით, კატორღით, ხოლო 1928 წლის დამატებითი კანონით — სიკვდილითაც კი) რევოლუციური მოძრაობის ყველა მონაწილე და გახურებული შანთებით აღმოეფხვრათ არსებული სახელმწიფოებრივი წყობის წინააღმდეგ მიმართული ყოველგვარი საქმიანობა. კატოს მთავრობამ ფართოდ გამოიყენა ეს კანონი უმკაცრესი ტერორისტული პოლიტიკის გასამართლებლად მუშათა და გლეხთა მოძრაობის წინააღმდეგ ქვეყნის შიგნით და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩასახშობად კოლონიებში.

საგარეო პოლიტიკაშიაც იაპონიის ხელისუფალნი იძულებული იყვნენ დროებით ხელი აეღოთ აშკარა ექსპანსიურ პოლიტიკაზე და „მშვიდობისმოყვარეობის“ ნიღბით შეემოსათ მათი ნამდვილი აგრესიული ზრახვები. ახალმა ვითარებამ, რაც მოჰყვა ვაშინგტონის კონფერენციის გადაწყვეტილებებს, და სსრ კავშირის საერთაშორისო ავტორიტეტის გაზრდამ კატოს მთავრობის წინაშე დააყენა დიდ მეზობელთან ურთიერთობის შეცვლის აუცილებლობის საკითხი.

1925 წლის 20 იანვარს, წინასწარი დიპლომატიური მოლაპარაკების შემდეგ, პეკინში ხელი მოაწერეს საბჭოთა კავშირ-იაპონიის კონვენციას, რომელმაც ახალ ვითარებას ჩაუყარა საფუძველი ამ ორი ქვეყნის ურთიერთობაში. კონვენცია ითვალისწინებდა დიპლომატიურ-საკონსულო ურთიერთობის დამყარებას და იაპონიის ვალდებულებას 1925 წლის 15 მაისამდე მოეხდინა ჩრდილო სახალინის ევაკუაცია[1]. აღნიშნული ხელშეკრულების საფუძველზე 1928 წელს იაპონიასა და საბჭოთა კავშირს შორის დაიდო თევზჭერის კონვენცია (8 წლით), რომელიც არეგულირებდა იაპონელთა თევზჭერის პირობებს საბჭოთა შორეული აღმოსავლეთის ტერიტორიულ წყლებში.

დიპლომატიური და სავაჭრო ურთიერთობის დამყარება იაპონიასა და საბჭოთა კავშირს შორის შეესაბამებოდა ორივე ქვეყნის ინტერესებს და ხელს უწყობდა მშვიდობის დაცვას შორეულ აღმოსავლეთში. ამიტომ იყო, რომ მას ერთსულოვნად მიესალმა იაპონიის პროგრესული საზოგადოებრიობა. მაგრამ სულ სხვაგვარად

---

[1] საბჭოთა კავშირმა თავის მხრივ იაპონიას ჩრდილო სახალინზე მისცა ნავთობის მოპოვებისა და ქვანახშირის კონცესიები.

შეეგებნენ მას იაპონიის რეაქციულ-შოვინისტური წრეები, რომლებმაც გააჩაღეს ღვარძლიანი ანტისაბჭოთა კამპანია. ამიტომ იყო, რომ აღნიშნული წრეების ზეგავლენით იაპონიის მთავრობა ზოგჯერ არღვევდა ხელშეკრულებით აღებულ ვალდებულებებს, ხელს უშლიდა საბჭოთა კავშირთან სავაჭრო-ეკონომიური და კულტურული კავშირის განვითარებას და ხელს არ იღებდა აგრესიულ ზრახვებზე მის მიმართ.

რევოლუციური მოძრაობის შემდგომი ზრდა და ბრძოლა იაპონიის კომპარტიის აღდგენისათვის

„ტკბილი ნამცხვრისა" და ხელკეტის პოლიტიკის კომბინირებულად მომარჯვების მიუხედავად, იაპონიის გაბატონებულმა კლასებმა მაინც ვერ შეძლეს რევოლუციური მოძრაობის ჩახშობა და მშრომელების ალაგმვა. სულ უფრო ღრმავდებოდა კლასობრივი წინააღმდეგობანი; დემოკრატიული სულისკვეთება ედებოდა მოსახლეობის ახალ-ახალ ფენებს. იაპონელი პროფესორის ოკუო ოიამას თქმით, მასობრივი მოძრაობა, მმართველი კლასების მხრივ მკაცრი რეპრესიების მიუხედავად, მთელი ქვეყნის მასშტაბით გაიშალა. „ეს იყო სისხლიანი ბრძოლა ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით".

იაპონიის კომუნისტური პარტიის აქტივისტები სათავეში ჩაუდგნენ ბრძოლას ლიკვიდატორული ჯგუფის მიერ ლიკვიდირებული პარტიის აღდგენისათვის. ამ საქმეში მათ ენერგიულად მხარი დაუჭირეს რიგითმა წევრებმა და მშრომელთა ფართო წრეებმა. ჩინეთის რევოლუციამ სერიოზული გავლენა მოახდინა იაპონიის მუშათა და რევოლუციური მოძრაობის განვითარებაზე და ხელი შეუწყო კომუნისტური პარტიის აღდგენას მასობრივ ბაზაზე. ამ რევოლუციის გავლენა, წერდა იაპონიის კომპარტიის ერთ-ერთი დამაარსებელი ტოკუდა, „წარმოადგენდა იმ დიდ ძალას, რამაც იაპონიის კომპარტია გამოიყვანა კრიზისიდან..."

1925 წლის დასაწყისში შანჰაიში მოწვეულ იქნა კონფერენცია, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება იაპონიის კომპარტიის აღდგენის შესახებ და გამოყო საორგანიზაციო კომიტეტი ვატანაბესა და ტოკუდას მონაწილეობით. პარტიის მარქსისტულ-ლენინური ბირთვის ენერგიული საქმიანობის მეოხებით დაძლეულ იქნა პარტიის რიგებში არსებული სექტანტური ტენდენციები და მემარჯვენე-მემარცხენე გადახრები. მათი ხელმძღვანელობით შესაძლებელი გახდა იაპონიის კომპარტიის აღდგენა ახალ, მასობრივ ბაზაზე. პირველად მას ეწოდა გლეხურ-მუშური პარტია, ხოლო 1926 წლის დეკემბრიდან — კომუნისტური. ხელისუფლების მკაცრი ტერორის მიუხედავად, აღდგენილმა და წვრილბურჟუაზიული ტენდენციებისაგან გაწმენდილმა

იაპონიის კომუნისტურმა პარტიამ განამტკიცა კავშირი მუშათა და გლეხთა მასებთან.

იაპონიის კომუნისტური პარტიის გააქტიურებამ, რაც დაემთხვა რევოლუციური ბრძოლის შემდგომ გაძლიერებას, სერიოზულად შეაშფოთა იაპონიის მთავრობა. მისი მოთხოვნით 1928 წელს პარლამენტმა მიიღო „საშიში აზრების კანონის“ დამატებანი, რომელიც სიკვდილით დასჯას ითვალისწინებდა რევოლუციური საქმიანობისათვის. ამას მოჰყვა კომუნისტური პარტიის გავლენის ქვეშ მყოფი გლეხთა კავშირების, მემარცხენე პროფესიული კავშირებისა და ახალგაზრდობის ორგანიზაციების დარბევები. 1928 წლის 7 ოქტომბერს პოლიციამ ტაივანზე სიცოცხლეს გამოასალმა კომუნისტური პარტიის ერთ-ერთი გამოჩენილი ხელმძღვანელი (გენერალური მდივანი) ვატანამე მასანოსკე.

ტანაკას კაბინეტი და ტანაკას მემორანდუმი

1926 წლის ბოლოს გარდაიცვალა სულით ავადმყოფი იმპერატორი იოსიხიტო („ტაისე“) და ტახტზე ავიდა მისი შვილი — პრინცი ხიროხიტო, რომლის მეფობის წლებმა მიიღო „სევას“ („განათლებული მსოფლიოს“) სახელი. ახალი ეკონომიური კრიზისის აშკარა სიმპტომებმა, რამაც უპირველეს ყოვლისა ფინანსურ სიძნელეებში იჩინა თავი, ისევ გაართულა იაპონიის შინაგითარება და საერთაშორისო მდგომარეობა. მან გამოამზეურა მმართველი წრეების სხვადასხვა ჯგუფებს შორის არსებული ქიშპობა და მწვავე სახე მისცა მას. ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის შემდგომი მიმართულება, ფინანსური სიძნელეების დაძლევის გზები და საშუალებები ბურჟუაზიულ-მემამულური პარტიების მწვავე დაჯახების საფუძველი გახდა.

მმართველი წრეების რიგებში არსებული სერიოზული განხეთქილების ერთ-ერთი გამოხატულება იყო ვაკაცუკის კაბინეტის გადადგომა და „სეიუკაის“ (პოლიტიკურ მეგობართა საზოგადოება) პარტიის ლიდერის გენერალ ტანაკას ჩადგომა ხელისუფლების სათავეში. ახალი კაბინეტი მხედრიონის, მემამულეების, მსხვილი მონოპოლისტური გაერთიანებებისა და იმპერიალისტური ფენების ყველაზე რეაქციული დაჯგუფებების ინტერესებს გამოხატავდა.

ტანაკას მთავრობამ ექსპლოატატორული ჯგუფების მოთხოვნით გადაწყვიტა ეკონომიური და ფინანსური კრიზისით გამოწვეული სიძნელეები მრეწველობის კაპიტალისტური „რაციონალიზაციით“ დაეძლია. სინამდვილეში „რაციონალიზაციის“ ნიღბით იაპონიის ბურჟუაზიამ მთელი ფრონტით შეუტია მუშათა კლასს. მან შეამცირა მუშათა ხელფასი, გაადიდა სამუშაო დღე, უზომოდ გაზარდა შრომის ინტენსივობა. ერთი სიტყვით, ეკონომიური გამოცოცხლების მისაღ-

წევად საჭირო ღონისძიებათა მთელი ტვირთი გაბატონებულმა კლასებმა მუშათა კლასს და მოსახლეობის სხვა მშრომელ თვითმოქმედ ჯგუფებს დააკისრეს.

ტანაკას მთავრობის ანტიხალხურ და რეაქციულ საშინაო პოლიტიკას სავსებით შეესაბამებოდა მისი აგრესიულ-იმპერიალისტური საგარეო პოლიტიკური კურსი. ახალი მთავრობის გაშიშვლებული ინტერვენციონისტული კურსის გამოხატულება იყო ჩინეთის რევოლუციის წინააღმდეგ გამოსვლა და იაპონიის ჯარის გაგზავნა შანდუნში სამხრეთის რევოლუციონერთა წინსვლის შესაჩერებლად. მხოლოდ ხალხის მასების მასობრივმა საპროტესტო მოძრაობამ თვით იაპონიაში და იაპონური საქონლის ბოიკოტის კამპანიამ ჩინეთში აიძულა ტანაკას მთავრობა ხელი აეღო აშკარა ინტერვენციის განზრახვაზე და უკან გამოეწვია თავისი ჯარი.

1927 წლის ივნისის ბოლოსა და ივლისის პირველ რიცხვებში ტოკიოში ტანაკას თავმჯდომარეობით მიმდინარეობდა ე. წ. აღმოსავლეთის კონფერენცია, რომელმაც განიხილა ე. წ. „პოზიტიური“ მოქმედების გეგმა ჩინეთში, მონგოლეთში და სხვაგან. კონფერენციის რეკომენდაციები საფუძვლად დაედო ტანაკას საიდუმლო მემორანდუმს იაპონიის იმპერატორისადმი. „ტანაკას მემორანდუმი“ წარმოადგენდა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიასა და წყნარი ოკეანის აუზში ყაჩაღური ომების მეშვეობით იაპონიის იმპერიალიზმის მონოპოლიური ბატონობის დამყარების გაშლილ გეგმას.

აღნიშნული დოკუმენტით, რომელიც იაპონიის ყველაზე აგრესიული სამხედრო წრეების საბრძოლო მანიფესტს წარმოადგენდა, იაპონიას თანმიმდევრულად უნდა ეწარმოებინა რამდენიმე დიდი „ეროვნული“ ომი, რათა განეხორციელებინა მეიძის რეჟიმის დამაარსებლის „დიდი ანდერძი“ და დაემყარებინა იაპონიის ჰეგემონობა აღმოსავლეთ აზიაში. ამ ამოცანის განხორციელების წინასწარ პირობად გეგმა ითვალისწინებდა ჩინეთის უცილობელ დაპყრობას, ხოლო ჩინეთის დაპყრობის წინასწარ პირობად — მანჯურიისა და მონგოლეთის დაპყრობას. „ტანაკას მემორანდუმით“ დასახული აგრესიული გეგმის რეალიზაციის ერთ-ერთ პირობად მიჩნეული იყო აშ შტატების წინააღმდეგობის დაძლევა და მისი სამხედრო-პოლიტიკური შემუსვრა. იგი, ამასთან ერთად, ქადაგებდა ომის გარდუვალობას სსრ კავშირის წინააღმდეგ. „ჩვენი ეროვნული ზრდის პროგრამაში, — აღნიშნულია მემორანდუმში, — შედის... აუცილებლობა ჩრდილო სიმდიდრეების დაუფლების მიზნით კვლავ ხმალდახმალ შევებათ რუსეთს მანჯურიის ველებში. სანამ ეს ფარული რიფი

აფეთქებული არ იქნება, ჩვენი გემი ვერ შეძლებს სწრაფად წინსვლას“.

ტანაკას მთავრობა ენერგიულად შეუდგა მემორანდუმის „პოზიტიური“ პროგრამის — „რკინისა და სისხლის“ პოლიტიკის — რეალიზაციისათვის მზადებას, რაც მიმდინარეობდა როგორც მოსახლეობის იდეოლოგიური დამუშავებით, ისე ახალი სახსრების გამონახვითა და ქვეყნის სამხედრო ძალის შემდგომი ზრდით.

ტანაკა ივავე 1927 წელს შეუდგა აგრესიული პროგრამის პირველი რიგის რეალიზაციას. საამისოდ მისი პირველი დიპლომატიური ნაბიჯი იყო იაპონიის საზღვარგარეთელი დიპლომატიური წარმომადგენლებისადმი ინსტრუქციის გაგზავნა, რომელიც მათ ავალებდა ეხელმძღვანელათ მანჯურიასა და მონგოლეთის აღმოსავლეთ ნაწილში იაპონიის სპეციალური ინტერესების ცნობის პრინციპით. მიზნად დაისახა რა დაემორჩილებინა ჩინეთის ეს ტერიტორიები იაპონიის კაპიტალისადმი, იაპონიის მთავრობამ ხელი მიჰყო იქ აქტიურ ეკონომიურ-ფინანსურ ექსპანსიას და ჯაშუშურ საქმიანობას. 1928 წლის 4 ივლისს იაპონიის აგენტებმა აფეთქების გზით თავიდან მოიშორეს მანჯურიის სატრაპი ჯან ძო-ლინი, რომელსაც არ სურდა ბოლომდე იაპონიის იმპერიალიზმის ყურმოჭრილი მონა ყოფილიყო.

ამან, შანდუნის ინტერვენციის ცდის მარცხმა და ვრცელი ექსპანსიური პროგრამის გახმიანებამ, შეარყია ტანაკას კაბინეტის ავტორიტეტი. იაპონიის მმართველი წრეების შედარებით შორსმჭვრეტელი წრეებისათვის ცხადი გახდა, რომ იაპონია ჯერ კიდევ არ იყო მზად ტანაკას აგრესიული გეგმების რეალიზაციისათვის. არც საშინაო ვითარება და არც საერთაშორისო პირობები უწყობდა ხელს ამას. ამიტომ მათ საჭიროდ ჩათვალეს რამდენიმე ხნით გადაედოთ მისი სისრულეში მოყვანა და ტანაკას „ზვარაკად“ შეწირვა. 1929 წლის 2 ივლისს ტანაკას მთავრობა გადადგა, ახალ ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგა მინსეიტოს პარტიის ლიდერი ხამაგუცი.

ხამაგუცის მთავრობამ განაგრძო წარმოების რაციონალიზაციის, მშრომელთა მძიმე გამოსაღებებით შემდგომი დაბეგვრისა და რევოლუციური მოძრაობის ჩახშობის მემკვიდრეობით მიღებული შინაპოლიტიკური კურსი. მაგრამ იგი იძულებული იყო უფრო თავშეკავებულად, ზომიერად და მოქნილად ემოქმედა საგარეო პოლიტიკურ სფეროში. მან რამდენადმე შეარბილა დაწოლა ჩინეთზე და ამ შტატებისა და ინგლისის ერთობლივი დაწოლის შედეგად 1930 წელს ლონდონში ხელი მოაწერა საზღვაო შეიარაღების ახალ შეთანხმებას, რომლითაც ვაშინგტონის კონფერენციის გადაწყვეტილებით სახაზო

გემებზე დაწესებული 5:5:3 პროპორცია ამიერიდან კრეისერებზეც წესდებოდა.

მსოფლიო ეკონომიური კრიზისის გავლენა იაპონიაზე. კლასობრივი ბრძოლის გამწვავება

მსოფლიო ეკონომიურმა კრიზისმა, რომელიც 1929 წლიდან დაატყდა თავს კაპიტალისტურ სამყაროს, 1929 წლის უკანასკნელ მეოთხედში იჩინა თავი იაპონიაში. კრიზისმა იაპონიაში მიიღო უაღრესად დამანგრეველი და გაჭიანურებული ფორმა. მან ნათლად გამოავლინა იაპონიის კაპიტალიზმის ჩამორჩენა აშ შტატებთან და ევროპის მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებთან შედარებით. სამრეწველო კრიზისი გადაენასკვა აგრარულსა და ფინანსურ კრიზისს, მოედო სახალხო მეურნეობის ყველა დარგს, რასაც მოჰყვა მრეწველობის პროდუქციისა და მეაბრეშუმეობის — იაპონიის სოფლის მეურნეობის ამ დიდმნიშვნელოვანი დარგის — კატასტროფული დაცემა, ოქროს მარაგის შემცირება, ბანკების მასობრივი გაკოტრება, საგარეო ვაჭრობის მოცულობისა და ტრანსპორტის ტვირთბრუნვის შეზღუდვა.

1931 წელს იაპონიის მრეწველობის პროდუქციის ღირებულება 1929 წელთან შედარებით 34,4%-ით შემცირდა, მოპოვებითი მრეწველობისა კი — თითქმის 50%-ით. 1930—1931 წლებში იაპონიის ექსპორტი შემცირდა 53%-ით, იმპორტი — 57%-ით. კრიზისის წლებში მუშაობა შეწყვიტა 10 ათასზე მეტმა სამრეწველო საწარმომ, ათასობით საწარმო კი იძულებული გახდა ნაწილობრივი დატვირთვით ემუშავა. მრეწველობის მკვეთრ შეკვეცას მოჰყვა მასობრივი უმუშევრობა; 1931 წლისათვის უმუშევართა რიცხვმა 3 მილიონს გადააჭარბა.

კიდევ უფრო მძაფრ ფორმებში გამოვლინდა კრიზისი სოფლის მეურნეობაში. ბრინჯისა და აბრეშუმის ფასი 50—60%-ით დაეცა, სოფლის მეურნეობის პროდუქციის მასობრივი გაუსაღებლობის შედეგად დაგროვდა დიდძალი გაუსაღებელი მარაგი, რასაც მოჰყვა ნათესი ფართობის შემცირება და გლეხთა მასების გაპარტახება.

კრიზისმა მრეწველობაშიაც და სოფლის მეურნეობაშიაც მკვეთრად გააძლიერა ქონებრივი უთანასწორობა. ღარიბ-ღატაკები უფრო გაიძარცვნენ, მდიდრები კი — გამდიდრდნენ. მრეწველობაში მას მოჰყვა წარმოების კონცენტრაციის გაზრდა, ახალი მონოპოლისტური გაერთიანებების აღმოცენება, სოფლად — მიწათმფლობელობის კონცენტრაცია და მოიჯარადრე გლეხობის საიჯარო ნაკვეთებიდან მასობრივი აყრა. ეკონომიურმა კრიზისმა უკიდურესად გაამწვავა იაპონიის კაპიტალიზმის შინაგანი წინააღმდეგობანი. კლასობრივი ანტაგო-

ნიზმის მკვეთრი გამწვავებით ქალაქად და სოფლად მან მძლავრი ბიძგი მისცა მშრომელთა რევოლუციურ ბრძოლას. 1930 წელს ადგილი ჰქონდა 907 გაფიცვას, 1931 წელს კი — 998-ს. საიჯარო კონფლიქტები სოფლად 1501-დან (1929 წ.) 1931 წლისათვის 2231-მდე გაიზარდა. გახშირდა უმუშევართა გამოსვლები.

მშრომელთა მედგარ ბრძოლას საკუთარი ინტერესების დასაცავად მხარი დაუჭირა პროგრესულმა ინტელიგენციამ, ისინიც ენერგიულად ჩააბა მოძრაობაში მონოპოლიების თვითნებობისა და მთავრობის ანტიხალხური პოლიტიკის წინააღმდეგ. მისი ხელმძღვანელობით შეიქმნა რამდენიმე ახალი დემოკრატიული ორგანიზაცია, რომლებმაც მოსახლეობის ფართო ფენების მხარდაჭერა და ხელისუფალთა მკაცრი რისხვა დაიმსახურეს.

იაპონიის კომუნისტური პარტია, რომელიც 1928—1929 წლების პოლიციური ტერორისა და მისი ხელმძღვანელობის მნიშვნელოვანი ნაწილის დატუსაღების შემდეგ იძულებული იყო ჭერქვეშ ემუშავნა, მძიმე პირობების მიუხედავად, ენერგიულად განაგრძობდა ბრძოლას მშრომელთა ინტერესების დასაცავად. იგი სისტემატურად თავს ესხმოდა იაპონიის მთავრობის ანტიხალხურ საქმიანობას, ამხელდა მის რეაქციულ-იმპერიალისტურ არსს და რაზმავდა მასებს მის წინააღმდეგ. იმ მკვეთრი აგრესიული კურსის ვითარებაში, რაც იაპონიის იმპერიალისტურმა წრეებმა აიღეს საგარეო პოლიტიკაში, მეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იაპონიის კომპარტიის ანტიმილიტარისტულ ბრძოლას.

იაპონიის მმართველმა წრეებმა პოლიციური ტერორის შემდგომი გაძლიერებით უპასუხეს მშრომელთა რევოლუციური მოძრაობის აღმავლობასა და კომუნისტური პარტიის აქტივიზაციას. ჩვეულებრივ მოვლენად იქცა გაფიცვების შეიარაღებული ძალით ჩაშლა, პროფკავშირებისა და გლეხთა ორგანიზაციების დარბევები, მუშათა მოძრაობის აქტივისტთა საპყრობილეებში ჩაყრა. გახშირდა პოლიციის აგენტების შეგზავნა კომუნისტური პარტიის ორგანიზაციებში, აქტივისტთა ტერორის გზით თავიდან მოცილება და ა. შ. რეაქციისა და პოლიციური ტერორის სუსხი პირველ ყოვლისა კომუნისტურ პარტიას დაატყდა თავს. 1932—1934 წლებში მათ საპყრობილეებში დახოცეს კომუნისტური პარტიის ათეული გამოჩენილი ხელმძღვანელი.

იაპონიის კაპიტალიზმის აგრესიულობის ზრდა

იაპონიის იმპერიალიზმის მესვეურები შეაშფოთა კრიზისის შედეგად იაპონიის კაპიტალიზმის შინაგან წინააღმდეგობათა უკიდურესმა გამწვავებამ. მათ დაიწყეს შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავლის ძებნა და ასეთი გამოსავალი ქვეყნის ფაშიზაციასა და საგარეო პოლიტიკური აგრესიის მკვეთრ გაძლიერებაში დაინახეს. მათ საჭიროდ მიიჩნიეს დიდი აგრესიული ომის გაჩაღება მსოფლიოს ხელახალი გადანაწილების მიზნით.

იაპონიის მონოპოლისტური კაპიტალის ყველაზე აგრესიული და ავანტიურისტული წრეები, ფინანსური ოლიგარქია („ძაიბაცუ") დიდი ხანია ოცნებობდნენ ჩინეთისა და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ დიდ ომზე. ტანაკას მემორანდუმი ხომ საამისო პროგრამა იყო. მსოფლიო ეკონომიური კრიზისის ვითარებაში, რომელმაც იაპონიის კონკურენტებსაც (აშ შტატებს და ინგლისს) მაგრად ჩასჭიდა თავისი მსახვრალი ხელი, მათ გადაწყვიტეს სისრულეში მოეყვანათ ეს მტაცებლური ჩანაფიქრი. იაპონიის აგრესიის პირველ და მნიშვნელოვან ობიექტად, როგორც ტანაკას მემორანდუმით იყო გათვალისწინებული, ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთი (მანჯურია) იქნა დასახული. მისი მდიდარი ეკონომიური რესურსები და სამხედრო-სტრატეგიული მდებარეობა დიდი ხანია მოსვენებას არ აძლევდა იაპონელ მონოპოლისტებსა და მილიტარისტებს. მისი რესურსები და პლაცდარმი ახლო მომავალში სსრ კავშირისა და ჩინეთის წინააღმდეგ აგრესიული ომისათვის უნდა ყოფილიყო გამოყენებული.

ჩრდილო - აღმოსავლეთ ჩინეთის დაპყრობა

1931 წლის ზაფხულისათვის იაპონელმა იმპერიალისტებმა დაასრულეს საჭირო სამზადისი ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთის დასაპყრობად; მომენტი ხელსაყრელად იქნა ცნობილი. ეკონომიური და პოლიტიკური კრიზისის მარწუხები იმპერიალისტურ მეტოქეებს საშუალებას არ აძლევდა აქტიური ყურადღება მიექციათ შორეული აღმოსავლეთის პრობლემებისათვის, თვით ჩინეთში კი სამოქალაქო ომი მძვინვარებდა. ჩინეთის წინააღმდეგ ომის საბაბად უნდა გამოყენებულიყო თვით იაპონელი აგენტების მიერ პროვოცირებული „ადგილობრივი ინციდენტები".

1931 წლის 18 სექტემბერს იაპონიის ე. წ. ქვანტუნის არმია შეიჭრა ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთში და შეუდგა მის ოკუპაციას. შეჭრის საბაბი გახდა ე. წ. „მუკდენის ინციდენტი", რაც თვით იაპონელებმა მოაწყეს. ოპერაციები ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთის (მანჯურიის) დასაპყრობად სულ რამდენიმე თვეს გრძელდებოდა. იაპონელმა ოკუპანტებმა, რომლებიც ჩან კაი-შის კაპიტულანტური პოლიტიკის წყალობით სრულიად უმნიშვნელო წინააღმდეგობას

წააწყდნენ, მოკლე დროში ხელთ იგდეს მუკდენი (შენიანი), ხარბინი, გირინი, ციციკარი და სხვა ცენტრები. 1932 წლის გაზაფხულისათვის მათ დაამთავრეს მთელი ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთის ოკუპაცია.

1932 წლის იანვარში იაპონელი მილიტარისტები შეეცადნენ დაეპყროთ აგრეთვე ჩინეთის უდიდესი სავაჭრო-სამრეწველო ცენტრი და იმპერიალისტთა მთავარი ბაზა შანჰაი. ამ აგრესიასაც წინ უძღოდა ე. წ. „ჩაპეის ინციდენტი", რაც საომარი ოპერაციების საბაბი გახდა. შანჰაის წინააღმდეგ საომარ მოქმედებებში მონაწილეობას იღებდნენ იაპონიის სამხედრო ფლოტის, ავიაციისა და არმიის დიდი შენაერთები. მაგრამ იაპონელთა ეს მორიგი ყაჩაღური აქტი წარუმატებელი იყო. იგი ჩაშალა შანჰაის, მუშათა კლასისა და პატრიოტულად განწყობილი მე-19 არმიის გმირულმა წინააღმდეგობამ. ამ წინააღმდეგობამ აიძულა იაპონელი აგრესორები გაეყვანათ თავიანთი ჯარები შანჰაიდან (1932 წ. მაისში).

იაპონიის ყაჩაღურ ომს ჩინეთის წინააღმდეგ და ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთის ოკუპაციას, თუმცა იგი ცალმხრივი ძალადობის აქტი იყო, ცვლიდა ვითარებას შორეულ აღმოსავლეთში და არღვევდა ვაშინგტონის შეთანხმებებს, არ მოჰყოლია თითქმის არავითარი პროტესტი აშ შტატებისა და დასავლეთ ევროპის იმპერიალისტური სახელმწიფოების მხრივ. აშ შტატების მთავრობა დაკმაყოფილდა მარტო დიპლომატიური წარდგენით იაპონიისადმი და დეკლარაციით იაპონელთა მიერ ჩინეთში ძალით დაპყრობილი რაიმე უფლების არცნობის შესახებ (სტიმსონის 1932 წლის 7 იანვრის ნოტა). რაც შეეხება ინგლისის მთავრობას, მას არათუ პროტესტი არ გაუცხადებია, არამედ ფაქტიურად შენიღბული სახით მხარი დაუჭირა იაპონიის იმპერიალიზმის აგრესიას. მხოლოდ სსრ კავშირმა მისცა იაპონელთა აგრესიას ჩინეთის წინააღმდეგ სათანადო კვალიფიკაცია და საჭირო დასკვნები გააკეთა აქედან.

არც ერთა ლიგას არ დაუგმია იაპონელთა აგრესია ჩინეთის წინააღმდეგ და არ მიუღია რაიმე ზომა მის შესაჩერებლად. მან დასავლეთის სახელმწიფოთა ფაქტიური საბოტაჟის გამო თავი შეიკავა აგრესორი ქვეყნის მიმართ წესდების მე-16 მუხლით გათვალისწინებული სანქციის გამოყენებისაგან. იგი მხოლოდ იმით დაკმაყოფილდა, რომ გამოყო კომისია ხუთი სახელმწიფოს წარმომადგენლებისაგან (ინგლისი, საფრანგეთი, აშ შტატები, იტალია, გერმანია) ინგლისელი ლიტონის თავმჯდომარეობით, რომელსაც დაევალა ადგილზევე შეესწავლა მდგომარეობა და გამოერკვია ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთში იაპონელთა აგრესიის საკითხი. აღნიშნული კომისია მხოლოდ 1932 წლის აპრილში ჩავიდა ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთში და შეუდგა დავალების შესრულებას. იაპონელ აგრე-

სორთა საბოტაჟის პირობებში მდგომარეობის შესწავლა ადგილზე და ერთა ლიგისათვის მოხსენების მომზადება გაჭიანურდა და იგი მხოლოდ იმავე წლის დეკემბერში დამთავრდა. ამ დროის განმავლობაში კი იაპონელმა იმპერიალისტებმა მთლიანად დაამთავრეს ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთის ოკუპირება. 1932 წლის 29 თებერვალს მათ მუკდენში მოიწვიეს „სრულიად მანჯურიის თათბირი", რომელიც „მეხუთე კოლონის" წარმომადგენლებისა და დამპყრობელთა ხელმძღვანელობისაგან შედგებოდა. ამ თათბირის შედეგი იყო ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთის (მანჯურიის) „დამოუკიდებლობის" გამოცხადება და მანჯოუ-გოუს ახალი „სახელმწიფოს" შექმნა. მანჯოუ-გოუს „დამოუკიდებელ", ფაქტიურად კი მათ კოლონიად ქცეულ სახელმწიფოს მეთაურად იაპონელებმა დასვეს (პირველად „რეგენტად", 1934 წლიდან კი—იმპერატორად) 1911—1912 წლების რევოლუციის მიერ დამხობილი ჩინეთის უკანასკნელი იმპერატორი პუ ი. 1932 წლის 14 ივნისს იაპონიის პარლამენტმა დე-იურედ იცნო იაპონელების მიერვე შეკოწიწებული მანჯოუ-გოუს სახელმწიფო. ამას მოჰყვა იაპონია-მანჯოუ-გოუს „სუვერენულ" სახელმწიფოთა შორის ხელშეკრულების დადება, რომლითაც იაპონელ იმპერიალისტებს ნება დაერთოთ ჰყოლოდათ იქ საოკუპაციო არმია, „მრჩევლები", მიეღოთ მისი მდიდარი რესურსების განუსაზღვრელი ექსპლოატაციის შესაძლებლობა, ეწარმოებინათ საჭირო სამხედრო სტრატეგიული მშენებლობა.

1932 წლის მეორე ნახევარსა და 1933 წლის დასაწყისში იაპონელმა იმპერიალისტებმა განაახლეს შეიარაღებული აგრესია ჩინეთის წინააღმდეგ. მათ დაიკავეს ჟეხეს პროვინცია და ჩახარის პროვინციის ნაწილი, რომლებიც მანჯოუ-გოუს მარიონეტული სახელმწიფოს შემადგენელ ნაწილად გამოაცხადეს. 1933 წლის მაისში იაპონელებმა ჩინეთს თავზე მოახვიეს შეთანხმება, რომლითაც ჩინეთი ფაქტიურად ცნობდა იაპონელ აგრესორთა მიერ ჩინეთის ტერიტორიების დაპყრობებს. ამ შეთანხმების ძალით ჩინეთის ვრცელი ტერიტორია ჩინეთის დიდი კედლის სამხრეთის 250 მილზე ცხადდებოდა „დემილიტარიზებულ ზონად", სადაც ჩინეთს ეკრძალებოდა არმიის ყოლა.

ფაშისტური რეაქციის გააქტიურება და სამხედრო-ფაშისტური შეთქმულებები

მსოფლიო ეკონომიური კრიზისის ერთ-ერთი უშუალო შედეგი იყო იაპონიის გაბატონებულ კლასებს შორის არსებული უთანხმოების გამწვავება და ფაშისტური რეაქციის გაძლიერება. ფინანსურ ოლიგარქიას, კერძოდ „ახალი კონცერნების" ყველაზე გავლენიან მაგნატებს უკვე აღარ აკმაყოფილებდათ პარლამენტური მმართველობა. მონოპოლი-

ების იარაღი—სამხედრო ხროვა მოითხოვდა სამხედრო დიქტატურის დამყარებას. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ე. წ. „ახალგაზრდა ოფიცრები“, რომლებიც წვრილი და საშუალო შემამულეთა და სოფლის ბურჟუაზიის წრეებიდან იყვნენ გამოსული. მათ ლიდერად ითვლებოდა რეაქციონერი მილიტარისტი, სსრ კავშირის წინააღმდეგ ომის გაჩაღების მქადაგებელი გენერალი არაკი.

1931 წლის ოქტომბერსა და ნოემბერში ადგილი ჰქონდა სახელმწიფო გადატრიალების წარუმატებელ ცდებს. ამის პარალელურად პროფაშისტურმა ელემენტებმა „ახალგაზრდა ოფიცერთა“ ბანაკიდან მოაწყეს რამდენიმე ტერორისტული აქტი და სიცოცხლეს გამოასალმეს „ზომიერი პოლიტიკის“ მომხრე რამდენიმე სახელმწიფო თავკაცი.

დაბოლოს, დაუსჯელობით წათამამებულმა „ახალგაზრდა ოფიცრებმა“ 1932 წლის 15 მაისს მოაწყეს სამხედრო-ფაშისტური გამოსვლა. შეთქმული ფაშისტები შეიჭრნენ პრემიერ-მინისტრის ინუკაის რეზიდენციაში და მოკლეს იგი, მათ აგრეთვე ბომბები ისროლეს სეიუკაოს პარტიისა და მიცუბისის კონცერნის შენობებში. ამ სისხლიან აქტებთან ერთად ფაშისტმა ოფიცრებმა მოსახლეობაში გაავრცელეს ფურცლები, რომლებშიაც დემაგოგიურად ილაშქრებდნენ მონოპოლიების, სპეკულანტური წრეებისა და „პოლიტიკანების“ წინააღმდეგ.

მაგრამ „ახალგაზრდა ოფიცრებმა“ ვერ შეძლეს ჩანაფიქრის სისრულეში მოყვანა. იმ მძლავრმა ძალებმა, რომლებიც „ახალგაზრდა ოფიცერთა“ ზურგს უკან იდგნენ, დროებით საჭიროდ ჩათვალეს მმართველობის არსებული ფორმის შენარჩუნება. შეთქმულთა წინააღმდეგ მიღებულ იქნა საჭირო ზომები: ბევრი მათგანი განაიარაღეს, შეიპყრეს და გაასამართლეს. მაგრამ ხელისუფლებამ ხელი არ ახლო მათ ლიდერს გენერალ არაკის, რომელმაც მომდევნო მთავრობაშიც შეინარჩუნა მინისტრის პოსტი.

1932 წლის 15 მაისის ამბის შემდეგ იაპონიაში შეიქმნა ახალი მთავრობა ადმირალ საიტოს ხელმძღვანელობით, რომელიც 1934 წლის ივლისიდან ადმირალ ოკადას კაბინეტმა შეცვალა. ორივე მთავრობა აღმოცენდა ორი გაბატონებული, ურთიერთმოქიშპე მონოპოლისტური გაერთიანებების კომპრომისის შედეგად. იქ წარმოდგენილი იყვნენ როგორც მხედრიონის აგრესიული დაჯგუფების წარმომადგენლები (სამხედრო მინისტრი არაკი, საზღვაო მინისტრი — ოსუმი), ისე ბურჟუაზიულ-მემამულური პარტიების ზომიერი წრეების წარმომადგენლებიც (მაგ., ფინანსთა მინისტრი ტაკაჰასი).

1932 წლის 2 ოქტომბერს ერთა ლიგის მიერ გამოყოფილმა ლიტონის კომისიამ გამოაქვეყნა მოხსენება ჩინეთში არსებული

მდგომარეობის შესახებ. კომისია შეშფოთებით წერდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა და კომუნისტური პარტიის საქმიანობის ზრდის შესახებ ჩინეთში. ცნობდა რა იაპონიის მხრივ აგრესიის აქტს ჩინეთის წინააღმდეგ, იგი შეუძლებლად მიიჩნევდა იაპონელთა აგრესიამდე ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთში არსებული მდგომარეობის აღდგენას. ამიტომ წინადადებას იძლეოდა დარჩენილიყო იგი ნომინალურად ჩინეთის „საერთო სუვერენიტეტის" ქვეშ, მაგრამ მისთვის „ავტონომიის" მიცემით დიდი სახელმწიფოების მფარველობით. ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთის ამგვარ ინტერნაციონალიზაციას იგი უნდა ექცია საერთაშორისო მონოპოლიების ექსპლოატაციის ობიექტად. კომისია რჩევას იძლეოდა ეცნოთ იაპონიის სპეციალური ინტერესები მის მიერ ოკუპირებულ ჩინეთის ამ ტერიტორიაზე.

ერთა ლიგამ 1933 წლის დასაწყისში განიხილა ლიტონის კომისიის მოხსენება. იაპონიის დიპლომატთა საბოტაჟის მიუხედავად, იმავე წლის 24 თებერვალს მან მოიწონა აღნიშნული მოხსენება და მსოფლიოს პროგრესული საზოგადოებრივი აზრის ზეგავლენით უარი განაცხადა ეცნო იაპონელთაგან შეკოწიწებული მანჯოუ-გოუს მარიონეტული სახელმწიფო. სპეციალური რეზოლუციით მან მოითხოვა იქიდან იაპონიის ჯარის გამოყვანა. ამის პასუხად 1933 წლის 27 მარტს იაპონიამ ოფიციალურად განაცხადა ერთა ლიგიდან გამოსვლის შესახებ.

იაპონიის კომუნისტური პარტია, მუშაობის უმძიმესი პირობების მიუხედავად, კვლავ მამაცურად იბრძოდა მუშათა და გლეხთა ინტერესების იმპერიალისტური ხელისუფლების რეაქციული საშინაო პოლიტიკისა და აგრესიის წინააღმდეგ. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მისი ხელმძღვანელობით წარმოებული ომის საწინააღმდეგო მოძრაობა, რომელიც არმიის რიგებსაც კი მოედო. 1931 წლის სექტემბერში, იაპონიის ჯარის ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთში შეჭრის შემდეგ, იაპონიის კომუნისტურმა პარტიამ მოწოდებით მიმართა მოსახლეობას, რომელშიაც ააშკარავებდა ამ აქტის უსამართლო და დაპყრობით ხასიათს. მოწოდებაში წამოყენებული იყო მთელი რიგი კონკრეტული ომის საწინააღმდეგო მოთხოვნები, რომლითაც მუშებს, გლეხებს, ახალგაზრდობას და ჯარისკაცებს უნდა გაეშალათ ბრძოლა ახალი იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ იაპონიის მილიტარისტული ხროვის მტაცებლური პოლიტიკის სამხილებლად.

ხელისუფლებამ სისხლიანი ტერორის ახალი კამპანიის გაშლით უპასუხა მოსახლეობის შემდგომ გამემარცხენებას, კომუნისტური პარტიის გავლენის ზრდასა და ომისსაწინააღმდეგო განწყობილების გაძლიერებას. მან ციხე-საპყრობილეებში ჩაყარა ათეული ათასი

მუშა, გლეხი, სტუდენტი, სამხედრო პირი და მკაცრი განაჩენი გამოუტანა მათ. კომპარტიის რამდენიმე ცნობილი ხელმძღვანელი და რევოლუციონერი მწერლები კი 1933—1934 წლებში სიცოცხლეს გამოასალმეს. პარალელურად ამისა, ხელისუფლებამ მხეცურად დაარბია მოწინავე ინტელიგენციის ყველა რევოლუციური გაერთიანება (პროლეტარულ მწერალთა, მემარცხენე თეატრის ლიგა, პროლეტარული მედიცინის ლიგა და ა. შ.).

სსრ კავშირზე, მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკასა და ჩინეთზე თავდასხმისათვის მომზადება

1932 წლის ფაშისტური ამბოხების ჩაქრობის შემდეგ იაპონიის ხელისუფლებას სათაეში ჩაუდგა ადმირალი საიტო, რომელიც 1934 წლის ივლისში ადმირალ ოკადას კაბინეტმა შეცვალა. ესენი იყვნენ ნახევრად სამხედრო და ნახევრად სამოქალაქო კაბინეტები. ორივე მთავრობა წარმოადგენდა კომპრომისს მმართველი ზედაფენის ორ დაჯგუფებას — რეაქციულ მხედრიონსა და ზომიერ-კონსერვატულ წრეებს შორის. მათ თვალის ასახვევად „ეროვნული ერთიანობის“ მთავრობები ეწოდებოდათ. ბურჟუაზიული პარტიების წარმომადგენლებთან ერთად მათში შედიოდნენ მონარქიული ბიუროკრატიის უმაღლესი ფენისა და სამხედრო ხროვის წარმომადგენლები. როგორც საიტოს, ისე მომდევნო ოკადას მთავრობები ენერგიულად განაგრძობდნენ სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალის პოზიციების განმტკიცებას და „დიდი ომისათვის“ ყოველმხრივ მზადებას.

1932—1936 წლებში კოლოსალური თანხები იქნა დახარჯული მძიმე მრეწველობის, კერძოდ სამხედრო მრეწველობის შემდგომ განვითარებასა და არმიის მოდერნიზაციაზე. ქვეყნის შეუჩერებელ მილიტარიზაციას თან სდევდა სამხედრო ბიუჯეტის ყოველწლიური ზრდა და სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის მატება, რამაც 1 მილიარდ იენს გადააჭარბა.

„ეროვნული ერთიანობის“ აბრამ ვერ დაფარა ის წინააღმდეგობანი, რასაც ადგილი ჰქონდა იაპონიის მთავრობის შიგნით შემდგომი დაპყრობების მასშტაბის, ტემპებისა და მეთოდების თაობაზე. არაკი და მისი მომხრეები ქადაგებდნენ დაუყოვნებლივ აგრესიულ ომს ჩინეთისა და სსრ კავშირის წინააღმდეგ, ახალ ტერიტორიულ დაპყრობებს. ამ ჯგუფს უპირისპირდებოდა მეორე დაჯგუფება ფინანსთა მინისტრის ტაკაჰასის მეთაურობით. იგი უფრო თავდაჭერილ და ზომიერ საგარეო პოლიტიკას უჭერდა მხარს და მოითხოვდა მორიგი აგრესიული აქტების ვადის რამდენადმე გადადებას.

ბრძოლა ამ ორ დაჯგუფებას შორის დროებით ტაკაჰასის მომხრეების გამარჯვებით დამთავრდა. არაკი გადადგა (1934 წლის იანვარში) და სამხედრო მინისტრის პოსტი გენერალმა ხაიასიმ დაიკავა,

რომელიც მხარს უჭერდა უფრო ზომიერ პოლიტიკას და ომისათვის სერიოზულ მზადებას.

იაპონელ იმპერიალისტთა აგრესიის მორიგ ობიექტად იქცა ჩრდილო ჩინეთი და შიდა მონგოლეთი. სამოქალაქო ომის გაგრძელებისა და აგრესორებისადმი წინააღმდეგობის გაუწევლობის პოლიტიკამ, რასაც ატარებდა ჩან კაი-შის კონტრრევოლუციური მთავრობა ჩინეთში, იაპონელებს საშუალება მისცა შედარებით იოლად და მოკლე დროში სისრულეში მოეყვანათ თავიანთი მტაცებლური ჩანაფიქრი ჩრდილო ჩინეთის მიმართ. 1935 წლის ბოლოს ამას მოჰყვა შიდა მონგოლეთის ფაქტიური ოკუპაციაც. ჩრდილო ჩინეთის ტერიტორიის ნაწილიდან და შიდა მონგოლეთიდან იაპონელებმა შეაკოწიწეს ორი ახალი „ავტონომიური“ და „დამოუკიდებელი“ მთავრობა, რომლებსაც სათავეში ჩაუყენეს თავიანთი აგენტები ინ ჟუ-გენი და მონგოლი მთავარი დე ვანი.

იაპონელ იმპერიალისტებს განზრახვა ჰქონდათ გამოეყენებინათ აღნიშნული მარიონეტული მთავრობები ჩინეთზე დაწოლის მოსახდენად. იაპონია თითქოს მზად იყო შეთანხმებოდა ჩინეთს ამ უკანასკნელის კაპიტულაციაზე წასვლის პირობებში. ჩინეთ-იაპონიის ურთიერთობის „საერთო მოწესრიგების“ საფუძველი უნდა გამხდარიყო ე. წ. „ხიროდას სამი პრინციპი“, რომლითაც ჩინეთიდან მოითხოვდნენ დასავლეთის ქვეყნების ორიენტაციაზე ხელის აღებას, მანჯოუ-გოუსა და ჩრდილო ჩინეთში იაპონიის საგანგებო ინტერესების ცნობას და მის თანხმობას იაპონიასთან ერთად ეწარმოებინა ბრძოლა „კომუნისტური საფრთხისა“ და ანტიიაპონური ელემენტების წინააღმდეგ.

თქმა არ უნდა, რომ ჩინეთის მხრივ ამ პირობების მიღება ნიშნავდა მის სრულ კაპიტულაციას იაპონიის იმპერიალიზმის წინაშე. ამიტომ იყო, რომ იაპონიის მთავრობამ, მარიონეტების დიდი გულმოდგინებისა და ჩინეთის კაპიტულანტური ელემენტების სურვილის მიუხედავად, ვერ შეძლო თავზე მოეხვია ჩინეთისათვის „ხოროტას სამი პრინციპი“.

იაპონიის მმართველი წრეები, რომელთაც ფაქტიურად უკვე გააჩაღეს ომის ერთ-ერთი კერა შორეულ აღმოსავლეთში, აღებულ საერთაშორისო ვალდებულებათა აბუჩად აგდების ტაქტიკას დაადგნენ. ერთა ლიგიდან გამოსვლა და მით მოპოვებული მოქმედების თავისუფლება მათ მორიგი აგრესიების მომზადებისათვის გამოიყენეს. იაპონიის დიპლომატიამ უკუაგდო ერთა ლიგისა და ინგლის-ამერიკის არა ერთი ცდა ჩარეულიყვნენ ჩინეთ-იაპონიის კონფლიქტში და არბიტრის როლი შეესრულებინათ. მშვიდობის საქმის საბოტაჟი ამით არ დასრულებულა. 1934 წლის დეკემბერში იაპონიის მთავრობამ მოახდინა ვაშინგტონის საზღვაო ხელშეკრულების დე-

ნონსირება და ხელი მიჰყო ახალი სამხედრო გემების ინტენსიურ აშენებლობას. 1935 წლის დეკემბერში ლონდონის საზღვაო კონფერენციაზე იაპონიის დელეგაციამ თავხედურად მოითხოვა იაპონიის საზღვაო ფლოტის ტონაჟის მკვეთრი გადიდების დე-იურედ ცნობა. როდესაც ამ შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებმა უარყვეს ეს მოთხოვნა, იაპონიამ 1936 წლის იანვარში დემონსტრატიულად მიატოვა კონფერენცია.

იაპონიის მმართველი წრეების აგრესიული საგარეო პოლიტიკის ორგანული ნაწილი იყო პროვოკაციებისა და შანტაჟის ის პოლიტიკა, რასაც ეწეოდნენ ისინი სსრ კავშირის წინააღმდეგ. შეიარაღებული ძალების დიდი შენაერთების კონცენტრირება ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთში, აღმოსავლეთ ჩინეთის რკინიგზის ნორმალური მუშაობის პერიოდული დარღვევა, აეროდრომების, ხანგრძლივი საცეცხლო წერტებისა და სტრატეგიული გზების მშენებლობა უშუალოდ სსრ კავშირის საზღვრების სიახლოვეს, თეთრგვარდიელთა და იაპონია-მანჯურიის რაზმების თავდასხმები სსრ კავშირის საზღვრების ცალკეულ უბნებზე ბევრის მეტყველი ფაქტები იყო.

მართალია, 1935 წლის მარტში (11), 2 წლის გაჭიანურებული მოლაპარაკების შემდეგ, მიღწეულ იქნა შეთანხმება აღმოსავლეთ ჩინეთის რკინიგზაზე სსრ კავშირის უფლების იაპონიისათვის დათმობის შესახებ (სათანადო ფულადი კომპენსაციით), მაგრამ ამან ვერ გააუმჯობესა ამ ორი ქვეყნის ურთიერთობა. პირიქით, იაპონელ იმპერიალისტთა მტრული პოლიტიკა სსრ კავშირის მიმართ 1936 წლიდან კიდევ უფრო გაძლიერდა. იაპონიის მილიტარისტულმა ხროვამ, საბჭოთა მთავრობის არაერთგზის გაფრთხილების მიუხედავად, მოუხშირა საზღვრებზე პროვოკაციულ თავდასხმებს; იდეოლოგიური ზემოქმედების ყველა საშუალება მობილიზებულ იქნა სსრ კავშირის წინააღმდეგ ღვარძლიანი ცილისწამების საწარმოებლად. ანალოგიურად მოქმედებდნენ ისინი მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკის მიმართაც.

სამხედრო-საინფლაციო კონიუნქტურა. სამხედრო-ფაშისტური დაჯგუფებები. სამხედრო-ფაშისტური ჯანყი

1932 წლიდან ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთის ოკუპაციის მომდევნო აგრესიებისა და დიდი ომისათვის მზადების შედეგად იაპონიაში შეიქმნა სამხედრო-საინფლაციო კონიუნქტურა. გამალებულმა სამხედრო შეიარაღებამ და სამხედრო მრეწველობის დაჩქარებულმა განვითარებამ ავტომატურად ხელი შეუწყო მრეწველობის სხვა დარგების განვითარებას. მას თან სდევდა საგარეო ვაჭრობის ზრდა, იაპონიის ექსპორტის გაფართოება და მონოპოლისტურ გაერთიანებათა ეკონომიურ-პოლიტიკური პოზიციების შემდგომი განმტკიცება.

იაპონიის მილიტარიზაციის შეუჩერებელმა ზრდამ და ჩინეთისა და სსრ კავშირის წინააღმდეგ დიდი ომისათვის მზადებამ არა მარტო მშრომელთა მორიგი გამემარცხენება გამოიწვია, არამედ გააღრმავა მმართველი ბანაკის რიგებში არსებული წინააღმდეგობაც. დიდი ომისათვის მზადებისა და სამხედრო ბიუჯეტის მოცულობის საკითხებზე სერიოზულად დაეჯახნენ ერთმანეთს „ძველი“ და „ახალი“ კონცერნების მხარდამჭერი ჯგუფები. 1936 წლის თებერვალში ჩატარებულმა პარლამენტის არჩევნებმა, სადაც მკვეთრად იჩინა თავი მოსახლეობის ანტისაომარმა განწყობილებამ (რის შედეგადაც წარმატება მოიპოვეს შედარებით ზომიერმა პარტიულმა დაჯგუფებებმა — მიწსეიტო, სოც. დემოკრატიული...) კიდევ უფრო გააღრმავა მმართველ ბანაკში არსებული დაპირისპირება და ქიშპობა.

პარლამენტის არჩევნებიდან რამდენიმე დღის შემდეგ გენერალ არაკთან ახლო მდგომმა „ახალგაზრდა ოფიცერთა“ ჯგუფმა, „ახალ“ კონცერნებთან კავშირში რომ იმყოფებოდა, მოახდინა ახალი სამხედრო-ფაშისტური გამოსვლა. 1936 წლის 26 თებერვალს მათ ტოკიოს უაზარმებიდან გამოიყვანეს 2 ათასამდე ჯარისკაცი და მათი მეშვეობით შეეცადნენ მოეხდინათ სახელმწიფო გადატრიალება. დედაქალაქის სამხედრო და სამოქალაქო ხელისუფალთა სრული წაყრუების პირობებში შეთქმულები დაეუფლნენ ზოგიერთ სახელმწიფო დაწესებულებას და ფიზიკურად გაუსწორდნენ მათ პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს — ფინანსთა მინისტრ ტაკაჰასის, ყოფილ პრემიერ საიტოს, სამხედრო განათლების მთავარ ინსპექტორს, გენერალ ვატანაბეს.

მეამბოხეებს სამი დღის განმავლობაში ხელთ ეპყრათ პარლამენტის, სამხედრო სამინისტროსა და ზოგიერთ სხვა სახელმწიფო დაწესებულებათა შენობა. ბევრი უმაღლესი სამხედრო პირი თანაუგრძნობდა მათ, თუმცა მხარის დაჭერისაგან თავი შეიკავეს. საერთოდ გენერალიტეტმა „უღალატა“ ხალხისაგან იზოლირებულ პუტჩისტებს, რადგან დროულად არ ჩათვალა შიშველი სამხედრო დიქტატურის დამყარება. „ახალგაზრდა ოფიცრებმა“ თავიანთი საქმე გააკეთეს; მათი მეშვეობით თავიდან იქნა მოცილებული ზომიერ-კონსერვატული ბანაკის ლიდერი ტაკაჰასი და ზოგიერთი სხვა თავკაცი. ამიტომ ბურჟუაზიისაგან გარკვეული პოლიტიკური დათმობების შედეგად არმიისა და ფლოტის უმაღლესმა შემადგენლობამ შესაძლებლად მიიჩნია გაეწირა მეამბოხეები და მოეხდინა ჯანყის ლიკვიდაცია.

1936 წლის თებერვლის სამხედრო-ფაშისტურ ჯანყს, მისი ჩაქრობის მიუხედავად, სერიოზული შედეგები მოჰყვა. ახალი მთავრობა, რომელსაც მილიტარისტებთან ახლო მდგომი დიპლომატი

ხიროტა ჩაუდგა სათავეში, ნახევრად სამხედრო და ნახევრად სამოქალაქო-ბიუროკრატიული მთავრობა იყო. სამხედრო მინისტრის პოსტი ამ მთავრობაში ეკავა გენერალ ტერაუტის, რომელიც მხედრიონის „კონტროლის ჯგუფს“ ეკუთვნოდა.

ახალმა მთავრობამ ენერგიულად განაგრძო ჩინეთისა და სსრ კავშირის წინააღმდეგ ომის მომზადება.

„ანტიკომინტერნული პაქტი“

ინტენსიურად ემზადებოდნენ რა ჩინეთისა და სსრ კავშირის წინააღმდეგ ომისათვის, იაპონელი იმპერიალისტები ცდილობდნენ შეეძინათ მოკავშირეები დასავლეთ ევროპაში. ასეთი მოკავშირეები შეიძლებოდა ყოფილიყვნენ მხოლოდ ფაშისტური გერმანია და იტალია, ე. ი. ევროპის ის აგრესიული სახელმწიფოები, რომლებიც იაპონიის მსგავსად ომის ახალ კერას ამზადებდნენ ევროპაში. ფაშისტურ გერმანიასთან და იტალიასთან დაახლოებას იაპონიის მესვეურებს უკარნახებდა აგრეთვე წინააღმდეგობათა შემდგომი გაძლიერება აშ შტატებთან და ინგლისთან, რასაც იწვევდა აგრესიის გაფართოება ჩინეთში და შორეული აღმოსავლეთის სხვა რაიონებში.

აღნიშნულ სახელმწიფოებთან დაახლოებისათვის საჭირო დიპლომატიური ნაბიჯები იაპონიის დიპლომატიამ ჯერ კიდევ 1933—1936 წლებში გადადგა. იდეურმა ნათესაობამ და საგარეო პოლიტიკის მიზანთა ერთიანობამ იაპონიას შესაძლებლობა მისცა იოლად გამოენახა საერთო ენა ფაშისტურ გერმანიასთან, იმ სახელმწიფოსთან, რომელიც გეოგრაფიულად ათასეული კილომეტრით იყო მისგან დაშორებული.

1936 წლის 25 ნოემბერს ხიროტას მთავრობამ ჰიტლერულ გერმანიასთან დადო კავშირ-მეგობრობის ხელშეკრულება (5 წლის ვადით), რომელიც „ანტიკომინტერნული პაქტის“ სახელით არის ცნობილი. ფორმალურად მისი მიზანი იყო ერთობლივი ბრძოლა კომუნისტური ინტერნაციონალისა და მისი „ძირგამომთხრელი საქმიანობის“ წინააღმდეგ. მაგრამ „ანტიკომინტერნული პაქტის“ ნიღბით იფარებოდა ორი აგრესორი სახელმწიფოს სამხედრო-პოლიტიკური კავშირი, მიმართული მშვიდობის ძალების, პირველ რიგში კი სსრ კავშირის წინააღმდეგ. აღნიშნული პაქტით გაფორმდა მსოფლიოს ორი ყველაზე აგრესიული სახელმწიფოს ურთიერთდახმარების ხელშეკრულება, რომლითაც ხელმომწერი სახელმწიფოები თავიანთი ვრცელი აგრესიული გეგმების სარეალიზაციოდ ვალდებულებას იღებდნენ დაეჩქარებინათ მსოფლიო ომის გაჩაღება სათანადო ფერების მომზადებით ევროპასა და შორეულ აღმოსავლეთში. „ანტიკომინტერნული პაქტის“ ძირითადი მიზანი იყო აგრესიულ სახელმწიფოთა ბლოკის შექმნა სსრ კავშირის წინააღმდეგ.

1937 წლის 6 ნოემბერს „ანტიკომინტერნულ პაქტს“ შეუერთდა ფაშისტური იტალია, რითაც შეიკრა „ბერლინ-ტოკიო-რომის ღერძი“. „ღერძის“ შექმნა მოასწავებდა სამი აგრესიული სახელმწიფოს კოალიციის შექმნას, კოალიციისა, რომელიც მიმართული იყო როგორც საბჭოთა კავშირის, ისე ინგლის-საფრანგეთ-აშ შტატების დაჯგუფების წინააღმდეგ. მისი ამოცანა იყო მშვიდობიანობის, თავისუფლებისა და დემოკრატიის ამ ბოროტ მტერთა, მსოფლიოს ხელმეორედ განაწილების მოსურნეთა ძალების გაერთიანება ახალი მტაცებლური ომის გასაჩაღებლად, რის შედეგადაც ფაშისტურ ბლოკს თავისი ბატონობა უნდა დაემყარებინა მთელ მსოფლიოზე.

1937 წლის თებერვალში იაპონიის მთავრობას სათავეში ჩაუდგა ხაიასი, რომელიც ივნისში თავადმა კონოემ შეცვალა. კონოეს კაბინეტი ნიშნავდა გაბატონებული კლასების სხვადასხვა დაჯგუფებების დროებით მორიგებას და მთელი მმართველი ბანაკის კონსოლიდაციას. კონსოლიდაცია მოხდა სამხედრო პროგრამის მიღებისა და ფორმალურად პარლამენტის პრეროგატიკის შენარჩუნების ბაზაზე. მის ძირითად ამოცანად იქცა დიდი ომისათვის მზადების დასრულება, ერის „სულის მობილიზაცია“ და ჩინეთის დაპყრობის გეგმის რეალიზაცია.

იაპონია 1937 — 1945 წლებში

იაპონიის თავდასხმა ჩინეთზე

1937 წლის 7 ივლისს პეკინის ახლოს ლუგოუძიაოს მიდამოებში იაპონიის წინასწარმომზადებული ჯარები ომის გამოუცხადებლად თავს დაესხნენ იქ მყოფ ჩინეთის ჯარის ნაწილებს. ამით დაიწყო იაპონიის იმპერიალიზმის ყაჩაღური ომი ჩინეთის წინააღმდეგ. პეკინის მიდამოებში დაწყებული ოპერაციები მალე მოედო მთელ ჩრდილო ჩინეთს, იქიდან კი — სხვა პროვინციებს.

იაპონელი იმპერიალისტები ფიქრობდნენ, რომ ჩინეთის წინააღმდეგ ომი ელვისებური ომი იქნებოდა და მოკლე დროში დამთავრდებოდა. გართულებული საერთაშორისო ვითარება, იაპონიის დიდი სამხედრო-ტექნიკური უპირატესობა, წინასწარ მობილიზება, დარტყმის მასირებული ძალა და მოულოდნელობა, ჩინეთის ეკონომიური და სამხედრო-ტექნიკური ჩამორჩენა, მისი ცენტრალური ხელისუფლების სისუსტე, პროიაპონური ელემენტების სიმრავლე და მრავალრიცხოვანი მოსყიდული აგენტების არსებობა („მეხუთე კოლონა“), მათი ვარაუდით, უზრუნველყოფდნენ იაპონიის არმიის სწრაფ წარმატებას და ომის ორ-სამ თვეში დამთავრებას.

მაგრამ ცხოვრებამ არ გაამართლა ეს ვარაუდი. ჩინელ ხალხს უფრო მეტი ძალა და წინააღმდეგობის უნარი აღმოაჩნდა, ვიდრე ფიქრობდნენ იაპონელი აგრესორები. რაც მთავარია, ჩინელი ხალხი-

სათვის თავდაცვითმა ომმა იაპონელ იმპერიალისტთა წინააღმდეგ მიიღო ეროვნულ-განმათავისუფლებელი, სამამულო ომის ხასიათი.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩინეთის წინააღმდეგ დაწყებულ ომს იაპონიის მმართველები მიიჩნევდნენ იმ კიდევ უფრო დიდი ომის (სსრ კავშირისა და ინგლის-ამერიკის წინააღმდეგ) ნაწილად, რომელსაც უნდა მოჰყოლოდა იაპონიის „ახალი წესრიგის" დამყარება შორეულ აღმოსავლეთში და მისი სრული გაბატონება წყნარი ოკეანის აუზში. მართალია, იაპონიის მოქმედება მკვეთრად ლახავდა ინგლის-საფრანგეთისა და ამერიკის ინტერესებს, მაგრამ ამას არ გამოუწვევია მათი სერიოზული წინააღმდეგობა. ინგლისსა და საფრანგეთს, რომელთა მმართველები „ჩაურევლობის" ყბადაღებულ პოლიტიკას ახორციელებდნენ, თანაც ჩაფლული იყვნენ ევროპის პოლიტიკური კრიზისის ჭაობში, შორეული აღმოსავლეთისათვის „არ ეცალათ". დიდად არც აშშ-ტატები აქტიურობდა ამ მიმართულებით. აღნიშნული ქვეყნები მარტო პლატონური პროტესტებით და „ჩინეთის საკითხის" ერთა ლიგაში დასმით დაკმაყოფილდნენ. როცა იაპონიის დიპლომატიამ ჩაშალა მისი განხილვა, სათანადო სახელმწიფოებმა გადაწყვიტეს მოეწვიათ ვაშინგტონის კონფერენციის მონაწილე 9 სახელმწიფოს და სსრ კავშირის წარმომადგენელთა კონფერენცია. კონფერენცია ჩატარდა 1937 წლის 3—24 ნოემბერს ბრიუსელში. იაპონიამ უარი განაცხადა კონფერენციაში მონაწილეობაზე, ამიტომ კონფერენციამ ფაქტიურად ვერაფერი ვერ გააკეთა. იგი, ისიც სსრ კავშირის წარმომადგენელთა ენერგიული მოთხოვნით, დაკმაყოფილდა ზოგადი დეკლარაციის მიღებით, რომლითაც იაპონიის მოქმედება კვალიფიცირებული იყო როგორც ცხრა სახელმწიფოს ხელშეკრულების დარღვევა.

ჩინელი ხალხის ენერგიული წინააღმდეგობის გამო იაპონელ აგრესორთა საომარმა ოპერაციებმა ჩინეთში გაჭიანურებული ხასიათი მიიღო.

ჩინეთის ყოველი ახალი დიდი ცენტრის აღებისას იაპონიის მთავრობა და პირადად კონოე მოსახლეობას არწმუნებდნენ, რომ მალე შეწყდებოდა ჩინეთის წინააღმდეგობა და იგი კაპიტულაციას მოახდენდა. მაგრამ სინამდვილემ გააცრუა ეს ფუჭი იმედები. ომის არც ამ პირველ ეტაპზე არ ყოფილა იაპონიის არმიის წინსვლა ჩინეთში ტრიუმფალური. იგი ყველგან გაუთვალისწინებელ წინააღმდეგობას აწყდებოდა და დიდ ზარალს ნახულობდა. გადამწყვეტ როლს ჩინელი ხალხის გმირულ წინააღმდეგობაში ასრულებდა ერთიანი ანტიიაპონური სახალხო ფრონტი, რომელიც მშრომელთა ფართო ბაზას ემყარებოდა და რომლის სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი ჩინეთის კომუნისტური პარტია იყო. იაპონელ იმპერიალისტთა ვერაგუ-

ლი გეგმის ჩაშლაში მეტად დიდმნიშვნელოვანი როლი შეასრულა იმავე ჩკ პარტიის ხელმძღვანელობით იაპონელთა მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიებზე გაშლილმა პარტიზანულმა ომმა, ჩინელ მშრომელთა პარტიზანულმა რაზმებმა.

იაპონიის საშინაო მდგომარეობა ომის წლებში

ჩინეთის წინააღმდეგ აგრესიული ომის დაწყებისთანავე იაპონიის მთავრობამ გაატარა ღონისძიებათა წყება, რომელთა მიზანი იყო ქვეყნის ეკონომიკის გადაყვანა საომარ რელსებზე. უკვე 1937 წლის აგვისტოში პარლამენტმა მიიღო კანონი იაპონიის მრეწველობის მობილიზაციის, ომისათვის მომუშავე მრეწველობაზე სახელმწიფო კონტროლის დაწესებისა და მთავრობის მიერ სათანადო ნედლეულ-სათბობის გეგმიანი განაწილების შესახებ...

დიდი მასშტაბის ომი დიდ რესურსებს მოითხოვდა. 1937—1938 წლებში სამხედრო ხარჯები შეადგენდა იაპონიის ბიუჯეტის საგასავლო ნაწილის 73,5%-ს. სამხედრო-სტრატეგიულ ნედლეულზე მზარდმა მოთხოვნილებამ იაპონიის მთავრობა აიძულა მკვეთრად გაედიდებინა მისი იმპორტი სხვა სახის საქონლის იმპორტისა და ოქროს მარაგის შემცირების ხარჯზე. ეროვნული ვალი, რომელიც ისედაც დიდი იყო, ომის შედეგად 10 მილიარდი იენიდან 1938 წელს 16 მილიარდ იენამდე გაიზარდა. 1938 წლის გაზაფხულზე იაპონიის პარლამენტმა მიიღო კანონი „ერის საყოველთაო მობილიზაციის" შესახებ, რომლითაც მთავრობას ენიჭებოდა განუსაზღვრელი რწმუნებები ომისათვის ადამიანთა და მატერიალური რესურსების შემდგომი მობილიზაციის, მრეწველობასა, აღებ-მიცემობასა და ტრანსპორტზე კონტროლის დაწესების საქმეში. აღნიშნული კანონი, მკაცრად კრძალავდა გაფიცვებს, შეკრებებს, ლოკაუტებს და ა. შ.

იაპონიის მრეწველობის სამხედრო რელსებზე გადაყვანამ გამოიწვია მსუბუქი, ფართო მოხმარების საგნების მწარმოებელი დარგების სერიოზული შემცირება და მის ხარჯზე მძიმე, კერძოდ სამხედრო მრეწველობის განვითარება. ამან დაარღვია წინათ არსებული პროპორცია და ცალმხრივი ხასიათი მისცა იაპონიის მრეწველობის შემდგომ ზრდას.

იაპონიის სახალხო მეურნეობის მილიტარიზაციამ და „ერის საყოველთაო მობილიზაციამ" არნახულად გაამდიდრა იაპონიის უმსხვილესი მონოპოლიები და გაადიდა მათი ხელმძღვანელი როლი პოლიტიკურ ცხოვრებაზე. მაგრამ იგი მძიმე ტვირთად დააწვა მშრომელებს. მისი ხვედრი გახდა ქანცის გამცლელი მძიმე შრომა, უუფლებობა, ახალ-ახალი გამოსაღებები, სიძვირე, პირველი მოთხოვნილების საგნების ნაკლებობა, სპეკულაცია, პერიოდული შიმშილი...

იაპონიის გაბატონებული კლასების სხვადასხვა დაჯგუფებებმა ომის დასაწყისიდანვე თავისებური „ჯენტლმენური“ შეთანხმება დადეს, რომლითაც ხელი აიღეს ურთიერთთავდასხმებზე, მთავრობის სამხედრო ღონისძიებათა კრიტიკაზე... ამის გამოხატულება იყო მთავრობის საწინააღმდეგო გამოსვლების შეწყვეტა იაპონიის პარლამენტში და პრესაში.

მაგრამ რაკი „ეროვნული სულის მობილიზაციამ“ არ გაამართლა დანიშნულება და ვერ მოიტანა საყოველთაო კლასობრივი ზავი, იაპონიის ხელისუფლებამ ისევ მოიმარჯვა ნაცადი „ხელკეტის“ პოლიტიკა და მშრომელთა დასათრგუნავად, რევოლუციურ-დემოკრატიული ელემენტების ასალაგმავად სასტიკი ფაშისტური ტერორი გააჩაღა. ტერორის სუსხი, როგორც მოსალოდნელი იყო, უპირველესად თავს დაატყდა იაპონიის კომუნისტურ პარტიას და მისი ხელმძღვანელობით მომუშავე მუშათა და გლეხთა რევოლუციურ ორგანიზაციებს. ყველას, ვინც ომის უმძიმესი პირობების მიუხედავად, განაგრძობდა თავდადებულ ბრძოლას ფაშისტური რეაქციის, მონოპოლისტთა თვითნებობის, მტაცებლური ომისა და მისი ტვირთის მშრომელებისათვის დაკისრების წინააღმდეგ, მასობრივად იჭერდნენ და საპყრობილეებში ყრიდნენ, სადაც მათ უმოწყალოდ აწამებდნენ. იაპონელი ხალხის ბევრი მოწინავე შვილი — პატრიოტი და რევოლუციონერი შეეწირა მაშინ მშვიდობისა და დემოკრატიის საქმისათვის წმიდათა წმიდა ბრძოლას.

მაგრამ „ხელკეტის“ პოლიტიკამაც, „ეროვნული სულის მობილიზაციის“ კამპანიის მსგავსად, სრული კრახი განიცადა. იაპონიის ცხოვრების ყოველდღიური სინამდვილე უფრო ძლიერი აღმოჩნდა, ვიდრე მშრომელთა წინააღმდეგ მიმართული პოლიციური ტერორის სუსხი. ცხოვრების დონის შეუჩერებელი დაცემა, უმუშევრობა, შიმშილის, ომისა და რეაქციის რეჟიმი აძლიერებდა მშრომელთა ფართო ფენებში ფეხგადადგმულ უკმაყოფილების განწყობილებას და ბიძგს აძლევდა მათ შემდგომი ბრძოლისაკენ. ამიტომ იყო, რომ „სამოქალაქო ზავის“ ნაცვლად 1937 წლიდან იაპონიაში არ წყდება მუშათა გაფიცვები, მოიჯარადრეთა გამოსვლები სოფლად და ომისაწინააღმდეგო მოძრაობა. იაპონიის კომუნისტური პარტიის საბრძოლო მოწოდებებს მასობრივად ეხმაურებიან არა მარტო მუშები და გლეხები, „შუათანა“ ფენებიც კი. ღრმა იატაკქვეშეთში მომუშავე იაპონიის კომპარტია, ისიც დაქსაქსულ ორგანიზაციებად მყოფი, აქტიურად წარმართავს როგორც ომისსაწინააღმდეგო გამოსვლებს, ისე საკუთარი კლასობრივი ინტერესების დასაცავად წარმოებულ მშრომელთა ბრძოლას.

იაპონიის ექსპანსიის გაძლიერება სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში. პროვოკაციები სსრ კავშირისა და მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკის წინააღმდეგ

1938 წლის მაისში ჩინეთთან გაჭიანურებული ომისა და საშინაო სიძნელეების ზრდის ვითარებაში კონოეემ მოახდინა თავისი კაბინეტის რეორგანიზაცია. ეს იყო ცდა მიეფუჩეჩებინათ ომით გამოწვეული შინაგანი წინააღმდეგობანი და მიეღწიათ მოქიშპე მმართველი დაჯგუფებების ერთიანობისათვის. ამიტომ იყო, რომ ამ „ეროვნული კონსოლიდაციის" მთავრობაში შეიდნენ როგორც მსხვილი მონოპოლისტური გაერთიანებების „სანდო" პოლიტიკური მოღვაწეები, ისე რეაქციული მხედრიონის ორი მოქიშპე ფრაქციის წარმომადგენლები (არაკი და უგაკი)[1].

კონოეს რეორგანიზებულმა კაბინეტმა კიდევ უფრო გააძლიერა სამხედრო-ფაშისტური დიქტატურა, განახორციელა ახალი ღონისძიებები „ერის სულისა" და მატერიალური რესურსების სამობილიზაციოდ და „ეკონომიის რეჟიმის" ნიღბით მკვეთრად გააძლიერა მშრომელთა ძარცვა. ჩინეთზე ახალი მძლავრი შეტევის მომზადებასთან ერთად მან გააააქტიურა დიპლომატიური საქმიანობა. უფრო მჭიდრო კავშირი დაამყარა ფაშისტურ გერმანიასთან და იტალიასთან და შეიმუშავა მორიგი აგრესიული აქტების გეგმები.

1938 წლის მეორე ნახევრიდან იაპონიის არმიამ დაიწყო მძლავრი შეტევა სამხრეთ ჩინეთში. მისი შედეგი იყო გუანჯოუს (კანტონი) და ზოგიერთი სხვა მნიშვნელოვანი ზღვისპირა ბაზების აღება (ოქტომბერ-დეკემბრის თვეებში) და კუნძულ ხაინანის (1939 წლის თებერვალში) და სპარტლის კუნძულების ოკუპაცია (1939 წლის მარტში).

ამ ერთგვარმა ტაქტიკურმა წარმატებებმა მაინც ვერ უშველა იაპონელთა საქმეს. მან ბოლო ვერ მოუღო გაჭიანურებულ ომს, ვერ დააჩქარა ჩინეთის კაპიტულაცია. პირიქით, სწორედ ამ დროიდან (1939 წლის გაზაფხულიდან) ჩინეთ-იაპონიის ომი შეიდა იმ ფაზაში, რომელსაც სტრატეგიული ძალთა წონასწორობა ეწოდება.

დასავლეთის სახელმწიფოების ნებაზე მიშვების პოლიტიკის მიუხედავად, იმპერიალისტური წინააღმდეგობანი იაპონიასა და ანგლო-საქსურ ქვეყნებს შორის არათუ შემცირდა, არამედ უფრო გაღრმავდა. ჩინეთის ზღვისპირა ბაზების იაპონელთა ხელში გადასვლამ შელახა ინგლის-ამერიკის ინტერესები და დიდი ზიანი მიაყენა მათ ეკონომიურ-პოზიციებს ამ ქვეყანაში. მიუხედავად ამისა, ამერი-

---

[1] გენ. არაკიმ მიიღო განათლების მინისტრის პოსტი, რათა ჩაეხშო ჭეშმარიტი კულტურა და უსასტიკესი კონტროლისათვის დაექვემდებარებინა იგი, მეორემ კი — საგარეო საქმეთა მინისტრისა.

კელი მონოპოლისტები, რომელთაც მხოლოდ მოგების ხარბი ინტერესები ამოქმედებდათ, არ წყვეტდნენ კონტაქტს იაპონელ მონოპოლიებთან და აწოდებდნენ მათ ჩინეთთან ომის გასაგრძელებლად საჭირო სტრატეგიულ ნედლეულსა და მასალას.

ინგლისის დიპლომატიამ არიტა-კრეიგის 1939 წლის შეთანხმებით არსებითად კაპიტულაცია მოახდინა იაპონიის წინაშე და ცნო „იაპონიის შეიარაღებული ძალების განსაკუთრებული საჭიროებანი ჩინეთში". რაც შეეხება აშ შტატებს, იგი იმით დაკმაყოფილდა, რომ იაპონიაზე დაწოლის მოხდენის მიზნით 1939 წლის 26 ივლისს მოახდინა იაპონია-ჩინეთის სავაჭრო შეთანხმების დენონსირება (რაც 6 თვის შემდეგ შევიდოდა ძალაში). აღნიშნული სახელმწიფოების დიპლომატიის ასეთი პოლიტიკა, რაც უდიდეს ზიანს აყენებდა როგორც მშვიდობის საქმეს მთელ მსოფლიოში, ისე თვით მათ ინტერესებს, მხოლოდ ერთ მიზანს ისახავდა: „მიუნხენური" დათმობებით მოეგოთ იაპონელ აგრესორთა გული და აღმოსავლეთისაკენ — სსრ კავშირის წინააღმდეგ — წარემართათ მისი აგრესიის მახვილი.

სწორედ ანგლო-საქსური სახელმწიფოების ამ წამქეზებლური ტაქტიკით წათამამებულმა იაპონელმა იმპერიალისტებმა, რომლებსაც სურდათ რაიმე მორიგი საგარეო პოლიტიკური აქციით აიმაღლებინათ მოსახლეობის დაცემული პოლიტიკურ-მორალური „სული", ახალ ავანტიურაზე აიღეს გეზი. მათ განიზრახეს მოეწყოთ თავდასხმა სსრ კავშირის შორეული აღმოსავლეთის საზღვარზე. 1938 წლის 29 ივნისს ქვანტუნის არმიის ორმა დივიზიამ ხასანის ტბის რაიონში (ვლადივოსტოკთან ახლო) სცადა გაერღვია სსრ კავშირის საზღვარი და ხელთ ეგდო ზაოზერნაიას სიმაღლე[1]. მაგრამ სამურაელები სასტიკად მოტყუვდნენ ანგარიშში. საბჭოთა კავშირის შეიარაღებულმა ძალებმა 11 აგვისტომდე წარმოებულ ბრძოლებში გამანადგურებელი დარტყმა აგემეს საზღვრის დამრღვევებს, უდიდესი ზარალით უკუაგდეს ისინი და წაართვეს „საზღვრის შესწორების" უნარი. იაპონიის პროვოკაციამ ხასანის ტბის რაიონში არათუ აამაღლა ამ ქვეყნის ავტორიტეტი, არამედ დიდი მატერიალურ-მორალური დამარცხება აგემა მას და ერთხელ კიდევ საქვეყნოდ ცხადი გახადა მისი სისუსტე.

„ხასანის გაკვეთილს" თითქოს ჭკუა უნდა ესწავლებინა იაპონელი იმპერიალისტებისათვის და წაერთმია მათთვის ასეთივე პროვოკაციის მოწყობის სურვილი, მაგრამ ანტისაბჭოთა სულისკვეთება ისე ჰქონდათ ძვალ-რბილში გამჯდარი იაპონიის მმართველებს, რომ

---

1 მის მიმართ იაპონიის მთავრობამ წინასწარ დიპლომატიური არხებით წამოაყენა თავისი უსაფუძვლო პრეტენზია.

იგი საშუალებას ართმევდა მათ რეალურად შეეფასებინათ ვითარება და შეეცვალათ თავიანთი პოლიტიკა დიდი მეზობლის მიმართ. პირიქით, ისინი მიილტვოდნენ სსრ კავშირთან ურთიერთობის შემდგომი გამწვავებისაკენ და ეძებდნენ საპროვოკაციო მასალას უფრო დიდი შეიარაღებული კონფლიქტისათვის. ახალი ავანტიურის ობიექტად მათ აირჩიეს საბჭოთა კავშირის მოკავშირე მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკა.

1939 წლის 11 მაისს იაპონიის არმიის რამდენიმე დივიზია მოულოდნელად თავს დაესხა მსრ სასაზღვრო საგუშაგოს ხალხინ-გოლის რაიონში და მით დაიწყო დიდი მასშტაბის შეტევა ამ ქვეყნის წინააღმდეგ. ამ დღიდან მოკიდებული სამთვენახევრის განმავლობაში აღნიშნულ რაიონებში წარმოებდა გააფთრებული ბრძოლები, რომლებშიაც ყველა სახეობის ჯარები იღებდნენ მონაწილეობას. ოპერაციებში, როგორც მოსალოდნელი იყო, მონგოლეთის სრ მესაზღვრეებთან და რეგულარული ჯარის ნაწილებთან ერთად იბრძოდნენ წითელი არმიის ნაწილები, რომლებიც 1936 წლის მეგობრობისა და უთანერთდახმარების ხელშეკრულების შესაბამისად მალე მიეშველნენ მონგოლელ ძმებს. 28 და 29 აგვისტოს საბჭოთა და მონგოლეთის არმიებმა სატანკო და საავიაციო ნაწილებთან კავშირში გაანადგურეს იაპონია-მანჯურიელთა ჯარების ნაშთები. განდევნეს ისინი მსრ ტერიტორიიდან და საბოლოოდ ჩაშალეს მათი ვერაგული ზრახვა. ხალხინ-გოლის ავანტიურა კიდევ უფრო სამარცხვინოდ დამთავრდა, ვიდრე ხასანის ტბისა.

იმპერიალისტურ წინააღმდეგობათა შემდგომი გამწვავება წყნარი ოკეანის აუზში. სსრ კავშირ-იაპონიის თავდაუსხმელობის პაქტი

ხასანის ტბასთან და ხალხინ-გოლთან განცდილმა სასტიკმა სამხედრო მარცხმა ჩაშალა იაპონელ იმპერიალისტთა ვერაგული გეგმები საბჭოთა კავშირის მიმართ. მან ცხადი გახადა საბჭოთა კავშირის შორეული აღმოსავლეთის საზღვრის მიუდგომლობა და მისი შეიარაღებული ძალების მაღალი საბრძოლო ძალა. ჩინეთთან ომის გაჭიანურება და „ჩინეთის საკითხის“ მოუგვარებლობა აგრეთვე ერთ-ერთი სერიოზული არგუმენტი იყო სსრ კავშირის წინააღმდეგ განზრახული დიდი ომის გადადების სასარგებლოდ.

ხელი არ აუღიათ რა ზემოაღნიშნულ სტრატეგიულ გეგმაზე, იაპონიის იმპერიალიზმის მესვეურებმა უფრო შორეული მომავლისათვის გადადეს მისი რეალიზაცია. უახლოეს ამოცანებად კი ფაშისტურ გერმანიასთან და იტალიასთან სამხედრო კავშირის შეკვრა, „ჩინეთის საკითხის“ მოგვარება და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებთან დასავლეთის იმპერიალისტ მეტოქეთა გაძევება, მათი რესურს-პლაცდარმების ხელში ჩაგდება დაისახეს.

1939 წლის პირველ სექტემბერს ჰიტლერული გერმანიის პოლონეთზე თავდასხმით ევროპაში დაიწყო მეორე მსოფლიო ომი. აღნიშნული ომის დაწყება იაპონიაში დაემთხვა აბეს ჩადგომას ხელისუფლების სათავეში. ახალმა მთავრობამ მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის შეცდომაში შესაყვანად 1939 წლის 4 და 13 სექტემბრის დეკლარაციებით გამოაცხადა იაპონიის ნეიტრალიტეტი, ევროპაში დაწყებულ ომში ჩაურევლობა. ეს მაშინ, როდესაც იაპონიის დიპლომატია ფარულ მოლაპარაკებას ეწეოდა გერმანია-იტალიის სამხედრო ბლოკთან შესაერთებლად. ევროპის საქმეებში ჩაურევლობა და „მშვიდობისმოყვარეობა“ მხოლოდ ტაქტიკური ნაბიჯი იყო. მას უნდა შეენიღბა ის აგრესიული საგარეო პოლიტიკური გეგმები და ვრცელი საომარი ღონისძიებები, რომელთა მახვილი მიმართული იყო „მიუნხენის პოლიტიკის“ სულისჩამდგმელ დასავლეთის იმპერიალისტური სახელმწიფოების წინააღმდეგ. არაგულწრფელი იყო იაპონიის დიპლომატიის მორიგი ნაბიჯებიც: საბჭოთა კავშირ-იაპონიის 15 სექტემბრის შეთანხმება, მსრ საზღვარზე საომარ მოქმედებათა შეწყვეტისა და საზღვრების დამზუსტებელი შერეული კომისიის შექმნა, აგრეთვე აშ შტატებთან მოლაპარაკების დაწყება ვითომდა ამ ქვეყანასთან მეგობრული ურთიერთობის აღსადგენად.

მაგრამ იაპონიის მესვეურთა ახალმა ღონისძიებებმა ქვეყნის შიგნით და მათი ექსპანსიის მკვეთრმა გააქტიურებამ სამხრეთი ზღვების რაიონში 1940 წლის მეორე ნახევრიდან (კერძოდ ფაშისტური გერმანიის მიერ ბელგია-ჰოლანდიის ოკუპაციისა და საფრანგეთის კაპიტულაციის შემდეგ), ნათელი გახადა იაპონიის „მშვიდობისმოყვარეობის“ ნამდვილი ფასი.

1940 წლის ივნისში, მმართველი წრეების სხვადასხვა დაჯგუფებებს შორის ურთიერთობის მორიგი გამწვავებისა და კლასობრივი ბრძოლის შემდგომი აღმავლობის ვითარებაში, იაპონიის ხელისუფლებას მეორეჯერ სათავეში ჩაუდგა თავადი კონოე. მან იაპონიის პოლიტიკის მთავარ მიზნად მიმდინარე ეტაპზე დაისახა ქვეყნის შინაგანი ფრონტის მორიგი განმტკიცება და საგარეო პოლიტიკაში დაცდითი პოლიტიკიდან აქტიურ მოქმედებებზე გადასვლა აღმოსავლეთ აზიაში „ახალი წესრიგის“ დასამყარებლად.

„ახალი პოლიტიკური სტრუქტურით“ (რასაც უნდა მოჰყოლოდა იაპონიის მოსახლეობის მჭიდროდ დარაზმვა მთავრობის გარშემო ქვეყნის წინაშე მდგარი „დიდი ამოცანების“ გადასაწყვეტად) მოხდა პოლიტიკური პარტიების „თვითლიკვიდაცია“, პარლამენტის პრეროგატივის მაქსიმალური შეზღუდვა, მასების ელემენტარული დემოკრატიული უფლებების სრული ლიკვიდაცია და სახელმწიფოებრივი წყობის ფაშიზაცია. დათხოვილი პარტიების ნაცვლად კონოემ შექმნა

„ტახტის დამხმარე ასოციაცია“, რომელიც იქცა ერთადერთ მონარქისტულ-ფაშისტურ პოლიტიკურ ორგანიზაციად. მისი ამოცანა იყო ხელი შეეწყო მთავრობისათვის ქვეყნის შემდგომ ფაშიზაციაში, მშრომელთა მაქსიმალურ გაძარცვასა და დასახული საგარეო პოლიტიკური გეგმების რეალიზაციაში.

აღნიშნულ პოლიტიკურ ღონისძიებებთან მჭიდრო კავშირში იყო კონოეს მთავრობის ეკონომიური ღონისძიებებიც, კერძოდ „ახალი ეკონომიური სტრუქტურის“ შექმნა. იგი მოასწავებდა იაპონიის ეკონომიკაზე სახელმწიფოს (არსებითად უმსხვილესი მონოპოლიების) კონტროლის მკვეთრ გაძლიერებას, მის სრულ გადაყვანას საომარ რელსებზე, მეტროპოლიისა და კოლონიების მშრომელთა ძარცვის სრულყოფას და ეკონომიკის მართვის სახელმწიფო კაპიტალისტური სისტემის ნიღბით მონოპოლისტური მაგნატების განუყოფელი ბატონობის დამყარებას.

კონოეს მთავრობამ, გაატარა რა სათანადო ღონისძიებები ქვეყნის შიგნით, 1940 წლის მეორე ნახევრიდან ხელი მოჰკიდა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების მიმართ დასახული გეგმების რეალიზაციას. მან მიზნად დაისახა ძალის მეშვეობით მონოპოლიური პოლიტიკური და ეკონომიური ბატონობის დამყარება რესურსებით მდიდარ და შესანიშნავი სამხედრო-სტრატეგიული მდებარეობის მქონე ინდონეზიაზე, ფილიპინებზე, ვიეტნამზე, ბირმაზე და ინდოჩინეთის სხვა ქვეყნებზე.

1940 წლის ივლისში იაპონიამ აიძულა ინგლისის მაშინდელი მთავრობა დაეხურა ბირმა-ჩინეთის გზა და შეეწყვიტა იქიდან ჩინეთისათვის საქონლის მიწოდება. მალე ამას მოჰყვა (სექტემბერში) იაპონიის ჯარების მიერ საფრანგეთის ინდო-ჩინეთის ოკუპაცია. იგი განხორციელდა საფრანგეთის ვიშის მთავრობისა და მისი კოლონიური ხელისუფლების გამცემლობისა და ინგლის-ამერიკის მმართველი წრეების აშკარა წაყრუების მეოხებით. ვიეტნამის ბაზებთან ერთად იაპონიის იმპერიალიზმმა შეძლო თავისი ეკონომიური და პოლიტიკური კონტროლი დაეწესებინა კამბოჯაზე, ლაოსზე და ტაილანდზე.

აღნიშნული წარმატებებით გათამამებულმა იაპონელმა იმპერიალისტებმა ბირმასაც წაუპოტინეს მტაცებლური თათები, თანაც ჰოლანდიის კოლონიურ ხელისუფლებასთან გამართეს ფარული მოლაპარაკება ინდონეზიაში ეკონომიური პრივილეგიების მოსაპოვებლად.

იაპონიის მთავრობამ, რომელმაც კარგად იცოდა, რომ მზარდი სამხედრო, პოლიტიკური და ეკონომიური ექსპანსია სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, რომელიც მკვეთრად ლახავდა ინგლის-ამერიკის ინტერესებს, ქმნიდა მათთან სამხედრო შეჯახების შესაძლებლობას,

დააჩქარა ევროპელ თანამზრახველებთან აგრესიული კავშირის შეკვრა. 1940 წლის 27 სექტემბერს ბერლინში ხელი მოაწერეს ე. წ. „სამთა პაქტს“ — სამხედრო კავშირს გერმანიასა, იტალიასა და იაპონიას შორის. „სამთა პაქტი“ არა მარტო აწესებდა და მიჯნავდა იაპონიისა და გერმანია-იტალიის „ახალი წესრიგის“ გავლენის სფეროებს, არამედ ითვალისწინებდა ყოველ მხრივ ურთიერთდახმარებას. ფორმალურად იგი ინგლისისა, აშ შტატებისა და ჩინეთის წინააღმდეგ იყო მიმართული, მაგრამ ამ ბოროტ აგრესორთა ბლოკის მახვილი უპირატესად საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ იყო დამიზნებული. „თუმცა არსებობს თავდაუსხმელობის ხელშეკრულება (საბჭოთა კავშირ-გერმანიისა, ვ. დ.),—ამბობდა ამ პაქტზე ხელმომწერი იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრი მაცუოკა, — მაგრამ იაპონია დაეხმარება გერმანიას საბჭოთა კავშირ-გერმანიის ომის შემთხვევაში, გერმანია კი — იაპონიას რუსეთ-იაპონიის ომის შემთხვევაში“.

ამ ნაბიჯის პარალელურად კონოეს მთავრობა შეეცადა გამოსულიყო „ჩინეთის ჭაობიდან“ და საჭირო ხელშეკრულება დაედო ჩან კაი-შის მთავრობასთან. მაგრამ ჩინელი ხალხის საყოველთაო პატრიოტული აღტყინების ვითარებაში ჩან კაი-შის ხროვამ, კაპიტულანტური განწყობილების მიუხედავად, ვერ გაბედა აშკარა ღალატი ჩაედინა და სრული კაპიტულაცია მოეხდინა იაპონელთა წინაშე. ასეთ პირობებში კონოე იმით დაკმაყოფილდა, რომ ნანკინში იაპონელთა აგენტის ვან ძინ-ვეის ხელმძღვანელობით შექმნა ცენტრალური მარიონეტული „მთავრობა“ და 1940 წლის 30 ნოემბერს მასთან დადო ხელშეკრულება, რითაც მარიონეტმა მიიღო იაპონელთაგან წაყენებული ყველა მტაცებლური მოთხოვნა. მაგრამ გამყიდველი ვან ხინ-ვეის მიერ დაშტამპულ კაბალურ ხელშეკრულებას არავითარი ფასი არ ჰქონდა. იგი არ გამოხატავდა ჩინელი ხალხის ნებასურვილს და მისი ინტერესების წინააღმდეგ იყო მიმართული.

მაგრამ იაპონიის დიპლომატია ამით არ დაკმაყოფილდა. მან განიზრახა მოეწესრიგებინა ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან. იაპონიის მესვეურებს ამით სურდათ დაეფარათ ჩრდილო აღმოსავლეთ ჩინეთის საბჭოთა კავშირზე თავდასხმისათვის წარმოებული დიდი მზადება, თანაც ინგლის-ამერიკასთან მოსალოდნელი ომის პირობებში მოეპოვებინათ იაპონიის საზღვრების გარანტირებული უსაფრთხოება ამ ფლანგზე.

1940 წელს იაპონიის მთავრობამ წინადადებით მიმართა სსრ კავშირის მთავრობას დაედოთ იაპონია-საბჭოთა კავშირის პაქტი ნეიტრალიტეტის შესახებ. სამშვიდობო პოლიტიკის თანმიმდევრულმა ქომაგმა საბჭოთა მთავრობამ მიიღო ეს წინადადება და გამოთქვა მზადყოფნა ეწარმოებინა სათანადო მოლაპარაკება. იაპონია-საბჭოთა

კავშირის მოლაპარაკების შედეგად 1941 წლის 13 აპრილს მოსკოვში ხელმოწერილ იქნა პაქტი ნეიტრალიტეტის შესახებ სსრ კავშირსა და იაპონიას შორის. იაპონიის მხრივ დასკვნით მოლაპარაკებაში მონაწილეობდა და პაქტზე ხელი მოაწერა იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრმა მაცუოკამ[1].

პაქტი ხელმომწერ მხარეებს ავალდებულებდა დაეცვათ ურთიერთშორის მშვიდობიანი, მეგობრული ურთიერთობა და პატივი ეცათ ერთიმეორის ტერიტორიული მთლიანობისა და ხელშეუხებლობისათვის. ხელმომწერი მხარის მესამე სახელმწიფოსთან ან რამდენიმე სახელმწიფოსთან ომის შემთხვევაში მეორე ხელმომწერი მხარე ვალდებული იყო დაეცვა ნეიტრალიტეტი. პაქტს თანდართული ჰქონდა დეკლარაცია მონგოლეთის სრ და მანჯოუ-გოუს ტერიტორიული მთლიანობისა და ხელშეუხებლობის ურთიერთპატივისცემის შესახებ.

მიუხედავად იმ ვერაგული მოტივებისა, რომელიც ამოქმედებდა იაპონიას აღნიშნულ პაქტზე ხელმოწერისას, მიუხედავად იმისა, რომ იგი არ აპირებდა დაეცვა მით ნაკისრი ვალდებულებები, აღნიშნული პაქტი მაინც საბჭოთა კავშირის სამშვიდობო პოლიტიკის სერიოზული გამარჯვება იყო. ამით საბჭოთა კავშირმა გარკვეულ დრომდე განამტკიცა მშვიდობა შორეულ აღმოსავლეთში და დაიცვა აქ მისი საზღვრების უსაფრთხოება...

ომის დაწყება წყნარი ოკეანის აუზში

იაპონიის აგრესიის სფეროს გაფართოებამ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში უკიდურესობამდე გაამწვავა იაპონიისა და ინგლის-ამერიკის იმპერიალისტური წინააღმდეგობანი. მათ შორის ომი შესაძლებლობის ზღუდეს მიუახლოვდა. იაპონიის მმართველმა წრეებმა, რომლებმაც ხელი წაუპოტინეს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის კონტინენტური ნაწილისა და ინდონეზია-ფილიპინების კოლოსალურ სტრატეგიულ ნედლეულსა და ბაზებს, მტკიცე გეზი აიღეს აშ შტატებთან და მის მოკავშირეებთან ომზე. ომი ისეთ ძლიერ სახელმწიფოსთან, როგორიც იყო აშ შტატები, რომელსაც მოკავშირეებიც ჰყავდა, იოლი საქმე არ იყო და სერიოზულ მომზადებას მოითხოვდა. იაპონიის საზღვაო გენერალური შტაბი ამუშავებდა წყნარი ოკეანის აუზის ცენტრალურ ნაწილში აშ შტატების მთავარ საზღვაო ბაზაზე — პერლ-ჰარბორზე მოულოდნელი თავდასხმის გეგმას. მიმდინარეობდა ახალი სამხედრო გემების მასობრივი მშენებლობა და სისტემა-

---

[1] იგი ბერლინიდან ჩამოვიდა, სადაც ჰიტლერთან და რიბენტროპთან ფარულ მოლაპარაკებას ეწეოდა მოქმედების ერთიანობის თაობაზე. მან ბერლინში მიიღო ამომწურავი ცნობები ჰიტლერის მიერ საბჭოთა კავშირზე მომზადებული თავდასხმის შესახებ.

ტური საზღვაო მანევრები, სადაც მუშავდებოდა და ზუსტ-დებოდა პერლ-ჰარბორზე თავდასხმის დეტალები... მაგრამ აშ შტატების ბაზებზე დარტყმის სტრატეგიული გეგმის სისრულეში მოსაყვანად საჭირო იყო დრო, სათანადო მზადების საიდუმლოდ ჩატარება და მომავალი მტრის სიფხიზლის მოდუნება. სწორედ ამ მიზანს ისახავდა იაპონიის მთავრობის მიმართვა აშ შტატების მთავრობისადმი დაწყებულიყო მოლაპარაკება სადავო საკითხების მშვიდობიანად მოსაგვარებლად. აშ შტატების მთავრობამ, რომელიც, მის მიერ ყოველი შემთხვევისათვის მიღებული ზომების მიუხედავად, არ იყო მზად იაპონიასთან მოსალოდნელი ომისათვის, მიიღო იაპონიის მთავრობის წინადადება.

1941 წლის მარტში ვაშინგტონში მაღალ დონეზე დაიწყო იაპონია-ამერიკის მოლაპარაკება. აშ შტატების მხრივ მოლაპარაკებაში უშუალო მონაწილეობას იღებდა სახელმწიფო მდივანი კ. ხელი, იაპონიისაგან — იაპონიის ვაშინგტონელი ელჩი, ადმირალი ნომურა. დასკვნით ეტაპზე ნომურას „დასახმარებლად" გაიგზავნა იაპონიის ყოფილი ელჩი გერმანიაში კურუსუ. ორი მაღალი რანგის იაპონელი დიპლომატის მონაწილეობას მოლაპარაკებაში აშ შტატებში უნდა შეექმნა შთაბეჭდილება იაპონიის დიდ დაინტერესებაზე მოლაპარაკების წარმატებით.

მოლაპარაკების დროს იაპონიის დიპლომატია შეგნებულად აყენებდა მიუღებელ მოთხოვნებს. იგი დაჟინებით მოითხოვდა, რომ აშ შტატებს და მის მოკავშირეებს (ინგლისი, ჰოლანდია...) ეცნოთ იაპონიის ხელმძღვანელი როლი სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიასა და ჩინეთში, შეუფერხებლად მოემარაგებინათ იგი სამხედრო-სტრატეგიული ნედლეულით, მიეცათ მისთვის მონოპოლიური უფლება მოეგვარებინა „ჩინეთის საკითხი" მისთვის სასურველ პირობებში, შეენარჩუნებინა სამთა პაქტი და ა. შ. ამავე დროს იაპონია უარს აცხადებდა წასულიყო რაიმე დათმობაზე ჩინეთისა და მანჯოუგოუს საკითხში...

1941 წლის 20 ნოემბერს (როცა იაპონიის სარდლობამ ძირითადად დაამთავრა არმიისა და ფლოტის დისლოკაცია აშ შტატების, ინგლისისა და ჰოლანდიის ბაზებზე მოულოდნელი თავდასხმისათვის და საბოლოოდ დააზუსტა თავდასხმის გეგმის ყველა დეტალი) ნომურამ და კურუსუმ ტოკიოდან მიღებული მითითების შესაბამისად აშ შტატების სახელმწიფო დეპარტამენტს წარუდგინეს იაპონიის საბოლოო მოთხოვნები, რომლითაც აშ შტატებს ხელი უნდა აეღო იაპონია-ჩინეთის ურთიერთობაში ჩარევაზე და, მაშასადამე, მიეცა იაპონიისათვის ჩინეთის მონოპოლიური ძარცვის უფლება. ამის საანაცვლოდ იაპონია პირობას იძლეოდა გამოეყვანა ჯარები სამხრეთ

ინდო-ჩინეთიდან და არ ეწარმოებინა საომარი მოქმედებები სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში.

აშ შტატების მთავრობამ უარყო იაპონიის ეს მოთხოვნები და 26 ნოემბერს თვით წარუდგინა მას კონტრმოთხოვნები. აღნიშნული კონტრწინადადებებით აშ შტატების მთავრობა, რომელსაც სურდა მიეღწია იაპონიასთან კომპრომისული შეთანხმებისათვის, ზოგიერთ არსებით დათმობაზე მიდიოდა.

იაპონიის მთავრობამ, ცხადია, უარყო ამერიკელთა კონტრწინადადება[1], მაგრამ მაინც საჭიროდ ჩათვალა განეგრძო სავსებით ჩიხში მომწყვდეული მოლაპარაკება. მოლაპარაკების საფარველქვეშ იაპონიის არმიისა და ფლოტის სარდლობამ უღრმესი საიდუმლოების პირობებში განახორციელა ფლოტის დიდი შენაერთების კონცენტრაცია მომავალი დარტყმების რაიონებში (კერძოდ პერლ-ჰარბორის ბაზაზე). ამის პარალელურად ხაინანზე, ტაივანსა, ინდო-ჩინეთსა და სხვა ბაზებში თავმოყრილ იქნა 3—4 არმია (400—500 ათასი კაცი) და ათასობით თვითმფრინავი. მოლაპარაკების ფარსი უნდა დამთავრებულიყო საიდუმლო მზადების დამთავრებისა და მომავალი მოწინააღმდეგეებისათვის პირველი მოულოდნელი დარტყმების მიყენებისთანავე.

საბოლოო გადაწყვეტილება დარტყმის სამხრეთი მიმართულების შესახებ იაპონიის მმართველმა წრეებმა მიიღეს 1941 წლის მეორე ნახევარში, როცა დაწყებული იყო საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომი ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ. ამ გადაწყვეტილებას წინ უძღოდა მძაფრი ბრძოლა სხვადასხვა მიმართულებებს შორის. მაგალითად, ტოძიო-მაცუოკას ჯგუფი მოითხოვდა გერმანიასთან დადებული სამოკავშირეო ხელშეკრულების შესრულებას და საბჭოთა კავშირზე თავდასხმას. მართალია, ხასანის ტბასთან და ხალხინ-გოლთან განცდილმა გამანადგურებელმა დამარცხებებმა და შორეული აღმოსავლეთის საზღვრის მიუვალობამ იაპონიის მთავრობა აიძულა უარეყო ზემოაღნიშნული ავანტიურისტული გეგმა და დაცდის ტაქტიკის გზას დასდგომოდა, მაგრამ მაინც შეინარჩუნა საბჭოთა კავშირზე თავდასხმის სტრატეგიული გეგმა. იგი მზად იყო სისრულეში მოეყვანა ეს გეგმა შესაფერისი ხელსაყრელი პირობების დადგომისთანავე. ისინი იმედოვნებდნენ ჰიტლერელ ოკუპანტთა სწრაფ გამარჯვებას საბჭოთა კავშირზე, რაც საშუალებას მისცემდა მათ აემოქმედებინათ საბჭოთა კავშირ-შანჯურიისა და საბჭოთა

---

[1] ჯერ კიდევ 1941 წლის 5 ნოემბერს იაპონიის ახალმა მთავრობამ, რომელშიაც პრემიერის პოსტზე კონოე გენერალმა ტოძიომ შეცვალა, მიიღო გადაწყვეტილება მოლაპარაკების 25 ნოემბრისათვის დამთავრებისა და მის შემდეგ ომის დაწყების შესახებ. საჭირო მზადება ამ დროისათვის უკვე დასრულებული იყო.

კავშირ-კორეის საზღვრებთან კონცენტრირებული ქვანტუნის თითქმის მილიონიანი არმია და დაეძრათ იგი საბჭოთა შორეული აღმოსავლეთისა და ციმბირის დასაპყრობად. მაგრამ იაპონელ იმპერიალისტებს არ გაუმართლდათ ეს იმედები. იგი ჩაშალა საბჭოთა ხალხის გმირულმა წინააღმდეგობამ, კერძოდ ჰიტლერული არმიის სასტიკმა მარცხმა მოსკოვის მისადგომებთან. აი, სწორედ ამ ამბების შედეგად საბოლოოდ არჩეულ იქნა ომის სამხრეთი მიმართულება.

1941 წლის 7 დეკემბრის გარიჟრაჟზე, სათანადო მზადების დასრულების შემდეგ, იაპონიის შეიარაღებული ძალები მოულოდნელად თავს დაესხნენ პერლ-ჰარბორს (ჰავაის კუნძულებზე) და დიდი ზიანი მიაყენეს იქ ბაზირებულ აშ შტატების წყნარი ოკეანის ფლოტსა. და ავიაციას[1]. პერლ-ჰარბორთან ერთად იაპონელები თავს დაესხნენ სინგაპურს, ჰონკონგს, ფილიპინებს, მალაიას, ამერიკის კუთვნილ კუნძულებს წყნარ ოკეანეში: მიდუის, უეკსა და გუამს... მხოლოდ ამ მუხანათური აქტის შემდეგ, 7 დეკემბერს 11 საათსა და 45 წუთზე გამოქვეყნდა იაპონიის იმპერატორ ხიროხიტოს დეკლარაცია აშ შტატებისა და ინგლისისათვის ომის გამოცხადების შესახებ.

ასე დაიწყო იმპერიალისტური იაპონიის ომი აშ შტატების, ინგლისისა და მათი მოკავშირეების წინააღმდეგ. იგი წარმოადგენდა ტიპიურ იმპერიალისტურ ომს, რომელიც აღმოცენდა თანამედროვე მონოპოლისტური კაპიტალიზმის დაუძლეველ წინააღმდეგობათა შედეგად. ამერიკა-იაპონიის ანტაგონიზმს წყნარი ოკეანის აუზში იმდენად ღრმა ხასიათი ჰქონდა, რომ სათანადო „გორდიის კვანძის“ გახსნა მხოლოდ ომის მეშვეობით შეიძლებოდა. იაპონელების მიერ წყნარი ოკეანის აუზში გაჩაღებული ომი, რომელიც იქ წარმოშობილი ომის კერაზე დაინთო, წარმოადგენდა უკვე დაწყებული მეორე მსოფლიო ომის განუყრელ ნაწილს და მსოფლიო კაპიტალისტური სისტემის საერთო კრიზისის შემდგომი გაღრმავების გამოხატულებას.

იაპონიის წარმატებები ომის პირველ ეტაპზე და მისი მიზეზები

იმპერიალისტური იაპონია, დიდი ომი რომ დაიწყო აშ შტატების, ინგლისისა და მისი მოკავშირეების წინააღმდეგ, ფაშისტური გერმანიის მსგავსად, იმედოვნებდა მოკლე დროში წარმატებით დაეგვირგვინებინა იგი. მოკავშირეთა მოუმზადებლობა, მოულოდნელი ელვისებური დარტყმა, მტრის საყრდენი ბაზების წყობიდან გამოყვანა ან დაუფლება, ავიაციის,

---

1 თავდასხმის მომენტისათვის ვაშინგტონის მოლაპარაკება ფორმალურად შეწყვეტილი არ იყო. მხოლოდ ამ თავდასხმიდან რამდენიმე საათის შემდეგ აცნობეს ნიმურამ და კურუსუმ აშ შტატების სახელმწიფო მდივანს, რომ იაპონია აშ შტატების შეურიგებელი პოზიციის გამო წყვეტდა შემდგომ მოლაპარაკებას.

ფლოტისა და სადესანტო ნაწილების კონცენტრირებული მოქმედება თითქოს უზრუნველყოფდა „ბლიცკრიგის“ გეგმის რეალიზაციას და იაპონიის მონოპოლიური ბატონობის დამყარებას ჩინეთსა და წყნარი ოკეანის აუზში. მაგრამ იაპონელ იმპერიალისტთა ეს ვარაუდი ისეთივე უნიადაგო აღმოჩნდა, როგორც მათი ევროპელი მოკავშირის — ფაშისტური გერმანიისა. ცხოვრებამ მწარედ დასცინა მათ და ჩაშალა მათი ფანტასტიკური გეგმები.

ომის საწყის ეტაპზე, რომელიც 1942 წლის მაისამდე გრძელდებოდა, იაპონელებმა სერიოზული წარმატებები მოიპოვეს. შედარებით მოკლე დროში ისინი დაეუფლნენ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების უმეტესობას: ფილიპინებს, მალაიას, ბირმას, ინდონეზიას, ტაილანდს, სინგაპურს, ჰონკონგს... ბირმის ტერიტორიიდან ისინი შეიჭრნენ სამხრეთ-დასავლეთ ჩინეთში (იუნანის პროვინციაში)... გარდა აღნიშნულისა, იაპონელებმა ხელთ იგდეს ახალი გვინეისა და ალეუტის არქიპელაგის ნაწილი, წყნარი ოკეანის მრავალი კუნძული (სოლომონის კ-ბი...) და უშუალო საფრთხე შეუქმნეს ავსტრალიასა და ინდოეთს. 1942 წლის ივნისისათვის იაპონელთა მიერ ოკუპირებული ტერიტორიების ფართობი უდრიდა 4 მილიონ კვადრატულ კილომეტრს 150 მილიონამდე მოსახლეობით (ჩინეთის ოკუპირებული ტერიტორიების ჩათვლით კი 9,8 მლნ კვ. კმ 400 მილიონი მოსახლეობით). იაპონიის საომარ მოქმედებათა ფრონტი გადაჭიმული იყო უზარმაზარ ტერიტორიაზე ჩრდილოეთიდან სამხრეთამდე (15 ათასი კმ) და დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ. იაპონელთა მნიშვნელოვანი წარმატებები ომის დასაწყის ეტაპზე იმ ფაქტორებმა განაპირობა, რასაც ისინი ვარაუდობდნენ, კერძოდ ეს იყო ევროპელ მოკავშირეთა — ფაშისტური გერმანიისა და ფაშისტური იტალიის[1] ეფექტური დახმარების, მათ მიერ აშ შტატებისა და ინგლისის ძირითადი ძალების შებოჭვის იმედი; აშ შტატების, ინგლისისა და მათი მოკავშირეების მიერ სუსტი წინააღმდეგობის გაწევა მათი მოუმზადებლობის გამო და სხვ.

მაგრამ 1942 წლის მაისიდან აშ შტატებისა და მისი მოკავშირეების წინააღმდეგობის გაძლიერების შედეგად იაპონელთა შეტევითი ძალა ეცემა. სწრაფ გამარჯვებებს ცვლის თვალუწვდენელი ფრონტის ცალკეულ უბნებზე სერიოზული დამარცხებები და თავდაცვაზე გადასვლა; დგება ე. წ. ძალთა წონასწორობის პერიოდი. 1942 წლის 6—8 მაისის რიცხვებში მარჯნის ზღვაში და 3—6 ივნისს წყნარი ოკეანის ცენტრალურ ნაწილში მიდუის კუნძულთან მომხდარ დიდ

[1] ამ ქვეყნებმა 1941 წლის 11 დეკემბერს ომი გამოუცხადეს აშ შტატებს. იმავე 11 დეკემბერს ბერლინში ხელმოწერილ იქნა ახალი სამხედრო პაქტი ინგლისისა და აშ შტატების წინააღმდეგ ერთობლივი მოქმედების შესახებ.

საზღვაო ბრძოლებში (ავიამზიდებზე ბაზირებული ავიაციის აქტიური მონაწილეობით) იაპონიამ სერიოზული მარცხი განიცადა. მან დაკარგა დიდძალი თვითმფრინავი და ათეული დიდი სამხედრო გემი, კერძოდ ავიამზიდები, სახაზო გემები და მძიმე კრეისერები. აღნიშნული ბრძოლების შედეგად იაპონია იძულებული გახდა ხელი აეღო შემდგომი შეტევების განზრახვაზე, შეემჭიდროებინა უაღრესად გაჭიმული კომუნიკაციები და დაპყრობილი ტერიტორიების დაცვაზე ეფიქრა. სწორედ ამ დროიდან იწყება გარდატეხა და მზადება ინგლის-ამერიკის კოალიციის მასირებულ კონტრშეტევაზე გადასვლისათვის.

გარდატეხა ომის მსვლელობაში წყნარ ოკეანეზე. იაპონიის საშინაო ეკონომიური სიძნელეების ზრდა და მასების ომისსაწინააღმდეგო განწყობილების აღმავლობა

იაპონიის მმართველმა წრეებმა, რომლებმაც კარგად დაინახეს „ელვისებური დარტყმის“ გეგმის ჩაშლა, ომის მსვლელობაში მომხდარი მათთვის არასასიამოვნო გარდატეხა და მისი გაჭიანურებული ხასიათი, გაატარეს ახალ ღონისძიებათა მთელი წყება, რომელთა მიზანი იყო ომის შემდგომი გაგრძელება ინგლის-ამერიკის წინააღმდეგ და მისი ძლევამოსილად დაგვირგვინება.

1943 წელს უმსხვილესი კონცერნების („ძაიიბაცუ“) მოთხოვნით მოხდა „ახალი ეკონომიური სტრუქტურის“ რეფორმა, რის შედეგადაც მკვეთრად გაძლიერდა მოცუის, მიცუბისის, ფურუკავას, სუმიტომოსა და სხვა კონცერნების რწმუნებები სამხედრო წარმოების გარდაქმნისა და გაძლიერების საქმეში. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა რა სამხედრო წარმოების ბაზის — შავი და ფერადი მეტალურგიის, მანქანათმშენებლობის დაჩქარებულ განვითარებას, ხელისუფლებამ მონოპოლიათა სრულყოფილ კონტროლს დაუქვემდებარა ტანკების, სამხედრო გემების, თვითმფრინავების, ზარბაზნების, ავტომატური იარაღისა და სხვა საომარ მასალათა წარმოება. იმავე 1943 წელს (გაზაფხულზე) პრემიერ-მინისტრ ტოძიოს მიენიჭა განსაკუთრებული რწმუნებები, თანაც შეიქმნა „მრჩეველთა კომიტეტი“, რომლის ნიღბით მსხვილი კონცერნების მაგნატებმა თავიანთ კონტროლს დაუქვემდებარეს არა მარტო სამხედრო მრეწველობა, არამედ მთელი ეკონომიკა და მთავრობის საქმიანობა. დაბოლოს, 1943 წლის სექტემბერში გაუქმდა მხედრიონის შტაბი — „საგეგმო ბიურო“ და ოქტომბერში დაარსდა შეიარაღების სამინისტრო, რომელსაც ამოცანად დაუსახეს იაპონიის, მისი კოლონიებისა და ახლად ოკუპირებული ქვეყნების ეკონომიური რესურსების მაქსიმალური მობილიზაცია და ომის მიზნებისათვის ეფექტური გამოყენება.

აღნიშნულმა ღონისძიებებმა, რომლებიც ეკონომიკაზე სახელ-

მწიფო კონტროლის გაზრდის საჭიროებით შეინიღბა, მეტისმეტად გააძლიერა იაპონიისა და მისი კოლონიების მშრომელთა ძარცვა. უკიდურესობამდე გაზარდა მისი სიდუხჭირე და ამის პარალელურად 3—4-ჯერ გაადიდა „ძაიბაცუს“ მოგება. ფინანსების მძიმე მდგომარეობა, სასურსათო სიძნელეები და სხვ. ოდნავადაც არ გამოსწორებულა. იაპონიის მრეწველობა ნედლეულის, მუშახელის, სპეციალისტების ნაკლებობისა და სამრეწველო ბაზის სივიწროვის გამო ვერ აწვდიდა ფრონტს საჭირო რაოდენობის საომარ აღჭურვილობას. ახალი გემების, თვითმფრინავებისა და არტილერიის რაოდენობა ვერ ანაზღაურებდა დიდ დანაკლისს. ტრანსპორტის ნაკლებობის, სიშორის, მტრის ფლოტისა და ავიაციის მოქმედებისა და მკვიდრი მოსახლეობის მზარდი წინააღმდეგობის გამო იაპონიამ ვერ შეძლო დაპყრობილი ქვეყნების აურაცხელი ბუნებრივი სიმდიდრეების ათვისება. იაპონელ ოკუპანტებს ვერ უშველა იმანაც, რომ „ახალ წესრიგს“ აღმოსავლეთ აზიაში ატარებდნენ „აზია აზიელებისათვის“ ლოზუნგით და ყოველმხრივ ცდილობდნენ დასავლეთის კოლონიზატორების მიერ დამონებული აზიის ხალხების მეგობრებად გაესაღებინათ თავი. იაპონელთა სამხედრო-საოკუპაციო რეჟიმის აუტანელმა ხასიათმა მალე გაფანტა დაპყრობილი ქვეყნების მოსახლეობაში პირველ ხანებში ფეხმოკიდებული ილუზიები და გააშიშვლა „ახალი წესრიგის“ რასისტულ-ფაშისტური არსი.

იაპონიის მმართველი წრეების მიერ მიღებული საგანგებო ზომების მიუხედავად, არც 1942 წლის მეორე ნახევრიდან გაუღიმა ომის ბედმა იაპონელებს. პირიქით, მათი მდგომარეობა უფრო გაუარესდა. აშ შტატების, ინგლისისა და მათი მოკავშირეების გაძლიერებულმა დარტყმებმა იაპონელთა მიერ დაპყრობილი ტერიტორიების დაკარგვის საფრთხე შექმნა.

როგორც 1942 წლის პირველ ნახევარში, მომდევნო პერიოდებშიც წყნარი ოკეანის აუზში წარმოებულ ომზე გადამწყვეტ გავლენას ახდენდა საბჭოთა ხალხის გმირული ბრძოლა ჰიტლერელი დამპყრობლების წინააღმდეგ. სწორედ საბჭოთა ფრონტზე წყდებოდა ორ ბანაკს შორის მსოფლიოში მიმდინარე ომის ბედი. დიდმა ბრძოლამ სტალინგრადთან, რის შედეგადაც საბჭოთა კავშირის შეიარაღებულმა ძალებმა ხერხემალი გადაუტეხეს ფაშისტ მხეცს, საშუალება მისცა ინგლის-ამერიკასა და მის მოკავშირეებს დაეწყოთ გეგმაზომიერი კონტრშეტევა იაპონელთა წინააღმდეგ.

ამერიკისა და მისი მოკავშირეების შეტევის მთავარი ობიექტები იყო ალეუტის კუნძულები, სოლომონის კუნძულები და ახალი გვინეა. ამ ბაზებისათვის წარმოებულ გააფთრებულ ბრძოლებში იაპონიის ავიაციამ, სამხედრო და სავაჭრო ფლოტმა და ცოცხალმა

ძალამ დიდი ზარალი განიცადა. 1943 წლის შემოდგომაზე ეს ბრძოლები იაპონელთა დამარცხებით დამთავრდა. ალეუტის არქიპელაგის ოკუპირებული კუნძულები, სოლომონის კუნძულები... და ახალი გვინეის სამხრეთი ნაწილი მოკავშირეთა ხელში გადავიდა. 1944 წლის დასაწყისისათვის მოკავშირეებმა შეძლეს სავსებით გაეწმინდათ იაპონელებისაგან წყნარი ოკეანის ცენტრალური და სამხრეთ-დასავლეთი აუზის ბაზები. 1944 წლის იანვარში ამერიკელებმა დესანტები გადასხეს მარშალის კუნძულებზე, ხოლო ცოტა უფრო გვიან — კაროლინისა და მარიანის კუნძულები და კუნძული საიპანი აქციეს შეტევის ობიექტებად.

განცდილი სერიოზული დამარცხებების შედეგად კიდევ უფრო რელიეფურად იჩინა თავი იაპონიის იარებმა. იაპონიას აღარ შეეძლო შეევსო ცოცხალი ძალის, ავიაციის, სამხედრო-საზღვაო ფლოტისა და ტრანსპორტის საშუალებათა კოლოსალური დანაკარგი. კომუნიკაციების უზომო გაჭიმულობამ და ჩინეთის ფრონტის „სტაბილურობამ" შეტად გააძნელა საწვავის, ცოცხალი ძალის, იარაღის, სურსათისა და ომისათვის საჭირო სხვა საშუალებათა გადასროლა ომის სხვადასხვა ფრონტებზე. იაპონიის მრეწველობას, რომელსაც ისედაც ბევრი „სუსტი ადგილი" ჰქონდა მოკავშირეთა ავიაციის იაპონიის ქალაქებზე გახშირებული თავდასხმების შედეგად, აღარ შეეძლო აენაზღაურებინა ტექნიკის დიდი დანაკლისი... ამას ზედ დაერთო გამარჯვების რწმენის დაკარგვა, მშრომელთა ცხოვრების პირობების კატასტროფული დაცემა და აქედან გამომდინარე ომისაწინააღმდეგო განწყობილების ეაღვივება მშრომელი მილიონების რიგებში. რევოლუციური კრიზისის გაღრმავება, დაბოლოს, ფილიპინების, ინდონეზიის, ვიეტნამის, ბირმის, მალაიისა და სხვა ოკუპირებული ტერიტორიების მოსახლეობა ერთსულოვნად აღდგა იაპონელთა ბატონობის დასამხობად.

აი, ასეთ გართულებულ ვითარებაშიაც კი იაპონიის მმართველი წრეები ხელს არ იღებდნენ ანტისაბჭოთა პოლიტიკაზე. ისინი განაგრძობდნენ ახალი ძალების დაგროვებას ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთში და უცდიდნენ ხელსაყრელ პირობებს — გარდატეხას ომის მიმდინარეობაში ევროპაში, რათა სისრულეში მოეყვანათ თავისი მტაცებლური გეგმა სსრ კავშირის მიმართ. ნეიტრალიტეტის პაქტზე ხელმოწერის მიუხედავად, იაპონიის მილიტარისტული ხროვა პერიოდულად მიმართავდა პროვოკაციებს სსრ კავშირის საზღვრების გასწვრივ და ხელს უშლიდა საბჭოთა ნაოსნობას შორეულ აღმოსავლეთში. იაპონიის მოსალოდნელი თავდასხმის გამო საბჭოთა კავშირი იძულებული იყო სამხრეთ-აღმოსავლეთ ჩინეთის (მანჯურიის) საზღვარზე მუდმივი მზადყოფნის მდგომარეობაში ჰყოლოდა 40 დივიზია.

პოტსდამის 1945 წლის დეკლარაცია. სსრ კავშირის ომში ჩაბმა იაპონიის წინააღმდეგ. იაპონელ იმპერიალისტთა განადგურება

1944 წლის შუალედიდან იაპონიის მდგომარეობა ომის ფრონტებზე კიდევ უფრო გაუარესდა. ფრონტის ხაზი იაპონიის კუნძულებს მიუახლოვდა. ძირითადი დარტყმები მოკავშირეებმა მის ახლობელ მისადგომებთან გადაიტანეს. 1944 წლის 15 ივნისს ამერიკელები დაეუფლნენ დიდმნიშვნელოვან საყრდენ პუნქტს — კუნძულ საიპანს (მარიანის არქიპელაგში), რამაც მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა იაპონიაში. მისი უშუალო შედეგი იყო ტოძიოს გადადგომა და გენერალ კოისოს ჩადგომა მთავრობის სათავეში. ახალი მთავრობა, რომელმაც 1945 წლის 5 აპრილამდე იარსება, უძლური იყო შეეტრიალებინა ომის ბედი და გაეუმჯობესებინა საშინაო მდგომარეობა. პირიქით, ახალ-ახალმა მძიმე დამარცხებებმა ფრონტებზე და საშინაო სიძნელეების კატასტროფულად გაღრმავებამ აიძულა ივი ხელი აეღო ძალაუფლებაზე და იგი 78 წლის მოხუც ადმირალ სუძუკისათვის დაეთმო.

1945 წლის 11 თებერვალს იალტაში ხელი მოაწერეს სამი დიდი სახელმწიფოს (სსრკ, აშშ, ინგლისი) შეთანხმებას შორეული აღმოსავლეთის საკითხების შესახებ, რომლის ძალით ევროპაში ომის დამთავრებისა და ჰიტლერული გერმანიის კაპიტულაციის 2—3 თვის შემდეგ საბჭოთა კავშირი უნდა ჩაბმულიყო ომში იაპონიის წინააღმდეგ, რათა ამით დაჩქარებულიყო ფაშიზმისა და აგრესიის კერის ლიკვიდაცია შორეულ აღმოსავლეთში. საბჭოთა კავშირის ამ აქციის სანაცვლოდ აშშ-ტატები და ინგლისი საჭიროდ ცნობდნენ საბჭოთა კავშირს გადასცემოდა (დაბრუნებოდა) სამხრეთი სახალინი და კურილის კ-ბი..., საიჯარო უფლებები პორტ-არტურზე და ა. შ. შეთანხმება, ამასთან ერთად, ითვალისწინებდა status quo-ს შენარჩუნებას მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკაში და საბჭოთა კავშირის მზადყოფნას ხელი მოეწერა საბჭოთა კავშირ-ჩინეთის მეგობრობისა და კავშირის ხელშეკრულებაზე და დახმარებოდა ჩინეთს იაპონიის იმპერიალიზმის უღლისაგან განთავისუფლებაში.

საბჭოთა კავშირის მთავრობამ, მხედველობაში მიიღო რა იაპონიის მიერ იაპონია-საბჭოთა კავშირის 1941 წლის 13 აპრილის თავდაუსხმელობის პაქტის სისტემატური დარღვევა და ფაშისტური გერმანიისათვის დახმარების გაწევა, გაითვალისწინა ხალხთა ერთსულოვანი მისწრაფება მოკლე დროში დამთავრებულიყო ომი და 1945 წლის 5 აპრილს მოახდინა ამ პაქტის დენონსირება.

ჰიტლერული ხროვის საკუთარ ბუნაგში განადგურებამ, ჰიტლერული გერმანიის უსიტყვო კაპიტულაციამ 1945 წლის 9 მაისს, რითაც დამთავრდა ევროპაში წარმოებული ომი, შემაძრწუნებელი

შთაბეჭდილება იქონია იაპონიის მმართველ წრეებზე. იაპონიის მთავრობამ ფორმალური პროტესტი განაცხადა ევროპელი მოკავშირის „სეპარატული ნაბიჯის“ გამო, თანაც 15 მაისს მოახდინა სამთა პაქტის, სამხედრო კავშირის და ჰიტლერულ გერმანიასთან ხელმოწერილ სხვა შეთანხმებათა დენონსირება. უმოკავშიროდ დარჩენილი იაპონიის სრული სამხედრო დამარცხების გარდუვალობამ იაპონიის მთავრობა აიძულა საიდუმლო დიპლომატური არხებით (შვეიცარიისა და შვეციის დიპლომატთა შუამავლობით) მოესინჯა ნიადაგი ომიდან საპატიო პირობებით გამოსვლისა და ამერიკა-ინგლისთან ზავის დასადებად. მაგრამ ამ ცდიდან არაფერი გამოვიდა. ამის პარალელურად სუძუკის მთავრობა განაგრძობდა უიმედო ომს და მოსახლეობის დაცემული „სულის“ ასამაღლებლად აცხადებდა, რომ იბრძოლებდა „საბოლოო გამარჯვებამდე“.

იმის გამო, რომ იაპონიის მთავრობა ანგარიშს არ უწევდა კეთილგონიერების ხმას და განაგრძობდა მისთვის განწირულ ომს, იაპონიასთან ომის დამთავრების საკითხი ისევ განხილულ იქნა სამი დიდი სახელმწიფოს მეთაურთა პოტსდამის კონფერენციაზე. ამ განხილვის შედეგად 1945 წლის 26 ივლისს გამოქვეყნდა აშ შტატების (ტრუმენი), ინგლისის (ჩერჩილი) და ჩინეთის (ჩან კაი-ში) დეკლარაცია (რომელსაც საბჭოთა კავშირიც შეუერთდა), რომლითაც მოუწოდებდნენ იაპონიას მოეხდინა უსიტყვო კაპიტულაცია[1].

იაპონიის მთავრობამ უარყო პოტსდამის დეკლარაცია, უარი განაცხადა მოეხდინა უსიტყვო კაპიტულაცია, გეზი ომის გაგრძელებაზე აიღო და პირფერულად საბჭოთა კავშირს სთხოვა ეკისრა მომრიგებლობა მოკავშირეებთან საზავო მოლაპარაკებაში.

1945 წლის 6 და 9 აგვისტოს იაპონელ ხალხს თავს დაატყდა უდიდესი უბედურება. აშ შტატების პრეზიდენტის ტრუმენის პირადი განკარგულებით ამერიკის ავიაციამ ხიროსიმასა და ნაგასაკში ჩამოყარა ატომური ბომბები, რომლებმაც მიწასთან გაასწორეს ეს ქალაქები და უმოწყალოდ გაჟლიტეს მათი მშვიდობიანი მოსახლეობა (200 ათასამდე). ამერიკის მმართველმა წრეებმა ეს არაადამიანური აქტი ჩაიდინეს თითქოსდა ომის დამთავრების დაჩქარების მიზნით, სინამდვილეში კი მას პოლიტიკური მოსაზრებები ედო საფუძვლად. ამით მათ სურდათ დაესაბუთებიათ მათი გადამწყვეტი როლი იაპონიის განადგურებაში, „ფსიქოლოგიური ზემოქმედება“ მოეხდინათ მთელ მსოფლიოზე, „დაეშინებინათ“ ზოგიერთები და მოეპოვებინათ მსოფლიო ბატონობა ომის შემდეგ.

---

[1] დეკლარაცია ითვალისწინებდა იაპონიის განიარაღებას, იაპონიის მილიტარიზმის ეკონომიური ბაზის ლიკვიდაციას, ომის დამნაშავეთა მკაცრ დასჯას, კოლონიების ჩამორთმევას და იაპონიის პოლიტიკური წყობის დემოკრატიზაციას.

მაგრამ იაპონელები დამანგრეველი ატომური ბომბების ჩამოგდების შემდეგაც განაგრძობდნენ უიმედო ომს და არ ფიქრობდნენ კაპიტულაციაზე. იაპონიის არმიას და ფლოტს კიდევ შეეძლო მოკავშირეებისათვის წინააღმდეგობის გაწევა. ომი იაპონიის მისადგომებთან მიმდინარეობდა და არ შეხებია მის ტერიტორიას (საავიაციო თავდასხმებს თუ არ მივიღებთ მხედველობაში). ჯერ კიდევ ხელუხლებელი იყო კორეა და ვრცელი მანჯურია, სადაც თავმოყრილი იყო იაპონიის სამხედრო მრეწველობის საგრძნობი ნაწილი და ქვანტუნის ერთმილიონიანი, ტექნიკის უკანასკნელი სიტყვით აღჭურვილი არმია. ასე რომ, ამერიკელ იმპერიალისტთა მძიმე დანაშაული კაცობრიობის წინაშე არაფრით არ შეიძლება გამართლებული ყოფილიყო.

მხოლოდ საბჭოთა კავშირის ჩაბმამ იაპონიის წინააღმდეგ ომში დააჩქარა წყნარი ოკეანის აუზში მიმდინარე ომის დამთავრება, იაპონიის უსიტყვო კაპიტულაცია და ნანატრი მშვიდობის მოახლოება.

მოკავშირეების მიმართ აღებული ვალდებულებების შესაბამისად, ომის უსწრაფესად დამთავრებისა და მშვიდობიანობის მოკლე დროში აღდგენით დაინტერესებულმა სსრ კავშირმა 1945 წლის 8 აგვისტოს ომი გამოუცხადა იაპონიას; 9 აგვისტოს შორეული აღმოსავლეთის საზღვრებთან კონცენტრირებულმა საბჭოთა შეიარაღებულმა ძალებმა შორეული აღმოსავლეთის ფლოტთან ერთად დაიწყეს ძლევამოსილი შეტევა იაპონელ აგრესორთა წინააღმდეგ[1] მთელ ფრონტზე. არახელსაყრელი ბუნებრივი და კლიმატური პირობების მიუხედავად, საბჭოთა შეიარაღებულმა ძალებმა რამდენიმე დღეში (9—14 აგვისტოს) გაარღვიეს იაპონელთა ღრმად ეშელონირებული ძლავრი გამაგრებული რაიონები, მოშალეს მათი თავდაცვა, შეიჭრნენ მტრის განლაგების სიღრმეში და ალყაში მოაქციეს ქვანტუნის არმიის უმეტესი ნაწილი. ამ ბრძოლებში იაპონელებმა დაკარგეს 80 ათასამდე ადამიანი მოკლულის სახით, ასეული ათასი ტყვე და დიდძალი იარაღი. ამოქმედდა ჩინეთის ფრონტიც. ჩინეთის შეიარაღებული ძალები, კერძოდ ლეგენდარული მერვე და მეოთხე განმათავისუფლებელი არმიები გადავიდნენ გადამწყვეტ შეტევაზე და დაიწყეს ოკუპირებული ტერიტორიების გაწმენდა.

საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების მიერ ქვანტუნის არმიის საბჭოთა კავშირის ისტორიულმა გამარჯვებამ, და არა ატომური ბომბების ჩამოყრამ, აიძულა იაპონიის მესვეურები შეეწყვიტათ შემდგომი წინააღმდეგობა და მიეღოთ უსიტყვო კაპიტულაციის მოთხოვნა.

---

[1] ამ შეტევაში მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკის შეიარაღებული ძალებიც იღებდნენ მონაწილეობას.

1945 წლის 2 სექტემბერს ტოკიოს ყურეში ამერიკის სახაზო გემ „მისურზე“ ხელი მოაწერეს აქტს იაპონიის უსიტყვო კაპიტულაციის შესახებ. იაპონიის სახელით აქტს ხელი მოაწერეს საგარეო საქმეთა მინისტრმა სიგემიცუმ და გენერალური შტაბის უფროსმა გენერალმა უმეძუმ.

ამ აქტით ბოლო მოეღო ომისა და აგრესიის უკანასკნელ კერას შორეულ აღმოსავლეთში. წარმატებით დაგვირგვინდა საბჭოთა კავშირის, აშ შტატების, ჩინელი ხალხისა და სხვა მოკავშირეების ომი იაპონიის იმპერიალიზმის წინააღმდეგ. ეს ისტორიული გამარჯვება მოასწავებდა მეორე მსოფლიო ომის საბოლოო დამთავრებას და მშვიდობიანობის დადგომას მთელ მსოფლიოში. იაპონელ იმპერიალისტთა განადგურებამ ახალი ვითარება შექმნა მსოფლიოს ამ ნაწილშიაც და მოამზადა ნიადაგი აზიის ხალხთა დემოკრატიული განვითარებისათვის ახლო მომავალში.

ფილიპინები 1918—1945 წლებში

მსოფლიო ისტორიის უახლესი მიჯნისათვის ფილიპინები აშშ-ტატების უუფლებო, ეკონომიურად ჩამორჩენილ კოლონიას წარ-მოადგენდა. ფილიპინების ხალხის წინამორბედი ბრძოლა ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის, რომელიც 1898 წელს—ამერი-კელ აგრესორთა ფილიპინებზე შეჭრის პირველი დღიდანვე დაიწყო, მარცხით დამთავრდა. ფილიპინების მშრომელები ორმაგი ჩაგვრის—ადგილობრივი ფეოდალ-კომპრადორებისა და უცხოელ ინტერვენტ-თა—მძიმე უღლისქვეშ მოექცნენ. ფეოდალები და კომპრადორები ამე-რიკელ დამპყრობელთა სოციალურ საყრდენებად იქცნენ. ამერიკულმა მონოპოლიებმა მათი მეშვეობით მიყვეს ხელი ფილიპინების მდიდა-რი რესურსების მტაცებლურ ექსპლოატაციას. ქოქოსის ზეთის, მანილის ქერელის, კოპრის, შაქრის ლერწმის, თამბაქოსა და სხვა ნედლეულის იაფად შესყიდვა და მათი ექსპორტი ამერიკელ საქმო-სანთა გამდიდრების წყარო გახდა.

ფილიპინელი მემამულეები და ფეხმოდგმული ადგილობრივი ბურჟუაზია, რომელთა ეკონომიური ინტერესები ეჯახებოდა ქვეყნის დამპყრობთა გაბატონებული კლასების ინტერესებს, მხოლოდ მშვი-დობიანი საშუალებებით ცდილობდნენ ზემოქმედება მოეხდინათ მათზე და გამოეტაცათ საჭირო დათმობები.

დიდი ოქტომბრის რევოლუციის გავ-ლენა ფილიპინებზე. მუშათა და გლეხთა მოძრაობის განვითა-რება

პირველმა მსოფლიო ომმა, რომელშიაც ფილიპი-ნები არ მონაწილეობდა, ობიექტურად ბიძგი მისცა მის ეკონომიურ განვითარებას; ხელი შე-უწყო ეროვნული მრეწველობის შექმნას და მუ-შათა კლასის რიცხვის გადიდებას[1]. ამ გარემო-ებამ და დიდი ოქტომბრის სოციალისტური რე-ვოლუციის მძლავრმა იდეურმა ზემოქმედებამ 1918 წლიდან ფილიპინებზე მოამზადა ნიადაგი მუშათა მოძრაობის განვითარებისა და გლეხთა გამოსვლების გახშირებისათვის.

---

1 თუმცა მუშათა შორის ჰარბობდნენ სასოფლო-სამეურნეო მუშები.

1918—1922 წლებში ლუსონსა და ფილიპინების სხვა კუნძულებზე ადგილი ჰქონდა მუშათა ათეულ გაფიცვას, რომლებშიც ათეული ათასი მუშა მონაწილეობდა. მართალია, მათი უმრავლესობა ეკონომიური ხასიათის იყო, მაგრამ ზოგან გაფიცულმა მუშებმა ეკონომიურ მოთხოვნებთან ერთად პოლიტიკური მოთხოვნებიც წამოაყენეს და ეროვნულ-განმათავისუფლებელი ლოზუნგებიც გადმოისროლეს. ამათგან გამოირჩეოდა სტამბის მუშების 1920 წლის პოლიტიკური გაფიცვა.

მუშათა მოძრაობის აღმავლობის ვითარებაში ფილიპინებზე აღმოცენდა კლასობრივი პროფესიული კავშირები და შეიქმნა პირველი მარქსისტული წრეები, რომელთა ბაზაზედაც უფრო გვიან — 1924 წელს ჩამოყალიბდა მუშათა პარტია კრისანტი ევინხელისტას ხელმძღვანელობით.

მუშათა პარტია არ იყო დახვეწილი. კომუნისტურ გავლენას იქ ეცილებოდა რეფორმისტული და წვრილბურჟუაზიული გავლენა. მიუხედავად ამისა და ნათელი პროგრამის უქონლობისა, მან მაინც დადებითი როლი შეასრულა, მიზნად დაისახა რა მუშათა მასების გამოყვანა რეფორმისტების ტყვეობისაგან და მათ რიგებში რევოლუციური სულისკვეთების გაღრმავება. ამ პარტიის რიგების ზრდა და მისი გავლენის გადიდება, 1927 წელს პროფკავშირული გაერთიანების შიგნით რევოლუციური ბირთვის შექმნა, რომელიც 1928 წლიდან სათავეში უდგება მუშათა კლასის რევოლუციურ ბრძოლას, რევოლუციური ტენდენციის შემდგომი ზრდის ნათელი გამოხატულება იყო.

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ზეგავლენით ძლიერდება გლეხთა გამოსვლებიც, მიმართული ფეოდალური ჩაგვრისა და კოლონიური ხელისუფლების ძალმომრეობის წინააღმდეგ. მართალია, ამ გამოსვლების უმრავლესობას ისევ ფარული საზოგადოებები და ქრისტიანული სექტები ედგნენ სათავეში, მაგრამ ძველ პერიოდთან შედარებით გაიზარდა მათი გავრცელების რაიონი, გაფართოვდა მონაწილეთა შემადგენლობა და უფრო მებრძოლი ხასიათი მიიღო მან. 1922—1928 წლებში ლუსონზე, მინდანაოსა და სხვა კუნძულებზე მომხდარი გლეხთა ათეული აჯანყებიდან განსაკუთრებით გამოირჩევა 1927 წლის მასობრივი სტიქიური აჯანყება კ-ლ ნეგროსზე, რომელიც ულმობლად იქნა ჩახშობილი.

მასობრივი მღელვარებისა და აჯანყებების პროცესში ფილიპინელმა გლეხებმა თავიანთი ეროვნული კონფედერაციაც კი შექმნეს.

მსოფლიო ეკონომიური კრიზისი და მისი გავლენა ფილიპინებზე. კომუნისტური პარტიის შექმნა

1929—1933 წლების მსოფლიო ეკონომიურმა კრიზისმა უშუალო გავლენა მოახდინა ფილიპინებზე. მისი გავლენა ფილიპინების ეკონომიკაზე ისეთივე დამანგრეველი იყო, როგორც ამ შტატებზე, რომლის უუფლებო კოლონიასაც იგი წარმოადგენდა. მან კატასტროფულად დასცა ქვეყნის ძირითადი ნედლეულის—შაქრის ლერწმის, ქოქოსის ზეთის, ქერელისა და კორპის ექსპორტი (53%-ით 1929 წლის დონეებთან შედარებით), ნახევარზე მეტად შეამცირა მისი შესაყიდი ფასები და დააგროვა მისი დიდძალი გაუყიდავი მარაგი. ამ პროცესის უშუალო შედეგი იყო ნედლეულის მწარმოებელი მასის გლეხობის დასაქმების მკვეთრი შეზღუდვა, მათი ისედაც მიზერული შემოსავლის უკიდურესად შემცირება და გაჩანაგება. კრიზისმა თავისი ბრჭყალები ჩასჭიდა სუსტ ეროვნულ მრეწველობასაც და ქუჩაში გამოისროლა ათეულ ათასობით უმუშევარი მუშა.

სოფლისა და ქალაქის მშრომელთა მატერიალური მდგომარეობის უკიდურესად გაუარესებით, ადგილობრივი მემამულეების სავაჭრო-სავახშო კაპიტალისა და ამერიკული მონოპოლიების მიერ მათი ექსპლოატაციის გაძლიერებით მსოფლიო ეკონომიურმა კრიზისმა მძლავრი ბიძგი მისცა მასების უკმაყოფილების ამონთხევას და რევოლუციური, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აზვირთებას.

გახშირდა გლეხთა გამოსვლები და შეიარაღებული აჯანყებები, ფართო გაქანება მიიღო მუშათა გაფიცვებმა; უფრო მასობრივი ხასიათი მიიღო ეროვნული ინტელიგენციისა და ეროვნული ბურჟუაზიის პროგრესული ფენების პატრიოტულმა მოძრაობამ. როგორც კლასობრივი, ისე ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა უფრო ორგანიზებული და იდეური გახდა. მარქსიზმ-ლენინიზმის ყოვლისშემძლე იდეებმა ფართოდ შეაღო მუშათა კლასისა და პატრიოტული ინტელიგენციის რიგების კარები; გადაიდგა პირველი ნაბიჯები მუშათა და გლეხთა საბრძოლო კავშირის შესაქმნელად.

ეკონომიური კრიზისით წარმოშობილი საერთო რევოლუციური აღმავლობის ვითარებაში ფილიპინებზე აღმოცენდა კომუნისტური პარტია. მისი შექმნა ოფიციალურად გაფორმდა 1930 წლის 7 ნოემბერს (კრისანტო ევანხელისტა იყო მისი გენერალური მდივანი). თავისი არსებობის პირველი დღიდანვე ფილიპინების კომუნისტურმა პარტიამ საბრძოლო ამოცანად დაისახა მშრომელთა კლასობრივი შემჭიდროება, მუშათა და გლეხთა კავშირის შექმნა, მშრომელი მასების ინტერესების დაცვა, სამშობლოს ეროვნული განთავისუფლება და ფეოდალურ-მემამულური ჩაგვრის ლიკვიდაცია.

კოლონიურმა ხელისუფლებამ მაშინვე რისხვა და ტერორი დაატეხა თავს ახალგაზრდა კომუნისტურ პარტიას, 1931 წელს სავსებით აკრძალა იგი, მრავალი მისი ხელმძღვანელი მუშაკი საპყრობილეებში ჩაყარა, თანაც კანონგარეშე გამოაცხადა და დაშალა კომუნისტური პარტიის იდეურ-პოლიტიკური გავლენის ქვეშ მომუშავე მუშათა და გლეხთა ორგანიზაციები.

მაგრამ კოლონიურმა ხელისუფლებამ რეპრესიებით ვერ შეძლო აუტანელი ცხოვრებით წარმოშობილი მშრომელთა რევოლუციური პრძოლის ჩახშობა. პირიქით, იგი ძალებს იკრებს და ახალ გაქანებას ღებულობს. ამის მაჩვენებელია გლეხთა მორიგი აჯანყებები (1931—1933 წლებში), მუშათა საგაფიცვო მოძრაობის გაძლიერება, რომლის ყველაზე ნათელი ფურცლები იყო მეთამბაქოეთა 1934 წლის საყოველთაო გაფიცვა და მეზღვაურთა და დოკერთა გაფიცვა იმავე წლის ბოლოს, სოციალისტური პარტიის შექმნა 1933 წელს, ღარიბ გლეხთა ლიგის დაარსება.

აშ შტატების მიერ ფილიპინების „ავტონომიის" გამოცხადება

ფილიპინებზე შექმნილმა რთულმა ვითარებამ, მსოფლიო ეკონომიური კრიზისის მძიმე შედეგებმა ქვეყნის შიგნით, რასაც დაემთხვა წყნარი ოკეანის აუზში იმპერიალისტურ წინააღმდეგობათა უკიდურესად გამწვავება, რამაც სერიოზული საფრთხე შეუქმნა აშ შტატების პოზიციებს მსოფლიოს ამ ნაწილში, მისი მმართველები აიძულა გადაესინჯათ თავიანთი პოლიტიკა ფილიპინების მიმართ. საკუთარი ზურგის განმტკიცების მიზნით მათ საჭიროდ ცნეს ფილიპინური ბურჟუაზიისა და მემამულეების მიმართ ზოგიერთ დათმობაზე წასვლა, მათთან არსებული ანტაგონიზმის შესუსტება და ფორმალურად ფილიპინებისთვის „თვითმმართველობის" მინიჭება.

1934 წლის მარტში აშ შტატების კონგრესმა მიიღო ე. წ. ტაიდინგს-მაკდაფის კანონი (ხელმოწერილი პრეზიდენტის მიერ 1935 წელს), რომლითაც ფილიპინებს ეძლეოდა ავტონომიის უფლება შესაბამისი კონსტიტუციით. კონსტიტუციით ფილიპინებზე იქმნებოდა საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოები. აშ შტატები ინარჩუნებდა სრულყოფილ კონტროლს ავტონომიური ფილიპინების საგარეო პოლიტიკაზე და ზედამხედველობით კონტროლს მისი აღმასრულებელი და საკანონმდებლო ორგანოების საქმიანობაზე. ამას გარდა ხელუხლებლად რჩებოდა ამერიკის მძლავრი ეკონომიური პოზიციებიც. ამერიკული მსხვილი მონოპოლიები ისევ ინარჩუნებდნენ სრულყოფილ ბატონობას ქვეყნის ეკონომიკის საკომანდო სიმაღლეებზე. 10 წლის გასვლის შემდეგ მთავრდებოდა ავტონო-

მიური სტატუტის ვადა და ფილიპინები ღებულობდა სრულ დამოუკიდებლობას.

10-წლიანი გარდამავალი პერიოდის განმავლობაში ავტონომიურ ფილიპინებზე მკვეთრად ფართოვდებოდა ეროვნული ბურჟუაზიისა და მემამულეების პოლიტიკური უფლებები. ისინი ღებულობდნენ ქვეყნის მართვის სადავეებს და საშუალება ჰქონდათ გამოეყენებიათ იგი თავიანთი კლასობრივი ინტერესებისათვის, საკუთარი ეკონომიური პოზიციების გასაფართოებლად. ამიტომ იყო, რომ ისინი კმაყოფილი დარჩნენ აშ შტატების ამ დათმობით და ამერიკელ იმპერიალისტებთან აქტიურ თანამშრომლობაზე აიღეს გეზი.

1935 წლის ნოემბერში ჩატარდა ავტონომიური ფილიპინების პირველი პრეზიდენტის არჩევნები. რამდენიმე კანდიდატს შორის გაიმარჯვა ნაციონალისტური პარტიის ლიდერმა მანუელ კესონმა. მისი უშუალო ხელმძღვანელობით მალე მუშაობა დაიწყო აღმასრულებელმა ხელისუფლებამაც.

ფილიპინები ავტონომიის გამოცხადებიდან მეორე მსოფლიო ომის გაჩაღებამდე

ფილიპინების „დამოუკიდებელი“ მთავრობა გამოხატავდა ადგილობრივი მემამულეებისა და მსხვილი კომპრადორული ბურჟუაზიის კლასობრივ ინტერესებს. მის მიერ შექმნილი ბიუროკრატიული აპარატი მშრომელთა ჩაგვრასა და დამონებას ისახავდა მიზნად. ხელისუფლების უშუალო მხარდაჭერით მალე აღმოცენდნენ „სამამულო“ სავაჭრო-სამრეწველო მონოპოლისტური გაერთიანებები, რომლებმაც ამერიკულ მონოპოლიებთან მჭიდრო კავშირში დაიწყეს საქმიანობა. მათი ძირითადი სფერო იყო ნედლეულის შესყიდვა და გაზიდვა, უცხოური საქონლის გაყიდვა და სხვ. ეს იყო მშრომელთა ექსპლოატაციის ბაზაზე აგებული კომპრადორული საქმიანობა, რომელმაც მემამულეები და მსხვილი ბურჟუაზია ერთიანად ანტიხალხურ ბლოკში გააერთიანა.

ფილიპინების მონოპოლიური გაერთიანებები იქცნენ ამერიკული კორპორაციების შუამავალ-კონტრაგენტებად. მათი მეშვეობით ხდებოდა ფილიპინების მრავალფეროვანი ნედლეულის წარმოების გადიდება და მზარდი ექსპორტი აშ შტატებში. მათი მეშვეობით ამერიკის კაპიტალმა მკვეთრად გააძლიერა ფილიპინების ექსპლოატაცია. ასე, მაგალითად, მეორე მსოფლიო ომის წინ ფილიპინების სახალხო მეურნეობაში (საექსპორტო-საიმპორტო ვაჭრობაში, ნედლეულის გადამუშავებაში, მთამადნეულის წარმოებაში...) დაბანდებული იყო 400 მილიონი დოლარი. ავტონომიური ფილიპინების მთელ საგარეო ვაჭრობაზეც აგრეთვე აშ შტატები იყო გაბატონე-

ბული. მასზე მოდიოდა ქვეყნის ექსპორტის 80 და იმპორტის 70—80 პროცენტი.

ავტონომიური ფილიპინების მშრომელი მასების მდგომარეობა არათუ გაუმჯობესდა, კიდევაც გაუარესდა. ამერიკული და ფილიპინური მონოპოლიების ძარცველობამ, ფეოდალურ-მემამულურმა სამევახშეო კაბალამ და კაპიტალისტურ ურთიერთობათა შემდგომმა განვითარებამ დააჩქარა გლეხობის გაჩანაგება და მათი მიწების გამყვლეფელთა ხელში გადასვლა. 1939 წლისათვის კაბალური მოიჯარადრეები შეადგენდნენ მთელ გლეხურ მეურნეობათა 36%-ს. გაჩანაგების პარალელურად მიმდინარეობს გლეხობის გამათხოვრება. შიმშილის მარწუხები უფრო და უფრო მაგრად უჭერდა მათ. არც მუშათა კლასი იყო სახარბიელო მდგომარეობაში. უმუშევრობა, დაბალი ხელფასი, ადგილობრივ და უცხოელ მეწარმეთა თვითნებობა, მევახშეთა პარპაში, უბინაობა, შიმშილის მარყუჟები, სრული პოლიტიკური უუფლებობა სასოწარკვეთილ მდგომარეობაში აგდებდა მას. დაბოლოს, მასობრივი უკმაყოფილებისათვის სერიოზული საფუძველი ჰქონდათ წვრილბურჟუაზიულ წრეებს, მოსწავლე ახალგაზრდობასა და პატრიოტულ ინტელიგენციას.

მშრომელთა ავბედითი ყოფისა და მათი ექსპლოატაციის გაძლიერების უშუალო შედეგი იყო კლასობრივი ბრძოლისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შემდგომი აღმავლობა. განსაკუთრებით დიდი გაქანებით გამოირჩეოდა გლეხთა მოძრაობა. 1935 წელს კუნძულ ლუსონის რამდენიმე რაიონში „საკდალის“ („პროტესტის“) პარტიის ხელმძღვანელობით ბურჟუაზიული ინტელიგენტების მეთაურობით იფეთქა გლეხთა აჯანყებამ, რომლის ძირითადი ლოზუნგი იყო ფილიპინების სრული დამოუკიდებლობა. იგი შეუბრალებლად იქნა ჩახშობილი ჯარის ნაწილების მიერ.

ამ დამარცხების მიუხედავად გლეხთა გამოსვლების ტალღა შემდეგშიაც არ შენელებულა. მას თან სდევდა ბურჟუაზიული პარტიების გავლენის დაცემა და კომუნისტური პარტიის გავლენის ზრდა. გლეხთა ყველაზე მნიშვნელოვანი ორგანიზაციები — გლეხთა ეროვნული კონფედერაცია და მშრომელთა ლიგა — კომუნისტური პარტიის უშუალო ხელმძღვანელობით რაზმავენ გლეხთა რაზმებს.

არც მუშათა კლასი ჩამორჩება გლეხობას. მუშათა მოძრაობა ძალებს იკრებს და მორიგ წარმატებებს აღწევს. იგი უფრო მასობრივი და ორგანიზებული ხდება და მზარდ გავლენას ახდენს ქვეყნის ცხოვრებაზე.

მშრომელი მასების მზარდი მოძრაობის ზეგავლენით ხელისუფლება იძულებული იყო გაეუქმებინა კომპარტიის აკრძალვა (1937 წ.). 1938 წელს მას შეუერთდა სოციალისტური პარტია, რამაც უფრო

ხალხმრავალი და მებრძოლი გახადა ივი. ლეგალობამ საშუალება მისცა მას განემტკიცებინა კავშირი მუშათა და გლეხთა მასებთან, თავისი გავლენისათვის დაემორჩილებინა პროფესიული კავშირები და გლეხთა ორგანიზაციები. 1939 წელს მან საფუძველი ჩაუყარა ერთიან სახალხო ფრონტს, რომელმაც ხალხის დემოკრატიული უფლებების მოპოვებასთან ერთად იაპონელთა მზარდი აგრესიის პირობებში ამ აგრესიისათვის გზის გადაღობვა დაისახა მიზნად.

ფილიპინები მეორე მსოფლიო ომის წლებში

წყნარი ოკეანის აუზში მეორე მსოფლიო ომის ხანძრის დანთებისთანავე ფილიპინები საომარ მოქმედებათა ასპარეზი გახდა.

1941 წლის 10 დეკემბერს იაპონიის ჯარები ფილიპინების არქიპელაგზე შეიჭრნენ. სამხედრო ფლოტისა და ავიაციის დახმარებით იაპონელებმა მალე ძლიეს ფილიპინებისა და ამერიკის ჯარების წინააღმდეგობა და მოკლე დროში დაიკავეს დედაქალაქი მანილა. 1942 წლის მაისში ფილიპინებისა და ამერიკის ჯარებმა შეწყვიტეს ორგანიზებული წინააღმდეგობა. ბატაანის ნ/კუნძულსა და კუნძულ კორიხედორზე გარემოცული მათი ნაშთები მტერს დანებდნენ. იაპონელთა წარმატებას ხელი შეუწყო ფილიპინების ექსპლოატატორული წრეების ნაწილის პროიაპონურმა განწყობილებამ და აგრესორთა მიერ დემაგოგიური ლოზუნგის „აზია აზიელებისათვის“ მომარჯვებამ.

ფილიპინების ოკუპაციისთანავე იაპონელმა დამპყრობლებმა იქ სასტიკი სამხედრო-საოკუპაციო რეჟიმი გააბატონეს და მის შესანიღბავად შექმნეს მარიონეტული მთავრობა (ფილიპინების რესპუბლიკის გამოცხადებით), რომელშიაც შევიდნენ მქონებელი კლასების თაეკაცები.

მარიონეტული მთავრობის შემწეობით იაპონელმა ოკუპანტებმა დაიწყეს ფილიპინების ორგანიზებული ძარცვა. მათ შემოიღეს გასამხედროებული შრომა, ფილიპინური მონოპოლიური გაერთიანებები თავიანთ კონტროლს დაუქვემდებარეს და აქციეს ისინი ყურმოჭრილ აგენტებად დიდძალი ნედლეულის გაზიდვის საქმეში. საერთოდ ფილიპინელმა მემამულეებმა და მსხვილმა ბურჟუაზიამ მალე გამონახეს საერთო ენა ახალ დამმონებლებთან და თანამშრომლობა დაიწყეს მათთან. ბევრ ფილიპინელ პოლიტიკურ მოღვაწეს გულუბრყვილოდ სწამდა, რომ იაპონელები დააფასებდნენ მათ თანამშრომლობას და მეტ გასაქანს მისცემდნენ ქვეყნის მართვას, თანაც დაეხმარებოდნენ დამოუკიდებლობის მოპოვებაში.

იაპონიის აუტანელი საოკუპაციო რეჟიმის წინააღმდეგ ყოველგვარ პროტესტსა და წინააღმდეგობას იაპონელი იმპერიალისტები დრაკონისებური სისასტიკით ახშობდნენ. მათ აწამეს და დახვრიტეს

ათასობით ფილიპინელი პატრიოტი, უფრო მეტი კი საკონცენტრაციო ბანაკებში ჩაყარეს და შიმშილით ამოხოცეს.

იაპონელთა მძარცველურმა პოლიტიკამ მოშალა ფილიპინების ეკონომიკა. რეკვიზიციებმა, იძულებითი შრომის დანერგვამ წარმოშვა სურსათის ნაკლებობა, ინფლაცია და შიმშილი. მშრომელთა მდგომარეობა უწინდელზე მძიმე გახდა. ამან მალე გააქარწყლა თავდაპირველი ილუზიები და მასებს ოკუპანტების წინააღმდეგ აქტიური ბრძოლისაკენ უბიძგა.

ერთიანი სახალხო ფრონტის ორგანიზატორი ფილიპინების კომუნისტური პარტია ფილიპინური ბურჟუაზიისა და მემამულეების გამცემლობის პირობებში გამოვიდა ქვეყნის ეროვნული ინტერესების დაცვის მედროშედ. მან დარაზმა მუშათა კლასი, გლეხობა, წვრილი ბურჟუაზია, პატრიოტული ინტელიგენცია და ეროვნული ბურჟუაზიის ნაწილი იაპონელ დამპყრობელთა წინააღმდეგ საბრძოლველად. მან მოკლე დროში ისევ აღადგინა დარბეული ორგანიზაციები და თავის გავლენას დაუქვემდებარა მუშათა და გლეხთა მასობრივი ორგანიზაციები. კომუნისტურმა პარტიამ მასებს მოუწოდა შეექმნათ პარტიზანული რაზმები და იარაღით ებრძოლათ მოძალადეთა წინააღმდეგ. სახალხო-განმათავისუფლებელი ბრძოლის თავდაპირველი კერა გახდა კუნძული ლუსონი, აქედან იგი სხვა კუნძულებზეც გავრცელდა და საყოველთაო ხასიათი მიიღო. 1942 წლის თებერვალში ორგანიზაციულად გაფორმდა ერთიანი ანტიიმპერიალისტური სახალხო ფრონტი. მასში შევიდნენ პროგრესული პროფკავშირები, გლეხთა ორგანიზაციები, სტუდენტ-მოსწავლეთა ჯგუფები და რელიგიური ორგანიზაციები. იმავე წლის მარტში კი კომუნისტური პარტიის უშუალო ხელმძღვანელობით შეიქმნა სახალხო ანტიიაპონური განმათავისუფლებელი არმია — ხუკბალახაპი.

ხუკბალახაპი, რომლის რიგითი შემადგენლობა ძირითადად გლეხებისა და მუშებისაგან შედგებოდა, სამეთაურო პოსტები კი კომუნისტებს ეკავათ, მალე მრისხანე შურისმაძიებელ სამხედრო ძალად იქცა. „იაპონელთა ზღვაში გადაყრა“ და სრული დამოუკიდებლობის მოპოვება — აი რა იყო მისი საბრძოლო დროშა.

მოსახლეობის აქტიური მხარდაჭერით ხუკბალახაპმა ოსტატურად შეახამა პარტიზანული ბრძოლისა და მასირებული თავდასხმების ტაქტიკა, სერიოზული დარტყმები აგემა ოკუპანტთა არმიას და დიდი ზიანი მიაყენა მას. ცენტრალურ და სამხრეთ ლუსონზე ჩატარებული ათეული ოპერაციის შედეგად ხუკბალახაპის შენაერთებმა გაჟლიტეს 30 ათასამდე იაპონელი და მარიონეტული ჯარისკაცები და ოფიცრები. 1943 წლის დასაწყისისათვის მათ ოკუპანტებისაგან გაწმინდეს ცენტრალური ლუსონის ათეული რაიონი, სადაც შექმნეს

თვითმმართველი ხელისუფლების დემოკრატიული ორგანოები — თავდაცვის სახალხო კომიტეტები. აღნიშნული კომიტეტების მეშვეობით კი მუშაობა დაიწყეს პარტიზანთა მეთაურთა მოსამზადებელმა სკოლებმა, ჯანმრთელობის კერებმა, პარტიზანული რაზმების შემვსებმა პუნქტებმა და ა. შ.

ხუკბალახაპთან კავშირში მოქმედებდა და მისი გავლენის ქვეშ იყო რამდენიმე არალეგალური ანტიიაპონური ბურჟუაზიულ-პატრიოტული ორგანიზაცია („ლურჯი არწივი", „თავისუფალი ფილიპინები" და სხვ.). მათაც ჰყავდათ ავტონომიური პარტიზანული რაზმები, რომლებსაც ფილიპინების არმიის ყოფილი ოფიცრები ,ან ტყეებში მიმალული ამერიკელი ოფიცრები მეთაურობდნენ.

იაპონელმა ოკუპანტებმა ჯერ დაყვავებით და დაპირებებით განიზრახეს ხუკბალახაპის ლიკვიდაცია. როცა ამ ზომებმა ვერ გაჭრა, მათ დამსჯელი რაზმები მიუსიეს პატრიოტთა არმიას. მაგრამ ხუკბალახაპის სარდლობამ შეძლო მათი მოგერიება და შეინარჩუნა როგორც საბრძოლო ძალა, ისე განთავისუფლებული ბაზები.

აშ შტატების სარდლობამ უარი განაცხადა კონტაქტი დაემყარებინა ფილიპინების განმათავისუფლებელ არმიასთან და მიეწოდებინა მისთვის საბრძოლო იარაღი. ამის მიზეზი იყო ხუკბალახაპის ჭეშმარიტად ხალხური ხასიათი და კომუნისტთა ხელმძღვანელობა. ამერიკის წყნარი ოკეანის არმიის სარდლობამ დახმარების ნაცვლად ხუკბალახაპის მებრძოლი რაზმების მიმართ საბოტაჟსა და მისდამი აშკარა მტრობას მიჰყო ხელი.

ასეთი ძნელი პირობების მიუხედავად, ხუკბალახაპმა ბრწყინვალე ფურცლები ჩაწერა ფილიპინელი ხალხის განმათავისუფლებელი ბრძოლის მატიანეში. მან დიდი ზიანი მიაყენა იაპონელ ოკუპანტებს და ხელიდან გამოსტაცა მათ ბევრი დასახლებული პუნქტი და სტრატეგიული ბაზა.

როდესაც 1944 წლის ოქტომბრიდან ფილიპინებზე, კერძოდ ლუსონზე გადასხდნენ აშ შტატების ჯარები, მათ იაპონიის ჯარის ნაშთებთან ბრძოლის პარალელურად ხელი მიჰყვეს ხუკბალახაპის ნაწილების განიარაღებას, შეიპყრეს მათი კომუნისტი მეთაურები და მოსპეს უკვე განთავისუფლებულ რაიონებში შექმნილი დემოკრატიული ხელისუფლების ორგანოები.

1945 წლის თებერვალში მანილის აღებით არსებითად დამთავრდა იაპონია-ამერიკის არმიების ბრძოლა ფილიპინებისათვის. იაპონიის ჯარების ნაშთებმა კაპიტულაცია მოახდინეს, მაგრამ ფილიპინები ამით ვერ ეღირსა ნანატრ თავისუფლებას. იგი კვლავ ამერიკის შეერთებული შტატების ბატონობის ქვეშ მოექცა.

ინდოჩინეთი 1918—1945 წლებში

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გავლენა ინდოჩინეთის ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაზე. კომუნისტური პარტიის აღმოცენება

პირველი მსოფლიო ომის დასასრულისათვის ინდოჩინეთის ქვეყნები: ვიეტნამი, ლაოსი და კამბოჯა საფრანგეთის კოლონიებს წარმოადგენდნენ. ამათგან მთავარი და ყველაზე ღირებული იყო ვიეტნამი, რომელიც ფრანგ კოლონიზატორებს ხელოვნურად სამ ადმინისტრაციულ-პოლიტიკურ ერთეულად ჰქონდათ გაყოფილი: ტონკინად (ჩრდილო ნაწილი), ანამად (ცენტრალური ნაწილი) და კოხინხინად (სამხრეთი ნაწილი). ამათგან ტონკინი და ანამი ფორმალურად პროტექტორატებს წარმოადგენდნენ, რომლებსაც ადგილობრივ ხელისუფლებასთან ერთად ფრანგი რეზიდენტები მართავდნენ. რაც შეეხება კოხინხინას, იგი კოლონია იყო, არ გააჩნდა ადგილობრივი ადმინისტრაცია და უშუალოდ ფრანგი გუბერნატორი განაგებდა. მთლიანად ვიეტნამი კამბოჯასთან (პროტექტორატი) და ლაოსთან ერთად (პროტექტორატი) შედიოდა ინდოჩინეთის კავშირში, რომელსაც საფრანგეთის მთავრობის მიერ დანიშნული გენერალ-გუბერნატორი მართავდა. ადგილობრივი ხელისუფალნი (ნგუენების მონარქია ვიეტნამში, კამბოჯისა და ლაოსის სამეფო ხელისუფალნი) ყოველგვარ ფაქტიურ უფლებებს მოკლებულნი იყვნენ და უბრალო მარიონეტებს წარმოადგენდნენ.

ფრანგი კოლონიზატორები ეწეოდნენ ვიეტნამისა და ინდოჩინეთის კავშირში შემავალი სხვა ერთეულების ინტენსიურ ძარცვას. მათი ეკონომიკის სხვა და სხვა დარგებში დაბანდებული ფრანგული კაპიტალი მრავალფეროვანი რესურსებისა და მოსახლეობის მტაცებლური ექსპლოატაციით მუდამ უდიდეს მოგებას ღებულობდა. კოლონიური ძარცვის ძირითადი ობიექტები იყვნენ მშრომელი მასები — გლეხობა, მუშები, ქალაქის ღარიბობა, ხელოსნები და წვრილი ვაჭრები.

რაც შეეხება კომპრადორულ ბურჟუაზიას, რომელიც საშუამავლო ვაჭრობას ეწეოდა და საფრანგეთის მსხვილი სავაჭრო ფირმების აგენტი იყო, მნიშვნელოვან ეკონომიურ სახრავს ღებულობდა.

ვიეტნამი დიდი ხანია ქცეული იყო მეტროპოლიის საწვავ ფუ-
რად და მის სასურსათო-სანედლეულო დამატებად. იქიდან ყოველ-
წლიურად დიდი რაოდენობით გაჰქონდათ როგორც ბრინჯი, კაუჩუკი
და სოფლის მეურნეობის სხვა ნაწარმი, ისე ვოლფრამი, თუთია,
კალა და სხვა მინერალური ნედლეული.

საფარანგეთის კოლონიური რეჟიმი ხელოვნურად აფერხებდა
ვიეტნამის ეკონომიურ განვითარებას, ბოჭავდა ქვეყნის საწარმოო
ძალებს, ყოველმხრივ განამტკიცებდა შუა საუკუნოებრივ-ფეოდა-
ლურ ურთიერთობას, მფარველობდა ძველ სოციალურ ძალებს.
ამიტომ იქ ნელა ვითარდებოდა კაპიტალიზმი და შესაბამისად კუს
ნაბიჯით ფორმირდებოდა ახალი სოციალური ძალები. მართალია,
პირველმა მსოფლიო ომმა ობიექტურად ხელი შეუწყო სოციალის-
ტურ-ეკონომიურ ძვრებს ვიეტნამში და რამდენადმე დააჩქარა იქ კაპი-
ტალიზმის განვითარება, მაგრამ მისი შედეგები მეტად უმნიშვნელო
იყო. 20-იანი წლების დასაწყისისათვის ვიეტნამის მოსახლეობის 92—
94%-ი სოფლის მეურნეობაში იყო დასაქმებული, მრეწველობაზე,
ტრანსპორტსა და აღებ-მიცემობაზე კი რაღაც ერთეული პროცენტი
მოდიოდა.

აღნიშნულის გამო ეროვნული ბურჟუაზია და მუშათა კლასი
სუსტი და მცირერიცხოვანი იყო. ეროვნული (წვრილი და საშუალო)
ბურჟუაზია, რომლის ინტერესები სერიოზულად იბღალებოდა კო-
ლონიური წესებით და ფრანგული კაპიტალის მონოპოლიური ბატო-
ნობით, ისევე ოპოზიციურად და პატრიოტულად იყო განწყობილი,
როგორც აღმოსავლეთის სხვა კოლონიური ქვეყნების ბურჟუაზია.
იგი ლამობდა გაეფართოებინა თავისი პოლიტიკური უფლებები და
ეკონომიური საქმიანობის სფერო, მიეღო უფრო მეტი წვლილი
ქვეყნის რესურსებისა და მისი მოსახლეობის ექსპლოატაციაში. რაც
შეეხება მუშათა კლასს, თუმცა თავისი მდგომარეობის გამო იგი
ვიეტნამის საზოგადოების მთავარი რევოლუციური კლასი იყო,
მაგრამ მას აკლდა იდეურ-პოლიტიკური წვრთნა და ორგანიზაცი-
ული შეკავშირება.

ასეთი იყო ვითარება ვიეტნამში, როცა ზღვებზე და ოკეანეებზე
გადავლით მის შორეულ ნაპირებამდე მიაღწია სასიხარულო ცნობამ
დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისა და
ყოფილი რუსეთის ტერიტორიაზე პირველი სოციალისტური სახელ-
მწიფოს აღმოცენების შესახებ. მსოფლიო ისტორიის ამ უდიდესმა
ამბავმა წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა ვიეტნამის მოსახლე-
ობის ფართო ფენებზე. მან აღაფრთოვანა ისინი მომავლის მტკიცე
იმედით, საკუთარი ძალების რწმენა ჩაუსახა მათ და მით ძლავრი
ბიძგი მისცა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლო-

ბას. დიდი მეზობლის—ჩინეთის აბობოქრებამ და ჩინელი ხალხის ჩაბმამ სახალხო-განმათავისუფლებელ ბრძოლაში თავის მხრივ დიდი გამარევოლუციონერებელი გავლენა მოახდინა ვიეტნამის მშრომელებზე და გააძლიერა საბრძოლო მისწრაფება.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისა და ჩინეთში აბობოქრებული რევოლუციური მოძრაობის ზეგავლენით ვიეტნამელი ხალხის ბრძოლა საფრანგეთის კოლონიური ბატონობის წინააღმდეგ უფრო ინტენსიური და მასობრივი ხდება. მასში აქტიურად ებმება ახალგაზრდა მუშათა კლასი, რომელიც იწყებს თავისი პირველი ორგანიზაციების შექმნას და აჩაღებს საგაფიცვო მოძრაობას.

თვით ფრანგ კოლონიზატორთა მიერ შეჯამებული ცნობებით 1919—1925 წლებში ადგილი ჰქონდა სამ ათეულზე მეტ გაფიცვას, რომლებშიაც ათასობით მუშა იღებდა მონაწილეობას, მაგრამ ეს გაფიცვები ძირითადად სტიქიურად მიმდინარეობდა და ეკონომიური მოტივებით იყო წარმოშობილი.

ამ წლებში ვიეტნამსა და საზღვარგარეთ არსებული პოლიტიკური ორგანიზაციებიდან მხოლოდ ორიოდე თუ იდგა მარქსისტულ პლატფორმაზე და ასახავდა მშრომელთა ინტერესებს. ერთ-ერთი ასეთი ორგანიზაცია იყო ვიეტნამური ახალგაზრდობის რევოლუციური ამხანაგობა (ლიგა). იგი 1925 წელს დააარსა ნგუენ აი კუოკმა (ხო ში მინმა) სამხრეთ ჩინეთში ემიგრანტ-პატრიოტ ახალგაზრდებს შორის[1]. მეორე იყო — ახალი ვიეტნამის რევოლუციური პარტია, რომელიც იმავე 1925 წელს აღმოცენდა თვით ვიეტნამში.

პირველმა დასახელებულმა ორგანიზაციამ აქტიურად მოკიდა ხელი მუშათა შორის მუშაობას (თავისი წარმომადგენლებისა და ბეჭდვითი ორგანოების მეშვეობით) და მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების პროპაგანდას. ამ ორგანიზაციის საქმიანობამ გავლენა მოახდინა ახალი ვიეტნამის რევოლუციურ პარტიაზე, რომელიც წვრილბურჟუაზიულ, საკმაოდ ბუნდოვანი პროგრამის მქონე პარტიიდან თანდათანობით რევოლუციურ პარტიად იქცა. აღნიშნული ორგანიზაციები გახდა ის ბირთვი, რომლის საფუძველზედაც შემდეგში აღმოცენდა ვიეტნამის კომუნისტური პარტია.

გარდა აღნიშნული პარტიებისა, 1927 წელს ვიეტნამში შეიქმნა ვიეტნამის ნაციონალური პარტია, რომლის პროგრამა და საქმიანობა მკაფიოდ ასახავდა ეროვნული ბურჟუაზიის არათანმიმდევრობასა და მერყეობას.მასებთან უშუალო კონტაქტის დამყარებისა და მათი მოთხოვნების გათვალისწინების ნაცვლად, აღნიშნული პარტია არ

---

1 ჩინეთში ყოფნისას ხო ში მინი სახელად ლი-ს ატარებდა.

შორდებოდა ბურჟუაზიული დემოკრატიის მოთხოვნების ჩარჩოებს და ბრძოლის ფორმებში უპირატესობას ინდივიდუალურ ტერორს (წვრილბურჟუაზიული ჯგუფები) და სამხედრო აჯბოხებებს აძლევდა... ზემოაღნიშნული ორი პარტიის გავლენის ზრდისა და მუშათა მოძრაობის განვითარების კვალდაკვალ მცირდებოდა ეროვნული პარტიის გავლენა და სოციალური ბაზა.

ჩინეთის 1924—1927 წლების რევოლუციის უშუალო ზეგავლენითა და ვიეტნამის ახალგაზრდობის რევოლუციური ლიგის აქტიური საქმიანობის შედეგად 1926 წლიდან ვიეტნამში ახალი ძალით ჩაღდება მუშათა საგაფიცვო მოძრაობა. ამ პერიოდის ათეული გაფიცვიდან აღსანიშნავია საიგონის არსენალის მუშათა გაფიცვა (1926 წელს) და ფრანგ პლანტატორთა კუთვნილი კაუჩუკის პლანტაციის ყულ-მუშათა გაფიცვა 1927 წელს, რომელიც გაფიცულთა მხეცური დახვრეტით დამთავრდა. 1928—1929 წლებში გაფიცვების რაოდენობა და მასშტაბი კიდევ უფრო გაიზარდა.

ამას თან დაერთო გლეხთა მასობრივი მღელვარებები და გამოსვლები, ეროვნულ უმცირესობათა აჯანყებები (მოი და სხვები), სტუდენტ-მოსწავლეთა და მოსამსახურეთა გამოსვლები, რომლებმაც მოიცვა როგორც ჩრდილო ვიეტნამი (ტონკინი), ისე ცენტრალური (ანამი) და სამხრეთი ნაწილები (კოხინხინა). საფრანგეთის კოლონიურმა ხელისუფლებამ უსასტიკეს რეპრესიებს მიმართა და შეუბრალებლად ჩაახშო საფრანგეთის კოლონიური ბატონობისათვის მეტად საშიში გამოსვლები. იგი არ მოერიდა გაფიცულთა და დემონსტრანტთა დახვრეტას და ციხეებში ჩაყარა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის მონაწილენი.

ხო ში მინი

ვიეტნამის მუშათა რევოლუციური მოძრაობის განვითარებამ და ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაში მისი როლის ამაღ-

ლებამ ღრის წესრიგში დააყენა ვიეტნამის კომუნისტური პარტიის შექმნა. საამისო ნაბიჯები გადაიდგა ჯერ კიდევ 1929 წელს, როცა ხო ში მინის ინიციატივით ჰონკონგში შედგა ვიეტნამური ახალგაზრდობის რევოლუციური ლიგის („თხან ნიენი"-ს) ეროვნული კონგრესი და წამოყენებულ იქნა წინადადება ორგანიზაციის კომუნისტური პარტიის ლიგად გარდაქმნის შესახებ. დაბოლოს, 1930 წლის თებერვალში კომუნისტური ინტერნაციონალის აქტიური მხარდაჭერით ხო ში მინმა და სხვა ჭეშმარიტმა მარქსისტმა რევოლუციონერებმა დაძლიეს ყველა დაბრკოლება, აღკვეთეს ფრაქციონერთა საბოტაჟი და სამი გათიშული კომუნისტური პარტიის ბაზაზე შექმნეს ვიეტნამის ერთიანი კომუნისტური პარტია[1]. კომუნისტური პარტიის შექმნა მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ვიეტნამელი ხალხის განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიაში. მისი სახით შეიქმნა მშრომელთა რევოლუციური ავანგარდი, რომელიც მოწოდებული იყო სათავეში ჩასდგომოდა ვიეტნამელი ხალხის ბრძოლას დამოუკიდებლობისა და დემოკრატიისათვის, ექცია მუშათა კლასი ამ ბრძოლის მედროშედ და ხელმძღვანელად.

ეროვნულ - განმათავისუფლებელი ბრძოლის ახალი აღმავლობა 1930—1931 წლებში

1929—1933 წლების მსოფლიო ეკონომიურმა კრიზისმა თავისი ბასრი ბრჭყალები ჩაასო კოლონიურ ინდოჩინეთს და ახალი იარები გაუჩინა მას. კრიზისმა დასცა ვიეტნამის მრეწველობის ყველა დარგი, სოფლის მეურნეობა, ტრანსპორტი და აღებ-მიცემობა. მის შედეგად მუშაობა შეწყვიტა ასეულმა საწარმომ და მაღარომ, სავაჭრო წერტმა და პლანტაციამ, დაგროვდა გაუსაღებელი ნედლეულისა და სურსათის დიდძალი მარაგი, დაეცა მათი საბაზრო ფასები. უმუშევრობამ სოფლადაც და ქალაქადაც მასობრივი ხასიათი მიიღო. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა შეიქმნა სოფლად, სადაც ფეოდალური ჩაგვრითა და მაღალი გადასახადებით სასოწარკვეთილი გლეხობა კრიზისის დამღუპველმა შედეგებმა და სტიქიურმა უბედურებებმა შიმშილით სიკვდილის ზღურბლამდე მიიყვანა.

სოფლისა და ქალაქის მშრომელთა ცხოვრების პირობების უკიდურესმა გაუარესებამ მკვეთრად გაამწვავა სოციალური წინააღმდეგობანი, ღრმა პოლიტიკური კრიზისი წარმოშვა და მით მძლავრი გაქანება მისცა ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას, რომელიც თანდათანობით მკვეთრად მებრძოლ და ორგანიზებულ სახეს ღებულობს და კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მიმდინარეობს.

---

[1] იმავე წლის ოქტომბერში მან ინდოჩინეთის კომუნისტური პარტიის სახელი მიიღო.

აღნიშნული პერიოდის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთ ყველაზე დიდ მოვლენას, რომელმაც დიდი რეზონანსი პოვა და სერიოზული გავლენა მოახდინა ამბების შემდგომ მსვლელობაზე, წარმოადგენდა იენბაის გარნიზონის (ჩრდილო ვიეტნამი) მკვიდრ ჯარისკაცთა 1930 წლის თებერვლის აჯანყება. აჯანყება იმ აგიტაციის უშუალო შედეგი იყო, რასაც ჯარისკაცთა რიგებში ეწეოდა ეროვნული ბურჟუაზიის პარტია — ვიეტნამის ნაციონალური პარტია (ვიეტნამ კუოკ ზან დანგ-ი), რომელიც ინტელიგენციის, მოხელეების, სტუდენტებისა და ნაწილობრივ გლეხების მხარდაჭერით სარგებლობდა.

1930 წლის 9—10 თებერვალს ღამით ჯარისკაცთა ჯგუფი 200 კაცის რაოდენობით ნაციონალური პარტიის წარმომადგენლის ხელმძღვანელობით აჯანყდა ფრანგ კოლონიზატორთა წინააღმდეგ. აჯანყებას მხარი დაუჭირეს მახლობელი სოფლების გლეხებმა და სხვა სამხედრო ფორტების ჯარისკაცებმა, რომლებიც აგრეთვე იარაღით ხელში გამოვიდნენ დამპყრობელთა წინააღმდეგ. აჯანყებულები ხოცავდნენ ფრანგ ჯარისკაცებს, პოლიციელებს, მეამბულეებს და კოლონიზატორთა სხვა აგენტებს. აჯანყების ჩასაქრობად ფრანგმა კოლონიზატორებმა დაძრეს რეგულარული არმიის დიდი შენაერთები და ვანდალური შეურიგებლობით შეუდგნენ „წესრიგის“ აღდგენას. თებერვლის ბოლოსათვის ყველაფერი დამთავრებული იყო. ავიაციის, არტილერიისა და ჯარის სხვა სახეობათა კომბინირებული მოქმედებით კოლონიზატორებმა შეძლეს აჯანყების ჩაქრობა.

ვიეტნამელ ხალხს ძვირად დაუჯდა ეს აჯანყება. „სისხლიანი კვირის დღეებში“ გააფთრებული ბრძოლების პროცესში ფრანგმა კოლონიზატორებმა უმოწყალოდ გაჟლიტეს აჯანყების ასობით მონაწილე-ჯარისკაცი თუ მოქალაქე; სამხედრო-საველე სასამართლოებმა სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს აჯანყების მრავალ ათეულ აქტივისტსა და ხელმძღვანელს, ათასობით კი გადაასახლეს ან საპყრობილეებში ჩაყარეს.

იენბაის აჯანყება, ამგვარად, მარცხით დამთავრდა. დამარცხების მიზეზები იყო მისი არასათანადო მომზადება, აჯანყებულ ჯარისკაცთა და სამოქალაქო მოსახლეობის სუსტი კავშირი, კოლონიზატორთა სიძლიერე და აჯანყების ხელმძღვანელი ნაციონალური პარტიის პროგრამული შეზღუდულობა, ეკლეხობასთან და მოსახლეობის სხვა მშრომელ ფენებთან მისი სუსტი კავშირი. აღნიშნულ აჯანყებას, მარცხის მიუხედავად, სერიოზული მნიშვნელობა ჰქონდა. იგი იყო პირველი მასობრივი აჯანყება, რომელიც გავრცელდა ვრცელ ტერიტორიაზე და მოიცვა მოსახლეობის სხვადასხვა სოციალური ფენები.

იენბაის აჯანყების დამარცხების ერთ-ერთი შედეგი იყო ეროვნული პარტიის განადგურება, მისი დაშლა და ისტორიის სცენიდან გასვლა. აჯანყებით დაშინებული ვიეტნამის ბურჟუაზიის ზედა ფენა ფრანგ კოლონიზატორებთან შეთანხმებაზე იღებს გეზს. ვიეტნამელი ხალხის შემდეგდროინდელი ბრძოლა კი ახალგაზრდა არალეგალურად მომუშავე კომუნისტური პარტიის უშუალო ხელმძღვანელობით მიმდინარეობს.

იენბაის აჯანყების დამარცხების მიუხედავად, ფრანგმა კოლონიზატორებმა ვერ შეძლეს მსოფლიო ეკონომიური კრიზისის შედეგებით ვიეტნამში აბობოქრებული სახალხო-განმათავისუფლებელი ბრძოლის ჩახშობა. მუშათა კლასის, გლეხობისა და ახალგაზრდობის გამოსვლებმა თანდათანობით უფრო ორგანიზებული და შეგნებული სახე მიიღო. მარტო 1930 წელს ადგილი ქონდა ასამდე გაფიცვას, რომლებშიაც 40 ათასამდე მუშა იღებდა მონაწილეობას. გაფიცვებთან მოჰყვა ფრანგების კუთვნილი პლანტაციების ყულების გაფიცვები და გლეხთა მასობრივი გამოსვლები. გლეხთა გამოსვლები მიმართული იყო როგორც კოლონიზატორთა ბატონობის, ისე ფეოდალური ჩაგვრის წინააღმდეგ.

1930 წლის შემოდგომაზე ცენტრალური ვიეტნამის ორ მოსაზღვრე ნგე-ანისა და ხა-ტინის პროვინციების ზოგიერთ მაზრაში აჯანყებულმა გლეხებმა, რომელთა სათავეში იდგნენ ადგილობრივ საწარმოთა მუშები, ბოლო მოუღეს კოლონიურ ადმინისტრაციასა და ფეოდალ მოკავშირეთა ხელისუფლებას და მათ ნაცვლად შექმნეს სახალხო საბჭოები — მუშათა და გლეხთა რევოლუციური ხელისუფლების ფორმები. ახალმა სახალხო ორგანოებმა მოახდინეს მემამულეთა მიწების კონფისკაცია და მათი გლეხებისათვის გადაცემა. სათემო მიწები გაუნაწილეს ღარიბებსა და მოჯამაგირეებს, გააუქმეს სულადი და საბაზრო გამოსაღებები. შექმნეს სახალხო სასამართლოები, თავდაცვის რაზმები, გაჭირვებულებს გაუნაწილეს ბრინჯის მარაგი, მიიღეს ზომები მასების პოლიტიკური აღზრდისათვის და ა. შ. მაგრამ დიდხანს არ უარსებია მშრომელთა ორგანოებს ამ პროვინციებში. 1931 წლის ბოლოსათვის იგი სისხლში ჩაახშვეს ფრანგმა კოლონიზატორებმა.

1930 წლის სექტემბრის ბრძოლები 1930—1931 წლების მოძრაობის კულმინაციურ წერტილს წარმოადგენდა. 1931 წ. იანვრის თვიდან გაჩაღებულმა კოლონიურმა ტერორმა, რომელმაც დაჩრდილა წინა წლების ტერორი (მაშინ დაიღუპა კომუნისტური პარტიის ცკ გენერალური მდივანი ჩანფუ და მრავალი სხვა აქტივისტი) და ფეოდალურ-მემამულური დაჯგუფების და ეროვნული ბურჟუაზიის

ზედა ფენის გამცემლობამ, დასასრულ, კომპარტიის შეცდომებმა გამოიწვია მისი დამარცხება.

ანალიზს უკეთებდა რა 1930—1931 წლების ბრძოლების გამოცდილებას, ვიეტნამის კომუნისტური პარტია 1932 წელს აღნიშნავდა მის შემდეგ სუსტ მხარეებსა და შეცდომებს: „ბრძოლა ჯერ კიდევ ატარებდა ადგილობრივ ხასიათს; ის არ მოსდებია მთელ ქვეყანას; პარტიამ ვერ შეძლო და ვიეტნამის მთელ მოსახლეობას ვერ გააცნო ნგე-ანის და ხა ტინის გლეხთა აჯანყებების გამოცდილება, რომელთაც მემამულეთა მიწების კონფისკაცია მოახდინეს".

1930—1932 წ. წ. მასიური დემოკრატიული მოძრაობა, რომელიც ასეთი საშინელი სისასტიკით იქნა ჩახშობილი, წარმოადგენდა ვიეტნამის მშრომელი მასის სახალხო-განმათავისუფლებელი მოძრაობის დიდმნიშვნელოვან ეტაპს.

1933—1939 წლებში კლასობრივი და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ვიეტნამში გარეგნულად დეპრესიას განიცდის. ისეთი დიდი ბრძოლები და მასიური გამოსვლები, როგორც წინა წლებში იყო, აღარ ხდებოდა. მაგრამ არსებითად ამ წლებში მზადდებოდა პოლიტიკური და ორგანიზაციული საფუძვლები იმ მოძრაობისათვის, რომელიც მეორე მსოფლიო ომის წლებში გაიშალა. ამ წლებისათვის დამახასიათებელია კომუნისტური პარტიის საქმიანობის გაძლიერება, მასებთან კავშირის გაფართოება და მისი როლის გადიდება საერთო ნაციონალურ ბრძოლაში. კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ფართოდ იკიდებს ფეხს მასებში ერთიანი სახალხო ანტიიმპერიალისტური ფრონტის იდეა.

1935 წელს ინდოჩინეთის (ვიეტნამის) კომუნისტურმა პარტიამ ძირითადად აღადგინა თავისი რიგები. ამავე წლის მარტში ათინში (მაკაო) მან ჩაატარა პირველი ყრილობა, რომელმაც აირჩია ხელმძღვანელი ორგანოები და მიიღო სამოქმედო პროგრამა.

ბურჟუაზიულ-მემამულური და წვრილბურჟუაზიული პოლიტიკური დაჯგუფების იდეურ-პოლიტიკური დაპნეულობის პირობებში მხოლოდ კომუნისტურ პარტიას შეეძლო ერის სახელით ელაპარაკა, მისი სულისკვეთება გამოეხატა და ებრძოლა ქვეყნის თავისუფლებისა და დემოკრატიული გადახალისებისათვის. კომუნისტური პარტიის ახალმა ხელმძღვანელობამ კარგად გაითვალისწინა მის წინაშე მდგარი დიდი ამოცანები და სწორად წარმართა მუშაობა.

1936—1939 წლებში ვიეტნამის კომუნისტური პარტია, კარგად უხამებდა რა ერთმანეთს მასებზე ხელმძღვანელობის ლეგალურ და არალეგალურ ფორმებს, ენერგიულად იბრძოდა დასახული ამოცანების რეალიზაციისათვის. მან სწორი ხელმძღვანელობა გაუწია

მასობრივი მოძრაობის ახალ აღმავლობას. მისი ხელმძღვანელობით ამ წლებში მოეწყო მუშათა ასეული გაფიცვა, გლეხთა გამოსვლები და ახალგაზრდობის დემონსტრაცია, რომლებშიაც 1 მილიონზე მეტი ვიეტნამელი იღებდა მონაწილეობას.

1937 წელს ინდოჩინეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ორგანიზებულად გაფორმდა ერთიანი სახალხო-დემოკრატიული ფრონტი. იგი აერთიანებდა ლეგალურ კომუნისტურ ჯგუფს, საფრანგეთის სოციალისტური პარტიის ინდოჩინურ სექციას, წვრილბურჟუაზიულ რეფორმისტთა ჯგუფებს, მუშათა, ინტელიგენციის, წვრილ ვაჭართა მასობრივ ორგანიზაციებს და სხვა წვრილ ჯგუფებს.

სახალხო ფრონტის გამარჯვებამ 1936 წლის არჩევნებში საფრანგეთში ხელი შეუწყო მასობრივი დემოკრატიული მოძრაობის შემდგომ გაშლას მთელ ინდოჩინეთში, კერძოდ კი ვიეტნამში. პოლიტპატიმართა ამნისტიის შედეგად საპყრობილეებიდან გამოვიდა ასეული პატრიოტი, მათ შორის კომუნისტური პარტიის მრავალი აქტივისტი, რომლებმაც მიიღეს ლეგალური საქმიანობის შესაძლებლობა. საფრანგეთის სახალხო ფრონტის მთავრობამ, ანგარიში გაუწია რა საერთო სახალხო მოძრაობის აღმავლობას, გამოაქვეყნა რამდენიმე დეკრეტი, რომლებიც ნაწილობრივ აუმჯობესებდა მუშათა შრომის პირობებს. კერძოდ იგი ითვალისწინებდა 1938 წლისათვის 8 საათიან სამუშაო დღეზე გადასვლას, ყოველკვირეული დასვენების დღის დაწესებას, ქალთა და ბავშვთა ღამით მუშაობის აკრძალვას...

მაგრამ მეორე მსოფლიო ომის წინ ვითარება შეიცვალა. საფრანგეთში დამარცხდა ერთიანი ფრონტი და ხელისუფლებას ისევ მემარჯვენე ძალები დაეუფლნენ. ემზადებოდა რა ომისათვის, საფრანგეთის რეაქციულმა მთავრობამ მოსპო ვიეტნამელი ხალხის 1936—1937 წლების მონაპოვარი, მკვეთრად გააძლიერა ქვეყნის რესურსების ექსპლოატაცია და ისევ მკაცრი რეპრესიები გააჩაღა სახალხო დემოკრატიული მოძრაობის წინააღმდეგ.

შეცვლილ ვითარებაში ანტიიმპერიალისტური ბრძოლის შემდგომი გაშლა ბევრად იყო დამოკიდებული ერთიანი ფრონტის სიმტკიცესა და მასში შემავალი ორგანიზაციების სოლიდარობაზე. მაგრამ ტროცკისტული ელემენტების გამცემლური მოქმედების შედეგად ერთიანი სახალხო ფრონტი დაიშალა. ამან და ახალი რეპრესიების შედეგად კომუნისტური პარტიის არალეგალურ მდგომარეობაზე გადასვლამ თავისი დაღი დაასვა სახალხო მოძრაობას და საგრძნობლად შეასუსტა იგი.

ინდოჩინეთის დაპყრობა იაპონელთა მიერ და იაპონიის მკაცრი საოკუპაციო რეჟიმის დამყარება ვიეტნამში

იაპონიის აგრესიამ წყნარი ოკეანის აუზში, პირველ რიგში კი ჩინეთის წინააღმდეგ, და მეორე მსოფლიო ომის გაჩაღებამ, რომლის დროსაც (1940 წ. ივნისში) საფრანგეთის იმპერიალიზმმა სამხედრო-პოლიტიკური კრახი განიცადა, უშუალო გავლენა მოახდინა ვიეტნამის ხალხის ბედ-იღბალზე და ჩაითრია იგი ამ ამბების ორომტრიალში.

ვიშის (პეტენის) მოღალატურმა მთავრობამ კაპიტულაცია ჰოახდინა იაპონელ იმპერიალისტთა წინაშე და „შეთანხმების“ საფარველქვეშ (1940 წ. 23 სექტემბერს) მთელი კოლონიური ინდოჩინეთი მათ ჩაუგდო ხელში. ამ „შეთანხმებით“ იაპონელი იმპერიალისტები ღებულობდნენ უფლებას ესარგებლათ ინდოჩინეთის ნავსადგურებით, მიმოსვლის ყველა საშუალებით, აეროდრომებით და ეკონომიური რესურსებით. მათვე ეძლეოდათ იქ ჯარის ყველა სახეობის შეყვანის უფლება.

საფრანგეთის ახალი ანტინაციონალური ხელისუფლები ფიქრობდნენ გამოეყენებინათ იაპონელი სამურაები და მათი მეშვეობით შეენარჩუნებინათ კოლონიური ბატონობა ინდოჩინეთში მანამ, სანამ მათაც არ დაუდგებოდათ „მზიანი დღეები“ და შესაძლებლობა არ მიეცემოდათ კვლავინდებურად მტკიცე ხელით ემართათ ეს ქვეყანა. უდავოა, რომ ეს იყო უაზრო და სულელური ფიქრი. იაპონელი სამურაები სრულებითაც არ ფიქრობდნენ ინდოჩინეთში დროებით „სტუმრობას“, მით უფრო — ფრანგ კოლონიზატორთა პოზიციების დაცვა-დარაჯს. მათ მტკიცე გადაწყვეტილება ჰქონდათ: დარჩენილიყვნენ განუსაზღვრელი დროით, გამოეძევებინათ ფრანგი დამპყრობლები და მათი ადგილი თვით დაეპირათ. მხედველობაში მისაღებია ის გარემოება, რომ ინდოჩინეთი იაპონელ მილიტარისტებს ესაჭიროებოდათ აგრეთვე როგორც ხელსაყრელი პლაცდარმი, ბაზა შემდგომი აგრესიისათვის.

იაპონელმა დამპყრობლებმა მალე გამოავლინეს თავიანთი მტაცებლური სახე როგორც ფრანგ „მეგობართა“, ისე ინდოჩინეთის ხალხის მიმართ. ამ ტერიტორიის ერთობლივი დაცვის მიზეზებით იაპონიის სარდლობამ მთელი ინდოჩინეთი აავსო სახმელეთო ჯარებით და საავიაციო შენაერთებით. მათვე 1941 წლის „ეკონომიური შეთანხმებით“ ხელთ იგდეს ამ ქვეყნის მთელი ტრანსპორტი, ფაბრიკა-ქარხნები, წიაღისეული, ნედლეული, სურსათ-სანოვაგე და სხვ. ამასთან ერთად მათ წააქეზეს ტაილანდელი რეაქციონერები და აამხედრეს ისინი ინდოჩინეთის წინააღმდეგ. ტაილანდ-ინდოჩინეთის ომის შედეგს წარმოადგენდა „შეთანხმება“ (იაპონელი სამურაები „მომრიგებელ-შუამავლის“ როლს თამაშობდნენ), რომლითაც

ინდოჩინეთის ტერიტორიის ნაწილი (სამხ. დასავლეთ ნაწილში) 30000 კვ. კმ მოცულობით ტაილანდის ხელში გადადიოდა მისი ნედლეულის, თევზეულის, სურსათ-სანოვაგის და სხვა სიმდიდრეთა მნიშვნელოვანი მარაგით. იაპონელთა „ახალი წესრიგი“ ინდოჩინეთის მოსახლეობისათვის თვით ფრანგ კოლონიზატორთა ბატონობაზეც კი უარესი იყო.

ანტიიაპონური მოძრაობა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით. ვიეტმინის შექმნა

იაპონელ აგრესორთა შეპრის პირველი დღიდანვე ვიეტნამის ხალხი აღდგა სამშობლოს დასაცავად. ამ ბრძოლას სათავეში ჩაუდგა ვიეტნამის პროლეტარიატი და მისი ავანგარდი კომუნისტური პარტია.

ანტიიაპონური გამოსვლების პირველი ტალღა გაიშალა ჯერ კიდევ 1940 წელს (სექტემბერს). ანტიიაპონური გამოსვლის ასპარეზს წარმოადგენდა ჩრდილო ვიეტნამი. იაპონელ იმპერიალისტთა და ფრანგ კოლონიზატორთა ერთიანი ფრონტით გამოსვლამ გამოიწვია ვიეტნამის ხალხის პირველი გაბრძოლების ჩახშობა.

ცოტა უფრო გვიან — 1940 წ. ნოემბერში ანტიიმპერიალისტური აჯანყება გაჩაღდა ჩრდილო ანამსა და კოხინხინაში. ამ აჯანყების დროს შეიქმნა არჩევითი სახალხო კომიტეტები და აღიმართა წითელი დროშა — შემდეგში სახალხო განთავისუფლებელი ბრძოლის სიმბოლო. 1941 წლის იანვარში იაპონელების წინააღმდეგ აჯანყდნენ სგე—ანის პროვინციაში დაბანაკებული ვიეტნამელი ჯარისკაცები. ეს აჯანყებაც, 1940 წლის აჯანყების მსგავსად, სისხლში იქნა ჩახშობილი.

სახალხო-განმათავისუფლებელი ანტიიაპონური ბრძოლის მომავალი აღზევების ბირთვად და პლაცდარმად იქცა ჩრდილო ვიეტნამის მთიანი რაიონი, სადაც თავი მოიყარეს წინა აჯანყებებში მონაწილე აჯანყებულებმა.

პატრიოტული ძალების შემდგომი დარაზმვისა და სახალხო ბრძოლის ახალი ძალით გაშლის მომზადების საქმეში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კომუნისტური პარტიის ცკ VIII გაფართოებულ პლენუმს (იგი ჩატარდა 1941 წლის მაისში ხო ში მინის ხელმძღვანელობით), რომელმაც, გაითვალისწინა რა შექმნილი ვითარება, მიიღო დადგენილება ერთიანი ეროვნულ-განმათავისუფლებელი ფრონტის შექმნის შესახებ. დადგენილება აღნიშნული ორგანიზაციის შექმნის შესახებ იმავე წელს იქნა მოყვანილი სისრულეში. იგი შეიქმნა ვიეტნამის დამოუკიდებლობის ლიგის („ვიეტნამ დოკ ლაპ დონგ-მინის“) ან ვიეტმინის სახელწოდებით. იგი შეიქმნა სახალხო-პარტიზანული ბრძოლის მთავარი კერის ჩრდილო ვიეტნამის მთიან საზღვრისპირა ვიეტ-ბაკის რაიონში. სათანადო გაფორმება

ვან მიიღო იმავე წელს სხვადასხვა პოლიტიკურ ორგანიზაციათა ყრილობაზე. 1942—1943 წლებში შეიქმნენ და ვიეტნამის დამოუკიდებლობის ლიგაში გაერთიანდნენ „სამშობლოს ხსნის მუშათა საზოგადოება“, „სამშობლოს ხსნის გლეხთა საზოგადოება“, „სამშობლოს ხსნის ახალგაზრდობის კავშირი“ და სხვა პატრიოტული ორგანიზაციები.

1943 წლის თებერვალში ვიეტნამის კომუნისტურმა პარტიამ გამოაქვეყნა ე. წ. „თეზისები კულტურის შესახებ“, რომლის ამოცანა იყო ეროვნული ბურჟუაზიის მერყეე ნაწილზე, ინტელიგენციაზე, სოფლის კულაკურ ელემენტებსა და მოსწავლე ახალგაზრდობაზე ზეგავლენის გაძლიერება და მათი ჩაბმა საერთო პატრიოტულ განმათავისუფლებელ ფრონტში. აღნიშნულმა დოკუმენტმა შეასრულა დასახული ამოცანა. ხელი შეუწყო მოსახლეობის ახალი ფენების ჩაბმას განმათავისუფლებელ ბრძოლაში. იმავე 1943 წელს შეიქმნა „სამშობლოს ხსნის კულტურის მოღვაწეთა საზოგადოება“, რომელიც მალე შეუერთდა ვიეტმინს. 1944 წლის ივნისში ვიეტმინში შევიდა ცოტა ხნის წინათ ორგანიზებული წვრილი ბურჟუაზიისა და ეროვნული ბურჟუაზიის ინტერესების გამომხატველი დემოკრატიული პარტია.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დიდი გაქანებით დაშინებულმა ფრანგმა კოლონიზატორებმა ჩრდილო ვიეტნამის რევოლუციური ბაზების წინააღმდეგ 1943 წლის ნოემბერში დიდი ძალებით მოაწყეს რამდენიმე დამსჯელი ოპერაცია. მართალია, იგი არ დამთავრებულა რევოლუციური ბაზების სრული განადგურებით, მაგრამ სერიოზული დარტყმა მიაყენა ვიეტმინის მებრძოლ ძალებს.

მეორე მსოფლიო ომის მსვლელობაში მომხდარმა გარდატეხამ ანტიჰიტლერული კოალიციის სასარგებლოდ და საბჭოთა კავშირის ხალხების გმირულმა ბრძოლამ ფაშისტ აგრესორთა წინააღმდეგ აღაფრთოვანა ვიეტნამელი ხალხი და მძლავრი ბიძგი მისცა სახალხო-განმათავისუფლებელი ბრძოლის ახალ მძლავრ აღმავლობას. ფრანგების მიერ მიყენებული დარტყმის მიუხედავად ჩრდილო ვიეტნამის ჩინეთის მოსაზღვრე მთიანი რაიონის სახალხო წინააღმდეგობის კერა 1944 წლიდან თანდათანობით ფართოვდება და ახალ რაიონებში ვრცელდება. მზადდება ნიადაგი პარტიზანული ბრძოლიდან ფრანგ კოლონიზატორთა და იაპონელ ოკუპანტთა წინააღმდეგ აშკარა შეიარაღებულ ბრძოლაზე გადასვლისათვის.

1944 წლის ბოლოსათვის ჩრდილო ჩინეთის პარტიზანული რაზმების ბაზაზე შეიქმნა სახალხო-განმათავისუფლებელი არმია, რომელსაც სათავეში ედგნენ ხო ში მინი და ყოფილი საიგონელი მასწავლებელი ვო ნგუენ ზიაპი.

1945 წლის დასაწყისისათვის ამ არმიამ პარტიზანული ომის წარმოების მეთოდების მოხერხებული გამოყენებით მტრებისაგან გაწმინდა ჩრდილო ვიეტნამის შვიდი პროვინცია და, იაპონელთა კონტრ-იერიშების მიუხედავად, მტკიცედ დამკვიდრდა იქ. ამ ვრცელი ტერიტორიების განთავისუფლებით ფრანგ კოლონიზატორთა წინააღმდეგობა ქვეყნის ამ ნაწილში ფაქტიურად შეწყდა. ვიეტნამელ პატრიოტებს მხოლოდ ერთი მტერი — იაპონელი ოკუპანტები დარჩათ დასაძლევი. ახლად განთავისუფლებულ რაიონებში ლიკვიდირებულ იქნა კოლონიური ხელისუფლების ორგანოები. მათ ნაცვლად შეიქმნა სახალხო ხელისუფლების ორგანოები და დაიწყო დემოკრატიული ხასიათის სოციალურ-ეკონომიური და კულტურული ღონისძიების გატარება.

1945 წლის აგვისტოს რევოლუცია და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა

სახალხო-განმათავისუფლებელი ბრძოლის დიდმა გაქანებამ მთელ საფრანგეთის ინდოჩინეთში და ჩრდილო ვიეტნამის მნიშვნელოვანი ნაწილის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ხელში გადასვლამ დააშინა იაპონელი დამპყრობლები და აიძულა ისინი მიეღოთ საგანგებო ღონისძიებები. 1945 წლის 2 მარტს მათ მოახდინეს გადატრიალება, განაიარაღეს საფრანგეთის არმიის დიდი ნაწილი[1], ლიკვიდაცია უყვეს მათთან თანამშრომელ საფრანგეთის კოლონიურ ადმინისტრაციას, ფრანგი მოხელეები იაპონელი მოხელეებით შეცვალეს და ამ აქტით ბოლო მოუღეს საფრანგეთის პოლიტიკურ გავლენას როგორც ვიეტნამში, ისე კამბოჯასა და ლაოსში. მოსახლეობის თვალის ასახვევად იაპონელმა კოლონიზატორებმა ვიეტნამი „დამოუკიდებელ" სახელმწიფოდ გამოაცხადეს და ამ მარიონეტული სახელმწიფოს მეთაურად — „იმპერატორად" დანიშნეს ფეოდალური ზედაფენის თავკაცი ბაო დაი.

ვიეტმინმა კომპარტიის ხელმძღვანელობით ფარდა ჩამოხადა ამ ყალბი „დამოუკიდებლობის" ნამდვილ არსს, ფეოდალურ-მემამულური და ბურჟუაზიული ხროვის კავშირს იაპონელ დამპყრობლებთან. 1945 წლის 12 მარტს ვიეტმინის ცენტრალურმა კომიტეტმა მოუწოდა მოსახლეობას ამის საპასუხოდ კიდევ უფრო გაეძლიერებინათ ბრძოლა სამშობლოს განთავისუფლებისათვის და მზად ყო-

---

[1] ფრანგი მოხელეები და ფრანგული სამოქალაქო მოსახლეობა იაპონელმა ოკუპანტებმა საკონცენტრაციო ბანაკებში შეიყვანეს. ცალკეული ფრანგული სამხედრო ნაწილები არ დაემორჩილნენ იარაღის დაყრის მოთხოვნას და ვიეტნამელი პატრიოტების მიერ განთავისუფლებულ რაიონებს შეაფარეს თავი. მაგრამ მათ უარი განაცხადეს ეთანამშრომლათ ვიეტმინთან და შემდეგ გომინდანური ჩინეთის ტერიტორიაზე გადაიყვანეს.

ფილიუვნენ მასობრივი შეიარაღებული აჯანყებისათვის იაპონელ ოკუპანტთა წინააღმდეგ.

1945 წლის ივნისში, როცა შეიქმნა განთავისუფლებული რაიონების ერთიანი განთავისუფლებული რაიონი და განმათავისუფლებელი არმიის ერთიანი სარდლობა, ვიეტმინმა გამოაქვეყნა მოწოდება, რომელიც მოსახლეობას აუწყებდა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის შესაქმნელად მომზადებული საყოველთაო აჯანყების ვადის მოახლოებას. ცოტა უფრო გვიან მან გამოაქვეყნა პროგრამა, სადაც ჩამოყალიბებული იყო ის პოლიტიკური და სოციალ-ეკონომიური ამოცანები (საყოველთაო არჩევნები, დემოკრატიული უფლებები, არმიის ორგანიზაცია, ამნისტია, კოლაბორაციონისტების დასჯა, ძველი შეთანხმების (საფრანგეთთან) გაუქმება, მეგობრული კავშირის დამყარება ყველა დემოკრატიულ სახელმწიფოსთან, ფეოდალური გადმონაშთების, საბატონო ბეგარისა და სულადი გადასახადების გაუქმება, გამცემ-კოლაბორაციონისტთა ქონების კონფისკაცია, ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია, მშრომელთა პირობების გაუმჯობესება, ფაშისტურ იდეოლოგიასთან ბრძოლა, განათლების კოლონიური სისტემის გაუქმება და სხვა და სხვა), რომლითაც უნდა ეხელმძღვანელა მას გამარჯვების მოპოვების შემდეგ. ამ პროგრამას, რომელიც ძირითად პუნქტებში ჩინეთის რევოლუციური დემოკრატიის ანალოგიურ პროგრამას ემთხვეოდა, მეტად დიდი გამარევოლუციონერებელი მნიშვნელობა ჰქონდა. მან ხელი შეუწყო ვიეტნამელ პატრიოტთა შემდგომ დარაზმვას და დააჩქარა გადამწყვეტი ბრძოლის დაწყების თარიღი.

მთელი ვიეტნამი მოიცვა ეროვნულ-განმათავისუფლებელმა სულისკვეთებამ. ჩრდილო ვიეტნამთან ერთად, რომლის დიდი ნაწილი განთავისუფლებულ რაიონებს შეადგენდა და ვიეტნამის სახალხო ხელისუფლებას ექვემდებარებოდა, რევოლუციური მოძრაობა ფართოდ გავრცელდა ცენტრალურ და სამხრეთ ვიეტნამშიც, სადაც აღმოცენდა ვიეტნამის ახალი ორგანიზაციები და გაიშალა მზადება საყოველთაო შეიარაღებული აჯანყებისათვის.

საბჭოთა კავშირის ჩაბმამ იაპონელი იმპერიალისტების წინააღმდეგ ომში (1945 წლის 9 აგვისტოს) გადამწყვეტი როლი შეასრულა ამბების დაჩქარებაში და შემზადებული საყოველთაო აჯანყების კოცონის აგიზგიზებაში.

ცნობამ იაპონიის უსიტყვო კაპიტულაციის შესახებ სიგნალის როლი შეასრულა. 19 აგვისტოს ვიეტმინის მოწოდებით ჰანოიში დაიწყო სახალხო გამოსვლა, რის შედეგადაც მთელი ხელისუფლება გადავიდა აჯანყებული ხალხის ხელში. 24 აგვისტოს აჯანყება მოხდა საიმპერატორო ქალაქ ჰუეშიაც, რასაც მოჰყვა იმპერატორ ბაო

დაის გადადგომა[1]. ჩრდილო და ცენტრალური ვიეტნამიდან სახალხო-განმათავისუფლებელი რევოლუციის ტალღა გავრცელდა სამხრეთ ვიეტნამშიც. საიგონშიც ხელისუფლება ვიეტნამის რევოლუციური ხელისუფლების ხელში გადავიდა. სულ რაღაც 10 დღის განმავლობაში რევოლუციამ გაიმარჯვა ქვეყნის ყველა ნაწილში. ბოლო მოეღო იაპონიის უსიტყვო კაპიტულაციით დემორალიზებულ იაპონელ ოკუპანტთა და მათგან შექმნილ მარიონეტთა ხელისუფლებას, რომელიც რევოლუციურმა ხელისუფლებამ შეცვალა. რევოლუციის საყოველთაო სახალხო ხასიათის გამო შინაგანი ფეოდალური რეაქცია იძულებული იყო შენიღბულიყო და თვალთმაქცურად ეცნო ახალი ხელისუფლება.

აგვისტოს მიწურულში ეროვნულ-განმათავისუფლებელი კომიტეტი გარდაიქმნა განთავისუფლებული ვიეტნამის დროებით მთავრობად ხო ში მინის ხელმძღვანელობით. 1945 წლის 2 სექტემბერს ვიეტნამის დროებითი მთავრობის მეთაურმა ხო ში მინმა ჰანოიში ხალხმრავალ მიტინგზე საჯაროდ და საზეიმოდ გამოაცხადა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკა და გამოაქვეყნა დამოუკიდებლობის დეკლარაცია. ამ აქტით წარმატებით დაგვირგვინდა აგვისტოს სახალხო-განმათავისუფლებელი რევოლუცია. მისი წარმატება განაპირობა ხელსაყრელმა საერთაშორისო ვითარებამ, სსრ კავშირის გამარჯვებამ იაპონიის იმპერიალიზმზე და მუშათა კლასის სწორმა ხელმძღვანელობამ კომპარტიის წინამძღოლობით.

აგვისტოს რევოლუციამ ახალი ერა დაიწყო ვიეტნამელი ხალხის ისტორიაში.

---

1 მას ახალი რესპუბლიკის მრჩევლის პოსტი მიეცა.

ბირმა 1918—1947 წლებში

ბირმის მოსახლეობის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ

დიდი ოქტომბრის გამარჯვების მომენტისათვის ბირმა ინგლისის ნახევრად ფეოდალური და კოლონიური ეკონომიკის მქონე კოლონია იყო. ინდოეთთან ერთად, რომელსაც უკეთესი მართვის მოსაზრებებით შეუერთეს იგი, ბირმა ქცეული იყო მეტროპოლიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან აგრარულ-სანედლეულო დამატებად. ეს ქვეყანა დიდი რაოდენობით აწვდიდა ინგლისს ბრინჯს, ნავთობს, მინერალურ მადნეულს, კაუჩუკს, ძვირფასი ჯიშის ხე-ტყეს, ტროპიკული სოფლის მეურნეობის პროდუქტებს. კოლონიზატორთა სოციალურ საყრდენის როლს ამ ქვეყანაში ასრულებდნენ რეაქციული ფეოდალური ზედაფენა, მემამულეები, მსხვილი მევახშეები და კომპრადორი ვაჭრები (უმეტესად ინდუსები).

სოფლის მეურნეობა ჩამორჩენილი ბირმის ეკონომიკის ძირითადი დარგი იყო. იქ იყო დასაქმებული მიწათმოქმედი მოსახლეობის დიდი უმრავლესობა, იგი იძლეოდა ეროვნული შემოსავლის უმეტესობას. მიუხედავად ამისა, სოფლის მეურნეობა, იქ გაბატონებულ ფეოდალურ ურთიერთობათა წყალობით, ძალზე ჩამორჩენილი იყო. გლეხობის უმეტესობა უმიწაწყლობის გამო კაბალური მოიჯარადრეების მძიმე პირობებში ამუშავებდა ფეოდალ-მემამულეთა და მევახშეთა მიწას, აძლევდა მათ შემოსავლის დიდ ნაწილს, თანაც იხდიდა გადასახადებს სახელმწიფოს სასარგებლოდ და ასრულებდა მრავალ შრომით ბეგარას. მასობრივი უმუშევრობა, შიმშილობა, გადამდები ავადმყოფობანი, უმეცრება და რელიგიური ცრუმორწმუნეობანი ბირმის ჩამორჩენილი სოფლის კოლორიტის განუყოფელი კუთვნილება იყო. კოლონიური ჩაგვრა ფეოდალური გადმონაშთების დიდ ხვედრით წონასთან ერთად ბოჭავდა ბირმის სოფლის საწარმოო ძალებს და აფერხებდა მის წინსვლას.

ცვალებადი კონიუნქტურის მსოფლიო კაპიტალისტურ ბაზართან ძალით დაკავშირებულ ბირმაში ნელ-ნელა ვითარდება კაპიტალისტური წარმოება, ყალიბდებიან ახალი საზოგადოებრივი ძალები: ეროვნული ბურჟუაზია და მუშათა კლასი. კაპიტალისტური მრეწვე-

ლობის ჩასახვა და ფაბრიკა-ქარხნების მშენებლობა წინ უსწრებდა ეროვნული მრეწველობის შექმნას. პირველი კაპიტალისტური საწარმოები ადგილობრივი იაფი ნედლეულისა და მუშახელის ბაზაზე დააარსეს ინგლისური კაპიტალის მაგნატებმა.

ბირმის ახალგაზრდა მუშათა კლასის მდგომარეობა ისეთივე მძიმე და სავალალო იყო, როგორც მისი კლასობრივი მოძმის — გლეხობისა. კოლონიური ქვეყნის პირობებში იგი ორმაგი ჩაგვრის მძიმე უღლის ქვეშ გმინავდა. ინგლისელი მეწარმეები, რომელთაც ეკუთვნოდათ ყველა მსხვილი საწარმო (ნავთობის, მინერალური ნედლეულის მოპოვების, ხე-ტყისა და სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამუშავების, ტრანსპორტის...), შრომის ანაზღაურებისას მასობრივად მიმართავდნენ უხეშ დისკრიმინაციას და ბირმელ ან ინდუს მუშებს 8 და 10-ჯერ ნაკლებ ხელფასს აძლევდნენ, ვიდრე ევროპელ მუშებს, ისიც თანაბარი სამუშაოსა და კვალიფიკაციის პირობებში.

მშრომელთა აუტანელმა ყოფამ, ქვეყნის კოლონიურმა მდგომარეობამ, ეროვნული ინტელიგენციის გამოსვლამ საზოგადოებრივ ასპარეზზე, მზარდმა წინააღმდეგობამ ეკონომიური განვითარების ტენდენციასა და მის შემბოჭავ სოციალურ-ეროვნულ ურთიერთობათა შორის, ეროვნული ბურჟუაზიის მისწრაფებამ—განთავისუფლებულიყო მეტროპოლიის ბურჟუაზიის[1] „მეურვეობისაგან“ და მოეპოვებინა პოლიტიკური უფლებები—ნიადაგი შეუმზადა ბირმელი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის განვითარებას. ამას ზედ დაერთო დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის უდიდესი გამარევოლუციონერებელი გავლენა. ამ რევოლუციის ცხოველმყოფელი იდეების ზეგავლენით მკვეთრად გაძლიერდა საზოგადოებრივი მოძრაობა, გაიზარდა მოსახლეობის პატრიოტული ჯგუფების პოლიტიკური აქტივობა, გაღრმავდა ანტიიმპერიალისტური განწყობილება და მასობრივი უკმაყოფილება აშკარა მოძრაობაში გადაიზარდა. საერთო ეროვნულ მოძრაობაში აქტიურად ჩაებნენ მუშები, გლეხები, მოსწავლე ახალგაზრდობა, პატრიოტული ინტელიგენცია, წვრილბურჟუაზიული ჯგუფები და ეროვნული ბურჟუაზია[2].

ბირმის მოსახლეობის რევოლუციური სულისკვეთების მკაფიო გამოხატულება იყო ბუდისტური ახალგაზრდობის ასოციაციის გააქტიურება და პოლიტიკურ საქმიანობაში ჩაბმა (მათ „ვენტანუ-

[1] მისი ეკონომიური პოზიციები საგრძნობლად მომაგრდა პირველი მსოფლიო ომის წლებში ეკონომიური განვითარების ტემპის რამდენადმე დაჩქარების შედეგად.

[2] აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბირმის მოსახლეობის გამოღვიძებას დიდ სტიმულს აძლევს დიდი მეზობლის — ინდოეთის „ამოვარდნა ძველი კალაპოტიდან“ და იქ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მძლავრი აზვირთება.

ათინი“ ან „ბედნიერი კავშირები“ ეწოდებოდათ). 1920 წელს ახალგაზრდობის ბუდისტური ასოციაციის ბაზაზე შეიქმნა სრულიად ბირმის პატრიოტული პოლიტიკური ორგანიზაცია, ბირმის ასოციაციათა გენერალური საბჭოს სახელწოდებით.

ეს ორგანიზაცია საკმაოდ ჭრელი იყო. მასში შედიოდნენ ეროვნული ბურჟუაზია, ინტელიგენცია, მოსწავლე ახალგაზრდობა, ხელოსნები, გლეხობა და ნაწილობრივ მუშები. იგი ერთგვარად წარმოადგენდა ანტიიმპერიალისტური მიზნების მქონე ერთიანი ფრონტის ორგანიზაციას, რომელსაც ეროვნული ბურჟუაზიის, ლიბერალური შემამულეებისა და ნაციონალისტური ინტელიგენციის წარმომადგენლები ედგნენ სათავეში.

გენერალური საბჭოს უშუალო მონაწილეობით 1920 წელს მოეწყო ე. წ. „საუნივერსიტეტო ბოიკოტი“, რომელიც მოაწყო რანგუნის უნივერსიტეტის სტუდენტობამ, განათლების სისტემის დემოკრატიზაციისა და მისთვის ეროვნული ხასიათის მიცემის მოთხოვნებით. იგი მთელ ბირმას მოედო და მძლავრ მასობრივ პატრიოტულ დემონსტრაციად გადაიქცა. მის შედეგად რანგუნსა და სხვა ქალაქებში აღმოცენდა კოლონიური ხელისუფლებისაგან დამოუკიდებელი ეროვნული სკოლები.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აზვირთებას 1920 წლიდან ბიძგი მისცა ინგლისის მთავრობის გადაწყვეტილებამაც—არ გაევრცელებინა ბირმაზე მონტეგიუ-ჩელმსფორდის კუდშეკვეცილი რეფორმები, რომელიც უნდა გატარებულიყო ინდოეთში. ბირმის მოსახლეობის ინტერესების ამ მორიგ აბუჩად აგდებას მოჰყვა მასობრივი დემონსტრაციები, საპროტესტო მიტინგები და ინგლისური საქონლის ბოიკოტი, რომელიც ეროვნული ბურჟუაზიის ინიციატივით დაიწყო. მოძრაობამ მკვეთრი პოლიტიკური მიმართულება მიიღო. მის შედეგად გააქტიურდა ბირმის ასოციაციების გენერალური საბჭოს საქმიანობაც. 1921 წელს მანდალაის კონფერენციაზე მან წამოაყენა ბირმისათვის დომინიონის სტატუტის მიცემის მოთხოვნა, რაც ფაქტიურად სრული დამოუკიდებლობის მოთხოვნას ნიშნავდა. თვით „საუნივერსიტეტო ბოიკოტი“, რომელმაც ასე დიდი გაქანება მიიღო, აგრეთვე წარმოადგენდა ბირმელი პატრიოტული ახალგაზრდობის პასუხს ინგლისელ კოლონიზატორთა მორიგ დისკრიმინაციულ ნაბიჯზე.

ანტიიმპერიალისტური მოძრაობის დიდმა გაქანებამ აიძულა ბრიტანეთის იმპერიალიზმი უკან დაეხია. 1923 წელს იგი თანახმა გახდა გაეტარებინა ბირმაში ზოგიერთი ზედაპირული რეფორმა. რამდენადმე ფართოვდებოდა „საკანონმდებლო კრების“ ასარჩევ მკვიდრ წევრთა რაოდენობა, თანაც იქმნებოდა ძალზე შეზღუდული უფლებების მქონე სამინისტროები.

მაგრამ ამ ნაძალადევმა დათმობამ ვერ დააკმაყოფილა ბირმის მოსახლეობა. ეროვნული ბურჟუაზიაც, რომელიც უფრო ვრცელი პოლიტიკური უფლებების მოპოვებაზე ოცნებობდა, მტრულად შეხვდა მას. გენერალურმა ასოციაციამ ბოიკოტი გამოუცხადა არჩევნებს და მონაწილეობა არ მიიღო მასში.

1923—1928 წლები ბირმაში აღინიშნა პოლიტიკური სიტუაციის შემდგომი გამწვავებით და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შეუჩერებელი აღმავლობით. თავისუფლების, დამოუკიდებლობისა და დემოკრატიული უფლებების მოპოვება ბირმის მოსახლეობის საყოველთაო მისწრაფების საგანი გახდა. გაიზარდა მუშათა კლასის როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ამაღლდა მისი პოლიტიკურ-იდეური დონე. მუშათა გაფიცვები უფრო და უფრო მასობრივი და მებრძოლი გახდა. მენავთობეები, რკინიგზელები, ქალაქების კომუნალურ დაწესებულებათა მუშები ხშირად მიმართავენ გაფიცვებს და ეკონომიურ მოთხოვნებთან ერთად აყენებენ აქტუალურ პოლიტიკურ მოთხოვნებსაც. ჩინეთის მსგავსად პროგრესული ინტელიგენციის ინიციატივით ბირმაშიაც გაიშალა მოძრაობა ახალი — ეროვნული და დემოკრატიული კულტურისათვის. დაბოლოს, 1924—1925 და მომდევნო წლები ხასიათდება გლეხთა საბრძოლო აქტივობის გაძლიერებით და გლეხთა გამოსვლების გახშირებით.

1929—1933 წლების მსოფლიო ეკონომიური კრიზისის გავლენა ბირმაზე. ახალი რევოლუციური აღმავლობა

1929—1933 წლების მსოფლიო ეკონომიურმა კრიზისმა ისეთივე მძიმე დარტყმა აგემა ბირმას, როგორც მის მბრძანებელ მეტროპოლიას — დიდ ბრიტანეთს. საექსპორტო ნედლეულის ფასის დაცემა, მისი გაუზიდავი მარაგის დაგროვება, ნათესი ფართობის შეკვეცა, გლეხ მოიჯარადრეთა დავალიანების გადიდება, წარმოების შეკვეცა და მუშათა მასობრივი უმუშევრობა, ფასების ზრდა, სასურსათო სიძნელეები, ხელოსანთა გაკოტრება (მათი ნაწარმის გაუყიდველობის გამო) და შიმშილობის ზრდა და სხვ., აი რა მოუტანა მან ბირმას.

ამ სავალალო ვითარებამ წარმოშვა მშრომელთა მასობრივი უკმაყოფილება, რომელიც მალე მასობრივ სახალხო გამოსვლებში გადაიზარდა. კოლონიური მასების ურჩობის ზრდით დაშინებულმა ბრიტანეთის იმპერიალიზმმა განიზრახა მანევრისათვის მიემართა. 1930 წელს მან მიიღო გადაწყვეტილება გამოეყო ბირმა ინდოეთისაგან და იგი დამოუკიდებელ კოლონიად ექცია. მან ბირმის ზედაფენას აღუთქვა, რომ თანდათანობით განახორციელებდა მმართველობის რეორგანიზაციას და ბირმას „თვითგამორკვევას“ მიანიჭებდა.

მემამულურ-კომპრადორულმა შემთანხმებლურმა ჯგუფებმა

მხარი დაუჭირეს ბირმის გამოყოფას, პროგრესულ-დემოკრატიულმა წრეებმა კი სამართლიანად დაგმეს იგი და განაგრძეს ბრძოლა ქვეყნის სრული დამოუკიდებლობისათვის. ბირმის ასოციაციათა გენერალურმა საბჭომ მოითხოვა ჯერ დომინიონის სტატუტის მიცემა ბირმისათვის და მხოლოდ ამის შემდეგ მისი გამოყოფა ინდოეთისაგან.

ინგლისელთა სარეფორმო მანევრმა ვერ შეაჩერა მასების უკიდურესი სიდუხჭირით წარმოშობილი რისხვის ტალღა, ვერ დააშოშმინა ქვეყანა. 1930 წელს ბირმაში იფეთქა მძლავრმა სახალხო აჯანყებამ, რომელიც 1932 წლის შუახანებამდე ბობოქრობდა. მისი ძირითადი მამოძრავებელი ძალა იყო ფეოდალურ-სავახშო კაბალითა და უცხოურ მოძალადეთა პარპაშით წელში გაწყვეტილი გლეხობა, ხელმძღვანელი როლი კი ეკუთვნოდა გალონთა[1] ფარულ ორგანიზაციებსა და პატრიოტულად განწყობილ ბუდისტ ბერებს.

აჯანყების თავდაპირველი კერა იყო სამხრეთი ბირმა (ირავადის დელტა), აქედან კი მალე გავრცელდა ქვეყნის სხვა ნაწილში და ზემო ბირმასაც მოედო.

ეს იყო მძლავრი სახალხო აჯანყება, რომლის მახვილი ძირითადად იმპერიალისტ კოლონიზატორთა უღლის წინააღმდეგ იყო მიმართული. გლეხთა მასის წამყვანმა როლმა მას აგრარულ-გლეხური ანტიფეოდალური მიმართულებაც მისცა.

აჯანყებულთა რაზმებს შორის სუსტმა კავშირმა საერთო ეროვნული ერთიანობის მიუღწევლობამ, ნათელი პროგრამის უქონლობამ, აჯანყებულთა რაზმების ხელმძღვანელთა სამხედრო-ტაქტიკურმა შეცდომებმა, ცუდმა შეიარაღებამ, აჯანყებულ გლეხობასა და მუშათა კლასს შორის კავშირის უქონლობამ განაპირობა აჯანყების სტიქიური ხასიათი. კოლონიურმა ხელისუფლებამ კარგად გამოიყენა ეს გარემოება და მრავალრიცხოვანი დამსჯელი ექსპედიციების მეშვეობით მოახერხა მისი ჩახშობა.

აჯანყებამ, დამარცხების მიუხედავად, ღრმა კვალი დატოვა. იგი იყო ბირმელი ხალხის განმათავისუფლებელი ბრძოლის ერთ-ერთი სახელოვანი ეტაპი, რომელმაც სერიოზული გამოცდილება დაუტოვა მებრძოლთა მომდევნო თაობას და ხელი შეუწყო ანტიიმპერიალისტური ძალების შემდგომ კონსოლიდაციას.

1935 წელს ინგლისის მთავრობამ მიიღო და 1937 წელს ცხოვრებაში გაატარა კანონი ბირმის ინდოეთიდან ჩამოშორების შესახებ. ამ კანონით ბირმა ცხადდებოდა ინგლისისადმი უშუალოდ დაქვემ-

---

[1] გალონი ბუდისტური მითოლოგიით ფრინველი იყო, რომელიც ორთა ბრძოლაში კლავდა დრაკონს — ბოროტებისა და დამპყრობლების სიმბოლოს.

დებარებულ კოლონიად. რამდენადმე ფართოვდებოდა მოსახლეობის ზედაფენის საარჩევნო უფლებები, იქმნებოდა ორპალატიანი პარლამენტი და მინისტრთა კაბინეტი. ეს თითქოს კოლონიზატორთა დიდი დათმობა იყო ბირმელი ხალხისადმი. ინგლისელები ვარაუდობდნენ, რომ ბოძებული „წყალობა“ დააშოშმინებდა მშრომელ მოსახლეობას, ეროვნულ ბურჟუაზიას კი ლოიალურ მოკავშირედ გაიხდიდა. სინამდვილეში „დეკოლონიზაცია“ არაფერს აძლევდა ბირმელ ხალხს. კოლონიური ხელისუფლების უმაღლესი ორგანოები, კერძოდ ინგლისელი გუბერნატორი, ინარჩუნებდნენ ხელისუფლების ყველა პრეროგატივას და ბირმის ხელისუფლებაზე სრულყოფილი კონტროლის უფლებას.

ტაკინების პარტიის აღმოცენება. ბირმის კომუნისტური პარტიის შექმნა

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინამორბედმა პერიოდმა შექმნა პირობები პოლიტიკურ ცხოვრებაში ბირმის მუშათა კლასის როლის გადიდებისა და მისი იდეური დონის ამაღლებისათვის. ამავე დროს გაძლიერდა და უფრო ქმედითი გახდა ეროვნული ინტელიგენცია, რომლის რიგები უფრო მებრძოლი „რაზნოჩინური“ პატრიოტული ახალგაზრდობით შეივსო. ჩინეთის რევოლუციის შეუჩერებელი აღმავლობა და ინდოეთის მასების საბრძოლო აქტივობა უფრო და უფრო მზარდ გავლენას ახდენს ბირმის მოსახლეობაზე და აღრმავებს მის საბრძოლო განწყობილებას.

ამან განსაზღვრა მეორე მსოფლიო ომის წინ ბირმის ხალხის განმათავისუფლებელი ბრძოლის წინანდელზე ორგანიზებული და მებრძოლი ხასიათი, მუშათა საგაფიცვო მოძრაობის შერწყმა გლეხთა გამოსვლებსა და სტუდენტთა დემონსტრაციებთან. 1936—1937 წლებში ჩატარებული დოკერების, მენავთობეთა, ბრინჯის საწმენდი წისქვილების მუშათა გაფიცვები, უნივერსიტეტის ბოიკოტი 1936 წლის თებერვალში და ამავე პერიოდის გლეხთა გამოსვლები სწორედ ამ ერთიანობისა და ანტიიმპერიალისტური ბრძოლის გაძლიერების ნიშნით ჩატარდა.

1935 წელს პროგრესულმა ბირმელმა სტუდენტებმა დააარსეს პოლიტიკური ორგანიზაცია „დობამა ასიაიონ“-ის[1] სახელწოდებით. მისი წევრები ურთიერთმიმართვაში ხმარობდნენ სიტყვა „ტაკინს“ („ბატონი“). ამ სიტყვით ისინი ხაზს უსვამდნენ, რომ თვითონ არიან ბირმის ბატონ-პატრონები და არა უცხოელი დამპყრობლები. „დობამა ასიაიონის“ წევრებს შემდეგში ტაკინები ეწოდათ. „ტაკინები“ იყვნენ ბირმელი ხალხის განმათავისუფლებელი ბრძოლის გამოჩენილი

[1] „ჩვენი ბირმის“ ასოციაცია.

ორგანიზატორები 1939—1946 წლებში: აუნ სანი, ტაკინ მია, უ ნე და სხვები.

„დობამას...“ ორგანიზაციამ მიზნად დაისახა ბირმის მოსახლეობის ეროვნული შეკავშირება და სამშობლოს სრული დამოუკიდებლობის მოპოვება. ამიტომ იყო, რომ მან მალე მოიპოვა დიდი ავტორიტეტი და ერთიანი ეროვნული ფრონტის ხელმძღვანელი შტაბი გახდა. მის ირგვლივ დაირაზმნენ ეროვნული ბურჟუაზიის მემარცხენე ჯგუფები, წვრილი ბურჟუაზია, ახალგაზრდობა და მუშათა და გლეხთა აქტივი.

„ტაკინების“ მოძრაობა თანდათანობით გაფართოვდა. „დობამა...“ პატარა წრიდან მასობრივი ორგანიზაცია გახდა. მისი იდეოლოგია და პოლიტიკური ხაზი თანდათანობით მარქსიზმის ცხოველმყოფელ გავლენას განიცდის. „ტაკინი“ გახდა და მარქსიზმის რევოლუციური იდეების უშუალო გავლენა განიცადა ცნობილმა ბირმელმა მწერალმა, საზოგადო მოღვაწემ და პატრიოტმა კოდო ხმაინმაც. „ტაკინების“ უშუალო მონაწილეობით მეორედ ჩატარდა „უნივერსიტეტის ბოიკოტი“, რომელმაც ასეთი მძლავრი ანტიიმპერიალისტური მიმართულება მიიღო. იგი ჩაუდგა სათავეში მუშათა და გლეხთა ორგანიზაციულ დარაზმვას, შექმნა მენავთობეთა მძლავრი პროფესიული კავშირი, სრულიად ბირმის გლეხთა კავშირი (1939 წ.) და პროფკავშირთა სრულიად ბირმის კონგრესი.

ომისწინა მძლავრმა რევოლუციურმა აღმავლობამ და მარქსიზმის იდეების შემდგომმა გავრცელებამ პრაქტიკულად დააყენა კომუნისტური პარტიის შექმნის საკითხი. 1939 წლის 15 აგვისტოს „დობამა ასიაიონის“ წევრთა ყველაზე რევოლუციურმა ჯგუფმა რანგუნში მოაწყო თათბირი და მიიღო გადაწყვეტილება ბირმის კომუნისტური პარტიის დაარსების შესახებ. ახალგაზრდა კომუნისტურმა პარტიამ მაშინვე მაღლა ამართა ანტიიმპერიალისტური ბრძოლისა და მშრომელთა ინტერესების დაცვის დროშა და ენერგიული მუშაობა გააჩაღა მუშათა და გლეხთა მასობრივი ორგანიზაციების თავის იდეურ-პოლიტიკური გავლენისათვის დასაქვემდებარებლად. ახალი პარტია არალეგალურ პირობებში იმყოფებოდა და სტუდენტთა, მუშათა და გლეხთა ორგანიზაციების მეშვეობით ეწეოდა საქმიანობას.

ბირმა მეორე მსოფლიო ომის წლებში. იაპონიის საოკუპაციო რეჟიმი. ანტიფაშისტური ლიგის შექმნა

ბირმა, როგორც ინგლისის კოლონია, მეორე მსოფლიო ომის გამოცხადებისთანავე ავტომატურად იქნა ჩათრეული ომში. ომმა ჯერ კიდევ საომარ ასპარეზად ქცევამდე თავისი დაღი დაასვა ბირმის ცხოვრებას და ახალი სიძნელეები შეუქმნა მის მოსახლეობას.

ევროპაში ომის დაწყებისთანავე „დობამა ასიაიონის“ ხელმძღვანელობამ მოიწვია პარტიის კონფერენცია,

რომელმაც დაგმო ფაშიზმი და ერთიანი ანტიიმპერიალისტური ფრონტის მომხრედ გამოაცხადა თავი. მაგრამ მან, ამასთან ერთად, მიიღო გადაწყვეტილება მხოლოდ იმ პირობით ეთანამშრომლა ინგლისელებთან, თუ უკანასკნელნი აღუთქვამდნენ ბირმას სრული დამოუკიდებლობის მინიჭებას ომის შემდეგ. ამ ნაბიჯის პარალელურად „დობამის...“ ინიციატივით შეიქმნა ბირმის თავისუფლების ბლოკი (თვით ამ პარტიის, სხვა წვრილი პარტიების, მუშათა და გლეხთა ორგანიზაციების შემადგენლობით), რომელმაც უახლოეს საერთო ეროვნულ ამოცანად წამოაყენა ბირმის დამოუკიდებლობის მოპოვება.

ინგლისის ხელისუფლებამ უარყო ბირმელი პატრიოტების სამართლიანი მოთხოვნა და რეპრესიებს მიმართა. მან შეიპყრო „ტაკინების“, თავისუფლების ბლოკის, კომუნისტური პარტიისა და სხვა მასობრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელები და საპყრობილეებში ჩაყარა.

დაბოლოს, 1940 წლის შემოდგომაზე ინგლისელებმა ბირმაში შექმნეს მარიონეტული მთავრობა მემარჯვენე ნაციონალისტური პარტიის „მიოჩიტ“-ის ლიდერის უ სო-ს ხელმძღვანელობით, რომელსაც დაევალა ქვეყნის რეაქციული ძალების კონსოლიდაცია.

ინგლისის შეურიგებელმა პოზიციამ ხელი შეუწყო პროიაპონური განწყობილების გაძლიერებას. ეს განწყობილება პროგრესულ პატრიოტულ ჯგუფებსაც კი მოედო. ბევრმა ირწმუნა იაპონიის აგენტურის მიერ გავრცელებული ხმები, რომ იაპონია მზადაა დაეხმაროს ბირმელ ხალხს დამოუკიდებლობის მოპოვებაში. ამიტომ იყო, რომ 1940 წელს ბირმაში შეიქმნა არალეგალური სახალხო რევოლუციური პარტია, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება ეთანამშრომლა იაპონელებთან. მან ფარული ხელშეკრულება დადო იაპონელებთან, რომლითაც უკანასკნელებმა „ჯენტლმენური“ ვალდებულება აიღეს დახმარებოდნენ ბირმელ ხალხს ეროვნული არმიის შექმნაში, ინგლისის ბატონობისაგან ბირმის განთავისუფლების შემდეგ კი ეცნოთ ამ ქვეყნის დამოუკიდებლობა. ბევრი „ტაკინი“, მათ შორის აუნ სანი, საზღვარგარეთ წავიდა. 1941 წელს ისინი ტაილანდში დაბრუნდნენ და იქ იაპონელთა დახმარებით ბირმელი ემიგრანტებისაგან ბირმის განთავისუფლების არმიის შექმნას მოკიდეს ხელი. ბირმელი კომუნისტები ბოლომდე დარჩნენ ანტიიმპერიალიზმისა და ინტერნაციონალური სოლიდარობის პოზიციაზე, დაგმეს იაპონელებთან თანამშრომლობის აზრი, მაგრამ რეპრესიებმა მათ ხელი შეუშალა აქტიურად ემოქმედათ ამ მიმართულებით.

1941 წლის დეკემბერში ტაილანდიდან დაიწყო იაპონიის ჯარების შეჭრა ბირმაში. საოკუპაციო ჯარებს ეხმარებოდა ბირმის დამოუკიდებლობის არმია აუნ სანის სარდლობით, რომელიც გულ-

წრფელად დარწმუნებული იყო, რომ იბრძოდა საკუთარი სამშობლოს განთავისუფლებისათვის.

ბრძოლა ბირმისათვის გრძელდებოდა 4 თვის განმავლობაში და 1942 წლის ზაფხულისათვის დამთავრდა ინგლისის ბატონობის დამხობით. ინგლისის დამარცხებული ჯარის ნაწილებმა, კოლონიურმა აპარატმა, მარიონეტული მთავრობის შემადგენლობამ, ინდოელმა საქმოსნებმა... ინდოეთს შეაფარეს თავი.

სანამ ბირმისათვის ბრძოლა გრძელდებოდა და საჭირო იყო ბირმის დამოუკიდებლობის არმიის ხელშეწყობა, იაპონელი დამპყრობლები თავშეკავებულად მოქმედებდნენ და ბირმელებს მეგობრებად აჩვენებდნენ თავს. მათ სატუსაღოებიდან გაათავისუფლეს ინგლისის კოლონიური რეჟიმის წინააღმდეგ მებრძოლი პატრიოტები, საგადასახადო შეღავათები გაავრცელეს გლეხობაზე, ბირმელთაგან შექმნეს „დამოუკიდებელი" მთავრობა და თავი შეიკავეს როგორც განმათავისუფლებელი არმიის, ისე ადგილობრივი კომიტეტების საშინაო საქმეებში ჩარევისაგან.

მაგრამ 1942 წლის ზაფხულიდან იაპონელმა იმპერიალისტებმა ნიღაბი ჩამოიხადეს და ბირმაში სასტიკი სამხედრო-კოლონიური რეჟიმი გააბატონეს. მთელი ძალაუფლება იაპონიის სამხედრო სარდლობის ხელში გადავიდა. მის უმკაცრეს კონტროლს დაექვემდებარა ყველა ეროვნული ორგანიზაციისა და გაერთიანების საქმიანობა. პატრიოტული სულისკვეთების მატარებელი დამოუკიდებლობის არმია 4 ათას კაცამდე შეამცირეს, მას ბირმის თავდაცვის არმია უწოდეს და ისიც იაპონელთა სარდლობის სასტიკ კონტროლს დაუქვემდებარეს. ომის მზარდი ხარჯების დასაფარავად მათ შემოიღეს საყოველთაო რეკვიზიცია, გაძამხედროებული შრომა და მასობრივად ხელი მიჰყვეს ბირმელი ხალხის ძარცვა-გლეჯით დაგროვილი ნედლეულის, სურსათის, პირუტყვის, მოწყობილობის... გაზიდვას.

ყოველივე ამან გამოაფხიზლა ბირმელი ხალხი. ისინი მალე გათავისუფლდნენ ყალბი ილუზიისაგან და იაპონელებში „ძმებისა" და განმათავისუფლებელის ნაცვლად ბოროტი დამპყრობლები შეიცნეს. იმედის გაცრუება მალე მასობრივ უკმაყოფილებაში გადაიზარდა. 1942 წლის შემოდგომიდან კი მას მოჰყვა ორგანიზებული წინააღმდეგობა პარტიზანული ბრძოლის გაჩაღებისა და ურჩობის სხვა ფორმების სახით.

იაპონელები შეეცადნენ გზა გადაეღობათ ბირმელი ხალხის ორგანიზებული წინააღმდეგობისათვის და ამ მიზნით რეპრესიების გაძლიერებასთან ერთად მანევრს მიმართეს. ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური წრეების თავიანთ მხარეზე გადასაბირებლად 1942 წლის

აგვისტოში მათ მოახდინეს ბირმის დამოუკიდებლობის გამოცხადების ინსცენირება და შექმნეს ბირმის ახალი მთავრობა, რომელიც, რეალურ უფლებებს მოკლებული იყო. მაგრამ ამით იაპონელებმა ვერ მიაღწიეს სასურველ შედეგებს. არათუ მოსახლეობის ფართო ფენების, ეროვნული ბურჟუაზიის გულიც ვერ მოიგეს მათ.

ძირეულმა გარდატეხამ მეორე მსოფლიო ომის მიმდინარეობაში და საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების გადამწყვეტმა როლმა ფაშისტური ხროვის წინააღმდეგ ბრძოლაში უშუალო გავლენა მოახდინა ბირმელი ხალხის განმათავისუფლებელ ბრძოლაზე და ახალი გაქანება მისცა მას.

1944 წლის დასაწყისისათვის წინააღმდეგობის არალეგალური მოძრაობა („ძირა" მოძრაობა) კომუნისტების ხელმძღვანელობით და წინააღმდეგობის მეორე ცენტრი („ზევიდან") ბურჟუაზიულ-დემოკრატიული წრეებით სათავეში დაუახლოვდნენ ერთმანეთს და შექმნეს ერთიანი სახალხო-განმათავისუფლებელი ფრონტი სახალხო თავისუფლების ანტიფაშისტური ლიგის სახელწოდებით. მის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა აუნ სანი, გენერალურ მდივნად — კომპარტიის ლიდერი ტაკინ ტან ტუნი. მისი მებრძოლი ძალები გახდა ბირმის ეროვნული არმია და პარტიზანული რაზმები. ლიგამ ამოცანად დაისახა ბირმელი ხალხის ეროვნული კონსოლიდაცია და საყოველთაო სახალხო შეიარაღებული ბრძოლის გაჩაღება თავისუფლებისა და დემოკრატიული უფლებების მოსაპოვებლად.

აუნ სანი

ანტიფაშისტურმა ლიგამ გააერთიანა ბირმის მთელი პატრიოტული ძალები მუშებიდან და გლეხებიდან დაწყებული ეროვნული ბურჟუაზიით და მემამულეებით დამთავრებული. მან შექმნა არალეგალური დროებითი ნაციონალური მთავრობა და ლიგის უმაღლესი

საბჭო 10 კაცის შემადგენლობით. 1944 წლის აგვისტოში ლიგამ მანიფესტით მიმართა ბირმელ ხალხს, რომლითაც მოუწოდებდა მას შეიარაღებული ბრძოლა გაეშალა ოკუპანტების წინააღმდეგ.

1945 წლის 25 მარტს, როდესაც ინგლისის შეიარაღებული ძალები ინდოეთიდან ბირმის ტერიტორიაზე შეიჭრნენ, სახალხო თავისუფლების ანტიფაშისტური ლიგა სათავეში ჩაუდგა ბირმელი ხალხის საყოველთაო აჯანყებას. ბირმის ეროვნულმა არმიამ აუნ სანისა და ნე ვინის სარდლობით და მრავალრიცხოვანმა პარტიზანულმა რაზმებმა ზურგიდან დაარტყეს იაპონიის ჯარებს და გადამწყვეტი როლი შეასრულეს ოკუპანტთაგან ქვეყნის განთავისუფლებაში.

განმათავისუფლებელი ომის დამთავრების მომენტისათვის ბირმის ანტიფაშისტური ლიგა და მისი შეიარაღებული ძალები ერთადერთ რეალურ ძალას წარმოადგენდნენ. მიღწეულ იქნა მთელი ბირმელი ხალხის ეროვნული კონსოლიდაცია. მისი გამოხატულება იყო კომპარტიის ლეგალიზაცია და მისი მჭიდრო კავშირი სხვა რევოლუციურ-დემოკრატიულ ძალებთან. ლიგის მოწოდებას — შექმნილიყო ბირმის ეროვნული მთავრობა, მოწვეულიყო დამფუძნებელი კრება და გამოცხადებულიყო ბირმის დამოუკიდებლობა — მთელმა ბირმელმა ხალხმა დაუჭირა მხარი.

უკან დაბრუნებული ინგლისელი იმპერიალისტები არ აპირებდნენ ანგარიში გაეწიათ ბირმელი ხალხის ერთსულოვანი მოთხოვნისათვის. დომინიონის სტატუტის მინიჭების დაპირებით მათ განზრახვა ჰქონდათ შეენარჩუნებიათ ბირმაში ძველი პოზიციები. მათ ანტიფაშისტური ლიგის, ეროვნული არმიისა და კომუნისტური პარტიის განადგურებაც კი განიზრახეს. მაგრამ მსოფლიოში მომხდარმა უდიდესმა ცვლილებებმა და ბირმელი ხალხის საყოველთაო საბრძოლო აღტყინებამ თავგზა აუბნიეს ინგლისის მმართველ წრეებს და ჩაშალეს მათი გეგმები.

ბირმელი ხალხის განმათავისუფლებელი ბრძოლის დიდმა გაქანებამ ინგლისის მთავრობა აიძულა უკან დაეხია და დათმობაზე წასულიყო. 1947 წლის იანვარში ლონდონში ინგლისის მთავრობასა და ბირმის ლიდერებს შორის (აუნ სანის ხელმძღვანელობით) დაიწყო მოლაპარაკება ბირმის მომავალი სტატუტის შესახებ. მოლაპარაკებისას მიღწეულ იქნა შეთანხმება აპრილში ბირმაში დამფუძნებელი კრების არჩევნების ჩატარების შესახებ. ამ კრებას უნდა განესაზღვრა ქვეყნის მომავალი ბედი და სათანადო დემოკრატიული რეფორმების ხასიათი.

დამფუძნებელი კრების არჩევნები, როგორც მოსალოდნელი

იყო, ლიგის ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა[1]. 1947 წლის ივნისში ახალმა დამფუძნებელმა კრებამ მიიღო ბირმის მომავალი კონსტიტუციის პროექტი, რომლითაც ერთიანი ბირმა ცხადდებოდა სუვერენულ რესპუბლიკად (ბრიტანეთის ერთა თანამეგობრობიდან გამოსული).

მაგრამ ინგლისის იმპერიალიზმი არ აპირებდა ბირმიდან მთლიანად წასვლას. მას სურდა შეენარჩუნებინა ძველი ეკონომიური პოზიციები და ბირმისათვის თავზე მოეხვია დომინიონის სტატუტი. ამ მიზნის მისაღწევად მან აამოძრავა ბირმის მთელი რეაქციულ-სეპარატისტული ძალები.

1947 წლის 19 ივლისს ბირმის ბოროტმა მტრებმა და იმპერიალისტებთან კავშირში მყოფმა რეაქციონერებმა მოაწყეს ბირმის ეროვნული გმირის, განმათავისუფლებელი ბრძოლის გამოჩენილი ორგანიზატორის აუნ სანისა და ეროვნული საბჭოს (მთავრობის) 6 მინისტრის მხეცური მკვლელობა.

ბირმელი ხალხის მტრების ვარაუდი, რომ ეს მკვლელობა ბოლოს მოუღებდა ქვეყნის პატრიოტული ძალების ერთიანობას და ჩაშლიდა დამოუკიდებლობის საქმეს, არ გამართლდა. ეროვნული თავისუფლებისათვის მებრძოლთა მხეცურმა მკვლელობამ საყოველთაო აღშფოთება გამოიწვია მთელ ბირმაში. მოსახლეობის ყველა ფენა დაჟინებით მოითხოვდა დამფუძნებელი კრების მიერ შემუშავებული კონსტიტუციის პროექტის დამტკიცებას და მის ცხოვრებაში გატარებას. ასეთ ვითარებაში ინგლისელი კოლონიზატორები იძულებული გახდნენ საჯაროდ განეცხადებინათ, რომ თანახმა არიან იცნონ ბირმის სრული დამოუკიდებლობა. 1947 წლის ოქტომბერში ბირმის წარმომადგენლებსა და ინგლისის მთავრობას შორის ხელმოწერილ იქნა ხელშეკრულება ბირმის დამოუკიდებლობის შესახებ[2].

1948 წლის 4 იანვარს ბირმა გამოვიდა ბრიტანეთის ერთა თანამეგობრობის შემადგენლობიდან და დამოუკიდებლობა გამოაცხადა. ამ აქტით დამთავრდა ბირმელი ხალხის ხანგრძლივი განმათავისუფლებელი ბრძოლა. ინგლისის ყოფილი კოლონია ბირმა ჩადგა თავისუფალ ერთა დიდ ოჯახში და გამოვიდა საერთაშორისო ასპარეზზე.

---

1 არჩევნებში მონაწილეობა მიიღო კომუნისტური პარტიის ერთმა ჯგუფმა, მეორე ჯგუფი, ლიგასთან კავშირის მოწინააღმდეგე, მას გამოეთიშა და ცალკე ორგანიზაცია დააარსა.

2 თუმცა სერიოზული შენიშვნებით ბირმა რჩებოდა სტერლინგურ ზონაში. იგი ვალდებული იყო პატივი ეცა ინგლისელთა ეკონომიური ინტერესებისათვის და არ მოეხდინა ინგლისური კაპიტალის საწარმოთა აუნაზღაურებელი კონფისკაცია თუ ნაციონალიზაცია — გადაეხადა კოლონიური ვალი და ა. შ.

ინდონეზია 1913—1945 წლებში

ეროვნულ - განმათავისუფლებელი, მუშათა და გლეხთა კლასობრივი მოძრაობის განვითარება ინდონეზიაში ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ

პირველმა მსოფლიო ომმა (თუმცა ინდონეზია უშუალოდ არ მონაწილეობდა მასში) ღრმა კვალი დააჩნია ინდონეზიის ცხოვრების ყველა დარგს. მან დაარღვია კავშირ-ურთიერთობათა ომამდელი სისტემა, დასცა საგარეო ვაჭრობა, დააგროვა დიდძალი გაუსაღებელი ნედლეული, მკვეთრად გაადიდა პირველი მოთხოვნილების საგნების ფასები, წარმოშვა სასურსათო სიძნელეები და უფრო გააუარესა სოფლისა და ქალაქის მშრომელთა ისედაც მათხოვრული ცხოვრების დონე.

ომმა, ამავე დროს, ობიექტურად ერთგვარი სტიმული მისცა ეროვნული წარმოების განვითარებას. ჰოლანდიელი კოლონიზატორები, რომელთაც საშუალება არ ჰქონდათ უზრუნველყოთ ინდონეზიის მოთხოვნილება სამრეწველო საქონელზე. თანაც არ სურდათ თავისუფალი მოქმედების ასპარეზი დაეთმოთ აშ შტატებისა და იაპონელი საქმოსნებისათვის, ნაწილობრივ დათმობებზე მიდიან და საშუალებას აძლევენ ეროვნული კაპიტალის წარმომადგენლებს დააბანდონ თავიანთი კაპიტალი სხვადასხვა სამრეწველო წამოწყებებში. ომის წლებში იავაზე და ნაწილობრივ სხვა კუნძულებზე აიგო რამდენიმე ათეული წვრილი და საშუალო სამრეწველო საწარმო (უპირატესად საფეიქრო და გემოკვების), რომლებიც ინდონეზიელებს ეკუთვნოდათ. ამან დააჩქარა კაპიტალიზმის განვითარება, გაადიდა ეროვნული ბურჟუაზიის ეკონომიური ძალა და გააძლიერა მისი პოლიტიკური მისწრაფებები.

ამავე დროს ინდონეზიის უუფლებო, კოლონიური მდგომარეობა, უცხოური კაპიტალის ძალმომრეობა და უცხოელ მონოპოლისტ საქმოსანთა პარპაში უდიდეს დაბრკოლებას უქმნიდა ქვეყნის საწარმოო ძალების განვითარებას. იგი ხელოვნურად აფერხებდა ეროვნული ეკონომიკის წინსვლას და ხელ-ფეხს უბოჭავდა ეროვნულ ბურჟუაზიას. ამიტომ იგი მკვეთრ უკმაყოფილებას გამოთქვამდა არსებული მდგომარეობით და ანტიიმპერიალისტურ პოზიციებზე იდგა.

ომის დასასრულისათვის მნიშვნელოვან ძალას წარმოადგენდა

ინდონეზიის მუშათა კლასი. მისი ძირითადი კადრი კონცენტრირებული იყო ზღვისპირა ქალაქებში. იგი ძირითადად შედგებოდა დოკერებისაგან, რკინიგზელებისაგან, სხვადასხვა სახელოსნოების, გემოკვების, საფეიქრო საწარმოების, შაქრის ქარხნებისა და ნავთობის საძიებელთა მუშებისაგან, პლანტაციურ მეურნეობათა მუშებისაგან და ა. შ. მათი საერთო რიცხვი ამ დროისათვის ერთ მილიონამდე აღწევდა. ორმაგი კაბალის — სოციალურისა და კოლონიურის — მძიმე უღლით გამოწვეული არაადამიანური ყოფის პირობები ინდონეზიის მუშათა კლასს ხდიდა არსებული სოციალური ჩაგვრისა და კოლონიური მონობის წინააღმდეგ მთავარ მებრძოლ ძალად.

ასევე არასახარბიელოდ ცხოვრობდა ინდონეზიელი გლეხობაც. ფეოდალური ჩაგვრის მძიმე უღელს თან ემატებოდა კოლონიური ადმინისტრაციის ძალმომრეობა, კომპრადორებისა და მევახშეების კაბალა, ხშირი შრომითი ბეგარა და სასურსათო სიძნელეები. შიმშილობა, გადამდები სნეულებანი, მასობრივი სიკვდილიანობა ინდონეზიის სოფლის მოსახლეობის განუყრელი თანამგზავრი იყო. ეს იყო ისეთი ვითარება, რომელიც მრავალმილიონიან გლეხურ მასას აყენებდა მასობრივი ურჩობის გზაზე და ობიექტურად ამწიფებდა პირობებს ეროვნულ-განმათავისუფლებელ და რევოლუციურ მოძრაობაში მათი აქტიური მონაწილეობისათვის.

ამგვარად, პირველი მსოფლიო ომის დასასრულისათვის კოლონიურ ინდონეზიაში მომწიფებული იყო სერიოზული წანამძღვრები მოსახლეობის ფართო ფენების განმათავისუფლებელი და რევოლუციური გამოსვლებისათვის. შინაგან ვითარებას თან დაერთო გარეშე ფაქტორი — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება და მისი უდიდესი გავლენა, რამაც ინდონეზიელი ხალხი ამოაგდო ძველი კალაპოტიდან და ჩააბა ანტიიმპერიალისტურ ბრძოლაში.

დიდმა ოქტომბერმა მალე მიანათა თავისი სხივები ინდონეზიას. მისმა იდეებმა და შედეგებმა ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა მილიონობით რიგით ადამიანზე.

დიდი ოტომბრის სოციალისტური რევოლუციის მძლავრმა გავლენამ უკვე 1918 წლის პირველ ნახევარში იჩინა თავი. ამ გავლენის კონკრეტული მაჩვენებლები იყო: 1) ინდონეზიის პროლეტარიატის გააქტიურება და მასობრივი საგაფიცვო მოძრაობის გაშლა; 2) კლასობრივი პროფესიული კავშირების შექმნა; 3) გლეხთა მღელვარებების გახშირება; 4) ინდონეზიაში არსებული პოლიტიკური ორგანიზაციების გამემარცხენება და მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების გავრცელება.

დიდი ოქტომბრის ცხოველმყოფელი იდეების ზეგავლენით

ეროვნული მუშათა კლასი აქტიურად ებმება ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაში და მისი ერთ-ერთი იდეურ-პოლიტიკური ხელმძღვანელი ხდება. ახალი ვითარების შედეგად იგი უფრო მწიფდება იდეურად და ირაზმება ორგანიზაციულად.

მასობრივი რევოლუციური და განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობამ უშუალო გავლენა მოახდინა სოციალ-დემოკრატიული გაერთიანების[1] და სარეკატ-ისლამის საქმიანობაზე. მის შედეგად სოციალ-დემოკრატიული პარტიის რიგებში გაძლიერდა მემარცხენე დაჯგუფება და შეიქმნა ძლიერი მემარცხენე ფრთა. მისმა წარმომადგენლებმა პროგრესული პრესის მეშვეობით ინდონეზიელ მშრომელთა ფართო ფენებს გააცნეს რუსეთის რევოლუციის გამარჯვების ამბები და მარქსიზმ-ლენინიზმის იდეები. მათივე აქტიური მონაწილეობით მოხდა ათეული პროფესიული კავშირის შექმნა და სხვ. ბევრი მემარცხენე სოციალისტი მარქსიზმ-ლენინიზმის იდეებისა და „ოქტომბრის რევოლუციის ზარბაზნების ქუხილის“ ზემოქმედებით ფორმალურადაც გაემიჯნა სოციალ-დემოკრატიულ პარტიას და კომუნისტი უწოდა თავის თავს.

სწრაფმა მასობრივმა რევოლუციურმა აღმავლობამ გავლენა მოახდინა ბურჟუაზიულ და წვრილბურჟუაზიულ პარტიებზეც და აიძულა ისინი მარცხნივ გადახრილიყვნენ და ჰოლანდიის კოლონიური ბატონობის წინააღმდეგ ბრძოლაზე აეღოთ გეზი. ასეთ გზას დაადგა, მაგალითად, სარეკატ ისლამი, ყველაზე გავლენიანი და მასობრივი პარტია ინდონეზიაში არსებულ პატრიოტულ პარტიათა შორის.

სარეკატ ისლამის აღნიშნულმა მობრუნებამ მარცხნივ მკაფიოდ იჩინა თავი ამ პარტიის III ყრილობაზე, რომელიც ჩატარდა სურაბაიში 1918 წლის სექტემბერ-ოქტომბერში. ყრილობამ ძირითადი ყურადღება მიაპყრო „დანაშაულებრივ“ კაპიტალიზმთან და კოლონიურ მთავრობასთან, როგორც ინდონეზიელი ხალხის მთავარ მტრებთან, ბრძოლის ამოცანებს.

ეროვნული ბურჟუაზია, რომელიც ხელმძღვანელ როლს ასრულებდა სარეკატ ისლამის საქმიანობაში, კაპიტალიზმისა და ჰოლანდიელ კოლონიზატორთა წინააღმდეგ ენერგიული ბრძოლისაკენ მოწოდებით ლამობდა მასებზე გავლენის გაძლიერებას და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მესაჭეობის მოპოვებას. მაგრამ კონგრესის საქმიანობამ გამოავლინა სარეკატ ისლამის იმ ორგანიზაციების გავლენის ზრდა, რომლებიც უპირატესად მშრომელებს

---

[1] იგი ჯერ კიდევ 1914 წელს აღმოცენდა ჰოლანდიის მემარცხენე სოციალისტების — „ტრიბუნისტების“ ინიციატივით.

აერთიანებდა და რევოლუციური სოციალ-დემოკრატების ხელმძღვანელობით მუშაობდა.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მძლავრმა აღმავლობამ სერიოზულად შეაშფოთა ჰოლანდიის კოლონიური ხელისუფლება. მასობრივი უკმაყოფილების დაშოშმინებისა და ეროვნული ბურჟუაზიის გადაბირების მიზნით იგი იძულებული გახდა დემაგოგიური მანევრისათვის მიემართა. 1918 წლის მაისში საზეიმო ვითარებაში გაიხსნა სათათბირო ორგანოს — ფოლკსრაადის (სახალხო საბჭოს) პირველი სესია. საბჭოს ოთხი ათეული წევრიდან უმრავლესობა ეკუთვნოდათ ჰოლანდიელებს, უმცირესობა — ინდონეზიელებსა და ჩინურ მოსახლეობას. დეპუტატთა ერთ ნაწილს გენერალ-გუბერნატორი ნიშნავდა, მეორეს — ირჩევდნენ ჰოლანდიელი დიდმოხელეები, ვაჭარ-მრეწველები, პლანტატორები და ინდონეზიის სხვა ექსპლოატატორული ზედა ფენა, მის თავმჯდომარეს ნიშნავდა ჰოლანდიის დედოფალი. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერთა გულის მოგების მიზნით ჰოლანდიის მთავრობამ ფოლკსრაადის ინდონეზიელ დეპუტატებად დანიშნა პოლიტიკურ პარტიათა ხელმძღვანელები და მათ შორის სარეკატ ისლამის ლიდერები ჩოგროამინოტო და აბდულ-მუისა.

მაგრამ ამ ზედაპირულმა დათმობამ ოდნავადაც ვერ დააკმაყოფილა ინდონეზიის ეროვნული ბურჟუაზია, ბურჟუაზიული ინტელიგენცია და წვრილი ბურჟუაზია, მშრომელებზე რომ არაფერი ვთქვათ. ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ ფოლკსრაადი — პარლამენტის ეს პაროდია — ზოგიერთი ინდონეზიელი დეპუტატის მიერ გამოყენებულ იქნა ტრიბუნად. იქ გაისმოდა ჰოლანდიელების მიერ ინდონეზიაში დამკვიდრებული კოლონიური წესების მკაცრი კრიტიკა.

1918 წელს დაწყებული რევოლუციური უმრავლესობა, ჰოლანდიელთა მიერ მიღებული ზომების მიუხედავად, 1919 წელსაც გრძელდებოდა. კიდევ უფრო ფართო მასშტაბი მიიღო მუშათა მოძრაობამ, გახშირდა გაფიცვები, გაიზარდა პროფესიული კავშირებისა და მემარცხენე სოციალისტთა აქტივობა. იავასა და სხვა კუნძულებზე იფეთქა გლეხთა რამდენიმე აჯანყებამ. დასავლეთ იავასა და სხვა ადგილებში უცხოელ პლანტატორ-მექარხნეთა თვითნებობით აღშფოთებული გლეხები სტიქიურად თავს ესხმოდნენ მათ პლანტაციებსა და საწარმოებს და არბევდნენ მათ. ჰოლანდიელთა კოლონიური ხელისუფლება მთელი სისასტიკით გაუსწორდა აჯანყებულებს. დამსჯელთა რაზმებმა დაარბიეს ბევრი დასახლებული პუნქტი, ასეული გლეხი გამოასალმეს სიცოცხლეს, ათასები კი შეიპყრეს და გადაასახლეს. მაშინ იყო, რომ ჰოლანდიელთა კოლონიურმა ხელისუფლებამ ქვეყანას მოჰფინა ცნობა სარეკატ ისლამის „სექციის“ —

ფარული ორგანიზაციების აღმოჩენის შესახებ, ორგანიზაციისა, რომელიც, თითქოს, საყოველთაო შეიარაღებულ აჯანყებას აშზადებდა.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი რევოლუციური აღმავლობის ვითარებაში 1920 წლის მაისში მემარცხენე სოციალ-დემოკრატიული გაერთიანების ბაზაზე აღმოცენდა ინდონეზიის კომუნისტური პარტია. იმავე წლის დეკემბრის საგანგებო ყრილობაზე კომუნისტურმა პარტიამ მიიღო პროგრამა და შეუერთდა კომუნისტურ ინტერნაციონალს.

კომუნისტური პარტიის შექმნა დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო ინდონეზიის მუშათა და რევოლუციური მოძრაობის ისტორიაში. იგი მოასწავებდა მუშათა კლასის კლასობრივი თვითშეგნების მკვეთრ გაძლიერებას და მარქსიზმ-ლენინიზმის ცხოველმყოფელი იდეების ფესვების ღრმა გადგმას მის რიგებში. ინდონეზიელი კომუნისტები ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მოწინავე ხაზზე დგებიან და წამყვან როლს ასრულებენ რევოლუციურ პროფ-მოძრაობაში, მუშათა გაფიცვებსა და სხვა ხასიათის გამოსვლებში. პირველ ხანებში ინდონეზიის კომუნისტური პარტია შედიოდა სარეკატ ისლამში ისეთივე ავტონომიური უფლებით, როგორითაც ჩინეთის კომუნისტური პარტია — გომინდანში.

ეროიანი ანტიიმპერიალისტური ფრონტის დაშლა. 1927 წლის აჯანყება

1921—1922 წლებიც აღინიშნა მასობრივი რევოლუციური აღმავლობის შემდგომი გაძლიერებით. 1921 წლიდან დაწყებული ეკონომიური კრიზისი. მთელი ძალით ქალაქის მშრომელებსა და გლეხობას რომ დაატყდა თავს, უცხოური კაპიტალის კაბალის გაძლიერება და ქვეყნის კოლონიური მდგომარეობა საამისოდ მეტად ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა. მართალია, ჰოლანდიის კოლონიურმა ხელისუფლებამ კვლავ გამოაცხადა რეფორმების მეორე ტურის დაწყება და 1922 წელს მიიღო „კანონი ადმინისტრაციული რეფორმების შესახებ", მაგრამ მან ვერავინ დააკმაყოფილა და ვერ შეასუსტა დაჭიმულობა.

რევოლუციური მოძრაობის აღმავლობის ზრდამ, მუშათა და გლეხთა გამოსვლების გახშირებამ და ახალგაზრდა კომუნისტური პარტიის გავლენის შეუჩერებელმა ზრდამ დააშინა ეროვნული ბურჟუაზია. მან ჩამოიხადა რადიკალობის ნიღაბი, მარჯვნივ გადაიხარა და ერთიანი ანტიიმპერიალისტური ფრონტის გათიშვისა და მასებთან კავშირის გაწყვეტაზე აიღო გეზი. ეს მობრუნება მკაფიოდ აისახა სარეკატ ისლამის საქმიანობაში. ერთიან ანტიიმპერიალისტურ ფრონტში შემავალ კასტა ბლოკის ამ პარტიის რიგებში გაჩაღდა ბრძოლა პროლეტარიატის პარტიასა და ბურჟუაზიულ-მემამულეურ დაჯგუფებას შორის. სარეკატ ისლამის მემარცხენე-რევოლუციურ

ფრთას, რომელიც უპირატესად მუშების, ქალაქის ღარიბობისა და გლეხობისაგან იყო დაკომპლექტებული, კომუნისტები ედგნენ სათავეში. სწორედ მის წინააღმდეგ მიიტანეს იერიში მემარჯვენეებმა და განიზრახეს კომუნისტების გაძევება.

1921 წლის ოქტომბერში სურაბაიში ჩატარებულ სარეკატ ისლამის VI კონგრესზე ბურჟუაზიულმა ხელმძღვანელობამ სისრულეში მოიყვანა თავისი განზრახვა. სარეკატ ისლამის „დისციპლინირებულ პარტიად" გადაქცევის ნიღბით .რეზოლუციით „პარტიული დისციპლინის შესახებ" მან მოახერხა კომუნისტების გარიცხვა მისი რიგებიდან. მაგრამ კომუნისტებთან ერთად სარეკატ ისლამიდან წავიდა ყველა ის ორგანიზაცია, რომლებიც მათი რევოლუციური ხელმძღვანელობის ქვეშ იმყოფებოდნენ. სხვადასხვა კლასების გზები საბოლოოდ გაიყარა. სარეკატ ისლამის გათიშვამ შეაჯამა ეროვნული მოძრაობის შიგნით მოშხდარი კლასობრივი დიფერენციაცია. გათიშვა ამ კლასობრივი დიფერენციაციის ორგანიზაციულ გამოხატულებას წარმოადგენდა.

აღნიშნული გათიშვა საბოლოოდ დამთავრდა 1923 წელს, სარეკატ ისლამის მედიუმის VII კონგრესზე (17—20 თებერვალს). კომუნისტებისა და მათი მომხრეების სარეკატ ისლამიდან წასვლის შემდეგ ამ ორგანიზაციამ სახელი შეიცვალა და „პარტაი სარეკატ ისლამის" (ისლამის კავშირის პარტია) სახელწოდება მიიღო. მან დაკარგა ძველი რევოლუციური სული, შემადგენლობის ნახევარზე მეტი, გაწყვიტა მასებთან კავშირი და რეფორმისტულ ორგანიზაციად იქცა.

სარეკატ ისლამის გათიშვამ არ გაამართლა მემარჯვენე ბურჟუაზიული ლიდერების ვარაუდი. მან ვერ შეასუსტა კომუნისტური პარტია და ვერ დასცა მისი ავტორიტეტი. კომუნისტურმა პარტიამ არათუ მტკიცედ შეინარჩუნა თავისი გავლენა სარეკატ ისლამის ყოფილ რევოლუციურ სექციებზე, არამედ კიდევ უფრო გააფართოვა იგი.

მაგრამ ინდონეზიის კომუნისტური პარტია მიღწევებთან ერთად დაზღვეული არ იყო შეცდომებისაგან. ეს შეცდომები, რომელიც სამართლიანად იქნა გაკრიტიკებული სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და კომუნისტური ინტერნაციონალის 1925 წლის მარტის პლენუმის მიერ, ძირითადად მემარცხენე, სექტანტური ხასიათისა იყო. ინდონეზიელი კომუნისტები ხშირად ისროდნენ ავანტიურისტულ ლოზუნგებს: „დაუყოვნებლივ სოციალიზმი", „საბჭოთა ინდონეზია", „პროლეტარიატის დიქტატურა" და სხვ.

კომუნისტური პარტიის გავლენის ზრდას და მუშათა და გლეხ-

თა მოძრაობის შეუჩერებელ აღმავლობას ჰოლანდიის კოლონიურმა ხელისუფლებამ პოლიციური ტერორისა და რეპრესიების გაძლიერებით უპასუხა. მთავარი დარტყმა მან წარმართა რევოლუციური მოძრაობის ავანგარდის კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ. სისხლის სამართლის კოდექსს კოლონიზატორებმა დაუმატეს სპეციალური მუხლი, რომელიც მკაცრ სასჯელს აწესებდა რევოლუციური პროპაგანდისათვის. ამას მოჰყვა რევოლუციურ მოღვაწეთა მასობრივი დატუსაღებები და შორეულ ადგილებში გადასახლება. მაგრამ ხელკეტის პოლიტიკამ სასურველი შედეგები ვერ მოუტანა ჰოლანდიელ კოლონიზატორებს. მან ვერ შეაჩერა მუშათა და გლეხთა მოძრაობისა და რევოლუციური აღმავლობის პროცესი.

კომუნისტური პარტიისა და რკინიგზელთა რევოლუციური პროფესიული კავშირის[1] უშუალო ხელმძღვანელობით 1923 წლის ზაფხულში იავაზე იფეთქა მუშათა კლასის მოწინავე რაზმის — რკინიგზელთა და ტრამვაის მუშების საყოველთაო გაფიცვამ. მოკლე დროში მან მოიცვა იავის მთელი ტერიტორია და მოახდინა სარკინიგზო მოძრაობის პარალიზება. გაფიცული მუშები, მიუხედავად იმისა, რომ კოლონიზატორებმა გაფიცვა უკანონოდ გამოაცხადეს და რეგულარული ჯარის ნაწილები მიუსიეს მათ, მაინც გმირულად განაგრძობდნენ ბრძოლას. გლეხობა და ქალაქების მშრომელები ერთსულოვნად თანაუგრძნობდნენ გაფიცულებს, აწვდიდნენ მათ სურსათს, ფულს და ა. შ. ჰოლანდიელმა იმპერიალისტებმა რეგულარული არმიის დახმარებით მოახერხეს ამ გაფიცვის ჩახშობა.

ინდონეზიელი ხალხის კოლონიური ჩაგვრა კი თანდათანობით იზრდებოდა და აუტანელ სახეს იღებდა. ქვეყნის ბაზარი და მდიდარი ნედლეული უცხოელ საქმოსანთა ხელში იყო. ჰოლანდიელ კოლონიზატორებს ინდონეზიის ძარცვაში „მხარს უმშვენებდნენ“ ინგლისის, აშშ შტატების, იაპონიის, საფრანგეთის და სხვა ქვეყნების კაპიტალისტები. მათ ეკუთვნოდათ სამრეწველო საწარმოთა პლანტაციების, ბანკების, სავაჭრო გაერთიანებათა უდიდესი ნაწილი... 1926 წელს იავაზე სულ იყო 5197 მოზრდილი საწარმო, რომელთაგან ინდონეზიელებს ეკუთვნოდათ მხოლოდ 800 საწარმო, დანარჩენი კი — ევროპელებს, ჩინელებს, არაბებს და ინდოელებს; 973 პლანტაციიდან ევროპელებს ეკუთვნოდათ 806, 100—ჩინელებს, ინდოელებსა და არაბებს და მხოლოდ 7—ინდონეზიელებს. უცხოელ კაპიტალისტებს უდიდეს მოგებას აძლევდა კაუჩუკის ნედლეული, რომლის წარმოება წლითიწლობით იზრდებოდა.

ჰოლანდიელ კოლონიზატორთა და უცხოელ კაპიტალისტთა

---

1 ამ კავშირის თავმჯდომარე იყო ინდონეზიის კომპარტიის თავმჯდომარე სემუანი.

პარპაში მჭიდროდ იყო გადახლართული სოფლად გაბატონებულ ფეოდალურ ექსპლოატაციასთან. ორმაგი ჩაგვრის უღელი განაპირობებდა გლეხობის, სასოფლო-სამეურნეო მუშების, მოჯამაგირეებისა და თვით სამრეწველო საწარმოთა მუშების ცხოვრების უკიდურეს მათხოვრულ დონეს. მათი ხვედრი იყო დაბალი ხელფასი, პერიოდული უმუშევრობა, ფეოდალ-პლანტატორთა და მეწარმეთა თვითნებობა, სრული უუფლებობა, მაქსიმალური სამუშაო დღე, არაადამიანური საბინაო პირობები, შიმშილობა, სხვადასხვა სნეულებანი და ა. შ.

აი, ეს ვითარება ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა ინდონეზიელი ხალხის მასობრივი უკმაყოფილების შემდგომი გაღვივებისათვის და ბიძგს აძლევდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა და რევოლუციური ბრძოლის შემდგომ აღმავლობას. ამ აღმავლობას ხელი ვერ შეუშალა ვერც ჰოლანდიელ კოლონიზატორთა სისხლიანმა ტერორმა და სარეფორმო მანევრებმა და ვერც კომუნისტური პარტიის მიერ განცდილმა მძიმე დანაკლისმა. მეზობელი ჩინელი ხალხის განმათავისუფლებელი ბრძოლის აღმავლობა — 1925—1927 წლების რევოლუციის დაწყება — თავის მხრივ, უშუალო გამოძახილს პოულობს ინდონეზიაში და ხელს უწყობს მასების რევოლუციური განწყობილების ზრდას. ინდონეზიაში მცხოვრები მილიონობით ჩინელი მშრომელები არა თუ ხელს უწყობდნენ ჩინეთის რევოლუციასა და ინდონეზიის რევოლუციურ მოძრაობას შორის მჭიდრო კონტაქტის დამყარებას, არამედ თვითონაც აქტიურად მონაწილეობდნენ ინდონეზიელ მშრომელთა რევოლუციურ ბრძოლაში.

ამიტომ იყო, რომ 1925—1926 წლები აღინიშნა ინდონეზიელი ხალხის რევოლუციურ-განმათავისუფლებელი ბრძოლის მკვეთრი აღმავლობით. სარეკატ ისლამი, რომელმაც გათიშვის შემდეგ დაკარგა ყოფილი სოციალური ბაზა და ნაციონალურ-ბურჟუაზიულ პარტიად იქცა, ფაქტიურად გამოეთიშა მასობრივ მოძრაობას და პროგრესული დაცემის გზას დაადგა. მხოლოდ კომუნისტური პარტია, მისი ხელმძღვანელობით მოქმედი სარეკატ რაიატი და რევოლუციური პროფესიული კავშირები იდგნენ მოწინავე პოსტებზე და განაგრძობდნენ მასების რევოლუციური ბრძოლის ხელმძღვანელობას.

1924 წელს კომუნისტურმა პარტიამ თავის მორიგ ყრილობაზე მიიღო ახალი პროგრამა, რომელიც კომუნისტური ინტერნაციონალის პრინციპებს ეყრდნობოდა. იგი მოითხოვდა ინდონეზიის სრულ დამოუკიდებლობას, დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის შექმნას, უცხოელთა ხელში არსებული ფაბრიკა-ქარხნების, შახტების, ბანკების, პლანტაციების, ტრანსპორტის ნაციონალიზაციას, ეროვნული მრეწველობის შექმნას და სხვ.

1925 წელს ადგილი ჰქონდა გლეხთა ათეულ მღელვარებას და მუშათა გაფიცვებს, რომლებშიაც ინდონეზიელ მშრომელებთან ერთად აქტიურად მონაწილეობდნენ ჩინელებიც. 1925 წლის რევოლუციური გამოსვლები კიდევ უფრო დიდი რევოლუციური ქარიშხლის მომასწავებელი იყო. კოლონიური ხელისუფლების მიერ მიღებული საგანგებო ზომების მიუხედავად, იავასა და სუმატრაზე მომწიფდა რევოლუციური სიტუაცია და შემზადდა პირობები ჰოლანდიელ კოლონიზატორთა საწინააღმდეგო მძლავრი აჯანყებისათვის. ინდონეზიის კომუნისტური პარტია შეეცადა სათავეში ჩასდგომოდა მას.

აჯანყებამ პირველად იფეთქა დასავლეთ იავაზე (ბანტამში). მალე მას მოჰყვა ბატავიის მშრომელთა გამოსვლა (1926 წლის 13 ნოემბერს). აქედან აჯანყება მოედო ცენტრალურ იავას, სადაც ათეული ათასი გლეხი აღდგა ჰოლანდიელთა ბატონობის დასამხობად. აჯანყება, დიდი მოცულობისა და გაქანების მიუხედავად, არ იყო ჯეროვნად ორგანიზებული. წინასწარ შემუშავებული გეგმა განუხორციელებელი დარჩა. განზრახული ერთდროული აჯანყების ნაცვლად მშრომელთა გამოსვლები იავის ცალკეულ რაიონებში სხვადასხვა დროს მოხდა. სუსტი იყო კავშირი აჯანყების ცალკეულ კერებს შორის. ამან ჰოლანდიელ კოლონიზატორებს გაუადვილა ჯარისა და პოლიციის ერთი ადგილიდან მეორეში გადასროლა. რამდენიმე დღის გააფთრებული ბრძოლების შემდეგ, რომლის დროსაც აჯანყებულებმა პარტიზანული მეთოდები მოიმარჯვეს და მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს რეგულარული ჯარის ნაწილებს, კოლონიზატორებმა მოახერხეს აჯანყების ძირითადი კერების ლიკვიდაცია. ათასობით აჯანყებული მუშა და გლეხი დაიღუპა უთანასწორო ბრძოლაში; ბევრმა აჯანყების ჩაქრობის შემდეგ მთებსა და ჯუნგლებს შეაფარა თავი.

1927 წლის დასაწყისში, როდესაც იავაზე აჯანყება სავსებით ჩახშობილი იყო, მუშათა და გლეხთა მძლავრი აჯანყება დაიწყო სუმატრის დასავლეთ სანაპიროზე. აქ აჯანყება მიმართული იყო არა მარტო ჰოლანდიელ კოლონიზატორთა, არამედ ადგილობრივ ექსპლოატატორ-ფეოდალთა წინააღმდეგ. ბრძოლას აქ კიდევ უფრო სისხლიანი და გააფთრებული ხასიათი ჰქონდა და დიდი მსხვერპლიც მოჰყვა. აჯანყების ჩახშობამ იავაზე კოლონიურ ხელისუფლებას საშუალება მისცა კონცენტრირებული დარტყმით შედარებით მოკლე დროში გაენადგურებინა იგი. მეტად ძვირად დაუჯდათ ინდონეზიის მშრომელებს 1926—1927 წლების ანტიიმპერიალისტური აჯანყება. გაბოროტებულმა ჰოლანდიელმა კოლონიზატორებმა ველური ტერორით უპასუხეს მას.

1926—1927 წლების აჯანყების დამარცხების მიზეზები იყო: კო-

მუნისტური პარტიის მიერ აჯანყების მზადების დროს დაშვებული შეცდომები, ფართო ეროვნული ფრონტის მიუღწევლობა, წვრილი ბურჟუაზიის და ეროვნული ბურჟუაზიის აჯანყებაში ჩაუბმელობა. აგრარული ლოზუნგის სუსტი გამოყენება და აღნიშნულის გამო გლეხობის ნაწილის პასიურობა, ერთიანი ხელმძღვანელობის უყოლობა და სხვ.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის სისხლში ჩახშობასთან ერთად ჰოლანდიელმა კოლონიზატორებმა განიზრახეს ჩამოეშორებინათ მასებისაგან და თავიანთ მხარეზე გადაებირებინათ ბურჟუაზიულ-მემამულური დაჯგუფებები. ამ მიზნის მისაღწევად მათ გააატარეს მორიგი რეფორმები. კერძოდ გააფართოვეს ფოლკსრაადის შემადგენლობა, გაადიდეს ინდონეზიელ დეპუტატთა რიცხვი და ფორმალურად საკანონმდებლო ფუნქციებიც კი მიანიჭეს მას.

სახალხო აჯანყების ჩახშობის შემდეგ 1927 წელს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ასპარეზზე გამოვიდა ნაციონალისტური პარტია, მისი დამაარსებული იყო დოქტორი სუკარნო.

ნაციონალური პარტიის ამოცანები რელიეფურად ჩამოაყალიბა სუკარნომ როგორც თავის სიტყვებში ჰოლანდიელთა სასამართლოში, ისე ნაშრომში „ისლამი, ნაციონალიზმი და მარქსიზმი". ეს ამოცანები იყო: 1) კოლონიზატორებთან თანამშრომლობაზე უარის თქმა; 2) ინდონეზიის მუსლიმანურ, მარქსისტულ და ნაციონალისტურ მიმდინარეობათა შეკავშირება კოლონიურ რეჟიმთან საბრძოლველად; 3) ბრძოლა სოციალისტური ტიპის საზოგადოების ასაგებად. პარტია უარყოფდა კლასობრივ ბრძოლას და „მარხაენიზმის"[1] თეორიულ საფუძველს ემყარებოდა. იგი ქადაგებდა ინდონეზიის საზოგადოების ყველა კლასის თანასწორობას, უბრალო ადამიანზე, მშრომელებზე ზრუნვას და ამდენად წვრილბურჟუაზიული სოციალიზმის ინდონეზიურ სახესხვაობას წარმოადგენდა.

თანამიმდევრულმა ანტიიმპერიალისტურმა ლოზუნგებმა და ინდონეზიაში დამკვიდრებული კოლონიური წესების მკაცრმა კრიტიკამ ნაციონალურ პარტიას მოუპოვა მოსახლეობის ფართო ფენების მხარდაჭერა. ყველა კომუნისტი, ვინც დარბევებსა და პოლიციურ ტერორს გადაურჩა, ამ ახალ პარტიაში გაერთიანდა. ამან ეს პარტია, ისევე როგორც თავის დროზე სარეკატ ისლამისა, მასობრივ, ერთიანი ანტიიმპერიალისტური ძალების ბლოკის პარტიად აქცია.

მკვეთრად ანტიიმპერიალისტური პროგრამის, მასობრივი საქმიანობისა და მშრომელებთან კავშირის გამო ნაციონალური პარტია კოლონიური ხელისუფლების მკაცრი რეპრესიების ობიექტად იქცა. 1929 წელს მან შეიპყრო პარტიის ლიდერები, აკრძალა მისი ორგა-

[1] უბრალო ადამიანს ნიშნავს.

ნიზაციები და სახელმწიფო მოსამსახურეებს მათ ნათესავებთან ერთად აუკრძალა ამ პარტიის წევრობა. მკაცრი რეპრესიების შედეგად ნაციონალურმა პარტიამ 1931 წელს შეწყვიტა არსებობა და მხოლოდ 1945 წელს შეძლო მასობრივი მუშაობის განახლება.

მსოფლიო ეკონომიური კრიზისი და მისი გავლენა ინდონეზიაზე

1929—1933 წლების მსოფლიო ეკონომიურმა კრიზისმა გამანადგურებელი დარტყმა მიაყენა ინდონეზიის კოლონიურ ეკონომიკას, რომელიც მსოფლიო კაპიტალისტური მეურნეობის ცვალებად კონიუნქტურას ემორჩილებოდა. მის შედეგად სასტიკად დაზიანდა მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, ფინანსები, შინა და საგარეო ვაჭრობა. 1929 წელს მოქმედი 179 შაქრის ქარხნიდან 1933 წელს მხოლოდ 79 მუშაობდა. ექსპორტის ღირებულება კრიზისის წლებში 59%-ით შემცირდა. მკვეთრად დაეცა ადგილობრივი ნედლეულის, კერძოდ კაუჩუკის, გაზიდვა და მისი ფასი (რასაც მოჰყვა კაუჩუკის ათეული პლანტაციის ლიკვიდაცია, სხვისა კი—მოცულობის შეზღუდვა) 1933 წლისათვის დაიხურა რეზინის მრეწველობის 264 საწარმო, რომელთა უმეტესობა ევროპელებს ეკუთვნოდათ. კრიზისმა დიდი ზიანი მიაყენა გლეხურ მეურნეობას, რომელიც სასოფლო-სამეურნეო წარმოების მნიშვნელოვან ნაწილს იძლეოდა. მის შედეგად გაჩანაგდა ათეული ათასი გლეხი, მათ მიწებს კი კულაკები და მევახშეები დაეუფლნენ.

ეკონომიურმა კრიზისმა უპირველეს ყოვლისა ინდონეზიელ მშრომელებს ჩასჭიდა ბასრი ბრჭყალები. მან მკვეთრად დასცა მუშათა კლასის, ხელოსნების, გლეხობის ისედაც მათხოვრული ცხოვრების დონე. კოლონიურმა ხელისუფლებამ, რომელმაც განახორციელა ზოგიერთი ღონისძიება კრიზისის მწვავე შედეგების შესანელებლად, მხოლოდ ევროპელ უმუშევრებს დაუნიშნა უმუშევრობის დახმარება, ინდონეზიელი „ქვეშევრდომები" კი არათუ დაივიწყა, არამედ მას დააკისრა აღნიშნული ღონისძიების ტვირთის მნიშვნელოვანი ნაწილი....

მსოფლიო ეკონომიურმა კრიზისმა ეროვნულ ბურჟუაზიასაც მიაყენა ზიანი, შეზღუდა მისი საქმიანობის სფერო და მოგების მოცულობა. ცუდად იმოქმედა მასზე იმ მფარველობითმა ღონისძიებებმა, რაც კოლონიზატორებმა განახორციელეს ჰოლანდიის ბურჟუაზიის ინტერესების დასაცავად. ამან კვლავ გაამწვავა ურთიერთობა ჰოლანდიელ კოლონიზატორებსა და ეროვნულ ბურჟუაზიას შორის და გააქტიურა უკანასკნელთა პოლიტიკური აქტივობა.

ამგვარად, მძაფრი ეკონომიური კრიზისის უშუალო შედეგი იყო პოლიტიკური კრიზისის გამწვავება და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის კლასობრივი ბრძოლის ახალი მძლავრი აზვირთება.

საერთო რევოლუციური აღმავლობის ვითარებაში საზღვარგარეთიდან და ვადასახლებიდან დაბრუნებულმა კომუნისტებმა ჰოლანდიის კომუნისტური პარტიის აქტიური დახმარებით მოახერხეს არალეგალურ პირობებში დარბეული კომუნისტური პარტიის აღდგენა. 1932 წელს მან მიიღო ახალი პროგრამა, რომელიც უპირველეს აძოცანად იმპერიალიზმთან და ფეოდალიზმთან ბრძოლას სახავდა და მოითხოვდა ქვეყნის სრულ დამოუკიდებლობას. მნიშვნელოვნად გააქტიურდნენ ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პოლიტიკური ჯგუფებიც, რომლებმაც მასების რევოლუციური განწყობილების ზრდის ზეგავლენით მნიშვნელოვანი ეკონომიური და პოლიტიკური რეფორმების მოთხოვნები წამოაყენეს. აღმოცენდნენ ახალი ბურჟუაზიული პარტიებიც, მათ შორის „ბუდი უტომო", (ინდონეზიელი ხალხის კავშირი), ინდონეზიის კავშირი („ინდონეზია რაია") და სხვ.

ბურჟუაზიულ და წვრილბურჟუაზიულ პარტიებს, როგორადაც არ უნდა გააქტიურებინათ თავიანთი საქმიანობა და ანგარიში გაეწიათ მასების მოთხოვნების ნაწილისათვის, მაინც არ შეეძლოთ სათავეში ჩასდგომოდნენ ინდონეზიელ ხალხს და მუდმივად დაერაზმათ იგი ქვეყნის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლველად. მუშათა და გლეხთა მასას კი კომუნისტური პარტიის კანონგარეშე გამოცხადებისა და ღრმა კონსპირაციის მძიმე პირობებში მუშაობის გამო ფაქტიურად არ გააჩნდა რევოლუციური ხელმძღვანელობა. ამიტომ მათ ბრძოლას მსოფლიო ეკონომიური კრიზისისა და მომდევნო დეპრესიის წლებში სტიქიურობის კვალი აჩნდა.

ინდონეზიელი ხალხის ამ პერიოდის რევოლუციური ბრძოლის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან აქტსა და ნათელ ფურცელს წარმოადგენდა ჯავშნოსან „დე ზეევენ პროვინსიენის" მეზღვაურთა აჯანყება, რის საბაბიც გახდა კოლონიზატორთა ფლოტში არსებული აუტანელი რეჟიმი. აჯანყებაში, რომელმაც 1933 წლის 5 თებერვალს იფეთქა. ინდონეზიელ მეზღვაურებთან ერთად ჰოლანდიელმა მეზღვაურებმაც მიიღეს მონაწილეობა (რაც მათი კლასობრივი სოლიდარობის მკაფიო გამოხატულება იყო). აჯანყებულები დაეუფლნენ გემზე არსებულ იარაღს, ხელთ იგდეს თვითონ გემი და გაიყვანეს იგი ღია ზღვაში. ჰოლანდიელმა კოლონიზატორებმა სამხედრო გემებისა და ავიაციის მეშვეობით მოახერხეს აჯანყების ჩაქრობა და მკაცრად დასაჯეს მისი მონაწილენი.

იმპერიალისტურ სახელმწიფოთა წინააღმდეგობა ინდონეზიაში მეორე მსოფლიო ომის წინ.

30-იანი წლებიდან, კერძოდ მსოფლიო ეკონომიური კრიზისის მომდევნო წლებში კიდევ უფრო ფართოვდება უცხოეთის სახელმწიფოთა კაპიტალდაბანდება ინდონეზიის სახალხო მეურნეობაში. 1939 წლისათვის მისი საერო მოცუ

ლობა 6 მილიარდ გულდენს (3,300 მილ. დოლარს) აღწევდა. მისი დიდი ნაწილი—მთელი დაბანდების 67.8% კვლავინდებურად ჰოლანდიელებს ეკუთვნოდათ. მეორე ადგილზე იყო ინგლისი (12,8%). მესამეზე — აშშ შტატები (6,5%). შემდეგ მოდიოდნენ იაპონია (2,9%). საფრანგეთი, ბელგია, იტალია და გერმანია (რაც შეეხება ეროვნულ კაპიტალს, მისი დაბანდების წილი ქვეყნის ეკონომიკაში უდრიდა დაბანდების საერთო თანხის მხოლოდ 1%-ს).

როგორც ვხედავთ, ჰოლანდიელ კაპიტალისტებს ინდონეზიის მდიდარი რესურსების ძარცვაში ჯერ კიდევ ეკავათ გაბატონებული მდგომარეობა. მაგრამ მათი მონოპოლია თანდათანობით შესუსტდა და მათ ინგლისელ, ამერიკელ და სხვა კაპიტალისტთა სახით სერიოზული კონკურენტები მოევლინათ. ეს „თანამფლობელები", კერძოდ ინგლისელი მონოპოლისტი საქმოსნები, რომლებიც ინგლისურ-ჰოლანდიური გაერთიანებების ნიღბითაც კი გამოდიოდნენ, აკეწროებდნენ „კანონიერ მფლობელებს" და ინდონეზიის ეკონომიკის ახალ-ახალ დარგებს ეუფლებოდნენ.

დასავლეთელ კონკურენტებზე უფრო აქტიურად და შემტევად მოქმედებდნენ იაპონელი მოსაქმეები. მათ ზურგს უკან იდგა იაპონიის იმპერიალისტური სახელმწიფო, რომელიც მზარდ დაწოლას ახდენდა ჰოლანდიის კოლონიურ ხელისუფლებაზე და მოითხოვდა მისგან ახალ-ახალ დათმობებს თავისი ქვეშევრდომებისათვის. იაპონიის მზარდი ეკონომიური ექსპანსია სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა როგორც ჰოლანდიური კაპიტალის პოზიციებს ინდონეზიაში, ისე „ღია კარების" მათ პოლიტიკას.

იაპონიის იმპერიალიზმმა შემთხვევით არ მიაქცია სერიოზული ყურადღება ინდონეზიის თვალუწვდენელ ტერიტორიას. იაპონიასთან შედარებითი სიახლოვე ინდონეზიის ბაზარს, მრავალფეროვან ნედლეულსა და ბაზებს მეტად მაცდუნებლად ხდიდა ამ ქვეყნისათვის. იაპონიის მესვეურები ოცნებობდნენ დემპინგის მოძარჯვებით ხელთ ეგდოთ ინდონეზიის მნიშვნელოვანი ბაზარი და თავიანთი საქონლით აევსოთ იგი. არანაკლებ იტაცებდა მათ ამ ქვეყნის წიაღისეული, კერძოდ ნავთობი, კაუჩუკი და სხვა ნედლეული. წყნარი ოკეანის აუზში მეორე ომის კერის გამჩაღებელ იაპონიას მზარდი რაოდენობით ესაჭიროებოდა ეს ნედლეული. ამას უნდა დაემატოს მცირედ დასახლებული გარესამფლობელოების ვრცელი რაიონების კოლონიზაციის ხელსაყრელი შესაძლებლობანი.

ჰოლანდიის კოლონიური ხელისუფლება ცდილობდა წინააღმდეგობა გაეწია იაპონიის ინტენსიური ეკონომიური ექსპანსიისათვის ინდონეზიაში. ამ მიზნის მისაღწევად მან განიზრახა ინგლისელ-ამერიკელ კოლონიზატორებს დაყრდნობოდა და დროებით მათთან შეეკრა

ერთიანი ფრონტი იაპონელთა წინააღმდეგ. მაგრამ ამ მეთოდმა არ გაამართლა იმედები. ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ იაპონიის ხელისუფლების მუქარის ზეგავლენით ჰოლანდიელთა კოლონიური ხელისუფლება დროდადრო არსებით დათმობაზე მიდიოდა მის მიმართ.

ინდონეზია მეორე მსოფლიო ომის წლებში

იაპონიის აგრესიის საფრთხე ინდონეზიისათვის რეალური შეიქმნა ჯერ კიდევ 1939 წლიდან — ევროპაში მეორე მსოფლიო ომის ხანძრის დანთებიდან. ჰოლანდიის მთავრობა და მისი კოლონიური ხელისუფლება, თქმა არ უნდა, ხედავდნენ ამ საფრთხეს, მაგრამ ეფექტური თავდაცვითი ზომების მიღების ნაცვლად იაპონელებისადმი ზოგიერთი დათმობით ცდილობდნენ თავიდან აეცილებინათ მოახლოებული აგრესია.

იაპონიის აგრესიის საფრთხე გაძლიერდა 1940 წლიდან, როდესაც ვიშის გამცემლურმა მთავრობამ საფრანგეთში კაპიტულაცია მოახდინა იაპონელთა წინაშე და „სანქცია" მისცა იაპონიის არმიას შეჭრილიყო ინდოჩინეთის ნახევარკუნძულზე. ინდონეზიის დემოკრატიული ორგანიზაციების დაჟინებითი მოთხოვნით კოლონიურმა ხელისუფლებამ იავასა და სხვა კუნძულებზე განახორციელა ზოგიერთი თავდაცვითი ღონისძიება, რაც აშკარად არასაკმაო იყო. ინდონეზიის ბაზებში განლაგებული ჰოლანდიის ფლოტი, არმია და ავიაცია ინდონეზიელი ხალხის წინააღმდეგობის ჩასახშობად იყო განკუთვნილი და არა გარეშე აგრესიის აღსაკვეთად.

ინდონეზიელი ხალხის მოწინავე წრეები, მათ შორის კომუნისტები, მოითხოვდნენ ხალხის ფართო მასების დარაზმვას და ანტიიაპონური ფრონტის შექმნას. მაგრამ ეს გონივრული მოთხოვნა კოლონიური ხელისუფლების მიერ მხედველობაში არ ყოფილა მიღებული. ხალხის შეიარაღება და მისი დარაზმვა ჰოლანდიელი კოლონიზატორებისათვის საშიშ პრეცენდენტს წარმოადგენდა.

იაპონელ იმპერიალისტთა მიერ წყნარი ოკეანის აუზში აგრესიული ომის გაჩაღების მომენტიდან ჰოლანდიის ინდოეთი გახდა ამ აგრესიის ერთ-ერთი მთავარი ობიექტი.

1941 წლის 19 დეკემბერს იაპონიის არმიამ მოახდინა პირველი თავდასხმა ინდონეზიის ქალაქებზე, ხოლო 1942 წლის იანვარში იაპონიის სამხედრო ფლოტმა დაიწყო დესანტების გადასხმა ინდონეზიის კუნძულებზე. იაპონიის არმიის, ფლოტისა და ავიაციის დარტყმის მთავარი ობიექტები იყო იავა, სუმატრა, კალიმანტანი და სულაველესი, ამ კუნძულების მთავარი ბაზები და ნავთობის რაიონები. 1942 წლის გაზაფხულის მიწურულისათვის იაპონელმა იმპერიალისტებმა დაძლიეს ჰოლანდიის ინდოეთის კოლონიური ხელისუფლების შეია-

რაღებული ძალებისა და მოსახლეობის წინააღმდეგობა და თავისი ბატონობა დაამყარეს აღნიშნული კუნძულების ყველა მნიშვნელოვან ცენტრზე.

იაპონელმა იმპერიალისტებმა შედარებით იოლად მოახერხეს ინდონეზიის დაპყრობა. მათ იქ არ შეხვედრიათ ინდონეზიელი ხალხის ცოტად თუ ბევრად ორგანიზებული წინააღმდეგობა. ამის მიზეზი იყო როგორც ანტიფაშისტური განწყობილების სუსტი გავრცელება, ისე „აზია აზიელებისათვის" დემაგოგიური ლოზუნგის მომარჯვება იაპონელი დამპყრობლების მიერ.

პირველ ხანებში მართლაც ბევრს სჯეროდა ინდონეზიაში, რომ იაპონური „ახალი წესრიგი" მათთვის ხელსაყრელი იქნებოდა და იაპონელები დაეხმარებოდნენ მათ დამოუკიდებლობის მოპოვებაში. ინდონეზიელი ბურჟუაზიის ნაწილმა ამიტომ ერთხანს თანამშრომლობაც კი დაიწყო დამპყრობლებთან. თვით სუკარნომ და მისმა მომხრეებმაც კი ტაქტიკური მოსაზრებით საჭიროდ ჩათვალეს მონაწილეობა მიეღოთ იაპონელების მიერ ინდონეზიაში შექმნილ „თვითმმართველობათა" ორგანოებში. რაც შეეხება რევოლუციურ ძალებს, კომუნისტური პარტიის ჭერქვეშეთში ყოფნის გამო, მათ კარგა ხანს ვერ შეძლეს წინააღმდეგობის ორგანიზება.

მაგრამ ინდონეზიელმა ხალხმა მალე გაიგო, თუ პრაქტიკულად რას ნიშნავდა „ახალი წესრიგი". იაპონელი იმპერიალისტები კიდევ უარესი კოლონიზატორები აღმოჩნდნენ, ვიდრე ჰოლანდიელები. მათ შემოიღეს იძულებითი შრომა და ასეული ათასობით ინდონეზიელი გარეკეს სამხედრო-თავდაცვით ობიექტებზე და სარეწებზე სამუშაოდ. მათვე გაძარცვეს ინდონეზიის მოსახლეობა და მიითვისეს მათი სურსათ-სანოვაგე, ნედლეული და ფინანსური სახსრები. მათ ხელთ იგდეს წიაღისეულის ყველა საწარმო, ფაბრიკები, ქარხნები, პლანტაციები და იგი იაპონელ მონოპოლისტთა განკარგულებაში გადასცეს. მათ ინდონეზიელ ხალხს მოუტანეს უუფლებობა, კოლონიური დესპოტია, შიმშილი და სულიერი დეგრადაცია.

იაპონელმა ოკუპანტებმა კანონგარეშე გამოაცხადეს ყველა პოლიტიკური პარტია და შეუბრალებლად ჩაახშეს წინააღმდეგობის ყოველგვარი გამოხატულება. მათ ციხე-საპყრობილეებში ჩაყარეს ინდონეზიელი პატრიოტები და ფიზიკურად მოსპეს ბევრი მათგანი. მარტო სამხრეთ კალიმანტანზე (ბორნეო) 20 ათასი პატრიოტი იქნა სიკვდილით დასჯილი.

კოშმარულმა სინამდვილემ მალე აღმოფხვრა ინდონეზიელთა ნაწილში ფეხმოკიდებული პროიაპონური განწყობილება და ბიძგი მისცა საწინააღმდეგო განწყობილებას. საბრძოლო სული მოედო მოსახლეობის ფართო წრეებს. მკაცრი პოლიტიკური ტერორის მიუ-

ხედავად, გააქტიურდნენ არალეგალურად მომუშავე ანტიფაშისტური ორგანიზაციები. ამ ბრძოლის ავანგარდში დგებიან კომუნისტები, რომელთა ხელმძღვანელობითაც ფართოდ გაიშალა საბოტაჟისა და დივერსიების აქტები. საყოველთაო წინააღმდეგობამ იაპონელ ოკუპანტებს საშუალება არ მისცა უდრტვინველად ეძარცვათ ქვეყნის მდიდარი რესურსები და მოეწესრიგებინათ ნავთობის, თუთიის, კაუჩუკის მოპოვება.

1942 წლის ბოლოსათვის—იაპონიის ჯარების მიერ ინდონეზიის ოკუპაციის დასრულების მომენტისათვის—ინდონეზიელი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა საკმაოდ დაავაჟკაცებული იყო. მას ჰყავდა პოლიტიკურ ხელმძღვანელთა და ორგანიზატორთა საკმაო კადრები, რომლებსაც გავლილი ჰქონდათ როგორც არალეგალური, ისე ლეგალური მუშაობის გამოცდილებისა და ციხე-გადასახლებების მკაცრი სკოლა. იაპონიის სამხედრო მდგომარეობის გაუარესების კვალდაკვალ ინდონეზიელ ხალხში უფრო და უფრო ღვივდებოდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი სულისკვეთება. და იგი მზად იყო იარაღის მეშვეობით თავიდან მოეშორებინა უცხოური ბატონობა. ინდონეზიის სუვერენული რესპუბლიკის გამოცხადება თვით ისტორიამ დააყენა დღის წესრიგში.

1943—1944 წლებში ინდონეზიელ პატრიოტთა ბრძოლამ და წინააღმდეგობამ კიდევ უფრო მასობრივი და მებრძოლი ხასიათი მიიღო. გახშირდა თავდასხმები იაპონელთა ეშელონებსა და სამხედრო ობიექტებზე, აფეთქებები და ცეცხლის წაკიდება. აქა-იქ სტიქიურად იფეთქა გლეხთა აჯანყებებმა (დასავ. იავაზე) და არმიასა და შრომით ბატალიონებში მობილიზებული მოსახლეობის ამბოხებებმა. ასეთი ხასიათის აჯანყებებმა განსაკუთრებით დიდი გაქანება მიიღო ბლიტარში (აღმ. იავაზე) 1944 წ. თებერვალში. ამის პარალელურად გააქტიურდნენ პატრიოტულად განწყობილი ინტელიგენცია და მოსწავლე ახალგაზრდობა. კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით გაიშალა მასობრივი მოძრაობა ახალი სუვერენული, დემოკრატიული ინდონეზიისათვის: საფუძველი ჩაეყარა არალეგალურ განმათავისუფლებელ ორგანიზაციებს. 1943 წლის მარტში შეიქმნა ლეგალური ორგანიზაციაც — პუტერა (სახალხო ძალთა ცენტრი), რომელიც ერთიან სახალხო განმათავისუფლებელ ფრონტს ჩამოჰგავდა. იაპონელებმა აკრძალეს იგი, რითაც ახალი ფიცხი მასალა შექმნეს და ბიძგი მისცეს ამბების შემდგომ განვითარებას. ბრძოლა დამოუკიდებელი ინდონეზიის რესპუბლიკისათვის მილიონთა სახვალიო ამოცანა გახდა. მომზადდა ნიადაგი ინდონეზიელი ხალხის საყოველთაო განმათავისუფლებელი აჯანყებისათვის.

ინდოეთი 1918—1945 წლებში

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია და ინდოეთის ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობა

(1918—1922 წწ.)

პირველი მსოფლიო ომის დასასრულისათვის ინდოეთი, როგორც ინგლისის კოლონია, ადმინისტრაციული მმართველობის მხრივ იყოფოდა ბრიტანეთის ინდოეთად, ე. ი. უშუალო კოლონიურ სამფლობელოებად, და ე. წ. „ადგილობრივ სამთავრო-სახელმწიფოებად“.

ბრიტანეთის უშუალო კოლონიური სამფლობელოების სათავეში იდგნენ ინგლისელი გუბერნატორები და კომისრები, ინგლისისადმი ვასალურ დამოკიდებულებაში მყოფ სამთავროებში კი (მათი რიცხვი 600-დე აღწევდა)—დესპოტი მთავრები. თუმცა იქაც ფაქტიური ხელისუფლება ინგლისელ რეზიდენტთა ხელში იყო.

ინგლისელთა ბატონობა ინდოეთზე ემყარებოდა მრავალრიცხოვან მოქნილ და გამოცდილ კოლონიურ აპარატს (რომლის შტაბს, როგორც ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, შეადგენდა უაღრესად მაღალი ხელფასის მქონე მაღალკვალიფიციური 1000-დე მოხელე); ამას ემატებოდა: ინგლისური კაპიტალის მონოპოლიური ბატონობა ქვეყნის ეკონომიკის ყველა წამყვან დარგში; ინგლის-ინდოეთის მრავალრიცხოვანი არმია მრავალრიცხოვანი პოლიტიკური აპარატით; ადგილობრივი სოციალური საყრდენები (დესპოტი მთავრები, მსხვილი ფეოდალები, კომპრადორები, სამღვდელოების თავკაცები); ენობრივი, ტომობრივი, რელიგიური გათიშულობა და ა. შ.

ინდოეთი რჩებოდა ჩამორჩენილ აგრარულ ქვეყნად ნახევრად ფეოდალური და კოლონიური ეკონომიკით. ფეოდალური გადმონაშთებით აღსავსე სოფელში მთელ მიწა-წყალს ინგლისის კოლონიური ხელისუფლება, დესპოტი მთავრები და ფეოდალი მემამულეები ფლობდნენ. კაპიტალისტური მრეწველობა, რომლის ხვედრითი წილი სახალხო მეურნეობაში უმნიშვნელო იყო. იმპერიალისტური და ადგილობრივი კაპიტალის სექტორებისაგან შედგებოდა.

იმპერიალისტური მეტროპოლიისათვის ინდოეთი წარმოადგენდა მრავალფეროვანი ნედლეულის უმნიშვნელოვანეს წყაროს, საქონლის

გასაღების დიდ ბაზარს და კაპიტალის დაბანდების ხელსაყრელ სფეროს. ინგლისური კაპიტალის გაბატონებული მდგომარეობა (ომის დასასრულისათვის კი ინდოეთში დაბანდებული იყო 600 მილიონ გირ. სტერლინგზე მეტი ინგლისური კაპიტალი) ინდოეთის ეკონომიკაში და ეროვნული კაპიტალის დამორჩილებული მდგომარეობა, ინგლისელთა პოლიტიკური ბატონობა და ინდიელთა სრული უუფლებობა — აი რაში უნდა ვეძიოთ ეროვნულ ბურჟუაზიასა და იმპერიალისტურ ბურჟუაზიას შორის არსებულ წინააღმდეგობათა წყარო.

მსოფლიო ომმა, რომელმაც მძიმე ტვირთი დააკისრა კოლონიურ ინდოეთს და მძაფრად გაამწვავა წინააღმდეგობა ინდოელ ხალხსა და ბრიტანეთის იმპერიალიზმს შორის, ობიექტურად ბიძგი მისცა ინდოეთის ეკონომიურ განვითარებას და დააჩქარა კაპიტალისტური ინდუსტრიალიზაციის პროცესი. 1911 წელს ინდოეთის ცენზიანი საწარმოების (20 მუშაზე ზევით) რიცხვი უდრიდა 7113 ერთეულს, მასში დასაქმებული იყო 2105 ათასი მუშა. 1921 წელს აღნიშნული ტიპის საწარმოთა რიცხვი 15606 ერთეულამდე გადიდდა, დასაქმებული მუშების რიცხვმა კი—2681 ათასს მიაღწია. განსაკუთრებით გაიზარდა საფეიქრო, მეტალურგიული და სამთამადნო მრეწველობა.

შესატყვისად გაიზარდა წარმოების და კაპიტალის კონცენტრაცია და ცენტრალიზაცია. ინდოეთის მრეწველობის მთავარ დარგში — ბამბეულის მრეწველობაში 1913 წელს იყო 272 ფაბრიკა. 1921 წელს კი — 572. ამავე დროს საფეიქრო დაზგათა რიცხვი გადიდდა 94 ათასიდან 124 ათასამდე, მუშებისა კი — 254 ათასიდან 332 ათასამდე. შავი მეტალურგიის პროდუქციის 60%-ზე მეტს იძლეოდა ტატას კომპანიის ქარხნები ჯამშედპურში. წარმოებისა და კაპიტალის კონცენტრაციას მოჰყვა მუშათა კონცენტრაცია რამდენიმე მსხვილ სამრეწველო ცენტრში (ბომბეიში, კალკუტაში, აჰმედაბადსა და სხვ.)

ცვლილებას ინდოეთის მრეწველობაში არ მოჰყოლია არსებითი ცვლილება მის სტრუქტურაში. მრეწველობის მთავარ დარგს 1920—1921 წლებში კვლავინდებურად საფეიქრო მრეწველობა წარმოადგენდა, რომელშიც დასაქმებული იყო მთელი მუშების 50%.

მიუხედავად იმისა, რომ სოფლის მეურნეობა ინდოეთის კოლონიური ეკონომიკის განმსაზღვრელ დარგს წარმოადგენდა, იგი, იქ გაბატონებულ ფეოდალურ ურთიერთობათა გამო, მეტად ჩამორჩენილი იყო. დაბალ დონეზე იდგა სასოფლო-სამეურნეო წარმოების დონე, შრომის ნაყოფიერება და მოსავლიანობა. სოფლის მეურნეობის ზოგიერთი დარგი ერთ დონეზე იყო გაყინული, მეორენი კი

აშკარად დეგრადაციას განიცდიდნენ. 1911—1921 წლებში ნათესი ფართობი 3 მილიონი ჰექტარით შემცირდა; მას მოჰყვა პროდუქციის შემცირებაც. ეს მაშინ, როცა მოსახლეობა, პირიქით, რამდენიმე მილიონით გაიზარდა.

პოლიტიკური უუფლებობა, უმეცრება, აუტანელი სიღატაკე და პერიოდული შიმშილობა — აი რა იყო ინდოეთის მშრომელთა ხვედრი. არნახულმა შიმშილმა და გადამდებმა სენმა „ისპანკამ" 1918 წელს 15 მილიონზე მეტი ინდოელი იმსხვერპლა. ომმა ახალი უბედურება მოუტანა ინდოეთის ქალაქისა და სოფლის წვრილ ბურჟუაზიასაც და სასოწარკვეთილებამდე მიიყვანა იგი.

მოკლედ, პირველი მსოფლიო ომის დასასრულისათვის კოლონიური ინდოეთისა და იმპერიალისტური ინგლისის ურთიერთობაში მრავალი ფიცხი მასალა დაგროვდა. ინდოეთის მოსახლეობის ფართო ფენები და მათ შორის მოღონიერებული ეროვნული ბურჟუაზიაც მეტად მტკივნეულად განიცდიდნენ სამშობლოს პოლიტიკურ და ეკონომიურ უუფლებობას. ისინი ცდილობდნენ თავი დაეღწიათ ასეთი მდგომარეობისათვის და მოეპოვებინათ ელემენტარული ადამიანური უფლებები. ამან ინდოეთში შეამზადა ნიადაგი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მძლავრი აღმავლობისათვის.

დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ უდიდესი გავლენა მოახდინა ინდოეთზე. მის შედეგად ინდოელი ხალხი ამოვარდა ძველი კალაპოტიდან, მასობრივად ჩაება ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში და იმპერიალიზმის რევოლუციური მსხვრევის დიდმნიშვნელოვანი ფაქტორი გახდა.

ინდოეთის მოწინავე ადამიანები აღტაცებით შეეგებნენ დიდ ოქტომბერსა და მის პირმშოს — მსოფლიოში პირველ საბჭოთა სახელმწიფოს — და კაცობრიობის დიადი მომავლის შუქურა უწოდეს მას. „მე ეჭვი არ მეპარებოდა, — წერდა ჯავაჰარლალ ნერუ, — რომ საბჭოთა რევოლუციამ დიდად წასწია წინ ადამიანთა საზოგადოება და ააგიზგიზა კოცონი, რომლის ჩაქრობა შეუძლებელია..."

იმ ახალ განწყობილებას, რომელიც დაეუფლა ინდოეთის მოსახლეობის ფართო ფენებს დიდი ოქტომბრის ზეგავლენით და თვით მის უდიდეს გავლენას ინდოეთის ცხოვრებაზე კარგად გამოხატავს ინდოეთის მშრომელთა ერთ-ერთი მიტინგის მისალმება ვ. ი. ლენინისადმი.

„რუსეთის რევოლუციის ბელადებო, — ვკითხულობთ ამ მისალმებაში, — ინდოეთი გილოცავთ თქვენ დიდ გამარჯვებას, რომელიც მოიპოვეთ მთელი მსოფლიოს დემოკრატიის ინტერესებისათვის. რუსეთის რევოლუციამ უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა ინდოელი ხალხის ფსიქოლოგიაზე. ინგლისის მიერ მიღებული ზომების მიუხე-

დავად, ხალხთა თვითგამორკვევის ლოზუნგებმა შემოაღწია ინდოეთში...“

ისე როგორც 1919 წლის „4 მაისის მოძრაობა“ ჩინეთში წარმოადგენდა ჩინელი ხალხის პასუხს რუსეთის რევოლუციის მოწოდებაზე, ასევე ის მძლავრი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. რომელიც 1919 წლიდან გაიშალა ინდოეთში. წარმოადგენდა ინდოელი ხალხის პასუხს დიდი ოქტომბრის საბრძოლო მოწოდებაზე.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ინდოელი ხალხების ბრძოლამ ქვეყნის ეროვნული დამოუკიდებლობისათვის საყოველთაო სახალხო ხასიათი მიიღო, მომწიფდა პირობები ერთიანი ანტიიმპერიალისტური ფრონტის შექმნისათვის მუშათა კლასის, გლეხობის, წვრილი ბურჟუაზიის, რადიკალური ინტელიგენციისა და ეროვნული ბურჟუაზიის შემადგენლობით.

მთელმა რიგმა გარემოებებმა — ინდოეთის მოსახლეობის ეროვნულმა, ტომურმა, ენობრივმა და რელიგიურმა სიჭრელემ, კასტობრივმა დაყოფამ, შუასაუკუნეობრივი გადმონაშთების დიდმა ხვედრითმა წონამ, ძველი ტრადიციებისა და ადათების გავლენამ, მარქსიზმის სუსტად გავრცელებამ, მუშათა კლასის არასაკმაო ორგანიზებამ — თავისებური ელფერი მისცა 1918 წლიდან ინდოეთში აზვირთებულ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას და სერიოზული სიძნელეები შეუქმნა მას. მან ხელი შეუშალა მუშათა კლასს შეესრულებინა ამ მოძრაობის ჰეგემონის საპატიო მისია და, პირიქითა ეროვნულ ბურჟუაზიას საშუალება მისცა სათავეში ჩასდგომოდა მას.

მონტეგიუ-ჩელმსფორდის რეფორმები. როულეტის რეპრესიული კანონი

ინგლისის იმპერიალიზმი სერიოზულად დააშინა ინდოელი ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მძლავრმა აღმავლობამ, რომელმაც სერიოზული საფრთხე შეუქმნა მათ ბატონობას ამ ქვეყანაში. შემდგომი რევოლუციური აფეთქების თავიდან ასაცილებლად მათ საჭიროდ ცნეს ზოგიერთ უმნიშვნელო დათმობებზე წასვლა და ბურჟუაზიულ-მემამულური ზედაფენის გულის მოგება. საამისო გამიზნულობა ჰქონდა 1918 წლის 4 ივლისს ლონდონში გამოქვეყნებულ ინდოეთის საქმეთა მინისტრ მონტეგიუსა და ინდოეთის მეფისნაცვალ ჩელმსფორდის მოხსენებას ინდოეთში გათვალისწინებული რეფორმების“ შესახებ. აღნიშნული პროექტი საფუძვლად დაედო ახალ კანონს ინდოეთის მმართველობის შესახებ, რომელიც 1919 წელს მიიღო ინგლისის პარლამენტმა.

მონტეგიუ-ჩელმსფორდის რეფორმებით ინდოეთის მეფისნაცვალთან იქმნებოდა ორპალატიანი საკანონმდებლო ორგანო ძალზე

შეზღუდული ფუნქციებით. მისი დეპუტატების ნაწილს ნიშნავდა მეფისნაცვალი, ნაწილს კი ირჩევდნენ ცენზიანი საარჩევნო წესის საფუძველზე. მეფისნაცვალს კვლავინდებურად შეეძლო გამოეცა კანონები და განკარგულებები და გაეტარებია იგი ცხოვრებაში საკანონმდებლო ორგანოს სანქციის გარეშე.

მსხვილ პროვინციებში: შეერთებულ პროვინციებში, ბიხარაში, ორისაში, ბენგალში, მადრასსა და ბომბეიში უნდა შექმნილიყო ორპალატიანი საკანონმდებლო ორგანოები, ფენჯაბსა და ცენტრალურ პროვინციებში კი — ერთპალატიანი.

პროვინციებში იქმნებოდა „სამინისტროები", რომლებიც უნდა გამოეყო პროვინციულ საკანონმდებლო კრებებს და დაემტკიცებია გუბერნატორებს. მათი კომპეტენციაც ძალზე შეზღუდული იყო. მათ შეეძლოთ განეხილათ განათლების, ჯანმრთელობის და სოფლის მეურნეობის საკითხები, ფინანსებს კი გუბერნატორები განაგებდნენ. გუბერნატორთა ხელში რჩებოდა პასუხისმგებლობა შინაგან წესრიგზე პროვინციებსა და სამთავროებში და სხვ.

საარჩევნო სისტემა უნდა აგებულიყო ამომრჩეველთა რელიგიურ კურიებად დაყოფის საფუძველზე. ამავე დროს მუსლიმანებისათვის რეზერვირებული იყო ადგილების 30% იმ პროვინციებში, სადაც ისინი შეადგენდნენ უმცირესობას და ნახევარზე მეტი იმ პროვინციებში, სადაც ისინი უმრავლესობას შეადგენდნენ. არჩევნებში მონაწილეობის უფლებას ღებულობდნენ მარტო მქონებლები, მთელი მოსახლეობის 1,5%. ქონებრივ ცენზთან ერთად დაწესებული იყო მაღალი ასაკობრივი ცენზი, განათლებისა და სამსახურის ცენზი და სხვ.

აღნიშნული რეფორმები, რომელიც კიდევ უფრო აღრმავებდა ინდუს-მუსლიმანთა გათიშვას, ოდნავადაც კი არ ამსუბუქებდა ინდოეთის კოლონიურ ყოფას და არ აძლევდა მას არავითარ თვითმმართველობას.

მზარდი რევოლუციური აღმავლობის ვითარებაში მონტეგიუ-ჩელმსფორდის კუდშეკვეცილმა რეფორმებმა ვერ გაამართლა მათი ინიციატორების ვარაუდი. მას ცივად შეხვდნენ არა მარტო მშრომელთა ფართო ფენები, არამედ ეროვნული ბურჟუაზიაც, რომელიც მაშინ ინდოელი ხალხების მედროშის როლში გამოდიოდა. 1918 წლის აგვისტოში ინდოეთის ეროვნული კონგრესის საგანგებო სესიამ გაილაშქრა ამ რეფორმების წინააღმდეგ და მას გულისგამტეხი და არადამაკმაყოფილებელი უწოდა. იგი მხოლოდ მთავრებმა, მსხვილმა ფეოდალებმა, კომპრადორებმა და ფინანსურმა მაგნატებმა მოიწონეს.

მზარდი სახალხო-ანტიიმპერიალისტური მოძრაობის შესაჩერებლად ინგლისელი იმპერიალისტები არ დაკმაყოფილდნენ მარტო რეფორმების დემაგოგიური დაპირებებით და პოლიციური ტერორის მეთოდებიც მოიმარჯვეს. 1919 წლის მარტში ინგლისის კოლონიურმა ხელისუფლებამ გამოაქვეყნა დრაკონისებური კანონი, რომელიც მისი ავტორის—ინგლისელი მოსამართლე როულეტის სახელითაა ცნობილი. როულეტის კანონი აუქმებდა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოებს და პოლიციას უფლებას აძლევდა შეეპყრო ყველა ეჭვმიტანილი პირი და ბრალდების წინასწარ წაყენების გარეშე საპყრობილეში მოეთავსებინა ისინი. ხელისუფლებას შეეძლო გაერეკა მასობრივი შეკრებები და დემონსტრაციები, დაეხურა ჟურნალ-გაზეთები. აეკრძალა პატრიოტული ორგანიზაციების საქმიანობა და სხვ. მოკლედ, როულეტის კანონი მშვიდობიან დროს ინდოეთის მოსახლეობას სამხედრო-პოლიტიკურ წესებს უქვემდებარებდა და ართმევდა მას ელემენტარულ მოქალაქეობრივ უფლებებს.

როულეტის კანონის გამოქვეყნებით ინგლისის კოლონიურ ხელისუფლებს სურდათ დაეშინებინათ ინდოეთის გამოღვიძებული მასები და წაერთმიათ მათთვის მასობრივი ბრძოლის ხალისი. მაგრამ მას საწინააღმდეგო რეაქცია მოჰყვა — ინდოეთის მოსახლეობის საყოველთაო აღშფოთება გამოიწვია და ბიძგი მისცა რევოლუციური მოძრაობის შემდგომ აღმავლობას.

მასობრივი სამოქალაქო ურჩობის კამპანია, განდი და განდიზმი

1918 წლიდან ინდოეთში გაშლილ მასობრივ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას სათავეში უდგება სრულიად ინდოეთის ეროვნული კონგრესი.

ამ დრომდე კონგრესი, რომელიც ეროვნული ბურჟუაზიის, ლიბერალური მემამულეებისა და პრივილეგირებული მოხელეების ინტერესებს გამოხატავდა, მასებისაგან მოწყვეტილი, ზედაპირული ბურჟუაზიული პარტია იყო. წვრილბურჟუაზიული პატრიოტების ჩამოშორების შემდეგ (1908 წელს) მის რიგებში, როგორც სამართლიანად მიუთითებს ინდოელი ხალხის გამოჩენილი შვილი, დიდი პატრიოტი და სახელმწიფო მოღვაწე, აწ განსვენებული ჯავაჰარლალ ნერუ, დარჩნენ მხოლოდ მაღალი კლასების წარმომადგენლები, ადამიანები, რომლებიც ფლობდნენ ინგლისურ ენას და ევროპულად იყვნენ ჩაცმულნი.

კონგრესს იმისათვის, რომ შეესრულებინა მასობრივი ანტიიმპერიალისტური ბრძოლის ხელმძღვანელის როლი, ძირეულად უნდა გარდაექმნა თავისი მუშაობა, დაყრდნობოდა მასებს და საერთო-ინდურ ანტიიმპერიალისტურ პარტიად ქცეულიყო. ამის გარეშე იგი

ვერ ამაღლდებოდა ერისა და მასების ბრძოლის მებაირახტრის საპატიო მისიამდე.

კონგრესმა წარმატებით გადაწყვიტა ეს ამოცანა. მისი გადაწყვეტა უშუალოდ დაკავშირებულია კონგრესის ახალი იდეურ-პოლიტიკური ბელადის, ინდოელი ხალხის დიდი შვილის მოჰანდას კარამჩანდ განდის სახელთან.

მოჰანდას კარამჩანდ განდი

მოჰანდას კარამჩანდ განდის, ანუ „მაჰათმა"[1] განდის, სახელთან დაკავშირებულია ეთიკურ-ფილოსოფიური და რელიგიური შეხედულებები, რომელიც განდიზმის სახელს ატარებს[2]. განდიზმი არ წარმოადგენს მსოფლმხედველობის ერთიან მწყობრ სისტემას. მასში მეტნაკლები პროპორციით თავმოყრილია იდეალისტური ფილოსოფიის, ეთიკური ნორმების, რელიგიების (ინდუიზმის, ჯაინიზმის, ქრისტიანობის...), ტოლსტოველობის ელემენტები.

განდი მკაცრად აკრიტიკებდა კაპიტალისტურ ცივილიზაციას, მთელი არსებით გმობდა კოლონიურ ჩაგვრას და გაბედულად ესარჩლებოდა სოციალურ-ეროვნული ჩაგვრის ყველა მსხვერპლს. როგორც მგზნებარე ინდოელი პატრიოტი და ჰუმანისტი, განდი ინგლისის კოლონიური ბატონობის შეურიგებელი მტერი იყო. კარგად ხედავდა რა იმ უბედურებას, რაც უცხო დამპყრობი ძალის ბატო-

---

[1] „მაჰათმა" ქართულად ნიშნავს „დიად სულს".

[2] იგი დაიბადა 1869 წელს გუჯარათში. მის მამას ეჭირა მინისტრის თანამდებობა ჩრდილო-დასავლეთ ინდოეთში მდებარე ერთ პატარა ფეოდალურ სამთავროში. იგი ეკუთვნოდა „ბანიას"—ვაჭართა კასტას. მიიღო უმაღლესი იურიდიული განათლება ინგლისში და 1893—1914 წლებში იმყოფებოდა სამხრეთ აფრიკის კავშირში. 1915 წლიდან სახელმოხვეჭილი და საქვეყნოდ ცნობილი განდი ინდოეთში ბრუნდება და აქტიურად ებმება საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საქმიანობაში.

ნობამ დაატეხა თავს ინდოელ ხალხს, მას გულწრფელად სურდა სამშობლოს სრული თავისუფლება და დამოუკიდებლობა. მაგრამ როგორც ყოველგვარი ძალადობის მტერი, განდი უარყოფდა რევოლუციური ბრძოლის გზას და ინდოეთის განთავისუფლებას მშვიდობიან საშუალებებს უკავშირებდა. მისი შეხედულებით ყოველგვარი ბოროტების წინააღმდეგ ძალდატანებითი ბრძოლა იგივე ბოროტება იყო. იგი დარწმუნებული იყო, რომ ბოროტების დაძლევა მხოლოდ მოთმინებით, სულის სრულყოფით, ბოროტმოქმედების ჩამდენის სწორ გზაზე მოქცევით შეიძლებოდა. ყველა ადამიანი, თვით ინგლისელი დამპყრობლებიც კი, ამბობდა განდი, ახლობელი და მეგობარია და უნდა გვიყვარდეს ისინი. თვით სატანაც უნდა გვიყვარდეს, მაგრამ გვძულდეს სატანიზმი. ამ „ფილოსოფიიდან" გამომდინარე განდი უარყოფდა რევოლუციას, კლასობრივ ბრძოლას და შეიარაღებულ განმათავისუფლებელ აჯანყებას ინგლისელთა ბატონობის დასამხობად.

მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ განდი ურიგდებოდა სამშობლოს დამონებას და დამპყრობლებისადმი პასიურ მორჩილებას ქადაგებდა. იგი ილაშქრებდა მხოლოდ „არაორგანიზებული მასის ექსცესების" წინააღმდეგ და მასებს მოუწოდებდა თავშეკავებული ანტიიმპერიალისტური ბრძოლისაკენ. მას კარგად ესმოდა, რომ მხოლოდ ის ბრძოლა დამთავრდებოდა წარმატებით და თავისუფლებას მოუტანდა ქვეყანას, რომელიც ეყრდნობოდა მშრომელთა ფართო ფენებს — მუშებს, გლეხებს, ხელოსნებს, სტუდენტ-მოსწავლე ახალგაზრდობას. ამიტომ იყო, რომ მან კონგრესს მოუწოდა ინგლისის კოლონიური ბატონობის წინააღმდეგ გამოეყენებინა მასობრივი ბრძოლის მეთოდები: უცხოური საქონლის ბოიკოტი, მშვიდობიანი დემონსტრაციები, ხარტალები (ყოველგვარი საქმიანობის შეწყვეტა...), ტიტულებზე, თანამდებობებზე ხელის აღება, გადასახადების არ გადახდა და სხვ. ყოველივე ეს მას წარმოდგენილი ჰქონდა სატიაგრახის სახით, რომლის მთავარი შინაარსი იყო ბრიტანეთის კოლონიური ხელისუფლებისადმი ძალდაუტანებელი სამოქალაქო ურჩობა ინდივიდუალური და კოლექტიური ფორმებით.

თავისი საზოგადოებრივ-პატრიოტული მოღვაწეობის მთელ მანძილზე განდი მჭიდროდ იყო დაკავშირებული ხალხის ფართო მასებთან, ხელს უწყობდა მათ გამოღვიძებასა და ამოძრავებას, მათ მასობრივ ჩაბმას ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში. მასებთან ორგანულმა კავშირმა, მათ სულში ჩაწვდომამ და პირადმა თვისებებმა — უბრალოებამ, ასკეტიზმმა, ინდური ტრადიციებისადმი ერთგულებამ, კარიერისა და ქონება-სახელის მოხვეჭისადმი სიძულვილმა უდიდესი ავტორიტეტი შეუქმნა განდის და ჰეშმარიტ სახალხო

ბელადად აქცია იგი. ამიტომ შეარქვეს მას ინდოეთის ხალხებმა „მაჰათმა“ („დიადი სული“), ამიტომ იქცა იგი, ნერუს თქმით, ინდოეთის სიმბოლოდ, მრავალმილიონიანი მასების იდეალიზებულ განსახიერებად, მებრძოლი ნაციონალიზმისა და ინდოეთის დამოუკიდებლობის სიმბოლოდ, ამიტომ დაირაზმნენ მილიონობით ინდოელი პატრიოტები მის ირგვლივ და იცნეს იგი თავიანთ ბელადად.

განდის მოღვაწეობის კონსტრუქციული შემადგენელი ნაწილი და მუდმივი სამოქმედო პროგრამა იყო ბრძოლა კასტური სისტემის წინააღმდეგ და „მიუკარებელთა“ სოციალური ემანსიპაციისათვის, ბრძოლა ქალთა განთავისუფლებისათვის, ინდუს-მუსლიმანთა ერთიანობისათვის, ინდოეთის ყველა ხალხის ინტერესთა სოლიდარობისათვის, ხელოსნობის, კერძოდ ხელით რთვისა და ქსოვის საყოველთაო გავრცელებისათვის.

თქმა არ უნდა, განდის მოღვაწეობის ყველა მხარე, განდიზმის ცალკეული შეხედულებები არ იყო მისაღები. მის რელიგიურ-ფილოსოფიურ და ეთიკურ-საზოგადოებრივ სისტემაში ბევრი იყო ბუნდოვანი და წინააღმდეგობრივი. ბევრს დეიზმის, პატრიარქალობისა და გარდასულ დროთა ყოფის იდეალიზაციის კვალი ეჩნდა. თვით მისი მოწაფეები და მიმდევრებიც კი, როგორც სამართლიანად წერს ნერუ თავის „ავტობიოგრაფიაში“, არ იზიარებდნენ საკუთრივ მის მსოფლმხედველობასა და პრაქტიკულ მოღვაწეობას. განდიზმის წინააღმდეგობრიობა გამომდინარეობდა მრავალმილიონიანი გლეხური მასისა და ეროვნული ბურჟუაზიის წინააღმდეგობრივი ხასიათიდან. განდი ხომ მათი იდეოლოგი და წარმომადგენელი იყო. განდიზმის მეოხებით მოახერხა ეროვნულმა ბურჟუაზიამ მილიონების დარაზმვა და ჰეგემონობის მოპოვება ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში. მაგრამ როგორი ნაკლიც არ უნდა ჰქონოდა განდსა და მის მოძღვრებას, იგი მთელი თავით მაღლა იდგა ყველა თანამედროვე თანამემამულეზე; იგი იყო დიდი ერის დიდი შვილი. დიდი პატრიოტი, მას ღრმად სწამდა თავისი ქვეყნის ნათელი მომავალი.

განდის ერთ-ერთი ძირითადი დამსახურება იყო ეროვნული კონგრესის გამასიურება, მისი ერთიანი ანტიიმპერიალისტური ძალების დამრაზმავ მრავალმილიონიან პარტიად ქცევა. მისი რჩევითა და წინადადებით იყო, რომ კონგრესის ხელმძღვანელობამ მასობრივად მიიზიდა პარტიის რიგებში მუშები, გლეხები, ხელოსნები და სხვა მშრომელები, რამაც ძირეულად შეცვალა მისი სოციალური შემადგენლობა, გააფართოვა სოციალური ბაზა და ათეული მილიონი ადამიანი დაუმორჩილა თავის გავლენას.

სამოქალაქო ურჩობის მასობრივი კამპანია განდის ხელმძღვანელობით. ამრიტსარის დახვრეტა და ფენჯაბის აჯანყება

საერთო რევოლუციური აღმავლობის ზეგავლენით ეროვნულმა კონგრესმა გადაჭრით დაგმო როულატის კანონი და მოსახლეობას მოუწოდა ვამოსულიყო მის წინააღმდეგ. ამ მოწოდებამ მასების მხურვალე გამოხმაურება პოვა. სოფლისა და ქალაქის მილიონობით ადამიანი—მუსლიმანები და ინდუსები, სხვადასხვა კასტების, ენობრივი ჯგუფებისა და ხალხების წარმომადგენლები ერთსულოვნად დაირაზმნენ ამ საძულველი კოლონიური კანონის გასაუქმებლად. როულატის კანონის ძალაში შესვლის პასუხად განდის წინადადებით 1919 წლის 6 აპრილიდან კონგრესმა დაიწყო მასობრივი ხარტალის კამპანია (გაფიცვები, სამუშაოთა, სავაჭროთა, სასწავლებლების დახურვა).

ხარტალმა, მიუხედავად იმისა, რომ განდის მოწოდებით იგი მშვიდობიანად უნდა ჩატარებულიყო, მეტად მრისხანე ხასიათი მიიღო. ბენგალში, შეერთებულ პროვინციებში, ფენჯაბში, ბომბეიში, მადრასში, ბიხარასა და სხვა ადგილებში მუშების, მოსამსახურეთა, სტუდენტ-მოსწავლეთა, ხელოსანთა, წვრილ ვაჭართა და თავისუფალი პროფესიის ადამიანთა მონაწილეობით ჩატარდა ხალხმრავალი მიტინგები, დემონსტრაციები, უცხოური საქონლის ბოიკოტი, ინგლისური საქონლის საჯარო დაწვა და სხვა მასობრივი ღონისძიება. მას მოჰყვა ახალი, უფრო მრისხანე, მასობრივი საპროტესტო დემონსტრაციები, რასაც ინგლისელმა კოლონიზატორებმა მკაცრი რეპრესიებით უპასუხეს. პოლიციურმა ტერორმა ცეცხლზე ნავთის დასხმის როლი შეასრულა და ხარტალის მონაწილეებს აქტიური წინააღმდეგობისაკენ უბიძგა.

10, 11 და 12 აპრილს მოსახლეობის ანტიიმპერიალისტური გამოსვლები და რკინიგზელ და ფეიქარ მუშათა გაფიცვები გუჯარათში, აჰმადაბადსა და დელში ჯართან და პოლიციასთან სისხლიან შეტაკებებში გადაიზარდა. ამ ამბებმა განსაკუთრებით მრისხანე ხასიათი მიიღო ფენჯაბში, სადაც მოძრაობაში ქალაქის მოსახლეობასთან ერთად დემობილიზებული ჯარისკაცები და გლეხებიც იღებდნენ აქტიურ მონაწილეობას.

1919 წლის 13 აპრილს დასავლეთ ფენჯაბის ცენტრ ამრიტსარში ჯალიანვალ-ბაგის მოედანზე თავი მოიყარა 20 ათასზე მეტმა მშრომელმა, რათა მოეწყოთ მშვიდობიანი მიტინგი განმათავისუფლებელი მოძრაობის ორი აქტიური მონაწილის დოქტორ საიფუდინ კიჩლუსა და დოქტორ სატიაპალას ქალაქიდან გაძევების პროტესტის ნიშნად. მიტინგის ადგილას მოულოდნელად გაჩნდა ჯარი გენერალ ო' დაიერის მეთაურობით, რომელმაც ჩაკეტა მოედნის ვიწრო

გასასვლელები და შემდეგ ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე სროლა აუტეხა უიარაღო ხალხს. ამ უმოწყალო ხოცვისა და ურთიერთჭყლეტის შედეგად გაიჟლიტა 2 ათასზე მეტი კაცი, მათ შორის ქალები და ბავშვები, ორჯერ მეტი კი დაიჭრა, დაშავდა და დასახიჩრდა.

იმავე დღეს ამრიტსარში შემოღებულ იქნა სამხედრო წესები, ბოსახლეობას დახვრეტის მუქარით აეკრძალა სახლებიდან გამოსვლა და დაზარალებულთათვის დახმარების აღმოჩენა, მეორე დღიდან კი ქალაქში გამეფდა ველური პოლიციური ტერორი.

ამრიტსარის ხოცვა-ჟლეტის მოწყობით ინგლისელი კოლონიზატორები ფიქრობდნენ დაეშინებიათ ინდოელი პატრიოტები და ჩაეხშოთ მათში შემდგომი ბრძოლის წყურვილი. მაგრამ ისინი მოტყუვდნენ ანგარიშში. ამრიტსარის ამბების ექო ინდოეთის მთელ ტერიტორიას მოედო და ისეთი როლი შეასრულა მოვლენების შემდგომ განვითარებაში ამ ქვეყანაში, როგორიც 1905 წ. „სისხლიანმა კვირამ“ — რუსეთში. ინდოეთი მოიცვა მძლავრმა საყოველთაო აღშფოთებამ. ლაჰორსა და ფენჯაბის სხვა საოლქო ცენტრებში აჯანყებული ჯარისკაცების მონაწილეობით სტიქიურად იფეთქა მასობრივმა აჯანყებებმა. იგივე განმეორდა აჰმადაბადში (გუჯარათი), დელში, კალკუტასა და სხვა ცენტრებში. აქა-იქ აჯანყებულებმა ხელთ იგდეს რკინიგზები, საპყრობილეები და მთავრობის დაწესებულებები, დაარბიეს საპოლიციო უბნები, ააფეთქეს ხიდები, მატარებლების შემადგენლობა და სხვ. სოფლად ანტიიმპერიალისტურ მოძრაობას ხშირად თან სდევდა გლეხობის სტიქიური ანტიფეოდალური გამოსვლები.

ინგლისის კოლონიური ხელისუფლების მიერ მიღებული უმკაცრესი ზომების მიუხედავად, ანტიიმპერიალისტური გამოსვლები 1919 წლის შემოდგომამდე გრძელდებოდა. ფენჯაბი ბოლომდე დარჩა მის მთავარ ცენტრად. ამჯერად ინგლისელებმა ვერ მოახერხეს გაეთიშათ მუსლიმანები და ინდუსები, დაეპირისპირებინათ ისინი ერთმანეთისათვის და მით მახვილი ჩაეცათ მოძრაობისათვის.

მართალია, ინგლისელებმა შეძლეს სისხლში ჩაეხშოთ 1919 წლის ანტიიმპერიალისტური გამოსვლები, მაგრამ ეს იყო მათი სანახევრო გამარჯვება. მათ ვერ მოახერხეს მასების აქტივობის დათრგუნვა და ხელი ვერ შეუშალეს მასობრივი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შემდგომ განვითარებას. 1919 წლის მეორე ნახევარი, კერძოდ შემოდგომის თვეები აღინიშნა ანტიიმპერიალისტური ბრძოლის მორიგი აღმავლობით. როგორც საშინაო, ისე საერთაშორისო ვითარება, კერძოდ ანტიიმპერიალისტური მოძრაობის წარმატება აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, საბჭოთა რუსე-

თის დიდი წარმატებები შინაგან კონტრრევოლუციასა და იმპერიალისტ ინტერვენტებზე, დაბოლოს, ინგლისის იმპერიალიზმის საერთაშორისო პოზიციების შესუსტება ხელს უწყობდა ინდოელი ხალხების განმათავისუფლებელ ბრძოლას და ახალ ძალებს აბამდა მის რიგებში. ამიტომ იყო, რომ 1919 წელს აღზევებული მოძრაობა. კოლონიზატორთა გააფთრებული ტერორის მიუხედავად, 1920 წელსაც გრძელდებოდა და განვითარების ახალ ფაზაში შედიოდა.

ვ. ი. ლენინი მიესალმა ინდოეთის მოსახლეობის გამოღვიძებას და ამოქმედებას, მათ ბრძოლას ეროვნული განთავისუფლებისათვის და ამ ბრძოლის წარმატების საწინდრად მიიჩნია მშრომელთა ორგანიზებულობა და დისციპლინა, მათი სოლიდარობა მსოფლიოს მშრომელებთან, მუსლიმანური და არამუსლიმანური მოსახლეობის მჭიდრო კავშირი[1]. მან ინდოეთი დააყენა აზიის იმ სახელმწიფოთა სათავეში, სადაც მასები იქცნენ მსოფლიო პოლიტიკისა და იმპერიალიზმის რევოლუციური მსხვრევის აქტიურ ფაქტორებად, რომლებიც უკვე ჩაებნენ „რევოლუციურ ბრძოლაში, საერთაშორისო რევოლუციაში...“[2]. რევოლუცია ინდოეთში, წერდა ვ. ი. ლენინი, „...მით უფრო სწრაფად იზრდება, რაც უფრო მნიშვნელოვანი ხდება მასში, ერთი მხრივ, ინდუსტრიული და რკინიგზის პროლეტარიატი, ხოლო, მეორე მხრივ, რაც უფრო მხეცური ხდება ტერორი ინგლისელებისა, რომლებიც სულ უფრო ხშირად მიმართავენ მასობრივ მკვლელობასაც (ამრიტსარი), საჯარო გაწკეპლვასაც და სხვა“[3].

ეროვნულ - განმათავისუფლებელი ბრძოლის შემდგომი აღმავლობა. მუშათა მოძრაობა

1919 წლის აპრილში განდის ინიციატივით დაწყებული სატიაგრახის კამპანია, როგორც დავინახეთ, გასცდა „ძალადაუტანებელი არათანამშრომლობის“ ჩარჩოებს და მკვეთრად მებრძოლი ხასიათი მიიღო. განდი და კონგრესი ბევრს ეცადნენ მშვიდობიან კალაპოტში ჩაეყენებიათ მოძრაობა და დაერწმუნებინათ მასები თავი შეეკავებინათ ძალადობისაგან, მაგრამ ამაოდ. ამბების შემდგომმა განვითარებამ — კოლონიზატორთა ჯიუტობამ — წასულიყვნენ რაიმე სერიოზულ დათმობაზე, მასობრივი მოძრაობის შეუწყვეტელმა აღმავლობამ, რასაც ხელი შეუწყო 1920 წლიდან დაწყებულმა ეკონომიურმა კრიზისმა და მასების „ჯიუტობამ“, აიძულა ისინი წამოეწყოთ მასობრივი წინააღმდეგობის ახალი კამპანია.

განდმა, რომელიც ამ დროს არა მარტო კონგრესის თავმჯდო-

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 31, გვ. 156.
[2] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 33, გვ. 411.
[3] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 32, გვ. 579.

მარე და ბელადი იყო, არამედ ხალიფური კომიტეტის თავმჯდომარეც, გამოაცხადა სატიაგრახის ახალი კამპანიის დაწყება, რომელსაც „პროგრესული ძალდაუტანებელი არათანამშრომლობა" უწოდა. სათანადო კამპანიის გეგმით ინდოელებს ჯერ ხელი უნდა აეღოთ ყველა საპატიო პოსტსა და თანამდებობაზე (მათ შორის ჯარსა და არმიაში), ამას უნდა მოჰყოლოდა უცხოური საქონლის ბოიკოტი და, ბოლოს, როგორც უმაღლესი ზომა, თავი უნდა შეეკავებინათ გადასახადების გადახდისაგან (უპირატესად მიწის გადასახადისაგან).

ეროვნული კონგრესის მორიგმა — 35-ე სესიამ, რომელიც 1920 წლის დეკემბერში ჩატარდა, მოიწონა მასობრივი ურჩობის ახალი პროგრამა და საჭიროდ ცნო მისი ორგანიზებულად ჩატარება[1]. აღნიშნულმა სესიამ განდის უშუალო ინიციატივით და წინადადებით მოახდინა თავისი რიგების რეორგანიზაცია და მიიღო დადგენილება თავის რიგებში მუშების, ხელოსნების და გლეხების მიზიდვის შესახებ. სწორედ ამ რეორგანიზაციის შემდეგ იქცა კონგრესი მასობრივ პოლიტიკურ ორგანიზაციად.

ვინაიდან ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობასთან ერთად ამ დროისათვის ინდოეთში ფართოდ გაიშალა ცალკეულ ეროვნებათა, კერძოდ ბურჟუაზიულ ერებად უკვე ფორმირებულ ხალხთა (ბენგალელების, გუჯარათელების, მარათჰების, ასამელების, ორიას, ქაშმირელების, ანდჰრას, თამილის, მალაიალის, კანარას) მოძრაობა მათი გაერთიანებისათვის ცალკეულ ადმინისტრაციულ-პოლიტიკურ და ენობრივ ერთეულად, ნაგპურის სესიამ მიიღო გადაწყვეტილება გარდაექმნა თავისი ძირეული ორგანიზაციები ეროვნულ-ენობრივი პრინციპის შესაბამისად... ამასთან ერთად, მან მოითხოვა შეცვლილიყო ინდოეთის იმჟამად არსებული ადმინისტრაციული დაყოფა ენობრივ-ეროვნული პრინციპით.

1920 წლიდან კაპიტალისტურ სამყაროში დაწყებული მსოფლიო ეკონომიური კრიზისი ინდოეთსაც მისწვდა, დასცა წარმოება, გააძლიერა უმუშევრობა და ხელი შეუწყო კლასობრივი ბრძოლის შემდგომ გამწვავებას. ანტიიმპერიალისტურ ბრძოლასთან ერთად 1920 წლიდან ინდოეთში ფართოდ იშლება მუშათა საგაფიცვო მოძრაობა. მეწარმეთა შემოტევის პასუხად იფიცებიან ბომბეელი ფეიჭრები, კალკუტის ჯუთის ფაბრიკების მუშები, ბენგალის, აქმადაბადის რკინიგზელები, ტატას საწარმოთა მეტალურგები ჯამშეთპურში და ა. შ. მარტო 1920 წლის პირველ ნახევარში ადგილი ჰქონდა 200-დე გაფიცვას, 1921 წელს — 396-ს.

---

[1] მისი მიზანი უნდა ყოფილიყო სვარაჯის, ე. ი. ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვება.

საგაფიცვო მოძრაობის პროცესში აღმოცენდნენ ათეული პროფესიული კავშირები, რომელთა ბაზაზე 1920 წლის ოქტომბერში ჩატარდა პირველი პროფკავშირული ყრილობა და შეიქმნა პროფკავშირთა სრულიადინდოეთის კონგრესი. მნიშვნელოვნად გაძლიერდა მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების გავლენაც. არა მარტო მუშათა კლასი, არამედ ინდური პროგრესული ინტელიგენციის მოწინავე წარმომადგენლებიც დაინტერესდნენ მეცნიერული სოციალიზმისა და მუშათა მოძრაობის საკითხებით. ამან შეამზადა ნიადაგი მუშათა მოძრაობისა და მეცნიერული სოციალიზმის შეერთებისა და პირველი კომუნისტური ჯგუფების აღმოცენებისათვის. 1920—1921 წლებში ბომბეიში, კალკუტაში, ლაჰორში... ყალიბდებიან პირველი კომუნისტური ჯგუფები, რომლებიც აქტიურად ებმებიან ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობასა და პროფკავშირების საქმიანობაში, ხელმძღვანელობენ მუშათა კლასის კლასობრივ ბრძოლებს. 1922 წლიდან აქტიურ რევოლუციურ ბრძოლას იწყებს ინდოეთის მუშათა მოძრაობის გამოჩენილი ვეტერანი, ინდოეთის კომუნისტური პარტიის ცკ ახლანდელი თავმჯდომარე დანგე.

გლეხთა მოძრაობა

ეროვნულ-განმათავისუფლებელ და მუშათა მოძრაობას მოჰყვა გლეხთა მოძრაობა. მისი ერთ-ერთი მთავარი კერა იყო ფენჯაბის პროვინცია. აქ გლეხების ბრძოლას სათავეში ჩაუდგა სიქჰთა თემის ერთ-ერთი პოპულარული რელიგიური სექტა „აკალი“ („უკვდავი“). ეს იყო რელიგიური ელფერის მქონე მასობრივი ანტიფეოდალური ბრძოლა, რომლის მახვილი მიმართული იყო საეკლესიო (ტაძრების) მიწების მომტაცებელი სიქჰური სამღვდელოებისა და სისხლის მწოვ მევახშეთა წინააღმდეგ. მან მოიცვა ფენჯაბის დიდი ნაწილი და ლაჰორსა და რიგ სხვა ადგილებში სისხლიან შეტაკებებში გადაიზარდა. კოლონიზატორებმა მხოლოდ 1922 წლის ბოლოს მოახერხეს ამ მოძრაობის განადგურება და „წესიერების“ აღდგენა.

1920 წლის ზაფხულში გლეხთა მღელვარებამ იფეთქა აუდის ტერიტორიაზე. იგი მიმართული იყო მემამულეთა თვითნებობის წინააღმდეგ და მიწაზე კაბალური საიჯარო პირობების შეცვლის ლოზუნგით მიმდინარეობდა. 1921 წელს ეს მღელვარება რიგ ადგილებში მასობრივ აჯანყებებში გადაიზარდა.

გლეხთა მოძრაობის მნიშვნელოვანი კერა იყო შეერთებული პროვინციების აღმოსავლეთი. აქაც უუფლებო მოიჯარადრე გლეხობის რისხვა მიმართული იყო მსხვილი მემამულეების წინააღმდეგ (რომელთა ხელში იყო მთელი მიწები) და მკვეთრი ანტიფეოდალური მიმართულება ჰქონდა. ამ ბრძოლაში გლეხობას სათავეში ედგა სტიქიურად აღმოცენებული ღარიბ მოიჯარადრე გლეხთა კავშირი —

„ეკა“ („ერთიანობა“). როგორი მასობრივი ხასიათიც არ უნდა ჰქონოდა აღნიშნულ გლეხთა გამოსვლებს, არც ერთი მათგანი არ დამთავრებულა სასურველი შედეგებით. ამის მიზეზები იყო მათი სტიქიურობა, გეოგრაფიული შეზღუდულობა და პროლეტარიატის ხელმძღვანელობის უქონლობა.

ბრძოლის მწვავე ფორმებით გამოირჩეოდა გლეხთა მოძრაობა მადრასის პროვინციის მალაბრის სანაპიროზე (თანამედროვე კერალის შტატში). იქ მოსახლე მალაიალის ეროვნების ხალხის ნაწილი, რომელიც მუსლიმანურ რელიგიას აღიარებდა და ჰოპლას სახელით იყო ცნობილი, თითქმის მთლიანად დაბალ კასტებს ეკუთვნოდა და მოჯამაგირეობას მისდევდა. მათ უმოწყალოდ ძარცვავდნენ ადგილობრივი მემამულეები (უპირატესად ინდუსები), ინგლისელი პლანტატორები და თვითნება კოლონიური მოხელეები. ამან აიძულა ისინი 1921 წლის აგვისტოში აჯანყებულიყვნენ. აჯანყებას, რომელიც 6 თვის განმავლობაში მიმდინარეობდა, ერთსა და იმავე დროს ანტიფეოდალური და ანტიიმპერიალისტური მიმართულება ჰქონდა. აჯანყების პროცესში აჯანყებულმა მოჯამაგირეებმა (50 ათასი) ხელში ჩაიგდეს რამდენიმე რაიონი, შექმნეს სახალხო ხელისუფლების ორგანოები და გამოაცხადეს „ხალიფატის სამეფო“. ინგლისის კოლონიურმა ხელისუფლებმა 10 ათასიანი არმია მიუსიეს ჰოპლას ნახევრად უიარაღო აჯანყებულ გლეხობას, გაანადგურეს მათი სოფლები, გაჟლიტეს ათასობით აჯანყებული და 1922 წლის დასაწყისისათვის შეძლეს მათი სრული დამარცხება.

მუშათა და გლეხთა მოძრობის დიდმა გაქანებამ და მასობრივი ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის შეუჩერებელმა აღმავლობამ 1921—1922 წლებში სერიოზულად შეაშფოთა ეროვნული კონგრესის ხელმძღვანელობა. განდმა ისევ მოუწოდა მასებს არ მიემართათ ძალადობისათვის და დაეცვათ მოძრაობის მშვიდობიანი, ძალადაუტანებელი ჩარჩოები. ამავე დროს, მასების მზარდმა რევოლუციურმა ენთუზიაზმმა და მოძრაობის სადავეების ბოლომდე შენარჩუნების სურვილმა კონგრესი შეაგულიანა განეგრძო სამოქალაქო მასობრივი ურჩობის კამპანია.

საერთო რევოლუციურ აღმავლობას და სამოქალაქო ურჩობის კამპანიის გადაზრდას ძალადატანებით აქციებში ინგლისის კოლონიურმა ხელისუფლებამ პოლიტიკური ტერორის გაძლიერებით უპასუხა. იგი მხეცურად გაუსწორდა სოფლისა და ქალაქის მშრომელ მასებს, თანაც კონგრესიც არ დაინდო და ათასობით მისი აქტივისტი საპყრობილეებში ჩაყარა.

მაგრამ ხელკეტის პოლიტიკამ ვერ დააშოშმინა ქვეყანა. პირიქით, მან კიდევ უფრო გააძლიერა მასების აღშფოთება და შექმნა პი-

რობები რევოლუციური სიტუაციის მომწიფებისათვის. საშინშმა ვითარებამ კოლონიზატორები იძულებული გახადა მანევრებისთვისაც მიემართათ. მათ გამოსცეს ახალი საიჯარო კანონი, რომელიც მხოლოდ კულაკური ელემენტებისათვის იყო ხელსაყრელი, ზოგიერთ დათმობაზე წავიდნენ სიქჰების მიმართ და მორიგი შეღავათები აღუთქვეს ბურჟუაზიულ-მემამულურ ზედა ფენას. ამას 1921 წლის ნოემბერში მოჰყვა უელსის პრინცის ჩასვლა ინდოეთში. მისი ამოცანა იყო ინგლისის სამეფო ხელისუფლების პრესტიჟის ამაღლება და ინდოელთა შორის ქვეშევრდომობითი ერთგულების გაღვივება. მაგრამ აღნიშნულ ნაბიჯებს სასურველი ეფექტი არ მოჰყოლია. გაბოგანოებული გლეხობა ოდნავადაც ვერ დააკმაყოფილა ახალმა საიჯარო კანონმა, ხოლო ტახტის მემკვიდრის უელისის პრინცის ჩასვლას ბომბეიში და სხვა ცენტრებში ინდოელი პატრიოტები შეეგებნენ მასობრივი ხარტალით — მრისხანე დემონსტრაციებით, რაც კალკუტაში და ბომბეიში ჯართან და პოლიციასთან შეტაკებებსა და ბარიკადულ ბრძოლებში გადაიზარდა.

1919—1922 წლების მოძრაობის დამარცხება და მისი მიზეზები

სამოქალაქო ურჩობის კამპანიის „უმაღლეს ფორმად" განდსა და კონგრესის სხვა ლიდერებს ინდოელების მიერ გადასახადების გადახდაზე უარის თქმა მიაჩნდათ. მაგრამ ვინაიდან მასები ხშირად არღვევდნენ ძალდაუტანებელ ტაქტიკას და ბრძოლის ძალდატანებით მეთოდებს მიმართავდნენ, ამიტომ ეს „უმაღლესი მეთოდი" თითქმის არ ყოფილა გამოყენებული, მხოლოდ 1922 წლის დასაწყისში განდმა ცდის სახით განიზრახა მოემარჯვა იგი ბარდოს ოლქში (ბომბეის პროვინცია).

1922 წლის 1 თებერვალს განდმა ულტიმატუმით აცნობა მეფისნაცვალს, რომ დაიწყებოდა სამოქალაქო ურჩობის ახალი ეტაპი (გადასახადების გადახდაზე უარის თქმის ჩათვლით), თუ იგი 7 დღის განმავლობაში არ შეწყვეტდა რეპრესიებს და არ გაათავისუფლებდა საპყრობილეებში ჩაყრილ ინდოელებს. მაგრამ სანამ ულტიმატუმი ძალაში შევიდოდა, ჩაური-ჩაურში (შეერთებული პროვინციების გორაჯპურის ოლქი) მოხდა ისეთი ამბავი, რამაც კონგრესს საბაბი მისცა სავსებით გაეუქმებინა სატიაგრახის კამპანია.

1922 წლის 4 თებერვალს დაბა ჩაური-ჩაურში ადგილობრივი მცხოვრებლებისა და მახლობელი სოფლების გლეხების მშვიდობიან დემონსტრაციას თავს დაესხნენ პოლიციელები და გაუფრთხილებლად სროლა აუტეხეს უიარაღო დემონსტრანტებს, რასაც მსხვერპლი მოჰყვა. პოლიციელთა პროვოკაციული მოქმედებით აღშფოთებულმა დემონსტრანტებმა ჯოხებისა და ქვების ცემით გარეკეს თავდამს-

ხმელები, პოლიციის შენობაში შერეკეს ისინი და ცეცხლი წაუკიდეს. ცეცხლმა შთანთქა შენობა და იქ მყოფი 22 პოლიციელი.

განდმა მკაცრად დაგმო „ბრბოს“ ძალადობის ეს აქტი[1] იმ მოტივით, რომ მასები ჯერ კიდევ არ იყვნენ აღზრდილნი ძალდაუტანებელი ურჩობისათვის, გამოაცხადა სამოქალაქო ურჩობის კამპანიის შეწყვეტა.

12 თებერვალს ქალაქ ბარდოლში მოწვეულმა ეროვნული კონგრესის აღმასკომის სხდომამ მოიწონა განდის გადაწყვეტილება, მან დაგმო „ბრბოს“ მოქმედება ჩაური-ჩაურში და მოუწოდა თავის ადგილობრივ ორგანიზაციებს შეეწყვიტათ ხელისუფლების საწინააღმდეგო ყოველგვარი საპროტესტო მოქმედება — „ეროვნულ მოხალისეთა“ დემონსტრაციები, მიტინგები, გადასახადის გადაუხდელობა— და არ მოეხდინათ არავითარი „გამომწვევი ხასიათის“ გამოსვლები.

აღნიშნულმა რეზოლუციამ კონგრესის ბევრი აქტიური წევრის სამართლიანი აღშფოთება გამოიწვია. „ჩვენ აღვშფოთდით, გავიგეთ რა ბრძოლის შეწყვეტის შესახებ იმ მომენტში, როცა ჩვენ, თითქოს, განვამტკიცეთ ჩვენი პოზიციები და წარმატებით მივიწევდით წინ ყველა ფრონტზე. მაგრამ იმედის გაცრუება და გულისწყრომა, რამაც შეგვიპყრო ჩვენ ციხეში, ცოტას ნიშნავდა. სამოქალაქო ურჩობა და არათანამშრომლობა შეწყდა“ — ასე აღწერდა კონგრესის ამ გადაწყვეტილებას ციხეში მყოფი ნერუ.

ეროვნული კონგრესის ბარდოლის რეზოლუციამ მახვილი ჩასცა მასობრივ ანტიიმპერიალისტურ მოძრაობას. იგი მალე დაცემის გზას დაადგა, 1922 წლის ბოლოსათვის კი კოლონიური ხელისუფლების მიერ მის მონაწილეთა წინააღმდეგ გამოყენებული უმკაცრესი რეპრესიებისა და ხელმძღვანელობის უყოლობის გამო ჩახშობილ იქნა. იგივე მოუვიდა მუშათა საგაფიცვო მოძრაობასა და გლეხთა გამოსვლებსაც. კოლონიზატორებმა უფრო იოლად მოახერხეს მათი განადგურება.

1918—1922 წლების მასობრივ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, მისი დროებითი მარცხის მიუხედავად, დიდი ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა. მან მილიონები გამოაღვიძა, ჩაება ანტიიმპერიალისტურ ბრძოლაში და მით საყოველთაო სახალხო ხასიათი მისცა სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლას. მისი უშუალო შედეგი იყო მუშათა და გლეხთა მასების კლასობრივი შეგნების გაძლიერება, მათი პირველი კლასობრივი ორგანიზაციების აღმოცენება, მარქსიზმის იდეების გავრცელება და პირველი კომუნისტური ორგანიზაციების შექმნა.

---

1 ამისთვის უმკაცრესად იძიეს შური ინგლისელმა კოლონიზატორებმა.

ინდოეთის ეკონომიკა 1924—1928 წწ. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დროებითი შესუსტება

კაპიტალიზმის დროებითი და ნაწილობრივი სტაბილიზაციის (1924—1928) წლები ინდოეთში აღინიშნა ეკონომიური განვითარების ტემპების რამდენადმე დაჩქარებით, კაპიტალიზმის შემდგომი განვითარებით, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შენელებით და იმპერიალისტური რეაქციის გაძლიერებით.

ეკონომიკის ზრდა ყველაზე რელიეფურად გამოვლინდა მრეწველობაში, კერძოდ საფეიქროში. 1923 წელს ინდოეთში სულ იყო 5144 ფაბრიკა, 1927 წელს კი — 7515. მათში დასაქმებულ მუშათა რიცხვი შესაბამისად 1361 ათასიდან 1533 ათასამდე გადიდდა. ზრდა დაეტყო აგრეთვე მეტალურგიულ მრეწველობასაც. თუჯის გამოდნობა 1927 წელს 1923 წელთან შედარებით თითქმის გაორკეცდა.

მრეწველობის ზრდა უპირატესად მიმდინარეობდა ეროვნული კაპიტალის დაბანდებათა გადიდების გზით. იგი ძლევდა კოლონიური ხელისუფლების მიერ შექმნილ დაბრკოლებებს და აფართოებდა საქმიანობის სფეროს მრეწველობის ახალ-ახალ დარგებში. საფეიქრო და გემო-კვების დარგთა ზრდა, ზოგიერთი ახალი დარგის შექმნა (მაგ., ცემენტის) ძირითადად ეროვნული კაპიტალის მზარდი აქტივობის შედეგი იყო.

მრეწველობის ზრდას თან სდევდა წარმოების კონცენტრაცია. ტატას ფოლადის ჩამომსხმელი კომპანიის კაპიტალმა 150 მილ. რუპიას გადააჭარბა, მის საწარმოში მომუშავეთა მუშების რიცხვმა კი 30 ათასს მიაღწია. ამას თავის მხრივ მოჰყვა მრეწველობის სტრუქტურული ცვლილებები.

Მიუხედავად ამისა, ინდოეთის მრეწველობამ მაინც შეინარჩუნა ცალმხრივი სახე. მას არ გააჩნდა მანქანათმშენებლობა, ზუსტი ხელსაწყოების წარმოება და ა. შ. ძალზე უმნიშვნელო იყო მეტალურგიის დონე. ინგლისელი კოლონიზატორები ყველაფერს აკეთებდნენ თავიანთი კოლონიის დამოუკიდებელი ეკონომიური განვითარების ტენდენციის შესაფერხებლად და მასზე კონტროლის გასაძლიერებლად. ამ მხრივ დიდ როლს ასრულებდნენ კოლონიური ბანკები და ინგლისური მმართველი სააგენტოები. ისინი კონტროლს უწევდნენ არა მარტო ინგლისურ, არამედ ინდურ კომპანიებსაც, მათზე იყო დამოკიდებული მათი დაკრედიტება, მოწყობილობის მიწოდება და ა. შ. ინგლისელთა მზარდი ეკონომიური დაწოლა, ეროვნული მრეწველობის შეფერხების მათი პოლიტიკა იწვევდა

ინდური ბურჟუაზიის მკვეთრ უკმაყოფილებას და აღრმავებდა წინააღმდეგობას კოლონიზატორებისადმი.

ამ წლებში არა თუ ვითარდება, არამედ შემდგომ დეგრადაციას განიცდის ინდოეთის ეკონომიკის წამყვანი დარგი — სოფლის მეურნეობა. ფეოდალურ-შუასაუკუნეობრივი გადმონაშთებია დიდი ხვედრითი წონა და ქვეყნის კოლონიური მდგომარეობა ძველებურად ბოჭავდნენ მის საწარმოო ძალებს, განაპირობებდნენ შრომის დაბალ ნაყოფიერებასა და უმნიშვნელო მოსავალს, ხელს უშლიდნენ მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დანერგვას, ნათესი ფართობის გადიდებას. მიწათმოქმედების მკვეთრი ჩამორჩენა, მსხვილი ფეოდალური მიწათმფლობელობის შემდგომი ზრდა და გლეხთა მასობრივი გაბოგანოება, მასობრივი უმუშევრობა, ცხოვრების დონის შემდგომი დაცემა, შიმშილობა და გადამდებ სნეულებათა საყოველთაოდ გავრცელება — აი, რა ავსებს ინდოეთის სოფლის მეურნეობის საკვალალო სურათს. იმდენად მძიმე იყო ინდოეთის სოფელში არსებული მდგომარეობა, რომ ინგლისურმა სამეფო სასოფლო-სამეურნეო კომისიამ, რომელიც 1927 წელს ჩავიდა ინდოეთში სოფლის მეურნეობის მდგომარეობის შესასწავლად, ვერ შეძლო დაეფარა იგი. თავის მოხსენებაში კომისია იძულებული იყო გამოემზეურებინა სასოფლო-სამეურნეო მუშების, მოჯამაგირეების, უმიწაწყლო და ღარიბი გლეხების ყოფის შემაძრწუნებელი ფაქტები, მიეთითებინა ფეოდალურ-მევახშური ექსპლოატაციის აუტანლობაზე და სოფლის ჩამორჩენის სოციალურ ფესვებზე.

ინდუს-მუსლიმანთა შუღლის გაძლიერება. მუშათა და გლეხთა მოძრაობის ჩახშობა

პოლიტიკური რეაქციის გაძლიერების ერთ-ერთი გამოვლინება იყო ინდუს-მუსლიმანთა შუღლის გაღრმავება. კოლონიური ხელისუფლების აგენტების წაქეზებით ბომბეიში, ფენჯაბსა და ინდოეთის სხვა ადგილებში იგი ინდუს-მუსლიმანთა აშკარა შეტაკებებსა და დარბევებში გადაიზარდა. 1923 წლიდან 1928 წლამდე ამ ხოცვა-ჟლეტის შედეგად მოკლულ იქნა ხუთასზე მეტი და დაიჭრა რამდენიმე ათასი კაცი. ინგლისელი კოლონიზატორები ყოველმხრივ ხელს უწყობდნენ ინდუსების, მუსლიმანებისა და სხვა რელიგიური ჯგუფების დაპირისპირებას. იგი მათ რევოლუციური მოძრაობის ჩახშობისა და ინდოეთის მშრომელთა საბრძოლო ერთიანობის ჩაშლის დიდმნიშვნელოვან საშუალებად მიაჩნდათ.

ისარგებლეს რა დემოკრატიული ბანაკის სისუსტით, მუსლიმანთა ლიგაში და ეროვნულ კონგრესში თავი წამოყვეს რეაქციულ-კლერიკალურმა ძალებმა, რომლებმაც კოლონიზატორთა გულის საამებლად გააჩაღეს კამპანია როგორც მშრომელთა სამართლიანი

მოთხოვნების წინააღმდეგ, ისე ინდუს-მუსლიმანთა ინტერესების შეურიგებლობის სასარგებლოდ. მუსლიმანთა ლიგის ფეოდალურ-მემამულური კლერიკალური ხელმძღვანელობა მუსლიმანურ მოსახლეობაში სისტემატურად თესავს ფანატიზმის, ინდუსებისადმი შეურიგებლობის განწყობილებას, მოუწოდებს მათ ძალით მოაქციონ ინდუსები მუსლიმანურ რჯულზე... იგი ათასგვარ ინსინუაციებს მიმართავს ეროვნული კონვრესის წინააღმდეგ და არა ინგლისელ კოლონიზატორებს, არამედ ამ ორგანიზაციას მიიჩნევს ინდოელ მუსლიმანთა მთავარ მტრად.

მუსლიმანური ლიგის რეაქციულ ხელმძღვანელობას არ ჩამორჩა ინდუსთა რეაქციულ-კლერიკალური ზედაფენა. კოლონიზატორთა გულის საამებლად ისიც ქადაგებს მუსლიმანებისადმი შეურიგებლობას და მოითხოვს ინდუიზმის რელიგიაზე მათ ძალით მოქცევას. მათი ინიციატივით 1925 წელს ჩატარდა „ჰინდუ მაჰასაბჰას"[1] — ამ არქირეაქციული კლერიკალური და ნახევრად რასისტული ორგანიზაციის — პირველი ყრილობა, რომელმაც შეიმუშავა უკიდურესად რეაქციულ-რასისტული პროგრამა... მუსლიმანებისადმი შეურიგებლობას, რელიგიურ ფანატიზმს, ცრუმორწმუნეობის და დრომოჭმული ტრადიციებისადმი ბრმა ერთგულებას, — აი რას ქადაგებდა იგი.

რელიგიური შუღლისა და რეაქციული ტენდენციების ხელოვნურად გაღვივებასთან ერთად ინგლისელი კოლონიზატორები განაგრძობენ მკაცრ რეპრესიებს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მონაწილეთა წინააღმდეგ. აღნიშნული რეპრესიების მახვილი უპირველეს ყოვლისა მიმართული იყო მუშათა და გლეხთა აქტივისტებისა და კომუნისტური ჯგუფების წინააღმდეგ.

მიუხედავად ამ არახელსაყრელი ვითარებისა, მუშათა და გლეხთა მოძრაობა, როგორც მშრომელთა აუტანელი მდგომარეობის შედეგი, ოდნავადაც არ შეწყვეტილა. იგი უპირატესად ვლინდებოდა მასობრივი გაფიცვებისა და „აგრარულ ბოროტმოქმედებათა" სახით. მუშათა საგაფიცვო მოძრაობის მთავარ ცენტრად ამ წლებშიაც რჩება საფეიქრო მრეწველობის დიდი ეროვნული ცენტრი ბომბეი. 1924—1925 წლებში ბომბეელმა ფეიქრებმა მეწარმეთა შეტევის პასუხად ორჯერ მოაწყეს ხანგრძლივი და მასობრივი გაფიცვა, რომლებიც მაღალი შეგნებულობით და შეუპოვრობით გამოირჩეოდა. მუშათა მოძრაობა ცალკეულ ფეოდალურ სამთავროებშიაც გავრცელდა (მაისური, ინდორი...) და სერიოზულად შეაშფოთა ფეოდალი დესპოტი მთავრები. გაფიცვების ნაწილი მუშათა გამარჯვებით დაგვირგვინდა. მათ არა მარტო თავიანთი ეკონომიური მოთხოვ-

---

[1] „ინდუსთა დიდი კავშირი".

ნების დაკმაყოფილება შეძლეს, არამედ მოიპოვეს პროფესიული კავშირების შექმნის უფლებაც. სულ 1927 წლისათვის ინდოეთში იყო 200 პროფესიული კავშირი 300 ათასზე მეტი წევრით. პროფკავშირების ერთი ნაწილი რევოლუციურ ხაზს ატარებდა და კომუნისტების ხელმძღვანელობით მუშაობდა (ასეთი იყო, მაგალითად, 1926 წელს ბომბეიში შექმნილი რევოლუციური პროფკავშირი „გირნი კამგარი" („ფაბრიკის მუშა"), რომელმაც ბრწყინვალე როლი შეასრულა ინდოეთის რევოლუციური მოძრაობის შემდგომ განვითარებაში. მეორე ნაწილი კი, რომელიც რეფორმისტების გავლენის ქვეშ იმყოფებოდა, კლასობრივი ზავისა და თანამშრომლობის ხაზს იცავდა.

აღნიშნულ წლებში სერიოზულ წარმატებას მიაღწია კომუნისტურმა მოძრაობამაც. გააქტიურდნენ ცალკეული კომუნისტური ჯგუფები. მათი უშუალო ინიციატივით 1926—1928 წლებში ბენგალში, ფენჯაბში, ბომბეისა და შეერთებულ პროვინციებში აღმოცენდნენ მუშურ-გლეხური პარტიები, რომელთაც სრულიადინდოეთის კომუნისტური პარტიის პროტოტიპის როლი შეასრულეს. 1928 წელს ამ პროვინციული ორგანიზაციების პირველმა კონფერენციამ კალკუტაში მიიღო დადგენილება სრულიადინდოეთის მუშურ-გლეხური პარტიის შექმნის შესახებ. ეს იყო დიდმნიშვნელოვანი მოვლენა ინდოელი ხალხის რევოლუციური მოძრაობის ისტორიაში, სერიოზული ნაბიჯი სოციალიზმისა და მუშათა მოძრაობის შერწყმისაკენ.

ამ პარტიების პროგრამული მოთხოვნები მკაფიოდ იყო ფორმულირებული ბომბეისა და ბენგალის მუშურ-გლეხური პარტიების მიერ 1927 წელს მიღებულ პოლიტიკურ დოკუმენტებში. იგი ითვალისწინებდა: სრული დამოუკიდებლობის მოპოვებას და ინდოეთის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნას; მსხვილი ფეოდალური მიწათმფლობელობის ლიკვიდაციას, დემოკრატიულ თავისუფლებათა მოპოვებას, მშრომელთა უფლებრივ-მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას, ქვეყნის ეკონომიური განვითარების დაჩქარებას და სხვ.

მაგრამ ამ ორგანიზაციების პროგრამებსა და პრაქტიკულ საქმიანობაში ყველაფერი რიგზე როდი იყო. მას აშკარად აჩნდა წვრილბურჟუაზიული არათანმიმდევრობისა და შემთანხმებლობის ელფერი. ეს იმის შედეგი იყო, რომ მათ საქმიანობას კომუნისტებთან ერთად წვრილბურჟუაზიული ნაციონალისტებიც უწევდნენ ხელმძღვანელობას. მიუხედავად ამისა, მუშურ-გლეხურმა პარტიებმა დადებითი როლი შეასრულეს ინდოეთის მუშათა და გლეხთა მოძრაობის განვითარებაში. მათ ხელი შეუწყეს მარქსიზმის შემდგომ

განვითარებასა და მუშათა და გლეხთა კავშირის განმტკიცებას, დარაზმეს მშრომელები ქვეყნის დემოკრატიული გადახალისების დიადი იდეალებისათვის საბრძოლველად.

ეროვნული კონგრესის საქმიანობა. სვარაჯისტები

სამოქალაქო ურჩობის კომპანიის შეწყვეტისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დამარცხების შემდეგ სრულიად ინდოეთის ეროვნული კონგრესი სერიოზულმა კრიზისმა მოიცვა. კოლონიური ხელისუფლების მიერ 1922 წელს საპყრობილეში ჩასმული და 1924 წელს განთავისუფლებული განდი ფაქტიურად ჩამოშორდა კონგრესის ხელმძღვანელობას და რეფორმისტული საქმიანობა დაიწყო. მან მოსახლეობას მოუწოდა აღედგინათ ინდოეთში ძველად გავრცელებული ხელით რთვა და ქსოვა. მისი შეხედულებით შინამრეწველურ ხელობათა, კერძოდ ხელით რთვისა და ქსოვის, აღდგენა მილიონობით მშრომელებს გამოუნახავდა სამუშაოს და შეამცირებდა მასობრივ უმუშევრობას. ამიტომ იყო, რომ იგი ქადაგებდა ხელით სართავი ჯარის (ჩარკჰა) მასობრივ გავრცელებას, მოითხოვდა საწევრო გადასახადის გადაუხდელად ეროვნული კონგრესის წევრად მიეღოთ ყველა მსურველი, რომელიც დაამზადებდა 2000 იარდ ნართს. კონგრესის წევრებს იგი ურჩევდა ეტარებინათ შინამრეწველური წესით დამზადებული ქსოვილისაგან (ხადარი) შეკერილი ტანისამოსი. განდი, გარდა ამისა, ქადაგებდა ინდუს-მუსლიმანთა მეგობრობას, ილაშქრებდა ალკოჰოლის, ოპიუმისა და სხვა ნარკოტიკების მოხმარების წინააღმდეგ, გმობდა ადრეულ ქორწინებას, ქალთა უუფლებობას და საჯაროდ ესარჩლებოდა მიუკარებლებს („პარიებს"). განდის ამ კონსტრუქციულმა პროგრამამ და საქმიანობამ, თუმც იგი უშუალოდ არ იყო დაკავშირებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ამოცანებთან, მაინც დადებითი როლი შეასრულა. მას მოწონებით შეხვდნენ ათეულ მილიონობით გლეხები, ხელოსნები და პროგრესული ახალგაზრდობა.

ეროვნული კონგრესის ხელმძღვანელობა ამ დროიდან ზომიერი მოღვაწეების—მოტილალა ნერუსა[1] და ჩიტა რანი დასის ხელში გადავიდა. მოტილალა ნერუმ, ჩიტა დასმა და საროჯინ ნაიდუმ 1923 წელს კონგრესის შიგნით შექმნეს სვარაჯისტთა პარტია. სვარაჯისტები ბევრ რამეში იზიარებდნენ განდის პოლიტიკურ ხაზსა და პროგრამას, მაგრამ ილაშქრებდნენ სამოქალაქო ურჩობის კამპანიის გაგრძელების წინააღმდეგ და საჭიროდ ცნობდნენ საკანონმდებლო ორგანოების არჩევნებში მონაწილეობას. მათ იმედი ჰქონდათ, რომ საკანონმდებ-

---

[1] ჯავაჰარლალ ნერუს მამა.

ლო საბჭოებში მონაწილეობით, „კანონიერი“ კონსტიტუციური საშუალებებით მოუპოვებდნენ თავიანთ ქვეყანას შეზღუდულ „სვა-რაჯს“, ე. ი. დომინიონის უფლებას.

მაგრამ სვარაჯისტების გვერდით კონგრესში ჩამოყალიბდა მემარ-ცხენე რადიკალური ფრთა, რომელიც მოსწავლე ახალგაზრდობას, წვრილბურჟუაზიასა და ნაწილობრივ მშრომელებს ემყარებოდა. 1926 წლიდან ამ ფრთის ლიდერი ხდება მოტილალა ნერუს შვილი, ახალგაზრდა ნაციონალისტი ჯავაჰარლალ ნერუ. 1927 წელს მემარ-ცხენე ფრთამ კონგრესის მორიგ სესიას მიიღებინა რეზოლუცია, რომელიც მოითხოვდა ინდოეთის სრული დამოუკიდებლობის მოპო-ვებას. გარდა ქვეყნის სრული დამოუკიდებლობის მოპოვებისა, ეს ფრთა მხარს უჭერდა მშრომელთა მდგომარეობის გაუმჯობესებას, მსხვილი მემამულური მიწათმფლობელობის შეზღუდვას, ბრძოლას შევახშეობის წინააღმდეგ და ა. შ.

ეროვნულ - განმათა-ვისუფლებელი მოძ-რაობის ახალი აღ-მავლობა

რევოლუციურ და ეროვნულ-განმათავისუფლე-ბელი მოძრაობის აღმავლობის სიმპტომებმა ინდოეთში თავი იჩინა ჯერ კიდევ 1928 წლის დასაწყისიდან, ე. ი. მსოფლიო ეკონომიური კრიზისის დამღუპველი გავლენის გამოვლენამდე. ეს სიმპტომები აღინიშნა მუშათა მოძრაობის ზრდით, გლეხთა ანტი-ფეოდალური გამოსვლების გახშირებით, მუშურ-გლეხური პარტიისა და კომუნისტური ჯგუფების გააქტიურებით, ახალი პროფკავშირებისა და გლეხთა კავშირების შექმნით, ეროვნული კონგრესის რიგებში მემარცხენე ფრთის გაფორმებით და სხვ.

1928 წელს ადგილი ჰქონდა 203 გაფიცვას, რომელშიაც 500 ათასზე მეტი მუშა მონაწილეობდა. ამ გაფიცვების შედეგად დაი-კარგა 31 647 404 სამუშაო დღე. როგორც წინათ, გაფიცვების მთავარ ცენტრს ბომბეი წარმოადგენდა. 1928 წელს სწორედ ბომ-ბეიში მოხდა ფეიქართა მძლავრი გაფიცვა, რომელშიც 150 ათასი მუშა ფეიქარი იღებდა მონაწილეობას. იგი 6 თვეს გრძელდებოდა და გაფიცულთა ნაწილობრივი წარმატებით დამთავრდა.

მუშათა მოძრაობის გაძლიერებასთან ერთად იზრდება და ფარ-თოვდება გლეხთა მოძრაობაც. ბომბეის პროვინციაში, ფენჯაბში, ბენგალსა და სხვა ადგილებში მასობრივი ხასიათი მიიღო გლეხთა გამოსვლებმა როგორც ფეოდალ-მემამულეთა, ისე ინგლისელ კოლონიზატორთა წინააღმდეგ. მაგრამ გლეხთა მოძრაობა თავისი მასშტაბით და ორგანიზებულობით მაინც სერიოზულად ჩამორჩე-ბოდა მუშათა საგაფიცვო მოძრაობას.

მოსახლეობის ანტიიმპერიალისტური განწყობილებისა და მასო-

ბრივი მოძრაობის ზრდას ხელი შეუწყო იმ საპროტესტო ტალღამაც, რომელიც მოედო ინდოეთის მოსახლეობას 1928 წელს საიმონის კომისიის ჩასვლის პასუხად. აღნიშნულ კომისიას, რომელიც ჯერ კიდევ 1927 წელს გამოყო ინგლისის მთავრობამ ლიბერალ ჯონ საიმონის ხელმძღვანელობით, ინდოელთა ნება-სურვილისა და მონაწილეობის გარეშე, დავალებული ჰქონდა ადგილზე შეესწავლა მდგომარეობა და მის შედეგად შეემუშავებინა ინდოეთის მომავალი კონსტიტუციის პროექტი. ეროვნული კონგრესის მორიგმა სესიამ მიიღო გადაწყვეტილება ბოიკოტი გამოეცხადებინათ მისთვის და მოუწოდა მოსახლეობას მასობრივი დემონსტრაციებით შეხვედროდნენ მას. ასეთივე პოზიცია დაიკავეს სხვა პროგრესულმა და პატრიოტულმა ორგანიზაციებმაც. მშრომელი მასები მხურვალედ გამოეხმაურნენ ამ მოწოდებებს და საიმონის კომისიის ჩამოსვლას „დაბრუნდით უკან", „გაუმარჯოს ინდოეთის სრულ დამოუკიდებლობას" მტრული წამოძახილებით და მასობრივი მანიფესტაციებით შეეგებნენ.

კონგრესის ინიციატივით იმავე 1928 წელს მოწვეულმა სხვადასხვა პარტიების წარმომადგენელთა კონფერენციამ საიმონის იმპერიალისტური კონფერენციის საწინააღმდეგოდ შექმნა ეროვნული კომიტეტი მოტილალა ნერუს ხელმძღვანელობით, რომელსაც ევალებოდა შეემუშავებინა ინდოეთისათვის უფრო მისაღები კონსტიტუციის პროექტი. აღნიშნული კომიტეტის მიერ შემუშავებული კონსტიტუციის პროექტი, რომელიც „ნერუს მოხსენებით" ან „ნერუს კონსტიტუციის" სახელით არის ცნობილი, დაამტკიცა ეროვნული კონგრესის კალკუტის საგანგებო სესიამ 1928 წლის შემოდგომაზე. იგი ითვალისწინებდა ინდოეთისათვის დომინიონის სტატუტის მინიჭებას, სამთავროთა შენარჩუნებას, მაგრამ მათ დამორჩილებას დომინიონის ხელისუფლებისადმი, რელიგიურ-კულტურული არჩევნების ლიკვიდაციას, მემამულეთა ფეოდალური საკუთრების შენარჩუნებას და სხვ.

ნერუს კონსტიტუციის პროექტის მიღებით კონგრესის კალკუტის სესიამ უკან დაიხია 1927 წლის მადრიდის სესიის რეზოლუციასთან შედარებით, რომელშიაც ეროვნული კონგრესის საბოლოო ამოცანად დასახული იყო ინდოეთის სრული დამოუკიდებლობის მოპოვება. ამიტომ იყო, რომ მოსახლეობის ფართო ფენები უკმაყოფილებით შეხვდნენ „ნერუს კონსტიტუციის" მიღებას. მაგრამ ზომიერების გვერდით ამ დროისათვის კონგრესის რიგებში ძლიერდება მემარცხენე ფრთის გავლენა. 1928 წელს ამ მემარცხენე ფრთის ბაზაზე შეიქმნა დამოუკიდებლობის სრულიადინდოეთის ლიგა. მისი ხელმძღვანელები გახდნენ ჯავაჰარლალ ნერუ და სუბჰას ჩანდრა ბოსი.

დამოუკიდებლობის ლიგამ სერიოზული მუშაობა გასწია კონგრესის რიგების გასაზრდელად და ბრძოლა სოციალური ბაზის გასაფართოებლად.

ჯავაჰარლალ ნერუ

რევოლუციურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობით დაშინებულმა ინგლისელმა კოლონიზატორებმა გააძლიერეს პოლიციური რეპრესიები. მისი სუსხი უპირატესად თავს დაატყდა მუშათა და გლეხთა მოძრაობისა და რევოლუციური პროფკავშირების ხელმძღვანელებს, კომუნისტური ჯგუფების ლიდერებს. 1929 წლის მარტში პოლიციის ორგანოებმა დაატუსაღეს რევოლუციური პროფკავშირების 33 ყველაზე ცნობილი ლიდერი, მათ შორის 14 კომუნისტი. დატუსაღებულები, რომელთაც ბრალი დასდეს „სახელმწიფო ღალატში", ქალაქ მირუტში გადააგზავნეს, სადაც უნდა გაესამართლებინათ.

1929—1933 წლების მსოფლიო ეკონომიური კრიზისი და მისი გავლენა ინდოეთზე

მსოფლიო ეკონომიურმა კრიზისმა, რომელიც კაპიტალიზმის საყოველთაო კრიზისის ბაზაზე გაიშალა, უკვე 1929 წლის მეორე ნახევრიდან იჩინა თავი ინდოეთში. იგი ერთდროულად მოედო მრეწველობასა და სოფლის მეურნეობას. ჭარბი წარმოების კრიზისი მჭიდროდ გადაეხასკვა აგრარულ კრიზისს და განსაკუთრებით კატასტროფული გავლენა იქონია კოლონიური ეკონომიკის წამყვან დარგზე—ნახევრადფეოდალურ სოფლის მეურნეობაზე. ეკონომიური კრიზისის არნახული სიმწვავე ინდოეთში განაპირობა მისმა კოლონიურმა მდგომარეობამ, სოფლის მეურნეობის ქრონიკულმა დეგრადაციამ (რაც თავის მხრივ ფეოდალიზმის ღრმა გადმონაშთებისა და იმპერიალიზმის ბატონობის შედეგი იყო) და მეტროპოლიის გაბატონებული

კლასების ცდამ კრიზისის მთელი სიმძიმე თავისი ძირითადი კოლონიის — ინდოეთისათვის დაეკისრებინა.

კრიზისის შედეგად მკვეთრად შეიკვეცა სამრეწველო წარმოება, 2/3-ჯერ დაეცა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ფასი[1], შემცირდა ძირითადი კულტურების ნათესი ფართობი და მოსავლიანობა. დაგროვდა მარცვლეულისა და ნედლეულის დიდძალი გაუსაღებელი მარაგი.

მსოფლიო ეკონომიურმა კრიზისმა კატასტროფულად დასცა სოფლისა და ქალაქის მშრომელთა მატერიალური მდგომარეობა: ასტრონომიულ ციფრს მიაღწია მევახშეებისადმი გლეხობის დავალიანებამ; ამას დაემატა დავალიანება კოლონიური ხელისუფლებისადმი, რომელმაც 20—25%-ით გაადიდა მიწის გადასახადი, საიჯარო განაკვეთის გადიდება მემამულეების მიერ და სოფლის მეურნეობის პროდუქტების ფასების დაცემა. მილიონობით გლეხი მოსწყდა მეურნეობას, დაკარგა მიწის ნაკვეთი და სამუშაო და შეფარდებით უმუშევართა რეზერვს შეუერთდა. შიმშილი და ტროპიკული სნეულებანი ინდოეთის სოფლის მუდმივი თანამგზავრები გახდნენ. ყოველივე ამან სრული გაჩანაგებისა და შიმშილით სიკვდილის ზღურბლამდე მიიყვანა გლეხობა. ამავე მდგომარეობაში ჩავარდა სასოფლო-სამეურნეო პროლეტარიატი (ჩაის, ჯუთის და სხვა პლანტაციურ მეურნეობათა მუშები)[2]. ქალაქებში მრეწველობის შეკვეცას მოჰყვა მუშათა მასობრივი უმუშევრობა, ხელფასის 30—40%-ით დაცემა, შრომის ინტენსიფიკაცია, ბავშვთა და ქალთა შრომის გაძლიერებული ექსპლოატაცია და მუშათა ისედაც მიზერული ცხოვრების პირობების კიდევ უფრო გაუარესება. დაბოლოს, კრიზისმა დააჩქარა ხელოსნებისა და წვრილი ბურჟუაზიის პროლეტარიზაციის პროცესი და წარმოშვა მასობრივი უმუშევრობა ეროვნული ინტელიგენციის რიგებში.

ყოველივე აღნიშნულის შედეგად კრიზისმა გააძლიერა კლასობრივი წინააღმდეგობანი და გააწვავა ანტაგონიზმი ინდოეთსა და ინგლისს შორის, რითაც მძლავრი ბიძგი მისცა კლასობრივი ბრძოლის შემდგომ აღმავლობას და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალი ტურის დაწყებას.

ინგლისის კოლონიური რეჟიმით უკმაყოფილება საყოველთაო გახდა, იგი მოედო მოსახლეობის თითქმის ყველა ფენას მთავართა, მსხვილ ფეოდალთა და კომპრადორთა გამოკლებით. მაგრამ პატრი-

---

[1] 1914 წლის ინდექსს 100-ით აღვნიშნავთ. 1933 წელს იგი 50-ზე დაეცა.

[2] ინგლისის მთავრობის მიერ გამოყოფილი სამეფო კომისია (უიტლის კომისია) იძულებული იყო მზის სინათლეზე გამოეტანა მათი აუტანელი ექსპლოატაციისა და არაადამიანური ყოფის ამაზრზენი ფაქტები.

ოტულად განწყობილი მოსახლეობის დიდი უმრავლესობის მონაწილეობის მიუხედავად, მაინც მუშათა კლასი და გლეხობა წარმოადგენდნენ 1929—1933 წლების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მძლავრი აღმავლობის მთავარ მებრძოლ რაზმსა და მამოძრავებელ ძალებს.

1930—1931 წლების სამოქალაქო ურჩობის კამპანია. სახალხო აჯანყებები

საერთო რევოლუციური აღმავლობის ვითარებაში აზვირთებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა საერთოდ აგრძელებდა წინა პერიოდის სტრატეგიულ ხაზს, მაგრამ ტაქტიკური ხერხებით, ბრძოლის გაქანებითა და მასშტაბით ახალ ნიშნებსაც შეიცავდა. იგი მიმდინარეობდა საბჭოთა კავშირის საერთაშორისო ავტორიტეტის შემდგომი ამაღლების, იმპერიალიზმის კოლონიალური სისტემის მზარდი რღვევისა და ჩაგრულ ხალხთა განმათავისუფლებელი ბრძოლის ფრონტის გაფართოების ვითარებაში. 1919—1922 წლების ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობასთან შედარებით იგი უფრო მასობრივი და მებრძოლი იყო; ადგილობრივი ფეოდალური სამთავროების ხალხების ჩაბმით გაფართოვდა მისი გეოგრაფიული არე, გაიზარდა მშრომელთა აქტივობა, გადიდდა მუშათა კლასისა და კომუნისტური ჯგუფების როლი. 1929 და მომდევნო წლების ანტიიმპერიალისტურ გამოსვლებში ინდოელი პატრიოტების ძირითად საბრძოლო ლოზუნგად იქცა სრული დამოუკიდებლობის („პურნა სვარაჯი") მოპოვება.

მართალია, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალი აზვირთების მთავარი მამოძრავებელი ძალები მუშათა კლასი და გლეხობა იყვნენ, მაგრამ ანტიიმპერიალისტური ბრძოლის ხელმძღვანელი როლი ამ ეტაპზედაც ისევ ეროვნულმა კონგრესმა შეინარჩუნა. ინდოეთში შექმნილმა საბრძოლო განწყობილებამ უშუალო გავლენა მოახდინა ამ ორგანიზაციაზე, გაზარდა მისი რიგები, გააფართოვა სოციალური ბაზა (მან „მიუკარებლებთანაც" კი დაამყარა კავშირი და ფეოდალურ სამთავროებში შექმნა ფილიალები) და გააძლიერა მისი მემარცხენე ფრთის გავლენა.

1929 წლის დეკემბერში ეროვნული კონგრესის მორიგი სესია ლაჰორში ამ ნიშნით ჩატარდა[1]. მემარცხენე ელემენტების გავლენით მან მიიღო გადაწყვეტილება ებრძოლა ინდოეთის სრული დამოუკიდებლობისათვის და ამ მიზნის მისაღწევად კვლავ მოემარჯვა სამოქალაქო ურჩობის (ძალდაუტანებელი) კამპანია, რომლის საერთო ხელმძღვანელობა მან ისევ განდს მიანდო.

1930 წლის იანვრის ბოლოს გაზეთმა „იანგ ინდიამ" („ახალგაზრ-

---

[1] სესიას ჯავაჰარლალ ნერუ თავმჯდომარეობდა.

და ინდოეთი") დაბეჭდა განდის 11 მოთხოვნა მეფისნაცვალ ლორდ ირვინისადმი. განდი კონგრესის სახელით იმუქრებოდა სამოქალაქო ურჩობის მასობრივი კამპანიის დაწყებით აღნიშნული მოთხოვნების მოკლე დროში მიუღებლობის შემთხვევაში. მოთხოვნების უმეტესობა ასახავდა ეროვნული ბურჟუაზიის ეკონომიურ პროპაგანდას, მცირე კი — შეესაბამებოდა მოსახლეობის ფართო ფენების ინტერესებს. მისი მთავარი პუნქტები იყო: ვალუტის კურსის შეცვლა, მიწის გადასახადის 50%-ით შემცირება, მარილზე გადასახადის მოსპობა, სამხედრო ხარჯების შეკვეცა, უცხოურ საფეიქრო ნაწარმზე პროტექციონისტული საბაჟო ტარიფის დაწესება, პოლიტპატიმართა განთავისუფლება, ალკოჰოლიანი სასმელების გაყიდვის აკრძალვა და სხვ.

ვინაიდან ინგლისის კოლონიურმა ხელისუფლებამ არ დააკმაყოფილა მოთხოვნები, 1930 წლის მარტში განდმა ოფიციალურად გამოაცხადა სამოქალაქო ურჩობის ახალი კამპანიის დაწყება.

განდს და კონგრესს განზრახვა ჰქონდათ წინანდებურად შეეზღუდათ სამოქალაქო ურჩობის კამპანიის ჩარჩოები და, მშრომელთა მასობრივი ჩაბმის მიუხედავად, მშვიდობიანი ხასიათი მიეცათ მისთვის. ისინი მასებს მოუწოდებდნენ თავი შეეკავებინათ ძალადობის აქტებისაგან. მათ უფლება ეძლეოდათ მხოლოდ: დაერღვიათ ინგლისური კანონები, გადამდგარიყვნენ თავიანთი თანამდებობებიდან, მოეწყოთ ინგლისური საქონლის ბოიკოტი, ჩაეტარებინათ მშვიდობიანი დემონსტრაციები და, როგორც უკიდურესი ზომა, უარი ეთქვათ გადასახადების გადახდაზე.

სატიაგრახის ახალი კამპანია განდმა დაიწყო ინგლისელ კოლონიზატორთა მიერ შემოღებული მარილის მონოპოლიის დარღვევით. თავისი თანამიმდევრების თანხლებით განდი გაემართა აჰმედაბადიდან არაბეთის ზღვის სანაპიროსაკენ (გუჯარათის პროვინციაში). აქ ზღვისპირა სოფელ დანდში განდი 3 კვირის განმავლობაში აწარმოებდა მარილის თვითნებურ მოპოვებას. „მარილის ლაშქრობა", რომელმაც დიდი გამოხმაურება პოვა როგორც ინდოეთში, ისე საზღვარგარეთ, წარმოადგენდა სასტიკ პროტესტს ინგლისელთა მიერ შემოღებულ მარილის მონოპოლიისა და მასზე დაწესებული მაღალი ფასების წინააღმდეგ, რომელიც მძიმე ტვირთად აწვა მშრომელ მოსახლეობას. ამიტომ იყო, რომ ამ ლაშქრობამ მძლავრი ბიძგი მისცა ანტიიმპერიალისტური განწყობილების გაძლიერებას და ხელი შეუწყო ხელოსნების, გლეხების, წვრილ-ბურჟუაზიული ინტელიგენციის ახალი ფენების ჩაბმას მოძრაობაში. მრავალრიცხოვან მოხალისეთა რაზმებმა დაიწყეს ინგლისური საქონლით მოვაჭრე მაღაზიების პიკეტირება. დიდ ქალაქებში მასობრივი ხასიათი მიიღო

ინგლისური ქსოვილებისაგან დამზადებული ტანისამოსის მოედნებზე საჯაროდ დაწვამ, მშრომელთა ხალხმრავალმა მიტინგებმა და დემონსტრაციებმა, გადასახადებზე უარის თქმამ და ა. შ.

ფეშავარისა და შოლაპურის აჯანყებები. ანტიიმპერიალისტური გამოსვლები ქვეყნის სხვა ნაწილებში

ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ახალი ძალით აზვირთებას ინგლისის კოლონიურმა ხელისუფლებამ ისევ მკაცრი რეპრესიებით უპასუხა, მაგრამ კოლონიზატორთა მიერ მოშარჯვებულმა პოლიციურმა ტერორმა ცეცხლზე ნავთის დასხმის როლი შეასრულა. მან გააძლიერა ინდოეთის მოსახლეობის საბრძოლო სულისკვეთება და ანტიინგლისური განწყობილება. მისი უშუალო ნაყოფი იყო სამოქალაქო ურჩობის პასიური კამპანიის გადაზრდა მძლავრ ანტიიმპერიალისტურ მოძრაობაში, რომელიც აქა-იქ შეიარაღებულ აჯანყებებში გადაიზარდა.

აპრილის შუა რიცხვებში ბენგალელ ტერორისტთა არალეგალურმა ცენტრმა მოაწყო აჯანყება ჩიტაგონგში. აჯანყებულებმა ხელთ იგდეს არსენალი და საპოლიციო უბანი და მოკლე ხნით ქალაქის სრული ბატონ-პატრონი გახდნენ. მაგრამ ინგლისელებმა მალე ჩააქრეს იგი, ისარგებლეს რა მისი არაორგანიზებულობითა და მასობრივი ბაზის უქონლობით.

დაახლოებით ამავე პეროდში (20 აპრილიდან) კიდევ უფრო მრისხანე აჯანყებამ იფეთქა ფეშავარში — ჩრდილო-დასავლეთ საზღვრისპირა პროვინციის ცენტრში. მისი საბაბი გახდა სამოქალაქო ურჩობის მშვიდი კამპანიის აკრძალვა და კონგრესის აქტივისტების შეპყრობა ხელისუფალთა მიერ. შეიარაღებულ გამოსვლაში ქალაქის მოსახლეობასთან ერთად აქტიური მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე სეზონურმა მუშებმა და ფუშთუს ტომების ახლო-მახლო სოფლების ბაზრობაზე ჩამოსულმა ათასობით გლეხმა. პოლიცია უძლური აღმოჩნდა გასწორებოდა აჯანყებას და ინგლისელებმა მის დასახმარებლად გაგზავნეს რეგულარული ჯარის ნაწილები. მაგრამ გვალიორის ბატალიონმა, რომელიც უმთავრესად სიქჰებისა და ინდუსებისაგან შედგებოდა, უარი განაცხადა სროლა აეტეხა აჯანყებული მუსლიმანებისათვის და მათ მხარეზე გადავიდა. მთელი ორი კვირის განმავლობაში აჯანყებულებს ხელთ ეპყრათ ქალაქი. ფეშავარის აჯანყებამ უდიდესი გამოხმაურება პოვა მთელ ჩრდილო-დასავლეთ ინდოეთში. მის პასუხად აფრიდიების, მომანდებისა და ფუშთუს სხვა ტომებმა იარაღს მოჰკიდეს ხელი და მედგარი ბრძოლა გააჩაღეს ინგლისელ იმპერიალისტთა წინააღმდეგ. სოფლების გლეხობაც აქტიურად გამოეხმაურა ფეშავარის ამბებს. „წითელ ხალათიანთა“ სახელით ცნობილ გლეხთა ორგანიზაციის

ხელმძღვანელობით[1] ათასობით გლეხმა გააჩაღა ბრძოლა ფეოდალ-მემამულეთა წინააღმდეგ.

მშრომელთა მორიგი შეიარაღებული აჯანყება მოხდა ბომბეის პროვინციის ბამბეულის მრეწველობის მსხვილ ცენტრ შოლაპურში. იგი დაიწყო 8 მაისს პოლიციის პროვოკაციის პასუხად, რომელმაც უმოწყალოდ დახვრიტა სამოქალაქო ურჩობის კამპანიის ორგანიზატორთა მიერ მოწყობილი მშვიდობიანი დემონსტრაცია. ამ სისხლიანი აქტით აღშფოთებული მშრომელები — მუშები, ხელოსნები, წვრილბურჟუაზიული ელემენტები — ათასობით გამოვიდნენ ქუჩებში და შეუპოვარი ბრძოლა გააჩაღეს ინგლისელ მოძალადეებთან. აჯანყებულებმა შეძლეს ქალაქიდან მათი გაძევება და საკუთარი რევოლუციური მმართველობის დამყარება. შოლაპური, ფეშავარის დარად, რამდენიმე დღეს აჯანყებულთა ხელში იმყოფებოდა. ინგლისის არმიისა და პოლიციის დიდმა რაზმებმა მხოლოდ 16 მაისს შეძლეს ქალაქის დამცველთა წინააღმდეგობის დაძლევა და მისი დაუფლება.

აქტიურ ანტიიმპერიალისტურ გამოსვლებს, ჯარისა და პოლიციის ნაწილებთან სისხლიან შეტაკებებს ადგილი ჰქონდა აგრეთვე კალკუტაში, ბომბეის მუშურ კვარტალებში, მადრასსა და მთელ რიგ სხვა მსხვილ ცენტრებში. ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა თანდათან ფართოვდება, მებრძოლ სახეს იღებს და უფრო მაღალ დონეზე მიმდინარეობს. მუშათა კლასისა და გლეხთა მილიონების მზარდი მონაწილეობა მკვეთრ რევოლუციურ ელფერს აძლევს მას.

ანტიიმპერიალისტური მოძრაობის დიდი გაქანებით დაშინებულმა ინგლისელმა კოლონიზატორებმა კიდევ უფრო გააძლიერეს მკაცრი რეპრესიები. ისინი ზედიზედ აქვეყნებენ განსაკუთრებულ კანონებს, რომლებიც ბოლოს უღებენ სამოქალაქო მმართველობას და ქვეყნის დიდ ნაწილს სამხედრო წესებს უმორჩილებენ. გაბშირდა დამსჯელი ექსპედიციების თარეში როგორც სოფლად, ისე ქალაქად. დამსჯელები არბევდნენ ყველაფერს, ხვრეტდნენ და აწამებდნენ არა მარტო მეამბოხე გლეხებს, არამედ გაფიცულ მუშებს, ხელოსნებს, მოსწავლეებს, ურჩობის კამპანიის ყველა აქტიურ მონაწილეს. 1930—1931 წლებში შეიპყრეს, გაასამართლეს და ციხეებში ჩაყარეს 40 ათასზე მეტი პატრიოტი. ჯავაჰარლალ ნერუს მოწმობით, ციხე-საპყრობილეები აივსო და ხელისუფლება იძულებული გახდა ათასობით მსჯავრდებული სპეციალურ ბანაკებში მოეთავსებინა.

---

[1] მისი მეთაური იყო აბდულ გაფარ ხანი.

დელის პაქტი და „მრგვალი მაგიდის“ კონფერენცია

მაგრამ ინგლისის ხელისუფალთა მიერ მომარჯვებულმა მძვინვარე რეპრესიებმა ვერ გაამართლა დანიშნულება. მან ვერ შეაჩერა აზვირთებული სახალხო-ანტიიმპერიალისტური მოძრაობა. ვერც ინდუს-მუსლიმანთა შუღლის გაღვივების ტრადიციულმა პოლიტიკამ მოუტანა მათ სასურველი შედეგი. ამიტომ ისინი იძულებული გახდნენ სხვა გზები გამოენახათ და უპირველეს ყოვლისა ეროვნულ ბურჟუაზიასა და ლიბერალურ მემამულეებთან შეთანხმებაზე აეღოთ გეზი.

1931 წლის იანვარში ინგლისის ახალმა ლეიბორისტულმა მთავრობამ (პრემიერ-მინისტრი რამზაი მაკდონალდი) პრაქტიკული ნაბიჯები გადადგა ამ მიმართულებით. მან ინდური ბურჟუაზიის გულის მოსაგებად მფარველობითი ბაჟები შემოიღო ზოგიერთ საქონელზე, გაათავისუფლა განდი და კონგრესის აღმასკომის სხვა წევრები. მეფისნაცვალ ლორდ ირვინს წინადადება მიეცა დაეწყო მოლაპარაკება კონგრესის ხელმძღვანელობასთან ურჩობის კამპანიის შეწყვეტის თაობაზე.

ეროვნული კონგრესის ხელმძღვანელობა, პირადად განდი, რომელმაც დიდი როლი შეასრულა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გამაპიურებასა და ორგანიზებულობის ზრდის საქმეში, ამავე დროს კვლავინდებურად უარყოფდა ბრძოლის რევოლუციურ მეთოდებს. ამიტომ იყო, რომ კონგრესმა განმათავისუფლებელი მოძრაობის არნახული აზვირთების ვითარებაში შესაძლებლად მიიჩნია მიეღო კოლონიური ხელისუფლების ინიციატივა კომპრომისული შეთანხმების დასადებად „სამოქალაქო ზავის“ აღდგენის მიზნით. მოლაპარაკების წარმოება კონგრესმა განდს მიანდო.

მოლაპარაკების შედეგად 1931 წლის 5 მარტს განდმა მეფისნაცვალ ირვინთან დადო შეთანხმება, რომელიც დელის პაქტის სახელითაა ცნობილი. ამ შეთანხმებით განდმა კონგრესის სახელით ვალდებულება აიღო შეეწყვიტა სამოქალაქო ურჩობის კამპანია და მონაწილეობა მიეღო ე. წ. „მრგვალი მაგიდის“ კონფერენციის მუშაობაში, რომელიც 1930 წლიდან ლონდონში მიმდინარეობდა[1]. თავის მხრივ კოლონიური ხელისუფლება პირობას იძლეოდა გაეუქმებინა სამხედრო წესები, შეეწყვიტა რეპრესიები. დაეშვა კონგრესის ლეგალური საქმიანობა, გაეთავისუფლებინა საპყრობილეებიდან ის პატრიოტები, რომლებიც შენიშნული არ იყვნენ ძალადობის აქტებში[2].

---

1 მისი ამოცანა იყო ინდოეთის მომავალი კონსტიტუციის შემუშავება.

2 ამნისტია არ ვრცელდებოდა მირუტის პატიმრებზე, „ტერორისტებსა“ და კომუნისტებზე.

დელის პაქტმა იმედი გაუცრუა და აღაშფოთა როგორც კონგრესის მნიშვნელოვანი ნაწილი, ისე პატრიოტთა ფართო ფენები. ამ დოკუმენტში მათ სამართლიანად დაინახეს კონგრესის ხელმძღვანელობის სერიოზული დათმობა ინგლისის ხელისუფლებისადმი. ეროვნული ბრძოლის შეზღუდვა უმნიშვნელო დაპირებების გულისათვის კონგრესის პროვინციული ორგანოების ნაწილმა არ მოიწონა, დიდ სამრეწველო ცენტრებში კი მშრომელებმა საპროტესტო დემონსტრაციებით უპასუხეს მას. ჯავაჰარლალ ნერუ გულისტკივილით მოგვითხრობს იმ არასასიამოვნო შთაბეჭდილებაზე, რაც მოახდინა პირადად მასზე და მემარცხენე ფრთის სხვა ლიდერებზე განდი-ირვინის შეთანხმებამ, რომელიც პატრიოტებს შემდგომი ბრძოლის ხალისს უკარგავდა და მხოლოდ ინგლისელი კოლონიზატორებისათვის იყო ხელსაყრელი. მიუხედავად ამისა, 1931 წლის მარტის ბოლოს მოწვეულმა კონგრესის მორიგმა ყარაჩის სესიამ დაამტკიცა დელის პაქტი. თუმცა, ამასთან ერთად, მან კვლავ გაიმეორა ინდოეთის სრული დამოუკიდებლობის მოთხოვნა და წამოაყენა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული გადახალისების პროგრამა.

„მრგვალი მაგიდის“ კონფერენციის ჩაშლა და სამოქალაქო ურჩობის კამპანიის გაგრძელება

1931 წლის მარტი-დეკემბერი „დროებითი ზავის“ პერიოდია. ყარაჩის სესიის დადგენილების შესაბამისად კონგრესი იცავს განდი-ირვინის შეთანხმების პირობებს და მასებს სიმშვიდისა და თავშეკავებისაკენ მოუწოდებს. აგვისტოს თვეში განდი ლონდონს გაემგზავრა, რათა, როგორც კონგრესის წარმომადგენელს, მონაწილეობა მიეღო „მრგვალი მაგიდის“ მიმდინარე კონფერენციის საქმიანობაში. განდთან ერთად კონფერენციას ესწრებოდნენ ფეოდალურ საპთავროთა მთავრები, რელიგიურ-თემური რეაქციული ორგანიზაციებისა და სხვა ჯგუფების წარმომადგენლები. განდის ცდა, გავლენა მოეხდინა კონფერენციის მონაწილეებზე და დაერაზმა ინდოეთის ყველა წარმომადგენელი კონგრესის მოთხოვნის გარშემო, სრული მარცხით დამთავრდა. ინგლისის მმართველმა წრეებმა კონფერენციის რეაქციული შემადგენლობის მხარდაჭერით თავი აარიდეს ინდოეთის მომავალი სტატუტის განხილვას და კონფერენციას თავს მოახვიეს რელიგიურ თემთა, ეროვნებათა და ტომთა ურთიერთობის საკითხები, რასაც დაუსრულებელი დავის შეტი არაფერი მოჰყოლია.

1931 წლის დეკემბერში განდი, რომელსაც გული გაუტეხა „მრგვალი მაგიდის“ კონფერენციის საქმიანობამ და დაარწმუნა მის სრულ უნაყოფობაში, ლონდონიდან ინდოეთს დაბრუნდა.

ინდოეთში დაბრუნებისას განდი დარწმუნდა, რომ ინგლისის მთავრობა არ ასრულებდა დელის პაქტის პირობებს; იგი განაგრძობ-

და რეპრესიებს პატრიოტების წინააღმდეგ და საპყრობილეებიდან არ ათავისუფლებდა განმათავისუფლებელი ბრძოლის აქტიურ მებრძოლებს.

ამიტომ იყო, რომ 1932 წლის იანვარში განდმა კონგრესის სანქციით დამთავრებულად ჩათვალა „დროებითი ზავი“ და განაახლა სამოქალაქო ურჩობის კამპანია, რომელიც 1932 წლის ბოლომდე გრძელდებოდა.

სამოქალაქო ურჩობის ახალი კამპანიაც გასცდა მშვიდობიან ჩარჩოებს და ხალხის მასების გაზრდილი მონაწილეობით მკვეთრად მებრძოლი და რევოლუციური ხასიათი მიიღო, გაფართოვდა მისი არე. ამ ეტაპზე ძველი კალაპოტიდან ამოვარდა და აქტიურად ჩაეპა განმათავისუფლებელ, ანტიფეოდალურ ბრძოლაში ფეოდალურ სამთავროთა მოსახლეობა. განსაკუთრებით მრისხანე ხასიათი მიიღო მოძრაობამ ქაშმირში, ალვარსა და ჩრდილო-დასავლეთ ინდოეთის მოსაზღვრე ფუშთუს სამთავროებში, სადაც იგი საყოველთაო შეიარაღებულ აჯანყებებში გადაიზარდა.

აღნიშნული ანტიიმპერიალისტური და ანტიფეოდალური აჯანყებების ძირითადი მამოძრავებელი ძალა იყო აუტანელი კაბალის ქვეშ მგმინავი გლეხობა. გარეგნულად მას რელიგიური ელფერიც კი ჰქონდა, რადგან აჯანყებული გლეხები მუსლიმანები იყვნენ, დესპოტი მთავრები და ფეოდალ-მემამულეთა უმრავლესობა კი — ინდუსები. აჯანყებები (რომელთა ნაწილი 1933 წლის ბოლომდე გრძელდებოდა) შეუბრალებლად იქნა ჩახშობილი ადგილობრივ ხელისუფალთა პოლიციისა და ინგლისის რეგულარული ჯარის ნაწილების შეერთებული ძალებით.

მუშათა და გლეხთა მოძრაობა 1931-1933 წლებში. ინდოეთის კომუნისტური პარტიის შექმნა და მისი საქმიანობა

1931—1933 წლებში ინდოეთის მუშათა კლასი ანტიიმპერიალისტურ მოძრაობაში აქტიურ მონაწილეობასთან ერთად მძაფრ კლასობრივ საგაფიცვო მოძრაობასაც ეწეოდა. გაფიცული მუშები ეკონომიური ხასიათის მოთხოვნებთან ერთად რიგ პოლიტიკურ მოთხოვნებსაც აყენებდნენ. საგაფიცვო მოძრაობის ძირითად ცენტრს კვლავინდებურად ბომბეი წარმოადგენდა. 150-ზე მეტი გაფიცვიდან, რასაც ადგილი ჰქონდა ამ წლებში, ერთი მესამედი მარტო ბომბეიზე მოდიოდა. საგაფიცვო მოძრაობის ავანგარდში იყვნენ კომუნისტები, მუშურ-გლეხური პარტიის აქტივისტები და „გირნი კამგარი“.

მუშათა მოძრაობის ზრდის კვალდაკვალ იზრდებოდა და ვითარდებოდა გლეხთა მოძრაობა. მნიშვნელოვანი გლეხთა გამოსვლებიდან აღსანიშნავია შეერთებული პროვინციის, ბერარის ჯუთის რაიონების (კიშერანგაჯი) გლეხთა მოძრაობა, რომელსაც უპირატესად

ანტიფეოდალური მიმართულება ჰქონდა და მასში მონაწილე ბლეხ-თა მასების მაღალი საბრძოლო აქტივობით გამოირჩეოდა.

რევოლუციური იდეოლოგიის გავლენის ზრდის ერთ-ერთ კონ-კრეტულ გამოვლენას წარმოადგენდა ახალი რევოლუციური პრო-ფესიული კავშირების შექმნა და კომუნისტთა მორიგი წარმატებები პროფმოძრაობასა და ბლეხთა კავშირებში.

1931 წლის ზაფხულში (ივლისში) ინდოეთის პროფესიულ მოძ-რაობაში მოხდა გათიშვა. პროფკავშირთა სრულიადინდოეთის ერ-თიანი კონგრესის ნაცვლად შეიქმნა სამი პროფესიული გაერთიანება: პროფკავშირთა სრულიადინდოეთის კონგრესი, რომელსაც ეროვნუ-ლი კონგრესი ხელმძღვანელობდა, მემარჯვენე რეფორმისტული პროფკავშირთა სრულიადინდოეთის ფედერაცია და პროფკავშირთა წითელი კონგრესი, რომელსაც კომუნისტები ედგნენ სათავეში.

1933 წლის იანვარში დამთავრდა მირუტის პოლიტპატიმართა სასამართლო პროცესი. კოლონიურმა სასამართლომ, როგორც მოსა-ლოდნელი იყო, მათ მკაცრი განაჩენი გამოუტანა. მთავარ ბრალდე-ბულს მუზაფარ აჰმადს მიესაჯა სიკვდილი, დანარჩენებს — საკა-ტორღო სამუშაოები. ეს უსამართლო განაჩენი კომუნისტ რევოლუ-ციონერების მიმართ, რომელთა ერთადერთი დანაშაული მასებში რევოლუციური იდეების პროპაგანდაში მდგომარეობდა, იმ პოლიტი-კური ტერორის განუყოფელი ნაწილი იყო, რასაც ატარებდნენ ინგლისელი კოლონიზატორები ინდოელი პატრიოტებისა და რევო-ლუციონერების წინააღმდეგ. ამიტომ საკმაებით ბუნებრივია ის მა-სობრივი პროტესტი, რომლითაც შეეგებნენ ინდოეთსა და საზღვარ-გარეთ მირუტის სასამართლოს ამ გადაწყვეტილებას. ინდოეთის მშრომელებმა ხმა აღიმაღლეს მირუტის პატიმართა დასაცავად, მოითხოვეს უსამართლო განაჩენის გაუქმება და მსჯავრმისჯილთა განთავისუფლება. მათ დასაცავად სპეციალური კომისიაც კი შეიქმნა ჯავაჰარლალ ნერუს თავმჯდომარეობით. ამ კამპანიას ენერგიულად დაუჭირეს მხარი სსრკ მშრომელებმა და მთელი მსოფლიოს პროგრე-სულმა წრეებმა. ინგლისის მმართველი წრეები იძულებული გახდ-ნენ უკან დაეხიათ ინდოეთსა და საზღვარგარეთ აზვირთებული საპროტესტო მოძრაობის წინაშე, გადაესინჯათ განაჩენი და ვადამდე ადრე გაეთავისუფლებინათ მირუტის მსჯავრდებულები, მათ შორის მუზაფარ აჰმადიც.

მირუტის პროცესმა და მისმა შედეგებმა არ გაამართლა მისი ორგანიზატორების ვარაუდი. მან მკვეთრად დასცა ინგლისელ კო-ლონიზატორთა ავტორიტეტი და განამტკიცა კომუნისტთა ავტორი-ტეტი სოფლისა და ქალაქის მშრომელ მასებში. ამით პროცესმა ერთგვარად შეამზადა ნიადაგი ცალკეული კომუნისტური ჯგუფების

გაერთიანებისა და სრულიადინდოეთის კომუნისტური პარტიის შექმნისათვის. ასეთი პარტიის შექმნის საჭიროებას კარგად კრძნობდა არა მარტო ინდოეთის მუშათა კლასის მოწინავე ნაწილი. არამედ ყველა მშრომელი და პატრიოტულ-პროგრესული წრეები. მის შექმნაზე დიდად იყო დამოკიდებული მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების შემდგომი გავრცელება და მუშათა და გლეხთა რევოლუციური მოძრაობის განვითარების პერსპექტივები.

1933 წლის ნოემბერში მირუტის პატიმართა საპყრობილეებიდან განთავისუფლების შემდეგ არჩეულ იქნა ინდოეთის კომუნისტური პარტიის დროებითი ცენტრალური კომიტეტი, რითაც დამთავრდა სრულიადინდოეთის კომუნისტური პარტიის ორგანიზაციული გაფორმება. დროებით ცკ-ს ევალებოდა ერთიან პარტიად გაეერთიანებინა ქვეყნის სხვადასხვა ნაწილში მოქმედი დაქსაქსული კომუნისტური ჯგუფები და მოემზადებინა ნიადაგი პარტიის ყრილობისათვის. იმავე წელს ინდოეთის კომუნისტური პარტია დამოუკიდებელი სექციის უფლებით მიღებულ იქნა კომუნისტური ინტერნაციონალის რიგებში.

1934 წელს ინდოეთის ახალგაზრდა კომუნისტური პარტია კოლონიურმა ხელისუფლებამ კანონგარეშე გამოაცხადა. კოლონიური ხელისუფლების მიერ მომარჯვებულმა პოლიციურმა დევნამ და შინაგანმა სიძნელეებმა (სექტანტური შეცდომები, გადახრები და ა. შ.), ხელი შეუშალა მას ჩაეტარებინა პარტიის პირველი ყრილობა. მან ეს მხოლოდ დიდი დაგვიანებით, 1943 წელს მოახერხა. მიუხედავად ამისა, სრულიადინდოეთის კომუნისტური პარტიის შექმნა დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო ინდოეთის რევოლუციური მოძრაობის განვითარებაში. იგი ინდოეთის მშრომელთა ხანგრძლივი ბრძოლის სერიოზულ მონაპოვარს წარმოადგენდა.

ინდოეთი მეორე მსოფლიო ომის წინ (1934—1939 წწ.)

ეკონომიური ძვრები ინდოეთში მსოფლიო ეკონომიური კრიზისის შემდეგ

1934 წლიდან მსოფლიო ეკონომიური კრიზისის სიმძაფრე ინდოეთში, ისე როგორც სხვა ქვეყნებში, შესუსტდა და იგი „განსაკუთრებული სახის დეპრესიაში“ გადაიზარდა. მან ინდოეთის ეკონომიკა გამოიყვანა მკვეთრი დაცემის ფაზიდან, მაგრამ არ წაუყვანია იგი ახალი სამრეწველო აყვავებისაკენ. განსაკუთრებული დეპრესიის წლებში ინდოეთის საწარმოო ძალები ნელი ტემპით მიიწევენ წინ. უფრო მკვეთრად, ვიდრე წინათ, თავი იჩინა სხვადასხვა დარგთა განვითარების არათანაბრობამ, წინააღმდეგობამ ეროვნულ კაპიტალსა და ინგლისურ მონოპოლიებს შორის...

აღნიშნულის მიუხედავად, კრიზისის მომდევნო წლები აღინიშნა

კაპიტალიზმის შემდგომი განვითარებით, ახალი ფაბრიკა-ქარხნების მშენებლობით. თუ 1934 წელს ინდოეთში იყო სულ 8658 ფაბრიკა 20 და მეტი მუშით, 1939 წლისათვის მათი რიცხვი 10466-მდე გადიდდა. საფეიქრო ფაბრიკების პროდუქციის გაზრდასთან ერთად გაიზარდა შაქრისა და ცემენტის, მეტალურგიისა და ლითონდამუშავების ქარხნების პროდუქციაც (კერძოდ „ტატას" გაერთიანების ქარხნებისა). მსხვილ მრეწველობასთან ერთად ვითარდება წვრილი წარმოებაც, სადაც კაპიტალისტურ ურთიერთობათა შემდგომი განვითარების შედეგად მიმდინარეობს დამოუკიდებელ ხელოსანთა განადგურებისა და გაპროლეტარების პროცესი.

კაპიტალისტური წარმოების ზრდას მოჰყვა ეროვნული მუშათა კლასის რიცხვის შემდგომი გადიდება. მარტო მსხვილ მრეწველობაში დასაქმებულ მუშათა რიცხვმა 1751 ათას კაცს გადააჭარბა.

კაპიტალისტურ ინდუსტრიალიზაციას თან მოჰყვა წარმოების კონცენტრაციის შემდგომი ზრდა. ახალი მონოპოლისტური გაერთიანებების წარმოშობა, საბანკო კაპიტალის შერწყმა სამრეწველო კაპიტალთან, ქვეყნად არსებული ბანკების რიცხვის გადიდება და მათი გამსხვილება. ახლად წარმოქმნილი მონოპოლიებიდან აღსანიშნავია შაქრისა და ცემენტის მრეწველობის გაერთიანებები. მნიშვნელოვნად გააფართოეს თავიანთი საქმიანობის სფერო „ტატას", „ბირლას", „დალმიას" და სხვა კორპორაციებმა.

კაპიტალისტური მრეწველობის ზრდის მიუხედავად, მისი ხვედრითი წონა ეროვნულ ეკონომიკაში სოფლის მეურნეობასთან შედარებით მაინც უმნიშვნელო იყო. სოფლის მეურნეობა კი, რომლის საწარმოო ძალები შებოჭილი იყო იქ გაბატონებული ფეოდალური გადმონაშთებით, რჩება ქრონიკული კრიზისისა და დაცემის მდგომარეობაში. ძირითადი კულტურების, კერძოდ ხორბლის ნათესი ფართობის შემცირების ხარჯზე რამდენადმე იზრდება ტექნიკური კულტურების, პირველ ყოვლისა, შაქრის ლერწმის ნათესი ფართობი. მაგრამ ეს გაფართოება ხდება მემამულეთა და კულაკთა ზედაფენების მეურნეობებში და მხოლოდ მათ სასარგებლოდ. მართალია, კაპიტალიზმმა შეაღო ინდოეთის სოფლის მეურნეობის კარები, მაგრამ ვერ დააჩნია მნიშვნელოვანი კვალი.

საერთოდ ინდოეთის ეკონომიური განვითარება ომამდელ 1934—1939 წლებში მიმდინარეობს ღრმა წინააღმდეგობის პირობებში. მას თან სდევს კოლონიური ინდოეთის მოსახლეობისა და ინგლისის იმპერიალიზმს შორის არსებული ძირითადი წინააღმდეგობის შემდგომი გამწვავება. ამ წინააღმდეგობის დასაძლევად მიმდინარეობდა ინდოელი ხალხების ხანგრძლივი ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა. რაკი ინდოეთის ეროვნული დამოუკიდებლობის მოპო-

ება ისევ რჩება გადაუწყვეტელ ამოცანად, ეს ბრძოლა ამ წლებში კიდევ უფრო ფართოვდება და მძლავრ გაქანებას ღებულობს.

1935 წლის „მონური კონსტიტუცია“ და ინდოეთის პროგრესული ძალების ბრძოლა მის წინააღმდეგ

1935 წლის აგვისტოში ინგლისის მთავრობამ მიიღო კანონი ინდოეთის მართვის შესახებ (მისი წინასწარი მონახაზები ჯერ კიდევ „მრგვალი მაგიდის“ კონფერენციაზე შემუშავდა), რომელიც 1935 წლის კონსტიტუციის სახელს ატარებს. ინგლისელმა კოლონიზატორებმა იგი ცალმხრივად მოახვიეს თავს ინდოელ ხალხს მისი ნება-სურვილის წინააღმდეგ. აღნიშნული კონსტიტუცია, რომელსაც ანტიხალხური, ანტიდემოკრატიული, მონური და კოლონიური კონსტიტუცია უწოდა ინდოელმა ხალხმა, არაფერს აძლევდა ინდოეთის მოსახლეობას და ხელუხლებლად ტოვებდა ქვეყნის კოლონიურ მდგომარეობას.

კონსტიტუცია ითვალისწინებდა ბრიტანეთის კოლონიური სამფლობელოებისა და ადგილობრივ სამთავროთა „ფედერაციის“ შექმნას, „ფედერაციულ“ ცენტრში და პროვინციებში „წარმომადგენლობითი“ ორგანოების შემოღებას და სათანადო აღმასრულებელ ხელისუფლებათა (მთავრობათა) პასუხისმგებლობას ამ ორგანოების წინაშე.

„ფედერაციის“ ცენტრალური საკანონმდებლო ორგანო შედგებოდა ორი პალატისაგან — ზედა პალატისა ან სახელმწიფო საბჭოსაგან და საკანონმდებლო კრებისაგან ან ქვედა პალატისაგან. სახელმწიფო საბჭოს რწმუნება იყო 7 წლიანი, საკანონმდებლო კრებისა — 5. სახელმწიფო საბჭო შედგებოდა 260 წევრისაგან. ამათგან 136 წევრს ირჩევდნენ ბრიტანეთის კოლონიური სამფლობელოების პროვინციები, 104 წევრს კი ნიშნავდნენ ადგილობრივი მთავრები. დანარჩენი 20 წევრიდან 6-ს ნიშნავდა მეფის-ნაცვალი, 14 კი — „სპეციალური ინტერესები“-ს წარმომადგენელი იყო. საკანონმდებლო კრების 375 წევრიდან 250-ს ირჩევდნენ პროვინციებიდან, 125-ს კი ნიშნავდნენ მთავრები.

ქვედა პალატის არჩევნები „დაყავი და იბატონეს“ პოლიტიკის შესაბამისად, ხდებოდა რელიგიური კურიებით (ინდუსები, მუსლიმანები, სიქჰები...). არჩევნები იყო ორსაფეხურიანი და მაღალი ქონებრივ-ასაკობრივ-განათლების ცენზით. ამომრჩეველთა რიცხვი არ აღემატებოდა მთელი მოსახლეობის 10%-ს: 35 მილიონ კაცს.

ფორმალურად ცენტრალური და პროვინციული მთავრობები ემორჩილებოდნენ სათანადო საკანონმდებლო ორგანოებს, მაგრამ ფაქტიურად მათი კომპეტენციის გარეშე რჩებოდა ძირითადი ეკონომიური და პოლიტიკური საკითხები. მეფისნაცვალს და გუბერნატორებს ადგილებზე ისევ დარჩათ სამხედრო საქმე, საგარეო, სამთავ-

როთა ზედამხედველობა, რელიგიის საქმეები, ზავისა და მშვიდობის, ფინანსური წონასწორობის, ეროვნულ უმცირესობათა ინტერესების დაცვისა და სხვ. მასვე დარჩა საჭირო შემთხვევაში veto-ს მომარჯვების უფლებაც.

1935 წლის კონსტიტუცია გამიზნული იყო ინდოეთის საზოგადოების ზედაფენის გულის მოსაგებად და კოლონიური ბატონობის სოციალური ბაზის გასამტკიცებლად. იგი არა თუ არ ცვლიდა ინდოეთის კოლონიურ სტატუტს, არამედ აბუჩად იგდებდა ამ ქვეყნის მშრომელ მოსახლეობას და იურიდიულ ბეჭედს ასვამდა მის უუფლებობასა და კაბალურ ყოფას.

აღნიშნული „მონური" კონსტიტუციის გამოქვეყნებამ უდიდესი აღშფოთება გამოიწვია მთელ ინდოეთში. მან ბიძგი მისცა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მძლავრ ატალღებას და შეამზადა ნიადაგი ყველა პატრიოტული ძალების ერთიანი ანტიიმპერიალისტური ფრონტის შექმნისათვის მუშათა კლასის ხელმძღვანელობით.

მოსახლეობის ფართო ფენებმა — მუშებმა, ხელოსნებმა, წვრილმა ბურჟუაზიამ, მოსწავლეებმა მშფოთვარე მიტინგებით, დემონსტრაციებით უპასუხეს მას. ეროვნულმა კონგრესმა და მასში შემავალმა ორგანიზაციებმაც გაილაშქრეს მის წინააღმდეგ და მოითხოვეს დამფუძნებელი კრების მოწვევა[1].

მუშათა და გლეხთა მოძრაობა 1934-1936 წლებში

1935 წლის კოლონიური კონსტიტუციის პასუხად ინდოეთში გაშლილმა საპროტესტო მოძრაობამ მილიონები აამოძრავა და ხელსაყრელი ნიადაგი შეამზადა ერთიანი ანტიიმპერიალისტური ფრონტის შექმნისათვის. ამ საქმეს სათავეში ჩაუდგა ინდოეთის კომუნისტური პარტია, რომელსაც ამ საქმეში ქმედით დახმარებას უწევდა კომუნისტური ინტერნაციონალი. იგი (კომინტერნის აღმასკომი) პერიოდულად ისმენდა ინფორმაციას ინდოეთში არსებული მდგომარეობის შესახებ, აანალიზებდა მას და მის საფუძველზე ინდოელ კომუნისტებს აძლევდა სასარგებლო რჩევა-დარიგებას როგორც ტაქტიკის ცალკეულ საკითხებზე, ისე გენერალური სტრატეგიული ხაზის შესახებაც. ერთიანი ანტიიმპერიალისტური სახალხო ფრონტის შექმნა კონკრეტულად ნიშნავდა მუშათა, გლეხთა და მშრომელთა სხვა ფენების ძალების ორგანიზაციულ-პოლიტიკურ გაერთიანებას, კონგრესის რიგებში მუშაობის გაძლიერებას მისი შემდგომი გამეტარცხენების მიზნით, ბრძოლას ეროვნულ-განმათავისუფლებელი

---

[1] იგი ზოგიერთი შენიშვნით მოიწონეს ინდოელმა ლიბერალებმა და მუსლიმანურმა ლიგამ, უყოყმანოდ კი მხარი დაუჭირეს ჰინდუ მაჰარსაბჰამ და მთავრებმა.

მოძრაობის ხელმძღვანელი როლისა და ჰეგემონიის მუშათა კლასის ხელში გადასვლისათვის.

1934—1936 წლების საგაფიცვო მოძრაობის დროს, რომელშიაც ასეული ათასი ფეიქარი იღებდა მონაწილეობას[1], თავი იჩინა მშრომელთა შეგნებულობის გაზრდამ და მათმა მისწრაფებამ ყველა ძალის გაერთიანებისაკენ. აღნიშნულმა გაფიცვებმა, რომელთა ნახევარიც მშრომელთა გამარჯვებით დაგვირგვინდა, სერიოზული როლი შეასრულა მუშათა კლასის შემდგომი დარაზმვისა და მათი გათიშული ორგანიზაციების გაერთიანებაში. 1935 წლის აპრილში ბოლო მოეღო პროფმოძრაობის გათიშულობას და მოხდა პროფკავშირთა წითელი და სრულიადინდოეთის კონგრესების გაერთიანება პროფკავშირთა სრულიადინდოეთის გაერთიანებულ კონგრესში. გაერთიანებას საფუძვლად დაედო კლასობრივი ბრძოლის ცნობა, საწარმოო პროფკავშირებისა და საპროფკავშირო დემოკრატიის აღიარება.

პროფმოძრაობაში მიღწეული ერთიანობის კეთილშეყოფელმა შედეგებმა მალე იჩინა თავი ყველა სფეროში. მან ხელი შეუწყო მუშათა კლასის რიგების შემჭიდროებას, გააძლიერა მისი საბრძოლო სულისკვეთება, ბიძგი მისცა საგაფიცვო მოძრაობის შემდგომ ზრდას და აამაღლა კომუნისტთა ავტორიტეტი.

1934—1936 წლები აგრეთვე აღინიშნა გლეხობის ანტიიმპერიალისტური და ანტიფეოდალური ბრძოლის გაძლიერებით. შეერთებულ პროვინციებში — ფენჯაბში, მადრასში, ბიხარასა და სხვა ადგილებში გახშირდა გლეხთა ორგანიზებული თავდასხმები ზემინდარ-მემამულეებზე, სისხლისმწოვ მევახშეებსა და კოლონიური ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებზე, რენტა-გამოსაღებების გადაუხდელობა, მემამულეთაგან მიტაცებული მიწების თვითნებურად ხელში ჩაგდების აქტები და სხვ. ამ ბრძოლას, ისე როგორც ქალაქად, სათავეში ედგა კომუნისტური პარტია. მისი უშუალო ინიციატივით დაიწყო მოძრაობა გლეხთა დაქსაქსული კავშირების გაერთიანებისა და სრულიადინდოეთის გლეხთა კავშირის შექმნისათვის, რაც მალე წარმატებით დაგვირგვინდა. 1936 წლის აპრილში ლაკნაურში ჩატარებულმა სრულიადინდოეთის გლეხთა პირველმა კონფერენციამ მიიღო დადგენილება ასეთი კავშირის შექმნის შესახებ „კისან საბჰის“ სახელწოდებით.

რეფორმისტულმა და რევოლუციურმა ორგანიზაციებმა ენერგიული ბრძოლა გააჩაღეს ახლადშექმნილ გლეხთა კავშირზე გავლე-

---

1 მან მოიცვა ბომბეი, კანპური, დელი, შოლაპური, ნაგპური, აპმადაბადი და სხვა საფეიქრო ცენტრები.

ნისა და ხელმძღვანელობისათვის, რაც კომუნისტური პარტიის ენერგიული მუშაობის მეოხებით რევოლუციური ელემენტების გამარჯვებით დამთავრდა. ლაკნაუს კონფერენციის შემდეგ გამოქვეყნდა „გლეხთა უფლებათა ქარტია“, რომელიც „კისან საბჰის“ სამოქმედო პროგრამად იქცა. „ქარტიის“ ძირითადი მოთხოვნები იყო: მემამულური მიწათმფლობელობის სრული ლიკვიდაცია და მიწების გლეხობისათვის გადაცემა, მევახშეებისადმი ძველი ვალების მოსპობა, რაიოტვარის რაიონებში მიწაზე მაღალი გადასახადის პროგრესიული გადასახადით შეცვლა და ა. შ. „ქარტია“ აღნიშნულ მოთხოვნებს მჭიდროდ უკავშირებდა ინდოეთის სრული დამოუკიდებლობის მოპოვების ამოცანებს. ამიტომ იგი გლეხებს მოუწოდებდა გაერთიანებულიყვნენ კავშირებში და უფრო აქტიური მონაწილეობა მიეღოთ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში.

პროგრესული ძალების ბრძოლა ერთიანი ანტიიმპერიალისტური ფრონტისათვის

საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობით მსოფლიოს პროგრესული წრეების ენერგიულმა ბრძოლამ ფაშიზმის რეაქციის ძალებისა და ომის საფრთხის ზრდის წინააღმდეგ მეორე მსოფლიო ომის შემზადების წლებში უშუალო გავლენა მოახდინა ინდოეთის პატრიოტულ ძალებზე. მან ახალი სტიმული მისცა მასების საბრძოლო აღტყინებას და გააძლიერა ერთიანი ანტიიმპერიალისტური ფრონტის შექმნის ტენდენცია.

კომუნისტური ინტერნაციონალის VII მსოფლიო კონგრესმა (1935 წელს) კუუსინენის მოხსენების საფუძველზე სპეციალური დადგენილება მიიღო ინდოეთში ერთიანი ანტიიმპერიალისტური სახალხო ფრონტის შექმნის თაობაზე და მისი რეალიზაცია ინდოეთის კომუნისტურ პარტიას დაავალა, უჩვენა რა მას აღნიშნული ფრონტის შექმნის კონკრეტული გზები და საშუალებები.

აღნიშნული დადგენილების შესაბამისად ინდოეთის კომუნისტურმა პარტიამ გადაწყვიტა ავტონომიური უფლებით შესულიყო ეროვნულ კონგრესში, რათა ამით ხელი შეეწყო მის რიგებში არსებული მემარცხენე ელემენტების შემჭიდროებისა და გაძლიერებისათვის და ექცია იგი ანტიიმპერიალისტური ბრძოლის უფრო ქმედით ორგანოდ. 1936 წლის მაისში პროფკავშირთა სრულიადინდოეთის კონგრესმა, თავის მხრივ, მიიღო დადგენილება ეროვნულ კონგრესთან თანამშრომლობის შესახებ, თანაც მოითხოვა მუშათა და გლეხთა ორგანიზაციების კონგრესთან კოლექტიური შეერთება.

ყოველივე აღნიშნულის შედეგად კონგრესის რიგებში კიდევ უფრო გაძლიერდა მემარცხენე ელემენტების გავლენა, გაიზარდა მისი რიგითი წევრების საბრძოლო განწყობილება. 1934 წლიდან

კონგრესის შიგნით შეიქმნა სოციალისტური პარტია. მის რიგებში შევიდნენ როგორც ჭეშმარიტად მემარცხენე რევოლუციური ელემენტები, ისე ევროპის მემარჯვენე სოციალისტური ტიპის რეფორმისტები. მის ძირითად საპროგრამო მოთხოვნად იქცა ინდოეთის სრული დამოუკიდებლობის მოპოვება და სოციალისტური საზოგადოების აგება. მისმა წევრებმა მხარი დაუჭირეს კომუნისტურ პარტიასთან თანამშრომლობას.

1936 წელს ჩატარებულ ეროვნული კონგრესის 49-ე და 50-ე სესიებს (ლაკნაუსა და ფაიზპურში) გარკვევით დაეტყო მემარცხენეთა გაზრდილი გავლენა. ლაკნაუს სესიამ პარტიის თავმჯდომარედ აირჩია ციხიდან ახლად გამოშვებული მემარცხენე ფრთის ლიდერი ჯ. ნერუ. თავის სიტყვაში ნერუმ მხარი დაუჭირა მასებთან კავშირის შემდგომ გაძლიერებას და კონგრესის ერთიანი ანტიიმპერიალისტური ფრონტის ჭეშმარიტ ორგანოდ ქცევას. სესიამ უარყო 1935 წლის კონსტიტუცია, მოითხოვა ხალხისაგან არჩეული დამფუძნებელი კრების მოწვევა და კვლავ დაადასტურა ქვეყნის სრული დამოუკიდებლობის მოპოვების საბრძოლო პროგრამა. სესიამ მიიღო აგრარული პროგრამა, რომელიც შეიცავდა რენტისა და გამოსაღებების შემცირების, მძიმე ფეოდალური გადასახადების აკრძალვის, გლეხთა კავშირის ცნობის, სოფლისა და ქალაქის მშრომელთა მდგომარეობის გაუმჯობესების მოთხოვნებს.

კონგრესის მიერ პროვინციული მთავრობების შექმნა და მათი პოლიტიკა

1937 წლის გაზაფხულზე ძალაში შევიდა 1935 წლის „მონური კონსტიტუციის“ ის ნაწილი, რომელიც პროვინციული ხელისუფლების ორგანოებს შეეხებოდა და ჩატარდა პროვინციული საკანონმდებლო კრებების არჩევნები. ეროვნულმა კონგრესმა მასებთან კავშირის განმტკიცებისა და საკუთარი პროგრამის პროპაგანდის მიზნით მონაწილეობა მიიღო საარჩევნო კამპანიაში. მან გამოაქვეყნა რადიკალური წინასაარჩევნო მანიფესტი, რომელიც გმობდა 1935 წლის კონსტიტუციას, მოითხოვდა დამფუძნებელი კრების მოწვევას, სრულ დამოუკიდებლობას და სამოქალაქო დემოკრატიულ უფლებებს (შეკრების, პრესის, ორგანიზაციების თავისუფლებას) მასებისათვის და სხვ. არალეგალურად მომუშავე ინდოეთის კომუნისტურ პარტიას არ შეეძლო არჩევნებში დამოუკიდებელი მონაწილეობის მიღება. ამიტომ მან მხარი დაუჭირა კონგრესის მანიფესტს.

კონგრესის ანტიიმპერიალისტურმა და დემოკრატიულმა მოთხოვნებმა ერთსულოვანი მხარდაჭერა პოვა მასებში და განაპირობა მისი დიდი გამარჯვება არჩევნებში. ამომრჩეველთა დიდმა ნაწილმა, რელიგიური, ტომური და კასტური კუთვნილების განურჩევლად,

ხმა მისცა კონგრესის კანდიდატებს. 11 პროვინციიდან მან უმრავლესობა მოიპოვა 8 პროვინციაში.

არჩევნების შემდეგ კონგრესმა, მისი მემარცხენე ფრთის ოპოზიციის მიუხედავად, მიიღო გადაწყვეტილება მონაწილეობა მიეღო პროვინციულ მთავრობებში, დაენიშნა თავის წევრთაგან მინისტრები და ხელმძღვანელობა გაეწია მათი საქმიანობისათვის. ასეთი მთავრობები შეიქმნა 7 პროვინციაში (11-დან).

ხელისუფლების სათავეში ყოფნის (1939 წლის ნოემბრამდე) პერიოდში კონგრესულმა პროვინციულმა სამინისტროებმა, მიუხედავად იმისა, რომ მინისტრების პორტფელები ძირითადად კონგრესის ზომიერ წევრებს ეჭირათ, მაინც გაატარეს ზოგიერთი საჭირო და პროგრესული ღონისძიება. ასეთები იყო: კანონები იჯარისა და სამევახშეო პროცენტის შესახებ, რომელთაგან პირველი რამდენადმე აფართოებდა მოიჯარადრეთა უფლებებს, მეორე კი ზღუდავდა იმ სავახშო პროცენტს, რასაც გლეხობისაგან იღებდნენ; პოლიტიკურ პატიმართა ნაწილის განთავისუფლება; ახალი სკოლებისა და კულტ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა გახსნა; ეროვნული ენების სწავლების შემოღება სკოლებში და სხვ.

მაგრამ ამაზე წინ ეს მთავრობები არ წასულან. მათ არ გადაუდგამთ არც ერთი ისეთი ნაბიჯი, რომელიც ძირეულად გააუმჯობესებდა მშრომელთა მატერიალურ-უფლებრივ მდგომარეობას, შეზღუდავდა სოფლად გაბატონებულ მემამულურ მიწათმფლობელობას და ა. შ. პირიქით, 1938 წელს ბომბეის კონგრესის მთავრობამ მიიღო ახალი მუშათა კანონი, რომელიც ზღუდავდა მუშათა საგაფიცვო უფლებასა და პროფკავშირების საქმიანობას.

საერთოდ კონგრესის პროვინციული მთავრობების მთელი პოლიტიკა წინააღმდეგობრივი იყო. მშრომელთა დემოკრატიული და ანტიიმპერიალისტური მისწრაფებების რამდენადმე დაკმაყოფილებასთან ერთად მათ ბრძოლა გააჩაღეს მუშათა რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ. ამის მიზეზები იმაში უნდა ვეძიოთ, რომ მინისტრების უმრავლესობა კონგრესის მემარჯვენეთა ბანაკს ეკუთვნოდა და ექსპლოატატორთა წრიდან იყო გამოსული.

ეროვნულ - განმათავისუფლებელი და რევოლუციური ბრძოლის აღმავლობა 1937-1939 წლებში

პროვინციული ორგანოების არჩევნებში პატრიოტული ძალების ბრწყინვალე გამარჯვებამ, მასობრივი ანტიიმპერიალისტური მოძრაობის შეუჩერებელმა ზრდამ და ერთიანი სახალხო ფრონტის შექმნის რეალურმა საფრთხემ სერიოზულად შეაშფოთა ინგლისის იმპერიალიზმი. საკუთარი ბატონობის შესანარჩუნებლად მან ისევ რეპრესიებისა და ინდუს-მუსლიმანთა ურთიერთწაკიდების

ნაცად მეთოდებს მიმართა. მისი წაქეზებით გააქტიურეს თავიანთი გამთიშველური საქმიანობა ინდუსთა და მუსლიმანთა რეაქციულ-კლერიკალურმა ორგანიზაციებმა „ჰინდუ მაჰასამჰაჰ“ და მუსლიმანურმა ლიგამ. პირველმა მუსლიმანების რბევისაკენ მოუწოდა ინდუს მოსახლეობას, მეორემ კი — ინდუსებისადმი შეურიგებლობისაკენ. მუსლიმანური ლიგის რეაქციულმა ხელმძღვანელობამ, ამასთან ერთად, წამოაყენა ორი ერის თეორია და მოითხოვა „დაჩაგრული მუსლიმანური ერის“ ცალკე გამოყოფა. ინგლისის ადგილობრივმა აგენტებმა ეროვნულ კონგრესსაც შეუტიეს და სხვადასხვა მიმდინარეობათა დაპირისპირების გაძლიერებით განიზრახეს მისი გათიშვა.

მაგრამ ვერც მკაცრმა რეპრესიებმა და ვერც გამთიშველმა ხრიკებმა სასურველი შედეგები ვერ მოუტანა ინგლისელ კოლონიზატორებს. 1937 და მომდევნო 1938—1939 წლები აღინიშნა ინდოეთის მუშათა და გლეხთა მოძრაობისა და ანტიიმპერიალისტური ბრძოლის შემდგომი აღმავლობით. სახალხო ბრძოლა სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მჭიდროდ გადაენასკვა მშრომელთა ორგანიზებულ მოძრაობას დემოკრატიული უფლებების გაფართოებისა და მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. გაფართოვდა მოძრაობის ჩარჩოები, გაიზარდა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი როლი, ამაღლდა მისი ავტორიტეტი.

ამ ბრძოლის ავანგარდში მტკიცედ მიაბიჯებს ეროვნული მუშათა კლასი. თავისი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად იგი ახალი ენერგიით აჩაღებს საგაფიცვო მოძრაობას. ამ წლების მუშათა გაფიცვებისათვის დამახასიათებელია მეტი ორგანიზება და მასობრივი ხასიათი, ეკონომიურ მოთხოვნებთან ერთად პოლიტიკური მოთხოვნების წამოყენება, წარმოების სხვადასხვა დარგის მუშათა სოლიდარობის გაძლიერება.

აღნიშნული წლების გაფიცვებიდან განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ბომბეის პროლეტარიატის გამოსვლას, რომელსაც აშკარად პოლიტიკური ხასიათი ჰქონდა. იგი დაიწყო 1938 წლის 7 ნოემბერს და რამდენიმე დღის განმავლობაში მიმდინარეობდა. გარდა საკუთრივ ბომბეისა, სადაც გაფიცულთა რიცხვი 200 ათასს აღემატებოდა, იგი მოედო ბომბეის პროვინციის ყველა მსხვილ სამრეწველო ცენტრს.

საგაფიცვო მოძრაობის ზრდამ ხელი შეუწყო მუშათა ორგანიზაციების ზრდას და პროფკავშირების რიგების სიმრავლეს. 1936 წლისათვის სრულიადინდოეთის პროფკავშირთა კონგრესის წევრთა რიცხვმა 600 ათას კაცს გადააჭარბა. იმავე 1938 წელს კომუნისტური პარტიის ენერგიული მცდელობის წყალობით ბოლო მოეღო პროფმოძრაობაში არსებულ გათიშვას და შეიქმნა ერთიანი მუშათა ფრონ-

ტი. მოხდა პროფკავშირთა ეროვნული ფედერაციისა და სრულიადინდოეთის პროფკავშირთა კონგრესის გაერთიანება. ეს იყო დადებითი მოვლენა, რომელმაც განაპირობა პროფკავშირთა საქმიანობის შემდგომი წარმატება და აამაღლა მისი როლი მუშათა საგაფიცვო მოძრაობასა და განმათავისუფლებელ ბრძოლაში.

ომისწინა წლებში არანაკლები გაქანება მიიღო გლეხთა მოძრაობამაც. იგი უფრო ორგანიზებული და მებრძოლი გახდა. გაიზარდა გლეხთა ორგანიზაციების რიცხვი და გადიდდა მათში გაერთიანებულ გლეხთა რიცხვი. გახშირდა მოჯამაგირე და მოზიარე-მოიჯარადრე გლეხთა ლაშქრობები, რომელთა მონაწილეები მოითხოვდნენ მემამულური მიწათმფლობელობის, ყოველგვარ რენტა-გამოსაღებისა და სავახშო დავალიანებების ლიკვიდაციას, რენტა-გადასახადის შემცირებას და სხვ. ასეთ ხალხმრავალ ლაშქრობებს ადგილი ჰქონდა შეერთებულ პროვინციებში, ბიჰარაში, ორისაში, მადრასისა და სხვა პროვინციებში.

ყველაზე მრისხანე და საყოველთაო ხასიათი გლეხთა მოძრაობამ მიიღო დეკანზე (სამხრეთ ინდოეთში), სადაც ანტიფეოდალური და ანტიიმპერიალისტური ბრძოლა უშუალოდ გადაეანასკვა ეროვნულ მოძრაობას პროვინციების ეროვნულ-ენობრივი პრინციპის საფუძველზე შექმნის სასარგებლოდ. მისი ძირითადი ცენტრები იყო ანდჰრა და კერალა, დასახლებული თელუგუსა და მალაიალის ხალხებით.

გლეხთა მოძრაობის აღმავლობის კვალდაკვალ იზრდებოდა სრულიადინდოეთის გლეხთა კავშირის — „კისან საბჰის“ გავლენა, მისი მაორგანიზებელი როლი და ავტორიტეტი. 1939 წლისათვის ეს ორგანიზაცია 800 ათასზე მეტ წევრს ითვლიდა თავის რიგებში. აღნიშნული კავშირის პროვინციული ორგანიზაციები წარმართავდნენ უშუალოდ გლეხთა მასების ანტიფეოდალურ და ანტიიმპერიალისტურ ბრძოლას; ისინი ედგნენ სათავეში გლეხთა მასობრივ ლაშქრობებს პროვინციების ცენტრებისაკენ სათანადო მთავრობებისათვის ეკონომიური და პოლიტიკური მოთხოვნილებების წასაყენებლად.

საერთო დემოკრატიული და ანტიიმპერიალისტური მოძრაობის ზრდის ზეგავლენით საბოლოოდ გამოიღვიძეს სამთავროთა მოსახლეობის ფართო ფენებმა, რომლებიც აქტიურად ჩაებნენ ამ ბრძოლის ფერხულში. მათ ენერგიული ბრძოლა გააჩაღეს ფეოდალური ექსპლოატაციისა და მისი მხარდამჭერი იმპერიალიზმის წინააღმდეგ. სამთავროთა უმეტესობაში შეიქმნა ეროვნული კონგრესის მონათესავე ორგანიზაციები „ხალხთა კავშირების ან ასოციაციების“ სახელწოდებით. ანტიფეოდალურმა და დემოკრატიულმა მოძრაობამ განსაკუთრებით ფართო ხასიათი მიიღო მსხვილ სამთავროებში:

მაისურში, ჰაიდერაბადში, რაჯასტანში, ორისაში, ტრავანკურში, ქაშმირში, ბაროდაში...

რაჯკოტის სამთავროში გაჩაღებულ გლეხთა მოძრაობაში უშუალო მონაწილეობას იღებდნენ მაჰათმა განდი და კონგრესის სხვა ხელმძღვანელები. შემთხვევითი არ იყო ის გარემოება, რომ როცა შეიქმნა სამთავროს ხალხთა სრულიადინდოეთის კონფერენცია, მის თავმჯდომარედ ჯ. ნერუ იქნა არჩეული. 1937 წლის მიწურულში რაჯკოტის მოსახლეობამ გლეხთა კავშირის მოღვაწეთა მიმართ რეპრესიების პასუხად მოაწყო მძლავრი ხარტალი, რომელიც მშფოთვარე ამბებში გადაიზარდა. მასში მონაწილე მასებმა იმდენი ერთსულოვნება და შეუპოვრობა გამოიჩინეს, რომ აიძულეს ხელისუფლება წასულიყო ზოგიერთ დათმობაზე და გაეთავისუფლებინა პოლიტპატიმრები.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს პატარა სამთავროს ტალჩერის (ორისაში) გლეხთა მძლავრი გამოსვლა ადგილობრივი რაჯისა და ინგლისელი რეზიდენტის წინააღმდეგ.

სამთავროებში მიმობნეული რევოლუციური თესლის გაღვივებამ ეროვნული კონგრესი აიძულა გაძლიერებული ყურადღება ძიექცია სამთავროებისათვის. 1938 წელს ხარიბურაში (გუჯარათი) ჩატარებულმა კონგრესის მორიგმა (51-ე) სესიამ, სხვა საკითხებთან ერთად სერიოზული ყურადღება მიაქცია სამთავროთა ხალხების ბრძოლას და გარკვეული დადგენილება მიიღო მის შესახებ. მან მხარი დაუჭირა სამთავროთა გლეხური მასის ანტიფეოდალურ ბრძოლას და ძალდაუტანებელი ურჩობის ჩარჩოებში მისი შენარჩუნების მიზნით კონგრესის წევრებს ნება დართო მონაწილეობა მიეღოთ ამ ბრძოლაში.

სახალხო-განმათავისუფლებელი ბრძოლის შემდგომმა აღმავლობამ განამტკიცა კონგრესის მემარცხენე ფრთის გავლენა. 1939 წლის მარტში ტრიპურში (შეერთ. პროვინციები) ჩატარდა კონგრესის მორიგი (52-ე) სესია, სადაც ჯ. ნერუს წინადადებით მიღებულ იქნა რეზოლუცია, რომელიც შეიცავდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ყველა ძირითად საბრძოლო ამოცანას. სესიამ აგრეთვე მემარცხენე ფრთის წინადადებით უახლოესი პერიოდის ამოცანად დასახა 1935 წლის კონსტიტუციის გაუქმება და ბრძოლა დამოუკიდებელი, დემოკრატიული ინდოეთისათვის.

მაგრამ მემარცხენეებმა დიდხანს ვერ შეინარჩუნეს ტრიპურის სესიაზე მოპოვებული წარმატება. მათ ვერ მიაღწიეს საკუთარი რიგების ერთიანობას და ენერგიული წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს მემარჯვენე დაჯგუფების კონტრშეტევას. კონგრესის რიგებში მყოფი სოციალისტური პარტიის მემარჯვენე ხელმძღვანელობამ პარტიას

თავზე მოახვია დადგენილება კომუნისტებთან თანამშრომლობის შეწყვეტის შესახებ. ეს დადგენილება ხელზე დაიხვიეს კონგრესის მემარჯვენე ლიდერებმა, რომელთაც კონგრესს მიაღებინეს რეზოლუცია, რომელიც კონგრესის წევრებს უკრძალავდა მასობრივ ორგანიზაციებში მონაწილეობის უფლებას.

1939 წლის ომამდელ თვეებში ვითარება ინდოეთში მეტად დაძაბული იყო; ინგლისის კოლონიური ბატონობის საფუძვლები საგრძნობლად შეირყა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა კრიტიკულ წერტილს მიუახლოვდა. მაგრამ სექტემბრის პირველ რიცხვებში ევროპაში დაიწყო მეორე მსოფლიო ომი, რამაც უშუალო გავლენა მოახდინა ინდოეთზე.

ინდოეთი მეორე მსოფლიო ომის წლებში

როგორც კი დაიწყო მეორე მსოფლიო ომი, ინგლისის მთავრობამ ინდოეთი მისი მოსახლეობის ნება-სურვილის გარეშე, მეომარ მხარედ გამოაცხადა. ინგლისს სურდა ომის მიზნებისათვის გამოეყენებია ინდოეთის სახმელეთო და საზღვაო სტრატეგიული პუნქტები, მდიდარი რესურსები, ფინანსური სახსრები და ცოცხალი ძალა.

კოლონიურმა ხელისუფლებამ კარგად გამოიყენა ომის ვითარება ინდოეთში რეპრესიული ღონისძიებების გასაძლიერებლად. მან ფაქტიურად შეაჩერა სამოქალაქო კანონების მოქმედება და მიიღო კანონი ქვეყნის დაცვის შესახებ, რომლითაც პოლიციის ორგანოებს უფლება ეძლეოდათ მოეხდინათ ჩხრეკა-დატუსაღებანი და მასობრივი მოძრაობის ჩასახშობად გამოეყენებინათ ძალადობის ყველა საშუალება.

მაგრამ საგანგებო ზომებმა მაინც ვერ იხსნა ინგლისი ინდოეთის ხალხების რისხვისაგან. ისედაც ბევრი ფიცხი მასალა იყო დაგროვილი ინდოეთის „კოლონიურ მონებსა" და ინგლისელ კოლონიზატორებს შორის ურთიერთობაში. ქვეყნის კანონიერი ბატონ-პატრონებისათვის ანგარიშის გაუწევლობამ და ომში ცალმხრივად ჩაბმამ მას ახალი ფიცხი მასალაც მიუმატა. ეროვნულმა ინტელიგენციამ, მოსწავლე ახალგაზრდობამ, მუშათა და გლეხთა აქტივმა, ნაწილობრივ ეროვნულმა ბურჟუაზიამაც ამის პასუხად მკაცრი პროტესტი განაცხადეს და ანტიინგლისური დემონსტრაციები და გაფიცვები მოაწყეს.

ინდოეთის სხვადასხვა კლასების პოზიცია მეორე მსოფლიო ომის დასაწყისში

ფეოდალური მთავრები, მსხვილი მემამულეები, კლერიკალური წრეების თავკაცები და კომპრადორული ბურჟუაზია, რომლებიც ინგლისის იმპერიალიზმის სოციალურ საყრდენს წარმოადგენდნენ, კმაყოფილებით შეხვდნენ აქტს ინდოეთის ომში ჩაბმის შესახებ. მათ თავიანთი სრული მხარდაჭერა აღუთქვეს ინგლისის მაშინდელ ნაცვალს ლინლიტგოუს, თანაც გადაწყვიტეს ომის ვითარება თავიანთი ეკონომიური და პოლიტიკური პოზიციების განსამტკიცებლად გამოეყენებინათ. ამიტომ იყო, რომ საკანონმდებლო კრებებმა, სადაც უკიდურესი მემარჯვენე პარტიები იყვნენ წარმოდგენილი, მოიწონეს ინდოეთის მეომარ მხარედ გამოცხადება.

მუშათა კლასმა, გლეხობამ, პატრიოტულმა ინტელიგენციამ და წვრილბურჟუაზიულმა წრეებმა, პირიქით, დაგმეს ინდოეთის ომში ცალმხრივად ჩაბმა და მას კოლონიზატორთა მორიგი თვითნებობა უწოდეს. მათთვის ცხადი იყო, რომ ომი დამატებით მძიმე ტვირთს დააკისრებდა სამშობლოს, მკვეთრად გააუარესებდა მის მდგომარეობას და გაადიდებდა მშრომელთა ექსპლოატაციას.

რაც შეეხება ეროვნულ ბურჟუაზიას, მისი დამოკიდებულება ომისადმი ორგვარი იყო: იგი, ერთი მხრით, სიხარულით შეეგება მას, რადგან დარწმუნებული იყო, რომ ომს მოჰყვებოდა ეკონომიური აქტივობის გაძლიერება, წარმოების შემდგომი გაზრდა და, მაშასადამე, მისი საქმიანობის სფეროს გაფართოება. ეროვნული ბურჟუაზია, კერძოდ მისი მონოპოლისტური ზედაფენა, ცდილობდა გამოეყენებინა ომის ხელსაყრელი კონიუნქტურა ინდოეთის ბაზრის ახალ შესაძლებლობათა დასაუფლებლად, მეტი საქონლის გასასაღებლად, ფასების გასადიდებლად და მაღალი მოგების მისაღებად. ეროვნულმა ბურჟუაზიამ აქტიური მონაწილეობა მიიღო ყველა იმ ეკონომიურ ღონისძიებაში, რაც დაკავშირებული იყო არმიის მომარაგებასთან, სამხედრო შეკვეთებთან და სამხედრო ობიექტების მშენებლობასთან.

მაგრამ, ამავე დროს, არ შეიძლება დავივიწყოთ ის სერიოზული წინააღმდეგობანი, რაც არსებობდა ინგლისის იმპერიალიზმსა და ეროვნულ ბურჟუაზიას შორის. ქვეყნის კოლონიური მდგომარეობა და ინგლისის მონოპოლისტური გაერთიანებების ბატონობა ინდოეთის ეკონომიკაში ხელ-ფეხს უბოჭავდა ეროვნულ ბურჟუაზიას და არ აძლევდა მას თავისი უნარის სრული გამოვლინების შესაძლებლობას. ეროვნული ბურჟუაზია, ამასთან ერთად, პოლიტიკურად უუფლებო იყო და ხშირად დამამცირებელი დისკრიმინაციის ობიექტსაც წარმოადგენდა. ეს გარემოება და მოსახლეობის ფართო

წრეებში ფეხმოკიდებული ანტიიმპერიალისტური განწყობილების შემდგომი აღმავლობა განაწყობდა მას ოპოზიციურად, აიძულებდა მასებთან ერთად ემოქმედა და თავი შეეკავებინა ომში ინგლისისათვის მხარდაჭერის განცხადებისაგან.

წვრილბურჟუაზიული წრეებისა და ეროვნული ბურჟუაზიის პოზიცია მიმდინარე ომისადმი აისახა სრულიადინდოეთის ეროვნული კონგრესის შესაბამის რეზოლუციებში. აღნიშნული ორგანიზაცია ამ დროისათვის მილიონებს აერთიანებდა თავის რიგებში და ყველაზე მასობრივ პატრიოტულ პოლიტიკურ ორგანიზაციას წარმოადგენდა.

1939 წლის 15 სექტემბერს ეროვნული კონგრესის სამუშაო კომიტეტმა ერთხმად მიიღო რეზოლუცია, რომლითაც აღნიშნავდა, რომ კონგრესს, ფაშიზმისადმი უარყოფითი დამოკიდებულების მიუხედავად, არ შეუძლია მხარი დაუჭიროს ინგლისს ამ ომში, რამდენადაც ინგლისი იბრძვის არა თავისუფლებისა და დემოკრატიის ინტერესებისათვის, არამედ საკუთარი ბატონობის შესანარჩუნებლად კოლონიებში, კერძოდ ინდოეთში. კონგრესი მზადაა ითანამშრომლოს ინგლისთან, აღნიშნული იყო რეზოლუციაში, და მხარი დაუჭიროს მის საომარ ღონისძიებებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ინგლისი თანახმა იქნება ომის დამთავრების შემდეგ მიანიჭოს ინდოეთს დამოუკიდებლობა და ამჟამად შექმნას ინდოეთში ინდოეთის საკანონმდებლო კრების წინაშე პასუხისმგებელი მთავრობა. კონგრესმა, ამასთან ერთად, გააფრთხილა ინდოეთის კოლონიური ხელისუფლება, რომ დაიწყებდა სამოქალაქო ურჩობის კამპანიას, თუ დაკმაყოფილებული არ იქნებოდა მისი მოთხოვნა და დაუყოვნებლივ არ შეიქმნებოდა ინდოეთის პასუხისმგებელი ეროვნული მთავრობა.

სულ სხვა პოზიცია დაიკავა მუსლიმანურმა ლიგამ, რომელიც მუსლიმანური კლერიკალური წრეების ზედა ფენისა და მსხვილი მუსლიმანური მემამულეების ინტერესებს გამოხატავდა. მისი ხელმძღვანელის ჯინას წინადადებით მან მიიღო გადაწყვეტილება ომში მხარი დაეჭირა ინგლისისათვის. ამის სანაცვლოდ იგი მოითხოვდა ფედერალური სქემის გაუქმებას და აგრეთვე იმას, რომ ინგლისის მთავრობას არ გამოეყენებინა ინდოეთის ჯარები მუსლიმანური სახელმწიფოების წინააღმდეგ საომრად.

ინგლისის მთავრობამ ანგარიში არ გაუწია კონგრესის მოთხოვნას, არად ჩააგდო მოსახლეობის ფართო ფენების მასობრივი ანტიინგლისური მოძრაობა და უარი განაცხადა „პასუხისმგებელი" ეროვნული მთავრობის შექმნაზე. ამის სანაცვლოდ 1939 წლის 18 ოქტომბერს მან გამოაქვეყნა ე. წ. „თეთრი წიგნი", რომლითაც დაპირებას იძლეოდა არ შემოეღო 1935 წლის კონსტიტუციით

გათვალისწინებული ხელისუფლების ფედერალური სქემა და ომის შემდეგ სხვადასხვა პოლიტიკურ ჯგუფებთან და პარტიებთან დაეწყო კონსულტაციები ინდოეთის ახალი კონსტიტუციის შესამუშავებლად. ომის დროს კი მას შესაძლებლად მიაჩნდა მხოლოდ ნაცვალთან არსებული აღმასრულებელი საბჭოს ნაწილობრივი გაფართოება.

აღნიშნული „თეთრი წიგნი" არაფერს აძლევდა ინდოელ ხალხს, რადგანაც ომის წლებში იგი უცვლელად ტოვებდა კოლონიურ სტატუტს და გაურკვეველი დროისათვის დებდა ინდოეთისათვის პოლიტიკური დამოუკიდებლობის მინიჭების საკითხს. ბუნებრივია, რომ მან არათუ არავინ დააკმაყოფილა ინდოეთში, არამედ მორიგი ბიძგი მისცა ანტიინგლისური განწყობილების გაღვივებას. სრულიად ინდოეთის კონგრესმა ხელმეორედ უარი განაცხადა მოცემულ პირობებში ეთანამშრომლა კოლონიურ ხელისუფლებასთან. 1939 წლის 23 ოქტომბერს კონგრესის აღმასკომმა კვლავ დაადასტურა პასუხისმგებელი მთავრობის დაუყოვნებლივი შექმნის წინანდელი მოთხოვნა და საჭიროდ მიიჩნია მომავალი კონსტიტუციის შემუშავება სათანადო რწმუნების მქონე დამფუძნებელი კრების მიერ.

რაკი ინგლისის მთავრობამ ყური არ ათხოვა ინდოელი ხალხის სამართლიან მოთხოვნას, კონგრესი, რომელსაც მხარს უჭერდა ინდოეთის ხალხის დიდი უმრავლესობა, სიტყვიდან საქმეზე გადავიდა. მისი მითითებით პროტესტის ნიშნად გადადგა რვა პროვინციის კონგრესისტული მთავრობა. ამ პროვინციებში (ბომბეი, ბიჰარი, მადრასი, შეერთებული პროვინციები, ცენტრალური პროვინციები...) ომის განმავლობაში მთელი ძალაუფლება ამიერიდან ინგლისელი გუბერნატორების ხელში იყო. კონგრესისტული მთავრობების გადადგომა თავისი გამთიშველური მიზნებისათვის გამოიყენა მუსლიმანურმა ლიგამ. ლიგის ხელმძღვანელობამ გააჩაღა კამპანია კონგრესის წინააღმდეგ და თან რიგ პროვინციებში კონგრესისტული მთავრობების გადადგომის შემდეგ მონაწილეობა მიიღო ახალი მთავრობების შედგენაში „ჰინდუ მაჰასაბჰასთან" ერთად. ლიგა ამასაც არ დასჯერდა. მან პრესის საშუალებით წამოაყენა ინდუს-მუსლიმანთა პრობლემის რადიკალური გადაწყვეტის პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა ინდოეთის გაყოფას ორ სახელმწიფოდ: ინდუსთა — ჰინდუსტანად და მუსლიმანურ — პაკისტანად. ინდოეთის იმ ადგილებში (ბენგალი, სინდი, დასავლეთი ფენჯაბი, ჩრდილო-დასავლეთი საზღვრისპირა პროვინციები...), სადაც მუსლიმანური მოსახლეობა სჭარბობდა ინდუსებს, ლიგამ განიმტკიცა პოზიციები და თავის გავლენას დაუქვემდებარა მუსლიმანური მოსახლეობის ფართო ფენები.

ინდოეთში სტიქიურად გაშლილმა ომის საწინააღმდეგო მოძრა-

ობამ და კონგრესის მზარდმა ოპოზიციამ აიძულა ინგლისის ხელისუფლება კიდევ ერთი ახალი განცხადებით გამოსულიყო. 1940 წელს 12 იანვარს ინდოეთის ნაცვალმა ლორდმა ლინლიტგოუმ ბომბეის აღმოსავლეთის კლუბში წარმოთქმულ სიტყვაში განაცხადა, რომ ინგლისი მზადაა ომის დამთავრებისთანავე მიანიჭოს ინდოეთს დომინიონის უფლება, მაგრამ იმ პირობით, თუ გარანტირებული იქნებოდა ინდოელ მთავართა და მუსლიმანთა „კანონიერი უფლებები", თუ ინგლისის ჯარი შემდგომაც დარჩებოდა ინდოეთში 30 წელს და ამ დროის განმავლობაში ინგლისი იქნებოდა პასუხისმგებელი ინდოეთის დაცვისათვის.

კონგრესმა არც ამჯერად ცნო საჭიროდ მიეღო ინგლისის მთავრობის წინადადება და ეთანამშრომლა მასთან. რაც შეეხება კომუნისტურ პარტიას, რომელიც კონგრესისაგან განსხვავებით ბრძოლის მასობრივი ფორმების მომხრე იყო, მან მოუწოდა მასებს გაეძლიერებინათ დაწყებული ანტიიმპერიალისტური ბრძოლა.

1940 წლის მასობრივი მოძრაობა

1940 წელი მასობრივი ანტიიმპერიალისტური მოძრაობის გაძლიერებით დაიწყო. ინდოეთის დამოუკიდებლობის ტრადიციული დღე 26 იანვარი ინდოელმა ხალხმა იმპერიალიზმისა და ომის საწინააღმდეგო გამოსვლის დღედ აქცია. ამ დღეს ბომბეიში, კალკუტაში, მადრასსა და სხვა ქალაქებში მშრომელებმა მოაწყეს გაფიცვები, დემონსტრაციები და მანიფესტაციები. ომის შედეგად მშრომელთა მატერიალური მდგომარეობის გაუარესებამ ბიძგი მისცა მუშათა კლასისა და გლეხობის ბრძოლას თავიანთი ეკონომიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. 1939 წლის მიწურულიდან 1940 წლის გაზაფხულამდე ინდოეთში ადგილი ჰქონდა მუშათა რამდენიმე ათეულ გაფიცვას. გაფიცულები მოითხოვდნენ ხელფასის მომატებას, პირველი მოთხოვნილების საგნებზე ფასების ზრდის შემცირებას და ა. შ. გაფიცვებში მონაწილეობას იღებდნენ ფეიქრები (ბომბეი, კანპური...), ჯუთის საწარმოთა მუშები (კალკუტაში...), მეშახტეები (ჯჰარიაში...), სავაჭრო ფლოტის მეზღვაურები, შაქრის საწარმოთა მუშები (პატნა, გორაჰპური...), დამგველები... გაფიცვების ძნიშვნელოვანი ნაწილი მუშების გამარჯვებით დამთავრდა. „გირნი კამგარი" და კომუნისტური პარტია აქტიურ როლს ასრულებდნენ ამ საგაფიცვო მოძრაობაში და, ხელისუფლების მკაცრი ტერორის მიუხედავად, ენერგიას არ იშურებდნენ მშრომელთა ინტერესების დასაცავად.

არანაკლები ძალით გაიშალა გლეხთა მოძრაობა სოფლად. მადრასის პროვინციაში, ბიჰარაში, ბენგალში, ფენჯაბსა და სხვა ადგილებში გლეხთა გამოსვლებმა მკვეთრი ანტიფეოდალური მიმართულება მიიღო.

რიგ პროვინციებში მოსახლეობამ წამოაყენა ინდოეთის პროვინციების ენობრივ და ეროვნულ პრინციპზე რეორგანიზაციის მოთხოვნებიც. ასეთი მოთხოვნები წამოაყენეს მაჰარაშთრაში, კარნატიკში, კერალში, ანდჰრაში, ბენგალში. პუნაში მოწვეულ თათბირზე მიღებულ იქნა დადგენილება მარათჰთა ყველა რაიონის ერთიან პროვინციად გაერთიანების სასარგებლოდ.

ასეთ ვითარებაში 1940 წლის მარტის ბოლოს რამგარჰში (ბიჰარა) ჩატარდა სრულიადინდოეთის ეროვნული კონგრესის მორიგი სესია. მან კონგრესის თავმჯდომარედ აირჩია კონგრესის ერთ-ერთი ზომიერი ლიდერი მაულანა აბულ ყალამ აზადი (რელიგიით მუსლიმანი). სესიამ ერთხელ კიდევ დაადასტურა თავისი პრინციპული პოზიცია ომში ინგლისისათვის მხარდაუჭერლობისა და ინდოეთის ეროვნული მთავრობის შექმნის სასარგებლოდ. თავის რეზოლუციაში მან აღნიშნა, რომ ინდოეთის თავისუფლება ვერ განხორციელდებოდა ბრიტანეთის იმპერიალიზმის ჩარჩოებში, დომინიონის მდგომარეობა კი არ შეესაბამებოდა ინდოეთის, როგორც დიდი სახელმწიფოს ღირსებას. სესიამ დაადგინა დაეწყო სამოქალაქო ურჩობის კამპანია ომში ინდოეთის თვითნებურად ჩაბმის პროტესტის ნიშნად. კამპანიის დიქტატორობა ეთხოვა მაჰათმა განდის. მასვე უნდა განესაზღვრა მისი დაწყების დრო და პირობებიც.

ეროვნული კონგრესის სესიის პარალელურად მარტში ლაჰორში ჩატარდა მუსლიმანთა ლიგის სესია. მან მიიღო რეზოლუცია, რომლითაც კოლონიური ხელისუფლებისაგან ისევ მოითხოვა ინდოეთის ორ სახელმწიფოდ გაყოფა. ის რაიონებისაგან, სადაც მოსახლეობის უმრავლესობას მუსლიმანები შეადგენდნენ, უნდა შექმნილიყო ცალკე მუსლიმანური სახელმწიფო პაკისტანი. აღნიშნული რეზოლუციის მიღებით, რაც მოასწავებდა ინდუს-მუსლიმანთა შუღლის გაძლიერებას, ლიგამ არათუ დაუპირისპირა თავისი თავი კონგრესს, არამედ გამოვიდა ერთიანი ინდოეთის გათიშვის ინიციატორად.

მეორე მსოფლიო ომის განვითარებამ, კერძოდ ჰიტლერული გერმანიის მიერ დანიისა და ნორვეგიის ოკუპაციამ, საფრანგეთის კაპიტულაციამ, იაპონიის მორიგმა შეტევამ ჩინეთზე და ინდო-ჩინეთში შეჭრამ ეროვნული კონგრესის დაბნეულობა და განგაში გამოიწვია. განსაკუთრებით შეაშფოთა იგი იაპონელ იმპერიალისტთა მზარდი აგრესიის საფრთხემ (ინდოეთის საზღვრებს რომ უახლოვდებოდა). 1940 წლის ივლისში პუნაში მოწვეულმა კონგრესის სამუშაო კომიტეტმა მიღებულ რეზოლუციაში განაცხადა, რომ იგი მზადაა ითანამშრომლოს ინგლისთან და ენერგიული ზომები მიიღოს ინდოეთის დაცვის მოსაწყობად, როგორც კი ინგლისი გააკეთებს საჯარო განცხადებას ომის შემდეგ ინდოეთისათვის დამოუკიდებლო-

ბის მინიჭების შესახებ, თანაც შექმნის ინდოეთში ეროვნულ მთავრობას.

ინგლისის მთავრობამ საჭიროდ არ ცნო შეეცვალა თავისი პოზიცია და 1940 წლის 8 აგვისტოს განცხადებით (ასეთი განცხადებებით ვამოვიდნენ ინდოეთის ნაცვალი ლინლიტგოუ და ინდოეთისა და ბირმის საქმეთა მინისტრი ემერი) ომის დამთავრების შემდეგ ინდოეთს მხოლოდ დომინიონის სტატუტის მინიჭება აღუთქვა. ომის დროს კი ინდოეთის მმართველობაში რაიმე ცვლილების მოხდენაზე კატეგორიული უარი განაცხადა.

ასეთ პირობებში სრულიად ინდოეთის კონგრესმა საჭიროდ ჩათვალა სიტყვიდან საქმეზე გადასვლა და სამოქალაქო ურჩობის კამპანიის გაშლა. განდის რჩევით სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად გამოცხადდა ინდივიდუალური სამოქალაქო ურჩობის კამპანია. განდმა წინასწარ შეადგინა კონგრესის მრავალრიცხოვან წევრთა სია, რომლებსაც საჯარო ადგილებში უნდა წარმოეთქვათ ომის საწინააღმდეგო და პაციფისტური სიტყვები და ამავე მიზნისათვის გამოეყენებინათ პრესა. კოლონიურმა ხელისუფლებამ საზოგადოებრივი ურჩობის ინდივიდუალურ კამპანიას მასობრივი რეპრესიებით უპასუხა. მოკლე დროში მან შეიპყრო და საპყრობილეებში ჩაყარა ურჩობის მონაწილე კონგრესისტები: კონგრესის აღმასკომის წევრები, კონგრესული სამინისტროების მინისტრები, პროვინციული საკანონმდებლო კრებების დეპუტატები, კონგრესის პროვინციული განყოფილებების აქტივისტები, რიგითი წევრები, სულ 25—30 ათასი კაცი. ეს ისეთი დიდი დარტყმა იყო კონგრესზე, რომ მან თითქმის ერთი წლით შეასუსტა საქმიანობა და ძალა დაუკარგა მისი ხელმძღვანელობით დაწყებულ ურჩობის კამპანიას.

ინდოეთის ეკონომიური მდგომარეობა მეორე მსოფლიო ომის წლებში

მეორე მსოფლიო ომმა უმძიმესი ტვირთი დააკისრა კოლონიურ ინდოეთს. მან მკვეთრად გააუარესა ქვეყნის ეკონომიური მდგომარეობა და კატასტროფულად დასცა მშრომელთა მატერიალური მდგომარეობა. მაგრამ, მეორე მხრით, მან ობიექტურად დააჩქარა ეროვნული კაპიტალიზმის განვითარება, ბიძგი მისცა ახალ საწარმოთა მშენებლობას, გააძლიერა ეროვნული ბურჟუაზიის პოზიციები და ახალი შევსება შემატა მუშათა კლასს.

ომმა განსაკუთრებით დიდი ზიანი მიაყენა სოფლის მეურნეობას, რომელიც სწრაფი ტემპით დაადგა დეგრადაციის გზას. შემცირდა ნათესი ფართობის მოცულობა, კიდევ უფრო დაეცა მოსავლიანობა და გაიზარდა გლეხთა ექსპლოატაცია მემამულეებისა და მევახშეების მხრივ. ამ სოციალ-ეკონომიური უკუღმართობით გამოწვეულ უბედურებას თან დაერთო სტიქიური უბედურებანი — წყალ-

დიდობა, გრიგალი, გვალვა, რის შედეგადაც დაიღუპა დიდძალი ნათესი. იაპონიის მიერ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის (ინდო-ჩინეთის, ტაილანდის, ბირმის) ოკუპაციამ მკვეთრად დასცა ბრინჯის იმპორტი ამ ქვეყნებიდან. ამავე დროს გაძლიერდა ბრინჯისა და სხვა სურსათის დამზადება ინდოეთში და მისი გაზიდვა საზღვარგარეთ წყნარი და ინდოეთის ოკეანეების აუზებში მოქმედი ინგლის-ინდოეთის და ამერიკის ჯარების მოსამარაგებლად. ამის უშუალო შედეგი იყო სერიოზული სასურსათო სიძნელეების აღმოცენება, ბრინჯისა და სხვა მარცვლეულის ფასების არნახული გადიდება და შიმშილობა.

შიმშილობამ მოიცვა ბომბეის პროვინცია, მადრასი, ბიჰარა, ორისა, ასამი, ბენგალი... 1941 წლიდან ინდოეთში დაწყებული შიმშილი თავისი მასშტაბით და გამანადგურებელი შედეგებით აღემატებოდა ინგლისელთა ბატონობის 170 წლის მანძილზე ამ ქვეყანაში არსებულ ყველა შიმშილობას. ჯავაჰარლალ ნერუს თქმით, იგი მხოლოდ 1766—1770 წწ. ბენგალსა და ბიჰარაში მძვინვარე შიმშილობას თუ შეედრებოდა. შიმშილობას განსაკუთრებით კატასტროფული ხასიათი ჰქონდა ბენგალში. ცნობილი ინდოელი ეკონომისტის კ. გჰოშის ცნობით, ბენგალში 1942—1944 წლებში შიმშილობის შედეგად დაიხოცა 3,5 მილიონზე მეტი კაცი. შიმშილობამ და მისგან გამოწვეულმა გადამდებმა სნეულებებმა პირწმინდად გააპარტახა ბენგალის ასეული სოფელი. ბევრი სოფელი, გზები და ორღობეები შიმშილით დახოცილთა გვამებითა და მომაკვდავი ადამიანებით იყო სავსე. მასობრივი ხასიათი მიიღო დამშეულთა თვითმკვლელობის შემთხვევებმა... ბავშვების გადაგდება-მიტოვებამ, გაყიდვამ...

შიმშილობამ და გადამდებმა სნეულებებმა ყველაზე მეტად. ცხადია, მუსრი გლეხობას გაავლო. დამშეულმა და გაჩანაგებულმა გლეხებმა მასობრივად მიაშურეს კალკუტას, ბომბეის, მადრასს და სხვა დიდ ცენტრებს; ბევრი მათგანი იქ დაიხოცა, ვინც გადარჩა — მათხოვრობასა და მაწანწალობას მიყო ხელი ან უმუშევართა რიგებს შეემატა. გაჩანაგებული და შიმშილით დახოცილი გლეხების მიწებს მსხვილი ვაჭრები, მევახშეები და მემამულეები დაეუფლნენ. მსხვილი მემამულური მიწათმფლობელობის შემდგომი კონცეფცია შიმშილობის ერთ-ერთი უშუალო შედეგი იყო. კოლონიურმა ხელისუფლებამ დამშეულ მილიონთა ხვედრის მიმართ სრული უსულგულობა გამოიჩინა. მას არ მიუღია ცოტად თუ ბევრად ეფექტური ზომები სასურსათო სიძნელეების დასაძლევად და დამშეულთათვის დახმარების აღმოსაჩენად. პირიქით, ბენგალის ხელისუფლება თვითონ აწარმოებდა ბრინჯის გაზიდვას პროვინციის მიღმა და სპეკულაციურ ფასებში გაყიდვას.

ინგლისელი კოლონიზატორები ომის წლებშიაც განაგრძობდნენ

ინდოეთის ეროვნული მრეწველობის შეფერხების ტრადიციულ პოლიტიკას. მიუხედავად ამისა, ქვეყნის მრეწველობამ მაინც გარკვეული ნაბიჯები გადადგა წინ. მისი ინდექსი 1943 წელს 126-მდე გადიდდა (1939 წ.—100-მდე). მრეწველობის ზრდა არათანაბარი იყო, თანაც იგი 1943 წლამდე გრძელდებოდა და ზოგიერთ დარგს თითქმის არ შეხებია, მაგალითად, არ გაზრდილა ქვანახშირის ამოღება, ჯუთის წარმოება, არ შექმნილა სამამულო მოტორების წარმოება. ზრდა სხვებთან შედარებით მრეწველობის იმ დარგებს შეეხო, რომლებიც ომის საჭიროებებს ემსახურებოდნენ და საჭირო მასალებს აწვდიდნენ ინგლის-ინდოეთის არმიას როგორც საკუთრივ ინდოეთში, ისე მის მიღმა წყნარი ოკეანის აუზში. ამ დარგებს შორის უნდა დავასახელოთ საფეიქრო მრეწველობა, ტყავ-ფეხსაცმლის წარმოება, გემო-კვება, ქიმიური მრეწველობა, შავი მეტალურგია. არსებითად მაშინ შეიქმნა სამხედრო მრეწველობა (ქვემეხების ლაფეტების, ყუმბარების, საავიაციო ბომბების, ავტომატების, დენთის, ნაღმების წარმოება და ა. შ.). ინგლისის კოლონიური ხელისუფლება ომის წლებშიაც ყოველმხრივ ხელს უშლიდა მძიმე ინდუსტრიას, კერძოდ მანქანათმშენებლობის, დაზგათმშენებლობის, მოტორების მშენებლობის, ფერადი მეტალურგიის, ზუსტი ხელსაწყოების წარმოების დარგებს — საავიაციო, სატანკო-საავტომობილო მრეწველობას, ორთქლმავლების წარმოებას... ამიტომ აღნიშნული დარგების წარმოება ან პრიმიტიულ დონეზე დარჩა, ან საერთოდ არ შექმნილა.

იმ გარემოებამ, რომ აშშ ინგლისის მოკავშირე გახდა ამ ომში, ხელი შეუწყო ამერიკული კაპიტალის შეღწევას და მასობრივ დაბანდებას ინდოეთის მრეწველობაში. ამერიკული კაპიტალი (კერძო და სახელმწიფო სუფსიდიები) უპირატესად გზას იკაფავდა სამხედრო საწარმოთა მშენებლობისა და სესხების სახით. ამერიკული კაპიტალის სახსრებით აიგო ინდოეთში ტანკების, ავტომობილების, თვითმფრინავების ამწყობი ქარხნები („ჯენერალ-მოტორსის“ და „ფორდის“ კომპანიების მიერ). ამერიკულმა კაპიტალმა ფეხი მოიკიდა ინდოეთის ტრანსპორტის დარგებშიაც და საგარეო ვაჭრობაშიც. ამერიკულმა საქონელმაც ფართო ასპარეზი პოვა ინდოეთის ბაზარზე, შესაბამისად გაიზარდა აშშ წილი ინდოეთის იმპორტსა და ექსპორტში.

ამგვარად, აშ შტატები ინგლისის სერიოზულ კონკურენტად იქცა.

ომის ვითარება მეტად ხელსაყრელი აღმოჩნდა ინდოეთის მსხვილი სავაჭრო-სამრეწველო ბურჟუაზიისათვის. მკვეთრად გაფართოვდა მისი საქმიანობის სფერო და შესაბამისად გაიზარდა კაპიტალის რაოდენობა. მრავალმა კომპრადორმა, სპეკულანტმა, მევახშემ, სამ-

ხედრო კონტრაქტების მფლობელმა დააგროვა ომის წლებში დიდ-ალი თანხა და მილიონერი გახდა. სავაჭრო-სამრეწველო მაგნატების ნაწილისათვის თვით შიმშილობა და მისგან გამოწვეული სახალხო უბედურებაც კი საზღაპრო გამდიდრების წყარო გახდა. დაგროვილი კაპიტალის ნაწილი მათ წარმოებაში დააბანდეს, რამაც ვაადიდა ინ-დური კაპიტალის წილი ქვეყნის მრეწველობაში. ომმა ამასთან ერ-თად ბიძგი მისცა ეროვნული კაპიტალის კონცენტრაციას. ტატას, ბირლას, დალმიას, ვილჩანდის და სინგჰანიას ტიპის მსხვილი ინდოელი მონოპოლისტები სწორედ მაშინ გახდნენ ჭეშმარიტად არქიმილიონერები და მსხვილი მაგნატები. ეროვნულ-მა ბურჟუაზიამ, რომელმაც მნიშვნელოვნად განიმტკიცა თავისი პო-ზიციები, პოლიტიკურ უფლებებზეც განაცხადა პრეტენზიები და ამ მხრივ გააძლიერა თავისი დაწოლა კოლონიურ ხელისუფლებაზე.

მსხვილ ბურჟუაზიასთან ერთად ომით კარგად ისარგებლეს მსხვილმა მემამულეებმა და დესპოტმა მთავრებმა, რომელთაც გა-აფართოეს იმ კულტურების წარმოება, რომლებზედაც დიდ მოთხოვ-ნილებას აყენებდა ინგლის-ინდოეთის არმიის მომარაგების განყო-ფილება. სურსათისა და ნედლეულის მიწოდება მეტად სარფიან პი-რობებში არმიისათვის, მშრომელთა ექსპლოატაციის გადიდება, მე-ვახშეობა და სხვადასხვაგვარი გამოძალვა მათი კიდევ უფრო გამ-დიდრების წყარო გახდა.

ომის მსვლელობაში ინგლისმა დიდი მასშტაბით გამოიყენა ინ-დოეთის მდიდარი მატერიალური რესურსები, ფინანსური სახსრები და ცოცხალი ძალა. ჯარში, ფლოტსა და ავიაციაში გაწვეულ ინდო-ელთა რიცხვმა 3 მილიონ კაცს მიაღწია. ინდოელთაგან დაკომპლექ-ტებული ნაწილები, გარდა ინდოეთისა, იმყოფებოდნენ ეგ-ვიპტეში, ჩრდილო აფრიკაში, იტალიაში, ინგლისში, ახლო აღმოსავ-ლეთში და წყნარი ოკეანის საომარი ასპარეზის ყველა უბანზე. ია-პონელების წინააღმდეგ ბრძოლაში ჯუნგლებში (ბირმასა და სხვა ადგილებში) ძირითადად ეს ნაწილები იყო გამოყენებული.

ასეული ათასი ინდოელი დაიღუპა და სამუდამოდ დასახიჩრდა ამ ომში, ამდენივე ტყვედ ჩავარდა ან უგზო-უკვლოდ დაიკარგა. ჯარისკაცთა გარდა მობილიზაციის წესით ინგლისელებმა ინდოეთი-დან გაიყვანეს ათეული ათასი შავი და კვალიფიცური მუშა, რომ-ლებიც გამოიყენეს საომარ უბნებზე როგორც წყნარი ოკეანის აუზ-ში, ისე სხვაგან. პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადების გადი-დების გზით კოლონიურმა ხელისუფლებამ ახალი მძიმე ფინანსური ტვირთი დააკისრა ინდოეთის მშრომელ მოსახლეობას და იგი ომის მიზნებისათვის გამოიყენა. მაგალითად, ინდოეთს დაეკისრა ინდოეთ-ში თავმოყრილი ინგლის-ინდოეთის 500.000 არმიის შენახვა, ინდო-

ეთის დიდძალი სამხედრო ხარჯების დაფინანსება საკუთარი ბიუჯეტით და სხვ.

მრეწველობის ზოგიერთი დარგის მნიშვნელოვანი ზრდის ერთ-ერთი უშუალო შედეგი იყო მუშათა კლასის ახალი ნაკადით შევსება. 1943—1944 წლებისათვის ინდოეთის მრეწველობაში, ტრანსპორტზე, შახტებში და პლანტაციებში 6 მილიონზე მეტი მუშა იყო დასაქმებული. გამოიყენეს რა ომის ვითარება, ინგლისელმა და ინდოელმა მეწარმეებმა გააძლიერეს ბავშვთა და ქალთა შრომის ექსპლოატაცია, შემოიღეს მუშათა გაგრძელებული სამუშაო დღე, გაადიდეს შრომის ინტენსივობა და მით მკვეთრად გააძლიერეს მუშათა კლასის ექსპლოატაცია.

კრიპსის მისიის წარუმატებლობა და 1942—1944 წლების ანტიინგლისური მღელვარებანი

ჰიტლერული გერმანიის საბჭოთა კავშირზე მუხანათურმა თავდასხმამ და საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის დაწყებამ გავლენა მოახდინა ინდოეთზე და შეცვალა იქ შექმნილი პოლიტიკური ვითარება. ინდოეთის განმათავისუფლებელმა და დემოკრატიულმა წრეებმა ცხადად დაინახეს, რომ ანტიჰიტლერული ძალების ბრძოლამ ამიერიდან განმათავისუფლებელი და ანტიფაშისტური ხასიათი მიიღო. ინდოეთის კომუნისტურმა პარტიამ, მანამდე რომ იმპერიალისტურად ნათლავდა მიმდინარე ომს, შეცვალა თავისი პოზიცია და სახალხო ომის ლოზუნგი წამოაყენა.

ანტიფაშისტური განწყობილება განსაკუთრებით გაძლიერდა 1941 წლის 7 დეკემბრიდან, როცა იმპერიალისტურმა იაპონიამ ომი გააჩაღა წყნარი ოკეანის აუზში და მალე უშუალო საფრთხე შეუქმნა თვით ინდოეთის უშიშროებასაც კი. აღნიშნულმა განწყობილებამ ფესი მოიკიდა სრულიად ინდოეთის ეროვნული კონგრესისა და თვით ლიგის რიგით წევრებშიც. 1942 წლის იანვარში ჩატარებულმა კონგრესის აღმასკომის სესიამ კვლავ გაიმეორა თავისი ძველი პოზიცია, თანაც მიიღო სპეციალური რეზოლუცია, რომლითაც თანაგრძნობა გამოუცხადა სსრკ და ჩინეთს, რომლებიც განმათავისუფლებელ ომს ეწეოდნენ ჰიტლერულ გერმანიასთან და იმპერიალისტურ იაპონიასთან.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 1942 წლისათვის ეროვნული კონგრესის რიგებში ომისადმი დამოკიდებულების საკითხში აზრთა სხვადასხვაობამ იჩინა თავი: ერთი ჯგუფი (თვით განდი, რ. პრასადი, გაფან ხანი, კონგრესის გენერ. მდივანი კრიპალანი...) რელიგიურ-ფილოსოფიური და ეთიკური მოტივებით მტრულად იყო განწყობილი ყოველგვარი ომისადმი; მეორე ჯგუფი (ჯ. ნერუ, აბულ ყალამ აზადი...) საჭიროდ თვლიდა ანტიფაშისტურ ომში აქტიურ მონაწი-

ლეობას დემოკრატიულ-განმათავისუფლებელ ბანაკთან ერთად, მაგრამ—ქვეყნის თავდაცვისათვის პასუხისმგებელი მთავრობის მიცემის პირობებში; მესამე ჯგუფი (რაჯაგოპალაჩარია...) აგრეთვე მსარს უჭერდა ეროვნული მთავრობის მოთხოვნას, მაგრამ ინგლისელებთან უფრო მჭიდრო თანამშრომლობის მომხრე იყო.

1942 წლის ზაფხულისათვის შეიქმნა ინდოეთის საზღვრებზე იაპონელთა უშუალო ხელყოფის საფრთხე. ამავე დროს იაპონელების ინიციატივით ყოფილმა კონგრესისტმა სუბჰი ჩანდრა ბოსმა შექმნა „ინდოეთის მთავრობა“ და იაპონელების მიერ ტყვედ ჩაგდებულ ინდოელ ჯარისკაცთაგან — „ინდოეთის ეროვნული არმია“. ბოსის „ეროვნული“ მთავრობა სათავეში უნდა ჩასდგომოდა „ეროვნული“ არმიის ლაშქრობას ბირმიდან ინდოეთისაკენ მისი „განთავისუფლების“ მიზნით. იაპონელი იმპერიალისტები ცდილობდნენ თავიანთი დაპყრობითი პოლიტიკის იარაღად გამოეყენებინათ ბოსის ტიპის ელემენტები და გაბრიყვებული ინდოელი ჯარისკაცები. ამ საშიშმა ვითარებამ ინგლისელი იმპერიალისტები აიძულა ეძიათ შეთანხმება ეროვნული კონგრესისა და ინდოეთის სხვა ორგანოების ხელმძღვანელებთან. ამ მიზნის მისაღწევად 1942 წლის მარტში ინგლისიდან ინდოეთში გაიგზავნა თემთა პალატის ლიდერი, ლორდ-კანცლერი და სამხედრო კაბინეტის წევრი სტაფორდ კრიპსი.

კრიპსმა ინდოეთში ჩაიტანა ინგლისის მთავრობის წინადადებები, რომლებითაც:

1) ომის შემდეგ ინდოეთი მიიღებდა დომინიონის უფლებას და გადახალისდებოდა ინდოეთის კავშირად პროვინციებისა და სამთავროების შემადგენლობით. იმ პროვინციებსა და სამთავროებს, რომლებიც არ მოისურვებდნენ შესულიყვნენ კავშირში, უფლება ეძლოდათ შეენარჩუნებიათ არსებული სტატუტი ან შეექმნათ ცალკეული დომინიონები;

2) ომის დამთავრებისთანავე შეიქმნებოდა სათანადო ორგანო მომავალი კონსტიტუციის შესამუშავებლად;

3) ომის პერიოდში ინდოეთში არსებული მდგომარეობა არ იცვლებოდა, ინდოეთის დაცვის მთელი პასუხისმგებლობა ინგლისის ხელში რჩებოდა. საომარ ღონისძიებათა გაძლიერებლად ინდოეთის ნაცვალი მიიზიდავდა მმართველობაში ინდოეთის პარტიებისა და ორგანიზაციების წარმომადგენლებს.

აღნიშნული წინადადების საფუძველზე კრიპსს მოლაპარაკება ჰქონდა კონგრესის ლიდერებთან, მუსლიმანთა ლიგასთან და სხვა პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებთან. მაგრამ ეროვნულმა კონგრესმა გადაჭრით უარყო ინგლისის მთავრობის რეკომენდაციები და კვლავ მოითხოვა ეროვნული მთავრობის დაუყოვნებლივ შექ-

შნა. მუსლიმანურმა ლიგამ ზოგიერთი შენიშვნით მოიწონა ეს დოკუმენტი და მხოლოდ ფეოდალურმა მთავრებმა მიიღეს იგი უყოყმანოდ (ასევე მოიქცნენ ჰინდუ მაჰასაბჰა და ინდოელი ლიბერალები). ეროვნული კონგრესის შეურიგებელი პოზიციის გამო კრიპსის მისია უშედეგოდ დამთავრდა. აპრილის ბოლოს იგი ხელცარიელი დაბრუნდა ლონდონს.

კრიპსის მოლაპარაკების ჩაშლის შემდეგ პოლიტიკური ვითარება ინდოეთში კიდევ უფრო გამწვავდა; გაძლიერდა ანტიინგლისური განწყობილება. 1942 წლის აგვისტოში ბომბეიში ჩატარებულმა ეროვნული კონგრესის აღმასკომის სესიამ ერთხელ კიდევ მიიღო დადგენილება სამოქალაქო ურჩობის კამპანიის დაწყების შესახებ იმ შემთხვევაში, თუ ინგლისელები არ მიიღებდნენ კონგრესის მოთხოვნას ეროვნული მთავრობის შექმნის შესახებ[1]. ინგლისელების ჯიუტმა პოლიტიკამ და თვით ინდოეთში შექმნილმა ვითარებამ მარცხნივ გადახარა მაჰათმა განდიც. მან საჯაროდ დაგმო ინგლისელთა კოლონიური ბატონობა ინდოეთში, ბოროტება უწოდა მას და გადმოისროლა ლოზუნგი: „ინგლისელებმა უნდა დატოვონ ინდოეთი". ამერიკელ კორესპონდენტთან საუბარში განდმა განაცხადა: იმისათვის, რომ ინდოეთმა შეძლოს დაიცვას თავი იაპონელთა აგრესიისაგან, ინგლისელები უნდა წავიდნენ ამ ქვეყნიდანო.

ინგლის-ინდოეთის მთავრობამ კონგრესის აღნიშნული დადგენილება და განდის გამოსვლები გამოიყენა საბაბად კონგრესის წინააღმდეგ რეპრესიული აქტებისათვის. 9 აგვისტოს მან დაატუსაღა განდი[2], ნერუ, აზადი, პატელი და სხვები. მათთან ერთად საპყრობილეებში ჩაყარეს კონგრესის ადგილობრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელები და აკრძალეს მათი საქმიანობა.

კონგრესის ლიდერებისა და აქტივისტების წინააღმდეგ მიღებულმა მკაცრმა პოლიციურმა ზომებმა დიდად აღაშფოთა ინდოეთის მშრომელი მასები. მოსახლეობის ფართო ფენების ეკონომიური მდგომარეობის მკვეთრი გაუარესების პირობებში ხელისუფლების მიერ განმათავისუფლებელი მოძრაობის ხელმძღვანელთა წინააღმდეგ მომარჯვებულმა დრაკონულმა ზომებმა ცეცხლზე ნავთი დაასხა. მან მორიგი ბიძგი მისცა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძო-

---

1 ინდოეთის კომუნისტურმა პარტიამ გაილაშქრა მასობრივი სამოქალაქო ურჩობის კამპანიის დაწყების წინააღმდეგ იმ მოტივით, რომ იგი ფაშისტი აგრესორების წისქვილზე წყლის დასხმა იქნებაო.

2 1943 წლის თებერვალში განდმა ციხეში 22 დღიანი შიმშილობა გამოაცხადა, რამაც უდიდესი გამოძახილი პოვა მოსახლეობაში და არნახულად გააძლიერა ანტიინგლისური განწყობილება.

ლის აზვირთებას. ახალი სახალხო მოძრაობა სტიქიურად დაიწყო. ლიდერთა დატუსაღების შედეგად იგი არსებითად წესიერი ხელმძღვანელობის გარეშე მიმდინარეობდა. დემონსტრაციებს, მანიფესტაციებს, გაფიცვებს და გლეხთა გამოსვლებს თან სდევდა ძალადობის აქტები: საპოლიციო უბნებზე, საფოსტო კანტორებზე, რკინიგზების სადგურებზე, ცალკეულ სამხედრო ობიექტებზე თავდასხმები. ამას ზედ დაერთო მოსწავლეთა და სტუდენტთა მიერ სკოლა-კოლეჯების მიტოვება, ბომბეიში, მადრასში, კალკუტაში, ნაგპურსა და სხვა ქალაქებში ბარიკადების ამართვა და ა. შ.

ინგლისის კოლონიურმა მთავრობამ და სამხედრო ხელისუფლებამ უსასტიკესი პოლიტიკური ტერორი დაატეხეს თავს ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის მონაწილეებს. ჯარის ნაწილებს და პოლიციას ეპრძანა შეუბრალებლად ჩაეხშოთ ურჩობის ყველა აქტი და მასობრივად გამოეყენებინათ იარაღი. დემონსტრანტების, მანიფესტანტების და გაფიცულ მშრომელთა დასახვრეტად გამოყენებულ იქნა ავიაციაც. მთელი ინდოეთის მასშტაბით აღნიშნული სტიქიური გამოსვლების ჩახშობის დროს დახოცილთა, დაჭრილთა და დამახინჯებულთა რიცხვმა 30 ათას კაცს გადააჭარბა. გამოსვლების ჩახშობის შემდეგ შექმნილმა კოლონიურმა სამხედრო-საველე სასამართლოებმა ათეულ ათას პატრიოტს მიუსაჯეს სიკვდილით დასჯა, ხანგრძლივი ციხე და გადასახლება.

ინდოეთის კომუნისტური პარტიის პირველი ურილობა. იკპ ტაქტიკა, პოზიცია და პოლიტიკა ომის წლებში

1942 წლის ზაფხულში ინგლის-ინდოეთის კოლონიურმა ხელისუფლებამ ინდოეთის კომუნისტურ პარტიას ლეგალური არსებობის ნება დართო. მშრომელთა ავანგარდის ლეგალიზაცია ომის პირობებში ბევრით განაპირობა პარტიის თანმიმდევრულმა ანტიფაშისტურმა პოზიციამ და მოწოდებამ მოსახლეობისადმი—მხარი დაეჭირათ ინგლისელთა საომარი ღონისძიებებისათვის ანტიფაშისტურ ომში. კომუნისტურმა პარტიამ მაშინვე გამოიყენა ლეგალობის შესაძლებლობა მუშაობის შემდგომი აქტივიზაციისათვის მუშათა და გლეხთა რიგებში გავლენის გაძლიერებისათვის. 1942 წლის სექტემბერში ჩატარებულმა იკპ ცკ გაფართოებულმა პლენუმმა აღიარა ინდოეთში შექმნილი ვითარების საშიშროება ფაშისტ აგრესორთა წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. მართალია, მან ისევ დაგმო ინდივიდუალური და მასობრივი ურჩობის აქტები, ცალკეული დივერსიული გამოხდომები, მაგრამ, ამასთან ერთად, მკაცრად გააკრიტიკა ინგლის-ინდოეთის კოლონიური ხელისუფლება და მოითხოვა რეპრესიებზე ხელის აღე-

ბა, მკვიდრთა საჭიროებისადმი მეტი გულისხმიერება და კეთილგონიერების გამოჩენა.

1943 წლის მაისში ინდოეთის კომუნისტურმა პარტიამ ჩაატარა თავისი პირველი ყრილობა, რომლის მუშაობაში მონაწილეობას იღებდა 139 დელეგატი. ამ დროისათვის პარტიის რიგებში 16 ათასი წევრი ითვლებოდა (აქედან 10 ათასი მარტო 1942 წელს შეემატა). ეგი დიდი გავლენით სარგებლობდა პროფკავშირებში და გლეხთა კავშირებში[1], რომელთა რიგებში 800 ათასზე მეტი წევრი იყო.

ყრილობამ წამოაყენა ლოზუნგი „ომის გადაქცევა ინდოეთის სახალხო ომად" და მოითხოვა მეორე ფრონტის გახსნა, კონგრესის ლიდერების განთავისუფლება, კონგრესისა და ლიგის შეთანხმება, ეროვნული მთავრობის შექმნა და ა. შ. აღნიშნულ ყრილობას და მის გადაწყვეტილებებს სერიოზული მნიშვნელობა ჰქონდა ინდოეთის კომპარტიის შემდგომი მუშაობისათვის. კომპარტიის რიცხვის გადიდება 1944 წელს 30 ათას კაცამდე, რევოლუციური პროფკავშირების, გლეხთა კავშირებისა და სტუდენტთა გაერთიანებების საქმიანობის გაფართოება და მათზე კომპარტიის გავლენის გაძლიერება იმის უტყუარი საბუთი იყო, რომ ეს პარტია სწორი გზით მიდიოდა.

ეროვნულ კონგრესსა და მუსლიმანურ ლიგას შორის შეთანხმების ცდა

1944 წელს მეორე მსოფლიო ომის მსვლელობაში მოვხდარმა სერიოზულმა გარდატეხამ ნათელი გახადა ფაშისტი აგრესორების გარდუვალი დამარცხება და ანტიფაშისტური კოალიციის გამარჯვება ახლო მომავალში; უფრო და უფრო მკვეთრად გამოისახა სსრ კავშირის გადამწყვეტი როლი ამ ომში. ყოველივე ამან ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა ინდოეთის მოსახლეობაზე და სერიოზული ბიძგი მისცა პოლიციური ტერორის შედეგად მინელებული მასობრივი განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალ აღმავლობას. ამას თან დაერთო იაპონელთა ჯარების შეჭრა ბირმიდან ასამის პროვინციაში. ინგლის-ინდოეთის ხელისუფლება იძულებული იყო ანგარიში გაეწია შეცვლილი ვითარებისათვის და შეესუსტებინა პოლიციური ტერორი. 1944 წლის მაისში საპყობილეებიდან გამოუშვეს მაჰათმა განდი და კონგრესის ლიდერების უმეტესობა.

რადგან ინდოეთის მომავლისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კონგრესისა და ლიგის შეთანხმებას ძირითადი პოლიტიკური საკითხების გარშემო, კონგრესის ხელმძღვანელობისა და ლიგის დემოკრატიული ჯგუფის რიგებში ფეხი მოიკიდა მათ შორის ერთიანობის დამყარების მისწრაფებამ. ამას მოჰყვა პრაქტიკული ნაბიჯის გადადგმა. 1944 წლის სექტემბერში ბომბეიში დაიწყო მოლაპარაკება

---

[1] „კისან საბჰი".

განდსა და ლიგის ლიდერ ჯინას შორის. მოლაპარაკებამ გამოავლინა კონგრესსა და ლიგას შორის არსებული ღრმა წინააღმდეგობა მომავალი ინდოეთის აგებულების საკითხში. კონგრესი თანახმა იყო მუსლიმანურ ოლქებში ჩატარებულიყო პლებისციტი მათი ცალკე სახელმწიფოდ გამოყოფის საკითხზე მას შემდეგ, რაც ინგლისი შექმნიდა ეროვნულ მთავრობას და ხელს აიღებდა ინდოეთის მართვაზე. მაგრამ ჯინამ დაჟინებით მოითხოვა ინდოეთის დანაწილება ინგლისელთა ბატონობის დროსვე და უარი განაცხადა კონგრესთან ერთად ებრძოლა ინგლისის იმპერიალიზმის წინააღმდეგ. ასეთ პირობებში მოლაპარაკება ჩიხში მოექცა და მალე საკენებით ჩაიშალა.

მოლაპარაკების მარცხის მიუხედავად, 1945 წლის გაზაფხულზე კონგრესისა და ლიგის ძირეული ორგანიზაციების დაჟინებითი მოთხოვნით ამ პარტიების წარმომადგენლები მაინც შეხვდნენ ერთმანეთს მომავალი ეროვნული მთავრობის შექმნის თაობაზე მოსალაპარაკებლად (ლიაკათ ალი ხანი ლიგიდან და პულამჰაი დესაი — კონგრესიდან). მოლაპარაკების შედეგად მიღწეული შეთანხმებით მომავალ ნაციონალურ მთავრობაში ეროვნულ კონგრესსა და ლიგას უნდა მიეღოთ 40—40% ადგილი, 20 პროცენტი კი ეთმობოდა ე. წ. ეროვნულ უმცირესობას, ე. ი. „მიუკარებლებს", სიქჰებს, ფარსებს, ინდოელ ქრისტიანებს და სხვ. ამავე დროს მიღწეულ იქნა შეთანხმება იმის შესახებაც, რომ ინდოეთის დაყოფის საკითხი განხილულიყო მისი სტატუტის განსაზღვრის შემდეგ, არმიის მთავარსარდლის ინანამდებობა კი შენარჩუნებოდა ინგლისელ გენერალს.

აღნიშნულმა შეთანხმებამ დროებით კეთილსასურველი ნაყოფი გამოიღო. ინდოეთის ცენტრალურ საკანონმდებლო ორგანოშიაც ლიგისა და კონგრესის წარმომადგენლებმა თავისებური ერთიანი ფრონტი დაამყარეს და ბევრი საკითხის გარშემო შეთანხმებული წინადადებით გამოვიდნენ. მათმა ოპოზიციამ ჩაშალა მეფისნაცვლის მიერ შემოტანილი რამდენიმე კანონპროექტი და სერიოზულად შეაშფოთა კოლონიური ხელისუფლება. ამ ოპოზიციისა და მოსახლეობის უკმაყოფილების პროგრესული ზრდის შედეგი იყო ახალი მეფისნაცვლის ლორდ უეველის ინგლისში გამგზავრება საკუთარ მთავრობასთან კონსულტაციის ჩასატარებლად „ინდოეთის კრიზისის" დაძლევის მიზნით.

ავღანეთი 1918—1945 წლებში

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია და ავღანელი ხალხის ეროვნულ - განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობა

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების მომენტისათვის ავღანეთი აზიის ერთ-ერთ ჩამორჩენილ ქვეყანას წარმოადგენდა. მას არ გააჩნდა თანამედროვე მსხვილი მრეწველობა, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის განვითარებული საშუალებები; არ ჰყავდა მუშათა კლასი, სამრეწველო ეროვნული ბურჟუაზია, მრავალრიცხოვანი ინტელიგენცია. ეთნიკურად ჭრელი მოსახლეობის (ავღანელები, ტაჯიკები, უზბეკები, ხაზარები, ბელუჯები, თურქმენები...) უდიდეს უმრავლესობას შეადგენდნენ ბინადარი და მომთაბარე გლეხები, რომლებსაც სასტიკ ექსპლოატაციას უწევდნენ ფეოდალ-მემამულეები, ხანები, მალიქები, მომთაბარე ტომთა ბელადები. იქ ძველებურად ბატონობდა ფეოდალიზმი, რომელიც მომთაბარე ტომებში გადახლართული იყო გვარტომული ყოფის ფორმებთან. დიდი გავლენით სარგებლობდა მუსლიმანური (სუნიტური) სამღვდელოება, რომლის ხელშიაც იყო როგორც მღვდელმსახურება, ისე შარიათზე დამყარებული სამართალი და განათლების კონტროლი.

გლეხობის ფეოდალური ექსპლოატაციის ძირითადი ფორმა იყო კაბალური მოზიარეობა; მის გვერდით არსებობდა ძირითადი მწარმოებლის ძარცვის სხვა ფორმებიც (ფულადი, ნატურალური, შრომითი). ფეოდალ-მემამულეებთან ერთად გლეხობის ფეოდალურ ჩაგვრაში უშუალო მონაწილეობას იღებდნენ სამღვდელოება და სახელმწიფო ხელისუფლება.

ფულად-სასაქონლო ურთიერთობის მნიშვნელოვანი ზრდის მიუხედავად, ავღანეთში ჯერ კიდევ ძლიერი იყო ნატურალური მეურნეობის ხვედრითი წონა. ეს გარემოება ფეოდალური ურთიერთობის ბატონობასთან ერთად სერიოზულ დაბრკოლებას უქმნიდა ქვეყნის განვითარებას. საგარეო ვაჭრობა, რომლის მოცულობაც დიდი არ იყო, უცხოელ მსხვილ საავაჭრო გაერთიანებებთან მჭიდრო კავშირში მყოფ მცირერიცხოვანი კომპრადორების (ინდუსი, ავღანელი, ტაჯიკი ვაჭრები...) ხელში იყო. საგარეო ვაჭრობის ხასიათი კარგად ავ-

ლენდა ქვეყნის ეკონომიურ ჩამორჩენას. ავღანეთს გაჰქონდა მხოლოდ სოფლის მეურნეობისა და მეცხოველეობის პროდუქცია, შემოჰქონდა სამრეწველო საქონელი და ფეოდალთა კლასის პირადი მოხმარების ფუფუნების საგნები.

აღნიშნული დროისათვის ავღანეთს ფაქტიურად დაკარგული ჰქონდა დამოუკიდებლობა და მისი საგარეო პოლიტიკა მთლიანად მოქცეული იყო ინგლისის მთავრობის (ინდოეთის მეფისნაცვლის სახით) კონტროლქვეშ, რის შედეგადაც ძალზე შეზღუდული იყო ამ ქვეყნის ეკონომიური, კულტურული და პოლიტიკური კავშირ-ურთიერთობა გარე სამყაროსთან. გარე სამყაროსაგან იძულებითი იზოლაცია ხელს უწყობდა ავღანეთის შუასაუკუნეობრიობისა და ფეოდალური ჩამორჩენილობის კონსერვაციას, აბრკოლებდა უცხოური პროგრესული აზრებისა და მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების გავრცელებას და აგრეთვე ხელს უშლიდა მის ეკონომიურ-კულტურულ წინსვლას.

საგრძნობლად ჩამორჩებოდა რა მის მეზობლებს — ინდოეთსა და ირანს, ავღანეთი სხვა მხრივაც განსხვავდებოდა მათგან. მან არ იცოდა კაპიტულაციების რეჟიმი, უცხოური კაბალური სესხები და კონცესიები.

დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ, რომელმაც მსოფლიო ისტორიის ახალი თავფურცელი გადაშალა, თავისი მანათობელი შუქი ავღანეთისაკენაც მიმართა. ავღანეთი ამოვარდა ძველი კალაპოტიდან და ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის გზას დაადგა. დაიწყო მოსახლეობის მასობრივი მოძრაობა ინგლისის იმპერიალიზმისა და ემირ ჰაბიბულას დესპოტური მმართველობის წინააღმდეგ...

1919 წლის 21 თებერვალს ჯელალაბადის მახლობლად თავის კარავში უცნობი პირების მიერ მოკლულ იქნა ამირა ჰაბიბულა. მკვლელობა, ალბათ, მოაწყეს სასახლისა და არმიის უკმაყოფილო წრეებმა. სამეფო ტახტისათვის გაჩაღებულ ბრძოლაში სულ მოკლე დროში გაიმარჯვა მოკლული ამირას უმცროსმა შვილმა „ახალგაზრდა ავღანელთა“ მოძრაობის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა ამანულა ხანმა, რომელსაც აქტიურად მხარი დაუჭირა ქაბულის გარნიზონის ოფიცრობამ და მოსახლეობამ.

„ახალგაზრდა ავღანელთა“ გამარჯვებამ საგრძნობლად განსაზღვრა ავღანეთის მომავალი ისტორიული განვითარება. ახალმა ამირამ მტკიცედ გადაწყვიტა განთავისუფლებულიყო ინგლისის იმპერიალიზმის კონტროლისაგან, მოეპოვებინა ქვეყნის დამოუკიდებლობა და განეხორციელებინა მისი აღმავლობისათვის საჭირო პროგრესული რეფორმები.

1919 წლის 28 თებერვალს ამირა ამანულამ (რომლის პირველ მანიფესტს პროგრესულ მემამულეებთან, მოხელეებთან. ოფიცრობასთან და მცირერიცხოვან ინტელიგენციასთან ერთად ენერგიულად მხარი დაუჭირა მოსახლეობის დაბალმა ფენებმაც) ოფიციალურად გამოაცხადა ავღანეთის დამოუკიდებლობა. 3 მარტს მან წერილი გაუგზავნა ინდოეთის მეფისნაცვალ ლორდ ჩელმსფორდს, რომლითაც მოითხოვდა ინგლისის მიერ აბდურაჰმანისათვის 1880 წელს ძალით თავზე მოხვეული არათანასწორუფლებიანი ხელშეკრულების გაუქმებას და ინგლის-ავღანეთის ახალი ხელშეკრულების დადებას ავღანეთის დამოუკიდებლობის ცნობის საფუძველზე. მეფისნაცვალმა ყური არ ათხოვა ამანულას მოთხოვნას და თავისი მთავრობის სახელით უარი განუცხადა სათანადო მოლაპარაკების წარმოებაზე. ინგლისის მთავრობამ არა მარტო აბუჩად აიგდო ავღანეთის სამართლიანი მოთხოვნა, არამედ ომითაც კი დაემუქრა მას და ინდოეთ-ავღანეთის საზღვარზე ჯარების თავმოყრა დაიწყო. ინგლისის იმპერიალიზმს განზრახვა ჰქონდა ძალით დაეცვა თავისი პროტექტორატი ამ ქვეყანაზე.

ამანულამ, ცხადად დაინახა რა ინგლისთან ომის გარდუვალობა, გადაწყვიტა მეგობრული ურთიერთობა დაემყარებინა იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ავანგარდში მდგარ დიდ მეზობელ საბჭოთა რუსეთთან და დაყრდნობოდა მის მხარდაჭერას საშიშ და ვერაგ მტერთან ბრძოლაში.

რსფსრ-ს მიერ ავღანეთის ცნობა და ავღანეთ-საბჭოთა რუსეთის ურთიერთობის დამყარება.

საბჭოთა რუსეთი მაშინვე მიესალმა ავღანეთის დამოუკიდებლობის გამოცხადებას და 1919 წლის 27 მარტს პირველმა მსოფლიოში ცნო ავღანეთის სუვერენიტეტი და დამოუკიდებლობა. თავის მხრივ, ავღანეთი ერთ-ერთი პირველი სახელმწიფო იყო, რომელმაც იცნო საბჭოთა რუსეთი არა მარტო დე-ფაქტოდ, არამედ დე-იურედაც.

1919 წლის 7 აპრილს ამანულამ მოსკოვში გაგზავნა საგანგებო ელჩი მუჰამედ ვალი-ხანი, რომელსაც მეგობრული წერილი გაატანა ლენინთან. წერილით ავღანეთის მეფე საბჭოთა რუსეთს სთხოვდა კავშირსა და მეგობრობას, დიპლომატური ურთიერთობის დამყარებას და მხარდაჭერას დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში. ამას აპრილის ბოლოს მოჰყვა ქაბულიდან ახალი დიპლომატური მისიის გაგზავნა მოსკოვში, რომლითაც ავღანეთის მთავრობა იტყობინებოდა ავღანეთის დამოუკიდებლობის გამოცხადებას და ამანულას ტახტზე ასვლას.

თავის პასუხში ლენინი აცხადებდა, რომ საბჭოთა მთავრობა მზადაა დაუყოვნებლივ გაცვალოს ელჩები ავღანეთთან და აღმოუჩი-

ნოს მას ყოველგვარი დახმარება იმპერიალისტების წინააღმდეგ ბრძოლაში. ელჩების გაცვლა მოხდა შედარებით უფრო გვიან—1919 წლის ბოლოს, როცა ყაზახეთი და შუა აზია (თურქესტანი) გაიწმინდა კოლჩაკის ბანდებისაგან. 1919 წლის ოქტომბერში ავღანეთის ელჩმა რწმუნების სიგელი ჩააბარა ვ. ი. ლენინს, საბჭოთა რუსეთის ელჩმა სურიცმა კი — ამანულას.

ასე ჩაეყარა საფუძველი ავღანეთ-საბჭოთა რუსეთის მეგობრობას, რომელმაც ბოლო მოუღო ავღანეთის საგარეო პოლიტიკურ იზოლაციას. საბჭოთა კავშირ-ავღანეთის ხელშეკრულებამ წარმატებით ჩააბარა გამოცდა, მან დაძლია ყველა სიძნელე და შექმნა პირობები ამ ორი ქვეყნის მუდმივი კეთილმეზობლური ურთიერთობისათვის. ავღანელი ხალხი და მისი მესვეურები მუდამ ღრმა მადლიერების გრძნობით აღნიშნავდნენ ლენინისა და ახალგაზრდა საბჭოთა რუსეთის მთავრობის სხვა ხელმძღვანელთა დიდ როლს ავღანეთის დამოუკიდებლობის მოპოვებისა და ავღანეთ-საბჭოთა რუსეთს შორის მეგობრობის მტკიცე ძაფების გაბმის საქმეში.

ავღანეთის ომი ინგლისთან 1919 წლის და ავღანეთის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვება

წერილების გაცვლას ქაბულსა და მოსკოვს შორის უაღრესად მტრულად შეხვდა ინგლისის იმპერიალისტური ხელისუფლება. მან გადაწყვიტა ძალით აიძულებინა ავღანეთი ხელი აეღო საბჭოთა რუსეთთან შემდგომ დაახლოებაზე და დამორჩილებოდა ინგლისის საგარეოპოლიტიკურ კონტროლს. აპრილის ბოლოს ინგლისელებმა 340 ათასიან არმიას და დიდძალ საომარ ტექნიკას მოუყარეს თავი ავღანეთის საზღვრებთან. საომარი მოქმედება ინგლისელებმა დაიწყეს 1919 წლის 3 მაისს ხაიბერის რაიონში ხელოვნურად გამოწვეული სასაზღვრო ინციდენტით. ეს იყო ინგლის-ავღანეთის მესამე ომი, ინგლისელთა მხრივ აშკარა უსამართლო, ტიპიური დაპყრობით-კოლონიური ომი, ხოლო სამართლიანი, განმათავისუფლებელი ომი — ავღანელთა მხრივ.

ავღანეთის არმიამ, რომელიც რიცხობრივად და ტექნიკური აღჭურვილობით მკვეთრად ჩამორჩებოდა ინგლისელ აგრესორებს, ენერგიული წინააღმდეგობა გაუწია ინგლისის ჯარებს. მთელ რიგ უბნებზე ავღანელებმა ომის ასპარეზი თვით ინდოეთის ტერიტორიაზე გადაიტანეს და მით ჩაშალეს ძირითად უბანზე — ხაიბერის გასასვლელის ზონაში ინგლისის არმიის სარდლობის მიერ გათვალისწინებული დიდი შეტევა ქაბულის მიმართულებით. ავღანეთის არმიის წარმატებით ოპერაციებს ხელი შეუწყო ინდოეთ-ავღანეთის საზღვრის ზონაში განლაგებული ფუშთუს ტომების მასობრივმა აჯანყებამ ინგლისელთა წინააღმდეგ. ამას ზედ დაერთო ისიც, რომ

ავღანელ მთიელთაგან დაკომპლექტებულმა მილიციამ უარი განაცხადა ებრძოლა საკუთარი ძმების წინააღმდეგ და აჯანყებულთა მხარეზე გადავიდა. ინდოეთში შექმნილმა დაძაბულმა ვითარებამ, გართულებებმა ახლო აღმოსავლეთსა და მსოფლიოს სხვა ადგილებში ხელ-ფეხი შეუბოჭეს ინგლისელ კოლონიზატორებს და წაართვეს მათ საშუალება უფრო ენერგიულად ემოქმედათ ავღანელთა წინააღმდეგ. მაგრამ არც ავღანეთს შეეძლო ომის დიდხანს გაგრძელება. ომმა ერთხელ კიდევ გამოავლინა ავღანეთის ჩამორჩენა, მისი არმიის სისუსტე, ერთიანი სარდლობის უქონლობა, არტილერიის უსუსურობა, ჯარისკაცთა დაბალი დისციპლინა, ოფიცრებისა და გენერლების ნაწილის უვიცობა. ამას ზედ დაერთო ინგლისის ავიაციის ბარბაროსული თავდასხმები ავღანეთის ცენტრებზე.

ომის დაწყების ერთი თვის თავზე (3 ივნისს) ავღანეთისა და ინგლისის მთავრობები შეთანხმდნენ შეეწყვიტათ საომარი ოპერაციები და დაეწყოთ მოლაპარაკება ზავის თაობაზე. 1919 წლის 8 აგვისტოს ინდოეთის მაშინდელ ქალაქ რავალპინდში[1] დაიდო ინგლის-ავღანეთის პრელიმინარული ზავი, რომლითაც ინგლისი იძულებული გახდა ხელი აეღო ავღანეთის პროტექტორატზე და ეცნო ამ ქვეყნის სუვერენიტეტი[2].

ავღანელი ხალხი სათუთად ინახავს განმათავისუფლებელ ომში დაღუპულ პატრიოტთა ნათელ ხსოვნას. 1919 წლის ამბები ყოველწლიურად აღინიშნება როგორც ეროვნული დღესასწაული.

მოსკოვსა და ქაბულში წარმოებული მოლაპარაკების შედეგად 1921 წლის 28 თებერვალს მოხდა საბჭოთა რუსეთ-ავღანეთის მეგობრული ხელშეკრულების ხელმოწერა. იგი ახალგაზრდა საბჭოთა ხელისუფლების საგარეო პოლიტიკის ლენინური პრინციპებიდან გამომდინარეობდა და ურთიერთთანასწორუფლებიანობის მტკიცე ფუძეს ემყარებოდა (მისი რატიფიკაცია მოხდა უფრო გვიან, იმავე წლის შემოდგომაზე). საბჭოთა რუსეთმა ავღანეთს გაუწია ფულადი და სხვა ხასიათის მატერიალური დახმარება, რამაც დიდი როლი შეასრულა მისი სუვერენიტეტის განმტკიცებისა და ეკონომიური სიძნელეების დაძლევის საქმეში.

საბჭოთა რუსეთ-ავღანეთის 1921 წლის ხელშეკრულება წარმოადგენდა ავღანეთის პირველ თანასწორუფლებიან ხელშეკრულებას დიდ სახელმწიფოსთან. ამით მან გაარღვია იმპერიალიზმის

---

1 ამჟამად პაკისტანის რესპუბლიკაშია.

2 ავღანეთის მთავრობამ თავის მხრივ ცნო ე. წ. „დიურანდის ხაზი", ე. ი. 1893 წელს დადგენილი საზღვარი, რომლითაც 3 მილიონზე მეტი ავღანელი (ფუშთუნ ეროვნული ტომების სახით) მოწყვეტილი აღმოჩნდა დედა სამშობლოსაგან.

ბლოკადის რკალი, ჩადგა სუვერენულ სახელმწიფოთა რიგებში და გაბედულად გამოვიდა საერთაშორისო ურთიერთობის არენაზე. ინგლისი, რომელიც, ავღანეთის დამოუკიდებლობის ცნობის მიუხედავად, ყოველმხრივ ხელს უშლიდა დამოუკიდებელ საგარეოპოლიტიკურ ნაბიჯებს და ცდილობდა ჩაეშალა საბჭოთა რუსეთ-ავღანეთის დაახლოება, იძულებული გახდა ერთხელ კიდევ უკან დაეხია. 1921 წლის 22 ნოემბერს ქაბულში დაიდო ინგლის-ავღანეთის საბოლოო ზავი, რომლითაც ინგლისმა ოფიციალურად იცნო ავღანეთის დამოუკიდებლობა და დაამყარა მასთან დიპლომატიური ურთიერთობა. მალე ამას მოჰყვა ავღანეთის ცნობა და დიპლომატიური ურთიერთობის დამყარება ევროპისა და აზიის სხვა ქვეყნებთან.

„ახალგაზრდა ავღანელთა“ მთავრობის რეფორმები 1919—1923 წწ.

ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვებამ ავღანეთის ახალ მთავრობას შესაძლებლობა მისცა ენერგიული ყურადღება მიექცია საშინაო პრობლემებისათვის. ქვეყნის მკვეთრმა ჩამორჩენამ ცხოვრების ყველა დარგში ამანულას წინაშე მთელი სიგრძე-სიგანით დააყენა რეფორმების გატარების საკითხი. ამ რეფორმებს უნდა განემტკიცებინა მოპოვებული სუვერენიტეტი და ავღანელ მემამულეთა და ვაჭართა ინტერესების შესაბამისად შეექმნა პირობები ეროვნულ-ბურჟუაზიული სახელმწიფოს შექმნისათვის[1].

სათანადო რეფორმების გატარებას „ახალგაზრდა ავღანელთა“ მთავრობა ჯერ კიდევ 1919 წელს შეუდგა. რეფორმების ღონისძიებათა შესამუშავებლად ამანულას ბრძანებით შეიქმნა კომისია — „საკანონმდებლო საბჭო“, რომელიც 1921 წლამდე არსებობდა. ამ რეფორმების საწყის აქტს წარმოადგენდა სახელმწიფო აპარატის რეორგანიზაცია და სახელმწიფო დეპარტამენტების შექმნა სამინისტროების ფუნქციებით. 1921 წელს გამოიცა „ავღანეთის მართვის ძირითადი კანონი“. ამ კანონით იქმნებოდა სათათბირო ორგანო — „სახელმწიფო საბჭო“ და წესდებოდა ქვეყნის ახალი ადმინისტრაციული დაყოფა (გუბერნატორებით სათავეში). ერთიანი აპარატისა და 1923 წელს მინისტრთა კაბინეტის შექმნამ შეასუსტა ფეოდალური სეპარატიზმი და განამტკიცა ცენტრალური ხელისუფლება. 1923 წელს გამოქვეყნდა ავღანეთის პირველი კონსტიტუცია, რომელიც აცხადებდა საკუთრებისა და ბინების ხელშეუხებლობას,

---

1 რეფორმების გატარებაში მეტად აქტიური როლი შეასრულა „ახალგაზრდა ავღანელთა“ ერთ-ერთმა იდეურმა ხელმძღვანელმა მაჰმუდ თარზიმ, რომელსაც ამანულას მთავრობაში საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი ეკავა.

ქვეშევრდომთა თანასწორობის კანონის წინაშე და სხვა სამოქალაქო უფლებებს.

ამის პარალელურად ამანულას ხელისუფლებამ შეზღუდა ტომთა უფროსების უფლებები, რომელთაც აეკრძალათ სახელმწიფო გადასახადების აკრეფა და შეიარაღებული რაზმების ყოლა. მკვეთრად შეიზღუდა სამღვდელოების უფლებები მართლმსაჯულებისა და განათლების დარგში; მართლმსაჯულების საქმე სპეციალურ უწყებას დაექვემდებარა, შარიათის ნაცვლად კი შემოიღეს სისხლისა და სამოქალაქო კანონმდებლობა. ლიკვიდირებულ იქნა შინავანი საბაჟოები, ფიზიკური წამება, იძულებითი ბეგარა.

1921 წელს მიღებულ იქნა კანონი „მრეწველობის წახალისების შესახებ", რომლითაც ხელისუფლებამ მიზნად დაისახა დაეჩქარებინა ეროვნული მრეწველობის განვითარება. იგი ითვალისწინებდა მნიშვნელოვან შეღავათებს ეროვნული ვაჭრული ბურჟუაზიის წარმომადგენლებისათვის, რომლებიც ხელს მოკიდებდნენ მწარმოებლურ საქმიანობას; ეროვნული წარმოების ყველა დარგების მფარველობას — სახელმწიფო სუფსიდიებისა და სახელმწიფო შეკვეთების სისტემას, პროტექციონისტულ საბაჟო ტარიფის დაწესებას და ა. შ. 1923 წელს გამოქვეყნდა კანონი მიწაზე საკუთრების განსაზღვრული უფლებისა და მისი თავისუფალი ყიდვა-გაყიდვის შესახებ.

ამას მოჰყვა ნატურალური გადასახადის შეცვლა ფულადი გადასახადით, ფულის რეფორმა, სახელმწიფო ბანკის დაარსება, სატრანზიტო ვაჭრობის წახალისება, აღებ-მიცემობისათვის ნორმალური პირობების შექმნა, გზების მშენებლობის ტემპების გაძლიერება, კავშირგაბმულობის საშუალებათა შემოღება და ა. შ.

არც განათლების, კულტურისა და ყოფა-ცხოვრების სფერო დარჩენილა სარეფორმო სიახლეთა გარეშე. მნიშვნელოვნად გაიზარდა საერო სკოლების რიცხვი, გაიხსნა პირველი ქალთა სკოლა, დაიწყო ახალგაზრდობის მივლინება საზღვარგარეთ უმაღლესი განათლების მისაღებად, გამოიცა კანონი ქორწინების შესახებ (1920 წ.), რომლითაც იკრძალებოდა ქალების ყიდვა (ყალიმი), შეიზღუდა მრავალცოლიანობა; ქაბულში გაიხსნა პირველი ეროვნული თეატრი, სერიოზული ყურადღება მიექცა მშობლიური ენის (ფუშთუ) შესწავლას და სხვ.

1919—1923 წლებში გატარებული რეფორმები, მათი პროგრესულობისა და ისტორიული აუცილებლობის მიუხედავად, ზედაპირული იყო. მან ხელუხლებლად დატოვა გაბატონებული ფეოდალური ურთიერთობა, ისლამის რელიგიის ყოვლისმომცველი ძალა და ძირითადი მწარმოებელი ძალის — გლეხობის უკიდურესად დაბეჩა-

ვებული მდგომარეობა. იგი არ შეხებია სოფლის ბეურნეობას და არ მოუხდენია მისი გადახალისება ახალ ბაზაზე. მემამულეთა და ვაჭართა კლასობრივი მოთხოვნილებით ნაკარნახევი რეფორმები არსებითად გატარდა გლეხობის, მომთაბარე მეჯოგეთა და არაავღანური ხალხების მშრომელთა ხარჯზე, რომელთა საგადასახადო ტვირთი კიდევ უფრო გაზარდა. რეფორმებმა არსებითად ხელუხლებლად დატოვა ტაჯიკების, უზბეკების, ბელუჯების... ეროვნული ჩაგვრა.

„ახალგაზრდა ავღანელთა" მთავრობის მიერ გატარებული რეფორმები, მისი შეზღუდული ხასიათის მიუხედავად, წააწყდა ძველი საზოგადოების ძალების გააფთრებულ წინააღმდეგობას. რეფორმების ძომხრეთა კლასობრივ-სოციალური საყრდენი ვიწრო იყო. მათ ძხოლოდ მემამულეთა და ვაჭართა ნაწილი, პროგრესული მოხელეები და მცირერიცხოვანი ინტელიგენცია უჭერდა მხარს. ხალხის მასებისაგან, კერძოდ გლეხობისაგან ისინი შორს იყვნენ და მათ ინტერესებს არ გამოხატავდნენ.

სარეფორმო ღონისძიებებმა რამდენადმე შელახეს რეაქციული წრეების — ხანების, მსხვილი ფეოდალებისა და სამღვდელოების პრივილეგიები, რომელთაც მიზნად დაისახეს ამანულას ხელისუფლების დამხობა და რეფორმების ლიკვიდაცია. ამ წრეების ზურგს უკან იდგა ინგლისის იმპერიალიზმი, რომელიც ყოველმხრივ ცდილობდა ხელი შეეშალა ავღანეთის შუასაუკუნეობრივი ჩამორჩენილობიდან გამოსვლისათვის და რეაქციის ძალებზე დაყრდნობით ისევ აღედგინა თავისი გავლენა ამ ქვეყანაში.

1924—1925 წლების რეაქციული აჯანყება

ფეოდალური რეაქციის ძალებმა, კერძოდ ბნელეთის მოციქულმა სამღვდელოებამ რეფორმების ჩასაშლელად თავდაპირველად დემაგოგიურ ქადაგებებს და აგიტაციას მიმართა. მათ მოუწოდეს მოსახლეობას ებრძოლათ რეფორმების წინააღმდეგ, რომელიც, თითქოს ეწინააღმდეგებოდა ისლამის წესებს და უხეშად ზღუდავდა „მართლმორწმუნეთა" ინტერესებს. მალე ისინი სიტყვიდან საქმეზე გადავიდნენ. 1924 წელს ჰოსტის პროვინციაში (სამხრეთ-აღმოსავლეთ ავღანეთის მთიან მხარეში, რომლის მოსახლეობა — მანგალისა და ჯაღრანის ტომები ჯერ კიდევ ნატურალურ მეურნეობის ყოფის პირობებში ცხოვრობდნენ) იფეთქა რეაქციული ხროვისა და ინგლისელ იმპერიალისტთა მიერ მომზადებულმა ამბოხებამ. მეამბოხეებს სათავეში ედგნენ ტომთა ფეოდალური ხანები და მუსლიმანურ-სუნიტური სამღვდელოება. თავიანთ პროკლამაციაში მეამბოხეთა ხელმძღვანელები, ეფარებოდნენ რა „ისლამის დაცვის" დემაგოგიურ ლოზუნგებს, „მწვალებლად" ნათლავდნენ ამანულა-ხანს და მოითხოვდნენ

ახალი კანონმდებლობის გაუქმებას, ევროპელთა განდევნას ქაბულიდან, ქაბულის ქალთა სკოლის დახურვას, ახალი მთავრობის დანიშვნას და ა. შ. გლეხობისა და მომთაბარე მეჯოგეთა გულის მოსაგებად, რომლებიც ბრმა იარაღად გამოიყენეს ამბოხების მედროშეებმა, დემაგოგიურად იყო წამოყენებული გადასახადების შემცირების, სამხედრო ბეგარის გაუქმებისა და ინდოეთის მოსაზღვრე ტომებისათვის საბაჟო შეზღუდვების მოსპობის მოთხოვნები.

ამბოხების ჩაქრობა ამანულამ მის სამხედრო მინისტრს ნადირ-ხანს დააკისრა, ეს უკანასკნელი ფარულად მეამბოხეებს მფარველობდა. ეს ცნობილი გახდა ამირასათვის, რომელმაც მოხსნა იგი თავისი პოსტიდან. მართალია, 1925 წლის დასაწყისისათვის ამანულამ დიდი გაჭირვებით მოახერხა ამბოხების ჩაქრობა, მაგრამ იძულებული გახდა არსებით დათმობაზე წასულიყო ამბოხების ხელმძღვანელთა მიმართ. მან შეანელა რეფორმების ტემპები, "გააუქმა ზოგიერთი უკვე დანერგილი ღონისძიება (კერძოდ, დახურა ქალთა სკოლები) და თან სამღვდელოებას დაუბრუნა ზოგიერთი ძველი უფლება (მართლმსაჯულების საქმე).

საბჭოთა კავშირ-ავღანეთის პაქტი თავდაუსხმელობისა და ნეიტრალიტეტის შესახებ

ავღანეთის საერთაშორისო მდგომარეობა დღითიდღე უმჯობესდებოდა და მტკიცდებოდა. გარდა სსრ კავშირისა, მას კეთილმეზობლური ურთიერთობა ჰქონდა დამყარებული ირანთან და თურქეთთან. ინგლისის შემდეგ იგი იცნეს და მასთან ნორმალური ურთიერთობა დაამყარეს დასავლეთ ევროპის სხვა სახელმწიფოებმაც. ავღანეთის საერთაშორისო პოზიციის გაძლიერების ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი ფაქტორი იყო საბჭოთა კავშირ-ავღანეთის მეგობრული ურთიერთობა, რომელიც თანდათანობით მტკიცდებოდა; ფართოვდებოდა მათი თანამშრომლობის სფერო და იმ დახმარების მოცულობა, რასაც სსრ კავშირი უწევდა ავღანეთს სამეურნეო და კულტურულ დარგებში.

ამ ორი მეზობელი ქვეყნის კეთილი მეზობლობა კიდევ უფრო განამტკიცა მათ შორის 1926 წლის 31 აგვისტოს პაგმანში[1] ხელმოწერილმა პაქტმა თავდაუსხმელობის შესახებ. აღნიშნული პაქტით ხელმომწერი სახელმწიფოები ვალდებულებას იღებდნენ არ დასხმოდნენ თავს ერთმანეთს, ერთ-ერთი ხელმომწერი მხარის მესამე სახელმწიფოსთან ომის შემთხვევაში მეორე მხარეს დაეცვა მტკიცე ნეიტრალიტეტი, არ ჩარეულიყვნენ ურთიერთის შინაგან საქმეებში და მონაწილეობა არ მიეღოთ მტრულ საერთაშორისო კომბი-

1 ამირას საზაფხულო რეზიდენცია.

ნაციებში. ინგლისელი იმპერიალისტები, რომლებიც ვერ შეურიგებოდნენ ავღანეთის საერთაშორისო პოზიციების განმტკიცებას, პერიოდულ ინტრიგებს აწყობდნენ მის წინააღმდეგ და ინდოეთ-ავღანეთის საზღვრების გასწვრივ ახალი აგრესიისათვის ემზადებოდნენ. მაგრამ ავღანეთი, რომლის ჩრდილოეთი საზღვრების უსაფრთხოება გარანტირებული იყო დიდ მეზობელთან მეგობრული ურთიერთობით, მშვიდად შეჰყურებდა ამ მუქარას და განაგრძობდა აღებული კურსით წინსვლას. მისმა მესვეურებმა კარგად იცოდნენ, რომ საბჭოთა კავშირი საშუალებას არ მისცემდა ინგლისს სისრულეში მოეყვანა თავისი აგრესიული განზრახვა.

ახალი რეაქციული ამბოხება და „ახალგაზრდა ავღანელთა" ხელისუფლების დამხობა

1927 წელს ფადიშაჰი ამანულა[1] ხანგრძლივი დროით გაემგზავრა საზღვარგარეთ. გამგზავრების მიზანი იყო სავაჭრო-ეკონომიურ კავშირურთიერთობათა გაფართოება და უცხოეთის ქვეყნების მიღწევების გაცნობა. მან მოიარა ინდოეთი, ეგვიპტე, თურქეთი, ირანი და ევროპის ქვეყნები — საფრანგეთი, ინგლისი, გერმანია და საბჭოთა კავშირი. მისი მოგზაურობა ინდოეთში, ეგვიპტესა და აზიის სხვა ქვეყნებში მძლავრ ანტიიმპერიალისტურ დემონსტრაციად იქცა. ევროპის ქვეყნებიდან ყველაზე დიდხანს იგი საბჭოთა კავშირში დარჩა[2]. აქ მას მეგობრული შეხვედრები ჰქონდა მ. ი. კალინინთან და საბჭოთა ხელისუფლების სხვა გამოჩენილ ხელმძღვანელებთან. საბჭოთა კავშირის სამეურნეო-კულტურულმა მიღწევებმა, მისმა წარმატებებმა სახალხო განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის დარგებში წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა მასზე.

1928 წლის ივლისში ამანულა ავღანეთში დაბრუნდა. უკან დაბრუნებისთანავე მან ახალი ენერგიით განაგრძო დაწყებული რეფორმები. საზღვარგარეთ, კერძოდ სსრ კავშირში მიღებულმა მდიდარმა შთაბეჭდილებამ კიდევ უფრო გააფართოვა მისი სარეფორმო მოღვაწეობის სფერო. 1928 წლის აგვისტოს ბოლოს მან მოიწვია დიდი „ჯირგა"[3], რომლის წინაშე დააყენა ახალი, უფრო დემოკრატიული კონსტიტუციის მიღებისა და ვრცელი რეფორმების გატარების საკითხები. ამანულას მთავრობის მოთხოვნით ჯირგამ, რეაქციული ხანებისა და მოლების გააფთრებული წინააღმდეგობის მიუხედავად, მიიღო საყოველთაო სამხედრო ბეგა-

---

1 ეს ახალი, სუვერენული სახელმწიფოს მეთაურის ტიტული მან მიიღო 1926 წელს.

2 2—3 დღეს საქართველოშიაც იყო და დაათვალიერა ყველა მისი ღირსშესანიშნაობა.

3 სხვადასხვა წოდებათა წარმომადგენლების კრება.

რის კანონი, გაუქმა ფეოდალური ტიტულები და პრივილეგიები და შემოიღო ტახტის მემკვიდრეობის ახალი წესი.

რეფორმების ახალი ეტაპი შეაჩერა იმავე 1928 წლის ბოლოს დაწყებულმა შავრაზმელურ-კლერიკალურმა აჯანყებამ, რომელიც დაიწყო ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში. აჯანყების ორგანიზატორები და სულისჩამდგმელები, ისევე როგორც 1924—25 წლებში, იყვნენ ამანულას რეფორმებით გაბოროტებული მოლები, ხანები და სხვა რეაქციული წრეები. შინაგანი რეაქცია ახალი აჯანყებისაკენ შეაგულიანა, იარაღითა და ფულადი სახსრებით მოამარაგა ინგლისის იმპერიალიზმის აგენტურამ. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავი იყო ახლო აღმოსავლეთში ცნობილი ინგლისელი მზვერავის ლოურენსის როლი. აჯანყების ორგანიზატორებმა მოახერხეს და თავიანთი დემაგოგიის წყალობით ისევ გააბრიყვეს მძიმე სახელმწიფო ვალდებულებებითა და ფეოდალური გადასახადებით წელში გაწყვეტილი გლეხები და მომთაბარე მეჯოგეები.

ფადიშაჰმა ამანულამ ვერ შეძლო იარაღის მეოხებით ჩაეხშო სამხრეთ-აღმოსავლეთ მთიან ნაწილში დაწყებული აჯანყება და იძულებული გახდა დაეწყო მოლაპარაკება მათ ხელმძღვანელებთან (შირვანის ტომის ხანებთან) კომპრომისული შეთანხმების დასაღებად. ასეთი შეთანხმება მართლაც დაიდო და მას მოჰყვა რეფორმებზე ხელის აღება, მაგრამ ამ დათმობამ ვერ იხსნა „ახალგაზრდა ავღანელთა“ ხელისუფლება გასაჭირისაგან. აღნიშნულ აჯანყებასთან ერთად მორიგმა რეაქციულმა აჯანყებამ იფეთქა ცენტრში — ქაბულის პროვინციის ჩრდილო ნაწილში — ქუჰისთანის მთიელ ტაჯიკთა ტერიტორიაზე. მას სათავეში ედგა ავღანეთის არმიის დეზერტირი უნტერ-ოფიცერი ბაჩაი საკაო[1]. მთავრობის ერთ-ერთი რაზმის (მანგალთა ტომის ლაშქარი) ღალატის შედეგად (1929 წ. 13 იანვარს) ბაჩაი საკაომ მოახერხა ქაბულში შეჭრა. არმიის მნიშვნელოვანი ნაწილის აჯანყებულთა მხარეზე გადასვლამ და უმაღლესი სამღვდელოების მიერ ფეთვას[2] გამოქვეყნებამ აიძულა ამანულა გადამდგარიყო, ტახტი თავისი უფროსი ძმისათვის დაეთმო, ხოლო თვითონ ყანდაარში გამგზავრებულიყო. მაგრამ ამანულას ძმას ტახტი არ მიუღია, რადგან მას თვით აჯანყების მეთაური ბაჩაი საკაო დაეუფლა.

ბაჩაი საკაო, ღაზი ჰაბიბულა-ხანის სახელწოდებით რომ დაეუფლა ფადიშაჰის ტახტს, ფეოდალურ-კლერიკალური რეაქციისა

---

1 სიტყვა-სიტყვით წყლის მზიდავის შვილს ნიშნავს.

2 რომლითაც მოსახლეობას მოუწოდებდნენ ამხედრებულიყვნენ „გახრწნისა და ჯანყის აღმძღვრელი...“ ფადიშაჰის წინააღმდეგ.

და ინგლისის იმპერიალიზმის იარაღი იყო. მათ მისცეს საშუალება ამ უსწავლელსა და მართვა-გამგეობის საქმის უცოდინარ ტაჯიკ გლეხს ავღანეთის უმაღლესი ხელისუფალი გამხდარიყო. ტახტზე ასვლისთანავე ბაჩაი საკაომ გამოაქვეყნა ფირმანი, რომლითაც გააუქმა ამანულას ყველა სარეფორმო წამოწყება, რომლებიც ეწინააღმდეგებოდნენ ისლამის მოთხოვნებს. ფორმალურად თვითონ ითვლებოდა თვითმპყრობელ ხელისუფლად, არსებითად კი სახელმწიფო საქმეებს განაგებდა კარის მინისტრი ქეჰდამანელი მსხვილი მემამულე შირ-ჯანი. ახალმა მბრძანებელმა მაშინვე აღუდგინა და მნიშვნელოვნად გაუფართოვა პრივილეგიები ხანებსა და ჰუსლიმანურ სამღვდელოებას, გააუქმა სახალხო განათლებისა და იუსტიციის სამინისტროები, დახურა სკოლები, დაარბია მუზეუმები, ბიბლიოთეკები და სხვა კულტურული დაწესებულებები.

ბაჩაი საკაოს არქირეაქციულმა რეჟიმმა მალე დაკარგა ავტორიტეტი და საყრდენი ბაზა. მან იმედი გაუცრუა: 1) ვაჭრებს, რადგანაც ფეოდალურ ანარქიას მოჰყვა ვაჭრობის მკვეთრი დაცემა; 2) სამოსამსახურო ბიუროკრატიას, კერძოდ დამხობილ დინასტიასთან ნათესაურ კავშირში მყოფთ, რომელთაც ხელიდან გამოეცალათ „თბილი“ ადგილები; 3) ავღანური თავკაცობის მნიშვნელოვან ნაწილს, რომელმაც დაკარგა ძველი პრივილეგიები, რაც ტაჯიკური თავკაცობის ხელში მოექცა; 4) ოფიცერთა ნაწილს, რომელთა თანამდებობებს სხვები დაეუფლნენ... ამას ზედ დაერთო კულტურულ დაწესებულებათა განადგურებით სახსარდაკარგული მცირერიცხოვანი ინტელიგენციის მკვეთრი უკმაყოფილება და გლეხობისა და მომთაბარეების გამოფხიზლება. მათ კარგად დაინახეს, რომ „ისლამის ბედნიერი სამეფოს“ დაპირება უბრალო თვალის ახვევა იყო.

მასობრივი უკმაყოფილება და ოპოზიცია მალე ამკარა გამოსვლაში გადაიზარდა. ყანდაარში მყოფმა ამანულამ მალე გადაწყვიტა ესარგებლა ამ გარემოებით და სათავეში ჩასდგომოდა რეაქციული ხელისუფლების წინააღმდეგ მებრძოლ ძალებს. მაგრამ მას გამოუჩნდა სერიოზული მეტოქე, მისი ყოფილი სამხედრო მინისტრი ნადირ-ხანი. იგი ევროპიდან ინდოეთში ჩავიდა და იქიდან ინგლისელების სანქციით ბრიტანეთის ვაზირისტანზე გავლით ჰოსტის პროვინციაში გამოჩნდა. უკმაყოფილო ელემენტთა მემარჯვენე დაჯგუფებამ (ვაჭრებმა, ხან-ფეოდალებმა, სამღვდელოების ნაწილმა, ოფიცრობამ და მოსაზღვრე მთიელმა ტომებმა), ისე როგორც ინგლისელებმა ნადირ-ხანს დაუჭირეს მხარი. ამან შეაპირობა ამანულა-ხანისა და მისი მომხრეების დამარცხება. ამანულას ხელმძღვანელობით დაწყებული შეტევა ყანდაარიდან ქაბულისაკენ მარცხით დამთავრდა

(1929 წლის მაისში), რამაც ყოფილი ფადიშაჰი აიძულა საბოლოოდ ხელი აეღო ტახტის დაბრუნების განზრახვაზე და საზღვარგარეთ წასულიყო[1].

რამდენიმე თვის გააფთრებული ბრძოლები ბაჩაი საკაოსა და ნადირ-ხანის მომხრეებს შორის უკანასკნელის გამარჯვებით დამთავრდა. 1929 წლის ოქტომბერში ნადირის რაზმები, ძლიეს რა რეაქციონერთა უკანასკნელ წინააღმდეგობას, დაეუფლენ ქაბულს. ჰაბიბულა და მისი უახლოესი თანამებრძოლები ტყვედ დანებდნენ და სიკვდილით იქნენ დასჯილნი. 15 ოქტომბერს გამარჯვებული ნადირ-ხანი ავღანეთის ფადიშაჰად იქნა გამოცხადებული ღაზი მუჰამედ ნადირის სახელწოდებით.

ავღანეთის საშინაო და საგარეო მდგომარეობა 1929—1939 წლებში

ავღანეთის ახალმა ხელისუფლებამ ბოლო მოუღო შინაომს, განახორციელა ახალი ღონისძიებები ცენტრალური ხელისუფლების განსამტკიცებლად და მიიღო ზომები ჩამკვდარი ეკონომიური ცხოვრების გამოსაცოცხლებლად. სათანადო ღონისძიებები შეესაბამებოდა მემამულეების, მოხელეებისა და ეროვნული ვაჭრული ბურჟუაზიის ინტერესებს და, ამასთან ერთად, განკუთვნილი იყო საყრდენი სოციალური ბაზის გასაფართოებლად.

ნადირ-შაჰი, წინამორბედ ხელისუფალთა მსგავსად, დიდმპყრობელურ პოლიტიკას ატარებდა. იგი აბუჩად იგდებდა არაავღანური მოსახლეობის ეროვნულ მისწრაფებებს და ეწეოდა მათ სასტიკ ეროვნულ ჩაგვრას. ამ ნიადაგზე 1930 წლის ივლისში ქუჰიდამანსა და ქუჰისტანში იფეთქა ტაჯიკი გლეხობის მასობრივმა აჯანყებამ, რომელიც უდიდესი სიმკაცრით ჩაახშეს.

ნადირ-შაჰის მონარქიის კლასობრივმა ხასიათმა და მისი პოლიტიკის ძირითადმა პრინციპებმა თავისი ასახვა პოვა 1931 წლის კონსტიტუციაში. მან შეცვალა 1928 წლის კონსტიტუცია, რომელიც ახალთან შედარებით საგრძნობლად დემოკრატიული იყო. კონსტიტუციის ძალით ქვეყნის მართვის მთელი სადავეები ფადიშაჰის ხელში იყო კონცენტრირებული. იგი იურიდიულად ამტკიცებდა სამღვდელოების უფლებებს განათლებისა და მართლმსაჯულების დარგში, უზრუნველყოფდა ტომთა თავკაცებისა და სხვა ფეოდალების უშუალო მონაწილეობას ხელისუფლების ცენტრალურსა და ადგილობრივ ორგანოებში, ხელუხლებლად ტოვებდა ფეოდალურ საკუთრებას მიწაზე და ამტკიცებდა ხან-მემამულეთა ფეოდალურ უფლებას გლეხობაზე. კონსტიტუცია ითვალისწინებდა არჩევით ორგა-

---

[1] იგი, როგორც კერძო პირი, ცხოვრობდა ხან იტალიაში, ხან შვეიცარიაში. გარდაიცვალა 1960 წელს შვეიცარიაში.

ნოს—სახალხო საბჭოს, რომელსაც არსებითად მხოლოდ სათათბირო უფლება ჰქონდა. გლეხობა და სხვა მშრომელები მოკლებული იყვნენ არჩევნების უფლებას. ამ ორგანოში მონაწილეობით სავაჭრო ბურჟუაზიის ზედაფენას გზა ეხსნებოდა მმართველობისაკენ. სახალხო საბჭოს შექმნა საფუძველს უყრიდა ავღანეთის კონსტიტუციურ მონარქიად გადაქცევას.

კონსტიტუციაში ფორმალურად იყო მუხლი, ყოველგვარი კერძო საკუთრების გარანტიის შესახებ, მაგრამ ფეოდალური კაბალის ბატონობის პირობებში მხოლოდ მემამულეებსა და მსხვილ ვაჭარ-მევახშეებს შეეძლოთ ესარგებლათ ამ გარანტიით.

დასასრულ, 1931 წლის კონსტიტუცია არ ცნობდა არაავღანელი ხალხების ეროვნულ თვითმყოფობას და თვითგამორკვევის უფლებას.

ნადირ-შაჰის მთავრობა, პროდასავლური ორიენტაციის მიუხედავად, არ აჰყვა იმპერიალისტურ ძალებს და არ იქცა ანტი-საბჭოთა ინტრიგების პლაცდარმად. საღმა გონებამ ფადიშაჰს უკარნახა შეენარჩუნებინა მის დიდ ჩრდილოეთ მეზობელთან ძველი კეთილმეზობლური ურთიერთობა. უამისოდ მას არ შეეძლო აემაღლებინა ქვეყნის საერთაშორისო ავტორიტეტი და ეზრუნა მის ეკონომიურ განვითარებაზე. 1930—1931 წლებში ავღანეთის ხელისუფლებამ ბოლო მოუღო ბასმაჩების ბანდებს, რომლებიც აქედან პერიოდულად თავს ესხმოდნენ სსრ კავშირის საზღვრებს, ხოლო 1931 წელს სსრ კავშირთან დადო ნეიტრალიტეტისა და ურთიერთთავდაუსხმელობის პაქტი (1926 წლის მსგავსი). მომდევნო წლებში ავღანეთმა ურთიერთხელსაყრელობის პირობებში გააფართოვა სავაჭრო-ეკონომიური კავშირი საბჭოთა კავშირთან, რამაც საშუალება მისცა მას მნიშვნელოვნად შეესუსტებინა მსოფლიო ეკონომიური კრიზისის დარტყმა.

მუჰამედ ნადირ-შაჰის რეაქციულმა საშინაო პოლიტიკამ და ამანულას მომხრეთა დევნამ გამოიწვია ახალგაზრდა ავღანელთა მოძრაობის გამოცოცხლება. „ახალგაზრდა ავღანელებს“ მიემხრო დიდგვარიანთა ნაწილი. მათ განიზრახეს შეთქმულების გზით დაემხოთ ნადირ-შაჰი და ისევ აღედგინათ ყოფილი ფადიშაჰის ხელისუფლება. „ახალგაზრდა ავღანელთა“ ნაწილმა ინდივიდუალური ტერორის გზა აირჩია. 1933 წლის 8 ნოემბერს „ახალგაზრდა ავღანელმა“ სტუდენტმა ტერორისტმა მოახერხა ნადირ-შაჰის მოკვლა. ამ აქტს მოჰყვა მასობრივი მკაცრი ტერორი ყოფილი ფადიშაჰის მომხრეთა მიმართ, ფადიშაჰის ტახტზე კი იმავე 1933 წელს ავიდა მოკლულის შვილი მუჰამედ ზაჰირ-შაჰი[1]. ავღანეთის ტახტზე მომხდარ ცვლილებას არ გამოუწვევია ავღანეთის საშინაო და საგარეო პოლიტიკის შეცვლა.

[1] იგი ამჟამადაც მეფობს.

ახალი ფადიშაჰიც იმავე საზოგადოებრივ ძალებს და დაჯგუფებებს ემყარებოდა, რასაც მოკლული ფადიშაჰი.

30-იანი წლები ავღანეთის ცხოვრებაში აღინიშნა მნიშვნელოვანი ეკონომიური გამოცოცხლებით და ეროვნული სავაჭრო ბურჟუაზიის საქმიანობის გაძლიერებით. ხელისუფლების ეკონომიური პოლიტიკა მიმართული იყო ეროვნული სავაჭრო კაპიტალის საქმიანობის წახალისებისა და მისი ცენტრალიზაციისაკენ. ამ მიზანს ისახავდა მსხვილი სააქციონერო სავაჭრო მონოპოლისტური გაერთიანებების — შირქეთების შექმნა. ხელისუფლება ყოველმხრივ ეხმარებოდა შირქეთებს და მტკიცედ იცავდა მათ მონოპოლიურ უფლებებს. მათ მეპაიეებად, გარდა მსხვილი ვაჭრებისა, ითვლებოდნენ მსხვილი მემამულეები, ხანები, მინისტრები, მაღალი მოხელეები, გენერლები და თვით სამეფო გვარეულობის გავლენიანი წარმომადგენლები. შირქეთების „ბიზნესის“ მონოპოლიურ სფეროს წარმოადგენდა საიმპორტო საქონლის გაყიდვა ქვეყნის შიგნით და ადგილობრივი ნედლეულის დამზადება მისი მომდევნო ექსპორტისათვის. მონოპოლიურმა უფლებამ საშუალება მისცა ამ მსხვილ საააქციონერო საზოგადოებებს გამოეძევებინათ საგარეო ვაჭრობიდან უცხოელი ვაჭრები — ინდუსები და ინგლისელები. მონოპოლიურმა უფლებამ, ხელისუფლების მხარდაჭერამ, მსხვილ ფეოდალებთან კავშირმა და გამოძალვის მეთოდებმა, რასაც იყენებდნენ შრომელი მოსახლეობის მიმართ, შირქეთებს შესაძლებლობა მისცა დიდი გავლენა მოეპოვებინათ ქვეყნის ეკონომიკაზე.

1933 წელს შეიქმნა ავღანეთის ეროვნული ბანკი, რომლის მთავარ აქციონერს თვით სახელმწიფო წარმოადგენდა. მის ფუნქციაში, გარდა სავალუტო ოპერაციებისა, შედიოდა დაკრედიტების, ემისიისა და ბანკნოტების გაცემის უფლებები. შირქეთების საქმიანობამ და ეროვნული ბანკის დაარსებამ ბიძგი მისცა სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის განვითარებას და დააჩქარა სოფლად ნატურალური მეურნეობის რღვევა. ამან, თავის მხრივ, შექმნა პირობები ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის საშუალებათა განვითარებისა და საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობის ჩასახვისათვის. მეორე მსოფლიო ომის წინა წლებში სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით (ან სახელმწიფო კაპიტალის მონაწილეობით) აიგო რამდენიმე სამრეწველო საწარმო. აღნიშნულ საწარმოთა ნაწილის მშენებლობა წარმოებდა საბჭოთა კავშირის დახმარებით. კაპიტალისტური სახელმწიფოების კაპიტალმაც დაიწყო „მოღვაწეობა“ ავღანეთში..

აღნიშნულ წლებში ადგილი ჰქონდა კულტურულ გამოცოცხლებასაც. 1931 წელს შეიქმნა ლიტერატურული საზოგადოება, გაიხსნა

პირველი უმაღლესი სასწავლებელი — სამედიცინო ინსტიტუტი (1932 წ.) და რამდენიმე პროფესიულ-ტექნიკური და ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სასწავლებელი. გაიზარდა ინტერესი წარსულის შესწავლისადმი და ა. შ. ძვრები კულტურის დარგში უფრო მეტი იქნებოდა, მუსლიმანური სამღვდელოება და სხვა რეაქციული წრეები რომ არ მდგარიყვნენ წყვდიადის, უმეცრებისა და რელიგიური ფანატიზმის მეუფების სადარაჯოზე.

მეორე მსოფლიო ომისწინა წლებში ავღანეთის საგარეო პოლიტიკაში ორი ძირითადი ტენდენცია შეინიშნება: პირველი იყო კეთილმეზობლური ურთიერთობის შენარჩუნება და სავაჭრო-ეკონომიური კავშირის გაფართოება სსრ კავშირთან, მეორე — იმპერიალისტურ სახელმწიფოებთან დაახლოება და მათი გავლენის ზრდა. პირველი ჯანსაღი ტენდენცია იყო და სავსებით შეესაბამებოდა როგორც ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს, ისე მშვიდობის განმტკიცების საქმეს, მეორე, პირიქით, მიმართული იყო როგორც ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესების, ისე მშვიდობის წინააღმდეგ.

მართალია, 1936 წელს ავღანეთის მთავრობამ სსრ კავშირთან ხელი მოაწერა ოქმს 1931 წლის ხელშეკრულების ვადის ათი წლით გადიდების შესახებ, მაგრამ ამის პარალელურად 1937 წელს იგი გახდა საადაბადის პაქტის მონაწილე, პაქტისა, რომელიც სსრ კავშირის წინააღმდეგ იყო მიმართული. ამას ზედ დაერთო ფაშისტური გერმანიისა და იტალიის გავლენის სერიოზული გაძლიერება, რამაც თავი იჩინა როგორც ეკონომიურ დარგში, ისე პოლიტიკურშიც. გერმანიისა და იტალიის მონოპოლისტებმა გაიფართოეს თავიანთი ოპერაციები ავღანეთთან და მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავეს მის იმპორტსა და ექსპორტში. გერმანულმა კაპიტალმა ფართოდ შეაღო ამ ქვეყნის კარი და ხელში ჩაიგდო რამდენიმე სარფიანი საკონცესიო წამოწყება. დასასრულ, ავღანეთს მრავლად მოეევლინენ იტალიელი და გერმანელი „მრჩევლები", „ტურისტები", „სიძველეთა მაძიებლები", და სხვები, რომლებიც არსებითად შენიღბულ აგენტებს წარმოადგენდნენ. ფაშისტური აგენტურა ლამობს გაავრცეს სახელმწიფო აპარატში, მოიპოვოს გავლენა სამეფო კარზე, არმიასა და პოლიციაში.

ავღანეთი მეორე მსოფლიო ომის წლებში

ავღანეთს მეორე მსოფლიო ომში მონაწილეობა არ მიუღია. 1939 წლის 7 სექტემბერს, ევროპაში ომის დაწყების რამდენიმე დღის შემდეგ, ავღანეთის მთავრობამ ნეიტრალიტეტი გამოაცხადა და ვალდებულება იკისრა მტკიცედ დაეცვა იგი. მიუხედავად ამისა, ავღანეთში მოკალათებულმა ფაშისტური გერმანიისა და

იტალიის აგენტებმა გადაწყვიტეს აემღვრიათ წყალი და ექციათ ეს ქვეყანა ანტისაბჭოთა დივერსიებისა და პროვოკაციების ბაზად. მაგრამ ისინი მარტო ამ მიზანს როდი ისახავდნენ. გერმანელი აგენტების ნაწილი აქტიურად მოქმედებდა ინდოეთ-ავღანეთის მთიანი რაიონის დამოუკიდებელ ავღანურ ტომთა შორის, აწვდიდა მათ იარაღს, ფულს და აქეზებდა ინგლისელთა წინააღმდეგ აჯანყებისაკენ. ფაშისტური აგენტურის ძირგამომთხრელი საქმიანობა, რაც განსაკუთრებით გაძლიერდა ჰიტლერული გერმანიის საბჭოთა კავშირზე თავდასხმის შემდეგ, შეუთავსებელი იყო ავღანეთის მიერ აღებულ ვალდებულებასთან. მათი საეჭვო საქმიანობა ავღანეთის ჩრდილოეთით—ავღანეთ-სსრ კავშირის საზღვრების გასწვრივ უშუალო საფრთხეს უქმნიდა საბჭოთა კავშირის საზღვრების უშიშროებას. საბჭოთა კავშირის მთავრობამ ამასთან დაკავშირებით საგანგებო მიმართვა გაუგზავნა ავღანეთის მთავრობას (ასეთივე მიმართვა გაუგზავნა ინგლისის მთავრობამაც), რომლითაც მისი ყურადღება მიაქცია შექმნილ ვითარებაზე, რაც შეუთავსებელი იყო 1931 წლის ხელშეკრულებით მის მიერ ნეიტრალიტეტისა და თავდაუსხმელობის შესახებ აღებულ ვალდებულებებთან. ავღანეთის მთავრობამ ანგარიში გაუწია ამ მიმართვას და 1941 წლის ოქტომბერში გააძევა ქვეყნიდან ორასზე მეტი გერმანელი და იტალიელი (საელჩოს თანამშრომელთა გამოკლებით). 1941 წლის ნოემბერში დიდმა ჯირგამ დაადასტურა ავღანეთის გადაწყვეტილება ბოლომდე შეენარჩუნებინა მკაცრი ნეიტრალიტეტი.

ომმა უარყოფითი გავლენა მოახდინა ავღანეთზე და სერიოზული ეკონომიური სიძნელეები შეუქმნა მას. ომმა დარღვია ომამდელი სავაჭრო-ეკონომიური კავშირი მსოფლიო ბაზართან, მკვეთრად შეამცირა უცხოური საქონლის შემოზიდვა და ნედლეულის გაზიდვა საზღვარგარეთ. ამის უშუალო შედეგი იყო სამრეწველო საქონლის (ქსოვილების, შაქრის, ნავთობის...) ნაკლებობა, მისი ფასების გადიდება და სპეკულაცია. ნედლეულის ექსპორტის მკვეთრმა დაცემამ, თავის მხრივ სერიოზული ფინანსური სიძნელეები წარმოშვა, რის დასაძლევად ხელისუფლებამ გაადიდა პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადები. პირველი მოთხოვნილების საქონლის ფასების ზრდამ, ნედლეულის ფასების დაცემამ, გადასახადების გადიდებამ და სხვადასხვა სტიქიურმა უბედურებამ[1] მეტად მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა ავღანეთის მშრომელი მასები, კერძოდ გლეხობა. მემამულეებმა და მსხვილმა ვაჭრებმა პირიქით, ხელი მოითბეს ომით წარმო-

---

[1] 1944—1945 წლების გვალვამ და მკაცრმა ზამთარმა მკვეთრად შეამცირა პირუტყვის სულადობა და ნათესი ფართობი.

შობილი სიძნელეებით და მასების ავბედობა მორიგი გამდიდრებისათვის გამოიყენეს. მემამულეებმა მკვეთრად გაადიდეს საიჯარო გადასახადი, შირქეთებმა კი დააწესეს დაბალი ფასები შესასყიდ ნედლეულზე, რის შედეგადაც მნიშვნელოვნად გაზარდეს სააქციონერო კაპიტალის რაოდენობა.

ეკონომიურმა სიძნელეებმა და მშრომელთა მატერიალური მდგომარეობის კატასტროფულმა დაცემამ გამწვავა შინაპოლიტიკური ვითარება. აქა-იქ მოსახლეობა აშკარა ურჩობის გზას დაადგა. 1944—1945 წლებში აღმოსავლეთ ავღანეთში ადგილი ჰქონდა მადანისა და საფოს ტომების მასობრივ აჯანყებებს.

უცხოეთის მონოპოლიები შეეცადნენ თავიანთი ეგოისტური ინტერესებისათვის გამოეყენებინათ ავღანეთის ეკონომიურ-ფინანსური სიძნელეები და ფართოდ მოეკიდათ ფეხი ამ ქვეყნის ეკონომიკაში. განსაკუთრებული აქტივობა ამ მხრივ გამოიჩინეს ინგლისელმა მონოპოლისტებმა. ინგლისის მონოპოლისტური კაპიტალის მაგნატებს არც ამერიკელი საქმოსნები ჩამორჩნენ. ამერიკის კაპიტალის ავღანეთში შეჭრის იარაღად იქცა 1940 წელს ნიუ-იორკში შექმნილი „ავღან-ამერიკენ ტრედ იანგ კომპანი". მან მონოპოლიურად ხელთ იგდო ავღანური კრაველის გატანა და გაყიდვა მსოფლიო ბაზარზე. 1942 წელს ქაბულში გაიხსნა აშ შტატების დიპლომატური მისია, რომელიც სათავეში ჩაუდგა აშ შტატების ეკონომიურ-ფინანსური და პოლიტიკური გავლენის დანერგვას ავღანეთში.

ირანი 1918—1945 წლებში

ირანი 1918—1933 წლებში

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გავლენა ირანზე

პირველი მსოფლიო ომის დასასრულისათვის ირანი წარმოადგენდა ჩამორჩენილ აგრარულ ქვეყანას, ნახევრად ფეოდალური და ნახევრად კოლონიური ეკონომიკით. ამ ქვეყანაში გაბატონებული მემამულეები სასტიკ ფეოდალურ ექსპლოატაციას უწევდნენ როგორც ირანელ გლეხობას, ისე არაირანულ მოსახლეობასაც (აზერბაიჯანელები, არაბები, ქურთები, ბელუჯები, ბაჰთიარები, ქართველები...). ქვეყნის პერიფერიულ ნაწილებში სოციალური და ეროვნული ჩაგვრა მჭიდროდ იყო გადანასკვული ერთმანეთში.

სოფლად კვლავინდებურად ბატონობდა ფეოდალური წესები. მიწების 90%-ზე მეტი, სარწყავი სისტემა და სამუშაო იარაღები შაჰს, ხან-ფეოდალებსა და სამღვდელოებას ეკუთვნოდა. უმიწაწყლო გლეხობა მოზიარეობის მძიმე კაბალურ პირობებში ამუშავებდა მემამულეთა მიწებს და უხდიდა მას ნატურალურ რენტას მოსავლის 2/5-იდან 4/5-მდე. იგი, ამასთან ერთად, იძულებული იყო გაეღო გამოსაღები ეკლესიისა და სახელმწიფოს სასარგებლოდ, შეესრულებინა სხვადასხვა შრომითი ბეგარა. მომთაბარე ტომებში ჯერ კიდევ შემორჩენილი იყო გვარტომული და ფეოდალურ-პატრიარქალური ურთიერთობა. ფეოდალური არტახებით შებოჭილ სოფელში ბატონობდა მშრომელთა სრული უუფლებობა, უმეცრება, რელიგიური ფანატიზმი, მასობრივი დაუსაქმებლობა, გადამდები სნეულებანი და შიმშილი.

ირანში იმპერიალისტ-კოლონიზატორთა ხელში იყო ეკონომიკის წამყვანი დარგები: საბანკო-საკრედიტო სისტემა, საგარეო ვაჭრობა, კავშირის საშუალებანი, ნავთობის მოპოვება-გადამუშავება, სამრეწველო საწარმოები, თევზჭერა, ხე-ტყის დამუშავება... ინგლისური კაპიტალი ბატონობდა ამ ქვეყანაში „ინგლის-ირანის ნავთობის კომპანიის“, შაჰინ-შაჰის ბანკისა და სხვა უმსხვილესი მონოპოლიების მეშვეობით.

ᲫᲚᲔᲕᲘᲚᲘ ᲙᲐᲞᲘᲢᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝᲑᲐ ᲘᲠᲐᲜᲨᲘ ᲗᲘᲗᲥᲛᲘᲡ ᲐᲠ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲓᲐ. ᲥᲐᲚᲐᲥᲔᲑᲨᲘ ᲭᲐᲠᲑᲝᲑᲓᲐ ᲮᲔᲚᲝᲡᲜᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲬᲕᲠᲘᲚᲘ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘ. ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲙᲚᲐᲡᲘ ᲐᲮᲚᲐᲓ ᲩᲐᲡᲐᲮᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲪᲘᲠᲔᲠᲘᲪᲮᲝᲕᲐᲜᲘ ᲘᲧᲝ. ᲡᲐᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝ ᲑᲣᲠᲟᲣᲐᲖᲘᲐ ᲡᲐᲗᲐᲜᲐᲓᲝ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲘ ᲑᲐᲖᲘᲡᲘᲡ ᲣᲥᲝᲜᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲗᲘᲗᲥᲛᲘᲡ ᲐᲠ ᲘᲧᲝ. ᲛᲐᲡ ᲪᲕᲚᲘᲓᲐ ᲕᲐᲭᲠᲣᲚᲘ ᲑᲣᲠᲟᲣᲐᲖᲘᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲛᲭᲘᲓᲠᲝᲓ ᲘᲧᲝ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲔᲛᲐᲛᲣᲚᲣᲠ ᲛᲘᲬᲐᲗᲛᲤᲚᲝᲑᲔᲚᲝᲑᲐᲡᲗᲐᲜ. ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲡᲮᲕᲐ ᲜᲐᲮᲔᲕᲠᲐᲓ ᲙᲝᲚᲝᲜᲘᲣᲠᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲡᲒᲐᲕᲡᲐᲓ ᲘᲠᲐᲜᲨᲘᲪ ᲘᲧᲝ ᲙᲝᲛᲞᲠᲐᲓᲝᲠᲣᲚᲘ ᲑᲣᲠᲟᲣᲐᲖᲘᲐ (ᲘᲠᲐᲜᲣᲚᲘ, ᲡᲝᲛᲮᲣᲠᲘ, ᲘᲜᲓᲣᲠᲘ...), ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲘᲛᲞᲔᲠᲘᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲐᲒᲔᲜᲢᲣᲠᲘᲡ ᲠᲝᲚᲘᲡ ᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲓᲐ.

ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲣᲚᲛᲐ ᲛᲫᲘᲛᲔ ᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲛ ᲓᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲝᲙᲣᲞᲐᲪᲘᲐᲛ ᲘᲜᲒᲚᲘᲡ-ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲯᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ, ᲘᲠᲐᲜᲨᲘ ᲨᲔᲐᲛᲖᲐᲓᲐ ᲝᲑᲘᲔᲥᲢᲣᲠᲘ ᲬᲜᲐᲛᲫᲦᲕᲠᲔᲑᲘ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲤᲐᲠᲗᲝ ᲤᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲡᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲐᲦᲨᲤᲝᲗᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲣᲠ-ᲒᲐᲜᲛᲐᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ. ᲨᲘᲜᲐᲒᲐᲜ ᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲡ ᲓᲐᲔᲠᲗᲝ ᲓᲘᲓᲘ ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ ᲧᲝᲤᲘᲚ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲐᲖᲔ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲛᲫᲚᲐᲕᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲛᲫᲐᲮᲘᲚᲘ ᲞᲝᲕᲐ ᲐᲛ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲓᲐ ᲣᲓᲘᲓᲔᲡᲘ ᲒᲐᲔᲚᲔᲜᲐ ᲘᲥᲝᲜᲘᲐ ᲛᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛ ᲡᲕᲔ-ᲑᲔᲓᲖᲔ.

1917 ᲬᲚᲘᲡ 24 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲡ (3 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲡ) ᲠᲡᲤᲡᲠ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲙᲝᲛᲘᲡᲐᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲛ ᲒᲐᲛᲝᲐᲥᲕᲔᲧᲜᲐ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲐ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲛᲣᲡᲚᲘᲛᲐᲜᲘᲡᲐᲓᲛᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲨᲘᲐᲪ ᲛᲙᲐᲤᲘᲝᲓ ᲘᲧᲝ ᲩᲐᲛᲝᲧᲐᲚᲘᲑᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐ�გᲐᲠᲔᲯᲝ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲡ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲔᲑᲘ, ᲛᲘᲡᲘ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ ᲛᲣᲡᲚᲘᲛᲐᲜᲣᲠᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲡ ᲮᲐᲚᲮᲔᲑᲘᲡᲐᲓᲛᲘ. ᲐᲛ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲘᲗ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐ ᲛᲙᲐᲪᲠᲐᲓ ᲒᲛᲝᲑᲓᲐ ᲛᲔᲤᲘᲡ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲛᲢᲐᲪᲔᲑᲚᲣᲠ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐᲡ ᲘᲠᲐᲜᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ. „ᲩᲕᲔᲜ ᲕᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲗ, — ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲐᲛ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲐᲨᲘ, — ᲠᲝᲛ ᲮᲔᲚᲨᲔᲙᲠᲣᲚᲔᲑᲐ ᲘᲠᲐᲜᲘᲡ ᲒᲐᲧᲝᲤᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲛᲝᲡᲐᲠᲑᲘᲚᲘᲐ. ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲙᲘ ᲨᲔᲬᲧᲓᲔᲑᲐ ᲡᲐᲝᲛᲐᲠᲘ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐᲜᲘ, ᲯᲐᲠᲔᲑᲘ ᲒᲐᲛᲝᲘᲧᲕᲐᲜᲔᲑᲐ ᲡᲞᲐᲠᲡᲔᲗᲘᲓᲐᲜ ᲓᲐ ᲡᲞᲐᲠᲡᲔᲚᲔᲑᲡ ᲛᲘᲔᲪᲔᲛᲐᲗ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲑᲔᲓᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲐᲓ ᲒᲐᲜᲡᲐᲖᲦᲕᲠᲘᲡ ᲡᲠᲣᲚᲘ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ“.

ᲘᲛᲐᲕᲔ ᲬᲚᲘᲡ ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲨᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲛ ᲛᲝᲚᲐ�პᲐᲠᲐᲙᲔᲑᲐ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲘᲠᲐᲜᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲔᲑᲗᲐᲜ ᲘᲠᲐᲜᲘᲡ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲘᲓᲐᲜ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲯᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲔᲕᲐᲙᲣᲐᲪᲘᲘᲡ ᲗᲐᲝᲑᲐᲖᲔ. ᲐᲛᲐᲡ ᲛᲝᲰᲧᲕᲐ ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲣᲚᲘ ᲜᲐᲑᲘᲯᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲯᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲔᲕᲐᲙᲣᲐᲪᲘᲘᲡ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲐ, ᲠᲐᲪ 1918 ᲬᲚᲘᲡ ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲨᲘ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ. ᲐᲛ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲣᲚ ᲜᲐᲑᲘᲯᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐᲛ ᲒᲐᲛᲝᲐᲥᲕᲔᲧᲜᲐ ᲛᲔᲤᲘᲡ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲗᲐᲜ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲗᲐᲜ ᲓᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲘᲓᲣᲛᲚᲝ ᲮᲔᲚᲨᲔᲙᲠᲣᲚᲔᲑᲔᲑᲘ ᲘᲠᲐᲜᲘᲡ ᲒᲐᲧᲝᲤᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲙᲐᲑᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ; ᲗᲐᲜᲐᲪ ᲒᲐᲓᲐᲘᲓᲒᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲜᲐᲑᲘᲯᲔᲑᲘ ᲘᲠᲐᲜᲗᲐᲜ ᲓᲘᲞᲚᲝᲛᲐᲢᲘᲣᲠᲘ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲛᲧᲐᲠᲔᲑᲚᲐᲓ.

ᲓᲘᲓᲘ ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲔᲚᲛᲧᲝ-

ფელმა იდეებმა და ახალგაზრდა საბჭოთა რუსეთის მიერ ირანის მიმართ გადადგმულმა ზემოაღნიშნულმა კეთილმეზობლურმა ნაბიჯებმა უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინეს ირანელ ხალხზე. მათ მომავლის ნათელი იმედი ჩაუსახეს ირანის დაბეჩავებულ მშრომელებს, გამოაფხიზლეს და გამოიყვანეს საზოგადოებრივ ასპარეზზე, ჩააბეს ისინი ანტიიმპერიალისტურ-განმათავისუფლებელ ბრძოლაში. ირანი, აღმოსავლეთის სხვა ქვეყნების მსგავსად, მასობრივი ანტიიმპერიალისტური და დემოკრატიული მოძრაობის მნიშვნელოვანი კერა გახდა.

უკვე 1918 წლის პირველ ნახევარში თეირანში აღმოცენდნენ სტამბის, პურის საცხობის მუშათა და ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა, მასწავლებელთა პროფესიული კავშირები. აქა-იქ სტიქიურად დაიწყო მშრომელთა გაფიცვები. გააქტიურდნენ ქუჩეკ-ხანის ხელმძღვანელობით გილანის პროვინციაში მოქმედი პარტიზანული რაზმები („ჯანგალელები"); რეშთში, ენზელში, თავრიზში, ჰამადანსა და ქერმანშაჰში ადგილობრივი მშრომელებისა და რევოლუციურად განწყობილი რუსი ჯარისკაცების მონაწილეობით შეიქმნა საბჭოები.

მაგრამ ირანში დაწყებულ ანტიიმპერიალისტურ, დემოკრატიულ მოძრაობას დასაწყისიდანვე თან ახლდა რიგი ნაკლოვანებანი, რაც ქვეყნის სოციალურ-ეკონომიური პირობებით იყო გაპირობებული: ნაკლები ორგანიზება და დემოკრატიული ძალების სისუსტე, ერთიანი ფრონტის ზერელე ხასიათი, ეროვნული ვაჭრული ბურჟუაზიის არათანმიმდევრობა და კაპიტულანტური მიდრეკილება, ახალგაზრდა მუშათა კლასის უუნარობა სათავეში ჩასდგომოდა დემოკრატიული ძალების ბრძოლას და სხვ.

ირანის ინტერვენცია ინგლისელების მიერ და ინგლის-ირანის 1919 წლის კაბალური შეთანხმება

საბჭოთა ხელისუფლების დაუძინებელმა მტერმა ინგლისის იმპერიალიზმმა, რომელსაც განზრახვა ჰქონდა გაბატონებულიყო ირანში და ექცია იგი ამიერკავკასიაში შეჭრის პლაცდარმად, მაშინვე დაიწყო ირანის სრული ოკუპაცია, როგორც კი დამთავრდა იქიდან რუსეთის ჯარების ევაკუაცია. ამ საქმეში მას ხელი შეუწყეს ირანის რეაქციულმა წრეებმა და ჩრდილო ირანში მოკალათებულმა თეთრგვარდიულმა ბანდებმა (რუსი კაზაკების ნაწილები, რომელთა უფროსი იყო თეთრგვარდიელი გენერალი ბიჩერახოვი). ერთნიც და მეორენიც გამსჭვალული იყვნენ მისწრაფებებით: ჩაეხშოთ ირანში ფეხმოკიდებული დემოკრატიული მოძრაობა, შეენარჩუნებინათ ძველი ურთიერთობა და არ დაეშვათ ირან-საბჭოთა რუსეთის დაახლოება. ინგლისის იმპერიალიზმის ღონისძიებები ირანში იმ ვრცელი საინტერვენციო პოლიტიკის ნაწილი იყო, რასაც ახორციელებდა იგი ახალგაზრდა საბჭოთა ხელისუფ-

ლების დასამხობად და ახლო აღმოსავლეთში თავისი ბატონობის განსამტკიცებლად.

ერთი არმია გენერალ მალესონის სარდლობით ინგლისელებმა გაგზავნეს ჩრდილო-აღმოსავლეთით. მას უნდა მოეხდინა ხორასნის ოკუპაცია და იქიდან შეჭრილიყო იმიერკავკასიის ტერიტორიაზე. მეორე არმია, რომელსაც გენერალი დესტენვილი მეთაურობდა, გაიგზავნა ჩრდილო-დასავლეთით. მის წინაშე დასმული იყო ამოცანა ხელთ ეგდო რეშთი, ენზელი, გილანის მთელი პროვინცია, შეჭრილიყო ამიერკავკასიაში და მოეხდინა ბაქოს ოკუპაცია.

დასახული მტაცებლური გეგმები მხოლოდ 1918 წლის აგვისტოში იქნა მოყვანილი სისრულეში. ამაში ინგლისელ ინტერვენტებს დაეხმარნენ თეთრგვარდიელი ბანდები და „ჯანგალელთა" რაზმების მეთაური ქუჩეკ-ხანი. იგი ინგლისელი ინტერვენტების წინააღმდეგ ენერგიული ბრძოლის ნაცვლად შეუთანხმდა მათ, მისცა გილანის პროვინციის, კერძოდ რეშთის ოკუპაციის შესაძლებლობა, მოამარაგა საჭირო სურსათით და გაატარა მათი ძალები ბაქოსაკენ[1].

ირანის ფაქტიური ოკუპაციის შემდეგ ინგლისელმა იმპერიალისტებმა აიძულეს შაჰი შეედგინა ახალი (ანგლოფილური) მთავრობა— თავიანთ სარდლობას დაუმორჩილეს ირანელ კაზაკთა დივიზია (რუსი ოფიცრები ინგლისელი ინსტრუქტორებით შეცვალეს) და გადადგეს ნაბიჯები ირანისათვის კაბალური ხელშეკრულების თავზე მოსასვევად. მათი უშუალო მითითებით ახალმა მთავრობამ შეწყვიტა საბჭოთა რუსეთთან ხელშეკრულების დადების თაობაზე პეტერბურგში დაწყებული მოლაპარაკება. ამის პასუხად საბჭოთა რუსეთმა თეირანში მიავლინა დიპლომატიური მისია ი. ო. კოლომიიცევის ხელმძღვანელობით. მაგრამ ეს უკანასკნელი შეიპყრეს ინგლისელებმა და ინდოეთში გადაასახლეს. როცა გაჭირვებით უკან დაბრუნებული კოლომიცევი ხელმეორედ გაიგზავნა ირანში (1919 წ. აგვისტოში), იგი ირანში ჩასვლისთანავე შეიპყრეს თეთრგვარდიელებმა და დახვრიტეს ინგლისელებისა და შაჰის ხელისუფლების სანქციით.

1919 წლის 9 აგვისტოს ვოსუყ-ოდ-დოულეს რეაქციულ-ანგლოფილურმა მთავრობამ ინტერვენტთა დაჟინებითი მოთხოვნით მეჯლისის სანქციის გარეშე, ხელი მოაწერა ინგლის-ირანის კაბალურ შეთანხმებას[2].

აღნიშნული შეთანხმება არსებითად მოასწავებდა ინგლისის პროტექტორატის დაწესებას მათ მიერ უკვე ოკუპირებულ ირანზე. ირა-

---

[1] ამის სანაცვლოდ ინგლისელებმა ქუჩეკ-ხანი იცნეს გილანის პროვინციის მმართველად.

[2] ეროვნული ინტერესების გამყიდველმა პრემიერმა და მისმა მინისტრებმა ამისათვის 1.300.000 მანეთი ქრთამი მიიღეს ინგლისის მთავრობისაგან.

ნი ვალდებული იყო მიეღო ინგლისელი ექსპერტ-მრჩეველები და მათი კონტროლისათვის დაექვემდებარებინა ფინანსები, საგზაო მშენებლობა, კავშირგაბმულობის საშუალებები, საგარეო ვაჭრობა, არმია და მთელი ეკონომიური საქმიანობა. ინგლისი თავის თავზე იღებდა ირანის არმიის რეორგანიზაციას და მის აღჭურვას ინგლისური თანამედროვე იარაღით. საამისოდ ირანში უნდა გაგზავნილიყო ინგლისური სამხედრო მისია, რომელსაც ვანუსაზღვრელი რწმუნებები ეძლეოდა. ინგლისის მონოპოლიურ უფლებაში გადადიოდა რკინიგზების და მიმოსვლის სხვა საშუალებათა აშენებლობა. ირანი ვალდებული იყო ინგლისის სასარგებლოდ შეეცვალა საბაჟო ტარიფები და ა. შ. ყოველივე ამის სანაცვლოდ ირანს ეძლეოდა კაბალური სესხი 2 მილიონი გირ. სტერლინგის ოდენობით.

ინგლისელმა იმპერიალისტებმა მაშინვე ხელი მიჰყვეს ამ კაბალური შეთანხმების რეალიზაციას. ირანის ფინანსები დაექვემდებარა ინგლისელი მრჩეველის სმიტის კონტროლს, არმია — ინგლისელი ოფიცრებისას. დაიდო ინგლის-ირანის ახალი საბაჟო კონვენცია, რომლის ძალითაც დაწესდა დაბალი შესატანი ტარიფები ინგლისური საქონლისათვის, მაღალი — საბჭოთა რუსეთიდან შეტანილი საქონლისათვის. ამას მოჰყვა ინგლისური საქონლის მონოპოლია ირანის ბაზარზე, რამაც დიდი ზიანი მიაყენა ირანის ხელოსნობას, შინამრეწველობასა და წვრილ წარმოებას. ინგლისელ იმპერიალისტთა ბატონობა პოლიტიკურ სფეროსაც მისწვდა და იქაც დაამყარა თავისი კვალი.

ადგილობრივი აგენტების მეშვეობით მათ დაიწყეს ეროვნულ-განმათავისუფლებელი და დემოკრატიული ტენდენციების ჩახშობა.

ბრძოლა ინგლისელი იმპერიალისტებისა და მათი აგენტურის წინააღმდეგ. ხიაბანისტთა აჯანყება თავრიზში

ინგლის-ირანის კაბალურმა შეთანხმებამ და ინგლისელ იმპერიალისტთა პარპაშმა აღაშფოთა ირანის მოსახლეობის ფართო ფენები. ქალაქებში სტიქიურად დაიწყო მიტინგები და დემონსტრაციები, გავრცელდა ანტიინგლისური მოწოდებები და პროკლამაციები. 1919 წლის კაბალური შეთანხმების ლიკვიდაცია ირანის მოსახლეობის საყოველთაო მოთხოვნად იქცა. მასობრივი ანტიინგლისური მოძრაობა მალე მოსახლეობის ფართო ფენებს მოედო და მრისხანე რევოლუციურ გამოსვლებში გადაიზარდა. ირანში აღმოცენდა ანტიიმპერიალისტური აჯანყების რამდენიმე კერა.

პირველმა ასეთმა აჯანყებამ იფეთქა ირანის აზერბაიჯანის მთავარ ქალაქ თავრიზში. აჯანყება, რომელსაც სათავეში ედგა აზერბაიჯანელ დემოკრატთა ლიდერი, 1905—1911 წლების რევოლუციის მონაწილე შეიხი მოჰამედ ხიაბანი, დაიწყო 1920 წლის 7 აპრილს. აჯან-

ყებაში მონაწილეობდნენ: მუშები, ხელოსნები, წვრილი ბურჟუაზია, ეროვნული სავაჭრო ბურჟუაზია და პროგრესული ინტელიგენცია. ხელმძღვანელი როლი ეკუთვნოდა ვაჭრულ ბურჟუაზიას, რომლის ინტერესების გამომხატველი იყო ხიაბანის მიერ დაარსებული დემოკრატიული პარტია.

აჯანყებულთა ძირითადი მოთხოვნები იყო 1919 წლის კაბალური შეთანხმების ლიკვიდაცია, ეროვნული დამოუკიდებლობა, ირანის რესპუბლიკად გამოცხადება, ირანის აზერბაიჯანის ავტონომია და დემოკრატიული გარდაქმნები. აჯანყებულთა რაზმებმა მშრომელთა აქტიური მხარდაჭერით ხელთ იგდეს თავრიზი და გააძევეს იქიდან გუბერნატორი და რეაქციული მოხელეები. აჯანყება გასცდა თავრიზს და მოედო აზერბაიჯანის სხვა მნიშვნელოვან ცენტრებსაც. ძალაუფლება იქაც დემოკრატების ხელში გადაეიდა.

ხელისუფლების სათავეში მოქცეულმა აზერბაიჯანელმა დემოკრატებმა გაატარეს ზოგიერთი პროგრესული ხასიათის ღონისძიება და მიიღეს ზომები მშრომელთა მატერიალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. მათ გააჩაღეს ბრძოლა შიმშილისა და სპეკულაციის წინააღმდეგ, შეამცირეს სურსათის ფასები, გადადგეს ნაბიჯები ჯანმრთელობისა და განათლების საქმის გასაუმჯობესებლად და სხვ. მაგრამ ხიაბანმა და აჯანყების სხვა ხელმძღვანელებმა ბურჟუაზიული შეზღუდულობის გამო დაუშვეს რამდენიმე სერიოზული შეცდომა. მათ არ მიიღეს ზომები აგრარული საკითხის რევოლუციურად გადასაწყვეტად, არ დაამყარეს კავშირი მეზობელი გილანის რევოლუციონერებთან, არ მოახდინეს რეაქციისა და იმპერიალიზმის მომხრეთა განიარაღება, გამოიჩინეს დაუდევრობა თავრიზისა და ირანის აზერბაიჯანის სხვა ცენტრების გამაგრება-თავდაცვის საქმეში, დაადგნენ პასიური თავდაცვის მცდარ ტაქტიკას და მშრომელი მასებისადმი შიშისა და უნდობლობის გამო საჭიროდ არ ჩათვალეს მათი მასობრივი შეიარაღება. დაბოლოს, ისინი მტრულად იყვნენ განწყობილი საბჭოთა რუსეთისადმი და გაურბოდნენ კონტაქტს ამიერკავკასიის მშრომელებთან. ყოველივე ამან განაპირობა აჯანყების ტრაგიკული ფინალი. 1920 წლის აგვისტოში შაჰის ხელისუფლებამ აჯანყებულთა წინააღმდეგ დაძრა ინგლისელთა მიერ გაწვრთნილი და შეიარაღებული არმიის დიდი შენაერთები. ამავე დროს ინგლისელებმა თავრიზში მოკალათებული კონტრრევოლუციური ელემენტების მეშვეობით მოაწყეს კონტრრევოლუციური შეთქმულება. ხანგრძლივი და გააფთრებული ბრძოლების შემდეგ 1920 წლის სექტემბერში რეაქციისა და ინგლისელ იმპერიალისტთა შეერთებულმა ძალებმა

სძლიეს აჯანყებულ დემოკრატებს და სისხლში ჩაახშვეს იგი. ხიაბანი და ათეული მისი თანამებრძოლი მხეცურად მოკლეს.

კომუნისტური პარტიის შექმნა. ეროვნულ - განმათავისუფლებელი და ანტიფეოდალური მოძრაობა გილანსა და ხორასანში

1920 წლის მეორე ნახევარში მძლავრი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა გაჩაღდა ირანის მეორე ჩრდილო პროვინციაში — გილანში. ამ მოძრაობის აღმოცენებას უშუალო ბიძგი მისცა საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებამ ბაქოსა და ამიერკავკასიაში და ინგლისელი ინტერვენტების გაძევებამ ბაქოდან და ენზელიდან[1]. 1920 წლის მაისში ტყეებში მიმალული ჯანგალელები გამოვიდნენ სააშკარაოზე და პროვინციის მშრომელთა დახმარებით თითქმის უბრძოლველად დაეუფლნენ რეშთს, გილანის სხვა მნიშვნელოვან ცენტრებს, აგრეთვე მაზანდერანის პროვინციის ნაწილს.

1920 წლის 5 ივნისს რეშთში გამოცხადდა გილანის რესპუბლიკა და შეიქმნა დროებითი რევოლუციური მთავრობა და რევოლუციური სამხედრო საბჭო ჯანგალელთა მეთაურის, წვრილბურჟუაზიული დემოკრატისა და ნაციონალისტის მირზა ქუჩეკ-ხანის მეთაურობით. ეს იყო ერთიანი ფრონტის მთავრობა, რომელშიაც შეეიდნენ ქალაქის სავაჭრო ბურჟუაზიისა და მემამულეების (ხელმძღვანელი მირზა ქუჩეკ-ხანი), წვრილბურჟუაზიული წრეებისა და „მემარცხენე" წვრილბურჟუაზიული ინტელიგენციის (ხელმძღვანელი ეჰსანოლა-ხანი), ქურთი სასოფლო-სამეურნეო მოჯამაგირეებისა და ღარიბობის (ხელმძღვანელი ხალუ ყურბანი) და ირანელ კომუნისტთა წარმომადგენლები[2].

მართალია, გილანის რევოლუციური მთავრობა, როგორც დავინახეთ, ფართო სოციალურ ბაზას ეყრდნობოდა, მაგრამ ეს ერთიანი სახალხო რევოლუციური ფრონტი არამყარი იყო. იგი არც ორგანიზაციულად და არც პოლიტიკურად არ ყოფილა გაფორმებული და სხვადასხვა ინტერესთა მქონე სოციალურ ჯგუფთა დროებით კავშირს წარმოადგენდა. მალე ქუჩეკ-ხანის მომხრეებსა და ირანელ კომუნისტებს შორის თავი იჩინა სერიოზულმა წინააღმდეგობამ, თანაც კომუნისტუ-

---

1 საბჭოთა წითელმა მეზღვაურებმა დროებით დაიკავეს ენზელი და დაიბრუნეს თეთრგვარდიელების მიერ მოტაცებული გემები, რასაც მოჰყვა ინგლისელთა ევაკუაცია არა მარტო ენზელიდან, არამედ გილანის პროვინციიდანაც.

2 ირანის კომუნისტური პარტია, რომელიც მონაწილეობას იღებდა გილანის რევოლუციური მთავრობის საქმიანობაში, 1920 წლის ივნისში შეიქმნა. მისი დამაარსებელი ყრილობა ჩატარდა ენზელში 22—24 ივნისს. მას საფუძვლად დაედო ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომის წლებში შექმნილი „ადალიათის" („სამართლიანობა") სოციალ-დემოკრატიული პარტია.

რი პარტიის რიგებში გაძვრნენ „მემარცხენე“ ავანტიურისტული ელემენტები, რომლებიც მოითხოვდნენ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის საფეხურის გამოტოვებას და პირდაპირ სოციალისტურ რევოლუციაზე გადასვლას. ეს ელემენტები ილაშქრებდნენ ქუჩექ-ხანთან და წვრილბურჟუაზიასთან კავშირის წინააღმდეგ. რეშთში, ენზელსა და გილანის სხვა ცენტრებში მემარცხენე ავანტიურისტული ელემენტები ეჰსანოლას ჯგუფის მხარდაჭერით შეუდგნენ წვრილი მემამულეების, ვაჭრებისა და ხელოსანთა მიწა-ქონების რევიზია-კონფისკაციას. მათვე გააჩაღეს პროვოკაციული აგიტაცია ისლამის რელიგიის, ყურანისა და სამღვდელოების წინააღმდეგ. ანგარიში არ გაუწიეს რა რელიგიური ფანატიზმისა და ტრადიციების დიდ ძალას, ისინი მოითხოვდნენ ქალებისათვის ჩადრის დაუყოვნებლივ ჩამოხდას და ა. შ. ამ „მემარცხენე“ ელემენტებმა პარტიას მიაღებინეს დადგენილება ქუჩექ-ხანისა და მისი მომხრეების გადაყენების შესახებ.

ყოველივე ამან გამოამზეურა ერთიანი ფრონტის შიგნით არსებული წინააღმდეგობა, რომელიც მალე სხვადასხვა სოციალურ ჯგუფთა დაპირისპირებაში გადაიზარდა. ამის შემდეგ შეფერხდა და შემდეგ სავსებით შეჩერდა 1920 წლის ივლისში წარმატებით დაწყებული ლაშქრობა თეირანზე.

1920 წლის 31 ივლისს ეჰსანოლას მოანარქისტო ჯგუფმა კომუნისტური პარტიის „მემარცხენე“ ელემენტებთან ერთად მოახდინა გადატრიალება, შეიპყრო ქუჩექ-ხანის მომხრე მთავრობის წევრები და ოფიცერთა ნაწილი და შეადგინა ახალი მთავრობა ეჰსანოლას ხელმძღვანელობით. ახალმა მთავრობამ მაშინვე დაიწყო ავანტიურისტული „სოციალისტური“ ღონისძიების გატარება: გამოაქვეყნა დეკლარაცია მასების განთავისუფლების, მემამულეთა მიწების გლეხებს შორის განაწილების, ნატურალურ გამოსაღებთა გაუქმების, მოსავალში გლეხთა წილის გადიდებისა და სხვათა შესახებ. მაგრამ მან, ამასთან ერთად, დააწესა ბრინჯის სავალდებულო ჩაბარება, გლეხებს აუკრძალა რეშთის ბაზარზე საკუთარი ნაწარმის თავისუფლად გაყიდვა, გაზარდა ქალაქად გადასახადები და დაიწყო რეკვიზიცია, რომელთა ტვირთი მძიმედ დააწვა წვრილ ვაჭრებს, ხელოსნებსა და ქალაქის ღარიბობას. ამას დაერთო ეჰსანოლას მოუმზადებელი გალაშქრება თეირანზე. ეს ლაშქრობა ეჰსანოლას სასტიკი მარცხით დამთავრდა.

კომუნისტური პარტიის მოწინავე ელემენტებმა ენერგიული ბრძოლა გააჩაღეს ეჰსანოლას მთავრობისა და „მემარცხენე“ კომუნისტების ავანტიურისტული კურსის წინააღმდეგ. მათ 1920 წლის შემოდგომაზე მიაღწიეს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობის გადახალისებას. ავანტიურისტული ჯგუფი მკაცრად დაიგმო და გა-

ნიდევნა პარტიიდან. პარტიის ახლად არჩეულ ცკ-ს სათავეში ჩაუდგა ირანელი მუშა ჰეიდარ-ხან ამუ-ოღლი.

კომუნისტური პარტიის განახლებულმა ხელმძღვანელობამ შეიმუშავა ახალი სწორი პოლიტიკური ხაზი და გადადგა ნაბიჯები ქუჩექ-ხანთან თანამშრომლობის აღსადგენად.

1921 წლის სახელმწიფო გადატრიალება. საბჭოთა რუსეთ-ირანის 1921 წლის ხელშეკრულება

საბჭოთა ხელისუფლების დამკვიდრებამ ამიერკავკასიაში, ანტიიმპერიალისტური მოძრაობის წარმატებამ თურქეთში და ეროვნულ-განმათავისუფლებელი დემოკრატიული მოძრაობის დიდმა გაქანებამ ირანის აზერბაიჯანში, გილანსა და ირანის სხვა პროვინციებში მძლავრი ბიძგი მისცა სახალხო მოძრაობას ინგლის-ირანის 1919 წლის კაბალური შეთანხმების გასაუქმებლად. სახალხო რისხვის ტალღები თეირანსაც მისწვდა. თვით შაჰი და სასახლის რეაქციული თავკაცები იძულებული იყვნენ ანგარიში გაეწიათ საყოველთაო სახალხო მოთხოვნისათვის და თავი შეეკავებინათ პროინგლისური განწყობილების საჯარო გამოხატვისაგან. 1920 წლის ივნისში ვოსუყ-ოდ-დოულეს მთავრობა იძულებული გახდა გადამდგარიყო და თავისი ადგილი უფრო ზომიერი მთავრობისათვის დაეთმო. ამ უკანასკნელმა საზოგადოებრივი აზრის ზემოქმედებით თავი შეიკავა 1919 წლის ხელშეკრულების რატიფიკაციისაგან, თანაც განაახლა რუსეთ-ირანის მოლაპარაკება და მოსკოვში გაგზავნა თავისი წარმომადგენელი ხელშეკრულების დასადებად.

ინგლისის იმპერიალიზმმა კარგად დაინახა თავისი აგრესიული პოლიტიკის გარდუვალი კრახი. მისთვის ცხადი გახდა ინგლის-ირანის 1919 წლის კაბალური შეთანხმების ირანელი ხალხისათვის ძალით თავზე მოხვევის შეუძლებლობა. ყოველ წუთს მოსალოდნელი იყო მასობრივი აღშფოთების გადაზრდა ირანელი ხალხის საყოველთაო ანტიინგლისურ აჯანყებაში. სერიოზულმა საფრთხემ ინგლისის მესვეურები აიძულა შეეცვალათ ტაქტიკა, უფრო მოქნილად ემოქმედათ, ხელი შეეწყოთ სახელგატეხილი ძველი მთავრობის დამხობისათვის და თავიანთი აგენტი გაეძვრინათ ახალ მთავრობაში.

ინგლისელმა იმპერიალისტებმა ირანის გარკვეულ ძალებთან ფარულ კავშირში შეძლეს მალე სისრულეში მოეყვანათ ეს გეგმა. წინასწარი შეთქმულების შემდეგ, 1921 წლის 21 თებერვალს თეირანში მოხდა სახელმწიფო გადატრიალება, რომლის ერთ-ერთი ორგანიზატორი იყო ინგლისის ფასიანი აგენტი, რეაქციონერი ჟურნალისტი სეიდ ზია-ედინ თაბათაბაი. გადატრიალებაში მონაწილეობას იღებდა ირანელ კაზაკთა ნაწილები, მათი მეთაურის პოდპოლკოვნიკ რეზა-ხანის სარდლობით[1]. გადატრიალების ორგანიზატორებმა შეიპყრეს

[1] იგი მაზანდერანელი წვრილი მემამულე იყო.

ძველი მთავრობის შემადგენლობა და შექმნეს ახალი მთავრობა, რომელსაც სათავეში ჩაუდგა სეიდ ზია-ედინი. კაზაკთა ნაწილების მეთაური რეზა-ხანი პირველად დაინიშნა კაზაკთა დივიზიის უფროსად, შემდეგ კი — სამხედრო მინისტრად.

მასების აღშფოთების დასაშოშმინებლად და მათ შეცდომაში შესაყვანად ახალმა მთავრობამ გამოაქვეყნა დეკლარაცია რეფორმების გატარებისა და მშრომელთა ცხოვრების პირობების გაუმჯობესების შესახებ, მაგრამ პრაქტიკულად ამ მიმართულებით მას არაფერი გაუკეთებია. ერთადერთი, რაც მასების საყოველთაო მოთხოვნით გააკეთა ამ მთავრობამ, იყო 1919 წლის კაბალური შეთანხმების გაუქმება. ინგლისის მთავრობის შეგულიანებით სეიდ ზია-ედინი შეეცადა ხელი შეეშალა ირან-საბჭოთა რუსეთის დაახლოებისათვის და ჩაეშალა მოსკოვში მიმდინარე მოლაპარაკება. მაგრამ ინგლისის იმპერიალიზმმა და ირანის რეაქციულმა ძალებმა ვერ შეძლეს ამ განზრახვის რეალიზაცია. მოსახლეობის ფართო ფენების ერთსულოვანმა მოთხოვნამ თავისი გაიტანა.

1921 წლის 26 თებერვალს მოსკოვში ხელი მოაწერეს ირან-საბჭოთა რუსეთის პირველ თანასწორუფლებიან ხელშეკრულებას. ამ ხელშეკრულებით უქმდებოდა რუსეთსა და ირანს შორის მანამდე დადებული ყველა ხელშეკრულება, ისე როგორც რუსეთის მიერ სხვა სახელმწიფოებთან ხელმოწერილი ყველა ხელშეკრულება, რომელიც ირანს ეხებოდა და უხეშად ბღალავდა ირანის ინტერესებსა და სუვერენიტეტს. ხელშეკრულება აკანონებდა ძველ საზღვარს. ხელმომწერი სახელმწიფოები ვალდებულებას იღებდნენ არ ჩარეულყვნენ ერთიმეორის შინაგან საქმეში და არ დაეშვათ თავიანთ ტერიტორიებზე ისეთი ორგანიზაციების არსებობა, რომელიც ხელმომწერ სახელმწიფოთა წინააღმდეგ იმოქმედებდა. ხელშეკრულების მე-6 მუხლის ძალით საბჭოთა მთავრობას უფლება ჰქონდა (თუ მესამე ქვეყანა შეეცდებოდა ექცია ირანის ტერიტორია საბჭოთა კავშირზე თავდასხმის ბაზად და ირანს საშუალება არ ექნებოდა თავიდან აეცილებინა ეს საფრთხე) შეეყვანა თავისი ჯარები ამ ქვეყნის ტერიტორიაზე და განეხორციელებინა იქ საჭირო ზომები.

საბჭოთა მთავრობამ ხელი აიღო ყველა კონცესიაზე, რომელიც მეფის მთავრობას და რუს კაპიტალისტებს ეკუთვნოდათ, და ირანის მთავრობას გადასცა საგარეო გამსესხებელი ბანკის მთელი აქტივი, პასივი და უძრავ-მოძრავი ქონება; ენზელ-თეირანის, ყაზვინ-ჰამადანის გზატკეცილები, ჯულფა-თავრიზის და საფიარ-ურმიის რკინიგზები; ურმიის ტბის ყველა ნავსადგური, გემები, საწყობები; ენზელის ნავსადგური მთელი მისი მოწყობილობით; სატელეფონო-სატელეგრაფო ხაზები; ყოფილი სასულიერო მისიის ქონება და სხვა.

საბჭოთა რუსეთი ხელს იღებდა ძველ სესხებზე და სესხების პროცენტებზე, აშურ-ადესა და სხვა კუნძულებზე კასპიის ზღვაზე და თანაც უფლებას აძლევდა ირანს ჰყოლოდა თავისი სამხედრო ფლოტი კასპიის ზღვაზე. ხელშეკრულება აუქმებდა კაპიტულაციის რეჟიმს და საკონსულო იურისდიქციას, რითაც მეფის რუსეთის ქვეშევრდომები სარგებლობდნენ. ირანი ვალდებული იყო არ გადაეცა რომელიმე მესამე სახელმწიფოსათვის საბჭოთა რუსეთიდან მიღებული კონცესიები, მიწის ნაკვეთები, მიმოსვლის საშუალებები და სხვ.

ამგვარად, ირან-საბჭოთა რუსეთის 1921 წლის თანასწორუფლებიანი ხელშეკრულებით საბჭოთა რუსეთმა იცნო ირანის სუვერენიტეტი და დამოუკიდებლობა, დაამყარა მასთან კეთილმეზობლური ურთიერთობა და მით საქვეყნოდ ნათელყო თავისი უანგარობა. ეს დიპლომატური დოკუმენტი იყო საბჭოთა რუსეთის ლენინური ეროვნული პოლიტიკის მომარჯვება მეზობელი ირანის მიმართ. ამ ხელშეკრულებას, რომელიც დღემდე აწესრიგებს ამ ორი ქვეყნის ურთიერთობას, უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ირანისათვის. იგი მისი სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტისა და ეროვნული განვითარების სერიოზული საფუძველი იყო. მან განამტკიცა მისი საერთაშორისო პოზიციები და გააძლიერა მისი კავშირ-ურთიერთობა სხვა ქვეყნებთანაც.

1919—1921 წლების ეროვნულ - განმათავისუფლებელი გამოსვლების მარცხი

კომუნისტური პარტიის განახლებული ხელმძღვანელობის აქტიური მოქმედების შედეგად გილანში აღდგა ერთიანი ფრონტი. კომპარტიის განახლებულ ხელმძღვანელობის აქტიური ინიციატივით 1921 წლის მარტში ქალ. ფუმენში ჩატარდა იმპერიალიზმისა და შინაგანი რეაქციის წინააღმდეგ მებრძოლი ძალების გაერთიანებული შეკრება. აქ მოხდა შერიგება ქუჩექ-ხანის, ეჰსანოლასა და ჰეიდარ ამუ-ოღლის მომხრეებს შორის, ამას 1921 წლის მაისში მოჰყვა ახალი მთავრობის — რევოლუციური კომიტეტის შექმნა, რომელშიაც კომისართა საბჭოს თავმჯდომარისა და ფინანსთა კომისიის პოსტი დაიჭირა ქუჩექ-ხანმა, საგარეო საქმეთა კომისრისა — ჰეიდარ ამუ-ოღლიმ, სამხედროსი — ხალუ ყურბანმა.

მაგრამ კომუნისტური პარტიის ინიციატივით აღდგენილი ერთიანი რევოლუციური ფრონტი ხანმოკლე აღმოჩნდა. ეჰსანოლამ, რომელიც ძალზე უკმაყოფილო დარჩა მთავრობის მეთაურის პოსტის დაკარგვის გამო, სეპარატიზმის გზა აირჩია. მან თვითნებურად მოაწყო მოუმზადებელი ლაშქრობა თეირანზე, რომელიც სრული მარცხით და მისი რაზმის გაფანტვით დამთავრდა. ამან შაჰის ჯარებს საშუალება მისცა შეეჭრილიყო გილანის პროვინციაში და ალყა შემოერტყა რეშთისათვის. მართალია, რევოლუციურმა კომიტეტმა

მკაცრად დასაჯა ეჰსანოლა თავისი ურჩობისათვის და გამოიყვანა იგი თავისი შემადგენლობიდან, მაგრამ ამან ვერ უშველა საქმეს. მალე თვით ქუჩექ ხანსა და კომუნისტებს შორის იჩინა თავი სერიოზულმა წინააღმდეგობამ, რასაც ბიძგი მისცა როგორც კომუნისტური პარტიის გავლენის ზრდამ მშრომელ მასებში, ისე რეაქციული წრეების მზარდმა ზემოქმედებამ ქუჩექ-ხანზე. ქუჩექ-ხანმა სასტიკად გაილაშქრა იმ სოციალური რეფორმების წინააღმდეგ, რომელიც ჰეიდარ ამუ-ოღლიმ შეიმუშავა.

1921 წლის 29 სექტემბერს ქუჩექ-ხანმა ჰეიდარ ამუ-ოღლი და მისი მომხრეები შეიტყუა ერთ-ერთ ტყიან სოფელში ფუმენის რაიონში და მუხანათურად დახოცა ისინი. ამავე დროს ქუჩექ-ხანის მომხრეები თავს დაესხნენ კომუნისტებს რეშთსა და ენზელში და დაარბიეს იქ კომპარტიის ორგანიზაციები.

ყოველივე ეს ფაქტიურად მოასწავებდა გილანის რევოლუციის ფინალს, მის სრულ მარცხს. ერთიანი ფრონტის რიგებში არსებულმა წინააღმდეგობამ და ქუჩექ-ხანის ვერაგულმა აქტმა გამოიწვია გილანის რევოლუციონერთა სრული დეზორგანიზაცია და დემორალიზაცია. მას ვერც ქუჩექ-ხანის ჯანგალელთა რაზმები ასცდა. ამ გარემოებით ისარგებლა თეირანის მთავრობამ, ირანელ კაზაკთა ნაწილების მეშვეობით დაეუფლა გილანის პროვინციას, გაანადგურა მისი დამცველი ძალები და ჩაახშო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა.

გილანის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობასთან ერთად 1921 წელს დემოკრატიულ მოძრაობასა და აჯანყებას ადგილი ჰქონდა ხორასნის პროვინციაშიაც. აჯანყებას, რომელიც მიმართული იყო როგორც ინგლისელი იმპერიალისტების, ისე პროვინციული რეაქციული ხელისუფლებისა და ფეოდალების წინააღმდეგ, სათავეში ედგა პროვინციის ჟანდარმერიისა და სამხედრო ნაწილების უფროსი მოჰამედ თაყი-ხან ფასიანი. აჯანყებაში მონაწილეობას იღებდნენ მოსახლეობის ფართო ფენები. მასობრივი უკმაყოფილებისა და მღელვარების ზემოქმედებით ხალხის მხარეზე გადასულ ჯარის ნაწილებთან და ჟანდარმებთან ერთად მასში მონაწილეობას იღებდნენ გლეხები და ქალაქის ღარიბობა. პირველ ხანებში მას მიემხრო ზოგიერთი წვრილი ხანი და ტომთა ბელადი. მაგრამ ისინი მალე ჩამოშორდნენ აჯანყებას და „მეხუთე კოლონის“ როლი შეასრულეს.

აჯანყება დაიწყო 1921 წლის ზაფხულში, როცა თაყი-ხანი არ დაემორჩილა თეირანის მთავრობას, გააძევა პროვინციიდან ინგლისელი გენერალ-გუბერნატორი ყავამოს-სალთანე და შეშჰედში შეადგინა ეროვნული კომიტეტი, რომელიც ეროვნული ბურჟუაზიის, ეროვნული ინტელიგენციისა და ქალაქის წვრილი ბურჟუაზიის ინტე-

რესებს გამოხატავდა. ეროვნულმა კომიტეტმა, რომელსაც თაყი-ხანი ჩაუდგა სათავეში, გამოაქვეყნა თავისებური დეკლარაცია, რომლითაც მოითხოვდა ქვეყნიდან ინგლისელთა გაძევებას, მეჯლისის მოწვევას, განათლების განვითარებას, სიტყვისა და სინიდისის თავისუფლებას და ა. შ. მაგრამ აჯანყების მეთაურებმა საჭიროდ არ ჩათვალეს ანგარიში გაეწიათ გლეხობისა და ქალაქის ღარიბობისათვის და შეემუშავებინათ მათი ინტერესების შესაბამისი მოთხოვნები.

თაყი-ხანის ხელმძღვანელობით დაწყებული აჯანყება, არათანამიმდევრობის, ნათელი პროგრამის უქონლობისა და სუსტი სოციალური ბაზის გამო, ხანმოკლე აღმოჩნდა. იგი ჩაახშეს ხორასნის ქურთების რეაქციული ხანების შეიარაღებული ძალებისა და მთავრობის რეგულარული ჯარების ერთობლივი ღონისძიებებით 1921 წლის ოქტომბერში. თაყი-ხანი და ზოგიერთი სხვა ხელმძღვანელი მოკლულ იქნენ შეტაკების დროს. ხელმძღვანელობას მოკლებული აჯანყებულთა დაქსაქსული რაზმები კი 1922 წლამდე განაგრძობდნენ წინააღმდეგობას.

1922 წლის დასაწყისისათვის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა და დემოკრატიული მოძრაობა მთავარ კერებში უკვე ჩახშობილი იყო. მიუხედავად ამისა, ხალხის მასების გამოსვლები რეაქციულ-ფეოდალური ხროვისა და ინგლისელ იმპერიალისტთა პარპაშის წინააღმდეგ ამის შემდეგაც გრძელდებოდა, მაგრამ იგი გაცილებით ნაკლებ ორგანიზებული და მასობრივი იყო, ვიდრე გილანში, ირანის აზერბაიჯანსა და ხორასანში. თეირანში, ენზელში, ინგლისური ნავთობის კომპანიის საწარმოებში 1921—1922 წლებში იფეთქა მუშა-მოსამსახურეთა გაფიცვებმა, რომლებსაც ძირითადად ეკონომიური მოტივები ედო სარჩულად. 1922 წლის თებერვალში ხიაბანის მომხრეებმა ისევ მოაწყეს ახალი აჯანყება თავრიზში. მისი საბაბი გახდა გენერალ-გუბერნატორის აუტანელი სისასტიკე და ის სისხლიანი ანგარიშსწორება, რასაც მიმართავდა 1920 წლის აჯანყების მონაწილეთა წინააღმდეგ. აჯანყებას სათავეში ედგა 1905—1911 წლების რევოლუციის მონაწილე, დემოკრატიულად განწყობილი ოფიცერი ლახუტი. აჯანყებულთა მოთხოვნები იყო ქვეყნის ეროვნული სუვერენიტეტის განმტკიცება, დემოკრატიული რეფორმების გატარება, რეზა ხანის გადაყენება, ჟანდარმებისათვის კუთვნილი ხელფასის მიცემა და სხვ. ჟანდარმთა ნაწილებთან ერთად აჯანყებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს თავრიზის წვრილბურჟუაზიულმა ჯგუფებმა და მშრომელებმა. აღნიშნული აჯანყება ჩაახშეს ირანელ კაზაკთა ნაწილებმა. ლახუტიმ და ზოგიერთმა მისმა თანამებრძოლმა მოახერხეს საბჭოთა აზერბაიჯანის ტერიტორიაზე გადასვლა.

ამგვარად, 1919—1921 წლების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ირანში მარცხით დამთავრდა. არც ერთი სასიცოცხლო

ამოცანა, რომელიც დასმული იყო ირანის დღის წესრიგში, არ ყოფილა გადაწყვეტილი. ხელისუფლება ისევ დარჩა ფეოდალურ-რეაქციული წრეების, მაღალი სამღვდელოების ხელში, ხელუხლებლად იქნა დატოვებული ფეოდალური ჩაგვრა და მშრომელთა უკიდურესი სიდუხჭირე. დამარცხების ძირითადი მიზეზი იყო პროლეტარიატის სისუსტე და ძლიერი რევოლუციური ავანგარდის არარსებობა. მოძრაობას არ ჰქონდა საერთო ეროვნული ხასიათი; იგი უპირველესად ანტიიმპერიალისტურ ხასიათს ატარებდა და არ გადაზრდილა აგრარულ-გლეხურ მოძრაობაში. მოძრაობას სათავეში ედგა ეროვნული ვაჭრული ბურჟუაზია, რომელსაც მერყეობის, მასებისადმი შიშისა და ფეოდალურ წრეებთან კავშირის გამო არ შეეძლო ეხელმძღვანელა ამ მოძრაობისათვის. არ არსებობდა მუშებისა და გლეხობის მჭიდრო კავშირი, აქტიურად მოქმედებდნენ იმპერიალიზმის აგენტები, „მემარცხენე“ ელემენტები და სხვ.....

1920—1922 წლების მოძრაობას, დამარცხების მიუსედავად, მაინც სერიოზული ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა. მან ხელი შეუწყო ირანელი ხალხის შემდგომ გამოღვიძებას და მასში რევოლუციურ-დემოკრატიული სულისკვეთების გაღვივებას, მძლავრი დარტყმა მიაყენა გაბატონებულ დინასტიასა და ფეოდალურ რეაქციას. დააჩქარა ირან-საბჭოთა რუსეთის მოლაპარაკება და ირან-საბჭოთა რუსეთის 1921 წლის კეთილმეზობლური ხელშეკრულების დადება, ჩაშალა ინგლისელ იმპერიალისტთა ვერაგული გეგმები და აიძულა იგი ხელი აეღო 1919 წლის კაბალურ ხელშეკრულებაზე.

ამერიკული კაპიტალის შეღწევა ირანში

ინგლისის გარდა, რომელმაც 1919 წლის კაბალური ხელშეკრულების გაუქმებისა და ჯარების ევაკუაციის მიუხედავად, მაინც შეინარჩუნა ვრცელი პოზიციები ირანში, ირანისადმი მზარდ დაინტერესებას იჩენდნენ ამერიკული კომპანიები. მათაც სურდათ მონაწილეობა მიეღოთ ირანის ძირითადი სიმდიდრის — ნავთობის ექსპლოატაციაში და ინგლისის პოზიციებზე შეტევით დაუფლებოდნენ ქვეყნის ეკონომიკის სხვა დარგებსაც. ამ მიზნის მისაღწევად ამერიკელი საქმოსნები კავშირს ამყარებდნენ ირანის გავლენიან პირებთან და ლამობდნენ მათ მოსყიდვას, თავიანთ აგენტებად ქცევას. ერთ-ერთი ასეთი თავკაცი იყო ყავამოს-სალთანე, რომელიც არ ფარავდა თავის მტრობას ირან-საბჭოთა რუსეთის დაახლოებისადმი და აშკარად პროდასავლური ორიენტაციისა იყო. უკვე 1921 წელს, ანგარიში არ გაუწია რა ირან-საბჭოთა რუსეთის 1921 წლის ხელშეკრულების სათანადო პუნქტს, მან „სტანდარდ ოილის“ ამერიკული ნავთობის კომპანიას დაუთმო კონცესია ნავთობის ექსპლოატაციაზე ირანის ჩრდილოეთის ხუთ პროვინციაში (ირანის

აზერბაიჯანი, გილანი, მაზანდერანი, ასთარაბადი, ხორასანი). საბა-ნადო ხელშეკრულება ძალაში არ შესულა საბჭოთა მთავრობის ენერგიული პროტესტისა და ინგლის-ირანის ნავთობის ინგლისური კომპანიის წინააღმდეგობის შედეგად. 1923 წელს ყავამის მთავრობამ მსგავსივე კონცესია უბოძა მეორე ამერიკულ კომპანიას („სინკ-ლერი"). მაგრამ მისი ბედი ისეთივე იყო, როგორც — პირველის.

1922 წელს ყავამის მთავრობამ ირანში მიიწვია ამერიკელი ფინანსური მრჩეველები არტურ მილსპოს ხელმძღვანელობით, რო-მელთაც უნდა ჩაეტარებინათ ქვეყნის ფინანსების რეორგანიზაცია. ამ მიზნით მილსპო და მისი თანმხლები მრჩეველები ირანის ხელი-სუფლებამ აღჭურვა დიდი უფლებებით; მისცა მათ კონტროლის უფლება ირანის მთელ ფინანსებზე, შემოსავალსა და გასავალზე, გადასახადების შეგროვებაზე, სახელმწიფო ბიუჯეტზე, ხაზინაზე. მილსპოს ნისია „ტროას ცხენის" როლს ასრულებდა. იგი უნდა ყოფილიყო ამერიკული კაპიტალის მზვერავი და მეკვლე ირანში. მას გზა უნდა გაეწმინდა და მოემზადებინა ნიადაგი ამერიკელ მონოპოლისტთა ფართო ექსპანსიისათვის ამ ქვეყანაში. ირანის მთავრობის აღნიშნული ნაბიჯი ეწინააღმდეგებოდა ირანელი ხალხის საარსებო ინტერესებს და მხოლოდ ზედა ექსპლოატატორული ფენების ინტერესებით იყო ნაკარნახევი. იგი, ამასთან ერთად არღვევდა ირან-საბჭოთა რუსეთის ხელშეკრულებით ირანის მიერ აღებულ ვალდებულებას და ხელს უშლიდა ამ ორი ქვეყნის კეთილ-მეზობლური ურთიერთობის დამყარებას. შემთხვევითი არ იყო, რომ ყავამის მთავრობა მთელი ერთი წლის განმავლობაში აფერ-ხებდა ირან-საბჭოთა რუსეთის 1921 წლის ხელშეკრულების რატი-ფიკაციას მეჯლისის მიერ, თანაც ხელს უშლიდა ირან-საბჭოთა ვაჭრობის გაფართოებას, რომელიც ეგზომ საჭირო იყო ირანისათვის. ცოტა უფრო გვიან მილსპოს და მისი ირანელი აგენტების ოინების წყალობით მეჯლისმა არ მოახდინა 1924 წლის ირან-საბჭოთა სავაჭ-რო ხელშეკრულების რატიფიკაცია და ჩაიშალა შეთანხმება „სოვ-პერსრიბას" შერეული საზოგადოების შექმნის თაობაზე[1].

ყაჯართა დინასტიის დამხობა და რეზა ხანის გამოცხადება ირანის შაჰად

1920—1922 წლების ეროვნულ-განმათავისუფ-ლებელი და დემოკრატიული მოძრაობის დიდმა გაქანებამ, მისი ჩახშობის მიუხედავად, დააშინა მემამულეთა კლასი და ეროვნული ბურჟუაზია. მათ გეზი აიღეს ძლიერ ხელისუფლებაზე, რო-მელიც დაიცავდა მათ კლასობრივ ინტერესებს, ალაგმავდა მშრო-

[1] მილსპო ირანში დარჩა 1927 წლამდე. ამ დროის განმავლობაში მან სანახევროდ განახორციელა ძირითადი მისია, თანაც ფართოდ გაუღო ირანის ბაზრის კარები ამე-რიკულ საქონელს.

მელთა აქტივობას, ხელს შეუწყობდა ქვეყნის ეკონომიურ განვითარებას და გააძლიერებდა ცენტრალური ხელისუფლების ძალას. ასეთ ძალად მათ მიიჩნიეს სამხედრო მინისტრი რეზა-ხანი.

თავის მხრივ ასპარეზზე ამოტივტივებული, არმიისა და ჟანდარმერიის ძალაზე დაყრდნობილი რეზა-ხანი პირადი დიქტატურისაკენ მიისწრაფოდა. მან გადაწყვიტა ამ მიზნის განახორციელებლად გამოეყენებინა მოსახლეობის ფართო მშრომელი ფენების ანტიინგლისური განწყობილება. გახდა რა მთელი კაზაკთა დივიზიის მეთაური, მან გაწმინდა იგი ინგლისელ სამხედრო ინსტრუქტორთაგან და ყველა სამეთაურო პოსტზე ირანელი ოფიცრები დააწინაურა. რეზა-ხანის ამ პოლიტიკამ გამოიწვია ინგლისის იმპერიალიზმის აგენტის პრემიერ ზია-ედინის წინააღმდეგობა. რეზა-ხანმა ხელზე დაიხვია ეს გარემოება, 1921 წლის 25 მაისს მოაწყო მეორე გადატრიალება და დაამხო სეიდ ზია-ედინის მთავრობა, რომელსაც არავითარი საყრდენი არ გააჩნდა მოსახლეობაში (სეიდ ზია-ედინი ირანიდან გაიქცა).

ახალი მთავრობის მეთაურად ირანის ფაქტიურმა დიქტატორმა რეზა-ხანმა დანიშნა ყავამ ოს-სალთანე (საბჭოთა რუსეთის მტერი, ჩრდილო ირანის დიდი მემამულე, აშშ ორიენტაციის მქონე პიროვნება). ამ მთავრობაში რეზა-ხანმა სამხედრო მინისტრის პოსტი დაიკავა (1923 წელს).

ინგლისელთა საწინააღმდეგო აქციებმა და გილანსა და სხვა ადგილებში ეროვნულ-განმათავისუფლებელი და დემოკრატიული ძოძრაობის ჩახშობამ აამაღლა რეზა-ხანის ავტორიტეტი მემამულეთა და ეროვნული ბურჟუაზიის თვალში და ქვეყნის ეროვნული ინტერესებისათვის მებრძოლის შარავანდედით შემოსა იგი. ინგლისის ჯარების ევაკუაციისა და ინგლისელ სამხედრო ინსტრუქტორთა დათხოვნის შემდეგ რეზა-ხანმა შექმნა ერთიანი არმია — „ყოშუნი“ და ირანი 6 სამხედრო ოლქად დაიყო. დივიზიების უფროსებად და შტაბებში მან შეარჩია მისი ერთგული ხელქვეითი პირები, რომელნიც მხოლოდ მას ემორჩილებოდნენ და არა გუბერნატორებს. სამხედრო ოლქის სარდლებს მან დააკისრა გადასახადის აკრეფა, იძულებითი სამუშაოების შესრულება და სხვა ფუნქციებიც, რითაც ძალა გამოაცალა სამოქალაქო ხელისუფლებას.

რეზა-ხანმა ამასთან ერთად სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა მომთაბარე ტომთა სეპარატიზმს. წინააღმდეგობის გამწევი მრავალი ხანი მან სიკვდილით დასაჯა, მათი მამულები კი მიითვისა და მით უდიდესი მემამულე გახდა. მომთაბარე ტომთა სეპარატიზმისა და დაუმორჩილებლობის ლიკვიდაცია, მემამულეთა და ვაჭართა მხარდაჭერა-

თანაგრძნობას იწვევდა; ეს კი კიდევ უფრო ზრდიდა რეზა-ხანის ავტორიტეტს მათ თვალში.

1923 წლის დასასრულს რეზა-ხანმა აჰმად-შაჰ ყაჯარს თავისი თავი პრემიერად დაანიშვნინა. იმავე წელს აჰმად შაჰი „ვიზიტით" გაემგზავრა საზღვარგარეთ და ხელისუფლება რეგენტს (ვალიათს) დაუტოვა: ეს უკანასკნელი კი რეზა-ხანმა ყოველგვარ ძალაუფლებას ჩამოაშორა.

1922 წლიდან სამხრეთ ირანში ადგილი ჰქონდა მომთაბარე ტომთა რამდენიმე აჯანყებას; ამათგან ყველაზე ძლიერი იყო ხუზისტანის შეიჰის ჰაზალის აჯანყება. აჯანყებას ფულით, იარაღით, ფარული აგენტებით ინგლისის იმპერიალიზმი ეხმარებოდა. აჯანყებულ შეიჰთან ფარულ მიწერ-მოწერას აწარმოებდა საზღვარგარეთ მყოფი შაჰიც (1923 წლიდან). სამხრეთ ირანის ტომთა აჯანყება — ჰაზალის აჯანყება ჩახშობილ იქნა 1924 წლის დასასრულისათვის. ამავე დროისათვის რეზა-ხანმა ჩაახშო ქურთთა ტომის მესამე აჯანყება (ურმიის ტბის რაიონში).

რეზა-ხანმა ხელზე დაიხვია ყაჯართა დინასტიის უკანასკნელი წარმომადგენლის ფარული კავშირი სამხრეთ ირანის ტომთა აჯანყების მეთაურებთან და გააჩაღა კამპანია ამ დინასტიის დასამხობად. მისმა მომხრეებმა კი ძალით ჩაახშეს პროგრესული წრეების რიგებში ფეხმოკიდებული რესპუბლიკური ტენდენცია. 1925 წლის თებერვალში რეზა-ხანის ყურმოჭრილ მონად ქცეულმა მეჯლისმა იგი დანიშნა უმაღლეს მთავარსარდლად და მისცა მას განუსაზღვრელი უფლებები. 1925 წლის 31 ოქტომბერს მეჯლისმა მიიღო გადაწყვეტილება ყაჯართა დინასტიის დამხობის შესახებ და სახელმწიფოს დროებით უმაღლეს მეთაურად რეზა-ხანი დანიშნა. 1925 წლის 12 დეკემბერს, ახლადშეკრებილმა დამფუძნებელმა კრებამ, რომელიც რეზა-ხანის მომხრეებისაგან შედგებოდა, იგი აირჩია ირანის შაჰად. ახალი მეფის საზეიმო კურთხევა მოხდა 1926 წლის 25 აპრილს. ახალ დინასტიას ფეჰლევის დინასტია ეწოდა (ძველი პართიული დინასტიის ირანული სახელი).

რეზა-შაჰ ფეჰლევის მონარქია და მისი რეფორმების ხასიათი

რეზა-შაჰ ფეჰლევის დინასტია ირანელ მემამულეთა და ბურჟუაზიის ინტერესების გამომხატველი იყო. ყველა მისი ღონისძიება მიზნად ისახავდა ამ კლასების პოზიციების განმტკიცებაგაძლიერებას. ყოველგვარ უკმაყოფილებას, სახალხო-დემოკრატიულ ტენდენციებს, პროფკავშირების შექმნის თუ ოპოზიციური პარტიის შექმნის ტენდენციებს რეზა-შაჰი აღმოსავლური დესპოტიისათვის დამახასიათებელი სისასტიკით ახშობდა. ფეჰლევის რეჟიმი მემამულურ-ბურჟუაზიული დიქტატურა იყო.

მემამულეთა და ბურჟუაზიის კლასობრივი ბატონობის გასაძლიერებლად და თავისი ცენტრალური ხელისუფლების განსამტკიცებლად რეზა-შაჰის მთავრობამ რამდენიმე ათეული ზედაპირული სარეფორმო ღონისძიება განახორციელა.

1925 წელს მიღებულ იქნა ახალი საარჩევნო კანონი, რომელიც აწესებდა ხელისუფლების მკაცრ კონტროლს მეჯლისის არჩევნებზე. ამიერიდან ხელისუფლება თვითონ ასახელებდა მეჯლისის დეპუტატთა კანდიდატებს და მოსახლეობა ფორმალურად ვალდებული იყო ხმა მიეცა მათთვის. ამით მეჯლისმა დაკარგა ყოველგვარი რეალური ძალაუფლება და შაჰის მთავრობის მონა-მორჩილ იარაღად იქცა.

ყურანისა და მუსლიმანურ სამართალზე აგებული კანონმდებლობის ნაცვლად 1927—1929 წლებში ძალაში შევიდა კომერციული, სამოქალაქო და სისხლის სამართლის კოდექსები, რომლებიც ნაპოლეონის შესაბამის კოდექსებსა და საერთოდ ფრანგულ სამართალს ემყარებოდა.

1928 წელს ირანმა გააუქმა კაპიტულაციების საძულველი რეჟიმი და შემოიღო ავტონომიური საბაჟო ტარიფი, რომელიც პირველად იცნო სსრ კავშირმა, შემდეგ კი — კაპიტალისტურმა ქვეყნებმა. იმავე 1928 წელს დაარსებულ იქნა ირანის ეროვნული ბანკი, რომელსაც 1930 წლიდან გადაეცა ემისიის უფლება, რომელიც ჩამოერთვა შაჰინშაჰის ინგლისურ ბანკს (მნიშვნელოვანი ფინანსური ანაზღაურებით). ამავე პერიოდიდან ირანის ხელისუფლება ღებულობს რამდენიმე პროტექციონისტურ კანონს, რომელთა მიზანი იყო ირანის სუსტი მრეწველობის დაცვა უცხოური კონკურენციისაგან.

ირან-საბჭოთა კავშირის ურთიერთობა 1921—1929 წლებში

საბჭოთა კავშირი ზუსტად იცავდა 1921 წლის ხელშეკრულების პირობებს, მეგობრობდა ირანს და ეხმარებოდა მას ეკონომიური და პოლიტიკური დამოუკიდებლობის განმტკიცებაში. ირანის ხელისუფლება, მისი კლასობრივი მრწამსის მიუხედავად, იძულებული იყო სავაჭრო ეკონომიური ურთიერთობა დაემყარებინა მასთან. ამას მოითხოვდა ირანის სასიცოცხლო ინტერესები, ეკონომიური მოშლილობის ლიკვიდაციის საჭიროება.

აღნიშნულ წლებში აღმოცენდა რამდენიმე ირან-საბჭოთა შერეული საზოგადოება — „პერსხლოპოკ“, „პერსშოლკ“, „შარკ“, „რუს-პერსახარ“, „სოვპერსრობა“. აღნიშნულმა შერეულმა საზოგადოებებმა კეთილმყოფელი გავლენა იქონიეს ირანის ეკონომიკაზე, ვაჭრობის ზრდაზე, ხელი შეუწყეს ქვეყნის სათანადო დარგების განვითარებას. 1927 წელს დაიდო ირან-საბჭოთა სავაჭრო ხელშეკრულება. მან მკვეთრად გაადიდა ამ ქვეყნებს შორის ვაჭრობა. ხელშეკრულებით სსრ კავშირი ირანს აწვდიდა მანქანებს,

საფეიქრო ნაწარმს, გაჰქონდა ნედლეული. 1927 წელს დაიდო ხელშეკრულება გარანტიისა და ნეიტრალიტეტის შესახებ, რამაც დაადასტურა 1921 წლის ხელშეკრულება. საბჭოთა კავშირმა პირველმა იცნო ირანის საბაჟო ავტონომია და კაპიტულაციების რეჟიმის გაუქმება (1928 წელს).

საბჭოთა კავშირის პოლიტიკა ირანის მიმართ მუდამ იყო უაღრესად კეთილმეზობლური და კორექტული. იგი ყოველმხრივ ხელს უწყობდა მისი სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის განმტკიცებას. ეხმარებოდა მას ეკონომიურ და კულტურულ წინსვლაში, არ აკლებდა მორალურ-დიპლომატიურ მხარდაჭერას ინგლისისა და სხვა იმპერიალისტური სახელმწიფოების მხრივ მუქარის შემთხვევებში. იგი აგებული იყო თანასწორუფლებიანობასა და ურთიერთპატივისცემაზე. ძალას მატებდა ირანელ ხალხს და უმსუბუქებდა მას შინაგანი რეაქციისა და იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლას.

საბჭოთა კავშირმა დახმარება აღმოუჩინა ირანს მთელ რიგ წვრილ და საშუალო საწარმოთა მშენებლობაში, კალიისა და გადამდებ ავადმყოფობათა წინააღმდეგ ბრძოლაში. საბჭოთა კავშირის სპეციალისტების დახმარებით 30-იანი წლებიდან ირანში აიგო პურსაფქვავი კომბინატი (თეირანში), რამდენიმე ელევატორი, ბრინჯის გამწმენდი ქარხნები და ა. შ. საბჭოთა კავშირის ტერიტორიიდან წარმოებდა იმ მასალების ტრანზიტი, რომელიც ესაჭიროებოდა ტრანსირანის რკინიგზის ჩრდილო ნაწილის მშენებლობას.

1929—1933 წლების მსოფლიო ეკონომიური კრიზისის გავლენა ირანზე

მსოფლიო ეკონომიური კრიზისის გავლენა ირანზე მეტად ღრმა იყო. იგი აისახა მრეწველობაში, ტრანსპორტზე, აღებ-მიცემობაში, სოფლის მეურნეობასა და ფულად-საბანკო სფეროში. მან კატასტროფულად დასცა მშრომელთა ცხოვრების დონე. მისი უშუალო შედეგი იყო უმუშევრობა, შიმშილობა, გადამდები სენის გავრცელება, მასობრივი სიკვდილიანობა. განსაკუთრებით კატასტროფული გახდა სოფლის მშრომელთა მდგომარეობა. მთელ რიგ ადგილებში ნათესი ფართობი 15—20%-ით შემცირდა... კრიზისის ვითარებით ისარგებლეს ვაჭრებმა, კულაკმემამულეებმა, რომლებმაც მუქთად ხელთ იგდეს ჯერ კიდევ გლეხთა ხელში დარჩენილი მიწის ნაკვეთები, მათი პროდუქცია. ამასთან ერთად მემამულეებმა მკვეთრად გაადიდეს რენტა-გადასახადი. გლეხობის მასობრივი გაჩანაგების კვალდაკვალ მიმდინარეობს მათი მზარდი ლტოლვა ქალაქებისაკენ, სადაც სამუშაოს უქონლობის გამო ავსებენ უმუშევართა, მაწანწალათა და დეკლასირებულ ელემენტთა რიგებს.

ნაკლები დარტყმა როდი განიცადა მრეწველობამ, რომელმაც

შრომის დაბალი ნაყოფიერებისა და პრიმიტიული ტექნიკის წყალობით ვერ გაუძლო უცხოური საქონლის იმპორტის მზარდ კონკურენციას. დაიხარა მრავალი საწარმო (ეროვნული კაპიტალის კუთვნილი), ასეული სახელოსნო და მანუფაქტურა თეირანში, თავრიზში, ყაზვინში, ზღვისპირა ნავსადგურებში. მის შედეგად მკვეთრად შემცირდა საგარეო ვაჭრობის მოცულობა. ამას თან დაერთო ვალუტის მოშლა და ფინანსური სისტემის მკვეთრი შერყევა.

მსოფლიო ეკონომიური კრიზისის წლებში მკაფიოდ გამოვლინდა იმპერიალისტური ბანაკისა და საბჭოთა კავშირის სხვადასხვა პოლიტიკა ირანის მიმართ. საბჭოთა კავშირი ეხმარებოდა ირანს კრიზისის ბრჭყალებიდან თავის დაღწევაში... ირანის ნედლეულისა და სურსათის მზარდი შესყიდვა ამის ერთ-ერთი საშუალება იყო. იმპერიალისტური ქვეყნები, კერძოდ ინგლისის იმპერიალიზმი, პირიქით, ცდილობდნენ გამოეყენებინათ აღნიშნული სიძნელეები ირანზე კიდევ უფრო მზარდი დაწოლისათვის.

მსოფლიო ეკონომიურმა კრიზისმა შეარყია მემამულეთა და მსხვილი ბურჟუაზიის ეკონომიური ბაზა. ფეჰლევის ხელისუფლებამ აჭ კლასობრივი ბაზის განსამტკიცებლად განახორციელა რამდენიმე ღონისძიება, რომელთა შორის მთავარი იყო აგრარული კანონმდებლობა. ამ კანონმდებლობას, ამასთან ერთად, ხელი უნდა შეეწყო ფულად-სასაქონლო, კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარებისათვის სოფლად და მკვეთრად შეეზღუდა ხან-ფეოდალთა პრივილეგიები. ცხოვრება სოფლად მოითხოვდა უკვე დამკვიდრებული კერძო საკუთრების შესაბამის იურიდიულ გაფორმებას.

1929 წელს მიღებული სამოქალაქო კოდექსით დადასტურდა, იურიდიულად დამკვიდრდა კერძო საკუთრება მიწასა და საადგილმამულო ქონებაზე. ამიერიდან მესაკუთრეს შეეძლო მისი ნებისამებრ მოქცეოდა მის მამულს: გაეყიდა, დაეგირავებია, გაეცვალა... მიწასთან ერთად მემამულის ხელში გადადიოდა წყლის რესურსები და საირიგაციო ნაგებობანი.

მთავრობამ გაყიდა სახელმწიფო მიწები (მთელი სავარგულების 10%), რომლის შემოსავალი ხაზინაში შევიდა. ეს მიწები უპირატესად ვაჭარ-მევახშეთა, მემამულეთა, მსხვილ მოხელეთა, სამღვდელოებისა და კულაკური ელემენტების ხელში გადავიდა. 1934 წელს რეზა-შაჰ-ფეჰლევის მთავრობამ გამოსცა ახალი კანონი სახელმწიფო მიწების გაყიდვის წესის შესახებ, რომელიც მცირე და უმიწო გლეხებს ართმევდა მიწების ყიდვის ყოველგვარ იმედსა და შესაძლებლობას.

ამ კანონის გაგრძელება იყო კანონები საეკლესიო მიწების (ვაკუფების) შესახებ (1934 წელს), რომლითაც ამ მიწების ნაწილი

გადადიოდა განათლება-ვაკუფების სამინისტროს განკარგულებაში, ნაწილიც მაღალ სამღვდელოებას ეძლეოდა კერძო საკუთრებად. ამით შიიტური სამღვდელოების ზედა ფენა მსხვილ მემამულეებად იქცეოდა. ვაკუფებს ჩამოერთვათ იმუნიტეტის უფლება და მათ შეეწერათ გადასახადი ხაზინის სასარგებლოდ. 1941 წლის კანონმა მემამულეებს ნება დართო შეესყიდათ კერძო ვაკუფები და გაეყიდათ იგი საჭირო შემთხვევებში.

ხაზინის შემოსავლის გასადიდებლად მთავრობამ სხვა ღონისძიებებიც გაატარა. დაუმუშავებელი მიწების ასათვისებლად მან დაიწყო ლურების, ქურთების, თურქმენების, ბახთიარების, ქაშქაების და სხვა ტომების განიარაღება და ბინადარ ცხოვრებაზე გადაყვანა.

1930 წელს გამოიცა კანონი კადასტრის შესახებ, რითაც ქვეყნის დიდ ნაწილში ნატურალური გადასახადი შეიცვალა ფულადით. 1933 წელს არსდება სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო ბანკები. ეს ბანკები გირავნობის ანგარიშში სესხს აძლევდნენ მიწათმფლობელებს, მხოლოდ მსხვილი მიწათმფლობელებისათვის იყო ხელმისაწვდომი და არა უბედური გლეხობისათვის, რომლებსაც არაფერი გააჩნდათ საგირავნოდ.

ფეჰლევის მონარქიის აგრარული პოლიტიკა გამიზნული იყო იმისათვის, რომ დაეძლია ფეოდალური ირანის ეკონომიური კარჩაკეტილობა და ჩაეთრია ქვეყანა მსოფლიო კაპიტალისტური მეურნეობის ორბიტში. მაგრამ გატარებულ აგრარულ რეფორმებს აბსოლუტურად არაფერი მოუტანია გლეხობისათვის; მან ხელუხლებლად დატოვა გლეხობის ფეოდალური ჩაგვრა. აღნიშნულის გამო გლეხები არ იყვნენ დაინტერესებული მეურნეობის ინტენსიფიკაციით... მემამულეთა კლასის ეკონომიური ბაზის განმტკიცებით ხელისუფლებამ დააჩქარა გლეხობის ექსპროპრიაციის პროცესი და ირანი მსხვილი მემამულური მიწათმოქმედების ქვეყნად აქცია. გლეხობის ხელში დარჩა მხოლოდ მიწების მცირე ნაწილი, უმიწაწყლო გლეხი კი იძულებული იყო კაბალური იჯარით დაემუშავებინა მემამულეთა მიწები. მრავალ მსხვილ მემამულეს ათასობით და ათი ათასობით ჰექტარი მიწა ჰქონდა. თვით რეზა-შაჰი ყველაზე მდიდარი მემამულე იყო, რომელსაც ქვეყნის ყველა ნაწილში ჰქონდა ათეული მამული.

ეროვნული კაპიტალის წახალისებისა და უცხოური კონკურენციისაგან სუსტი ეროვნული მრეწველობის დაცვის მიზნით რეზა-შაჰის ხელისუფლება 20—30-იან წლებში ახორციელებს საჭირო პროტექციონისტულ ღონისძიებებს.

1930 წ. შემოღებული იქნა საგარეო ვაჭრობის მონოპოლია. საზღვარგარეთიდან შემოსაზიდი მანქანა-მოწყობილობა განთავისუფლდა შემოსაზიდი ბაჟისაგან, შეიქმნა შირქეთები — საავაჭრო სამრეწველო გაერთიანებები, რომლებსაც მთავრობამ სუბსიდიები

მისცა და ყოველმხრივ წაახალისა მათი საქმიანობა... ხელისუფლებამ არა მარტო დაიცვა ეროვნული ეკონომიკა, არამედ მისი შემოღებით შემოსავლის ახალი წყარო გაიჩინა. შემოზიდულ საქონელს იგი მაღალ ფასებში ყიდდა, იაფად შესყიდულ ნედლეულს კი ძვირად ასაღებდა საზღვარგარეთ. ირანის მშრომელებს მან მხოლოდ მორიგი საგადასახადო ტვირთი მოუტანა. პროტექციონისტული პოლიტიკის გატარების წლებში ირანში აიგო ათეული სამრეწველო საწარმო (40 ბამბის გამწმენდი საწარმო, 25 საფეიქრო ფაბრიკა, ტყავისა და სხვ.), რომელთა უმეტესობა მსხვილ სააქციონერო საზოგადოებებს ეკუთვნოდათ (უმთავრესად მსუბუქი მრეწველობის საწარმოები — რეშთში, იეზდში, მეშჰედში და სხვაგან).

პროტექციონიზმის პოლიტიკა ერთგვარად გამართლებული იყო. მან შექმნა გარკვეული წანამძღვრები ირანის ეროვნული მრეწველობის განვითარებისათვის, მაგრამ მისი შედეგები არ იყო ისე ეფექტური, როგორსაც მოელოდნენ. ეკონომიური ძვრების შედეგად ირანის ეკონომიური ცხოვრება ძირეულად არ შეცვლილა. მან ვერ დაიხსნა ირანი უცხოური კაპიტალის შეღწევისა და ქვეყნის შემდგომი დაკაბალებისაგან.

პროტექციონისტული კურსისა და ახალ სამრეწველო მშენებლობათა პოლიტიკის განუყოფელი ნაწილი იყო კავშირისა და მიმოსვლის საშუალებათა განვითარებისათვის სერიოზული ყურადღების მიქცევა. მას უნდა გაეძლიერებინა კავშირი ცალკეულ პროვინციებს შორის და ხელი შეეწყო აღებ-მიცემობის შემდგომი გაფართოებისათვის. საგზაო ობიექტების მშენებლობის ხარჯებს ხელისუფლება ფარავდა გამოსაღების გადიდებით, შრომითი ბეგარის დაწესებით და სხვადასხვა მონოპოლიის შემოღებით (ჩაიზე, თამბაქოზე). 1925—1930 წლებში გაყვანილ იქნა 6 ათას კილომეტრზე მეტი გზატკეცილი (თეირან-მეშჰედი, ქერმან-ბენდერ-აბასი).

1928 წელს ირანის მთავრობა შეუდგა ტრანსირანის რკინიგზის მშენებლობას. მისი დაფინანსებისთვის ძირითადი იყო დამატებითი არაპირდაპირი გადასახადების შემოღება და უცხოური სესხები. რკინიგზას უნდა დაეკავშირებინა სპარსეთის ყურე და კასპიის ზღვა (ბენდერ-შაჰპურის ნავსადგურიდან სპარსეთის ყურეში — ბენდერ-შაჰამდე კასპიის ზღვაზე). მისი სიგრძე იყო 1400 კმ. რკინიგზის მშენებლობა, რომელიც უცხოური — აშშ, ინგლისის, იაპონიისა და გერმანიის ფირმების მონაწილეობით წარმოებდა, 10 წელს გრძელდებოდა და 1938 წელს ჩადგა მწყობრში. ამის შემდეგ დაიწყო თეირან-თავრიზისა და თეირან მეშჰედის რკინიგზის ხაზების მშენებლობა.

პროტექციონისტული პოლიტიკის, აგრარულ და საკანონმდებ-

ლო სფეროში გატარებული რეფორმების გაგრძელება იყო ზედაპირული რეფორმები ადმინისტრაციულ და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დარგებში. ძველი ადმინისტრაციული დაყოფის ნაცვლად ირანი დაიყო 10 პროვინციად („ოსთანებად"), რომლებიც თავის მხრივ იყოფოდა 49 ოლქად („შაჰრესთებად"). სათანადო ადმინისტრაციულ ერთეულებს შაჰმა სათავეში ჩაუყენა უშუალოდ მისდამიდაქვემდებარებული მმართველები. 1934 წელს გაიხსნა თეირანის უნივერსიტეტი და რამდენიმე სხვა ინსტიტუტი. რამდენადმე გაფართოვდა დაწყებითი და საშუალო სკოლების ქსელი. სკოლების ნაწილი უცხოელებს ეკუთვნოდა. მკვეთრად შეიზღუდა განათლებაზე ეკლესიის როლი და მას საერო სახე მიეცა. მაგრამ ამის შემდეგაც განათლება ხელმიუწვდომელი იყო მუშების, გლეხებისა და ქალაქის ღარიბობისათვის. 1935 წელს გამოიცა დეკრეტი ჩადრის სავალდებულო ჩამოხდის შესახებ, დაარსდა ქალთა სკოლები, ქალები დაშვებულ იქნენ უმაღლეს სასწავლებლებსა და სახელმწიფო აპარატში სამუშაოდ.

სამღვდელოების წინააღმდეგობისა და გავლენის შემცირების მიზნით შეიზღუდა მათი როლი საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. ბევრ მათგანს ჩამოერთვა მამულები, სხვებიც რეპრესიის ობიექტი გახდა. 1928 წლიდან მომდევნო წლებში დაინერგა ევროპული ტანისამოსისა და თავსახურების ტარება. ოფიციალურად გაუქმდა ფეოდალური ტიტულები და თურქეთის მსგავსად შემოღებულ იქნა გვარები. 1935 წელს შემოვიდა ახალი კალენდარი, დაარსდა ენისა და ლიტერატურის აკადემია და ა. შ.

მუშათა და გლეხთა მასების მდგომარეობა

ეკონომიურ, პოლიტიკურ, კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სხვა დარგის რეფორმებს, რომელთა შედეგებიც განსაზღვრული ხასიათის იყო, ოდნავადაც კი არ გაუუმჯობესებია სოფლისა და ქალაქის მშრომელი მასების კულტურულ-საყოფაცხოვრებო მდგომარეობა. მიწა-წყლის დიდი ნაწილი ახალი ტიპის მემამულეთა ხელში გადავიდა. მემამულეებმა ექსპორტის გასადიდებლად კაპიტალისტურ მიწათმოქმედებასაც მოკიდეს ხელი. მაგრამ გაბატონებული სახე ძველმა ფეოდალურმა ექსპლოატაციამ შეინარჩუნა. უმიწა-წყლო, დაბეჩავებული გლეხთა მასა ორმაგი—ფეოდალური და სავაჭრო-სავაჭრო კაპიტალის ექსპლოატაციის ბრჭყალებში მოექცა. ასეთივე საავალალო იყო მუშათა კლასის მდგომარეობაც. მუშათა უმრავლესობა 14—16 საათს მუშაობდა და მათხოვრულ ხელფასს ღებულობდა. მუშათა აბსოლუტურ უმრავლესობას არ გააჩნდა ღამის გასათევი თავშესაფარი; ისინი მოკლებული იყვნენ შრომის დაცვას, დაზღვევას, დასვენების დღეებს, საექიმო და სხვა ხასიათის დახმა-

რებას. სოფლიდან ქალაქებში უმიწობისა და შიმშილის შედეგად თავმოყრილ მშრომელებს ყოველდღე ემუქრებოდა შიმშილი, უბინაობა, სიცივე, გადამდები ავადმყოფობა, სიკვდილი. მუშათა კლასიც ორმაგი ჩაგვრისა და მონობის ხუნდებში იყო მომწყვდეული. უცხოელთა საწარმოებში, კერძოდ ინგლისის ნავთობის კომპანიის სარეწაოების ტერიტორიაზე ჰამადანში მუშებისათვის ნამდვილი ჯოჯოხეთი იყო შექმნილი.

ეკონომიური სიდუხჭირე, პოლიტიკური უუფლებობა, კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების სიმძიმე, ორმაგი ექსპლოატაციის ველური ხასიათი ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა მუშათა და გლეხთა რევოლუციური გამოსვლებისათვის. 1929 წელს ინგლის-ირანის ნავთის კომპანიის სარეწაოებში მოხდა გრანდიოზული გაფიცვა, რომელმაც მთელი სამხრეთი ირანი მოიცვა. ამ გაფიცვაში რამდენიმე ათეული ათასი კაცი მონაწილეობდა. როგორც ეს გაფიცვა, ისე მუშათა და გლეხთა სხვა გამოსვლებიც ხელისუფლებამ უცხოელთა კომპანიების დახმარებით შეუბრალებლად ჩაახშო. მანვე უმკაცრესი ზომები მიიღო კომუნისტთა აქტივობის წინააღმდეგ და 1931 წელს მეჯლისს მიაღებინა კანონი კომუნისტური საქმიანობისათვის 10 წლიანი პატიმრობის შესახებ.

რეზა-შაჰის მთავრობის პანირანულ-შოვინისტური პოლიტიკა

მემამულურ-ბურჟუაზიული ბლოკი, რომლის ინტერესებსაც იცავდა და გამოხატავდა ფეჰლევის მონარქია, საკუთარი კლასობრივი ბაზის განსამტკიცებლად როდი კმაყოფილდება მარტო მუშათა და გლეხთა მოძრაობის ტერორისტული მეთოდებით ჩახშობით და ყოველგვარი ლიბერალურ-დემოკრატიული ტენდენციების ულმობლად აღკვეთით. ამის პარალელურად იგი აძლიერებს არათურქული ხალხების ჩაგვრა-დისკრიმინაციას და აღვივებს კაცთმოძულე დიდმპყრობელურ შოვინისტურ განწყობილებას. ნაციონალისტური სულისკვეთების გაღვივების ამოცანას ემსახურებოდა ახალი დინასტიისათვის ძველი პართიული დინასტიის სახელის მიკუთვნება, სახელწოდება „სპარსეთის“ შეცვლა „ირანით“, ზოგიერთი ქალაქის სახელის გამოცვლა, ირანული ენის რეფორმა (მასში შესული ევროპული, არაბული და თურქული სიტყვების სალიტერატურო ენიდან ამოგდება, ძველი სპარსული სიტყვების შემოღება და ა. შ.).

დიდმპყრობელური ნაციონალიზმი, როგორც ფეჰლევის მონარქიის საშინაო პოლიტიკის ძირითადი მიმართულება და იდეოლოგიური საფუძველი, ყველაზე მკაფიოდ ვლინდება მმართველი წრეების დამოკიდებულებაში არაირანული ხალხებისა და ტომების მიმართ. ისინი კი — აზერბაიჯანელები, ქურთები, ბელუჯები, ლურები, ბაჰ-

თიარები, თურქმენები, ქაშქაები, სომხები, ქართველები და სხვები ირანის მოსახლეობის მესამედზე მეტს შეადგენდნენ. ყველა ეს ხალხები, ეროვნებანი და ტომები, რომლებიც განსხვავდებოდნენ ირანელებისაგან ენით, ადათ-ჩვეულებით, ისტორიული თავისებურებებით, „ეროვნული მეობით", ოფიციალურად ირანელებად იქნენ გამოცხადებულნი. სკოლებში, სახელმწიფო დაწესებულებებსა და სასამართლო ორგანოებში მხოლოდ ირანული ენა იყო გამეფებული (მართალია, ებრაელები, სომხები და ქართველები არაირანულ ეროვნებებად გამოაცხადეს, მაგრამ არც მათ მიმართ არ ყოფილა დაშვებული რაიმე გამონაკლისი). არავის მიუცია მათთვის ეროვნული თვითგამორკვევისა და თვითმმართველობის რაიმე ნასახი. შაჰი პერიოდულად მიმართავდა არაირანული მოსახლეობის აყრას მამა-პაპეული ადგილებიდან და მათ გასახლებას ირანელებით დასახლებულ რაიონებში ან უდაბნო ზონებში. ამით იგი ცდილობდა წაეშალა მათში ყოველგვარი ეროვნული სახე და მოეხდინა ძალით ასიმილაცია. არათურქი ხალხების სასტიკი ეროვნული ჩაგვრა, მათი კულტურის, ენისა და ეროვნული ღირსების აბუჩად აგდება თვით მეჯლისის არჩევნების დროსაც კი რელიეფურად იჩენდა თავს. თითქმის არც ერთ ეროვნულ უმცირესობას, სომხებისა და ებრაელების გამოკლებით, არ ჰქონდათ უფლება აერჩიათ და ჰყოლოდათ თავიანთი ინტერესების დამცველი დეპუტატები მეჯლისში. ირანის აზერბაიჯანი, სადაც მოსახლეობის დიდ უმრავლესობას აზერბაიჯანელები და სხვა თურქული ტომები შეადგენდნენ, აგრეთვე მთიანი ქურთისტანი, თავისებურ კოლონიურ პერიფერიებს წარმოადგენდნენ.

ირანი მეორე მსოფლიო ომის წინ და ომის წლებში

რეაქციული ტენდენციების ზრდა ირანის საგარეო პოლიტიკაში. ახალი ხელშეკრულება ინგლის-ირანის ნავთობის კომპანიასთან

რეზა-შაჰის ხელისუფლებამ საგარეო პოლიტიკაში განახორციელა ზოგიერთი ისეთი ღონისძიება, რომელმაც შეასუსტა ირანზე იმპერიალისტური სახელმწიფოების ზემოქმედება და ხელი შეუწყო მისი სუვერენიტეტის განმტკიცებას. მაგრამ მემამულეებისა და ბურჟუაზიის კლასობრივი ბლოკის საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულება ქვეყნის ეროვნული ინტერესებით როდი იყო ნაკარნახევი. უმეტეს შემთხვევაში დინასტიური და ექსპლოატატორთა კლასობრივი ინტერესები ეწინააღმდეგებოდა ეროვნულ ინტერესებს. ამიტომ იყო ირანის საგარეო პოლიტიკა მერყეევი და არათანმიმდევარი. ამან განაპირობა რეაქციული ტენდენციების ზრდა, მიხვეულ-მოხვეულობა სსრ კავშირსა და იმპერიალისტურ სახელმწიფოებს შორის. ზოგჯერ რეზა-შაჰი ლოიალურად

იცავს 1921 წლის ხელშეკრულების ვალდებულებებს და ინარჩუნებს კეთილმეზობლურ ურთიერთობას საბჭოთა კავშირთან, მაგრამ ხშირად ღალატობს ამ ხაზს და ინგლისის იმპერიალიზმის გულის საამებლად მტრულ ნაბიჯებს დგამს დიდი მეზობლის მიმართ.

ეროვნული ინტერესების სრული უგულებელყოფა გამოიჩინა ფეჰლევის ხელისუფლებამ ინგლის-ირანის ნავთობის კომპანიისადმი დამოუკიდებლობის საქმეში. მან საჭიროდ არ ჩათვალა მისი ყოვლისმძლე უფლებების შეზღუდვა, არ გადადგა ნაბიჯები ირანის შინაგან საქმეში მისი უხეში ჩარევის აღსაკვეთად. კომპანია წლითი წლობით ზრდიდა ნავთობის ამოღებას და გადამუშავებას, რაც მის აქციონერებს საშუალებას აძლევდა მკვეთრად გაეიდიდებიათ მოგება და ახალი დამატებითი სახსრები ჩაეჯიბათ. ამავე დროს ანარიცხების წილი, რაც ირანს ეძლეოდა, გადიდების ნაცვლად კიდევაც შემცირდა.

1932 წელს მოსახლეობის ერთსულოვანი მოთხოვნის ზეგავლენით ირანის მთავრობამ გააუქმა ინგლის-ირანის ნავთობის კომპანიასთან დადებული შეთანხმება. ირანის მთავრობის ამ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა ეროვნულმა ბურჟუაზიამ, მას სიხარულით შეეგება ქვეყნის ფართო საზოგადოებრიობა. ნავთობის ამერიკულმა კომპანიებმა განიზრახეს ესარგებლათ ინგლისური თანამოძმის სიძნელეებით და შედარებით უფრო შეღავათიანი პირობები შესთავაზეს რეზა-შაჰს, თუ ეს უკანასკნელი მათ მისცემდა ნავთობის ექსპლოატაციის უფლებას.

1933 წლის 29 აგვისტოს რეზა-შაჰმა, რომელსაც პრესის მლიქვნელური ოფიციალური ორგანოები ირანის ეროვნული ინტერესების თავგამოდებულ ქომაგად აცხადებდნენ, ინგლის-ირანის ნავთობის კომპანიასთან დადო ახალი 60-წლიანი შეთანხმება (ე. ი. 1993 წლამდე). მართალია, ახალი საკონცესიო ხელშეკრულებით რამდენადმე შეიკვეცა კომპანიის კონტროლქვეშ არსებული ტერიტორია, მაგრამ იგი არ შეხებია უკვე ექსპლოატაციაში და ძიებაში მყოფ რაიონებს.

ახალი ხელშეკრულებით კომპანია ვალდებული იყო, რომ ირანის მთავრობისათვის ეხადა 16%-ის ნაცვლად 4 შილინგი ყოველ ტონა გაყიდულ ან საზღვარგარეთ გატანილ ნავთობ პროდუქტზე და ამის ზევით მოგების 20% (750 ათასი გირ. სტერლინგის გარანტირებული მინიმუმით). კომპანიას უფლება ეძლეოდა მისთვის გამოყოფილ ტერიტორიაზე საექსპლოატაციოდ აერჩია ნებისმიერი უბანი, გაეყვანა რკინიგზები, ტელეფონისა და ტელეგრაფის ხაზები, აეგო ნავსადგურები, აეროდრომები, რადიოსადგურები, ჰყოლოდა საკუთარი პოლიცია, სკოლები და ა. შ.

აღნიშნული ხელშეკრულება უაღრესად ხელსაყრელი იყო ინგლის-ირანის ნავთობის კომპანიისათვის და საზიანო — ირანისათვის. კომპანიამ შეინარჩუნა თავისი ვრცელი ეკონომიური და პოლიტიკური უფლებები, დარჩა ირანში როგორც სახელმწიფო სახელმწიფოში, მიიღო შესაძლებლობა შემდგომშიაც გავლენა მოეხდინა ირანის მთავრობის პოლიტიკაზე და თავისი მრავალრიცხოვანი აგენტების მეშვეობით განეგრძო ძირგამომთხრელი საქმიანობა.

რეზა-შაჰმა საჭიროდ არ ცნო დაეცვა ირანის კანონიერი უფლებები ნავთობით მდიდარ ბაჰრეინის კუნძულების მიმართაც. როდესაც ეს კუნძულები, რომლებიც წინათ ირანს ეკუთვნოდა, ინგლისელებმა მიითვისეს, რეზა-შაჰი მარტო პლატონური პროტესტის განცხადებით დაკმაყოფილდა.

30-იანი წლების მეორე ნახევრიდან ფეჰლევის მონარქიის მესვეურებმა გარკვევით აიღეს გეზი საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის გაუარესებასა და დასავლეთის იმპერიალისტურ სახელმწიფოებთან შემდგომ დაახლოებაზე. 1937 წელს ირანმა ხელი მოაწერა საადაბადის პაქტს, რომლითაც შევიდა ახლო აღმოსავლეთის ოთხი სახელმწიფოს (ირანი, თურქეთი, ავღანეთი, ერაყი) აგრესიულ ბლოკში და ინგლისის დიპლომატიის იარაღის როლი იკისრა. 1938 წელს ვადა გაუვიდა საბჭოთა კავშირ-ირანის სავაჭრო ხელშეკრულებას. მაგრამ რეზა-შაჰმა საჭიროდ არ ჩათვალა ახალი ხელშეკრულების დადება, თუმცა იგი ხელსაყრელი იქნებოდა ირანისათვის.

ფაშისტური გერმანიის მიერ ანტისაბჭოთა პლაცდარმის შექმნა ირანში

რეზა-შაჰის მთავრობის საგარეო პოლიტიკის ანტისაბჭოთა მიმართულებამ მკვეთრად იჩინა თავი მეორე მსოფლიო ომის წინ. ირანი მჭიდროდ დაუკავშირდა ფაშისტურ გერმანიას და მისი საგარეო პოლიტიკის ფარვატერში მოექცა. ჰიტლერულმა ხროვამ განიზრახა ექცია ირანი ანტისაბჭოთა ინტრიგების ერთ-ერთ ბაზად ახლო აღმოსავლეთში. ამ მიზნის მისაღწევად მან გააჩაღა ენერგიული ეკონომიური ექსპანსია და წამყვანი როლი მოიპოვა ირანის საგარეო ვაჭრობაში. 1939 წლისათვის ფაშისტურ გერმანიაზე მოდიოდა ირანის მთელი საგარეო ვაჭრობის 40—45%. მან პირველი ადგილი დაიჭირა ირანთან ვაჭრობაში. მაგრამ ირან-ფაშისტური გერმანიის საგარეო ვაჭრობა არ იყო ხელსაყრელი ირანისათვის. გერმანიას დიდი რაოდენობით, ისიც დაბალ ფასებში გაჰქონდა ირანის ნედლეული და სასურსათო პროდუქტები, რის სანაცვლოდაც აწეულ ფასებში შეჰქონდა თავისი სამრეწველო პროდუქცია.

1939/1940 წლებში გერმანიამ ირანიდან გაიტანა 2,5-ჯერ მეტი ნედლეული, ვიდრე შეზიდა ამ ქვეყანაში. ფაშისტურმა გერმა-

ნიამ ირანს თავზე მოახვია კლირინგული შეთანხმება (უვალუტო ვაჭრობა), რომელმაც ირანი მოაქცია გერმანიისადმი დამოკიდებულ მდგომარეობაში მრავალი საიმპორტო საქონლის გასაღების დროს.

ფართო მასშტაბი მიიღო გერმანული კაპიტალის შეღწევამ ირანში. ამ ქვეყანას მოეცლინენ ათობით გერმანელი სავაჭრო ფირმები და სამრეწველო-მონოპოლისტურ გაერთიანებათა წარმომადგენლები. მათ ხელთ იგდეს ირანისათვის რკინიგზისა და სამრეწველო მოწყობილობათა მიწოდება, აეროდრომების, სამხედრო ქარხნების მშენებლობა. კრუპის, მან-ის, ჰუმბოლდტის, იუნკერსის, სიმენს-შუკერტის და სხვა მსხვილ კორპორაციათა ათასობით სპეციალისტი და აგენტი მოეცლინა ირანს. მათი დიდი ნაწილი შენიღბული აგენტი იყო, რომელთაც ანტისაბჭოთა სადაზვერვო დავალებები ჰქონდათ დაკისრებული.

საბჭოთა ჯარების შეყვანა ირანში

მეორე მსოფლიო ომის დასაწყისისათვის ფაშისტურმა გერმანიამ კიდევ უფრო გააძლიერა თავისი საეჭვო აქტივობა ირანში. ირანი დაიქსელა ფაშისტური გერმანიის ფირმების სავაჭრო წერტილებით. ქვეყანა ავსო გერმანიის აგენტურის მრავალრიცხოვანი წარმომადგენლებით. გერმანიის მრავალრიცხოვანი აგენტურის ბუდედ იქცა გერმანიის საელჩოს შენობა. განსაკუთრებით დიდ აქტივობას იჩენდნენ ფაშისტი აგენტ-ნაძირალები, „ტურისტები", „ინჟინრები" და სხვ. ჩრდილო ირანში, საერთოდ საბჭოთა კავშირის მოსაზღვრე ზონებში. სააგენტურო საქმიანობას თან სდევდა აღვირახსნილი ანტისაბჭოთა პროპაგანდა და გერმანიიდან ფარულად დიდძალი იარაღის შეზიდვა, რათა იგი საჭირო შემთხვევაში გამოეყენებინათ სსრ კავშირის წინააღმდეგ.

ირანის მმართველი ხროვა, პირადად რეზა-შაჰ ფეჰლევი ყოველმხრივ ხელს უწყობდა და აქეზებდა ფაშისტური გერმანიის საქმიანობას და სიამოვნებით უთმობდა მას თავისი ტერიტორიის პლაცდარმს სსრ კავშირის წინააღმდეგ ძირგამომთხრელი საქმიანობისათვის.

მეორე მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ ირანმა ფორმალურად ნეიტრალიტეტი გამოაცხადა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ფაშისტური აგენტების ძირგამომთხრელი საქმიანობა სსრკ წინააღმდეგ არა თუ არ შესუსტდა. არამედ, პირიქით, გაიზარდა და სსრკ სამხრეთი საზღვრებისათვის რეალური საფრთხე შექმნა. ირანის ტერიტორიიდან ფაშისტური გერმანია ლამობდა ა/კავკასიასა და თურქმენეთში ჯაშუშურ-დივერსიული ჯგუფების შეგზავნას. ათასობით ფაშისტური აგენტი დაძრწოდა ჩრდილო ირანში და ფარული რადიოსადგურებით და ფაშისტური ლიტერატურით მომარაგებული ეწეოდა ძირგამომთხრელ საქმიანობას სსრ კავშირის წინააღმდეგ.

გაითვალისწინა რა ყოველივე ზემოთ აღნიშნული, საბჭოთა მთავრობამ 1941 წლის 26 ივნისს, 19 ივლისს და 16 აგვისტოს გააფრთხილა ირანის მთავრობა და მოითხოვა ბოლო მოღებოდა ფაშისტური აგენტურის ანტისაბჭოთა ძირგამომთხრელ საქმიანობას. შაჰმა და მთავრობის მეთაურმა ალი მანსურმა ყური არ უგდეს ამ გაფრთხილებას.

აღნიშნულის გამო 1941 წლის 25 აგვისტოს 1921 წლის ირან-საბჭოთა ხელშეკრულების მე-6 მუხლის შესაბამისად საბჭოთა მთავრობამ ჩრდილო ირანში შეიყვანა თავისი ჯარები. ამავე დროს სამხრეთ ირანში ჯარები გადასხა ინგლისმაც. ირანის შაჰმა სცადა წინააღმდეგობის გაწევა, რის გამოც მოკავშირეთა ჯარები იძულებული გახდნენ თეირანშიც შესულიყვნენ. ამას მოჰყვა რეზა-შაჰ ფეჰლევის გადადგომა (იგი საზღვარგარეთ გაემგზავრა 16 სექტემბერს) და მემკვიდრის — მუჰამედ რეზა ფეჰლევის გამეფება.

ირანის ახალმა მთავრობამ (ალი ფორუგი) მიიღო მოკავშირეთა მოთხოვნები ირანიდან გერმანიის, იტალიისა და მათი სატელიტების საელჩოების გაძევებისა, ფაშისტური აგენტურის გაწმენდისა და ირანის ტერიტორიით მოკავშირეთა სამხედრო ტვირთების ტრანზიტის ხელშეწყობის შესახებ. სულ მალე ფაშისტური გერმანიისა და მისი მარიონეტების ოფიციალური წარმომადგენლები, ისე როგორც მრავალრიცხოვანი აგენტები, ინტერნირებული და გაძევებული იქნენ. მხოლოდ ზოგიერთმა მათგანმა მოახერხა შენიღბვა, დამალვა და ძირგამომთხრელი საქმიანობის ფარულად გაგრძელება.

1942 წლის 29 აგვისტოს თეირანში ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას კავშირის შესახებ სსრ კავშირს, ინგლისსა და ირანს შორის, რომელიც სამთა შეთანხმების სახელითაა ცნობილი. აღნიშნული ხელშეკრულებით მოკავშირეები — საბჭოთა კავშირი და ინგლისი ვალდებულებას იღებდნენ პატივი ეცათ ირანის ტერიტორიული მთლიანობის, სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტისა და პოლიტიკური დამოუკიდებლობისათვის, დაეცვათ იგი ყველა საშუალებით ჰიტლერული გერმანიის აგრესიისა და ყველა სხვა გარეშე საფრთხისაგან, არ ჩარეულიყვნენ მის საშინაო საქმეებში და გაეყვანათ ირანიდან შეიარაღებული ძალები ომის დამთავრებიდან არა უგვიანეს 6 თვის გასვლის შემდეგ. ირანი, თავის მხრივ, ვალდებული იყო ომის დამთავრებამდე დაეთმო მოკავშირეთა ჯარებისათვის ქვეყნის მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტები, გადაეცა მოკავშირეებისათვის სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო ბაზები, კავშირისა და ტრანსპორტის საშუალებები, მდინარეები, აეროდრომები, ნავსადგურები და ა. შ. ირანი ვალდებული იყო ყოველმხრივ ეთანამშრომლა და ხელი შეეწყო მოკავშირეებისათვის თავიანთ სამხედრო

ღონისძიებებში, თავისი შეიარაღებული ძალებით დაეცა წესრიგი და ა. შ.

მოკავშირეთა ჯარების შეყვანამ ირანის ტერიტორიაზე და 1942 წლის ხელშეკრულებამ ჩაშალა ფაშისტური გერმანიის ვერაგი გეგმები, დაიხსნა ირანი ომის საშინელებისაგან, თანაც მოკავშირეებს საშუალება მისცა მაქსიმალურად გამოეყენებინათ მისი კომუნიკაციები ურთიერთკავშირის დასამყარებლად და საომარი ღონისძიებების გასაძლიერებლად. ომის წლებში ირანის რკინიგზებით და ტრანსპორტის სხვა საშუალებებით გადაიზიდა დიდძალი სამხედრო მასალა, მოწყობილობა და სურსათ-ნედლეული. ტრანსპორტირება ხდებოდა საბჭოთა კავშირისაკენ და საბჭოთა კავშირიდან ინგლისამერიკისაკენ.

1942 წლის ხელშეკრულების შესაბამისად 1943 წლის 9 სექტემბერს ირანმა ფორმალურად ომიც კი გამოუცხადა ფაშისტურ გერმანიას, მაგრამ ეს იყო მხოლოდ პლატონური აქცია. რომელსაც რეალური ნაბიჯები არ მოჰყოლია. მოკავშირეებს არ მოუთხოვიათ და ირანსაც არც ერთი ჯარისკაცი და საომარი მასალა არ გაუგზავნია ფრონტზე. როგორც ცნობილია, 1943 წლის ნოემბრის ბოლოსა და დეკემბრის პირველ რიცხვებში თეირანში მოეწყო სამი დიდი მოკავშირე სახელმწიფოს მეთაურთა (ი. სტალინი, ფ. რუზველტი, უ. ჩერჩილი) და მათ თანმხლებ პირთა კონფერენცია, რომელმაც დადებითად შეაფასა ირანის დახმარება მოკავშირეებისადმი და საჭიროდ ცნო გაწეოდა მას ეკონომიური დახმარება.

1943 წელს, როცა ირანში მკვეთრად იჩინა თავი სურსათ-სანოვაგის ნაკლებობამ, თეირანში კი მასობრივი შიმშილობის საფრთხე შეიქმნა, საბჭოთა კავშირმა, მიუხედავად იმისა, რომ თვითონაც განიცდიდა სურსათის ნაკლებობას, სასწრაფოდ გაგზავნა ირანის დედაქალაქში 25 ათასი ტონა ხორბალი. სსრ კავშირი ამის შემდეგაც უწევდა ირანს დახმარებას სურსათითა და სამრეწველო საქონლით. კერძოდ, დიდი რაოდენობით ხორბალი გაგზავნა ირანის ჩრდილო ოლქებსა და ხუზისტანში; ირანის ტერიტორიაზე განლაგებული საბჭოთა არმიის ნაწილები ირანის მოსახლეობას უფასოდ უწევდნენ სამედიცინო დახმარებას, გაჰყავდათ ახალი გზები, არემონტებდნენ ძველს, იღებდნენ არტეზიულ ჭებს და ა. შ. ეფექტური იყო ის დახმარება, რასაც საბჭოთა კავშირი უწევდა ირანს კალიის და გადამდებ სნეულებათა წინააღმდეგ ბრძოლაში. თეირანსა და ირანის სხვა ადგილებში საბჭოთა კავშირის მთავრობამ გახსნა საავადმყოფოები, კულტურის სახლები, საბჭოთა კავშირ-ირანის საზოგადოებები და ა. შ.

ირანის დემოკრატიული ძალების აქტივიზაცია. სახალხო პარტიის შექმნა

საბჭოთა კავშირის განმათავისუფლებელმა როლმა ანტიფაშისტურ ომში, საბჭოთა შეიარაღებული ძალების შეყვანამ ირანში, ფაშისტური აგენტურის გაწმენდამ და საბჭოთა კავშირის მომდევნო მეგობრულმა აქტებმა ირანის მიმართ დიდი გავლენა იქონია ირანზე. მან გააძლიერა ირანის პოლიტიკური ცხოვრების მაჯისცემა, გააქტიურა მასები და ბიძგი მისცა დემოკრატიული ტენდენციების გაძლიერებას.

1941 წლის 19 სექტემბერს ირანის ახალმა მთავრობამ გამოაქვეყნა ბრძანებულება პოლიტპატიმართა ამინისტიის შესახებ, რის შედეგადაც ციხე-საპყრობილეებიდან გამოვიდა ასეული პროგრესული მოღვაწე და დემოკრატიული მოძრაობის აქტივისტი. 1941 წლის ოქტომბერში დაარსდა ირანის სახალხო პარტია. მის შემადგენლობაში შეიდნენ მუშების, დემოკრატიული ინტელიგენციის, გლეხებისა და ხელოსნების წარმომადგენლები. მან 1942 წლის ოქტომბერში ჩაატარა თავისი პირველი ყრილობა (თეირანში)[1], სადაც მიღებულ იქნა უახლოესი პერიოდის სამოქმედო პროგრამა, რომელიც თანმიმდევრული მებრძოლი დემოკრატიული სულისკვეთებით იყო გაჟღენთილი.

სახალხო პარტიის შექმნა დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო, რომელმაც მძლავრი ბიძგი მისცა მასების დემოკრატიული აქტივობის შემდგომ ზრდას. მალე წამოიჭყვა დემოკრატიული პროფესიული კავშირების შექმნა, სოფლად აღმოცენდნენ გლეხთა კავშირები, თეირანსა და სხვა ცენტრებში გამოიცა დემოკრატიული ჟურნალ-გაზეთები. გაძლიერდა მისწრაფება სხვა სახის დემოკრატიული უფლებების მოსაპოვებლად და მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად. ახლად შექმნილი სახალხო პარტია, რომელმაც მაღლა ამართა ქვეყნის სუვერენიტეტის დაცვის, დემოკრატიულ უფლებათა მოპოვებისა და მშრომელთა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის ბრძოლის დროშა, მალე ყველაზე გავლენიან და ფართო სოციალური ბაზის მქონე პარტიად იქცა ირანში.

ირანის რეაქცია (სასახლის წრეები, მსხვილი ხან-მემამულეები, კომპრადორული და ფინანსური ბურჟუაზია, შიიტური საქლოდელოების ზედა ფენა), რომელმაც შეინარჩუნა ხელისუფლების საჭე, გაბოროტებით შეეგება მშრომელი მასების დემოკრატიული აქტივობის გაზრდასა და სახალხო პარტიის დიდ წარმატებას. დაუკავშირდნენ რა ინგლის-ამერიკის ბმართველ წრეებს, ირანის მმართველებმა გა-

---

1 ამ დროისათვის მას უკვე ჰყავდა 4 ათასამდე წევრი: გილანში, მაზანდერანში, აზერბაიჯანში, ხორასანსა და ისპაანში ჰქონდა საოლქო კომიტეტები.

ნიზრახეს მაქსიმალურად ესარგებლათ მათი დახმარებით და შეერთებული ძალით ჩაეხშოთ ხალხის მასების დემოკრატიული აქტივობა.

1943 წლის შემოდგომაზე ინგლისელების დახმარებით ირანში დაბრუნდა სეიდ ზია-ედინი, რომელიც ცნობილი იყო თავისი რეაქციული სულისკვეთებითა და საბჭოთა კავშირისადმი შეურიგებელი სიძულვილით. ინგლისელების მიერ უხვად სუფსიდირებულმა ზია-ედინმა თეირანის რეაქციული წრეების ენერგიული მხარდაჭერით გააჩაღა პროვოკაციული ანტიდემოკრატიული და ანტისაბჭოთა საქმიანობა. მან მოახერხა მე-14 მოწვევის მეჯლისის დეპუტატად გახდომა, ინგლისელთა ფულით შეისყიდა რამდენიმე გაზეთი, აქცია რა თავისი პროვოკაციული საქმიანობის რუპორად, თანაც შექმნა გარეწარ-ბოროტმოქმედთა საიდუმლო ბანდები, რომელთა ამოცანა იყო დემოკრატიული ორგანიზაციების ტერორიზება და სახალხო პარტიის აქტივისტთა ფიზიკური მოსპობა.

მე-14 მოწვევის მეჯლისმა, რომელშიაც იმპერიალიზმის აგენტ ზია-ედინთან ერთად ათეული სხვა რეაქციონერი დეპუტატიც იყო, მკვეთრად ანტიხალხური და ანტისაბჭოთა კურსი აიღო. ამ მეჯლისის მითითებით მთავრობამ მოლაპარაკება გამართა ნავთობის ინგლისურ და ამერიკულ კომპანიებთან ირანის ბელუჯისტანსა და სხვა ადგილებში მათთვის ნავთობის ექსპლოატაციის კონცესიების მიცემის შესახებ. ამავე დროს სეიდის მთავრობა მტრულად შეეგება თეირანში ჩასულ საბჭოთა კავშირის დელეგაციას, რომელსაც სურდა ირანის ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკება გაემართა ჩრდილო ირანში ნავთობის მოპოვების კონცესიის საბჭოთა კავშირისათვის გადაცემის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი კონცესიის გაცემა ხელს შეუწყობდა ჩრდილო ირანის ეკონომიურ ათვისებას და ამდენად მეტად ხელსაყრელი იყო ირანისათვის, რეაქციულმა მეჯლისმა 1944 წლის დეკემბერში სასწრაფოდ მიიღო კანონი, რომლითაც მთავრობას უკრძალავდა უცხოეთის სახელმწიფოებთან და კომპანიებთან გაემართა მოლაპარაკება მათთვის ნავთობის კონცესიების გაცემის თაობაზე.

დემოკრატიული მოძრაობის წინააღმდეგ ირანის რეაქციისა და ინგლის-ამერიკის ერთიანი ფრონტით გამოსვლის მიუხედავად, დემოკრატიული მოძრაობა ირანში თანდათანობით ფართოვდებოდა და მოსახლეობის ახალ ფენებს აბამდა თავის სფეროში. იგი ედებოდა სამხრეთისა და დასავლეთის მანამდე „ინერტულ“ რაიონებს. განსაკუთრებით დიდი გაქანება მიიღო მასების დემოკრატიულმა აქტივობამ საბჭოთა შეიარაღებული ძალების განლაგების რაიონში, კერძოდ ირანის აზერბაიჯანსა და ქურთისტანში. ამ, ფაქტიურად ნახევრად კოლონიურ პროვინციებში, სახალხო-დემოკრატიულმა მოძრაობამ

ჭეშმარიტად საყოველთაო ხასიათი მიიღო, იგი გაიშალა როგორც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. როგორც ირანის აზერბაიჯანში, ისე ქურთისტანში ძირითადმა მოსახლეობამ — აზერბაიჯანელებმა და ქურთებმა მიაღწიეს ავტონომიურ უფლებებს და შექმნეს ეროვნული დემოკრატიული ორგანოები, რომლებმაც გადადგეს ნაბიჯები ადგილობრივი კულტურისა და ეკონომიკის ასამაღლებლად. წინ წამოსწიეს აზერბაიჯანული და ქურთული ენები.

აშ შტატების ექსპანსია ირანში. მილსპოს მისია

მეორე მსოფლიო ომით შექმნილი ახალი ვითარებით კარგად ისარგებლა აშ შტატებმა და მკვეთრად გააძლიერა თავისი პოზიციები ირანში. 1943 წლის აპრილში ვაშინგტონში ხელი მოაწერეს ყავამ-ოს-სალთანეს მიერ შემუშავებულ ირან-ამერიკის სავაჭრო ხელშეკრულებას. ამ ხელშეკრულებამ ხელი შეუწყო ირან-ამერიკის ვაჭრობის ზრდას და ამერიკულ საქონელს ფართოდ გაეღო ირანის ბაზრის კარი. 1943—1945 წლებში აშ შტატების წილი ირანის ვაჭრობაში ორჯერ და მეტად გაიზარდა და ირანის საგარეო ვაჭრობის საერთო ბრუნვის 23,3% შეადგინა. ყავამის მთავრობამ, გარდა ამისა, მოიწვია ამერიკელი სამხედრო და ეკონომიური ექსპერტ-მრჩევლები. რომელთაც ამერიკის მთავრობამ და სადაზვერვო სამმართველომ არაპირდაპირი დავალებებიც მისცა. ყავამის მთავრობამ ირანული ჟანდარმერიის რეორგანიზაციაც კი ამერიკელ სამხედრო მრჩევლებს დააკისრა. ამ საქმეს სათავეში ჩაუდგა ამერიკელი გენერალი შვარცკოფი.

1942 წლის მიწურულისათვის აშ შტატებმა, ისარგებლა რა იმ გარემოებით, რომ ანტიჰიტლერულ ომში ინგლის-საბჭოთა კავშირის მოკავშირე იყო, თანაც ირანის გზით სამხედრო მოწყობილობას აწოდებდა საბჭოთა კავშირს, ამ სამხედრო მოწოდების ტრანზიტის უსაფრთხოების საბაბით რამდენიმე ათი ათასი კაცისაგან შემდგარი ჯარი შეიყვანა ირანში. ამ ჯარებმა, განლაგდნენ რა სამხრეთ ირანის გარკვეულ რაიონებში, თავიანთ კონტროლს დაუქვემდებარეს ბენდერ-შაჰპურისა და ხორემშაჰრის ნავსადგურები და ტრანსირანის რკინიგზის სამხრეთი უბანი.

1943 წლის იანვარში ირანში კვლავ ჩავიდა ამერიკელი ფინანსური მრჩეველი მილსპო. იგი ირანის მთავრობამ მოიწვია (მეჯლისის დადგენილების შესაბამისად) ირანის ფინანსების მთავარ ადმინისტრატორად. მას მიენიჭა საგანგებო უფლებები და რწმუნებები, კერძოდ: კონტროლი საგარეო და შინა ვაჭრობაზე, ბიუჯეტის შედგენაზე, დამზადებაზე, ხელფასზე, საგადასახადო ვალდებულებებზე, სურსათისა და სამრეწველო საქონლის განაწილებაზე, ტრანსპორტის საქმიანობაზე და სხვ.

მილსპოს მიწვევას და მის საქმიანობას სიხარულით შეეგებნენ ამ შტატების საქმიანი წრეების წარმომადგენლები. იგი ხომ მათი წარმომადგენელი იყო, რომლის მეშვეობითაც მსხვილი ამერიკელი კორპორაციები ცდილობდნენ გაეფართოებინათ თავიანთი საქმიანობა ირანში და ეკონომიურად დაექვემდებარებინათ იგი.

მილსპომ გაამართლა მათი იმედები. მან მრავალი ამერიკელი მრჩეველისა და სპეციალისტის დაწინაურებით მის მიერვე შექმნილ უწყებებში ფართო გასაქანი მისცა ამერიკის ფინანსურ კაპიტალს, ოაგრამ იმედი გაუცრუა ირანის მთავრობასა და მეჯლისის წევრებს, ფინანსების სტაბილიზაციისა და ეკონომიური აღმავლობის ნაცვლად არივდარია ყველაფერი. მან დიდძალი სახსრები გაფლანგა მოწვეულ ამერიკელ მრჩეველთა ხელფასსა და ახალი შტატების შექმნაზე და საბოლოო ჯამში დააცარიელა ხაზინა, გაზარდა სახელმწიფო ვალის მოცულობა. სასურსათო და სამრეწველო საქონელთა ფასების მოწესრიგებისა და მოსახლეობისათვის მათი ორგანიზებულად მიწოდების ნაცვლად მილსპომ ხელი შეუწყო ფასების ზრდას და სპეკულაციას. ეკონომიური და ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების ნაცვლად მისმა საქმიანობამ ირანს დაუტოვა მძიმე ფინანსური სიძნელეები, ეკონომიური ქაოსი, ბიუჯეტის დეფიციტი და ფასების შეუჩერებელი ზრდა.

მილსპოს საქმიანობამ სამართლიანად აღაშფოთა ირანის მოსახლეობის დიდი ნაწილი. ასეთ პირობებში 1945 წლის იანვარში მეჯლისმა მას ჩამოართვა საგანგებო რწმუნებები, ხოლო მალე მთავრობამ სავსებით გაათავისუფლა იგი თანამდებობიდან. 1945 წლის თებერვალში მილსპო სამშობლოში გაემგზავრა.

თურქეთი 1918—1945 წლებში

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა თურქეთში (1918—1923 წწ.)

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია და მისი გავლენა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის განვითარებაზე თურქეთში

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამ გადამწყვეტი გავლენა იქონია თურქი ხალხის ცხოვრებაზე და სრული შემობრუნება მოახდინა მის ისტორიულ განვითარებაში. მან იხსნა თურქეთი ანტანტის გამარჯვებულ სახელმწიფოთა მტაცებლური კლანჭებისაგან და შესაძლებლობა მისცა მას შეენარჩუნებინა სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტი.

დიდი ოქტომბრის განმათავისუფლებელი იდეები და მეფის რუსეთის ნაცვლად საბჭოთა რუსეთის აღმოცენება მისი ლენინური საგარეო პოლიტიკით ისეთი უდიდესი ფაქტორები იყო, რომელთა მზარდმა ზეგავლენამ თურქეთი, აღმოსავლეთის სხვა ქვეყნების დარად, ამოაგდო ძველი კალაპოტიდან და იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის სარბიელზე გამოიყვანა.

პირველ მსოფლიო ომში სასტიკად დამარცხებული სულთნის თურქეთი იძულებული გახდა ფარხმალი დაეყარა და მუდროსის მძიმე დაზავებაზე მოეწერა ხელი. ანტანტის გამარჯვებულმა იმპერიალისტურმა სახელმწიფოებმა გადაწყვიტეს მაქსიმალურად ესარგებლათ მათთვის შექმნილი ხელსაყრელი პირობებით და სისრულეში მოეყვანათ თურქეთის დაყოფის მტაცებლური გეგმები. ამ მხრივ განსაკუთრებით აქტიურობდა ინგლისი, რომელსაც ყველაზე ძლიერი სამხედრო ძალები გააჩნდა ახლო აღმოსავლეთში. ინგლისის იმპერიალისტური გეგმები ითვალისწინებდა თურქეთის სრულ დაყოფას, მისი საუკეთესო ოლქებისა და სტრატეგიული ბაზების მითვისებას, დანარჩენების კი — მოკავშირეებისათვის გადაცემას. თავისი წილი უნდა მიეღო მის ფაქტიურ ვასალს სამეფო საბერძნეთს, რომელიც 1917 წლიდან ინგლისის მოთხოვნით ანტანტის მხარეზე იბრძოდა პირველ მსოფლიო ომში. მას უნდა მიეღო იზმირის რაიონი; დაშნაკურ სომხეთსა და დაპროექტებულ „დამოუკიდებელ“ ქურთისტანს უნდა გაენაწილებინათ აღმოსავლეთის ვილაიეთების დიდი ნაწილი, ხოლო კონსტანტინოპოლი და სრუტეების ზონა „საერთაშო-

რისო" კონტროლს უნდა დაქვემდებარებოდა. რაც შეეხება საფრანგეთსა და იტალიას, პირველს სურდა თავისი ბატონობისათვის დაექვემდებარებია კილიკია ვრცელი ჩრდილო შიდა რაიონებით. მეორეს — დასავლეთი და სამხრეთ-დასავლეთი ანატოლია. ამ შტატებსაც არ სურდა სხვებს ჩამორჩენოდა თურქეთის მემკვიდრეობის განაწილების საქმეში. მის პრეტენზიებში შედიოდა კონტროლის დაწესება სრუტეების ზონასა და კონსტანტინოპოლზე, ასევე სამომბეთის ტერიტორიაზე.

მუდროსის დაზავებაზე ხელმოწერისთანავე გადაიდგა ნაბიჯები თურქეთის დაყოფის გეგმების სარეალიზაციოდ. ანტანტის ქვეყნებმა თავისი სამხედრო ფლოტი შეიყვანეს დარდანელსა და ბოსფორში და უმაღლესი კომისრები დანიშნეს სტამბოლში, რასაც მოჰყვა სულთნის მთავრობის (მეჰმედ VI ვაჰიდედინი) უუფლებო მარიონეტად ქცევა. ამის პარალელურად ინგლისმა, საფრანგეთმა და იტალიამ მოახდინეს თურქეთის წინასწარ გამიზნული ოლქების ოკუპაცია სრუტეების ზონის ჩათვლით. თავისი წილი მიიღეს ბერძენმა ოკუპანტებმაც, რომელთაც დაიკავეს აღმოსავლეთი თრაკია (ევროპული ნაწილი) და დასავლეთი ანატოლია (იზმირის ვილაიეთი) იზმირის ნავსადგურთან ერთად[1].

1919 წლის გაზაფხულისათვის მოკავშირეების მიერ ოკუპირებული იყო თურქეთის ყველა მნიშვნელოვანი სასიცოცხლო ცენტრი და სტრატეგიული პუნქტი. მიუხედავად ამისა, ოკუპაცია გრძელდებოდა და ახალ-ახალ ტერიტორიებზე ვრცელდებოდა. ოკუპანტთა ბატონობა აღინიშნა კაპიტულაციების რეჟიმისა და უცხოელ კონცესიონერთა უფლებების აღდგენით, ფინანსური კონტროლის დაწესებით, საბაჟო ავტონომიიის მოშლით, უცხოელთათვის ხელსაყრელი სავაჭრო გარიგების დადებით და საოკუპაციო ჯარების ძალადობით სამოქალაქო მოსახლეობის მიმართ. განსაკუთრებით აღმაშფოთებლად იქცეოდნენ ბერძენი ოკუპანტები, რომლებმაც, არ დაკმაყოფილდესენ რა ძარცვა-გლეჯით, მუსლიმანური დაწესებულებების წაბილწვითა და მუსლიმანთა რელიგიური გრძნობების შელახვით, ხელი მიჰყვეს მოსახლეობის მასობრივ გაჟლეტას. იზმირსა და მის შემოგარენში, რომლის საბერძნეთისათვის მიერთებაზე ოცნებობდნენ ბერძენი ოკუპანტები, მოკლე დროში რამდენიმე ათასი თურქი გამოასალმეს სიცოცხლეს.

ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე მძიმე პერიოდი თურქი ხალხის ცხოვრებაში. ომისაგან გაჩანაგებულ, ეკონომიურად უკიდურესად დეგრადირებულ, ფინანსურად გამოფიტულ და იმპერიალისტ მოძალა-

---

1 1918 წლის 30 ოქტომბერს.

დეთა აღვირახსნილი პარპაშის ობიექტად ქცეულ თურქეთს ასეთ პირობებში თითქოს არსებობა უნდა შეეწყვიტა და განხორციელებულიყო მისი სრული დანაწილების ყაჩაღური გეგმები. იმპერიალისტი მოძალადეები მართლაც დარწმუნებული იყვნენ, რომ მათი გეგმების სრულ რეალიზაციას არაფერი შეუშლიდა ხელს (თურქეთში ისინი ვერ ხედავდნენ იმ ცოცხალ ძალებს, რომლებსაც შეეძლოთ გზა გადაეღობათ მათთვის, ჩაეშალათ მათი ყაჩაღური გეგმები და დაეცვათ ქვეყნის სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტი).

მაგრამ გამარჯვებული იმპერიალისტური სახელმწიფოები სასტიკად მოტყუვდნენ ანგარიშში. ინგლისელთა აგრესიამ, იმ ძალადობა-სიმხეცემ, რასაც ჩადიოდნენ ინტერვენტები მათ მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე, ისეთი საყოველთაო აღშფოთება გამოიწვია, რომ ფეხზე დააყენა თურქი ხალხის მთელი ჯანსაღი მასა და შექმნა პირობები მასობრივი ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის გაშლისათვის. საბჭოთა რუსეთის მაგალითმა, დევგმირული შემართებით რომ ებრძოდა შინაგან კონტრრევოლუციას და იმპერიალისტ ინტერვენტებს, თავის მხრით უდიდესი აღძაფრთოვანებელი გავლენა მოახდინა თურქ ხალხზე და საბრძოლო სული შთაბერა მას.

„საბჭოთა რუსეთის... მაგალითი ძალიან ბევრ ხალხს გადაედო — ამბობდა ლენინი, — თურქმა მუშებმა და გლეხებმა მოახერხეს ცხადეყოთ, რომ თანამედროვე ხალხთა მიერ მტაცებლებისადმი წინააღმდეგობის გაწევა ისეთი რამ არის, რასაც ანგარიში უნდა გაეწიოს, და იმ ძარცვა-გლეჯამ, რასაც იმპერიალისტური მთავრობები თურქეთის მიმართ ეწეოდნენ, ისეთი წინააღმდეგობა გამოიწვია, რომელმაც აიძულა ყველა ძლიერი იმპერიალისტური სახელმწიფოები ხელები შორს დაეჭირათ“[1].

საბჭოთა რუსეთმა თავისი არსებობის პირველი დღიდანვე არა მარტო თავისი მაგალითით აღაფრთოვანა თურქი ხალხი, არამედ უშუალო დახმარება აღმოუჩინა მას იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. ჯერ ერთი, რად ღირდა, რომ მან შინაგანი კონტრრევოლუციისა და უცხოელ ინტერვენტთა წინააღმდეგ გმირული ბრძოლით მიიზიდა და „დააკავა“ იმპერიალიზმის ძირითადი ძალები და მით თურქ ხალხს გაუადვილა მის წინააღმდეგ ბრძოლა. მან ძალადაკარგულად გამოაცხადა მეფის მთავრობის მიერ სხვა სახელმწიფოებთან ხელმოწერილი ფარული შეთანხმება სრუტეებისა და კონსტანტინოპოლის შესახებ და ჭეშმარიტი კეთილმეზობლობის ხელი გაუწოდა მას. ეს იყო დიდმნიშვნელოვანი ფაქტორი, რამაც საშუალება მისცა თურქ ხალხს ენერგიულად დარაზმულიყო სამშობლოს სუვერენიტეტის დასაცავად. თავის მხრივ თურქეთის მიერ სახელმწი-

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 32, გვ. 173 (მე-4 გამ.).

ფოებრივი სუვერენიტეტისათვის ბრძოლის დროშის ამართვამ თურქი ხალხის ბრძოლა ჩაგრულ ხალხთა განმათავისუფლებელი ბრძოლის განუყოფელ ნაწილად აქცია და მის ირგვლივ დარაზმა იმპერიალიზმის წინააღმდეგ მებრძოლი აღმოსავლეთის სხვა მუსლიმანი ხალხები[1].

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის განვითარება და მისი მამოძრავებელი ძალები

ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას თურქეთში ჯერ კიდევ 1918 წელს ჩაეყარა სტიქიურად საფუძველი აზიურ ნაწილში, კერძოდ კი ცენტრალურ და დასავლეთ ანატოლიაში. მისი მთავარი მამოძრავებელი ძალა იყო ფეოდალური კაბალით წელში მოხრილი, ომით გაჩანაგებული გლეხობა. ოკუპანტების წინააღმდეგ ბრძოლაში პირველნი ჩაებნენ ის პარტიზანული რაზმები, რომლებშიაც გაერთიანებული იყვნენ ფრონტებიდან თვითნებურად დაბრუნებული შეიარაღებული ჯარისკაცები. 1919 წლის დამდეგს პარტიზანებმა აქტიური მოქმედება დაიწყეს ფრანგ ოკუპანტთა წინააღმდეგ კილიკიაში, მაისის თვიდან კი, როდესაც ბერძნებმა მოახდინეს იზმირისა და მისი რაიონების ოკუპაცია, მთელი დასავლეთი ანატოლია მოიცვა შურისმაძიებელმა პარტიზანულმა ბრძოლამ, რომლის მახვილი მიმართული იყო ბერძენ მოძალადეთა წინააღმდეგ. პარტიზანული ბრძოლა შემდეგში თანდათანობით ორგანიზებული ხდება და მასობრივ-განმათავისუფლებელი ბრძოლის სახეს იღებს.

გლეხობასთან ერთად ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში აქტიურად ებმება მუშათა კლასი. მაგრამ თურქეთის ჩამორჩენილობისა და კაპიტალისტურად სუსტად განვითარების გამო იგი ძალზე მცირერიცხოვანი და სუსტი იყო; დაბალი იყო მისი იდეურ-პოლიტიკური დონე და ორგანიზაციული შეკავშირება, იგი მოკლებული იყო თავის რევოლუციურ პარტიას. აღნიშნულის გამო მას არ შეეძლო სათავეში ჩასდგომოდა ანტიიმპერიალისტურ განმათავისუფლებელ ბრძოლას, გამხდარიყო მისი მედროშე და ორგანიზატორი.

ასეთ პირობებში ანტიიმპერიალისტური მოძრაობის ხელმძღვანელობა და ერის მედროშის როლი გადავიდა ეროვნული ბურჟუაზიის, უპირატესად ანატოლიის ვაჭრული ბურჟუაზიის ხელში. შემთხვევითი არ იყო ის გარემოება, რომ თურქი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ბაზად იქცა თურქეთის აზიური

---

1 აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ოქტომბრის იდეების გავლენა ყველაზე მეტად განიცადეს იმ თურქმა მუშებმა, გლეხებმა და ინტელიგენციის წარმომადგენლებმა, რომლებიც ტყვედ ჩავარდნენ რუსეთის ფრონტზე და ომის დამთავრების შემდეგ უკან დაბრუნდნენ. მათ რიგებში შეიქმნა პირველი კომუნისტური წრეები, რომელთა ბაზაზედაც უფრო გვიან აღმოცენდა თურქეთის კომუნისტური პარტია.

ნაწილი, კერძოდ ანატოლია. იქ იყო კონცენტრირებული თურქი გლეხობის ძირითადი მასა, წვრილი მემამულეები, რომლებიც აგრეთვე ერის ჯანსაღ ნაწილს შეადგენდნენ და ეროვნული ვაჭრული ბურჟუაზიის უმეტესობა. კომპრადორული ბურჟუაზიისაგან განსხვავებით, რომელიც უპირატესად ზღვისპირა ბაზებში იყო კონცენტრირებული და სულთნის სამეფო კართან, უმაღლეს მოხელეებთან, მაღალ სამღვდელოებასთან და ფეოდალ-მემამულეებთან ერთად იმპერიალიზმის სოციალური საყრდენი იყო, ეროვნული ვაჭრული ბურჟუაზია ანტიიმპერიალისტურად იყო განწყობილი და იმ ეტაპზე რევოლუციურ ძალას წარმოადგენდა.

პირველი მსოფლიო ომის წლებში თურქეთის ეკონომიური ცხოვრების ცენტრმა ანატოლიისაკენ გადაინაცვლა; იგი გახდა აღებ-მიცემობისა და საწარმოო საქმიანობის მნიშვნელოვანი ბაზა. ამან გააძლიერა ანატოლიის ბურჟუაზიის, უპირატესად ვაჭრული ბურჟუაზიის (და მასთან კავშირში მყოფი სოფლის სოციალური ფენების) საქმიანობის სფერო და ეკონომიურად მოაღონიერა იგი. იმპერიალისტ კოლონიზატორთა თარეშმა და ქვეყნის სრული დაყოფის გეგმებმა სერიოზული საფრთხე შეუქმნა მის მონაპოვარს. მას არ სურდა დაეთმო თავისი პოზიციები და ისევ თავზე დაედგა კომპრადორებისა და უცხოელ მონოპოლისტთა უღელი. საკუთარი ეკონომიური და პოლიტიკური ინტერესები უკარნახებდა მას გამოსულიყო ქვეყნის ეროვნული ინტერესების მებაირახტრედ.

საბჭოურ ისტორიოგრაფიაში სავსებით სამართლიანადაა აღნიშნული, რომ ეროვნული ბურჟუაზიის ხელმძღვანელმა როლმა თავისი დაღი დაასვა თურქი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას, ანტიიმპერიალისტური ჩარჩოებით შეზღუდა იგი და არ მისცა მას შემდგომი გაშლისა და ძლევამოსილ ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში გადაზრდის შესაძლებლობა. თურქეთის მაშინდელი კონკრეტული სოციალურ-ეკონომიური ვითარება (სულთანის დესპოტთა, ისლამური რელიგიის დიდი გავლენა და ფეოდალურ-შუასაუკუნეობრივი ურთიერთობის გადმონაშთების დიდი ხვედრითი წონა სოფლად, ამ გადმონაშთებით შებოჭილი სოფლის უკიდურესი ჩამორჩენილობა, ისე როგორც გლეხობის — ქვეყნის ამ ძირითადი მწარმოებლის — მტაცებლური ფეოდალური ექსპლუატაცია) პირველხარისხოვან ამოცანად აყენებდა ქვეყნის გაწმენდას მისი წინსვლის შემბოჭავი მუხრუჭებისაგან, მის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ გადახალისებას, მაგრამ ეროვნული ვაჭრული ბურჟუაზია თავისი გენეოლოგიით და ეკონომიური საქმიანობით მემამულეებთან და ძველი საზოგადოების სხვა ძალებთან იყო დაკავშირებული. ამიტომ მას სურდა დაწყებული ეროვნულ-ბურჟუაზიული

მოძრაობისათვის მიეცა მხოლოდ ანტიიმპერიალისტური მიმართულება, თანაც ხელი შეეშალა ძლევამოსილ ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში, აგრარულ-გლეხურ ანტიფეოდალურ რევოლუციაში მისი გადაზრდისათვის.

„ქემალისტური რევოლუცია, — მართებულად წერდა თავის დროზე ი. ბ. სტალინი, — შესაძლებელია მხოლოდ ისეთ ქვეყნებში: როგორიცაა თურქეთი, სპარსეთი, ავღანეთი, სადაც არ არის, ან თითქმის არ არის სამრეწველო პროლეტარიატი და სადაც არ არის მძლავრი აგრარულ-გლეხური რევოლუცია. ქემალისტური რევოლუცია არის ნაციონალური სავაჭრო ბურჟუაზიის ზედაფენის რევოლუცია, რომელიც უცხოელ იმპერიალისტთა ბრძოლაში წარმოიშობა და შემდგომ განვითარებაში არსებითად მიმართულია გლეხების და მუშების წინააღმდეგ[1]...

პირველ ხანებში, როგორც უკვე აღინიშნა, მხოლოდ გლეხობა და ქალაქის მშრომელი მოსახლეობა აღდგა სამშობლოს სუვერენიტეტის დასაცავად და იარაღით ბრძოლა გაუჩაღა უცხოელი ინტერვენტების წინააღმდეგ. ანატოლიის ბურჟუაზია და წვრილი მემამულეები კი თავს იკავებდნენ და დაცდის ტაქტიკას ადგნენ. მაგრამ როდესაც სახალხო პარტიზანულმა ომმა დიდი გაქანება მიიღო, ანატოლიის დიდ ნაწილს მოედო და ათეული ათასობით პატრიოტი ჩაითრია თავის ფერხულში, თანაც გამოვლინდა პორტას სრული გამცემლობა და წინააღმდეგობის გაწევის უუნარობა. აღნიშნულმა სოციალურმა წრეებმა საჭიროდ ჩათვალეს სათავეში ჩასდგომოდნენ დაწყებულ ბრძოლას, ორგანიზებული სახე მიეცათ მისთვის და იგი წარემართათ საკუთარი ინტერესების შესაბამისად.

ანტიიმპერიალისტური ბრძოლის უშუალო ხელმძღვანელისა და ორგანიზატორის, ანატოლიის ბურჟუაზიის იდეური კრედოს — კლასობრივ მისწრაფებათა გამომსახველის როლში გამოვიდა ეროვნული ინტელიგენციის მოწინავე პატრიოტული ნაწილი, კერძოდ პროგრესული ოფიცრობა. მათი რიგებიდან გამოვიდა თურქი ხალხის ანტიიმპერიალისტური ბრძოლის გამოჩენილი სამხედრო და პოლიტიკური ხელმძღვანელი, თურქი ხალხის დიდი შვილი მუსტაფა ქემალი. ამ ბრძოლაში მისი განსაკუთრებული როლისა და დამსახურების გამო ანატოლიის ანტიიმპერიალისტური მოძრაობა ქემალისტური მოძრაობის სახელსაც ატარებს[2].

---

1 ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 9, გვ. 273—274.

2 მუსტაფა ქემალი დაიბადა 1880 წელს სალონიკში, საშუალო შეძლების ბურჟუაზიულ ოჯახში; მიიღო უმაღლესი სამხედრო განათლება. აქტიურ მონაწილეობას იღებდა პირველ მსოფლიო ომში, იბრძოდა რამდენიმე ფრონტზე... ომის დასასრულისათვის გენერლის ჩინით სირიის ფრონტზე იმყოფებოდა. 1919 წლის მაისში მან არმიის ინსპექტორის სახელით მოახერხა ანატოლიაში ჩასვლა.

„უფლებათა დაცვის საზოგადოებათა“ აღმოცენება ანატოლიაში და მათი პირველი კონგრესების ჩატარება ბალიკესირსა (დას. ანატოლიაში) და არზრუმში 1919 წლის ზაფხულში მოასწავებდა ანატოლიის ბურჟუაზიის აქტიურ ჩაბმას განმათავისუფლებელ მოძრაობაში. ანატოლიის მოძრაობის ხელმძღვანელებმა მიიღეს გადაწყვეტილება ბრძოლა გაეჩაღებინათ როგორც იმპერიალისტ ოკუპანტთა, ისე სულთნის რეაქციული ხელისუფლებისა და კომპრადორული წრეების — იმპერიალიზმის სოციალისტური დასაყრდენებისა და აგენტების წინააღმდეგაც.

არზრუმის კონგრესზე, რომელიც მუსტაფა ქემალის თავმჯდომარეობით მიმდინარეობდა, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ყველა საშუალებით ხელი შეეშალათ ბერძნული და სომხური სახელმწიფოების შექმნისათვის თურქეთის ტერიტორიაზე. ამ მიზნის მისაღწევად კონგრესმა გამოყო ხელმძღვანელი ორგანო—წარმომადგენლობითი კომიტეტი მუსტაფა ქემალის თავმჯდომარეობით. მორიგ ნაბიჯს ამ მიმართულებით წარმოადგენდა უფლებათა დაცვის საზოგადოებათა მესამე კონგრესის საქმიანობა სივასში (1919 წლის 4—12 აგვისტოს), აღნიშნული კონგრესი გაცილებით უფრო წარმომადგენლობითი იყო, ვიდრე ბალიკესირისა და არზრუმისა. მის საქმიანობაში თითქმის მთელი თურქეთის წარმომადგენლები იღებდნენ მონაწილეობას. იგი არ დაკმაყოფილდა მარტო ანატოლიის ამბებით და ანტანტის იმპერიალისტური სახელმწიფოების წინააღმდეგ ბრძოლის პრობლემები განიხილა მთელი თურქეთის მასშტაბით. მან შექმნა უფლებათა დაცვის საზოგადოებათა სრულიად თურქეთის კომიტეტი, რომლის კომპეტენცია ანატოლიასთან ერთად რუმელიაზეც ვრცელდებოდა. მანვე აირჩია ახალი წარმომადგენლობითი კომიტეტი ისევ მუსტაფა ქემალის თავმჯდომარეობით, რომელიც უშუალოდ სათავეში უნდა ჩასდგომოდა ანტიიმპერიალისტური ბრძოლის გაშლას ოკუპირებულ ტერიტორიებზე.

ამ დროიდან მოკიდებული თურქეთში დამყარდა ორხელისუფლებიანობა. სულთნის მთავრობის გვერდით, რომელმაც დაკარგა ყოველგვარი ავტორიტეტი და გავლენა და იმპერიალიზმის მონა-მორჩილ ლაქიად იქცა, შეიქმნა ხალხის ნდობით აღჭურვილი მთავრობა მუსტაფა ქემალის ხელმძღვანელობით.

სულთნის რეაქციული მთავრობა თავისი აგენტების მეშვეობით შეეცადა ხელი შეეშალა სივასის კონგრესის გადაწყვეტილებათა რეალიზაციისათვის, ინგლისელმა იმპერიალისტებმა კი ქურთები წააქეზეს აჯანყებისაკენ და ამით ახალი „საზრუნავი“ გაუჩინეს წარმომადგენლობით კომიტეტს. მაგრამ აღნიშნულ ნაბიჯებს სასურველი შედეგები არ ჰქონია. რეალურ ძალაზე დაყრდნობილმა წარმომად-

გენლობითმა კომიტეტმა აღკვეთა ასეთი ცდები, თანაც სულთნის მთავრობას მოსთხოვა თურქეთის პარლამენტის მოწვევა. სულთნის მთავრობა და ანტანტის მოკავშირეები თანახმა გახდნენ მოწვეულიყო თურქეთის პარლამენტი, იმედი ჰქონდათ რა გავლენა მოეხდინათ მასზე და გამოეყენებიათ იგი ქემალისა და მისი მომხრეების წინააღმდეგ. მაგრამ ეს ვარაუდი, როგორც შემდეგმა ამბებმა გვიჩვენეს, უნიადაგო აღმოჩნდა.

პარლამენტის არჩევნები ჩატარდა 1919 წლის მიწურულში. ახლად არჩეულმა პარლამენტმა მუშაობა დაიწყო 1920 წლის დასაწყისში ინგლისელების მიერ ოკუპირებულ სტამბოლში. პარლამენტის დეპუტატთა დიდ უმრავლესობას შეადგენდნენ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მომხრეები — ქემალისტი ნაციონალისტები.

არჩეულთა შორის იყო თვით მუსტაფა ქემალიც, მაგრამ მან საჭიროდ არ ჩათვალა გამგზავრებულიყო მოკავშირეების მიერ ოკუპირებულ დედაქალაქში და წარმომადგენლობითი კომიტეტის რეზიდენცია სივასიდან ანკარაში გადაიტანა. ამის შემდეგ ანატოლიის ეს ბუნებრივი ცენტრი იქცა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ცენტრად.

ეროვნული მთავრობის შექმნა მუსტაფა ქემალის თავმჯდომარეობით

1920 წლის 28 იანვარს თურქეთის პარლამენტმა მიიღო ნაციონალისტების მიერ შემუშავებული „ეროვნული აღთქმა“, რომელიც წარმოადგენდა იმ პრინციპების საზეიმო ჩამოყალიბებას, რომლებიც მიიღეს თურქმა ნაციონალისტებმა არზრუმისა და სივასის კონგრესზე.

ეს იყო თურქეთის დამოუკიდებლობის პრინციპები, რომლებშიაც ფიქსირებული იყო თურქეთის დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის მოთხოვნა ეთნოგრაფიულად თურქული ტერიტორიების ფარგლებში (ანატოლია, სრუტეების ზონა, აღმოსავლეთი თრაკია). თქმა არ უნდა, რომ ეს იყო სამართლიანი მოთხოვნა, რომელიც სავსებით შეესაბამებოდა თურქი ხალხის ეროვნულ მისწრაფებებს. ამიტომ იყო, რომ მან პარლამენტში პოვა ერთსულოვანი მხარდაჭერა.

მაგრამ „ეროვნულ აღთქმას“ დიდმპყრობელური თურქული შოვინიზმის ბეჭედიც ესვა. მასში წამოყენებული იყო დაუსაბუთებელი პრეტენზიები საქართველოსაგან წინათ ძალით მოგლეჯილი და 1877 1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შედეგად დედა სამშობლოსთან კვლავ გაერთიანებული სამხრეთ საქართველოს ისტორიული მიწა-წყლის მიმართ. დაბოლოს, ეს დოკუმენტი დუმილით გვერდს უვლიდა მშრომელი მოსახლეობის საარსებო საჭიროებებს, ქვეყნის

დემოკრატიული გარდაქმნისა და არათურქი მოსახლეობის ეროვნული ინტერესების დაცვის საკითხს.

„ეროვნული აღთქმის“ მიღებით შეშფოთებულმა ინგლისელმა იმპერიალისტებმა და სულთანმა ძალას მიმართეს. 1920 წლის 16 მარტს ინგლისელებმა ახალი ძალები გადასხეს სტამბოლში, მოახდინეს მისი ოფიციალური ოკუპაცია, გარეკეს თურქეთის პარლამენტი, შეიპყრეს და კუნძულ მალტაზე გაასახლეს მისი დეპუტატების უმრავლესობა. ამის შემდეგ მთელი ხელისუფლება ოკუპირებულ ქალაქში გადავიდა მოკავშირეთა „უმაღლესი კომისრების“, ფაქტიურად კი ინგლისის სარდლობის ხელში[1].

მოკავშირეების მხარდაჭერით გათამამებულმა სულთანმა აშკარად გაილაშქრა ანატოლიის ეროვნული მოძრაობის წინააღმდეგ. მისი მითითებით შეიხ ულ-ასლამმა გამოაქვეყნა ფეთვა, რომელშიაც ეს სამართლიანი მოძრაობა ამბოხებად გამოაცხადა, მისი ხელმძღვანელი მუსტაფა ქემალი კი—ბოროტმოქმედად. ცოტა ხნის შემდეგ სტამბოლის სამხედრო სასამართლომ დაუსწრებლად გაასამართლა მუსტაფა ქემალი და მას სიკვდილით დასჯა მიუსაჯა.

ამით დამთავრდა ხანმოკლე „ზავი“ ანატოლიის მოძრაობის ხელმძღვანელებსა და სულთნის რეაქციულ ხელისუფლებას შორის. ანტანტის მოკავშირეებისა და მისი შინაგანი აგენტურის ვერაგობამ საბოლოოდ თვალი აუხილა ბურჟუაზიულ ნაციონალისტთა უმრავლესობას, დაანახა მათ იმპერიალისტებთან მშვიდობიანი მორიგების შეუძლებლობა.

მუსტაფა ქემალმა და მისმა მომხრეებმა საჭირო დასკვნები გააკეთეს თურქული პარლამენტის გარეკვისა და სულთნის ხელისუფლების მორიგი გამცემლური ნაბიჯებიდან. გაბედული ბრძოლა უცხოელი მოძალადეების წინააღმდეგ და ყოველგვარი კავშირის გაწყვეტა მათი მარიონეტის სულთნის ხელისუფლების წინააღმდეგ—ასეთი იყო მათი პასუხი.

1920 წლის 23 თებერვალს ანკარაში შეიკრიბა თურქეთის ახალი პარლამენტი (მეჯლისი), რომელიც შედგებოდა როგორც ყოფილი პარლამენტის სტამბოლიდან გაქცეული დეპუტატებისაგან, ისე ნაწილობრივ კვლავ არჩეული დეპუტატებისგან[2]. ახალმა პარლამენტმა

---

1 უინსტონ ჩერჩილი თავის მემუარებში „Мировой кризис“. დეტალურად მოგვითხრობს მოკავშირეების მიერ კონსტანტინოპოლის ოკუპაციისა და მისი მიზეზების შესახებ. იგი, რასაკვირველია, სავსებით ამართლებს ამ აქციას და მას გონივრულს უწოდებს (გვ. 257).

2 ახალი პარლამენტი შედგებოდა ეროვნული ბურჟუაზიის, მასთან კავშირში მყოფი წვრილი და საშუალო მემამულეების, ეროვნული ინტელიგენციისა და სამღვდელოების დაბალი და საშუალო ფენების წარმომადგენლებისაგან.

მიიღო დიდი ეროვნული კრების სახელწოდება და თავის თავმჯდომარედ აირჩია მუსტაფა ქემალი.

დიდმა ეროვნულმა კრებამ თავისი თავი თურქი ხალხის ერთადერთ უფლებამოსილ წარმომადგენლად, თურქეთის ერთადერთ კანონიერ ხელისუფლად გამოაცხადა და თავის ხელში მოაქცია როგორც საკანონმდებლო, ისე აღმასრულებელი ფუნქციები. დიდმა ეროვნულმა კრებამ „ეროვნული აღთქმისადმი" ერთგულების ფიცი დადო, 3 მაისს თავისი შემადგენლობიდან აირჩია ეროვნული აღმასრულებელი ხელისუფლება მუსტაფა ქემალის თავმჯდომარეობით და ძალადაკარგულად გამოაცხადა სულთნისა და მისი მთავრობის ყველა განკარგულება (სტამბოლის ოკუპაციის დღიდან).

ანატოლიის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ხელმძღვანელები არ დაკმაყოფილდნენ მარტო სულთნის მთავრობის კანონგარეშე გამოცხადებით და ანკარის მთავრობის შექმნით და მორიგი საჭირო ნაბიჯი გადადგეს: მათ საჭიროდ ცნეს კეთილმეზობლური და მეგობრული ურთიერთობის დამყარება დიდ მეზობელთან — საბჭოთა რუსეთთან.

1920 წლის 26 აპრილს მუსტაფა ქემალმა თურქეთის დიდი ეროვნული კრების სახელით წერილი გაუგზავნა რსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს ვ. ი. ლენინს, რომელშიაც წინადადებას იძლეოდა დამყარებულიყო დიპლომატიური ურთიერთობა საბჭოთა რუსეთსა და თურქეთს შორის; წერილი, ამასთან ერთად, შეიცავდა თხოვნას გაწეოდა რევოლუციურ თურქეთს იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარება იარაღით, ფულადი სახსრებით და სხვ.

მუსტაფა ქემალის წერილმა მხურვალე გამოხმაურება პოვა მოსკოვში. რსფსრ სახალხო კომისართა საბჭომ მის პასუხად თურქეთის დიდ ეროვნულ კრებას გაუგზავნა წერილი, რომელშიაც გამოთქმული იყო მხურვალე თანაგრძნობა იმპერიალიზმის წინააღმდეგ მებრძოლი თურქი ხალხისადმი და ანკარის მთავრობასთან დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების სურვილი. აღნიშნული წერილების გაცვლა-გამოცვლა მოასწავებდა საბჭოთა რუსეთისა და ახალი თურქეთის ურთიერთცნობას და მათ შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებას[1]. რუსეთის სფრ წარმომადგენელი გაემგზავრა ანკარისაკენ, ქემალისტური თურქეთისა — მოსკოვისაკენ. მალე ამას მოჰყვა თურქეთის დელეგაციის გამგზავრება მოსკოვისაკენ ხელშეკრულების დადების თაობაზე მოლაპარაკების საწარმოებლად.

ეს იყო დიდმნიშვნელოვანი აქტი, რომელმაც ახალი ფურცლები გადაშალა თურქეთ-საბჭოთა რუსეთის ურთიერთობაში, თურქ ხალხს

---

[1] ეს მოხდა 1920 წლის 3 ივნისიდან.

კი საშუალება მისცა წარმატებით ებრძოლა ქვეყნის იმპერიალისტური დამონების წინააღმდეგ.

თურქი ხალხის განმათავისუფლებელი ბრძოლა უცხოელ ინტერვენტთა წინააღმდეგ

იმპერიალისტმა მოძალადეებმა, კერძოდ ინგლისელმა იმპერიალისტებმა, რომლებიც წამყვან როლს ასრულებდნენ თურქეთის იმპერიალისტურ დაკაბალებაში, ცხადად დაინახეს თურქეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შეუჩერებელი ზრდა და ანატოლიის ეროვნულ-ბურჟუაზიული ხელისუფლების სერიოზული ძალა. ეს ხელისუფლება მათი მთავარი მოწინააღმდეგე იყო და, მაშასადამე, მისი განადგურების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა თურქეთის დაყოფის იმპერიალისტური გეგმების რეალიზაცია. ანატოლიის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩახშობა, აღნიშნულის გამო, იმპერიალისტებმა უახლოესი პერიოდის გადაუდებელ ამოცანად დაისახეს.

პირველად ისინი შეეცადნენ მოეწყოთ რეაქციული ამბოხებები თვით ანატოლიაში, თანაც სულთნის ძალები მიესიათ ქემალისტების წინააღმდეგ. მაგრამ აქედან არაფერი გამოვიდა. განზრახული რეაქციული ამბოხებები არ მოეწყო; სომეხ და ქურთ სეპარატისტებს იოლად გაუსწორდნენ ნაციონალისტები; რაც შეეხება სულთნის მიერ სტამბოლიდან ანატოლიაში გაგზავნილ დამსჯელ რაზმს — „ხალიფატის არმიას“[1], იგი თურქ ნაციონალისტ პარტიზანებთან პირველი შეტაკებისთანავე დაიშალა.

თურქეთის შინაგანი რეაქციის მორიგი მარცხით იმედგაცრუებულმა იმპერიალისტებმა აშკარა ინტერვენციაზე აიღეს გეზი, თანაც დააჩქარეს საბოლოო ზავის შემუშავება თურქეთთან.

უშუალო ინტერვენციის მისია დიდმა იმპერიალისტურმა სახელმწიფოებმა დააკისრეს საბერძნეთს, რომელიც თურქეთის ახალი მიწა-წყლის დაუფლებაზე ოცნებობდა. ინგლისმა, წაახალისა რა ბერძენ ოკუპანტთა ეს დაპყრობითი ზრახვები, უხვად მოამარაგა საბერძნეთის არმია იარაღით, ფულადი სახსრებით, სატრანსპორტო გემებით და მიუსია იგი ქემალისტებს. 1920 წლის ივნისის პირველ რიცხვებში საბერძნეთის ერთმა არმიამ იზმირის ბაზიდან დაიწყო მოქმედება ანატოლიის სიღრმისაკენ. დაძლია რა თურქ პარტიზანთა წინააღმდეგობა, მან მოკლე დროში ხელთ იგდო ბალიქესირი, ბურსა და დასავლეთ ანატოლიის სხვა ბაზები. საბერძნეთის მეორე არმია შეიჭრა აღმოსავლეთ თრაკიაში, დაიკავა ედირნე (ადრიანოპოლი) და შეუდგა მთელი ევროპული თურქეთის ოკუპაციას.

---

[1] სტამბოლის გარეწართაგან შეკოწიწებული რაზმი ინგლისელებმა მოამარაგეს იარაღით და საკუთარი გემებით გადაიყვანეს ჯზიურ ნაპირებზე.

სუსტად შეიარაღებულმა, ნაკლებ დისციპლინებულმა და ინტერვენტებთან შედარებით მცირერიცხოვანმა თურქთა პარტიზანულმა რაზმებმა, რომლებიც უპირატესად მშრომელებისაგან იყო დაკომპლექტებული, გმირული წინააღმდეგობა გაუწიეს ბერძენ ინტერვენტებს და შეაფერხეს მათი წინსვლა ანატოლიის სიღრმისაკენ. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს პარტიზანთა იმ შენაერთის გმირობა და თავდადება, რომელსაც სათავეში ედგა ნიჭიერი თვითნასწავლი სარდალი, სახალხო გმირი, სოფლის მჭედელი დემირჯი.

ანტანტის იმპერიალისტურმა სახელმწიფოებმა აშკარა ინტერვენციასთან ერთად დაიჩქარეს თურქეთის დაყოფის გეგმის რეალიზაცია და მისი გაფორმება საერთაშორისო ხელშეკრულებით, რომლის დეტალური პროექტი უკვე შეიმუშავეს ვერსალ-პარიზის კონფერენციაზე. 1920 წლის 10 აგვისტოს ანტანტის სახელმწიფოებმა სევრში (პარიზთან ახლოს) თურქეთის სულთნის მთავრობას (რომელსაც ამ დროისათვის არავითარი ძალაუფლება არ ჰქონდა და არავინ ცნობდა თურქეთში), თითქმის ძალით ხელი მოაწერინეს კაბალურ საზავო ხელშეკრულებაზე, რომელიც სევრის ზავის სახელითაა ცნობილი.

სევრის ზავით აღმოსავლეთი თრაკია (ადრიანოპოლით) და იზმირი (სმირნა) შემოგარენით საბერძნეთის ხელში გადადიოდა. გარდა არაბული ტერიტორიებისა, რომლებიც „მანდატების“ უფლებით ინგლისმა და საფრანგეთმა გაიანაწილეს, მათ ხელშივე გადადიოდა მოსულის ოლქი (რომელიც ინგლისის სამანდატო ერაყს უნდა შეერთებოდა) და სირიის მოსაზღვრე ზონა (იგი საფრანგეთის სამანდატო სირიას უერთდებოდა). სრუტეების ზონა უნდა გამოყოფილიყო განსაკუთრებულ რაიონად და საერთაშორისო მმართველობას დაქვემდებარებოდა; აღმოსავლეთ ანატოლიაში გათვალისწინებული იყო სომხეთის (დაშნაკური) და ქურთისტანის „დამოუკიდებელი“ სახელმწიფოების შექმნა, რომლებიც ფაქტიურად ინგლისის იმპერიალიზმის ფორპოსტად იქცეოდნენ. ანატოლიის სხვა მნიშვნელოვანი რაიონები იყოფოდა ინგლისის, საფრანგეთისა და იტალიის გავლენის სფეროებად. ასე რომ, თურქეთის ფაქტიურ მფლობელობაში რჩებოდა მხოლოდ ანატოლიის ნაწილი ანკარიდან შავ ზღვამდე, მაგრამ ეს მცირე თურქული ტერიტორიაც იქცეოდა გამარჯვებულთა ნახევრადკოლონიად, რამდენადაც მას ევალებოდა სრული განიარაღება, თანაც მასზე მყარდებოდა ფინანსური კონტროლი და კაპიტულაციების რეჟიმი.

სევრის ზავი ანტანტის ტრიუმი იყო. იგი წარმოადგენდა ყაჩაღურ ზავს, რომელიც ბოლოს უღებდა თურქეთის დამოუკიდებელ არსებობას და მას იმპერიალისტ კოლონიზატორთა კოლონიად აქცევდა. ბუნებრივია, რომ მან უდიდესი აღშფოთება გამოიწვია თურ-

ქეთში. ასეთი საყოველთაო აღშფოთების ვითარებაში სულთანმაც კი ვერ გაბედა მოეხდინა აღნიშნული ხელშეკრულების რატიფიკაცია. ამ უაჩაღურმა ზავმა არა მარტო აღაშფოთა თურქი ხალხი, არამედ გააძლიერა მისი საბრძოლო სულისკვეთება.

თურქმა ხალხმა ამ მისთვის უდიდესი განსაცდელის ჟამს, მიუხედავად მრავალი სიძნელეებისა და გაჭირვებისა, გამოიჩინა იშვიათი თავდადება და შეუპოვრობა. სამშობლოს დამოუკიდებლობის დასაცავად დაირაზმა მოსახლეობის თითქმის ყველა ფენა, იმპერიალიზმის აშკარა აგენტურის გამოკლებით. ანატოლიის გლეხობა მასობრივად მიდიოდა პარტიზანულ რაზმებსა და ახლად შექმნილ რეგულარული ჯარის ნაწილებში, აწვდიდა ფრონტს სურსათსა და სანოვაგეს; გლეხობას არ ჩამორჩებოდნენ მუშები, ხელოსნები და ქალაქის ღარიბობა. ისინი არა მარტო ავსებდნენ საბრძოლო შენაერთთა რიგებსა და მიემართებოდნენ ფრონტებისაკენ, არამედ თავდადებით მუშაობდნენ ზურგში, რათა არმიას ჰქონოდა ყველა საჭირო საბრძოლო მასალა. თავიანთ პატრიოტულ მოვალეობას ასრულებდნენ ვაჭრები და წვრილი მემამულეებიც.

თურქი ხალხის სამართლიან ბრძოლას თანაგრძნობით შეეგებნენ აღმოსავლეთის ჩაგრული ხალხები. მუსლიმანურ ქვეყნებში გაისმა მძაფრი პროტესტი ინგლისელი იმპერიალისტების მისამართით. ინდოელი მუსლიმანები, ეგვიპტის, სირიის, ერაყის, ალჟირის, ტუნისის მოსახლეობა მოითხოვდა თურქეთთან ომის შეწყვეტას და სევრის უაჩაღური ზავის გაუქმებას.

მიუხედავად იმისა, რომ ყველაზე დიდ საფრთხეს თურქეთისათვის ამ ეტაპზე ბერძენთა ინტერვენცია წარმოადგენდა, მის წინააღმდეგ გადამჭრელი წინააღმდეგობა მაინც ფერხდებოდა. ამას ხელს უშლიდა: ქემალისტთა შიში მშრომელებისადმი და მათი აქტივობის შებოჭვა რეპრესიული ზომების მეშვეობით, კაპიტულანტური ელემენტების ფარული საქმიანობა ანტანტის ქვეყნებთან შეთანხმების მისაღწევად, რასაც უნდა მოჰყოლოდა თურქ-საბჭოთა რუსეთის მოლაპარაკების ჩაშლა[1] და პანთურქისტული ტენდენციების გაღვივება, რის გამოხატულებასაც წარმოადგენდა ქემალისტთა ავანტიურისტული ლაშქრობები სომხეთსა და საქართველოში მათი მიწა-წყლის მიტაცების მიზნით.

---

[1] თუმცა ამ წამოწყებიდან არაფერი გამოვიდა და ლონდონში ამ მიზნით მოწვეული კონფერენცია ჩაიშალა, იმპერიალისტებს სურდათ თურქეთისათვის თავზე მოეხვიათ სევრის ზავის ძირითადი პირობები, ქემალისტებს კი არ უნდოდათ მათი მიღება.

საბჭოთა რუსეთ-თურქეთის 1921 წლის 10 მარტის ხელშეკრულება

ლონდონის კონფერენციის მუშაობის ჩაშლამ, კონფერენციისა, სადაც თურქი ნაციონალისტების პროანტანტური ელემენტები ცდილობდნენ მიეღწიათ კომპრომისული შეთანხმებისათვის ანტანტის ქვეყნებთან და ბერძენ ოკუპანტთა შეტევის გაძლიერებამ საბოლოოდ დაარწმუნა თურქი ნაციონალისტები ეშვიდობიანი მორიგების კურსის სრულ უნიადაგობაში. განმათავისუფლებელი ბრძოლის გაძლიერება, პარტიზანული რაზმების ნაცვლად ერთიანი სარდლობისადმი დამორჩილებული რეგულარული არმიის შექმნა, ბერძენ ოკუპანტთა წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლის წარმოება და ამ ბრძოლაში საბჭოთა რუსეთის მეგობრობაზე დაყრდნობა — აი რა გონივრული დასკვნა გააკეთეს მუსტაფა ქემალმა და მისმა თანამებრძოლებმა ლონდონის კონფერენციის ჩაშლიდან.

1921 წლის 10 იანვარს ქემალისტების მიერ შედარებით მოკლე დროში შექმნილმა რეგულარულმა არმიამ, რომლის რიგებშიაც გაერთიანდა ყოფილი პარტიზანული რაზმების დიდი ნაწილი, პირველი სერიოზული გამარჯვება მოიპოვა ბერძენ ოკუპანტებთან ბრძოლაში სოფელ ინენიუსთან. ძალების დიდი სხვაობის მიუხედავად (საბერძნეთის არმიის მებრძოლთა რიცხვი 60 ათას კაცს უდრიდა, თურქებისა კი — 15 ათასს), საკუთარი მიწა-წყლისათვის მებრძოლმა ქემალისტთა არმიამ დასავლეთ ფრონტის სარდლის პოლკოვნიკ ისმეთ ბეის სარდლობით აიძულა ოკუპანტთა არმია უკან დაეხია[1].

ინენიუსთან ბრძოლას, ცხადია, არ ჰქონდა გადამწყვეტი მნიშვნელობა. ბერძენთა არმია ამის შემდეგაც განაგრძობდა წინსვლას. მაგრამ მან თურქეთის ახალგაზრდა არმიას შთაბერა საბრძოლო სული და განამტკიცა ანკარის მთავრობის პოზიციები. მან, ამასთან ერთად, გააძლიერა წინააღმდეგობა ინგლისსა და საფრანგეთ-იტალიას შორის, რითაც ჯეროვნად ისარგებლეს ქემალისტებმა.

ბერძენ ოკუპანტებთან გადამწყვეტი ბრძოლების წინ წარმატებით დაგვირგვინდა მოსკოვში წარმოებული თურქეთ-საბჭოთა რუსეთის მოლაპარაკება. ამ მოლაპარაკებას ხელი ვერ შეუშალეს ვერც თურქეთის რეაქციულმა ძალებმა და ქემალისტთა მემარჯვენე ელემენტებმა, ვერც საერთაშორისო იმპერიალიზმის ძალებმა. 1921 წლის 16 მარტს მოსკოვში ხელი მოაწერეს თურქეთ-საბჭოთა რუსეთის ხელშეკრულებას „მეგობრობისა და ძმობის შესახებ", რო-

---

[1] ამ გამარჯვებისათვის ისმეთ ბეიმ მიიღო გენერლის ჩინი და ფაშობა. უფრო გვიან — 1934 წელს, როცა თურქეთში გვარი შემოვიდა, ისმეთ ფაშას გვარად მიეცა ინენიუ, იმ სოფლის სახელი, სადაც მისი სარდლობით თურქთა არმიამ პირველი გამარჯვება მოიპოვა.

მელსაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ორივე ქვეყნის შემდგომი ურთიერთობისათვის.

ხელშეკრულების ხელმომწერი სახელმწიფოები პირობას დებდნენ დაემყარებინათ ურთიერთშორის გულწრფელი მეგობრობა და ძმური ურთიერთობა, ერთობლივად ებრძოლათ იმპერიალიზმის წინააღმდეგ. ხელმომწერი მხარეები ვალდებულებას იღებდნენ არ ეცნოთ თურქეთის დიდი ეროვნული კრების მიერ არ ცნობილი არც ერთი საერთაშორისო აქტი (კერძოდ, ეს ეხებოდა სევრის ყაჩაღურ ზავს). 1917 წლის ისტორიული დეკლარაციის პრინციპების შესაბამისად საბჭოთა რუსეთის მთავრობა ხელს იღებდა მეფის რუსეთის მიერ თურქეთისათვის თავზე მოხვეულ ყველა არათანასწორუფლებიან ხელშეკრულებაზე, საკაპიტულაციო უფლებებზე, ყველა სხვა პრივილეგიებზე, 1878 წლის საზავო ხელშეკრულებით თურქეთისათვის დაკისრებული კონტრიბუციის გადახდაზე და მეფის რუსეთის ყველა სხვა სახის პრეტენზიებზე. ხელმომწერი მხარეები, ამასთანავე, ვალდებულებას იღებდნენ არ დაეშვათ თავიანთ ტერიტორიაზე მეორე მხარისადმი მტრულად განწყობილი ორგანიზაციებისა და ჯგუფების არსებობა.

1921 წლის ხელშეკრულებამ მოაწესრიგა აგრეთვე და განსაზღვრა თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთი საზღვრები საბჭოთა საქართველოსთან და საბჭოთა სომხეთთან. 23.600 კვადრატული კილომეტრი ფართობის ტერიტორია, რომელიც 1877/1878 წლის რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში გადავიდა და ხელშეკრულებაზე ხელმოწერის მომენტისათვის ქემალისტთა ჯარებს ეკავათ (ყარსის, ჯაგიზმანის, ოლთითის, არტაანის, ართვინის ოლქები, ბათუმის ოლქის სამხრეთი ნაწილი და სურმალის მაზრა), რსფსრ მთავრობამ თურქეთის მთავრობას დაუთმო, რათა ამით კიდევ უფრო განმტკიცებულიყო კეთილმეზობლური ურთიერთობა ამ ორ ქვეყანას შორის.

ხელშეკრულებამ გაითვალისწინა შავი ზღვის სრუტეების მომავალი რეჟიმის ერთობლივი დადგენის საჭიროებაც. ხელშეკრულების V მუხლით მათი მომავალი სტატუტი უნდა განესაზღვრა შავი ზღვისპირა სახელმწიფოების წარმომადგენელთა მომავალ კონფერენციას[1].

მოსკოვის ხელშეკრულების ანალოგიური იყო და კიდევ უფრო განამტკიცა თურქეთ-საბჭოთა ხალხების კეთილმეზობლური ურთიერთობა ყარსისა და ანკარის (ანგორის) ხელშეკრულებებმა. ამათგან პირველი ხელმოწერილ იქნა 1921 წლის 13 ოქტომბერს საქართვე-

---

1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განსაზღვრული არ ყოფილა — მისი რატიფიკაცია მოხდა რსფსრ ცაკ-ის მიერ 1921 წლის 20 მარტს, თურქეთის დიდი ეროვნული კრების მიერ — 1921 წლის 22 სექტემბერს.

ლოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური რეს-პუბლიკებსა (რსფსრ მონაწილეობით) და თურქეთის დიდ ეროვნულ კრებას შორის, მეორე — 1922 წლის 2 იანვარს უკრაინის სს რეს-პუბლიკასა და თურქეთის დიდ ეროვნულ კრებას შორის. უკრაინის სს რესპუბლიკის სახელით მას ხელი მოაწერა გამოჩენილმა საბჭოთა სახელმწიფო მოღვაწემ და მხედარმთავარმა მ.კ. ფრუნზემ მეგობრული მისიით თურქეთში ყოფნის დროს.

მოსკოვის, ყარსისა და ანკარის ხელშეკრულებები დიდი ისტორიული მნიშვნელობის აქტებს წარმოადგენდნენ. მათ საფუძველი ჩაუყარეს ორი მეზობელი ქვეყნის ხანგრძლივ მეგობრობასა და კეთილმეზობლურ ურთიერთობას და ხელი შეუწყეს მშვიდობის განმტკიცებას ახლო აღმოსავლეთში. ისინი წარმოადგენდნენ ლენინური საგარეო პოლიტიკის პრინციპების პრაქტიკულ დადასტურებას, სხვადასხვა სოციალური სისტემების მქონე სახელმწიფოებს შორის დადებულ თანასწორუფლებიან ხელშეკრულებას, აღმოცენებულს იმპერიალიზმის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის ბაზაზე. უდიდესი იყო ამ ხელშეკრულებების მნიშვნელობა იმპერიალიზმის წინააღმდეგ მებრძოლი თურქეთისათვის. მათ აამაღლეს ამ ქვეყნის მთავრობის „საერთაშორისო" ავტორიტეტი, განამტკიცეს მისი საბრძოლო სულისკვეთება და პოზიციები. აღნიშნული ხელშეკრულებებით მებრძოლმა თურქეთმა მოიპოვა დიდი ჩრდილოეთი მეზობლის უანგარო მეგობრობა, მისი მორალური და დიპლომატიური მხარდაჭერა.

1921 წელს რსფსრ მთავრობის მიერ ანკარის მთავრობასთან დანიშნულ სრულუფლებიან ელჩთან ს. ი. არალოვთან საუბარში ვ. ი. ლენინი, ეხებოდა რა მოსკოვის ხელშეკრულების მნიშვნელობას, ამბობდა: „თურქეთისათვის მატერიალური დახმარების გაწევა, თუმცა ჩვენ თვითონ ღარიბები ვართ, ჩვენ შეგვიძლია და საჭიროა. მორალური დახმარება, თანაგრძნობა, მეგობრობა — სამმაგად დიდი დახმარებაა, თურქი ხალხი იგრძნობს, რომ ის მარტო არ არის".

მაგრამ საბჭოთა მთავრობა ზემოაღნიშნულით არ დაკმაყოფილდა. მან, მიუხედავად იმისა, რომ თვითონ განიცდიდა უდიდეს მატერიალურ სიძნელეებს და ხანგრძლივი სამოქალაქო ომისა და ინტერვენტების წინააღმდეგ შეუპოვარი ბრძოლის შედეგად სამეურნეო ნგრევის პირამდე იყო მისული, მაინც დაეკმაყოფილა თურქეთის მთავრობის თხოვნა და გაუწია მას დახმარება იარაღით, საბრძოლო მოწყობილობით, ფულით და სხვა მატერიალური საშუალებებით[1].

[1] სულ 1920—1922 წლების მანძილზე ქემალისტურ თურქეთს მიეცა 10 მილიონი მანეთი ოქროთი, 33 ათასი შაშხანა, 327 ტყვიამფრქვევი, 54 ზარბაზანი, 1500 ხმალი, 20 ათასი აირწინაღი, 58 მილიონი ვაზნა, 129 ათასი საარტილერიო ჭურვი, 2 საზღვაო გამანადგურებელი და სხვა აღჭურვილობა.

ფულით და საბრძოლო მასალებით თურქ ხალხს საშუალება მისცა უკეთ მომზადებულიყო, გაეძლიერებინა ოკუპანტებისადმი წინააღმდეგობა და წარმატებით დაეგვირგვინებია იგი. თურქი ხალხის დიდ შვილს მუსტაფა ქემალს არაერთხელ უდიდესი მადლიერების გრძნობით აღუნიშნავს იმ უანგარო დახმარების დიდი როლი, რაც საბჭოთა ხალხმა გაუწია თურქ ხალხს მისთვის კრიტიკულ მომენტში.

თვით ინგლისის იმპერიალიზმის აპოლოგეტებიც იძულებული იყვნენ ეღიარებინათ საბჭოთა რუსეთის მეგობრობისა და დახმარების უდიდესი როლი ახალი თურქეთის გამარჯვების საქმეში. „ბრძოლის კრიტიკულ მომენტში თურქები მხურვალედ ჩაეჭიდნენ რუსების მიერ გამოწვდილ დახმარების ხელს, — წერს ცნობილი ინგლისელი ისტორიკოსი ტოინბი, — ამ დახმარებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მათი საქმისათვის.

თურქი ხალხის გამარჯვება ბერძენ ინტერვენტებზე

1921 წლის ზაფხულში ბერძენმა ინტერვენტებმა გენერალური შეტევა დაიწყეს ანკარის მიმართულებით. ბერძენთა თავით ფეხებამდე შეიარაღებულმა 120 ათასიანმა არმიამ, რომელსაც ყოველმხრივ ეხმარებოდნენ ინგლისელი იმპერიალისტები, შეძლო საგრძნობლად წინ წაწევა. მან აიღო ესქიშეჰირი, აფიონქარაჰისარი, გადალახა მდინარე საქარია და 75 კილომეტრზე მიუახლოვდა ნაციონალისტური მთავრობის დედაქალაქს.

მაგრამ თურქეთის ახალგაზრდა არმიამ მუსტაფა ქემალის სარდლობით გააფთრებული ბრძოლების შემდეგ, რომელიც 22 დღეღამე გრძელდებოდა, სექტემბრის პირველ რიცხვებში მოახერხა ფრონტის სტაბილიზება. მან არათუ შეძლო ბერძენ ინტერვენტთა შემდგომი შეტევის შეჩერება, არამედ განდევნა ისინი საქარიის აუზიდან და დიდი ზიანი მიაყენა მათ. საკუთარი სამშობლოს თავისუფლებისათვის მებრძოლმა, მაღალი პოლიტიკურ-მორალური განწყობილების მქონე ქემალისტთა არმიამ, რომელიც რიცხობრივად და შეიარაღებით საგრძნობლად ჩამორჩებოდა მტერს, აჯობა და უკან დაახევინა მას.

„საქარიის დიდ ბრძოლაში“ მოპოვებული გადამწყვეტი მნიშვნელობის გამარჯვებისათვის თურქეთის დიდმა ეროვნულმა კრებამ მუსტაფა ქემალს მარშლის წოდება უბოძა და „ღაზის“ („გამარჯვებული“) საპატიო ტიტულით დააჯილდოვა იგი.

„საქარიის დიდი ბრძოლის“ შემდეგ ბერძენ ინტერვენტთა საქმე თანდათანობით უკან წავიდა. მართალია, 1922 წლის გაზაფხულამდე ფრონტზე დროებითი სიწყნარე ჩამოვარდა, მაგრამ ამან ვერ უშველა მათ. პირველმა გამარჯვებამ ფრთა შეასხა თურქ ნაციონალისტებს, გააძლიერა ეროვნული არმიის საბრძოლო სული და კიდევ

უფრო განამტკიცა ანკარის მთავრობის პოზიციები. მან კარგად გამოიყენა შესვენების დრო და საბჭოთა რუსეთის მხარდაჭერა-დახმარებით მოემზადა ოკუპანტთა წინააღმდეგ გადამწყვეტი კონტრშეტევებისათვის.



მუსტაფა ქემალ ათათურქი

ამ მარცხმა ბერძენთა არმიის რიგებში ურწმუნობისა და დაცემულობის განწყობილება გააბატონა. თვით საბერძნეთშიაც დაიწყო მოძრაობა ამ უსამართლო ომის წინააღმდეგ. ამას თან დაერთო სერიოზული განხეთქილება ანტანტის მოკავშირეთა რიგებში. იტალია და საფრანგეთი ზედიზედ ჩამოშორდნენ ინგლისელ იმპერიალისტებს, სეპარატული ზავი დადეს ქემალისტებთან, შეწყვიტეს საომარი ოპერაციები მათი არმიის წინააღმდეგ და დაიწყეს ჯარების ევაკუაცია მათ მიერ წინათ ოკუპირებული ტერიტორიებიდან. ისინი ამასაც არ დასჯერდნენ. მათ აღადგინეს სავაჭრო ურთიერთობა ახალ თურქეთთან და თავიანთი ბაზებიდან ფარულად იარაღიც კი მიაწოდეს მას.

1922 წლის აგვისტოში, ხანგრძლივი და საფუძვლიანი მზადების შემდეგ[1] (რომელიც ღრმა საიდუმლოების ვითარებაში ხორციელდებოდა) თურქეთის ეროვნული არმია მუსტაფა ქემალის სარდლობით გადამწყვეტ შეტევაზე გადავიდა. მან მოკლე დროში გაარღვია ბერძენთა არმიის ფრონტი, დომლუპინართან ბრძოლაში სასტიკი დამარცხება აგემა მას და აიძულა პანიკურად უკან დაეხია[2].

ამ ბრძოლის შემდეგ დემობილიზებულმა ბერძენთა არმიამ შეწყვიტა წინააღმდეგობა და ფორსირებული მარშით ზღვისაკენ

---

1 ამ მზადების დროს ანკარაში იმყოფებოდა მ. ვ. ფრუნზე, რომელიც გაეცნო მდგომარეობას ფრონტზე, თურქეთის სარდლობის მიერ შემუშავებულ გენერალური შეტევის გეგმას და საქმიანი რჩევა-დარიგებით თავისი წვლილი შეიტანა ბერძენ ინტერვენტთა განადგურების საქმეში.

2 ორიოდე დღის შემდეგ თურქეთის არმიამ ხელში ჩაიგდო საბერძნეთის არმიის მთავარი შტაბი და დაატყვევა მისი მთავარსარდალი გენერალი ტრიკუპისი.

დაიწყო ლტოლვა. 9 სექტემბერს თურქეთის მოწინავე ნაწილები შევიდნენ იზმირში, 18 სექტემბერს კი ბერძენთა არმიის უკანასკნელი ნაშთების ზღვით ევაკუაციის შემდეგ, რაც ინგლისის ფლოტის დახმარებით მოხდა, მთლიანად დამთავრდა ანატოლიის გაწმენდა ოკუპანტთაგან.

თურქი ხალხის განმათავისუფლებელი ბრძოლა წარმატებით დამთავრდა.

ინგლისის იმპერიალიზმი იძულებული გახდა ეცნო თავისი ავანტიურისტული გეგმების სრული კრახი და მოლაპარაკება გაემართა გამარჯვებულ თურქეთთან. 11 ოქტომბერს მუდანიაში (ნავსადგური მარმარილოს ზღვაზე) ანტანტის სახელმწიფოებმა თურქეთთან ხელი მოაწერეს დაზავებას, რომელსაც 14 სექტემბერს საბერძნეთიც შეუერთდა. აღნიშნული დაზავების ძალით საბერძნეთის არმიას დაუყოვნებლივ უნდა დაეცალა აღმოსავლეთი თრაკია, რომელიც თურქეთის „ეანდარმიერიას“ უნდა დაეჭირა. სტამბოლი და სრუტეების ზონა საბოლოო ზავის დადებამდე რჩებოდა მოკავშირეთა ხელში, მაგრამ სტამბოლში ქემალისტთა სამოქალაქო ადმინისტრაცია შემოდიოდა.

სულთანატის ლიკვიდაცია. ლოზანის ზავი. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შედეგები

ბერძენ ოკუპანტებზე და მათ იმპერიალისტ მოკავშირეებზე გამარჯვება ნიშნავდა ახალი თურქეთის გამარჯვებას ძველ თურქეთზე, ეროვნულ-ბურჟუაზიული რევოლუციის გამარჯვებას ფეოდალურ-კლერიკალურ და მონარქიულ რეჟიმზე. ამიტომ სავსებით ბუნებრივი იყო ის ახალი ნაბიჯი, რომელიც გადადგეს ბურჟუაზიულმა ნაციონალისტებმა ამ გამარჯვების შემდეგ. 1922 წლის 1 ნოემბერს თურქეთის დიდმა ეროვნულმა კრებამ მუსტაფა ქემალის წინადადებით მიიღო დადგენილება სულთანატის გაუქმების შესახებ[1]. ეს იყო სერიოზული დარტყმა როგორც თურქეთის ძველ ძალებზე, ისე საერთაშორისო იმპერიალიზმზე, რომელიც ცდილობდა გამოეყენებინა სულთნის ხელისუფლება თავისი ინტერესებისათვის, მაგრამ სულთანატის ლიკვიდაციას მაშინ არ მოჰყოლია მომავალი სახელმწიფოებრივი ფორმის განსაზღვრა და რესპუბლიკის გამოცხადება. იგი შემდგომი დროისათვის გადაიდო.

1922 წლის 20 ნოემბერს ლოზანაში (შვეიცარია) მუშაობა დაიწყო ანტანტისა და თურქეთის წარმომადგენელთა კონფერენციამ,

---

[1] ამ აქტით გაიყო სულთნის საერო და სასულიერო ხელისუფლება. ლიკვიდირებულ იქნა სულთნის მხოლოდ საერო ხელისუფლება, ხალიფატი კი ხელუხლებლად დარჩა. უკანასკნელი სულთანი ვაჰიდედინი საზღვარგარეთ გაიქცა, ხალიფად კი არჩეულ იქნა დინასტიის მეორე წარმომადგენელი პრინცი აბდულ მეჯიდი.

რომლის ამოცანა იყო თურქეთთან საბოლოო ზავის პირობების შემუშავება[1]. კონფერენცია ძალიან გაჭიანურებული აღმოჩნდა და მხოლოდ 1923 წლის ივლისში დაამთავრა მუშაობა. ლოზანაში თურქეთი გამოდიოდა როგორც თანასწორუფლებიანი მხარე. ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაში გამარჯვებამ და საბჭოთა კავშირის მორალურ-დიპლომატიურმა მხარდაჭერამ უდიდესი გავლენა იქონია კონფერენციის მუშაობაზე და ბევრად განსაზღვრა მისი შედეგები.

ლოზანის კონფერენციაზე შემუშავებული საბოლოო სამშვიდობო ხელშეკრულება თურქეთსა და კონფერენციის სხვა მონაწილეებს შორის ხელმოწერილ იქნა 1923 წლის 23 ივლისს. ხელშეკრულებას თანდართული ჰქონდა დამატებები: 1) კონვენცია შაეი ზღვის სრუტეების შესახებ; 2) კონვენცია თურქეთსა და საბერძნეთს შორის მოსახლეობის გაცვლის შესახებ.

ლოზანის ზავით თურქეთმა მოიპოვა სრული პოლიტიკური დამოუკიდებლობა. მან მიაღწია იმ ტერიტორიული საზღვრების აღიარებას, მოსულის ოლქისა და ალექსანდრეტას გამოკლებით[2], რომელიც ფიქსირებული იყო „ეროვნული აღთქმით" (აღმოსავლეთ თრაკიის, მცირე აზიის, სასომხეთის მთიანეთის დასავლეთ ნაწილისა და სირია-მესოპოტამიის პლატოს ჩრდილოეთი ნაწილის ფარგლებში სტამბოლის ჩათვლით). ეთნოგრაფიულად წმინდა თურქული მიწების გარდა მის ფარგლებში მოექცა ქურთებით, სომხებით და ლაზ-ქართველებით დასახლებული ტერიტორიებიც, გაუქმდა ყველა სახის კაპიტულაციები და მათი იურიდიულად დამადასტურებელი არათანასწორუფლებიანი ხელშეკრულებები, ოტომანის საჯარო ვალის გამგეობა (საბჭო) და მუდროსის დაზავებით თურქეთისათვის დაკისრებული ყველა სახის შეზღუდვები (სამხედრო, ფინანსური...). მაგრამ ზოგ რამეში თურქეთის მთავრობა სერიოზულ დათმობებზე წავიდა დასავლეთის დიდი იმპერიალისტური სახელმწიფოების მიმართ. მან დათმო ტარიფების საკითხში, იცნო და ხელუხლებლად დატოვა უცხოური კონცესიები; ვალდებულება აიღო გადაეხადა სულთნის თურქეთის ვალების უდიდესი ნაწილი[3]. მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვან დათმობაზე იგი მაინც სრუტეების საკითხში წავიდა. თვით ის ფაქტი, რომ თურქე-

---

1 გარდა ანტანტის ქვეყნებისა და თურქეთისა, კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ: საბერძნეთი, იუგოსლავია, რუმინეთი. სრუტეების კონვენციის პროექტის განხილვაში მონაწილეობას იღებდნენ რსფსრ, უკრაინისა და საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკების წარმომადგენლები.

2 შემდეგში ერთა ლიგის დადგენილებით პირველი ერაყს მიეკუთვნა, მეორე კი — სირიას.

3 გადასახდელი ვალის ოდენობისა და მისი გაზრდის პირობების საკითხი ღია დარჩა და გადაწყდა უფრო გვიან თურქეთ-საფრანგეთის ორმხრივი მოლაპარაკების შედეგად.

თის მთავრობა თანახმა გახდა სრუტეების საკითხი განხილულიყო ისეთ კონფერენციაზე, რომლის მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ არაშავიზღვისპირა სახელმწიფოებიც (ინგლისი, საფრანგეთი, იაპონია...), წარმოადგენდა თურქეთ-საბჭოთა რუსეთის 1921 წლის 16 მარტის ხელშეკრულების პირობების დარღვევას.

სრუტეების ახალი კონვენციით, რომელიც ხელმოწერილ იქნა ლოზანაში ხელშეკრულებასთან ერთად, ბოსფორისა და დარდანელის სრუტეების მმართველობა ამოღებულ იქნა თურქეთის კომპეტენციიდან და გადაეცა „სრუტეების საერთაშორისო კომისიის"[1] კონტროლს, რაც ფაქტიურად მოასწავებდა მასზე ანტანტის (უპირველესად ინგლისის) კონტროლის დაწესებას. უცხოურ სამხედრო გემებს, განურჩევლად ტონაჟისა, ყოველ დროს, თურქეთის მთავრობისათვის წინასწარი გაფრთხილების გარეშე შეეძლოთ სრუტეებში გასვლა; ხდებოდა სრუტეების ზონის დემილიტარიზაცია, თურქეთს ეკრძალებოდა იქ ჯარების ყოლა და სიმაგრეების აგება. როგორც ვხედავთ, კონვენციის შესაბამისი პუნქტები ლახავდა თურქეთის სუვერენიტეტს, თანაც იგი მიმართული იყო საბჭოთა კავშირის ინტერესების წინააღმდეგ, არღვევდა მის კანონიერ უფლებებს და ქმნიდა შავი ზღვის აუზის უშიშროების სერიოზულ საფრთხეს. ამიტომ საბჭოთა კავშირმა სამართლიანად განაცხადა პროტესტი კონვენციის მიღების წინააღმდეგ და არ მოახდინა მისი რატიფიკაცია.

ლოზანაში ხელმოწერილ იქნა აგრეთვე კონვენცია თურქეთსა და საბერძნეთს შორის მოსახლეობის გაცვლის შესახებ. ამ კონვენციის ძალით მოხდა დაახლოებით 1,5 მილიონი თურქეთის ქვეშევრდომი ბერძენი მოსახლეობის გასახლება (იძულებითი რეპატრიაცია) თურქეთიდან და 500 ათასი მუსლიმანისა (უმეტესად თურქებისა) — საბერძნეთიდან. იძულებითი გასახლება არ ვრცელდებოდა მარტო კონსტანტინოპოლში მცხოვრებ ბერძნებზე და დასავლეთ თრაკიაში მოსახლე თურქებზე.

ასეთი იყო ლოზანის ხელშეკრულების ძირითადი დადგენილებები. მიუხედავად მთელი რიგი კომპრომისებისა და დათმობებისა, მთლიანად ეს ხელშეკრულება წარმოადგენდა ახალი თურქეთის სერიოზულ გამარჯვებას. იგი ნიშნავდა იმპერიალისტური სახელმწიფოების პოლიტიკის მარცხს ახლო აღმოსავლეთში, იმ ახალი თურქეთის საერთაშორისო აღიარებას, რომელიც იშვა სულთნის თურქეთის ნანგრევებზე თურქი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის გამარჯვების შედეგად.

---

[1] ფორმალურად ამ კომისიის თავმჯდომარე უნდა ყოფილიყო თურქეთის დელეგაცია.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის შედეგები. რესპუბლიკის გამოცხადება

თურქი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა წარმატებით დაგვირგვინდა. ჩაიფუშა იმპერიალისტ კოლონიზატორთა ავბედითი გეგმები; თურქეთმა შეინარჩუნა ეროვნული სუვერენიტეტი; ნახევრად კოლონიური და ნახევრად ფეოდალურ თეოკრატიული სულთნის თურქეთის ნანგრევებზე აღმოცენდა ეროვნულ-ბურჟუაზიული თურქეთის სახელმწიფო. ეს იყო სერიოზული პროგრესული მობრუნება თურქეთის ისტორიულ განვითარებაში, მაგრამ ქემალისტური რევოლუცია მარტო ეროვნული სუვერენიტეტის მოპოვებით, სულთანატის ლიკვიდაციით და შუა საუკუნეობრიობის ზოგიერთი გადმონაშთის ლიკვიდაციით დაკმაყოფილდა.

რევოლუციის ხელმძღვანელმა ქემალისტებმა, რომლებიც ეროვნული ბურჟუაზიისა და მასთან კავშირში მყოფი სოციალური ჯგუფების ინტერესებს გამოხატავდნენ და არა მთელი ხალხისა, საჭიროდ არ ჩათვალეს ანგარიში გაეწიათ განმათავისუფლებელ ბრძოლაში მათი ბუნებრივი მოკავშირეების — მშრომელების სამართლიანი მოთხოვნებისათვის. მუშათა კლასისა და გლეხობის ინტერესები მოითხოვდნენ რევოლუციის შემდგომ განვითარებას ქვეყნის თანმიმდევარი დემოკრატიული გადახალისების მიმართულებით, ეროვნულ ბურჟუაზიას და მასთან ბლოკში მყოფ მემამულეებს კი სურდათ მხოლოდ ისეთი ზედაპირული რეფორმები, რომელიც განამტკიცებდა თურქეთის მოპოვებულ სუვერენიტეტს და დაამკვიდრებდა მათ ბატონობას ამ ქვეყანაში.

გლეხობა, როგორც ზემოთ აღვნიშნავდით, ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის მთავარი მამოძრავებელი ძალა იყო. მან ზიდა ამ ბრძოლის მთავარი ტვირთი. მუსტაფა ქემალი დიდად აფასებდა მას და ერის მთავარ ძალას უწოდებდა. მაგრამ ომის დამთავრების შემდეგ გლეხობის ამაგი არავის დაუფასებია. მისი მძიმე ხვედრი ოდნავადაც არ შემსუბუქებულა. არავის უზრუნია მისი პირობების გაუმჯობესებაზე.

ოდნავადაც არ შეცვლილა ეროვნული მუშათა კლასის მძიმე მატერიალური ყოფა და უუფლებობა. ქემალისტებმა ამ ერთგულ მოკავშირესაც უღალატეს და აბუჩად აიგდეს მისი საარსებო მოთხოვნები. მათ ზედმეტად მიიჩნიეს მუშათა კანონმდებლობის შემუშავება, მეწარმეთა თვითნებობის შეზღუდვა, ბავშვთა და ქალთა შრომის მტაცებლური ექსპლოატაციის შესუსტება, ხელფასის გადიდება და ა. შ. მათ მუშებს აუკრძალეს გაფიცვების მოწყობა და პროფესიულ კავშირებში გაერთიანება, ისე როგორც საკუთარი პოლიტიკური პარტიის შექმნა.

ქემალისტთა კლასობრივმა ბუნებამ, მათმა მტრულმა დამოკიდებულებამ მშრომელი მასებისადმი თავი იჩინა ჯერ კიდევ 1920 წლიდან. ყველაზე რელიეფურად იგი გამოვლინდა მუშათა და გლეხთა დამოუკიდებელი მოძრაობისადმი, ახლად შექმნილი კომუნისტური პარტიისადმი მათ შეურიგებლობაში.

თურქეთის მუშათა კლასი სუსტი და მცირერიცხოვანი იყო, განსაკუთრებით ანატოლიაში, სადაც ჩაისახა და განვითარდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. მართალია, პირველი სოციალისტური და კომუნისტური ორგანიზაციები ჯერ კიდევ 1919 წელს აღმოცენდნენ ანატოლიაში[1], მაგრამ ისინი მცირერიცხოვანი იყვნენ, თანაც მათი გავლენა ძალზე განსაზღვრული იყო მუშათა და გლეხთა მასებზე, ხოლო დაქსაქსული ორგანიზაციების პოლიტიკური წონა — სრულიად უმნიშვნელო. მათ არ შეეძლოთ მშრომელთა დარაზმვა და განმათავისუფლებელი ბრძოლის ავანგარდად ქცევა. მხოლოდ 1920 წელს, ნიჟიერი პროლეტარული რევოლუციონერის მუსტაფა სუბჰის ხელმძღვანელობით გახდა შესაძლებელი კომუნისტური ჯგუფების თურქეთის ერთიან კომუნისტურ პარტიად გაერთიანება[2].

ქემალისტებმა თავდაპირველად დაუშვეს კომუნისტური პარტიის არსებობა, თუმცა შეეცადნენ თავიანთი გავლენისათვის დაექვემდებარებინათ მისი საქმიანობა. როდესაც ეს ცდა უშედეგოდ დამთავრდა, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ხელმძღვანელებმა შეცვალეს პოლიტიკა და ბრძოლა გააჩაღეს მშრომელთა ავანგარდის წინააღმდეგ.

1920 წლის მიწურულში ქემალისტებმა, ისარგებლეს რა ერთ-ერთი პარტიზანული რაზმის აჯანყებით, როგორც საბაბით, დაატუსაღეს კომუნისტთა მოზრდილი ჯგუფი, ბრალი დასდეს მათ აღნიშნული აჯანყებისათვის მხარდაჭერაში და მკაცრად დასაჯეს ისინი: ნაწილი საპყრობილეში ჩაამწყვდიეს, ნაწილიც — გადაასახლეს. გარდა ამისა, პანთურქისტებისა და პანისლამისტებისაგან მათ შექმნეს საკუთარი „კომუნისტური პარტია“, რომლითაც მიზნად დაისახეს ჭეშმარიტი კომუნისტური პარტიის პარალიზება, ძისთვის მუშებისა და გლეხების ჩამოშორება. ბუნებრივია, რომ ოფიციალურად „კომპარტია“ ლეგალობის სრული უფლებებითა და ხელისუფლების მხარდაჭერით სარგებლობდა და მშრომელთა შორის ძირგამომთხრელ, პროვოკაციულ საქმიანობას ეწეოდა.

1921 წლის 28 იანვარს ტრაპიზონში, აღმოსავლეთის ფრონტის

---

1 იმავე 1919 წელს კომუნისტური ჯგუფები აღმოცენდა იმპერიალისტების მიერ ოკუპირებულ სტამბოლშიაც. მათ მუშაობა უხდებოდათ სულთნის ხელისუფლებისა და ოკუპანტთა მკაცრი ტერორის პირობებში.

2 ეს მოხდა პირველ ყრილობაზე 1920 წლის სექტემბერში.

სარდლის ქიაზიმ ქარაბეკირის პირდაპირი მითითებით ქალაქის ჟანდარმერიამ და მოლებმა მხეცურად აწამეს და შავ ზღვაში ჩაახრჩეს მუსტაფა სუბჰი და მისი 15 ამხანაგი (თურქეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი პირები), ყოფილი ტყვეები, რომლებიც მუსტაფა ქემალის ნებართვით სამშობლოში ბრუნდებოდნენ (ბაქოდან). ამ მხეცური ანგარიშსწორების შემდეგ თურქეთის კომუნისტური პარტია კარგა ხანს წელში არ გასწორებულა; იგი იძულებული იყო არალეგალურად ემუშავა.

1921 წლის მეორე ნახევარში, განმათავისუფლებელი ბრძოლის ყველაზე კრიტიკულ მომენტში ქემალისტებმა ტაქტიკური მოსაზრებით ისევ დაუშვეს კომუნისტური პარტიის ლეგალური არსებობა. მაგრამ როგორც კი ბერძენი ოკუპანტები გაძევებულ იქნენ ქვეყნის მიწა-წყლიდან და წარმატებით დაგვირგვინდა ანტიიმპერიალისტური ბრძოლა, ანკარის მთავრობამ ისევ აკრძალა მისი საქმიანობა და ხელი მიჰყო კომუნისტური პარტიის აქტივისტების დატუსაღებაგასამართლებას. ამ დროიდან თურქეთის კომუნისტური პარტია იძულებული გახდა საბოლოოდ იატაკქვეშეთში ჩასულიყო და ისე განეგრძო მშრომელთა ინტერესებისათვის ბრძოლა.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი ომის დამთავრების შემდეგ სხვადასხვა სოციალური ფენების დროებითი ერთიანი ფრონტი საბოლოოდ დაიშალა. 1923 წელს მუსტაფა ქემალმა და მისმა მომხრეებმა შექმნეს სახალხო პარტია, რომელმაც მალე მიიღო სახალხო-რესპუბლიკური პარტიის სახელწოდება. აღნიშნული პარტია გამარჯვებული ეროვნული ბურჟუაზიისა და მემამულეების კლასობრივი პარტია იყო.

1923 წლის 13 ოქტომბერს თურქეთის დიდმა ეროვნულმა კრებამ აღნიშნული პარტიის წინადადებით მიიღო კანონი თურქეთის დედაქალაქად ანკარის გამოცხადების შესახებ. 1923 წლის 19 ოქტომბერს, იმ დიდი გამარჯვების შედეგად, რომელიც სახალხო რესპუბლიკურმა პარტიამ მოიპოვა დიდი ეროვნული კრების (მეჯლისის) არჩევნებში (265 ადგილი 386-დან), ქემალისტებმა მეჯლისს მიაღებინეს კანონი რესპუბლიკის გამოცხადების შესახებ. ამ პროგრესული აქტის მიღებისთანავე ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გამოჩენილი ორგანიზატორი, თურქეთის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დიდი ქომაგი მუსტაფა ქემალი, რომელმაც სამართლიანად დაიმსახურა თურქი ხალხის საყოველთაო მოწონება და სიყვარული, არჩეულ იქნა ახალი რესპუბლიკის პირველ პრეზიდენტად[1].

---

[1] ეს პოსტი მას ეკავა შეუცვლელად სიკვდილამდე, ე. ი. 1938 წლის 10 ნოემბრამდე. 1927 წლიდან იგი ერთდროულად სახალხო-რესპუბლიკური პარტიის უცვლელი თავმჯდომარეც იყო.

აღნიშნული ცვლილებების ლოგიკურ გაგრძელებას წარმოადგენდა ხალიფატის — რეაქციულ-კლერიკალური წრეების ამ უკანასკნელი ბურჯისა და იმპერიალიზმის საყრდენის — ლიკვიდაცია და ოსმანთა დინასტიის ყველა წევრის გაძევება საზღვარგარეთ. სათანადო კანონი მიღებულ იქნა 1924 წლის 3 მარტს.

ის სერიოზული ცვლილებები, რომლებიც მოხდა თურქეთის ცხოვრებაში ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის დასრულების შემდეგ, კერძოდ ძველი სახელმწიფოებრივი ფორმის ლიკვიდაცია და მისი შეცვლა ახალი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული წყობილებით — აისახა 1924 წლის 20 აპრილს თურქეთის მეჯლისის მიერ მიღებულ ახალ კონსტიტუციაში.

ახალმა კონსტიტუციამ ფიქსაცია უყო ქემალისტური რევოლუციის მიღწევებს და გააფორმა ეროვნული ბურჟუაზიისა და მემამულეების ბლოკის კლასობრივი ბატონობა. მან მოსპო სულთანატი და ხალიფატი — სახელმწიფოებრივი წყობის ფეოდალური ფორმები. იმის გამო, რომ თურქეთი იქცა ბურჟუაზიულ-მემამულურ სახელმწიფოდ, ამ კონსტიტუციას მშრომელებისათვის არ მიუნიჭებია დემოკრატიული უფლებები, მიუხედავად იმისა, რომ კონსტიტუცია აწესებდა მმართველობის დემოკრატიულ ფორმას, სადაც მთელი ძალაუფლება თითქოს ხალხს ეკუთვნოდა. კონსტიტუციით დეკლარირებული მშრომელთა „უფლებები“ და „თავისუფლება“ უბრალო ფიქციას წარმოადგენდა.

აღნიშნული კონსტიტუცია საკანონმდებლო წესით ადასტურებდა დიდმპყრობელურ — პანთურქულ ეროვნულ პოლიტიკას. იგი არ ცნობდა არათურქი ხალხების თვითმყოფად ცხოვრებას და მოითხოვდა მათ ასიმილაციას. აღიარებდა რა (მუხ. 88), რომ „თურქეთის ყველა მცხოვრები, რელიგიური და ეროვნული კუთვნილების მიუხედავად, თურქებად ითვლებიანო“, იგი თურქულ ენას აცხადებდა სახელმწიფო ენად, ისლამს — სახელმწიფო რელიგიად და ა. შ.

ხელისუფლების უმაღლეს ორგანოდ კონსტიტუცია აცხადებდა დიდ ეროვნულ კრებას — მეჯლისს, რომელსაც 4 წლით ირჩევდნენ. არჩევნები ორსაფეხურიანი იყო. იგი პასიურ საარჩევნო უფლებას აძლევდა ქალებს და თურქული წერა-კითხვის ყველა არამცოდნეს. სახელმწიფოს მეთაურად ითვლებოდა რესპუბლიკის პრეზიდენტი, რომელიც სათავეში ედგა აგრეთვე აღმასრულებელ ხელისუფლებას. პრეზიდენტს ირჩევდნენ აგრეთვე 4 წლის ვადით მეჯლისის არჩევასთან ერთად მის წევრთა შემადგენლობიდან.

აღმასრულებელ ხელისუფლებას პრეზიდენტი ახორციელებდა მინისტრთა საბჭოს მეშვეობით. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს

ნიშნავდა თვითონ, მინისტრთა სხბჭოს თავმჯდომარე კი ნიშნავდა მინისტრებს (მტკიცდებოდა პრეზიდენტის მიერ). ფორმალურად მთავრობა პასუხისმგებელი იყო პარლამენტის წინაშე, მაგრამ ფაქტიურად იგი მხოლოდ პრეზიდენტს ემორჩილებოდა.

თურქეთი 1924—1945 წლებში

კაპიტალიზმის განვითარების თავისებურებანი თურქეთში. „ეტატიზმის" პოლიტიკა

ახალგაზრდა თურქეთი ეკონომიურად სუსტად განვითარებული, ნახევრად კოლონიური ქვეყნების რიგს ეკუთვნოდა. მისი სამეურნეო ცხოვრების წამყვანი დარგი სოფლის მეურნეობა ღრმა ფეოდალური გადმონაშთებით იყო შებოჭილი და ქრონიკულ დეპრესიას განიცდიდა. პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოპოვების მიუხედავად, მაინც დიდი იყო თურქეთის ეკონომიური დამოკიდებულება იმპერიალისტურ სახელმწიფოებზე. მას ისევ გაჰქონდა ნედლეული და სურსათი, შემოჰქონდა მზა ნაწარმი. უცხოურმა კაპიტალმა შეინარჩუნა ამ ქვეყანაში თავისი ძველი პოზიციები: სამრეწველო საალმშენებლო კონცესიები, რკინიგზები, ბანკები, საზღვაო ტრანსპორტი... მას კისერზე აწვა ძველი ვალების უდიდესი ნაწილის გადახდა.

აღნიშნული მძიმე მემკვიდრეობის ლიკვიდაციისა და აგრარულ სფეროში გაბატონებულ წინაკაპიტალისტურ გადმონაშთთა ამოძირკვის გარეშე შეუძლებელი იყო საწარმოო ძალების დაჩქარებული განვითარება, მაგრამ თურქეთის გამარჯვებულმა ბურჟუაზიამ საჭიროდ არ ცნო ისეთი რადიკალური ღონისძიებების გატარება, რომელიც ძირეულ ცვლილებებს მოახდენდა წარმოებით ურთიერთობათა სფეროში და ხელ-ფეხს გაუხსნიდა შებოჭილ საწარმოო ძალებს. ძირეულ სოციალურ-ეკონომიურ გარდაქმნათა ნაცვლად იგი დაკმაყოფილდა ისეთი ზედაპირული რეფორმებით, რომელიც შეეხო მარტო სახელმწიფოებრივ წყობას, ყოფა-ცხოვრებით სფეროსა და ადათებს.

ქემალისტურმა მთავრობამ კლასობრივი შეზღუდულობის გამო ანგარიში არ გაუწია აგრარული საკითხის უდიდეს როლს ქვეყნის ეკონომიკაში. მან ხელუხლებლად დატოვა მსხვილი მემამულური მიწათმფლობელობა, გლეხთა კაბალური საიჯარო პირობები, მოზიარეობა, მევახშეთა პარპაში და მიწათმოქმედების ექსტენსიური ფორმები. მას არავითარი ქმედითი ნაბიჯები არ გადაუდგამს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის დონის ასამაღლებლად, აგროღონისძიებათა დასანერგად და შრომის ნაყოფიერების ასამაღლებლად. ფეოდალური გადასახადის — აშარის გაუქმებას და მისი ახალი, არანაკლებ

მძიმე გადასახადებით შეცვლას 1925 წელს არ გაუუმჯობესებია მდგომარეობა სოფლად და გლეხობისათვის სტიმული არ მიუცია მიწათმოქმედების გაუმჯობესებისათვის.

რესპუბლიკურმა მთავრობამ, მიუხედავად ზემოთ აღნიშნულისა, მაინც მიიღო ზომები საკუთარი ეკონომიური პოზიციების განსამტკიცებლად. მან გამოიჩინა დიდი ყურადღება ეროვნული სამრეწველო მშენებლობისადმი, ახალი რკინიგზების გაყვანისა და ეროვნული კაპიტალის წახალისებისადმი. მან მიიღო ზომები იმისათვის, რომ ეროვნულ კაპიტალს, რომელიც ძირითადად ვაჭრობისა და მევახშეობის სფეროებში „მოღვაწეობდა", მეტი ინტერესი გამოეჩინა სამრეწველო საქმიანობისადმი. 1927 წელს მეჯლისმა მიიღო კანონი „მრეწველობის მფარველობის შესახებ", რომელიც, პირველ რიგში, განკუთვნილი იყო კერძო ეროვნული კაპიტალის წასახალისებლად. მაგრამ ამ კანონის მოქმედება ეფექტური არ ყოფილა. კერძო კაპიტალი სუსტი იყო და კვლავინდებურად ამჯობინებდა სავაჭრო-სავახშო სფეროს, სადაც უფრო სწრაფი იყო კაპიტალის ბრუნვა, მოგების ნორმა კი — შედარებით მაღალი. ყოველ შემთხვევაში, ამ კანონის წამახალისებელმა ზომებმა შეზღუდულ ფორმებში მაინც იჩინა თავი. მსოფლიო ეკონომიური კრიზისის წინ თურქეთში აიგო რამდენიმე ასეული წვრილი და საშუალო საწარმო, რომლებიც კერძო კაპიტალს ეკუთვნოდა.

ქვეყნის ეროვნული მრეწველობის განვითარების ძირითად ეკონომიურ პოლიტიკად ქემალისტურმა მთავრობამ ე. წ. „ეტატიზმის" პოლიტიკა მოიმარჯვა[1]. ეტატიზმი წარმოადგენდა სახელმწიფო კაპიტალიზმის თავისებურ ფორმას ჩამორჩენილი ქვეყნის სინამდვილეში, იგი ითვალისწინებდა სახელმწიფოს ჩარევას და მისი მარეგულირებელი როლის გაზრდას ეკონომიურ ცხოვრებაში, კერძო ეროვნული მრეწველობის შემდგომ მფარველობას და სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით ახალ სამრეწველო-სატრანსპორტო ობიექტთა მშენებლობას და ამ გზით სახელმწიფო კაპიტალიზმის განვითარებას. ქვეყნის ეკონომიური ცხოვრების რეგულირების ეს მეთოდი ჯერ კიდევ 1921 წლიდან დაინერგა, მაგრამ მძლავრი ბიძგი მას მხოლოდ 1929 წლის მსოფლიო ეკონომიურმა კრიზისმა მისცა. სწორედ ამ დროიდან იქცა იგი ქემალისტური პარტიისა და მთავრობის ძირითად ეკონომიურ პრინციპად.

ეტატიზმის ეკონომიურ პოლიტიკას გარკვეული პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა და თავისი კვალიც დააჩნია თურქეთის ცხოვრებას. მის შედეგად ცოტად თუ ბევრად განმტკიცდა ეროვნული

---

[1] ფრანგული სიტყვიდან „Etat", რაც სახელმწიფოს ნიშნავს. თურქულად მისი სინონიმია „დევლეთჩილიკი", რაც აგრეთვე სახელმწიფოს ნიშნავს.

მრეწველობა, პირველ ხანებში საგრძნობლად შესუსტდა უცხოური კაპიტალის დაწოლა, ახლად შეიქმნა მრეწველობის ზოგიერთი დარგი[1]. ასეთივე მნიშვნელობა ჰქონდა იმ ეკონომიურ ღონისძიებებსაც, რომლებსაც ახორციელებდა თურქეთის რესპუბლიკური მთავრობა მსოფლიო ეკონომიური კრიზისის წინ, კრიზისის წლებში და მის შემდეგ. ამათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია უცხოელთა კუთვნილი კონცესიების ნაწილის გაუქმება და ნაწილის გამოსყიდვა (რკინიგზების ჩათვლით) სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით, ეროვნული ბანკების დაარსება, კერძოდ, ცენტრალური რესპუბლიკური ბანკისა, რომელსაც ძველი ოტომანის ბანკის ყველა ფუნქციები ჰქონდა (კერძოდ ბანკნოტების გამოშვება); ახალი საბაჟო ტარიფის შემოღება (1929 წ.), რასაც მოჰყვა უცხოური საქონლის იმპორტის შემცირება და ა. შ.

მაგრამ საერთოდ აღნიშნული პოლიტიკისა და ღონისძიებათა ეფექტი არ ყოფილა მნიშვნელოვანი. რაც მთავარია, იგი არ შეხებია სოფლის მეურნეობას, სადაც ხელუხლებლად დარჩა ექსპლოატაციის წინაკაპიტალისტური ფორმები. მას არ მოჰყოლია თურქეთის იმპერიალისტური სახელმწიფოებისადმი ეკონომიური დამოკიდებულების ლიკვიდაცია (მხოლოდ შესუსტდა), არ შექმნილა პირობები თურქეთში მძიმე ინდუსტრიის, მეტალურგიისა და მანქანათმშენებლობის განვითარებისათვის[2]. ამ მხრივ ნიშანდობლივია თურქეთის საგარეო ვაჭრობის განვითარების სურათი. ექსპორტისა და იმპორტის მოცულობის ზრდის მიუხედავად, თურქეთს დიდხანს პასიური ბალანსი ჰქონდა; მას, როგორც სუსტად განვითარებულ ქვეყანას, ისევ გაჰქონდა ნედლეული და სურსათი, შემოჰქონდა მოწყობილობა და სამრეწველო ნაკეთობა. ყოველივე ამას უნდა დაემატოს ისიც, რომ ეროვნული ბურჟუაზია, ეწეოდა რა სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით რკინიგზების გაყვანას, წიაღისეულის მოპოვებას და ახალ სამრეწველო ობიექტთა მშენებლობას, ავითარებდა სახელმწიფო კაპიტალიზმს მშრომელთა სახსრებით, მუშათა და გლეხთა მასების ექსპლოატაციის გადიდების ხარჯზე.

თურქეთის რესპუბლიკას ეროვნული ეკონომიკის განვითარებისა და ვალუტის სტაბილიზაციის საქმეში დიდი დახმარება აღმოუჩინა საბჭოთა კავშირმა. განსაკუთრებით ეფექტური და ვნიშვნელოვანი იყო ეს დახმარება მსოფლიო ეკონომიური კრიზისის წლებ-

---

1 აიგო შაქრის ქარხნები, გაიზარდა საფეიქრო ფაბრიკების რიცხვი, გაყვანილ იქნა ახალი რკინიგზები და სხვ.

2 თურქეთის პირველი მეტალურგიული კომბინატი, აგებული ინგლისელების მიერ, მხოლოდ 1939 წელს ჩადგა მწყობრში კარაბიუკში.

ში, როცა თურქეთს განსაკუთრებით უჭირდა, კაპიტალისტური ქვეყნები კი შემწეობის ნაცვლად ყოველმხრივ ხელს უშლიდნენ მას და ცდილობდნენ მსხვილი მონოპოლიების ინტერესებისათვის გამოეყენებინათ ეს სიძნელეები. 1932 წელს საბჭოთა კავშირმა თურქეთს მისცა უპროცენტო სამრეწველო კრედიტი 8 მილიონი დოლარის რაოდენობით, თანაც აღმოუჩინა ტექნიკური დახმარება. ამ საბჭოთა კრედიტით და საბჭოთა ტექნიკური სპეციალისტების აქტიური მონაწილეობით აგებულ იქნა ორი მსხვილი საფეიქრო (ბამბეულის) კომბინატი კაისერსა და ნაზილში.

რეფორმები სახელმწიფოებრივ წყობაში, კანონმდებლობაში, კულტურასა და ყოფაში

რესპუბლიკის გამოცხადების შემდეგ თურქეთის ბურჟუაზიულ-რესპუბლიკური მთავრობა წლების განმავლობაში ატარებდა თავისთავად საჭირო, მაგრამ ნახევრად ზედაპირულ რეფორმებს სახელმწიფოებრივი წყობის, კანონმდებლობის, კულტურისა და ყოფა-ცხოვრების დარგებში. ამ რეფორმების ამოცანა იყო ეროვნული ბურჟუაზიის კლასობრივი პოზიციების განმტკიცება, კლერიკალურ-რეაქციული ელემენტების წინააღმდეგობის ჩახშობა, ევროპული მიღწევების დანერგვა და საერო ინსტიტუტების განმტკიცება.

1924 წელს თურქეთის მეჯლისმა გააუქმა შარიათისა და ვაკუფების სამინისტრო (რაც ფაქტიურად მოასწავებდა ვაკუფების სეკულარიზაციას), დახურა სასულიერო სასწავლებლები (მედრესე) და ყველა არამუსლიმანური რელიგიური სკოლა. მოსპო მუსლიმანური სასულიერო სასამართლოები (შარიათზე აგებული) და მისი ფუნქციები გადასცა საერო ორგანოებისადმი დაქვემდებარებულ სასამართლო დაწესებულებებს. ამავე წელს მოხდა ქვეყნის ახალი ადმინისტრაციული დაყოფა.

1925 წელს დახურულ იქნა დერვიშთა ორდენები და მათი მონასტრები („თეკე") და შემოღებულ იქნა ევროპული კალენდარი და ევროპული წელთაღრიცხვა; სახელმწიფო მოსამსახურეებისა და ინტელიგენციისათვის სავალდებულოდ გამოცხადდა ევროპული ტანისამოსისა და ქუდების ტარება, ევროპული წესით მისალმება. დაბოლოს, იმავე 1925 წელს ლიკვიდირებულ იქნა ფეოდალური გადასახადი აშარი.

1926 წელს შემოღებულ იქნა ევროპული ნიმუშის სამოქალაქო კოდექსი და გაუქმდა მუსლიმანური სამართლის ნორმები, რასაც ავტომატურად მოჰყვა მრავალცოლიანობის გაუქმება; საეკლესიო ქორწინების ნაცვლად სავალდებულოდ იქნა ცნობილი სამოქალაქო ქორწინება.

1928 წელს მეჯლისმა კონსტიტუციიდან ამოაგდო პუნქტი იმის

შესახებ, რომ „თურქეთის სახელმწიფო რელიგიას წარმოადგენს ისლამი“. ეს ნიშნავდა ეკლესიის გამოყოფას სახელმწიფოსაგან. გამარჯვებულმა თურქულმა ბურჟუაზიამ ამით რელიგია და მისი საეკლესიო იერარქია თავის სახელმწიფო ხელისუფლებას დაუქვემდებარა და მისი პოლიტიკის იარაღად აქცია. იმავე 1928 წელს მიღებულ იქნა კანონი არაბული ანბანის ლათინური ანბანით შეცვლის შესახებ. ამ ღონისძიებამ ხელი შეუწყო წერა-კითხვის მცოდნეობის ზრდას, საერთო განათლების ქსელის გაფართოებას და კულტურის შემდგომ წინსვლას.

პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა ქემალისტების ღონისძიებებს ქალთა სოციალური ოსტრაკიზმის დასაძლევად და მათთვის სამოქალაქო უფლებების მისაცემად. ამ მიზნისათვის იყო განკუთვნილი ბრძოლა ჩადრის წინააღმდეგ, ქალთა განათლების კერების შექმნა და მათი მასობრივი მიზიდვა სახელმწიფო აპარატში; ქალთათვის უფლების მიცემა ხელი მოეკიდათ ექიმობისათვის, საინჟინრო საქმისა და მართლმსაჯულებისათვის. 1930 წელს ქალებს მიეცათ მუნიციპალურ ორგანოებში არჩევნების უფლება, 1934 წელს — პარლამენტში[1].

სერიოზული მნიშვნელობა ჰქონდა იმავე 1934 წელს თურქეთის პარლამენტის მიერ კანონის მიღებას გვარის შემოღების შესახებ (რასაც მოჰყვა ძველი ტიტულებისა და მიმართვების: ფაშა, ბეი, აღა, ეფენდი — გაუქმება). მაშინ იყო, რომ მუსტაფა ქემალს სამშობლოსა და თურქი ხალხის წინაშე დიდი დამსახურებისათვის პარლამენტმა ათათურქის („თურქთა მამა“) გვარი უბოძა.

ქემალისტთა მიერ გატარებული ზედაპირული რეფორმები არ ატარებდა ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ ხასიათს. ხალხის მასებს არ უსარგებლიათ ამ რეფორმებით, კერძოდ, ისინი ვერ ეზიარნენ ახალ კულტურას, რომელიც ისევ ექსპლოატატორთა პრივილეგიად დარჩა.

კლასობრივ წინააღმდეგობათა გამწვავება. რეპრესიები მუშათა და გლეხთა წინააღმდეგ. კომუნისტური პარტიის მოღვაწეობა

ეროვნულ ბურჟუაზიას და მასთან ბლოკში მყოფ სოციალისტურ წრეებს, რომლებიც სათავეში ჩაუდგნენ ახალი თურქეთის ხელისუფლებას, წლების განმავლობაში ორ ფრონტზე უხდებოდათ ბრძოლა: მარჯვნივ — კლერიკალურ-ფეოდალური ოპოზიციისა და კომპრადორების წინააღმდეგ და მარცხნივ — გუშინდელი მოკავშირეების — მუშებისა და გლეხების წინააღმდეგ. მარჯვნივ წარმოებული ბრძოლა მიმდინარეობდა ექსპლოატატორთა ბანაკში წინაკაპიტალისტური საზოგადოების ძალებსა და კაპიტალის-

[1] თუმცა ამას არ მოუსპია ქალთა ფაქტიური უუფლებობა, კერძოდ ოჯახში, მემკვიდრეობის მიღების, სამსახურში მოწყობისა და ხელფასის მიღების დროს.

ტური განვითარების მომხრე ძალებს შორის. მარცხნივ წარმოებული ბრძოლა კი წარმოადგენდა ექსპლოატატორებსა და მათ მიერ ექსპლოატირებულ მშრომელებს შორის კლასობრივი ანტაგონიზმის ზრდის გამოხატულებას.

სულთანატ-ხალიფატის გაუქმებას, რესპუბლიკური მმართველობის დამყარებას და ზედაპირულ რეფორმებს სახელმწიფოებრივ წყობასა და ყოფაში გაბოროტებით შეეგებნენ რეაქციული ძალები— მსხვილი ფეოდალები, მაღალი სამღვდელოება, სულთნის მოხელეები... ისინი გააფთრებულ წინააღმდეგობას უწევდნენ ყოველგვარ სიახლეს, ნიადაგს რომ აცლიდა მათს ძველ პრივილეგიებს, ცდილობდნენ თავიანთ გავლენაში მოექციათ რელიგიური ფანატიზმით შეპყრობილი დაბალი მოსახლეობა და გამოეყენებიათ ისინი ქემალისტებთან ბრძოლის იარაღად.

1924 წლის ნოემბერში ქემალისტებისადმი ოპოზიციაში მყოფმა მეჯლისის დეპუტატებმა, ძველი არმიის მხედრიონის წარმომადგენლებმა და დიდმოხელეებმა დააარსეს ახალი „რესპუბლიკურ-პროგრესული“ პარტია. მის დაარსებაში მთავარი როლი შეასრულეს მემარჯვენე გენერალმა ქიაზიმ ქარაბექირმა, ალი ფუადმა და სხვებმა. მისი ხელმძღვანელი გახდა ქარაბექირი. ახალ პარტიას დემაგოგიურად ეწოდა „რესპუბლიკურ-პროგრესული“, სინამდვილეში იგი ემყარებოდა ფეოდალურ-კლერიკალურ წრეებსა და კომპრადორებს და რესპუბლიკისა და პროგრესის მტერი იყო. რესპუბლიკურ-პროგრესული პარტია ილაშქრებდა საერთო რეფორმების, ეკლესიის როლის შესუსტებისა და ქალთა ემანსიპაციის წინააღმდეგ, მოითხოვდა უცხოეთიდან შემოზიდულ საქონელზე ბაჟების შემცირებას, უცხოური კაპიტალისათვის მეტი გასაქანის მიცემას, მრეწველობაში კერძო ინიციატივაზე გეზის აღებას, დედაქალაქად სტამბოლის გამოცხადებას და ა. შ.

ამ პარტიის ფარული ხრიკებისა და ხელისუფლების საწინააღმდეგო აგიტაციის წყალობით 1925 წლის თებერვალში დიარბექირის რაიონში (სამხრეთ-აღმოსავლეთი თურქეთი) შეიპ საიდის ხელმძღვანელობით იფეთქა ქურთთა ტომების მძლავრმა ამბოხებამ. რეაქციულ-კლერიკალურმა ზედაფენამ ისარგებლა ქურთი გლეხებისა და მომთაბარეების მძიმე მდგომარეობით, ხელისუფლების მიერ მათ მიმართ გამოყენებული ეროვნული დისკრიმინაციით და აამხედრა ისინი ხელისუფლების წინააღმდეგ.

ქემალისტებმა რეგულარული ჯარების მეშვეობით ჩაახშეს აღნიშნული ამბოხება, საიდი და მისი თანამზრახველები კი სიკვდილით დასაჯეს. ამ აჯანყების ჩაქრობას თან მოჰყვა პროგრესულ-რესპუბლიკური პარტიის დაშლა და მრავალრიცხოვანი და-

ტუსაღებები ოპოზიციონერთა რიგებში, აკრძალული პარტიის მომხრე გაზეთების დახურვა და სხვ.

რესპუბლიკური ფეოდალურ-კლერიკალური და კომპრადორული წრეების წინააღმდეგ ბრძოლა შემდეგშიაც გრძელდებოდა. არმიისა და სამოქალაქო აპარატის გაწმენდასთან ერთად 1926—1929 წლებში ხშირად ეწყობოდა პოლიტიკური პროცესები, რომელზედაც გამოჰქონდათ მკაცრი განაჩენები (სიკვდილით დასჯაც კი). პირველი ოპოზიციური პარტიის აკრძალვის შემდეგ დიდი ხნის განმავლობაში ერთადერთ ლეგალურ პარტიას წარმოადგენდა სახალხო-რესპუბლიკური პარტია, თურქული ბურჟუაზიისა და მემამულეების მონოპოლიური უფლების მქონე პარტია.

საიდის ამბოხებასთან დაკავშირებით შემოღებული საგანგებო ზომები რესპუბლიკის მთავრობამ მუშათა და გლეხთა მოძრაობის წინააღმდეგ საბრძოლველადაც გამოიყენა. მან დაშალა სტამბოლის მუშათა ორგანიზაციები, დახურა კომუნისტური პარტიის გავლენის ქვეშ არსებული პრესის ორგანოები და შეიპყრო მათი მრავალი მუშაკი. მან კანონგარეშე გამოაცხადა მუშათა გაფიცვები, რაც მათი მძიმე ეკონომიური პირობებით იყო გამოწვეული, აკრძალა საგაფიცვო კომიტეტების საქმიანობა და დაშალა ისინი. ბურჟუაზიულ-მემამულური ბლოკი უფრო და უფრო აშკარად ავლენდა თავის კლასობრივ სახეს. იგი ვერ ურიგდებოდა მშრომელთა აქტიურ ბრძოლას თავისი დუხჭირი პირობების გასაუმჯობესებლად, არავითარ დათმობაზე არ მიდიოდა მათ მიმართ. გლეხებს მიწა უნდოდათ, მუშებს—სამუშაო, სამართლიანი ხელფასი და სამუშაო დღე. მაგრამ ეს სამართლიანი მოთხოვნები შეუთავსებელი იყო ეროვნული ბურჟუაზიისა და მემამულეების ექსპლოატატორულ ბუნებასთან.

ეროვნული საკითხი

ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სხვა ამოცანებთან ერთად თურქეთის რესპუბლიკის მესვეურებმა გადაუწყვეტელი დატოვეს ეროვნული საკითხიც. მათ საჭიროდ არ ცნეს ეცნოთ არათურქი ხალხების — ქურთების, ლაზ-ქართველებისა და სხვა ეროვნულ უმცირესობათა ეროვნულ-კულტურული თვითგამორკვევის უფლება. მათ, პირიქით, მიზნად დაისახეს მოეხდინათ მათი ასიმილირება, ექციათ ისინი არა მარტო რელიგიით, არამედ ენით, ადათ-ჩვეულებითა და ყოფით „ასპროცენტიან“ თურქებად. ქემალისტების შეხედულებით არათურქ ხალხებს ერთადერთი გამოსავალი ჰქონდათ: ნებაყოფლობით ხელი აეღოთ თავიანთ ეროვნულ მეობაზე და გათურქებულიყვნენ.

ამ დიდმპყრობელურ-შოვინისტურმა პოლიტიკამ ყველაზე მკაფიოდ თავი იჩინა ქურთთა საკითხში. ქურთები, რომელთა რიცხვი მაშინ 3 მილიონს აღწევდა, ყველაზე მრავალრიცხოვანი ეროვნული

უმცირესობა იყო სამხრეთ-აღმოსავლეთ თურქეთში. მთელ რიგ რაიონებში ისინი უმრავლესობასაც კი შეადგენდნენ. მათ ჰქონდათ საკუთარი ტერიტორია, ენა, ისტორიული წარსული, ადათ-ჩვეულებები. მიუხედავად ამისა, ახალი თურქეთის მმართველები, თურქებს უწოდებდნენ არაბული და სპარსული კულტურის გავლენაში მოქცეულ ქურთებს და აბუჩად იგდებდნენ მათ ეროვნულ მისწრაფებებს. ქურთები ვერ ურიგდებოდნენ ჩაგვრის, ეროვნული დისკრიმინაციისა და შევიწროების იმ პოლიტიკას, რასაც ატარებდნენ თურქეთის ხელისუფალნი. ინგლისელი იმპერიალისტები და რეაქციონერი ქურთი შეიხები და ტომთა ბელადები საკუთარი ეგოისტური მოსაზრებებით აღვივებდნენ ქურთი მშრომელების ასეთ განწყობილებას და „უკან ხალიატისაკენ", „ვიბრძოლოთ დამოუკიდებელი ქურთისატანისათვის" ლოზუნგებით აჯანყებებისაკენ მოუწოდებდნენ მათ.

1925 წლის აჯანყება შეიჰ საიდის ხელმძღვანელობით ქურთი მოსახლეობის მასობრივი აჯანყება იყო, რომელსაც რეაქციული ფეოდალურ-კლერიკალური ხელმძღვანელობა ედგა სათავეში. ამიტომ იგი რეაქციულიც იყო და ეროვნულ განმათავისუფლებელიც ერთსა და იმავე დროს. ეს აჯანყება ცეცხლითა და მახვილით იქნა ჩახშობილი თურქ ხელისუფალთა მიერ. დამსჯელმა რაზმებმა სიცოცხლეს გამოასალმეს აჯანყების მონაწილე ათასობით მშრომელი ქურთი და მიწასთან გაასწორეს მრავალი დასახლებული პუნქტი — აჯანყების ძირითადი კერები.

1925 წლის აჯანყების ჩახშობის მიუხედავად, ქურთ ხალხს შემდეგშიაც არ შეუწყვეტია ბრძოლა თურქული ეროვნული ჩაგვრისა და დისკრიმინაციის იმ პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელიც კიდევ უფრო გაძლიერდა მომდევნო წლებში. 1926—1927, 1930 და მომდევნო წლები აღინიშნა ქურთი ტომების ახალი მასობრივი მღელვარებით, აჯანყებებით და პარტიზანული გამოსვლებით. 1926—1927 წლებში ადგილი ჰქონდა ქურთთა საკმაოდ მძლავრ აჯანყებებს ბაიაზეთის და დერსიმის (თუნჯელი) რაიონებში, 1929—1930 წლებში აჯანყდნენ ირან-სსრ კავშირის მომიჯნავე მთიანი რაიონების ბინადარი და მომთაბარე ქურთები, რასაც 1930 წლის მეორე ნახევარში თან დაერთო ვანის ტბის რაიონში მცხოვრები ქურთების აჯანყება. აღნიშნულ აჯანყებათა ძირითადი კერები მხოლოდ 1932 წლისათვის იქნა ლიკვიდირებული. ქემალისტური მთავრობა უსასტიკესი ზომებით გაუსწორდა აჯანყებულებს.

ეროვნულ უმცირესობათა აბუჩად აგდებისა და დისკრიმინაციის პოლიტიკის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა საკონსტიტუციო გარანტიების სრული უქონლობა და სამხედრო-საოკუპაციო რეჟიმი,

რასაც თურქი ხელისუფალნი იყენებდნენ როგორც ქურთებით დასახლებულ ტერიტორიებზე, ისე ლაზისტანში. ამ ტერიტორიებზე ხელისუფალნი შეგნებულად ხელუხლებლად ტოვებდნენ ეკონომიურ და კულტურულ ჩამორჩენილობას, მასების უმეცრებასა და ფანატიზმს. თავს იკავებდნენ გზების გაყვანისაგან, სამრეწველო ობიექტებისა და კულტურულ-საგანმანათლებლო კერების მშენებლობისაგან.

თურქეთის რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკა ლოზანის ზავის შემდეგ

თურქეთის რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკა ლოზანის ზავის შემდეგ დუალიზმით და მნიშვნელოვანი რყევით ხასიათდება. რესპუბლიკის მესვეურები, კერძოდ პრეზიდენტი მუსტაფა ქემალი, ჯეროვნად აფასებდნენ რა დიდ მეზობელთან—საბჭოთა კავშირთან მეგობრული ურთიერთობის უდიდეს მნიშვნელობას, ცდილობდნენ შეენარჩუნებინათ და განემტკიცებინათ იგი. საბჭოთა კავშირი, თავის მხრივ, საქმით ახორციელებდა ხალხურ თქმას: „უშუალო მეზობლები კარგი მეგობრები უნდა იყვნენ“-ო და ყოველ ღონეს ხმარობდა თურქეთთან მტკიცე მეგობრობის განსამტკიცებლად. 1925 წლის 17 დეკემბერს პარიზში ხელი მოაწერეს საბჭოთა კავშირ-თურქეთის ხელშეკრულებას მეგობრობის, თავდაუსხმელობის, ნეიტრალიტეტისა და მტრულ დაჯგუფებებში მონაწილეობის მიუღებლობის შესახებ. ხელშეკრულება დადებული იყო ხუთი წლის ვადით, მაგრამ საგანგებო ოქმებით მისი მოქმედება შეიძლებოდა გაგრძელებულიყო რამდენიმე წლით. აღნიშნული ხელშეკრულება სერიოზული მნიშვნელობის დიპლომატიური აქტი იყო. მან განამტკიცა მშვიდობა ახლო აღმოსავლეთში, აქცია თურქეთ-საბჭოთა კავშირის საზღვარი მშვიდობის საზღვრად და კიდევ უფრო მეგობრული გახადა ხელმომწერი ქვეყნების ურთიერთობა.

1925 წლის ხელშეკრულებამ, სასურველ კალაპოტში წარმართა რა თურქეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობა, შექმნა ხელსაყრელი წანამძღვრები საბჭოთა კავშირ-თურქეთის მორიგ მეგობრულ ხელშეკრულებათათვის. 1927 წლის 11 მარტს დაიდო საბჭოთა კავშირ-თურქეთის ხელშეკრულება ვაჭრობისა და ზღვაოსნობის შესახებ, რომელიც სერიოზულ შეღავათებს ანიჭებდა თურქეთს სსრ კავშირში მისი საქონლის ექსპორტის დროს. იმავე 1927 წელს დაიდო ხელშეკრულება საძოვრების, საზღვრებზე გადასვლისა და ვეტერინარული სამსახურის თაობაზე. კელოგის ფაქტზე ხელმოწერის შემდეგ[1] 1929 წელს თურქეთმა საბჭოთა კავშირის თხოვნით ხელი მოაწერა ე. წ. მოსკოვის ოქმს, რომლითაც დაუყოვნებლივ ძალაში შევიდა ეს პაქტი სსრ კავშირისა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის. მაგ-

---

1 ომის, როგორც ნაციონალური პოლიტიკის იარაღის, აკრძალვის შესახებ.

რამ თურქეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრულ ურთიერთობას დროგამოშვებით, თურქეთის რესპუბლიკის ბურჟუაზიულ-მემამულური მმართველი წრეების მიზეზით, ჩრდილი ეფინება. იგი თავს იჩენს სავაჭრო-ეკონომიური ურთიერთობის სფეროში, თურქეთის პრესის ზოგიერთი ორგანოს ანტისაბჭოთა გამოხდომებში, თეთრ ემიგრანტთათვის თავშესაფარის მიცემაში, პანთურქისტულ პროპაგანდაში და ა. შ.

იმპერიალისტური სახელმწიფოების მხარდამჭერი წრეები მუდამ გავლენას ახდენდნენ მთავრობაზე და მოითხოვდნენ დათმობას უცხოური კაპიტალისადმი, ისიც საბჭოთა კავშირ-თურქეთის მეგობრობის ხარჯზე. ისინი ამით ფიქრობდნენ ინგლისის, საფრანგეთისა და იტალიის მთავრობის ნდობის მოპოვებას და მათთან არსებული არაჯანსაღი ურთიერთობის ნორმალიზაციას.

იმპერიალისტური სახელმწიფოები კი, იმ დათმობების მიუხედავად, რაზედაც წავიდა თურქეთის მთავრობა ლოზანაში, არ ჩქარობდნენ რესპუბლიკურ თურქეთთან ურთიერთობის ნორმალიზაციას. მართალია, 1924 წლის აგვისტოში მათ მოახდინეს ლოზანის სამშვიდობო ხელშეკრულების რატიფიკაცია, მაგრამ ამის შემდეგაც არ იჩენდნენ ისინი ახალ თურქეთთან ჯანსაღი ურთიერთობის დამყარების სურვილს.

ინგლისი, საფრანგეთი და იტალია პერიოდულად თურქეთთან ურთიერთობის აშკარა გართულებამდე მიდიოდნენ, თანაც თავიანთი აგენტების მეშვეობით წყალს ამღვრევდნენ თურქეთის შიგნით. ჯერ კიდევ მოუგვარებელი იყო მოსულის ოლქისა და ოტომანის ვალების საკითხები. მართალია, 1926 წლის 5 ივნისის ინგლის-თურქეთის შეთანხმებამ დაადასტურა ერთა ლიგის 1925 წლის დეკემბრის გადაწყვეტილება მოსულის ოლქის ერაყზე გადაცემის თაობაზე, მაგრამ არც ამას გაულხვია ყინული ინგლის-თურქეთის ურთიერთობაში. იგივე უნდა ითქვას საფრანგეთ-თურქეთის ურთიერთობის შესახებაც. ვერც ადრიანოპოლის 1926 წლის ხელშეკრულებამ, რომლითაც თურქეთმა ხელი აიღო პრეტენზიაზე ალექსანდრეტას სანჯაყის მიმართ და ვერც 1928 წლის 13 ივნისის შეთანხმებამ ომამდელი ვალების გასტუმრების შესახებ[1] ვერ შექმნა პირობები თურქეთ-საფრანგეთის დაახლოებისათვის... რაც შეეხება ფაშისტურ იტალიას, იგი 1926 წელს ომითაც კი დაემუქრა თურქეთს და აიძულა ეს უკანასკნელი ნაწილობრივი მობილიზაცია გამოეცხადებია. მხოლოდ მსოფლიო ეკონომიური კრიზისის გავლენა ქმნის პირობებს მობრუნებისათვის თურქეთ-იმპერიალისტურ სახელმწიფოთა ურთიერთობაში.

---

[1] რომლითაც თურქეთმა აიღო ვალდებულება გადაეხადა ძველი ვალები.

მსოფლიო ეკონომიური კრიზისის გავლენა თურქეთზე

1929—1933 წლების მსოფლიო ეკონომიურმა მგომარეობამ დიდი ზიანი მიაყენა თურქეთის ეკონომიკას. მისი დარტყმა თანაბრად ძლიერი იყო სოფლადაც და ქალაქადაც. მან თითქმის მინიმუმამდე დაიყვანა ის წარმატებები, რაც მოიპოვა თურქეთის ეკონომიკამ დამოუკიდებლობის მოპოვების დროიდან ეტატისტური პოლიტიკის წყალობით.

კრიზისის შედეგად საგრძნობლად დაეცა ხორბლის და საექსპორტო კულტურების — თამბაქოს, ბამბის, ხმელი ხილისა და სხვათა ფასები და დაგროვდა დიდძალი გაუსაღებელი მარაგი. მისი უშუალო შედეგი იყო სოფლის მეურნეობის დეგრადაცია და ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნათესი ფართობის შემცირება. რაკი ტექნიკური კულტურებისა და ხილეულის ფასი უფრო მეტად დაეცა, ვიდრე მარცვლეულისა და გაჭირდა მათი გაყიდვა, გლეხებმა მიატოვეს წარმოება და ხელი მიჰყვეს უფრო ნაკლებ ინტენსიური სასურსათო კულტურების მოყვანას. არანაკლებ დააზიანა კრიზისმა მეცხოველეობა.

კრიზისმა მკვეთრად დასცა თურქეთის საგარეო ვაჭრობის ბრუნვა. ექსპორტი 173,5 მილიონ ლირიდან (1928 წ.) 1933 წლისათვის 96 მილიონ ლირამდე დაეცა, იმპორტი კი შესაბამისად — 223,5 ლირიდან 75 მილიონ ლირამდე. მის შედეგად მკვეთრად დაეცა ლირის კურსი და წარმოიშვა სერიოზული ფინანსური კრიზისი. მთავრობამ ვერ შეძლო გადაეხადა უცხოური ვალების მორიგი შესატანი და იძულებული გახდა მორატორიუმი გამოეცხადებინა. არნახულად გაიზარდა სახელმწიფო ვალი, რომელმაც 443 მილიონ ლირას მიაღწია.

კრიზისმა დააზიანა სუსტად განვითარებული ეროვნული მრეწველობაც. მშრომელთა ცხოვრების დონის კატასტროფულად დაცემის შედეგად საგრძნობლად შემცირდა შინაგანი ბაზრის ტევადობა და სამრეწველო საქონელთა მოხმარება. ამის უშუალო შედეგი იყო სახელოსნოების დიდი ნაწილის გაკოტრება და წვრილ-საშუალო საწარმოთა მასობრივი დახურვა, სარკინიგზო და საზღვაო ტრანსპორტის გადაზიდვათა შეკვეცა. მასობრივმა უმუშევრობამ მოიცვა საწარმოთა მუშები, რკინიგზელები, დოკერები, მეზღვაურები და ა. შ.

ხელისუფლებამ მიიღო ზომები კრიზისის გავლენის შესაზღუდავად და ამ მიმართულებით განახორციელა გარკვეული ღონისძიებები. მაგრამ საჭესთან მყოფმა ბურჟუაზიამ და მემამულეთა ბლოკმა განიზრახეს სათანადო ღონისძიებათა მთელი სიმძიმე სოფლისა და ქალაქის მშრომელებისათვის დაეკისრებიათ.

კრიზისის წლებში გაძლიერდა ხელისუფლების ჩარევა ეკონომიურ სფეროში და უფრო ფართო ხასიათი მიიღო ეტატისტურმა

პოლიტიკამ, სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების დაბანდებამ რკინიგზებისა და სამრეწველო ობიექტთა მშენებლობაში. კრიზისის დასაძლევად გადადგმული სხვა ნაბიჯებიდან აღსანიშნავი იყო: „ეკონომიის რეჟიმის“ გატარება, „კრიზისისა“ (1931 წ.) და „წონასწორობის“ ახალი გადასახადების შემოღება, არაპირდაპირი გადასახადების მკვეთრი გადიდება, განათლებისა და ჯანმრთელობისათვის განკუთვნილი სახსრების შეკვეცა, იმპორტის საგრძნობლად შემცირება, რესპუბლიკის ცენტრალური ბანკისათვის ემისიის უფლების მიცემა და სხვ. კრიზისის მძიმე შედეგების შენელების საქმეში დიდი როლი შეასრულა ზემოთ აღნიშნულმა იმ ფინანსურ-ეკონომიურმა დახმარებამ, რომელიც აღმოუჩინა თურქეთს საბჭოთა კავშირმა.

1933 წლისათვის, იმ ზომების შედეგად, რაც მიიღო თურქეთის მთავრობამ მშრომელთა ხარჯზე, რამდენადმე შენელდა კრიზისის გავლენა და დაიწყო სამეურნეო გამოცოცხლება. იგი უფრო დაეტყო მრეწველობას, ტრანსპორტს, საგარეო ვაჭრობასა და საფინანსო საქმიანობას. რაც შეეხება სოფლის მეურნეობას, იგი შემდგომ წლებშიაც არ გამოსულა ქრონიკული კრიზისის მდგომარეობიდან. ხელისუფლებას არც კრიზისის მომდევნო წლებში არ უცვნია საჭიროდ მიეღო ზომები მსხვილი მემამულური მიწათმფლობელობის შესაზღუდავად, უმიწაწყლო და მცირემიწიანი გლეხებისათვის მიწების მისაცემად, გლეხთა მეურნეობის გაჩანაგების შესაჩერებლად.

ეკონომიური კრიზისის მძიმე შედეგებმა მკვეთრად გააუარესა სოფლისა და ქალაქის მშრომელთა მატერიალური მდგომარეობა. როგორც აღვნიშნეთ, სოფლად გაიზარდა გლეხობის ძარცვა და წარმოების სფეროდან ამოვარდნა. ქალაქად იმატა უმუშევრობამ, ქალთა და ბავშვთა შრომის ექსპლოატაციამ, დაეცა მუშათა რეალური ხელფასი, გადიდდა სამუშაო დღე და ა. შ.

აღნიშნული პროცესის უშუალო შედეგი იყო კლასობრივი ბრძოლის გამწვავება და მუშათა და გლეხთა მასების უკმაყოფილების ზრდა, მათი ენერგიული ბრძოლა ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის.

გლეხთა მღელვარებამ და გამოსვლებმა მოიცვა ანატოლიის დიდი ნაწილი. იგი დაიწყო 1929 წლის მეორე ნახევრიდან და 1933 წლის შემდეგაც გრძელდებოდა. განსაკუთრებით დიდ მღელვარებას ჰქონდა ადგილი დასავლეთ ანატოლიაში. ამ მასობრივი მღელვარების ბაზაზე 1930 წლის შემოდგომაზე პატარა ქალაქ მენემონში (იზმირის ჩრდილო-დასავლეთით) იფეთქა მოქალაქეთა აჯანყებამ, რომლებიც ხელოსნობასთან ერთად სოფლის მეურნეობასაც ეწეოდნენ. აჯანყებაში მონაწილეობა მიიღეს შემოგარენი სოფლების გლეხებ-

მაც. აჯანყება არაორგანიზებული იყო და არ გააჩნდა ნათელი პროგრამა. ამიტომ იგი შედარებით იოლად ჩაახშეს.

ხელისუფლებამ მკაცრად იძია შური აჯანყებულებზე: მრავალი მათგანი ჩამოახრჩეს ან მძიმე საკატორღო სამუშაოებზე გაგზავნეს.

კრიზისის წლებში გახშირდა მუშათა გაფიცვებიც. გაფიცვები წარმოადგენდა მუშათა სამართლიან პასუხს მეწარმეთა შემოტევაზე. რკინიგზელები, დოკერები, მეზღვაურები, ფაბრიკა-ქარხნებისა და მაღაროთა მუშები ცდილობდნენ გაფიცვების მეშვეობით გაეუმჯობესებინათ თავიანთი პირობები. ხელისუფლება ადმინისტრაციასა და მეწარმეებთან ხელიხელჩაკიდებული მოქმედებდა და მკაცრად უსწორდებოდა გაფიცულებს. ხელისუფლების სასტიკი რეპრესიებისა და სუსტი ორგანიზების გამო მუშათა გაფიცვების დიდი ნაწილი მარცხით დამთავრდა, მაგრამ მათ მაინც გარკვეული კვალი დატოვეს და ხელი შეუწყეს მუშათა კლასობრივი გათვითცნობიერების გაძლიერებას.

განსაკუთრებით ულმობლად ებრძოდა ხელისუფლება არალეგალურად მოქმედ კომუნისტურ პარტიას, მშრომელთა ავანგარდს, რომელმაც კრიზისის წლებში კიდევ უფრო გააძლიერა ბრძოლა მშრომელთა ინტერესების დასაცავად. კომუნისტური პარტია იყო, რომ არალეგალური პრესის ორგანოების, პროკლამაციებისა და მოწოდებების მეშვეობით ზრდიდა მშრომელებს ინტერნაციონალური სულისკვეთებით. 1932 წელს მან საკუთარი კანდიდატიც წამოაყენა მეჯლისის მორიგ არჩევნებში. იგი იყო, გაბედულად რომ ამხელდა იმპერიალისტ კოლონიზატორთა და შინაგანი რეაქციის ხრიკებს. მაგრამ ხელისუფლების მკაცრი რეპრესიები და რევოლუციური ბრძოლის მნიშვნელოვანი გამოცდილების უქონლობა ხელს უშლიდა მას ქცეულიყო მასობრივ პარტიად.

1930—1933 წლებში ხელისუფლებამ პოლიციის მეშვეობით ქვეყნის ბევრ ცენტრში (იზმირში, ბურსაში, ადანში, ანკარაში, სამსუნში...) მოაწყო იმ პირების მასობრივი შეპყრობა, რომლებსაც კომუნისტური პარტიის წევრობას აბრალებდნენ. ასეთი „ნადირობის“ ობიექტები იყვნენ არა მარტო მუშები და გლეხები, არამედ მოსამსახურეებიც, თავისუფალი პროფესიის წარმომადგენლები, ჟურნალისტები, მეცნიერები. დატუსაღებულებს ხშირად თვეობით ათავსებდნენ საპყრობილეებში, შემდეგ კი აწყობდნენ „კომუნისტთა პროცესებს“, რომლებიც მკაცრი განაჩენის გამოტანით მთავრდებოდა.

ცნობილია, თუ როგორ სდევნიდნენ ცნობილ თურქ პოეტსა და ჟურნალისტს, მშვიდობისა და დემოკრატიის საქმის დიდ ქომაგს ნაზიმ ჰიქმეთს. 1931 წელს ხელისუფლებამ იგი სასამართლო პასუხისგებაში მისცა კომუნისტური პროპაგანდისა და „არსებული წყობის

ძალდატანებით შეცვლის განზრახვისათვის". მაგრამ ვინაიდან ბრალდება შეთითხნილი იყო, სასამართლო იძულებული გახდა გაემართლებინა იგი. მიუხედავად ამისა, 1933 წელს იგი ისევ შეიპყრეს იმავე უაზრო ბრალდებით და ისევ გაასამართლეს. ეს პროცესი, რომელიც სტამბოლში მიმდინარეობდა, ფაქტიურად სამარცხვინოდ ჩაიფუშა. მხოლოდ ხელისუფლებისა და სასამართლოს პრესტიჟის გულისათვის მიუსაჯეს მას 6 თვით პატიმრობა.

ეროვნული ბურჟუაზიის პოლიტიკური და ეკონომიური პოზიციების განმტკიცებამ და მის მიერ მუშათა და გლეხთა მოძრაობის წინააღმდეგ ენერგიული ბრძოლის გაშლაზე გეზის აღებამ გამოიწვია მისი ევოლუცია მარჯვნივ. ამ ევოლუციის ლოგიკური შედეგი იყო მისი თანდათანობითი დაახლოება ოპოზიციურ ჯგუფებთან, კერძოდ — კომპრადორულ ბურჟუაზიასთან.

ქემალისტების დაახლოება მემარჯვენე ჯგუფებთან დაიწყო ჯერ კიდევ 1927 წლიდან, როცა მოხდა მსჯავრმისჯილ კომპრადორთა, ოპოზიციონერ გენერალთა, ჟურნალისტთა და მოხელეთა ამნისტია. ამავე წელს მუსტაფა ქემალმა, პირველად ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დაწყებიდან, ინახულა კომპრადორული ბურჟუაზიის მთავარი ბაზა სტამბოლი. ამ დროიდან მოკიდებული ის და მთავრობის სხვა გავლენიანი პირები ყოველწლიურად ჩადიოდნენ ამ ქალაქში და ხვდებოდნენ კომპრადორების გავლენიან წარმომადგენლებს. ზოგიერთ უცხოურ საქონელზე შემოტანის შეზღუდვის აკრძალვა, ახალი საბაჟო ტარიფის დაწესება და ვალების საკითხში საფრანგეთთან შეთანხმება აგრეთვე წარმოადგენდა სერიოზულ დათმობას კომპრადორების მიმართ.

მსოფლიო ეკონომიური კრიზისის შედეგად თურქეთში შექმნილმა ზემოაღნიშნულმა ვითარებამ ახალი ბიძგი მისცა თურქეთის რესპუბლიკის მმართველი წრეების გამემარჯვენებას და ფეოდალურ-კლერიკალური ჯგუფების გააქტიურებას. 1930 წელს პოლიტიკური დაჭიმულობის განმუხტვის მიზნით მთავრობის ხელმძღვანელებმა შესაძლებლად მიიჩნიეს ახალი მემარჯვენე ოპოზიციური პარტიის შექმნა. ასეთი პარტია „ლიბერალურ-რესპუბლიკური პარტიის" სახელწოდებით შეიქმნა იმავე წლის აგვისტოში. მისი დამაარსებელი იყო პროიმპერიალისტური დაჯგუფების ერთ-ერთი წარმომადგენელი ალი ფეთი (ოქიარი).

ეს ახალი პარტია თითქოს ამართლებდა სახელწოდებას და იცავდა როგორც რესპუბლიკას, ისე ლიბერალურ კურსს. მაგრამ სინამდვილეში იგი, ყოფილი „პროგრესულ-რესპუბლიკური" პარტიის მსგავსად, რეაქციული სულისკვეთებით იყო გაჟღენთილი. მისი ხელმძღვანელები ილაშქრებდნენ სახელმწიფო სახსრებით რკინიგზებისა

და სამრეწველო მშენებლობის წამოწყებათა წინააღმდეგ, მოითხოვდნენ დასავლეთის კაპიტალისადმი დათმობებზე წასვლას, იმპერიალისტურ სახელმწიფოებთან გაბედულ დაახლოებას და ეკონომიურ ცხოვრებაში სახელმწიფოს ჩარევის შეწყვეტას. ისინი არ ილაშქრებდნენ პირადად მუსტაფა ქემალის წინააღმდეგ, მაგრამ გმობდნენ სახალხო-რესპუბლიკური პარტიის ერთპიროვნულ დიქტატურას.

ოფიციალური ოპოზიციის შექმნის ცდიდან არც ახლა გამოვიდა რამე. ახალმა პარტიამ ისევ თავი მოუყარა ყველა უკმაყოფილო ელემენტს არა მარტო მემარჯვენე-რეაქციული ბანაკიდან, არამედ კრიზისის ბრუყალებში მოქცეულ მშრომელთა რიგებიდანაც. ალი ფეხთისა და ლიბერალურ-რესპუბლიკური პარტიის სხვა ლიდერების საჯარო გამოსვლები ხელისუფლების საშინაო და საგარეო პოლიტიკის კრიტიკით მთავრობის საწინააღმდეგო სერიოზულ გამოსვლებში გადაიზარდა. იზმირში ალი ფეხთის გამოსვლას შეტაკებებიც კი მოჰყვა. მუსტაფა ქემალმა და მთავრობამ, დაინახეს რა ლეგალური ოპოზიციით თამაშის სახიფათო შედეგები, ზეგავლენა მოახდინეს ოპოზიციური პარტიის ხელმძღვანელობაზე და მიაღწიეს მის თვითლიკვიდაციას.

მორიგი ოპოზიციის ლიკვიდაციის შემდეგ აღარ განმეორებულა ახალი პარტიის შექმნის ცდა. სახალხო-რესპუბლიკური პარტია საბოლოოდ იქცა ერთადერთ ლეგალურ პარტიად. 1931 წელს მან მიიღო ვრცელი პროგრამა, რომელშიაც დემაგოგიურად ისეთი მუხლებიც იყო შეტანილი, რომლებიც თითქოს მშრომელების ინტერესებზე ზრუნვით იყო ნაკარნახევი. ამ პროგრამით პარტია ერის ყველა ფენის ინტერესების წარმომადგენლად და დამცველად აცხადებდა თავს. თურქეთში არ არის კლასობრივი საზოგადოება, არ არიან კლასები, არ არსებობს კლასობრივი ბრძოლა, ამიტომ საჭირო არ არის კლასობრივი პარტიების არსებობა. სახალხო-რესპუბლიკური პარტია მთელი ერის სასიცოცხლო ინტერესებს გამოხატავს, — აცხადებდნენ მისი მესვეურები.

„თურქეთის ერის ერთიანობის“, კლასების არ არსებობის, „კლასობრივი ჰარმონიისა“ და ზავის ქადაგება იმ აქტიური იდეოლოგიური საქმიანობის გამოხატულება იყო, რასაც ეწეოდა მმართველი პარტია მშრომელთა შორის კლასობრივი ბრძოლიდან მათი ჩამოშორების მიზნით.

კაპიტალისტურ ურთიერთობათა შემდგომმა განვითარებამ თურქეთში დააჩქარა გლეხობისა და ხელოსანთა გაჩანაგების პროცესი და ეროვნული მუშათა კლასის რიცხვის ზრდა. მეორე მსოფლიო ომის წინ მრეწველობაში, ტრანსპორტსა და მშენებლობაში დასაქმებულ მშრომელთა რიცხვი 900 ათას კაცამდე გადიდდა. მუშათა

კლასშა ამ წლებში სტრუქტურული ცვლილებებიც განიცადა. გაიზარდა ფაბრიკა-ქარხნებში და ტრანსპორტზე დასაქმებულ მუშათა რიცხვი; იმატა ქალთა და კვალიფიციურ მუშათა რაოდენობამაც. ამ გარემოებამ და მათი მატერიალური მგომარეობის პროგრესიულმა გაუარესებამ ბიძგი მისცა მუშათა კლასის კლასობრივი შეგნების გაძლიერებას და ხელი შეუშალა მათზე მმართველი პარტიის იდეოლოგიურ ზემოქმედებას.

ვერც დემაგოგიურმა მოწოდებებმა და იდეოლოგიურმა ზემოქმედებებმა, ვერც მკაცრმა რეპრესიებმა ვერ მოუტანეს ხელისუფლებას სასურველი შედეგი. კლასობრივი ბრძოლის ლოგიკა უფრო ძლიერი აღმოჩნდა. მუშათა საგაფიცვო მოძრაობა და რევოლუციური სულისკვეთება, რაც მშრომელთა აუტანელი მდგომარეობით იყო წარმოშობილი, კიდევ უფრო გაძლიერდა. იგი სახელმწიფო და ეროვნული კერძო კაპიტალის კუთვნილ საწარმოებსაც მოედო.

ამ გარემოებამ 1936 წელს (8 ივნისს) მეჯლისი აიძულა გარკვეულ დათმობაზე წასულიყო და მიეღო „შრომის კანონი"[1]. იგი ითვალისწინებდა 48 საათიან სამუშაო კვირას, ე. ი. ფორმალურად 8 საათიან სამუშაო დღეს, ყოველკვირეულ გამოსასვლელ დღეს, ანაზღაურებულ ყოველწლიურ შვებულებას, ქალთა და ბავშვთა შრომის გარკვეულ რეგლამენტაციას და შრომის დაცვისა და სოციალური დაზღვევის ღონისძიებებს. მაგრამ კანონი ვრცელდებოდა მუშათა მხოლოდ 20%-ზე (მხოლოდ იმ წარმოებაზე, სადაც მუშათა რიცხვი 10 კაცზე ნაკლები არ იყო). იგი არ ეხებოდა რკინიგზელებს, საზღვაო-სამდინარო ტრანსპორტის, წვრილ საწარმოთა მუშებს, მოჯამაგირეებს. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ „შრომის კანონი" კრძალავდა გაფიცვებს და გაფიცვებში მონაწილეთათვის ითვალისწინებდა ჯარიმასა და საპყრობილეში მოთავსებას.

„შრომის კანონმა", რომელიც ხელისუფლებამ გამოიყენა „კლასობრივი ზავისა და თანამშრომლობის" საპროპაგანდოდ, იმედი გაუცრუა მუშათა კლასს. მან ბევრი არაფერი მისცა მას და რაც მისცა, მისი დიდი ნაწილიც მხოლოდ ქაღალდზე დაწერილი დარჩა.

ცვლილებანი თურქეთის საგარეო პოლიტიკაში და მონტრის კონფერენცია

30-იან წლებიდან თურქეთის საგარეო პოლიტიკაში უფრო მკაფიოდ იჩინა თავი არათანმიმდევრობამ და მერყეობამ, მიხვეულ-მოხვეულობამ იმპერიალისტურ ქვეყნებსა და სსრ კავშირს შორის. იგი მჭიდროდ იყო დაკავშირებული იმ ევოლუციასთან მარჯვნივ, რასაც ადგილი ჰქონდა თურქეთის მმართველი წრეების საშინაო პოლიტიკაში მსოფლიო ეკონომიური კრიზისის გაშლის მომენტიდან.

[1] იგი მხოლოდ 1937 წელს შევიდა ძალაში.

1930 წლის მაისში თურქეთმა სავაჭრო ხელშეკრულება დადო გერმანიასთან, რასაც მოჰყვა თურქეთ-გერმანიის ვაჭრობის მკვეთრი გადიდება და გერმანული კაპიტალის შეღწევა თურქეთში. იმავე 1930 წლის ბოლოსათვის გერმანიამ პირველი ადგილი დაიკავა თურქეთის საგარეო ვაჭრობაში. ამავე პერიოდიდან იწყება აშ შტატებისა და საფრანგეთის ექსპანსიის გაძლიერება და თურქეთთან მათი ვაჭრობის მოცულობის ზრდა. კაპიტალისტურ ქვეყნებთან ვაჭრობის გამოცოცხლებას თან სდევდა ამერიკული, შვედური, ფრანგული... კაპიტალის მზარდი დაბანდება თურქეთის ეკონომიკის სხვადასხვა დარგებში.

თურქეთი კიდევ უფრო შორს წავიდა იმპერიალისტური ქვეყნებისადმი დათმობების გზაზე. 1932 წელს თურქეთი ერთა ლიგის წევრი გახდა. ამით იგი იმ სისტემატური ინტრიგების თანამონაწილე შეიქნა, რასაც ეწეოდნენ იმპერიალისტური სახელმწიფოები საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. 1933 წელს ვადა გაუგრძელდა ოტომანის ბანკის — ინგლის-საფრანგეთის კაპიტალის ამ მთავარი ბერკეტის კონცესიას. ამავე 1933 წელს, კრიზისის მძიმე შედეგების მიუხედავად, თურქეთმა განაახლა სულთნის ვალების გადახდა. 1934 წელს ინგლის-საფრანგეთის დიპლომატიის ზეგავლენით თურქეთმა ხელშეკრულებები დადო საბერძნეთთან, რუმინეთთან და იუგოსლავიასთან, რითაც შევიდა ბალკანეთის ანტანტისა და მცირე ანტანტის — ახლო აღმოსავლეთში ინგლის-საფრანგეთის საგარეო პოლიტიკის ამ იარაღის შემადგენლობაში.

ამავე დროს თურქეთი ცდილობდა არ დაერღვია არსებული ტრადიციული მეგობრობა საბჭოთა კავშირთან, რომელიც იყო ერთადერთი ქვეყანა, რომელმაც ეკონომიური კრიზისის კლანჭებში მოქცეულ თურქეთს გაუწოდა მეგობრული ხელი და გაუწია ზემოთაღნიშნული ფინანსურ-ტექნიკური დახმარება. 1931 წლის 31 ოქტომბერს ანკარაში ხელმოწერილ იქნა ოქმი, რომლითაც 5 წლით გახანგრძლივდა თურქეთ-სსრ კავშირის პარიზის ხელშეკრულება ყველა მისი დანართით. 1932 წელს სსრ კავშირის მთავრობის მოწვევით მოსკოვს ეწვია თურქეთის დელეგაცია ისმეთ ინენიუს ხელმძღვანელობით. თურქეთის დელეგაციის სსრ კავშირში მეგობრული ვიზიტის პასუხს წარმოადგენდა სსრ კავშირის დელეგაციის გამგზავრება თურქეთში ვოროშილოვის ხელმძღვანელობით რესპუბლიკის გამოცხადების 10 წლისთავის ზეიმში მონაწილეობის მისაღებად... 1935 წელს თურქეთის დელეგაცია ისმეთ ინენიუს მეთაურობით ისევ ჩამოვიდა სსრ კავშირში საადაბადის (სომხეთის სსრ) კაშხალის გახსნაზე დასასწრებად. აღნიშნულმა ორმხრივმა ვიზიტმა ხელი შეუწყო ორი ქვეყნის კეთილმეზობლური ურთიერთობის განვითარებას.

1935 წლის 4 ოქტომბერს ფაშისტური იტალია თავს დაესხა აბისინიას, რამაც მეტად საშიში ვითარება შექმნა ხმელთაშუა ზღვის აუზში. ეს იყო მეორე მსოფლიო ომის ევროპული კერის გაღვივების, ევროპის ხალხების მეორე მსოფლიო ომში ჩათრევის დასაწყისი. ამ ვითარებამ და იტალიის მიერ დასავლეთ ანატოლიის სიახლოვეს მდებარე დოდეკანეზის კუნძულების გამაგრებამ სერიოზულად შეაშფოთა თურქეთი და მკვეთრად გააუარესა მისი ისედაც დაჭიმული ურთიერთობა ამ აგრესორ სახელმწიფოსთან.

შექმნილი ვითარება კარგად გამოიყენა ინგლისმა, მან გააძლიერა ზეგავლენა თურქეთზე, აღუთქვა მას დახმარება იტალიასთან კონფლიქტის შემთხვევაში, აიძულა იგი მკვეთრად შეეცვალა საგარეო პოლიტიკის კურსი და მისი საგარეო პოლიტიკის ორბიტში მოქცეულიყო. როდესაც ომის მზარდი საფრთხით დაშინებულმა თურქეთის დიპლომატიამ დააყენა საკითხი სრუტეების რეჟიმის გადასინჯვისა და სრუტეების სანაპიროების რემილიტარიზაციის შესახებ, ინგლისის დიპლომატიამ მხარი დაუჭირა ამ დემარშს. ინგლისს სურდა ამით დაემტკიცებია თურქეთისათვის თავისი „მეგობრობა“ და კიდევ უფრო დაეახლოვებინა იგი. საერთოდ თურქეთის მოთხოვნა სრუტეების რეჟიმის ძირეული გადასინჯვის შესახებ სამართლიანი იყო და ქვეყნის უშიშროების ინტერესებით იყო ნაკარნახევი. ლოზანის კონფერენციაზე დადგენილი კონვენცია ბოსფორისა და დარდანელის სრუტეების შესახებ არა მარტო თურქეთის სუვერენიტეტს არღვევდა, არამედ მიმართული იყო საბჭოთა კავშირის ინტერესების წინააღმდეგაც. ამიტომ საბჭოთა კავშირის დიპლომატიამ ენერგიულად დაუჭირა მხარი თურქეთის ინიციატივას.

კონფერენცია სრუტეების რეჟიმის გადასინჯვის თაობაზე გაიხსნა შვეიცარიის ქალაქ ლოზანაში 1936 წლის 22 ივნისს. მის მუშაობაში მონაწილეობას იღებდა ლოზანის კონფერენციის მონაწილე 9 სახელმწიფო[1]. კონფერენციაზე თავი იჩინა საბჭოთა კავშირის ინტერესების საზიანოდ ინგლის-თურქეთის მორიგების ცდამ. კერძოდ იგი გამოვლინდა შავიზღვისპირა სახელმწიფოების სამხედრო ფლოტის სრუტეებში გავლისა და არაშავიზღვისპირა ქვეყნების სამხედრო ფლოტის შავ ზღვაში დაშვების საკითხებში. ამ საკითხებში თურქეთის დელეგაციამ მხარი დაუჭირა მომავალი კონვენციის დიდ ბრიტანულ პროექტს, რომლითაც დასავლეთის იმპერიალისტურ სახელმწიფოებს სურდათ შეენარჩუნებინათ თავიანთი სამხედრო გემების სრუტეებში გავლის თავისუფლება არა მარტო მშვიდობიან, არამედ ომის დროსაც. აღნიშნული პროექტი აშკარად მიმართული იყო სსრ კავშირისა და სხვა შავიზღვისპირა სახელმწიფოების ინტერესებისა და

[1] იტალიამ არ გაგზავნა თავისი წარმომადგენლები.

უშიშროების წინააღმდეგ. ამიტომ იყო, რომ საბჭოთა კავშირის დელეგაციამ გადაჭრით გაილაშქრა მისი მიღების წინააღმდეგ.

კონფერენციაზე არავითარი დავა არ გამოუწვევია საკითხს სრუტეების ზონის რემილიტარიზაციის შესახებ. თვით ასეთი კონფერენციის მოწვევის ფაქტი ნიშნავდა, რომ ლოზანის კონფერენციის მონაწილე სახელმწიფოები მზად იყვნენ ეცნოთ თურქეთის სათანადო მოთხოვნის საფუძვლიანობა და მხარი დაეჭირათ მისთვის.

ძირითად საკითხში წარმოებული სერიოზული დავა, საბჭოთა დელეგაციის მტკიცე პოზიციის შედეგად, დამთავრდა ინგლისისა და თურქეთის დათმობით და მათი მზადყოფნით მიეღწიათ შეთანხმებული გადაწყვეტილებისათვის. 20 ივლისს კონფერენციამ დაასრულა მუშაობა და ხელმოწერილ იქნა ახალი კონვენცია სრუტეების შესახებ.

მონტრის კონვენციამ გააუქმა სრუტეების საერთაშორისო კომისია, აღადგინა თურქეთის სრული სუვერენიტეტი სრუტეებსა და მის სანაპიროებზე და მისცა მას სრუტეების ზონის რემილიტარიზაციის უფლება. თურქეთსვე დაეკისრა სრუტეებში ყველა ტიპის გემების გავლის თვალყური და კონტროლი. მან დაადასტურა ლოზანის გადაწყვეტილებები სრუტეებში ყველა ქვეყნის კომერციული გემების გავლის სრული თავისუფლების შესახებ. რაც შეეხება სამხედრო გემების გავლას სრუტეებში, სხვადასხვა რეჟიმი იქნა დაწესებული შავიზღვისპირა და არაშავიზღვისპირა ქვეყნებისათვის. შავიზღვისპირა ქვეყნების სამხედრო გემებს მშვიდობიან დროს ეძლეოდათ სრუტეებში გავლის უფლება უმნიშვნელო შეზღუდვებით, გარკვეული მოთხოვნების დაცვის პირობით, არაშავიზღვისპირა ქვეყნების სამხედრო ფლოტისათვის კი წესდებოდა სასტიკი შეზღუდვები[1]. ომის შემთხვევაში, როცა თურქეთი ნეიტრალური რჩებოდა, სრუტეები უნდა დაკეტილიყო ყველა მეომარი სახელმწიფოს სამხედრო გემებისათვის. იმ შემთხვევაში კი, როცა თურქეთი მეომარი მხარე იქნებოდა ან მას უშუალო ომის საფრთხე შეექმნებოდა, სრუტეებში სამხედრო გემების გავლა თურქეთის მთავრობის ნება-სურვილზე იყო დამოკიდებული.

საერთოდ მონტრის კონფერენცია სრუტეების შესახებ ნნიშვნელოვანი საერთაშორისო უფლებრივი აქტი იყო, რომელიც სასურველი იყო როგორც თურქეთის, ისე საბჭოთა კავშირისათვის. მაგრამ როგორც მეორე მსოფლიო ომის ამბებმა დაგვანახა, კონვენცია ვერ

---

1 ამ ქვეყნებს უფლება ჰქონდათ შავ ზღვაში ერთდროულად შეეშვათ არაუმეტეს 30 ათასი ტონაჟის მოცულობის სამხედრო გემები. მათი ყოფნის ვადა შავი ზღვის ნავსადგურებში ისაზღვრებოდა 21 დღით.

უზრუნველყოფდა საკუთარ საბჭოთა კავშირისა და სხვა შავიზღვისპირა სახელმწიფოების უშიშროებასა და ინტერესებს.

თურქეთის ჩათრევა ინგლის - საფრანგეთის იმპერიალისტურ ბლოკში (დაჯგუფებაში) მეორე მსოფლიო ომის წინ

მონტრის კონფერენციის შემდეგ უფრო მკვეთრად იჩინა თავი დასავლეთის იმპერიალისტურ სახელმწიფოებთან თურქეთის დაახლოებისა და მათთან შეთანხმების საშიშმა სიმპტომებმა. მართალია, თურქეთის მესვეურები შემდეგშიაც არაერთხელ გამოსულან თურქეთ-საბჭოთა კავშირის ტრადიციული მეგობრობის განმტკიცების სასურველობის განცხადებებით, მაგრამ საქმით საწინააღმდეგოს აკეთებდნენ. იმპერიალისტური ქვეყნების ჩაგონებით ისინი ძირს უთხრიან თურქეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობას და ქვეყნის ეროვნული ინტერესების საზიანოდ იმპერიალისტურ ქვეყნებთან გარიგებაზე იღებენ გეზს. მათ საჭიროდ ჩათვალეს „ორი ბატონის“ მსახურება. ერთი მხრივ ისინი უახლოვდებიან ინგლისსა და საფრანგეთს. თანაც ხელს არ უშლიან ფაშისტური გერმანიის ეკონომიურ ექსპანსიას და არც ფაშისტური იტალიის აქტიურ აგრესიას ბალკანეთზე.

განსაკუთრებით აქტიურ ზემოქმედებას ახდენდა თურქეთზე ინგლისი, რომლის დიპლომატია არაფერს არ იშურებდა ამ მიზნის მისაღწევად. 1937 წელს ინგლისმა პირველი მიზნობრივი სესხი (3 მილ. გირ. სტერლინგი) მისცა თურქეთს. ამას 1938 წლის მაისში მოჰყვა ინგლის-თურქეთის ახალი შეთანხმება, რომლითაც თურქეთმა მიიღო მეორე სესხი 16 მილიონ გირ. სტერლინგის რაოდენობით. ისარგებლარა სესხების მიცემით, ინგლისმა გაძლიერა ეკონომიური შეღწევა თურქეთში და გაგზავნა იქ მრავალი ექსპერტი, ეკონომისტი, ინჟინერი და სამხედრო მრჩეველი; მიაწოდა მას მნიშვნელოვანი რაოდენობის სამხედრო მასალა.

არასასურველმა მობრუნებამ თურქეთის საგარეო პოლიტიკაში მკაფიოდ იჩინა თავი 1937 წელს, როცა თურქეთმა ხელი მოაწერა საადაბადის[1] პაქტს, რომლის მონაწილენი იყვნენ ირანი, ერაყი, და ავღანეთი. აღნიშნული პაქტით შეიქმნა ახლო აღმოსავლეთის ანტანტა — ინგლისის იმპერიალიზმის აგრესიული პოლიტიკის იარაღი მსოფლიოს ამ ნაწილში.

თურქეთის მიქცევამ ინგლისის იმპერიალისტური პოლიტიკის ფარვატერში ხელი ვერ შეუშალა ფაშისტური გერმანიის გავლენის გაზრდას (და ნაწილობრივ ფაშისტური იტალიისაც) ამ ქვეყანაში. ამაზე ნათლად მიგვითითებს გერმანია-თურქეთის ვაჭრობის შეუჩერებელი ზრდა, გერმანული კაპიტალის საქმიანობის სფეროს გაფა-

---

[1] ირანის შაჰის სასახლე, სადაც მოხდა ამ აქტზე ხელმოწერა.

რთოება და გერმახული მოწყობილობითა და ტექნიკური ძალებით თურქეთში სამრეწველო მშენებლობის გაძლიერება. თურქეთს მოევლინენ მრავალრიცხოვანი გერმანელი სპეციალისტები, რომლებიც წარმატებით კონკურენციას უწევდნენ სხვა ქვეყების წარმომადგენლებს და აქტიურად მოქმედებდნენ არა მარტო ვაჭრობისა და მრეწველობის სფეროში, არამედ სამინისტროებში, განათლებისა და სამხედრო უწყებებში. ამის უშუალო შედეგი იყო 1939 წლის 16 იანვარს ბერლინის შეთანხმება, რომლითაც გერმანია თურქეთს აძლევდა კრედიტს 150 მილიონი მარკის რაოდენობით.

მკვეთრი მობრუნება თურქეთის საგარეო პოლიტიკაში უშუალოდ დაკავშირებული იყო რეაქციული ელემენტების გავლენის შემდგომ ზრდასთან როგორც მთავრობაში, ისე სახალხო-რესპუბლიკური პარტიის ზედა ფენაში. იგი განსაკუთრებით საგრძნობი გახდა 1936 წლის მიწურულიდან, როდესაც ხანგრძლივმა და მძიმე ავადმყოფობამ აიძულა ათათურქი ფაქტიურად ჩამოშორებოდა ხელისუფლებას. 1937 წელს და 1938 წლის პირველ ნახევარში ათათურქის ავადმყოფობა კიდევ უფრო გამწვავდა, რამაც მას საშუალება წაართვა ზემოქმედება მოეხდინა თურქეთის საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე და დაეცვა თავისი ძველი კურსი. როგორც ისმეთ ინენიუ, ისე ჯელალ ბაიარი, რომლებიც ამ წლებში მონაცვლეობით სათავეში ედგნენ ხელისუფლებას, ატარებდნენ აშკარა რეაქციულ საშინაო პოლიტიკას და მორიგ დათმობებზე მიდიოდნენ იმპერიალისტური სახელმწიფოების მიმართ.

1938 წლის 10 ნოემბერს ქემალ ათათურქი გარდაიცვალა. თურქმა ხალხმა ღრმა გულისტკივილით განიცადა ეს მძიმე დანაკლისი. მადლიერმა ერმა ანკარა მიუჩინა მას მუდმივ განსასვენებლად, სადაც აუგო დიდებული მავზოლეუმი. ათათურქის გარდაცვალების შემდეგ რესპუბლიკის პრეზიდენტად და სახალხო რესპუბლიკური პარტიის თავმჯდომარედ აირჩიეს განსვენებულის თანამებრძოლი ისმეთ ინენიუ. მან თავისი თავი ათათურქის პრინციპების ერთგულად გამოაცხადა, მაგრამ სინამდვილეში კიდევ უფრო მკვეთრად მოაბრუნა ქვეყნის საქე მარჯვნივ, წამოსწია მმართველობაში რეაქციულ-კომპრადორული წრეების წარმომადგენლები, აბუჩად აიგდო საბჭოთა კავშირ-თურქეთის მეგობრობა და ქვეყნის ეროვნული ინტერესები და თურქეთი საბოლოოდ ჩაება მეორე მსოფლიო ომის წინ შექმნილ კომბინაციებში.

თურქეთი მეორე მსოფლიო ომის წინ

იმპერიალისტური პოლიტიკის იარაღად ქცევას თან მოჰყვა თურქეთის დაჩქარებული მილიტარიზაცია. თურქეთის ხელისუფლებამ ხელი მიჰყო სამხედრო ობიექტების მშენებლობას და საომარი მასალების მასობ-

რივ შესყიდვას საზღვარგარეთ. სახელმწიფო ბიუჯეტის მნიშვნელოვანი სახსრები, რაც წინათ ეტატისტური პოლიტიკის შესაბამისად ახალ სამრეწველო საწარმოთა მშენებლობასა და რკინიგზების გაყვანას ხმარდებოდა, 1938—1939 წლებში ქვეყნის ეკონომიკის სამხედრო რელსებზე გადაყვანას, სამხედრო ქარხნების მშენებლობასა და სამხედრო სტრატეგიული გზების გაყვანას მოუნდა. ამით ეტატიზმმა საბოლოოდ დაკარგა პროგრესული დანიშნულება და თურქეთის გასამხედროების იარაღი გახდა.

ომისათვის გამალებული მზადების მეორე უშუალო შედეგი იყო სოფლის მეურნეობის ზრდის ისედაც დაბალი ტემპების შეჩერება და სამოქალაქო მრეწველობის ერთ წერტილზე გაყინვა, უმუშევრობის გადიდება, პირველი მოთხოვნილების საქონლის შემცირება სავაჭრო ქსელში, მისი ფასების გადიდება და ა. შ.

თურქეთის გაბატონებულმა კლასებმა ქვეყნის დაჩქარებული მილიტარიზაცია და ომის საშიშროების მოახლოება მშრომელ მასებზე შეტევის გასაძლიერებლად და დემოკრატიული მოძრაობის ჩასახშობად გამოიყენეს. ისინი არ დასჯერდნენ პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადების გადიდებას, ფასების ზრდის შედეგად რეალური ხელფასის საგრძნობ დაცემას და მკვეთრად გააძლიერეს რეპრესიები მათი ორგანიზაციების წინააღმდეგ. განსაკუთრებით სასტიკად უსწორდება ხელისუფლება მუშათა გაფიცვებს, მოძრაობას რესპუბლიკური ესპანეთის მხარის დასაჭერად და კომუნისტურ საქმიანობაში ეჭვმიტანილ პროგრესულ ელემენტებს.

მეორე მსოფლიო ომის წინ თავის ფინალს მიუახლოვდა თურქეთის საგარეო პოლიტიკის მობრუნება ათათურქის მიერ შემუშავებული, თურქეთის ეროვნული ინტერესების შესაბამისი კურსიდან. საგრძნობლად გაუარესდა თურქეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობა და შესაბამისად გაძლიერდა თურქეთის კავშირი როგორც ინგლისთან და საფრანგეთთან, ისე ჰიტლერულ გერმანიასთან.

1929 წლის 12 მაისს გამოქვეყნდა თურქეთ-ინგლისის დეკლარაცია ორ ქვეყანას შორის სამხედრო კავშირის შეკვრისა და ურთიერთდახმარების შესახებ. 1939 წლის 25 ივნისს პარიზში ხელი მოაწერეს თურქეთ-საფრანგეთის ანალოგიურ შეთანხმებას. საფრანგეთმა თურქეთის მეგობრობის მოსაპოვებლად (ინგლისის დაჟინებითი მოთხოვნით) დაკმაყოფილა თურქეთის ტერიტორიული პრეტენზია სირიის კუთვნილი ტერიტორიის ალექსანდრეტას სანჯაყსა და ალექსანდრეტას (ისკენდერუნი) დიდი ნავსადგურის მიმართ. სათანადო შეთანხმება, რომელიც სირიელი ხალხის ზურგს უკან და მისი ინტერესების საზიანოდ გაფორმდა, ხელმოწერილ იქნა ანკარაში, პარიზის ხელშეკრულების ხელმოწერის დღესვე. ამ ხელ-

შეკრულებათა დადებას გავლენა არ მოუხდენია თურქეთ-გერმანიის ურთიერთობაზე, რომელიც კიდევ უფრო მეგობრული გახდა[1], მაგრამ მისი უშუალო შედეგი იყო თურქეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის მორიგი გაუარესება, ინგლის-საფრანგეთის ბლოკთან შეერთება, რომელსაც ანტისაბჭოთა იმპერიალისტური გეგმები ამოქმედებდა ახლო აღმოსავლეთში.

თურქეთი მეორე მსოფლიო ომის წლებში

თურქეთი ფორმალურად არ ჩაბმულა 1939 წლის 1 სექტემბერს დაწყებულ მეორე მსოფლიო ომში. მან გამოაქვეყნა დეკლარაცია პოზიტიური ნეიტრალიტეტის დაცვის შესახებ. ამავე დროს თურქეთმა 1939 წლის 19 ოქტომბერს ინგლისთან და საფრანგეთთან დადო (15 წლის ვადით) ხელშეკრულება ურთიერთდახმარების შესახებ. იგი წარმოადგენდა წინანდელ შესატყვის ხელშეკრულებათა განვითარებას და სამხედრო კავშირის სახე ჰქონდა. იგი ხელმომწერ ქვეყნებს ავალებდა დახმარება აღმოეჩინათ ერთმანეთისათვის ევროპის რომელიმე სხვა სახელმწიფოს თავდასხმის შემთხვევაში. ამდენად იგი ეწინააღმდეგებოდა თურქეთის მიერ აღებულ ვალდებულებას ნეიტრალიტეტის დაცვის შესახებ.

ეს მოხდა მას შემდეგ, რაც ჩაიშალა თურქეთის დიპლომატიის პროვოკაციული ცდა (იგი წაქეზებული იყო ინგლისისა და საფრანგეთის იმპერიალისტების მიერ) დაეჯახებინა ერთმანეთისათვის საბჭოთა კავშირი და ფაშისტური გერმანია. სწორედ ამ მიზნით 1939 წლის სექტემბრის ბოლოს მოსკოვს ჩავიდა თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი შუქრუ სარაჯოღლუ. მან საბჭოთა მთავრობას შესთავაზა თურქეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთდახმარების ხელშეკრულების დადება. თუ ასეთი ხელშეკრულება დაიდებოდა, საბჭოთა კავშირი თურქეთის მეშვეობით შეუერთდებოდა გერმანიასთან ომის მდგომარეობაში მყოფ ინგლისსა და საფრანგეთს. საბჭოთა კავშირის მთავრობამ კარგად განჭვრიტა თურქეთის დიპლომატიის ეს მანევრი, გადაჭრით უკუაგდო იგი და შეინარჩუნა გერმანია-საბჭოთა კავშირის შეთანხმებით ნაკისრი ნეიტრალიტეტი.

მაგრამ, ინგლის-საფრანგეთის ბლოკთან დაკავშირების მიუხედავად, თურქეთის მთავრობა არც 1939—1940 წლებში და არც 1941

[1] მაგალითად, 1939 წლის აპრილში ფაშისტური გერმანიის ელჩად ანკარაში ინიშნება ცნობილი საერთაშორისო კლასის მზვერავი, ჰიტლერის ხელისუფლებისაკენ გზის გამკაფავი პანგერმანელი თავკაცი, პროვოკატორი ფონ პაპენი, რომელსაც თურქეთის მთავრობა ცნობს „პერსონა გრატად“ და აღტაცებით ეგებება მის ჩასვლას. ჰიტლერელებმა, ისარგებლეს რა თურქეთის მთავრობის პროგერმანული პოზიციით, შექმნეს იქ ფართოდ გაშლილი ჯაშუშური ქსელი, ტერორისტულ-დივერსიული ჯგუფები, რომლებიც საჭირო შემთხვევაში საბჭოთა კავშირში უნდა გადაესროლათ, და პროჰიტლერული დაჯგუფება.

წელს ომში არ ჩაბმულა მაშინაც კი, როცა ომის ასპარეზი გაფართოვდა, ხმელთაშუა ზღვის აუზსაც მოედო და უშუალოდ მიუახლოვდა მის საზღვრებს. მას არც ისეთი რაიმე ნაბიჯი გადაუდგამს, რომელიც უშუალოდ ინგლისისა და საფრანგეთის წინააღმდეგ იქნებოდა მიმართული. ამასთან ერთად, უნდა აღინიშნოს, რომ თურქეთის ურთიერთობა ფაშისტურ გერმანიასთან, რომელმაც გადათელა დასავლეთ ევროპის დიდი ნაწილი, კიდევ უფრო გულთბილი გახდა.

1940 წლის ივლისში თურქეთმა ახალი სავაჭრო ხელშეკრულება დადო ფაშისტურ გერმანიასთან და დაიწყო გერმანიისათვის სურსათის და სტრატეგიული ნედლეულის (ქრომი, ნიკელი) მიწოდება. 1941 წლის 17 თებერვალს გამოქვეყნდა თურქეთ-ბულგარეთის დეკლარაცია „ყოველგვარი აგრესიისაგან თავის შეკავების" შესახებ, რითაც ბულგარეთს არსებითად ბიძგი მიეცა „ღერძის" სისტემას შეერთებოდა. უნდა აღინიშნოს, რომ ჰიტლერმა მოიწონა თურქეთის „ნეიტრალიტეტი" და სპეციალური მიმართვით წაახალისა ის მომავალში ასეთი პოზიციის გაღრმავებისათვის.

1941 წლის 18 ივნისს, ე. ი. ჰიტლერული ხროვის სსრკ-ზე თავდასხმის 4 დღის წინ, ანკარაში დაიდო თურქეთ-გერმანიის „მეგობრობისა და თავდაუსხმელობის" პაქტი. ფაშისტური გერმანიისათვის ეს პაქტი, რომელმაც ჰიტლერული ჯარების ბალკანეთის ფლანგს უშიშროება შეუქმნა, წარმოადგენდა უკანასკნელ რგოლს სსრკ-ის წინააღმდეგ წარმოებულ სამხედრო და დიპლომატიურ ღონისძიებათა მოსამზადებლად; თურქეთისათვის კი ის მოასწავებდა აშკარად ანტისაბჭოთა პლატფორმაზე გადასვლას[1]. ჰიტლერული გერმანიის დროებითმა წარმატებებმა ევროპაში თურქეთის მესვეურებს შეუქმნა ამ აგრესიული ძალის ყოვლისმძლეობის მცდარი წარმოდგენა. ამით იყო გამოწვეული აღნიშნულ აქტზე ხელმოწერა და ინგლის-საფრანგეთის მიმართ აღებული ვალდებულებისაგან თავის შეკავება.

თურქეთის „ნეიტრალიტეტის" ხასიათი საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის პერიოდში

საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის დაწყებიდან 3 დღის შემდეგ—1941 წლის 25 ივნისს თურქეთმა ერთხელ კიდევ გამოაცხადა ნეიტრალიტეტი, მაგრამ ამ ნეიტრალიტეტის ნიღბით იგი განაგრძობდა გერმანიისადმი დახმარების გაწევას, გერმანიისათვის ქრომისა და ნიკელის მიწოდებას. ჰებელსის აღვირახსნილი ანტისაბჭოთა ცილისმწამებ-

---

1 ამ საგარეო პოლიტიკურ ნაბიჯებს თან სდევდა ქვეყნის ეკონომიკის გადაყვანა სამხედრო რელსებზე, კანონის მიღება „ერის დაცვის" შესახებ (1920 წლის თებერვალში), სრუტეების გამაგრება, არმიის გაძლიერება და მისი საბრძოლო მდგომარეობაში მოყვანა.

ლერი კომპანიისათვის მხარის დაჭერა, პანთურქისტული მიჩემება სსრკ მიწა-წყლის ნაწილზე, აღმოსავლეთის ფრონტზე ჰიტლერული არმიის დროებითი წარმატების გამო აღტაცებაში მოსვლა, თურქ გენერალთა და ჟურნალისტთა ვიზიტები ჰიტლერთან მთავარ ბანაკში, მოწოდება სსრკ წინააღმდეგ ომისათვის და სხვ. ანტისაბჭოთა პოლიტიკის განუყოფელი ნაწილი იყო. 1942 წლის თებერვალში თურქეთის ხელისუფლებამ და გესტაპომ მოაწყეს პაპენზე თავდასხმის ინსცენირება. „თავდასხმისათვის" ბრალი დასდეს საბჭოთა მოქალაქეებს პავლოვსა და კორნილოვს—საბჭოთა კავშირის სავაჭრო და დიპლომატიური წარმომადგენლობის თანამშრომლებს და პასუხისგებაში მისცეს ისინი სახელდახელოდ შეთითხნილი ბრალდებით. მიუხედავად იმისა, რომ მათი უდანაშაულობა აშკარა იყო, თურქეთის სასამართლომ 1942 წლის 17 ივნისს მათ 20 წლის პატიმრობა მიუსაჯა. თვით ეს სასამართლო პროცესი თურქეთის ანტისაბჭოთა წრეებმა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართული კამპანიის გაღვივებისათვის გამოიყენეს.

პანთურქიზმის პროპაგანდის გაძლიერება

საბჭოთა ხალხის მიერ ჰიტლერელ დამპყრობთა წინააღმდეგ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის პროცესში მმართველი წრეების მიერ წაქეზებული თურქეთის პრესა ეწეოდა აღვირახსნილ, ჰებელსის პროპაგანდისტული სამზარეულოდან ნასესხებ, ცილისმწამებლურ კამპანიას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. თურქეთის მთავრობის სანქციის პანთურქული ორგანოები („ბოზქურთი" — „რუხი მგელი" და „ჩინარალთი" — „ჩინარქვეშ") და სხვა ჟურნალები და გაზეთები აშკარად მოუწოდებდნენ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომისაკენ. ისინი ქება-დიდებას ასხამდნენ ფაშისტ დამპყრობლებს, მათ მტაცებლურ ომს; „წინასწარმეტყველებდნენ" საბჭოთა კავშირის დამარცხების აუცილებლობას სამამულო ომში და პრეტენზიას აცხადებდნენ საბჭოთა კავშირის მიწაწყალზე. „ახლანდელი თურქეთის საზღვარი გადის კავკასიის ქედის და კასპიის ზღვის მიღმა", „ვოლგა ჩვენი წინაპრების მდინარეა" — პროვოკაციულად და უტიფრად აცხადებდნენ ისინი.

თურქეთის ყველა პასუხისმგებელ პოლიტიკურ მოღვაწეს აგრეთვე მკაფიოდ ანტისაბჭოთა პოზიცია ეკავა, თუმცა ამას ისინი აკეთებდნენ შენიღბულად.

„როგორც თურქს, მე მთელი არსებით მსურს რუსეთის მოსპობა, რუსეთის მოსპობა იქნება ფიურერის ისეთი დამსახურება, რომლის მსგავსი მხოლოდ ერთხელ შეიძლება მოხდეს საუკუნეში... რუსეთის პრობლემას გერმანია მხოლოდ მაშინ გადაწყვეტს, თუ გაუქრეტს რუსეთში მცხოვრებ რუსთა არა ნაკლებ ნახევარს"—ეუბნებო-

და შუქრუ სარაჯოღლუ მეგობრულ საუბარში ჰიტლერის ელჩს ფონ პაპენს (1942 წ.). საგარეო საქმეთა მინისტრი ნუმან მენემენჯიოღლი, რომელიც სისტემატურად აწვდიდა გერმანელებს ცნობებს საბჭოთა კავშირის მდგომარეობის შესახებ და თვით ისმეთ ინენიუც არ ჩამორჩებოდნენ ჰიტლერული გერმანიისადმი ლაქიობაში თავიანთ ხელქვეითებს. „თურქეთი უაღრესად დაინტერესებულია რუსეთის კოლოსის მოსპობაში", ეუბნებოდა ისმეთი ფონ პაპენს. 1943 წლის დასაწყისში თურქეთში გამოვიდა თურქი გენერლის იჰსან საბირის წიგნი „მეორე მსოფლიო ომი", რომელშიაც იგი ურცხვად ამტკიცებდა, რომ გერმანია თითქოს ეწეოდა სამართლიან ომს თავისი სასიცოცხლო სივრცისათვის.

1942 წლის შემოდგომაზე თურქეთმა მნიშვნელოვან ჯარის ნაწილებს მოუყარა თავი კავკასიის საზღვარზე. მას განზრახვა ჰქონდა შეეჭრილიყო საბჭოთა კავშირის საზღვრებში, როგორც კი სტალინგრადი დაეცემოდა. მაგრამ გერმანიის ჰიტლერული ურდოების განადგურებამ სტალინგრადთან ჩაშალა თურქეთის მმართველთა ეს მუხანათური ზრახვა.

თურქეთის მმართველი წრეების აშ შტატებთან და ინგლისთან დაახლოების პოლიტიკამ თავი იჩინა მხოლოდ ომის მიწურულს. 1943 წლის დასაწყისიდან, როცა გამოვლინდა ჰიტლერული გერმანიის მოახლოებული კრახი, თურქეთის მმართველები ისევ ინგლის-საფრანგეთის ორიენტაციას დაუბრუნდნენ, თანაც ჰიტლერელებისათვის დახმარების გაწევას უკვე ფარულად აწარმოებდნენ. 1943 წელს მოეწყო ისმეთ ინენიუს შეხვედრა ჩერჩილთან (ადანში), ამავე წლის დასასრულს კი — ჩერჩილთან და რუზველტთან (კაიროში). ამ შეხვედრების დროს განხილულ იქნა ამ ქვეყნებს შორის წინათ არსებული გულთბილი ურთიერთობის აღდგენისა და ბალკანეთზე წარმოებულ ომში თურქეთის მონაწილეობის საკითხები. საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების განმათავისუფლებელმა მისიამ ბალკანეთზე ჩაშალა დასავლეთის ეს გეგმა. მათ მხოლოდ საბერძნეთის რეაქციული რეჟიმის შენარჩუნება შეძლეს იქ.

1944 წლის აპრილში, როცა აშკარა გახდა ჰიტლერული გერმანიის აღსასრულის მოახლოვება, თურქეთის მთავრობამ ანტიჰიტლერული კოალიციის მოთხოვნით შეწყვიტა ქრომის მიწოდება გერმანიისათვის, ხოლო 2 აგვისტოს დიპლომატიური ურთიერთობა გაწყვიტა მასთან. 1945 წლის 3 იანვარს, თურქეთმა გაწყვიტა ურთიერთობა იაპონიასთან, 23 თებერვალს კი ომი გამოუცხადა გერმანიას. და იაპონიას. თურქეთის მხრით ომის გამოცხადება უბრალო ფორმალურობა იყო. მან მხოლოდ გეზი იცვალა, რათა როგორც მეომარ სახელმწიფოს მონაწილეობა მიეღო გაერთიანებული ერების ორგა-

ნიზაციის საქმიანობაში და იქ მხარი დაეჭირა ინგლის-საფრანგეთისა და აშშ იმპერიალისტური ზრახვების განხორციელებისათვის.

თურქეთის რეაქციული ხელისუფლების ასეთი მტრულ-პროვოკაციული პოლიტიკა სსრკ მიმართ დიდი სამამულო ომის პერიოდში ბუნებრივად შეუძლებელს ხდის 1925 წ. მეგობრობისა და ნეიტრალიტეტის ხელშეკრულების შემდგომ არსებობას. ამიტომ იყო, რომ სსრკ მთავრობამ 1945 წლის 19 მარტს მოახდინა ამ ხელშეკრულების დენონსირება.

თურქეთის ეკონომიკის მილიტარიზაცია. მშრომელთა მდგომარეობის გაუარესება

თურქეთის მთავრობის საშინაო პოლიტიკა 1939—1945 წლებში რეაქციული ტერორის, შიმშილის, მუშათა და გლეხთა მატერიალურ-უფლებრივ პირობებზე შეტევის, დემოკრატიული სულისკვეთების აღკვეთისა და სსრკ-სადმი სიმპათიების ყოველგვარი გამოვლინების ძალით ჩახშობის პოლიტიკა იყო. ომის წლებში არნახულად გაიზარდა ეკონომიური სიძნელეები, სოფლისა და ქალაქის მოსახლეობის დაბეგვრა ახალ-ახალი მძიმე გადასახადებით, მკვეთრად გადიდდა ფასები პირველი მოთხოვნილების საგნებზე; მუშათა სამუშაო დღემ კი 14—16 საათს მიაღწია. ყოველივე ამას თან სდევდა მასობრივი უმუშევრობა, მუშათა რეალური ხელფასის დაცემა და იმ ელემენტარული დემოკრატიული უფლებების წაშლა, რომელიც მანამდე არსებობდა. ხელისუფლებამ თვით „ქემალისტური პროფკავშირებიც“ კი დახურა და ათასობით ციხე-სატუსაღოებში ჩაყარა დემოკრატიისა და სსრკ მეგობრული ურთიერთობის დამყარების მომხრე მუშები, გლეხები და პროგრესული ინტელიგენციის წარმომადგენლები.

მაგრამ მკაცრმა რეპრესიებმა ვერ ჩაახშო შიმშილით და უუფლებობით განაწამები მასების წინააღმდეგობა და ვერ შეასუსტა პოლიტიკური კრიზისი, რომელმაც უფრო ღრმა ხასიათი მიიღო. ომის მძიმე შედეგები და ძმართველი წრეების ანტიხალხური პოლიტიკის სიმძიმე თანდათანობით მკაფიოდ იჩენდა თავს და მით ქმნიდა ხელსაყრელ ნიადაგს მასობრივი მღელვარებისა და რევოლუციური გამოსვლებისათვის.

ეგვიპტე 1918—1945 წლებში

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გავლენა ეგვიპტელი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობაზე

პირველი მსოფლიო ომის დამთავრებამ და დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამ უდიდესი გავლენა მოახდინა ეგვიპტელი ხალხის სვე-ბედზე.

პირველმა მსოფლიო ომმა ღრმა იარები დააჩნია ომში ძალით ჩათრეულ ეგვიპტეს. ინგლისელმა იმპერიალისტებმა ომის ბოროტ ღმერთს დაუმორჩილეს ეგვიპტის ცხოვრების ყველა დარგი. განსაკუთრებით აუტანელი ტვირთი დააკისრეს მათ ფელაჰობას და ქალაქების მშრომელებს. კონფისკაციისა და რეკვიზიციის წესით ფელაჰებს წაართვეს სურსათ-სანოვაგე, საჭაპანო საქონელი; ასეული ათასი ეგვიპტელი მშრომელი მობილიზაციით გაიწვიეს „შრომის კორპუსებში“ და გამოიყენეს ფრონტის წინა ხაზებზე მესანგრეთა და დამხმარე პერსონალის სახით.

ომის წლებში თავი იჩინა სასურსათო სიძნელეებმა, ფართო მოხმარების საქონლის ნაკლებობამ, სპეკულაციამ. ხელფასი იმავე დონეზე დარჩა, ფასები კი ომის დასასრულისათვის სამჯერ და მეტად გაიზარდა, რამაც მშრომელთა მდგომარეობა აუტანელი გახადა. ომმა გააღრმავა ეგვიპტის საზოგადოების სოციალური ანტაგონიზმი.

ომმა და სამხედრო ოკუპაციამ გააძლიერა ეგვიპტის პოლიტიკური ჩაგვრა ინგლისის იმპერიალიზმის მიერ. 1914 წლიდან თავის საპროტექტორატო სამფლობელოდ გამოცხადებულ ეგვიპტეში ინგლისელებმა საგანგებო-სამხედრო წესები შემოიღეს და განსაკუთრებული რწმუნებებით აღჭურვეს ინგლისის სამხედრო ხელისუფალნი; აკრძალეს ყოველგვარი ოპოზიციური ძალების საქმიანობა და ფართო გასაქანი მისცეს სამხედრო ცენზურას, სამხედრო-საველე სასამართლოებსა და საიდუმლო პოლიციას.

ომის წლებში გამდიდრებული და ეკონომიურად გაძლიერებული ეროვნული ბურჟუაზია პოლიტიკურადაც მნიშვნელოვან ძალად იქცა. იგი ვეღარ ურიგდება თავის დაქვემდებარებულ მდგომარეობას, „ბიზნესის“ ფართო სფეროსკენ მიისწრაფვის და აშკარად ლამობს განთავისუფლდეს ინგლისის იმპერიალიზმის პოლიტიკური მეურვეობისაგან.

ამგვარად, ომის შედეგებმა მრავალი ფიცხი მასალა დააგროვა ეგვიპტელი ხალხის ცხოვრებაში, უკიდურესობამდე. გააღრმავა ეგვიპტელი ხალხის სიძულვილი და შეურიგებლობა ინგლისელი კოლონიზატორებისადმი და ხელი შეუწყო მის პოლიტიკურ გამოღვიძებას.

მეორე ფაქტორი, რომელმაც უდიდესი გავლენა მოახდინა ეგვიპტეზე და მძლავრი ბიძგი მისცა მისი მოსახლეობის რევოლუციურ გამოღვიძებას, იყო დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება და საბჭოთა რუსეთის აღმოცენება.

1918—1923 წლების განმათავისუფლებელი ბრძოლის ხასიათი და მამოძრავებელი ძალები

ზემოაღნიშნულ შინაგან და საგარეო ფაქტორთა ზეგავლენით 1918 წლის შემოდგომიდან ეგვიპტეში დაიწყო მასობრივი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. მისი ძირითადი მიზანი იყო ინგლისელთა კოლონიური ბატონობის დამხობა და ეროვნული სუვერენიტეტის მოპოვება. ამ ბრძოლაში მონაწილეობას იღებდნენ ქვეყნის მთელი პატრიოტული ძალები — ფელაჰები, მუშათა კლასი, ქალაქის ღარიბობა, ეროვნული ინტელიგენცია, წვრილი ვაჭრები და ხელოსნები, ეროვნული ბურჟუაზია. მხოლოდ იმპერიალიზმის აგენტები და მათი სოციალური საყრდენები— სასახლის რეაქციული წრეები, მსხვილი ფეოდალები და კომპრადორები დარჩნენ მის გარეშე. განმათავისუფლებელი ბრძოლის ძირითადი მამოძრავებელი ძალები იყვნენ მშრომელი მასები — ფელაჰები, მუშათა კლასი, ქალაქის ღარიბობა. მცირერიცხოვნებამ, სუსტმა პოლიტიკურმა მომწიფებამ, ჭეშმარიტი რევოლუციური ავანგარდის უყოლობამ ეგვიპტის მუშათა კლასს საშუალება არ მისცა სათავეში ჩასდგომოდა ამ ბრძოლას და ერის მედროშე გამხდარიყო. ფელაჰობა ნაკლები ორგანიზებისა და ნათელი სამოქმედო პროგრამის უქონლობის გამო მით უფრო მოკლებული იყო ამ ისტორიული მისიის შესრულების შესაძლებლობას. ამ ვითარებით კარგად ისარგებლა ეროვნულმა ბურჟუაზიამ, რომელიც პირველი დღიდანვე სათავეში ჩაუდგა განმათავისუფლებელ მოძრაობას და ხელთ იგდო ერთიანი პატრიოტული ფრონტის მეთაურობა.

ეგვიპტის ეროვნული ბურჟუაზია, თავისი ექსპლოატატორული ბუნების მიუხედავად, მაშინ ანტიიმპერიალისტურად იყო განწყობილი. ქვეყნის კოლონიური მდგომარეობა და უცხოური კაპიტალის ბატონობა დიდად აფერხებდა მის საქმიანობას და აიძულებდა მას მოსახლეობის ფართო წრეებთან ერთად მონაწილეობა მიეღო ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში, გამოსულიყო ქვეყნის დამოუკიდებლობის ქომაგად.

ძალთა აღნიშნულმა თანაფარდობამ თავისი დაღი დაასვა განმა-

თავისუფლებელ ბრძოლას. მან შეაბოჭა მშრომელთა რევოლუციური აქტივობა, დააშუხრეჭა დიდი აღმავლობით დაწყებული ბრძოლა და ინგლისის იმპერიალიზმს შინაგან რეაქციასთან კავშირში მისი ჩახშობის საშუალება მისცა.

1918 წლის მიწურულისათვის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში ხელმძღვანელი როლი მოიპოვა ბურჟუაზიულ ნაციონალისტთა ჯგუფმა, რომლის ლიდერი გახდა ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე საად ზაღლული. ომის დამთავრებისთანავე (1918 წლის 13 ნოემბერს) ზაღლული და ბურჟუაზიულ ნაციონალისტთა ორი სხვა ლიდერი ეწვივნენ ინგლისის უმაღლეს კომისარს უინგეიტს და მის წინაშე დააყენეს პროტექტორატის რეჟიმის ლიკვიდაციისა და ეგვიპტისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების საკითხი. ეს წამოწყება, როგორც მოსალოდნელი იყო, უშედეგოდ დამთავრდა. ინგლისის მთავრობამ ყური არ ათხოვა ეგვიპტელ ნაციონალისტთა ამ სამშვიდობო ნაბიჯს.

ამის პასუხად (იმავე 13 ნოემბერს) საად ზაღლულის თავმჯდომარეობით გამოიყო დელეგაცია (არაბულად „ვაფდი"), რომელიც უნდა გამგზავრებულიყო ლონდონს ბრიტანეთის მთავრობასთან პროტექტორატის გაუქმების თაობაზე მოლაპარაკების საწარმოებლად, შემდეგ კი პარიზს — სამშვიდობო კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად. მაგრამ, ინგლისის უმაღლესმა კომისარმა თავისი მთავრობის მითითებით დელეგაციას ლონდონში გამგზავრების ვიზა არ მისცა. „ნაციონალისტთა ვიზიტი მიზანშეუწონელია", — ასეთი იყო ლოიდ ჯორჯის მთავრობის მოკლე პასუხი.

ინგლისის იმპერიალისტური მთავრობის მიერ ეგვიპტელი ხალხის სამართლიანი მოთხოვნის აბუჩად აგდებამ უდიდესი აღშფოთება გამოიწვია მთელ ეგვიპტეში და ბიძგი მისცა დიდი ხნის განმავლობაში დაგროვილი უკმაყოფილების მასობრივ ამოხეთქვას. ქვეყანა მღელვარებამ მოიცვა, სამშობლოს დამოუკიდებლობის მოთხოვნამ მილიონები დარაზმა და გამოიყვანა ასპარეზზე. სტიქიურად აღზევებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სახელმძღვანელოდ ბურჟუაზიულმა ნაციონალისტებმა საად ზაღლულის ინიციატივით შექმნეს მუდმივმოქმედი კომიტეტი „ეგვიპტის დელეგაცია" („ალ ვაფდ ალ-მისრი"), რომელსაც შემოკლებით „ვაფდი" ეწოდა. ამ კომიტეტის ბაზაზე შემდეგში წარმოიქმნა ვაფდის პარტია.

ვაფდის პარტია (რომელიც 1923—1924 წლებში გაფორმდა ორგანიზაციულად) ყველაზე მასობრივი ეროვნული პარტია გახდა, რომელმაც მალე ასეული ათასი მიმდევარი შეიძინა. კლასობრივი თვალსაზრისით ახალი პარტია მემამულურ მიწათმფლობელობასთან დაკავშირებული ეროვნული ბურჟუაზიის პარტია იყო. მისი ხელ-

მძღვანელებიც, საად ზაღლულის ჩათვლით, ან ბურჟუაზიულ-მემამულური წრეებიდან იყვნენ გამოსულნი, ან ბურჟუაზიული ინტელიგენტები იყვნენ. ვაფდის პარტიის მასობრივი საყრდენი იყო ქალაქისა და სოფლის წვრილი ბურჟუაზია და ინტელიგენცია. კარგა ხანს გლეხებისა და მუშების მნიშვნელოვანი ნაწილიც იმყოფებოდა მისი ვავლენის ქვეშ. ვაფდის უცვლელ თავმჯდომარედ სიკვდილამდე (1927 წ.) ითვლებოდა საად ზაღლული, გამოჩენილი ეგვიპტელი პატრიოტი და პოლიტიკური მოღვაწე, ქვეყნის დამოუკიდებლობის ენერგიული ქომაგი.



საად ზაღლულ ფაშა

ვაფდელებმა საად ზაღლულის ხელმძღვანელობით ენერგიული კამპანია გააჩაღეს ვაფდის მოთხოვნის მხარის დასაჭერად. სათანადო ქარტიაზე ჩატარებულმა ხელმოწერამ ნათელყო ამ ღონისძიების უდიდესი წარმატება. ასეულმა ათასმა ეგვიპტელმა პატრიოტმა მოაწერა ხელი ქვეყნის სრული დამოუკიდებლობის მოთხოვნას. ქვეყანა დაიფარა ვაფდის კომიტეტის მხარდამჭერი ორგანიზაციებით.

ინგლისელმა იმპერიალისტებმა არად ჩააგდეს ეგვიპტელი ხალხის საყოველთაო პატრიოტული აღტყინება და გადაწყვიტეს ძალის მეშვეობით ჩაეხშოთ ერთსულოვანი სწრაფვა დამოუკიდებლობისადმი. ინგლისის ჯარების სარდალმა ეგვიპტეში ჯერ მკაცრ ფორმებში მოსთხოვა ვაფდელებს და მათ ლიდერს საად ზაღლულს შეეწყვიტათ „დანაშაულებრივი აგიტაცია“, ხოლო როცა ამ გაფრთხილებამ არ გაჭრა, 1919 წლის 8 მარტს საად ზაღლული ვაფდის სამ სხვა ლიდერთან ერთად შეიპყრეს და კუნძულ მალტაზე გადაასახლეს.

1919 წლის აჯანყება

ძალმომრეობის ეს აქტი რევოლუციური აფეთქების ნიშანი გახდა. მთელ ეგვიპტეში სტიქიურად იფეთქა სახალხო ბრძოლამ, რომელიც შეიარაღებულ აჯანყებებში გადაიზარდა. ეს იყო საყოველთაო სახალხო-განმათავისუფ-

ლებელი ბრძოლა, რომელიც ერთ თვეზე მეტს გრძელდებოდა და უდიდესი გაქანებით ხასიათდებოდა. აჯანყებებში მონაწილეობდნენ მუშები, ფელაჰები, ქალაქის ღარიბობა, წვრილი ბურჟუაზია, მოსწავლე ახალგაზრდობა, ინტელიგენცია, თვით ქალებიც კი. ავანგარდული როლი მასში ახალგაზრდა მუშათა კლასს ეკუთვნოდა. სოფლისა და ქალაქის მშრომელთა აქტიურმა მონაწილეობამ წინ წამოსწია ბრძოლის „პლებეური მეთოდები". დემონსტრაციების, მანიფესტაციების, მუშათა მასობრივ გაფიცვებთან ერთად ბრძოლაში ჩაბმულმა პატრიოტებმა მასობრივად მოიმარჯვეს საბარიკადო ბრძოლები, პარტიზანული ოპერაციები, დივერსიული აქტები და ა. შ. მთელ რიგ სოფლებსა და ქალაქებში მებრძოლმა მასებმა რევოლუციური ხელისუფლების ორგანოებიც კი შექმნეს. კაირის აჯანყებულმა სტუდენტებმა, მუშებმა და სხვა მშრომელებმა მოკლე დროით ფაქტიური კონტროლი დაამყარეს ამ ქალაქში.

1919 წლის აჯანყება, როგორც სამართლიანად აღნიშნავს ეგვიპტელი პროგრესული მეცნიერი შუჰდი ატია აშ-შაფიი, წარმოადგენდა უდიდეს ნახტომს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიაში. იგი იყო მასობრივი მოძრაობა, რომელშიც ერთი საერთო მიზნისათვის მონაწილეობდნენ მილიონობით მუშები, გლეხები და ვაჭრები.

აჯანყებას კიდევ უფრო დიდი გაქანება ექნებოდა, რომ იგი არ ყოფილიყო სტიქიური, ჰყოლოდა ერთიანი ცენტრალიზებული ხელმძღვანელობა და მკაფიო სამოქმედო გეზი. ვაფდის ლიდერები ინგლისელებზე არანაკლებ დააშინა განმათავისუფლებელი ბრძოლის უდიდესმა გაქანებამ. ამიტომ მათ მონაწილეობა არ მიიღეს შეიარაღებულ ბრძოლაში, თანაც შეეცადნენ თავიანთი გავლენა გამოეყენებინათ სახალხო აჯანყების შესაკვეცად.

ინგლისის საოკუპაციო ხელისუფლებამ ენით აუწერელი სისასტიკით უპასუხა ეგვიპტელ პატრიოტთა რევოლუციურ ბრძოლას. 1919 წლის 25 მარტს ეგვიპტეში ჩავიდა ახალი უმაღლესი კომისარი გენერალი ალენბი, რომელიც უშუალოდ ჩაუდგა სათავეში დამსჯელ სამხედრო ოპერაციებს.

ინგლისის დამსჯელი რაზმები ვანდალური შეუბრალებლობით მოედვნენ ეგვიპტის სოფლებსა და ქალაქებს. პორტ-საიდში მათ სროლა აუტეხეს მოსწავლეთა დემონსტრაციას და მოკლეს 15 მონაწილე. სოფელ შობარში ინგლისელთა რაზმმა დახოცა თითქმის მთელი მოსახლეობა და ცოცხლად მიწაში ჩამარხა სოფლის მამასახლისი და მისი შვილები... ბევრი სოფელი მიწასთან იქნა გასწორებული ინგლისის არტილერიის ცეცხლით. ქვემო ეგვიპტეში ინგლი-

სელთა 16 მობილური რაზმი თარეშობდა და სიკვდილსა და განადგურებას თესავდა.

1919 წლის აპრილის დასაწყისისათვის ინგლისელებმა შეძლეს აჯანყების ძირითადი კერების ჩახშობა, მაგრამ „წესრიგის“ აღდგენა მაინც ვერ მოახერხეს; ახალი ძალით გრძელდებოდა გაფიცვები და დემონსტრაციები. იმპერიალისტებისათვის ცხადი გახდა, რომ ძველი მეთოდებით შეუძლებელი იყო ეგვიპტეზე ბატონობის შენარჩუნება. ამან ინგლისის ხელისუფლება აიძულა შეეცვალა მეთოდები, გადასახლებიდან დაებრუნებინა საად ზაღლული და რამდენადმე შეესუსტებინა რეპრესიები. ზაღლულს პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე გამგზავრების უფლებაც კი დართეს.

ინგლისის მთავრობა შეეცადა გაეთიშა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ძალები და მათ შეესუსტებინა იგი. ინგლისმა მიზნად დაისახა მორჩილი მთავრობა ჩამოეყალიბებინა კაიროში, გაეძლიერებინა კავშირი რეაქციულ-მემამულურ ბლოკთან და საერთო ენა გამოენახა ბურჟუაზიულ ნაციონალისტთა ბელადებთან. ამავე ამოცანიდან გამომდინარეობდა 1919 წლის დამლევს სპეციალური მისიის გაგზავნა ეგვიპტეში მდგომარეობის შესასწავლად კოლონიების მინისტრის ლორდ მილნერის ხელმძღვანელობით.

მაგრამ მილნერის მისია ეგვიპტეში ორგანიზებულ ბოიკოტს წააწყდა. დროებით მინელებული განმათავისუფლებელი მოძრაობა ისევ ახალი ძალით აგიზგიზდა. ასპარეზზე კვლავ გამოვიდნენ მოსახლეობის ფართო ფენები და ლოზუნგებით — „სრული დამოუკიდებლობა ეგვიპტეს“, „ძირს პროტექტორატი“, „ძირს მილნერის მისია“— მოედანზე ქუჩებსა და მოედნებს. საყოველთაო მტრულმა დახვედრამ მილნერის მისია დაარწმუნა, რომ პროტექტორატის შენარჩუნების პირობებში ეგვიპტესთან რაიმე შეთანხმებაზე ლაპარაკიც არ შეიძლებოდა. ამიტომ მან ურჩია ინგლისის მთავრობას გაეუქმებინა პროტექტორატი, ფორმალურად ეცნო ეგვიპტის დამოუკიდებლობა და ცდილიყო თავზე მოეხვია მისთვის „მეგობრობის“ შეთანხმება, რომლითაც ინგლისი შეინარჩუნებდა ამ ქვეყანაში ეკონომიურ-ფინანსურ და სამხედრო-სტრატეგიულ ინტერესებს. მილნერის აზრით, ინგლისს მოქნილი, დამთმობი პოლიტიკით შეეძლო დაეახლოებინა ვაფდის ლიდერები და ექცია ისინი თავის საყრდენად.

მილნერის აღნიშნული რეკომენდაციების შესაბამისად 1920 წელს ინგლისის მთავრობა მოლაპარაკებას აწარმოებდა ეგვიპტის ნაციონალისტთა ლიდერებთან. ივნისში თვით საად ზაღლული იქნა მიწვეული ლონდონში მილნერის მიერ შემუშავებული ინგლის-ეგვიპტის შეთანხმების პროექტის გარშემო მოლაპარაკების საწარმოებლად. აღნიშნული პროექტი, რომელიც ფორმალურად ითვალისწი-

ნებდა ეგვიპტის დამოუკიდებლობას და ფაქტიურად მძიმე პირობებს ახვევდა თავს ამ ქვეყანას, წააწყდა ეგვიპტელი ხალხის ერთსულოვან წინააღმდეგობას. ვაფდის პარტია და მისი ბელადი საად ზაღლული იძულებული იყვნენ ანგარიში გაეწიათ თანამემამულეთა აჭ განწყობილებისათვის და გაელაშქრათ შემოთავაზებული პროექტის წინააღმდეგ. მოლაპარაკება ლონდონში უშედეგოდ დამთავრდა.

აღნიშნული მარცხის მიუხედავად, ინგლისელებმა მაინც არ აიღეს ხელი ეგვიპტისათვის არათანასწორუფლებიანი ხელშეკრულების თავზე მოხვევის ცდაზე. 1921 წელს მათ სათანადო მოლაპარაკება გამართეს ეგვიპტის რეაქციული მემამულეებისა და კომპრადორული ბურჟუაზიის ხელმძღვანელობასთან, რომელიც მაშინ ხელისუფლების სათავეში იმყოფებოდა (პრემიერი ადლი ფაშა). მაგრამ ამ მთავრობამაც მშრომელთა რისხვის შიშით ამჯობინა გადამდგარიყო (1921 წლის ნოემბერში), ვიდრე ხელი მოეწერა ინგლისელების მიერ შემოთავაზებულ ხელშეკრულებაზე. მით უფრო, რომ ახალი პროექტი, რომელიც ლორდ კერზონს ეკუთვნოდა, უფრო მძიმე ვალდებულებებს ახვევდა თავს ეგვიპტეს.

არათანასწორუფლებიანი ხელშეკრულების ხელმეორედ თავზე მოხვევის უხეშმა ცდამ და მომდევნო კოლონიურმა რეპრესიებმა ისევ ააზვირთა მთელი ეგვიპტე და ახალი სახალხო აჯანყება გამოიწვია. აჯანყებამ განსაკუთრებით დიდი გაქანება მიიღო 1921 წლის დეკემბერში, როდესაც კაირო, ალექსანდრია და რამდენიმე სხვა ცენტრი ბარიკადებით დაიფარა.

ეგვიპტის „დამოუკიდებლობის" ცალმხრივი დეკლარაცია და 1923 წლის კონსტიტუცია

1919—1921 წლების რევოლუციურმა გამოსვლებმა, თუმცა სასურველი გამარჯვება ვერ მოუტანა ეგვიპტელ ხალხს, მნიშვნელოვანი კვალი კი დააჩნია მის ცხოვრებას. ეგვიპტელი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ამ დიდმნიშვნელოვანმა ეტაპმა სერიოზული ზღვარი გაავლო მის წინამორბედ და მომდევნო ისტორიულ პროცესებს შორის. მან ეგვიპტელი ხალხი დაარწმუნა თავის დიდ ძალაში, ხოლო ინგლისელი კოლონიზატორები — ძველი კოლონიური მეთოდებით ამ ქვეყანაზე შემდგომი ბატონობის სრულ განწირულობაში.

ინგლისის ხელისუფლება, რომელმაც ვერ შეძლო თავზე მოეხვია ეგვიპტისათვის „დამოუკიდებლობის" მილნერის გეგმა, ცალმხრივ აქციის გზას დაადგა და საგანგებო დეკლარაციით მაინც გაატარა იგი ცხოვრებაში. 1922 წლის 28 თებერვალს ლორდმა ალენბიმ გამოაქვეყნა ეგვიპტის „დამოუკიდებლობის" დეკლარაცია, რომლითაც უქმდებოდა ბრიტანეთის პროტექტორატი ეგვიპტეზე.

იგი ამიერიდან „დამოუკიდებელ და სუვერენულ“ სახელმწიფოდ ცხადდებოდა. მაგრამ დეკლარაციას დართული ჰქონდა ე. წ. ოთხი „საგანგებო პუნქტი“, რომელიც ეგვიპტეში ინგლისის უფლებებს შეეხებოდა და ფიქციად აქცევდა ნაბოძებ „დამოუკიდებლობას“. ამ ოთხი პუნქტით ინგლისი თავის სრულ კომპეტენციაში იტოვებდა: 1) ბრიტანეთის იმპერიის კომუნიკაციების დაცვას ეგვიპტის ტერიტორიაზე; 2) ეგვიპტის „დაცვას“ გარეშე აგრესიისაგან; 3) ეგვიპტეში მცხოვრებ უცხოელ ქვეშევრდომთა ინტერესებისა და ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დაცვას; 4) სუდანში status quo-ს შენარჩუნების ნიღბით ინგლისის მონოპოლიურ მმართველობას.

ამგვარად, 1922 წლის დეკლარაცია მხოლოდ ფორმალურად აღიარებდა ეგვიპტის დამოუკიდებლობას, სინამდვილეში კი ხელუხლებლად ტოვებდა მის დამოკიდებულ მდგომარეობას. ინგლისის იმპერიალიზმის ეკონომიურ და სამხედრო-სტრატეგიულ ბატონობას ამ ქვეყანაზე. ამიტომ მას არ შეეძლო დღის წესრიგიდან მოეხსნა ეგვიპტელი ხალხის შემდგომი ენერგიული ბრძოლა სრული დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად. 1922 წლის აქტს, მიუხედავად აღნიშნულისა, მაინც ჰქონდა ერთგვარი დადებითი მნიშვნელობა. მან საგრძნობლად შეარყია ინგლისის კოლონიური ბატონობის საფუძვლები, ერთგვარად გააფართოვა ეგვიპტელი ხალხის პოლიტიკური უფლებები და მას შემდგომი ბრძოლის უფრო ხელსაყრელი პირობები შეუქმნა.

1922 წლის მარტში „დამოუკიდებელი“ ეგვიპტის სულთანმა მიიღო მეფის ტიტული[1], მალე ამას მოჰყვა ეგვიპტის საგარეო საქმეთა სამინისტროს შექმნა და დიპლომატიური წარმომადგენლების დანიშვნა საზღვარგარეთ. დაბოლოს, 1923 წელს ინგლისი იძულებული გახდა დათანხმებულიყო კონსტიტუციის შემოღებასა და სამხედრო წესების გაუქმებაზე.

1923 წლის კონსტიტუცია, ვაფდის მთავრობა და მისი პოლიტიკა

1923 წლის კონსტიტუციით ეგვიპტე ცხადდებოდა კონსტიტუციურ მონარქიად. იგი ფართო უფლებებს ანიჭებდა აღმასრულებელ ხელისუფლებას, რომლის სათავეში იყო მეფე. მეფეს უფლება ჰქონდა დაეთხოვა პარლამენტი, შეეჩერებინა მისი მოწვევა, გამოეცა ბრძანებულებები პარლამენტის სესიათა შორის, დაენიშნა და შეეცვალა მინისტრები და ა. შ. საკანონმდებლო ხელისუფლება ამ კონსტიტუციით გადაეიოდა ორპალატიანი პარლამენტის (სენატისა და ქვედა პალატის) ხელში. პარლამენტის ზედა პალატის — სენატის 40%-ს ნიშნავდა მეფე, 60%-ს

[1] 1917 წლიდან 1936 წლამდე მეფის ტახტზე იყო ფუადი, 1936—1952 წლებში კი — მისი შვილი ფარუკი.

კი მაღალი ქონებრივ-ასაკობრივი ცენზით ირჩევდა მიწისა და ფულის ქისის არისტოკრატია და ბიუროკრატიული აპარატი. ქვედა პალატის დეპუტატთა არჩევნებიც ორსაფეხურიანი მაღალცენზიანი საარჩევნო წესით ხდებოდა. ზოგადი ფრაზებით კონსტიტუცია აღიარებდა პიროვნების, აზრის, შეკრების თავისუფლებას, მთავრობის პასუხისმგებლობას პარლამენტის წინაშე და ა. შ. მაგრამ იგი, ამასთან ერთად, ადასტურებდა უცხოელთა მიერ ეგვიპტეში მოპოვებული უფლებებისა და პრივილეგიების ხელშეუხებლობას.

1923 წლის კონსტიტუცია მისი ნებასურვილის გარეშე მოახვიეს თავს ეგვიპტელ ხალხს. იგი არაფერს აძლევდა მშრომელ ხალხს და მხოლოდ ინგლისის იმპერიალიზმის მოკავშირეების — სასახლის ხროვის, ფეოდალური რეაქციისა და კომპრადორების ინტერესებს შეესაბამებოდა. მიუხედავად ამისა, იგი მაინც გარკვეული წინ გადადგმული ნაბიჯი იყო. იგი ზღუდავდა თვითნებობის აქტების შესაძლებლობას, პიროვნებისა და საკუთრების უსაფრთხოების ერთგვარ გარანტიას იძლეოდა და ხალხს შემდგომი შეკავშირების საშუალებას აძლევდა.

1923 წლის კონსტიტუციის საფუძველზე 1923 წლის ბოლოს ჩატარდა პარლამენტის არჩევნები. არჩევნები დამთავრდა ბურჟუაზიულ ნაციონალისტთა — ვაფდელთა ბრწყინვალე გამარჯვებით. საად ზაღლულისა და მისი მომხრეების დიდი წარმატება არჩევნებში სავსებით კანონზომიერი იყო. ვაფდელები, რომლებმაც სწორედ ამ დროიდან შექმნეს მასობრივი პოლიტიკური პარტია, ქვეყნის დამოუკიდებლობის საქმის ერთგულების გამო მოსახლეობის სიმპათიით და მხარდაჭერით სარგებლობდნენ. მათმა ბელადმა საად ზაღლულმა, რომელმაც არაერთი რეპრესია განიცადა და ახლახან დაბრუნდა ხელმეორე გადასახლებიდან, სამშობლოსათვის თავდადებული შვილისა და ერის მედროშის სახელი მოიხვეჭა ხალხში.

1924 წლის იანვარში შეიქმნა ვაფდის პირველი მთავრობა, რომლის პრემიერ-მინისტრი გახდა ვაფდის პარტიის ბელადი საად ზაღლული. ეროვნული ბურჟუაზიისა და ლიბერალური მემამულეების კლასობრივი ინტერესების გამომხატველ ვაფდელთა მთავრობის პოლიტიკას ორპოფული ხასიათი ჰქონდა. იგი იცავდა ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს, გმობდა ქვეყნისათვის ცალმხრივად თავზე მოხვეულ „დამოუკიდებლობის“ დეკლარაციას და მშვიდობიანი მეთოდებით განაგრძობდა ბრძოლას სრული დამოუკიდებლობისათვის. ამავე დროს მან უარყო სოფლისა და ქალაქის მშრომელთა სამართლიანი საარსებო მოთხოვნები და რეპრესიებს მიმართა მათ წინააღმდეგ.

მშრომელთა კლასობრივ ინტერესებს ამ დროისათვის ენერგიულად იცავდნენ ეგვიპტის კომუნისტური პარტია და ეგვიპტის შრო-

მის ფედერაცია. კომუნისტურ პარტიას ჰქონდა ნათელი სამოქმედო პროგრამა, რომელიც ითვალისწინებდა ეგვიპტის სრულყოფილ დამოუკიდებლობას, მის დემოკრატიულ გადახალისებას და მუშათა კლასისა და გლეხობის ცხოვრების დონის მკვეთრ ამაღლებას. აღნიშნული საბრძოლო პროგრამის შესაბამისად კომუნისტური პარტია სათავეში ჩაუდგა მშრომელთა ბრძოლას მატერიალური პირობების გაუმჯობესებისათვის. მასთან ერთად აქტიურად მოქმედებდა შრომის ფედერაციაც.

ვაფდის მთავრობამ არათუ მხარი არ დაუჭირა მუშათა მოთხოვნებს, არამედ ჯარი მიუსია გაფიცულებს და სასტიკად დაარბია ისინი. ამას მოჰყვა კომუნისტური პარტიის აკრძალვა და შრომის ფედერაციის დაშლა. მთავრობამ მოაწყო აკრძალული ორგანიზაციების ხელმძღვანელთა სასამართლო პროცესი, რასაც მოჰყვა მათი მკაცრი დასჯა. ასევე მკაცრად მოექცა ვაფდის მთავრობა მშრომელ ფელაჰებსაც, რომლებმაც ხმა აღიმაღლეს სოფლად გაბატონებული ფეოდალური ექსპლოატაციის წინააღმდეგ.

ვაფდის მთავრობას, გარდა იმისა, რომ მან აბუჩად აიგდო მშრომელთა საარსებო ინტერესები და მათ წინააღმდეგ რეპრესიებზე გადავიდა, არ გაუტარებია არც ერთი ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი დემოკრატიული ღონისძიება (თუ მხედველობაში არ მივიღებთ ორსაფეხურიანი არჩევნების პირდაპირი არჩევნებით შეცვლას). ასეთი საშინაო პოლიტიკით ვაფდმა მალე დაკარგა მასების ნდობა.

ვაფდის მთავრობის შექმნა დაემთხვა ლეიბორისტების გამარჯვებას ინგლისში და ლეიბორისტული მთავრობის შექმნას რ. მაკდონალდის ხელმძღვანელობით. საად ზაღლულსა და მის თანამებრძოლებს იმედი მიეცათ, რომ ინგლისის ახალი მთავრობა უფრო დამთმობი აღმოჩნდებოდა და კეთილგანწყობილად შეხვდებოდა ეგვიპტელი ხალხის მისწრაფებას სრული დამოუკიდებლობისაკენ. ამიტომ იყო, რომ ვაფდელებმა მაშინვე გადადგეს ნაბიჯები მაკდონალდის მთავრობასთან უშუალო მოლაპარაკების დასაწყებად ინგლისის ოკუპაციის სრული შეწყვეტისა, საოკუპაციო ჯარების გაყვანისა და სუდანში ინგლის-ეგვიპტის ერთობლივი მმართველობის აღდგენის თაობაზე. მაგრამ ვაფდელებს იმედები გაუცრუვდათ. სათანადო მოლაპარაკებამ ნაყოფი არ გამოიღო. ლეიბორისტებმა შეინარჩუნეს და დაიცვეს კონსერვატორთა ტრადიციული კოლონიური პოლიტიკა ეგვიპტის მიმართაც. ინგლისის მთავრობამ კატეგორიულად უარყო ეგვიპტის მთავრობის სამართლიანი მოთხოვნები.

ეგვიპტელ ბურჟუაზიულ ნაციონალისტთა ბრძოლა, თუგინდ რეფორმისტული მეთოდებით, ობიექტურად რევოლუციური ბრძოლა იყო და ხელს უწყობდა იმპერიალიზმის ბანაკის დასუსტებას.

ამავე დროს ხელისუფლების სათავეში მყოფი ინგლისის მუშათა პარტიის ბრძოლა ეგვიპტის უუფლებო მდგომარეობის შენარჩუნებისათვის ობიექტურად რეაქციული ბრძოლა იყო.

ვაფდის მთავრობა, მისი საშინაო პოლიტიკის ანტიხალხური მიმართულების მიუხედავად, ქვეყნის ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ენერგიული ბრძოლის გამო მაინც ანტიიმპერიალისტური მთავრობა იყო. ამიტომ ბრიტანეთის იმპერიალისტური წრეები მტრულად იყვნენ განწყობილნი ამ მთავრობის მიმართ და ცდილობდნენ მის დამხობას. სათანადო საბაბიც მალე მოინახა. 1924 წლის 19 ნოემბერს კაიროს ერთ-ერთ ქუჩაზე უცნობი პირების მიერ მოკლულ იქნა სუდანის გენერალ-გუბერნატორი და ეგვიპტის ჯარების მთავარსარდალად ახლახან დანიშნული ინგლისელი გენერალი სტეკი. ინგლისის მთავრობამ ხელზე დაიხვია ეს მკვლელობა და გამოიყენა იგი ეგვიპტის შინაგან საქმეებში უხეში ჩარევისათვის. მან თავხედური ულტიმატუმი წაუყენა საად ზაღლულის მთავრობას, რომლითაც მოითხოვა საჯაროდ ბოდიშის მოხდა, დამნაშავეთა სასტიკი დასჯა, ეგვიპტის ჯარების გამოყვანა სუდანიდან, 500 ათასი გირ. სტერლინგის გადახდა, სახალხო დემონსტრაციების აკრძალვა, ინგლისელ მრჩეველთა მოწვევა და სხვ. ამას თან მოჰყვა სამხედრო დემონსტრაცია და ინგლისის ფლოტის კონცენტრაცია ეგვიპტის წყლებში. ვაფდის მთავრობამ მიიღო ინგლისელთა მოთხოვნების ნაწილი, მაგრამ უარი განაცხადა ყველაზე მძიმე პირობების შესრულებაზე.

ამ პასუხმა არ დააკმაყოფილა ინგლისელი იმპერიალისტები, რომლებმაც რეპრესიებს მიმართეს. ვაფდის მთავრობა წინააღმდეგობის გაწევის ნაცვლად გადადგა და ასპარეზი რეაქციულ წრეებს დაუთმო. ახლად შექმნილმა რეაქციულმა მთავრობამ, რომელიც ინგლისის აგენტებისაგან შედგებოდა (პრემიერი ზივარი), მიიღო ინგლისის ყველა მოთხოვნა, დაითხოვა პარლამენტი და რევოლუციურ ელემენტებთან ერთად ვაფდელებსაც დაუწყო დევნა. ასე მოხდა „უსისხლო" რეაქციული გადატრიალება, რომელმაც ისევ აღადგინა ინგლისელთა სრულყოფილი ბატონობა ეგვიპტეზე.

ეგვიპტე კაპიტალიზმის დროებითი და ნაწილობრივი სტაბილიზაციის წლებში

ეს წლები ეგვიპტის ცხოვრებაში აღინიშნა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შენელებით, დემოკრატიული ძალების დროებითი უკან დახევით, კოლონიური ჩაგვრის გაძლიერებით და ფეოდალურ-რეაქციული წრეების გააქტიურებით. ინგლისელმა მონოპოლიებმა საოკუპაციო ძალებსა და რეაქციულ წრეებზე დაყრდნობით მიიღეს თავიანთი „ბიზნესის" ფართოდ გაშლისა და ეგვიპტის მშრომელთა გაორკე-

ცებული ძარცვის შესაძლებლობა. კაბალურ სესხებს, ინგლისური საქონლის ბზარდ შეზიდვას და ადგილობრივი ნედლეულის მუქთად ხელში ჩაგდებას დაემატა მამულების შესყიდვა და მათი სპეკულაციურ ფასებში გაყიდვა. იმპერიალისტურ კაბალას და მონოპოლიების პარპაშს თან ერთოდა ფელაჰობის მზარდი ექსპლოატაცია. ფეოდალ-მემამულეთა მიერ, უმუშევრობის ზრდა სოფლად, მოიჯარადრეთა მასობრივი გაჩანაგება და სოფლისა და ქალაქის მშრომელთა საყოფაცხოვრებო პირობების შემდგომი დაცემა.

როგორიც არ უნდა ყოფილიყო მდგომარეობა 1925—1929 წლებში, იგი მაინც ვერ იქნებოდა ომამდელი ვითარების მექანიკური აღდგენა. 1918—1924 წლების ამბებმა ღრმა კვალი დააჩნია ეგვიპტის ცხოვრებას და სერიოზულად შეცვალა სოციალურ ძალთა თანაფარდობა. ეროვნული ბურჟუაზია მნიშვნელოვან ძალად იქცა, კოლონიზატორები იძულებული იყვნენ ანგარიში გაეწიათ მისთვის და გარკვეულ დათმობებზე წასულიყვნენ, რათა საესებით ჩამოეშორებინათ ისინი ეროვნულ-განმათავისუფლებელი ფრონტიდან, დაეახლოვებინათ და გამოეყენებინათ ხალხის მასებთან საბრძოლველად. 1927 წელს მიღებულ იქნა კანონი „სააქციო საზოგადოებათა“ შესახებ, რომლითაც მსხვილ ეგვიპტურ კაპიტალს უფლება ეძლეოდა მონაწილეობა მიეღო უცხოურ მონოპოლიებში. ამასთან ერთად ეროვნული ბანკის „ალ-მისრის“ გარშემო შემოკრებილი მსხვილი ეგვიპტელი კაპიტალისტები და მემამულეები შესაძლებლობას ღებულობდნენ დაეარსებინათ 12 ეროვნული სავაჭრო, სამრეწველო და სატრანსპორტო კომპანია.

ეროვნული ბურჟუაზიის ზედა ფენამ სარგებლობა მიიღო აგრეთვე მთავრობის მიერ 1926/1927 წლებში ბამბის შესყიდვით და ახალი საბაჟო ტარიფის შემუშავებით (1931 წ.).

1924 წლის დასასრულიდან 1925 წლის არჩევნებამდე ეგვიპტის მთავრობა რეაქციული დაჯგუფების წარმომადგენლებისაგან იყო დაკომპლექტებული. მინისტრების პოსტები სამეფო კარის თავკაცებს, მსხვილ მემამულეებსა და მაღალ მოხელეებს ეკუთვნოდათ. ამ მთავრობის პოლიტიკას მხარს უჭერდნენ „ერთიანობისა“ და („ალ-ითთიჰადი“) ლიბერალურ-კონსტიტუციური პარტიები. აღნიშნული მთავრობა ინგლისელ იმპერიალისტთა და მათი წარმომადგენლის ლორდი ლოიდის ყურმოჭრილ მონას წარმოადგენდა. 1925 წლის არჩევნები ისევ ვაფდელთა გამარჯვებით დამთავრდა. მაგრამ მეფე ფუადმა ინგლისელთა ჩაგონებით დაუყოვნებლივ დაითხოვა ახლად მოწვეული პარლამენტი და დანიშნა ხელმეორე არჩევნები. ვაფდელები ამჯერადაც სიტყვიერი პროტესტით დაკმაყოფილდნენ და წინააღმდეგობის გაწევა არ უცდიათ. რეაქციის ხრიკების მიუხედავად,

1926 წლის არჩევნები ისევ ვაფდელთა გამარჯვებით დამთავრდა. ამან ინგლისელი კოლონიზატორები აიძულა ნება დაერთოთ ამ პარტიისათვის შეედგინა ახალი მთავრობა, მაგრამ — ლიბერალ-კონსტიტუციონალისტებთან ბლოკში. მთავრობას სათავეში ედგა ლიბერალურ-კონსტიტუციური პარტიის წარმომადგენელი, 1928 წლის მარტიდან კი — ვაფდის ახალი ლიდერი მუსტაფა ნაჰას-ფაშა[1].

ნაჰას-ფაშას მთავრობამ იარსება 1928 წლის შუა ხანებამდე. ახალი მთავრობის სათავეში ინგლისელებმა ჩააყენეს ლიბერალ-კონსტიტუციონალისტების ლიდერი მუჰამედ მაჰმუდ ფაშა. ვინაიდან პარლამენტის უმრავლესობა ვაფდისტებს ეკუთვნოდათ და ახალ მთავრობას სათანადო საპარლამენტო მხარდაჭერა არ გააჩნდა, მეფემ ინგლისის მთავრობის მითითებით დაითხოვა პარლამენტი და სამი წლით შეაჩერა კონსტიტუციის მოქმედება.

მაგრამ მუჰამედ მაჰმუდის ანტიხალხურ მთავრობას დიდხანს არ უარსებია. მას ბოლო მოუღო როგორც ხალხის რისხვამ, ისე ლეიბორისტების ხელმეორედ ჩადგომამ ინგლისის ხელისუფლების სათავეში. ლეიბორისტებმა საჭიროდ ჩათვალეს ახალი მოლაპარაკება დაეწყოთ ეგვიპტის მთავრობასთან ურთიერთობის მოსაწესრიგებლად. ამიტომ მათ სასურველად ცნეს ისეთი მთავრობა ყოფილიყო ხელისუფლების სათავეში, რომელსაც ექნებოდა პარლამენტისა და მოსახლეობის უმრავლესობის მხარდაჭერა. 1929 წლის მიწურულს ჩატარდა პარლამენტის არჩევნები, რაც ისევ ვაფდის გამარჯვებით დამთავრდა. 1930 წლის იანვარში შეიქმნა ვაფდის მესამე მთავრობა ნაჰას-ფაშას მეთაურობით.

ახალი მთავრობა მაშინვე შეუდგა მოლაპარაკებას ინგლისთან. მოლაპარაკებას ეწეოდა უშუალოდ ნაჰას-ფაშა, რომელიც ამ მიზნით ლონდონს გაემგზავრა. მოლაპარაკება გაჭიანურდა და ისევ უშედეგოდ დამთავრდა სუდანის საკითხში საერთო ენის გამოუნახველობის გამო.

ინგლისელებმა ვერც ამჯერად შეძლეს თავზე მოეხვიათ ეგვიპტისათვის არათანასწორუფლებრივი ხელშეკრულება.

ინგლის-ეგვიპტის მოლაპარაკების ჩაშლას მოჰყვა მეფის მიერ ვაფდის მთავრობის დათხოვა (1930 წ. ივნისში). ახალ პრემიერად მეფემ დანიშნა რეაქციონერი პოლიტიკური მოღვაწე, უმსხვილესი ფინანსისტი და მემამულე ისმაილ სიდკი-ფაშა. ახალი მთავრობის ძირითადი დასაყრდენი იყო ინგლისელთა ხიშტები; ქვეყნის შიგნით კი — მემამულურ-კომპრადორული წრეები. ეს იყო მორიგი რეაქციული სახელმწიფო გადატრიალება, რომელიც მიზნად ისახავდა

---

[1] საად ზაღლული 1927 წელს გარდაიცვალა.

კონსტიტუციური გარანტიების აკრძალვას და კოლონიზატორებთან ანტინაციონალური ბლოკის განმტკიცებას.

სიდკი-ფაშას მთავრობამ დაუყოვნებლივ გადადო პარლამენტის სესიები, დარბია ვაფდის დეპუტატები და მკაცრი პოლიციური რეჟიმი დაამყარა. მშრომელები გულგრილად არ შეხვედრიან ამ სახელმწიფო გადატრიალებას. 1930 წლის ივლისში ეგვიპტის რიგ ქალაქებში ადგილი ჰქონდა მშრომელთა მრისხანე საპროტესტო გამოსვლებს, რომლებიც ჯართან და პოლიციასთან სისხლიან შეტაკებებში გადაიზარდა. განსაკუთრებით მძაფრი ბრძოლები გაიმართა ალ-მანსურში, კაიროში, სუეცსა და ალექსანდრიაში. ხელისუფლებამ შეძლო სისხლში ჩაეხშო მშრომელთა რევოლუციური გამოსვლები. ინგლისის ლეიბორისტულმა მთავრობამ ისევ გამოიჩინა თავისი იმპერიალისტური ბუნება. მან არათუ საჭიროდ არ ჩათვალა გაეუქმებინა საოკუპაციო რეჟიმი, არამედ ახალი ნაწილები გაგზავნა ეგვიპტეში და სიდკი-ფაშას რეაქციულ ხელისუფლებას აქტიური დახმარება აღმოუჩინა მოსახლეობის შეიარაღებული გამოსვლების ჩახშობაში.

მსოფლიო ეკონომიური კრიზისის გავლენა ეგვიპტეზე და მშრომელთა მდგომარეობა

1929—1933 წლების მსოფლიო ეკონომიურმა კრიზისმა მძაფრად ჩასჭიდა ეგვიპტეს თავისი ბასრი ბრჭყალები. კრიზისმა მძიმე დაღი დააჩნია ქვეყნის ეკონომიური ცხოვრების ყველა დარგს. კატასტროფულად დაეცა ეგვიპტის სოფლის მეურნეობის მთავარი დარგი — მებამბეობა. მსოფლიო ბაზარზე ეგვიპტის ბამბის მოთხოვნილების მკვეთრმა შემცირებამ 2,5-ჯერ დასცა მისი ფასი, მისი ექსპორტი კი ორჯერ და მეტად შემცირდა. ამას მოჰყვა ბამბისა და სხვა კულტურების ნათესი ფართობის მკვეთრად შეკვეცა, რამაც გააჩანაგა ათეული ათასობით ფელაჰი. გაძარცული, უმუშევრად დარჩენილი და დამშეული ფელაჰები მასობრივად ტოვებდნენ სოფელს და სამუშაოს საძებნელად ქალაქებში გარბოდნენ. ეკონომიური კრიზისი არანაკლებ შეეხო მრეწველობასა და აღებ-მიცემობას. განსაკუთრებით დაზიანდა საფეიქრო და გემო-კვების მრეწველობა, სადაც საწარმოთა დიდი ნაწილი დაიხურა. ამას მოჰყვა მასობრივი უმუშევრობის წარმოშობა ქალაქად.

მძაფრი კრიზისის მიუხედავად, უცხოელი მონოპოლიების, ეგვიპტელი კომპრადორების, მსხვილ საააქციო გაერთიანებათა აქციონერების მოგება და მემამულეების შემოსავალი ოდნავადაც არ შემცირებულა. ამას ისინი აღწევდნენ ისედაც გაბედკრულებული მშრომელების ხარჯზე, რომელთაც დამატებით მძიმე საგადასახადო ტვირთს აკისრებდნენ.

სოფლისა და ქალაქის მშრომელთა ცხოვრების პირობები კიდევ უფრო კატასტროფულად დასცა ფინანსურმა კრიზისმა, რომლის შედეგადაც გაუფასურდა ეგვიპტური ვალუტა, მკვეთრად დაეცა ფელაჰობის შემოსავალი და მუშათა რეალური ხელფასი. ყოველივე ამან მძლავრი ბიძგი მისცა პოლიტიკური კრიზისის გაღრმავებას და გააძლიერა მასების რევოლუციური აქტივობა.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ახალი აღმავლობა 30-იან წლებში

ისმაილ სიდკის რეაქციული მთავრობა შეეცადა მწვავე პოლიტიკური კრიზისი და მასების რევოლუციური აღმავლობა სისხლიანი ტერორით ჩაეხშო. 1930 წლის ოქტომბერში სიდკის მთავრობამ გააუქმა 1923 წლის კონსტიტუცია და ახალი რეაქციული კონსტიტუცია მოახვია თავს ეგვიპტელ ხალხს. ამ კონსტიტუციით მნიშვნელოვნად იზღუდებოდა პარლამენტის უფლებები და შესაბამისად იზრდებოდა მეფის პირადი ძალაუფლება. მას ეძლეოდა აბსოლუტური ვეტოს, ბრძანებულებების გამოქვეყნების, მთავრობისათვის უნდობლობის გამოცხადების და სხვა შეუზღუდავი უფლებები. ახალი კონსტიტუციით უქმდებოდა პირდაპირი არჩევნები, წესდებოდა ორსაფეხურიანი არჩევნები და დიდდებოდა საარჩევნო ცენზი.

1930 წლის რეაქციულმა კონსტიტუციამ მოსახლეობის მასობრივი აღშფოთება გამოიწვია. ეკონომიური სიდუხჭირით ისედაც განაწამები მასებისათვის იგი პროვოკაციულ გამოწვევად იქცა, რასაც მათ მრისხანე რევოლუციური გამოსვლებით უპასუხეს. 1931 წლის მაისში დაწყებული საარჩევნო კამპანიის დროს მშრომელები მასობრივად გამოვიდნენ ქუჩებში და მრისხანე პოლიტიკური გაფიცვები მოაწყეს. კაიროში, პორტ-საიდში, ბენი-სულეიფსა და სხვა ცენტრებში სისხლიანი ხელჩართული ბრძოლა გაიმართა დემონსტრანტებსა და ჯარსა და პოლიციას შორის. კაიროს მუშათა გარეუბან ბულაკში და პორტ-საიდში ტრამვაის, რკინიგზის დეპოს, არსენალის, ნავსადგურისა და სხვა საწარმოების მუშებმა ბარიკადული ბრძოლებიც კი გააჩაღეს და, დიდი მსხვერპლის მიუხედავად, გმირული წინააღმდეგობა გაუწიეს მთავრობის ჭარბ ძალებს. რევოლუციური ტალღა სოფელსაც მოედო.

სისხლიანი ტერორისა და რეაქციის ძალების მობილიზაციის მიუხედავად, ისმაილ სიდკის დიქტატურამ მაინც ვერ შეძლო მასების რევოლუციური მოძრაობის სრული ჩახშობა, პოლიტიკური კრიზისის დაძლევა და მდგომარეობის სტაბილიზაცია. მუშათა კლასის, ქალაქის ღარიბობისა და ფელაჰობის ცალკეული გამოსვლები 1932—1933 წლებშიაც გრძელდებოდა. საქმეს ვერ უშველა ვერც

მკაცრმა რეპრესიებმა და ვერც დემაგოგიურმა დაპირებებმა, რომ გამომუშავდებოდა „შრომითი კანონები“. ამას ზედ დაერთო მთავრობის აპარატის გახრწნა, რომელშიაც თვით ეგვიპტელი ხალხის ჯალათი ისმაილ სიდკიც აღმოჩნდა ჩათრეული. კერძოდ, იგი მხილებულ იქნა სახელმწიფო მიწების განიავებაში, რის გამოც მეფე იძულებული გახდა 1933 წლის დასაწყისში გადაეყენებინა ისმაილ სიდკის მთავრობა.

1934 წლიდან გაჭიანურებული ეკონომიური კრიზისი ნაწილობრივ შესუსტდა, მაგრამ კრიზისის შედეგები კიდევ დიდხანს იჩენდა თავს და ბიძგს აძლევდა მუშათა გამოსვლებს. მუშათა ახალ-ახალი რაზმები ჩაებნენ ეკონომიური პირობების გაუმჯობესებისა და პოლიტიკური უფლებების მოპოვებისათვის ბრძოლაში. ქვეყნის შემდგომი განვითარება, მრეწველობისა და ტრანსპორტის ახალი საწარმოების შექმნა ადიდებდა ეროვნული პროლეტარიატის რიგებს და ზრდიდა მის როლს ქვეყნის ცხოვრებაში.

მუშათა კლასის საბრძოლო აქტივობის ზრდა დაემთხვა სტუდენტობის, ქალაქის წვრილი ბურჟუაზიისა და ფელაჰობის ანტიიმპერიალისტური სულისკვეთების მორიგ აღმავლობას. ამ ორი ნაკადის დაკავშირებამ ისევ მოამზადა ნიადაგი საყოველთაო სახალხო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აზვირთებისათვის. ქვეყნის შიგნით შექმნილმა ვითარებამ და ფაშისტური საფრთხის შეუჩერებელმა ზრდამ ევროპაში ვაფდის პარტიაზედაც მოახდინა გავლენა და გააქტიურა მისი საქმიანობა. იგი კვლავ გამოვიდა განმათავისუფლებელი მოძრაობის ასპარეზზე, რათა ხელიდან არ გაეშვა მისი სადავეები. 1935 წლის იანვარში ვაფდმა ჩაატარა თავისი მორიგი კონგრესი, რომელმაც მოითხოვა 1923 წლის კონსტიტუციის აღდგენა, პარლამენტის არჩევნების ჩატარება და ინგლისთან ახალი მოლაპარაკება საპატიო ხელშეკრულების დასადებად. ვაფდის ხელმძღვანელობამ ქალაქისა და სოფლის მშრომელებსაც აღუთქვა, რომ მიიღებდა ზომებს მათი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ხელისუფლების სათავეში ჩადგომის შემთხვევაში.

გართულებულმა საერთაშორისო ვითარებამ და იტალიის ფაშიზმის აგრესიით (აბისინიასთან კოლონიური ომი) შექმნილმა სერიოზულმა საფრთხემ ახლო აღმოსავლეთში აიძულა ინგლისელი იმპერიალისტები უფრო სხვა ტონით ელაპარაკათ ეგვიპტელ ხალხთან, ანგარიში გაეწიათ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დიდი გაქანებისათვის და ცდილიყვნენ ეგვიპტესთან მორიგებას.

ინგლის - ეგვიპტის 1936 წლის არათანასწორუფლებიანი ხელშეკრულება

ამ ახალი კურსის პირველი აქტი იყო რეაქციული მთავრობის გადადგომა და 1923 წლის კონსტიტუციის აღდგენა (1935 წლის 13 დეკემბერს), რასაც მოჰყვა 1924 წლის საარჩევნო კანონის აღდგენაც. 1936 წლის მაისში ჩატარებულმა არჩევნებმა გამარჯვება მოუტანა ვაფდის პარტიას. ქვედა პალატაშიც და სენატშიაც მან მოიპოვა უმეტესობა. მალე შეიქმნა ვაფდის მთავრობა, რომელსაც ნაჰას-ფაშა ჩაუდგა სათავეში.

ახალმა მთავრობამ აღადგინა პარლამენტის ძალაუფლება, რამდენადმე გააფართოვა მოსახლეობის დემოკრატიული უფლებები და მშრომელთა ინტერესების შესაბამისად განახორციელა ზოგიერთი ღონისძიება (მუშათა კანონმდებლობის პროექტის შემუშავება, ხელფასის ნაწილობრივ გადიდება, პროფკავშირების საქმიანობის დაშვება, ფელაჰებისათვის მიწის გადასახადის რამდენადმე შემცირება, ზოგიერთი იძულებითი ბეგარის გაუქმება და ა. შ.). მაგრამ გატარებული რეფორმები მხოლოდ ოდნავ უპასუხებდა მშრომელთა მოთხოვნებს. ეროვნული ბურჟუაზიისა და ლიბერალური მემამულეების მთავრობას არც სურდა და არც შეეძლო თანმიმდევრული ყოფილიყო მშრომელთა მისწრაფებების განხორციელების საქმეში, არ სურდა გაეტარებინა ჭეშმარიტი მუშათა კანონმდებლობა და დემოკრატიული აგრარული გარდაქმნები.

ვაფდის მთავრობის შექმნისთანავე ეგვიპტის დელეგაცია ნაჰას-ფაშას ხელმძღვანელობით ლონდონში გაემგზავრა ინგლისის მთავრობასთან მოლაპარაკების საწარმოებლად ინგლის-ეგვიპტის ხელშეკრულების თაობაზე. ამ მოლაპარაკების შედეგად 1936 წლის 25 აგვისტოს ხელმოწერილ იქნა ინგლის-ეგვიპტის ხელშეკრულება, რომელიც მომდევნო წლებში აწესრიგებდა ამ ორი ქვეყნის ურთიერთობას.

1936 წლის ხელშეკრულებით ფორმალურად უქმდებოდა ინგლისის სამხედრო ოკუპაცია და ეგვიპტე ცხადდებოდა სუვერენულ სახელმწიფოდ, რომელსაც ერთა ლიგაში შესვლის უფლება ეძლეოდა. ინგლისს უნდა გაეწვია თავისი მრჩევლები, ხოლო ინგლისის უმაღლესი კომისარი ამიერიდან ბრიტანეთის ელჩად ითვლებოდა კაიროში. ინგლისის ოფიცრები თავისუფლდებოდნენ დაკავებული თანამდებობებიდან და მათგან იქმნებოდა ინგლისის სამხედრო მისია ეგვიპტის ჯარის ინსტრუქტაჟის მიზნით; ინგლისის ჯარი ათავისუფლებდა ეგვიპტის ძირითად ტერიტორიას და თავს იყრიდა სუეცის არხის ზონაში (10 ათასი ქვეითი და 400 მფრინავი). ხელშეკრულება, ამასთან ერთად, ითვალისწინებდა კაპიტულაციების რეჟიმის გაუქმებას.

ხელშეკრულების აღნიშნული პუნქტები ეგვიპტელი ხალხის მნიშვნელოვანი მონაპოვარი იყო, რაც მან ხანგრძლივი თავგანწირული ბრძოლების შედეგად გამოსტაცა ინგლისელ იმპერიალისტებს. თქმა არ უნდა, ეგვიპტელი ხალხის მონაპოვარი გაცილებით მეტი იქნებოდა, რომ ამ ხელშეკრულებაში არ ყოფილიყო მისი სუვერენიტეტის მკვეთრად შემზღუდავი პუნქტები. გარდა იმისა, რომ სუეცის არხის ზონაში რჩებოდა ინგლისის ჯარი, ეგვიპტის არმიას კი კონტროლს უწევდნენ ინგლისელი ოფიცრები, ეგვიპტეს თავზე ეხვეოდა ინგლისის „მეგობრობა“ (ომის შემთხვევაში იგი ვალდებული იყო თავისი ტერიტორია, საზღვაო, სახმელეთო ბაზები და ტრანსპორტი გადაეცა ინგლისის განკარგულებაში, თანაც აღმოეჩინა მისთვის ყოველგვარი დახმარება). სუდანში ინგლის-ეგვიპტის თანამმართველობის შენარჩუნების ნიღბით ეგვიპტე იქცეოდა ამ ქვეყანაში ინგლისის კოლონიური ექსპანსიის ბაზად. ინგლისის მონოპოლისტური კაპიტალი კვლავინდებურად ინარჩუნებდა თავის გაბატონებულ მდგომარეობას ამ ქვეყნის ეკონომიკაში, ეგვიპტე იხევ რჩებოდა ინგლისისა და სხვა იმპერიალისტური სახელმწიფოების სანედლეულო-სასურსათო დანამატად.

როგორიც არ უნდა ყოფილიყო 1936 წლის ხელშეკრულების მახინჯი მხარეები, ის მაინც წარმოადგენდა „ნაკლებ ბოროტებას“ 1922 წლის დეკლარაციასთან შედარებით. იგი უფრო ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა ეგვიპტის შემდგომი განვითარებისათვის, ამტკიცებდა მის საერთაშორისო პოზიციებს და აახლოებდა სრული პოლიტიკური დამოუკიდებლობის პერსპექტივას.

ეგვიპტე მეორე მსოფლიო ომის წინ

ეგვიპტელი პატრიოტები, რომლებიც წლების მანძილზე მედგარ ბრძოლას ეწეოდნენ სამშობლოს სრული დამოუკიდებლობისათვის, მკაცრი კრიტიკით შეხვდნენ 1936 წლის ხელშეკრულებას. მათ მოურიდებლად ამხილეს ვაფდის მთავრობის ხელმძღვანელობა, რომელმაც შესაძლებლად მიიჩნია ეროვნული ინტერესების საზიანოდ დათმობაზე წასულიყო ინგლისის მთავრობასთან და ხელი მოეწერა აღნიშნულ ხელშეკრულებაზე. მოსახლეობის ფართო ფენების მტრულმა რეაქციამ 1936 წლის ხელშეკრულებისადმი მასობრივი საპროტესტო მიტინგებისა და დემონსტრაციების ხასიათი მიიღო რიგ ადგილებში. განსაკუთრებულ აქტივობას ამ მიმართულებით იჩენდნენ სტუდენტები და მოსწავლე ახალგაზრდობა. ინგლისელი იმპერიალისტებისადმი დათმობამ და მასების იმედების გამაცრუებელმა საშინაო პოლიტიკამ ვაფდის პარტიას დაუკარგა ყოფილი ავტორიტეტი.

ვაფდის მდგომარეობა შეარყია იმ ოპოზიციამაც, რომელიც

შეიქმნა მის წინააღმდეგ მემარჯვენე-რეაქციული ბანაკიდან. ამას დაერთო საკუთარი რიგების გათიშვა და მემარჯვენე ფრთის მიერ 1937 წელს „საადის პარტიის" შექმნა[1] (აჰმედ მაჰირისა და ნუკრაში ფაშას მიერ). ამით ისარგებლეს სამეფო კარის წრეებმა და ინგლისელმა იმპერიალისტებმა, რომლებმაც განიზრახეს ვაფდის მთავრობის დამხობა. 1937 წლის დეკემბერში მეფემ დაითხოვა ვაფდის მთავრობა და ხელისუფლების საქე რეაქციული პარტიების ბლოკს გადასცა. ახალი რეაქციული მთავრობის პრემიერ-მინისტრი გახდა ლიბერალურ-კონსტიტუციური პარტიის ლიდერი მუჰამედ მაჰმუდი.

1937 წელს ეგვიპტე, როგორც „სუვერენული" სახელმწიფო, ინგლისის რეკომენდაციით ერთა ლიგის საგანგებო სესიამ ერთა ლიგის წევრად მიიღო. იმავე 1937 წლის მაისში დაინტერესებულ სახელმწიფოთა მიერ მონტრეს კონფერენციაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ეგვიპტეში კაპიტულაციების რეჟიმის გაუქმების შესახებ.

ვაფდის მთავრობის დამხობა და რეაქციული ბლოკის გაბატონება მოასწავებდა პოლიტიკური რეაქციის გაძლიერებას. ამან და ეკონომიური კრიზისის ახალი ფაზის გაშლით მშრომელთა ეკონომიური მდგომარეობის მორიგმა გაუარესებამ ხელი შეუწყო მასების პოლიტიკური აქტივობის გაძლიერებას. ახალი ხელისუფლების ცდას შეეზღუდა მასების ისედაც მიზერული პოლიტიკური უფლებები და უცხოელ და ეგვიპტელ მონოპოლისტთა მოთხოვნით იერიში მიეტანა მუშათა ხელფასზე, მუშათა კლასმა უპასუხა მასობრივი საგაფიცვო მოძრაობით. მაგრამ ამ საგაფიცვო მოძრაობას წინა პერიოდთან შედარებით არ მიუღია დიდი გაქანება. ამას ხელი შეუშალა როგორც ხელისუფლების მკაცრმა რეპრესიებმა, ისე წესიერი პოლიტიკური ხელმძღვანელობის უქონლობამ. კომუნისტურ პარტიას, რომელსაც იატაკქვეშ და უმკაცრესი პოლიციური ტერორის პირობებში უხდებოდა მუშაობა, საშუალება არ ჰქონდა თავისი ავანგარდული მოწოდების სიმაღლეზე მდგარიყო.

1938 წლის აპრილში, პოლიტიკური ტერორის ვითარებაში, რომლის სუსხი ვაფდელებსაც მისწვდა, მუჰამედ მაჰმუდის მთავრობამ ჩაატარა პარლამენტის არჩევნები. არჩევნების დროს ვაფდისაგან ჩამოცილებული „საადის" პარტია ფეოდალურ-მემამულური და კომპრადორული პარტიების ბლოკს დაუკავშირდა. ამან და არჩევნებისას ხელისუფლების მიერ გამოყენებულმა მაქინაციებმა რეაქციის ბანაკს მოუტანა სრული გამარჯვება; ვაფდმა სასტიკი მარცხი განიცადა (მხოლოდ 12 მანდატი მიიღო პარლამენტში).

1936 წლის ხელშეკრულებას, როგორც მოსალოდნელი იყო,

[1] საად ზაღლულის სახელიდან.

არსებითი ცვლილებები არ მოჰყოლია ეგვიპტის ეკონომიურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. ქვეყნის ფაქტიური ბატონ-პატრონები ისევ ინგლისელი კოლონიზატორები იყვნენ. ისინი კვლავინდებურად უხეშად ერეოდნენ მის შინაგან საქმეებში, აწყობდნენ სისტემატურ შეთქმულებებს პარლამენტური მმართველობის წინააღმდეგ. მთელი ძალაუფლება ისევ ხელთ ეპყრათ უცხოელ კოლონიზატორთა აგენტებს — სასახლის რეაქციულ ხროვას, მსხვილ მემამულეებსა და ეროვნული კაპიტალის მაგნატებს.

ფალსიფიცირებული არჩევნების შედეგად ჩამოყალიბებული მთავრობა რეაქციული ძალების ინტერესებს გამოხატავდა. 1939 წლის აგვისტოში ყოველგვარი გაფრთხილებისა და პარლამენტური ფორმალობის გარეშე გააძევეს პრემიერ-მინისტრი მუჰამედ-მაჰმუდი და მისი თანამდებობა მეფის კანცელარიის უფროსს ალი მაჰირს გადასცეს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ომის საფრთხის ზრდის პირობებში ინგლისის გავლენა ეგვიპტის ცხოვრებაში კიდევ უფრო გაიზარდა. 1938 წელს მან ეგვიპტეს ახალი სამხედრო-თავდაცვითი ვალდებულება მოახვია თავს და აიძულა ეგვიპტის მთავრობა თვითონ დაეფინანსებინა ინგლისის ახალი სამხედრო ბაზებისა და კომუნიკაციების მშენებლობა.

მეორე მსოფლიო ომის წინ ეგვიპტე, მნიშვნელოვანი ეკონომიური ძვრების მიუხედავად, მაინც ჩამორჩენილ აგრარულ ქვეყანას წარმოადგენდა. სოფლის მეურნეობისა და ქვეყნის ეკონომიკის წამყვან დარგს მებამბეობა წარმოადგენდა. მასზე მოდიოდა ეროვნული შემოსავლისა და ექსპორტის მნიშვნელოვანი ნაწილი.

20—30-იან წლებში მნიშვნელოვანი ღონისძიებები გატარდა ბამბის ნათესი ფართობისა და მისი მოსავლიანობის გასადიდებლად (ახალი კაშხალების მშენებლობა, ძველთა მოდერნიზება, ახალი მიწების მორწყვა, სადრენაჟო სამუშაოების ჩატარება და ა. შ.)[1]. ხელისუფლებამ სერიოზული ყურადღება მიაქცია მარცვლეულისა და სხვა სასურსათო კულტურების მოსავლის გადიდებასაც და სათანადო წამახალისებელი ზომები შემოიღო. ამ მიმართულებით სოფლის მეურნეობის შემდგომ აღმავლობას აფერხებდა ფეოდალიზმის ღრმა ნაშთები.

ნელა, მაგრამ თანდათანობით ვითარდებოდა ეგვიპტის მრეწველობა და შესაბამისად იზრდებოდა მისი ხვედრითი წონა ქვეყნის ეკონომიურ ცხოვრებაში. მრეწველობის დარგებიდან შედარებით უფრო დაწინაურდა ბამბეულის წარმოება, გემო-კვების, ქაღალდის, ცემენტის, სამშენებლო... წარმოების დარგები; გაიზარდა სარკინიგზო ტრანსპორტი და გადიდდა ტრანსპორტის სხვა დარგთა მოცულობაც.

[1] მის შედეგად 1937/38 წლებში ბამბის მოსავალი გადიდდა 11.141 ათას კანტარამდე, მოსავლიანობა კი ყოველ ფედანზე — 5,52 კანტარამდე.

ეგვიპტეში შეიქმნა რამდენიმე ათეული მსხვილი მონოპოლიური გაერთიანება, გაიზარდა ეროვნული კაპიტალის მოცულობა, გადიდდა მისი ცენტრალიზაცია და შესაბამისად შეიცვალა უცხოური და ეროვნული კაპიტალის თანაფარდობა ქვეყნის ეკონომიკაში. მიუხედავად ამისა, უცხოური კაპიტალის, კერძოდ ინგლისური კაპიტალის როლი ეგვიპტის ეკონომიკაში მაინც დიდი იყო. შერეული ტიპის კომპანიებში[1] (წმინდა უცხოურ კომპანიებზე რომ არაფერი ვთქვათ) წამყვანი როლი უცხოურ კაპიტალს ეკუთვნოდა.

ეგვიპტე მეორე მსოფლიო ომის წლებში

მეორე მსოფლიო ომის დასაწყისისათვის ეგვიპტეში გააქტიურდა ფაშისტური სახელმწიფოების აგენტურა. განსაკუთრებით ენერგიულად მოქმედებდნენ ფაშისტური იტალიის აგენტები, რომლებიც მჭიდრო კავშირს ამყარებდნენ მუსლიმანური სამღვდელოების ზედა ფენასთან და სასახლის რეაქციულ წრეებთან და მათი მეშვეობით ეწეოდნენ ძირგამომთხრელ საქმიანობას. ინგლისელი იმპერიალისტები არათუ ენერგიულ ზომებს არ იღებდნენ მათ წინააღმდეგ, არამედ, ფაქტიურად, კიდევაც აქეზებდნენ მათ. 1938 წლის ინგლის-იტალიის „ჯენტლმენური შეთანხმებით“ ინგლისმა ფაშისტური იტალიის „განსაკუთრებული“ ინტერესებიც კი ცნო ეგვიპტეში.

შემთხვევითი არ იყო ფაშისტური სახელმწიფოების გაძლიერებული ყურადღება ეგვიპტისადმი და იქ მათი აგენტურის აქტიური ძირგამომთხრელი საქმიანობა. ეგვიპტეს — ამ დიდმნიშვნელოვან სამხედრო-სტრატეგიულ პლაცდარმსა და სახმელეთო-საზღვაო კომუნიკაციების ცენტრს მთელ ახლო აღმოსავლეთში — განსაკუთრებული ადგილი ეკავა მათ დაპყრობით გეგმებში მსოფლიოს ამ რაიონში.

აღნიშნული აგრესიული ჩანაფიქრისა და სათანადო სამხედრო-სტრატეგიული გეგმის შესაბამისად იტალია-გერმანიის ჯარებმა 1940 წლის შემოდგომიდან დაიწყეს საომარი ოპერაციები ეგვიპტის წინააღმდეგ. მათი მთავარი საოპერაციო ბაზა იყო ლიბიის ტერიტორია. ამ დროიდან მოკიდებული 1943 წლის დასაწყისამდე ეგვიპტის ტერიტორიის ნაწილი წარმოადგენდა საომარ ასპარეზს ინგლისისა და იტალია-გერმანიის ჯარებს შორის, მიუხედავად იმისა, რომ თვით ეგვიპტე ოფიციალურად მეომარ მხარეს არ წარმოადგენდა.

1940 წლის სექტემბერში იტალიის არმია გენერალ გრაციანის სარდლობით 100 კილომეტრით შეიჭრა ეგვიპტის სიღრმეში და დაეუფლა რამდენიმე პუნქტს. მართალია, 1941 წელს ინგლისის არმიამ

---

[1] ასეთი იყო უცხოური და ეგვიპტური კაპიტალის „საქმიანი თანამშრომლობის“ ბაზაზე აღმოცენებული კომპანიები.

შეძლო გაეწმინდა ეგვიპტე მტრის ჯარებისაგან და საომარი მოქმედება ლიბიის ტერიტორიაზე გადაეტანა, მაგრამ 1942 წლის ზაფხულში იტალიის არმიამ, გაძლიერებულმა გერმანიის ჯავშან-სატანკო დივიზიებით და ავიაციით, ახალი მძლავრი შეტევით (გენერალ რომელის სარდლობით) სასტიკად დაამარცხა ინგლისის არმია და ისევ ეგვიპტის საზღვრებში შეიჭრა. ამ შეტევის შედეგად იტალია-გერმანიის ჯარები 80 კილომეტრით მიუახლოვდნენ ალექსანდრიას. გენერალი რომელი და გერმანია-იტალიის არმიის სხვა სარდლები ღრმად იყვნენ დარწმუნებული, რომ მალე შეძლებდნენ ალექსანდრიის, კაიროს და თვით სუეცის არხის დაპყრობას. მაგრამ მათი იმედები ამაო გამოდგა. ჰიტლერული არმიის უდიდესმა მარცხმა აღმოსავლეთის ფრონტზე, კერძოდ სტალინგრადთან განცდილმა კატასტროფამ, ბოლო მოუღო ფაშისტური არმიების წარმატებას ჩრდილო აფრიკაშიც. 1942 წლის ოქტომბერში ინგლისის არმია, ისარგებლა რა გერმანიის არმიისა და ავიაციის მნიშვნელოვანი შენაერთების გადასროლით აღმოსავლეთის ფრონტზე, გადამწყვეტ შეტევაზე გადავიდა გერმანია-იტალიის არმიის წინააღმდეგ და 1943 წლის იანვარში საბოლოოდ განდევნა იგი ეგვიპტის ტერიტორიიდან.

მტრის ავიაციის თავდასხმებმა და სახმელეთო არმიების მოქმედებამ მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა ეგვიპტის დასახლებულ პუნქტებს და სერიოზული ნგრევა გამოიწვია. ათასობით ეგვიპტელი გახდა მისი მსხვერპლი. ნაწილი დაიღუპა ან დასახიჩრდა, სხვებმა კი დაკარგეს საცხოვრებელი ბინები, სარჩო-საბადებელი და ლტოლვილებად იქცნენ.

მეორე მსოფლიო ომმა უშუალო გავლენა მოახდინა ეგვიპტის ეკონომიკის ყველა დარგზე. განსაკუთრებული ზიანი მიაყენა მან სოფლის მეურნეობასა და საგარეო ვაჭრობას. ბამბის მოთხოვნილების შემცირებამ მსოფლიო ბაზარზე მკვეთრად დასცა მისი ექსპორტი და გასაყიდი ფასი. მარცვლეულის წარმოების ნაწილობრივი გადიდება ბამბის ნათესი ფართობის სერიოზული შემცირების ხარჯზე უმნიშვნელო კომპენსაცია იყო. მას არ შეეძლო ცოტად თუ ბევრად შეემსუბუქებინა სოფლის მეურნეობის მდგომარეობა და ფელაჰობის ავბედობა. ომმა ქვეყნის ფინანსებსაც შეუქმნა სერიოზული სიძნელეები და აიძულა როგორც ეგვიპტის მთავრობა, ისე ინგლისის ხელისუფლება მიეღოთ ზომები მისი სტაბილიზაციისათვის.

მრეწველობა არსებითად ეგვიპტის სახალხო მეურნეობის ერთ-ერთი დარგი იყო, რომელიც არათუ დაზიანდა ომის შედეგად, არამედ, პირიქით, განვითარების შემდგომი სტიმული მიიღო. ამის

მიზეზები იყო საგარეო ვაჭრობის შეკვეცის შედეგად უცხოური საქონლის შემოზიდვის მკვეთრი შემცირება, შინაგან ბაზარზე ადგილობრივი წარმოების საგნებზე ფასების შეუჩერებელი ზრდა და სპეციფიკური სამხედრო მოთხოვნილების გადიდება.

ომმა კიდევ უფრო გაამდიდრა ეგვიპტის მოსახლეობის უმნიშვნელო უმცირესობა, გააფართოვა მათი საექსპლოატაციო არე და გაადიდა მათი წვლილი ეროვნულ ეკონომიკაში. მაგრამ ამავე დროს, ომმა გააძლიერა მშრომელთა გაღატაკება და მილიონებს ახალი უბედურება დაატეხა თავს. სამხედრო რეკვიზიციებმა, გასამხედროებულმა შრომამ, ბამბის ფასის დაცემამ, პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადების შეუჩერებელმა ზრდამ, პირველი მოთხოვნილების საგნების ნაკლებობამ, სპეკულაციამ, ხელისუფლებისა და მემამულეების გამომძალველობამ, რეალური ხელფასის შეუჩერებელმა დაცემამ და ნაწილობრივმა უმუშევრობამ მკვეთრად გააუარესა ფელაჰობისა და მუშათა კლასის ცხოვრების პირობები. სტატისტიკური მონაცემებით ცხოვრების ღირებულების ინდექსი ომის წლებში 3—4-ჯერ გაიზარდა, ხოლო საშუალო შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე შესაბამისად, მკვეთრად შემცირდა. მაგრამ ვინაიდან ექსპლოატატორული ფენების შემოსავალი კიდევ უფრო გადიდდა, საშუალო შემოსავლის დაცემა მხოლოდ მშრომელებს ეხებოდა.

მართალია, ეგვიპტემ, როგორც ინგლისის მოკავშირემ, 1939 წლის სექტემბრიდან გაწყვიტა კავშირი გერმანიასთან (უფრო გვიან იტალია-იაპონიასთან), მაგრამ ის ომში ფაქტიურად არ ჩაბმულა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ გერმანიისათვის ომის ფორმალურ გამოცხადებას 1945 წლის მარტში. ეგვიპტელ ხალხში იმდენად ღრმად იყო ფესვგადგმული ანტიინგლისური განწყობილება. რომ პროინგლისური რეაქციული წრეებიც კი იძულებული იყვნენ ანგარიში გაეწიათ მისთვის და თავი შეეკავებინათ ომში ჩაბმისაგან. მაგრამ 1936 წლის ხელშეკრულების თანახმად ეგვიპტემ თავისი ნავსადგურები, რკინიგზები, არხები, ყაზარმები, არმია, ნედლეული და სხვა საშუალებები გადასცა ინგლისის სარდლობის განკარგულებაში.

ინგლისის სარდლობამ და ალი მაჰირის რეაქციულმა მთავრობამ სამხედრო-საალყო წესები გამოაცხადეს, მკაცრი ცენზურა შემოიღეს და გააძლიერეს პოლიციური ტერორი ყოველგვარი პროტესტებისა და უკმაყოფილების მკაცრად ჩასახშობად. მიუხედავად ამისა, ბურჟუაზიულ-მემამულური ზედაფენის ანტიხალხურმა კავშირმა ბრიტანეთის იმპერიალიზმთან გამოიწვია ხალხის ფართო ფენების და სხვა დემოკრატიული წრეების სამართლიანი გულისწყრომა და აღშფოთება, რამაც მძაფრი პოლიტიკური კრიზისი გამოიწვია და სერიოზულ მღელვარებებში გადაიზარდა.

ბურჟუაზიულ-მემამულური დაჯგუფების ნაწილი, რომელიც ეკონომიურად გერმანია-იტალიის კაპიტალთან იყო დაკავშირებული, გამოვიდა ინგლისისათვის აქტიურად მხარის დაჭერის წინააღმდეგ. თვით სასახლის წრეებშიაც იყვნენ გერმანულ-იტალიური ორიენტაციის მომხრეები.

ფაშისტური ქვეყნების მრავალრიცხოვანი აგენტურა, რომელიც აშკარად თუ შენიღბულად მოქმედებდა ეგვიპტეში, აწარმოებდა აშკარა აგიტაციას დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ, აგრეთვე სადივერსიო-ძირგამომთხრელ საქმიანობას როგორც ინგლისის, ისე თვით ეგვიპტის წინააღმდეგ. 1940 წ. მთავრობა სამჯერ გამოიცვალა. 1940 წ. შემოდგომაზე ინგლისელებმა მოითხოვეს პრემიერად ვაფდის ბელადის ნაჰას-ფაშას დანიშვნა, რადგანაც ამით სურდათ ხალხის ფართო ფენების განწყობილებაზე მოეხდინათ გავლენა.

ნაჰას-ფაშას მთავრობამ 1943 წელს დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა საბჭოთა კავშირთან, თანაც ინგლისელთა სურვილის შესატყვისად მოახდინა გერმანელთა და იტალიელთა ინტერნირება, გაწმინდა ძირითადად ქვეყანა ფაშისტური აგენტებისაგან და განდევნა სამხედრო-ადმინისტრაციული აპარატიდან აშკარა პროფაშისტური ელემენტები. ამ ღონისძიებებმა ინგლისელებს საშუალება მისცა უკეთ გამოეყენებინათ ეგვიპტის რესურსები.

ვაფდის მთავრობამ, ომისა და რთული საერთაშორისო ვითარების მიუხედავად, მაინც განახორციელა ზოგიერთი ზედაპირული ღონისძიება, რომელთა მიზანი იყო მშრომელი მასის აუტანელი პირობების რამდენადმე შემსუბუქება. 1942 წელს გატარდა საადგილმამულო გადასახადის რეფორმა, რომელმაც წვრილ მიწათმფლობელთა მნიშვნელოვან ნაწილს შეუმსუბუქა საგადასახადო ტვირთი, 1280 ათასი კი სავსებით გაათავისუფლა მისგან; იმავე წელს მიღებულ იქნა კანონი მუშათა სავალდებულო დაზღვევის შესახებ წარმოებაში უბედური შემთხვევების დროს; პროფკავშირებმა მიიღეს ლეგალური არსებობის უფლება, თუმცა მათ აეკრძალათ პოლიტიკური საქმიანობა. თქმა არ უნდა, რომ ეს რეფორმები ზღვაში წვეთი იყო და ბევრს არაფერს აძლევდა მშრომელ მოსახლეობას. ამასთან თავიანთი კლასობრივი ინტერესების შესაბამისად ვაფდელები განაგრძობდნენ ბრძოლას მუშათა და გლეხთა რევოლუციური გამოსვლების წინააღმდეგ, მკაცრ ზომებს ღებულობდნენ გაფიცვებისა და არალეგალურად მოქმედი კომუნისტური პარტიის საქმიანობის წინააღმდეგ.

ნაჰას-ფაშა ინარჩუნებდა თავის პოსტს მანამ, სანამ ინგლისელების საქმეს აკეთებდა და ინგლისის მხარდაჭერით სარგებლობდა. 1944 წლის 8 ოქტომბერს მეფე ფარუკმა გადააყენა ნაჰას-ფაშას

კაბინეტი და მმართველობის სადავე ისევ საადის პარტიის ლიდერს აჰმედ მაჰირს ჩააბარა.

ახალი მთავრობა ინგლისის პოზიციების შემდგომ გაძლიერებას მოასწავებდა. 1945 წ. 26 თებერვალს აჰმედ მაჰირი მოკლეს. პრემიერის თანამდებობა დაიჭირა ნუკრაში-ფაშამ, რომლის მთავრობამ მიიღო ფორმალური გადაწყვეტილება გერმანია-იაპონიისათვის ომის გამოცხადების შესახებ, რითაც ეგვიპტემ მიიღო შესაძლებლობა გაერთიანებული ორგანიზაციის წევრი გამხდარიყო.

1945 წლის თებერვალ-მარტის თვეში ჩამოყალიბდა არაბული ქვეყნების ლიგა, რომელშიაც ეგვიპტეც შევიდა. მართალია, ფორმალურად ეგვიპტე მთავარ როლს ასრულებდა არაბთა ლიგის გაფორმებაში, მაგრამ ფაქტიურად ეს ორგანიზაცია ინგლისის იმპერიალიზმმა ჩამოაყალიბა თავისი ეგოისტური ზრახვების განსახორციელებლად. თუმცა შემდგომში ეს ვარაუდი ინგლისს არ გაუმართლდა: ლიგამ არაბული ქვეყნების ინტერესების დაცვაზე აიღო გეზი და არ ისურვა ყოფილიყო ინგლისელ კოლონიზატორთა იმპერიალისტური პოლიტიკის იარაღი.

სირია და ლიბანი 1918—1945 წწ.

არაბული ქვეყნების დანაწილება

სირიისა და ლიბანის ბედი, სხვა არაბული ქვეყნების მსგავსად, პირველი მსოფლიო ომის დასასრულისათვის არსებითად გადაწყვეტილი იყო იმ იმპერიალისტური გარიგებით, რომელიც 1915 წელს დაიდო ინგლისსა და საფრანგეთს შორის. ამ გარიგებით სირია და ლიბანი საფრანგეთის ხელში უნდა გადასულიყო, ერაყი და პალესტინა კი — ინგლისისა. არაბული მოსახლეობის ნება-სურვილი, ცხადია, მხედველობაში არ ყოფილა მიღებული. ფრანგ იმპერიალისტებს სირია-ლიბანი ესაჭიროებოდათ როგორც მოხერხებული პლაცდარმი ახლო აღმოსავლეთში. მათი სამხედრო ოკუპაციით ისინი ფიქრობდნენ გაეფართოებინათ იქ უკვე მოპოვებული ეკონომიური პოზიციები.

ომის დამთავრებისთანავე ფრანგმა იმპერიალისტებმა ვერ შეასრულეს თავიანთი საწადელი. ამას ხელი შეუშალეს როგორც სირიისა და ლიბანის მოსახლეობამ, ისე ინგლისელმა „მოკავშირეებმა“, რომელთა ჯარის მიერ ოკუპირებული იყო სირიის დიდი ნაწილი. ინგლისის ჯარებთან ერთად იყვნენ არაბული ნაწილები—„შერიფის არმია“, მექის შერიფის ჰუსეინის შვილის ფეისალის სარდლობით. ინგლისელებს განზრახვა ჰქონდათ უფრო ვრცელ ტერიტორიაზე გაევრცელებინათ თავიანთი ბატონობა, ვიდრე ეს გათვალისწინებული იყო საიქს-იპიკოს შეთანხმებით. მათი ფარული მხარდაჭერით მოხდა, რომ „აღმოსავლეთის ზონის“ სამხედრო გუბერნატორად დანიშნულმა ფეისალმა შეძლო იქ 1920 წლამდე არაბული მმართველობის დამყარება.

კოლონიზატორთა განზრახვამ უდიდესი აღშფოთება გამოიწვია მთელ არაბულ სამყაროში, კერძოდ კი — სირიასა და ლიბანში. არაბულმა მოსახლეობამ იარაღს მოჰკიდა ხელი.

1919 წლის ივნისში სირიელმა ნაციონალისტებმა, უპირატესად მემამულურ-ბურჟუაზიული წრეების წარმომადგენლებმა, მოიწვიეს სპეციალური კონგრესი, „სირიის გენერალური კონგრესი“, რომელმაც მოითხოვა სირიის მთლიანობის შენარჩუნება (ლიბანსა და პალესტინასთან ერთად) და იქ კონსტიტუციური მონარქიის შექმნა

ფეისალის მეთაურობით. კონგრესმა გაილაშქრა საფრანგეთის „მეურვეობის“ წინააღმდეგ, მაგრამ „უკიდურეს შემთხვევაში“ და გარკვეულ პირობებში შესაძლებლად ცნო ინგლისის ან ამერიკის მანდატის მიღება. სირიელმა ნაციონალისტებმა თავიანთი ინტერესების დასაცავად ფეისალიც კი მიავლინეს პარიზის კონფერენციაზე, მაგრამ უშედეგოდ. ფეისალს პარიზში არავინ იცნობდა. იმ საკითხებზე, რაც არაბებს ეხებოდა, კონფერენციის „დიდი სამეული“ (ვ. ვილსონი, ლ. ჯორჯი, ჟ. კლემანსო) განმარტებებს ღებულობდა არაბული საკითხის „სპეციალისტის“, ცნობილი ინგლისელი მზვერავის ლოურენსისაგან.

მაგრამ ყველა როდი გამოდიოდა სირიის ერთიანობის მომხრედ. მაგალითად, ლიბანის პოლიტიკური მოღვაწეების ნაწილმა, უპირატესად ქრისტიანებმა, რომლებიც მტრულად იყვნენ განწყობილი დიდი მუსლიმანური სახელმწიფოს შექმნის გეგმისადმი, მოითხოვეს ლიბანის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადება.

1919 წლის შემოდგომაზე ინგლისისა და საფრანგეთის დიპლომატებმა პარიზის კონფერენციის კულუარებში მიაღწიეს შეთანხმებას არაბული ქვეყნების განაწილების შესახებ. ინგლისი დაკმაყოფილდა ერაყით და პალესტინით, ხელი აიღო პრეტენზიებზე სირია-ლიბანის მიმართ და გამოიყვანა ჯარები ოკუპირებული ტერიტორიებიდან. ამან ხელ-ფეხი გაუხსნა საფრანგეთის იმპერიალიზმს, რომელიც მაშინვე შეუდგა განთავისუფლებული ზონების დაკავებას.

1919 წლის გარიგება საბოლოოდ ლახვარს სცემდა არაბ ნაციონალისტთა იმედებს, საქვეყნოდ ნიღაბს ხდიდა ინგლისის „მეგობრობას“. ინგლისელებზე გაბოროტებულმა ფეისალმა, რომელიც სირიის მეფობაზე აცხადებდა პრეტენზიას, საფრანგეთთან უშუალო შეთანხმება გადაწყვიტა. იგი თანახმა იყო ხელი აეღო ლიბანზე და მიეღო საფრანგეთის „ფინანსური, ეკონომიური და ტექნიკური დახმარება“.

მაგრამ ფეისალმა ვერ შეძლო ამ გეგმის განხორციელება, რადგანაც წააწყდა არაბ ნაციონალისტთა წინააღმდეგობას. ფრანგ იმპერიალისტებთან ყოველგვარი შეთანხმების წინააღმდეგ ენერგიულად აღდგა არაბი ხალხი. ეროვნული ინტერესების სადარაჯოზე ამ დროისათვის გამოვიდა სირიისა და ლიბანის მუშათა კლასიც, რომელიც პატრიოტთა მოწინავე რიგებში ჩადგა და აქტიური მონაწილეობა მიიღო ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში.

1920 წლის მარტში მოწვეულმა სირიის გენერალური კონგრესის ახალმა სესიამ სირია გამოაცხადა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ (ლიბანისა და პალესტინის ჩათვლით), მოითხოვა საოკუპაციო რეჟი-

მის ლიკვიდაცია და ახალი სახელმწიფოს მეფედ ფეისალის არჩევა. მაგრამ კონგრესის დადგენილებები არ განხორციელებულა, რადგან ისინი არც იმპერიალისტებმა იცნეს და არც ლიბანელმა ნაციონალისტებმა.

1920 წლის აპრილში ანტანტის უმაღლესი საბჭოს სან-რემოს კონფერენციამ საბოლოოდ გადაწყვიტა არაბული ქვეყნების ბედი. არაბული მოსახლეობისა და მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის მკაცრი პროტესტის პირობებში ინგლისელი და ფრანგი იმპერიალისტები იძულებული გახდნენ შეენიღბათ თავიანთი მტაცებლური გეგმები არაბული სამყაროს მიმართ. ასეთ ნიღაბს წარმოადგენდა ე. წ. „სამანდატო სისტემა". მანდატის მიმღები სახელმწიფო თითქოს მოწოდებული იყო უანგარო მეურვეობა გაეწია მანდატის ობიექტად ქცეული სახელმწიფოსათვის, ხელი შეეწყო მისი სამეურნეო-კულტურული აღმავლობისა და პოლიტიკური კონსოლიდაციისათვის და ამგვარად მოემზადებინა იგი ეროვნული დამოუკიდებლობისათვის. სინამდვილეში ეს იყო იმპერიალისტური ფანდი. სან-რემოს კონფერენციამ იურიდიულად დაადასტურა საფრანგეთის პრეტენზიები სირიისა და ლიბანის მიმართ და ისინი საფრანგეთის მანდატს დაუმორჩილა.

ხალხის მასების ბრძოლა საფრანგეთის კოლონიური ბატონობის წინააღმდეგ

სან-რემოს კონფერენციის გადაწყვეტილებამ სირიისა და ლიბანის მოსახლეობის საყოველთაო აღშფოთება გამოიწვია. ამის პასუხად ხალხმა იარაღს მოჰკიდა ხელი, რათა საკუთარი სისხლის ფასად დაეცვა სამშობლოს დამოუკიდებლობა. მაგრამ მშრომელი მასა მოკლებული იყო წესიერ ხელმძღვანელობას და კონკრეტულ სამოქმედო გეგმას, რის გამოც მან წარმატებით ვერ დააგვირგვინა პატრიოტული ბრძოლა.

1920 წლის ივლისში, სათანადო წინასწარი მზადების დასრულების შემდეგ, ფრანგი იმპერიალისტები შეუდგნენ მანდატის უფლებით მათ „მეურვეობაში" გადასული არაბული ტერიტორიების ოკუპაციას. საფრანგეთის ჯარების სარდალმა და უმაღლესმა კომისარმა გენერალმა გურომ ფეისალის მთავრობას სრული კაპიტულაცია მოსთხოვა. „ეროვნული თავდაცვის მთავრობამ", წინააღმდეგობის გაწევის ნაცვლად, ფეისალის რჩევით მიიღო ფრანგთა ულტიმატუმი. ამან სამართლიანად აღაშფოთა დამასკოს მოსახლეობა, რომელმაც გადაწყვიტა მაინც განეგრძო წინააღმდეგობის გაწევა და ამ მიზნით სახელდახელოდ შეექმნა „თავდაცვის ეროვნული საბჭო". მუშები, ხელოსნები, მოსწავლეები, წვრილი ვაჭრები შეიარაღდნენ და ქალაქში დაიწყეს სანგრების მშენებლობა. მაგრამ ეს სახალხო პატრიოტული თაოსნობა წააწყდა ფეისალისა და ნაცი-

ონალისტთა მემამულურ-ბურჟუაზიული ზედაფენის წინააღმდეგობას.

მიუხედავად ამისა, რამდენიმე ათასი მოხალისე და რეგულარული ჯარის მცირე ნაწილი სამხედრო მინისტრ იუსუფ აზმას ხელმძღვანელობით მაინც გაემართა მაისალუნის უღელტეხილისაკენ, რათა აქ მედგარი ბრძოლა გაემართა დამასკოსაკენ დაძრულ საფრანგეთის ჯარებთან. მაისალურის დამცველები იუსუფ აზმას მეთაურობით გმირულად დაეცნენ ფრანგ ოკუპანტთა ჭარბ ძალებთან ბრძოლაში. მართალია, მათ ბოლომდე შეასრულეს თავიანთი პატრიოტული მოვალეობა, მაგრამ მათ მიერ დაღვრილმა სისხლმა მაინც ვერ იხსნა დამასკო და მთელი სირია ოკუპაციის მძიმე ხვედრისაგან. 25 ივლისს ოკუპანტებმა აიღეს დამასკო, დაამხეს ფეისალი და იგი, აშკარა კაპიტელანტური პოლიტიკის მიუხედავად, როგორც ინგლისელთა აგენტი, სირიიდან გააძევეს[1]. ფეისალის გაძევებასთან ერთად გაუქმდა ორ წელს არსებული არაბული მმართველობა, რომელიც საფრანგეთის სამხედრო ადმინისტრაციით შეიცვალა.

საფრანგეთის სამხედრო ადმინისტრაცია (უმაღლესი კომისრით სათავეში) მაშინვე შეუდგა დამასკოს დამცველების მკაცრ დასჯას, დიდძალი კონტრიბუცია შეაწერა მოსახლეობას და ყველაფერი მკაცრ პოლიტიკურ ტერორს დაუმორჩილა. მოიმარჯვეს რა „დაჰყავი და იბატონეს" ნაცადი პოლიტიკა, ფრანგმა იმპერიალისტებმა თავიანთი ახალი სამანდატო ტერიტორია ხელოვნურად გაყვეს ხუთ ცალკეულ ერთეულად: ლიბანად, ლატაკიად, ალექსანდრეტად, ჩრდილო ოლქად, რომელსაც ჯებელ-დრუზი უწოდეს და უფრო ვრცელ ოლქად დამასკოს ირგვლივ — „სირიის სახელმწიფოდ". ყოველ ამ ტერიტორიულ ერთეულს გარკვეული თავისებური ნიშანი ახასიათებდა, რასაც დაეყრდნენ ფრანგი ოკუპანტები მათი გათიშვის დროს. ლიბანის სახელმწიფოს ტერიტორიაში, გარდა ძველი სანჯაყებისა, შევიდნენ ბეირუთი, ტრიპოლი და ზოგიერთი სხვა რაიონი. ამ გაყოფის დროს დაწესდა სირია-ლიბანის თანამედროვე საზღვარიც. საფრანგეთის მონოპოლისტურმა კაპიტალმა, რომელსაც მანამდეც ხელთ ეპყრა სირიისა და ლიბანის ეკონომიკის წამყვანი დარგები, მიიღო ახალი კონცესიები და პრივილეგიები.

1926—1927 წლების ეროვნულ - განმათავისუფლებელი აჯანყება

მანდატის მფლობელი საფრანგეთის სირიასა და ლიბანში ემყარებოდა ფეოდალურ-მემამულურ წრეებსა და კომპრადორებს. ამ საყრდენი სოციალური ფენების ინტერესების შესაბამისად ფრანგმა კოლონიზატორებმა უცვლელად დატოვეს იქ არსებული

[1] ინგლისელებმა მას „სამეშაო" გამოუძებნეს და ერაყის მეფის ტახტზე დასვეს.

სოციალური ურთიერთობა, კერძოდ კი — ღრმა ფეოდალური გადმონაშთები. საოკუპაციო ხელისუფლებისა და ფეოდალურ-რეაქციული წრეების ბლოკი აღმოცენდა მშრომელთა ექსპლოატაციის ბაზაზე.

ახალმა ვითარებამ მკვეთრად გააუარესა არაბი მშრომელი მასების მდგომარეობა. დამატებითი საგადასახადო ტვირთის დაკისრებასთან ერთად ფრანგმა კოლონიზატორებმა მოახდინეს მათი კუთვნილი მიწების ნაწილის ექსპროპრიაცია და გასამხედროებული ძრომის შემოღებით მასობრივად გამოიყენეს ისინი სხვადასხვა სამხედრო ობიექტების მშენებლობაზე. ამან და უხეშმა ეროვნულმა ჩაგვრამ მშრომელები აქტიურად გამოიყვანა წინააღმდეგობის ასპარეზზე და განმათავისუფლებელი ბრძოლის მთავარი ძალა გახადა. გლეხობასთან ერთად განმათავისუფლებელ ბრძოლაში აქტიურად ჩაება ახალგაზრდა მუშათა კლასიც.

საფრანგეთის ჯარების მიერ დამასკოს ოკუპაციიდან ერთი თვის თავზე — 1920 წლის აგვისტოში ჰაურანის პროვინციაში იფეთქა გლეხობის დიდმა აჯანყებამ, რომელიც, ფრანგ კოლონიზატორთა მიერ მიღებული მკაცრი დამსჯელი ზომების მიუხედავად, რამდენიმე თვეს გრძელდებოდა. 1921 წელს ალექსანდრეტასა და ალეპოს რაიონებში აქტიურად მოქმედებდნენ პარტიზანული რაზმები; 1922 წლის პირველ ნახევარში კი ადგილი აქვს დამასკოსა და ჰომსის მოსახლეობის მასობრივ პატრიოტულ დემონსტრაციებს, რომლებსაც მკაცრად გაუსწორდნენ ფრანგი კოლონიზატორები. 1922 წელს აჯანყდა ჯებელ-დრუზის მთიანი რაიონის მოსახლეობა. აჯანყებულებმა მოქმედების პარტიზანულ მეთოდებს მიმართეს და რამდენიმე თვის განმავლობაში საქმე გაუჭირეს დაუპატიჟებელ სტუმრებს.

ზემოაღნიშნული მასობრივი საბრძოლო გამოსვლები 1925—1927 წლების დიდი ეროვნულ-განმათავისუფლებელი აჯანყების მაუწყებელი და მომამზადებელი იყო. 1925—1927 წლების ეროვნულ-განმათავისუფლებელი აჯანყების მთავარი მამოძრავებელი ძალა იყო გლეხობა. მან მისცა თავისი უკეთესი შვილები სახალხო-განმათავისუფლებელ არმიას და პარტიზანულ რაზმებს. გლეხობასთან ერთად მასში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ მუშათა კლასი, ხელოსნები, წვრილი ბურჟუაზია, ინტელიგენცია და ფეოდალური გვარეულობის ზოგიერთი წარმომადგენელი. მისი საერთო ხელმძღვანელობა ეროვნულ ბურჟუაზიას ეკუთვნოდა.

აღნიშნული აჯანყება დაიწყო 1925 წლის ივლისში, როდესაც ფრანგ კოლონიზატორთა თვითნებობით სასოწარკვეთილებამდე მისული ჯებელ-დრუზის მთიანი რაიონის გლეხობა შეიჰების ხელმძ-

ღვანელობით[1] ერთსულოვნად გამოვიდა იარაღით ხელში. 2 აგვისტოს მაზრასთან ბრძოლაში აჯანყებულმა დრუზებმა სასტიკი დამარცხება აგვმეს საფრანგეთის რეგულარული არმიის ძლიერ რაზმს, რის შედეგადაც მთელი ჯებელ-დრუზის ტერიტორია გაათავისუფლეს მათგან. ჯებელ-დრუზის გლეხობის ბრწყინვალე გამარჯვებამ სიგნალი მისცა საყოველთაო აჯანყებას ქვეყნის სხვა ნაწილებში. ბრძოლაში გლეხობასა და მომთაბარეებთან ერთად გაბედულად ჩაებნენ დამასკოს, ჰომსის, ალეპოს და სხვა ცენტრების მუშები, ხელოსნები, წვრილი ბურჟუაზია. ოქტომბრის შუა რიცხვებში აჯანყებულთა რაზმებმა საფრანგეთის დამსჯელი ექსპედიციის ძალებთან გაფფრებული ბრძოლების შედეგად გააფართოეს განთავისუფლებული ტერიტორიები და დამასკოს რაიონს მიუახლოვდნენ. საფრანგეთის სარდლობის ყველა ცდა — ჩაეხშო სახალხო-განმათავისუფლებელი აჯანყების ძირითადი კერები, მარცხით დამთავრდა. აჯანყებულებმა სასტიკი დარტყმა აგვმეს ოკუპანტებს, მძიმე ზარალი მიაყენეს მათ და აიძულეს ყველა ფრონტზე უკან დაეხიათ[2].

1925 წლის 18 ოქტომბერს აჯანყებულები დამასკოში შეიჭრნენ და ხელთ იგდეს მისი გარეუბნები. ამას მოჰყვა ქალაქის მშრომელთა სახალხო აჯანყება, რომელშიაც ყველაზე აქტიურ როლს მუშები ასრულებდნენ. მაიდანისა და შაგურის ღარიბთა კვარტალებმა შეადგინეს მებრძოლი პარტიზანული რაზმები და მედგრად ეკვეთნენ ფრანგ ოკუპანტებს. მოსახლეობის გააფთრებულმა წინააღმდეგობამ საფრანგეთის ჯარები აიძულა დაეტოვებინათ დამასკო.

დამასკოს დამცველთა გმირული წინააღმდეგობით გაბორკილებულმა საფრანგეთის საექსპედიციო არმიის სარდლობამ ბრძანება გასცა ბარბაროსულად დაებომბათ ეს ქალაქი. კომბინირებული საარტილერიო და საჰაერო ბომბარდირება 48 საათის განმავლობაში წარმოებდა. მას მოჰყვა დედაქალაქის მნიშვნელოვანი ნაწილის ნანგრევებად ქცევა და 25 ათასზე მეტი მისი დამცველის დაღუპვა[3]. დამასკოს ბარბაროსული დაბომბვა საფრანგეთის იმპერიალიზმის კოლონიური ყაჩაღობის ერთ-ერთი ყველაზე სისხლიანი ფურცელია. ქალაქის ფაქტიურმა დანგრევამ აჯანყებულები აიძულა დაეტოვებინათ იგი და უკან დაეხიათ.

---

[1] მთავარი ხელმძღვანელი იყო ერთ-ერთი ტომის ბელადი შეიხი სულთან ალათრაში.

[2] სირიისა და ლიბანის ახალგაზრდა კომუნისტური პარტია აქტიურ მონაწილეობას იღებდა განმათავისუფლებელ აჯანყებაში. მათ ჩაშალეს კოლონიზატორთა პროვოკაციული ცდები გაეთიშათ აჯანყებულები და ამ მიზნით ხელოვნურად გაეღვივებინათ რელიგიური შუღლი.

[3] მათ შორის 115 ხუთ წელზე ნაკლები ასაკის ბავშვი იყო.

ამის შემდეგ ბრძოლის ასპარეზმა დამასკოს შემოგარენსა და ჩრდილო ნაწილში გადაინაცვლა, პარტიზანული ომი კი თითქმის მთელი სირიისა და ლიბანის ტერიტორიაზე მიმდინარეობდა. დროგამოშვებით პარტიზანები დედაქალაქის გარეუბნებში შეჭრასაც ახერხებდნენ და დიდ ზიანს აყენებდნენ ფრანგ ოკუპანტებს. ამის პასუხად 1926 წლის მაისში საფრანგეთის სარდლობამ ერთხელ კიდევ ბარბაროსულად დაბომბა დამასკო. იგი კიდევ უფრო სასტიკი იყო, ვიდრე 1925 წელს. მისი შედეგი იყო დიდი ნგრევა და ადამიანთა მსხვერპლი ლიბანში, სადაც პარტიზანულმა რაზმებმა მთელი რიგი დასახლებული პუნქტები გაათავისუფლეს. ფრანგმა ოკუპანტებმა სახალხო ბრძოლის შესუსტების მიზნით განიზრახეს დაეპირისპირებინათ ერთმანეთისათვის ქრისტიანი და მუსლიმანი მოსახლეობა, მაგრამ ეს მუხანათური ცდა ამჯერადაც მარცხით დამთავრდა. საყოველთაო პატრიოტულმა აღტყინებამ მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში შეაკავშირა ლიბანის მშრომელი მასები განურჩევლად მათი რელიგიური მრწამსისა.

1925 წელს დაწყებული საყოველთაო სახალხო განმათავისუფლებელი აჯანყება ორი წლის განმავლობაში ბობოქრობდა. მისი ძირითადი კერები იყო სირიისა და ლიბანის მთიანი რაიონები. გლეხობა, მუშათა კლასი, ქალაქის ღარიბობა და პატრიოტული ახალგაზრდობა ბოლომდე დარჩა საბრძოლო პოზიციებზე. რაც შეეხება მემამულეებს, სირიულ-ლიბანურ ბურჟუაზიასა და ბურჟუაზიულ ინტელიგენციას, მათ რიგებს დაეტყო მერყეობაც, კაპიტულანტური განწყობილებაც და ურწმუნობაც. ბევრი მათგანი გაეთიშა პატრიოტულ ფრონტს და კაპიტულაცია მოახდინა.

1925 წლის ბოლოსათვის ფრანგმა კოლონიზატორებმა ახალი მაშველი ძალები გადაისროლეს სირიაში და ყველა ფრონტზე გადამწყვეტ იერიშებზე გადავიდნენ. მაგრამ, რაკი საყოველთაო აჯანყების ჩახშობის მეთოდმა არ გაამართლა, მათ პოლიტიკურ მანევრსაც მიმართეს. 1925 წლის ნოემბერში საფრანგეთის მთავრობამ სირიის უმაღლესი კომისრის პოსტიდან გაათავისუფლა გენერალი სარაილი და მის ადგილას დანიშნა გამოცდილი და მოქნილი დიპლომატი ანრი დე-ჟუვენელი. მას დაევალა შეერბილებინა რეპრესიები და თავის მხარეზე გადაებირებინა მემამულური წრეები და ბურჟუაზიული ნაციონალისტები. მოლაპარაკების პროცესში მან თანხმობა განაცხადა წასულიყო ზოგიერთ დათმობაზე, მაგრამ მათგან მოითხოვა საფრანგეთის მანდატის ცნობა. მართალია, ბურჟუაზიულმა ნაციონალისტებმა უარი განაცხადეს ეცნოთ ჟუვენელის ეს მოთხოვნა, მაგრამ თანახმა გახდნენ ეთანამშრომლათ თვითმმართველობის ორგანოებში და მარიონეტულ მთავრობაშიაც მიეღოთ მონაწილეობა.

ამ სამანევრო ნაბიჯს მოჰყვა მორიგი ნაბიჯიც ამჯერად ლიბანის მიმართ. 1926 წელს ლიბანი გამოცხადდა რესპუბლიკად და იქ შემოღებულ იქნა რესპუბლიკური კონსტიტუცია. ლიბანში გაჩნდა პრეზიდენტი, მთავრობა და პარლამენტი. ამ დათმობამ დააკმაყოფილა ლიბანის ბურჟუაზია, მემამულეები და ბურჟუაზიული ინტელიგენცია, რომლებმაც ხელი აიღეს შემდგომ ბრძოლაზე, მაგრამ ლიბანის მშრომელი მასები ამის შემდეგაც განაგრძობდნენ შეიარაღებულ ომს.

სირიის დიდი ნაწილი 1926 წელს ისევ აჯანყების ხანძარში იყო მოქცეული და ფრანგმა იმპერიალისტებმაც მთავარი დარტყმა იქით მიმართეს. ლიბანის ძირითადად „დაშოშმინებამ", სირიელ მემამულეთა, კომპრადორთა და ბურჟუაზიის საგრძნობი ნაწილის გადაბირებამ, მაროკოში დამსჯელი ოპერაციების ძირითადად დამთავრებამ, ინგლისელებთან მორიგებამ ფრანგებს საშუალება მისცა კონცენტრირებული ყურადღება მიექციათ სირიისათვის. 1926 წლის ივნისიდან მოყოლებული ფრანგმა კოლონიზატორებმა ათეული დიდი საომარი ოპერაცია ჩაატარეს სირიელ აჯანყებულთა წინააღმდეგ. ამ ოპერაციების დროს დამსჯელი რაზმები ვანდალური სიმკაცრით უსწორდებოდნენ სამოქალაქო მოსახლეობას, წვავდნენ სოფლებს და ხოცავდნენ ყველას, ვისაც კი ხელში ჩაიგდებდნენ.

1927 წლის ივნისისათვის ფრანგმა კოლონიზატორებმა მოახერხეს სირიელი ხალხის აჯანყების ჩახშობა, აჯანყებულთა ძირითადმა რაზმებმა სულთან ალ-ათრაშის ხელმძღვანელობით ორგანიზებულად დატოვეს სირიის ტერიტორია და ტრანსიორდანიაში გადავიდნენ, საიდანაც ნეჯისაკენ აიღეს გეზი. ამით დამთავრდა 1925—1927 წლის აჯანყება.

1925—1927 წლების აჯანყება სირიის ისტორიის დიდმნიშვნელოვანი მოვლენაა. აჯანყების მსვლელობაში სირიისა და ლიბანის ხალხის მასებმა შეიძინეს შეიარაღებული ბრძოლის გამოცდილება, რამაც შემდგომში უზრუნველყო მათი გამარჯვება საფრანგეთის იმპერიალიზმზე. აჯანყების მსვლელობაში პოლიტიკურ ასპარეზზე გამოვიდა სირიისა და ლიბანის მუშათა კლასი — მომდევნო პერიოდის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ხელმძღვანელი ძალა.

1925—1927 წლების ეროვნული აჯანყების ჩახშობის მიუხედავად, ფრანგი კოლონიზატორები იძულებული გახდნენ გაეთვალისწინებინათ მისი გაკვეთილები და ადგილობრივი ეროვნული ბურჟუაზიის მიმართ ზოგიერთ დათმობაზე წასულიყვნენ. საფრანგეთის მთავრობამ სირიულ კაპიტალს ნება დართო მონაწილეობა მიეღო ფრანგული კომპანიების საქმიანობაში. დაწესდა ახალი საბაჟო ტა-

რიფი, რომელიც ერთგვარად ხელს უწყობდა ადგილობრივი მრეწველობის განვითარებას.

ეკონომიურ დათმობებს მოჰყვა ეროვნული ბურჟუაზიისა და მემამულეების პოლიტიკური უფლებების ნაწილობრივი გაფართოებაც. 1928 წელს მოწვეულ იქნა სირიის დამფუძნებელი კრება. მოსახლეობის ფართო ფენების ზეგავლენით მან შეიმუშავა რესპუბლიკური კონსტიტუცია და უარყო მოთხოვნა ამ კონსტიტუციაში შეტანილიყო პუნქტი საფრანგეთის მანდატის ცნობის შესახებ. ამის პასუხად საფრანგეთის ხელისუფლებამ გარეკა დამფუძნებელი კრება და 1930 წლის 14 მაისს ცალმხრივი აქტით სირიას თავზე მოახვია კონსტიტუცია, რომლითაც, სირია, მართალია, რჩებოდა რესპუბლიკად, მაგრამ ფაქტიურად ემორჩილებოდა საფრანგეთის სამანდატო ხელისუფლებას. 1931 წლის დეკემბერში პოლიტიკური ტერორისა და უსინდისო ფალსიფიკაციის ვითარებაში ჩატარდა ახალი პარლამენტის არჩევნები. ასეთ პირობებში იგი დამთავრდა მემამულეების, კომპრადორებისა და მსხვილი ბურჟუაზიის წარმომადგენელთა გამარჯვებით.

ახალმა პარლამენტმა, მიუხედავად იმისა, რომ იგი არ გამოხატავდა მოსახლეობის ფართო ფენების ინტერესებს და ძირითადად ფრანგებთან მორიგების მომხრეებისაგან შედგებოდა, მაინც არ იკისრა საფრანგეთის კოლონიური ხელისუფლების ბრმა იარაღის როლი. საფრანგეთის ხელისუფლებამ ვერც ამჯერად შეძლო თავზე მოეხვია მისთვის არათანასწორუფლებიანი ხელშეკრულება, რომელიც დაადასტურებდა საფრანგეთის მანდატს. ახალმა პარლამენტმაც მოსახლეობის მრისხანე პროტესტის ზეგავლენით უარყო კოლონიზატორების მიერ ნაკარნახევი ხელშეკრულება და ამისათვის გარეკილ იქნა მოკლე დროში.

საფრანგეთის კოლონიური ნელისუფლების ეს მორიგი თვითნებობა დაემთხვა 1929—1933 წლების მსოფლიო ეკონომიური კრიზისის მკვეთრ ზემოქმედებას სირიისა და ლიბანის ცხოვრებაზე. ორთავემ ერთად ხელი შეუწყეს პოლიტიკური კრიზისის გამწვავებას და შეამზადეს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალი აზვირთება.

მსოფლიო ეკონომიური კრიზისის ავბედითმა გავლენამ კი უკვე 1929 წლის მეორე ნახევრიდან იჩინა თავი სირიასა და ლიბანში. მან მკვეთრად დასცა სოფლის მეურნეობა, შეამცირა ნათესი ფართობი, დააგროვა დიდძალი გაუსაღებელი ნედლეული (კერძოდ, აბრეშუმის პარკი და მატყლი) და კატასტროფულად დასცა მისი ფასი. ამის შედეგად გაღრმავდა გლეხობის გაღატაკების პროცესი და უკი-

დურესად დაეცა მათი ცხოვრების დონე. ასეთივე გავლენა იქონია კრიზისმა მრეწველობაზე, ტრანსპორტსა და საგარეო ვაჭრობაზე. მან სათანადო საქმიანობის სფეროს შეკვეცით სამუშაო წაართვა ათეულ ათას მშრომელს და წარმოშვა მასობრივი უმუშევრობა. კრიზისის წლებში გაძლიერდა მშრომელთა ექსპლოატაცია უცხოური მონოპოლიებისა და ფეოდალ-მემამულეთა მიერ.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი და რევოლუციური მოძრაობის ახალ აღმავლობას წინანდელთან შედარებით ზოგიერთი თავისებურება ახასიათებდა. იგი მიმდინარეობდა მშრომელთა მასობრივი დემონსტრაციების, გაფიცვებისა და გაჩანაგებული გლეხობის „მშიერ ლაშქრობათა" სახით. აქა-იქ საქმე ჯართან და პოლიციასთან ხელჩართულ შეტაკებამდეც კი მიდიოდა. მუშათა კლასი, რომლის პოლიტიკური მომწიფება და იდეური დონე საკმაოდ ამაღლდა, 30-იან წლებიდან აზვირთებული განმათავისუფლებელი ბრძოლების ავანგარდში ჩადგა. 1930 წელს სირიისა და ლიბანის კომუნისტური პარტიის პირველმა ყრილობამ გააერთიანა მანამდე გათიშულად მოქმედი კომუნისტური ჯგუფები და საფუძველი ჩაუყარა ერთიან კომუნისტურ პარტიას, რომელმაც მაღლა ამართა მშრომელთა ინტერესებისა და სამშობლოს დაცვის სალაბიო დროშა.

მართალია, 1933 წლის მიწურულიდან ეკონომიური კრიზისი დეპრესიაში გადაიზარდა, რამაც ნაწილობრივ გააუმჯობესა სირიისა და ლიბანის ეკონომიური მგომარეობა, მაგრამ მას არ მოჰყოლია პოლიტიკური სტაბილიზაცია და მშრომელთა რევოლუციური აქტივობის შენელება. 1934—1936 წლებში გრძელდებოდა მუშათა კლასის, გლეხობისა და წვრილბურჟუაზიული მასების ერთობლივი გამოსვლები. მასები ერთსულოვნად მოითხოვდნენ საფრანგეთის მანდატის გაუქმებას, კოლონიური რეპრესიების ლიკვიდაციას, ეროვნული დამოუკიდებლობის გამოცხადებას და დემოკრატიულ უფლებებს.

განმათავისუფლებელმა ბრძოლამ განსაკუთრებით დიდი გაქანება მიიღო 1936 წლის დასაწყისისათვის, როდესაც ფრანგ ხელისუფალთა რეპრესიების პასუხად სირიასა და ლიბანში იფეთქა საყოველთაო გაფიცვამ, რომელიც 42 დღის განმავლობაში გრძელდებოდა. პროვინციებში მოსახლეობამ ისევ იარაღს მოჰკიდა ხელი და აშკარა ბრძოლა გაჩაღა ფრანგ კოლონიზატორებთან.

ამ დროისათვის ფაქტიურად აღდგა 1925—1927 წლებში არსებული ერთიანი სახალხო ანტიიმპერიალისტური ფრონტი. სახალხო მოძრაობას თვით ეროვნული ბურჟუაზია და მოლიბერალო მემამულეებიც კი შეუერთდნენ.

1936—1939 წლების ეროვნული მთავრობები

საფრანგეთის ხელისუფლების ცდა, ძალით ჩაეხშო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა და შეენარჩუნებინა თავისი კოლონიური პოზიციები სირიასა და ლიბანში, ამჯერადაც ამაო გამოდგა. ახალი საყოველთაო აჯანყების რეალურმა საფრთხემ და საერთაშორისო ვითარების მკვეთრმა გაუარესებამ, რასაც მოჰყვა ფაშისტური ხროვის გაბატონება გერმანიაში, საფრანგეთის ხელისუფლება აიძულა დათმობაზე წასულიყო.

1936 წლის 25 თებერვალს საფრანგეთის უმაღლესმა კომისარმა ოფიციალურად განაცხადა, რომ საფრანგეთის მთავრობა მზადაა სირიისა და ლიბანის წარმომადგენლებთან დაიწყოს მოლაპარაკება ახალი ხელშეკრულების დასადებად. ამ განცხადებას მოჰყვა საყოველთაო გაფიცვის შეწყვეტა და დელეგაციის გამგზავრება (ჰაშიმ ალ-ათასის მეთაურობით) პარიზში მოლაპარაკების საწარმოებლად.

აღნიშნული დელეგაციის მოლაპარაკება პარიზში დაემთხვა სახალხო ფრონტის გამარჯვებას საფრანგეთში. ამან ხელი შეუწყო მოლაპარაკების წარმატებით დამთავრებას.

1936 წლის 9 სექტემბერს პარაფირებული იქნა საფრანგეთ-სირიის ხელშეკრულება „მეგობრობისა და კავშირის შესახებ". იმავე წლის 13 ნოემბერს მსგავსი ხელშეკრულება დაიდო ლიბანსა და საფრანგეთს შორის.

აღნიშნული ხელშეკრულების ძალით მისი რატიფიკაციიდან სამი წლის გასვლის შემდეგ სირიასა და ლიბანზე უქმდებოდა მანდატი და ისინი სუვერენულ სახელმწიფოებად ცხადდებოდნენ.

მათ უფლება ეძლეოდათ შესულიყვნენ ერთა ლიგაში, ჰყოლოდათ თავიანთი მთავრობები და არმიები. მაგრამ საფრანგეთი ინარჩუნებდა თავის ეკონომიურ პოზიციებს, ზოგიერთ პოლიტიკურ პრივილეგიებს და სამხედრო კონტროლს.

1936 წლის სირია-საფრანგეთისა და ლიბან-საფრანგეთის ხელშეკრულებები, მიუხედავად ჩრდილოვანი მხარეებისა, მაინც სირიელი და ლიბანელი ხალხის მნიშვნელოვანი მონაპოვარი იყო. იგი უფრო თავისუფალ ვითარებას ქმნიდა ამ ქვეყნებში. ამიტომ იყო, რომ ჭეშმარიტად დემოკრატიული წრეები სირიასა და ლიბანში, ისე როგორც საფრანგეთის ანტიფაშისტური ძალები, მიესალმნენ მას.

1936 წლის დეკემბერში ჯებელ-დრუზი და ლატაკია მოსახლეობის ერთსულოვანი მოთხოვნით შეუერთდა სირიის ტერიტორიას. იმავე თვეში ჩატარდა სირიის პარლამენტის არჩევნები, რომელიც ეროვნული ფრონტის ძალების სრული გამარჯვებით დამთავრდა. არჩევნების შედეგად შეიქმნა ახალი მთავრობა, რომლის პრემიერი გახდა ჯამილ მარდამი. სახელმწიფოს მეთაურად — პრეზიდენტად კი

არჩეულ იქნა განმათავისუფლებელი ბრძოლის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე ჰამიშ ალ-ათასი.

სირიის ახალმა მთავრობამ მოახდინა პროფკავშირებისა და კომუნისტური პარტიის ლეგალიზაცია და სამშობლოში დააბრუნა ემიგრაციაში მყოფი სირიელი პატრიოტების დიდი ჯგუფი, მათ შორის სულთან ალ-ათრაში.

კომუნისტურმა პარტიამ მაქსიმალურად გამოიყენა ლეგალობის შესაძლებლობა მასებთან კავშირის გასაფართოებლად და ყველა პატრიოტული ძალის ერთიან ფრონტში დასარაზმავად. მშრომელთა კლასობრივი ინტერესების სადარაჯოზე ყოფნასთან ერთად ამ პარტიას მუდამ მაღლა ეჭირა სამშობლოს სრული სუვერენიტეტისა და დემოკრატიულ მონაპოვართა გაფართოების საბრძოლო დროშა.

საფრანგეთის რეაქცია მტრულად შეხვდა 1936 წლის ხელშეკრულებების ხელმოწერას და ხელი შეუშალა მის რატიფიკაციას. 1939 წლის დასაწყისში საფრანგეთის პარლამენტმა, რომელშიაც რეაქციული უმრავლესობა იყო გაბატონებული, უარი განაცხადა მოეხდინა სირიასთან და ლიბანთან დადებული ხელშეკრულებების რატიფიკაცია. მეორე მსოფლიო ომის დაჩქარებული მზადების ვითარებაში საფრანგეთის მმართველმა წრეებმა საჭიროდ ცნეს შეენარჩუნებინათ სირია და ლიბანი — როგორც სერიოზული პლაცდარმები ახლო აღმოსავლეთში — თავიანთ უშუალო გამგებლობაში.

მაგრამ საფრანგეთის იმპერიალიზმი ამითაც არ დაკმაყოფილდა და მორიგი დარტყმები მიაყენა სირიასა და ლიბანს. ინგლისის მოთხოვნით თურქეთის გულის მოსაგებად და მისი „მეგობრობის“ მოპოვების მიზნით იგი თანახმა გახდა ალექსანდრეტას სანჯაყი, რომელიც მანამდე სირიას ეკუთვნოდა და ძირითადად არაბებით იყო დასახლებული, თურქეთის ხელში გადასულიყო. 1939 წლის ივნისში აღნიშნული სანჯაყი თურქეთის პროვინცია გახდა. 1939 წლის 1 ივლისს ფრანგებმა ისევ დაანაწილეს ხელოვნურად სირია და ჩამოაშორეს მას ჯაჰირის, ჯებელ-დრუზის და ლატაკიის ოლქები. როდესაც საპასუხო პროტესტის ნიშნად გადადგნენ სირიის მთავრობა და პრეზიდენტი ჰაშიმ ათასი, საფრანგეთის კოლონიურმა ხელისუფლებამ გარეკეს პარლამენტი, შეაჩერეს რესპუბლიკური კონსტიტუციის მოქმედება, და ისევ მკაცრი კოლონიური ტერორის რეჟიმი აღადგინეს. ამ ვითარებაში ჩაებნენ სირია და ლიბანი მეორე მსოფლიო ომში.

სირია და ლიბანი მეორე მსოფლიო ომში

ომის გამოცხადებისთანავე (1939 წლის 2 სექტემბერს) საფრანგეთის მთავრობამ სირია და ლიბანი „სამხედრო ზონად“ გამოაცხადა, სამხედრო წესებს დაუქვემდებარა ახლო აღმოსავლეთში და ომის მზადების მთავარ პლაცდარმად აქცია. დიდძალი ჯარი (200—300 ათასი), რასაც იქ

მოუყარეს თავი, უფრო მეტად საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ აგრესიისათვის იყო გამიზნული, ვიდრე ფაშისტური ბლოკისათვის წინააღმდეგობის გასაწევად. სამხედრო წესების შესაბამისად სამანდატო ხელისუფლებმა მკაცრი ცენზურა შემოიღეს, აკრძალეს ყოველგვარი ნასობრივი პატრიოტული გამოსვლები და კანონგარეშე გამოაცხადეს კომუნისტური პარტია.

საფრანგეთის კაპიტულაციის შემდეგ სირია და ლიბანი ჯერ ვიშის მოღალატური მთავრობის კონტროლს დაექვემდებარა, შემდეგ კი მათ ფაშისტურმა იტალიამ და გერმანიამ წაუპოტინეს ხელი. ვიშის მთავრობამ სირიაში მიავლინა ახალი სამხედრო კომისარი პროფაშისტი გენერალი დენიცი, რომელმაც კიდევ უფრო გააძლიერა იქ გაბატონებული ტერორისტული რეჟიმი. მასთან ერთად იქ ჩავიდა გერმანია-იტალიის საკონტროლო კომისია, რომლის ფორმალურ მოვალეობას შეადგენდა შეემოწმებინა, თუ როგორ სრულდებოდა დაზავების პირობები. სინამდვილეში ამ კომისიამ თავის კონტროლს დაუქვემდებარა სირიისა და ლიბანის ეკონომიკა, ტრანსპორტი, საშინაო და საგარეო ვაჭრობა, მთელი რესურსები. მან თავის ხელისუფლებას დაუქვემდებარა საფრანგეთის ახალი სამანდატო ხელისუფლება, ჩაატარა აპარატისა და არმიის წმენდა დე გოლის მომხრეებისაგან.

1949 წლის გაზაფხულზე სირია გამოყენებულ იქნა ჰიტლერელების მიერ ერაყელი ფაშისტი მეამბოხეებისათვის დახმარების ბაზად. გერმანელი მფრინავები სირიის აეროდრომებს იყენებდნენ, როცა ერაყში ეწეოდნენ ოპერაციებს ინგლისის ჯარების წინააღმდეგ.

ეს გარემოება ხელზე დაიხვია ინგლისმა, რომელმაც მებრძოლი საფრანგეთის (დე გოლის მომხრეების) ძალებთან ერთად 1941 წლის ივნისის დასაწყისში დაიწყო საომარი ოპერაციები სირიისა და ლიბანის გასაწმენდად ფაშისტური აგენტურისაგან.

სირიისა და ლიბანის ტერიტორიაზე შესელის წინ თავისუფალი საფრანგეთის წარმომადგენელმა გენერალმა კარტუმ ინგლისთან თანხმობით ამ ქვეყნებს საზეიმოდ აღუთქვა დამოუკიდებლობა.

ინგლის-საფრანგეთის ჯარებმა მოკლე დროში სძლიეს ვიშის მთავრობის შეიარაღებულ ძალებს, რომელსაც გენერალი დენიცი სარდლობდა. 8 ივნისს დაწყებული საომარი ოპერაციები 14 ივლისს დამთავრდა დენიცის კაპიტულაციით. მისი ჯარის ნაწილები ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად ინგლის-საფრანგეთის ჯარების შეტევის პროცესში მასობრივად მათ მხარეზე გადავიდა.

1941 წლის 27 სექტემბერს თავისუფალი საფრანგეთის სამხედრო ხელისუფლება სირიელი და ლიბანელი ხალხის ერთსულოვანი მო-

თხოვნის შედეგად იძულებული გახდა სისრულეში მოეყვანა დანაპირები და ეცნო სირიის დამოუკიდებლობა. ერთი თვის შემდეგ გამოცხადდა ლიბანის დამოუკიდებლობაც. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ომის დამთავრებამდე მოკავშირეთა საოკუპაციო ძალები დარჩნენ სირიასა და ლიბანში და ფორმალურად სუვერენულად ქცეულ სახელმწიფოებში ფაქტიურად შენარჩუნებულ იქნა საფრანგეთის სამანდატო ხელისუფლება.

სირიისა და ლიბანის მშრომელებმა და სხვა პატრიოტულმა ძალებმა აქტიური როლი შეასრულეს ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, რითაც გააადვილეს მოკავშირეთა გამარჯვება. განსაკუთრებით აქტიურ როლს ამ მიმართულებით ასრულებდა კომუნისტური პარტია, რომელიც ჭერქვეშეთიდან ამოვიდა და ფართოდ გაშალა მუშაობა მასების დასარაზმავად. მაგრამ ინგლის-საფრანგეთის მოკავშირეთა სარდლობა მტრულად შეხვდა მშრომელთა აქტივობას და არაფერი გაუკეთებია მათ სასარგებლოდ. მათ ეროვნული ბურჟუაზიის წარმომადგენლებიც კი არ ცნეს ღირსად მონაწილეობა მიეღოთ ქვეყნის მართვაში. საფრანგეთის სამანდატო ხელისუფლებამ და ინგლისის არმიის სარდლობამ მარიონეტული ფუნქციის შემსრულებელი მთავრობები როგორც სირიაში, ისე ლიბანში რეაქციულ-ანტიპატრიოტული, ფეოდალურ-კომპრადორული ელემენტებით დააკომპლექტეს.

სირიისა და ლიბანის ხალხები, რომლებიც აღაფრთოვანა საბჭოთა ხალხის გამარჯვებებმა დიდ სამამულო ომში, ენერგიულად განაგრძობდნენ ბრძოლას ნამდვილი ეროვნული დამოუკიდებლობისათვის. ისინი მოითხოვდნენ უცხოური ჯარების გაყვანას და ქვეყნის მართვის სადავეების მამულიშვილებისათვის გადაცემას. ინგლისი და აშშ შტატები, რომელთაც საკუთარი ეგოისტური ინტერესები ამოქმედებდათ ამ ქვეყნებში, პირფერულად მხარს უჭერდნენ მკვიდრი მოსახლეობის მოთხოვნებს. 1943 წლის მარტში საფრანგეთის საოკუპაციო ხელისუფლება იძულებული გახდა აღედგინა რესპუბლიკური კონსტიტუცია და პარლამენტის არჩევნების ნება დაერთო. არჩევნებში, როგორც სირიაში, ისე ლიბანში, გაიმარჯვეს ბურჟუაზიულმა ნაციონალისტებმა, რომელთა წარმომადგენლები სათავეში ჩაუდგნენ ახლად შექმნილ მთავრობებს[1].

ლიბანის მთავრობამ მოსახლეობის ერთსულოვანი მოთხოვნის შესაბამისად პარლამენტში გაატარა კონსტიტუციის შესწორება, რითაც ბოლო ეღებოდა სუვერენიტეტის ყოველგვარ შეზღუდვას. ამის

---

1 სირიის პრეზიდენტად აირჩიეს „ეროვნული ბლოკის“ ხელმძღვანელი შუქრი ქუათლი.

პასუხად 1943 წლის ნოემბერში საფრანგეთის საოკუპაციო სარდლობამ მოახდინა „სახელმწიფო გადატრიალება", შეიპყრო ლიბანის პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრი და რამდენიმე მინისტრი, გარეკა პარლამენტი და გააუქმა კონსტიტუცია. ლიბანის მოსახლეობა საფრანგეთის ხელისუფალთა ძალადობის ამ აქტს, როგორც მოსალოდნელია, საყოველთაო აღშფოთებით შეხვდა. მთელი ლიბანი სტიქიურად აღდგა საკუთარი სამშობლოს სუვერენიტეტის აღსადგენად. დაიწყო მასობრივი დემონსტრაციები, გაფიცვები და ძალადობის აქტები. ლიბანის დედაქალაქ ბეირუთში მრისხანე საპროტესტო დემონსტრაციები ხელჩართულ ქუჩის ბრძოლებში გადაიზარდა. მუშათა კლასმა და გლეხობამ ამჯერადაც ნათელყვეს თავიანთი მაღალი პატრიოტული მოწოდება.

ლიბანში შექმნილმა მძაფრმა პოლიტიკურმა კრიზისმა სერიოზულად შეაშფოთა ინგლისის ხელისუფლება. ყოველ წუთში მოსალოდნელი იყო ლიბანში აბობოქრებული ანტიიმპერიალისტური სახალხო მოძრაობა ინგლისის არაბულ სამფლობელოებსაც მოსდებოდა. ამიტომ იყო, რომ მან ენერგიულად მოსთხოვა საფრანგეთის ეროვნული განთავისუფლების კომიტეტს[1] დაუყოვნებლივ წასულიყო დათმობაზე და მოეწესრიგებინა ლიბანის კონფლიქტი. იზოლაციაში მოქცეული საფრანგეთის ხელისუფალნი მართლაც იძულებული გახდნენ დათმობაზე წასულიყვნენ. 22 ნოემბერს მათ გაათავისუფლეს ლიბანის დატუსაღებული ნაციონალისტი ლიდერები. 1943 წლის დეკემბერში კი საფრანგეთის ეროვნული განთავისუფლების კომიტეტის წარმომადგენელმა გენერალმა კარტუმ სირიისა და ლიბანის მთავრობებთან ხელი მოაწერა შეთანხმებას, რომლითაც დასტურდებოდა სირიისა და ლიბანის დამოუკიდებლობა.

ამის შესაბამისად 1944 წლის პირველი იანვრიდან საფრანგეთის გენერალური დელეგატი სირიასა და ლიბანში შეიცვალა დიპლომატიური წარმომადგენლით. მალე სირიამ და ლიბანმა დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარეს სსრკ-სთან, ინგლისთან, აშ შტატებთან, საფრანგეთთან და ზოგიერთ არაბულ ქვეყანასთან.

1945 წლის თებერვალში სირიამ და ლიბანმა ომი გამოუცხადეს ჰიტლერულ გერმანიას. ამან საშუალება მისცა მათ სხვა სუვერენულ სახელმწიფოებთან ერთად მონაწილეობა მიეღოთ გაერთიანებული ერების სან-ფრანცისკოს კონფერენციის მუშაობაში. იმავე 1945 წლის გაზაფხულზე სირიამ და ლიბანმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს არაბული ქვეყნების ლიგის შექმნაში.

---

[1] იგი შეიქმნა 1943 წელს ალჟირში გენერალ დე გოლის თავმჯდომარეობით და საფრანგეთის განთავისუფლებამდე დროებითი მთავრობის როლს ასრულებდა.

მაგრამ სირია და ლიბანი ჯერ კიდევ არ იყვნენ სავსებით დამოუკიდებელნი. საფრანგეთისა და ინგლისის ჯარები ისევ რჩებოდნენ მათ ტერიტორიაზე. მართალია, სირიასა და ლიბანის მთავრობებმა არაერთხელ აღძრეს უცხოური ჯარების ევაკუაციის საკითხი, მაგრამ აქედან არაფერი გამოვიდა. საფრანგეთის ხელში რჩებოდა ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის საშუალებები, სამრეწველო ობიექტების ნაწილი, გეოლოგიური ძიების საქმე და ზოგიერთი სკოლა და რელიგიური მისია.

საფრანგეთის მთავრობას ჯარის გაყვანის წინ სურდა სირიისა და ლიბანის მთავრობებისათვის თავზე მოეხვია ეკონომიური, კულტურული და სამხედრო-სტრატეგიული ხასიათის შეთანხმებები, რომლითაც იგი შეინარჩუნებდა „საგანგებო უფლებებსა" და სამხედრო ბაზებს ამ ქვეყნებში. მაგრამ სირიისა და ლიბანის მთავრობებმა სამართლიანად უარყვეს დამოუკიდებელი სახელმწიფოებისათვის შეუსაბამო ეს მოთხოვნები.

საფრანგეთის არმიის სარდლობამ ისევ აგრესიას მიმართა დამასკოში, ალეპოში, ჰომსსა და სხვა ქალაქებში. საფრანგეთის არმიამ მოიმარჯვა ავიაცია, არტილერია და სისხლით მორწყო მისი ქუჩები. ამ უხეში აგრესიის შედეგად მარტო დამასკოში მოკლულ იქნა 400 და დაიჭრა 1 500 სირიელი, დაინგრა მრავალი სახლი.

საბჭოთა კავშირმა მკაცრი პროტესტი განაცხადა სირიისა და ლიბანის ხალხის წინააღმდეგ ჩადენილი ძალადობის გამო და საფრანგეთის, ინგლისისა და ამ შტატების მთავრობებისაგან მოითხოვა კონფლიქტის მშვიდობიანი მეთოდებით მოგვარება.

მაგრამ კონფლიქტში ჩაერია ინგლისი, რომელმაც ამ შტატების ფარული თანხმობით თავის ხელში აიღო სირიასა და ლიბანში წესრიგის აღდგენის „პასუხისმგებლობა". ლიბანსა და სირიაში გადასროლილ იქნა ინგლისის ახალი ჯარები, რომლებიც დაეუფლნენ ყველა სტრატეგიულ პუნქტს და ფაქტიური კონტროლი დაამყარეს ამ ქვეყნებზე. მოკლე დროით მთელი სამხედრო ხელისუფლება საფრანგეთის სარდლობიდან ინგლისის სარდლობის ხელში გადავიდა. ინგლისის მთავრობამ ზედმეტად ჩათვალა სირიისა და ლიბანის საკითხი გენერალური ასამბლეის და უშიშროების საბჭოს დღის წესრიგში დაესვა. მან ამჯობინა ფარული მოლაპარაკებისა და შეთანხმების საგნად ექცია იგი.

ერაყი 1913—1945 წლებში

ეროვნულ - განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობა ერაყში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ. ეროვნული აჯანყება

პირველი მსოფლიო ომის დასასრულისათვის ერაყი ოკუპირებული იყო ინგლისის ჯარების მიერ. მთელი ძალაუფლება იქ ეკუთვნოდა ინგლისის სამხედრო ადმინისტრაციას, რომელსაც პოლკოვნიკი ვილსონი ედგა სათავეში. ინგლისელმა იმპერიალისტებმა, უხეშად დაარღვიეს რა მუდროსის დაზავების პირობები, მოახდინეს მოსულის ნავთობით მდიდარი რაიონის ოკუპაცია და თავიანთ მონოპოლიურ კონტროლს დაუქვემდებარეს იქ არსებული ნავთობის მთელი რესურსები და სტრატეგიული პუნქტები. ინგლისის მთავრობას ძვირად დაუჯდა ერაყის სამხედრო ოკუპაცია და იქ მრავალრიცხოვანი არმიისა და ადმინისტრაციული აპარატის შენახვა[1].

ინგლისელმა იმპერიალისტებმა ერაყშიაც, ისე როგორც სხვაგან, მოსახლეობის სხვადასხვა წრეების გათიშვისა და მათ შორის ხელოვნურად შუღლის გამოწვევის ნაცად ხერხებს მიმართეს. მათ ერთიმეორეს დაუპირისპირეს არაბები და მოსულის ოლქში კომპაქტურად მოსახლე ქურთები. თავიანთი პოლიტიკის იარაღად გამოყენებისა და არაბებისათვის დაპირისპირების მიზნით ინგლისელებმა „მეგობრობაც“ კი შესთავაზეს ქურთებს და აღუთქვეს ავტონომიური ქურთისტანის შექმნა. მაგრამ ქურთები არ წამოეგნენ ანკესზე და არ გახდნენ ინგლისელი კოლონიზატორების ბრმა იარაღი. არაბ ხალხთან ერთად ისინიც ეროვნული თავისუფლებისათვის იბრძოდნენ.

1920 წელს სან-რემოს კონფერენციაზე ერაყის ბედი გადაწყდა. იგი „სამეურვეო მანდატის“ ერთ-ერთი ობიექტი გახდა და მისი მანდატი მაოკუპირებელმა ქვეყანამ ინგლისმა მიიღო[2]. მანდატის დაწესება იმას ნიშნავდა, რომ ერაყში ფორმალურად ბოლო ეღებოდა სამ-

---

1 მარტო ერთი წლის განმავლობაში (1920 წლამდე) ინგლისმა ამ მიზნით დახარჯა 30 მილიონი გირვანქა სტერლინგი.

2 მოსული უფრო გვიან, 1925 წელს, ერთა ლიგის გადაწყვეტილებით გადაეცა ერაყს.

ხედრო მმართველობას და იქ სამოქალაქო მმართველობა მყარდებოდა. ამით ინგლისელთა კოლონიურ ბატონობას მხოლოდ ფორმა შეეცვალა, შინაარსი კი იგივე დარჩა. ისე როგორც ფრანგებს სირიალიბანში, ინგლისელებსაც ერაყში აინტერესებდათ მისი ნავთობი და სხვა სიმდიდრე, ბაზარი, მიმოსვლის საშუალებები და სტრატეგიული პუნქტები. ეს მდიდარი არაბული ქვეყანა ინგლისური კაპიტალის სარფიანი ბიზნესის ერთ-ერთი სარბიელი უნდა გამხდარიყო.

ინგლისელთა ვერაგობამ, რომელთაც დაპირებული თავისუფლების ნაცვლად კოლონიური უღელი მოახვიეს თავს ერაყს, სამართლიანად აღაშფოთა მისი მოსახლეობა. ჯერ კიდევ 1919 წელს საბჭედრო მმართველობის პერიოდში, როდესაც მანდატის საკითხი გადაუწყვეტელი იყო, ერაყის რიგ ადგილებში სტიქიურად იფეთქა ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ, რომელიც შეიარაღებულ აჯანყებებში გადაიზარდა. ამათგან ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ქურთების აჯანყება სულეიმანის პროვინციაში და არაბთა ტომებისა — აკრისა და ამადიის რაიონებში (1919 წელს).

ერაყზე მანდატის ინგლისისათვის გადაცემამ ახალი ფიცხი მასალის როლი შეასრულა და საყოველთაო ხასიათი მისცა ერაყელი ხალხის ანტიიმპერიალისტურ ბრძოლას. 1920 წლიდან შეალედისათვის მთელი ერაყი მოიცვა სახალხო აჯანყებამ ან „უკვდავმა ეროვნულმა რევოლუციამ“, როგორც უწოდებენ მას თვით ერაყელები.

იგი დაიწყო ბაღდადში და მალე მოედო შუა ევფრატის ვრცელ ტერიტორიას. მასში მონაწილეობდა ამ ვრცელ ტერიტორიაზე მოსახლე არაბული ტომების უმრავლესობა — როგორც შიიტები, ისე სუნიტები. გლეხობასთან ერთად აჯანყებას მხარი დაუჭირეს ქალაქების მშრომელებმა, პატრიოტულად განწყობილმა შიიტურმა სამღვდელოებამ და ნაწილობრივ წვრილ-საშუალო მემამულეებმა. აჯანყების ხელმძღვანელობამ მოწოდებით მიმართა მოსახლეობას, რომლითაც აჯანყების ძირითად ამოცანად ინგლისის კოლონიური ბატონობის ლიკვიდაციას და სრული დამოუკიდებლობის მოპოვებას სახავდა.

ეროვნული აჯანყება 1920 წლის ივლისიდან ოქტომბრამდე ბობოქრობდა, თუმცა უდიდეს გაქანებას მან ოქტომბრის დასაწყისისათვის მოაღწია. ამ დროისათვის აჯანყებულმა ერაყელებმა ინგლიელ კოლონიზატორებს ხელიდან გამოსტაცეს ქვეყნის დიდი ნაწილი. ოკუპანტების ხელში დარჩა რამდენიმე მსხვილი ცენტრი (ბაღდადი, ბასრა, მოსული...), ისიც ბლოკირებული აჯანყებულთა მიერ.

ინგლისელმა კოლონიზატორებმა სასწრაფო ზომები მიიღეს ამ მეტად საშიში ეროვნული აჯანყების ჩასახშობად. მათ დამატებითი ჯარის ნაწილები გადაისროლეს ერაყში და თავიდან ფეხებამდე შეია-

რაღებული უზარმაზარი არმია მიუსიეს ნახევრად უიარაღო აჯანყებულებს. დამსჯელი რაზმები ვანდალური შეუბრალებლობით მოქმედებდნენ, მიწასთან ასწორებდნენ წინააღმდეგობის ცალკეულ კერებს და მასობრივად სპობდნენ არა მარტო აჯანყებულებს, არამედ მშვიდობიან მოსახლეობასაც კი.

1920 წლის ბოლოსათვის ინგლისელებმა შეძლეს აჯანყების სისხლში ჩახშობა. ამაში მათ დაეხმარა აჯანყების სტიქიური ხასიათი, ერთიანი მოქმედების უქონლობა, რელიგიურ-ტომური შუღლი და მემამულეებისა და კომპრადორული ბურჟუაზიის გამცემლობა.

აჯანყების ჩახშობის მიუხედავად, მდგომარეობა ერაყში მაინც დაძაბული რჩებოდა. სისხლიანმა ანგარიშსწორებამ ვერ მოდრიკა ერაყელთა საბრძოლო შემართება, ვერ შეანელა მათში გაღვივებული განმათავისუფლებელი მისწრაფება. ინგლისელი იმპერიალისტები იძულებული იყვნენ ანგარიში გაეწიათ ამ გარემოებისათვის და ფეოდალურ-კომპრადორული წრეებისა და სამღვდელოების ზედაფენის თავიანთ მხარეზე გადაბირების მიზნით ზოგიერთ დათმობაზე წასულიყვნენ.

ერაყის ახალმა უმაღლესმა კომისარმა პერსი კოქსმა, რომელმაც 1920 წლის ოქტომბერში შეცვალა პოლკოვნიკი ვილსონი, ერაყელებს აღუთქვა დამოუკიდებელი არაბული სახელმწიფოსა და ეროვნული მთავრობის შექმნა. ამ დაპირების შესაბამისად იმავე წლის ოქტომბრის ბოლოს მან შექმნა სახელმწიფო საბჭო — ცენტრალური მმართველობის დროებითი ორგანო, რომლის სათავეში ჩაყენებულ იქნა უმსხვილესი ფეოდალი აბდ არ-რაჰმან ალ-გაილანი. ამ ნაბიჯმა დააჩქარა განმათავისუფლებელი ბრძოლის მეგრძოლ ძალთა გამიჯვნა, ჩამოაცილა მას მქონებელი წრეები და მით დააჩქარა აჯანყების საბოლოო დამარცხება.

1921 წელს ერაყი გამოცხადდა კონსტიტუციურ სამეფოდ. ახალი სამეფოს ტახტი ინგლისელებმა შესთავაზეს სირიიდან ფრანგების მიერ გაძევებულ მექის შერიფ ჰუსეინის შვილს ფეისალს. მართალია, ერაყელ ნაციონალისტებს თავიანთი კანდიდატი ჰყავდათ და არ სურდათ თავიანთ მეფედ ეცნოთ ინგლისელების კანდიდატი, მაგრამ ამ უკანასკნელებმა თავისი გაიტანეს და ფეისალი ერაყის ტახტზე დასვეს.

1922 წელს ერაყის ახალ სამეფო ხელისუფლებასთან ინგლისელებმა დადეს „სამოკავშირო ხელშეკრულება" (20 წლით), რომელიც იურიდიულად აფორმებდა ბრიტანეთის იმპერიალიზმისა და ერაყის ფეოდალურ-მემამულური კლასისა და კომპრადორული ბურჟუაზიის კავშირს. იგი ხელუხლებლად ტოვებდა ერაყის კოლონიურ მდგომარეობას და მანდატით ნიღბავდა მას[1]. ხელშეკრულებით ინგლისელები

[1] თუმცა სიტყვა მანდატი მასში ნახსენები არ ყოფილა, ინგლისმა მანდატორის უფლება ერაყზე იურიდიულად გააფორმა ერთა ლიგის მეშვეობით.

ინარჩუნებდნენ თავიანთ მონოპოლიურ ბატონობას ერაყის ეკონომიკაზე, კონტროლს მის მმართველობაზე, არმიაზე, სტრატეგიულ პუნქტებზე და ა. შ. ინგლისს, როგორც „ბოკავშირეს", უფლება ჰქონდა ერაყის მნიშვნელოვან ბაზებში შემდგომშიაც ჰყოლოდა ჯარის ნაწილები და საავიაციო შენაერთები.

აღნიშნული „სამოკავშირეო ხელშეკრულება" წააწყდა ერაყის მოსახლეობის ფართო ფენების სასტიკ წინააღმდეგობას. ამიტომ იყო, რომ ინგლისელებმა დიდხანს ვერ მოახერხეს მისი რატიფიკაცია. იგი მხოლოდ 1924 წელს, ინგლისელთა კატეგორიული ულტიმატუმის შემდეგ, იქნა რატიფიცირებული ერაყის ეროვნული კრების მიერ.

1924 წელს ერაყში ჩატარდა დამფუძნებელი კრების არჩევნები. დამფუძნებელმა კრებამ მიიღო ქვეყნის კონსტიტუცია, რომელმაც იურიდიულად გააფორმა კონსტიტუციური მონარქია და ახალი საარჩევნო კანონი. ახალი პარლამენტი უბრალო ფიქცია იყო, მას არ გააჩნდა რეალური უფლებები. იგი მსხვილი მემამულეების, ტომთა ბელადებისა და მაღალი სამღვდელო პირებისაგან შედგებოდა და მეფის ხელისუფლების ყურმოჭრილ მონას წარმოადგენდა.

1927 წელს ინგლისსა და ერაყს შორის დაიდო ახალი ხელშეკრულება, რომლითაც ერაყი ცნობილ იქნა „სუვერენულ" სახელმწიფოდ, მაგრამ ახალი ხელშეკრულებაც, რომლითაც 1932 წელს საბოლოოდ უნდა გაუქმებულიყო მანდატი, ინგლისი ინარჩუნებდა თავის ძველ პრივილეგიებსა და უფლებებს. ერაყში რჩებოდნენ ინგლისის ჯარი, მრჩევლები და „კონსულტანტები". ქვეყნის მთავარი სიმდიდრის — ნავთობის ექსპლოატაცია კვლავინდებურად ინგლისური კომპანიების ხელში რჩებოდა.

აღნიშნულმა ხელშეკრულებამ გამოიწვია დემოკრატიული წრეების სამართლიანი აღშფოთება, რაც მასობრივ გამოსვლებში გადაიზარდა. ამის გამო იგი არ ყოფილა რატიფიცირებული.

1930 წელს ინგლისსა და ერაყს შორის დაიდო ახალი ხელშეკრულება, რომელიც არსებითად იმეორებდა 1927 წლის ძალადაკარგული ხელშეკრულების პირობებს. ხელშეკრულება ძალაში შევიდა 1932 წელს, როცა ერაყი მიღებულ იქნა ერთა ლიგის წევრად[1].

აღნიშნული ხელშეკრულება, რომელსაც ისევ „სამოკავშირო" ფორმა ჰქონდა, ფორმალურად აუქმებდა ინგლისის მანდატს და ცნობდა ერაყის სახელმწიფოებრივ სუვერენიტეტს. იგი, 1922 წლის ხელშეკრულების მსგავსად, იურიდიულად აფორმებდა ბრიტანეთის იმპერიალიზმისა და ერაყის ფეოდალურ-მონარქისტულ კომპრადორული ფენების კავშირს. ამ ხელშეკრულებით ინგლისს, როგორც „სუვერე-

---

[1] იგი 25 წლის ვადით იყო ხელმოწერილი.

ნელი“ ერაყის „მოკავშირეს“, უფლება ჰქონდა ჰყოლოდა იქ თავისი ჯარი, ჰქონოდა საჰაერო ბაზები. ომის შემთხვევაში მას შეეძლო ესარგებლა ერაყის ბაზებითა და ტრანსპორტის საშუალებებით. მრავალრიცხოვანი ინგლისელი მრჩევლებით, ექსპერტებით და სამხედრო ინსტრუქტორებით ინგლისი ისევ ინარჩუნებდა კონტროლს ამ ქვეყნის არმიაზე, მმართველობის აპარატსა და საგარეო პოლიტიკაზე[1].

ერაყში, ისე როგორც სხვა ქვეყანაში, ინგლისელ კოლონიზატორებს ჰყავდათ თავიანთი სოციალური საყრდენი ძალები — ფეოდალ-მემამულეები, ტომთა ბელადები, კლერიკალური ზედაფენა და კომპრადორები. იგი მათ წარმომადგენლებს იზიდავდა არმიასა და მმართველობაში, აძლევდა სუბსიდიებს და ერთგულ დარაჯად ედგა მათ პრივილეგიებს, ყოველმხრივ ხელს უწყობდა ძველი ურთიერთობის კონსერვაციას. ამიტომ იყო, რომ 1918 წლიდან 30-იან წლებამდე ერაყის ეკონომიურ ცხოვრებაში არსებითად არაფერი შეცვლილა, ისევ დარჩა მსხვილი ფეოდალური ურთიერთობა, ფეოდალური კაბალა და გლეხთა მასის უმრავლესობის უმიწობა. 1932 წელს შემოღებული მიწათმფლობელობის ახალი ფორმით (ლაზმა) მსხვილი მემამულეების ხელში გადავიდა (უვადო იჯარის სახით) სახელმწიფო მიწების მნიშვნელოვანი ნაწილი. 1933 წლის კანონით სასოფლო-სამეურნეო მუშებს, თუ მათ დებიტორული დავალიანება ჰქონდათ მემამულეებთან, აეკრძალათ მამულების თვითნებური მიტოვება.

ერაყის მთავარ სიმდიდრეს, როგორც უკვე აღვნიშნავდით, წარმოადგენდა ნავთობი, რომელიც კონცენტრირებული იყო მოსულსა და კირკუის ოლქებში. მისი ექსპლოატაცია მთლიანად „ერაყ პეტროლიუმ კომპანის“ ხელში იყო. ამ კომპანიის აქციების ნახევარი ინგლისელებს ეკუთვნოდათ, დაახლოებით 25—25 პროცენტი კი — ამერიკელებსა და ფრანგებს. კომპანია ყოველწლიურად ზრდიდა ნავთის ამოღებას და დიდძალ მოგებას ღებულობდა მისი მსოფლიო ბაზარზე გატანით. ნავთის გაზიდვის გაადვილების მიზნით მან ნავთობის ძირითადი ბაზებიდან ხმელთაშუა ზღვამდე გაიყვანა ორი ნავთსადენი ხაზი (ჰაიფამდე და ტრიპოლამდე).

ხალხის მასების ბრძოლა ინგლის-ერაყის კაბალური ხელშეკრულების წინააღმდეგ

ინგლისის ნაწილობრივმა დათმობამ და მანდატის რეჟიმის „სამოკავშირო“ ხელშეკრულებით შეცვლამ ვერ დააშოშმინა ერაყი. მოსახლეობის ფართო წრეები შემდგომშიაც განაგრძობენ ბრძოლას როგორც კოლონიური დამონების, ისე რეაქციული ხროვის ჩაგვრის წინააღმდეგ. 1929—1933 წლებში ადგილი

---

1 თუმცა ფორმალურად, როგორც სუვერენულ სახელმწიფოსა და ერთა ლიგის წევრს, მას უფლება ჰქონდა დიპლომატიური ურთიერთობა ჰქონოდა გარე სახელმწიფოებთან და გაეცვალა ელჩები.

ჰქონდა არაბი და ქურთი ტომების რამდენიმე აჯანყებას. 1932 წელს განმათავისუფლებელი და კლასობრივი ბრძოლის ახალი აღმავლობის ვითარებაში აღმოცენდა ერაყის კომუნისტური პარტია. მშრომელთა ავანგარდსა და მისი ინტერესების მედგარ ქომაგს პირველი დღიდანვე მკაცრი პოლიტიკური ტერორის ვითარებაში, არალეგალურ პირობებში მოუხდა მუშაობა.

1935 წლის მარტში ერაყში იფეთქა მძლავრმა აჯანყებამ. იგი დაიწყო დივანიის, აბუ-საგირისა და სამანის რაიონების ტომთა აჯანყებებით და მალე მოედო ქვეყნის დიდ ნაწილს. მართალია, მას რელიგიური ელფერი ჰქონდა და ხელმძღვანელობაც უპირატესად საეროსასულიერო ფეოდალებს ეკუთვნოდათ, მაგრამ იგი მაინც სახალხო-ანტიიმპერიალისტური აჯანყება იყო, რომელიც იმავდროულად ინგლისის იმპერიალიზმის აგენტურის წინააღმდეგ იყო მიმართული. მის მთავარ მამოძრავებელ ძალას მშრომელი, უპირატესად გლეხური მასა წარმოადგენდა. არალეგალურად მომუშავე კომუნისტური პარტია აქტიურ მონაწილეობას იღებდა მის მომზადებასა და მიმდინარეობაში. მართალია, ინგლისელმა იმპერიალისტებმა ჩაახშეს ეს აჯანყება, მაგრამ მან ახალი ძალით იფეთქა 1936 წელს. იგიც ვრცელ რაიონებს მოედო და ასეული ათასი მშრომელი ჩაითრია თავის ფერხულში. სოფლისა და ქალაქის მშრომელთა სუსტმა კავშირმა, ერთიანი სამოქმედო პროგრამის უქონლობამ, ხელმძღვანელობაში მოქცეული ფეოდალური წრეების გამცემლობამ და კომპარტიის სისუსტემ საშუალება მისცა ინგლისელებს გასწორებოდნენ ამ აჯანყებასაც.

1935—1936 წლების აჯანყებებს, დამარცხების მიუხედავად, უკვალოდ არ ჩაუვლია. მან მნიშვნელოვანი გამოცდილება დააგროვა და ხელი შეუწყო მშრომელთა რევოლუციურ მომწიფებას. მაშინ აღმოცენდა ერთიანი ანტიიმპერიალისტური ფრონტი, რომელიც მოსახლეობის ფართო ფენებს აერთიანებდა. მას ჰქონდა სათანადო პროგრამა, რომელიც კოლონიალიზმის სრული ლიკვიდაციისა და გლეხობისათვის სახელმწიფო მიწების დანაწილების მოთხოვნებს აყენებდა. კომუნისტური პარტია ამ ფრონტის აქტიური მონაწილე და მისი პროგრამის პროპაგანდისტი იყო. აღსანიშნავია, რომ ანტიიმპერიალისტური ფრონტის რევოლუციურმა მოთხოვნებმა ეროვნული არმიის ოფიცერთა და ჯარისკაცთა რიგებშიაც შეაღწია.

აჯანყებათა პროცესში 1936 წელს ერაყის ხელისუფლებას დაეუფლნენ ინგლისელებისადმი მტრულად განწყობილი პოლიტიკური წრეების წარმომადგენლები მსხვილი მემამულის—ჰიქმეთ სულეიმანის ხელმძღვანელობით, რომელთაც მხარს უჭერდა ოფიცრობის ნაწილი, კერძოდ პატივმოყვარე გენერალი ბაქრი სიდქი. ახალმა მეფემ ღაზიმ

(1933—1939) იცნო გადატრიალების აქტი[1]. ბაღდადის მოსახლეობამ კი მხარი დაუჭირა მას, დარწმუნებულმა იმაში, რომ ახალი მთავრობა განახორციელებდა ანტიიმპერიალისტურ კურსს და გაატარებდა რადიკალურ რეფორმებს.

ამ მთავრობამ თავდაპირველად გამოაცხადა „პროგრესისა და რეფორმების" დაწყება და ორიოდე პატრიოტი-დემოკრატიც კი შეიყვანა თავის შემადგენლობაში. მისი პირველი ნაბიჯები თითქოს იმედის მომცემი იყო. მაგრამ მთავრობის რიგებში მალე იჩინა თავი სერიოზულმა განხეთქილებამ. დემოკრატიული მოღვაწეების ხალხურ-რადიკალურ მოთხოვნებს წინ აღუდგნენ მემარჯვენე ნაციონალისტები, კერძოდ სულეიმანი და ბაქრი სიდქი. პირველმა მთავრობის დემოკრატ მინისტრებს დაუწყო დევნა, მეორემ კი უშუალო მონაწილეობა მიიღო პატრიოტული დემოკრატიული პროგრამის მხარდასაჭერად აჯანყებული ტომების დარბევაში.

ყოველივე ამას მოჰყვა აღნიშნული მთავრობის ავტორიტეტის დაცემა და ხალხის მხარდაჭერის ლიკვიდაცია. ბაქრი სიდქი მისი ანტიხალხურ-ტირანული მოქმედებებით აღშფოთებული ერთ-ერთი ოფიცრის ტერორისტული თავდასხმის მსხვერპლი გახდა, ხალხისა და არმიის მხარდაჭერას მოკლებული სულეიმანი კი 1937 წლის ზაფხულში იძულებული გახდა გადამდგარიყო. ამით ისარგებლეს პროინგლისურმა ჯგუფებმა, რომლებმაც მეფე ღაზის ხელშეწყობით შეძლეს კვლავ აღედგინათ თავიანთი შერყეული პოზიციები და ხელთ ეგდოთ მთავრობის საჭე. ეს დაჯგუფება 1939 წლამდე. ე. ი. მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე იყო ხელისუფლების სათავეში.

ერაყი მეორე მსოფლიო ომის წლებში

ევროპაში მეორე მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ ერაყის მთავრობამ (ინგლისის მთავრობის დაწოლით) დიპლომატიური ურთიერთობა გაწყვიტა გერმანიასთან და 1930 წლის ხელშეკრულების შესაბამისად ინგლისთან სამხედრო თანამშრომლობაზე აიღო კურსი. მაგრამ პროინგლისური ორიენტაციის მქონე ჯგუფებთან ერთად ერაყში ფეხი მოიკიდეს პროფაშისტურმა ელემენტებმაც, რომლებიც მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული ფაშისტური გერმანიისა და იტალიის აგენტურასთან. ამ აგენტურამ კი მეორე მსოფლიო ომის შემზადების წლებში ხელისუფალთა წაყრუების მეოხებით ენერგიული ძირგამომთხრელი საქმიანობა გააჩაღა.

ამ საქმიანობამ მალე გამოიღო ნაყოფი. ფაშისტურ გერმანიასთან დაკავშირებულმა წრეებმა, რომელთა ხელმძღვანელიც იყო რაშიდ ალი გაილანი, 1941 წლის აპრილში მოახდინეს სახელმწიფო გადატრიალება. ახალმა მთავრობამ სირიის ტერიტორიის მეშვეობით

[1] ფეისალის შვილი იყო. ფეისალი 1933 წელს გარდაიცვალა.

კონტაქტი დაამყარა გერმანიასთან, მიიღო მისგან თვითმფრინავები და სხვა საჭიროელი და მაისში საომარი ოპერაციები დაიწყო ერაყში განლაგებული ინგლისის ჯარების წინააღმდეგ. მის ოპერაციებს ხელს უწყობდა ფაშისტური ავიაცია, რომელიც სირიის ბაზებს იყენებდა. მოსახლეობის ფართო წრეებმა მხარი არ დაუჭირეს გაილანის ავანტიურას, ინგლისმაც, თავის მხრივ, გადამწყვეტი ზომები მიიღო ამ მისთვის მეტად საშიში აჯანყების მოკლე დროში ჩასახშობად. ერთი თვის გააფთრებული ბრძოლების შემდეგ გაილანის მომხრეები დამარცხდნენ, მაისის ბოლოსათვის ინგლისის არმიამ ავიაციის დახმარებით აიღო ბაღდადი და ბოლო მოუღო აჯანყებას.

1941 წლის ივნისიდან ერაყის მთავრობაში ისევ პროინგლისური მემარჯვენე წრეები მოექცნენ სათავეში. პრემიერის პოსტი დაიკავა 1936 წელს ერაყიდან გაძევებულმა ნური საიდმა. ახალმა მთავრობამ, რომელმაც 1941 წლის ივნისში დიპლომატიური ურთიერთობა გაწყვიტა იტალიასთან, 1942 წლის აგვისტოში კი იაპონიასთან, 1943 წლის იანვარში ომი გამოუცხადა გერმანიას.

ომმა ღრმა კვალი დააჩნია ერაყის ცხოვრებას. მის შედეგად მკვეთრად შემცირდა მისი საგარეო ვაჭრობა, გაძლიერდა სასურსათო სიძნელეები, მეურნეობის ყველა დარგის დაცემას მოჰყვა სამეურნეო ქაოსი, არნახული ხასიათი მიიღო ინფლაციამ, სპეკულაციამ და სიძვირემ. ყოველივე ამან მძაფრად დაარტყა გლეხობას, მუშათა კლასსა და ქალაქის ღარიბობას, რომელიც მანამდეც წელზე ფეხს იდგამდა და დუხჭირად ცხოვრობდა. მისი შედეგი იყო მასების რევოლუციური აქტივობის ზრდა, მუშათა კლასის ხელმძღვანელი როლის ამაღლება განმათავისუფლებელ ბრძოლაში და კომუნისტური პარტიის გავლენის გაძლიერება.

ომის წლებში, კერძოდ 1943 წლიდან ახალი ძალით გაიშალა ქურთი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. თუ მანამდე მას ძირითადად ტომთა ბელადები, მსხვილი ფეოდალები და კომპრადორული წრეები ედგნენ სათავეში, ამიერიდან იგი ქურთთა დემოკრატიული პარტიის ხელში გადავიდა. ამ პარტიის პროგრამაში შედიოდა ინგლისის იმპერიალიზმის ბატონობის სრული ლიკვიდაცია, მონარქიის დამხობა, ეროვნული თვითგამორკვევა, მშრომელთა ინტერესების შესაბამისი დემოკრატიული რეფორმების გატარება. 1943 წლიდან ქურთისტანის ტერიტორიაზე გაშლილ აჯანყებას უშუალო ხელმძღვანელობას უწევდა დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელი მუსტაფა ბარზანი. ბრძოლა აჯანყებულებსა და მთავრობის ჯარებს შორის მიმდინარეობდა 1945 წლამდე, როცა ბარზანი და მისი მომხრეები ირანის ქურთისტანის ტერიტორიაზე გადავიდნენ, რათა შესვენებისა და ძალების მოკრეფის შემდეგ ახალი ენერგიით გაეშალათ ბრძოლა საკუთარი სამშობლოს უკეთესი მომავლისათვის.

ჩრდილო აფრიკის არაბული ქვეყნები 1918—1945 წლებში

ჩრდილო აფრიკის არაბული ქვეყნები — მაროკო, ალჟირი და ტუნისი, რომელთაც არაბები მაღრიბს (დასავლეთის ქვეყანას) უწოდებდნენ, პირველი მსოფლიო ომის დასასრულისათვის საფრანგეთის უუფლებო კოლონიები იყვნენ[1]. ამათგან ალჟირი ტიპიური კოლონია იყო, რომელსაც საფრანგეთის გენერალ-გუბერნატორი განაგებდა; მაროკო და ტუნისი კი ფორმალურად პროტექტორატებს წარმოადგენდნენ, რომელთაც საფრანგეთის რეზიდენტთან ერთად ადგილობრივი მმართველებიც ჰყავდათ.

მაღრიბის არაბულ-ბერბერული მოსახლეობის ძირითადი მასა სოფლად და ოაზისებში ცხოვრობდა და სოფლის მეურნეობაში იყო დასაქმებული. უდაბნოს ზონაში მომთაბარეების ძირითად საქმიანობას მეცხოველეობა შეადგენდა[2]. იმპერიალისტური კაბალა იქ გადახლართული იყო მძიმე ფეოდალურ ექსპლოატაციასთან. ქალაქები შედარებით ცოტა იყო, კაპიტალისტური მრეწველობა კი — ძალზე სუსტად განვითარებული. თუ მხედველობაში არ მივიღებთ ხმელთაშუა ზღვისა და ატლანტის ოკეანის ვიწრო სანაპირო ზონის ორიოდე ქალაქს. ალჟირის, ორანისა და კასაბლანკას ჩათვლით, მაღრიბის ქვეყნებში ფეოდალური ყოფის ფორმებთან ერთად ჯერ კიდევ ძლიერი იყო გვარტომული ურთიერთობის გადმონაშთები და მუსლიმანური სამღვდელოების ძალა.

ორმაგი ჩაგვრა, სრული უუფლებობა, კოლონიურ და საშხედრო ხელისუფალთა აღვირახსნილი თვითნებობა, უცხოურ მონოპოლიურ გაერთიანებათა მიერ ქვეყნის ბუნებრივი რესურსების მტაცებლური მითვისება, ეროვნული დისკრიმინაცია და არაბული კულტურის ჩახშობა ადგილობრივი მოსახლეობის ფართო ფენებს განაწყობდა კოლონიზატორების წინააღმდეგ მედგარი ბრძოლისაკენ და ქმნიდა პირობებს სახალხო-განმათავისუფლებელი ბრძოლისათვის.

---

1 მაროკოს ჩრდილო ნაწილი ესპანეთს ეკუთვნოდა, ტანჟერის ნავსადგური კი „საერთაშორისო ზონას" წარმოადგენდა.

2 იგი ძირითადად საჰარის ზონაში იყო გავრცელებული. ამ საქმეში განსაკუთრებით დაოსტატებული იყვნენ ტუარეგთა ტომები.

საფრანგეთის კოლონიური რეჟიმი ალჟირში. ალჟირელი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა პირველ და მეორე მსოფლიო ომებს შორის პერიოდში

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ალჟირელ ხალხზე და გააძლიერა მისი საბრძოლო სული. მის შედეგად ახალი ძალით გაიშალა ალჟირელი ხალხის ბრძოლა ფრანგ კოლონიზატორთა წინააღმდეგ. ამ ბრძოლის ავანგარდში ჩადგნენ ის ათეული ათასი ალჟირელი მშრომელები, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ პირველ მსოფლიო ომში და ომის დამთავრების შემდეგ უკან დაბრუნდნენ. მათთვის ხომ, როგორც ლენინი მიუთითებდა, ომში მონაწილეობა და საზღვარგარეთ გამგზავრება თავისებური პოლიტიკური სკოლა იყო. უცხო სახელმწიფოების გაცნობამ, ფრანგ და სხვა ქვეყნების მშრომელებთან უშუალო კონტაქტმა, მათი აზრებისა და გულისნადების გაზიარებამ გააფართოვა მათი გონებრივი ჰორიზონტი და პოლიტიკური შეგნება.

ომის წლებში კოლონიზატორების მიერ ალჟირელი მშრომელებისათვის დაკისრებულმა მძიმე ტვირთმა (ცოცხალი ძალის მობილიზაცია, მრავალი გამოსაღები, სურსათის მასობრივი გაზიდვა, გასამხედროებული შრომა, სამხედრო რეჟიმი), წლობით დაგროვილმა უკმაყოფილებამ 1918 წლიდან ალჟირში მოამზადა ნიადაგი მასობრივი მღელვარებისათვის. მშრომელ მასებთან ერთად მოძრაობაში ჩაებნენ წვრილ-ბურჟუაზიული წრეები, პატრიოტული ინტელიგენცია, კულტის მსახურები და ეროვნული ბურჟუაზია.

ფრანგმა კოლონიზატორებმა განიზრახეს თავიდან აეცილებინათ მასობრივი მღელვარების გადაზრდა სახალხო-განმათავისუფლებელ ბრძოლაში და ამ მიზნის მისაღწევად განახორციელეს ზოგიერთი ზედაპირული სარეფორმო ღონისძიება: 1919 წლის თებერვალში გამოქვეყნდა დეკრეტი, რომელიც აუქმებდა გამოსაღების გადახდისას ფრანგ კოლონისტებსა და ალჟირელებს შორის არსებულ განსხვავებას, თანაც ალჟირელთა ნაწილს — მსხვილ მემამულეებს, ვაჭრებს, კოლონიური აპარატის მოხელეებს, ფრანგული დიპლომებისა და ჩინ-ორდენების მქონე პირებს, აგრეთვე საფრანგეთის არმიის ყოფილ ოფიცრებსა და ჯარისკაცებს—ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში ანიჭებდა საარჩევნო უფლებას.

მაგრამ აღნიშნულ დეკრეტს, ალჟირის ექსპლოატატორულ ზედაფენის გულის მოსაგებად რომ იყო განკუთვნილი, არ შეუცვლია მკვიდრი მოსახლეობის არათანასწორუფლებიანი მდგომარეობა. იგი

არ შეხებია მკვიდრთა კოდექსს, რომლითაც იზღუდებოდა ალჟირელთა უფლებები, და მათ, საფრანგეთის სრულუფლებიან მოქალაქეთაგან (ე. ი. ფრანგ კოლონისტთა) განსხვავებით, „ქვეშევრდომებს" უწოდებდნენ. მას ოდნავადაც არ შეურბილებია ის რასობრივი დისკრიმინაცია, რასაც სისტემატურად იყენებდნენ კოლონიზატორები მკვიდრი არაბი, ბერბერი და ტუარეგი მოსახლეობის მიმართ.

1919 წლის დეკრეტმა არა თუ მშრომელი მასა, ეროვნული ბურჟუაზიაც კი ვერ დააკმაყოფილა, გაუცრუა მას მშვიდობიანი გზით რეფორმების გაფართოვებისა და საკუთარი კლასობრივი ინტერესების დაკმაყოფილების იმედები. ამიტომ იყო, რომ მან კოლონიური ხელისუფლებისადმი ოპოზიციაში დგომის გზა აირჩია; ამ კლასის ინტერესების გამომხატველმა, ემირმა ჰალიდმა — ალჟირელი ხალხის სახალხო გმირის, განმათავისუფლებელი ბრძოლის გამოჩენილი ორგანიზატორის აბდ-ელ-ყადერის შვილმა[1], 1920 წელს დააარსა „ახალგაზრდა ალჟირელის" პარტია, რომელიც მოითხოვდა ალჟირელებისა და ფრანგების სრულ თანასწორუფლებიანობას, რასობრივი ზღუდეების ლიკვიდაციას, ალჟირის მკვიდრი მოსახლეობისათვის საფრანგეთის პარლამენტში წარმომადგენლების მიცემას, პრესისა და კავშირების თავისუფლებას. ეს იყო ზომიერი ბურჟუაზიული მოთხოვნები, რომელთა მიღწევაც კი იდეალად ჰქონდათ დასახული ალჟირელ პატრიოტებს.

1920 წელი სხვა მხრივაც აღსანიშნავია ალჟირელი ხალხის ცხოვრებაში. ამ წელს შეიქმნა საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ალჟირის ფედერაცია. თავდაპირველად იგი მარტო ალჟირში მცხოვრებ ფრანგ მუშებს აერთიანებდა და მხოლოდ უფრო გვიან გაუღო თავისი კარი არაბ და ბერბერ მუშებს. მან შეინარჩუნა მჭიდრო კავშირი საფრანგეთის კომუნისტურ პარტიასთან, მაგრამ თავის პროგრამაში შეიტანა ისეთი მუხლები, როგორიც იყო კოლონიური რეჟიმის შეწყვეტა, ალჟირისათვის ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვება, საფრანგეთის ჯარების გამოყვანა და ა. შ.

1926 წელს საფრანგეთში მცხოვრებმა ალჟირელმა მუშა-ემიგრანტებმა და მოსწავლე სტუდენტებმა დააარსეს „ჩრდილო აფრიკის ვარსკვლავის" ნაციონალისტური კავშირი. ეს იყო წვრილბურჟუაზიული ორგანიზაცია, რომელიც მიზნად ისახავდა ჩრდილო აფრიკის მუსლიმანი მოსახლეობის „მატერიალური, მორალური და სოციალური ინტერესების" დაცვას. უფრო გვიან მან ალჟირის სრული განთავისუფლების მოთხოვნაც კი წამოაყენა, რისთვისაც 1929 წელს დაშალა საფრანგეთის ხელისუფლებამ (თუმცა სხვა სახელწოდებით — ჩრდილო

---

1 პირველ მსოფლიო ომში იგი ოფიცრის ჩინით საფრანგეთის არმიაში მსახურობდა და 1920 წელს დაბრუნდა უკან.

აფრიკინ მუსლიმანთა ეროვნული კავშირი — შემდეგშიაც განაგრძობდა არსებობას).

1927 წელს „ახალგაზრდა ალჟირელი“ შეცვალა „მკვიდრთა წარმომადგენლების ფედერაციამ“. ასეთი სახელი მიიღო მან იმიტომ, რომ მის რიგებში შევიდნენ მუნიციპალიტეტებისა და პროვინციული საბჭოების დეპუტატი ალჟირელები და ფინანსურ დაწესებულებათა წარმომადგენლები.

იმავე 1927 წელს აღმოცენდა რჩეულ მუსლიმანთა ფედერაცია და ულემთა კავშირი. აღნიშნულ ორგანიზაციებში, როგორც სახელწოდება მიგვითითებს, უპირატესად კულტს მსახურები იყვნენ გაერთიანებული. ისინი მიზნად ისახავდნენ ეროვნული კულტურისა და ენის დაცვას.

1929—1933 წლების მსოფლიო ეკონომიურმა კრიზისმა თავისი დაღი დააჩნია ალჟირს. ღრმა ეკონომიურმა კრიზისმა მკვეთრად დასცა წარმოების მოცულობა, სოფლის მეურნეობის პროდუქცია, ტრანსპორტის ტვირთბრუნვა და საგარეო ვაჭრობა. ყოველივე ამან წარმოშვა მასობრივი უმუშევრობა, მკვეთრად გააუარესა ქალაქის მშრომელების ყოფა, გააჩანაგა გლეხობა და მძლავრი ბიძგი მისცა მათ ბრძოლას ადამიანური უფლებებისათვის. კოლონიური ხელისუფლების ცდამ—მკვიდრი მოსახლეობისათვის დაეკისრებინა კრიზისის მთელი სიმძიმე, თანაც გაძლიერებული რეპრესიებით ჩაეხშო მის შედეგად წარმოშობილი სახალხო მღელვარება, ცეცხლზე ნავთი დაასხა და გააძლიერა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა.

ამ დროიდან მოკიდებული ალჟირელი ხალხის ბრძოლა ფრანგ კოლონიზატორთა წინააღმდეგ წინა წლებში შექმნილი ნაციონალისტური ორგანიზაციების ხელმძღვანელობით მიმდინარეობს. ამ ორგანიზაციებს შორის ერთ-ერთი წამყვანი როლი ეკუთვნოდა „ჩრდილო აფრიკის ვარსკვლავის“ კავშირს, რომელმაც 1933 წელს ალჟირისათვის დამოუკიდებლობის მიცემის მოთხოვნა წამოაყენა.

სახალხო ფრონტის დიდმა წარმატებამ საფრანგეთში და სახალხო ფრონტის მთავრობის შექმნამ 1936 წელს ხელსაყრელი პირობები შეუქმნა როგორც მშრომელთა კლასობრივ ბრძოლას ალჟირში, ისე ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შემდგომ განვითარებას. ალჟირელი კომუნისტები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ყოველგვარ პატრიოტულ წამოწყებასა და მოძრაობაში და ცდილობდნენ ორგანიზებული სახე მიეცათ სტიქიურად აღმოცენებული გამოსვლებისათვის. ისინი შედიოდნენ 1936 წელს შექმნილ მუსლიმანთა კონგრესში[1], რომელსაც ერთიანი სახალხო ფრონტის სახე

[1] იგი აერთიანებდა „ულემ-რეფორმატორთა კავშირს“, „მკვიდრთა წარმომადგენლების ფედერაციას“ და სხვა ნაციონალისტურ ორგანიზაციებს.

ჰქონდა. კონგრესმა მჭიდრო კავშირი დაამყარა საფრანგეთში მოქმედ ერთიან ფრონტთან, დადებითად შეაფასა ერთიანი ფრონტის მთავრობის მიერ ალჟირელი მოსახლეობისათვის მინიჭებული ზოგიერთი დემოკრატიული უფლება, თანაც გამოაქვეყნა ეროვნული ქარტია. ფერჰათ აბასი, ბენ ჯელული და კონგრესის სხვა ხელმძღვანელი ნაციონალისტები იმედოვნებდნენ მშვიდობიანი მეთოდებით, საფრანგეთთან მჭიდრო თანამშრომლობით, ერთიანი ფრონტის მთავრობისათვის მხარის დაჭერით განეხორციელებინათ ქარტიის ძირითადი მოთხოვნები: ალჟირელთა თანასწორუფლებიანობა და მათთვის საფრანგეთის მოქალაქის სტატუტის მინიჭება.

1936 წლის 17—18 ნოემბერს ალჟირში ჩატარდა ალჟირის კომუნისტური პარტიის დამფუძნებელი ყრილობა. მისი ბირთვი გახდა საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ალჟირის ფრაქციის — ალჟირელთა შემადგენლობა. ამიერიდან ალჟირის კომუნისტური პარტია, რომელმაც შეინარჩუნა მჭიდრო კონტაქტი მეტროპოლიის კომუნისტურ პარტიასთან, არსებობს და მოქმედებს როგორც დამოუკიდებელი პარტია. მან თავის ძირითად საბრძოლო ამოცანად გაიხადა ბრძოლა ალჟირელი მუშებისა და ყველა მშრომელის ინტერესებისათვის, ქვეყნის განთავისუფლება ფეოდალურ-კაპიტალისტური ჩაგვრისა და იმპერიალისტური კაბალისაგან.

კომუნისტური პარტიის ინიციატივით და მონაწილეობით იმავე 1936 წელს შეიქმნა სახალხო ერთიანობის კომიტეტი, რომელმაც მიზნად დაისახა ალჟირის პატრიოტული დემოკრატიული ძალების ერთიანი ფრონტის შექმნა და საფრანგეთის ერთიანი ფრონტის მთავრობის იმ დემოკრატიული რეფორმების ჭეშარდაჭერა, რომლებიც აფართოებდნენ მკვიდრი მოსახლეობის საარჩევნო უფლებებს.

1937 წელს ჩრდილო აფრიკის მუსლიმანთა ეროვნული კავშირის ბაზაზე მასალი ჰაჯიმ დააარსა ალჟირელი ხალხის პარტია. მან მოითხოვა ალჟირის სრული გამოყოფა საფრანგეთიდან და მიწების ფელაჰებისათვის გადაცემა. 1938 წელს ამ პარტიამ სერიოზული წარმატება მოიპოვა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების დროს. 1938 წელს ალჟირში შეიქმნა ეროვნული ბურჟუაზიის ინტერესების გამომხატველი მსხვილი პარტია—ალჟირის სახალხო კავშირი, რომლის დამაარსებელი იყო ფერხათ აბასი.

ალჟირი მეორე მსოფლიო ომის წლებში

სახალხო ფრონტის დაშლამ და რეაქციის გაძლიერებამ საფრანგეთში, ხოლო შემდეგ მეორე მსოფლიო ომის დაწყებამ მკვეთრად შეცვალა ვითარება ალჟირში.

1939 წელს საფრანგეთის ახალმა ხელისუფლებამ ალჟირელ ხალხს წაართვა სახალხო ფრონტის მთავრობის დროს მოპოვებული

დემოკრატიული სოციალურ-პოლიტიკური მონაპოვარი, აკრძალა ალ-ჟირის კომუნისტური პარტია, პროფესიული კავშირები, ალჟირელი ხალხის პარტია და სხვა პატრიოტული ორგანიზაციები. კომუნის-ტურმა პარტიამ, კოლონიური რეპრესიების მიუხედავად, მაინც შეძ-ლო არალეგალურად განეგრძო მუშაობა. რაც შეეხება ბურჟუაზიულ და წვრილბურჟუაზიულ პარტიებს, მათ ფაქტიურად შეწყვიტეს არსებობა.

საფრანგეთის დამარცხებისა და კაპიტულაციის შემდეგ (1940 წლის ივნისში), რასაც მოჰყვა პეტენ-ლავალის (ვიშის) რეაქციულ-გამცემლური რეჟიმის დამყარება საფრანგეთში, ალჟირი მაროკოსა და ტუნისთან ერთად ფაშისტური ბლოკის კონტროლქვეშ მოექცა. ჰიტლერულმა გერმანიამ და ფაშისტურმა იტალიამ პეტენის მარიო-ნეტული მთავრობის ხელშეწყობით[1] ხელი წაუპოტინეს ალჟირს. გერმანია-იტალიის მისიების პარპაშმა და ვიშის მთავრობის მიერ დამყარებულმა პოლიციურმა ტერორმა მეტად მძიმე მდგომარეობა შექმნა ალჟირში. მან აუტანელი გახადა მშრომელთა ისედაც ავბე-დი ცხოვრება. მაგრამ საფრანგეთთან ტრადიციული კავშირ-ურთი-ერთობის დარღვევამ, მეორე მხრივ, ხელი შეუწყო ალჟირის მრეწ-ველობის რამდენადმე განვითარებას და გააფართოვა ეროვნული ბურ-ჟუაზიის საქმიანობის სფერო.

ევროპელი კაპიტალისტები, მსხვილი კოლონისტები, ადგილობ-რივი მსხვილი მემამულეები და ვაჭარ-მრეწველები, რომელთაც ხელი მოითბეს ახალი ვითარებით, თანამშრომლობდნენ ვიშის მთავრო-ბასთან და გეზი ფაშისტურ გერმანიაზე ჰქონდათ აღებული. რაც შე-ეხება ეროვნული ბურჟუაზიის უმეტესობას, პატრიოტულ ინტელიგენ-ციას და ევროპული მოსახლეობის ნაწილს, მათ ინგლისისა და აშ შტატების იმედი ჰქონდათ და მათი მეშვეობით მოელოდნენ „ხსნას“.

აქტიურ ბრძოლას ვიშის გამყიდველური მთავრობის პოლიტი-კური რეჟიმისა და იტალია-გერმანიის „დაზავების პირობების დაც-ვის სამეთვალყურეო“ კომისიის თვითნებობის წინააღმდეგ აწარ-მოებდა მარტო ალჟირის მოწინავე ნაწილი (მშრომელთა უფრო შეგნებული ჯგუფების პატრიოტული ინტელიგენციისა და მოსწავ-ლე ახალგაზრდობის სახით). ამ ბრძოლას კომუნისტური პარტია ედ-გა სათავეში. ამიტომ იყო, რომ პოლიციური ტერორის სუსხი, უპირველეს ყოვლისა, კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ იყო მიმარ-თული. საერთოდ, 1940—1942 წლებში გლეხებისა და მუშათა მნიშ-

---

[1] ალჟირი, მაროკო, ტუნისი საფრანგეთის სამხრეთ ნაწილთან ერთად პეტენის მთავრობის ადმინისტრაციას დაექვემდებარა.

ვნელოვანი ნაწილის პასივობის გამო ალჟირში არ ყოფილა მასობრივი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა.

ვითარება ალჟირში შეიცვალა 1942 წლის მიწურულიდან. როცა ჩრდილო აფრიკაში გადასხდნენ ინგლის-ამერიკის ჯარები და დაიწყო იქიდან ღერძის სახელმწიფოს გაძევება. ამ დროიდან მოკიდებული საფრანგეთის კოლონიურმა ხელისუფლებამ ალჟირში მჭიდრო კავშირი დაამყარა მოკავშირეთა სარდლობასთან. 1943 წლიდან კი ალჟირის მმართველობა მებრძოლი საფრანგეთის — დე გოლისა და მისი მომხრეების ხელში გადავიდა. ალჟირი გახდა საფრანგეთის ეროვნული 'განთავისუფლების კომიტეტის დროებითი ადგილსამყოფელი.

ალჟირის მოსახლეობის დიდი უმრავლესობა აღფრთოვანებით შეეგება ინგლის-ამერიკის ჯარების გადასხმას, ვიშის კოლონიური ხელისუფლების ლიკვიდაციას და მომდევნო ცვლილებებს. მათ იმედი ჰქონდათ, რომ ახალი ხელისუფალნი გულისხმიერად მოეკიდებოდნენ ალჟირელი ხალხის ეროვნულ მისწრაფებებს და ხელს შეუწყობდნენ მის რეალიზაციას. 1943 წლის თებერვალში ალჟირელმა ბურჟუაზიულმა ნაციონალისტებმა ფერჰათ-აბასმა, ბენ ჯელულმა და სხვებმა გამოაქვეყნეს მანიფესტი ალჟირელი ხალხისადმი, რომელშიც მოითხოვდნენ კოლონიური რეჟიმის ლიკვიდაციას, ალჟირელი ხალხის თვითგამორკვევას, ომის დამთავრების შემდეგ ალჟირის რესპუბლიკის გამოცხადებას, ალჟირში მცხოვრები ყველა ხალხის (რელიგიისა და ეროვნული განსხვავების მიუხედავად) სრულ თანასწორუფლებიანობას, დემოკრატიული რეფორმების გატარებას და ა. შ.

მაგრამ მოკავშირეთა სარდლობამ და მებრძოლი საფრანგეთის ხელისუფლებამ უყურადღებოდ დატოვეს ეს მანიფესტი, ხელი არ ახლეს პეტენ-ვიშის მთავრობის კოლონიურ მოხელეებს, არ აღადგინეს რესპუბლიკის კანონები. ალჟირელი მოსახლეობის მიმართ სერიოზულ დათმობაზე წასვლის ნაცვლად მათ რეპრესიული ზომები მიიღეს მანიფესტის ავტორების მიმართ და ფერჰათ აბასი და სხვა ნაციონალისტები საჰარის უდაბნოში გაასახლეს. ერთადერთი, რაც ახალმა ხელისუფლებმა მასების ენერგიული მოთხოვნის შედეგად გაატარეს, იყო კომუნისტური პარტიისა და წვრილბურჟუაზიული ნაციონალისტური ორგანიზაციებისათვის ლეგალური საქმიანობის უფლების მიცემა და ზოგიერთი პატრიოტის გათავისუფლება საპყრობილეებიდან.

ალჟირის კომუნისტური პარტიის ეროვნულმა კონფერენციამ, რომელიც 1943 წლის გაზაფხულზე ჩატარდა, მთელ რიგ სამართლიან ნაციონალურ მოთხოვნებთან ერთად მოუწოდა ალჟირის მოსახლეობას ეთანამშრომლა საფრანგეთის ეროვნულ განთავისუფლების კომიტეტთან და აქტიური მონაწილეობა მიეღო ფაშიზმის წინააღმდეგ ომში. ამ მოწოდებამ აქტიური გამოხმაურება პოვა ალჟირელთა

შორის. მისი შედეგი იყო მებრძოლი საფრანგეთის ჩრდილო აფრიკული ფილიალის შექმნა და დე გოლის მომხრეთა არმიაში 300 ათასამდე ალჟირელის შესვლა. ალჟირის მოსახლეობა, რომელსაც კომუნისტები აძლევდნენ პირად მაგალითს, აქტიურად იბრძოდა ფაშისტური ხროვის წინააღმდეგ ტუნისში, იტალიასა და საფრანგეთში. ალჟირელებს იმედი ჰქონდათ, რომ მათგან დაღვრილი სისხლი უკვალოდ არ ჩაივლიდა და რომ ომის წარმატებით დამთავრების შემდეგ მათი სამშობლო თავისუფლებას მოიპოვებდა.

1944 წლის მარტში ალჟირის ახალმა ხელისუფლებამ ალჟირის მოსახლეობის ზედა ფენის მოსაგებად და უკმაყოფილების შესანელებლად ალჟირელებს (21 წლის ასაკის ზევით) უფლება მისცა თვითმმართველობის ორგანოებში (მუნიციპალურ და გენერალურ საბჭოებში) აერჩიათ დეპუტატთა საერთო რაოდენობის 2/5-დი, თანაც ფეოდალ-მემამულეებს, მსხვილ ბურჟუებს, მოხელეებსა და ინტელიგენციას (50—60 ათას კაცს) მიენიჭათ საფრანგეთის მოქალაქის უფლებები. მაგრამ ამ ზედაპირულ დათმობას არაფერი მიუცია მოსახლეობის დიდი უმრავლესობისათვის და არ შეუცვლია მათი უუფლებო მდგომარეობა. ამიტომ იყო, რომ იმავე 1944 წლის მარტში ლეგალურად შექმნილმა „მანიფესტისა და თავისუფლების მეგობართა" ასოციაციამ, რომელსაც ბურჟუაზიული ნაციონალისტები ედგნენ სათავეში, მოითხოვა ალჟირის ავტონომიური რესპუბლიკის შექმნა საფრანგეთის ფედერაციის ჩარჩოებში. აღნიშნულმა ორგანიზაციამ (რომელშიც გაერთიანდნენ მუშათა და ვაჭართა მუსლიმანური პროფკავშირები, ალჟირის ხალხის პარტია, ალჟირელ ულემთა კავშირი და ა. შ.) დიდი გავლენა მოიპოვა ალჟირში.

საფრანგეთის ხელისუფალნი და ევროპელი მდიდარი კოლონისტები, რომლებიც ძალზე დააშინა ამ გაერთიანების გავლენის ზრდამ და მასობრივი უკმაყოფილების გაძლიერებამ, მხოლოდ ჩელსაკრელ საბაბს ეძებდნენ მისი აკრძალვისათვის. ასეთ საბაბად მათ გამოიყენეს 1945 წლის 8 მაისს მოწყობილი ხალხმრავალი დემონსტრაციები ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების აღსანიშნავად. ასეთი დემონსტრაციები გაიმართა ქ. ალჟირში, სეთიფეში, გელმსა და სხვა ადგილებში. პოლიციელებმა სროლა აუტეხეს და დახვრიტეს ეს მშვიდობიანი დემონსტრანტები, რითაც სამართლიანად აღაშფოთეს ალჟირის მოსახლეობა. ამ დახვრეტის პასუხად აღმოსავლეთ ალჟირის (ქაბილია...) 20 მსხვილ ცენტრში სტიქიურად იფეთქა მოსახლეობის შეიარაღებულმა ეროვნულმა აჯანყებამ, რომლის დროსაც აჯანყებულებმა დაარბიეს მსხვილ კოლონისტთა კარმიდამო, საპოლიციო უბნები, ყაზარმები და კომუნიკაციები, მაგრამ აჯანყება არაორგანიზებული იყო, აჯანყებულებს აკლდათ იარაღი, სამოქმედო გეგმა და წესიერი

ხელმძღვანელობა. ამით ისარგებლეს ფრანგმა კოლონიზატორებმა, რომლებმაც მოკლე დროში სისხლში ჩაახშეს აჯანყება და სიცოცხლეს გამოასალმეს 40 ათასამდე ალჟირელი. ალჟირის ეროვნული განთავისუფლების ამოცანა ისევ გადაუწყვეტელი დარჩა.

მაროკო 1918—1945 წლებში

პოლიტიკური მდგომარეობა მაროკოში პირველი მსოფლიო ომის შემდეგ. მაროკოელი ხალხის ეროვნულ - განმათავისუფლებელი ბრძოლა. რიფის რესპუბლიკის შექმნა

პირველი მსოფლიო ომის დასასრულისათვის მაროკო გაყოფილი იყო საფრანგეთსა და ესპანეთს შორის. ქვეყნის უდიდესი ნაწილი (12/13-დი) საფრანგეთის პროტექტორატს ემორჩილებოდა, მცირე ჩრდილო მთიანი ნაწილი — ესპანეთს, ტანჟერის ოლქი კი საერთაშორისო ზონად იყო გამოყოფილი.

ფორმალურად მაროკოს სულთანი მართავდა. სინამდვილეში კი — საფრანგეთისა და ესპანეთის უმაღლესი კომისრები. მაროკოს მთიანი ნაწილის თავისუფალი ტომები (მაღალი და ჩრდილო ატლასის რაიონების უმეტესობა) არ ცნობდნენ კოლონიზატორთა ხელისუფლებას და მათი ბელადების ხელმძღვანელობით იარაღით იბრძოდნენ დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად.

ფრანგმა და ესპანელმა კოლონიზატორებმა ხელუხლებლად დატოვეს მაროკოს ბარში დამკვიდრებული ფეოდალური ურთიერთობა, ისე როგორც მთიანეთში შემორჩენილი გვარტომეული და თემური ყოფა. ფრანგ კოლონიზატორთა მიერ მოხდენილი ცვლილებები მხოლოდ იმაში გამოიხატა, რომ მათ ხელთ იგდეს მკვიდრთა კუთვნილი ნოყიერი მიწები (1 მილიონამდე ჰექტარი), წიაღისეული, ტყის მასივები, ტრანსპორტი, ელსადგურები, მრეწველობის წამყვანი დარგები და იგი ფრანგულ მონოპოლიებს, მსხვილ ბანკებსა და საქმოსნებს ჩაუგდეს ხელში. მაროკო, სხვა კოლონიების მსგავსად, ფრანგმა კოლონიზატორებმა აქციეს მეტროპოლიის სასურსათო-საწედლეულო დამატებად, საქონლის ბაზრად და კაპიტალის ხელსაყრელი დაბანდების წყაროდ. ეროვნული კულტურის ჩახშობა, მკვიდრი მოსახლეობის ძარცვა და რასობრივი დისკრიმინაცია, არაბებსა და ბერბერებს შორის შუღლის ხელოვნური გაღვივება დამპყრობელთა კოლონიური პოლიტიკის განუყოფელი ნაწილი იყო.

მაროკოელი ხალხი არასოდეს არ შერიგებია კოლონიურ ჩაგვრას და ეროვნული ღირსების შელახვას. იგი ყველა საშუალებებით იბრძოდა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. 1912 წლიდან მოკიდებული 1918 წლის ბოლომდე მაროკოში ადგილი ჰქონდა

ტომთა რამდენიმე აჯანყებას და ქალაქის მოსახლეობის გამოსვლას, რომელთაც, მათი სტიქიურობის მიუხედავად, ანტიიმპერიალისტური ხასიათი ჰქონდა.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის განმათავისუფლებელი იდეები მძლავრ ნაკადად შეიჭრა მაროკოში, წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა მაროკოელ ხალხზე და მძლავრი ბიძგი მისცა თავისუფლებისმოყვარე მაროკოელი ტომების განმათავისუფლებელ ბრძოლას უცხოელ დამპყრობელთა წინააღმდეგ. ამ დროიდან მოკიდებული მაროკოელი ხალხის ბრძოლა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ხასიათს ღებულობს.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ძირითადი კერა ხდება მაროკოს ჩრდილო-აღმოსავლეთი მთიანი ზონა — ესპანური ზონა, დასახლებული რიფების ტომებით.

1920 წლამდე ესპანელები მხოლოდ ნომინალურად ფლობდნენ რიფების მთიან ტერიტორიას, ფაქტიურად კი იგი ქედმოუდრეკელი იყო, სადაც მთელი ძალაუფლება ტომთა გავლენიან ბელადებს ჰქონდათ შენარჩუნებული. ერთ-ერთი ასეთი ბელადი (ყაიდი) იყო აბდ ალ-ქერიმი. აბდ ალ-ქერიმს (სახელად მუჰამედი) მიღებული ჰქონდა სასულიერო განათლება, იყო მუსლიმანური სკოლის მასწავლებელი და რელიგიური მოსამართლე (შარიათის). როგორც საკუთარი ქვეყნის პატრიოტს, მას ჭირივით ეჯავრებოდა ესპანელი დამპყრობლები და უარს აცხადებდა მათთან თანამშრომლობაზე. პირველი მსოფლიო ომის წლებში იგი მოუწოდებდა თანამეტომეებს ესარგებლათ კოლონიზატორთა სიძნელეებით და ბრძოლა გაეჩაღებინათ მაროკოს დაკარგული თავისუფლების დაბრუნებისათვის. აღნიშნული საქმიანობის გამო ესპანელებმა იგი შეიპყრეს და საპყრობილეში ჩასვეს. უკან დაბრუნდა ომის დამთავრების შემდეგ და 1920 წელს, მამის გარდაცვალების შემდეგ, მისი მემკვიდრე (ყაიდი) გახდა[1].

ესპანელების ცდა—დაემორჩილებინათ რიფების ტომები და მოეთოკათ მათი უდრეკი სული, წააწყდა თავისუფლებისმოყვარე ტომების გმირულ წინააღმდეგობას. ისინი დაირაზმნენ, მჭიდროდ შეკავშირდნენ აბდ ალ-ქერიმის ხელმძღვანელობით და გმირული ბრძოლა გააჩაღეს კოლონიზატორთა წინააღმდეგ. 1921 წლის 1 ივლისს რიფების ტომების შეიარაღებულმა ძალებმა ქერიმის სარდლობით ანუთლთან ბრძოლაში გაანადგურეს ესპანელთა 20 ათასიანი არმია (გენერალ სილვესტრის მეთაურობით, რომელმაც თავი მოიკლა.).

---

[1] ე. ი. იგი სათავეში ჩაუდგა ბენი-ურიაგილის ტომს — რიფთა ტომებს შორის ყველაზე გავლენიანს.

ამ გამარჯვებამ და მონტ-არიუტთან მოპოვებულმა მორიგმა გამარჯვებამ. გააძლიერა რიფთა ტომების წინააღმდეგობა, ახალი საბრძოლო სული შთაბერა მათ და ხელი შეუწყო მათ შემდგომ შემჭიდროებას. 1921 წლის სექტემბრის დასაწყისში, აბდ ალ-ქერიმის ინიციატივით მოწვეულმა რიფების ტომთა ბელადების შეკრებამ შექმნა ეროვნული კრება, რომელმაც 19 სექტემბერს საზეიმოდ გამოაცხადა რიფების დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნა და აირჩია ახალი რესპუბლიკის მთავრობა განმათავისუფლებელი ბრძოლის გამოჩენილი ორგანიზატორის, ნიჭიერი სარდლისა და პოლიტიკური მოღვაწის აბდ ალ-ქერიმის მეთაურობით.

რიფების რესპუბლიკის კონსტიტუციით უმაღლესი საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება ეკუთვნოდა ტომთა ბელადებისა და სხვა თავკაცებისაგან შემდგარ ეროვნულ კრებას, რომლის თავმჯდომარე ერთდროულად რესპუბლიკის პრეზიდენტიც იყო.

რიფების რესპუბლიკა 1924 წლის შუალედამდე ინარჩუნებდა მოპოვებულ თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას. ამ დროის განმავლობაში იგი თითქმის შეუსვენებლივ ხმალამოღებული გმირულად ებრძოდა ესპანელ კოლონიზატორებს, რომლებიც ვერ შერიგებოდნენ თავიანთი ბატონობის დაკარგვას და ახალ-ახალი იერიშები მიჰქონდათ. 1921—1922 წლებში რიფებმა ზედიზედ რამდენიმე დამარცხება აგემეს ესპანელებს, რომლებსაც ხელიდან გამოეცალათ 1912 წლიდან დაპყრობილი ყველა ტერიტორია და მხოლოდ ზღვისპირა ბაზები (სეუტა, მელილა...) შერჩათ. მათ ავტონომიაც კი შესთავაზეს რიფებს (პროტექტორატის ჩარჩოებში), რაც ამ უკანასკნელთა მიერ აღშფოთებით იქნა უარყოფილი.

ესპანელ კოლონიზატორთა წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში რიფებმა შექმნეს ძლიერი ბრძოლისუნარიანი არმია, რომელიც შედგებოდა როგორც რეგულარული რაზმებისაგან (6—7 ათასი), ისე მეტომეთა არარეგულარული ლაშქრისაგან. თუმცა ომის ვითარებამ გამოიწვია საყოველთაო მობილიზაციის გამოცხადება, არმიის შემადგენლობა იცვლებოდა, — ხან დიდდებოდა, ხანაც მცირდებოდა ომის ფრონტზე არსებული ვითარების შესაბამისად. რიფების არმიის უმაღლესი მთავარსარდალი იყო რესპუბლიკის პრეზიდენტი და მთავრობის მეთაური, უშიშარი პატრიოტი და შესანიშნავი მხედართუფროსი აბდ ალ-ქერიმი. მისი სწორუპოვარი სარდლობის, მამაცობისა და ნათელი ჭკუის წყალობით იყო, რომ რიფთა რიცხობრივად ნაკლები და ცუდად შეიარაღებული რაზმები ზედიზედ ამარცხებდნენ ესპანელთა მრავალრიცხოვან, ახალი საბრძოლო ტექნიკით აღჭურვილ არმიას. „აბდ ალ-ქერიმი არა მარტო შესანიშნავი

მხედართმთავარი იყო, არმედ ნიჭიერი ორგანიზატორი და შესანიშნავი ადმინისტრატორი. იგი იყო ფართო პოლიტიკური ჰორიზონტის მქონე ადამიანი, რომელიც ერკვეოდა და შესანიშნავად იყენებდა საერთაშორისო პოლიტიკის ყოველგვარ წინააღმდეგობას" — წერდა მის შესახებ სამოქალაქო ომის გმირი, წითელი არმიის ერთ-ერთი მშენებელი მ. ვ. ფრუნზე[1].

დამოუკიდებლობისათვის წარმოებულმა მძიმე და შეუწყვეტელმა ომმა ბოლო მოუღო სატომთაშორისო ტრადიციულ ქიშპობას — გათიშულობას და ხელი შეუწყო მათ შემჭიდროებას. შეიქმნა თავისუფალ ტომთა საბრძოლო კავშირი, თავისებური სამხედრო დემოკრატია. საშინაო ცხოვრების ღონისძიება (სამეურნეო თუ სხვა ხასიათისა) დამპყრობლის მიერ თავზე მოხვეული მძიმე ომის მოთხოვნილებებს დაექვემდებარა. რესპუბლიკის მესვეურთა, არმიის სარდლობის, ტომთა ბელადების, სასულიერო ჯგუფებისა და რიგით მეტომეთა საბრძოლო სოლიდარობა რიფების მიერ მოპოვებული გამარჯვების ერთ-ერთი ძირითადი პირობა იყო.

აბდალ-ქერიმი

1924 წლის დასაწყისიდან რიფების მდგომარეობა გაუარესდა. ესპანეთის დიქტატორმა პრიმო დე რივერამ, რომელმაც 1923 წლის სექტემბერში ტიახდინა სამხედრო გადატრიალება და ესპანეთში სამხედრო-ფაშისტური დიქტატურა დაამყარა, უარყო აბდ ალ-ქერიმის სამშვიდობო წინადადებები და რიფების რესპუბლიკის სამხედრო განადგურებაზე აიღო გეზი. 1924 წლის ზაფხულისათვის მან 160 ათასიან არმიას მოუყარა თავი რესპუბლიკის საზღვარზე და ახალი კონცენტრირებული იერიშები დაიწყო მის წინააღმდეგ. ესპანელებთან ერთად რიფებს გამოუჩნდა მეორე, კიდევ უფრო ძლიერი მტერი

[1] წერილში „ევროპელი ცივილიზატორები და მაროკო".

საფრანგეთის სახით. იმის შიშით, რომ მთიანი რიფების დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნას ბიძგი არ მიეცა მაროკოს სხვა ტომების ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის გაძლიერებისათვის და გამარეოლუციონერებელი ზემოქმედება არ მოეხდინა მაღრიბის სხვა ქვეყნებზე, ფრანგმა იმპერიალისტებმა გადაწყვიტეს მოესპოთ იგი. ამ მიზნის მისაღწევად ფრანგებმა სამხრეთიდან შეუტიეს რიფების მიწა-წყალს და 1924 წლის ზაფხულში მიიტაცეს უერგის ნოყიერი ველი — ახალგაზრდა რესპუბლიკის მთავარი ბეღელი.

ამ მტრული აქტის პასუხად რიფების არმიამ, რომელიც წარმატებით იბრძოდა პრიმო დე რივერას ჯარების წინააღმდეგ ჩრდილოეთით, დაიწყო ოპერაციები ფრანგული მაროკოს მიმართულებით. ამას მოჰყვა მაროკოს ფრანგული ზონის ზოგიერთი ტომის აჯანყება. რიფების შეიარაღებულმა ძალებმა და აჯანყებულ ტომთა რაზმებმა სერიოზული დარტყმა მიაყენეს ფრანგ კოლონიზატორებს და არა თუ განდევნეს ისინი უერგის ველიდან, არამედ ბევრით უკან დაახევინეს მათ სამხრეთისაკენ. რიფების წინააღმდეგ წამოწყებული აგრესიის მარცხით შეშფოთებულმა და გაბოროტებულმა ფრანგმა კოლონიზატორებმა აშკარა სამხედრო კავშირი შეკრეს პრიმო დე რიეერასთან.

1925 წლის აგვისტოს ბოლოდან ფრანგებმა და ესპანელებმა ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან დაიწყეს ერთობლივი შეტევა რიფების რესპუბლიკის წინააღმდეგ. ოპერაციაში მონაწილეობდა საფრანგეთ-ესპანეთის ძლიერი საზღვაო ფლოტი, ავიაცია და 400 ათასიანი ქვეითი არმია. რიფების სამშობლოს შავი ღრუბელი ჩამოაწვა. მის დამცველებს ევროპის ორ ძლიერ იმპერიალისტურ სახელმწიფოსთან მოუხდა ომი. საფრანგეთის ავიაცია სისტემატურად ბომბავდა და ანადგურებდა რიფების სოფლებს, გზა-ხიდებს, ნათესებსა და ჯოგებს.

ასეთი უმძიმესი პირობების მიუხედავად, რიფები იშვიათი შეუპოვრობით განაგრძობდნენ მშობლიური მიწა-წყლის დაცვას, უდრტვინველად იტანდნენ ყოველგვარ გასაჭირს და თავიანთი გმირობით აცვიფრებდნენ მთელ მსოფლიოს. მათ მხოლოდ 1926 წლის მაისში, როცა საფრანგეთისა და ესპანეთის არმიებმა ხელთ იგდეს რიფების რესპუბლიკის ყველა მნიშვნელოვანი პუნქტი, გათიშეს რიფების არმია და გარემოიცვეს მისი მთავარი ბანაკი, შეწყვიტეს უიმედო წინააღმდეგობა. რიფების რესპუბლიკა დამარცხდა, რიფების სახალხო გმირი აბდ ალ-ქერიმი დანებდა ფრანგ კოლონიზატორებს, რომელთაც იგი რეუნიონის[1] კუნძულზე გადაასახლეს. რიფების რესპუბლი-

[1] ფრანგების კოლონია ინდოეთის ოკეანეში. აქ აბდ ალ-ქერიმმა 21 წელი დაყო.

კის ლიკვიდაციის შემდეგ რიფების ცალკეული ტომები ისევ განაგრძობდნენ ბრძოლას და დიდ ზიანს აყენებდნენ კოლონიზატორებს. ფრანგი იმპერიალისტები აწარმოებდნენ სადამსჯელო ექსპედიციებს აგრეთვე მაროკოს ფრანგულ ზონაში აჯანყებული ტომების „დასამშვიდებლად" და მანამდე დაუმორჩილებელი ტომების დაპამორჩილებლად.

მხოლოდ 1934 წლისათვის დაუმორჩილეს თავიანთ პროტექტორატს ფრანგებმა „ფრანგული მაროკოს" მთელი ტერიტორია, მასთან ატლანტის მთიანეთიც. „ახლადათვისებულ" ტერიტორიებზე ფრანგმა კოლონიზატორებმა ხელში ჩაიგდეს საუკეთესო მიწები, რომლის დიდი ნაწილი მსხვილ ფრანგ კოლონისტთა ხელში გადავიდა.

მაროკოელი ხალხის ანტიფრანგული გამოსვლები მეორე მსოფლიო ომის წინ

რიფების ტომების გმირულ ბრძოლას, დამარცხების მიუხედავად, უკვალოდ არ ჩაუვლია. მან გააძლიერა მაროკოელი ხალხის ანტიიმპერიალისტური სულისკვეთება, გააღვივა მისი საბრძოლო სულისკვეთება, სერიოზული გამოცდილება დააგროვა და მით შეამზადა ნიადაგი განმათავისუფლებელი ბრძოლის ახალი აღმავლობისათვის. განმათავისუფლებელი ბრძოლის ეს ახალი ეტაპი დაიწყო უკვე 30-იანი წლებიდან და უმნიშვნელო ინტერვალებით მეორე მსოფლიო ომამდე გრძელდებოდა.

მაროკოელი ხალხის ანტიიმპერიალისტური ბრძოლის ეს ახალი ფაზა ზოგიერთი არსებითი ნიშნით განსხვავდებოდა წინამორბედისაგან.

კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარებამ, საგარეო ვაჭრობისა და ქალაქების შემდგომმა ზრდამ ისტორიის სარბიელზე გამოიყვანა კაპიტალისტური საზოგადოების ანტაგონისტური კლასები — ეროვნული მუშათა კლასი და ბურჟუაზია. ამის შედეგად განმათავისუფლებელმა მოძრაობამ ქალაქებისაკენ გადაინაცვლა; მაროკოელი ბურჟუაზია და მუშათა კლასი მისი აქტიური მონაწილეები ხდებიან. თუ წინათ გლეხობა და მომთაბარეები იყვნენ ანტიიმპერიალისტური ბრძოლის ძირითადი მამოძრავებელი ძალები და მას საერო-საპაულიერო ფეოდალურ-პატრიარქალური ზედაფენა ხელმძღვანელობდა, ამიერიდან მკვეთრად იზრდება ქალაქების მოსახლეობის როლი, ხელმძღვანელობა კი ბურჟუაზიისა და პატრიოტული ინტელიგენციის ხელში გადადის. მსოფლიო ეკონომიური კრიზისის მძიმე შედეგებმა — ქალაქებისა და სოფლების მშრომელთა მდგომარეობის მკვეთრად გაუარესებამ — და ფრანგი კოლონიზატორების მიერ ბერბერებისა და არაბების დაპირისპირების, მათ შორის შუღლის ჩამოგდების ცდამ ახალი ბიძგი მისცა მასების მორიგ ანტიიმპერიალისტურ გამოსვლებს.

1934 წელს ეროვნული ბურჟუაზიისა და ინტელიგენციის ჯგუფმა შექმნა პირველი ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტია: მაროკოს ეროვნული მოქმედების კომიტეტი. მან შეიმუშავა პროგრამა („მაროკოელი ხალხის საპროგრამო მოთხოვნა"), რომელიც მოითხოვდა საფრანგეთის პროტექტორატის შეზღუდვას, სრულუფლებიანი პარლამენტისა და მთავრობის მოწვევას, განათლების განვითარებას და სოციალური კანონმდებლობის შემოღებას. მისი ხელმძღვანელობით 1936 წლის მარტში ფესში, კასაბლანკაში, სალსა და სხვაგან მოეწყო მასობრივი ანტიიმპერიალისტური გამოსვლები, რის გამოც 1937 წლის დასაწყისში კოლონიურმა ხელისუფლებამ აკრძალა ეს ორგანიზაცია. თვით ეროვნული ფრონტის მთავრობამაც კი საფრანგეთში საჭიროდ არ ცნო წასულიყო რაიმე დათმობაზე მაროკოს მიმართ და მიეღო მაროკოელ ნაციონალისტთა მოთხოვნები. მის ბაზაზე ცოტა უფრო გვიან შეიქმნა ორი პარტია—ეროვნული მოძრაობა და მოთხოვნათა განმახორციელებელი ეროვნული პარტია. მართალია, მათ ზოგი რამ თიშავდა ერთმანეთისაგან, მაგრამ ორივე მკაცრად გმობდა საფრანგეთის პროტექტორატს და იბრძოდა წამოყენებული მოთხოვნების რეალიზაციისათვის.

1937 წლის სექტემბრიდან „ფრანგული მაროკოს" დიდი ნაწილი ისევ მოიცვა მღელვარებამ და ანტიკოლონიურმა გამოსვლებმა. იგი ერთდროულად მოედო ქალაქებსა და სასოფლო რაიონებს. სახალხო მოძრაობას აქტიურად დაუჭირეს მხარი ნაციონალისტურმა პარტიებმა, რომლებმაც გადაჭრით დაგმეს კოლონიზატორთა მკაცრი რეპრესიები. ამ პერიოდის მასობრივ ანტიიმპერიალისტურ მოძრაობაში აქტიურად მონაწილეობდა ახალგაზრდა მაროკოელი მუშათა კლასი, რომელმაც საფრანგეთის კომუნისტური პარტიის მაროკოელი ფედერაციის ხელმძღვანელობით მსხვილ ქალაქებში მოაწყო რამდენიმე გაფიცვა და პოლიტიკური დემონსტრაცია.

ფრანგმა კოლონიურმა ხელისუფლებმა ახალი მასობრივი რეპრესიებით უპასუხეს მაროკოელი ხალხის სამართლიან განმათავისუფლებელ ბრძოლას. მათ სასტიკად ჩაახშეს გლეხთა გამოსვლები, მუშათა გაფიცვები და მოქალაქეთა მრისხანე დემონსტრაციები; აკრძალეს კომუნისტური პარტია და ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიებიც, მიუხედავად იმისა, რომ ისინი არ აყენებდნენ უკიდურეს მოთხოვნებს.

სულ სხვა ვითარება შეიქმნა 1936 წლიდან — ესპანეთში ფრანკოს ფაშისტური აჯანყების მომენტიდან—მაროკოს ესპანურ ნაწილში. გენერალმა ფრანკომ, რომელსაც ესპანეთის უმაღლესი კომისრის პოსტი ეჭირა, ეს ტერიტორია სამხედრო-ფაშისტური ამბოხებისა და რესპუბლიკურ ესპანეთში შეჭრის ბაზად გამოიყენა. მანვე თავისი

მომხრე ფაშისტი ნაძირალებისა და ადგილობრივ ფეოდალთა მეშვეობით დემაგოგიით და დაპირებებით მოახერხა მკვიდრი მოსახლეობის ნაწილის გაბრიყვება და მათი გამოყენება რესპუბლიკური ესპანეთის წინააღმდეგ საბრძოლველად. მოსყიდული და ავტონომიის დაპირებით გაბრიყვებული მაროკოელი ფეოდალების ნაწილი თავიანთი მეტომეთა რაზმებით მონაწილეობდნენ რესპუბლიკური ესპანეთის წინააღმდეგ ბრძოლაში ესპანელ ფაშისტებთან და გერმანელ-იტალიელ ინტერვენტებთან ერთად.

მაგრამ პატრიოტული ელემენტების აქტიური საქმიანობის მეოხებით მალე გაირკვა სიმართლე. მოსახლეობამ ცხადად დაინახა, რომ გააბრიყვეს და ანტიხალხური ძალების ბრმა იარაღად გამოიყენეს. მართლაც, 1938 წლის დასაწყისიდან მდგომარეობა მაროკოს ესპანურ ზონაში შეიცვალა; ანტიფაშისტურმა განწყობილებამ მოიცვა მაროკოელთა ფართო ფენები. 1938 წლის ივნისში ესპანური ზონის მთავარ ქალაქ ტეტუანში მოეწყო მძლავრი ანტიფაშისტური დემონსტრაცია. 1938 წლის სექტემბერში კი ალ-ქსარ ალ-ქაბირის რაიონში იფეთქა ჯიბალას ტომის აჯანყებამ, რომელიც შეუბრალებლად ჩაახშეს ფრანკოს სამხედრო ძალებმა.

მაროკო მეორე მსოფლიო ომის წლებში

მეორე მსოფლიო ომის დასაწყისიდან მაროკოში, ისე როგორც ალჟირში, საფრანგეთის კოლონიურმა ხელისუფლებამ აკრძალა ყოველგვარი პოლიტიკური პარტიის საქმიანობა. კანონგარეშე გამოაცხადა რა ანტიიმპერიალისტური გამოსვლები, ციხეებში ჩაყარა აქტიური პატრიოტები და მკაცრი პოლიციური რეჟიმი გააბატონა.

საფრანგეთის კაპიტულაციის მომენტიდან — 1940 წლიდან — საფრანგეთის მაროკო ვიშის ადმინისტრაციას დაექვემდებარა, თუმცა ფაქტიურად იგი ჰიტლერული გერმანიის კონტროლქვეშ მოექცა (გერმანია-იტალიის საინსპექციო კომისიის მეშვეობით) და მის ერთ-ერთ სანედლეულო-სასურსათო ბაზად იქცა. ფაშისტური გერმანია შეეცადა თავისი ბატონობა დაემყარებინა ესპანეთის მაროკოზეც და იგი ანტიჰიტლერული ძალების წინააღმდეგ ბრძოლის მნიშვნელოვან პლაცდარმად ექცია. ჰიტლერელების წაქეზებით ფრანკისტულმა ესპანეთმა 1940 წელს ხელში ჩაიგდო ტანჟერის საერთაშორისო ზონა და 1945 წლამდე ინარჩუნებდა მას.

ვითარება მაროკოში შეიცვალა 1942 წლის ნოემბრიდან, როდესაც მოკავშირეთა ჯარები (აშ შტატებისა და ინგლისის) გადასხდნენ კასაბლანკაში და დაიწყო „ღერძის“ სახელმწიფოთა გაძევება ჩრდილო აფრიკიდან. მაროკოს მოსახლეობა სიხარულით და სასოებით შეეგება მოკავშირეთა ძალებს და მასთან ერთად აქტიური მონაწილეობა მიიღო ჰიტლერული ხროვის წინააღმდეგ ბრძოლაში. 1943

წლიდან მაროკო მოკავშირეთა, სარდლობისა და მებრძოლი საფრანგეთის (დე გოლის მომხრეების) ხელისუფლებას დაემორჩილა.

ახალი ხელისუფალნი იძულებული იყვნენ ანგარიში გაეწიათ პატრიოტული და დემოკრატიული მოძრაობის გაძლიერებისათვის და მოეხდინათ კომუნისტური პარტიისა და სხვა მასობრივი დემოკრატიული ორგანიზაციების ლეგალიზება. ამავე დროს არც მოკავშირეებს, არც საფრანგეთის ახალ ხელისუფალთ განზრახვა არ ჰქონდათ დაეკმაყოფილებიათ მაროკოელი ხალხის პატრიოტული მისწრაფებები და დახმარებოდნენ მას ნანატრი დამოუკიდებლობის მოპოვებაში. ამიტომ იყო, რომ კოლონიური აპარატი და მისი ძველი შემადგენლობა თითქმის უცვლელად იქნა დატოვებული.

1943 წელს ფედერაციის ბაზაზე შეიქმნა მაროკოს დამოუკიდებელი კომუნისტური პარტია, რომელმაც წამოაყენა ქვეყნისათვის სრული დამოუკიდებლობის მიცემისა და მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესების საბრძოლო მოთხოვნები. ზონალური საზღვრების ლიკვიდაციას და ერთიანი მაროკოს სუვერენული სახელმწიფოს შექმნას მხარი დაუჭირა მაროკოს ფრანგული და ესპანური ზონის ზოგიერთმა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურმა პარტიამ. თუმცა ამ ამოცანის განხორციელებას ისინი არ უკავშირებდნენ ანტიფაშისტურ ომში აქტიურ მონაწილეობას და საფრანგეთის პროგრესულ წრეებთან შეკავშირებას.

1943 წლის დეკემბერში ეროვნული პარტიის ბაზაზე შეიქმნა „ისთიქლიარის“ — („დამოუკიდებლობის“) პარტია, რომელმაც 1944 წლის 11 იანვარს გამოქვეყნებული მანიფესტით მოითხოვა გაერთიანება და დამოუკიდებლობის მოპოვება. ამ მანიფესტს, რომელიც გადაეცა საფრანგეთის ადმინისტრაციას, სულთანსა და მოკავშირეებს, საყოველთაო ენთუზიაზმით და მხარდაჭერით შეეგება მოსახლეობა.

საფრანგეთის ადმინისტრაციამ უარყო დამოუკიდებლობის პარტიის მოთხოვნები და მტრულად შეხვდა მაროკოს სულთნის ინიციატივას, — დამოუკიდებელი ნაბიჯები გადაედგა და უშუალოდ შეთანხმებოდა მოკავშირეებს. მან შეიპყრო აღნიშნული პარტიის ლიდერები, დააბრალა რა მათ „მტრებთან“ თანამშრომლობა. ამის პასუხად რაბათში მოეწყო მასობრივი საპროტესტო დემონსტრაცია, ფესში, სალში და სხვა ცენტრებში კი იფეთქა შეიარაღებულმა გამოსვლებმა. მაგრამ აჯანყება სუსტად იყო მომზადებული და სასტიკად იქნა ჩახშობილი საფრანგეთის ჯარების მიერ.

ეროვნულ - განმათავისუფლებელი მოძრაობა ტუნისში პირველსა და მეორე მსოფლიო ომებს შორის პერიოდში

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამ უდიდესი გავლენა მოახდინა ტუნისელ ხალხზე. მან საბრძოლო სული ჩაბერა საფრანგეთის კოლონიური კაბალის წინააღმდეგ მებრძოლ პატრიოტებს, გააძლიერა მათში საკუთარი ძალებისადმი რწმენა და მოწინავე რევოლუციური იდეები გააცნო მათ, რითაც საფუძველი ჩაუყარა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ახალ, უფრო ორგანიზებულ ეტაპს. ამ ეტაპთანაა დაკავშირებული მუშათა კლასის გაზრდილი როლი ქვეყნის ცხოვრებასა და განმათავისუფლებელ მოძრაობაში, ბურჟუაზიული პარტიების აღმოცენება და ეროვნული ბურჟუაზიის ბრძოლა ჰეგემონობისათვის ანტიიმპერიალისტურ მოძრაობაში.

ტუნისის სასტიკი კოლონიური ექსპლოატაცია ფრანგი კოლონიზატორების მიერ, იქ გაბატონებული ეროვნული დისკრიმინაცია, საუკეთესო მიწა-წყლის მიტაცება ფრანგი კოლონისტების მიერ, წიაღისეულისა და სხვა სიმდიდრეების—მრეწველობის, ტრანსპორტის, ფინანსების, საგარეო ვაჭრობის ფრანგ მონოპოლისტთა ხელში მოქცევა და მათი საზღაპრო გამდიდრების წყაროდ ქცევა, მშრომელი მასების უკიდურესი სიდუხჭირე და უუფლებობა ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა მათი პოლიტიკური აქტივობისა და ანტიიმპერიალისტური ბრძოლის გაშლისათვის.

1918 წლის ნოემბერში ტუნისელმა ბურჟუაზიულმა ნაციონალისტებმა, რომელთა შორის იყვნენ ადგილობრივი ინტელიგენციისა და ბურჟუაზიის წარმომადგენლები, ჩაატარეს ფარული შეკრება, რომელზედაც მიიღეს მომავალი სამოქმედო პროგრამა. ტუნისელი ნაციონალისტები მაშინ არ მოითხოვდნენ პროტექტორატის ლიკვიდაციას და სრულ დამოუკიდებლობას და ავტონომიის მოპოვებითაც კმაყოფილდებოდნენ. მათი კონკრეტული მოთხოვნები იყო დამფუძნებელი კრების მოწვევა, კონსტიტუციის შემუშავება და პარლამენტის წინაშე პასუხისმგებელი მთავრობის შექმნა, დემოკრატიული უფლებები. ტუნისელ ნაციონალისტთა ლიდერს სალიბს განზრახვა ჰქონდა ტუნისის საკითხი დაესვა გამარჯვებულთა ვერსალ-პარიზის კონფერენციაზე. მაგრამ საფრანგეთის წინააღმდეგობის გამო აქედან არაფერი გამოვიდა. 1920 წელს ტუნისელმა ნაციონალისტებმა დელეგაციაც კი გაგზავნეს პარიზში საფრანგეთის მთავრობასთან კონსტიტუციის თაობაზე მოლაპარაკების საწარმოებლად. მაგრამ საფრანგეთს ტუნისელთა მიმართ არავითარ დათმობაზე არ სურდა წასვლა

და თვითმმართველობის საკითხზე მათთან მოლაპარაკება საჭიროდ არ ჩათვალა.

საფრანგეთის მთავრობის დაუთმობლობამ ბურჟუაზიული ნაციონალისტების სამართლიანი აღშფოთება გამოიწვია. მასობრივი ბაზის შექმნის მიზნით მათ ფართოდ გააცნეს მათი პროგრამული მოთხოვნები წვრილბურჟუაზიულ ფენებს, გლეხებსა და მუშებს და ენერგიული ანტიფრანგული კამპანია გააჩაღეს. 1920 წელს სალიბმა და მისმა მიმდევრებმა არალეგალურად დააარსეს ლიბერალურ-კონსტიტუციური პარტია „კონსტიტუციურ თავისუფლებათა პარტიის" სახელწოდებით (ან „დუსტურის" პარტია, შემოკლებით დუსტური — კონსტიტუცია). „დუსტურის" პროგრამა ძირითადად იმეორებდა ბურჟუაზიულ ნაციონალისტთა ზემოთ დასახელებულ მოთხოვნებს კონსტიტუციური მთავრობის შექმნის შესახებ და აგრეთვე საყოველთაო სწავლებას, ტუნისელთა და ფრანგთა თანასწორუფლებიანობას, შეკრებისა და პრესის თავისუფლებას. აღნიშნულმა პარტიამ მალე დიდი წარმატება მოიპოვა. მან თავის რიგებში მიიზიდა ათეული ათასი პატრიოტი და მომდევნო პერიოდის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ჭეშმარიტი ხელმძღვანელი გახდა.

იმავე 1920 წელს ტუნისში ყალიბდება საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ტუნისის ფედერაცია, რომელიც ერთი წლის შემდეგ შევიდა კომუნისტური ინტერნაციონალის რიგებში. 1937 წლამდე, როდესაც იგი ტუნისის დამოუკიდებელ პარტიად გარდაიქმნა, ფედერაცია არსებითად ფრანგული კომუნისტური პარტია იყო, რომელიც ტუნისში მცხოვრებ ფრანგ მუშებს აერთიანებდა.

1920 წლის მიწურულში „დუსტურმა" ახალი დელეგაცია მიავლინა პარიზში, რათა საფრანგეთის მთავრობასთან ეწარმოებინა მოლაპარაკება ტუნისის მომავალი სტატუტის თაობაზე. მაგრამ საფრანგეთის მთავრობამ ამჯერადაც საჭიროდ არ ჩათვალა ყურად ეღო ტუნისელი ხალხის მოთხოვნები. ამის სანაცვლოდ კოლონიურმა ხელისუფლებმა შეიპყრეს სალიბი და მკაცრ რეპრესიებს მიმართეს დუსტურის წინააღმდეგ. ამ ძალადობას ტუნისის არაბულმა მოსახლეობამ მასობრივი საგაფიცვო მოძრაობითა და ხალხმრავალი დემონსტრაციებით უპასუხა. მრისხანე საპროტესტო მოძრაობა 1922 წლამდე გრძელდებოდა და სწორედ 1922 წელს მიაღწია დიდ გაქანებას.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შესუსტების მიზნით ფრანგმა კოლონიზატორებმა საჭიროდ ჩათვალეს ზოგიერთ დათმობაზე წასვლა. მათ გაათავისუფლეს სალიბი, მოახდინეს დუსტურის ლეგალიზაცია და 1922 წლის ივლისში გამოაქვეყნეს დეკ-

რეტი კონსტიტუციური რეფორმების შესახებ. ტუნისში იქმნებოდა სათათბირო-წარმომადგენლობითი ორგანო — „დიდი საბჭო“, რომელშიაც ფრანგებთან ერთად ტუნისელებიც უნდა ყოფილიყვნენ არჩეულნი. მის ფუნქციებში შედიოდა ბიუჯეტის და ეკონომიური საკითხების განხილვა. ასეთივე საბჭოები, ძალზე შეზღუდული საკონსულტაციო უფლებებით, იქმნებოდა ოლქებსა და რაიონებში. ამას დაემატა ისიც, რომ ტუნისის მკვიდრ მუშებზე გავრცელდა ფრანგული კანონები დასვენების დღისა და უბედურ შემთხვევებში კომპენსაციების შესახებ.

საკონსტიტუციო რეფორმები ძალზე კუდშეკვეცილი იყო და ბევრს არაფერს აძლევდა ტუნისელ ხალხს. მიუხედავად ამისა, მას კმაყოფილებით შეხვდა დუსტურის მემარჯვენე ფრთა, რომელიც მსხვილი ტუნისური ბურჟუაზიის, მოხელეების, მემამულეებისა და მაღალი სამღვდელოების ინტერესებს გამოხატავდა. ამის შედეგი იყო პარტიის გათიშვა და „რეფორმის პარტიის“ („ჰიზბ ალ-ისლან“-ის) დამოუკიდებელი პარტიის შექმნა. მან კოლონიურ ხელისუფლებასთან ლოიალურ თანამშრომლობაზე აიღო გეზი. საკუთრივ დუსტურმა განაგრძო ბრძოლა ვრცელი საკონსტიტუციო გარანტიების მოპოვებისათვის, რის გამო კოლონიური ხელისუფლების ახალი რეპრესიების ობიექტი გახდა. გათიშვამ და მომდევნო რეპრესიებმა შეასუსტა იგი. იგივე მოუვიდა მასობრივ მოძრაობასაც.

ტუნისელი ხალხის ანტიიმპერიალისტური ბრძოლის ახალი გამოცოცხლება 30-იანი წლებიდან იწყება. 1929—1933 წლების მსოფლიო ეკონომიურმა კრიზისმა მაგრად ჩასჭიდა ხელი ამ კოლონიურ ქვეყანას. სამეურნეო საქმიანობის მკვეთრმა დაცემამ, სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ერთიორად შემცირებამ, მასობრივმა უმუშევრობამ და გლეხთა მასის გაჩანაგებამ ძალზე დასცა მშრომელთა ისედაც მიზერული ცხოვრების დონე. მან გააღრმავა პოლიტიკური კრიზისი, გააძლიერა მასების უკმაყოფილება და მით ხელსაყრელი ნიადაგი შექმნა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალი აღმავლობისათვის.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გაძლიერებამ გავლენა მოახდინა დუსტურის პარტიაზე, რომლის რიგებში შეიქმნა მემარცხენე დემოკრატიული ფრთა — „ახალგაზრდული ჯგუფი“ ახალგაზრდა ვექილის ჰაბიბ ბურგიბას ხელმძღვანელობით. იგი მოითხოვდა უფრო ენერგიულ ბრძოლას ტუნისის თავისუფლების მოსაპოვებლად და საჭიროდ თვლიდა ამ ბრძოლის შეხამებას ფელაჰების ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისა და ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ამოცანებთან.

ფრანგმა კოლონიზატორებმა ისევ მკაცრ რეპრესიებს მიმართეს

და ძალის მეშვეობით შეეცადნენ ჩაეხშოთ ტუნისელი ხალხის განმათავისუფლებელი ბრძოლა. დარტყმის მთავარ ობიექტად მათ აირჩიეს მუშათა და გლეხთა მოძრაობა და დუსტურის მემარცხენე ფრთა, რომელიც მხარს უჭერდა მასების სამართლიან მოთხოვნებს. ასეთ ვითარებაში 1934 წელს მოხდა დუსტურის პარტიის გათიშვა. ბურგიბას მომხრეები გამოვიდნენ მისი რიგებიდან და დააარსეს ახალი დუსტური პარტია; მემარჯვენეები კი დარჩნენ ძველი პარტიის რიგებში, რომელსაც ამიერიდან ძველი დუსტური ეწოდა. ახალმა დუსტურმა, რომელთანაც ერთიანი ფრონტი დაამყარეს ტუნისელმა კომუნისტებმა, მკაფიო დემოკრატიული პროგრამის წყალობით მალე დიდი ავტორიტეტი მოიპოვა და მოსახლეობის ფართო ფენების მხარდაჭერა დაიმსახურა. ამ პარტიის ძირითადი სოციალური საყრდენი იყო ფელაჰობა, ინტელიგენცია, წვრილბურჟუაზიული წრეები. თუმცა მას ეროვნული ბურჟუაზიისა და მუშების ნაწილიც კი უჭერდნენ მხარს. იგი გახდა ტუნისის წამყვანი მასობრივი პატრიოტული პარტია. ახალი დუსტურის მზარდი გავლენით დაშინებულმა კოლონიურმა ხელისუფლებამ 1934 წელს შეიპყრო პარტიის 8 ხელმძღვანელი, მათ შორის ბურგიბა და ტუნისელ კომუნისტთა რამდენიმე აქტიური მოღვაწე და უდაბნოში გაასახლა. ამას მოჰყვა ახალი პოლიციური ზომები, ახალი დატუსაღებები და გასამართლებები, რომელიც ასეულ პატრიოტს შეეხო.

მაგრამ ამ ზომებმა ვერ გაამართლა კოლონიზატორთა იმედები. მან კიდევ უფრო გააძლიერა ახალი დუსტურისა და კომუნისტების გავლენა და განამტკიცა მათი ავტორიტეტი მასებში. მათი, უშუალო ხელმძღვანელობით 1936—1937 ტუნისის მთავარ ცენტრებში ჩატარდა მუშათა მასობრივი გაფიცვები, რომელთა შედეგად მეწარმეები იძულებული გახდნენ ზოგიერთ დათმობაზე წასულიყვნენ. კერძოდ მემაღაროელებმა მოიპოვეს 8 საათიანი სამუშაო დღე.

სახალხო ფრონტის გამარჯვებამ საფრანგეთში შეამსუბუქა ტუნისელ პატრიოტთა მდგომარეობა და უფრო ხელსაყრელი პირობები შეუქმნა მათ ბრძოლას ეროვნული თავისუფლებისათვის. უკვე 1936 წელს საპყრობილეებიდან გაათავისუფლეს პატრიოტები. ამას მოჰყვა საგანგებო დეკრეტების გაუქმება, კომუნისტური პარტიისა და ახალი დუსტურის ლეგალიზაცია, პროფკავშირების ცნობა და ზოგიერთი სხვა პროგრესული რეფორმა. პატრიოტულმა პარტიებმა ისევ განაახლეს საქმიანობა და ბრძოლა ქვეყნის თავისუფლების მოსაპოვებლად.

მაგრამ 1937 წლის მიწურულიდან მდგომარეობა ისევ შეიცვალა, როცა საფრანგეთში შესუსტდა სახალხო ფრონტის გავლენა და ისევ თავი წამოყვეს მემარჯვენე ძალებმა. კოლონიურმა ხელისუფლებმა

განაახლეს პატრიოტული ძალების მოთხოვნების საბოტაჟი და რეპრესიების გამოყენება. კერძოდ მათ უარყვეს ის პოლიტიკური და ეკონომიური მოთხოვნები, რომელიც შეიმუშავეს მემარცხენე პარტიებმა კომუნისტებთან ერთად. ამიტომ იყო, რომ ამის პასუხად 1937 წლის ნოემბერში ტუნისელმა პატრიოტებმა მოაწყეს საყოველთაო გაფიცვა და გააჩაღეს სამოქალაქო ურჩობის კამპანია.

ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ განსაკუთრებით დიდი გაქანება მიიღო 1938 წელს, როცა ახალი დუსტურის ხელმძღვანელობის მოწოდებით ტუნისსა და სხვა ცენტრებში მოეწყო მასობრივი დემონსტრაციები და მანიფესტაციები ეროვნული პარლამენტისა და მთავრობის შექმნის მოთხოვნით. კოლონიური ხელისუფლების განკარგულებით უიარაღო დემონსტრანტებს ჯარი და პოლიცია მიუსიეს და უმოწყალოდ დახვრიტეს ისინი. დაიღუპა და დაიჭრა ასეულობით ადამიანი. ამას მოჰყვა სამხედრო წესების გამოცხადება, ახალი დუსტურის აკრძალვა, დემოკრატიულ გარანტიათა აკრძალვა და მასობრივი რეპრესიები დემონსტრაციების მონაწილეთა მიმართ, 2000 მეტი პატრიოტის ციხეებში ჩაყრა (მათ შორის ბურგიბაც) და ა. შ. მეორე მსოფლიო ომის დაწყების წინ ფრანგ კოლონიზატორთა რეპრესიები კიდევ უფრო გაძლიერდა. გამოცხადდა საგანგებო წესები და საალყო მდგომარეობა; უმკაცრესი სასჯელის მუქარით აიკრძალა ყოველგვარი ანტიკოლონიური გამოსვლები და პატრიოტული საქმიანობა, პრესას მკაცრი ცენზურული მუხრუჭები დაედო.

ტუნისი მეორე მსოფლიო ომის წლებში

ტუნისი მისდა უნებურად ჩაბმულ იქნა მეორე მსოფლიო ომში და საომარ მოქმედებათა ერთ-ერთი ასპარეზი გახდა. 1940—1942 წლებში ძალაუფლება ტუნისში ვიშის გამცემლური მთავრობის ხელში იყო. მან ხელ-ფეხი გაუხსნა გერმანელ-იტალიელ ფაშისტებს და ფართოდ გაუღო მათ ამ ქვეყნის კარები. მათი მოთხოვნით ვიშის ადმინისტრაციამ დაითხოვა ტუნისის დიდი საბჭო, მოაწყო კომუნისტების გასამართლება და სასტიკი სამხედრო წესები დაამყარა ტუნისში. მემარჯვენე წრეებმა და 1942 წელს ტახტზე ასულმა მუჰამედ ალ მუნსიფ ბეიმ განიზრახეს განეხორციელებინათ მათ მიერვე შემუშავებული ზედაპირული რეფორმები, მაგრამ უშედეგოდ.

1942 წლის ნოემბერში, მაროკოში და ალჟირში ინგლის-ამერიკის ჯარების გადასხმის შემდეგ, ტუნისი ოკუპირებულ იქნა იტალია-გერმანიის ჯარების მიერ. ამ დროიდან მოკიდებული ეს ქვეყანა „ღერძის" სახელმწიფოებისა და ინგლის-ამერიკის ჯარების გააფთრებული ბრძოლების არენად იქცა. ეს ბრძოლები წარმოებდა 1943 წლის მაისამდე, როცა ალჟირიდან (ამერიკის) და ლიბიიდან (ინგლისის) შეჭრილმა მოკავშირეთა ჯარებმა გაანადგურეს

ფაშისტური ხროვის ძალები და ჩაახშეს მათი წინააღმდეგობის უკანასკნელი ბაზები. ტუნისის მმართველობა დროებით ინგლის-ამერიკის სარდლობისა და გენერალ უიროს ადმინისტრაციის ხელში გადავიდა, 1934 წლის აგვისტოდან კი — საფრანგეთის ეროვნული განთავისუფლების კომიტეტისა.

ტუნისის ახალმა ხელისუფლებამ შეიპყრეს ალ-მუნსიფ ბეი და სამხრეთ ალჟირში გაასახლეს იგი, დაშალეს მისი მთავრობა, გააუქმეს ყველა მისი სარეფორმო წამოწყება და თავიანთ პოსტებზე აღადგინეს კოლონიური აპარატის ძველი მუშაკები, მაგრამ ისინი, ამასთან ერთად, იძულებული გახდნენ ანგარიში გაეწიათ შეცვლილი ვითარებისათვის, ტუნისელი ხალხის საყოველთაო პატრიოტული აღტყინებისათვის[1] და გაეუქმებინათ საგანგებო კანონები. მათ მოახდინეს კომუნისტური პარტიისა და ახალი დუსტერის ლეგალიზაცია და დაუშვეს პატრიოტული საქმიანობა. დაბოლოს, 1944 წელს ფრანგმა ხელისუფლებმა აღადგინეს დაშლილი ტუნისის დიდი საბჭო, პროვინციული სათათბირო ორგანოები და შექმნეს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევითი ორგანოები.

---

[1] მრავალმა ათასმა ტუნისელმა მოკავშირეებთან ერთად ბრძოლაში თავი შესწირა ანტიფაშისტურ ბრძოლას.

ეთიოპია 1918—1945 წლებში

ეთიოპიის ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობა პირველი მსოფლიო ომის შემდეგ

ეთიოპია აფრიკის ქვეყნებს შორის ბედნიერი გამონაკლისი აღმოჩნდა. მან შეძლო წარმატებით დაეცვა თავი ევროპელ კოლონიზატორთა აგრესიისაგან და მსოფლიოს ტერიტორიული დაყოფის პერიოდში შეენარჩუნებინა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. იგი ერთადერთი აფრიკული სახელმწიფო იყო, რომელმაც არა მარტო სამხედრო-პოლიტიკური მარცხი აგემა მის დასაპყრობად მომხდურ იმპერიალისტურ იტალიას და აიძულა პატივი ეცა მისი სუვერენიტეტისათვის, არამედ კონტრიბუციაც კი აზღვევინა მას.

პირველი მსოფლიო ომის დასასრულისათვის ეთიოპია, მართალია, აფრიკის ფორმალურად დამოუკიდებელი სახელმწიფო იყო, მაგრამ მისი მრავალფეროვანი ბუნებრივი რესურსები კვლავინდებურად იზიდავდა დიდ იმპერიალისტ ონავართა ხარბ თვალებს, რომელთა მხრივ მუდამ იყო მოსალოდნელი ახალი შეიარაღებული აგრესია. ცნობილია, მაგალითად, რომ 1906 წელს ინგლისმა, საფრანგეთმა და იტალიამ ხელშეკრულებაც კი დადეს ურთიერთშორის ეთიოპიის გავლენის სფეროებად განაწილების შესახებ. ეთიოპიამ სასტიკი პროტესტი განაცხადა მისი სუვერენიტეტის ამ უხეში შებღალვის გამო და მოითხოვა ხელშეკრულების გაუქმება, მაგრამ იმპერიალისტმა მოძალადეებმა ყურიც არ ათხოვეს მის პროტესტს. არც აშ შტატები და გერმანია აკლებდნენ თავიანთ „ყურადღებას" ეთიოპიას; მათაც სურდათ მონაწილეობა მიეღოთ მისი რესურსების ექსპლოატაციაში, ბაზრის დაუფლებაში.

უცხოური კაპიტალის შეღწევამ და მისი „მოღვაწეობის" სფეროს გაფართოებამ ეთიოპიაში დააჩქარა ფეოდალ-სასაქონლო ურთიერთობის განვითარება, საფუძველი ჩაუყარა კაპიტალისტურ ელემენტებს, აღმოაცენა ეროვნული სავაჭრო ბურჟუაზია და გაადიდა ქვეყნის ეკონომიურ-სავაჭრო კავშირი გარე სამყაროსთან. ძველი და ახალი სოციალ-პოლიტიკური ფორმების თანაარსებობა, მათი ურთიერთში გადახლართვა ორიგინალურ კოლორიტს აძლევდა ეთიოპიის ცხოვრებას. სოფელი—ეთიოპიის მოსახლეობის სამეურნეო დასაქმების

განმსაზღვრელი და ეროვნული სახალხო შემოსავლის მთავარი წყარო — ფეოდალური ყოფის პირობებში ცხოვრობდა. გლეხობის ფეოდალური ექსპლოატაცია მრავალი ფორმით ხორციელდებოდა. საერო ფეოდალებთან ერთად მათ ექსპლოატაციაში უშუალო მონაწილეობას იღებდნენ ეკლესია და სახელმწიფო. ფულადი და ნატურალური რენტა-გამოსაღებია შრომითი ბეგარა. მხედრიონისა და სახელმწიფო მოხელეთა რჩენა, აქა-იქ მონური შრომის გამოყენება ტიპიური იყო ეთიოპიაში.

პირველი მსოფლიო ომის დასასრულიდან, კერძოდ 1916 წლიდან, როდესაც სასახლის გადატრიალების შედეგად დაემხო იმპერატორი ლიჯ იასუ და ტახტზე აყვანილ იქნა მენელიკ II-ის ქალიშვილი ზაუდიტუ, ტაფარი მაკონენი კი დაინიშნა რეგენტად, ეთიოპიაში ორი ძირითადი პოლიტიკური დაჯგუფება უპირისპირდება ერთმანეთს: ერთს შეიძლება ვუწოდოთ „ახალგაზრდა ეთიოპელთა" მიმდინარეობა, მეორეს — „ძველ ეთიოპელთა".

ახალგაზრდა ეთიოპელები, რომელთა ლიდერი იყო ტაფარი მაკონენი, ასახავდნენ მცირერიცხოვანი ვაჭრული ბურჟუაზიის, ახლად ჩასახული ინტელიგენციისა და საექსპორტო კულტურის მწარმოებელი მემამულეების ინტერესებს. ისინი მოითხოვდნენ ფეოდალური პარტიკულარიზმის დაძლევას, ძლიერ ცენტრალიზებულ ხელისუფლებას, ზედაპირული რეფორმების გატარებას (მონობის მოსპობა, განათლების განვითარება...), აპარატისა და არმიის გარდაქმნას, გარე სამყაროსთან კავშირის გაძლიერებას და ეროვნული კაპიტალის წახალისებას. მეორე დაჯგუფება, რომლის მედროშე იყო დედოფალი ზაუდიტუ (მსხვილი მემამულეები, სამღვდელოება) იცავდა სიძველეს და ილაშქრებდა ყოველგვარი რეფორმების წინააღმდეგ. ძველი ეთიოპელების ხელში იყო სამინისტრო პორტფელების უმეტესობა და ბევრი პროვინციის ხელისუფლება. ამ რეალური ძალის მეშვეობით ისინი ცდილობდნენ ხელი შეეშალათ რეფორმების გატარებისათვის.

მაგრამ ცხოვრებამ ახალგაზრდა ეთიოპელთა სასარგებლოდ გადაწყვიტა წამოჭრილი დავა. მან ხელი შეუწყო იმ სოციალური ძალების გაძლიერებას, რომლებიც მხარს უჭერდნენ ახალი ეკონომიური მოთხოვნილებებით ნაკარნახევ ცვლილებებს და მოითხოვდნენ ნახევრული რეფორმების გატარებას. 1918 და 1923—1924 წლებში მათ მიაღწიეს დეკრეტების გამოქვეყნებას მონობის გაუქმებისა და მონათა თანდათანობით გათავისუფლების შესახებ.

მონობის გაუქმებამ აღაშფოთა ეთიოპიის ძველი საზოგადოება. მსხვილმა ფეოდალებმა და სამღვდელოებამ, ისე როგორც მათმა მომხრეებმა ცენტრალურ ხელისუფლებასა და პროვინციებში, საბო-

ტაჟი გამოუცხადეს დეკრეტებს და შეაფერხეს მათი გატარება. 1928—1930 წლებში ძველმა ეთიოპელებმა მოაწყეს რამდენიმე შეიარაღებული ამბოხება დაწყებული რეფორმების გაუქმებისა და „ახალგაზრდა ეთიოპელთა“ შემუსვრის მიზნით. მაგრამ ეს ამბოხებები ჩაახშო რეგენტ ტაფარის უშუალო გამგებლობაში მყოფმა არმიამ.

ამან კიდევ უფრო განამტკიცა „ახალგაზრდა ეთიოპელთა“ მდგომარეობა და პირადად გააძლიერა მათი ლიდერი ტაფარი. ამიერიდან ქვეყანას მართავდა ტაფარი და არა დედოფალი, რომელმაც სიკვდილამდე შეინარჩუნა ტახტი.

1930 წელს (ნოემბერში) დედოფალი ზაუდიტუ გარდაიცვალა და ეთიოპიის იმპერატორი გახდა ტაფარი მაკონენი, რომელმაც ჰაილე სელასიე I სახელი მიიღო. მან ენერგიულად განაგრძო იმ ურჩი ფეოდალების ალაგმვა, რომლებიც იტალიელი ფაშისტების დახმარებასაც არ თაკილობდნენ და მათთან ხელიხელჩაკიდებულნი ილაშქრებდნენ სარეფორმო ძალებლეთა წინააღმდეგ.

ოციან და ოცდაათიან წლებს შორის ეთიოპიამ განიცადა მორიგი ეკონომიური და სოციალური ძვრები. აშენდა რამდენიმე ათეული გემო-კვების და სხვა წვრილი საწარმო (საპნის სახდელი, ზეთსახდელი...), საფეიქრო და ქუდების დამამზადებელი ფაბრიკა, მექანიკური წისქვილები, ხის სახერხი... უცხოურმა კონცესიებმა ხელი მიჰყვეს წიაღისეულის ექსპლოატაციას (პლატინის, ოქროს, სელიტრის, ქარსის მოპოვება); აქა-იქ მოეწყო მემამულეების კუთვნილი მთამადნეულის სარეწები და პლანტაციები. ყოველივე ამან გააფართოვა შინაგანი ბაზარი, გაზარდა საგარეო ვაჭრობის მოცულობა[1], სასაქონლო ურთიერთობა, გააძლიერა ვაჭრული ბურჟუაზია და საფუძველი ჩაუყარა ადგილობრივ მუშათა კლასს.

ამ ძვრებმა და 1929—1933 წლების მსოფლიო ეკონომიური კრიზისის სავალალო შედეგებმა აუცილებელი გახადა ახალი რეფორმების გატარება.

ჰაილე სელასიეს მთავრობის რეფორმები. კონსტიტუციის მიღება

გამეფებისთანავე ჰაილე სელასიე I შეუდგა რეფორმების გატარებას, რომელსაც უნდა განემტკიცებინა ცენტრალური ხელისუფლება, გაეძლიერებინა ეკონომიური მაჯისცემა, ბიძგი მიეცა კულტურული ძვრებისათვის და აემაღლებინა ქვეყნის თავდაცვა. საერთოდ, მას უნდოდა გაეფართოებინა ფეოდალური ურთიერთობის ჩარჩოები და ფეოდალური სახელმწიფო შეეგუებინა ახალი ეკონომიური მოთხოვნილებებისათვის.

---

1 რომელიც უპირატესად უცხოური ფირმებისა და ეთიოპიაში მცხოვრები ბერძნების, სომხების, ინდუსებისა და არაბების ხელში იყო.

ასეთები იყო: მონათა დაუყოვნებლივ განთავისუფლება მათი პატრონების სიკვდილის შემთხვევაში (1931 წლის კანონი), მონობის მოსპობა (1935 წლის კანონი), ზოგიერთი ანაქრონისტული ბეგარის („ბეგარისა“ და „დირგოს“ სისტემები) გაუქმება სოფლად. ადმინისტრაციული სიახლენი: ქვეყნის ახალი ადმინისტრაციული დაყოფა, გუბერნატორების მტკიცედ დამორჩილება ცენტრალური ხელისუფლებისადმი, ცენტრალური უწყებების გარდაქმნა ევროპული ტიპის სამინისტროებად, გამოსაღებთა აკრეფის ცენტრალური ხელისუფლების ხელში გადასვლა, აქა-იქ ნატურალური გამოსაღების შეცვლა ფულადით, არმიის რეორგანიზაცია და მათი ნაწილების გარნიზონებად განლაგება პროვინციებში... ამას დაერთო სასამართლო რეფორმა: სისხლის სამართლის კოდექსის შემოღება, ბურჟუაზიული და ევროპული სამართლის ნორმების შეხამება და ა. შ.

ამ რეფორმების გაგრძელებას და განვითარებას წარმოადგენდა ეთიოპიის პირველი კონსტიტუციის ძალაში შესვლა 1931 წელს. იგი იურიდიულად აფორმებდა ეთიოპიის სახელმწიფოს უნიტარულ სახეს, ბოლოს უღებდა ფეოდალურ სეპარატიზმს, აყალიბებდა ორპალატიან პარლამენტს[1] და თანაც ამტკიცებდა იმპერატორის თვითმპყრობელურ ხელისუფლებას.

როგორი ნახევრული ხასიათიც არ უნდა ჰქონოდა 1931—1935 წლების რეფორმებს და რაგინდ შეზღუდულიც არ უნდა ყოფილიყო პირველი კონსტიტუცია, მათ მაინც სერიოზული პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდათ; ისინი მოასწავებდნენ აბისინიის სერიოზულ ძვრებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

მაგრამ საერო და სასულიერო ფეოდალების საბოტაჟის გამო რეფორმები ნელი ტემპით ტარდებოდა, 1935 წლის მეორე ნახევრიდან კი იტალიის ფაშიზმის აგრესიამ სავსებით შეაჩერა მათი შემდგომი გატარება.

იტალიის აგრესია ეთიოპიის წინააღმდეგ. იტალიის საოკუპაციო რეჟიმი. ეთიოპია მეორე მსოფლიო ომში

იტალიის ფაშისტურმა სახელმწიფომ ჯერ კიდევ 30-იანი წლების დასაწყისში დაიწყო მზადება აბისინიის დასაპყრობად. ეთიოპიის მოსაზღვრე იტალიის კოლონიური სომალი და ერიტრეა მუსოლინის ხროვამ აქცია სათანადო მზადების ძირითად ბაზად და აგრესიის პლაცდარმად. 1932—1935 წლებში აქედან ხდებოდა ფაშისტური რაზმების პერიოდული თავდასხმები ეთიოპიის მიწა-წყალზე.

ეთიოპია დიდი ხანია ქცეული იყო იტალიის გაბატონებული კლასების მტაცებლური მისწრაფების ობიექტად. მათ, როგორც ცნო-

[1] მას არ გააჩნდა საკანონმდებლო პრეროგატივა.

ბილია, 1895—1896 წლის სამარცხვინო კრახის შემდეგაც არ აუღიათ ხელი ამ ქვეყნის დაპყრობაზე. მაგრამ ინგლისს და საფრანგეთს არ სურდათ ხელი აეღოთ თავიანთ ინტერესებზე ეთიოპიაში და იგი მეტოქისათვის დაეთმოთ მონოპოლიური ძარცვისათვის. მსოფლიო ეკონომიური კრიზისის დამანგრეველი გავლენის ვითარებაში ფაშისტურმა იტალიამ გააძლიერა მზადება ეთიოპიის დასაპყრობად. მან დიდძალ ჯარსა და საომარ ტექნიკას მოუყარა თავი სომალსა და ერიტრეაში და გაახშირა სასაზღვრო „კონფლიქტები", პროვოკაციული თავდასხმები ეთიოპიის ტერიტორიაზე. მაგალითად, 1934 წლის მიწურულში იტალიის ჯარები ღრმად შეიჭრნენ ოგადენის რაიონში უალ-უალის ოაზისის ხელში ჩაგდების მიზნით.

ქვეყნისათვის შექმნილმა მრისხანე საფრთხემ ეთიოპიის მთავრობა აიძულა მიეღო საგანგებო თავდაცვითი ზომები, თანაც ეთხოვა დახმარება ერთა ლიგისათვის. მაგრამ ერთა ლიგამ, რომელსაც „ჩაურევლობის პოლიტიკის" მესვეურები წარმართავდნენ, არაფერი გააკეთა თავისი წევრის უშიშროების უზრუნველსაყოფად, არ დაგმო ფაშისტური იტალიის აგრესია.

რაც შეეხება საფრანგეთს, მან ლავალ-მუსოლინის 1935 წლის 7 იანვრის ფარული შეთანხმებით იცნო ფაშისტური იტალიის პრეტენზიები ეთიოპიის მიმართ და ვალდებულება აიღო ხელი არ შეეშალა იტალიის ბატონობის დამყარებისათვის ამ ქვეყანაში. არც ინგლისს და აშ შტატებს გაუკეთებიათ რაიმე ფაშისტური იტალიის შემზადებული აგრესიის შესაჩერებლად. აშ შტატების კონგრესის მიერ მიღებული კანონი ნეიტრალიტეტის შესახებ (1935 წლის აგვისტოში) მხოლოდ აგრესორისათვის იყო ხელსაყრელი, ვინაიდან საშუალებას ართმევდა აგრესიის ობიექტს შეეძინა ამ ქვეყანაში მისი თავდაცვისათვის საჭირო იარაღი. მხოლოდ საბჭოთა კავშირი ამხელდა გაბედულად ფაშისტური იტალიის საომარ მზადებას ეთიოპიის წინააღმდეგ და მოითხოვდა მის შეჩერებას.

1935 წლის 3 ოქტომბერს იტალიის 500 ათასიანი არმია სომალიდან და ერიტრეიდან ომის გამოუცხადებლად შეიჭრა ეთიოპიის ტერიტორიაზე; იტალიის ავიაციამ კი დაიწყო მისი ქალაქების ბარბაროსული ბომბვა. ასე დაიწყო ფაშისტური იტალიის იმპერიალისტური ომი ეთიოპელი ხალხის წინააღმდეგ. ეთიოპიის იმპერატორმა ჰაილე სელასიე I-მა მაშინვე ერთა ლიგას მიმართა დახმარებისათვის. ამ უკანასკნელმა, მართალია, საბჭოთა კავშირის ენერგიული მოთხოვნით ცნო იტალია აგრესორად, მაგრამ თავი შეიკავა მის წინააღმდეგ ეფექტური სანქციების გამოყენებისაგან. რაც შეეხება ინგლისისა და საფრანგეთის მაშინდელ რეაქციონერ მმართველებს, მათ ფარული გარიგებაც კი დადეს (ხორ-ლავალის 1935 წლის 9

დეკემბრის შეთანხმება) ეთიოპიის ზურგს უკან და მის წინააღმდეგ. იგი ითვალისწინებდა ეთიოპიის ტერიტორიის ნაწილის (ოგადენი, ტიგრე, დანაკილი) გადაცემას იტალიისათვის, დანარჩენისას კი ინგლის-საფრანგეთის კონტროლისათვის (ერთა ლიგის კონტროლის ნიღბით) დაქვემდებარებას.

თავისუფლებისმოყვარე აბისინიელმა ხალხმა გმირული წინააღმდეგობა გაუწია უახლესი საომარი ტექნიკით აღჭურვილ ძლიერ აგრესორს. რეგულარული არმიის ნაწილები და პარტიზანული რაზმები დიდ ზიანს აყენებდნენ მტერს და აჩერებდნენ მის წინსვლას. ამ წინააღმდეგობით გაბოროტებულმა აგრესორებმა ომის წარმოების ყველა არაადამიანურ მეთოდს მიმართეს და ბარბაროსულ საავიაციო თავდასხმებთან ერთად მომწამვლელი ქიმიური საშუალებებიც კი გამოიყენეს. მხოლოდ 1936 წლის მაისში შეძლეს იტალიის ჯარებმა ადის-აბებაში შესვლა და ეთიოპიის მნიშვნელოვანი ნაწილის ოკუპაცია. ჰაილე სელასიე I იძულებული გახდა დაეტოვებინა სამეფო და საზღვარგარეთ გამგზავრებულიყო. მის მიერ დასავლეთ ეთიოპიაში (გორა) შექმნილი დროებითი მთავრობა რას იმრუს (რასი — თავადი) ხელმძღვანელობით 1936 წლის ბოლომდე განაგრძობდა წინააღმდეგობას.

1936 წლის ივლისში ერთა ლიგამ, სსრ კავშირის ენერგიული წინააღმდეგობისა და კაპიტალისტური ქვეყნების პროგრესული წრეების მკაცრი პროტესტის მიუხედავად, გააუქმა უშედეგო სანქციები იტალიის წინააღმდეგ. 1936—1938 წლებში კი გერმანიამ, ალბანეთმა, ავსტრიამ, უნგრეთმა, იაპონიამ, თურქეთმა, ინგლისმა და საფრანგეთმა იცნეს იტალიის მიერ ეთიოპიის დაპყრობა.

1936 წლიდან მოკიდებული 1940 წ. ბოლომდე აბისინია იტალიელ ოკუპანტთა პატივაყრილი უუფლებო კოლონიაა. იტალიელმა ფაშისტებმა ეს ქვეყანა თავიანთ ძველ კოლონიებთან ერთად ერთიან კოლონიურ მმართველობას დაუმორჩილეს და მას იტალიის აღმოსავლეთი აფრიკა უწოდეს. იქ მათ სამხედრო-ფაშისტური საოკუპაციო რეჟიმი დაამყარეს, შემოიღეს მკვიდრთა გასამხედროებული შრომა და ხელი მიჰყვეს მისი მდიდარი რესურსების მტაცებლურ ექსპლოატაციას. ოკუპანტებმა მიითვისეს ყოფილი იმპერატორისა და წინააღმდეგობის გამწევ მსხვილ ფეოდალთა მამულები და იგი იტალიელ კოლონისტებს დაურიგეს დასასახლებლად. სულ ამ დროის განმავლობაში 150 ათასამდე იტალიელი კოლონისტი დასახლდა ეთიოპელთა მამაპაპისეულ მიწა-წყალზე. მათ უნდოდათ ადგილობრივი გლეხების იძულებითი შრომით შეექმნათ მსხვილი კულაკური მეურნეობანი.

თავიანთი ბატონობის განსამტკიცებლად ოკუპანტები სამხედ-

რო-საოკუპაციო რეჟიმთან ერთად იყენებდნენ მკვიდრი მოსახლეობის სხვადასხვა რელიგიური და ეთნიკური ჯგუფების გათიშვის, მათი ურთიერთისათვის წაკიდების ვერაგულ პოლიტიკას. თავიანთ მხარეზე იბირებდნენ ზოგიერთ ფეოდალს. ისინი, მაგალითად, ცდილობდნენ მიესიათ ერთმანეთისათვის ამჰარლები, დანაკილები და სხვები. მაგრამ ამ პოლიტიკას არ ჰქონია წარმატება. ეთიოპიის ხალხებმა კარგად აუღეს ალღო მტრის ვერაგობას და არ წამოეგნენ მის ანკესზე. მათ ქვეყნის ოკუპაციის შემდეგაც არ შეუნელებიათ ბრძოლა ოკუპანტთა წინააღმდეგ. ამ ბრძოლამ, რომელმაც უპირატესად პარტიზანული ომის ხასიათი მიიღო, დიდად გაუჭირა საქმე ფაშისტ ოკუპანტებს. მათი ბატონობა მხოლოდ დიდი ქალაქებით, რკინიგზის ხაზით და რამდენიმე გამაგრებული პუნქტით თუ შემოიფარგლებოდა, დანარჩენი პარტიზანების მხარეზე გადასული ჯარისკაცებისა და მოსახლეობის კონტროლს ექვემდებარებოდა. სახალხო-განმათავისუფლებელი ბრძოლის მონაწილენი გასაქანს არ აძლევდნენ იტალიელთა გარნიზონებს, სალაშქრო რაზმებს, კოლონისტებს, კოლონიური ხელისუფლების მოხელეებს და კომუნიკაციებს; სპობდნენ და ანადგურებდნენ მათ.

ეთიოპელთა შეუპოვარი წინააღმდეგობით გაბოროტებული იტალიელი ფაშისტები სადისტური შეუბრალებლობით უსწორდებოდნენ სამოქალაქო მოსახლეობას, წვავდნენ სოფლებს, ნათესებს, წამებით სულს ხდიდნენ პარტიზანებს, არ ინდობდნენ ბავშვებსა და ქალებსაც კი. ოკუპაციის პერიოდში მოკლულ იქნა 400 ათასამდე კაცი, შიმშილით დაიხოცა 300 ათასი, 35 ათასი კი დაიღუპა საკონცენტრაციო ბანაკებში. მარტო ადის-აბებაში იტალიელ გუბერნატორზე თავდასხმის გამო (1937 წ. თებერვალში) ოკუპანტებმა მოკლეს 30 000 კაცი.

მეორე მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ ოკუპირებული ეთიოპია იტალიელმა ფაშისტებმა ინგლისის სამფლობელოებზე შეტევის საოპერაციო ბაზად გამოიყენეს, მაგრამ ამ შეტევის განზრახვა სისრულეში ვერ მოიყვანეს, რადგან ინგლისელებმა დაასწრეს და სუდან-სომალიდან თავიანთი ჯარები (ინდოელი, აფრიკელი ჯარისკაცები) შეიყვანეს ეთიოპიაში იტალიელთა იქედან გაძევების მიზნით. ამას მოჰყვა ეთიოპელთა განმათავისუფლებელი ბრძოლის ახალი აზვირთება. მრავალრიცხოვანმა პარტიზანულმა რაზმებმა მოკავშირეებთან ერთად გაორკეცებული ენერგიით შეუტიეს ოკუპანტებს. 1941 წლის იანვარში სუდანიდან ეთიოპიის ტერიტორიაზე გადავიდა ჰაილე სელასიე I ეთიოპელთა 2000-იან რაზმთან ერთად და აქტიურად ჩაება ქვეყნის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში. 1941 წლის მაისში ეთიოპელმა პარტიზანებმა ადის-აბება გაწმინდეს იტალიის

ჯარებისაგან და ამით გზა გაუხსნეს ინგლისის ჯარებს. მაისში დედაქალაქში შევიდნენ ეთიოპელთა ნაწილები. 1941 წლის ნოემბერში იტალიის უკანასკნელი საოკუპაციო ძალები დანებდნენ ინგლისისა და ეთიოპიის ჯარებს. ამით დამთავრდა ბრძოლა ეთიოპიის განთავისუფლებისათვის. იტალიელი ოკუპანტები სავსებით გაძევებულ იქნენ ამ ქვეყნიდან.

მართალია, იტალიელ ოკუპანტთა გაძევების შემდეგ ჰაილე სელასიე I-მა ისევ დაიბრუნა თავისი ტახტი, მაგრამ ეთიოპიამ კიდევ დიდხანს ვერ მოიპოვა სრული სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტი. ინგლისის არმია წლების განმავლობაში რჩებოდა ეთიოპიაში, ინგლისელების მიერ შექმნილი სამხედრო ადმინისტრაცია კი ახორციელებდა ფაქტიურ კონტროლს, რომელსაც ძალაუნებურად თვით იმპერატორიც ემორჩილებოდა. 1952 წელს ინგლისმა ეთიოპიას თავზე მოახვია ხელშეკრულება, რომლითაც ფაქტიურად ინარჩუნებდა ამ ქვეყანაზე „მეურვის“ უფლებას და ავალდებულებდა მას მიეღო ინგლისის ფინანსური დახმარება, ინგლისელი მრჩევლები, სამხედრო მისია ადგილობრივი არმიის გასაწვრთნელად, ექსტერიტორიული უფლებები ინგლისის არმიისათვის და ა. შ.

ასე გრძელდებოდა ეს მდგომარეობა 1944 წლამდე. 1944 წელს კი აბისინიის მთავრობის ენერგიული მოთხოვნისა და დემოკრატიული საზოგადოებრიობის მკაცრი პროტესტის ზეგავლენით ინგლისის მთავრობა იძულებული გახდა უკან დაეხია. იგი თანახმა გახდა გაეუქმებინა 1942 წლის არათანასწორუფლებიანი ხელშეკრულება მისგან გამომდინარე ყველა ვალდებულებით, რაც უხეშად ლახავდა ეთიოპიის სუვერენიტეტს, და ორიოდე შეზღუდვით (კონტროლის შენარჩუნება ეთიოპიის არმიასა და პოლიციაზე) ეთიოპიის მთავრობისათვის დაებრუნებია თავისი სუვერენული უფლებები. მაგრამ 1944 წლის შეთანხმების შემდეგაც ინგლისის არმია დარჩა ეთიოპიის რამდენიმე პუნქტში (ოგადენსა და სომალის მოსაზღვრე „სარეზერვო ზონაში“). უკანასკნელმა ინგლისელმა ჯარისკაცმა მხოლოდ 1954 წლის შეთანხმების შემდეგ დატოვა ეთიოპიის ტერიტორია.

1942 წლიდან ჰაილე სელასიეს მთავრობამ განაახლა შეწყვეტილი რეფორმები. 1924 წელს აღდგა 1931 წლის კონსტიტუცია და გამოიცა ბრძანებულებები მონათა განთავისუფლების, მონობის აკრძალვის, არმიის რეორგანიზაციის, სასამართლოს ევროპულ ყაიდაზე გარდაქმნის, უმაღლესი სასამართლოს შექმნის, ქვეყნის ადმინისტრაციული აგებულების გადახალისების და სამოქალაქო და სამხედრო მომსახურეთათვის ხელფასის მტკიცე განაკვეთის დანიშვნის შესახებ. 1944 წელს ამას მოჰყვა საგადასახადო სისტემის რეფორმა და საადგილმამულო გადასახადის წესის შეცვლა და სხვ.

ტროპიკული და სამხრეთ აფრიკის ქვეყნები 1918—1945 წლებში

პირველი მსოფლიო ომის დასასრულისათვის ტროპიკული და სამხრეთ აფრიკის ქვეყნები, ფორმალურად დამოუკიდებელი ეთიოპიის, ლიბერიისა და სამხრეთ აფრიკის კავშირის დომინიონის გამოკლებით, ევროპის დიდი და პატარა იმპერიალისტური სახელმწიფოების უუფლებო კოლონიები იყვნენ. ომის წლებში ამ კოლონიური ტერიტორიების განაწილებაში ცვლილებები მოხდა. გერმანიამ მთლიანად დაკარგა თავისი კოლონიური სამფლობელოები, რომლებიც ინგლისის, საფრანგეთისა და ბელგიის ხელში გადავიდა. 1922 წელს ერთა ლიგის დადგენილებით მანდატი ტოგოსა და კამერუნის დიდ ნაწილზე მიიღო საფრანგეთმა, მცირე ნაწილზე — ინგლისმა, სამხრეთ-დასავლეთ აფრიკაზე — სამხრეთ აფრიკის კავშირმა, აღმოსავლეთ აფრიკაზე (ტანგანიკა) — ინგლისმა, რუანდა-ბურუნდზე — ბელგიამ.

კოლონიური ტროპიკული აფრიკა

კოლონიური ტროპიკული აფრიკა შედგებოდა ინგლისისა და საფრანგეთის კოლონიური სამფლობელოებისაგან, ბელგიის კონგოს, პორტუგალიის კოლონიებისა და ორიოდე სხვა ერთეულისაგან.

ინგლისის კოლონიური სამფლობელოები იყო: ბრიტანეთის დასავლეთ აფრიკა—გამბია, სიერა-ლეონე, ოქროს ნაპირი, ნიგერია... ინგლისის აღმოსავლეთ აფრიკული კოლონიები (კენია, უგანდა, ტანგანიკა...), საფრანგეთისა: მავრიტანია, სენეგალი, საფრანგეთის გვინეა, სპილოს ძვლის ნაპირი, დაგომეა, საფრანგეთის სუდანი, ნიგერი, ზემო ვოლტა (დას. აფრიკა), გაბონი, შუა კონგო, უბანგი-შარი, ჩადი (ეკვატ. აფრიკა) და ტოგოსა და კამერუნის სამანდატო ტერიტორიები.

ტროპიკული აფრიკა ისტორიული წარსულისა და მძიმე კოლონიური უღლის წყალობით მსოფლიოს ერთ-ერთ უაღრესად ჩამორჩენილ ნაწილს წარმოადგენდა. სამეურნეო განუვითარებლობას საკუთრებით შეესაბამებოდა მისი სოციალურ-კლასობრივი ჩამორჩენილობა. ტომები ჯერ კიდევ არ იყვნენ ფორმირებული ხალხებად, არ არსებობდა ეროვნული ბურჟუაზია, თითზე ჩამოითვლებოდა განათ-

ლებული ადამიანები — ინტელიგენცია. ახლად ჩასახულ მუშათა კლასს, სასოფლო-სამეურნეო მუშებსა და საწარმოთა მუშებს არ გააჩნდათ არავითარი კლასობრივი ორგანიზაცია, თითქმის არ არსებობდნენ ეროვნული ორგანიზაციები და მასების ანტიკოლონიური მოძრაობა არ გაშორებია სტიქიურ საზღვრებს.

ბრიტანეთის დასავლეთი აფრიკა — გამბია, სიერა-ლეონე, ოქროს ნაპირი (განა), ნიგერია პირველ და მეორე მსოფლიო ომებს შორის

ბრიტანეთის დასავლეთი აფრიკა თავისი მოხერხებული მდებარეობისა და მსოფლიო აღებმიცემობასთან უფრო მჭიდრო კავშირის გამო ეკონომიურად წინ უსწრებდა ამ რაიონის ფრანგულ კოლონიებს. პირველმა მსოფლიო ომმა, როგორც თავის დროზე იყო აღნიშნული, ობიექტურად ბიძგი მისცა მის განვითარებას, გააძლიერა ფულად-სასაქონლო ურთიერთობა და შესაბამისად შექმნა პირობები ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მომწიფებისათვის.

ნიგერია ინგლისის ყველაზე დიდი კოლონია იყო დასავლეთ აფრიკაში. ფეოდალური, გვარტომული და კაპიტალისტური ურთიერთობანი იქ ერთმანეთში იყო გადახლართული. ამას ემატებოდა მოსახლეობის ჭრელი ეთნიკური შემადგენლობა. ჩრდილოეთ ნიგერიასა და ნაწილობრივ ქვეყნის სხვა ნაწილშიაც ბატონობდნენ ამირები და სულთნები, რომლებიც ინგლისელ კოლონიზატორთა სოციალურ საყრდენებს წარმოადგენდნენ. ნიგერია თავისი მრავალფეროვანი რესურსებით შეუბრალებელი იმპერიალისტური ექსპლოატაციის ობიექტი იყო. ინგლისელ კოლონიზატორებს თითქმის მუქთად გაჰქონდათ ამ ქვეყნიდან სოფლის მეურნეობის პროდუქტები და მინერალური ნედლეული და ძვირად ჰყიდნენ თავიანთ სამრეწველო ნაწარმს.

კოლონიური აპარატის მოხელეთა ძალადობასა და ინგლისელ მონოპოლისტთა მძარცველობის შედეგად 1918—1919 წლებში ნიგერიის რიგ ადგილებში სტიქიურად იფეთქა გლეხთა აჯანყებებმა, რომელიც სისხლში ჩაახშვეს კოლონიზატორთა დამსჯელმა რაზმებმა. გლეხებს არც მუშები ჩამორჩნენ. 20-იანი წლების მანძილზე მიმდინარეობდა სახალხო მოძრაობები მემაღაროელთა და სხვა პროფესიის მუშათა მონაწილეობით. ჩრდილოეთ მუსლიმანურ რაიონებში მოსახლეობის გამოსვლებს რელიგიური საფარველი ჰქონდა.

1922 წელს საერთო რევოლუციური აღმავლობის ვითარებაში ნიგერიაში აღმოცენდა პირველი პოლიტიკური პარტია ნაციონალურ-დემოკრატიული პარტიის სახელწოდებით. მისი მოთხოვნები ძალზე ზომიერ პასიათს ატარებდა. მან მონაწილეობა მიიღო საკანონმდებ-

ლო საბჭოს არჩევნებში, რომელიც ჩატარდა იმავე 1922 წელს „ნაბოძები“ „კონსტიტუციის“ საფუძველზე.

მსგავსსავე ძვრებს აქვს ადგილი ბრიტანეთის დასავლეთი აფრიკის სხვა კოლონიებშიაც. მზარდი კოლონიური ძარცვის პასუხად იქაც ფეხი მოიკიდა უკმაყოფილებამ და მოძრაობამ როგორც თვითმმართველობის ორგანოებში აფრიკელთა წარმომადგენლობის გაფართოებისათვის, ისე კოლონიალიზმის წინააღმდეგ მებრძოლი ძალების გაერთიანებისათვის. ცნობილი განელი ვექილის, ბრწყინვალე პუბლიცისტის კეისლი ჰეოფორდის ინიციატივით 1920 წლის მარტში აფრიკაში მოწვეულ იქნა ოქროს ნაპირის, ნიგერიის, გამბიისა და სიერა-ლეონეს პროგრესული ელემენტების წარმომადგენელთა კონფერენცია. მან მიიღო გადაწყვეტილება დასავლეთი აფრიკის ეროვნული კონგრესის დაარსების შესახებ, თანაც წამოაყენა ზომიერი კონსტიტუციურ-დემოკრატიული მოთხოვნები. ამათგან მთავარი იყო აფრიკელთა პოლიტიკური უფლებების გაფართოება ინგლისის უმაღლესი ხელისუფლების შენარჩუნებით.

მართალია, ეს ზომიერი მოთხოვნებიც კი მიუღებლად იქნა ცნობილი ინგლისის კოლონიური ხელისუფლების მიერ, მაგრამ, 1925 წლიდან ოქროს ნაპირმაც (განა) და სიერა-ლეონემაც მიიღეს ისეთივე კოლონიური კონსტიტუციები, როგორითაც მსხვილმა ქალაქებმა — საკანონმდებლო საბჭოებში თითო მკვიდრის არჩევის უფლება.

ნიგერიის მსგავსად 20-იანი წლებიდან ოქროს ნაპირზე, სიერა-ლეონესა და გამბიაში იშლება გლეხთა მოძრაობა. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა ოქროს ნაპირი, სადაც 1919—1924 წლებში იჯანყებულმა გლეხებმა რამდენჯერმე მიიტანეს იერიში კოლონიზატორთა ცალკეულ ბაზებზე და შეცვალეს კოლონიზატორთა აგენტი — 41 ფეოდალი ბელადი.

ბრიტანეთის დასავლეთ აფრიკაში, სიერა-ლეონეში 1915 წელს დაარსებულმა რკინიგზელთა კავშირმა 1919 წელს უხელმძღვანელა დასავლეთი აფრიკის პირველ გაფიცვას. ნიგერიასთან ერთად ოქროს ნაპირზე, სიერა-ლეონესა და გამბიაში აღმოცენდნენ შოფერთა, დოკების მუშათა და სხვა სპეციალობის მშრომელთა პროფესიული კავშირები.

განელი ხალხის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ქ. აჩიმოტაში (1928 წ.) კოლეჯის დაარსება. მართალია, იგი წინასაუნივერსიტეტო განათლებას აძლევდა ახალგაზრდობას, მაგრამ, მიუხედავად ამისა, განათლებისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი აზრის ფორმირების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კერა გახდა. იქ აღიზარდნენ ანტიკოლონიური მოძრაობის გამოჩენილი ხელმძღვანელები

(კვამე ნკრუმა და სხვები). არა ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდა ფრიტაუნსა და ყურა-ბეიში დაარსებულ კოლეჯებსაც.

1929—1933 წლების მსოფლიო ეკონომიური კრიზისი მწვავედ აისახა ნიგერიის, ოქროს ნაპირის, სიერა-ლეონესა და გამბიის ეკონომიკაში. მან მკვეთრად შეარყია მათი ისედაც სუსტი კოლონიური ეკონომიკა, დასცა ექსპორტი, საექსპორტო მონოკულტურების (კაკაოსი — ოქროს ნაპირზე, პალმის პროდუქტებისა—ნიგერიასა და სიერა-ლეონეში, მიწის თხილისა — გამბიაში) ფასი, წარმოშვა მასობრივი უმუშევრობა და მით აუტანელი გახადა მოსახლეობის ისედაც მძიმე ყოფა.

ამ გარემოებამ და კოლონიური ხელისუფლების ცდამ გაედიდებინა მკვიდრი მოსახლეობის დაბეგვრა და ამგვარად მათთვის დაეკისრებინა კრიზისიდან თავის დაღწევის მთელი ტვირთი, გააძლიერა მოსახლეობის უკმაყოფილება და ხელი შეუწყო ანტიიმპერიალისტური მოძრაობის გაძლიერებას. გლეხობა, მუშათა კლასი, წვრილი ბურჟუაზია და მცირერიცხოვანი პატრიოტული ინტელიგენცია ახალი შემართებით განაგრძობს ბრძოლას რასობრივი დისკრიმინაციის, კოლონიური აპარატის მოხელეთა აღვირახსნილი ძალადობის, საუკეთესო მიწების მიტაცების, გადასახადების გადიდების, იძულებითი შრომისა და არაადამიანური ცხოვრების წინააღმდეგ.

აღნიშნული ქვეყნების განმათავისუფლებელი ბრძოლის აღმავლობაზე სერიოზული მნიშვნელობა ჰქონდა 1930 წელს ჰამბურგში ჩატარებულ ზანგ მუშათა საერთაშორისო კონფერენციას. კონფერენციამ, რომლის მუშაობაში, სხვა ქვეყნებთან ერთად, ნიგერიის, ოქროს ნაპირის, სიერა-ლეონესა და გამბიის წარმომადგენლებიც იღებდნენ მონაწილეობას, მოუწოდა აფრიკის მშრომელებს განაგრძოთ ბრძოლა მათი ქვეყნების კოლონიური დამონების წინააღმდეგ და მეტი ყურადღება მიექციათ მებრძოლი ძალების შეკავშირებისათვის.

განმათავისუფლებელი ბრძოლის ძირითადი ფორმებია გლეხების მიერ მონოკულტურების მოსავლის ჩაბარებისაგან თავის არიდება სათანადო უცხოელი კომპანიებისაგან მათი ფასების მკვეთრად დაწევის გამო, გაბერილი გადასახადების გადაუხდელობა, ინგლისური საქონლის ბოიკოტი, მუშათა გაფიცვები, მშრომელთა ცალკეული დემონსტრაციები ქალაქებში და ა. შ.

განსაკუთრებით დიდი გაქანება ჰქონდა კაკაოს მწარმოებელთა ბოიკოტს ოქროს ნაპირზე. იგი 1938 წლამდე გრძელდებოდა და ერთგვარი გამარჯვებით დამთავრდა. ინგლისური შემსყიდველი კომპანიები იძულებული გახდნენ დაეთმოთ და რამდენადმე გაედიდებინათ შეპასყიდი ფასები.

გლეხთა მასობრივი მოძრაობა აქა-იქ შეიარაღებულ აჯანყებაშიც გადაიზარდა. მაგალითად, 1932 წლის შემოდგომაზე ოქროს ნაპირზე აჯანყდნენ ოლქის გლეხები. აჯანყება ჩახშობილ იქნა კოლონიზატორთა დამსჯელი ექსპედიციის ძალებით. პირველი ნაბიჯები გადადგა მუშათა მოძრაობამაც.

1933 წელს ნიგერიის მთავარი ქალაქის ლაგოსის მუშებმა შექმნეს თავიანთი პროფესიული კავშირი, რომელიც დაარბიეს კოლონიზატორებმა. ამას მოჰყვა ლაგოსის ტრანსპორტელთა საყოველთაო გაფიცვა 1937 წელს. ლაგოსის მუშებს მიჰყვნენ მემაღაროელებიც. ენგუს ქვანახშირის მაღაროებში, რომელიც კოლონიურ ხელისუფლებას ეკუთვნოდა, 1938 წელს მოეწყო მასობრივი გაფიცვა, რის შედეგადაც გაფიცულებმა მიაღწიეს ხელფასის გადიდებასა და შრომის პირობების ნაწილობრივ გაუმჯობესებას. ასეთივე გაფიცვებს ადგილი ჰქონდა ოქროს სარეწებზე (ოქროს ნაპირი) და სიერა-ლეონეში.

ასე რომ, მეორე მსოფლიო ომის წინ ბრიტანეთის დასავლეთი აფრიკის ქვეყნების მშრომელთა ანტიკოლონიური ბრძოლა გაფართოვდა თავისი მასშტაბით, გაიზარდა მონაწილეთა შემადგენლობით და უფრო ძლიერი გახდა. 1939 წელს ნიგერიაში იორუბას პატრიოტული საზოგადოების დაარსება და ასეთივე ორგანიზაციების აღმოცენება ოქროს ნაპირსა და სიერა-ლეონეში განმათავისუფლებელი მოძრაობის შემდგომი აღმავლობის მომასწავებელი იყო.

საფრანგეთის დასავლეთი აფრიკა, ბელგიის კონგო, ანგოლა და მოზამბიკი პირველ და მეორე მსოფლიო ომებს შორის პერიოდში

პირველ მსოფლიო იმპერიალისტურ ომში საფრანგეთის იმპერიალიზმმა ფართოდ გამოიყენა დასავლეთი აფრიკის საკუთარი კოლონიების (მავრიტანიის, სენეგალის, საფრ. გვინეის, სპილოს ძვლის ნაპირის, დაგომეას, საფრანგეთის სუდანის, ნიგერიისა და ზემო ვოლტის) მატერიალური რესურსები, ფინანსური სახსრები და „საზარბაზნე ხორცი". კოლონიებისათვის დამატებითი მძიმე ტვირთის დაკისრება უმტკივნეულოდ არ ჩატარებულა. 1916 წელს ამ ნიადაგზე ზოგიერთ კოლონიაში იფეთქა მასობრივმა მღელვარებამ, რომელიც შეიარაღებულ აჯანყებაში გადაიზარდა. გამოსვლები შეუბრალებლად ჩაახშეს საფრანგეთის შეიარაღებული ძალების მეშვეობით.

პირველი მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ საფრანგეთის მთავრობამ შეიმუშავა დასავლეთ აფრიკის კოლონიების ეკონომიური განვითარების ხუთმეტწლიანი გეგმა, რომლის ავტორი იყო ცნობილი ფრანგი კოლონიზატორი, მაშინ კოლონიების მინისტრი ალბერტ

სარო. ამ გეგმის ამოცანა იყო კოლონიების ბუნებრივი რესურსების უფრო ორგანიზებული მითვისება, ფრანგული კაპიტალის დაბანდებისა და საქონლისათვის ფართო გასაქანის მიცემა.

ამ გეგმის შესაბამისად სენეგალში, გვინეაში, დაგომეაში და სხვა კოლონიებში უფრო ინტენსიურად გაიშალა ნაესადგურების, რკინიგზების, გზატკეცილების, კავშირის საშუალებათა და ხიდების მშენებლობა. მაგრამ საფრანგეთის კაპიტალი ომის შემდეგაც უხალისოდ ბანდდებოდა საწარმოო სფეროში და ამჯობინებდა სამეურნეო ოპერაციებს. ფრანგული კაპიტალის შეზღუდული ინვესტიციის შედეგი იყო, რომ ეკონომიური ძვრები დასავლეთ აფრიკის ფრანგულ კოლონიებში უფრო უმნიშვნელო იყო, ვიდრე, მაგალითად, ნიგერიაში ან ოქროს ნაპირზე. წარმოება, სოფლის მეურნეობა და ტრანსპორტი ნელი ტემპით ვითარდებოდა და მეორე მსოფლიო ომამდე იქ არ შექმნილა თითქმის არც ერთი მსხვილი კაპიტალისტური საწარმო. ფრანგი მონოპოლისტები ამჯობინებდნენ კვლავინდებურად ძველი მეთოდებით ეძარცვათ ეს კოლონიები: არაეკვივალენტური ვაჭრობით, მკვიდრი მოსახლეობის საგადასახადო ტვირთის გაზრდით და იძულებითი შრომის გამოყენებით. ამ მიზნის მისაღწევად ისინი ფართოდ იყენებდნენ თავიანთ აგენტებს: მსხვილ ფეოდალებს, ტომთა ბელადებს, კომპრადორ ვაჭრებს. ხშირად კოლონიზატორები ბელადების თანამდებობას ომიდან დაბრუნებულ ჯარისკაცებსა და უნტერ-ოფიცრებსაც კი აძლევდნენ.

მართალია, საფრანგეთის დასავლეთ აფრიკაში შექმნილი „პირდაპირი მმართველობის სისტემა“ ისევ ძალაში დარჩა, მაგრამ აქა-იქ ფრანგი კოლონიზატორები შეეცადნენ ზოგიერთი გამონაკლისი გაეკეთებინათ და საყრდენი სოციალური ფენის გაზრდის მიზნით ცალკეულ „კეთილსაიმედო“ და „განათლებული“ ადგილობრივი მკვიდრი საფრანგეთის მოქალაქის უფლებების მინიჭებით წაეხალისებინათ. საფრანგეთის მოქალაქის უფლებები მიენიჭათ სენეგალის ოთხი ქალაქის „რჩეულ“ მცხოვრებლებს: სენ-ლუის, დაკარის, რიუფისკისა და გორეს. სულ 1936 წლისათვის სენეგალში იყო 80 ათასი საფრანგეთის მოქალაქე. მათზე არ ვრცელდებოდა იურისდიქცია მკვიდრთა შესახებ, მათ მეტ გასაქანს აძლევდნენ კოლონიურ აპარატში, არმიასა და პოლიციაში; დაბოლოს, ისინი ირჩევდნენ ერთ დეპუტატს საფრანგეთის პარლამენტში. მაგრამ დანარჩენი მკვიდრი მოსახლეობა სენეგალშიც და სხვა ფრანგულ კოლონიებშიც მოკლებული იყო ელემენტარულ ადამიანურ უფლებებს და გაუგონარი ჩაგვრითი დისკრიმინაციის ობიექტს წარმოადგენდა.

სამანდატო ტერიტორიებზე (ტოგო, კამერუნი) საფრანგეთის კოლონიური ადმინისტრაცია თითქოს ვალდებული იყო ანგარიში

ეძლია ერთა ლიგისათვის და გაეწია მკვიდრი მოსახლეობისათვის მეურვეობა თვითმმართველობის მომზადებით, დახმარებოდა მას კულტურული დონის ამაღლებაში. მაგრამ სინამდვილეში იქაც ჩვეულებრივი კოლონიური წესები იყო გაბატონებული.

კოლონიური ჩაგვრის შემდგომმა ინტენსიფიკაციამ („ს

ვოლტაში, რომლებიც ყველაზე მეტ მუშა ხელს აწოდებდნენ „საზოგადოებრივ სამუშაოებს" — რკინიგზების მშენებლობას, გზატკეცილების გაყვანას და ნაესადგურებს თავიანთი ქვეყნების გარეთ. მათი იძულებითი შრომა აუტანელ სიცხესა და ტროპიკულ წვიმებში, მუდმივი შიმშილის, მრავალი გადამდები სენისა და თეთრკანიან ზედამხედველთა გამუდმებული მათრახების ვითარებაში იყოდაც აუტანელი იყო, სამუშაოს დაკარგვამ კი სრული გაჭლეტის საფრთხე შეუქმნა მათ. ასეთივე მდგომარეობაში ჩავარდნენ ალმასის, კალისა და სხვა წიაღისეულის მომპოვებელი სარეწების მუშები იმის გამო, რომ ბევრი მათგანი სავსებით დაიხურა, დანარჩენების მუშაობა კი ერთი სამად შეიზღუდა.

მსოფლიო ეკონომიური კრიზისის აღნიშნულმა შედეგებმა გააძლიერა მკვიდრი მოსახლეობის უკმაყოფილება, რომელიც რიგ ადგილებში მასობრივ მღელვარებასა და გამოსვლებში გადაიზარდა. მაგალითად, 1931—1932 წლებში მავრიტანიაში მკვიდრი მოსახლეობა მაროკოელი ლტოლვილების დახმარებით არაერთხელ დაესხა თავს საფრანგეთის საგუშაგოებს და სერიოზული ზიანი მიაყენა მათ. გლეხთა და უმუშევრად დარჩენილი მუშების მღელვარებას ადგილი ჰქონდა სენეგალში, დაგომეაში, სპილოს ძვლის ნაპირზე და სხვაგან.

საფრანგეთის დასავლეთი აფრიკის კოლონიების მოსახლეობის გამოსვლები აუტანელი კოლონიური რეჟიმის წინააღმდეგ, რომელიც თანდათანობით ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში გადაიზარდა, 30-იანი წლებიდან მიმდინარეობდა ეროვნული მეობის გაღვიძებისა და პროგრესული წრეების გავლენის გადიდების ვითარებაში. საგრძნობლად გაძლიერდა ეროვნული დემოკრატიული ინტელიგენციის როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ცოტათი მომრავლდნენ ადგილობრივი მუშათა კადრები და ამაღლდა მუშათა შეგნებულობა. ამან თავისი გამოხატულება პოვა სენეგალში, სპილოს ძვლის ნაპირსა და სხვა ადგილებში პოლიტიკური პარტიების შექმნაში, პრესის ეროვნული ორგანოების დაარსებაში, რკინიგზელ მეშათა გაფიცვებში (დაგომეაში, ნიგერში...) და ეროვნული ბურჟუაზიის ნაწილობრივ გააქტიურებაში.

სახალხო ფრონტის გამარჯვებამ საფრანგეთში 1936 წელს და მის შედეგად ახალი მთავრობის შექმნამ, რომელიც სახალხო ფრონტს ეყრდნობოდა და დემოკრატიულ პროგრამას ახორციელებდა, მორიგი ბიძგი მისცა დასავლეთ აფრიკის ფრანგული კოლონიების მოსახლეობის გააქტივებასა და ეროვნულ-განმანათლებელი მოძრაობის გაძლიერებას. სწორედ ამ დროიდან იქმნება იქ პოლიტიკური მიმდინარეობები და წრეები, მეტ გაქანებას ღებულობს ახალგაზრდობის პატრიოტული და საგანმანათლებლო მოძრაობა; ყალიბდება მუშათა

პროფესიული კავშირები. მაგალითად, სახალხო ფრონტის მთავრობის სანქციით 1937 წელს სენეგალში და სპილოს ძვლის ნაპირზე შეიქმნა მკვიდრ მუშათა პროფესიული კავშირები. 1938 წლის სექტემბერში სენეგალის რკინიგზელთა პროფკავშირმა მოაწყო რკინიგზელ მუშათა მასობრივი გაფიცვა, რომელიც გაფიცულთა ნაწილობრივი გამარჯვებით დამთავრდა (ხელფასის გადიდება, ჯართა შეტაკების დროს დაღუპულ მუშათა ოჯახებისათვის დახმარების გაცემა...). ასეთივე შედეგით დამთავრდა მკვიდრ მოსამსახურეთა გაფიცვა სენეგალშივე. ადმინისტრაცია იძულებული გახდა ეცნო მათი პროფესიული კავშირი და კოლექტიური ხელშეკრულება დაედო მასთან.

* * *

კონგოს თვალუწვდენელი აუზის კოლონიზაცია ფაქტიურად პირველი მსოფლიო ომის დასასრულისათვის დამთავრდა. მანამდე კი — 1908 წელს ბელგიის მეფის პირადი საკუთრებიდან იგი ბელგიის კოლონია გახდა.

ბელგიელი კოლონიზატორები თითქოს „მამური მზრუნველობისათვის" მოეელინენ „დიდ ბავშვებს"—კონგოლეზელებს. სინამდვილეში ბუნებრივი რესურსებით უხვად დაჯილდოებულ კონგოს ყვავყორნებივით მიესივნენ ბელგიელი მონოპოლისტები, ვაჭარ-ბანკირები და ყველა ჯურის ავანტიურისტები, რათა მრავალრიცხოვანი ბელგიელი მოხელეებისა და ჯარისკაცების მეშვეობით ხელში ჩაეგდოთ მკვიდრთა მძიმე შრომითა და ოფლით შექმნილი ამ ქვეყნის სიმდიდრე. მათი „ცივილიზებული მოღვაწეობის" შედეგი იყო, რომ სულ რაღაც 3 ათეული წლის მანძილზე კონგოლეზელთა რიცხვი 30 მილიონიდან 15 მილიონამდე შემცირდა.

მონური შრომა, კაუჩუკის ნედლეულისა და სპილოს ეშვების შესაგროვებლად ძალით გარეკვის პრაქტიკა, არნახული რასობრივი დისკრიმინაცია, კოლონიური მოხელეებისა და მხედრიონის აღვირახსნილობა. თვითნებობა... აი, რა იყო გაბატონებული ბელგიის კონგოში.

მისი ფაქტიური ბატონ-პატრონი იყო უმსხვილესი მონოპოლიური გაერთიანება „სოსიეტე ჟენერალ დე ბელჟიკ", რომლის კონტროლს ექვემდებარებოდა მრავალი კომპანია და საწარმო. კერძოდ მის ქვემდებარეობაში იყო მსხვილი სამთო ტრესტი „იუნიონ მინერ დიუ კატანგა", რომლის ხელში იყო ალმასის, ოქროს და წიაღისეულის მოპოვება კატანგისა და კასაის პროვინციებში. ყოველწლიურად იზრდებოდა კონგოდან გაზიდული ალმასის, ოქროს, სპილენძის, სამთომოპოვებითი მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ნედლეულის გაზიდვა საზღვარგარეთ. იგი აჩანაგებდა ბელგიის კონგოს და ზღაპრულ მოგებას აძლევდა იქ მოპარპაშე ბელგიური კომპანიების აქციონერებს.

აუტანელმა კოლონიურმა ძარცვა-თვითნებობამ, რომელიც განსაკუთრებით გაძლიერდა პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, შექმნა პირობები კონგოს მოსახლეობის ფართო ფენების ანტიიმპერიალისტური გამოსვლებისათვის, მაგრამ გლეხობისა და ქალაქის მშრომელთა მოძრაობას სტიქიური ხასიათი ჰქონდა და უპირატესად გვარტომთა ბელადების ხელმძღვანელობით მიმდინარეობდა. მხოლოდ ოციანი წლებიდან ჩაეყარა საფუძველი პირველი პოლიტიკური ორგანიზაციების პროტოტიპებს პოლიტიკურ-რელიგიური გაერთიანებების (სექტების) სახით. აღნიშნული სექტები მოსახლეობას მოუწოდებდნენ ებრძოლათ როგორც უცხოელ ქრისტიან მღვდელ-მისიონერების — „ანაფორაგადაცმული კოლონიზატორების", ისე კოლონიურ მოხელეთა წინააღმდეგაც, აყენებდნენ ლოზუნგებს: „კონგო კონგოლეზელებს".

ამ რელიგიურ-პოლიტიკურ მოძრაობათაგან ყველაზე მნიშვნელოვანი იყო 1921 წელს დასავლეთ კონგოში მღვდელ სიმონ კიბანგუს[1] მიერ ორგანიზებული მოძრაობა „კიბანგიზმის" სახელწოდებით. მასობრივი იყო აგრეთვე აღმოსავლეთ კონგოში მოქმედი მოძრაობაც „კიტავალას" სახელწოდებით. ისინი ქადაგებდნენ. რომ ზეციდან ჩამოვა ცეცხლი, რომელიც დაწვავს ყველა თეთრკანიანს და გაათავისუფლებს შავკანიანებს... კოლონიური ხელისუფლება სასტიკად ებრძოდა ასეთ მოძრაობებს და მკაცრად სჯიდა მის მონაწილეებს[2]. ამ ნიადაგზე 1922—1923 წლებში რამდენიმე სისხლიანი აჯანყებაც კი გაიშალა კონგოს სხვადასხვა კუთხეებში.

ცოტა უფრო გვიან აღმოცენდნენ სხვა პოლიტიკურ-რელიგიური ჯგუფები და გაერთიანებები, რომელთაც გააჩაღეს ბრძოლა კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ. მსოფლიო ეკონომიურმა კრიზისმა მძლავრი ბიძგი მისცა მასების მოძრაობას და აქა-იქ სახალხო „ბუნტებში" გადაზარდა იგი. მის შემდეგ 1931—1936 წლებში კონგოს ბევრ პროვინციაში სასოწარკვეთილებამდე მისულმა გლეხებმა და მთამადნეულის საწარმოთა მუშებმა მოაწყეს შეიარაღებული გამოსვლები და ბრძოლა გაუმართეს ჯარსა და პოლიციას. ბელგიელმა კოლონიზატორებმა შეუბრალებლად ჩაახშეს ეს მასობრივი სახალხო გამოსვლები.

* * *

პატარა პორტუგალია ვრცელ კოლონიებს ფლობდა აფრიკაში. მას ეკუთვნოდა ანგოლა, მოზამბიკი, ე. წ. „პორტუგალიის გვინეა" და სხვ. აღნიშნული კოლონიების საწარმოო ძალები და სოციალური ყოფა მეტად დაბალი იყო. მოზამბიკსა და ანგოლაში პორტუგალიელ

[1] იგი იყო გაქრისტიანებული დურგალი სტენლი-პულიდან.

[2] სიმონ კაბანგუს კოლონიურმა ხელისუფლებამ სამუდამო კატორღა მიუსაჯა.

კოლონიზატორებთან ერთად უცხოელი მონოპოლისტებიც პარპაშობდნენ. ინგლისური კაპიტალი კონტროლს უწევდა ანგოლის საგარეო ვაჭრობას — შაქრის, სიზალის და სხვა კულტურების ექსპორტს, მთამადნეულის მოპოვებას, რკინიგზის ტრანსპორტს. ასეთივე სერიოზული პოზიციები ჰქონდა ანგოლასა და მოზამბიკში ბელგიურ კაპიტალსაც. ასე რომ, პორტუგალიის მთავარ კოლონიებს უმოწყალოდ ძარცვავდნენ პორტუგალიელი მონოპოლიური გაერთიანებები და მათი უფროსი პარტნიორები — უცხოელი კომპანიები. მკვიდრი მოსახლეობის ჩაგვრა და გაძარცვა, ადგილობრივი რესურსების ამოქაჩვა იქაც ისეთივე მეთოდებით წარმოებდა, როგორითაც ბელგიის კონგოში. იქაც სუფევდა იძულებითი შრომა, „ცოცხალი საქონლის" დაკონტრაქტება და მათი გაყიდვა სან-ტომეზე, სამხრეთ აფრიკის კავშირსა და სამხრეთ როდეზიაში მაღაროებში სამუშაოდ. მეორე მსოფლიო ომის წინ ყოველწლიურად 300 ათასზე მეტი ანგოლელი და მოზამბიკელი მუშაობდა თავიანთი ქვეყნის გარეთ. პორტუგალიის ხელისუფალნი „ცოცხალი საქონლის" უხვად მოწოდებისათვის დიდძალ გასამრჯელოს ღებულობდნენ მუშახელის დამკვეთთაგან.

პორტუგალიის ხელისუფლება, რომლის სათავეშიაც 1926 წლიდან იმყოფება სასხლიანი დიქტატორი და ფაშისტი სალაზარი, თავის ბატონობას აფრიკულ კოლონიებზე, სადაც კოლონიური ექსპლოატაციის გაბატონებული ფორმაა გარეეკონომიური იძულება, ახორციელებდა მრავალრიცხოვანი დაგეშილი მოხელისა და ძლიერი კოლონიური არმიის მეშვეობით. იძულებითი შრომის მასობრივი გამოყენება პორტუგალიელმა კოლონიზატორებმა მკვიდრთა „აღზრდისა" და „პორტუგალიური ცივილიზაციის" ათვისების ერთერთ საშუალებად მიიჩნიეს.

პორტუგალიის კოლონიების ადმინისტრაციული მართვის სისტემა შესაბამისი აქტით საბოლოოდ 1930 წელს ჩამოყალიბდა. იგი წარმოადგენდა უშუალო მართვის სისტემას ოლქების გუბერნატორების, რაიონების „ადმინისტრატორებისა" და „პოსტების უფროსთა" მეშვეობით. ვერტიკალური კოლონიური ბიუროკრატიული იერარქიის გვერდით მკვიდრი მოსახლეობის ძარცვა-დამონებაში დიდ როლს ასრულებდნენ პორტუგალიელი კოლონისტები, რომლებიც გაერთიანებული იყვნენ ჰორიზონტალურ ფაშისტურ კორპორაციებში.

როგორც ფრანგულ სენეგალში, ანგოლასა და მოზამბიკში, პორტუგალიელმა კოლონიზატორებმა სრულიად უუფლებო, იძულებითი შრომისა და „ნებაყოფლობითი კონტრაქტაციის" ობიექტად ქცეულ მკვიდრთა აბსოლუტური უმრავლესობის გვერდით შექმნეს პრივი-

ლეგიონერთა მცირერიცხოვანი ჯგუფი ე. წ. „ცივილიზებულები“ ან „ასიმილებულნი“. მათი რიცხვი მეორე მსოფლიო ომის წინ სულ რაღაც სამ ათეულ ათას კაცს შეადგენდა. „ცივილიზებულებს“ უნდა სცოდნოდათ პორტუგალიურ ენაზე წერა-კითხვა, ყოფილიყვნენ ქრისტიანები, ჰქონოდათ მნიშვნელოვანი შემოსავალი, გაეცნოთ სამხედრო სამსახური, ეწარმოებინათ ცხოვრების „ევროპული“ წესი და კარგი „ხასიათი“ უნდა ჰქონოდათ. კოლონიზატორთა ჩანაფიქრით მათ კოლონიური ხელისუფლების ერთგული აგენტების როლი უნდა შეესრულებინათ.

აუტანელმა კოლონიურმა ჩაგვრამ და ველურმა რასობრივმა დისკრიმინაციამ პორტუგალიის კოლონიების მოსახლეობას უბიძგა ურჩობისა და გამოსვლებისაკენ. ახლად ფეხადგმულმა მუშათა კლასმა ანგოლასა და მოზამბიკში გაფიცვებიც კი მოაწყო. ამ მხრივ გამოირჩეოდნენ რკინიგზელები და დოკერები. 1925 წელს დასავლეთ ანგოლაში აჯანყდნენ ნავსადგურებსა და პლანტაციებში მომუშავე მუშები. ცოტა უფრო გვიან — 30-იანი წლების მეორე ნახევარში მოხდა. გლეხთა გამოსვლებიც. მაგრამ ყველა სახის ანტიკოლონიური გამოსვლა სტიქიური იყო, არ გააჩნდა ნათელი პროგრამა და წესიერი ხელმძღვანელობა, რის გამოც კოლონიზატორებმა შეუბრალებლად ჩაახშეს ისინი. სალაზარის ფაშისტური ვაუბატონები და კოლონისტები კანიბალური სისასტიკით უსწორდებოდნენ „ურჩ მონებს“.

ანტიკოლონიურ მოძრაობაში „ცივილიზებულნიც“ — პორტუგალიის უფლებამოსილი მკვიდრი მოქალაქენიც კი იღებდნენ აქტიურ მონაწილეობას. მათ შექმნეს 1929 წელს პირველი ნაციონალური ორგანიზაციები: ანგოლის ნაციონალური აფრიკული ლიგა და ანგოლის მცხოვრებთა რეგიონალური ასოციაცია. მართალია, ეს ორგანიზაციები უპირატესად კულტურულ-საგანმანათლებლო მისიას ისახავდნენ, მაგრამ შენიღბულად მორცხვ პოლიტიკურ ამოცანებსაც აყენებდნენ. მათი საქმიანობა უსასტიკეს კოლონიურ კონტროლს ექვემდებარებოდა, ამიტომ საქმიანობის სფეროც მკვეთრად შეზღუდული იყო.

ბრიტანეთის აღმოსავლეთი აფრიკა და სამხრეთი აფრიკა პირველ და მეორე მსოფლიო ომებს შორის პერიოდში

პირველი მსოფლიო ომის დასასრულისათვის ბრიტანეთის აღმოსავლეთ აფრიკული კოლონიები იყო კენია, უგანდა და ზანზიბარი. 1922 წელს ერთა ლიგის მანდატით მას გადაეცა გერმანიის კოლონიური სამფლობელოების დიდი ნაწილი (რუანდა, ბურუნდისა და კონგას რაიონის გამოკლებით, რომელთა მანდატი ბელგიამ მიიღო), რომელსაც „ტანგანიკა“ ეწოდა.

აღნიშნული ინგლისური კოლონიების ბუნებრივი პირობები განსხვავდებოდა ერთიმეორისაგან. შესატყვისად განსხვავებული იყო იმ პოლიტიკის ფორმებიც, რასაც იყენებდნენ ინგლისელი კოლონიზატორები.

კენიის კლიმატური პირობები, კერძოდ მისი მაღლობი და მთიანი ნაწილისა, ხელსაყრელი იყო თეთრი მოსახლეობის კოლონიზაციისა და საქმიანობისათვის. სწორედ ამიტომ კოლონისტთა ნაკადის გაძლიერებისა და მათი ვრცელი პრეტენზიების დაკმაყოფილების მიზნით კოლონიურმა ხელისუფლებამ ხელი მიჰყო მკვიდრი ტომების აყრას მამაპაპეული მიწებიდან, მათ „გაწმენდას" გადმოსახლებულ კოლონისტთა მსხვილი ლატიფუნდიების, ევროპული მსხვილი პლანტაციური მეურნეობების შესაქმნელად და მკვიდრთა შერეკვას მათთვის გამოყოფილ რეზერვატებში. ამ გზით მეორე მსოფლიო ომამდე კენიის საუკეთესო მიწების დიდი ნაწილი ევროპელ კოლონისტთა ხელში გადავიდა. კენიის ტომების უძრავი ქონების ამ გრანდიოზულ ექსპროპრიაციას თან მოჰყვა მკვიდრი მიწათმოქმედებისა და მეჯოგეების 26 რეზერვატში შერეკვა. ყველაზე ნოყიერი ვრცელი მთიანი ტერიტორია ამიერიდან ინგლისელი კოლონისტების მსხვილ მამულებად და პლანტაციურ მეურნეობად იქცა[1]. 1926 წლის განკარგულებით რეზერვაციებში შერეკილებს ეკრძალებოდათ სხვაგან დასახლება და შრომითი საქმიანობა ინგლისელ ხელისუფალთა სანქციის გარეშე.

ევროპელ მსხვილ ფერმერებს და პლანტატორებს თავიანთ მამულებში ყავის, სიზალის, ჩაის და სხვა საექსპორტო კულტურების მოსაყვანად ბევრი მუშახელი ესაჭიროებოდათ. ამიტომ კოლონიური ხელისუფლება სპეციალური მოწმობებით („კიპანდი") უფლებას აძლევდნენ გადამეტსახლებული რეზერვატების მცხოვრებლებს სეზონურად ემუშავათ მოჯამაგირეებად და სასოფლო-სამეურნეო მუშებად. 30-იან წლებში ევროპელთა პლანტაციებში 200 ათასზე მეტი აფრიკელი მუშაობდა. მათი შრომა, ქცევა და მიმოსვლა მკაცრად იყო რეგლამენტირებული და სასტიკ კონტროლს ექვემდებარებოდა.

უგანდაში ინგლისელი კოლონიზატორების სოციალური საყრდენები იყვნენ ადგილობრივი ფეოდალები. მათ ხელუხლებლად დატოვეს ფეოდალური სახელმწიფო მმართველებისა და ტომთა ბელადების ხელისუფლება, სახელმწიფო ფეოდალური საკუთრება მიწაზე კერძო ფეოდალურ საკუთრებად აქციეს, საკანონმდებლო წესით განამტკიცეს ფეოდალთა კლასი და ისინი თავიანთი პოლიტი-

1 ზოგიერთი ინგლისელი ლორდი და ყოფილი კოლონიური თავკაცი ათეული ათასი ჰექტარი მამულის მფლობელი გახდა.

კის იარაღად გამოიყენეს. რაც შეეხება ზანზიბარს, იქ სულთანს შეუნარჩუნეს ძველი უფლება, არაბ ფეოდალებს კი — მიწები.

1922 წლიდან მანდატის უფლებით ინგლისის ხელში გადასულ ტანგანიკაშიც მეურვეობის ნიღბით ; ინგლისელებმა ტრადიციული კოლონიური რეჟიმი დაამყარეს (არაპირდაპირი მმართველობა ფეოდალთა მეშვეობით).

საერთოდ, ორ ომს შორის პერიოდში აღმოსავლეთ აფრიკის ინგლისურ კოლონიებში მართვის ფორმებში ძირეული ცვლილებები არ მომხდარა. ყველგან, განურჩევლად იმისა, უშუალო მმართველობა არსებობდა თუ არაპირდაპირი, მთელი უმაღლესი ძალაუფლება კენიაში, უგანდაში, ტანგანიკასა და ზანზიბარ-ჰემბაზე ინგლისელ გუბერნატორთა ხელში იყო. კენიის მსგავსად სხვა კოლონიებშიაც „ყვაოდა" მკვიდრთა იძულებითი შრომა, რასობრივი დისკრიმინაცია და აუტანელი ძალმომრეობა. უგანდაში, ტანგანიკასა და ზანზიბარზეც კოლონიზატორებმა შემოიღეს სპეციალური საშვები, ურომლისოდაც არც ერთ მკვიდრს არ მიიღებდნენ რაიმე სამუშაოზე. მუშებს უმკაცრესად ეკრძალებოდათ საწარმოთა და პლანტაციების თვითნებური მიტოვება, ამისათვის მათ სასჯელი მოელოდათ.

ზემოაღნიშნულს ემატებოდა კოლონიების მოსახლეობის დაბეგვრა მაღალი გადასახადებით, გლეხობის შრომის ნაწარმის მექთაღ მითვისება, ინგლისური საქონლის ძვირად გაყიდვა, მკვიდრთა იძულებითი შრომის სისტემატური გამოყენება რკინიგზების, გზა-ხიდების მშენებლობაზე, ადგილობრივ ფეოდალთა დესპოტია და ა. შ.

კოლონიური ჩაგვრისა და რასობრივი დისკრიმინაციის შეუჩერებელმა ზრდამ, ცხოვრების პირობების კატასტროფულმა დაცემამ, ნატურალური მეურნეობის თანდათანობითმა რღვევამ, ადგილობრივი ბურჟუაზიისა და ინტელიგენციის ჩასახვამ, დაბოლოს, დიდი ოქტომბრის იდეების გავლენამ აფრიკის ამ ნაწილშიაც შექმნა პირობები მასების ანტიკოლონიური მოძრაობისათვის. მსოფლიო ეკონომიური კრიზისის მძიმე შედეგებმა მორიგი მძლავრი ბიძგი მისცა კენიის, უგანდის და ზანზიბარის დამონებული ხალხების გამოღვიძებას, მათ ჩაბმას ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაში.

აფრიკის ამ ნაწილში გაჩაღებული ანტიიმპერიალისტური მოძრაობის ერთ-ერთ დამწყებსა და აქტიურ მონაწილეს, მოძრაობისა, რომლის მთავარი ცენტრი კენია იყო, წარმოადგენდა საზღვარგარეთ აღზრდილი და პატრიოტული სულისკვეთებით გამსჭვალული ახალგაზრდა აფრიკელი ინტელიგენცია. მისი ინიციატივით შეიქმნა „ახალგაზრდა ბუგანდის ასოციაცია" 1918 წელს, კენიის პირველი ანტიიმპერიალისტური ორგანიზაცია — აღმოსავლეთ აფრიკის ასო-

ციაცია, ნაირობში 1921 წელს (ახალგაზრდა კიკუიუს[1] ასოციაცია, რომლის დამაარსებელი იყო ტელეფონის სადგურის ახალგაზრდა აფრიკელი მუშაკი ჰარი ტუკუ) და ტანგანიკელ აფრიკელთა ასოციაცია 1927 წელს.

კენიის აღმოსავლეთ აფრიკის ასოციაციამ იმავე 1921 წელს აქტიური საპროტესტო კამპანია გააჩაღა კარგი მიწების ექსპროპრიაციის, მკვიდრთა რეზერვატებში ძალით შერეკვის, ევროპელი პლანტატორების მიერ მუშა-მოჯამაგირეებისათვის ხელფასის შემცირების, რასობრივი დისკრიმინაციისა და „კიპანდეს“ შემოღების წინააღმდეგ. 1922 წლის ასოციაციამ მისი თავმჯდომარის ჰარი ტუკუს შეპყრობის პასუხად მოაწყო ხალხმრავალი დემონსტრაცია, რომელიც შეუბრალებლად დახვრიტეს კოლონიურმა შეიარაღებულმა ძალებმა (150-დე დემონსტრანტი მოკლეს), რასაც მოჰყვა ასოციაციის დარბევა.

30-იანი წლებიდან, როდესაც მსოფლიო ეკონომიური კრიზისის ზეგავლენით ახალი ძალით გაიშალა კენიელი ხალხის ბრძოლა, გააქტიურდა 1925 წელს დაარსებული კიკუიუს ცენტრალური ასოციაცია, აღმოცენდნენ კენიის სხვა ტომების გაერთიანებებიც და გაძლიერდა ბრძოლა იძულებითი შრომისა და მიწების ექსპროპრიაციის წინააღმდეგ, მკვიდრთათვის პოლიტიკური უფლებების მოპოვებისათვის. 1932 წელს კოლონიურმა ხელისუფლებამ მოახდინეს კავირონდოს რეზერვაციის ოქროსშემცველი მიწების ექსპროპრიაცია და იგი ოქროსმრეწველებს გადასცეს, მის მოსახლეობას კი სხვაგან გამოუყვეს საცხოვრებელი. ამ ძარცვას კენიის გლეხობამ უპასუხა მასობრივი ანტიიმპერიალისტური გამოსვლებით. იგივე განმეორდა 1938—1939 წლებში, როდესაც კოლონიურმა ხელისუფლებამ „სახელმწიფოებრივი საჭიროების“ მომიზეზებით მოახდინეს გლეხების პირად საკუთრებაში მყოფი პირუტყვის ნაწილის კონფისკაცია.

იგივე ამბები მეორდება უგანდაში, ტანგანიკასა და ზანზიბარზედაც. ტანგანიკის გლეხებმა საექსპორტო კულტურების შემსყიდველთა გამოძალვასთან საბრძოლველად 1929 წელს საკუთარი გამსაღებელი კოოპერატივებიც კი შექმნეს. კოლონიურმა ხელისუფლებამ 30-იანი წლების დასაწყისში გარეკეს კოოპერატორთა კავშირის დამფუძნებელი კრება და დახვრიტეს მათ მომხრეთა შეკრება. ამის პასუხად გახშირდა ტანგანიკის გლეხობის გამოსვლები. ასეთივე ძალადობას მიმართავდნენ კოლონიზატორები უგანდასა და ზანზიბარში. 1929—1930 წლებში იფეთქა სასოწარკვეთილებამდე მისუ-

---

[1] კენიის ყველაზე დიდი და მრავალრიცხოვანი ხალხის სახელია.

ლი უგანდელი გლეხების შეიარაღებულმა აჯანყებამ. რომელიც ბელგიის სამანდატო ტერიტორია რუანდასაც კი მოედო.

საერთოდ ინგლისური აღმოსავლეთ აფრიკის ხალხთა მოძრაობა 20—30-იან წლებში ჯერ კიდევ სტიქიურად მიმდინარეობდა. მასები სათანადოდ არ იყვნენ მომწიფებული აქტიური ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისათვის. თუ მხედველობაში არ მივიღებთ ეროვნული ინტელიგენციისაგან შექმნილ ასოციაციებს — პირველ პოლიტიკურ ორგანიზაციებს, მათ არ გააჩნდათ ერთიანი ეროვნული პოლიტიკური პარტია, სამოქმედო პროგრამა და ხელმძღვანელობა. თავი იჩინა ფეოდალურ-ტომურმა გათიშულობამ.

დაახლოებით იგივე ხასიათის პროცესებს ჰქონდა ადგილი ინგლისის სხვა კოლონიურ სამფლობელოებში აღმოსავლეთ და სამხრეთ აფრიკის მომიჯნავე ვრცელ ტერიტორიაზე — ნიასალენდში (მალავი), ჩრდილო როდეზიასა (ზამბია) და სამხრეთ როდეზიაში (ზიმბაბვე). ამათგან ნიასალენდი ფორმალურად საპროტექტორო იყო და, მაშასადამე, კოლონიური ბატონობა ხორციელდებოდა არაპირდაპირი გზით, ადგილობრივ ფეოდალ ხელისუფალთა მეშვეობით. რაც შეეხება ორივე როდეზიას, აქ უშუალო კოლონიური მმართველობის სისტემა იყო დამკვიდრებული. ფაქტიურად მთელი ძალაუფლება იქ ეკუთვნოდა ბრიტანეთის სამხრეთ-ამერიკულ პრივილეგიურ კომპანიას, რომელიც ეწეოდა იქაური მდიდარი წიაღისეულის ექსპლოატაციას. 1922 წელს სამხრეთ როდეზია, იქ მცხოვრები ინგლისელი კოლონისტების ნებთხოვნის შესაბამისად, გამოცხადდა თვითმმართველ „თეთრ“ კოლონიად საკუთარი, კოლონისტების მიერ არჩეული პარლამენტით. რაც შეეხება ჩრდილო როდეზიას, იქ დამყარდა ინგლისის პროტექტორატი. კომპანიის მთელი უფლებები ინგლისის მთავრობამ გამოისყიდა და გადაიხადა 5 მილიონ გირვანქა სტერლინგზე მეტი.

ნიასალენდში წიაღისეული ცოტა იყო, არც კლიმატი იყო დიდად ხელსაყრელი ევროპელებისათვის. ამას ემატებოდა უგზოობაც. ამიტომ მას თითქმის არ ეტანებოდნენ კოლონისტები. მათი, რიცხვი იქ უმნიშვნელო იყო. აღნიშნულის გამო მიწების მასობრივი მითვისება და მკვიდრთათვის რეზერვაციების შექმნა იქ მასობრივი არ ყოფილა. მაგრამ კოლონიურმა ხელისუფლებამ იქაც მოახდინა უკეთესი მიწების განსხვისება და რეზერვირება, რომელიც თეთრი კოლონისტებისა და კომპანიებისათვის იყო განკუთვნილი. ამან წარმოშვა სერიოზული გადამეტსახლება ძირითად სასოფლო-სამეურნეო რაიონებში. მიწების დიდი სიმცირის გამო მკვიდრი გლეხობის დიდი ნაწილი თანდათანობით ევროპელ კოლო-

ნისტებზე დამოკიდებულ მოიჯარადრე მოზიარეებად, ფაქტიურად კი მოჯამაგირეებად იქცნენ. ნიასალენდის მთელი მოსახლეობა სასტიკი რასობრივი დისკრიმინაციის საგანი იყო.

ჩრდილო და სამხრეთ როდეზიაში, განსაკუთრებით კი სამხრეთ როდეზიაში, სადაც მრავალფეროვან წიაღისეულთან ერთად ბევრი იყო ნოყიერი მიწა და კლიმატიც ხელსაყრელი იყო ევროპული კოლონიზაციისათვის, მკვიდრთა მიწების ექსპროპრიაციას ფართო და ყოვლად უსინდისო ხასიათი ჰქონდა. 1930 წლის „მიწების განაწილების კანონით" სამხრეთ როდეზიაში შეიქმნა ევროპელთა დასახლების ვრცელი რაიონი, რომელიც ქვეყნის 50%-ს და ამავე დროს საუკეთესო მიწებს მოიცავდა. ამ ზონაში მკვიდრ მცხოვრებლებს ეკრძალებოდათ დასახლება და მათთვის იყოფოდა 94 რეზერვატი. ეს რეზერვატები ყველა ერთად შეადგენდა სამხრეთ როდეზიის 1/3-ს, დანარჩენი ცხადდებოდა გაუნაწილებელ, ნაკრძალ მიწებად და ა. შ.

ჩრდილო როდეზიაში მკვიდრთა მიწების ფონდის მითვისება იურიდიულად 1928—1929 წლების ბრძანებულებებით დაკანონდა. ამ ბრძანებულებების შესაბამისად ჩრდილო როდეზიის ერთი მესამედი, ისიც უკეთესი, ცხადდებოდა „ევროპული დასახლების რაიონებად", საიდანაც ძალით აყარეს გლეხები და მათთვის გამოყოფილ რეზერვატებში გარეკეს. ამ უკანასკნელთა საერთო მოცულობა ქვეყნის ტერიტორიის 20%-ს არ აღემატებოდა. კოლონიის დანარჩენი ტერიტორიის 50% კოლონიზატორებმა გამოაცხადეს „სამეფო მიწებად", ე. ი. სარეზერვო საკოლონიზაციო ფონდად. მართალია, მიწაზე მსხდომი გლეხებისათვის იქ ხელი არ უხლიათ, მაგრამ ისინი აქციეს თავიანთი კუთვნილი მიწების დროებით მფლობელებად.

სამივე კოლონიურ სამფლობელოში, განსაკუთრებით ორთავე როდეზიაში დამკვიდრებული იყო იძულებითი შრომა, უხეში რასობრივი დისკრიმინაცია, თეთრ კოლონისტთა და კოლონიური ხელისუფლების თვითნებობა, უცხოელი მონოპოლიების პარპაში... ყოველივე ეს, აუტანელი შრომითი ბეგარა გზა-ხიდების, სარწყავი არხების მშენებლობაზე, ტყავის გამძრობი გადასახადები და უმიწობა აჩანაგებდა მკვიდრ გლეხობას, სპობდა მათ მეურნეობას და აიძულებდა მათ სეზონურ მოჯამაგირეებად დაქირავებოდნენ მსხვილ ევროპელ კოლონისტებს ან ემუშავათ მთამადნეულის საწარმოებში. ნიასალენდში, სადაც არ არსებობდა არავითარი მრეწველობა, უმნიშვნელო იყო წიაღისეულის მოპოვება, სოფლის მეურნეობას კი ექსტენსიური ხასიათი ჰქონდა, მასობრივად აწვდიდა „ჭარბ" დაკონტრაქტებულ მუშახელს როგორც ჩრდილო და სამხრეთ როდეზიას, ისე სამხრეთ აფრიკის კავშირს და ბელგიის კონგოს კატანგის ოლქს.

სამხრეთ და ჩრდილო როდეზიის ზღაპრულად მდიდარი წიაღისეულის (ოქრო, სპილენძი, ტყვია, კალა, ქრომი, აზბესტი, კობალტი, სურმა...) მოპოვება, რაც მკვიდრთა იძულებითი შრომით სრულდებოდა, მსხვილ ინგლისელ მონოპოლისტთა ხელში იყო. მინერალური და მრავალფეროვანი სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის (ჩაი, თამბაქო, ბამბა...) ექსპორტი მსოფლიო ბაზარზე უდიდეს მოგებას აძლევდა ინგლისელ, სამხრეთ აფრიკელ და ნაწილობრივ ამერიკელ კაპიტალისტებს, ისე როგორც მსხვილ ევროპელ პლანტატორებს.

ასეთი ვითარება ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა მკვიდრი მოსახლეობის მასობრივი უკმაყოფილებისა და მღელვარებისათვის, რაც დროდადრო სტიქიურ გამოსვლებში გადადიოდა. მაგრამ ორ ომს შორის პერიოდში არც ერთში ამ სამ კოლონიათაგან არ არსებობდნენ მასობრივი პოლიტიკური ორგანიზაციები, რის გამოც ანტიკოლონიური გამოსვლები სტიქიურად მიმდინარეობდა და კოლონიური ხელისუფლები იოლად ახერხებდნენ მათ ჩახშობას.

* *

1910 წელს კაპისა და ნატალის ყოფილი ინგლისური პროვინციებიდან და ტრანსვაალისა და ორანჟის ბურების ყოფილი რესპუბლიკებიდან შეიქმნა სამხრეთ აფრიკის კავშირის დომინიონი (თვითმმართველი კოლონია)[1], რომელიც შედიოდა ბრიტანეთის ერთა თანამეგობრობაში.

სამხრეთ აფრიკის კავშირი ჭრელი რასობრივი და ეროვნული შემადგენლობის იყო. ევროპული მოსახლეობა, რომელიც გაბატონდა დანარჩენ ხალხებზე და ისინი აღვირახსნილი ჩაგვრისა და რასობრივი დისკრიმინაციის ობიექტად გაიხადა, შეადგენდა მთელი მოსახლეობის (პირველი მსოფლიო ომის დასასრულისათვის 8.5 მილიონი) 20%. მათ შორის 55—58%-ს შეადგენდნენ ბურები, 40%-ს — ინგლისელები. 65% მოდიოდა ადგილობრივ ბანტუს ტომებზე (ზულუ, კოსა, ბასუტო, ბეჩუანი და სხვ.) და ბუშმენებისა და ჰოტენტოტების (კოიკოონი და საანი) უდაბნო ზონაში შერეკილ ნამთებზე, დანარჩენი — მეტისებზე („ფერადკანიანებს" უწოდებენ) და ინდოელებზე (რომლებიც შემოყვანილნი იყვნენ XIX ს-ის მიწურულიდან ევროპელთა პლანტაციებში სამუშაოდ).

სოფლის მეურნეობის გვერდით, რომელშიაც დასაქმებული იყო მოსახლეობის უმრავლესობა, სამხრეთ აფრიკის კავშირში მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია მრეწველობამ, კერძოდ—მთამადნეულის წარმოებამ. ეს ქვეყანა ოქროსა და ალმასის ერთ-ერთ უდიდეს მომპოვებლად იქცა მსოფლიოში. წიაღისეულის მოპოვების შეუჩერე-

[1] 1961 წლის 31 მაისიდან იგი სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაა.

პელმა ზრდამ, ტრანსპორტის განვითარებამ, დიდი ქალაქების აღმოცენებამ და შინაგანი მოთხოვნილების გაფართოებამ, ნედლეულის სიიაფემ და უხვმა ნახევრად მონურმა მუშახელმა, სერიოზული სტიმული მისცა მრეწველობის სხვადასხვა დარგების განვითარებას და აქცია იგი აფრიკის მატერიკზე კაპიტალისტურად ყველაზე განვითარებულ ქვეყნად.

„ევროპული" სექტორის ეკონომიკის, უპირატესად მრეწველობის დაჩქარებული განვითარება შესაძლებელი გახდა მრავალფეროვანი იაფი ნედლეულის, შიდა და უცხოური კაპიტალის სიუხვისა და აფრიკელთა იაფი სამუშაო ძალის მეოხებით. მის შედეგად ინვესტირებული კაპიტალის მფლობელებისათვის უზრუნველყოფილი იყო ნაღალი, უმეტესად მაქსიმალური მოგების მიღების შესაძლებლობა. სოფლის მეურნეობის სასაქონლო საექსპორტო პროდუქციის ზრდა და ნატურალური მეურნეობის თანდათანობითი დაცემა, რომელსაც თან სდევს მოთხოვნილების ზრდა ფართო მოხმარების საგნებზე, აძლიერებდა გვარტომული საზოგადოების წეს-ადათების დაშლას, აჩქარებდა მკვიდრ მიწათმოქმედთა და მეჯოგეთა პროლეტარიზაციის პროცესს.

თეთრკანიანთა რასისტული ხელისუფლება, რომელსაც მხარს უჭერდნენ ინგლისის ხელისუფლები და მსხვილი მონოპოლიების მაგნატები, საკანონმდებლო აქტებით ხელს უწყობდა აღნიშნულ პროლეტარიზაციას და ამარაგებდა მზარდ მრეწველობას, მთამადნეულის მომპოვებელ საწარმოებს, ტრანსპორტს, კომუნალურ უწყებებსა და ევროპელ ფერმერებს იაფი მუშახელით.

სამხრეთ აფრიკის თვალუწვდენელი ტერიტორიის 85—88% ჩამოერთვათ აფრიკელ ტომებს და იგი გადაეცათ კოლონისტ-ფერმერებს, მონოპოლისტებს, სხვადასხვა ჯურის მეწარმეებს ან სახელმწიფო სარეზერვო ფონდად გამოცხადდა. იქიდან აყრილი აფრიკელები შერეკეს რეზერვაციებში, რომელთა საერთო ფართობი ქვეყნის 12%-ს არ აღემატებოდა. რეზერვაციების გარეთ აფრიკელებს ეკრძალებოდათ დასახლება და მიწების შესყიდვა. გადამეტსახლებული რეზერვაციების ნახევრად დამშეული მოსახლეობა, რომელსაც არ გააჩნდა დასამუშავებელი მიწა, იძულებული იყო სამუშაოს საძებნელად ეწანწალა დასახლების გარეთ, დაქირავებოდა ფერმერებს, ემუშავა შავ მუშად კომუნალურ საწარმოებში, შეევსო ფაბრიკა-ქარხნების დაბალკვალიფიციურ მუშათა რიგები ან ტრანსვაალის და ორანჟის ოქროსა და ალმასის უბედურ მომპოვებელთა ხვედრი გაეზიარებინა. რეზერვაციები, ამგვარად, იაფი მუშახელის ულევ რეზერვუარად იქცა.

პირველმა მსოფლიო ომმა დააჩქარა სამხრეთ აფრიკის სამეურ-

ნეო განვითარება. შესაბამისად გაძლიერდა ძველი ფერმების დაშლისა და აფრიკელი გლეხობის გაჩანაგების პროცესი. გაიზარდა ეკონომიკის ევროპულ სექტორში დასაქმებულ აფრიკელთა რიცხვი. 1920 წლისათვის აფრიკელთა რიცხვმა გადამუშავებით და სამთო-მოპოვებით მრეწველობაში 400 ათასს კაცს გადააჭარბა. კიდევ უფრო მეტი მუშაობდა ევროპელ ფერმერთა მაცელებში, ტრანსპორტსა და კომუნალურ საწარმოებში. მართალია, აფრიკელებს იყენებდნენ შავ სამუშაოზე, კვალიფიციური მუშები კი ინგლისელები (ნაკლებად — ბურ-აფრიკანერები) იყვნენ, მაგრამ ზოგჯერ, როდესაც მუშახელზე მოთხოვნილება ძალზე დიდი იყო, მათ ნახევრადკვალიფიციურ სამუშაოებსაც აძლევდნენ. აფრიკელი მუშები გაუგონარი ჩაგვრის, ეროვნული აბუჩად აგდებისა და დისკრიმინაციის ობიექტი იყვნენ.

აღნიშნულმა ვითარებამ და დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ცხოველმყოფელმა ზემოქმედებამ სამხრეთ აფრიკის კავშირში ომის დასასრულისთანავე შექმნა პირობები მუშათა რევოლუციური მოძრაობის გაჩაღებისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი გამოსვლებისათვის.

ჯერ კიდევ 1919 წელს პატარა ქალაქ პიტერმარიცბურგში (ნატალი) 1915 წელს ევროპული წარმოშობის მუშათა რიგებში აღმოცენებულმა ინტერნაციონალურმა სოციალისტურმა ლიგამ გამოაქვეყნა დეკლარაცია, რომელიც იწონებდა ბოლშევიკების ბრძოლის გზას, ქადაგებდა სოციალისტური, პროლეტარული რევოლუციის საჭიროებას და თეთრკანიან და ფერადკანიან მუშათა ინტერესთა ერთიანობას. ცოტა უფრო გვიან — 1921 წელს ლიგის ხელმძღვანელობის ინიციატივით ლიგის სხვა სოციალისტურ წრეებთან გაერთიანების ბაზაზე აღმოცენდა სამხრეთ აფრიკის კომუნისტური პარტია (კეიპტაუნის დამფუძნებელ ყრილობაზე). ლიგის გაზეთი „ინტერნაციონალი“ გახდა ახალი პარტიის ორგანო. ეს იყო არსებითად ერთ-ერთი პირველი კომუნისტური პარტია აფრიკის მთელ კონტინენტზე.

სამხრეთ აფრიკის კომუნისტურ პარტიას უმძიმეს ვითარებაში უხდებოდა მუშაობა. რასისტული სახელმწიფოს ევროპელ მუშათა მნიშვნელოვანი ნაწილი რასისტული შხამით იყო დაავადებული. აღნიშნულის გამო ძალზე ძნელი იყო მათი სოლიდარული კავშირის მიღწევა „ფერადკანიან“ და შავკანიან მუშებთან. ამას ემატებოდა ხელისუფლების უსასტიკესი ტერორი.

სამხრეთ აფრიკელ კომუნისტთა ხელმძღვანელობით 20-იანი წლებიდან იოჰანესბურგში, პრეტორიაში, ვიტვატერსრანდსა და სხვა სამრეწველო ცენტრებში გაიშალა მუშათა საგაფიცო მოძრაობა.

რომელშიაც ასეული ათასი ევროპელი და აფრიკელი მუშა იღებდა მონაწილეობას[1]. გაფიცვების პროცესში აღმოცენდნენ პირველი პროფესიული კავშირები. აფრიკელ მუშათა პირველი პროფესიული კავშირი აღმოცენდა 1927 წელს კომუნისტური პარტიის ინიციატივით.

კლასობრივი ბრძოლის შესუსტებისა და ევროპული წარმოშობის მუშებისა და აფრიკელ მუშათა გათიშვის მიზნით სამხრეთ აფრიკის ბურჟუაზიულ-მემამულური რასისტული მთავრობები — ლუი ბოტასი, ქრისტიან სმეტსისა და დ. ჰერცოგისა — რომლებიც თანმიმდევრობით ენაცვლებიან ერთიმეორეს, მიდიან დათმობებზე თეთრკანიანი მუშების მიმართ, თანაც რასობრივი შხამით აავადებენ ინგლისური და ბური წარმოშობის მუშებს. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩეოდა აფრიკანერ (ბურ) ნაციონალისტთა ბელადის დ. ჰერცოგის მთავრობა, რომელიც 1924 წლიდან ჩაუდგა სათავეში ხელისუფლებას. 1924 და 1926 წლების კანონებმა შექმნა მტკიცე „ფერადი ზღუდე", გათიშა მუშები ფერის მიხედვით და ქალაქებში ცხოვრება ევროპელთა მონოპოლიად გამოაცხადა. ამის შესაბამისად ხელისუფლება შეუდგა ქალაქებიდან აფრიკელთა გასახლებას და მათ განსახლებას ქალაქებიდან დაშორებით შექმნილ გეტო-ლოკაციებში, რომლებიც მოკლებულნი იყვნენ ელემენტარულ მოხერხებულობას და ანტისანიტარიის, გადამდებ სნეულებათა და მასობრივი სიკვდილიანობის ბუდეს წარმოადგენდნენ. 1926 წლის კანონით — „სამთო და საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობის შესახებ"—აფრიკელ მუშებს ეკრძალებოდათ შეესრულებინათ ორთქლმავლის მემანქანის, სამთო საქმის ტექნიკის, გეოლოგისა და ყველა სხვა სამუშაო, რომლებიც სპეციალურ მომზადებას მოითხოვდა.

1929—1933 წლების მსოფლიო ეკონომიურმა კრიზისმა ღრმა კვალი დაჩნია სამხრეთ აფრიკის ეკონომიურ ცხოვრებას, მკვეთრად დასცა მშრომელთა ცხოვრების დონე და მით მძლავრი ბიძგი მისცა სახალხო ბრძოლის გაძლიერებას. განსაკუთრებით დიდი გაქანება მიიღო აფრიკელი მოსახლეობის მოძრაობამ არაადამიანური ჩაგვრისა და რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ. ამ ბრძოლას ხელმძღვანელობს კომუნისტური პარტია, რომლის რიგები შეივსო აფრიკელ მშრომელთა წარმომადგენლებით.

1929 წელს შეიქმნა აფრიკელთა უფლებების ლიგა, მისი ინიციატივით აღინიშნა „დინგანის დღე" (1838 წლის 16 დეკემბერი, როცა ზულუსების არმიამ დინგანის სარდლობით გმირული ბრძოლა გაუმართა ინგლისელ კოლონიზატორებს) და მოეწყო საშვებების მასობრივი

---

1 ამათგან ყველაზე მრისხანე იყო მეშახტეთა 1922 წლის გაფიცვა, რომელიც გაფიცულთა ბარბაროსული დახვრეტით დამთავრდა.

დაწვა. 1930 წლის 16 დეკემბერს „დინგანის დღის“ მორიგი აღნიშვნა დურბანში დამთავრდა დემონსტრანტთა დახვრეტით რასისტული პოლიციის მიერ. იმავე 1930 წელს ადგილი ჰქონდა რეზერვაციების მცხოვრებთა ანტიიმპერიალისტურ გამოსვლებს, რომელთა ცენტრი კაპის პროვინცია იყო. კიდევ უფრო მძლავრი ხასიათი ჰქონდა 1933—1934 წლების მასობრივ გამოსვლებს ამ მთავრობის საგადასახადო პოლიტიკის წინააღმდეგ.

ჰერცოგ-სმეტსის კოალიციური მთავრობა (1933—1934 წწ.) ცეცხლითა და მახვილით უსწორდებოდა აფრიკელ მშრომელთა სასოწარკვეთილებით გამოწვეულ მოძრაობას და გამოსვლებს. იგი, ამასთან ერთად აგრძელებს წინამორბედ მთავრობათა რასისტულ ლონისძიებებს. 1937 წლის აქტით აფრიკელი მუშები ცხადდებოდნენ მსახურებად და არა მუშებად. შესაბამისად მათ იერარქიულად ერთმეოდათ კავშირებში გაერთიანებისა და სხვა ელემენტარული უფლებები. შესაბამისი კანონმდებლობით აფრიკელებს წაერთვათ ის ელემენტარული უფლებებიც კი, რომლითაც მანამდე სარგებლობდნენ. მაგალითად, 1936 წლის კანონით „მკვიდრთა წარმომადგენლობის შესახებ“ კაპის პროვინციის აფრიკელები ამორიცხეს საერთო საარჩევნო სიებიდან. მათთვის შეიქმნა „მკვიდრთა“ კურია, რომელსაც უფლება ეძლეოდა ქვემო პალატაში აერჩია სამი დეპუტატი, მაგრამ მხოლოდ ევროპული წარმოშობისა.

ყოველივე ამის პასუხად 1936—1939 წლებში ახალი ძალით იშლება მკვიდრი მუშების, გლეხობისა და საერთოდ მოსახლეობის ფართო ფენების მოძრაობა როგორც სოფლად, ისე ქალაქად. იგი ვერ შეასუსტა ვერც მკაცრმა პოლიციურმა რეპრესიებმა, ვერც კანონმა „მკვიდრთა მიწის ფონდის შესახებ“, რომელიც ითვალისწინებდა სპეციალური მიწის ფონდის შექმნას სრულიად უმიწაწყლო აფრიკელთათვის მიწის მცირე ნაკვეთების მისაცემად.

ტროპიკული და სამხრეთი აფრიკის ქვეყნები მეორე მსოფლიო ომის წლებში

ტროპიკული და სამხრეთ აფრიკის ქვეყნების დიდი უმრავლესობა, ეთიოპიისა და საფრანგეთის რამდენიმე დასავლეთაფრიკული კოლონიის გამოკლებით, მეორე მსოფლიო ომის დროს არ ქცეულა საომარ მოქმედებათა უშუალო ასპარეზად. მიუხედავად ამისა, ისინი ინგლისის, საფრანგეთის, ბელგიის... მეტროპოლიის მთავრობებმა მათი მოსახლეობის ნება-სურვილის გარეშე, ჩააბეს ომში და ომის პერიოდის საგანგებო რეჟიმს დაუმორჩილეს[1].

---

[1] საფრანგეთის დასავლეთ აფრიკაში 1942 წლამდე ხელისუფლება ვიშის მთავრობის ხელში იყო, 1942 წლის მიწურულიდან კი — „თავისუფალი საფრანგეთის“, ე. ი. დე გოლის მომხრეების ხელში გადავიდა.

ომის წლებში კოლონიურმა ხელისუფლებმა უმაღლესი „სამხედრო ინტერესებისა“ და სამხედრო გარემოებათა მომიზეზებით ხელი მიჰყვეს აფრიკის ამ ნაწილის კოლონიების მრავალფეროვანი სტრატეგიული ნედლეულისა და სურსათ-სანოვაგის მანამდე გაუგონარი მასშტაბით გაზიდვას. სტრატეგიულ ნედლეულს ისინი იყენებდნენ სამხედრო მრეწველობის საჭიროებისათვის, სურსათს კი — არმიისა და სამოქალაქო მოსახლეობის მოსამარაგებლად. ინგლისელი კოლონიზატორები ამითაც არ დაკმაყოფილდნენ და მასობრივად დაიწყეს კოლონიური საქონლის, ნახევარფაბრიკატებისა და ა. შ. მითვისება „სესხად“, ყოველგვარი ეკვივალენტური ანაზღაურების გარეშე, თანაც ლონდონის ბანკებში გადაიტანეს ნიგერიის, სიერა-ლეონეს, ოქროს ნაპირის... ვალუტის მარაგი.

მატერიალურ ფასეულობათა მითვისებასთან ერთად მეტროპოლიების მთავრობებმა საგადასახადო ბეგრის მკვეთრად გადიდების, სესხების გავრცელებისა და „ნებაყოფლობით“ შემოწირულებათა გზით მკვიდრ მოსახლეობას ამოქაჩეს დიდძალი ფინანსური სახსრები, რაც აგრეთვე ომის ხარჯების დაფარვას მოხმარდა. ცენტრალური და სამხრეთ აფრიკის კოლონიურმა ქვეყნებმა ომის ფრონტებზე გაგზავნეს ასეული ათასი „შავი“ და „ფერადკანიანი“ ჯარისკაცი, რომლებიც აქტიურად იბრძოდნენ ფაშისტური ხროვის წინააღმდეგ ევროპაში, ჩრდილო აფრიკაში, მადაგასკარზე, ეთიოპიაში, ბირმაში, სომალსა და სხვა ადგილებში. თავიანთი თავდადებული ბრძოლით მათ აქტიური წვლილი შეიტანეს კაცობრიობის უბოროტესი მტრების განადგურების საქმეში[1].

დაბოლოს, აფრიკის ამ ნაწილის კოლონიებიდან ევროპელმა კოლონიზატორებმა გაიყვანეს ათეული ათასი მუშა, რომელსაც მასობრივად იყენებდნენ სხვადასხვა სტრატეგიულ მშენებლობებზე — როგორც ფრონტების უბნებზე, ისე ზურგის ზონებშიაც. თითქმის ყველა ჩამოთვლილ კოლონიაში ომის წლებში შემოღებული იყო გასამხედროებული შრომითი ბეგარა. მკვიდრი მოსახლეობის იძულებითი შრომით კოლონიზატორები აგებენ აეროდრომებს, ხიდებს, ნავსადგურებს, გაჰყავთ რკინიგზები, გზატკეცილები... ომი მძიმე ტვირთად დააწვა კოლონიურ მონებს და უდიდესი ტანჯვა მოუტანა მათ. მან წარმოშვა სურსათისა და პირველი მოთხოვნილების საგნების სერიოზული ნაკლებობა, კატასტროფულად დასცა მშრომელთა ცხოვრების დონე, შიმშილობა და გადაშენები სნეულებანი მათ მუდმივ თანამგზავრად აქცია.

---

[1] 700—800 ათასი კაცი იყო გაყვანილი სამხრეთ აფრიკის კავშირიდან, ნიგერიიდან, ოქროს ნაპირიდან, განიდან, კენიიდან, უგანდიდან..., 140 ათას ჯარისკაცზე მეტი—საფრანგეთის დასავლეთ აფრიკიდან (ე. ი. „სენეგალელი მსროლელები“) და ა. შ.

ომის წლებში აფრიკის ამ ნაწილში მკვეთრად გადიდდა აშ შტატების გავლენა და შესაბამისად გაძლიერდა მისი ეკონომიურ-ფინანსური ექსპანსია. ინგლისის რიგ კოლონიებში უმსხვილესმა ამერიკულმა კორპორაციებმა გამოაძევეს ინგლისური მონოპოლიები და მათი ადგილი დაიკავეს წიაღისეულის მოპოვებასა და ნედლეულის გაზიდვაში. ამერიკულმა საქონელმა ფართოდ მოიკიდა ფეხი ამ ქვეყნების ბაზრებზე, ამერიკულმა კაპიტალმა კი — სხვადასხვა წამოწყებებსა და მშენებლობებში. ბელგიის კონგოში აშ შტატებმა ინგლისსა და ბელგიას გამოსტაცეს იქ ამოღებული ურანის მადნის მთლიანად გაზიდვის უფლება. აშ შტატების გავლენის მკვეთრ გაძლიერებას თან მოჰყვა მრავალრიცხოვანი ამერიკული მისიის, მრჩეველის, ექსპერტ-სპეციალისტისა და მხედრიონის ჩასვლა, საზღვაო და საჰაერო მიმოსვლის გაფართოება, ამერიკის სახმელეთო ჯარების გაგზავნა ბელგიის კონგოში, საჰაერო ბაზების მშენებლობა და ა. შ.

მეორე მსოფლიო ომმა კოლონიური ძარცვის გაძლიერებასთან ერთად სერიოზული ბიძგი მისცა ცენტრალური და სამხრეთ აფრიკის კოლონიების ეკონომიურ განვითარებას და შესაბამისი ცვლილებები მოახდინა მათ სოციალურ ყოფაშიც.

ომმა სერიოზულად შეაფერხა მეტროპოლიებსა და აფრიკის ამ ნაწილს შორის მანამდე არსებული კავშირ-ურთიერთობანი, მინიმუმამდე შეამცირა მეტროპოლიის საქონლის შეზიდვა, რასაც თან მოჰყვა საქონლის ნაკლებობა. აღნიშნულის გამო კოლონიური ხელისუფლები იძულებული გახდნენ ნება დაერთოთ ეროვნული ბურჟუაზიისათვის დაებანდებინათ თავიანთი კაპიტალი მრეწველობის ზოგიერთ დარგებში, აეგოთ სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამამუშავებელი საწარმოები (საკონსერვო, ბამბის გამწმენდი, ყველ-კარაქის, ზეთის სახდელი და ა. შ.). ზოგიერთი ცვლილება მოხდა სოფლის მეურნეობაშიც, სადაც მეტი მნიშვნელობა მიეცა საექსპორტო კულტურების — ყავის, სიზალის, ბამბის, მიწის თხილის, პალმის, ჩაის.... წარმოებას.

მაგრამ მრეწველობის სხვადასხვა დარგთა განვითარება ომის წლებში მიმდინარეობდა მეტად არათანაზომიერად. მაგალითად, რკინის მადნისა და ფოსფორიტის მოპოვება წინა წლებთან შედარებით საგრძნობლად შემცირდა, ხოლო ფერადი ლითონების მოპოვება, პირიქით, მნიშვნელოვნად გადიდდა (ბელგიის კონგოში, ოქროს ნაპირზე, სამხრეთ აფრიკის კავშირში, სამხრეთ როდეზიაში და სხვაგან). განსაკუთრებით მკვეთრად გაიზარდა ისეთი ფერადი ლითონების მოპოვება, რომლებიც საჭირო იყო მეტროპოლიების მზარდი სამხედრო მრეწველობის საჭიროებისათვის (ალმასი, რადიუმი, ტანტალი, კობალტი...). ასევე არათანაზომიერი იყო გადამუშავებითი

მრეწველობის დარგთა განვითარებაც. როგორც ინგლისისა და საფრანგეთის კოლონიებში, ისე ბელგიის კონგოსა და პორტუგალიის ანგოლასა და მოზამბიკში ფეხი მოიკიდა სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამმუშავებელმა, საფეიქრო და ტყავ-ფეხსაცმელების მრეწველობამ (ყველ-კარაქისა და მიწის თხილის გადამმუშავებელი საწარმოები სენეგალში, ტუნგოსი — ნიასალენდში, საფეიქრო — მოზამბიკში, სამხრეთ როდეზიასა და სპილოს ძვლის ნაპირზე, საკონსერვო — კენიასა და საფრანგეთის დასავლეთ აფრიკაში და სხვაგან).

აღნიშნული ეკონომიური ძვრების უშუალო შედეგი იყო აფრიკელ მუშათა რიცხვის გადიდება, ქალაქების მოსახლეობის ზრდა, შინაგანი ბაზრის გაფართოება და აქა-იქ ეროვნული ბურჟუაზიის მომძლავრება[1]. საერთოდ აღნიშნულმა პროცესმა ხელი შეუწყო გვარტომური ურთიერთობის საფუძვლების შემდგომ შერყევას, ნატურალური მეურნეობების რღვევის გაძლიერებას და ფულად-სასაქონლო ურთიერთობის განვითარებას. ეროვნული კულტურული ტრადიციების თანდათანობითი რესტავრაცია, აფრიკული ინტელიგენციის რიცხვის გადიდება და ცალკეული კოლონიის ცხოვრებაში მისი როლის გაძლიერება. ეროვნული თვითშეგნების შემდგომი გამოღვიძება, აგრეთვე წარმოადგენდა ომის წლებში მომხდარი ეკონომიურ-სოციალური ძვრების რეზულტატსა და გამოხატულებას.

ზემოაღნიშნულმა პროცესმა კოლონიური ძარცვის შემდგომ ინტენსიფიკაციასა და აფრიკელი მშრომელი ხალხის ცხოვრების პირობების კატასტროფულად დაცემასთან ერთად კიდევ უფრო გაამწვავა წინააღმდეგობა კოლონიზატორებსა და ცენტრალური და სამხრეთი აფრიკის კოლონიების მოსახლეობის ფართო ფენებს, მზარდ ეროვნულ კაპიტალსა და მეტროპოლიების კაპიტალს, აფრიკულ ბურჟუაზიასა და კოლონიზატორთა მონოპოლისტურ ბურჟუაზიას შორის.

ომმა კიდევ უფრო გააძლიერა აფრიკის მოსახლეობაში მანამდე ფეხმოკიდებული უკმაყოფილებისა და დრტვინვის განწყობილება, ხელი შეუწყო მათ შემდგომ გამოღვიძებას და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის განვითარებას. აფრიკელი მუშათა კლასის შემადგენლობაში მომხდარი რიცხვობრივი და ხარისხობრივი ცვლილებები, ეროვნული ბურჟუაზიის წონის გადიდება და აფრიკული ინტელიგენციის როლის გაძლიერება საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში განაპირობებს განმათავისუფლებელი ბრძოლის შედა-

---

1 ნიგერიასა და დასავლეთ აფრიკის ორიოდე სხვა კოლონიაში მონოპოლიური გაერთიანებებიც — კომპანიებიც კი აღმოცენდნენ მსხვილ აფრიკელ ეკონომ-ბურჟუათა ნაშრომელოვანი კაპიტალის მონაწილეობით.

რებით მაღალ იდეურ დონეს, მის მეტ ორგანიზებულობასა და გაქანებას.

როგორც ინგლისის დასავლეთ და აღმოსავლეთ აფრიკის კოლონიებში, ისე საფრანგეთის დასავლეთ აფრიკაში, ბელგიის კონგოში, პორტუგალიის კოლონიებში, სამხრეთ აფრიკის კავშირსა და ორთავე როდეზიაში ძლიერდება მშრომელთა ორგანიზებული გამოსვლები რასობრივი დისკრიმინაციის, იძულებითი შრომის, მზარდი ძარცვისა და კოლონიურ ხელისუფალთა აღმაშფოთებელი ძალადობის წინააღმდეგ. მუშათა მასობრივ საგაფიცვო მოძრაობას თან სდევს გლეხთა გამოსვლები და მოსწავლე ახალგაზრდობის დემონსტრაციები ქალაქებში. ომის დასასრულისათვის განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობის პროცესში ნიგერიაში, კამერუნსა და კენიაში და სხვაგან აღმოცენდნენ პირველი ეროვნული პოლიტიკური ორგანიზაციები და მუშათა ახალი პროფესიული კავშირები.

კოლონიურმა ხელისუფლებმა (თვით დე გოლის მომხრეებმაც) ტრადიციული მკაცრი რეპრესიებით უპასუხეს აფრიკელი მოსახლეობის მასობრივ მოძრაობას და კვლავინდებურად უარყვეს ომში მათი აქტიური მოკავშირეებისა და თანაშემწეების სამართლიანი დემოკრატიული მოთხოვნები. მათ საჭიროდ არ ჩათვალეს სისრულეში მოეყვანათ ატლანტიკის ქარტიით საზეიმოდ გამოცხადებული დაპირებები და შეემსუბუქებინათ აფრიკელ მშრომელთა მატერიალურ-უფლებრივი ხვედრი. თვითმმართველობის მინიჭება და კონსტიტუციური რეფორმების გატარება კოლონიზატორებმა ომის დამთავრების მომდევნო პერიოდის ამოცანად დასახეს. მანამდე კი ხელუხლებლად დატოვეს სამხედრო-პოლიტიკური რეჟიმი და კოლონიური ჩაგვრის ძველი მეთოდები. ამ მხრივ თითქმის ერთნაირად მოქმედებდნენ ინგლისელი, ფრანგი, ბელგიელი და პორტუგალიელი კოლონიზატორები, სამხრეთ აფრიკის რასისტული ხელისუფალნი.

მაგრამ მიუხედავად აღნიშნულისა, მეორე მსოფლიო ომმა და მის შედეგად მსოფლიოში მომხდარმა ძირეულმა ცვლილებებმა უდიდესი გავლენა მოახდინა „შავი აფრიკის“ სვებედზე. მან ძირი გამოუთხარა იმპერიალიზმის კოლონიურ სისტემას. მძლავრი ბიძგი მისცა მისი მოსახლეობის განმათავისუფლებელ სულისკვეთებას და მით შეამზადა კოლონიური უღლის მსხვრევის მომდევნო პროცესი.

ქრონოლოგია
(1918—1945 წწ.)

1917 წლის 7 ოქტომბერი — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია.

1917, 9 დეკ. — რსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიმართვა „რუსეთისა და აღმოსავლეთის ყველა მუსლიმანი მშრომელებისადმი“.

1918, დასაწყისი — ირანის ოკუპაცია ინგლისის ჯარების მიერ.

1918, აპრილი — იაპონელთა ინტერვენციის დასაწყისი საბჭოთა შორეულ აღმოსავლეთში.

1918, აგვისტო — „ბრინჯის ჯანყები“ იაპონიაში.

1918, 30 ოქტ. — თურქეთის კაპიტულაცია და მუდროსის ზავის შეკვრა.

1918, 11 ნოემბ. — კომპიენის დაზავება და პირველი მსოფლიო ომის დამთავრება.

1918, მიწურული — პარტიზანული ომის დაწყება კილიკიაში (თურქეთი).

1918, დეკემბერი — ბომბეის, აჰმადაბადის და მადრასის მუშათა გაფიცვები.

1919, 28 თებერვ. — ავღანეთის დამოუკიდებლობის გამოცხადება.

1919, 1 მარტი — ანტიიაპონური სახალხო აჯანყების დასაწყისი კორეაში.

1919, მარტი-აპრილი — ანტიიმპერიალისტური სახალხო აჯანყება ეგვიპტეში.

1919, მარტი-აპრილი — მასობრივი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობა ინდოეთში. სამოქალაქო ურჩობის კამპანია განდის ხელმძღვანელობით.

1919, 13 აპრილი — ამრიტსარის ხოცვა-ჟლეტა, ინდოეთში.

1919, აპრილი-მაისი — ფენჯაბის აჯანყება. რევოლუციური აღმავლობა ინდოეთში.

1919, მაისი-ივნისი — ავღანეთის ომი დამოუკიდებლობისათვის ინგლისელი იმპერიალისტების წინააღმდეგ.

1919, 4 მაისი — „ოთხი მაისის მოძრაობის“ —მასობრივი ანტიიმპერიალისტური და ანტიფეოდალური გამოსვლების დასაწყისი ჩინეთში.

1919, 26 ივნისი — რსფსრ სკს მიმართვა ირანელი ხალხისადმი.

1919, 28 ივნისი — ვერსალის სამშვიდობო ზავის ხელმოწერა.

1919, 25 ივლისი — საბჭოთა მთავრობის მიმართვა ჩინელი ხალხისადმი და ჩრდილო და სამხრეთი ჩინეთის მთავრობებისადმი.

1919, 9 აგვისტო — ინგლის-ირანის კაბალური ხელშეკრულების ხელმოწერა.

1919, აგვისტო — რსფსრ მთავრობის მიმართვა მონგოლი ხალხისადმი.

1919, ნოემ.-დეკ. — სუხე-ბატორისა და ჩოიბალსანის მიერ ურგში პირველი რევოლუციური წრეების შექმნა.

1919, დეკემბერი — ანტიფრანგული აჯანყება ჩრდილო ლიბანში.

1920, 28 იანვარი — თურქეთის პარლამენტის მიერ „ნაციონალური აღქმის“ მიღება.

1920 — „საუნივერსიტეტო ბოიკოტი“ ბირმაში.

1920, აპრილი — „ხიაბანისტთა“ აჯანყება ირანის აზერბაიჯანში (თავრიზში).

1920, 23 აპრილი — დიდი ეროვნული კრების გახსნა ანკარაში.

1920, 26 აპრილი — მუსტაფა ქემალის წერილი ვ. ი. ლენინისადმი დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებისა და იმპერიალიზმთან ბრძოლაში დახმარების შესახებ.

1920, ივნისი — ჩრდილო ირანის (გილანის) აჯანყების დასაწყისი.

1920, ივნისი — ერაყის ანტიიმპერიალისტური აჯანყების დასაწყისი.

1920, 10 აგვისტო — სევრის საზავო ხელშეკრულების ხელმოწერა.

1920, სექტემბ. — თურქეთის კომუნისტური პარტიის შექმნა და მისი პირველი ყრილობა.

1920, ოქტომბ. — პროფკავშირთა სრულიადინდოეთის კონგრესის შექმნა.

1920—1921 — ინდოეთის პირველი კომუნისტური წრეების ჩასახვა.

1921, თებერვ. — სეიდ ზია-ედინისა და რეზა ხანის სახელმწიფო გადატრიალება ირანში (თეირანში).

1921, 26 თებერ. — ირან-საბჭოთა რუსეთის ხელშეკრულების ხელმოწერა.

1921, 28 თებერვალი — ავღანეთ-რსფსრ ხელშეკრულების ხელმოწერა.

1921, 1 მარტი — მონგოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის პირველი ყრილობა. მონგოლეთის სახალხო რევოლუციის დასაწყისი.

1921, 16 მარტი — თურქეთსა და რსფსრ შორის მეგობრობისა და ძმობის ხელშეკრულების ხელმოწერა მოსკოვში.

1921, 1 იელისი — ჩინეთის კომუნისტური პარტიის I ყრილობა.

1921, 11 ივლისი — სახალხო რევოლუციის გამარჯვება მონგოლეთში.

1921, სექტ. — რიფების დამოუკიდებელი რესპუბლიკის გამოცხადება (მაროკო).

1921, ოქტომბ. — „სარეკატ ისლამის“ VI კონგრესი. ანტიიმპერიალისტური ფრონტის დაშლა ინდონეზიაში.

1921, 12 ნოემ. — 1922, 6 თებერ. — ვაშინგტონის კონფერენცია.

1921, მეორე ნახევარი — მოპლას ტომის გლეხობის აჯანყება სამხრეთ-დასავლეთ ინდოეთში.

1921, ნოემბერი — ბომბეის პროლეტარიატის ანტიიმპერიალისტური გამოსვლა.

1922 — იაპონელთა ინტერვენციის კრახი შორეულ აღმოსავლეთში.

1922, თებერვ. — ჩინელ მეზღვაურთა და მტვირთავთა გაფიცვა ჰონკონგში.

1922, 28 თებერ. — ეგვიპტის „დამოუკიდებლობის“ გამოცხადება.

1922, 15 ივლისი — იაპონიის კომუნისტური პარტიის შექმნა.

1922, 11 ოქტომბერი — მუდანის დაზაევების ხელმოწერა. თურქეთის გამარჯვება ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაში.

1922, 1 ნოემბერი — სულთანატის ლიკვიდაცია თურქეთში.

1923 — ეგვიპტის კონსტიტუციის მიღება.

1923, თებერვალი — სუნ იატ-სენის მიერ რევოლუციური მთავრობის შექმნა გუანჯოუში.

1923 — სუხე-ბატორის სიკვდილი.

1923, ივლისი — ჩინეთის კ პარტიის III ყრილობა.

1923, 24 ივლისი — თურქეთსა და ანტანტას შორის სამშვიდობო ხელშეკრულების ხელმოწერა ლოზანაში.

1923, 29 ოქტომ. — თურქეთის რესპუბლიკად გამოცხადება. მუსტაფა ქემალის (ათათურქის) არჩევა რესპუბლიკის პრეზიდენტად.

1924, იანვარი — გომინდანის I კონგრესი გუანჯოუში. ერთიანი ანტიიმპერიალისტური ფრონტის გაფორმება.

1924, იანვარი — ეაფდელთა პირველი მთავრობის შექმნა ეგვიპტეში.
1924, 20 აპრილი — თურქეთის კონსტიტუციის მიღება.
1924, 31 მაისი — დიპლომატიური ურთიერთობის დამყარება ჩინეთსა და საბჭოთა კავშირს შორის.
1924, 13 ივნისი — მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკის გამოცხადება.
1924, ნოემბერი — მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკის კონსტიტუციის მიღება.
1925,20 იანვარი — დიპლომატიური ურთიერთობის დამყარება საბჭოთა კავშირსა და იაპონიას შორის.
1925, 12 მარტი — სუნ იატ-სენის სიკვდილი.
1925, აპრილი — კორეის კომუნისტური პარტიის შექმნა.
1925, 30 მაისი — ინგლის-ამერიკის პოლიციის მიერ მშრომელთა ანტიიმპერიალისტური დემონსტრაციის დახვრეტა შანჰაიში.
1925, ივნისი — 1 სექტ. — შანჰაის საყოველთაო ანტიიმპერიალისტური გაფიცვა.
1925, ივლისი — ვიეტნამის ახალგაზრდობის რევოლუციური ლიგის შექმნა.
1925, ოქტ. — დეკ. — ყაჯართა დინასტიის დამხობა და ფეჰლევის დინასტიის გამეფება ირანში.
1925—1927 — ეროვნულ-განმათავისუფლებელი აჯანყება ფრანგი იმპერიალისტების წინააღმდეგ სირიაში.
1926, მაისი — რიფის რესპუბლიკის დამარცხება.
1926, 9 ივლისი — ჩინეთის ნაციონალურ-რევოლუციური არმიის ჩრდილოეთის ლაშქრობის დასაწყისი.
1926—1927 — ეროვნულ-განმათავისუფლებელი ანტიჰოლანდიური აჯანყებები იავასა და სუმატრაზე.
1927, დასაწყისი — ვიეტნამის ნაციონალური პარტიის შექმნა.
1927, 21—22 მარტი — შანჰაის პროლეტარიატის შეიარაღებული აჯანყება. შანჰაის განთავისუფლება მილიტარისტთა ჯარებისაგან.
1927, 12 აპრილი — ჩან კაი-შის კონტრრევოლუციური გადატრიალება შანჰაიში.
1927, ივლისი — უხანის მთავრობის კონტრრევოლუციური გადატრიალება.
1927, ივლისი — ინდონეზიის ნაციონალური პარტიის შექმნა.
1927, 1 აგვისტო — ნანჩანის რევოლუციური შეიარაღებული აჯანყება და ჩინეთის სახალხო-განმათავისუფლებელი (წითელი) არმიის დაბადება.
1927, შემოდგომა — რევოლუციური აჯანყებები ცენტრალურ და სამხრეთ ჩინეთში.
1927, 11—14 დეკ. — გუანჯოუს რევოლუციური აჯანყება (კომუნა).
1927—1937 — სამოქალაქო ომი ჩინეთში.
1928, აპრილი — „გირნი კამგარის" რევოლუციური პროფკავშირის შექმნა ინდოეთში.
1928, დეკემბერი — სრულიად ინდოეთის მუშურ-გლეხური პარტიის I ყრილობა ინდოეთში.
1928 — კაპიტულაციების რეჟიმის ლიკვიდაცია ირანში.
1929 — გლეხთა აჯანყებები უგანდაში.
1929 — აფრიკელთა ასოციაციის შექმნა ტანგანიკაში.
1929, იანვარი — ამანულა-ხანის ახალავღანელთა მთავრობის დამხობა.
1929, ოქტომბერი — ნადირ-ხანის გამოცხადება ავღანეთის მეფედ.
1929—1933 — ინდოელ რევოლუციონერთა მირუთის პროცესი.
1930, იანვარი — ინდოჩინეთის კომუნისტური პარტიის შექმნა.
1930, თებ. — ვიეტნამელ მსროლელთა ანტიფრანგული აჯანყება იენბაის გარნიზონში (ჩრდილო ვიეტნამში).

1930, აპრილი — სამოქალაქო ერჩობის კამპანიის დაწყება ინდოეთში.

1930, აპრილი — ანტიიმპერიალისტური აჯანყებები ფეშავარსა და შოლაპურში (ინდოეთი).

1930, ივლისი — შეიარაღებული გამოსვლები კაიროში, ალექსანდრიაში, პორტ-საიდსა და სუეცში.

1930, სექტ. — გლეხთა აჯანყება კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ნგეანისა და ხა-ტინის პროვინციებში (ვიეტნამში).

1930, 7 ნოემბ. — კომუნისტური პარტიის შექმნა ფილიპინებზე.

1930, დეკ. — გლეხთა აჯანყების დასაწყისი ბირმაში.

1930—1931 — ტაკინების პოლიტიკური საზოგადოების შექმნა ბირმაში.

1931 — ეთიოპიის პირველი კონსტიტუციის შემოღება.

1931 — კანონი საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის შესახებ ირანში.

1931, მარტი — განდი-ირვინის პაქტი. ეროვნული კონგრესის ყარაჩის სესია.

1931, ივლისი — პროფკავშირთა წითელი კონგრესის შექმნა ინდოეთში.

1931, სექტ. — ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთის ოკუპაცია იაპონელთა მიერ.

1931 — კიმ ირ სენის მიერ პარტიზანული რაზმების შექმნა ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთის მთიან რაიონებში.

1932 — ერაყის დამოუკიდებლობის გამოცხადება.

1932, იანვარ-მარტი — შანჰაის გმირული დაცვა იაპონელ ოკუპანტთაგან.

1933, თებ. — ინდონეზიელ მეზღვაურთა აჯანყება ჯავშნოსან „დე ზე

1937, სექტემბერი — შეთანხმების დადება ჩკ პარტიასა და გომინდანს შორის თანამშრომლობის შესახებ.

1937—1939 — ინდოელი ხალხის ეროვნულ-გამანთავისუფლებელი მოძრაობის ახალი აღმავლობა.

1937, ნოემბ.-დეკ. — შანჰაისა და ნანკინის აღება იაპონიის ჯარების მიერ.

1938, ივლ. — იაპონიის აგრესია სსრკ წინააღმდეგ ხასანის ტბის რაიონში.

1938, 10 ნოემბერი — ქემალ ათათურქის სიკვდილი.

1939, მაისი — იაპონიის მხედრიონის პროვოკაციული თავდასხმა მსრ ტერიტორიაზე ხალხინ-გოლის რაიონში.

1939, 15 მაისი — ბირმის კომუნისტური პარტიის შექმნა.

1939, მაისი — პოლიტიკურ პარტიათა ერთიანი ფრონტის შექმნა ინდონეზიაში.

1939, 1 სექტ. — მეორე მსოფლიო ომის დაწყება.

1939, 10 სექტემ. — ინგლის-საფრანგეთ-თურქეთის ურთიერთდახმარების ხელშეკრულების დადება ანკარაში.

1940. ივნისი — მსრ ახალი კონსტიტუციის მიღება.

1940, 27 სექტ. — გერმანია-იტალია-იაპონიის სამთა პაქტის შეკვრა.

1940, მიწურული — საფრანგეთის საწინააღმდეგო გამოსვლები სამხრეთ ვიეტნამში.

1941, 13 აპრილი — ნეიტრალიტეტის პაქტის ხელმოწერა საბჭოთა კავშირსა და იაპონიას შორის.

1941, მაისი — ვიეტნამის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ლიგის (ვიეტ-მინის) შექმნა.

1941, 22 ივნისი — საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის დაწყება.

1941, 25 აგვისტო — საბჭოთა კავშირისა და ინგლისის შეიარაღებული ძალების შესვლა ირანში.

1941, ოქტომბერი — ირანის სახალხო პარტიის შექმნა.

1941, 7 დეკემბერი — იაპონიის თავდასხმა პერლ-ჰარბორზე და მეორე მსოფლიო ომის დაწყება წყნარი ოკეანის აუზში.

1941, დეკემბერი — იაპონიის ჯარების შეკრა ბირმაში.

1941, დეკემბერი — იაპონიის ჯარების გადასხმა ინდონეზიის კუნძულებზე.

1942, იანვარი — სსრკ-ირან-ინგლისის საკავშირო ხელშეკრულების დადება.

1942, მარტი — კრიპსის მისიის ჩასვლა ინდოეთში.

1942, 20 მარტი — ფილიპინების პარტიზანული რაზმების გაერთიანება სახალხო ანტიიაპონურ არმიად („ხუკბალახაპ").

1942, აგვისტო — მასობრივი სამოქალაქო ურჩობის კამპანიის დაწყება ინდოეთში,

1943 — მაროკოს კომუნისტური პარტიის შექმნა.

1943, მაისი — ინდოეთის კომუნისტური პარტიის I ყრილობა.

1943 — სირიისა და ლიბანის კონსტიტუციის აღდგენა.

1943, აგვისტო — სსრკ და ეგვიპტეს შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარება.

1943, 28 ნოემბერი — 1 დეკემბერი — სამი დიდი სახელმწიფოს მეთაურთა თეირანის კონფერენცია.

1943, 1 დეკემბერი — კაიროს დეკლარაციის გამოქვეყნება.

1944 — კენიის აფრიკელთა კავშირის შექმნა.

1944, აგვისტო — ბირმის სახალხო თავისუფლების ანტიფაშისტური ლიგის შექმნა და მისი დეკლარაციის გამოქვეყნება.

1944, აგვისტო — ნიგერიისა და კამერუნის ეროვნული საბჭოს შექმნა.

1945, 11 თებერვალი — იალტის (ყირიმის) კონფერენცია და შეთანხმების მიღწევა შორეული აღმოსავლეთის საკითხებზე.

1945, მარტი — საყოველთაო შეიარაღებული აჯახყება ბირმაში.

1945, აპრილი — ივნისი — ჩინეთის კპ VII ყრილობა.

1945, 8 მაისი — ფაშისტური გერმანიის კაპიტულაცია.

1945, 4 ივლისი — ფილიპინების დამოუკიდებლობის გამოცხადება.

1945, 26 ივლისი — პოტსდამის დეკლარაციის ხელმოწერა.

1945, 9 აგვისტო — საბჭოთა კავშირის იაპონიის წინააღმდეგ ომში ჩაბმა.

1945, 6 და 9 აგვისტო — ხიროსიმისა და ნაგასაკის ატომური ბომბარდირება აშშ მიერ.

1945, 15 აგვისტო — კორეის განთავისუფლება სსრკ შეიარაღებული ძალების მიერ.

1945, 17 აგვისტო — ინდონეზიის რესპუბლიკის გამოცხადება.

1945, აგვისტო — აგვისტოს რევოლუციის დაწყება ვიეტნამში.

1945, 2 სექტემბერი — იაპონიის უსიტყვო კაპიტულაცია.

1945, 2 სექტემბერი — ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადება.

1945, სექტემბერი — ჩინელი ხალხის ანტიიაპონური განმათავისუფლებელი ომის გამარჯვებით დაგვირგვინება.

ძირითადი ლიტერატურა რუსულ და ქართულ ენებზე

ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. მოხსენება აღმოსავლეთის ხალხების კომუნისტური ორგანიზაციების სრულიად რუსეთის II ყრილობაზე 1919 წ. 22 ნოემბერს, თხზ., მე-4 გამ., ტ. 30, გვ. 165—180.

ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. პირვანდელი მონახაზი თეზისებისა ნაციონალურ და კოლონიურ საკითხებზე, თხზ., მე-4 გამ., ტ. 31, გვ. 163—172.

ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. ნაციონალურ და კოლონიურ საკითხთა კომისიის 26 იულისის მოხსენება, თხზ., მე-4 გამ., ტ. 31, გვ. 285—293.

„სკკპ პროგრამა", თბილისი, 1962.

«Программные документы борьбы за мир, демократию и социализм», М., Госполитиздат, 1961.

«Новейшая история стран зарубежного Востока», т. т. I, II, III, IV, М., изд. МГУ, 1954—1960.

«Новейшая история», ч. I, изд. II при ЦК КПСС, М., 1958.

«Всемирная история», т. т. VIII, IX, X, М., 1961—1965.

«Новейшая история стран зарубежной Азии и Африки», изд. ЛГУ, 1963.

«Новейшая история стран Азии и Африки», изд. МГУ, 1965.

«Современная историография стран зарубежного Востока», Сб. статей... М., ИВЛ, 1963.

აზიის ქვეყნები

Проблемы истории национально-освободительного движения в странах Азии, М., 1963.

Аграрные отношения в странах Востока, М., 1958.

«Очерки истории Китая в новейшее время» М., ИВЛ, 1959.

Капица М. С., Советско-китайские отношения, М., 1958.

Ефимов Г., Очерки по новой и новейшей истории Китая, М., 1951.

Никифоров В., Эренбург Г., Юрьев М., Народная революция в Китае, М., 1950.

Новая и новейшая история Китая, М., ИИЛ, 1950.

Мао Чу-хуан, Краткая история Коммунистической партии Китая, М., 1958.

Очерки по новой истории Китая, М., 1956.

Тахванский С. Л., Сун Ят-сен, М., 1964.

Ермаков И., Сун Ят-сен, изд. «Молодая гвардия», М., 1964.

Сенин Н. Г., Общественно-политические и философские взгляды Сун Ят-сена, М., 1956.

Эренбург Г. Б., Очерки национально-освободительной борьбы китайского народа, М., 1951.
Вишнякова-Акимова В. В., Два года в восставшем Китае (1925—1927) (воспоминания), М., 1965.
Примаков В. М., Записка волонтера, М., 1967.
Новейшая история Индии, М., 1959.
Неру Джавахарлал, Открытие Индии, ИЛ, М., 1955.
Автобиография. ИЛ., 1955.
Ганди, Моя жизнь, ИЛ, М. 1959.
Дьяков А. М., Индия в период второй мировой войны, стеногр. лекции, М. 1949.
Зихровский Гарри, Индия осушает свои слезы, ИЛ, М., 1961.
Крашенников В., По Декану, М., 1963.
Хашимов И. и Шапошникова Л., К истории рабочего движения в Индии. Ташкент, 1961.
Натараджан Л., Американская тень над Индией, ИЛ, 1953.
«Очерки новейшей истории Японии», М., 1959.
Эндус Х. Г, Очерки новой и новейшей истории Японии, М., 1955.
Жуков Е., История Японии, М., 1939.
Хаяма У., Япония, М., 1939.
Гольдбер Д. И., Внешняя политика Японии (1939—1941), М., ИВЛ, 1959.
Внешняя политика Японии в 1941—1945 гг. М., 1962.
Козоровицкая А. Б., Борьба за единство рабочего класса Японии, М., ИВЛ. 1962.
Очерки по истории освободительной борьбы корейского народа, ИЛ, М., 1953.
Васильев В. Ф., Очерки истории Бирмы (1885—1945 гг.), М., ИВЛ, 1962.
Можайко Игорь, Аун Сан, М., 1965.
Златкин И. Я., Очерки новой и новейшей истории Монголии, М., 1957.
Масленников В., Монгольская Народная республика по пути к социализму. М., 1951.
Левинсон Г. И., Филиппины вчера и сегодня, М., 1959.
Современная Индонезия, ИЛ, М., 1955.
Перов В. И., Независимая Индонезия, М., 1956.
Вальков В. А., Индонезия по пути независимого развития, М., 1960.
Губер А. А., Вьетнам во время и после второй мировой войны, М., 1960.
Хрущев А. Г., Демократическая республика Вьетнам, М., 1956.
Афганистан (справочник), М., 1964.
Иванов М. С., Очерк истории Ирана, М., 1962.
Боди, Аграрные вопросы в Иране, М., ИВЛ, 1959.
Милов П., Иран во время и после второй мировой войны, М., 1949.
Алексеев А., Советский Союз и Иран, М., 1963.
Ацамба Ф., Формирование рабочего класса в Египте и его экономическое положение, М., 1960.
Ватолина Л. Н., Современный Египет, М., 1949.
Аш-Шафии Ш. А., Развитие национально-освободительного движения в Египте (1882—1956), М., ИИЛ, 1961.

«Очерки по истории арабских стран», М., ИВЛ, 1959.
Арабы в борьбе за независимость, М., 1957.
Арабские страны (история), М., ИВЛ, 1963.
Миллер А. Ф., Очерки новейшей истории Турции, М.-Л., 1948.
Краткая история Турции, М., 1948.
Моисеев П. П., Аграрные отношения в современной Турции, М., ИВЛ, 1960.
Вдовиченко Д. И., Национальная буржуазия Турции, М., 1962.
Шамсутдинов А. М., Турецкая республика, Краткий очерк истории, М., ИВЛ, 1962.
Современная Турция (справочник), М., 1965.

აფრიკა

Андрианов Б. Б., Население Африки, М., 1964.
Африка сегодня (справочник), М., 1962.
Потехин И. И., Африка смотрит в будущее, М., ИВЛ, 1960.
Расовая дискриминация в странах Африки (Сборник статей), М., ИВЛ, 1960.
Ланда Р. Г., Национально-освободительное движение в Алжире, М., ИВЛ, 1962.
Забелин И., Листья лофиры..., М., 1963.
Новейшая история Африки, М., 1964.
Верин В. П., Президентские республики в Африке, М., 1963.
Ферст Рут, Юго-Западная Африка, М., 1965.
Уоддис Джек, Африка, Лев пробуждается, М., ИВЛ, 1962.
Колониализм и межимпериалистические противоречия в Африке, М., ИВЛ, 1962.
Этингер Я. Я., Экспансия ФРГ в арабских странах и Африке, М., ИВЛ, 1962.
Национальная государственность народов Западной и Центральной Африки, М., 1966.
Экономическая история Африки, М., 1966.
Антиимпериалистическая революция в Африке, М., 1967.
ვ. დონაძე, იმპერიალიზმის კოლონიური სისტემა და მისი დაშლა, თბილისი, 1957.
ვ. დონაძე, სუნ იატ-სენი — დიდი ჩინელი რევოლუციონერი დემოკრატი, თბილისი, 1955.
ვ. დონაძე, ახლოვდება აფრიკის სრული განთავისუფლების საათი, თბილისი, 1961.
ვ. დონაძე, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია და აღმოსავლეთის ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა, თბილისი, 1957.
ვ. დონაძე, ბირმა დამოუკიდებელი ცხოვრების გზაზე, თბილისი, 1957.
ვ. დონაძე, ლენინი ჩინელი ხალხის განმათავისუფლებელი ბრძოლის შესახებ. ვ. ი. ლენინისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, თსუ, 1960 წ.
ო. გიგინეიშვილი, თურქიზმი და ოსმალეთის საგარეო პოლიტიკა, თბილისი, 1963.
დ. ზავრიევი, ნარკვევები საზღვარგარეთის აღმოსავლეთის ქვეყნების უახლესი ისტორიიდან, თბილისი, 1960.

ნ. კომახიძე, სოფლის მეურნეობა და გლეხთა მდგომარეობა აღმოსავლეთ თურქეთში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, თბილისი, 1965.

ა. მენთეშაშვილი, ერაყელი ქურთების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიიდან (1919—1925), თბილისი, 1963.

ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, თბილისი, 1967.

ოქტომბრის რევოლუცია და მახლობელი და შუა აღმოსავლეთის ქვეყნები, თბილისი, 1967.

ზ. შარაშიძე, ოქტომბრის რევოლუცია და ირანი, თბილისი, 1967.

სარჩევი

შესავალი 3
ჩინეთი 1918—1945 წლებში 12
ჩინეთი რევოლუციის მომზადების პერიოდში 12
1924—1927 წლების რევოლუცია 31
1927—1937 წლების სამოქალაქო ომი 55
ჩინელი ხალხის განმათავისუფლებელი ომი იაპონელ იმპერიალისტთა წინააღმდეგ (1937—1945 წწ.) 74
კორეა 1918—1945 წლებში 93
მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკა (1918—1945 წწ.) 112
იაპონია 1918—1945 წლებში 132
იაპონია 1918—1937 წლებში 132
იაპონია 1937—1945 წლებში 163
ფილიპინები 1918—1945 წლებში 185
ინდოჩინეთი 1918—1945 წლებში 194
ბირმა 1918—1945 წლებში 209
ინდონეზია 1918—1945 წლებში 221
ინდოეთი 1918—1945 წლებში 237
დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია და ინდოეთის ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი აღმავლობა (1918—1922 წწ.) . 237
ინდოეთი მსოფლიო ეკონომიური კრიზისის წინ და კრიზისის წლებში . 254
ინდოეთი მეორე მსოფლიო ომის წინ (1934—1939 წწ.) 271
ინდოეთი მეორე მსოფლიო ომის წლებში 282
ავღანეთი 1918—1945 წლებში 298
ირანი 1918—1945 წლებში 316
ირანი 1918—1933 წლებში 316
ირანი მეორე მსოფლიო ომის წინ და ომის წლებში 340
თურქეთი 1918—1945 წლებში 350
ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა თურქეთში (1918—1923 წწ.) 350
თურქეთი 1924—1945 წლებში 375
ეგვიპტე 1918—1945 წლებში 402
სირია და ლიბანი 1918—1945 წლებში 427
ერაყი 1918—1945 წლებში 443
ჩრდილო აფრიკის არაბული ქვეყნები 1918—1945 წლებში 451
ალჟირი 1918—1945 წლებში 452
მაროკო 1918—1945 წლებში 459
ტუნისი 1918—1945 წლებში 467
ეთიოპია 1918—1945 წლებში 474
ტროპიკული და სამხრეთი აფრიკა 1918—1945 წლებში 482
ქრონოლოგია 508
ძირითადი ლიტერატურა რუსულ და ქართულ ენებზე 514

რედაქტორი ა. სურგულაძე
გამომცემლობის რედაქტორი ლ. კობიაშვილი
ტექრედაქტორი ი. ჩაგელიშვილი
კორექტორები: ე. თოფჩიაშვილი, ნ. ქანთარია

ხელმოწერილია დასაბეჭდად 19/IV—68
ქაღალდის ფორმატი 60×90/16
ნაბეჭდი თაბახი 32,5
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 30,2

შეკვეთა 1504 უე 06638 ტირაჟი 1000

ფასი 1 მან. 17 კაპ.

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 1.
Издательство Тбилисского университета, Тбилиси, пр. И. Чавчавадзе, 1.

გამომცემლობა „მეცნიერების“ სტამბა, თბილისი, 60, კუტუზოვის ქ., 15
Типография Издательства «Мецниереба», Тбилиси, 60 ул. Кутузова, 15

Донадзе Варлам Барнабович

Новейшая история стран Азии и Африки

Часть I

(на грузинском языке)

Издательство Тбилисского университета
Тбилиси 1968